19298
2

899.962.1-31

დილარიანი

თხზულება

პეტრე ლარაძისა

К 92298/2

გამოცემა

მართა ივანე ლარაძის ასულისა კნ. შალიკაშვილისა.

თბილისი
მსწრაფლ-მბეჭდავი არ. ქუთათელაძისა, ნიკ. ქუჩ. № 21.
1903 წ.

Дозволено цензурою Тифлисъ, 29 января 1901 года.

ივანე ლარაძე

წინასიტყვაობა

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,
აბდულ მესია — შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ — სარგის თმოგველსა... მას ენა დაუშრომელსა,
ტარიელ — მისსა რუსთველსა მისთვის ცრემლ შეუშრომელსა“.

რა დიადი კლასიკური თხზულება დაკარგულა საქართველოს შავ-ბნელ ისტორიულ ხანებში სარგის თმოგველისაგან შედგენილი და „დილარიანად“ წოდებული, ამას გვეუბნება ზემოთ მოყვანილი უკვდავი შოთა რუსთველის ლექსი.

დიდებული პოეტი ჩახრუხაძეც დიდის ქება-ხოტბით იხსენიებს ამ ჩინებულ თხზულებას:

„მოუბარისა მის მღუღარისა დილარგეთისგან აღშფოთებულად“.

ცხადია, დაკარგვა ამგვარ თხზულებისა არ ასვენებდათ გულ-შემატკივარ მამულისშვილებს.

თვით ანტონ კათალიკოსამდე, გვგონია, არ მოუხწევია ამ წიგნს და რუსთველის ლექსისა და ქართლის ცხოვრების ნათქვამის დაგვარად ამბობს ეს კათალიკოსი:

„სარგის... ესეცა შოთაებრი არს კაცი.
სიბრძნის მოყვარე, ფილოსოფოს, გამომთქმელ,
რიტორ მშვენიერ, პოლიტიკოს საქებელ,
თვით შოთა იტყვის: „დილარგეთ“ უქია მას,
საქებარს, ესე თქმულია მათთვის მიზეზთა“.

ამიტომაც საკვირველი არაა, რომ „დილარიანის“ აღდგენის ჭაზრით უთვილიყვნენ შეპყრობილნი ქართველი მამულისშვილნი და ქვეყნის გულშემატკივარნი. ეს ჭაზრივე ღატრიალდა მეფე ერეკლეს ჟამს, თუმცა კი ამ დროს მრავალნი საქმენი აწუხებდნენ მოწინავე მესვეურთ, როგორც ჭბძანებს თვით კათალიკოზი ანტონიც: „მო-

გაცალე თავი ჩემი ყოველსავე ზრუნვასა, ხოლო ვერ მოვაცალე იგი ზრუნვასადმი საქართველოის“.

პეტრე ლარაძე ამ საქმეს მშვენიერად ასურათებს ლექსით:

„არ იყო ქართველთა შორის წიგნი-ყე „დილარიანი“,
ამას იტყოდა ყოველი—მოხუცი, ბერი, ჭკვიანი,
იყო თამარის დროისა, ვინ მეფედ ჰგებდა სვიანი,
მუნ დღიდან არღა გვასმია, ვართო მით ჭმუნვანიანი...

მეფე ერეკლეს გმირსა, მებრძოლთ მაწრწუნ-მატირსა სწადდა თვის დროსა,
რათა ესე ამბავი ექმნათ წიგნად შენართავნი მისგან დაზრდილ მოყმეთა;
მაშინ უცალება, საქმის გარემოება არ მაძლევდა ჟამებსა,
აწ მასთან ზრდილმან, მწიგნობრობითა მჭმუნვილმან, ხელ ვყავ მის ნაბრძანებსა“.

1795 წელს თბილისში შემოდის აღა-მახმად-ხანი და პირველადვე ცეცხლს უკიდებს სალაყბოზედ მდგარს სამეფო წიგნთ-საცავს, რომელშიაც, წიგნების გარდა, საქართველოს სამეფო ოქმნი და გუჯარნი იყვნენ დაკრძალულ და რომლის გამგეც იყო მეფის მწიგნობარი პეტრე ლარაძე. მალე თვით მეფე ერეკლეც მიიცვალა, საქვეყნო საქმენი დაწყნარდა, გამეფდა გიორგი XIII და პეტრე ლარაძეც იცლის მისთვის, რათა შეასრულოს ანდერძი ერეკლესი: იგი სთხზავს ახალ „დილარიანს“, მაგრამ ეწვევა მას მეფის ძე იოანე, სტაცებს ამ თხზულებას და ზედ თავის სახელს აწერს... პეტრე ლარაძეს მეორედ მიუღია, როგორც თვითონვე ამბობს, „მრავალი ღვაწლი და შრომა ამბის მოგონებასა და შეწყობაზედ“ და უფრო უკეთესი „დილარიანი“ შეუდგენია“.

„ესე სხვა ახალ შევამკევ, ვით მტილი ყვავილოვანი
იგი იმასა არა ჰგავს, ვით ვარდსა გოგშო თავმსხვილ ეკლიანი;
ეს არის დიდად ნაღვაწი, ჩემგან ქმნილ „დილარიანი“
ხელმწიფებითა მაღალი, ლომ-გული, მკლავ მყარიანი“.

აქედან ითვალისწინებ სვე-ბედს „დილარიანისას“, ხოლო როცა გულდასმით ათვალიერებ ამ ვრცელ ტომს, წინ გიდგებათ მრავალ გზით გამოცდილი, მრავალგან ყოფილი და ბევრ ზნე-ჩვეულებათა მცოდნე მეფის მწიგნობარი ლარაძე, ჰაზრთა მესვეური თავის დროისა

და სასიქადულო მწერალი, რომელიც დიდის ნიჭით და ხელოვნებით ხან „ჩახრუხაულით", ხან მშვენიერ პროზით, ხან „ყარიბულის" ლექსით, ხან შაირულ ტაეპით, ხან ფისტიკაურის თქმით გვიამბობს დილარ ხელმწიფის ანუ დილარ მძლეველის ნაქმარს ამბებს. გაკვირვებული ხართ ავტორის ვრცელი ცოდნით მითოლოგიის და სხვა ერთა ზნე-ჩვეულების, რაიც შეუკოკბნია თავის თხზულებაში. ამიტომ ბევრს არა ჰსჯერა, რომ ეს თხზულება სარგის თმოგველის კლასიკური „დილარიანი" არ იყოს, რომელიც ვითომდა მოეპაროს ლარაძეს...

პეტრე ლარაძეს ხანგრძლივი ცხოვრება შეკავშირებულია შესანიშნავ ეპოქასთან მეფის ირაკლის, შემდეგ მეფის გიორგის და ბოლოს, გარეული ბატონიშვილების ამბოხებაში, იგი იქმნა დატყვევებულ სურამში კაპიტან ბარტნეევის მიერ და გაიგზავნა ბატონიშვილებთან ერთად პეტერბურგს. პეტერბურგშიაც გადახვეწილთა შორის ის არის საყვარელი მწერალი, მელექსე და ნუგეში, რადგან საქართველოშიაც იყო საუკეთესო წარმომადგენელი სასიქადულო ლიტერატურულ ეპოქისა, რომელსაც, მის გარდა, ამშვენებდნენ დავით გურამიშვილი, ბესიკ გაბაშვილი, კათალიკოზი ანტონ, ბერი ხელაშვილი, მეფის ძე ვახტანგ, სოლომონ მდივანბეგი, საათნავა, იოანე გეგენჭკორი, ნამოძღვრალი გაბაშვილი, „კატის ომის" ავტორი, ცუკია ბერი დავით რექტორი და სხვანი მრავალნი. ამ თანამედროვე კალმოსანთა შორის პეტრე ლარაძე გურამიშვილს თუ ჩამოურჩება, თვარა სხვებს ზევიდან დაჰყურებს და არის სპილო თავის ეპოქის ენით, ლექსთა წყობით და შემეცნება-ნიჭით.

გარდა „დილარიანისა" მას დაუწერია ვრცელი ტომი ლექსებისა და უწოდებია „წიგნი მრავალ-ფერ ყვავილოვანი". ამასთან შეუთხზავს მშვენიერი პოემა ალექსანდრე მაკედონელზედ, რომელიც პეტერბურგს ყოფილა დასტამბული და ხელ-საგოგმანებლად ჰქონიათ ქართველ ოჯახებში. იგი ეხლა ბიბლიოგრაფიულ ნაშთად ითვლება. პეტრე ლარაძე „მრავალ-ფერ ყვავილოვანის" შესახებ ასე ამბობს:

„ერთს წიგნი „დილარიანი",
ერთი თვით ესე შევმზადე

IV

და ათჳგან ერთი შევკრიბნე
ჰამბავი საწადელები,
ბრძენთაგან სანაქებლები,
შევუმკე ლექსნათელები,
შაირნი სასურველები"...

მართლაც რომ სასურველნი ლექსნი ამკობენ ამ მშვენიერ წიგნს: მშვენიერის ენით არის გალექსილი საქართველოს ისტორია თამარის დრომდე, მას მისდევენ მრავალნი ლექსნი ვარდ-ბულბულ, სიყვარულსა და ბუნების სიმშვენიერეზედ, მერე მოთავსებულან მრავალი ტკბილი სადმთო ლექსნი და იამბიკონნი ჯვარზედ, საუფლო დღესასწაულებზედ და საქართველოს ყველა წმიდანებზედ სათითაოდ... ბევრნი ამ ლექსთაგანნი პროფესორს დავით ჩუბინაშვილს შეუტანია თავის ქრისტომატიაში.

თავის ნაწარმოებს პეტრე აწერდა ხოლმე: „ყარიბ პეტრე ლარაძე", „ტანჯულ პეტრე". მისი ლიტერატურული ეპოქა მჭიდროდ შეკავშირებულია ჩვენზედ მახლობელ ლიტერატურულ ეპოქასთან, რომელსაც ამშვენებდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და თვით ვახტანგ-გრიგოლ ორბელიანები... ენა, ლიტერატურული სტილი-ქნარი ძაფ ადებით მოსდევდა ჩვენს ქვეყანაში და ეპოქებად კავშირდებოდა, მარტო დღეს მოიპოებიან ისეთნი, რომელთაც უსაძირკვლოდ რაიმეს შექმნა სწადიანთ...

დაიბადა პეტრე ლარაძე, როგორც სჩანს მის მამა გიორგი დეკანოზის ანდერძიდგან, მეფე თეიმურაზის დროს; დანამდვილებით კი არ ვიცით, როდის. ხოლო გარდაცვალების შესახებ მათ საოჯახო ჟამნში ასეთი წარწერა ვპოვე (ს. დიდ-ეგრისს): „კაცი იგი ღვთისა ყარიბი პეტრე ლარაძე გიორგის ძე, მზრუნველი და მამა სახლისა გარდაიცვალა 24 თებერვალს, ჟამსა მეათესა შუადღის უკან 1837 წელს. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი უფლისა მიერ ღვთისა ჩვენისა. ამინ".

თავის ხანგრძლივ ცხოვრებაში ჰყოლია მას ცოლი თუ არა, არა სჩანს. ამბობენ, სურათი მისი იყოო, მაგრამ ვერ ვპოვეთ და მის საბადლოდ მოვათავსეთ ლარაძიანთ გვარის უკანასკნელ წარმომადგენელის ივანე იოსების ძე ლარაძის სურათი.

აზნაურ ლარაძეთ გვარი უბრალო რამ არ ყოფილა. მათს ერთს გუჯარში ასე სწერია: „ოდეს დიდმან ეგროს აღაშენა სამეგრელოს სახელსა თვისსა ზედა ქალაქი და უწოდა ეგრისი, რომელსაც დღეს უწოდებენ ოდიშად და თქვენ წინაპარნი ნათესავნი მათნი გადმოსახლებულხართ სამეფოთა ადგილთა მცირე სომხეთის და საბარათიანოსა შინა, სადაც გაქვთ სოფლები მთასა და ბარში და ერთს თქვენ სოფელს ძველისა შთამომავლობისა თქვენისა სახელი ეწოდების დიდ-ეგრისი, რომელშიაც არის თქვენი სასაფლაო საყდრები" და სხვ...

ამავე გუჯარში ჩამოთვლილია მამულ-დედული აზ. ლარაძეთა: მეფე თეიმურაზს უჩუქებია თბილისში ხარების ეკლესიასთან სახლები. სასახლე ლარაძიანთ ჰქონიათ სუფნიშანთან. სოფელ ელფიაში (კოჯრის ახლო) წილი, სოფლები: ირაგა, თხილნარა, ჯიგრაშენი და სხ.

ს. ჯიგრაშენი ყოფილა დაშენებული ფარვანას ტბის თავზედ, მის ნანგრევებზედ დღეს კროები მოსახლობენ. ეს მხარე ტბებით სავსეა და საქართველოს საუკეთესო კუთხეა, სადაც დუხობორებიც დასახლებულან ნანგრევებზე, უწინ არტანუჯად უნდა იყოს ცნობილი და პეტრეც აქედგან უწოდებს თავსა თვისსა „არტანუჯელად".

ამ ბლომა მამულებიდან ლარაძიანთ დღეს მარტო დიდი—ეგრისიღა შეჰრჩენიათ; თვით ეს დიდებული გვარიც გალეულა. მეფე თეიმურაზის დროს კარის მოძღვრად ყოფილა დეკანოზი გიორგი ლარაძე, კაცი ბრძენი, რაიცა სჩანს მის მშვენიერ ანდერძიდან *). ამას ჰყოლია ოთხი ვაჟი შვილი: დავით, იოანნე, იოსებ და პეტრე (პოეტი). დეკანოზი გიორგი ასე უბნობს თავის ანდერძში შვილებთან: „ჰეა ფრიად სასურველნო და გულისა ჩემისა საყვარელნო შვილნო! ისმინეთ სიტყვანი მოხუცებულის მამისა თქვენისანი და დაისხენით გულთა შინა თქვენთა თხრობილნი უძლურთა ბაგეთა ჩემთა". შემდეგ ამისა ამავე ანდერძში შვილებს ვალდებულად ჰხდის: რათა „უყვარდეთ ერთმანეთი მტკიცეთ, ერთმანეთს არ გაეყარნენ; რომელი ძმაც გავიდეს და ოჯახის ერთობა დაარღვიოს, მას წილს

---

*) იხილე 1792 სიგელი ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემულ „საქართველოს სიძველე"-ში; ტომ. I.

ნუ მისცემენ და რომელმაც ინდომოს დადგომა, შეიტკბეთ, ვითარცა თავი თქვენი და რაიცა უჯობდეს ოჯახსა თქვენსა და ტკბილსა ძმობასა, ეგრე ჭყოვდეთო. ერთისა სახლისაგან თქვენისა ნუ გამოაკლებთ ხლებად მეფესა და მსახურებდინ ყოვლითა კრძალულებითა“ და სხ....

პეტრეს, უმცროს ძმას, შეუსრულებია ეს ანდერძი და აგი კიდენაც უმსახურნია სამეფო კარსა. სამნი ძმანი პეტრეთურთ უძეოდ გადაგებულან, ხოლო ერთს ძმას იოსებს დაჰრჩენია ვაჟი ივანე, რომლის სურათიც აქაა მოთავსებული. ივანეს სწავლა მიუღია კეთილშობილთ სკოლაში, (აწ პირველი გიმნაზია თბილისს). მერე თარჯიმანად უმსახურნია ქუთაისში საგუბერნიო სამმართველოში. აქ შეურთავს აბაშიძიანთ ქალი და მერე დასახლებულა მამა-პაპეულ მამულს ეგრისში. გარდაცვლილა მოხუცებაში 1892 წელს 3-ს აპრილს, ვაჟი არ დაჰშთენია, ჰყოლია ხოლო ქალი, აწ პატივცემული მართა ქვრივი კნეინა შალიკაშვილისა; ამ უკანასკნელსაც ძე არა ჰყავს და სცხოვრობს თავის მამა-პაპეულ მამულ დიდ-ეგრისში.

ილევა ლარაძეთ გვარი, მაგრამ პატივცემულმა მართა შალიკაშვილისამ საუკუნოდ ჰქმნა სახსოვარი ამ პატივცემულ გვარისა, რადგან ინება გამოცემა პეტრე ლარაძის თხუზულებათა. დილარიანს ზედ მოჰყვება „წიგნი მრავალ-ფერ ყვავილოვანი“ და ქართველობას მუდმივ ეხსომება საუკეთესო მწერალი.

კნეინა მართა ივანეს ასული მარტო ამ საუკუნო ძეგლს არა სტოვებს თავისი გვარის სახსოვრად: იგი სიკვდილის შემდეგ საზოგადო საქმეს უტოვებს მამა-პაპათა ქველობით ნაშოვნ მამულს დიდ-ეგრისსაც.

დიდი არაა ეს დალოცვილი მამული, სულ 700 დესეტინაა, მაგრამ ქართველობას დიდ სამსახურს გაუწევს. თრიალეთი, სადაც მდებარეობს ეს მამული, გახდა გერმანელთა და სხვა უცხო ხალხთათვის ყველის წარმოებით ჯიბის ოქროთი გამტენ სახსრად. გოლანდია, შვეიცარია, ფილანდია, და ან რომელი მხარე განათლებულ ევროპისა არ აცხოვრებს თავის მკვიდრთ რძის ნაწარმოებით! ოქროს ფასი აქვს რძეს და ქართველებისთვის კი იგი ფუჭი კაკალია! თუ არ შეისწავლა კაცმა ეს დარგი წარმოებისა, ისე ცდა ამაოა,

საუკუთესო ყველის წარმოების სასწავლებელი მოთავსდება დიდ-ეგრისში. მამულისავე შემოსავალი გაისტუმრებს ხარჯს; მხოლოდ ეს მეყველეობის სასწავლებელი უნდა შეიქმნას ნაწილი წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სასწავლებლისა. იქ სწავლა დამთავრებულთ შეუძლიანთ ეს დარგი მეურნეობისა შეისწავლონ დიდ-ეგრისში და გაუწიონ ყველის წარმოების ცოდნით დიდი შემწეობა დაქვეითებულ ქართველ მეურნეობას... ჩემი რჩევა, როგორც მოძღვრისა, ესაა პატივცემულ კნეინა მართასადმი და, ვგონებ, არც სხვები დაგვიწუნებენ ამ რჩევას...

„დილარიანის“ გამოცემის ხელმძღვანელობა იკისრა პატივცემულ მოსე ჯანაშვილმა, რომლის აზრი შესახებ „დილარიანისა“, როგორც ფრიად დიდმნიშვნელოვან ისტორიულ წყაროისა, იბეჭდება „ქართველთა მატიანეში“ („მოამბე“, 1903 წ. ივნ.).

მღვდელი ზაქარია **გულისაშვილი.**

1903 წელს 10 აპრილს.

ს. დიდ-გომარეთი.

პირველი შესავალი წიგნისა

ႣႨႪႠႰႨႠႬႨႱႠ,

რომელნი არიან შაირად და ყარიბულად ლექს ტკბილად.

ႸႠႨႰႨ

Ⴍდეს სული, ღვთით მთავარი, იქცეოდა ზედა წყალთა,
სულ არსისა შესამკობლად განმჰსჭვრეტდა საღმრთო თუალთა,
ყოველთ ცხოველთ, მოზარდთ მცენართ, ბუნებისა სცემდა ძალთა,
განაგებდა უნაკლულოდ ცად სამყაროს, ხმელ, ზღვებ, წყალთა,*)
ვინ მოიგონენ პირველად მეორე ნათლის დასები,
შენვე განსაზღვრე ზღვა-ხმელი, კვლა არსნი რავდენ ასები,
იგი ზენანი მნათობნი, შვენებით დაუნასები,
ხილულნი ესე ყოველნი ჩვენთვის ჰქმენ, არ გვართვ ფასები;
რომელმან პირველ დაჰბადა მეორენი ნათელ მალნი,
სულად შეჰქმნა ალად ცეცხლის უხორცონი ზეცის ძალნი,
ექვს-ექვს ფრთენი ხერუვიმნი და სერაბიმ მრავალ თვალნი,
საყდარნი და უფლებანი, ქებად ღვთისა დაუმცხრალნი,
მთავრობა, მთავარ ანგელოს, ძალნი და ხელმწიფებანი,
უჰამრავ, მიუწთომელნი, ანგელოსთ იგი კრებანი,
რომელთ გარემო საყდრისა აქვსთ მდგომობისა ნებანი,
მათ ტკბილი, დაუცხრომელი, შვენისთ სამობის ქებანი.

---

*) დედანში ყოველი ტაეპის მეოთხე სტრიქონი „და" თი იწყობა.

ხმობენ: „წმინდა არს სავაოთ, ღმერთი სამობით ერთი და,
უფალთ მთავარი ძლიერი, მეფე ქვე-ზეციერთი და,
უცნაურ, მიუწთომელი, მექმ უნივთო ნივთი ერთი და,
დაუცხრომელად საქები უსიტყვო და სიტყვიერთი და;
მათ მეორეთა ნათელთა, ვიტყვი, ქმნას არა ხელითა,
არამედ ბადა სიტყვითა, საღმრთოთა მბრძანებელითა, *)
მომწოდებელი არსებად საქმითა საკვირველითა,
აღავსებს, აშვებს თვისისა ნათლითა მიმფენელითა;
მის პირველისა ნათლისგან მეორენი ჰნათლდებიან,
გარდასცემენ ერთი ერთსა, სავსებას **) არ აკლდებიან,
წამის ყოფით ბრძანებისა, რასაცა ვით შეხვდებიან,
კისკისად აღსრულებასა შეტრფობით ესწრაფებიან.
სდგანან პირველის გარემო მეორე მწყობრ ნათელნი და,
ხმა-ტკბილად წმინდა არსების მეტყველნი, მგალობელნი და,
სამ დასად კრძალვით სამობის დიდებით მაქებელნი და,
თითონი სამ-სამ ხარისხად ძრწოლით ყე მმაღლობელნი და.
მხილველმან უწყის პირველმან მეორეთა მათ ქმნილება,
სხვებრ უცნაურ არს გამოთქმა და მათი მიწთომილება,
ზესთა ძალისა ხილულთა არს იგი შემკობილება,
მას მასვლობას(?) უპყრია უსხეულთ განწყობილება.
იგივე იგი იგიობს პირველისავე წესითა,
მას ეტრფინ მყოფნი ყოველნი, უდიდეს უკნინესითა,
მყოფი უჟამო ჟამი და ხელმწიფობითა ზესითა
არს განმგებელი ყოველთა გონების უაღრესითა.
წამის ყოფით სცავს და მართებს და განაგებს არსსა სრულსა,
ნუ ვინ ჰგონებს მისს წინაშე რაცა ვითა დაფარულსა,
ზღვის ქვიშათა აღმრიცხველობს, ცას ვმზერთ მისგან განკარ-
გულსა,
მას ვსასოებთ, იგი ღირს გვყოფს საუკვდავო სიხარულსა.

---

*) ტექსტშია: „მბარძანებელითა“.
**) ტექსტშია: „სავსებასებას“.

შენ უხილაო ბუნებავ, გამოთქმად ზესთა ზესებო,
ერთო არსებავ ნამდვილად, ყოვლით არსთა უაღრესებო,
სამ გვამოვანად ცნობილო, მიწთომად უღრმესებო,
ყოველთა ცხოველთ და მცენართ კეთილად დამაწესებო,
უჟამოდ დაუბადებო, თვით ყოვლთა მექმო-მბადებო,
სრულად კეთილთა მაკეთო, თვით ყოვლად კეთილ ცხადებო,
რაცა გენებოს, მყის თანად აწესებ, შეამზადებო,
ღირს მყავ სინანულს, გენუკვი, ცოდვას ნუ განმიკვლადებო,
ნათელო ყოვლად სატრფოო, ბრძენთა მიწთომად ბნელოდა,
ჟამო უჟამოვ ჟამებთა, უცთურათ დაცამსხმელოდა,
სრულ არსთა მოძრაობისა კეთილად განმგებელოდა,
მნათობთა გამო ნათლისა ქვეყანად მომფენელოდა,
უპრულოვ თვალო, ზღვის უფსკრულს ქვიშათა აღმრიცხვე-
ლოდა,
ვარსკვლავთა მკრთოლვარებისა თვის-თვისად მიმნიჭველოდა,
უხილავ, უცნოვ, მიუწთომ, სახიერ უშურველოდა,
აქათით ხრწნადით უკუდავის ცხოვრების მომცემელოდა,
სამობავ, ერთო ხელმწიფევ, კვლავ ერთ ბუნებავ ტკბილოდა,
ექვს ფრთოვანებულს საყდარსა დიდებით დაფუძვნულოდა,
ერთ ნებავ, ერთი უფლებავ, მარად მყოფ, არა ცვლილოდა,
შენსა მას ტკბილსა სასძლოსა, გთხოვ, მარჯვნივ მაადგილოდა.

ყ ა რ ი ბ უ ლ ი.

ერთ ბუნებავ, ერთარსო, ყოველთა დამაარსო, უმიზეზო
მამაო,
სიტყვისა თვით მშობელო, საუკუნეთ მპყრობელო, სხვის
ცნობა არს ამაო,
სული შენგან გამოსვლით მრწამს ძისაგან მოცემით, უცებთ
თქმა არ მგამაო,
ამით მწვალებელთ დასებს შევმოსავ ჭმუნვის ფლასებს, ვარ-
ცხვნი მალ, ერთ წამაო.

სამ გვამად სამ პირებით გესავ არ დამცირებით, ერთ ღვთა-
ებით დიდებულს,
შეურწყმელს, შეურევნელსა, ნისტორისგან უცნობელს, ანგე-
ლოზთაგან ქებულს‘
სევეროზ, დიოსკორეს დავაყრი თავზე სკორეს, და ყოველთ
მათთა კრებულს—
არიოს, ევნომიოს, ევტუქ, მაკედონიოსს, პეტროზსა განქი-
ქებულს;
სახელ სდებდა ქრისტედ თავს, იტყოდა ბოროტი ავს, სვი-
მონ მოგვი წყეული,
იგ სამარიტლობდა, ეშმაკის მძლით გველობდა, პეტრეს მიერ
ძლეული,
კირინთოს ნიკოლაოს, მარკიონ ქარმან ჰგაოს, ულმრთო მათი
სხეული,
სხვა მანის მონტანოსი, ვით იტყოდა ანოსი *), ბილწ თქმანი
მათეული;
ნავატი და აეტი, ევსევის თავსა კეტი, ევდუქსი მწვალე-
ბელნი,
აპოლინარი ბილწი და საბელიოს ლირწი, თეოდორით მგმო-
ბელნი,
დიოდორ ხარსოსელი, ტიმოთე ეშმაკთ ქსელი, მართლის რჯუ-
ლის გამრყვნელნი,
ესე ეშმაკის პირნი, ორიგენისებრ მტირნი, წვალების საფუ-
ძველნი
ზანსდევნა ქრისტეს ძალმან, მან უჰრულომან თვალმან,
ეგოდენნი მგმობარნი,
საღმრთოს სჯულის მოძღვარნი, ქნარ ხმა-ტკბილად მხმობარ-
ნი, არნ მათნი დამამხობარნი;
ჰყვავის მართალი რჯული, მოციქულთაგან თქმული, ანგე-
ლოზთ საქებარნი,

*) ტექსტში: „ან ოსი“.

დავადგრეთ მათსა წესსა და კეთილს უალრესსა ვიქმნეთ სურვით მტრფობარნი.

ძე უჟამოდ შობილი, მამის სიტყვად ცნობილი, მისსავე თანასწორად
სული თვით მამისაგან, გამოსვლით არ ძისაგან, ვირწმუნოთ არა ქორად,
ესრეთ არ მრწმენნი კდემით იქმნენ თავსა ქვის ცემით, და-ვფლათ ქვათა ქვე გორად,
სამობას ერთარსობით თაყვანის ვცემდეთ ქებით, მგმობელნი ვაძოთ შორად.

ვადიდოთ მამა ძითა და სულითა წმინდითა, ერთი ღმერთი სამობით,
ესე წმინდათ თქმულიცა, სად მამა-ძე სულიცა ქებით, ანგელთ გალობით,
მამა უშობელიდა, ძისათვის მშობელიდა, ჟამისა უჟამობით,
სული მამისა მიერ გამოსვლით გვფარავს ძლიერ, თაყვანის ვცემ მადლობით.

სიტყვა ღვთისა ბუნებით ორით გვრწამს, ალსარებით ღვთად და კაცად ქებულად,
ღვთაებით უვნებელად, ყოვლად შეუხებელად, და კაცობით ვნებულად,
ორთა მოქმედებათა, ღვთისა და კაცთ ნებათა, ვხედავ ალსრუ-ლებულად,
კაცთა ბუნების დახსნად, ადამისა გამოხსნად, ესე ჰყო დიდებულად.

ქალწული დედად ღვთისა, გვრწამს მშობლად ღვთის სი-ტყვისა, მარიამ უბიწოდა,
რომლისა ძისა შიშით და წმინდის ჯვარის ნიშით, ბილწი სამოელ სძრწოდა,
ჯოჯოხეთი ჰქოთებდა, სატანა მძლედ გოდებდა, მართალთ სულთ რა უწოდა,
იუდა განმცემელი, ვერცხლისა მიმღებელი, უხსნელად მუნ იწოდა.

Ესე მართლ-ალსარება, რომელსა შვიდი კრება ამტკიცებს—
ანამდვილებს,
შეტკბობით შევიყვაროთ, უზაკველს გზას ვიაროთ, მათ ათ
ორთაგან წვრთილებს,
ვლიდეთ ალდგომასა, მარჯვენით წარდგომასა, ვრიდოთ მარ-
ცხნივ დასჯილებს,
ვილვაწოთ გზა კეთილი, წმინდათ მამათ კვეთილი, ვიშვებდეთ
მათსა ჩრდილებს.

ჭ ა ი რ ი.

Სოფელი თვისსა მიმყოლსა მისცემს შვებასა აროდეს,
მალედ ამწარებს მყის თანად, თუ ოდეს რა უხაროდეს,
მით სიყვარული სოფლისა, სჯობს, ვინცა დაეზაროდეს,
დასთმოს ყოვლითურთ, ვიდრემდის ცხოვრება დაემწაროდეს.
Მრჩობლსავე შინა ქებულან, საწუთოს მოძულენიდა,
ვისცა ჰქონია გონება, ზესთ არსთა ალმავლენიდა,
იგი არს ყოვლთა სატრფობი, ამას ხმობს ყოვლი ბრძენიდა,
მას საუკუნოდ საკვირვოდ, სულისა მოსალხენიდა.
Მრავალნი ვიცით*), გვსმენიან, სოფლით კიდეგან ქმნილები,
რომელთა ქება ლალადებს, დას-დასად ალბეჭდილები,
საწუთოს არად შემრაცხნი, გამცუდნი, გამაწბილები,
ვინანთა სულსა სასძლოსა ნათლად აქვთ იგ ადგილები.
Ესე არ ყოვლთა დასატევ, ვიეთმე შესაყვარები**),
უხვებ მეორეც საქები, მასთანვე შესაწყნარები;
მესამე გუნდთა***), რა დრონი აქვსთ, კეთილ განატარები,
მათცა ხმა ესმასთ მარჯვენით, კურთხევის სანეტარები;

---

*) ამ ტაეპს აშიაზე აწერია: „წმიდანი წინასწარ-მეტყველნი“.

**) აშიაზე: „წმიდანი ღ̃თ შემოსილნი მამანი და ღვდელ მოწა-
მენი“.

***) აშიაზე: „წმიდანი მოწამენი“.

არს მეოთხეცა ხარისხი *), სარწმუნოებით სრულებთა,
სიმართლით მქცევნი იხილვენ ედემის ხილთა სხმულებთა;
მეხუთე ხარისხს **) მდგომელნი, თუ ჰყოფენ წმინდათ თქმულებთა,
მრწამს, შევლენ ედემს საშვებელსა მათთვის მზათ კარ განხმულებთა;
მეექვსე მოხარისხენი ***), სოფლის მიმყოლნი გულითა,
გულის თქმისაებრ მავალნი, მღვიძარებითა ჰრულითა,
არად შემრაცხნი მეორის, ხორცის მოყვარეს სჯულითა,
რა ვსთქვა, მან ჰკურნოს გოლგოთას გვერდით ლახვრითა წყლულითა. —

ცხრას წელს მწირობით უცხოს თემს ცხოვრება გამწარებულმან,
დავჰყავ ვაებით, ვითმინე გლახ დრონი ვალალებულმან,
ყოველთა სანუგეშოთა მოსპობით მძლედ მოკლებულმან,
მრავალთა სამწუხაროთა ჟამებთა ყე შესწრებულმან;
მუნ მაიძულეს, მაწვიეს თვით ცხებულთ შთამო-სირებმან,
თქმად ლექსთა ამბავ რეულთა, თუ გწადსო გრიდონ ძვირებმან;
ვიყავ მარადად მჭმუნვარე, ვსთქვი: ნუ თუ დამსთმონ ჭირებმან,
მრავლისა იძულებითა, ხელმწიფეს თხოვა ხშირებმან,
რაცა გულს სწადდა ხელ-ყოფად, თქმად პირველ სატროფიალები,
არა ნება მცეს მთხოველთა, ეგ არსო სხვათა ვალები,
არნ ეგებრნიო წერილნი, მიდებით დანაკრძალები,
ამისთვის ვწუხდი, მტირალმან ღაწვნი ცრემლითა ვალები.

---

*) აშიაზე: „წმიდანი უდაბნოს მყოფნი მამ.ნი და მოწამენი“.

**) აშიაზე: ,,ქადაგთა სიმართლით სარწმუნოება‘‘.

***) აშიაზე: ,,კრებანი ჩემებრ ცოდვის მიმყოლნი. არცა ტროფიალებითა სულისა არას მრაცხველნი‘‘.

დრო განრყვნილი, იცით, ერთა მიიზიდავს, მიიბირებს,
მის პირველსა სამიჯნუროს ვერღა ნახვენ მავალს ხშირებს,
გულს მისცემენ კეკლუცთ ტრფობას, არ ჰრიდებენ თავსა ჭირებს,
ზოგთა შეჰყრის საყვარელთა, ზოგთა ხილვას დაუძვირებს;
სურვილისა ასპარეზსა ბურთს არბევენ, ნავარდობენ,
გულოვანნი ყმა ჭაბუკნი შვენიერთა აშიკობენ,
სიშორისა ვერ დამთმობნი, შორით გულსა დაიდნობენ,
არად უჩანთ გაჭრა, ხელ-ქმნა, მხეცთა თანა ველადობენ;
ესე ვითარსა ჟამებსა მას პირველ სატრფიალოსა,
არღა მოხედვენ, მისდევენ ლაწვ ლალსა, ბროლ ფიქალოსა;
მის პირველისთვის დავნატრი, ვინ თავი გაისალოსა,
სოფლის ამაოდ ბრუნვასა გაშორდეს გაეცალოსა.
ძელვა-გვემულსა განწირულს დამირთვეს ესე თხოვანი,
განმწარებულსა მწირობით მაქვნდა ცრემლისა თოვანი,
ველარ წაუველ, ვერა ვქმენ ვერ სადა გზისა პოვანი,
მენუკვებდეს დაწერად ბერი თუ ახალ წლოვანი.
არ იყო ქართველთა შორის წიგნი ყე დილარიანი,
ამას იტყოდა ყოველი, მოხუცი, ბერი, ჭკვიანი,
იყო თამარის დროსა, ვინ მეფედ ჰგებდა სვიანი,
მუნ დღიდგან არღა გვასმია, ვართო მით ჭმუნვა ვიანი.
მსმენელნო, ნუ დამგმობთ, მრეკელთა, თქმულ არს, კარი განელების,
რაზომ იყოს ანგაარი, მთხოვარ ერთხელც ელირსების,
დაკარგული მოძიებით, თქვენც გასმიათ, იპოვების,
მაშ რა მეყო, მაიძულეს, ვიმუშაკე მათის ნების.

ყარიბული.

ხელი მივაპყარ კალამს, თავს ვერღა დაიმალავს გმირი, ყოვლად ქებული,

ჩოგნის თამაშობა, მოედანს ბურთაობა, რა ჰყოს მოსწრაფებული,
შემოკრბით ყრმა და ბერი, შემზადებულ არს სერი, მსმენელთათვის დაგებული,
ლექს ჰამბით შემკობილსა აქ განიცდით მკობილსა, ეგე მსმენელთ კრებული.

მეფეს ირაკლი გმირსა, მებრძოლთ მაძრწუნ-მატირსა, სწადდა თვისსა დროებსა,
რათა ესებრ ჰამბავნი ექმნათ წიგნთ შენართავნი, მისგან დაზრდილ მოყმებსა,
მაშინ უცალოება, საქმის გარემოება, არ მაძლევდა ჟამებსა,
აწ მასთანვე ზრდილმან, მწირობითა ქმუნვილმან, ხელ-ვჰყავ მის წაბრძანებსა;

არ მივხედე ქმუნვას, გლახ ყარიბობის ზრუნვას, მივეც ხელი წერასა,
ვინც ისმენდა—იშვებდა, გულითა იხარებდა, სთმობდენ ყოველს მღერასა,
გაეწყვნენ, იკითხიდვენ, მისთვის ხანსა დაზმიდნენ, ჰყოფდენ ხშირად მზერასა,
მაგრამ ყარიბის გული იყო ათას გზის წყლული, შვებას ვგრძნობდი ვერასა,

მქვსას ალაჯს უშორეს გასტყორცა მინდორს სწორეს დრკუმან სვემან წყეულმან;
ვიტყოდი, რა ვყო მწირმან, სანიადაგოდ მტირმან, ბედისაგან ძლეულმან,
თვით დღეცა ჩემთვის ღამე იყო, მეყო რაღამე, მძლო ჭირმან ძსეულმან,
თუ ვერ ჰპოვოს მკურნალი, ანუ კეთილ წამალი, რა გლახმე ჰყოს სნეულმან!

ვინადგან ესრეთ სენი მამძიმებდა ულხენი, შორ ქმნა თვისთა ტომებთა,

სევდისა დასასხნელად მაქვდა წერა ყე ხელად, ჰამბავთა რთვა ლექსებთა,
შექცევად მათ მთხრობელთა, და კითხვით ცრემლთა მღვრელთა, ჭაბუკთ ახალ მოყმებთა,
განსატარებლათ დროთა, სხვის არას საზროთა, ვსძულობდ ჟამთა უქმებთა;
ესე ირწმუნეთ, მსმენნო, გონება მაღალ ბრძენნო, მაქვნდა გულს სხვა არადა,
უქმობის დასახსნელი არს შრომა საფუძველი, თუ ვინ შეიყვარადა,
დავიდევ ესე გულსა, უცხოებითა წყლულსა, საჭურველ ზურფარადა,
ვსწერდი არ დაყოვნებით, ჭმუნვისა ხელოვნებით, ჰე განვერიჩქარადა!
ვისცა გასმიათ ძველად, ოდიშის დამფუძვნელად, ეგროს ქართლოსის ძმობით,
რომელი ნევბროთ გმირის, მისის სახლის არ მცირის, იყო ცხად არს მოთხრობით,
მას ეგროსისა სირით, აღმონორჩილმან ძირით, ვის მცნობენ ყარიბობით,
გვარითა ლარაძემან, აზიას სახელ ზემან, წიგნი ესე მკობილით;
ძველად ეს ყარიბული, ახლად შემოღებული, ლექსი გვარად ტკბილიდა,
თვით ჩემგან შეწყობითა, იქმნა მოგონებითა, ტურფათ შეწყობილიდა,
სხვასა არავის სადა ეს გვარი განეცხადა, ნუ ვის აქვს ქადილიდა,
სახსოვრად ჩემდა ესე აქარე განვაწესე, წარვალ ვით აჩრდილიდა.
თუ ვინ სტიროთ მოყვარენი, ანუ გონება ბრძენნი, ამა ყარიბულს გვარსა,

გაეწყვნეთ, იწყოთ წერა, ქალალდზედ თხზვა და მზერა, იტყოდეთ ლექსსა მტკბარსა,
მაშინ მომიგონებდეთ, რა ლექსსა შეჰკონებდეთ, ყარიბს ტკბილ მოუბარსა,
თუ ჰყოთ ყე სეფურობა, სცანთ ვითარი აქვს მკობა თქვენსა მას საუბარსა.

დავშვერ არ დასამალად, ამა წიგნს შესავალად ვაკმავე ესე თქმანი,
აწ დილარის ქებანი, სიმხნე გულოვნებანი, ვსთქვნე მძლედ მოჭირვებანი,
სხვათა შესაწევნელად, მწუხარების დამხსნელად, ვით თავს იდვა შრომანი.
იგ სასტიკნი ბრძოლანი, კიდის კიდე მოვლანი, საქებელად საკმანი.

თავი პირველი

წიგნი პირველი ჰამბისა მის, რომელსა უწოდებენ მსმენელთა სამოსა ამას მოთხრობასა დილარიანად.

შაირი.

ჰგებდა აბაშეთს დილარ მძლე, ხელმწიფე გვირგვინოსანი,
ღვთისა მიერის დიდებით სკიპტროსან გვირგვინოსანი,
მზეებრ ოთხ კიდეთ სახელით განფენილ, მრავალ ყმოსანი,
ვის მორჩილებდენ მეფენი, მის საუკუნოს დროსანი.

ახალ მოყმე, ბრძენი, უხვი და მფლობელი ზღვა და ხმელთა,
გულოვანი, მხნე უებრო, მჯობი ყოვლთა თვით მპყრობელთა,
მოსამართლე, მშვიდ, მდაბალი, მოწყალე ქვეშევრდომილთა,
თვით მოძულე ბოროტისა, შემაძრწუნი გვრარძნილ მსვლელთა.

მშვენიერებით მდიდარი, უმეტეს ყოვლთა სახისა,
მისთა მჭვრეტელთა მალხენი, მსგავსად მის მეფარახისა,
ყოველთ სიტყვიერთ საქები, ცხოველთ, მცენართ და ხისა,
მოშორვებულთა საკმავოდ მიმცემი ოხვრა-ახისა.

ბრძოლის ჟამს თვით მარსისა იყო ბურჯით დამცემელი,
მისსა ძალსა ბრძენთა ბრძენი ვერ იქნების მიმწთომელი,
მკდოვან ქმნილთა გამდიდრველი, დავრდომილთა სულთა მდგმე-ლი,
ჭირვეულთა შემბრალველი, რგებად მათდა უშრომელი.

ყ ა რ ი ბ უ ლ ი.

ესე აბაშთ მპყრობელი, მტერთა რისხვით მსპობელი, მოყვარეთ გულთ ლხინები,
ერთგულთა მადიდები, ბრძოლათ არ დამრიდები, უხვად სისხლ მადინები,
ყმა, ახალ მოყმე, ტკბილი, შვენიერ ალვებრ ზრდილი, მნახავთ არ მომწყინები,
იყო აბაშთა ლომად, რაზმებთა წინამძღოლად, ყმათა მხნედ მადგინები.

ჯერეთ წვერ ვარდ განუშლელი, სრას შვებით მიმომსვლელი, მართ ხილვად საწადელი,
მისსა მხილველს ყოველი, ნახული სხვა ცხოველი, ავიწყის ადრინდელი,
მოყვასთა თვალთ ნათელი, წყლულთ ემპლასტრად მამთელი, მონათა მამებრ მზრდელი,
იგ კინამოდ მრხეველი, სურნელებისა მფშვენი, გმირობის საფუძველი.

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

იყო უგანძლიერებულესი და უდიდებულესი ხელმწიფე, ყოველთა დიდ შემძლეთა სკიპტროსან-გვირგვინოსანთა, თვით მპყრობელთა მეფეთა უზესთაესი, ქვეყანასა აბაშეთისასა, დილარ, ხელმწიფე სახელ-დებული, რომელიცა მას ჟამსა მეფობისა თვისისასა შარავანდედსა ოთხსავე კიდესაგან მფენელობდა და ყოვლისა ქვეყანისა მეფენი და მონარხნი უძრწოდენ ძალსა მისსა და მზესა მისსა ჰფუცავდეს. დიდი იყო ყოველთა ხელმწიფეთა და მეფეთა შორის, სახელი მისისა სიბრძნისა, მოსამართლოებისა, სიყმე-გულოვნობისა, სიუხვისა, მოწყალებისა, სიმდაბლისა და მშვენიერებისა, რომელსა არავინ მძლეველთა მებრძოლთაგანი განერინებოდა, ხელთაგან

თვისთა უძლეველი, რომელიცა მრავალთა სახელოვანთა ბრძო-
ლათა შინა ათას გზის დაფნისა გვირგვინითა განდიდებულ
იყო და რომლისათვის უწოდეს დილარ-მძლეველი. ესე ვი-
თარად სახელოვანსა მას ხელმწიფეს ახლდენ ერთ ათეულნი
ასნი ვაზირნი და ათორმეტნი ურჩეულესნი მათსა ყოველთა
სიბრძნითა და მეცნიერებითა გამოცდილნი და ვარსკვლავთ
მრიცხველობისა ხელოვნებათა ზედ-მიწევნით სრულნი, კულა
მონებდეს სრულითა სიყვარულითა და სიცოცხლის შეწირვი-
თა ათორმეტნი უპირველესნი სპასალარნი ერთ ათეულთავე
ასითა სპასპეტითა, რვა ერგასითა ბევრითა, ათასითა რჩეული-
თა გუნდითა გულოვნითა, ჭაბუკთა ყოველთა საბრძოლველი-
თა საჭურჭლითა განწყობილნი; ყოველნი კიდენი განიგებოდეს
კეთილად და ყოველთა საქებელითა განგებითა ათორმეტთა
მათ უპირველესთა სპასალართაგან სამხედრონი და სამამაცონი
წესნი, გარნა სხვებრ სამოქალაქონი განკარგულნი ათასთა
მათ უპირველესთა ათორმეტთა ვაზირთაგან შეიმკოდეს, რომ-
ლითა ესრეთ დატკბობილ იყო ჟამსა მას დიდისა მის სამო-
ნარხოსა ერი, რომელ თვინიერ განცხრომისა და შვებისა არა
რა იპოებოდა გულსა მათსა ურვა, არა იქნებოდა არა ვითარი-
მე მძლავრება, არცა უსამართლოება, არცა ერთი ერთისადმი
მეშურნოება, არცა მკრეხველობა, არცა რომელთამე კერძოთა
კერძოთა გზათა ზედა და ეგრეთვე სამოქალაქოთა განსაგე-
ბელთა სავაჭროთა ნივთთა ზედა, საზომთა ანუ საწონთა მოკლება
ანუ მომატება, გარე ბრძანებისა დიდისა დილარ მძლეველისა,
მათ რომე ყოველსა წელიწადსა შინა ერთ გზის დასდვის
ბრძანება ყოველსა ნივთსა ზედა ნირხისა, ვითარ იგი ითხოვ-
და შემთხვევა წლისა მის, რომლისა გამო იყო დიადი იაფობა
წესდებულებითა ესე ვითარითა, და ესრეთ ყოველნივე იყვნენ
სიყვარულსა და ერთი ერთისადმი სიხარულსა შინა. დიდსა მას
ხელმწიფესა დილარ მძლეველს აქუნდა ფლობასა თვისსა ხუთ-
გზის ასეული ქალაქი, ჩინებული, შემკობილი ყოვლითა შვე-
ნიერებითა და კეთილობითა, გარნა უპირველესი მათ შორის,

გვირგვინოსანი და დედა-კათედრი, რომელსაცა უწოდებდეს
მარგარიტისა ქალაქად, იყო, და ყოვლად კეთილად რასმე შე-
ნებული, რომელსაცა უვიდოდეს ოთხნი უდიდესნი მშვენიერნი
და დამტკბარნი მდინარენი, მრავალ გვარითა გემოვანითა თევ-
ზითა სავსენი, და უვლიდეს ყოვლისა მის ქალაქისა შუკა ქულ-
ბაქთა საშუალ, ყოველთა ქუჩათა ვრცლად თლილისა მარმა-
რილოსა არხითა, ძვირფასად ხელოვნებულითა, ვრცელთა გარე
მობაგებულთა, რომელთა შინა მოქმედებდეს მრავალთა ქვე-
ყანათა დრომონნი, რომლისა გამო დიდად განდიდებულ იყვნეს
მოქალაქენი მისნი, სადაცა სცხოვრებდეს ექვს-გზის ერგასისა
ბევრისა მამაკაცი, კიდე მათ სხვათა ქალაქთა, რომელთა შინა
მკვიდრობდნენ ერგასის ბევრისა ერნი. იყო უდიდებულესისა
მის მონარხისა საბრძანებელი ოთხსავე კიდესა ზედა, სიგრძით
გინა სიგანით ასისა შვიდეულისა სავალი, მალე მსრბოლითა
ჰუნითა ცვლით მსვლელთა, ხოლო ქვეყანა იგი იყო სავსე
ერითა, ვითარ ქვიშა ზვისა, მით, რომელ ზესთა ბრძენი თვით
მპყრობელი იგი მათი კეთილ-განკარგულებითა და მოსამარ-
თლეობითა უმეტესად ამრავლებდა მათ, ზრდიდა ვითარ იგი
ყე მამა მშობელი შვილთა თვისთა; და ყოველნი იგი ერნი სა-
ბრძანებელისა მისისანი სიყრმესავე მისსა შინა განისწავლებო-
დეს ყოვლისა სამამაცოსა და სამხედროსა წესითა და საჭურ-
ველისა ხმარებითა და მსგავსადვე სიბრძნითა და მეცნიერება-
თა ყოვლისა ხელოვნებისათა; არა იყო სახელმწიფო ხარკი
სამონარხოსა მას და ყოველსა წელიწადში ერთ-გზის მიეცე-
მოდა ყოველსა სულსა ოქრო ერთი, წონითა ექვს ათეულო-
სა დანგისა, ჰედილი სახლთა დილარ მძლეველისათა სადღე-
გრძელოდ მეფობისა მათისა. აქუნდა ჩვეულება ხელმწიფე-
სა მას დილარ მძლეველსა, რომელ დღესა შობი[illegible]სა-
სასა წელიწადსა ერთ გზის გარდაიხდის მაემნობა [illegible] და
გასცის დიადი დიდთა და მცირეთა ზედა; კუალად აქუნდა
წესად, რომე სამსა წელსა შინა ერთ გზის გამოსცვლის
მხედრობა იგი განწესებული და ახალი დაადგინის, ფვი-

ნიერ სპასალარისა, მათ და ნამსახურთა განუტევებდის სახლთა მათთა ნიჭითა მრავლითა; და სპასპეტნი იგი, ოდეს გამოიცვლებოდეს სნეულებისა ძალით ანუ მოხუცებულობისა გამო,—სნეულნი სახლთა შინა სამეფოთა მოივლებოდეს ყოვლითა პატივისცემითა ხელოვანთა მკურნალთაგან სრულისა სახელმწიფოს წარსაგებელითა, და მოხუცებულთა მიეცემოდა წლისა როჭიკად ორი ათასი განწესებული იგი ოქროჲ საუკუნოდ და სახესაცა დილარ მძლეველისასა ოქროსა ძვირფასად მოჭვილსა მკერდსა დამოჰკიდებდეს, რომელიცა იყო დიდად პატივცემულ მათ შორის. აქუნდა დილარ მძლეველსა შემოსავალი ოქროისა, ლითონთაგან ვეცხლი და ოქროჲ, ვითა ტყეთა ხეთა ფურცელი, და იყო ესრეთსა განცემასა და სიუხვესა შინა, რომე, თუ სთქვა, ცა ჴწვიმდა ერსა ზედა ოქროსა და ვერცხლსა, და იყვნენ ყოველნივე განცხრომასა და ზესთა სიხარულსა, იყო სმა-ნადიმობა, პურობა, ნადირობა, ასპარეზობა, აშფაშაგობა და ბურთაობა; ჰქონდა კულა სამოქალაქო სათამაშონი: მუსიკობა, სახიობა, ცეკვა, როკვა, შუშპარ, ბასტა ბუქნა, მუშაითობანი, კულა წარმოდგენანი მრავალ გვარნი და საცთურებელნი მოჩვენებანი. ესე ვითარისა დღეთა და ტკბობასა შინა დილარ იშვებდა ყმათა თვისთა ზედა და ერნი მას შესტრფოდეს ყოვლითა ერთგულებითითა სურვილითა.

შ ა ი რ ი.

ტკბილად სჭვრეტდა ყმათა თვისთა, ერნი სურვით მას შესტრფოდეს,
სულსა სძლევნიდეს სამსახურად, ჭვრეტისათვის ესურვოდეს;
ვით ბულბულნი ვარდის კვალსა, ეგრეთ გარე მიერტყმოდეს,
ბრძანებისა აღსრულებად, ვით ფრთოვანნი, მიმორბოდეს.

სიყრმესავე ისწავლიდეს, სრულად ერნი სიბრძნის გვართა,
ჰმატობდიან უმირ, პლატონს, არისტოტელს და სხვა მოძღვართა,
ბრძოლის ჟამს ღეკტორ, ღერკულ ვერ უდრიდენ მეომართა,
ერთის ბრძოლა მათგანისა ასსა გმირს ვერ შეემართა.

გადიდებულს სახელმწიფოს არა იყო ხარკი სრულად,
წესად აქვნდათ ერთგულება, ჰმონებდიან სულწასულად,
დას-დასობა გულოვანთა აქუნდათ, იყვნენ დარაზმულად,
თუ სად სცნიან მტერი თვისდა, შეიქმიან გაბასრულად.
შობისა დღესა დილარ მძლეს აქვნდა პურობის დიდობა,
გასცის ყოველთ ზე საჭურჭლით, იყო ლართ განაზიდობა,
სრულად აღივსნის, არ ჰქონდათ წაღებისათვის რიდობა,
სამი ათასსა საჭურჭლეს დაცლით შეუდგის ფლიდობა.
მას ძლიერსა სახელმწიფოს რავდენიცა იყვის სული,
თვითოს ზედა ოქრო ერთი, კვლა სხვა გასცის აღბეჭდული,
არა დარჩის ყრმა და ბერი, მას დღე მისგან უნიჭული,
ერთსა მზგეფსსა მოუკლებლად იყო ერთობ სიხარული.

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

იყო წლითი წლად სამარადისო ღამე და დღე სასმენელთა დამატკბობელი ხმა ნოტთა, ორღანოთა, ებანთა, ქნართა, წინწილთა, საბუკთა, სახიობთა, მუტრიბთა და მეჩანგეთაგან, და ყოველნი შორიელნი მეფენი და დიდ-შემძლენი მეპატრონენი სურვით ჰნატრობდენ დილარისა და ერისა და ქვეყანისა მისისასა ხილვასა, და მიიწივა ყოველთა უვალთაცა კერძოთა ხმა დილარ მძლეველისა ქებისა.

შ ა ი რ ი.

თვით უვალთაცა ადგილთა ხმობდნენ დილარის ქებასა,
სრულად მსმენელნი ეტრფოდნენ მის სიმხნე გულოვნებასა,
სიბრძნეს, სიმდიდრეს, სიუხვეს, მოყმე მშვენიერებასა,
მართ ხილვად მისდა ოთხ-კერძო იქმოდენ მოსწრაფებასა;
ინატრიდეს თვალით განცდას, სრულნი არსნი მას შე-
სტრფოდეს,
ოთხ კიდეთა დიდ-შემძლენი სად ვინ მუნ მოკრბებოდეს,

დილარისა ქების ძალსა ერთი ერთსა მიუთხრობდეს;
ყოვლისა მხრის გულოვანნი სამონებლად მისდა რბოდეს.
Ⴕვეყანისა დიდებულნი მრავალს ნივთსა წარაგებდეს,
თავს მისცემდეს უცხოებას, სახლთა თვისთა დასტოებდეს,
მისს ერთ ოდენ შეხედვასა გულსა სძლვნიდა; მსახურებდეს,
მადლობელნი განგებისა მისის ჭვრეტით იხარებდეს,
Ⴃილარისა ვითარებას ყოვლნი ბრძენნი გაჰკვირდიან,
სამონარხოს გამგეობას განდიდებით უქებდიან,
ხელმწიფენი მისსა წესსა სურვილით ინატრიდიან,
სახლსა მყოფი დილარისა ხოტბასავე იწვრთიდიან,
Ⴃატკბობილი მრავალ სახედ იყო ესრეთ განდიდებით,
ლითონთაგან ურიოშ ოქრო აქვნდა ქვიშებრ დებით,
დავრდომილნი გამდიდრდიან მისის ოდენ შევედრებით,
გლახაკთათვის მისაცემლად ზოგად აქვნდა გარდადებით.

Ⴗ Ⴀ Ⴐ Ⴈ Ⴁ Ⴓ Ⴊ Ⴈ.

Ⴋოწყალებანი მისნი იყვნენ ფარულად მყისნი, ღამე და დღე სწორებით,
სნეულთ ნახევდა ხშირად, პყრობილთ უცნოდ და მზირად, იყო მათ გზასა რებით,
აძლევდა უშურველად, სჩნდა დავრდომილთა მღაწველად, უძლურთა მსახურებით,
თხოვად გაუბედავთა ნივთებით სავსე ნავთა უძლვნიდა მივლი-ნებით.
Ⴇუ დაცემულთა სახლთა გრძნობდის შვილთა მავალთა, მათი მამებრ მლმობელი,
იყო მზრდელ და მფარველი, ნივთთა ცაებრ მთოველი, ტკბი-ლად ხელ-აღმპყრობელი,
სოფლით განსრულთა გვამთა შეაწევდის რაბამთა, ჭმუნვილთა თან მვანებელი,
მოლხინეთა ლხინებას კვლა მისცემდის სავსებას, შვებით აღ-მავსებელი.

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

ესრეთ განდიდებულსა მას სახელმწიფოსა დილარ მძლეველსა აქუნდა ზღვა საკუთარი, მომცემი მარგარიტისა, რომლისა გამო შეუვიდოდა სალაროსა თვისსა ურიცხვ ტვირთი სხვილისა მარგალიტისა წელიწადსა შინა და ამის ძლით ესრეთ მრავლობდა მანგი მუნ, რომელ ყოველთა პალატთა, შუკათა და ქულბაქთა შენობულებანი და კედელნი მდიდრად მოოჭილ იყვნენ მათ მიერ ოქროსა და ვერცხლისა ზედა ესრეთ, რომელ თვალნი მოკუდავთანი უშვენიერესსა ვერღარასა იხილვიდეს შენებულებას, რომლისა გამო ეწოდა გვირგვინოსანსა მას კეკელასა მარგარიტისა ქალაქი. მოვიდოდეს შორეულთა ქვეყანითა და სამეფოთაგან დიდ-შემძლებელნი გვამნი, და ჩინებულნი ლომგულნი ჭაბუკნი სძლვნიდიან დილარ მძლეველსა, განჰკვირდიან მკლავთა მისთა ძლიერებასა, შვენიერებასა, მოყმეობასა და უგანდიდებულესსა ხელმწიფებასა, და აგრეთვე ქალაქისა მის საოცრად რასმე შემკობილებასა აქებდიან. იყო ყოველთა მის ქალაქისა ქუჩათა, ურაკ-პარაკთა და ქულბაქთა ორპირად მწყობრად ჩარიგებულნი მდგომარენი ხენი, ოქროსა და ვერცხლისანი, შემკულნი ძვირფასისა მარგარიტთაგან და ვრცელისა მის ქალაქისა ქუჩანი იჩრდილებოდეს მათ უკეთილესთა ხეთაგან, ნაყოფთა, ხევანთა, მტევანთა და ფურცელთაგან, რომელნიცა იყვნეს შემდგარნი მარგარიტისა მიერ წითლისა იაგუნდისა და მწვანისა ზურმუხტისაგან; კულა ისხდეს ხეთა მათ ზედა ყოველთა გვართა მფრინველთაგან ოქროსანი, შეწყობით ხელოვნებული მათვე სპეკალთაგან; უვიდოდეს ძირსა წყალნი: შევლიდეს სოლინარებითა ხეთა და მფრინველთა მათ შინა და მრავალ გვარნი იგი მფრინველნი ხმობდნენ უსაწადელესად თვისთა ხმათა ზედა დღე და ღამ მოუკლებლად, რომელთა ხმათა მიერ მცხოვრებნი ქალაქსა მას შინა იყვნენ ფრიად დამტკბარნი; ამისთვის მხილველთაგან ესე ვითარისა დიდებისა და შემკობილებისა თვის შენებულებათა უმეტესად იქებოდა ხელ-

მწიფე იგი დილარ მძლეველი პირსა ზედა ყოვლისა ქვეყნისასა. არა იყო შეჭირვება გულსა მისსა და მარად იშვებდა ერთა თვისთა დღე-კეთილობასა ზედა, და მიმდემ აქუნდა გონება მღვიძარე წარმატებისათვის მათისა, გარნა ვინაიდგან არს ბუნებითი რაჲმე მოქმედება ჭაბუკთა დედათა მიმართ მიდრეკილება, ამისთვის იგიცა დილარ მცირედრე მიიზიდა მის მიდრეკილებისადმი; ვინაიდგან წარვლილნი იგი ჟამნი მისნი ორ ათეულობისანი დაამღერებდეს გულსა მისსა ეგე ვითარსა გრძნობასა; ნუ ჰგონებთ, მსმენელნო, რომელ რეცა მიიდევნებდა აღძრვა იგი, არა ოდენ ამას განიძრახვიდა, თუ ვითარ ანუ რომელსამე კერძოჲთ ეპოვა მსგავსი თვისი მშვენიერებითა და შესაბამი ხელმწიფებისა თვისისა; ესე ვითარმან ჰაზრმან შეიყვანა გულსა მისსა ჰმუნვაჲ, მცირედრე დაამძიმებდა საგონებელი იგი.

შ ა ი რ ი.

ახალ მოყმესა გულოვანს, ძლიერსა, დიდსა მეფესა,
ბრძოლათა მაძრწუნს უსწოროს, მკლავ მაგარს, სისხლთა მჩქეფესა,
შვენიერებით მდიდარსა, სვე-სრულსა, მოჲეფესა,
სურვილმან კარსა ურეკა, ამსგავსა ბულბულს მყეფესა.
რა ჟამმან ეშყის ისარი ჭაბუკთა სტყორცნოს გულებსა,
აშორვებს ლხინსა ყოველსა, უმატებს სევდით წყლულებსა,
ლაწვთ ფეროვნებას მიუხვამს, ასახებს ვარდსა ზრულებსა,
იგი არს მყარი მამაცი, ვინ ევლტვის მის ბრჭალს მტრულებსა;
მაღალი დილარ მძლეველი ჰყოფს მისდა ძლიერ ბრძოლასა,
იჭირვის, ითმენს, მცადნელობს გულისა არ მიყოლასა,
ბჭობს, ნუ თუ სიმხნე მიცუდდეს, არს ამად დიდსა ძრწოლასა,
იტყვის: მასმია ეშყისა ძალი კაცს შეუქმს თრთოლასა.
სურვილისა ქარი დილარს გულსა ჰქროლავს მაღლის-მაღლად,
თავსა ურჩევს: გიჯობს, იქმნე შენ ცეცხლისა ამის მმალად,

არსად გიჩანს მსგავსი შენი, ვისდა იქმნე მომავალად,
განგებისა მოწევნადმდე შენ საქმისა იყავ მკრძალად.
ოდეს მიხვდე განგებითა შესაბამსა შენსა მზესა,
მაშინ განლა ეტრფიალე, მის სიტურფე, სინაზესა,
უ მის ჟამოდ ნურცა გნახავ, გულო, ცეცხლით მოსნაგზესა,
მოითმინე, უთმინებით ნუ არისხებ ზესთა ზესა.

ყ ა რ ი ბ უ ლ ი.

მაშინ გაჩნდების ძალი, მამაცის გული სალი, ოდეს სურ-
ვილი ბრჭალსა,
რა წელსა შემოახვევს, თუ ვითარ სიმხნით მას სძლევს, უშრეტს
მეშურნეს, თვალსა,
მხნედ მისსა ასპარეზსა, რა დასდგეს სახლსა ზესსა, შეიმოსავს
მრავალსა,
ახსოვდეს, ეს სოფელი არს ხანი დაუყოფელი, ვითა პირველ
მრავალსა
აცთუნებდა მტრფიალსა, თვისის მხიბლაობითა ქვესკნელს
დააფსკერებდა,
შვებას მალ უცუდებდა, სიხარულს უვაებდა, არც ამას აჯე-
რებდა,
სულსა წარსაწყმედელსა ჯოჯოხეთის კედელსა მწარედ შეუ-
ხეთქებდა,
ხორცთა შინა სიმწარეს მისცემდა შინ თუ გარეს, ურგებ
დროთ ატარებდა.
ესე ბრძენმან დილარმან იცოდა, მისმან ქარმან რა დაჰქრო-
ლა მალებმან;
ამად მისსა ბრძოლასა ხელ-ჰყო არა წოლასა, მრავალთ სწავ-
ლათა შემკრებმან,
რადგან მეუღლეობა იყო კეთილ-დღეობა, სჯობს, ჰყონ ცო-
დვით ფრდილებმან;
ესრეთ ჰაზრს მიცემული, არც მძლეველ, ვერც ძლეული, აზრთა
ცრემლმან მთოებმან.

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

Იყო დილარ მძლეველისა წესი ესე ვითარი, რომელ უკეთუ დასამძიმებელი რაიმე საგონებელი გულსა შეუხდის, მყისვე ოლჯდის ტაიჭსა და ნადირობასა შეექცის, რომელმანცა წესი ესე მისცა, საგონებელსა შინა არავე დაუტევა და ჰბრძანა, ბაღსა და სანადიროსა სამეფოსა წარსვლაჲ. მაშინ მოემზადა სახლისა უხუცესი სათანოისა განსაგებელითა და მისცა ხელის ქვეშეთა თვისთა ბრძანება, ორი ათასთა სუფრაჯთა, ორი ათასთა ეზოს-მოძღვართა, ორი ათასთა ჩაშნაგირთა, ორი ათასთა სუფრა-ქეშთა და სხვათა სამზარეულოთა კრებულთა ათხუთმეტთა ათასთა, რათა სრულ ექმნათ ყოველივე სანოვაგე და სანუკვარნი ყოვლისა თანა უნაკლულოდ. შემდგომად მოვიდა ჩარბთა მფრინველთა უხუცესი თვისითა ხელ-ქვეშეთითა თხუთმეტის ათასითა ცხენოსნითა, ორის ათასითა თეთრის ქორითა, ორის ათასითა სონდულითა, ორის ათასითა ბარითა, ორის ათასითა გავაზითა, ათასითა შავარდენითა, ათასითა მიმინოჲთა, ათასითა თვალ-შავითა, ათასითა მარჯანითა და ათასითა ასკატითა, გარნა ძაღლთა სხვა-და-სხვა გვაროვანთა სიმრავლე არა შეიგებოდა. კვალად მოვიდა მესტუმრეთ უხუცესი თვისითა ხელქვეშეთითა ათისა ათასითა მესტუმრითა; კვლა მოდგა მენიჯგორეთა უხუცესი თვისითა ხელ-ქვეშითა—ათისა ათასითა მენიჯგორითა; ხოლო სხვასა გუნდსა თანა მოვიდნენ მანდატურთ უხუცესნი თვისითა დასითა, მირ ყაზაბნი, მკულელობის მოქმედნი, თვისითა გუნდითა, ხელ არგანოსანთა თავნი თვისითა დასითა, მოლარენი და მეჭურჭლეთ უხუცესნი თვისითა კრებულითა. ესე ყოველნი შეჰკრბენ სამეფოსა მას ფრიად კეკელისა მოედანსა, რომელსაცა აქუნდა სიმგურგვლე ათი ათასი უტევანი და გარემო ევლო შვენიერად ხენი სანდლისა და უდისანი და აჩრდილებდეს ვარჯავარად მოედნისა მის გარემოთა და იყო სულნელება დიადი მათ მიერ, საშუალ მოედნისა მის იყო ათისა უტევნისა სიმგვრგვლე ჰაუზი ვეცხლისა,

თვით ვერცხლითავე გარე მოზაგული, უცხოდ ხელოვნებული; რომელსა შინა იყო ათასი შადრევანი, მრავალ გვარისა სახისა მექონნი, და აღმომჩქეფრობდნენ სულნელთა ყვავილთა წყალნი, გარე ევლნეს ხენი კინამოსანი მაჩრდილობელად და აღენდნენ სულსა კეთილ-სულნელსა.

აქა დილარ მძლევლისაგან სანადიროდ წასვლა, მისი ნადირობა და მიერ სამეფოს მას პალატის და ბაღს მისვლა.

რა ნადირობად განმზადებულნი იგი შეკრბენ მოედანსა მას, მაშინ თვით იგი სწორ უპოვარი ხელმწიფეცა აღმხედრდა ტაიჭსა ზედა, რომელსაცა მოსდევდნენ მარჯვნით ათორმეტნი იგი უპირველესნი სპასალარნი ათასითა სპასპეტითა და მარცხენით კერძო ჩინებულნი იგი ბრძენნი ვაზირნი ათორნი ათასითა შემდგომითა თვისითა, და უკანით შეუდგეს ასი ათასნი იგი თვისთანა აღზრდილნი დიდებულთა ძენი, ლომნი ქაბუკნი, შიშურვარნი თვისნი, კეთილად აღჭურვილნი, და ესრეთ დიდებითა დიდითა გაემართნენ სანადიროსა მას სამეფოსა, სადაცა მისრულთა დაჰყვეს სამი თვე ნადირობითა და შექცევითა, ესრეთ, რომელ ყოველთა დღეთა მოჰკლიდენ ხუთ ათეულთა ათასთა ნადირთა: ირემთა, კანჯართა, ქურციკთა, არნთა, გარე-თხათა, შველთა, ჯიხვთა; ლორთა, კურდღელთა, ხოლო მხეცთა, ლომთა და ეგე ვითართა მოკლულთა რიცხვი არავისგან მიიწთომოდა; გარე-ნადირთა და მხეცთა ჰქონდათ ხოცა და სრევაა ფარშამანგთა, ხოხობთა, თურაჯთა, გნოლთა, კაკაბთა, შურთხთა, როჭოთა, სარსარაკთა, ბოლოშავთა, წყერთა, ლალღათა, ბატთა; იხვთა, სავათთა, გვრიტთა, ტრედთა, ქედანთა, გვიძინთა, შროშანთა, წეროთა, და სხვებრ სხვათა ფრინველთა და სირთა მრავალ გვართა, შეპყრობილთა და დახოცილთა, ჰამრავ მიუთხრობელი იყო; ჰნადირობდეს და შეექცეოდენ მხიარულითა გულითა ყოველნივე. დილარ მძლე-

ველმან განჰსცა მათ ყოველთა ზედა ნიჭი მრავალი და ალუ-
ვსო ნადირობასა მას შინა თანა-მყოლნი, და შემდგომად ნა-
დირობისა დასრულებისა განემართნენ სამეფოსა მას პალატსა
და ბაღსა.

აქა აბაშთა სამეფოსა პალატისა და ბაღისათვის მცირედ უბნობა.

დილარ მძლეველი მალედ მიბრძანდა სამეფოსა მას პა-
ლატსა და ბაღსა, რომლისა შვენიერებისა და კეთილობისა
გამოთქმა ძვილ შესაძლო არს, გარნა მცირედ ოდენ რასმე
მოგახსენოთ. ვითარ მზემან, ეგრეთ დაუწუხნის თვალნი მხილ-
ველთა მის სასახლისა და ბაღისათა: პალატისა მის კედელნი
ყოველნივე იყვნეს ურიოშოსა ოქროსა და ვერცხლისაგან,
აგურნი სხვილ მარგარიტის სხმულნი, სხვასა და სხვას სახედ
გამოქანდაკებულნი ყოვლისა ქვეყნისა და ზღვათა ცხოველთა
და მფრინველთა სახითა, და სვეტნი მრავალნი, თუ სთქვა
სრულისა მარგარიტისანი იყვნეს, უცხოდ რამე ჴელოვნებით
შეესხნეს, რომე არა აჩნდეს შეწყობილება შინაგან, სასახლისა
მართულნი და კედელნი, ჴელოვანთა მხატვართაგან ცხოვლად
გამოწერილნი, წარმოუდგენდენ მხილველთა დასაბხმითგან
ყოველთა ჴელმწიფეთა და მოქმედებათა მათთა და ეგრეთვე
გმირთა და ყოველთა ფილოსოფოსთა, რაიცა რაჲ ემოქმედნათ,
და იყო საწადელი ტკბილ-ხმაობა მუსიკთა, ნოტთა, ორღა-
ნოთა და მუტრიბთა, ღამე და დღე მოუკლებელი, გარნა არა
სადა ვინ სჩნდა, ჰგავს, თურე კედელთა მათ შინა იყვნეს და-
ტანებულ ჴელოვნებით, და ესრეთ დიდ იყო შვენიერი იგი
სასახლე, რომელ ეგოდენნი სამეფონი გუნდნი და დიდებულ-
ნი მათნი, მუნ შესრულნი, ესრეთ არა ეტყობოდა ვითა ათი
ოდენ კაცი არა ყოფილიყო მას შინა. სასახლე იგი ოთხ კერ-
ძოვე დაჰყურებდა ბაღსა მას და ჰფშვიდა სულნელება მრავალ
გვართა ყვავილთა და ხეთაგან.

შ ა ი რ ი.

სახლი, მხილველთა სასურო, იყო საშვები გულისა,
მას შინა მყოფთა ყოველთა მომრთმევი სიხარულისა,
შემკული ფერად-ფერადად მარგარიტ მოთვალულისა,
სვეტნი სპეკალთა ლანძვ კამარ, ოქროვან ლაჟვარდულისა.
ოქროს ოფაზთა მხატვრობა, საკვირვო ხელოვნებანი,
არსთა ყოველთა ქმნილებმ და მათნი განწესებანი,
მუნ იყვნეს გამოხატულნი ზღვა, ხმელთა, ცათა გებანი,
მეფეთა, გმირთა და ბრძენთა თვის-თვისნი მოქმედებანი.
ისმოდა მრავლად საამო ხმა ტკბილი მუსიკობისა,
კულა გულთა მისაზიდავი, შვენიერ ლექსთა ხმობისა,
ჟღერა ჩანგთა და ორღანოთ, სეთარი მუტრიბობისა,
არა სად ვინ სჩნდა, ეს იყო მეტი მის ხელოვნებისა.
მას ტურფასა სამყოფ სრასა უცხოდ ევლო ბაღი გარსა,
სამოთხესა ემსგავსოდა, იგ ედემის ადგილს მდგარსა,
მრავალთ ყვავილთ სურნელება სულს უდგმიდა სევდით მკვდარსა,
ფრინველთ ხმობა, ჭიკჭიკ-სტვენა მოაქცევდა ცნობით მკვდარსა;
მუნ იყო ხეხილთ სიმრავლე, რიგ მწყობრად თანის-თანისა,
ჰავზნი სავსენი კამკამით წყლით, ყვავილთ სულნელთ განისა,
თვალთა საამოდ, მრავალ სახედ დინება შადრევანისა,
სად აქვნდა სნეულს უცილოდ სიცოცხლე მრავალ ხანისა.

ყ ა რ ი ბ უ ლ ი.

ნალკოტი იერიქოს მასთან ვერა იქოს ვარდთა სურნე-
ლებითა,
სხვა ყვავილთ მრავლობანით, ხეხილთ ფერადობანი, იყო გან-
მრავლებითა,
სუნი სულნელებისა ფშვის, არა აკლდებისა, ჰაერ ბრწყინვა-
ლებითა,
თვალნი განათლდებოდეს და გულნი განსცხრებოდეს ურვათა
მოკლებითა;

ექმნებოდა უცილოდ, ვინც შჱვლიდა საჩრდილოდ, ედემს მიამსგავსებდა,
ოთხ კერძო სიამესა ჰნახვიდა დღით ღამესა, გულსა განიხარებდა,
სხვა-და-სხვა ხილსა ტკბილსა, საკრებს თუ მოკრებილსა, მას შინ მრავალს ჰპოვებდა,
შადრევანთა ჭვრეტითა, შექცევითა მეტითა, აღივსოდა, იშვებდა.

ჭ ა მ ბ ა ვ ი.

Იყო უცხო გვარად შერასმეშვენებული ბაღი იგი ხეხილითა მრავალ გვარითა ესრეთ, რომელ ჴილთა სიმრავლეთა კიდე ორასნი გვარნი ესრეთნი შვენიერნი, ტკბილნი და სულნელნი ჴილნი იყვნეს, რომე მჰსგავსნი მათნი არა რომელსამე ქვეყანასა იპოვებოდეს, სხვებრ იყვნეს თალარნი კამარედად და მრავალ სახედ შემკობილნი და ქვეშე მათსა მდგომნი ანდრიატნი უცხოსა ჴელოვნებითა ქმნილნი—ზოგნი ფეროზისაგან, ზოგნი ამეთვისტონი, ზოგნი ლალისა მიერ, ზოგნი ოქროს ლაჟვარდისა და სხვანი ფერადოვანთა მარმარილოთაგან გამოჭრილ-გამოქანდაკებულნი, ტურფად რადმე ბრწყინვალედ ქმნილ განათალნი სახენი ყოვლთა მეფეთა, გმირთა, ელლინთა ღმერთთანი, ფილოსოფოსთანი და ყოვლთა ზღვათა, ხმელთა და ჰაერთა საკვირვოთა ცხოველთანი, რომელთაცა პირთაგან გამოსდიოდეს შადრევანნი ვარდისა და სულნელთა ყვავილთა წყალთაგან, ზოგნი ზე ასხმიდეს ვითარ ათხუთმეტისა მხრისა სიმაღლეედ, ზოგნი პირის-პირ ერთი-ერთსა ასხმიდეს, ზოგნი მოპირისპირენი მაღლად, კამარედად ადენდეს, სხვანი ხომლედად, მრავალ გვარნი პირამიდნი და სხვანი ყვავილედად სდიოდეს შადრევანნი შემაქცეველად მხილველთა გულებსა, ხოლო ქვე აუზთა შინა უცხო გვარნი მფრინველნი და სხვანი ცხოველნი, მათვე შადრევანთა მიერ ცხოვლის სახედ მორბენლობდეს, ხმიანობდეს და თვისითა წესითა მოქმედებდეს. კვლა-

იყო ბაღსა მას შინა სამასი ოდენ გოდოლნი მაღალნი და ვრცელნი, რომელნიცა რეცა მთლად შადრევანად საგონებელ იყვნეს და იხილვებოდეს სრულიად წყლად. გარნა გარე წყალნი ხელოვნად რაღმე იყვნეს, და შინაგნით ესრეთ ენთებოდეს გოდოლნი იგი, რომე უზომოსა მას ბაღსა ესრეთ ანათლებდა ღამით, ვითა დღისით მზე ქვეყანასა. და ესე არა საცნაურ იყო, თუ ვითარითა ხელოვნებითა იყვნეს ეგრეთ ნათელნი. აქუნდა დიდსა და კეკელასა მას ბაღსა ზღუდე ბრწყინვალე, ვითა ნათელი, რვალისა ოქროს მავთულითა შთასხმით გამოწერილნი მრავალ სახედ ყვავილნი, ცხოველნი და ხენი, ვითა ხილ მსხმოიარენი; მას ეგე ვითარსა საშვებელსა ადგილსა დაჰყვეს მხიარულებით ვითარ ორმეოცი დღე, გარნა ყოვლად ბრძენსა მას ხელმწიფესა, ვინაჲთგან დამქროლ ექმნა მოყმეობისა იგი გრიგალი, ამისთვის წამითი-წამად არღა ეშვებოდა, ზედა ზე ჰქროლვიდა და უმეტესად ემატებოდა საგონებელი იგი, დაეტყო მჭმუნვარება და შეექმნა თავის წინაობა, რომელიცა ყოვლად უცხო იყო ხელმწიფისა მისგან, და მარადის ემრავლებოდა ჭმუნვა ჭმუნვასა ზედა. ესე ვითარად დამამძიმებელი ურვა ყოვლად უშვენიერესისა ხელმწიფისა გალანამცა ჰსცნეს ათორმეტთა მათ სპასალართა და ვაზირთა, და იქმნენ ვითარცა მკუდარნი, გარნა ვის ძალ ედვა კადრებაჲ კითხვისა, თუ რაჲ უმძიმდა მათ ზედა ტკბილად მხედსა მას ხელმწიფესა. და ამის გამო იყვნენ ყოველნივე ცრემლშეუშრობელნი, რა დილარ მძლეველმან იხილა თავი თვისი ეგე ვითარისა საგონებელისაგან გარე-მოცული, დიდად იურვოდა თვითცა, გარნა რაოდენ ეწინააღმდეგებოდა ვნებასა მას, ეგოდენ განუმრავლდებოდეს გამოხატულებანი იგი წინა მოხსენებულნი, და შეაჭირვებდეს გულსა მისსა; რა ეგე ვითარსა საშვებელსა სამყოფსა ვერა განჰსდევნა თვისგან წარმოდგენაჲ იგი, რეცა ყრმებრივ, გარნა უმეტეს ბრძანებულისა მის მცნებისა აღსრულებაცა, რომელი თქმულ არს, ვითარმედ: „აღორძნდით და განმრავლდითო“, და კვალად წერილ არს:

„იყვნესო გმირნი ქვეყანასა ზედა, რომელთაცა მოიყვანიან ცოლნი, და ესხნეს ძეებ და ასულებ“,—დიდი იგი დილარ მძლეველი, ჭაბუკობისა ქარითა მღელვარე, არავე განიშორებდა ჰსჯულიერად შეუდლევისა ხსოვნასა, და იყო დიდსა ღვაწლსა შინა წინააღმდეგობითა ყრმებრივისა მის კრთომისათა, და, რა უმეტეს დამამძიმებელ ექმნა, ქრთსა მას კეთილ განზრახვასა მისსა სამნი ძლიერად მბრძოლნი—სოფელი, ბუნება და ეშმაკი, კვლა განემზადა წინააღმდგომ წინა განწყობად მათდა, რომელმანცა ჰბრძანა კეკელასა მას მარგარიტისა ქალაქსა წაბრძანებაჲ, და აღმხედრდენ ყოველნივე სიმსწრაფლით, მივიდნენ ფრიად შვენიერსა მას ქალაქსა, და დაიწყეს კვლა შექცევაჲ.

შ ა ი რ ი.

სრასა მას ყოვლად საწადელს, გულებთა მოსალხინებსა,
თვალთა განცდადცა სანატრელს, სიბრძნითა დანადგინებსა,
შეჰკრიბნეს ყოვლნი შექცევად, ჰყოფდენ მუნ წარნადგინებსა,
იწყეს შვება და განცხრომა, მიეცნენ ლხინთა ზვინებსა.

განამრავლეს მეჩანგეთა ხოტბა ტკბილი, ნობა ნოტით,
მუტრიბთაგან ლექსთა მღერა ლომთ იპყრობდა ველად ტოტით,
ტკბილის ხმითა ჰხმობდეს: გმირნო, მოვლეთ ჩვენ კერძ ხლმისა კოტით,
ხელი ჰხადეთ ლხინსა შვებით, ურვა გულით განიოტით.

იყო მრავლად ცეკვა, ბასტი, ქალთა მნათობთ შუშპრობანი,
შვენებისა მომატებად აქვნდათ ტურფად შემკობანი.
რას ტანცობდეს(!) ნაზის ჰრხევით, თეთრს გულს ჰშვენდათ კუშტობანი,
იზიდვიდეს მხილველთ გულებს, მათდა აქვნდა შეტრფობანი.

სხვით კერძ იყო მოქმედება, თვალთა რაღმე საცთუნებლად,
ურვათათვის დასავიწყოდ, გონებითა შორს განმსრებლად,

განსაღევნად სევდათა და გულთა შვების შემომკრებლად,
მხილველთათვის საკურნებლად მუნით ლხინთა აღმომვსებლად.

მრთობილნი დილარისა იყვნეს სულის შემწირველნი,
გლახ ჰსცდილობდენ ყოვლის ღონით, რგებად მისდა მომკრებელნი.

მრავლად იყვნეს მუნ საშვებლად სახილველნი საკვირველნი,
სხვა ლექსთა და სხვა ქებათა ხელმწიფისა მიმთხრობელნი.

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

დილარ, ეგე ვითარსა მას მოსალხენსა შეკრებილებასა ქალთა და ყმათასა, ვერა რასა ეწია ჰაზრსა თვისსა, და კვლა მძლე ექმნა საგონებელი იგი, და იქმნა ყოველი დიდება მისი კნინლა და უხმარი მის ზედა, მით, რომე ვერა სადა მიეცა ეგე ვითარი ღონე, რათა ჰმსგავსი თვისი შვენიერებითა და ხელმწიფობითა შესაბამი საცოლო დაესახა რომელსამე ქვეყანასა შინა. ამისთვის განსაღევნელად მის საგონებელისა კვალად ჰბრძანა უშორესსა მხეცთა სანადიროსა წარსვლაჲ.

აქა დიდისა მის დილარ მძლეველისა მხეცთა სანადიროდ წარსვლაჲ.

რა დილარისა ბრძანება ისმინეს ჩვეულთა თანა-ხლებისათა, შეიჭურნენ ყოველნივე. იახლნენ მეფესა თვისსა, გაემართნენ და მივიდნენ სანადიროსა მას მხეცთასა, იწყეს ნადირობაჲ, შეჰყვნენ ტყესა ხშირსა და ხეთა ფრიად მაღალთა, და ხელ-ჰყვეს ხოცასა მხეცთასა. ესე იყო უმეტესი სიმხნე დილარისა, რომე უზომოთა მხეცთა, სპილოთა ზედან უდიდესთა, ცხენსა ზემჯდომი აღიტაცებდის, ერთსა ერთითა ხელითა და მეორესა მეორითა, შეუტაკდის თავი თავსა და ეგრე ჰხოცდის. ხოლო განძვინვებულთა ლომთა და ეგე ვითართა ესრეთ ადვილად

ჰხოცდის, ვითა უნდოთა რათმე ჰვინტათა. განძლიერდა მხეცთა სრვა, და ნადირთა ალსპობა, და ესე ვითარსა გახალისებულსა ნადირობასა შინა მოშორდნენ ყოველნივე ერთი-ერთსა, და დიდად სახელოვანი იგი დილარ მძლეველი შეჰხვდა უშინაგანესსა ტყესა რასამე.

აქა დილარ მძლეველისაგან ხილვა მოყმისა ვისმე შვენიერისა ჭაბუკისა.

მუნ მოესმა დილარს ხმა რაჲმე ტირილისა და გოდებისა მწარისა, რომლისა ხმასა მიჰყვა შორით და იხილა მოყმე ვინმე შვენიერი ჭაბუკი, გულ-მდუღარედ მტირალი, დილარ მძლეველი, მხილველი მისი, გარდახდა ცხენით ვითა ვეფხი კისკასად და უკანით კერძო მიპარვით მივიდა და გულ-დებულად განიხილა, რომე ყმა ვინმე ჭაბუკი შვენიერი იჯდა ხეთა ძირსა, და წინა ედვა ყოვლად უშვენიერესისა ქალისა სახეჲ, და დაჰსტიროდა მას ცრემლითა ზღვისა ჰმსგავსითა.

შ ა ი რ ი.

ჰნახა ყმა ვინმე მტირალი, ჰსჯდა სულთქმა ზედი-ზედითა,
საბრალოდ ცრემლთა ადენდა, იყო შავისა ბედითა.
გულ-ამოსკვნილი ვაებდა, გლოვითა წარსაწყმედითა,
იტყოდა: მზეო, მოგშორდი, დავშთი სიცოცხლე ყბედითა.
წინ ედვა სახე ვისიმე მანათობელის ქალისა,
ზე დაკონებით დაჰსცრემლდა, თვისად მომდებლად ალისა,
ჰხმობდა: უშენოდ რად მინდა ხედვა უბედოს თვალისა,
იცემდა, პირსა იგლეჯდა, ჰსდის სისხლი ნაკოდალისა.
მისსა საბრალოდ გასლვასა მის ტყის ხენიცა ჰკვირვოდეს,
გარე მორტყმოდეს მხეცნი და გოდებით მას დაჰყვიროდეს,
მფრინველნი თავსა დაფრინვით მისსა ვაებას ჰსტიროდეს,
თევზნი მდინარის ნაპირით ილმობდეს, მას შემზიროდეს.

ყოვლად ცნობა არღა ჰქონდა მას ეგზომის წვალებით,
ახლოს იყო სიკვდილისა სიცოცხლისა შემოკლებით,
თავი სრულად გაეწირა სისხლის ცრემლთა განმრავლებით,
ცეცხლი ცხელი ეგზებოდა ხორცთა მისთა დაავლებით.
სიცოცხლესა ესალმოდა, ფერ-მიხდილი ჰგვანდა მკვდარსა,
გულ-ამოსკვნით, სულთქმა, ოხვრით ესახვედა ცნობით მცდარსა,
ზღვად შექმნოდა ცრემლნი ცხელნი, იშთობოდა შიგან ღვარსა,
დაჰსდნის, ვინცა მოისმენდა მაშინ მისგან ნაუბარსა.

ყ ა რ ი ბ უ ლ ი.

მისი ჰმსგავსი მგოდები, საბრალოდ მვალწლები, ისმოდა არვის აროს,
ემჰსგავსოდა ღრუბელსა, მაისებრ უშრობელსა, და ნილოსისა წყაროს,
ნოეს-ზე ცასა ცვარნი ეგზომ მოუკლებარნი, ვჰგონებ; არ და-ელვაროს,
დილარ მისმან მჭვრეტელმან, გმირობის საფუძველმან, რამცა ვით გაიხაროს.
უმზერს საბრალოდ ყმასა, მისსა მძულრადმოთქმასა ეკვირვის, ეოცების
ადატის კალოს თქმანი, ოსქბის გლოვანი, მას ზედა ეახლებოდის,
ისწრაფის მისცა ცნობას, ჰსჭვრეტს მისს შვენიერ ყმობას, და დიდად ებრალების,
იტყვის, აწ ყმასა ამას გავეცნო, ცრემლთა მნამას, ვარგო, რაც ეშველების.
დილარს გული ჩვილი-და აქვს, იწყო ტირილი-და, მისის შებრალებითა,
ჰსთქვა: ჩემი ხელმწიფება და მკლავთა ძლიერება ვჰყო მას ზედ წარგებითა,

ვჰქმნა საქმე შესატყვისი, განვჰკურნო ჭირი მისი მსწრაფლად
მოხმარებითა,
რა არს, ვინ არს, რად ჰსტირის, რის პატრონი არს, ჭირის
ვჰსცნა მისისვე ნებითა.

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

Დილარ მძლეველსა ყოველივე მწუხარება თვისი დავიწყებულ ექმნა ყმისა მის ხილვითა, და ჰსთქვა გულსა შინა თვისსა, ანუ ყე შევიტყო ჭირი ყმისა მის ჭაბუკისა და გამოვიხსნა ესე, და აწუ მეცა ამასა თანავე დავშთე მოტირალიო. ესე ჰსთქვა და მივიდა ახლორე ყმისა მის, დაუჯდა შორს გვარად და მასთანავე იწყო ტირილი გულ-მხურვალედ, თუმცა ჭაბუკსა მას არა ჰსცალდა და არცა დააგდებდა სულთქმასა თვისსა, გარნა მეორე ხმა განძლიერებულისა ტირილისა ეუცხოვა, თვალნი ახვნა, ცრემლნი მოიხოცნა, თვალთა ხელნი უკუმოისვნა, აღიხილნა და იხილა, რომე ყმა ვინმე მჰსგავსი მზისა, შვენიერი ახალ ჩჩვილ ულვაშთაგამო, რომელსა ყოვლისა ათვლისა სიკეთლეცე თვისსა სახესა ზედა შეეკრიბა, ვარდისა ამაყობა ღაწვთა მისთა დაეჩაგრნეს, ბალახშისა ფეროვნება ბაგეთა მისთა ენასნეს, და საჭურველსა შინა ხილვა მისი თუ ჰსთქვა, მზესა ლომის ბურჯით გარდააგდებდა, ყმა იგი მოტირალი დაჰკრთა ხილვასა მისსა ზედა და ჰსთქვა გულსა შინა თვისსა: „აჰა, დღე მწუხარებისა ჩემისა დასრულებისა, ნუ თუ ცამან ილმო ესოდენნი ჭირნი ჩემნი, და მოავლინა ერთი ღმერთთაგანი სიკვდილად ჩემდა, თუ არა, ესე ხორციელი ვითარქმნებისო“. მსწრაფლად შეჰგრაგნა სახეა იგი, რომელსაცა ზე დაჰსტიროდა, ადგა მივიდა და უთხრა ხელმწიფესა მას:

აჰა, ცით მოვლინებულო ღმერთო, მკვლელად ჩემდა, ესე სახე საყვარელისა ჩემისა მტილე, მომაკვდინე მე, და ვინაჲთგან ამას სოფელსა შინა ვერა ღირს ვიქმენ ჩემსა მზესა-

თანა დატკბობასა, შენ მიოხე მართალსა ცასა თანა, რათა მას საუკუნესა შინა ვიშვებდეთ ერთი-ერთისა თანა დატკბობითაო. ესე ჰსთქვა და დაეცა წინაშე დილარ მძლეველისა, ჰგოდებდა ცრემლითა ხშირითა, და გულ-ამოსკვნით გულნაზს ვისმე ახსენებდა.

რა ესრეთი განმწარებულება იხილა ჭაბუკისა მის დილარ მძლეველმან, მისისა მლმობელობისა ცეცხლი გულსა მოედვა, და შეწევნისა მისისა ასფადელოსა შევიდა, და ჰბრძანა, ყმა ესე სურვილისა ცეცხლითა დამწვარი ვინმე არს, და განგებამან მოიყვანა ჩემთანა, რათა გამოვიხსნა მე ესე მწარისა ამის მწუხარებისაგან, და უკეთუ ვარ მე დილარ მძლეველი, შევასრულო თქმული ჩემი, და შევჰყარო საყვარელნი მიჯნურნი ურთიერთას. ესე ჰბრძანა დილარ მძლეველმან და მივიდა ყმასა მას მოტირალსა თანა, მოჰკიდა ხელი და ააყენა, და, ვითარ საყვარელსა ძმასა თვისსა, ეგრეთ დაჰკოცნა და ჰკითხა: „ვინ ხარ ძმაო, უცხო ეგე ჭაბუკი, და ანუ რად ჰსტირ მოუკლებელად ცხელითა ცრემლითა? მე ჩემ კერძო გაუწყებ, ძმაო, რომე არა ვარ ცით მოსრული, ვითარ იგი შენ ჰგონე ჰყე, მეცა კაცი ვარ შენებრვე ხორციელი, და თუ გასმია სახელი დიდებულისა დილარ მძლეველისა, რომელსა უპყრია განდიდებული ესე აბაშეთი, და სურვით ჰმონებენ ძლიერნი სპასალარნი, გმირნი სპასპეტნი, და ლომ-გულთა რაზმთა სიმრავლე ურიცხვი, და აწ, ძმაო, ნუ თუ სხვა ვინმე გეგონო, მე თვით იგი დილარ ვარ, და ესე კმა არს შენდა, რომე მოხვედ ჩემდა, დღესითგან დავსდვა თავი ჩემი, ანუ მოვჰკვდე გზასა შენსა ზედა, და ანუ გამოგიხსნა მაგა მწუხარებისაგან შენისა, დააგდე ტირილი ეგე, მოვედ ქალაქსა ჩემსა, იხილენ ყმანი ჩემნი და გაქუნდეს იმედი თქმულთაგან ჩემთა, ესე მარჯვენე ჩემი შენდა მომიცემია. მცირედ განისვენე სახლსა ჩემსა, და განემზადე შესაყრელად საყვარელისა შენისა“. რა ყმა იგი მოტირალი ისმენდა თქმულთა დილარისათა და უჭვრეტ-

და სახესა მისსა, ვერა ირწმუნებდა ხორციელებასა მისსა და შემზერდა გაკვირვებული.

შ ა ი რ ი.

ბანკრთომით უჭვრეტს, იტყოდა სახისა მზისა მეტითა,
პირი მთვარულად გავსოდა, მდიდრობდა ელვის სვეტითა,
ბეჭ-მკერდი ლომსა უგვანდა, ჰშვენოდა წელ წერწეტითა,
მბრძოლთ აძრწუნებდა შეხედვა, ჰლევდა მჭვრეტელთა ჭვრე-
ტითა.
ამას ჰგვანდა, ყოვლნი არსნი შვენიერსა პირს შეჰსტრფო-
დეს,
ჭურვილისა ხილვა მისი ცისა ბურჯთა დაამხობდეს,
ჩჩვილ ულვაშთა ახლადობა ვარდთა ზედა ამაყობდეს,
წამწამთაგან ინდელთ რაზმნი ფიცხელს ისარს მოისროდეს.
ხორციელი მჰსგავსი მისი სხვა შობილ არს, ვფუცავ, აროს,
ევფრატისა წყალით რწყულსა ეგიპტისა ჰგვანდა საროს,
ლალნი ლაწვთა გაეცუდნეს, ვარდმან მასთან იდამჭკნაროს,
ჰხამსცა მისთვის ვერ მჭვრეტელმან გულს ლახვარი გაიყაროს.
ყმა მოტირალმან, მრავლითა ცრემლითა შესუსტებულმან,
მიჯნურებითა დამწვარმან, სიკვდილად მიახლებულმან,
თვალნი ალახვნა ტყვე ქმნილმან, ეშყითა დამწარებულმან,
ზედა-ზედითა მზერითა, კვლა სჭვრეტდა განცვიფრებულმან.
ჰსთქვა: ესე სახე უსახო არა არს ხორციელისა,
ზეცით მოსრულ არს განგებით, აქვს კრთოლვა მით ნათელისა,
ცამ ილმო ჩემი ესდენი დენა ცრემლისა ცხელისა,
უცილოდ მომკლავს, დამსრულდეს დღე ესდენ მე სასჯელისა.

ყ ა რ ი ბ უ ლ ი.

მარსობს ანუ დიანობს, ელვით ნათელ დღიანობს, ჰგავს
მით ზენით მოსრულსა,

ვიცი, ილმობს ჩემზედა, თუ წყალობით მომხედა, ჰგრძნობს
ჩემსა სიყვარულსა,
ნუ თუ ელისეს ველსა ღირს მყოს ჩემს საყვარელსა, ვშორ-
დე სვესა წყეულსა,
განმარინოს სასჯელსა, შეიმოსავს სახელსა, მიმდემად დაუ-
სრულსა.

Ცრემლმან ჩემგან მდინარმან, უკლებრად მონაღვარმან, ნუ
თუ ზღვად სად შემდგარმან,
ნეპტუნ ჩემდა არისხა, მით მან ხორცი შეისხა, გლახ ჩემთვის
მემუქარმან,
არ მგამა, მომკლას, თავი მაქვს ცეცხლსა დანართავი, ვერღა
ვიზრუნო მკვდარმან,
დამხსნას დღესა მწარესა, მიმცეს ყე სამარესა, ურვამან შესა-
ზარმან.

Ვინცა ეს ზეციერი, შეჭურვილი ძლიერი, მეოცნების თვალ-
თა და,
უხორცოს ჰმსგავსებითა, ვჰხედავ მოქმედებითა, თვალითა
მჭვირვალთა და,
ნუ თუ მამცნოს სახელი, ვაქებდე ამად ხელი, რომელი არს
ღმერთადა,
მერმე მიმიღოს სული, სამყოფთად დაკარგული, მკლას ტყეს
შორიელთადა.

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

რა დილარ მძლეველმან იხილა მოყმე იგი, რომე გან-
კვირვებამან მოიცვა ხილვითა მისითა, ილმობდა გულითა და
ჰსცრემლეოდა თვალითა, ხმა უყო და კვალად ჰრქუა: „ძმაო
საყვარელო! რად აგრე მოუცავს გონება შენი მიჯნურობასა;
არა ჰშვენის გულოვანთა ჭაბუკთა გულისა ეგზომ დალბობა;
დილარის ქებისა სახელი ყოველთა კიდეთა განფენილ არს;
და შენ, ძმაო, ვითარ არა გსმენია ესე! მე იგი დილარ ვარ,

დიდისა აბაშეთისა მპყრობელი; გარწმუნებ თვით მპყრობელობისა ჩემისა პატივითა, რომე უკეთუ ცხოველ არს სოფელსა შინა საყვარელი შენი, სრულ ვჰყო საწადელი შენი და შეგყარო შენსა ცეცხლისა მომდებსა, ოდენ მიეც მცირედ მოთმინებასა თავი შენი, და ნუ მტანჯავ მე მწუხარებითა შენითა“. რა ყმამან მან, საბრალოდ მოტირალმან, კვლა ისმინა სახელი დილარ მძლეველისა, განჰკრთა მომხსენებელი მცნებათა მამისა თვისისათა და ჰსთქვა: „ღმერთო, უკეთუ ჭაბუკი ესე ხორციელი არს, ვინცა იყოს და რაჲცა ჰსთქვას, აღსრულებაცა შეუძლიანო!“ მყისვე მოეგო გონებასა, დაჰსდრკა მიწასა ზედა, თაყვანი-ჰსცა და მოახსენა: ჰე, სწორ უპოვარო ჭაბუკო, მოყვარეთათვის ხილვად რა ეგრეთი ხარ, გალანამცა მტერთათვის საზარო იქმნებიო! აჰა, გაახლებ თავსა ჩემსა და რაჲცა შვენის ჭაბუკობასა შენსა, ეგრეთ შეჰკაზმე საქმე ჩემიო“. კვლა ვითა ძმანი შეიხვივნენ, აკოცეს ერთი-ერთსა, მოიყვანნეს ცხენნი წინა, შესხდეს და იწყეს ხშირსა მას ტყესა შინა ნადირობა და სრვაჲ მხეცთა, თავმან თქვენმან, ესრეთ მოეწონა დილარს ნადირობაჲ ყმისა მის, რომელ უკეთესობა არღა ეგებოდა, რომელმანცა მოჰკლა მას ნადირობასა შინა ხუთასი ლომი, და ოდეს დავიდოდა მზე ყოველნივე მოეშალნენ მხეცთა სრვასა, და დაჰსდგნენ ტყისა კიდესა სადაცა ჩამოდიოდა მდინარე დიდი.

აქა დილარ მძლეველისაგან შეყვანა ყმათა თვისთა თანა ახლად ჰოვნილისა მის ყმისა შვენიერისა ჭაბუკისა.

ყმანი დილარისანი მიელოდნენ ყოვლით კერძო პატრონსა თვისსა, და იხილეს, რომე ერთსა კიდესა ტყისასა გამოჰსჩნდა დილარ თანა მყოლითა მოყმითა უცხოსა ვისმე ჭაბუკისათა. მიეგებნენ ყოველნივე სიხარულითა დიდითა, და მიულოცვიდიან სხვათა და სხვათა მხეცთა მოკლულთა. მაშინ დილარ-

მანცა მიულოცა მათ პოვნაჲ ახლისა მის ყმისა და უბრძანა, ეგრეთ მოექეცით, ვითარცა პატრონსა და მბრძანებელსა თქვენსაო. იგინი ბრძანებისამებრ პატრონისა თვისისა გალანამცა დაამორჩილებდეს თავსა თვისსა! ოდეს იხილა ყმამან მან უცხომან სანადიროსა მყოფისა დილარ უძლეველისა ეგე ვითარი დიდებულებაჲ და პალატისა ერთა უცხოდ რაიმე ალკაზმულობაჲ, განკვირვებული აქებდა ხელმწიფებასა მისსა და იტყოდა: „ვითარცა აქებდა პატრონი მამა ჩემი, და ბრძენი იგი ბრძენთა უმოხუცებულესი ვაზირი ეგროს, გალანამცა თქმულნი მათნი მართალ ყოფილანო!“ ამის გამო ესრეთ შეიყვარა ყმამან მან უცხომან დილარ მძლეველი, რომე წამსაცა ერთსა თვალს ვერ მოაშორებდა, და დილარმანცა ეგრეთვე. მას ღამესა გამართეს პურობაჲ და დაიდვეს ნადიმი, ვითა ჰშვენოდა ხელმწიფობას დილარისასა, და შეექცნენ ტკბილად უბნობითა. ხოლო მეორესა დღესა დილით ჟამსა დაფიონისასა გაემართნენ გვირგვინოსანსა მას მარგარიტისა ქალაქსა. და ვითარ ვლეს დღე ოდენ ოცი, იწყეს გზასა ზედა წინა მოგებებად ჩინებულთა გვამთა მწყობრად და მწყობრად სხვა-და-სხვა ფერითა ოქროს ქსოვილითა სამოსლითა, და მოულოცვიდიან ახლისა ჭაბუკისა პოვნასა, აყრიდიან თვალსა და მარგალიტსა, ოქროსა და ვეცხლსა, და ფერხთა ქვეშე უფენდეს სტავრასა, შალთა და ოქსინოთა; ელივსო თვალ-უწდომი იგი მინდორი შვენიერად დაკაზმულითა ერითა, რომელთათვის ესრეთ იტყოდა მხილველი, ვარსკვლავთა სიმრავლე მოფენილ არს ქვეყანასა ზედაო. ეგე ვითარითა დიდითა დიდებითა შევიდნენ ქალაქსა მას ყოვლად კეკელასა და გარდახდენ სამეფოსა მას პალატსა. ოდეს იხილა უცხომან მან ყმამან განსაკრთომელი იგი სახილველი ქალაქი, პალატი და ერნი, ესრეთ იტყოდა: „ნუ თუ ხორცითა არღარა ვარ და სულთა სამყოფსა ქვეყანასა მოველ! თუ არა ხორციელი შენობა და ერთა კეთილობა ესე ვითარი სადა იქმნებისო!“ უკვირდა ყოველსა ზედა და აქებდა დილარისა ხელმწიფებასა.

შ ა ი რ ი.

მოყმე იგი უცხო-უცხოდ ჰკვირობს ქცევას თვისის სვისას,
ოცნებასა ამსგავსებდა მას მკულებას ქალაქისას,
ხორციელად არ ჰგონებდა დიდებასა პალატისას,
კვლა ჰკვირობდა დიდად რასმე კეთილობას მის ერისას.
თავსა თვისსა გაეპქოდა, საგონებელს იყო დიდსა,
ფიქრის ზღვასა შთაჭრილს ჰგრძნობდა ჰაზრებისა თვისის ხიდსა,
თქმისა თვისცა იკრძალოდა სირცხვილისა ჰყოფდა რიდსა,
ბჭობს, იგონებს, ვითა ჰმართებს სიყვარულით ხელს, არ მშვიდსა.
იტყვის: ხორცით არღარა ვარ, სულთა რასმე შევველ ვანებს,
სამოთხესა საშვებელსა ვჰხედავ მკობით თანის-თანებს,
თვარა ხელი კაცობრივი ვით შემზადებს ამისთანებს,
ერთა უხმობს ცისა ერად ქვეყანისას ვერ აგვანებს.
აქებს, ჰფიქრობს, ხელმწიფობა ესე თუ მართლ ხორციე-ლობს,
ცის კიდეთა მორჩილება ჰშვენის, ქცევით საკვირველობს,
სიყმე-სიმხნით შემკობილი შუქთა მზეებრ მომფენელობს,
ბრძენი, მშვიდი და მდაბალი სიუხვითა უშურველობს.
მასთანა მყოფი უცილოდ მიიღებს ჰამოვნებასა,
თვით დავამონო თავიცა ჩემი გლახ მისსა ნებასა,
სურვილით ვერჩდე მისისა ბრძანების აღსრულებასა,
ნუ თუ მკლავითა მისითა განვერო ცეცხლთა დებასა!

ყ ა რ ი ბ უ ლ ი.

იტყვის: ესე დიდება დღითი-დღე უმრავლდება ხელმწი-ფებასა სვიანსა,
ვჰსჭვრეტ რაზმთა ურიცხობას, ლომ-გულთა დას-დასობას, დიდ-დიდთ სარმუზიანსა,
ქალაქი შემკობილი, სრა პალატ მოწყობილი, აქვს დღე კე-თილ მზიანსა,

მასთან მყოფი შვებასა, ლხინთა განმრავლებასა, ჰპოვებს ჟამს
არვიანსა.

რადგან მაქვს თავი ჩემი, მწირად მავალი მსხემი, სურვილით
მილეულად,
ვიგლოვ და ვსტირი მარად, დრო მაქვს და დღენი მწარად,
ვარ ბედისგან ძლეულად,
ამით ჩემსა სასურველს, ვერ მივხვდები საწადელს, ვლიდე
რაზომ ვლეულად.
მომკლას სევდის მახვილმან და უზომო ქმუნვილმან, სხვა რა
მშთეს ხელეულად!

ამა მონარხ ძლიერსა, სახითა შვენიერსა, ურიცხვ ერთა
მპყრობელსა,
მაღალთ ბრუტოსის მთათა, მყართა კლდეთა და სალთა, ში-
შით დამადნობელსა,
ვეშაპთა პირ-აშკმულთა და მხეცთ განცოფებულთა გულთა
გამაპობელსა,
ვჰხედავ ძალის მქონად, ახლად რადმე სამფსონად, ასაილის
მსწრობელსა,

ნუ თუ გულის ნებასა, ამით რასმე შვებასა, მივხდე, ვმონო
სულითა,
ვჱსახურო მოსწრაფებით და დიდის ტრფიალებით, ფხიზელ-
მანცა ჰრულითა,
რადგან ბედი მწყრომარე მომიძღვა მე აქარე, ესდენ სიარულითა,
განგება თუ მოინებს, ცრემლთ არღა მომადინებს, მავსებს
სიხარულითა.

აწ ვჰყო თავი მოვალედ მარად, არ დღეს და ხვალედ, მე
მისდა სამსახურად,
ერთ-გულად გარს ურბოდე, საჭვრეტლად ვიურვოდე, დავე-
მორჩილო ყმურად,
იქმნების ჩემსა ჭირსა და ესოდენსა ძვირსა, მომეხმაროს ლო-
მურად,
რადგან იგი სიმდაბლით და მფლობელობა მრავლით, მიმზერს
და მწყალობს ძმურად.

§ ა მ ბ ა ვ ი.

Დილარ მძლეველი იყო ორმეოცსა დღესა შინა მიმდემ ლხინსა, პურობასა, ნადიმობასა და ხილობასა ზედა, მით უცხოს ყმითა და დიდებულთა თვისითა კრებულითა, გარნა არა იყო მუნ ჭურჭელი არა რაჲსამე, თვინიერ თვალთა თლილთა და ოქროსა ურიოშოსა, მარგარიტითა ხშირითა შე-წყობილ-მოოჭვილითა. და ოდეს განატარა დილარ მძლეველ-მან შვებითა მრავლითა და ზესთა მხიარულებითა დღენი იგი ორმეოცნი, უცხოსა მას ყმასა თანა, შემდგომად ჟამსა ერთსა ახლდენ დიდსა მას აბაშეთისა მონარხსა დილარ სახელ შვე-ნიერსა, სპასალარნი, ვაზირნი და დიდებულნი გვამნი, საკუ-თარსა საწოლსა თვისსა, და გალანამცა გვერდს უჯდა ყმა იგი უცხო ახლად პოვნილი, და იხარებდეს ურთიერთისა ჭვრეტი-თა, გარნა დილარ მძლეველი ისწრაფოდა მის უცხოჲსა ჭაბუ-კისა ჰამბისა სმენასა, რათა ბრძანებული თვისი სრულ ექმნა მას ზედა, რომელიცა აღუთქვა მას და გამოეხსნა იგი მწუხა-რებისა მისისაგან. შემდგომად აღიხილნა თვალნი დილარ ზე, და შეიქმნა საწოლსა მას შინა ხმა რაჲმე ნელიად სრიალისა, რომელიცა იყო ნიშანი დუმილისა, და ყოველთა იწყეს მდუ-მარეობაჲ. მაშინ ჰკითხა დილარმან ჭაბუკსა მას და ჰრქვა, ვითა: „ჰსთქვი, ძმაო ჩემო, ჰამბავი შენი და მწუხარებისა შე-ნისა მიზეზი მაუწყე მე, რათა შევიწიო ძალი ღვთისა ზეგარ-დამო, რომლისაგან მაქვს ძლიერება ესე და ხელმწიფება დი-დი და შეუდგე გზათა შენთა, და დაგწყვიტო დენა ეგე ცრე-მლთა შენთაო.“

Ოდეს ისმინა ყმამან მან უცხომან ბრძანება იგი დილარ მძლეველისა, თუმცა ზარეს ჰსცემდა და ყოველსა ნაწევარსა მისსა დახსნიდა თხრობა მწუხარებათა თვისთა, გარნა განჰსწი-რა თავი თვისი სიყვარულისათვის დილარ მძლეველისა და დაიწყო განსამწარებელთა თვისთა ჰამბავთა თქმაჲ.

თავი მეორე

დიდისა მეჯინვართ მეფის ოვინეზის ძის ნუშრევანისაგან თვისთა სალ-მობელთა ჭამისავთა იქმს წინაშე დილარ მძლეველისა.

შაირი.

რა დილარისა ბრძანება მიიღო უცხომ ყმამან და,
თხრობად ამბისა თვისისა ქირად თავისა კმამან და,
თვალთაგან იწყო დინება სისხლისა ცრემლთა ზღვამან და,
ჰსთქვა: „ბრძანებისა მორჩილმან ვიწყო, გლახ მომკლას თქმა-
მან და!“

თავი სიკვდილს არ დაჰრიდა, უშიშარად, მალ, ერთ წამად,
იცოდავე, თხრობა მისი გულს ექმნოდა მომკვლელ შხამად,
სულსა ჰსძღვნიდა დილარ მძლეველს მწეობისა თვისის ქრთა-
მად,
ამად ხელ-ჰყო ძნელსა საქმეს, კვლა იმატა ვამი-ვამად.

მრავალ გვარად მფიქრებელი საბრალოსა ცრემლით ჰსტირსა,
იტყვის: „თხრობა ჩემთა ჰამბავთ მე შემიყვანს დიდსა ქირსა,
უთქმელობით ვერას ვირგებ, ვიწვი ცეცხლსა ერთობ ხშირსა,
ვჰსთქვა და დავსსამთა სიცოცხლეცა, ვერ ჰიკურნო, არ მი-
კვირსა!“

ესე ჰსთქვა და თავსა ხელი იცა, იწყო სულთქმა მწარედ,
ბრჭალით სისხლსა იმრავლებდა, შუბლსა ექმნა დამხოკარედ,
შემჰვრეტელთა დაადნობდა, მისის ხილვით ჰსხდენ მგლოვარედ,
ჰკადრა: „აჰა, ხელმწიფეო, ვიქმენ მკვდარად სასუდარად,
ტახტსა თქვენსა თავსა ჩემსა შევავრდომებ, ვამუდარებ,
აწ თუ მოვკვდე, არა მგამა, არცა სულსა გავიმწარებ,

თუ ვიცოცხლო, გებრალოდე, რგებად ჩემდა ნუ იზარებ,
შემიწყალებ, საყვარლისა კიდეგანად არ მატარებ.“
დაიწვნენ მისნი მჭვრეტელნი მისითა სიბრალულითა,
ღაწვთა იბანდეს თვალთაგან ევფრატის ნაკადულითა,
დილარ შეიქმნა გულითა ათას-გზის დადაგულითა,
ჰფუცვიდა: „გიხსნი ჭირთაგან მე ხმლითა მომახულითა!“

ყ ა რ ი ბ უ ლ ი.

ყმა დილარის ბრძანებას ჰმორჩილებს, მისსა ნებას, ვერ
იხმარებს ურჩებას,
გულ-ამოსკვნით ქვითინებს, ცრემლთ ხშირად მოიდინებს,
ჰყოფს აბაშისა თნებას,
მისი იგი თრთოლადა, დაუცხრომლად ძრწოლადა, კაენის
დასჯილებას
ემჰსგავსოდა, შიჰგვანდა, სულთქმას სიკვდიდ მიჰყვანდა, არ
ჰგონებს განკურნებას.
საბრალოდ რაღმე ჰხმობდა, მკერდსა და ღაწვთ იპობდა,
სისხლი ღვარად ჰსდიოდეს,
იტყოდა: „გულ-ნაზ! შენნი წარბნი, ტევრად ნაშენი, მახვილად
გულს მესხმოდეს,
გიშრის წამწამთ ისარნი, სუმბულთ შესატყვისარნი, ბროლის
ველს რა ჰრბიოდეს,
ლალის ბაგე მღიმარი, ჩემად უბნობად მტკბარი, შორქმნად
ვით არ მტკიოდეს.
მძლავრმან, ულმრთომან სჯულით, გული აღმივსო წყლუ-
ლით, მაშორვა მზის ნათელსა,
არ შეიწყალა ჩვენი, ჩჩვილ წლეობა, სიყმენი, შთამაგდო ფრე-
სა ბნელსა,
მიმტაცა უკვდავება, დამშთა ოდენ ვაება, ვით ვჰსძლებ ესდენ
სასჯელსა!
მომჰკლას ესოდენს ჭირსა და დამხსნას ცრემლსა ხშირსა,
შევჰსთხოვ მართალსა ხელსა!

ბედო კრულო, წყეულო, სიმუხთლისა ჩვეულო, კაცთა
დაუნდობელო,
სხვა-და-სხვა პირ მბრუნაო, სხვისა არას მზრუნაო, სიბოროტის
მშობელო,
მესისხლობის მახვილთა, მოკვდავთ სისხლით აღვსილთა, მრჩო-
ბლსავ ხელსა მპყრობელო,
გველო, გესლით აღვსილო, ედემით გამოხდილო, შვილთა
შვების მსპობელო!!“
მოყმე, გულით დამწვარი, ტირილით მოუბარი, ჰხმობს სულ-
თქმითა ხშირითა,
მისნი მჭვრეტნი ყოველნი იყვნენ ცრემლისა მღვრელნი, აღი-
ვსნენცა ჭირითა;
იწვიან, ენთებიან გლოვით, ემოყვსებიან გულითა და პირითა,
ღილარ, მამებრ მლმობელი, ხელით სკიპტრის მპყრობელი,
ოხვრავს გულით გმირითა;
ჰბრძანებს: „დრომდე ვითმინო, ჰამბავი ვათქმევინო, ყმისა
ჭირნი ვჰსცნა სრულად,
შემდგომ მე მისად რგებად, შეწევნად, მოხმარებად, ვჰყო ხმა-
ლი მომახულად,
ოთხივ კიდე მოვლახო, ზღვის უფსკრულთაცა ვნახო, მთანი-
ცა თვითეულად,
არ დავჰსდგე უპოვნელი, დავჰსწყვიდო ცრემლი ცხელი, არღ
აქვნდეს გული წყლულად!“

აქა დაწყება მუძნვართა მეფის ძის ნუმრკვანის ჰამბავთა.

ჭაბუკი იგი, ახლად პოვნილი ღილარის მიერ, მყოვარ ჟამ იქმნა მდუმარედ, ცრემლთა უხვად გარდმომღვრელი, ხოლო შემდგომად წამოიჩოქა ქუდ მოხდილმან და დაიწყო სულ-თქმითა ხშირითა თქმა ესრეთ:

„მჰა, ძლიერო და დიდებულო თვით-მპყრობელო დილარ უძლეველო, იყავნ განდიდებული ხელმწიფება თქვენი მრავალთა წელთა დაუსრულებელ უკუნისამდე! მე, უბედურებითა აღვსილი ესე, ვიყავ ჩრდილოთა მყინვართა მეფისა ფინეზის ძე, რომელსაცა მეწოდა სახელად ნუშრევან; ჩემსა სიმცროსავე შინა პატრონმან მამამან ჩემმან მიმცა მე აღსაზრდელად თვისსა გამზრდელსა, უერთგულესსა, ბრძენთა ბრძენსა, უმოხუცებულესსა და ბევრრიგად ხელოვანსა ვაზირს ეკროსს, რომელმანცა მასწავლნა მე ყოველნივე საგმირონი განწესებანი და საჭურველთა ხმარებანი, და ჩემთანა ჰზრდიდა ძესაცა თვისსა, კარგსა მოყმესა და მისანდოსა ჩემსა, ლარსს. შემდგომად ათხუთმეტისა წლისა ესრეთი შევიქმენ, რომე ქვეყანასა ჩვენსა არავის ენახა მჰსგავსი ჩემი; ვნადირობდი და შექცევად ჩემდა იყო ველურთა მხეცთა ხოცა, ვინაჲთგან არს მრავალი ქვეყანასა ჩვენსა; და განისმა ხმა ქებისა ჩემისა ყოველთა მესამზღვრეთა ჩემთა შორის და ინატრიდიან ხილვასა ჩემსა.

აქა ზღვაო მეფის ბრიტანის ასულის გულნაზის შიკრიკის მოსვლა მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა.

დღესა ერთსა ნადირობით მოვიდოდი და თანა მახლდნენ თანა სწორნი ყმანი ჩემნი, მომავალსა გზასა ზედა დამხვდა კაცი ვინმე, შავსა ტაიჭსა ზედა მჯდომი, შავითავე რკინისა საჭურველითა შეჭურვილი, ხელსა შუბისა მქონებელი; თაყვანი-მჰსცა, მომიკითხა და მომართვა წიგნი ერთი და სახე ესე შვენიერისა ქალისა.

შ ა ი რ ი.

წიგნი მომართვა მონამან და უზადო ესე სახე,
რომლის ხილვითა გარდმეცვა ტრფიალების მისის მახე,

ცნობა სრულად მან მიმიღო, ამად თავსა ვივაგლახე,
გულს სახმილი მომეკიდა, სხვა ვერღარა განვიზრახე.
მას დღეს მიმეღო ყოველი გულისა სიხარულები,
ტრფობის ისარნი დამესხნეს, შემაჩნდეს მრავლად წყლულები,
მოვშორდი სოფლის შვებასა, ვალ ბედის მონაძულები,
შემწყინდა ყოველი სალხინო, ყმა, სამყოფ, სრანი სრულები.
თვალთა ჩემთა მოუწყვეტლად მყისად ექმნათ ტიგრისობა,
გულმან ოხვრა განმიმრავლა, ლაწვთა იწყეს ვარდებ ზრობა,
ღვიძლსა ზედა დამეხშირნეს სასიკვდილო ისრის სობა,
ესე მიკვირს, ვითა გავჰსძელ ესოდენ ჟამს უმისობა!
მის გამო მქონან მას აქეთ კელებრ მიდამო რბოლანი,
მკეცთა ვახლავარ მინდორად, მაქვს მათთანავე წოლანი,
მთათა და ტყეთა მოარულს მხშირობენ გულის ძრწოლანი,
მომძულდა სოფლის დიდება და ჩემთ თანასწორთ ყოლანი.
სახე ესე სიცოცხლისა მაშინ მექმნა მოსაწყინად,
აწ გაჭრილსა კელობითა ესევე მაქვს ლხინთა ზვინად,
თვალნი მისდა შემსჭვალულნი მარად მისხენ ცრემლთა მდინად,
ესევე მაქვს საიმედოდ, ჩემად შვებად, ჩემად ლხინად,
ესე მაშინ გულსა ზედა შევიკონე, ვეტრფიალე
მწადდა, თუმცა სურვილისა გარნა ცეცხლი ვერ დავმალე,
თანა მყოლთა ჩემთა ყმათა ეგრე მყოფი შევებრალე,
სრულად დამწვა მან სახმილმან, მე რომე, გლახ, გავთალე.

ყ ა რ ი ბ უ ლ ი.

ბული მიმტაცა ცნობით, რა ვნახე სახე ყრმობით, შევი-
ქმენ ლახვარ სობით,
თავი მას ზედ წარვაგე, ცხოვრება მოვიძაგე, ვიქმენცა ცრემლ-
თა ვრცლობით,
ჩემებრ ცეცხლით მწველობა, ანუ მინდორს კელობა, ვის სმით
არაკობით!

დავჰსთმე ყოვლი დიდება, მწვავს ცეცხლის მოკიდება მისისა აშიკობით.
მსე არ მეკმარება, სიცოცხლე მემწარება მე, უმისოდ მრე-ბელსა,
ვარ სიკვდილის მძებნელი, ვერსად ვიქმენ მპოვნელი, სხვის არას მგონებელსა
მჰსდიან ცრემლნი ღვარულად, გული უფროჲე წყლულად მაქვს უბედოს, დღე-ბნელსა,
ცუდ-მაშვრალი, მტირალი, მთათა და ტყედ მმზირალი, ვსთვლი ჟამებს სალმობელსა.
არსად დაშთა კიდენი, ცრემლთა ჩემთა ნადენი არ ალტო-ბდეს არ ჰრწყვიდეს,
მკეცი და ანუ მტერი, შემხვდეს ვინმე ძლიერი, ვნატრობ თუმცა მომკვლიდეს!
იგიცა ჩემთვის ძვირობს, განგება რას მიპირობს, შაბაშ თუ ამომფხვრიდეს,
იქმნების სხვა ახალი, ბედის ბრუნვა ბორბალი, ვიხილო ამა-კიდეს.
განგრძობილს დროს სახესა დავჰსძახი ახ-ვახესა, ვეძიებცა მკურნალსა,
იგივე მიდგას თვალთა, თუ მაძლევს სულის ძალთა, მისივე დევნა კვალსა,
თვარა ჩემებრ გაძლებით რკინაცა გაცვილებით იქმნას, ემს-გავსოს წყალსა,
მისვე ჰამბისა თხრობას და მას ზედ მუსიკობას, ნუ მგმობთ მისსა ტრფიალსა.

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

მის მნათობისა სახისა ხილვამან მიმიღო ყოველი სიხარუ-ლი გულისა ჩემისა. გავხსენ წიგნი იგი, რომელსა შინა ეწერა სახე ესე ვითარი: „ჰე, ახალ მოყმეო, მაღლისა და დიდებულისა

მყინვარ მეფისა ძეო ნუშრევან! რად ეგრე უქმად ატარებ დღეთა შენთა ამაოთა ველურთა მჴეცთა სრვათა შინა, იხილე სახე ესე ჩემი და ისწრაფე პოვნად მზისა შენისა გულნაზისა, ესე შიკრიკი მოგახსენებსთ ყოველთავე ჰამბავთა ჩვენთა და, უკეთუ გაქვს თავისა შენისაგან იმედი, ნულარ დაიყოვნიო“. მე, ოდეს წიგნი იგი აღმოვიკითხე, მყისვე მოვიხმე მონა იგი და ვჰკითხე ვინაობა და სადათ მომავალობა, რომელმანცა მრქვა ესრეთ: „ჰე ახალო ჭაბუკო! მე ვარო მონა დიდისა ზღვათა მფლობელისა ბრიტანისა, რომელსაცა უვის ასული ნათელ-მკრთოლვარებითა ვითა მზე და მოჰსდგომიან კარსა ზედა მეფესა მას ჩვენსა მეფეთა ძენი გმირნი და სახელოვანნი ჭაბუკნი და უსწორონი მეომარნი, განუწირავსთ თავნი თვისნი სიყვარულითა გულნაზისათა, და ჰსთხოვენ მეფესა ბრიტანს ქალსა მას მნათობსა, გარნა, ძეო მეფისაო, მზესა მას უღრუ-ბლოსა ჰსმენია ჰამბავი ქებისა თქვენისა და ესრეთ იტყვის ფიცითა მტკიცითა, ვითა: „არა შევირთო ქმარი, თვინიერ მყინ-ვართა მეფის ძის ნუშრევანისა!“ და ამის გამო არის მაღალი ზღვათა მეფე ბრიტან დიდსა ურვასა შინა, აქვსთ ყოველთა დღეთა შინა ბრძოლა ძლიერი გარეგან მათ მეფეთა ძეთა და ბუნბერაზთა ჩვენთა; და აწ უკეთუ თქვენცა მოინდომებთ ქალსა მას მნათობსა, ბრძოლანი სასტიკნი შეგხვდებიან და, რაჲცა გემარჯოს, იგიცა ჰქმენიო!“ ოდეს დაასრულა შიკრიკმან-მან ჰამბავი ესე წინაშე ჩემსა, მასვე წამსა შინა, ვითა ქარისა-გან ვერხვისა ფოთოლი, ეგრე ავთრთოლდი, მომედვა გულსა სიყვარულისა ცეცხლი, დავჰხედე სახესა მას, დავიდევ თვალ-თა და დავეცი გონება-მიხდილი, და ვიყავ, ვითარ ერთი ჟამი, ვითა მკვდარი, მომრტყმოდენ გარემო ყმანი ჩემნი, იცემდენ თავსა და ჰსტიროდენ მწარედ. ოდეს მოვეგე გონებასა, აღვი-ხილენ თვალნი, ვჰსთხოვე თმობა განგებასა, და ვჰკითხე მო-ნასა მას: „ძმაო, არსაა იმედი, რომე ჩვენად მისვლადმდე უდგნო-ბენ მეომარნი თქვენნი გარეგანთა მათ?“ ხოლო მან ესრეთ მრქვა: „პატრონო! ზღვათა მეფისა ბრძოლა კაცობრივისა ძა-

ლითა არა შეიძლების და არცა სპასალართა მისთა მოპირის-პირე იქმნების; გარნა საქმე ესე არს, რაჲმე კელოვნება კელმწიფისა ჩვენისა, რომელი არა საცნაურ არს, და უკეთუ ჰსძლიონცა გარეგანთა მათ მოპირის-პირეთა თვისთა, მთოვარე იგი ჰზის მაღალსა და შეუვალსა გოდოლსა შინა, და ზე დაჰყურებს ყოველსა ბრძოლასა მათსა, და ესრეთ უფიცავს, რომე, უკეთუ ჰსძლიონ გარეგანთა მათ ვიდრე მოსვლადმდე ნუშრევანისა, გოდლით გარდავიქცევ თავსა ჩემსა და მათ არა დავნებდებიო, და, რაჲცა იქმნების, ეგრეცა სიმსწრაფლე ჰსჯობსო.“ მე გლახ მონისა მისგან ეგე ვითართა სიტყვათა განმგონებული, გალანამცა ავჩქარდებოდი! ვიარე მალედ და თანა წავიყვანე შიკრიკი იგი, შეველ ქალაქსა ჩემსა, უჩინე მესტუმრე მონასა მას, შეველ საწოლსა ჩემსა და შევქმენ თათბირი საქმესა მას ზედა.

აქა შეინვარეთ მეფის ძის ნუშრევანისაგან უმოხუცებულესისა ბრძენთა ბრძენისა ვაზირისა ბურზის მოწოდება საწოლსა თვისსა.

გავგზავნე კაცი ბერსა ვაზირსა თანა, და ვჰსთხოვე შრომისა მიღება ვიდრე ჩემდამდე, რომელსაცა მიელო თხოვაჲ ჩემი, და მოვიდა კაცი იგი გულის სათქმელი. მაშინ, ვითარ იგი მშვენოდა ტრფიალებით აღტაცებულსა, ეგრეთ ყოველივე გამოუცხადე, და ვჰსთხოვე ვედრებით, რათა ჰხლებოდა პატრონსა მამასა ჩემსა, და აღეღო ნებაჲ წარსვლისა ჩემისა ეგრეთ, ვითარცა ჰშვენოდა სახელოვანსა მეფობასა მისსამან, გამზრდელმან მამისა ჩემისამან და თვით ჩემმანცა, ისმინა რა ჩემნი იგი ვედრებითნი თხოვანი, მოადინნა ცრემლნი მოხუცებულთა თვალთა და მრქვა: „ძეო მეფისაო, საქმე ეგე შეგიყვანს ეგე ვითარსა ძლიერსა ჭირსა, რომელ დაგამწარებს ცხოვრებასა შენსა განგრძობასა დროთასა, და უკეთუ მოითმენ მრავალთა უბედურებითთა შემთხვევათა, ბოლოდ შეხვალ

დიდსა ბედნიერებასა, რომელიცა მომიხსენებია მე ჟამსა შობისა შენისასა მათისა დიდებულებისათვის, და მოხსენებითა ჩემითა უწყის ყოველივე, რაჲცა შეუდგების საქმესა მაგას. აწ, ძეო მეფისაო, უკეთუ მოთმინებითა განიმყარებ გულსა შენსა, კეთილ არს შენდა ეგე და უკეთუ ვერ მოითმენ, ბოროტ არს შენდა და დაუტევე ეგეო“. ოდეს მესმნეს მე თქმულნი იგი ზესთა ბრძნისა მის ვაზირისა მიერ, ვჰფუცე სახელითა პატრონისა მამისა ჩემისათა, რომე ცოცხალმან ვერა დავჰსთმო საქმეჲ ესე, და რაჲცა ჭირნი და განსაცდელნი შემხვდენ, ყოველნივე სიხარულით მოვითმინო, ხოლო შენ, ჩემთვის მლმობელო მამაო, ამას ოდენ გეაჯები, რათა ამართვო ნებაჲ წარსვლისათვის ჩემისა შენისაგან გაზდილისა, და ნუ მომკლავ მე შენითა კვალად უარითა.“ რა ტკბილმან მან მოხუცმან ჰსცნა ჩემგან მოუშლელობაჲ გზისა მისგან, ალჰსდგა, მივიდა მეფესათანა, და მოიუბნეს მყოვარ ჟამ ერთად გაზრდილ გამზრდელთა. ბოლოდ ესრეთ ებრძანა: „შვილო, შენ ხარ ცხოვრება ჩემი და ქვეყანისა ამის იმედი და პატრონი, დამირთავს ნებაჲ და, ვითაცა მოგამზადოს ბერმან ვაზირმან, ეგრეთ ჰხვიდოდეო“. ოდეს მოვიდა ვაზირი ჩემთანა, კვალად მრავალნი შესაგონებელნი სიტყვანი მრქვა კელის ალებად საქმესა მას ზედა; გარნა უმტკიცებდი ფიცითა საშინელითა, რომე უმჯობეს ჩემდა იყო სიკვდილი, ვიდრელა კელის ალებაჲ საქმისა მის; და, რა დაიმტკიცა ჩემგან ეგე ვითარი გულს-მოდგინებაჲ, საწადელმან მან მოხუცმან მრქვა: „ძეო მეფისაო, ვინაჲთგან ეგრეთ შეჰყვარებია ბუნებასა შენსა ზღვათა მეფის ბრიტანისა ასული, აწ მე სრულ-ვჰყო საწადელი შენი მომზადებითა შესაბამითა, გარნა გაჩნდების ბოლოდ ჭირთა შინა გაძლება ვითარი გექმნებისო“. მერმე უბრძანა კელის ქვეშეთა თვისთა, მწერალთა უხუცესთა, სახელითა დიდებულისა მყინვართა მეფისათა ბრძანებისა წარწერაჲ შეკრებად ლაშქართა, და სხვათა უბრძანა საჭურჭლეთაგან მოედანსა ზედა გამოზიდვად ყოველთა სათანიოთა ნივთთა საკმართა, და ესრეთ მოამზადა მეფობისა

წესითა, ვითარცა ჰშვენოდა სიბრძნესა და გამოცდილებასა მისსა. მას განგებულებასა შინა შემოჰკრბა ას-სამოცი ათასი გულოვანი მეომარი, რომელთა უკეთესობა არღა ეგებოდა; გარნა მათ შორის კვალად მე ვარჩიენ მკნენი, ლომგულნი ჭაბუკნი ოცდა-ათი ათასნი, და სხვათა მივეც ნებაჲ წარსვლად სახლთა თვისთა. შემდგომად ვიახელ დიდებულებასა მათსა პატრონსა მამასა ჩემსა, ვაკოცე კელთა, გამოვემშვიდობე, მივიღე მისგან კურთხევაჲ; და, გამოსრულმან მუნით, მყისვე გავაშლევინე ალამნი, უდგინე სპათა მთავრად ერთგული და საუფლისწულოსა ჩემისა უხუცესი ბერისა ვაზირისა ეგროსისა ძე ლარა. გავემართენით, ვლეთ მოსწრაფედ თვისა ერთისა სავალი, და მივიწიენით მის ზღვათა მეფისა ბრიტანისა ქვეყანასა.

აქა მეისვართა მეფის ძის ნუშრევანისაგან ზღვათა მეფის ასულსა გულნაზსა იასა წიგნის მიწერა და შიკრიკის გასტუმრება.

შ ა ი რ ი.

მიუწერე რაცა მისთვის კელს ძალ-მედვა სიტყვა ტკბილად:
„ჰე, მნათობო, გულს ქვე გიფენ, ზე გარონებ ნაზსა ლბილად,
გკადრებ, რათგან ჩემთვის ჰსჩანხარ ვარდი ახლად შეკოკბილად,
გევედრები, სიკვდილს დამხსნა, შემიხვიო ბაგე კბილად!“
დაუფარავად ცხად უქმენ განდიდებული სურვილი,
მისისა ტრფიალებითა დამწვრის გულისა ჰმუნვილი,
სისხლის ცრემლითა მტირალსა, ვით მაქვნდა ჩილვის წყურვილი,
დავვედრე, ჩემთვის დაეტკბო ჟანდელთა რაზმი ჭურვილი:
„რადგან ინებე, მთიებო, შორითგან ჩემი მონება,
მეცა, გლახ, შენსა გარეშე სხვა გულსა არ მეგონება,
შენთვის თუ მოვკვდე, ლხინად ჰსჩნდეს ლახვართა გულს გაწონება,
ოდენ მაღირსე სიცოცხლედ მოწისა ლაწვთა კონება.

ყ ა რ ი ბ უ ლ ი.

თქმულა: „მზე აღმოსავალს განფენს შარავანდს მრავალს,
ველნი გვალვას ჩივიან,
წალკოტს, ტურფად მკობილსა, ჰმზერენ. ყვავილთ ქნობილსა,
ბულბულნი მით ჰკივიან,
ტყეთა და ხვრელთა მალვას, იქმონენ თავთა კრძალვას, ვერ-
ღა ტკბილად ჰყივიან,
თვის-თვისთა საყვარელთა, საბრალოდ ცრემლთა მღვრელთა,
შორ ქმნა გულსა ჰსტკივიან.“
გვედრებ, ნუ დამწვავ ველებ, ნუც აღდაჰპიც(?) მახმელებ,
დასავალისა მზევ და,
ვინათგან შენის ნებით, შიკრიკის მოვლინებით, ანდამატებრ
მიმზევ და,
ვითა ცეცხლი ცვილსადა, ანუ მყარი ლბილსადა, მეც სიყვა-
რული მძლევდა,
მოვსრულვარ მოსწრაფებით, ბრძანების დამონებით, სურვი-
ლით ნუ დამლევდა!
ვბჭობ, ბრძოლით მოგიყიდო, მეომართ არ დავრიდო, მო-
სრულთა შორეულთა,
გხლებივარ სამსახურად, მტერთ მოვექცე ლომურად, ცხადთა
თუ დაფარულთა,
არა შეუდრკე გმირთა, ჰგვანდნენ თუმცა ქვითკირთა, მრავალ
კეცად დარაზმულთა,
ვიცი, ამა არესა, ჩემზედ მემუქარესა, მრავალს ჰნახვენ მო-
კლულთა.“

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

წინა თქმულთა ლექსთა ამათ თანა ესეცა მიუწერე მას,
გულისა ჩემისა იოტებრ მიმზიდავსა, ზღვათა მეფისა დიდებას

და სამფლობელოსა მისისა სამკაულსა, ვითა: „ეჰა ბნელ ქმნილისა გულისა ჩემისა განმანათლებელად საესავო, აჰა, ბრძანებისა შენისა დამონებულმან მოვჰმართე ჩემთვის სულებრსაწადსა სამყოფსა შენსა, და, ვიშიშვი, ნუ თუ პირისა შენისა ნათლისა დიადობამან, ვითა ბიცი რაჲმე უნაყოფო, ეგრეთ შემწვას მე, გარნა ვინაჲთგან მის ზენაჲსა მზისა სხივთა მიფენითა ყოველნი ყვავილ მოზარდ ცხოველნი აღორძნდებიან, მეცა მითვე მიხედვითა, ვინათგან ჟამი ჩემი ჯერეთ ახალ ყვავილოვნებს, ამით გულსა ვიმყარებ, ნუ თუ პირისა შენისა ციაგობამან დღეთა ჩემთა შეჰსძინოს და არა დააკლოს ყე, რომლისათვის უთვალავისა ქენებითა გეაჯები, რათა შენგან მიწოდებულსა მონასა პირისა სიმტკიცითა სიმხნე უმატო და პირისა ტეხითა მოყმეობისა ჩემისა მფრინველი გვამით ჩემით არა დამიფრთხო“. ესე წიგნი დავჰბეჭდე, მივეც მონასა მას, ვუბოძე მრავალი, დავვედრე მსწრაფლად ჰამბისა მოღებაჲ; დამყის წარვიდა, ვითა ნებროთისა გატყორცილი ისარი. ჩვენცა შეუდეგით მონასა მას, ვვლეთ და მივიწიენით მუნ გარე ქალაქისა, სადაცა იდგნენ იგი მეფის ძენი, მტრფობნი ზღვათა მნათობისა მის, სადაცა ჰქონდათ ბრძოლაჲ ძლიერი—გალიისა მეფის ძესა და თვით მეფესა როსანს, ზღვათა მეფისა ბუნბერაზსა არტაშერს. გარნა მისვლასა ჩვენსა ზედა ჰკრეს გასაყრელსა საყვირსა და მოეშალნეს ბრძოლასა. ჩვენცა დავჰსდეგით ერთ კერძო, დავაცემინე ჩადრნი და სალაფარდანი ოქროსქსოვილისა ლარისანი, და გავეწყვენით მეფობისა წესითა. რამისვლა ჩემი ჰსცნეს, მოვიდნენ იგი მეფის ძენი, შვენიერნი და გმირნი ჭაბუკნი. მივეგებე მხიარულითა გულითა. ერთმანერთი მოვიკითხეთ. მოვიწვიე, დავსხი; გარდავიხადე პურობა, გავმართეთ ნადიმი, უძღვენ დიადი, და წავიდნენ ჩადრთა თვისთა მმადლობელნი; ჩვენცა მივეცენით მოსვენებასა, გარნა გული მკრთებოდა და მესწრაფებოდა ცნობაჲ ჩემისა ცნობა მიმხდელისა ჰამბისა.

აქა შიკრიკის მოსლვა წინაშე ნუშრევანისა და გულნაზისა ბეჭდისა და ჯამბისა მოტანა.

Შუა-ღამისა ჟამსა მოვიდა მონა იგი, და მომილოცა მისვლისა ჩემისათვის მის მნათობისა მოხარულობა, რომელსაცა შემოეთვალა სიტყვანი ჩემთვის ყოველთა თაფლუჭთა უტკბილესნი, ესრეთ, რომელ: „მესმისო, შენი ჩემითა სურვილითა ბნედა, ტირილი და ფერთა მიდამოკრთომა, და უკეთუ ნამდვილ გიყვარ მე, მიეც გული შენი გამლებასა, მით, რომელ მრავალნი ბრძოლანი წინა გისხენან შენ, და უკეთუ გძლევს სიყვარული ჩემი, მეომართა კელთა ქვეშე დაჰლბები, და ძლევასა შენსა თანა იქმნების სიკვდილიცა ჩემიო". გამოეგზავნა ბეჭედი თვისი და შემოეთვალა: „ესე თითისა ჩემისა სამკაული იყოს შენდა წინდად, რომე შენგან კიდე სხვამან კორციელმან ვერა მიმიხვედროს, და ესე აღთქმა ჩემი შენთანა საუკუნოდ უცვალებელ იქმნების, მიფუცავს ცითა და ყოვლითა სამკაულითა მისითაო." მე სურვილითა მისითა გაკელებულმან ბეჭედი იგი სიხარულით მივიღე, განგრძობილსა ჟამსა ვეტრფიალე, ნეკსა შევიბი, და ესრეთ ვჰგონე ყოველი პირი ქვეყანისა ბრჭალსა ჩემსა დაჰმონებოდა; მას შიკრიკსა ერთი კელი ესრეთი შესამოსელი შევჰმოსე, რომე მხილველთაგან ქებასა ღირს იყო, ვარქვი მრავალნი სალმობელნი სიტყვანი და ვექენებოდი ცრემლითა, რათა ღირს ვექმნე ხილვასა საყვარელისა ჩემისასა; შემდგომად მოვიღე სახე ჩემი, რომელიცა იყო ძვირფასი ნივთი სამაგალითოსა კელოვნებითა, და მივჰსწერეცა წიგნი მცირე მადლობისა ლექსთა თანა ესრეთ:

აქა მეორის წიგნის მიწერა ნუშრევანისაგან საყვარელის თანა და თვისის სახის შეძღვნობა.

„ეჰა, აღმოსავალით აღმოსცის კამარებულო მთიებო, ყოვლად ბრწყინვალეო, მივიღე ნიშანი მოსალოდებელთა სიხარულთა ჩემთა და მომმატებელი სიცოცხლისა ჩემისა თითთა თქვენთა სამკაული შევიბ კელსა განმაძლიერებელად ჩემდა, ხოლო მონამან თქვენმან სახსოვრად ჩემდა მოგიძღვენ სახე ჩემი, რათა ნაცვლად ჩემსა დაჰსტკბეს თქვენთანა გულისა თქვენისა ალერსითა, და უკეთუ გნებავს, რათა ვიყო სოფელსა შინა ბრძანებისა აღმასრულებელად, ნუ განმიგრძობ უხილველობასა შენსა, ხოლო მებრძოლთათვის ნუ ჰზრუნავ, მთოვარეო, მით რომე თავსა შენსა ათასნი ეგეოდენნიცა ვერა მიმტაცებენ, უკეთუ ბედნიერ ჰყოფთ თვალთა ჩემთა ხილვითა თქვენითა, და ხლებასა თქვენსა მაღირსებთ.

შ ა ი რ ი.

„სიცოცხლედ ჩემდა ბეჭედი მივიღე, მზეო, თქვენი და,
ჩემთა ჭირებთა მკურნალად გლახ გულის მოსალხენიდა,
თვალთა ცრემლისა დამწყვეტი, ურვათა მოსათმენი და,
სული შეგწირო, რა ძალ-მიძს სხვა ნაცვლად მოსართმენიდა.
ესე სახე ჩემეულად გიძღვენ გულის სამონებლად,
ნაცვლად ჩემსა გტრფიალობდეს ალერსისა მრავალ მკრებლად,
სალამს გძღვნიდეს სამიმდემოს, საჩემოსა სურვის მსწრებლად,
აღგძრას ჩემთვის შემბრალებლად, არ მყო კელი ველად მრებლად.
ჰფუცავ, მზეო, უშენოსა სიცოცხლეცა მემწარების,
გული ჩემი შეალებით, ვითა ცვილი, ცეცხლით ჰსდნების,
ხილვა შენი სულსა მიდგამს, აჰა, შორ ქმნით აღმომხდების,
შემიწყალე, ხილვას ღირს-მყავ, ლაწვთა შენთა უკვდავების.

ყ ა რ ი ბ უ ლ ი.

„ჩემის ყმობისა თვალნი და ყოვლი სულის ძალნი შენდა მიმონებიან,
ხუთნივე საგრძნობელნი, მეექვსის საყოფელნი, მაშინ განქარდებიან,
როს ხილვა დამიძვირო, რაზომცა ვიქვითკირო, სულნი ალმომხდებიან,
ამად ლხინნი გამცლიან, ჭირნი მეუფლებიან, ცრემლნი მემოყვსებიან.
მსე ატმოსფერა და მე შემქმნია მტერადა, სიკვდილს მექადება და,
ცას ვხედავ მძლედ მქუხებსა, ზე მიხშირებს მეხებსა, ძრწოლა მიმრავლდება და,
ესრეთ ღელვა გვემული, გულსა ლახვარ ცემული, სად ვინ განერება და,
შუქთა შენთა ნათელი არს ჩემი გამომხსნელი, თუ მალ მომესწრება და.
ზილფნი ნაზად მრხეველნი, უწყალოდ სისხლის მღვრელნი, ჩემთვის მოქამანდობენ,
ამაყობის ჩვეულნი, არავისგან ძლეულნი, მე გლახ რად დამინდობენ,
შორით შემიკრეს კელნი, ამად მდის ცრემლნი ცხელნი, მალ სიკვდილს მიპირობენ,
ეფუცავ ცისა ყოველსა, თუ გამხსნიან ცხოველსა, სიკვდიდმდე შემიყმობენ.
შავთ აფრიკელთა სპათა, გთხოვ, შეასმენდე კმათა, ჩემსა დაზავებასა,
უბრძანებდ, შიმაბარებ, მეცა თავს შევაყვარებ, ვიქმ მათს დამონებასა„

გულს შევსწირავ, სულსაცა, სამეფოსა სრულსაცა, უძლვნი
მათს ბრძანებასა,
რა გაგვა, ბროლის ველად მადგინონ მდარაჯველად, მიმცენ
ამით შვებასა.
ძოწეულისა თალარსა, ვჰსცვიდე, უარო გარსა, მე მისსა
უნებელსა,
ურჩსა ვჰპოვებ სადამე, ვგუშაგობდე მუდამე, მივსცემდე მა-
ხვილს მჭრელსა,
მისსა მაწყინებელსა, არ ვჰყოფ მოუსპობელსა, არცაღა ცით
მფრინველსა,
თავი მისთვის ვაწამო, რაცა ჰსწადდეს ვაამო, ჩემს სურვით
სანატრელსა.
თუმცა მზისა ჭვრეტითა, დისკოს სხივთა სვეტითა, თვალნი
დაბრყვილებასა
მიეცემის, დაბნელდეს, რაზომ გინა არ უნდეს, ხედვისა მო-
კლებასა,
მიიღებს სხვასა ვერას, თუ ვინ ჰყოფს მისსა მზერას, შორდეს
განათლებასა,
მაგრამ ჩემი მზისადა, მე შეხედვა მყისადა, მომცემს უკვდავე-
ბასა.“

ესე წიგნი შევხვიე, მივეც მონასა მას, დავვედრე სი-
ტყვითაცა მრავალი და გავისტუმრე მალიად, განაღა მე ეგე
ვითარითა იმედითა მას ღამესა მივეც ძილსა ჰამოსა და გან-
ვისვენე.

აქა ზღვათა მეფისა ბრიტანისაგან თვისისა ვეზირისა მოგზავნა
მეინვართა მეფის ძის ნუშრევანისა წინაშე.

რა ნათლისა სპასალარმან თვისი შვენიერი ბავრაყი გაა-
შლევინა და ელვარენი მოწინავენი ბნელისა რაზმთა შეუ-

ზახნა განსადევნელად და ჰსძლიაცა, მაშინ მოვიდა მის ზღვათა მეფისა ვაზირი ხილვად ჩემდა, ბრიტანისაგან მოგზავნილი. მოვიწვიე ვაზირი იგი, დავსვი შესაბამსა ადგილსა, და დაიწყო მეფისაგან დაბარებულთა თქმაჲ; რომელსაცა შემოეთვალა ესრეთ: „ჰე, დიდებულისა და მაღლისა მყინვართა მეფისა ძეო ნუშრევან, მოსრულ ხარ კარსა ზედა ჩემსა, და მკლავითა შენითა ჰლამი ულრუბლოჲსა მთოვარისა ჩემისა წაგვრასა. აწ ესე იცოდე, რომე ყრმობითა შენითა დაბმულ ხარ ბნელსა და საფათერაკოსა საქმესა! ნუ თუ გულნაზისა მონადირება ამათთა ველურთა მკეცთა ნადირობა გეგონოსო! ესე დასტურ იცოდე, რომე დაიმწარებ დღეთა შენთა და ქალსა ჩემსა ვერ მიხვდებიო, და უკეთუ კარგი ჭაბუკი ხარ, ხვალე გამოვგზავნი საყვარელსა სპასალარსა ჩემსა რაბიშინს, მას შეები და გამოიცადე თავი შენიო.“ მან გულითადმან ვაზირმან ბრიტან მეფისამან რა ეგე ვითარნი სიტყვანი მომითხრა, მეცა არლა დამყოვნებელმან ჟამისამან შეუთვალე პასუხი ესე; ვითა: „მაღალო მეფეო, ჰსჯობდა თუმცა არა მოვსრულვიყავ კარსა შენსა, და აწ, ვინაჲთგან მოველ, გალანამცა ომი მართალ არს, დია, ღმერთო, გიბრძანებია, და ხვალე მოედანსა ზედა ვინცა დაჰლბების, ჩაშ *), რომე ჭაბუკად არად სახმარ იქმნების.“ ესე სიტყვანი შევჰსთვალე. ვუბოძე ვაზირსა მრავალი და გავისტუმრე. შემდგომად მიველ მათ მეფეთა ძეთა თანა. მომეგებნეს მხიარულნი, გვიმასპინძლეს, გვიძღვნეს მრავალი და გავიყარენით. გარნა ღამესა მას არა მაქვნდა განსვენებაჲ, ვენთებოდი ყრმებრივისა მის აღტყინებულებითა და ველოდი შიკრიკსა მის, დრომდე შუაღამისა საგონებელსა მისსა ვიყავ და ვითარცა დრომონი პელეონსა ზღვისასა ულიმენოდ ქარითა ბორბალითა ეგრეთ ვიღელვებოდი.

*) ჩანს.

აქა შიკრიკის მოსვლა და ზღვათა მნათობის გულნაზისაგან ნუშრევანის დაბარება და ნუშრევანის წარსვლა გულნაზის სახილველად.

ჟამსა შუა-ღამისასა მოვიდა ჩემდა სიხარულად შიკრიკი და მრქვა: „ძეო მეფისაო, ნუღარა ჰყოვნი, მიგელის მთოვარე შენი, გვალე, ვთარებოდეთო." მე თანამდები მაშინ მორჩილებისა მისისა, მყისად აღვჰსდეგ, შევიმოსე უკეთესითა სამოსელითა, წელსა პირ-ბასრი კმალი შევიბი, და გავჰყევ მახარობელსა მას ჩემსა ჩივედით უკანით კერძო მის მტკიცისა გოდლისა, თუმცა იყვნეს კარსა მცველნი, გარნა არა გვესაუბრნეს. შევვლე ბაღი უმჯობესი და აღვედ სრასა შვენიერსა სახლითა თანის-თანითა ნაგებსა. ოდეს წარვჰსდეგ კარსა წინა, მომეგებება ქალი ვინმე ჰრხევითა დია ნელითა, მისალამა, მომიკითხა ტკბილად რადმე უბნობითა და მაწვია შინარე. ოდეს შევედ სახლსა მას, სადა ლომისა ეტლსა ჰსჯდა მზე, შარავანდედ ფენითა, დავჰკრთი სხივითა მისითა და დამებუნდნეს თვალნი; თაყვანის-ვეც გონება მიხდილმან, დავჰსდეგ საურვილთა დიადობითა მთრთოლვარე, და ესე არა მჯეროდა, თუ მზე ქვეყანასა ზედა არა ჩამოსულიყო. ათ-სამმეტისა წლისა იჯდა სამეფოსა პორფირითა, ძოწეულითა და გვირგვინითა ოქროსა დალიჭსა ზედა და მჭვრეტდა იდუმალითა ჭვრეტითა, და აძვირებდა ბალახშისა ბაგეთა უბნობად ჩემდა; წამის ყოფითა ნაზითა ანიშნა ქალსა მას წინა მომგებებელსა ჩემსა, რომელიცა მოვიდა ჩემდა და მთხოვა დაჯდომაჲ, მეცა განაღა თაყვანის-ვეც და დავჰსჯედ. გარნა რაოდენ ვიმეცადინე, ვერ გავუმართე თვალნი მისთა ელვათა კრთომასა. წელი მისი იამანურსა ლელწამსა უწვლილესობდა, და ლაწვთა მისთა პალესტინისა ვარდნი გაეცუდნეს, წარბთა ზედა აბაშთა მშვილდი მოეზიდნეს, და წამწამთა ჯენუისა ზღვის კიდისა სათნი დაეჯოგნეს. ვჰსჭვრეტდი განცვიფრებული, და არა იქმნა ნუგეშინის-ცემა ჩემი; ტკბილად რასმე შემომხედის მის მელნის ტბისა თვალითა, და მლევდა უუბრობითა. ესრეთ დავჰყავ

წინაშე მისსა ვითარ ერთი ოდენ ჟამი და კვალად ქალსა მას წამ უყო; მოვიდა ქალი იგი და მე მრქვა: „ძეო მეფისაო, აწ ჟამი არა მაქვს პირ-მზესა მას შენთანა უბნობისა, და შემდგომსა დროსა მიიღებ მხიარულებასა მისისა ტკბილისა კმის გაცემითაო“. ესე რა მესმა ქალისა მისგან, თუ ჰსთქვა, ცანი სრულნი სამყაროთურთ თავსა დამეცნეს, გარნა რა ძალმედვა! ავჰსდეგ, თაყვანის-ვეც და გამოვლე კარნი ცრემლითა ხშირითა, და ვევედრებოდი ქალსა მას შეწევნასა ჩემსა; რომელიცა მეიმედებოდა ფიცითა მტკიცითა, რომე: „არა დავაკლო ზრდილსა ჩემსა სიტყვანი შენისა შებრალებისათვის და მოვაკლო თვალთა შენთა დენა ეგე ცრემლთა ცხელთაო“. მაშინ მეცა შევჰსძღვენ ფარღული ერთი, მნახავთაგან საქებელი, და ვჰსთხოვე ჩემ კერძო ყოფა. ჩამოვვლე ბაღი იგი, მიველ ჩემსა სადგურსა და მას ღამესა ტირილსა გარე რასა ვიქმოდი! განთიადისა ჟამსა კვალად მოვიდა შიკრიკი იგი ულმობელისა მის მწველისა ჩემისა, რომელსაცა გამოეგზავნა პირ-ბასრი ზუფინი და ესრეთ შემოეთვალა, ვითა: „დღეს შენი და სპასალარისა ჩვენისა ომი იქმნების და, ჩემსა მზესა, კარგად გამეჩვენე, და უკეთუ მას ჰსძლევ, ჯილდოდ მიიღებ კმისა ჩემისა სმენასაო.“ ზუფნი რა კელოვანმან შიკრიკმან მომიტანა და სიტყვანიცა ტკბილნი მითხრნა, კვალად იმედი მომეცა და შევჰსთვალე ესრეთ: „ჰე, უწყალოვო, უკეთუ მაღირსებ კმისა შენისა სმენასა, შენმან მზემან, ადრე იხილო სპასალარისა თქვენისა მიწასა ქვე დაფარვა“. ესე შევსთვალე, წარვიდა მონა იგი და ზე გათენდა.

აქა მეისვართა მეფის ფისუზის ძის ნუშრევანისა და ზღვათა მეფისა ბრიტანის სპასალარისა რაბიშისის ომი.

ვითა ყრმობისა ჟამი და ტრფიალება ერთად შერეული მაწვევდა, ეგრეთ კისკასად შევიჭურვე ყოვლისა სამამაცოსა

საბრძოლველითა, და საყვარელისა ჩემისა გულნაზის გამოგზავნილი ზუფინი კელსა ავიღე, შევჰსჭურე რაზმიცა ჩემი, გავაშლევინე ალამნი და გავეწყევ საომრად. მაშინ კვალად მოვიდა მონა იგი და მრქვა: „ძეო მეფისაო, ნუ თუ სპასალარი ჩვენი ბედითი ვინმე მოლაშქრე გეგონოს, თავმან შენმან, ეგზომ ფიცხელი მეომარი არს, რომე უკეთესობა არღა იქმნების; ხუთნი სპასალარნი უსხენან მეფესა ჩვენსა, რომელთა სწორნი არა ჰნახულან ქვეყანასა ზედა, და მათ თვითოთა ახლავან ას-ასნი ლომ-გულნი მეომარნი ჭაბუკნი, და მათ ხუთთა ერთსა მეორისაგან უმჯობესსა იტყვიან, მრავალთა ბრძოლათა შინა გამოცდილ არიან; შენ ყრმა ხარ და ბრძოლასა შინა გაუვითარებელი. მზე იგი შენი ომისა ჟამსა გოდლისა ლანძვთა გამო დაგიწყებს ჭვრეტასა და, ვითა ჰშვენის ჭაბუკობასა შენსა, ეგრეთ შეებიო.“ ესე მრქვა მის მიერითა შემოთვლილობითა, დამიკრა თავი და მსწრაფლად წარვიდა. რა მონა იგი მიიქცა, მყისად ჰკრეს საომართა საყვირთა, და ერთ კერძო მოჰსდგნენ გარე მყოფნი მეფეთა ძენი, ხოლო მიერით გამოვიდა მეფე ბრიტან და დაჰსდგეს მაღალსა ადგილსა სამეფო ტახტი, დაჰსჯდა მას ზედა და დაისხნა მარჯულ და მარცხულ ოთხ-ასნი დიდებულნი თვისნი ოქროსა სელთა ზედა. მაშინ გამოვიდა რაბიშინ სპასალარი და თანა გამოჰყვნენ ასნი იგი რჩეულნი ლომ-გულნი ჭაბუკნი. მივიდა წინაშე მეფისა ბრიტანისა, თაყვანი-ჰსცა, გამობრუნდა, შემოვიდა მოედანსა ზედა, ცხენი და კაცი სრულად რკინითა შეჭურვილი იყო, და შემომზახა, ვითა: „ახალო ჭაბუკო, გამოვედ და გაჩვენო რაძი ჭაბუკი ვარო!“ თავმან მეფობისა თქვენისამან, თუმცა გენახათ, ამას ჰბრძანებდით, ერთს კაცად უკეთესი არღა ეგებისო! რა იგი ეგრეთ მმუღრაობელი ჩემ ზედა ვიხილე, მეც ფიცხლად ცხენი შევქუსლე, მოედანსა ზედა ნავარდი დავიწყე, ზუფინითა ვიმღეროდი და თვალნი გოდლისა ლანძვთა ზედა მქონდეს. იჩქითად განახვნეს კარნი ლანძვთანი და შემომადგნა ბნელსა გულსა სხივნი მისნი.

მაშინ ესრეთი მხიარულება მომეცა, რომელ, თუ ვჰსთქვა, ყოვლისა ქვეყანისა ძალნი ჩემდა შეკრებილ იყვნეს. კვლა მხიარულმან შევათამაშე ცხენი, მიველ პირის-პირ მის ლაძვისა, სადა მზე ჩემი მჯდომარე იყო, თაყვანის-ვეც, გამოვბრუნდი და შემოუვლეთ ერთმანერთსა ნავარდი. მან პირველსავე შემოტევებასა ზედა შემომძახა და შემომაძგერა ცხენი, რომელსაცა ეგონა თვისითა განგებითა, რეცა ცხენსა და კაცსა ორსავე გაგვქელვიდა, გარნა, თავმან თქვენმან, ესრეთ ვჰსდეგ, ვითა მყარი კლდე. უცემდეს საყვირთა მოქალაქენი და ჰქონდათ კმიანობა დიდი. კვლა შემომიტია კბილ ღრჭენით, შემომიყარა კინენი, ამზიდა გულ-მესისხლედ, გარნა კინენი გაუტყდა, და მე ვითა არა შემომხებოდა-რა, ეგრედ ვჰსჯედ ცხენსა ზედა. კვლა გასწყრა, შემომიტია, შეიმაღლა ლახტი, და ესრეთ ძლიერად დამკრა, რომე საზაროდ კმა იყო. როვერა რაჲ მავნო, მეორედცა ენება, რათა დაეკრა. წავსწვდი, კელი შევჰსტაცე, ცხენსა ზედა შევიძგერენით, ლახტი წავართვი, შორად გავჰსტყორცე კელ-უკუღმა, მოხვდა ცხენისა მისისა თავსა და ერთსა მილსა ზედა ლახტი და ცხენისა მისისა თავი დაეცა. გარდავარდა ცხენით ამაყი იგი რაბიშინ სპასალარი, მოჰგვარეს სხვა უკეთესი ცხენი, შეჰსჯდა და უფრორე გულ-მესისხლედ შემომიტივა, შემომტყორცა საგდებელი, ზე გარდამაცვა, იკრა ცხენსა მათრახი, ეგონა ცხენით გარდაღება ჩემი, ესრეთ ძლიერად განმზიდა, რომე საგდებელი გაუწყდა და ცხენ-კაცითურთ ქვე დაეცნენ; კვლა მსწრაფლად წამოჰხტა, შეჰსჯდა ცხენსა, კმალი მოიწოდა, მომიხდა ვითა განძვინებული ლომი, მკრა მკარსა ზედა, გაჰკვეთა ჯაჭვი ჯავშან ბაბრაბი და კორცად ვერღა მიწია, გარნა მცირედ ოდენ. მერმე დააგდო კრმალი, მოართვეს პირ-ბასრი შუბი. სასტიკად მომმართა და მაძგერა მკერდსა ზედა, ბექთართა სიკეთემან დაულეწა შუბი, და მისგანცა განვერი უვნებელად. მაშინ ვჰსთქვი: „აწ ჰკამს, ღმერთო, ზუფინითა მზისა ჩემისა გამოგზავნილითა კარგისა ნაქმარისა ქმნა, გავიყენე ცხენი, გავაფიცხე,

კელსა ზედა ზუფინი დავიმღერე და შევჰსძახე ბრიტანს, ვითა: „მეფეო! აჰა აწ ჰნახე გაძლება თქვენისა სპასალარისა! შევჰსტყორცნე ზუფინი, მოხვდა მკერდსა, განჰკვეთა პოლოტიკნი რკინანი, ჯაჭვნი, ჯავშანი და ბეჭთა განვლო. დაეცა ჩინებული იგი სპასალარი, და შეჰქმნეს გოდებაჲ მოქალაქეთა, დაუმძიმდა მეფესა და დიდებულთა მისთა. მაშინ ასთა მათ ლომ-გულთა ჭაბუკთა რაბიშინისათა ერთად შემომიტივეს და დამიწყეს ომი ფიცხელი; მოვიკარ კმალსა კელი და, თურე იგინიცა კარგნი ჭაბუკნი იყვნეს, ვიბრძოლეთ მწუხრადმდე; და, მზემან კელმწიფებისა თქვენისამან, ასნივ დავჰხოცენ. ჰკრეს გასაყარსა ნაღარასა, მეფე ქალაქად შებრძანდა და თანა მკვდართა შეიტანდნენ. ჩვენ, გარე მყოფნი, თვის-თვისთა ადგილთა გარდავჰხედით; მოვიდეს ძენი იგი მეფეთანი, მომილოცეს გამარჯვებაჲ, გარნა გულითა არა მოხარულ იყვნეს ჩემსა ევეთობასა ზედა. გავმართე პურობა, გარდავიხადე ნადიმი, უძღვენ მრავალი და წავიდნენ განსასვენოდ. გარნა გონება ჩემი, რომლისაცა მიზეზითა დატყვევებულ-იყო, მას ეალერსებოდა და მას შესტრფოდა. არად მიმაჩნდა ბრძოლისა გარდახდანი. არცარა აქვნდა გულსა ჩემსა საამოვნოდ სხვა რაჲმე, და არცა თვალითა ჩემითა მენება მისგან კიდე ხილვა სხვისა. იგი იყო სამარადოდ სახსოვრად გულისა ჩემისა, მისგან მაქვნდეს ცეცხლებრ მოტყინარეობა, მსურდა სიცოცხლისა ჩემისა მსხვერპლებაჲ, და ნეტარ თუმცა ეგრეთ ქმნილიყო და ცოცხლივ მოშორვებითა მისითა ესრეთ არა დამწვარვიყავ!.

აქა მეისვართა მეფის ძის ნუშრევანისა წინაშე მოსვლა შიკრიკისა მის და ნუშრევანისაგან წარსვლა საყვარელსა თვისსა თანა და შეყრა მათი.

რა ჩემისა სატრფიალოსა საგონებელსა შინა ვიყავ, მაშინ მოვიდა მონა იგი, მალე მსრბლობისა კელოვნებითა გამოცდილი, მისალამა, გამარჯვება მომილოცა და მრქვა: „უსწოროო

ჭაბუკო, მზე შენი, ესე ჯითარსა ძლევასა და სიმკნესა ზედა შენსა დიდად მოხარული, მიელის მისვლასა შენსაო." მე მსწრაფლად ზე აღვჰსდეგ, ზუფინი იგი მისეული კელთა დავიჭირე და გავჰყევ მონასა მას. შევვლე კარი და ბაღსა წინა შომეგება ქალი იგი პირითა მოცინარითა და მრქვა: „ძეო მეფისაო, არა ცუდსა ჯილდოსა მიიღებ ძლევისათვის შენისა საყვარელისა შენისაგანაო". შემიძღვა სახლსა მას, სადა პირველ მეხილვა მზე იგი; გარნა შარავანდედნი მისნი მეოთხესა ცასა ზედა განწესებულსა მნათობსა მას ჰმატობდეს! წარვჰსდეგ წინარე, თაყვანის-ვეც და ვიდეგ განკრძალულ ჟამადმდე. შემდგომად უბრძანა ქალსა მას ჩემის სულისა მიმხდელისა ნაზისა სიტყვითა, ვითა: „ჵე, როადამ, ჰკადრე ახალსა მაგას, სიმკნითა გამოჩინებულსა ჭაბუკსა, რათა დაჰსჯდეს პირის-პირ ჩემსა, ახლორე ჩემსაო". ესე რა უბრძანა შიმუნვარსა მას, მოვიდა როადამ, მომკიდა კელი და დამსვა ბრძანებულსა მას ადგილსა, სადაცა მახვილი პირის-პირეობისა უმეტესად დაჰსჭრიდა გულსა ჩემსა. მოაღებინა ხილნი ტურფანი და ტკბილნი, მით უშვენიერესითა კელითა თვისითა მიბოძა და გამაბედნიერა ვარდისა უფეროვნესისა ბაგისა დაძრვითა, და მიბრძანა: „ჵე, ძეო მეფისაო, პირველსა ხილვასა ზედა ვითარიცა მაქვნდა იმედი, ეგრეთ გამეჩვენეო, და შემდგომად უმეტესობასაცა მოველიო". ესე ვითართა სიტყვათა მიერ განახლებული, ვითარცა ყვავილი ყინვისაგან დამზრალი და მზისა დაახლოებითა განცხოველებული, ეგრეთ მეცა წარმოვსდეგ, თაყვანის-ვეც და მოვახსენე: „ეჰა, აღმოსავალისა მზეო მცხინვარეო, რამცა ვიმაგიერო ნაცვლად მოწყალებისა ამის თქვენისა, რომელიცა მაღირსეთ მე! გარნა ვითარცა ღმერთნი მიანიჭებენ მოკვდავთა ცხოვრებასა სასიხარულოსა უნაცვალგებოდ, ეგრეთვე ესე მოწყალება მოიღეთ ჩემზედა, რომლისათვის გაღმერთებთ თქვენ". ხოლო მან კვალად მიბრძანა, ვითარმედ: „წყლულებისა შენისათვის ვიღმობ მე, და აჰა კელთა ჩემთა ნაჭერი მანდილი მიიღე, რომლისა შეხვევითა

უადრეს განიკურნებიო“. მე გალანამცა მოხარულმან ჩამო-ვართვი და მოვახსენე: „Ⴊე, მთიებო, თუმცა ათასი სული მედგას, ყოველსავე სიხარულით შევჰსწირავ, და ამისთვის რად ჰსწუხხართ თქვენ, რომე მცირე სისხლისა ჩემისა წვეთი, სი-ყვარულისა თქვენისათვის დაითხია, სისხლი იგი სამამაცოსა ამას მოედანსა ზედა წინაშე ყოვლისა ერისა კმა-მაღლად ღა-ღადებს ჩემსა თქვენდამი დამონებასა, და უკეთუ ერთი ოდენ ნაყოფი სურვილისა ჩემისა მაღლისა ბრიტან. მეფისა ასფადე-ლოსა ზედა აღმოვამორჩე, ამისთვის ვითხოვ მოტევებასა თქვენ მიერ, გარნა, ვფუცავ თავსა შენსა, რომელსა მიცხადებს მე სრული სურვილი ჩემი, რომელ მოედანი ესე მამისა თქვენისა მრავალთა ეგე ვითართა ნაყოფთა განიცდის შეწირულთა უში-ნაგანესისა გულისა ჩემისა მხურვალებითა და უკეთუ მე შე-მიდგინონ სხვათა კვალსა, მაშინ უმეტეს მხიარულ ვიყო სუ-ლითა, მით რომე შენთვის მოვჰკვდები მე.“ რა ესე ვითარნი სიტყვანი მოვახსენენ, მაშინ მანცა მიბრძანა მადლობაჲ და დამიწყო ტკბილად უბნობაჲ, მაწვევდა სიყვარულსა თვისსა ზედა დამტკიცებასა, რომელმანცა შევფიცე მზითა თვისითა, რომე სიცოცხლესა შინა ჩემსა არა დავაგდო სურვილი მისი, და თანა შთავიტანო საფლავად სიყვარული მისი, რომელმან-ცა მიმაგიერა მე ფიცითა მზითა, მთოვარითა და ცითა, რომე ჩემსა გარე სიყვარული კორციელისა არა იქონიოს და ჩემთვის დაცვას თავი თვისი. ესე ვითარსა ჩემსა განმაცხოვე-ლებელსა უბნობასა შინა დავჰყავ ვითარ სამი ჟამი, გარნა თუმცა მღირსებოდა ათასი წელი მასთანა ყოფისა, ჩემგან ერთს წამადცა ჯრა შეირაცხებოდა! მიბოძებდა ტკბილთა ხილ-თა ნათლითა და უტკბილესითა კელითა თვისითა. გარნა ვაჲ ამით, რომე მე უბედურმან ვერა გავბედე კოცნა შვენიერთა მათ კელთა! ახლოს ყოფითა ვილეოდი და ოდეს მოვშორდი, სულიცა ჩემი მასთანავე დაშთის, რაბამ მწარე არს ჩემთვის აწ ნაზთა თქმულთა მისთა უბნობაჲ ჩემგან და მოგონება მათი! გარნა, უდიდებულესო კელმწიფეო, მომიტევე, მეტსა სიყვა-

რულსა შიში არღა აქვს. კვლა დავჰყავ მუნ ვითარ ერთი ჟამი. თუმცა მოშორვება მისი ჩემთვის დასამძიმებელი იყო, მაგრამ დრო მოვიდა განთიადისა, აღვჰსდეგ, თაყვანის-ვეც და ამბორის ყოფით დავებაგე ოქსინოსა მას, რომელსა ზედა მთოვარე იგი მჯდომარე იყო. რა ჩემგან ეგე ვითარი სურვილი იხილა, გაღიმებით მიბრძანა: „ვიცი, გესწრაფების ბალახშისა უმჯობესთა ბაგეთა ჩემთა კოცნა, გარნა ოდეს სპასალართა მამისა ჩემისათა ჰსძლევ, მაშინ არა უნაწილო დაშთები სურვილისა შენისაგანო“. ესე რა მესმა, მწარედ აღმოვიოხრე და მოვახსენე: „მთიებო ნაზო, ნეტარ თუმცა პატრონი მამა თქვენი ყოველთავე მეომართა თვისთა ერთსა დღესა შინა შემაბემდეს, ანუ მომკლან და ანუ მივემთხვიო მას, აწ რომელიცა მიბრძანეთ თქვენ!“ მან მოხსენებასა ჩემსა ზედა ტკბილად რაღმე განიღიმნა და მიბრძანა: „ჵი ნუშრევან! მებრალე-ლები, გარნა რაოდენ მოითმენ, ეგოდენ სიყვარულიცა შენი გულსა ჩემსა მოემატებისო“. ესე ბრძანა და, ვითა ჟამი ითხოვდა, გავიყარენით. მიველ სადგომსა ჩემსა, მცირედ მოვისვენე და დილასა ადრე ავჰსდეგ, ვაახელ კაცი მათ მეფეთა ძეთა და მოვიწვიე სადილისათვის. მას დღესა არა აკლდარა ჩემსა მხიარულებასა მით, რომე ვჰხედევდი საჩემოდ საკუთრად მას შვენიერსა ედემისა ნაყოფსა. ჟამსა თვისსა მოვიდნენ იგი მეფეთა ძენი, დაუგე პური, ვამხიარულე და ესრეთი ნადიმი გარდავიხადე, რომე ყოველნივე აქებდეს, ვითა სანოვაგეთა და საკმართა სიმრავლით პერპერაობასა *), ეგრეთვე გულკეთილობით ზრდილობასა ჩემსა. მაქვნდა ჟამი განცხრომისა. უძღვენ ყოველთა დიადი, და აღვავსენ მიცემითა მუნ მყოფნი, რომლისათვის განადიდებდეს სიუხვესა გულისა ჩემისასა და ჰნატრიდეს ეგე ვითარად მწვრთელსა ჩემსა.

*) პერპერაობა ფულის (პერპერის) დარიგება.

აქა ზღვათა მეფისა ბრიტანის ვაზირისა მოციქულად მოსვლა წინაშე მყინვართ მეფის ძის ნუშრევანისა ნადიმსა ზედა.

მასვე მხიარულებასა ზედა მოვიდა ვაზირი მის ზღვათა მეფისა ბრიტანისა, და შემოეთვალა ესრეთ, ვითა: „მყინვართა მეფის ძეო ნუშრევან! მოხვედ ქვეყანასა ჩემსა და მოჰკალ სპასალარი ჩემი თვისითა გუნდითა, განამწარე გული ჩემი მოქმედებითა მაგით შენითა, და აწ პირი არს, რათა ხვალე შენ და სპასალარი ჩემი ბანგასპ შეიბნეთო.“ ამისმან მსმენელმან მოვალებინე ძვირფასი ტანისამოსი და შევმოსე ვაზირი იგი, ვაჩუქე მრავალი, და ესრეთ შეუთვალე პასუხი: „მეფეო, რაცა გიბრძანებია, მართალ ხარ ყოველსა ზედა, მე ომსა ვერა შემანანებ და, თუ გწადს, ყოველნივე შენნი სპასალარნი ერთად შემომაბი და ჰსცნობ კლმისა ჩემისა ნაკვეთიანობასა“. ესე შევსთვალე და გავისტუმრე ვაზირი იგი. ჩვენ კვლა ვსვით მრავალი და გავიყარენით.

აქა ზღვათა მნათობისა გულნაზისაგან სამამაცოსა საჭურველისა გამოგზავნა მტრფიალსა თვისსა ნუშრევანსა თანა შიკრიკის მორეს კელთა განთიადისა ჟამსა.

ლვინო სმულმან რა განსვენებასა მივეც თავი ჩემი, ძილითა მოვიქარვე სასმელთა მეტოვნებანი, და მყისად მოვიდა შიკრიკი მორე, რომელმანცა მომიტანა ჯაჭვი, ჩაჩქანი, კელნავი, ბაბრაბი, თორნი და პოლოტიკნი რკინანი, საყვარელისა ჩემისაგან ბოძებული, და ესე შემოეთვალა: „ძოლან საჭურველმან შენმან შეგაწუხა, რომელიცა ჩემდა სალმობელი იყო, და აწ ამა ჩემეულითა საჭურველითა შეიმტკიცე გვამი შენი და, ჩემსა მზესა, კარგად გამეჩვენეო“. მე, ვითა მმართებდა, ეგრეთ მადლობა მოვახსენე და შეუთვალე: „აჰა, მნათობო, თქვენეულითა საჭურველითა მმართებს სახელოვანისა სა-

ქმისა ქმნაჲ, და ვინაჲდგან გნებავს მამისა თქვენისა სპასალართა აღსწყვედაჲ, დია ღმერთო, შევასრულო ბრძანებული თქვენი". ვაჩუქე მრავალი შიკრიკსა მას მორეს და გავისტუმრე მხიარულებით.

აქა მეინვართა მეფის ძის ნუშრევანისა და ზღვათა მეფისა ბრიტანის სპასალარისა ბანგასპის ომი და ნუშრევანისაგან ძლევა.

ოდეს მონა იგი მორე წარვიდა, მასვე ჟამსა ჰკრეს საომართა საყვირთა და გაეწყვნენ მოქალაქენი თვის-თვისთა ადგილთა; გამობრძანდა ბრიტან მეფე და დაჰსჯდა განწესებულსა ტახტსა ზედა; შეჰკრბა ყოველი ერი და ელოდნენ განსვლასა ჩემსა; მაშინ მეცა შევიმოსე საყვარელისა ჩემისაგან ბოძებული საჭურველი, დავაწყე რაზმი ჩემი, და განვედ მოედანსა ზედა. მოვიდნენ იგი მეფეთა ძენი. ვიბრუნებდი თავსა ზედა ზუფინსა და ვიმღერდი საბრალოსა სიტყვითა, მიმზერდა ყოველი იგი ერი, გარნა თვალნი ჩემნი იყვნეს საგანსა მას ჩემსა ზედა. მაშინ შეიქმნა კმა რაჲმე განძლიერებული და ჰკრეს უმეტესად დაფსა, ტაბლაკსა და ყვირო სტვირ-ნაღარათა, და გამოვიდა დიდით რითმე ზარითა და ზეიმითა სპასალარი იგი ბანგასპ მრავლითა თანა მყოლითა გუნდითა, ზე იჯდა ლურჯსა ტაიჭსა, ლურჯითავე რკინისა საჭურველითა შეფარული და სიმაღლე მისი იყო ყოველსავე ზომასა კაცისასა უმაღლესი; შემოვიდა მოედანსა ზედა, მეფესა თვისსა თაყვანი-ჰსცა, გამობრუნდა და პირ-ქუშად რაღმე ჭყირტად ლაპარაკი დაიწყო და მე შემომძახა, ვითა: „გამოვედ, მკვლელო თავისა შენისაო, რათა ამასვე დილასა შინა შეგახვედრო მამისა შენისა გამამწარებელსა სიკვდილსაო". ესე რა ჰსთქვა, ფიცხლად მშვილდი მოართვეს და დაიწყო სასტიკად ისართა სროლაჲ. მე ხუთ-კეცი ფოლადისა ფარი კელსა მივიეც და ხილითა მისი კაპარჭი სრულად დავაცლევინე. რა თვისთა

ისართა ურმელო შეიქმნა დიდი იგი ბანგასპ, ვითარ ცამან იქექა, შემომიტია და ხმალსა ჴელი მიჰყო, ჰგონებდა შუა განკვეთასა ჩემსა, მკრა ჩაბალახსა ზედა ძლიერად, და ნატეხი კლმისა კოტითურთ კელსა შერჩა. ამისი მხილველი ბანგასპ უმეტესად განრისხდა. მოართვეს ფოლადისა აფთი, შეიმაღლა, ფარი მივაგებე, მოხვდა აფთი ფარსა, ფარი შუა გაჰკვეთა და აფთიცა გაუტყდა; მაშინ მეცა განვრისხდი, შეუტივე ხმალ მოწვდილმან, გარნა კმალი შორად განვჰსტყორცე, მივჰყავ კელი სარტყელსა, მოვჰხადე უნაგირისაგან, მივიტანე და წინაშე ზღვათა მეფისა ესრეთ დავეც ქვეყანასა ზედა, რომე სული კორცთაგან მყისად განეშორა. რა იგი მოვჰკალ, მაშინ დაჰკივლეს გუნდთა მისთა და ერთობით შემომიტიეს. შევხედე ლანძვთა კერძო, და ვიხილე სიცოცხლე ჩემი გარე გარდმომდგარიყო; მისითა ხილვითა, ვითა უსუსური მეფარახისა მილებითა, ეგრეთ განვძლიერდი, და შეუტიე მეცა მათ ჩემთა მოკამათთა, ვითა ტრედთა სიმრავლესა შავარდენმან, დავჰკოცე და ამოვჰსწყვიტე, რომე ერთიც ვერღა განმერა. და მესმოდა ლანძვთა გამო კმა რაჲმე შაბაშ-შაბაშობისა. შეიქმნა მწუხრი და დაჰბერეს გასაყრელთა საყვირთა. მიველ რაზმთა ჩემთა თანა, მომეგებნეს დიდითა მხიარულებითა და მილოცვიდიან გამარჯვებასა. შეველ, გავმართე პურობა, და მას ღამესა გავათენე ყმათა ჩემთა თანა ნადიმითა, მხიარულებითა, და ალვავსენ სპანი ჩემნი ნიჭითა და ბოძებითა.

აქა ზღვათა მეფისა ბრიტანის მოციქულის მოსვლა წინაშე მეინვართა მეფის ძისა ნუშრევანისა.

მეორესა დღესა მოვიდა მოციქული მის ზღვათა მეფისა ბრიტანისა; და შემოეთვალნა მკვახენი სიტყუანი, ვითა: „ძეო მეფისაო ნუშრევან! მებრალების ჭაბუკობა შენი და ნუ შეშოადებ ქვეყანასა ჩემსა სისხლსა შენსა. მამასა შენსა შენგან

კიდე არავინ უვის, არცა წიგნითა ვიცი რაჲმე მისგანი. ნუ მოიკლავ თავსა შენსა, მით რომე არავის ძალ-უძს კაცობრივითა გულოვნებითა თვალთა ჩემთა ნათლისა ზღვათა მნათობისა გულნაზისა შოვნაჲ, და შენ მკლავთა შენთა ძლიერებითა ვერ მიემთხვევი სურვილსა შენსა, და მოჰკვდები გზასა ამას ზედა, მოვედ ახალო, ჭაბუკო, ისმინე თხრობილნი ჩემნი, დაგდე საქმე ესე კელთაგან შენთა და გარე უკუნ იქეც ქვეყანასა შენსა მშვიდობით, გარნა უკეთუ არა მისმენ მე, რაოდენსაცა სინანულსა შეხვიდე, ქედმან შენმან იზღვიოსო."

ესე მოციქულობა რა დაასრულა დესპანმან მან, დავსვი ოქროსა სელსა ზედა, მოვიკმე მწერალთა უხუცესი და ვუბრძანე ზღვათა მეფისა წინაშე წიგნისა მიწერაჲ.

აქა მეინვართა მეფის ძის ნუშრევანისაგან ზღვათა მეფესა თანა წიგნის მიწერა

მიუწერე ესრეთ, ვითა: „მეფეო, ცამცა ჰბრუნავს ნებისაებრ შენისა და ქვეყანა გიუხვებს ნაყოფთა იეფობასა, ნუმცა მოგეშლების ბრძანებისა ძლიერება, მკლავნიმცა შენნი მოსრვიდენ მტერთა შენთა, და გული შენი სიმართლით სწორსა სამართალსა იქმოდეს, რაზომცა მაღალი კელმწიფება მოუნიჭებია განგებასა, ეგრეთცა სიმდაბლე და გონებისა ვრცელობა გშვენის. აწ ესე მიბრძანე, რაჲ შევჰსცოდე მეფობასა თქვენსა ანუ რაჲ დაუმძიმე ქვეყანასა ამას! მოვედ სამფლობელოსა დიდსა, მსუროდა პატივისცემაჲ თქვენი, და ამას ვგონებდი, რომელ ესრეთ მიმიღებდით, ვითარცა ჰშვენის დიდებულსა ტახტსა და სახელსა თქვენსა; გარნა, მეფეო, მოსვლასავეთანა ჩემსა, ვითარცა აღმაოხრებელსა ქვეყანისა შენისასა მომიხდევენ სახელოვანი სპასალარნი შენნი და გწადდა სიკვდილი ჩემი, გარნა მაღალმან კელმან მოჰსცა ძლევაჲ მკლავთა ჩემთა, და დავჰსცენ საყვარელნი სპასალარნი შენნი წინაშე თვალთა

თქვენთა, და აწ, მეფეო, ვინაჲთგან თჳთ მიზეზითა თქვენითა ვარ მესისხლე და არა გნებავს მოყვრობა ჩემი, მეცა მმართებს გამოცდაჲ თავისა ჩემისა. ნუ თუ შესაბამი შვილი ვიყო დიდებულისა მამისა ჩემისა და მე არა ვიცოდე ესე. მეფეო, ვიცი, რომე ახლავან დიდებულსა მპყრობელობასა თქვენსა უთვალავნი მეომარნი, და გარეგანცა მოგდგომიან ძლიერნი მებრძოლნი, და ამისთჳს მსურს ამას საგმიროსა მოედანსა ზედა სახელოვანთა საქმეთა მოქმედებაჲ, და უკეთუ მოვკვდები სახელისათჳს გულნაზისა, ათასიცა სიცოცხლე მაქვნდეს, სიხარულით შევსწირავ მას გულისა ჩემისა ჴელმწიფესა, რომლისაცა ბრძანებითა ვჰსდგა მოედანსა ამას; მეფეო, სიკვდილისა ჩემისათჳს ნუ იურვი, და ვერცა შემაშინებ მაგა ამაოთა ქადილითა, უკეთუ ბრძანებისაებრ თქვენისა ვერ მივემთხვევი საყვარელსა ჩემსა, არცა მე მინდა უმისოდ სიცოცხლე ამას საწუთროსა შინა. მეფეო, ესე არს მართალი პირი, რომე ვიდრე სული ჴორცთა ამათ შინა მიდგას, არავის ძალუძს გულნაზისა სიყვარულისა გულისაგან ჩემისა აღსპობად, და ვინცა ეცდების წართმევასა მისსა, ვეჭვ, მრავალსა განმწარებასა მისცეს თავი თჳსი. აჰა მეფეო, ამა პირსა ზედა ვჰსდგა და რაჲცა გნებოს იგიცა ჰქმენ." ესე წიგნი დავბეჭდე, მივეც მოციქულსა მას, ვაჩუქე მრავალი და გავისტუმრე, რაჲცა წერილითა მით შევსთვალე და ენითაცა ვეუბნე კაცსა მას ზღვათა მეფისასა, გულიცა მემოწმებოდა მით, რომე რავდენთამე დღეთა წარვლითა, ჩემისა სატრფიალოჲსა ბრალისა მსმენოდა; და ესე სევდა მაწვა გულსა ზედა და ღამე იგი განვატარე აბზინდისა უმწარესითა ჟამებითა, და ოდეს მზემან მოჰფინა ნათელი პირისა თჳსისა ქვეყანასა ზედა, მაშინ მეცა, მრავალთა გვარად მფიქრებელი, აღვსდეგ, შევიმოსე და ვახელ კაცი მათ მეფეთა ძეთა, მოვიწვივნე პურსა ზედა, რომელთაცა მიეღოთ თხოვა ჩემი და მოვიდნენ მხიარულითა პირითა. გავმართე პურობაჲ და გვქონდა მხიარულებაჲ, ვითარ იგი ჰშვენის ერთისა სატრფიალოჲსა მტრფიალთა. დავმატე გაცემაჲ

გაცემასა ზედა, და ვმეცადინობდი, რათა არა დამჩნეოდა გარ-დამატებულითა სურვილითა გულნაზისათა მწუხარებაჲ, რო-მელსაცა მეტყოდა გული ჩემი, და ამისთვის ვიყავ დიდსა მომჭირნეობასა შინა.

აქა კვალად მოსვლა ზღვათა მეფისა ვაზირისა მოციქულად წინაშე მეინვართა მეფისა ძის ნუშრევანისა.

მასვე მაემნობასა ზედა მოვიდა ვაზირი ბრიტან მეფისა წინაშე ჩემსა, და შემოსთვალა ესე პირი, ვითა: „ნუშრევან, დღეს განესვენე მაგა სტუმართა შენთა, და ხელი შენი, და გალიისა მეფისა ბურბონის ომი ჯერ არსო". ამა შემოთვლი-ლობასა ზედა გამხიარულდა მისი მეგობრის დიდებულება ბურ-ბონ, და, ჰგავს, რომე სწადებოდა ბრძოლაჲ ჩემი მას მეფესა, მით რომე პასუხი მან შეუთვალა ესრეთ, ვითა: „მეფეო, ვინადგან გიბრძანებია, ომსა აღარა წინა უდგასო, და ხელი გაჩნდების, ვინცა ღირსი იქმნების თქვენის ასულისაო". ეტყო-ბოდა, რომე მესისხლე კაცი იყო. მოციქული მის მეფისა ბრძანებასა ზედა კმაყოფილ იქმნა, მე სხვაცა რაღასაღა ვიტყო-დი! ვაჩუქე მრავალი ვაზირსა და წარვიდა. ჩვენცა ვსვით კვალად და განვიყარენით. მე ველოდი და სული მკრთებოდა ჰამბისათვის სასურველისა ჩემისა.

აქა ზღვათა მხათობისა გულნაზის მიერ მეინვართა მეფისა ძის ნუ-შრევანისა მიწოდება, ურთიერთისა ხილვა, ტკბილად უბნობა და გულ-ნაზისაგან ნუშრევანისა წურთსა და შეჭკობება.

ჩემსა მას მგონებლობასა შინა შემოვლო ჩადრთა კარნი გონიერმან მან მონამან მორე, თაყვანის-მცა და მრქვა: „ჟამი არს, გიწვევს პატრონისა ჩემისა ასულიო". მე მისითა ცეც-

ხლითა გაალებული, მსწრაფლად ულკჰსდეგ და შეუდეგ კვალსა მისსა, შევიარეთ სრათა კარნი, ქალი იგი მომეგება მითვე წესითა თვისითა, კელსა კელითა მომჰკიდა და შემიყვანა, სადა მინა *), რა შევჰხედე, შუქი მისი გულსა ზედა მომეფინა, გალა-ნამცა ხილვა მისი, ვითა მწადდა, მომელხინა. ქვე დაფენით თაყვანის-ვეც, სხვა არღარა მათქმევინა, ჰგვანდა, ადრევე მიეცა ქალისა მისთვის ბრძანებაჲ მას მჭვრეტელთა დამადნობელსა; ეჰა მოულოდებელი ჟამი იგი ჩემთვის, რომე მიმიყვანა და გვერდსა მომისვა ეგიპტისა მას სიტკბოებისა მომცემსა ლელ-წამსა, ზილფნი მისნი, ქამანდ ქმნილნი, გულსა ტყვე ქმნილსა მომეხვივნეს. ნარგიზთ გარე მდგომ დარაჯნი კელს შემკვრელად მომესივნეს. ვჰფუცავ, უჯობს მზესა, თუმცა ელვაჲ მისი განისხივნეს. შვიდთა ცთომილთ იგი ჰნახეს, ვეჭვ, ცად ამად აიზივნეს! თვალნი სხივთა მისთაგან დამეფახვნეს, გული მოფრიალებდა ვითა თულუნისა ბრჭალსა ქვეშე მყოფსა კოკობსა, ცნობანი სრბით გამეცალნეს, და არა ვიცოდი, რასა გლახ ვიქმოდი. რა ჩემი ესრეთ განკვირვება იხილა მან სურვილისა ჩემისა საგანმან, შეებრალდი, კელით კელი დამიჭირა და მიბრძანა: „ნუშირევან! აჰა, მზემან შენმან, საწადელი შენი აღგისრულე, რასაღა ფერთა მიდამო იქარვებ და იაჯიო“. როდეს უნაზესნი სიტყვანი მისნი ესმნეს სასმენელთა ჩემთა, ყოველნი საგრძნობელნი ჩემნი განცხოველებისა მონაწილეობასა შევიდნენ, და მაშინ ვჰსცან, რომე სასურველსა ჩემსა ადგილსა ვჰსჯედ. კელი მისი პირსა ზედა ჩემსა დავიდევ, თვალთა ვისვევდი და, ვითაცა მმართებდა, ეგრეთ ურიცხვად მას ბრილიანტებრთა თითთა ვჰკოცნიდი და სხვად აღარად მცალდა. სიცოცხლე განმიახლდა, თვალნი განმინათლდეს, საყნოსელნი განმისუნნელდეს, და ეგრეთ ვიქცეოდი, ვითა განდიდებულსა სურვილსა და ახალ მოყმეობასა ჩემსა ჰშვენოდეს; მაშინ დავჰსძრნა უკვდავებისა იგი ბაგენი ხშირად უბნობად ჩემდა,

*) სადაცა მინდოდა.

სიცოცხლისა ჩემისა მრავალ სუნ-ფეროვანმან წალკოტმან და მრქვა: „ახალო ჭაბუკო, თუმცა გმართებს მტრფიალსა ჩემსა ქებე კელობა და შეფრფინვით ალერსი, გარნა აწ დაწყნარებულმან ისმინე თქმანი ჩემნი: წიგნი შენი მიელო პატრონსა მამასა ჩემსა, რომელი თვით მეცა ვიხილე, და მით უმეტესად დავამტკიცე ჩემი შენგან სიყვარული. ნუშირევან, ესე არის განზრახვა მამისა ჩემისა, რომე არა ჰნებავს სიძეობა შენი, მით რომე ამას ჰბრძანებს: „უკეთუ იყოს ნება მამისა მისისა, მთხოვდა იგი და არა ძალ-მედვა უარი მისი." ამისთვის მიგზავნის შიმუნვართა მესაიდუმლოესა თვისსა, რათა შევსცვალო გული ჩემი შენზედა, და გავსტეხო ფიცი იგი, რომლითა მიფიცავს მე მაღლისა ცისათვის; გარნა პატრონი მამა ჩემი ვერა მიიღებს ჩემგან ნებასა ამას ზედა, და დიდებულისა მას მეფესა ჰმართებს ურჩებისა ჩემისათვის რაჲცა განიზრახოს რისხვა ჩემზედა, გარნა მე გარწმუნებ სინაზითა ჩემითა, რომე ვერცა რისხვა მამისა ჩემისა და ვერცა მეხნი ცისანი ვერა განმაშორებენ სიყვარულისაგან შენისა; და რაჲცა გმართებს ნაცვალ-გება გულისა ამის ჩემისა, იგი შენ იგულკმე, ნუ დამთმობ მე წუხარაჲსა შიშისათვის, და აჰა ბაგე ჩემი მოწამე, განიმხიარულე გული შენი დაკონებითა ამათზედა, და სადაცა ახლად ფურჩნილთა ვარდთა იხილვიდე მოიგონებდე ჟამსა ამას, რომელსა შინა ბედნიერ გყავ შენ, და, უკეთუ დამთმო მე, დაჰსჭნეს შენიცა ახალი ყრმაობა ადრე, ვითარ ვარდსა აქვს მოკლე დღეობა". ესე რაჲ მესმა გულნაზისაგან, მრავლითა კრძალვითა შეუქმენ დაკონებაჲ უსასყიდლოთა მათ ძვირფასთა ბაგეთა. ქარვის ფერ ქმნილთა ბაგეთა ჩემთაგან, და აღმოვიწვდიდი უკვდავებითა მათ გამო სიცოცხლისა ჩემისა ძალთა; ვჰსტკბებოდი საწადელითა მათ მიდამოთაგან, და განვჰკვირდებოდი სიტკბოებითა მათგან. ოჰ, განგებაო, რასა ვამსგავსო ჟამი იგი, რომელსა შინა სიხარული ჩემი მრავლობდა, სვე ჩემი ბედნიერებისა ჩემისა ჩინგსა უკრევდა, გული ჩემი იშვებდა, და გონება ჩემი გაბრწინდა

იადონთამებრ მრავალ ალერსით მას დაჰსჭიკჭიკებდა. ჵი, უდიდებულესო და ცათა სწორო კელმწიფეო, ვინაჲთგან ინებეთ გარდამატებულითა მოწყალებითა თქვენითა სმენაჲ ჰამბავთა ჩემთა, ნურღა დაგმობთ დაუფარავად სიყვარულისა ჩემისა წარმოჩენასა ზედა, ესრეთსა შვებასა შინა მყოფი განვიცდიდი უნჯზესთა სიტყვათა-მიერ მრავალ გვართა რჩევისა მოცემათა-მისგან, და ესეცა ზედა დაურთო, ვითა: „გალიის ქვეყანისა ერნი არიან ყოველნივე გულ-გრილნი, დაუნდობელნი, მზაკვარნი, მაცთუნებელნი, პირ-უმტკიცონი, ცრუნი და მძლავრნი, ყოვლით კერძო უსამართლონი, თუმცა იციან ღმერთი ცისა, გარნა განრყვნილნი გონებითა მისგანცა განშორებულ-არიან, ყოველი სასირცხვილო საქმე სახალისოდ და სასიქადულოდ მიაჩნიათ, რაჲსაცა მათი სარწმუნოება უბრძანებს, არცა ერთსა არა დაიცვენ და თვით თავისა თვისისა ჰსჯულ-არიან, მინდობილთა ქვეყანათა და ერთა ჰსტანჯვენ და მოექცევიან ტირანთა უტირანესად, ამისთვის საძულველ არს სახელისცა მათისა ხსენება ჩემგან, და აწ უმეტესად ვემართლები ძულვასა, მით რომე დაუქადია ბურბონს სიკვდილი შენი და სპათა შენთა აღჰსწყვედაჲ, ამისთვის გაფუცებ სიყვარულსა ჩემსა, რომე რაცა მას საყვარელსა ჩემსა ზედა დაუქადია, ხვალვე თავსა მისსა და სპათა მისთა აღუხდინო და გული ჩემი მით განმხიარულო, გარნა ეფრთხილდი, რომე მუხთალნი და მომაცთუნებელნი არიან ბრძოლასა შინა ლაფლად არა რაჲ გავსნონო“ და ესე ტკბილნი ბრძანებანი დაასრულნა, კვლა ასი ჯერისითა ჩაკონებითა ჩავიშაქრენ ბაგენი ჩემნი, და მოვახსენე მადლობაჲ მოულოდებელისა მის მოწყალებისათვის, აღუთქვი ხვალისად ბრძანებულისა მის აღსრულებაჲ. დრომან დამირეკა და ნეტარ თუმცა დროსა მას არა განვეყარე! დავეკონე და კვლა დავიგემენ ბაგენი მისგან სიტკბოებისა აღმოწოვითა, არა მწადდა, გარნა მანვე მიბრძანა: „კარგი სტუმარი ხარ და ამად ნუ დამძიმდები, რომე ჟამი გვწვევსო“. აღვსდგე, თაყვანის-ვეც და წარმოვედ დაჭმუნვებული, გამო-

მყვა ქალი იგი კარსა გარე, და შევაბრუნე ტკბილითა თურ-იანითა. შიკრიკი მყავს მოგზაურად, მომყვა იგი ჩადრსა ჩემსა, მას ვუბოძე საჩუქარი რაიცა ძალ-მედვა მწირსა და მხედსა: ერთი ხელი კაპურველი მას მსახურსა სამიმდემსა; ერთი ცხენი ალკაზმული, აქებს ჩემსა მინაცემსა. წარვიდა მონა იგი მორე ჩემგან მომადლიერებული, და მე მიწოლით მცირედ მივიძინე, და კვალად მოვიდა მორე, ესე ცხენი მომგვარა და მრქვა: „საყვარელმან შენმან ესე ტაიჭი გიძღვნა და გინუკვის და-ქადებულისა აღსრულებასა“: თავმან დიდებულისა კელმწიფე-ბისა თქვენისამან, ესრეთ მიამა, რომე, თუ ვჰსთქვა, მკვდარი განვჰსცოცხლდი. მას შიკრიკსა ერთი ჯამი სავსე ძვირფასითა სპეკალითა ვაჩუქე, მზესა ჩემსა მადლობა მოვახსენე და გავი-სტუმრე მონა იგი;

აქა დიდი ბრძოლა გალიის მეფის ბურბონისა და სპათა მისთა მეინ-ვართა მეფის ძის ნუშრევანისა, და ეგროსის ძის ლარასი და სპათა მათთა ერთობით და სასტიკი კვეთება მათი

მეტმან სიხარულმან ძილი თვალთაგან მსრულად განმიდევნა-ის ზე განთიადისა შეიქმნაო მაშინ იწყეს ბურბონ მეფისა კერძო საკრავთა დგრიალი, და გალანამცა სპანი ჩემნი მეცა განვემზადე: განვაწყე დას-დასობით და განვაწესენ დასის თავ-ნი, და ამათ ყოველთა თავად და მბრძანებელად უჩინე საყვა-რელი, ერთგული ჩემი, ბურისა ვაზირისა ეგროსის ძე, ლარა, რომლისაგან უფროსად თავისა ჩემისა მოიმედე ვიყავ, და ვამცენ მათ ყოველთა, რათა „ოდეს სპათა ბურბონისათა ჰყონ შემო-ტევება ჩემი, მაშინ, ვითა მოველი ჰაბუკობისაგან თქვენისა, ეგრეთ გულ-ლომად იყვენით“. შემდგომად მცირედისა ჟამისა გამოვიდა ბრიტან მეფე და დაჰბრძანდა ადგილსა თვისსა ჩვეუ-ლებრივითა წესითა, და დაისხნა დიდებულნი თვისნი. შეიქმნა მოქალაქეთაგან ზარისა მოსამატებლად სხვა და სხვათა საკრავ-

თა კმიანობანი, და ზედა გამოვიდა მეფე იგი გალიისა ბურბონ, და თან მოჰსდევდნენ თვისნი ათასნი რჩეულნი ქველნი ჭაბუკნი, და უკანა შეუდგა შვენიერითა, რითმე დაწყობილებითა ას-ორმოცდა-ათი ათასი მეომარნი, მოვიდნენ და დგჰსდგნენ მოედნისა კიდესა საწადელითა განკარგულებითა. შემოიგდო ბურბონ მეფემან ცხენი მოედნისა საშუალსა, და დაიწყო ოროლითა მღერა, დაჰყურებდა ყოველი ერი და იტყოდეს: „არა არს უკეთესი ჭაბუკი ქვეყანასა ზედა, და ჰშვენისცა ზღვათა მნათობისა მეუღლეობაო“. მე კაცადეც ვითარ ერთი ჟამი, ნავარდობდა შუბითა, იმღერდა, და ელოდა განსვლასა ჩემსა; მაშინ მცირედრე შეწყენილი მისისა ეგოდენისა ქებისათვის, მეცა შეველ მოედანსა შინა, და გავიყოლიენ ცხენნი მრავალნი, მით რომე ვინაჲთგან იყო ბურბონ მეფე ოროლითა მომღერალი, ამისთვის საკმარ იყო ცხენთა მრავალთა გაყოლა. ოდეს მეფემან ბურბონ მნახა მოედანსა შესრული, მყისად დააგდო ოროლი და მშვილდი კელთა მიიცა. მივმართეთ ურთიერთსა და შემოუვლეთ ნავარდი თურე ესრეთი მშვილდოსანი იყო ბურბონ მეფე, რომე თუმცა მყარისა მთისათვის შეეტყორცა, მასცა შიგან გაატარებდა. გარდახდა ცხენით ბურბონ, ცალსა მუკლსა ზედა დაიჩოქა და ესრეთ ფიცხელად მოზიდა მშვილდსა, რომე გოზა გოზასა მიუტანა, შემომტყორცა და დამკივლა: „კარგსა ადგილსა გეწევის ეგე სტუმარი შენიო“! მე ფარი მივაგებე სიკეთემან ფარისამან ისრის პირი აისხლტუნა, მოხვდა მიწასა და შიგან დაიმალა ისარი იგი; შესწუხდა ბურბონ მოქადული ისრისა თვისისა ზედა, და კვალად მტყორცა მესისხლედ მეორედცა; განჰკვეთა ფარი, განვლო შიგან ჯაჭვიცა და პოლოტიკმან რკინამან ზედა შეილეწა ისრის პირი. გადავრჩი მასცა უვნებელად. გაგულისდა ბურბონ, მყისად გაჯდა ცხენსა და ოროლით შემომიტია მსწრაფლითა მოხელოვნებითა; ოროლი დავაგდო, მოვისვი კმალსა კელი, მომმართა, დაიდგნა ფერკნი ავჟანდათა ზედა, მე თავს ფარი დავირქვი, მცა თავსა ზედა კმალი და ზედა დამა-

ლეწა კმალი თვისი; მან, ამისთვის უმეტესად განძვინებულმან, მიჰყო ჴელი მძიმესა ლახტსა, თავსა დაიბრუნა და მცა თავსა ზედა ესრეთ ძლიერად, რომე ცხენსა ზედა დამხარა და თვალთა დამიბნელდა. დიდად ვაქე მკლავთა მისთა ძლიერება. კისკასად სხვასა ცხენსა გარდავჰსჯედ, მით რომე დიდსა პატივისცემასა შინა მყავნდა ცხენი ესე გამოგზავნილი საყვარელისა ჩემისაგან. მეფემან ბურბონ მიჰყო ჴელი პირ-მასრსა ფოლადისა ზუფინსა, გააჭიცხა ცხენი, შემომტყორცა, ჰკრა ცხენსა ჩემსა, განავლო შიგან და მომიკლა ცხენი იგი. ბურბონ, სიკვდილისა ჩემისათვის მოსწრაფებულმან, კვლა მოისვა კმალსა ჴელი, და მეცა გავჰჯედ ცხენსა საყვარელისა ჩემისაგან ბოძებულსა. იგი მომიხდა, შეიმაღლა მარჯვენე კლმისა საკრავად, მე ლახტი მივაგებე, მკრა კმალი, მოხვდა ლახტსა, გაუტყდა კმალი და ნალეწი მისი ძირს დაჰსცვივდა. მაშინ მეცა არღა მთავაზებელმან მისმან შეუტივე და შევჰსძახე: „მეფეო, გაფრთხილდი, რომე ამა ლახტითა სულსა შენსა ჴორცთა შენთაგან განვასალმებო“; მან სიტყვათა ჩემთა ზედა განმკიცხა და მითხრა: „ბედ მლაშეო, დღეს ჴელისა ჩემისაგან დასრულდეს სიცოცხლე შენიო“. მას თქმასა თანა მიუხე, ვჰკარ ლახტი თავსა ზედა და, მზემან თქვენმან, კაცი და ცხენი ორნივ უსულოდ მიწასა ქვე დაჰსცვივდეს. რა მეფე თვისი, ჩემგან მოკლული, იხილეს სპათა მისთა, ყოველთავე ერთობით შემომიტივეს; გავერივე შიგან მათსა და ვჰკოცდი ლახტითა მით; მაშინ ჩემთაცა ყმათა მოჰმართეს გულ-მესისხლედ, და შეიქმნა ბრძოლა სასტიკი, ვიბრძოლე ვითარ მცირე ჟამი და მოვიდა ჩემთანა საყვარელი და თანა ზრდილი ჩემი სპასალარი და უმოხუცებულესისა ბრძენთა-ბრძნისა ვაზირისა ეგრისისა ძე ლარა, გულოვანი მეომარი, და მრქვა: „ძეო მეფისაო, რასა ჰლამი; ნუ თუ ცასა შენზედა სარისხველად იწვევდე, მაგას არა მოგცემს სამართალი, რომე უპატრონოთა სპათა თქვენ ებრძოდეთ, შენსა მზესა რასა მიერჩი, გადეგ ერთსა კიდესა მოედნისასა და ჩვენ მონათა შენთა

ომსა შეექეცო“. მართლად ლარამან ეგე ვითარითა სიტყვითა გამომაბრუნა; დავჰსდეგ მოედნისა კიდესა და ვჰმზერდი მათსა ბრძოლასა. მაშინ ლარამან დამიკრა თავი და შეუტივა, თავ-მან მეფობისა თქვენისამან და სიყვარულმან ჴელ-მქმნელისა ჩემისამან, მათ ათასთა რჩეულთა ჩინებულთა ლომ-გულთა ფალავანთა ბურბონ მეფისათა ერთ პირ-პირ შემოუტიეს ლა-რას, გარნა საყვარელმან მან მებრძოლმან ჴუთსა ჟამსა შინა ჴუთასი მათგანი მოჰკლა და ჴუთასნი ცოცხალნი დაიპყრნა; შვიდსა ჟამსა იყო განძლიერებული და სასტიკი ბრძოლაჲ, და ურთიერთას კვეთებაჲ, და შემდგომად ჰსძლიეს ყმათა, ჩემ-თა აღჰსწყვიტეს და გააქციეს. მაშინ უცეს გასაყართა სა-ყვირთა. მობრუნდნენ ყმანი ჩემნი და თანა მოიყვანნეს ტყვე-ნი მრავალნი, დიდებულნი და ჰრჩეულნი გალიისა სამეფოსა-ნი. მიულოცეთ ერთმანეთს გამარჯვებაჲ, ვჰკოცნიდი სპათა ჩემთა და უქებდი მკლავთა ძლიერებასა და ვმხიარულობდით ეგე ვითარსა ძლევასა ზედა. მუნით შევჰბრძანდა მეფე ბრიტან ქალაქად, დაჰმუნვებული და მოეშალნენ ყოველნი მჭვრე-ტელნი; მიველ მეცა ჩადრსა ჩემსა და მოვაყვანინე ყოველნი იგი პყრობილნი, დავახსნევინე და თვის-თვისითა პატივითა დავსხი ოქროჲსა სელთა ზედა. შემდგომად გამოუცხადე მწუ-ხარებაჲ გულისა ჩემისა და ვარქვი: „ძმანო ჩემნო, ღმერთმან იცის, არა მწადდა სიკვდილი მეფისა თქვენისა, გარნა მოე-დანი ესე ესევითარად მოქმედებს, და მიმძიმს მეცა თქვენ-თანავე. აწე გთხოვთ, რათა ამას ღამესავე დავიუროთ გვამი ძმისა ჩემისა, შეუმკოთ კუბოჲ მეფობისა წესითა, და წარხვი-დეთ თქვენსა ქვეყანასა“. რა გალიისა დიდებულთა ჩემგან ესე სიტყვა ისმინეს, აღჰსდგნენ ერთობილნი, თაყვანის-მცეს, მრავალი მადლობა მომახსენეს და მრქვეს: „დიდებულისა და გამოცდილისა მეფისა ძეო და სახელოვანო ჭაბუკო, ჩვენ მონათა თქვენთა აჯა და ვედრებაცა ეგე არსო“, მაშინ გავ-გზავნე სპასალარი ჩემი ლარა მათ გაქცეულთა ლაშქართა მოსაბრუნებელად. შევამზადებინე სამეფო კუბოჲ სუნნელთა

და უცხოთა ხეთაგან ყოვლითა სამეფოჲთა სამკაულითა და ნიშნებითა, და შეუქმნევინე ოქრო ქსოვილთა ლართაგან მრავალ გვარად ოქრო ზეზ ქსოვილითა შესაბამ მოვლებულითა. მივედით მოედანსა და ვიტირეთ მრავალი ბურბონისა გვამსა ზედა. ვითა წესია მისებრთა დიდებულთა მეფეთა, ეგრეთ მრავალ გვარითა სხვითა და სხვითა ძვირფასითა სუნნელებითა შევამკობინე და დავადებინე სამეფოსა ტახტსა; კვლა იტირეს მისთა დიდებულთა და ეგრე შთავასვენეთ კუბოსა შინა. მაშინ მოვიდა ლარაცა, მომბრუნვებელი მათ ლაშქართა. ვაუფლე იგინი თვისთა ზედა ყოველთა და გავისტუმრე მასვე ღამესა ყოვლითა პატივის ცემითა. ჩვენ მოვედით ჩვენთა ჩადრთა, გავმართეთ პურობა და, ვითა გვშვენოდა, ეგრეთ გავმხიარულდით და განვისვენეთცა. მეორესა დღესა კვლა უმასპინძლე ყმათა ჩემთა, ვამხიარულე, ვაჩუქე მრავალი, და იშვებდენ ჩემითა ეგე ვითარითა სიმხნითა და გულოვნებითა, ღამედმდე გვქონდა შექცევა და სმა ღვინისა, და შემდგომად გავიყარენით განსასვენოდ.

აქა წინაშე მეისვართ მეფის ძის ნუშრევანისა მოსვლა მონისა მის კელოვანისა მორესი გულისხისაგან დაბარებისა მოხსენებად და ნუშრევანისაგან წასვლა საყვარელსა თვისსა თანა.

რა დღისა ნათელ მრავალნი მონანი, წარვლენილნი აპოლოსა მიერ, შეპყრობილ იქმნნეს ღამისა შავთა მსახურთაგან და უკიანოსა უფსკრულთა შთაითხივნეს, მაშინ მოვიდა მრავალ კელოვანი იგი მონა მორე და მრქვა: „უსაწადელესო ჭაბუკო და უგულოვანესო მებრძოლო, ძეო დიდებულისა ძლევა-შემოსილისა მეფისაო, არა გსურსა, რათა შენისა საყვარელისაგან მიიღო მოლოცვაჲ შენისა მაგა მორბედობისათვის, და უკეთუ უნებელ შენდაცა იყოს, ეგრეცა გიწესს საყვარელიო შენიო“. მე მონისა მის თხრობასავე თანა აღვსდეგ და

მხიარულებით შეუდეგ კმასა მისსა; აღვედ მის მზისა მოწუნარისა სამყოფსა, რომელიცა დამხვდა, ვითა ათხუთმეტისა დღისა მთოვარე გავსებული, ძოწეულისა იასპისა კუბოსა მჯდომი; შემომხედა, თაყვანის-ვეც, შემომცინა და მიბრძანა: „შაბაშ შენთა მკლავთა ძლიერებასა, რომე აღთქმულისა აღსრულებაჲ მარჯვედ იმოქმედეო“. კვლა თაყვანის-ვეც და მიბრძანა: „მოვედ და დაჰსტკბი ჩემთანა ჯდომითაო“. მივედ, კრძალვით მოუჯდეგ გვერდით, ვჰსთხოვე, ველი, მიბოძა და, ვითარ სურვილი ჩემი მაწვევდა, ეგრეთ ტკბილად დავჰკოცნე. კვლა ვჰსთხოვე პირსა მზიანსა დაბაგებად ნებისა ბოძებაჲ, და მიბრძანა: „ნაცვლად სამსახურთა და სიყვარულისა შენისა ეგეცა ნება მომინიჭებია, გარნა, ვითა ჰშვენის ჭაბუკობასა შენსა, ეგრეთ მოთმინებასა მიეც თავი შენი, რათა განდიდებულისა სიყვარულისა ცეცხლმან ახალ ყრმაობა შენი არა შეჰსწვასო“. რა ესე მიბრძანა, დავეკონე პირსა, გაზაფხულისა წალკოტად აღყვავებულსა, მისთა წინამოთა სუნნელება ურიცხვსა სიცოცხლესა მაფრქვევდა, და სადაფისა ველსა ზედა ორნი ნაზნი, ახლად შეკოკბილნი, მარგარიტნი დაკრძალულნი ველად გაჰრასა მაწვევდეს; ესე ვითარსა ტკბობასა შინა მოუთმენელობისა გრიგალმან სულისა ჩემისა სადგური ჰპოვა და თვისისა სამყოფით განმიყვანა.

აქა სურვილისა დიაღობითა თვისისა საყვარელისა წიაღსა შინა გულის შემოყრა ნუშრევანისა და გულნაზისაგან მობრუნება მისი.

Საყვარელისა ჩემისა, გულნაზისა წიაღსა შინა თავი მივიდრიკე და ესრეთ ვიდევ, ვითარ მკვდარი, ვიდრე ორი ჟამი; ვიყავ უგონოდ, ვითარ უსულო, და ოდეს მცირედი გრძნობა მომეცა, მესმა ჩემისა მკვლელისაგან სალმობელნი სიტყვანი, თვალთა ნაზთა კელთა მისვემდა და ცრემლთა ხშირთა გულსა მაპკურებდა. თვალნი აღვახვენ, და რა სიცოცხლისა ჩემისა

მომცემი ეგრეთ ვიხილე, სირცხვილისა ოფლმან დენა დამი-
წყო, შევჰკრთი, ზე წამოვიჭერ, მუხლთა ზედა დავიჩოქე და
მისისა ეგრეთ შეწუხებისათვის მოტევებასა ვევედრებოდი; მან,
რა ცოცხალი მნახა, ნაზითა სიტყვითა მიბრძანა: „ჰე, ნუ-
შრევან, შენ მშვიდობით ჰგებდე და ჩემისა მწუხარებისათვის
ნუ იურვით, გარნა, ახალო ჭაბუკო, ესე ჰბრძანე, რად გშვე-
ნის ეგრე სულ-მოკლეობა, აჰა, მზემან განგითენე და ვარდო-
ვანისა ველსა შვებად ღირს-გყავ, და მეტსა განგებისაგან რას-
ღა ითხოვ, შეასრულენ ბრძოლანი შენნი, და მერმეღა სჯუ-
ლიერითა ქორწინებითა განიმხიარულე გული შენი, თვარა
აწ ვითარ ეგების ესე, რომე მეომარნი მშულღრაობელნი წინა
გიმზერდენ, შენ საწადელისა შენისა აღსრულებითა ამაყობდე
და მე გაკიცხული დამსვა ყოველთა საზრახავად. ნუშრევან,
მოთმინებისა ჯაჭვი შეიმოსე, ჰსძლიენ შენთა მათ მებრძოლთა
და მაშინ ვარდისა კვალსა შესლვითა აღიმაღლე თავი შენი,
მტრფიალო ჩემო! ესე ჰაზრი გონებისა შენისაგან შორად
განჰსდევნე, რომე ჩემისა შვენიერებისა ვარდსა, ჯერეთ განუ-
შლელსა, შენგან კიდე სხვა ბულბული ვერა დაჰსჭიკჭიკებს; მე
ერთ-გზის მიფუცავს მაღლისა განგებისათვის და მასვე სიმ-
ტკიცესა შინა დავასრულოცა ცხოვრება ჩემი, და შენცა ამას
ზედა გთხოვ დამყარებასა. არავინ უწყის ამაოსა ამის სოფლი-
სა ფერთა ცვლილებანი რაოდენი არს; რაზომცა მოკვდავი კე-
თილსა განიზრახვიდეს, ეგრეცა სოფელი ბოროტსა ზედა
ჰსდგას. კაცი ბრძენი არა მიენდობის საწუთოსა; რაცა შემ-
თხვევა მოხდეს ჩვენსა ამას სიყვარულსა ზედა, შენ ჰგებდე
მოთმინებასა და პირისა სიმტკიცესა შინაო". ესე რა მესმნეს
საუბარნი მისნი; დავშთი გაწბილებული; კელმანდილი ყელსა
მოვიბი, მუხლნი დავიდგენ და ცრემლითა ხშირითა ვევედრე-
ბოდი ცთომისა მოტევებასა; მან კელი მომკიდა და მიბრძანა:
„ნუ ჰსწუხ და შენითა ცრემლთა სიმრავლითა მეცა ნუ მტან-
ჯავ; ვისცა ჩემებრი მზე საყვარლად ესვას, მას მოთმინებაცა
დიდი მართებსო". და კვალად მიბრძანა: „ვიცი, პატრონი

მამა ჩემი მათ მეფეთა ძეთა ყოველთავე შეგაბამს და შეცოდებასა ამას მაშინ მოგიტევებ, ოდეს არცა ერთსა მათგანსა არა მოჰკლავ და ეგრე ჰსძლეო, მით რომე არა კარგია უბრალოთა სისხლთა შელება სახლსა შინაო". მე კელს ვაკოცე და აღუთქვი ბრძანებულისა აღსრულებაჲ. მაშინ დამსვა, მოატანინა ხილნი ტკბილნი და მათითა გემოჲსა გაღებითა მამხიარულებდა. უბრძანა ქალსა მას სასმელისა მოღებაჲ; მან სასმელი რაჲმე ტკბილი მოიღო, აავსო იაგუნდისა ჭიქა, მიბოძა და მიპრძანა ბუთმან მან სიტყვიერმან, ვითა: „ნუშრევან, ეგე შესვი და ჟამი ესე მოგაგონდებოდეს ქალსა ამას როდამს შენთვის წინაშე ჩემსა კეთილად მოუბარსა, ჩემსა ერთგულსა და თანა ზრდილსა, და კვალად საშენოდ ჩემსა წინა წამებულსაო". მე ჭიქა იგი შევსვი, ქვე დავამხე და მოვახსენე: „აჰა, განთიადისა მნათობო, ბნელ ქმნილსა ღამესა შინა გაკამკამებულო, ესრედ ადრემცა დაიცლების სული ჩემი გვამისაგან ჩემისა, უკეთუ როდამ სიკვდილამდე მისცილდეს გულსა ჩემსა, და ეგე ვითარად შემწეობისა ჩემისათვის ნაცვალიცა ვერა ვჰმსახურო". როდამმან ორთავე თავი დაგვიკრა და მადლობა მრავალი წარმოსთქვა. ვსვი სასმელნი სხვა და სხვანი, და ვიშვებდი პირის-პირ მისისა ჰვრეტითა. მაშინ გული ჩემი უმაღლესსა რასმე ბედ-კეთილობისა ეტლსა იჯდა, და აწ უბედურებისა უყესა შთავარდნილსა დაშთომია, ოდენ სიკვდილი სანატრელად, დიდებულო და განძლიერებულო კელმწიფეო, თავმან მეფობისა თქვენისამან და სიყვარულმან სასურველისა ჩემისამან, ესრეთითა ზრდილობითა იქცეოდა მთოვარე იგი, რომე ესრეთ იტყოდა მხილველი, ყოვლისა ქვეყანისა ზრდილობა მას ზედა მოჰფრქვევიაო. დავჰყავ ეგე ვითარსა მხიარულებასა შინა ხუთი ოდენ ჟამი, გარნა მოვიდა დრო განთიადისა, გამოვესალმე და წარმოვედ უგულოდ, მით რომე გული ჩემი ადრითვე მისთვის მემსხვერპლა, მომყვა ჩადრსა ჩემსა მონა იგი მორე, ვაჩუქე მრავალი და წარვიდა იგიცა მხიარულად. დავსწევ და რაჲცა ჟამი იყო, ამოდ რასმე

დამეძინა. დილასა ადრე მოვიწვიენ იგი ძენი მეფეთანი, დავიდევით ნადიმი და გარდავიხადე პურობა დიდი, და კვალად გავმართეთ სმა ხილობასა ზედა.

აქა კვალად მოსვლა ზღვათა მეფისა ბრიტანის ვაზირისა მოციქულად წინაშე მეისნვართა მეფის ძის ნუშრევანისა.

არა ვიტყვი სასიქადულოდ, გარნა, ღმერთო, მას დღესა ლხინსა ჩემსა ვერავინ დამიწუნებდა. მას ეგე ვითარსა მხიარულებასა შინა მოვიდა კვალად ვაზირი ბრიტან მეფისა მოციქულად ჩემსა წინა, და შემოეთვალა ესე პირი, ვითა: „ძეო მეფისაო ნუშრევან, მძლეველობასა შინა თავ-მოწონებულო, რაზომცა ბრძოლისა ასპარეზსა შინა ამაღლებული ხარ, ხვალე ეგრეცა შეები პოლანთა მეფის ძესა დავით მეფესა გოჰარს და შენ და იგიცა გამოიცადენით, ვინაჲთგან წლითაცა თანაჰსწორეობითა შეჰგავთო“. მე ვაზირი იგი დავიწვიე სასმელსა და ხილსა ზედა, ვამხიარულე და შეუთვალე პასუხი ესე, ვითა: „მეფეო, ჩვენ შუა ძმათა შორის მტერობა არა ჰსძეს-რა და ურთიერთისა საყვარელთა რად გვაბრძოლებ, თვით გისხენან მრავალნი გმირნი, ფალავანნი და უსწორონი ჭაბუკნი, იგინი შემოჰგზავნენ ბრძოლისა ამას მოედანსა, და განალა ომისა უარი არა მოგახსენოთ“. მაშინ შეთვლილობასა მას ჩემსა ზედა დამასწრა გოჰარმან და მრქვა: „ძმაო, მზესა შენსა, რადგან უბრძანებია მეფესა, ნუცა ჩვენ მოვშლით წადილსა მისსაო“. მე სიტყვასა მისსა ზედა მოვახსენე: „Ჲე, მეფისა ძეო და თვით მეფეო გოჰარ, სურვილი გულისა ჩემისა სიყვარული და პატივის-ცემა არის თქვენი, რომლისათვის მოვალეცა ვარ თქვენი, და, უკეთუ თქვენცა გნებავსთ, დიაღ ღმერთო, ომისა დაკლება მამაცთა არა წესი არს“, დავჰსდევით ესე პირი. ვსვით მრავალი და გავიყარენით.

აქა ჰოლანთა მეფის ძის და თვით მეფის გოჭარისა და მეისვართა მეფის ძის ნუშრევანის ომი ორთა შვენიერთა ახალ მოყმეთა.

მეორესა დილასა, რა მზემან თვისისა შარავანდედისა წინწკალნი ქვეყანასა მოაფრქვივნა და ღამისა შავნი ხარგანი დაჰსწვნა, აღვჰსდეგ მეცა, შევიჭურე საყვარელისა ჩემისა ბოძებულითა საჭურველითა საჭაბუკოსა იარაღითა. დავაწყე რაზმი ჩემი, შევჰსჯეგ ცხენსა ზედა და გაველ მოედანსა. ვიმღერდი ორორითა, გარნა თვალნი ჩემნი იყვნეს გოდლისა მას ლანძვთა ზედა, მყისად განახვნეს კარნი ლანძვთანი და გარდამოსდგა ეგზომთა ჭირთა ჩემთა მიზეზი, ლურჯითა სამოსლითა მოსილი, ეზომ კეკლუცად ჰშვენოდა, რომე ამას ჰგვანდა ლურჯსა ცასა ზედა მზესა შარავანდედნი თვისნი განემრავლნეს, მიველ პირისპირ მისსა, ორორი შევათამაშე, თაყვანის-ვეც და შევქმენ უმეტესი მღერა და ცხენის რბევა. მაშინ შეიქმნა მოქალაქეთაგან საყვირთა კმიანობა, გამოვიდა მეფე ბრიტან და დაჰსჯდა კათედრასა თვისსა, და მოჰსდგენ ყოველნი მოქალაქენი ჰვრეტად ჩემდა. ამას ზედა მოვიდა ძეცა იგი პოლანთა მეფისა გოჰარ, და მოჰსდევდა რაზმი თვისი —ასოცი ათასი ჭაბუკი, თავმან მეფობისა თქვენისამან, ესრეთ დაეწყო დას-დასად ლაშქარი თვისი, რომე მხილველთა იამებოდა; შვენიერი ყმა კაცი იყო თვით მეფის ძე გოჰარ და ტკბილ-მოუბარი. რა მოედნისა შუაგულობასა შემოვიდა, მოდგა ჩემსა წინა და მისალამა, მომიკითხა და საყვარელად მომექცა. ათექვსმეტის წლისასა არა უმეტესობდა, და ერთ ყმაკაცადა ღმერთო, კმაობდა, ყოველთა მხილველთაგან საყვარელი იყო, საწადელითა ზრდილობითა სრულობდა, თვალად და ტანად მისი მჰსგავსი მუნამდე არა მენახა, და ესრეთ მიყვარდა, ვითა თვით თავი ჩემი; განაღა მეცა სიყვარულით მოვე-

ქცეოდი და ტკბილითა ალერსითა ურთიერთას ვესაუბრებოდით; მაშინ მოვიდა კაცი ბრიტან მეფისა გოჰარსა თანა, ცხენი გამოეგზავნა და შემოეთვალა, ვითა: „ამა ჩემსა ტაიჭსა შეჰსჯდეგ, ამით შეები და აზღვევინე სისხლი ამხანაგისა შენისაო". მასვე წამსა გაჯდა გოჰარ მას ზედა, მოვიდა, კვლა უსალამეთ ერთიერთსა, გავშორდით, შემოუვლეთ ნავარდი და შევიბენით. იყო სამსავე კერძოსა შინა საკრავთა ხმიანობა; გაიყენა გოჰარმან ცხენი იგი და შემოსძახა: „მყინვართა მეფის ძეო ნუშრევან, შენსა მზესა, გაფრთხილდი, რომე ამა ცხენითა მეფისათა კარგისა ჭაბუკობისა მოქმედება მშვენისო". მოისვა ბასრსა კმალსა კელი, შემომიტია, მკრა ჩაბალახსა ზედა, განკვეთა მუზარადი, თავსა დიდად დამკოდა და სისხლმან ზე გადმომასხა და დამყივლა, ვითა: „ნუშრევან, დღეს ომად ესე კმა ვიყოთო". მე შეუდრეკელად ვჰსდეგ და ვჰსთხოვე, რათა სამ-გზის იარალისა ხმარება ჩვეულებრივითა ფალავნურისა წესითა არა დაეგდო, რომელმანცა სურვილსა ჩემსა არავე დამაკლო, კვლა მომიხდა, შეიმაღლა კმალი, მე ფარი მივაგებე, მცა კმალი ფარსა ზედა ფიცხლად, გარნა ვერდა აკვეთინა, ეწყინა გოჰარს, კმალი გაჰსტყორცა, და სხვასა კმალსა კელი მიჰყო; რა დასაკრავად შეიმაღლა, კმალი მივაგებე, მკრა კმალი კმალსა ზედა, ჩემმან კმალი მისი შუა განჰკვეთა და ნაჭერი კმლისა ძირს დაეცა. რა რიგი გულოვანთა წესითა მე შემხვდა, გავაფიცხე ცხენი ჩემი, შეუტიე და შევჰსძახე, ვითა: „მეფეო პოლანთაო გოჰარ, გამოგცადო რაძი ჭაბუკი ხარ და ვითარი გაძლება გექმნების ომსა შინა". მიუხედ, ვჰსტაცე კელი მისისა ტაიჭისა უკანასა ფერხსა, მოვზიდე კბილ ღრჭენით და ესრეთ ძლიერად გავსტყორცე შორად, რომე ცხენი მოკვდა და გოჰარ, ვითა უსულო, ეგრე ქვე ეგდო, და ზედა დავჰსძახე: „ზღვათა მეფისაგან ბოძებულსა ტაიჭსა ეგეთი ალიყო ჰშვენოდა"! მერმე მიველ, მსწრაფლად ცხენით გარდავხედ.

აქა ნუშრევანისაგან გოჰარის მობრუნება, თავისს ჩადრს მიყვანა, განკურნება და ძმად შეფიცება მათი.

შემნანებელმან მორბედობასა ჩემსა ზედა, ვნახე გოჰარ შებნედილიყო, მოვაბრუნე მრავალთა სუნნელთა ყნოსებითა, მოვიკითხე, მოვიხადე ბოდიში, დავჰკოცნე და მოვახსენე: „მეფეო, ნუ თუ რა დაგიმძიმე, მომიტევე შენსა მზესა“. მან სიტყვასა ჩემსა ზედა გაიცინა და მითხრა: „ძმაო, აგდება რა ჭაბუკთა კელი არის, შენმან მზემან, თუ არასა მეწევი, მხარი სრულად დალეწილი მაქვსო“. შევჰსწუხდი და დავჰგმე თავსა ჩემსა, მოვატაინე სამეფო კუბო, შევსვი სიფრთხილით მას შინა, მივიყვანე სახლსა ჩემსა და დავაწვინე. რაზმი გაიყარა და მეფეცა ბრიტან დაღრეჯილი ქალაქად შებრძანდა. მოვიხმენ ჩემნი დასტაქარნი, ახადეს გოჰარს საჭურველი და თურე, მხარი დასტურ სრულად დალეწილი ჰქონდა. დაადგნენ კელოვანნი იგი დასტაქარნი და ერთსა სწორსა ზედა სიმრთელედ მოიყვანეს, ესრეთ რომელ მცირედ მკარსა კმარება დაუწყო. მყვანდა სახლსა ჩემსა, დღე და ღამე ლხინითა შევაქცევდი, მოვიდოდეს მისნი დიდებულნი და ჩინებულნი გვამნი და მადლობას მეტყოდეს, მით, რომე „შეიწყალე ქვეყანა ჩვენი და არა დააგდე უპატრონოო“, და თვით გოჰარცა მრავალსა მადლობასა მეტყოდა, იცინოდა და წარსრულისა მიჯნურობისათვის სინანულსა ამრავლებდა, მაქებდა, მესაყვარლებოდა და მეუბნებოდა, ვითა: „ვითარსაცა ზღვათა მნათობსა იტყვიან, საქრმოცა შენებრი ჰშვენოდაო, დღეის წაღმართ შენ ძმა ხარ ჩემი და იგი მნათობი და იქმნების ჩემიო, მეცა შენთჳს რაზმთა შემოვრთავ ლაპართა ჩემთა, და შენთვის გავსწირავ ტკბილსა სიცოცხლესა ჩემსაო“. მე სიტყვათა ამათ ზედა მრავალი მადლობა მოვახსენე; შევვერთდით და ძმად ვიფიცე-

ნით. მისცა ბრძანება და ყმანი მისნი ჩემთა ყმათა თანა მოვიდოდნენ, და ჩადრნიცა ერთად დაიცნეს. გვქონდა ლხინი და განცხრომაჲ. ჩემთა ყმათა გოჰარ უბოძებდა წყალობასა და ნიჭსა, და აგრეთვე მე მისთა ყმათა; ავავსენით ერთმანერთი საბოძვრითა, და ესრეთ შევიყვარეთ ურთიერთი, რომე მოყვასი მოყვსისა მზესა ვფიცევდით, ორმოცი დღე ესრეთსა მხიარულებასა შინა დავჰყავით, და მოურჩა გოჰარსაცა კელი, ესრეთ, რომე თვითვე იტყოდა ფიცით: „პირველისა უმჯობესად მაქვსო". მე მიხაროდა, გარნა არა უჯერებდი, მით რომე მწადდა სრულად განკურნება მისი და უწყობდი დიდად კელსა, და გოჰარცა რა ჰხედვიდა ჩემგან განდიდებულსა სიყვარულსა თვისსა, იგი უმეტეს იხარებდა. წარმოჰსდგა, გარეთ განვიდა და ჩვენცა თანა განგვიყოლა, მოიღო ლოდი დიდი, ზე შეაგდო და კელთა დაიჭირა, ესრეთ მრავალ-გზის ლოდი იგი დიდი მით განკურნებულითა კელითა ზე შეაგდის ვითარ ორისა შუბისა სიმაღლედ და მითვე ნატკენითა კელითა დაიჭირის, რომელსაცა ათი მოლაშქრეთა კაცთაგანი ვერა შეჰსძრვიდა. მოვიდა გოჰარ მოცინარითა პირითა და მრქვა: „ძმაო, აწცა სიძუნწითა შენითა ნურას უწყალობებ დასტაქართა შენთაო". ესე რა ვიხილე სრულიად განკურნება მხარისა გოჰარისა, ვითაცა მმართებდა, ეგრეთ განვმხიარულდი, მოვაყვანინენ იგი კელოვანნი დასტაქარნი, თვითო კელი ძვირფასი შესამოსელი დავმოსე სამთავე, ათ-ათი სოფელი ვუბოძე საყმოთ და ეგზომი ოქრო მივეც, რომე ასთაცა წელთა ვერა დაჰლევდენ; მათთვის მადლობა თვით გოჰარმა შითხრა, და განაღა მაშინ უმეტესი შევქმენ მხიარულებაჲ, ურთიერთისა სიყვარული და შვება. გარნა მიმჭირდა ეგეოდენსა განგრძობასა დღეთასა ზღვათა მნათობისა და გულისა ჩემისა კელმწიფისა უხილველობა. შეველ საკუთარსა საწოლსა ჩემსა და ოხვრითა მწარითა ვიგონებდი შიკრიკისა საქმესა.

აქა წინაშე მეინვართა მეფის ძის ნუშრევანისა მეორე შიკრიკისა მოსვლა და გულნაზის წიგნის მოტანა.

მრავალთა სამწუხაროთა საგონებელთა მიერ გარე მოცული ვიყავ სხვასა და სხვასა ჰაზრსა შინა ღელვა-გვემული, და არა ვიცოდი, თუ რაჲ მოევლინა მონასა მას მორეს. მას ჟამად შემოდგა შიკრიკი იგი, თაყვანის-მცა და მომართვა წიგნი იგი საყვარელისა ჩემისა; გავშალე და ვჰსცან, მათ შვენიერთა თითთაგან დანაწერობა, რომელსა შინა ეწერა ესრეთ: „ეჰა, შენ სწორ უპოვარო ჭაბუკო ლომო, ეტლო მზისა ულრუბლოსაო, რად ესრეთ მალედ მიიცენ შავარდნისა ფრთენი და ამაღლდი უფროს ბოლო კარკაზისა! ნუ თუ წალკოტისა ჩემისა გემოვნებაჲ ნუზლად მიიეც, და, განმაძღარი, ნებისაებრ შენისა ჰფრინავ, ვიდრეცა გნებავს; ვიცი, სამოთხისა შენისა სუნნელება მათ უშვენიერესთა ვარდთა ჯერეთცა ძალსა გაძლევს, და ამად არღა მოიგონებ ორთა შვენიერთა წვლილ მარგარიტისა კოკორთა! გარნა, ჵი ნუშრევან, ესე ჰბრძანე, ოდეს ნუზლმან მან გამოლევა დაიწყოს და ნაზად შვენიერ ფეროვანისა ვარდისა სუნნელება თვისსავე წალკოტსა მიიქცეს, მაშინ გლახ რასაღა იქმ! მე, ცრემლითა შენითა საშენოდ მოლმობიერებული, შენ შორის გულ-გრილობასა ვერა ვგრძნობდი, გული ჩემი შენისა სულისა მიღებისა ჟამსა ათასითა შეშხამულითა ისრითა მოიწყლოდა, შენითა სიბრალულითა ყოველთავე საკიცხართა და საიჭველთა საგონებელთა თანა წარვჰხედ, მოწყალებისა კარი განგიღე, უძვირფასესისა მტილისა ვარდი მრავალ სუნნელი გაგიეფე, მისსა დაბაგებასა გაღირსე და აწ, ჩამტკბარი მისთა გემოთაგან, მზისა ეტლ-ლომობ. ნუშრევან, ათ-ორთა ზოდიაქოთა მოქმედება, ჰგავს თურე, არა იცი, ამად რომე, ოდეს შევალს მზე ლომსა შინა, მაშინ მოისთვლის ქვეყანა ტკბილთა ნაყოფთა უხვებით, და ესე არა

ვიცი, რად ესრეთ შეუპოვარი შეიქმენ! მზე თვისსა პირველ-სავე თვისა ბურჯსა შინა არს მრავალ შარავანდედობითა, და ჰბრძანე შენგან ტკბილთა ნაყოფთა მოსთვლევა ოდეს იქმნე-ბის! ორმეოცდა ორთა დღეთა წართვით ლხინსა და შექცე-ვასა შინა იმყოფები, და შენისა სულისა მბრუნველი არღა გახსოვს! არა ძოღანის იყო, რომე მიბნედილი კელმან ჩემმან მოგაბრუნა! შაბაშ, შაბაშ, შენსა მამაცობასა, რომე შენი სი-ცოცხლისა მომცემი ესრეთ მალე დაივიწყე! ვიდრე გული ჩემი შენსა განმართლებასა მაწვევდეს და ცრემლნი შენნი შუა-მდგომელად გყვანდეს, მუნამდე ისწრაფე, სინანულისა კურ-ტაკი შეიმოსე, ცრემლნი გაზაფხულისა ღრუბელთაგან ივასხე, სირცხვილისა ოფლნი დილისა ცვართაგან, მძრწოლარეობა შემოდგომისა ფურცელთაგან, პირსა კადნიერებისა დამფარვე-ლი საბურველი (მასკი გინა ნიღაბი) ჩამოიბურე, სიმდაბლე და თავის მოხრა მის უნდოსა ლილიფარისაგან ისწრაფე და ესრეთ ინანდე, ესე გულსა შენსა დაიმყარე, რომე მე მამა-ცობითა და მკლავთა ძლიერებითა შენითა ვერა შემაშინებ და ვერცა ნაზსა გულსა ჩემსა ეგევითარითა ქცევითა მოატკბობ! გულგრილობა შენი მარისხებს და უკიანესაებრ მაღელვებს; აწე რისხვა ესე ჩემი შენზედა ვიდრე ცამდე აღიწეოდეს და მღელვარეობა სასტიკი დაგნთქმიდეს, წინა თქმულნი სინა-ნულნი მოიგენ, მელნად იხმარენ ცრემლნი შენნი და ესრეთ შენთვის სულ შეწირულსა გამზრდელსა როადამს წიგნი მო-სწერე ვედრებისა, შუამავლობისათვის შენისა. ნუ თუ ესე განრისხება ჩემი მცირედ-მცირედ-მან საშენოსა უბნობითა დაა-წყნაროს და გზა შეგიქმნას ჩემდანა მოსვლისა, თვარე კვალი ესე, რომელიცა ძოღან ადვილ სავალ იყო შენთვის, აწ სამე ძნელ სავალ შეგქმნია და ვერცა სიმხნითა და ჭაბუკობითა შენითა ძალ-გიძს მასზედა განვლაა, ვითარ ძოღანის დარებო-დიო". ესე წიგნი მის მნათობისა რა აღმოვიკითხე, თუმცა ვჰგრძნობდი უბრალოებასა ჩემსა, გარნა ამანთეს საკმილთა მისგან მოდებულთა, თვალნი ჩემნი იქმნეს ნილოსად ცრემლ-

თა მიერ მრავალთა, გული შავთა კვამლთა აღმომიოხვრიდა და სიტყვითა სავაებროთა ვიწყევ გოდებაჲ.

ჴქ̃ მეინვართა მეფის ძის ნუშრევანისაგან მაღლისა ცისადმი შეტირილი და ვედრება გულითა მხურვალითა.

Მაღალსა ცასა შემწეობისათვის ჩემისა შევჰსტიროდი და ვიაჯებოდი ესრეთ: „ცაო, კიდით-კიდემდე ქვეყანისა უტურფესად დამფარველო ცაო, შენ რომელმანცა უწყნი მოქმედებანი ყოველთა კაცთანი, და ჰხედავ გულისა შინათა დაფარულთა, რომელსა თვირკმელთა უშინაგანესნი ხაზნიცა ვერა მიგეფარებიან და ყოველნივე ხილვასა ქვეშე შენსა არიან, შენ დიდსა მას მნათობსა მზესა ნებასა შენსა ზედა ანათელშარავანდედებ, ვარსკვლავთა ნებას ჰსცემ მოედანსა შენსა ზედა მკრთოლვარებად, თვის-თვისთა ნიშატთა მომცემელობისათვის, მთოვარესა უბრძანებ განათლებად ღამისა, მზისა ხორშაკისა მიერ შემწვართა განგრილებად; შენვე, ცაო უმაღლესო და ყოველთა გონებათა უზესთაესო, რომელმანცა ძლიერითა მკლავითა შენითა მარჯვენითა შეიცევ არსნი ყოველნი,— რომელნიმე დიდებად და რომელნიმე დაკნინებად, რომელმან ერთისა და სამ მზეობრსა ნათლითა, მიუწოდე ბუნებასა ჩვენსა ტარტარისა მიერ დამონებულსა და გამოგვიხსენ კელისაგან და მძლავრებისა მისისა, და გწადს ყოველთა შენსა მას ტკბილსა სამოთხესა განცხრომაჲ; შენვე, დიდად შემძლებელო ცაო, აწ შეურვებულსა ნუ დამაგდებ მე, ნუ მიხედავ სიჭაბუკისა ჟამის ჩემისა აღძრვასა, და მადროე მე უმჯობესისადმი ხედვად და მოქცევად, შთაუთხარ სიმართლე ესე ჩემი გულსა მას გულნაზისასა, რომელიცა შევიყვარე მე აღორძინებისათვის და განმრავლებისა შემდგომთა ჩემთასა, მოაქციე რისხვა მისი შეწყალებად ჩემდა, ამად რომე ბუნება კაცობრივი ეგევისარ-

თადმი დამონებულ არს, ვითარ იგი იყო პირველი კაცი პირველისადმი, ნუ განმწირავ მე და დამონებულებასა ამას შინა ჩემსა ნუ აღმხდი ფარვასა შენსა, ათ-ორმეტნი ზოდიაქონი შენნი კმა-მაღლად გამომთქმელნი შენისა დიდებით სიმაღლოსანი ასახმარენ შემწეობისათვის ჩემისა, შენისა ირისისა ძლიერნი ისარნი ჯააპირმეხე მათთვის, რომელნი შედგომილ არიან გულსა მას გულნაზისასა გამოცვლად ჩემზედა, და დაატკბე იგი ვითარ იყო ძოლან ჩემთვის“. ამას და ესე ვითარსა შეტირილსა თანა ცისასა მდიოდეს თვალთაგან ორნი მდინარენი უხვებით; მოვილე ალო და მური, შევზავე ცრემლითა ჩემითა, და ვიწყე ქარტასა ზედა წერა ესე ვითარად, როადამსა თანა.

აქა მეინწვართა მეფის ძის ნუშრევანისაგან წიგნისა მიწერა როადამსა თანა.

ჭი, უკვდავებისა მტილისა მცველო და სამოთხისა წალკოტისა მეკარეო, პალესტინისა ვარდისა მეურნეო, და ლიბანისა საროსა დარაჯაო, ეგიპტისა ლელწმისა გუშაგო და ჯანდელთა მოისართა სპასალარო, ადრითვე კელმან შენმან მიიღო სიცოცხლისა ჩემისა ძაფი და, რომელსაცა ჟამსა გენებოს გასწყვედ მას და დაჰსცხრებისცა წამი ჩემისა მყოფობისა, გარნა გაფუცებ მზესა მისსა, რომლისა მზრდელობითა გაკელმწიფებ თავსა ზედა ჩემსა, მცირედ მადროე და ნუ მიმხდისულსა შენისა ზრდილისა დამონებულსა, ისმინენ ტკივილით ჩივილნი ჩემნი, განმიკითხე ბრალეული ესე, განსაჯენ მოხსენებულნი ჩემნი და, უკეთუ მპოვო შეცოდებასა ქვეშე, მაშინ გალანამცა სიკვდილისა ღირსი არღა გევედრო სიცოცხლისათვის, ოდენ ამას გევედრები, განუსჯელად არა ინებოთ დასჯაა ჩემი! ვიცი, მაგა მაღლითა გონებითა გახსოვს ჟამი იგი,

ოდეს კიმკიმელსა ცასა ზედა აღსრულმან კრონოსმან მომცა
ბრძანება გარე მოდგომილთა მაღლისა მეფისა მამისა თვისი-
სათა მეფის ძეთათვის, ვითარმედ „დაიცვე სიცოცხლე მათი
და ესრეთ ჰსძლიეო“, მე ბრძანებისა მისისა მორჩილებითა მი-
ვეც თავი ჩემი სასიკვდილოდ პოლანთა მეფისა ძესა გოჰარს,
რომელმანცა დამკოდა მე ძლიერად და ეგერა დღესაცა სი-
სხლი ჩემი ღაღადებს ბრძოლისა მოედანსა ზედა, რომლისა-
თვის მოქადულცა ვარ, რომელ სახელისათვის საყვარელისა
ჩემისა დალტობილ იქმნა მოედანი ესე სისხლითა ჩემითა; მე
ბრძანებისა მისისათვის არარად შევრაცხე სისხლი ჩემი; ვჰსძლიე
მას და მკვლელი ჩემი სიმრთელით დავიცვე, სამყოფსა ჩემსა
მივიყვანე, დასტაქარნი დავაყენენ, მხარი განვუკურნე და
სრულიად მორჩენადმდე სტუმარსა ჩემსა ვალხინე, ამად რომე
ვიშიშვოდი, ნუ თუ ჰსცნას მზემან ჩემმან ვნებულება მისი,
და დავსაჯო რისხვითა მისითა. აწე, ესე ყოველნი არა მორ-
ჩილებამან შენგან ზრდილისამან მაქნევინაა? ვჰგონებდი, საა-
მოდ მისსა იქმნებოდა ესე და ვაი ამით რომე ესოდენნი ღვა-
წლნი და წარსაგებელნი ამაოდ შემქმნიან, ცა განმირისხებია
და მზესა ნათელი თვისი განუშორებია ჩემგან, ვერავის ვხე-
დავ ნუგეშად ჩემდა; შენდა მოვივლტი და შენსა შუამდგომე-
ლობასა ვევედრები; იციან ბუთისა მსახურთა, უკეთუ იგი
განარისხებს, მისთავე სათნოთა ევედრებიან მოხებისათვის;
არა ვიტყვი შეუცოდველობასა მით, რომე, უკეთუ არა ვსცო-
დე, მაშა რასადა ვინანი და ანუ ცრემლნი ესე რად გლახ
ტიგრისსა ემსგავსებიან! ამისთვის შეცოდებული ესე გევედრე-
ბი, რომე შენითა მლმობელობითა შემიწყნარო, ჰყო შუა-
მდგომელობაჲ და შენითა მოხებითა შემიწყალო, ამით გა-
ნადიდოს სახელი თვისი, რომე მიმტევებელი შეცოდებულისა
იქების ყოველთა პირთა მიერ და მიუტევებელი არა სადა დი-
დებულ არს ვისგან. ოჰ, როადამ, მეწიე მკვდრად მიწევნილ-
სა, შენითა ტკბილ-მოუბრობითა იხმარე შუა-მდგომელობაჲ,
ესე ოდენ მომიტეოს, თვისითა რისხვითა ნუ მომკლავს,

მტერთა ჩემთა ჩემითა სიკვდილითა ნუ განამხიარულებს, ჩემსა
სისხლსა კელითა თვისითა ნუ დაღვრის და უკეთუ ჩემი სი-
კვდილი ჰნებავს, მზემან მისმან, მე შევასრულო ესე ადრე,
ოდეს საგულოვნოსა მოედანსა ზედა მოპირის-პირე ჩემი გამი-
წვევს, მაშინ ყოვლითა სიხარულითა მივჰსცე თავი ჩემი კელ-
გამოულებელად და დაიღვაროს სისხლი ჩემი მათგან, და ესე
ამავე მომავალსა დღესა აღსრულდეს ჩემგან; უკეთუ ვჰყო-
ფილვარ განმარისხებელი მისი, ანუ აქამომდე რად ვიცოც-
ხლე? სვე ჩემი ესრეთ მოქმედებს! აჰა, მომცა სიკვდილისა-
თასი, რათა შევსვა და დასრულდესცა დღე ჩემი! აჰა, წამნი
ჩემნი განჰქარდებიან ამა მოკლეთა დღეთა შინა, მბრძოლნი
ჩემი ჩემგან საჭურველისა კმარებასა ვერღარა იხილავს, მოპი-
რის-პირე მომკლავს ადვილად, და ამას ოდენ გევედრები,
გვამი ჩემი დაიურო, მამასა ჩემსა წარუგზავნო, და ესე შეუ-
თვალო: „შვილი შენი თვისისა საყვარელისა რისხვითა მოი-
კლაო“. ჩემითა უჟამოჲთა სიკვდილითა იგიცა გამწარდეს
და მოხუცებულება თვისი სიმწარით საფლავსა შთაიყვანოს.
მე რაჲცა სოფლისა სიტკბოება მოვისთვლე, დაუდგრომე-
ლისა ამის საწუთოსაგან ესეცა არა მეგონა! რაჲცა შვება
მომცა, ათასითა სიმწარითა წამართვა, ერთი ჭიქა თუ თაფ-
ლუჭი შემასვა, მილიონი დოსტაქანი ზე დაურთო სამსალაჲ,
და ვაი, ამით რომე ვისცა თავი შევსწირე, მისგან უწყალოდ
მოვკვდი!“ მრავლითა ცრემლითა ესე წიგნი შევასრულე და
დავბეჭდე. ერთი ქისა ძვირფასითა იაგუნდითა აღვავსე, წიგ-
ნიცა იგი მასვე ქისასა შინა შთავჰსდევ, მივეცი მონასა მას
მორეს მისართმეველად როადამისსა, ზეპირადცა მრავალი დავ-
ვედრე და გავისტუმრე მონა იგი. მე თავი ჩემი მივეც მრა-
ვალსა საგონებელსა, თუ რასა იზრუნებდა ჩემთვის საყვარე-
ლი იგი როადამ.

აქა პოლანთა მეფისა გოჭარის მიერ ნუშრევანისა პურზედ გაწვევა და პურობასა ზედა ბრიტან მეფისა მოციქულისა მოსვლა წინაშე მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა.

მე ვიყავ რა ეგე ვითარსა გულის-სიტყვასა შინა, მაშინ შემოვიდა ჩემთანა მხილველთა საწყური იგი გოჰარ და მრქვა: „ძმაო, შენსა მზესა, მივიდეთ ჩადრსა ჩემსა, იგი ძენი მეფეთანიცა მუნ არიან, პური დავიდვათ და ნადიმი გარდავიხადოთო“. მე თუმცა სანადიმოდ არა მცალოდა, გარნა ტკბილსა მას მოყვასსა ვესათნოვე, აღვჰსდეგ, ავჰყევ; მივედით ჩადრსა მისსა; იგი მეფეთა ძენიცა მუნ იყვნეს; გაიმართა პურობა და შეჰქმნეს მხიარულებაჲ, გარნა გოჰარისა მხიარულებამან გარდაჰრია და გარდამატა ყოველთასა, სმიდა დიდ-დიდითა დოსტაქნითა და ასმიდა სხვათაცა. შემდგომად მოვიდა ჩემსა წინა, მოიღო კვლა უდიდესი დოსტაქანი, აღავსო, დაიჩოქა და გულნაზის სადღეგრძელო შესვა, დაცალა, აავსო მომცა და მრქვა: „ძმაო, რასა მჭმუნვარეობ! ესე შესვი, თვარა, მზემან შენმან დასა ჩემსა შეგასმენო“. მე რა იგი მესმა მისგან, ვჰსთქვი გულსა ჩემსა: „უკეთუ გასმოდეს ჭირნი ჩემნი, შესმენისათვის აროდა მოისწრაფებ“. აღვჰსდეგ, ვაკოცე პირსა ზედა, ჩამოვართვი და შევსვი; ვიცოდი, განრისხებულ იყო ჩემზედა მთოვარე იგი, გარნა ესრეთ ტკბილად შევსვი, რომე მე ვჰგონებდი ცვარიცა არა მიმეღო. ესრეთ რა ხშირსა სმასა შინა ვიყვენით, მოვიდა მოციქული წინაშე ჩემსა მის მეფისა ბრიტანისა და მრქვა: „მაღლისა მყინვართა მეფისა ძეო ნუშრევან, ესრეთ მნებებლობს ზღვათა მპყრობელი მეფე ჩვენი ბრიტან, რათა ხვალე თქვენი და სამთა მათ მეფის ძეთა ომი იყოსო“. მე რა მის მოციქულისაგან იგი მესმა, შევსთვალე პასუხად, ვითა: „მეფეო, მართლად გიბრძანებია, სამნი უადრეს მომერევიან და, ღია ღმერთო, ვითა გიბრძანებია, ხვალე შემოვიდე ბრძოლისა ასპარეზსა, ვითა მე განმიზრახავს“. ესე

ვარქვი კაცსა მას, ვაჩუქე მრავალი და გავისტუმრე. ჩვენ კვლა დავჰყავთ სმასა შინა და გავიყარენით; მიველ ჩემსა საწოლსა და ვიყავ დაჭმუნებული, რომელმანცა არა ვიცოდი, თუ რაჲ მექმნა ხვალისათვის. თვალთა ჩემთა ცრემლნი პირველისა მის ქვეყანისა რღვნასა ჰგვანდა და ოხვრა ჩემი ცადმდე აღიწეოდა, ვჰგონებდი, ღამე იგი ჩემისა სიკვდილისა საჭურველსა ამზადებდა და დილა იგი მომავალი დაასრულებდა დღეთა ჩემთა. ვიყავ დიდსა დაუდგრომელობასა შინა, ვჰსცურევდი სისხლისა ოფლსა, და არა სადა იყო განსვენება ჩემი. ესე ვითარითა შეშფოთებითა განმწარებული, ვჰგონებ, თვით ჩადრისა სვეტთაცა ვეწყალოდი, თვარა მხილველისა ჩემისა გული ქვა-ქმნილიცა ცვილად გარდაიქმნებოდა, ვინცა ვინ ყოფილიყო ყე. მას განმწარებულებასა შინა ჩემსა შემოჰსდგა კარის მცველი ჩემი, თაყვანის-მცა და მომახსენა: „ძეო მეფისაო, მოვიდა ვინმე ქალი შვენიერითა პირითა და სახითა და მონა იგი, რომელიცა მრავალ-გზის ყოფილ-არს წინაშე თქვენსა, თანა ახლავს მას, ეკითხვენ შინაობასა თქვენსა, ისწრაფიან ხილვასა და ელიან ბრძანებასა, და აწ რა იქმნების ნება თქვენი მათ ზედაო“. მეკარემან რა იგი მრქვა, მყისვე თანა წამოვიჭერ და გავეგებე ჩადრთა გარე.

აქა წინაშე მეინავართა მეფის ძის ნუშრევანისა მისვლა, ზღვათა მნათობის გულნაზის თანა ზრდილისა და გამზრდელისა როდამისა, ნუშრევანისაგან გულის შემოყრა, როდამისაგან მობრუნება და უბნობა მისი.

ვნახე ჩემი საწადელი როდამ ძვირფასითა აჯილითა და სარმუზითა თაყვანის-მცა და განაღა მე უმეტეს თაყვანის-ვეც, კელსა ზედა მოვეკიდე, შევიყვანე, დავსვი ტახტსა ჩემსა ზედა, რომელმანცა თვინიერ მოკითხვისა და დახვედრისა სხვა ვერა რაჲ ვაამე, ამად რომე, ჰხედვიდა თვალთაგან ჩემთა

უხვებით მომდინარეთა ცვართა; თავი გაზაფხულისა ის მჰსგავსად მომედრიკა და გული ჩემი შავის ზღვისაებრ ღელვიდა. სხვად აღარად მცალდა, ოდენ გამოვართვი კელი, მივიეც ბაგეთა და შმაგივითა წავრევდი, ამისთვის თვალნიცა მისნი თვალთა ჩემთა უმაგიერებდეს. წამერთო ძალი სულისა, და კელთა მისთა ზედა მიმელო გონებაცა. იგი ჩემთვის სატრფიალო როადამ დამცრემლვიდა ზედა-ზედითა ცრემლითა და მეტყოდა ესრეთ: „ჵე, ძეო მეფისაო. სადა დაგიკარგავს გონება და სიმყარე გულისა შენისა, რომელსა მრავალნი მებრძოლნი ვერა შეჰსდრეკდეს? სადა არს მკლავთა შენთა სიმტკიცე, რომლითა შენნი მმულრთობელნი შეიმუსრვოდეს? სადა დაგიფარავს მოედანსა ზედა ზურნითა მღერაჲ, რომლითა მარიხისა გულსა შენზედა დაატკბობდი და მეშურნეთა იავარ ჰყოფდი? აჰა, მე შენისა ესოდენისა კეთილობისათვის სიცოცხლე შეწირული! აჰა, მე შენისა მწუხარებისა განმამხიარულებელად მოსრული! აჰა, მე შენისა საყვარელისა შერისხვისა ნაცვლად სინანულისა მომტანი! აჰა, მე, ნებსა შენსა ზედა მომყვანი მის მოკამკამისა ათროდიტისა! მომეც სიტყვა, ძეო მეფისაო, მოეგე გონებასა, შენისა სიხარულისა მახარებელსა ტრედსა ნუ გარე მიმაქცევ უპასუხოდ! რად გაქვს ეგე ვითარი ურვა და ცნობისა მიხდა? შენ ერთისა კმისა მისისა გაცემისათვის ათასსა სიცოცხლესა გაიღებდი და აწ ეგრეთ გამაძღარხარ, რომე არცარად იგი მიგაჩნია და არცაღა მოსვლისა ჩემისათვის მოხარულობ! ნუშირევან, მამაცთა პირ-უმტკიცეობა ადრითვე გმობილ არს, ვისისა სიყვარულისათვის ბასრისა კლმისაგან კვეთასა არად შეიჩნევდი, აწ რად ეგრეთ შეგძულებია, რომე გაკუშტებასაცა მისსა ვერღა მოითმენ და მისისა, შენდა მოლაღეობისათვის არა მოხარულ ხარო“. ამას და ესე ვითარსა სიტყვასა ცრემლითა მრავლითა მეტყოდა მცველი ედემისა ჩემისა როადამ; მოვეგე გონებასა, მივეც ჩასმენელნი ჩემნი თხრობასა მისსა, მეპყრა კელი მისი კელითა ჩემითა და დავიწყევ ბოდიში შეწუხებისათვის მისისა და თანად

თავსაცა ჩემსა შევაბრალებდი, რათა შემწე მექმნოდა უბრა-
ლოებასა ჩემსა ზედა. რა როდამმან იხილა ჩემი მცირედრე
გონებასა მოსვლასა, კვლავ დამიწყო ტკბილად საუბარი და,
ვითარცა ხელოვანმან მკურნალმან, სრულად ცნობასა მომიყვა-
ნა. მაშინ დამიწყო უმეტესი უბნობა და მეტყოდა, ვითა:
„მყინვართა მეფის ძეო, რად აგრე განამართლებ თქმულთა
შენთა? არა გახსოვსა, რომელსა დილისა მთიებსა მას შეჰფიცე
მზითვ მისითა, რომ თანა მთავიტანო სიყვარული შენი სა-
ფლავსა შინა, და ვითარი არს მამაცთა ენა ერთგულობა და
გულის შეურყევლობა! ვიდრე გულსა ნაზთასა თვისად მიიზი-
დვიდენ, მუნამდე მას სულსა ანაცვალებენ და, რა შეჰკვრენ
მათცა თვისდამი, მაშინ ანაზღად პირსა მიჰრიდებენ; აწ თუ
ერთსა გაკუშტებასა მისსა ვერა მოითმენ, მაშა სიცოცხლესა
უფრო ვერღა შესწირავ! ძეო მეფისაო, რად ესე არა უწყი,
რომე ვარდი შენი შენთვის ამრავლებს ფეროვნებასა თვისსა?
რად არა მოიღებ გონებად უსიტყოსა მის ბულბულისა მო-
თმინებასა, რომელი თუმცა წამსა შინა ათას-გზის განაძოს
მეწალკოტემან ვარდისა ბუჩქთაგან, ეგრეცა იგი კვალთა მის-
თა დაჰსჭიკჭიკებს და ძირეთა მისთა არა განეშორების! ანუ
კვლავ რად არა მოიგონებ სიმკნესა ფარვანასსა, რომელიცა
ამოსა ცვილისა სინათლესა თავსა უმსხვერპლებს და შეფრ-
ფინვით დაიწვის მას ზედა! აწე, რაზომცა უთმინოების ცე-
ცხლი გერევის, ეგრეცა გული შენი მოსალოდებელისა სი-
ტკბოებითა და საგონებელითა განიმხიარულე, დაუტევე სა-
გიობელი ეგე ჯაბნური სულთქმა, რომელი მამაცთა არა ეშე-
საბამების; გული სიმტკიცისა ანდამატსა ზედა დაამყარე, გან-
ძლიერდი, აღსდეგ, შემომიდეგ, იხილე მთოვარე შენი და
უბრალოებითა შენითა მასცა გული აჯერეო". რა ესე ჩემნი
განმაცხოველებელნი სიტყვანი როდამისაგან მესმნეს, გულმან
ჩემმან სიმაგრე მიიღო, თვალთა ხედვა მომემატა და უბნობისა
ძალი მომეცა; მაშინ მოვახსენე წყლულთა ჩემთა ემპლასტრო-
სა როდამს, ვითა: „შენ, სიცოცხლისა ჩემისა მომცემო, მონა

ქმნილსა ბრძანებისა შენისასა, კვალად მეშინის მზისა ჩემისა რისხვისაგან, მით რომე ნუ თუ მოსრულმან მუნ განსამხიარულებელად მივიღო უმეტესი რისხვა და გამოვიძო შერისხული! არა მაქვს ადგილი წინაშე მისსა განმართლებისა და არცა მაძლევს ბუნება ჩემი ეგე ვითარსა ძალსა, რომე ერთისა ოდენ სიტყვისა მოხსენება შევიძლო, ამა უბედურებასა შინა ჩემსა ყოველი გრძნობა ჩემი გამცლია და დაუტევებივარ მე ყოველთავე და ოდენ ცრემლნი ჩემნიარს დამაგდებუნ მე. იგინი შემქმნიან ჭირსა ამას შინა მოყვასად, და უკეთუ შენითა განდიდებულითა ხვაიშნითა მიბოძებ პირსა, რათა არა განვიძო შენისა გაზრდილისაგან, მაშინ შეუდგები კვალსა შენსა და რაჲცა გშვენის მონდობილსა შენსა ზედა, იგიცა იქმოდე; ამას მოხსენებასა ჩემსა ზედა როადამმან ჰფუცა მზე მკლელისა ჩემისა, ვითა: „გულ-დებულ იყავო; ვითა ზამთრისა ყინულისა მიერ დაზრული ვარდი არა მიიღებს გაზაფხულ მზისა შარავანდედითა ჭნობასა, არამედ განიშლების და ფეროვნებითა განშვენდების, ეგრეთვე შენცა არა რაჲთ შიილო მზისა შენისაგან თვინიერ მხიარულებისა, ოდენ იხმარე სიმდაბლე და თავისა შენისა განმართლებასა ნუ ეძიებ წინაშე მისსა, მით რომე მზემან შენმან ყოველივე უწყის, ლაღობით გეკუშტების და, რაჲცა გიბრძანოს, თავი დასდევ სმენისათვისაო“. მე ამა პირისათვის არღარა მეჭირებოდა შეჯერება როადამისა მით რომე სახე ჩემი, ქარვის ფერ-ქმნილი, არწმუნებდა ჩემგან მისსა დამონებასა. ესე საუბარი რა შევასრულეთ, აღჰსდგა როადამ და მიბრძანა შედგომაჲ თვისი.

აქა როადამისაგან მიყვანა ნუშრევანისა თვისსა სატრფოსა გულნაზისა თანა სურვილით ფერ-მიხდილისა.

მეცა შეუდეგ კვალსა როადამისსა გულითა მოფრიალითა; მივედით გოდოლსა მას, შევვლეთ კარი ბაღისა და აღვედით

სადა ასპიროსი დამხვდა მჯდომარე, წითლითა შემოსილი, ზურმუხტისა კუბოსა შინა. რა წითლითა შემოსილი ვიხილე, ვჰსთქვი გულსა ჩემსა: „აჰა, უბედურო ნუშრევან, ესე არს ჟამი სისხლთა შენთა დაღვრისა“. მიმიძღოდა წინარე როდამ. შეველ კარსა წინა, თაყვანის-ვეც და მუხლ-დადგმით თავ-დახრილი ვადენდი ცრემლთა ხშირთა, ვიყავ მძრწოლარე და ვჰგებდი მიუხედავად მისსა; აღძრა ბაგენი თვისნი შემწეობად ჩემდა როდამმან და მოახსენებდა მრავლითა კრძალვითა სიტყვათა მოსალმობიერებელთა საჩემოდ, გარნა იგი ესრეთ არა ისმენდა, ვითა განრისხებასა იგასსა(!) ჰშვენოდა; რა მრავალნი გულისა მოსაზიდავნი სიტყვანი მოახსენა, მაშინ უკვე შეჰსძრნა უშვენიერესნი იგი ნუშნი და ჰრქვა ქალსა მას: „ჭი როდამ, დიდ-არს შუამდგომელობა ეგე შენი ჭაბუკსა მაგას ზედა, გარნა ეგრეცა გული მაგისი ჯერეთღა ვერა მიმხვდარ-არსო“. მერმე მე მომიბრუნდა; თუმცა მიწყრებოდა, გარნა წყრომასაცა შინა მეგონნეს ცა უხვებით მითოვდა სიტკბოებასა; კვლა შეჰსძრა თაფლ-მწთოლვარე იგი ბაგენი და მიბრძანა: „ამაყო ნუშრევან, არა იკმარენა შეცოდებანი შენნი, რომლითა მარისხებ მე? და აწ ესეცა ზედა დაურთე, რომე დამექადე მტერთა შენთა ზედა საჭურველისა არა აღებასა და ესრეთ ჯაბნურად სიკვდილსა შენსა მათგან? ვითარ იკადნიერე შემოსვლაჲ ჩემთანა ესოდენ გულისა ჩემისა დამაწყლულებელმან? თუმცა ყოველი შეცოდება შენი როდამისა შუამდგომელობითა მოგიტეო, ესე ვითა არა მახსოვდეს და ანუ ვითარ დავჰსთმო შენგან? იქადი თავისა შენისა სიკვდილსა მათგან და ამით ჰკლავ გულსა ჩემსა! წარვედ, აღასრულენ გულისაგან შენისა წარმოებულნი სიტყვანი! ეგე არსა ნაცვალ-გება შენი ულმობელო? რად ისწრაფი ეგრეთ სიკვდილსა თავისა ჩემისასა? რად ესე არა უწყი, რომე ცისაცა კამარათა აღჰხდე, ეგრეთცა შენთვის ჩემებრი ვერა ჰპოვო! გარნა იცი პირისა ჩემისა სიმტკიცეჲ, რომე თქმულთა ჩემთა არა უარ-ვჰყოფ! მე სხვა მამაკაცი სოფელსა შინა არა მინა, და შენ თავსა

შენსა ესრეთა ანაზებ ჩემთვის, რომე სიკვდილსა შენსა მექადი და განმწარებისა ჩემისათვის ისწრაფი! ვჰფუცავ შვენიერებითა ჩემითა, რომე უკეთუ ხვალე სამთა მათ ძეთა მეფეთასა არა ჰსძლევ თვინიერ სიკვდილისა და პურობასაცა შენთანა არა გარდუხდი, არა განგიკითხო შენ და არცაღა გულმან ჩემმან შეგიწყალოს! ესე არს ბრძანება ჩემი შენზედა; წარვედ, არა გაბედნიერდე ტკბილითა უბნობითა ჩემითა, ვიდრე ბრძანებული ჩემი არა აღასრულო შენ!“ მე ქვე მუხლ-დადგმულსა და ქედ-დადრეკილსა მჰსდიოდეს ცრემლთა ღვარნი, არავინ მესვა ნუგეშად და ვიყავ ჟამთა მწარეთა. უბრძანა როადამს, მიუწოდა თვისთანა და, ვითარ ერთი ჟამი, მოიუბნეს და კვლა უბრძანა: „მივედ, აღაყენე განმამწარებელი ეგე ნაზისა გულისა ჩემისა და თვით ხარგასა თვისსა შენ მიიყვანეო“. მოვიდა ქალი იგი, აღმადგინა, თაყვანის-ვეც და გამოველ მტირალი; გამომყვა როადამ ჩადრსა ჩემსა და სიტყვითა სანუგეშოეთა მესაუბრებოდა ესრეთ, რომე: „მზემან მისმან, რომლისა სიყვარულითა ეგრეთ გასრულხარ, ხვალისა ღამესა დაჰსტკბები მისგამო მისთანათა ტკბილითა საუბარითა და შენისა საწადელისა აღერსითაო“. ესეგვარნი მრავალნი საიმედონი სიტყვანი წარმოჰსთქვნა როადამმან და განაღა მეცა ჩემ კერძოკელს კოცნითა და მუხლთა ხვევითა ვედრებასა არა დავაკლებდი. ერთი კუბო სრულისა ბალახშისა, სამ-ათი ბევრი იაგუნდი და ერთი შვიდეული საკიდარი ტვირთი ურიოშოსა ოქროსი შევსძლვენ თვის-თვისითა საკიდრებითა და მონებითა როადამს და ესრეთ წარვიდა. მე მწუხარებასა შინა მცირედ მიმეძინა და ზედა ალიონ იქმნა.

აქა მეინვართა მეფის ძის ნუშრევანისა, იშვანთა მეფის ძის პერლოსი, ამრიკის მეფის ძის ფორტუნისა და ავშტრთა მეფის ძის იტალის ომი. ძლიერი და ნუშრევანისაგან ძლევა მათი.

ოდეს სიმრგვლესა ცისასა შავთა არაბთა გუნდნი მოეცალნეს და წითელ სპეტაკნი ალამნი ქვეყანისა განმანათლებელად განმრავლდეს, მაშინ ბრიტანისა მოქალაქეთა ჰკრეს ქოს-ტაბლაკთა, ყვირო სტვირთა და ნაღარათა და მეორით კერძო შეიქმნა ომისა სწრაფობა; გამოვიდა მეფე იგი ზღვათა ბრიტან, დაბრძანდა თვისსა ადგილსა და დაისხნა დიდებულნი თვისნი. და მოჰსდგნენ სამნი იგი ძენი მეფეთანი, ათ-ათითა ჰრჩეულითა ლომ-გულითა და გამოცდილითა ჭაბუკითა მოედნისა პირსა. ოდეს იგინი ზრდილობითა წესითა ვიხილენ მოსრულნი, მაშინ მეცა თანა მედვა პატივის-ცემაჲ მათი. მე, მზა ქმნილი საყვარელისა ჩემისა ბრძანებულისა აღსრულებად, მიველ მოედნად ერთითა ოდენ თანა ზრდილითა და გულითადითა ჩემითა ეგროსის ძით ლარათი. ერთმანერთი მოვიკითხეთ, უსალამეთ და დავიწყევით წესისაებრ მოედანსა ნავარდი. მათ, მოიმედეთა გულოვნებისა თვისისათა, პირველად გამომთხოვეს მუქარა და მივმართეთ ურთიერთსა. კარგნი ჭაბუკნი იყვნეს და, თავმან თქვენმან, მომეწონნეს. შევატყევ, რომე მომჭირნეობდეს ძლევისათვის ჩემისა. პერლომან შუბსა კელი მიჰყო, ფორტუნემან კმალი იხადა და იტალიმან მშვილდი კელთა მიიცა; მე რა მათგან სიკვდილისა ჩემისათვის მოსწრაფელობაჲ ვიხილე, განაღა გული გამიწყრა, გარნა ბრძანებულისა შიშმან მომიცვა, მკვლელისა ჩემისაგან ბოძებული ცხენი გავაფიცხე, საგდებელი კელთა მოვიმარჯვე და მსწრაფლად შეუტიე. იტალიმან მტყორცნა პირ-ალმასი ისარი, მხარსა ქვეშე განჰკვეთა ჯაჭვი, ღლიისა ჩემისა ხორცი განვლო და მიწასა ზედა დაესვა; სისხლი გარე ჯაჭვსა გამომდინდა, გარნა არა რად შეუდრკი. მაშინ მეცა გავფიცხელდი, საგდებელი

შევჰსტყორცნე, მკართა გარდავაცვი, გამოვზიდე, ცხენით გარდმოვიღე, თრევით ჩემსა ლარასთან მივიტანე და ვუბრძანე შეკვრაჲ მისი; მათ ორთა მოძმეთა მისთა დამკივლეს და შემომიტიეს; რომელსაცა შუბი წინარე მოჰქონდა, კმალი ვეც, შუბის ტარი გაუკვეთე, კელი მივჰყავ, მოვჰხადე უნაგირისაგან, დავეც ქვეყანასა ზედა და შევბნიდე; მან მესამემან მკრა კმალი ფარსა ზედა, ფარი განჰკვეთა და კმალიცა გაუტყდა; მასცა ვჰსტაცე სარტყელსა კელი, ავგლიჯე უნაგირისაგან და იგიცა ლარას შევაკვრევინე; მერმე გამოვბრუნდი და შევჰსძახე მათ ჰრჩეულთა ყმათა მათთა: „ძმანო ჩემნო, თქვენ არარასა გაბრალებ, ესე მოედანი ჭაბუკთათვის არს გამოსაცდელად, თუ გნებავსთ, მოდით, შემებენით და, თუ არა, პატრონთა თქვენთა ხილვასა არა გიშლით“. ამას სიტყვასა ზედა მოვიდნენ, თაყვანის-მცეს და ქება დიდი მკადრეს პატრონთა მათთა მართლად დაცვისათვის. მაშინ მეცა გამოვბრუნდი და მიველ მათ დაკრულთა მეფეთა ძეთა თანა, ცხენით გარდავხედ, დავასხნევინე, დავჰკოცნე ვითა ძმათა საყვარელთა, მოვიხადე ბოლიში და მოვახსენე: „შემინდევით, ძენო მეფეთანო, სამნი ერთსა ზედა დაგულისებული მომიხედით და უკეთუ რაჲმე დაგიშავეთ, მომიტევეთ“. იგინიცა ირცხვოდეს, ინანდეს და მეფიცებოდეს, ნაცვლად შეცოდებათა ჩვენთა გმსახუროთო. მოვეკიდე კელთა, წავიყვანე ჩადრსა ჩემსა; მუნით პოლანთა მეფე გოჰარ მოეგება, მანცა დაჰკოცნა და მოულოცა მშვიდობით განრინებაჲ. იგინი დავსხი ხუთ ათეულიანისა სვეტისა ოქრო ქსოვილსა ჩადრსა შინა. მე შეველ საწოლსა ჩემსა, მოვიხმე დასტაქარნი, საჰურველი აღვიხადე, სამკურნალო ემპლასტროჲთა იდლია შემიხვიეს; მუნით მიველ მეცა მათ მოყმეთა თანა, გავმართეთ პურობა და ლხინი დიდი გარდავიხადეთ, ვჰსთვით მრავალი დოსტაქანი და ვლაღობდით ტკბილითა უბნობითა. აღვავსე ტურფისა ჩუქებითა მრავლითა ყოველნი მათნი კრებულნი და თვით ოთხთა მათ ძეთა დიდებულთა მეფეთასა შევჰსძლვენ უსასყიდლონი სპეკალნი, ლარნი

ოქრო ქსოვილნი და ტაიჭნი საქებელნი. დავჰყავით სმასა და მხიარულებასა შინა ვიდრე ღამისა განზოგებადმდე და გავიყარენით განსასვენოდ. მეცა შეველ ჩემსა საწოლსა და ვლამოდი რეცა მოსვენებასა.

აქა წინაშე მეინვარით მეფის ძის ნუშრევანისა შიკრიკისა მისი მორეს მოსვლა, როადამისაგან დაბარების მოხსენება, ნუშრევანისა წარსვლა და საყვარელისა თვისისა გულნაზისა ხილვა და გულნაზისაგან ტკბილად და ალერსით დახვედრა ნუშრევანისა.

მასვე ჟამსა მოვიდა საყვარელი იგი მონა მორე და მრქვა: „ძეო მეფისაო, შენთვის თავს-შეწირული როადამ ბაღსა წინარე მიგელის და მოგახსენებს, მორეისწრაფეო“. მეცა მსწრაფლად აღვსდეგ, წაველ; დამხვდა იგი ბაღსა წინა, მომეგება, მისალამა, გაიღიმა, შემოჰცინა და მრქვა: „ეგრე ჰსჯობს, საყვარელისა აღასრულოს ნებაო!“ მომეხვია, გარდამკოცნა. გულსა წყლულსა მომელხინა. ჴელსა ზედა მომეკიდა და შემიყვანა სადა იგი მკვლელი დიანა სხივთა თვისთა ამრავლებდა; თაყვანის-ვეც, დავჰსდეგ მეტითა სურვილითა ვითა ცხროიანი, მთრთოლარე მოკვდინებულითა სახითა. ცრემლთა ჩემთა სიმრავლესა თვით შვენიერითა თვალითა უმზერდა, გარნა არა რასა მიბრძანებდა. ვჰსდეგ ვითარ ნახევარი ჟამი მოაჯისა ადგილსა; მერმე წარმოჰსდგა, მის უნაზესითა წელითა იწყო ნარნარით რხევა და გავლა მისი სულსა ჩემსა თანა იყოლიებდა. უბრძანა ჩემითა დამატყვევებელითა სიტყვითა მზრდელსა თვისსა, ვითა: „როადამ, აწ ყმასა ამას სიმდაბლისა სახე შეუმოსავს და ბრძანებისა ჩემისა აღსრულებისათვის ღირს არს ჩემგანცა შეწყალებასაო“. ესე ჰბრძანა და ჰრქვა: „მოიყვანე ეგე ჩემთანა, უკეთუ კვლა არღა განმარისხებსო“. მან, დამკვრელმან თავისამან, ქება დიადი შეჰკადრა, მოვიდა ჩემთანა როადამ, განმამხნო, მომკიდა ჴელი და მიმიყვანა წინაშე მის-

სა, მე ქვე დავემხე და ცრემლით ვევედრებოდი შეცოდებისა მოტევებასა; მაშინ თვით აღმაყენა და მიბრძანა: „მომიტევებია და დღეის წალმა ნუმცა გნახავ წინაშე ჩემსა შეცოდებულსაო“. კრძალვით და რიდით გავბედე ვამბორცე საწადელთა მათ კელთა და შევჰფიცე მზითა მისითა, რომე „რაცა დღენი მესხნეს, არა სადა შევიდე შეცოდებასა თქვენსა“. მაშინ მიმიყვანა, დაჰბრძანდა თვით და დამისვა მეცა გვერდით თვისსა. მიბრძანა: „ნუ შრევან, მომეცია ნება, ვარდისა მიდამოთა მიმოაარენ ბაგენი შენნიო“. მე გლახ მსმენელი ამისი ცად ავმაღლდი სიხარულითა და თავი გავიბრუვებულე, კრძალვითა რითმე წყნარითა მიმოვარებდი ბაგეთა ჩემთა მათ უსასყიდლოთა ვარდთა ზედა, ჩავიტკბობდი საგრნობელთა ტურფათა მათ ფეროვნებათაგან; ოთხი ჟამი ესრეთ შესრულდა, რომე ბაგენი არა მომიშორებიან მის ედემისა ყვავილთა ართუთაგან; ესრეთ საამოვნო იყო ჩემთვის წამნი იგი, რომე ვჰგონებდი ოცნებად წარსულთა მათ რისხვათა მისთა. შემდგომად უბრძანა როადამს და მოაღებინა სასმელნი და ხილნი ტურფანი; ვჰსჭამდი ხილთა და სასმელთა თვისითა კელითა მიბოძებდა; ვსმიდი და ვჰკოცნიდი კელსა და ბაგე-ლაწვ-ყელსა, იგიცა არღა მიშლიდა და მიბრძანა: „ოდესცა ნებისა ჩემისა იქმნები დამონებული და განრისხებასა ჩემსა განეკრძალები, მეცა ესრეთ დაგატკბობ ჩემთანა ალერსითაო, სიმდაბლე შენი ესე ვითარსა შვებასა მოგისთვლის და ქედ-მაღლობითა ვერარას ეწევიო“. მრავალნი ესე ვითარნი სიტყვანი მიბრძანა და მეცა პასუხისა მოხსენებითა შემიჩვია; გავბედე და ვჰსთხოვე ვედრებით უშვენიერესსა მკერდსა და უზადოთა მათ ახალ კოკობთა ძუძუთა დაკონებად ნებისა ბოძებაჲ და მიბრძანა: „სიმდაბლისა შენისათვის ეგეცა ნება მომინიჭებიაო“. ოდეს ბაგენი ჩემნი მათ შევახე, განკვირვებამან მოიცვა გონება ჩემი და ზედა ძუძუთა დაკონებულსა ცნობა მიმეღო; ვიყავ თურე ეგრეთ დიდი ხანი და მაპკურებდა ზედა მრავალთა მოსაბრუნებელთა სუნნელთა. ოდეს მოვეგე გონებასა, ვნახე თავი

ჩემი სანატრელისა ჩემსა ალაგსა მყოფი, კვლა ჩავჰკოცნე უთვალავად და ზედა დავიწყე ჰიკჰიკი, ესრეთ: „ჵე, საყვარელო, რამცა ვითა ვიმაგიერო და ანუ რაჲ ვიმსხვერპლო ნაცვლად სიტკბოებისა ამის! ნუმცა მომეშლების მოწყალება ესე და შვება გამოუთქმელი ჩემგან დღეთა ჩემთა!“ და ვეტყოდი თავსა ჩემსა: „უკეთუ ესოდენი სიხარული მოეცემოდა გულსა ჩემსა და სიტკბოება ბაგეთა ჩემთა, რად ეგრეთ სულმოკლეობდი რისხვასა მას და ყოველსავე სიხარულით არა მოვითმენდი!“ გარნა იგიცა ყრმობისა გამოუცდელობითა მომდიოდეს. ბაგენი ჩემნი მაქვნდეს ზედა ძუძუთა დაკონებულნი, და ვეფიცებოდი ესრეთ, ვითა: „ჵე, სიცოცხლისა ჩემისა ფიალო, მიიღე აღთქმა ესე ჩემი საუკუნო, რომე ვიდრე მზე ქვეყანასა ზედა ანათობს, მთოვარე ღამესა ზედა კელმწიფებს, ვარსკვლავნი ბუნებისა თვისისა ნიშატთა ნივთა ზედა გარდამოჰსცემენ, წყალნი ჰსდიან და ქარნი ჰქრიან, მუნდამდე ჰყოს გული ჩემი ნებასა და ძამონებასა შენსა ზედა მოსწრაფე და სამსახურისა თქვენისა აღსრულებას ესრეთ მესწრაფებოდეს, ვითა ცვარსა ქვე დადენა და ცეცხლისა ალსა ზე აღმავალობა, ოდენ ამა ჩემისა უკვდავებისა მტილისა კარსა ნუ დამიხშავ და ნურცა ინებებ თვალთაგან ჩემთა მოუკლებელად ცრემლთა დენასა, და ამით გებრალებოდე, რომე მეცა ყრმავე ვარ, ნუ თუ შერისხვა შენი ახალ ყრმობამან ჩემმან ვერღა მოითმინოს და სიკვდილი ჩემი რისხვითა შენითა მოჰხდეს! მე თავი ჩემი არა მიმძიმს, გარნა ესე მტანჯავს, რომე შენ მტრფიალისა შენისა მკვლელად გიწოდებენ და მე განმარისხებელად დამჰსდებენ; უკეთუ მე ჩემსა უგრძნობელად შეგცოდო რაჲმე, ამას ოდენ გევედრები, ჰყავ მოწყალება, მომიწოდე შენთანა, შენითა მაგა უშვენიერესითა და ნაზითა კელითა დამსაჯე და სხვათა ნუ აცნობებ შეცოდებასა ჩემსა, და მტერთა ჩემთა მით ნუ ამხიარულებ.“ ესე მოხსენებანი დავასრულე; მანცა ამავე პირსა ზედა დამტკიცებაჲ მიბრძანა. განთიადი მოაწია, კვლა ჩავეკონე, თაყვანი-ვეც და წამოველ.

მიველ ჩადრსა ჩემსა, განვისვენე. დამეძინა ტკბილითა ძილითა. მეორესა დღესა გამოეგზავნათ მათ მეფეთა ძეთა კაცი და მივეწვიეთ პურსა ზედა მე და პოლანთა მეფე გოჰარ. ჩვენცა წარვედით პურად მათად, მოგვეგებნეს წინა ჩვენსა, გვისალამეს, შეგვიძღვნენ განმზადებულსა ჩადრსა, დავჰსხედით, გავმართეთ პურობა და ვიყვენით მხიარულებასა შინა.

აქა დიდის ზღვათა მეფისა ბრიტანისა მოციქულისა მოსვლა წინაშე მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა პურობასა ზედა.

მუნ, პურობასა ზედა მოვიდა მოციქული მის ზღვათა მეფისა ბრიტანისა, რომელსაცა შემოეთვალა ჩემთვის ესრეთ, ვითა: „მყინვართა მეფისა ძეო ნუშრევან, დღეს სმითა და ლხინითა განიხარე, ნებასა შენსა ზედა შეექეც და ხვალე შენი და სპასალარისა ჩემისა ბარდასის ომი ჯერ არს, იგიცა გამოჰსცადე ვითარი მეომარი არს და შენცა მამაცობასა მას ზედა ნუ დაჰზოგავ, მით რომე იგი გაზღვევინებს ეგზომთა უბრალოთა სისხლთა დაღვრასაო." თავმან მაღლისა კელმწიფებისა თქვენისამან და მზემან საყვარელისა ჩემისამან, იგი ბრიტანის შემოთვლილება ესრეთ მიამა, რომე უმეტესობა არღა ეგებოდა, გავმხიარულდი და შეუთვალე პასუხი ესრეთ, ვითა: „მეფეო, მე ბრძანებასა თქვენსა სიხარულით მივიღებ, გარნა, უკეთუ განგება მოჰსცემს ძლევასა მკლავთა ჩემთა ბარდას ზედა, შემდგომად ძლევისა მისისა მოედნით არღარა გარე უკუნ ვიქცევი, ვიდრე არა გამოვჰსცდი სხვათაცა მათ სპასალართა თქვენთა, და ამისთვის გთხოვ, რათა იგინიცა მზაობდენ დღისათვის ხვალისა." ესე შეუთვალე, ვაჩუქე მას მოციქულსა და გავისტუმრე. ჩვენ კვლა შევჰქმენით სმა და შექცევა. გაჰსცეს დიადი მათ მეფეთა ძეთა და აღავსნეს სხზოძვრითა ჩვენთანა მყოფნი ყოველნი და განაღა ჩვენცა გვიძღვნეს დიადი, დავჰყავით სმასა შინა ვიდრე ღამეღმდე და გა-

ვიყარენით მოყვარულნი მოყვასნი, მიველითა სამყოფთა შინა და განვისვენეთ.

აქა მეინვართა მეფის ძის ნუშრევანისა და ზღვათა მეფისა ბრიტანისა სპასალარისა ბარდასი და სხვათა ორთა სპასალართა ბრძოლა ძლიერი და ნუშრევანისაგან გამარჯვება მათზედა.

ოდეს შვილთა მათ ცთომილთაგანმან ერთმან ცის კამარათა ზედა შვენიერი იგი ბურთი თვისი შეათამაშა და ნაზნი იგი ელვითნი კრთოლვანი მათნი უჩინო ჰყვნა, მაშინ ქვეყანამან რა თვისი სატრფიალო იხილა, უბრძანა ყოველთა, თვისზედა მცხოვრებთა, რათა თვის-თვისთა მოქმედებათათვის მისწრაფებულიყვნენ, რომელთა შორის ზღვათა მეფისა მოქალაქეთაცა უადრეს დაამორჩილნეს თავნი თვისნი ბრძანებასა მას და განამრავლეს დუმბულთა, ტაბლაკთა, ზროხაკუდთა და სხვათა საყვირთა კმიანობაჲ, რომელთა მიხედვითა ჩვენთაცა კერძოთა უცეს საკრავთა თვისთა; და შეიქმნა მზადება დიდი და საზაროება საშიშარი. აღიჭურნენ გარეგანნი ყოველნი და იგი მეფეთა ძენიცა მოვიდნენ რაზმითა თვისითა ჩვენთა სპათა თანა და დაჰსდგნენ ჩვენ კერძო. შევიჭურვენით ჩვენცა და განვედით მოედნისა კიდესა; მაშინ გამოვიდა ზღვათა მეფე უმეტესითა დიდებითა, დაჰსდგეს მაღალსა ადგილსა ტახტი სამეფო, დაჰბრძანდა მას ზედა და დაისხნა დიდებულნი თვისნი წესითა თვისითა. რა ყოველნი განეწყვნენ, გამოვიდა სპასალარი იგი ბარდას სრულად ფოლადისა საჭურველითა დაფარული; თავმან თქვენმან, ცხენი და კაცი საზაროდ კმა იყო. და ჰსთქვა ყოველმან კაცმან: „არა არს მეომარი მჰსგავსი ამისიო.“ მივიდა, მეფესა თვისსა თაყვანი-ჰსცა და მოედნისა კიდესა დაჰსდგა. კულა სხვაღა იგი ორნი სპასალარნი გამოვიდეს თვისითა გუნდითა. იგინიცა მძიმედ შეჭურვილნი იყვნეს. გარდახდნენ, თაყვანი-ჰსცეს და დაჰსდგნენ გვერდით თვისისა

მეფისა მზად ბრძოლისათვის. მაშინ მოუმატეს საყვირთა ცემასა და შეიქმნა ორსავე მხარესა ომისა მზადება. შემოიგდო ცხენი ბარდასმან მოედნისა შუაგულობასა, ლახტი თავსა დაიბრუნა და შექმნა ნავარდი. მოვიდა ჩემთანა საყვარელი იგი პოლანთა მეფე გოჰარ და მთხოვა ვედრებითა დიდითა ნებისა დართვად შებმისათვის ბარდასისა; მე ცხენსა ზედა გარდავეხვიე, დავჰკოცნე და ვარქვი: „არა, ძმაო, ესე მოედანი ჩემთვის არს განმზადებული, შენ მტერსა ჩემსა შევაბა, მაშა მე კმალი წელთა ჩემთა ცუდად რადღა მებას! ნუ თურე გნებავს, რომე დამსვა განსაკიცხავად საყვარელისა ჩემისა და ესე ათქმიო, რომე მმულრაობელსა თვისსა თვით შეუდრკა და ძმა თვისი შეაბაო, ესე საქმე ქვეყანასა გამოჰასალჰებს და მზესა ჩემსა თანა შემარცხვენს.“ რა ესე ესმა გოჰარს, მოითხოვა ბოდიში და გამომესალმა. მაშინ შევიგდე ცხენი მოედანსა და დავიწყე ნავარდი; მქონდა თვალნი გოდლისა კერძო და ვიხილე სიხარული ჩემი მწვანისა შესამოსლითა შემოსილი, ანათებდა მათ მიდამოთა. მყისად ცხენი გავქუსლე, მიველ პირის-პირ მისსა, უსალამე, გული შეხედვითა მისითა გავიმყარე, გამოვბრუნდი და სურვილსა მისსა ზედა მწადდა ომი სასტიკი; მაშინ ბარდასმან შემომყივლა, ვითა: „ჭაბუკო, რასა იყოვნი, ნუ თუ ლახტისა ჩემისა სიმძიმემან გულსა შინა შენსა შიში რაჲმე შემოიყვანაო.“ ესე რა მესმა მისგან, გულსა ცეცხლი მომეგზნა, გავიყენე ცხენი და ფიცხელად შეუტიე და მანცა მოსისხლედ შემომიტია; მოვისვი კმალსა კელი და ვჰგონებდი შუა განჰკვეთასა მისსა; შეიმაღლა მანცა ლახტი, ვჰკარ კმალი ლახტსა ზედა, განჰკვეთა ლახტი იგი, ჯაჭვი ჯავშანი, ბაბრაბი და მარჯვენე მკლავი სრულად მოჰსწყვიტა, მყისვე ცხენით გარდავარდა; შევჰსძახე ყმათა ჩემთა, მხარნი შეუკრნეს და წარიყვანეს. კვლა გამოვჰსთხოვე მუქარა მათ ორთა სპასალართა; მათცა დაუკრეს თავი მეფესა მათსა, შეხდეს ცხენთა და მომმართეს გულ-მესისხლედ კმალ-მოწვდილთა. მეცა ცხენი გავაფიცხე, მიუხე მას ერთსა, ვჰკარ კმალი

ჩაბალახსა ზედა და, თავმან თქვენმან, უნაგირისა ტახტალმდე შუა განვჰკვეთე და ჩამოვარდა ორად განკვეთილი ბედ მლაშე. იგი კვლა მესამემან მომმართა, მომიხდა ზურგით კერძო, მკრა კმალი ბეჭსა ზედა, განჰკვეთა საჭურველი და კორცად მცირედ მიწია და სისხლი გარე გამომხდა; გაუბრუნდი და შევჰსძახე: „კრულმცა ხარ! მუხთლობა რა გულოვანთა წესია და, თუ კარგი ჭაბუკი ხარ, ახლა გამოგცადო." რა შეუტიე, ჩაშ, თურე გულმან აკლო, გამექცა, მივეწიე, სარტყელსა კელი ვჰსტაცე, მოვხადე უნაგირისაგან, დავეც ქვეყანასა ზედა და მოკვდა უბადოცა იგი; მაშინ ერთობილთა მათ სამთა ჰრჩეულთა სამასთა ჭაბუკთა შემომიტივეს და ღმერთმან ორგულთა თქვენთა დაჰმართოს, რაცა მე მათ დაუწიე: დღისა მეშვიდე ჟამადმდე ერთობილნი ამოვჰსწყვიტენ, დავჰსდევ მოედანსა ზედა შუბსა დაყრდნობილი და მოველოდი სხვასა მეომარსა. მაშინ შემომჰსძახა თვით მეფემან ბრიტან, ვითა: „ნუშრევან, ნუშრევან, დღეს სახელად ეგე გეყოფის და, თუ კარგი ჭაბუკი ხარ, კვლავ გაჩნდებისო." ჰკრეს ზასაყრელსა ნაღარასა, მეცა გამოვბრუნდი, მიველ და წინა მომეგებნეს ძენი იგი მეფეთანი, მომილოცეს გამარჯვება, დავჰკოცნეთ ერთმანერთი ვითა ძმათა საყვარელთა, მიუძღვ ჩაღრსა ჩემსა, ავიხადე საჭურველი, მერმე მცირედითა სალბუნითა ბეჭი შემიხვიეს დასტაქართა. გავმართეთ პურობა და შევქმენით მხიარულებაა, ვსმიდით თაფლუჭთა და ღვინო მოვარაყულსა, ავღვავსე ყოველნივე ძღვნობითა ტურფითა და საჩუქარითა მრავლითა და ღამისა მეორესა ჟამსა გავიყარენით. მე ჩემსა საკუთარსა ხალვათსა შეველ და ჩემსა მას სატრფიალოსა გონებითა ვეალერსებოდი და ვიტყოდი: „ნეტარ თუ რა იქმნა შიკრიკი იგი გულისა ჩემისა განმამხიარულებელი"!

აქა შიკრიკისა მის მორეს მოსვლა წინაშე მეინვართა მეფის ძის ნუშრევანისა, გულნაზისაგან დაბარების მოხსენება და წასვლა ნუშრევანისა.

მართლად თქმულა: „თუ განგება გწყალობს, ეტლი კეთილად დაგიბრუნდებისო.“ მე რა მას საგონებელსა შინა ვიყავ, შემოდგა მონა იგი, მისალამა და მრქვა: „ძეო მეფისაო, ზღვათა მნათობი გიწოდს და მიგელისო.“ მე რა იგი მესმა მისგან, დაუყოვნებელად აღვჰსდეგ და ვუბრძანე ეზოს მოძღვარსა ჩემსა მის ვნებულისა სპასალარისა გამოხსნაჲ, დასტაქართა დადგინება და წყლულისა მისისა განკურნებაჲ. მე, ვითა გული მაწვევდა, ეგრეთ მსწრაფლად შეუდეგ მონასა მას. მისვლასავე თანა ჩემსა როადამ წინა მომეგება, მისალამა, გარდამკოცნა და მრქვა: „ძეო მეფისაო, აჰა, ღამე მოიწია შენთვის დღისა უამესიო.“ განაღა მეცა ყელსა შეხვევნილმან დავჰკოცნე და, ვითა მმართებდა, ეგეთი მადლობა მოვახსენე. შემიძღვა და შევყევ თანა, სადა იყო ლელწამ ტანა, სად (ვით ვნახო მე მისთანა!) ვნახე იგი პირ-მთოვარე ყვითლითა შესამოსლითა მჯდომარე, რომლისა ელვარებასა ზენანი მთიებნი დამონებოდეს და მისთა გარემოთა აკამკამებდეს. შემომხედა, გაიღიმა და მიბრძანა: „მოვედ, მამაცობითა განდიდებულო, დაგსაჯე ცრემლთა დენითა! დღეისითგან შენისა შვებისა სამოთხე ნებისაებრ შენისა განგისვენოო.“ მე თაყვანისვეც და კვლა მიმიწოდა, მიველ, მომკიდა კელი და გვერდს მომისვა, მიბრძანა: „ჰე, ნუშრევან, ესე ყვითლითა შემოსა ჩემი შენცა იცი, ყვითლის ფეროვბა რასათვის შეუმსგავსებიათ და უკეთუ ბეჰმან შენმან სისხლი გარდამოადინა სურვილისათვის ჩემისა, ამისთვის გულიცა ჩემი მწუხარებითა სნეულთა ესახვის, გარნა არა ეგრეთ, რომე ჩემებრსა სნეულსა შენებრისა დაკოდილისა კურნება არა შეეძლოს! მიჰყავ ბაგენი შენნი და ჩემისა შვენიერისა მტილისა ვარდნი შეჰფურჩნენო.“ მაშინ მე მათ საწადელთა კელთა ბაგე-ყელ-ღაწვ მფშველთა

და ვეცხლისა გამასხლულსა მკერდსა უთვალავად ვეკონებოდი და სურვილით ბაგეთა ზედა შევალევდი; ოთხი ჟამი ჩემსა წადილსა შინა ესრეთ დამატკბო სრულისა ნებისა ბოძებითა ყოველსა შვენიერებასა თვისსა ზედა ბაგისა შებითა, რომე დღესცა ჟამი იგი სიცოცხლესა ჩემს იზიდავს, ვეძიებ უბედური ესე და ვერღა სადა მიპოვნიეს, სვე ჩემი მას შვებასა, ვიცი, არა ღირს იყო; თვარა სიკვდილისა დღედმდე ასე არა დავმწარდებოდი! ვისსაცა გულსა სიყვარული არა არს, მან ჟამისა მისისაცა სიამოვნე არა იცის და; რომელსაცა გული თვისი გამოცდილი ექმნების მოყვრისა სიახლოვითა და დატკბობითა, იგი ჰსცნობს ჭირთა ჩემთა და გულისა ჩემისა ცეცხლთა დებასა და შევალს სიბრალულსა შინა ჩემსა; მაშინ ვიყავ მე სიტკბოებისა ზღვასა შეცურვილი, სიხარული ჩემი დიადობდა და სამოთხე გულისა ჩემისა უკვდავებასა ჩემთვის იეფობდა; მას და ეგე ვითარსა ჟამსა ჩემისა სიტკბოებისასა, ოდეს წარმოვიდგენ გონებასა ჩემსა, ცეცხლისა მახვილნი განმესხმიან ტყვე ქმნილსა გულსა და სიკვდილისა ჯალადნი მომესევიან სულისა მისაკმელად, გარნა ესევე მკვირან, რომე ჯერეთღა ცხოველთა ხორციელთა რიცხვში ვირიცხვი და სულისა სირათა დამწყობი ჩემსაცა მათ თანა არა აწესებს, ნუ თუ მოკვდავთა სია კელთაგან მისთა სხვამან მიულო და ანუ სახელი ჩემი მუნ არა შთაწერილ არს, თუ არა სიკვდილი ჩემი ესრეთ რად გლახ გაძნელდებოდა!

შ ა ი რ ი.

ჰსჯობს, მოკვდავისა, სიმწარით ცხოვრებას, სიგლახაკითა,
რა არსად უჩნდეს საზრდელი, ვიდოდეს თხოვად პარკითა,
რა მოჰსწყდეს გულის საშვებელს, საწუთოს ცელის მომკითა,
თვითცა განშორდეს, განვიდეს აქ მყოფობისა ბაკითა.
სიცოცხლეღა რად საკმარ არს, რა საყვარელს ვერ ჰხედვიდეს,
იგი თვალთა მიეფაროს, თვით სიმწარით ცრემლთა ღვრიდეს,

რასა არგებს ოხვრით სულთქმა, რაზომ გინა მთათა ვლიდეს,
ქვე თუ იჯდეს ვაებითა, ტირილითა ჟამთა ჰსთვლიდეს!
მისი ჰსტანჯვიდეს სიტურფე, ჰსწვიდეს წელისა წვლილობა,
ცეცხლსა აყრიდეს გულზედა უმანკოებით ზრდილობა,
ვით დაჰსჭნეს ვარდი კოკობი, ჯეროა არ აქვნდეს შლილობა,
ვაიმე, მისსა მხსენებსა თვალთზე მაქვს ცრემლთა ნილობა!
უმისოდა საწუთოსი ყოველი შვება მემწარების
ესე მიმძიმს, გული წყლული რადგან ჰსცოცხლებს, არა ჰკვდების,
არად მინდა თვალთა ჩენა, მზისა ჰვრეტა მეძულების,
მენატრების ჟამი იგი, ოდეს სული ამომხდების.
რასა ვამჰსგავსო, არ ვიცი, მისგან რომე შვება მჭირდეს,
ერთი ოდენ ხილვა მისი ჩემთვის ყოვლად სოფლად ღირდეს,
როს მეუბნის ენა მჭევრად, გულით ჭირსა უკუ მყრიდეს,
აწ, ვაგლახმე მისს დამკარგავს, ყოვლმან ლხინმან შორად მრიდეს.
მდემს დასხმულის ხისადა კეთილ ნაყოფი ზენამან
მომცა ყოვლითურთ ტკბილიდა, ვით ვაქო მიწის ენამან,
მისგან ვსასოებდ სიხარულს, ვჰსთქვი, ალმავსოსცა ლხენამან —
ეტლი მიბრუნდა, წამერთვა, მომიცვა ცრემლთა დენამან;
მიმეღო თვალთა ნათელი სულისა სატრფიალოდა,
ჩემი შვება და დიდება, მური, მტახსი და ალოდა,
ვისთვის ვილვწიდე ცოცხალი ანუ ვის გავექრძალოდა!
ნეტარ თუ მპოოს სიკვდილმან, სადა არს იგ უწყალობა!

უდიდებულესო კელმწიფეო, წინაშე ტახტისა თქვენისა ყოველსავე შემთხვევასა ჩემსა ამად განვაცხადებ, რომე ანუ ძლიერებითა მკლავისა თქვენისათა გამოვიხსნა ცეცხლისა ამისგან და ანუ თქვენითავე კელითა იქმნას სიკვდილი ჩემი და განვერო ესოდენსა სატანჯველსა, კელმწიფეო, ვიყავ რა მე მაშინ ჩემისაგან საყვარელისა ეგე ვითარცა ჩემგან გამოუთქმელსა შვებასა შინა და დავჰსტკბებოდი მისგამო სიტკბოებისა აღმოწოვითა, მაშინ აღჰსძრა იაღონისა უსამართლოსა ენაჲ თვისი და მიბრძანა ესრეთ.

აქა ზღვათა მნათობისა გულსაზისაგან მეინვართა მეფის ძის ნუშრევანის თანა ციკლოპელთა და ქალაქისა მათისა ჭამბის თხრობა და მამისა თვისისა საიდუმლოთა გამოცხადება, წვრთნა-შეგონება და ნუშრევანისაგან მწუხარებით სმენა.

ჰე, მტრფიალო ჩემო, დიდო მეფისა ძეო ნუშრევან, ესრეთ უსაზომოეთა სიყვარულითა ჩემითა დამტკბარმან მოიგონე გულისა ჩემისა მოცემაჲ შენდამი! თუმცა ყრმა ხარ და სიყვარულსა ზედა არა გაბრალებ, გარნა ესეცა გახსოვდეს, რომე ჯერეთცა ვარდი ჩემი კოკობობს და განშლისა ჩემისა ჟამი არღა მოწევნულ-არს. აწ მიეც გონიერად სასმენელნი შენნი თქმულთა ჩემთა და შთაჰსდევ გულისა შენისა მეხსიერებისა ფიალსა—მცნებანი ჩემნი: პატრონსა მამასა ჩემსა უფიცავს მეფობითა თვისითა, რომელ უკეთუ თვისსა ზედა გულოვანსა არა შეჰხვდების, არა სადა ვის მისცემს თავსა ჩემსა და აწ განგიცხადებ დაფარულთა მისთა, რომელიცა ვიცი მე უშინაგანესთა გულისა მისისა მისანდოთაგან. იტყვიან მამისა ჩემისა ძალითა დაპყრობასა ციკლოპელთა რასმე ქალაქსა, რომლისაცა იყოს მთა რაჲმე დიდი დამფარველი მისი, და მთასა მას ზემო ვერძო მოჰსდიოდეს ოთხსავე კიდესა ზედა გარდართხმული ეპიფანიად მდინარე, ცეცხლისა მოუკლებელად წარმომდინები დღე და ღამე, და მთასა მას ქვეშე მცხოვრებთა, მოუთხრობენ, მუშაკთა რკინისათა, რომელთაცა კელოვნება რეცა იყოს ყოველსა ქვეყანასა ზედა დიდ ფასად რადმე განსაკვირვებელი, არავის ძალ-უძსო მათებრისა საჭურველისა შემზადება, და ესრეთ მსმენია, რომე ვულკანცა მათგან დაკელოვნებულ-იყოს. ოთხსა დროსა შინა წლისასა ოთხგზის თურე შეჰსდგების მდინარე იგი ცეცხლისა, თვითოსა დროსა შინა სამსა ჟამსა და მათ ჟამთა შედარაჯებით შევლენ და გავლენ მუნ მცხოვრებნი თვისთა საცხოვრებელთათვის შემზიდნი და ეგრეთვე განმაკვირებელად მოქმედებათა თვისთა

ოდეს პატრონი მამა ჩემი ყოფილა გმირობისა სახელისა მეძიებელი და უვლია პირი ყოვლისა ქვეყანისა გამოსაცდელად თავისა თვისისა, მას ჟამსა შეჰბრძოლებია გმირი ვინმე გამოჩენილი და სამსა დღესა ჰქონიათ ბრძოლა ძლიერი და მეოთხესა დღესა უძლევია მამასა ჩემსა მისთვის და ზე დაუზახნია ესრეთ, ვითა: „ამიერითგან აღიხადე სახელი გმირობისა, ვინაჲთგან ეგრე ჯაბანი ყოფილხარო.“ მაშინ მასცა უპასუხნია, ვითა: „ჭაბუკო, რა დია იქადი ძლევისათვის ჩემისა, თუ კარგი მამაცი ხარ, მივედ ქვეყანასა ციკლოპელთასა და მუნ ჰსცნობ, ვითარი ჭაბუკი იქნებიო.“ მას სიტყვასა ზედა მამა ჩემი დიდად შეჰსწყობია მას და უთხოვნია დიადითა ვედრებითა ჩვენებაჲ მის ქვეყანისა. მაშინ გმირიცა იგი დაჰყოლია თხოვასა მას ზედა და წაუყვანია ხსენებულსა მას ქვეყანასა, სადაცა უსაზომო მთა არს, ცეცხლისა მომდინარე მრგვლად ოთხსავე კიდესა ზედა. მამასა ჩემსა ათ-ხუთმეტი წელი დაუყვია მუნ, გარნა ვერა რომლისამე ღონის-ძიებითა ვერა შესრულ-არს ქალაქსა მას შინა, რომელსაცა მრავალნი და საკვირველნი ბრძოლანი გარდაუხდია მუნ და ყოველთა მებრძოლთათვის უძლევია და დიადი სახელი შეუმოსავს მუნ. დროსა ერთსა შეხვედრია მუნებურთა ვაჭართა ჟამისათვის მაყურებელთა შესვლად. მაშინ მამასაცა ჩემსა შეუმოსავს სამოსელი მჰსგავსად მათსა, გარეულა მათ შორის ვითარცა ერთი მათგანი და ვერავის გაურჩევია იგი უცხოდ და ჰგონებიათ ვითარცა ერთი მის ქალაქისაგანი, და ოდეს ჟამი იგი ცეცხლის მოკლებისა მოსრულა, შეჰყოლია მოქალაქეთა მათ და შესულა მას შინა. კართა ქალაქისათა აქვსთ, თურე, მყარისა ფოლადისა კარი, სიზრქითა ვითარ სამ ათეული მწყრთა და ჰსდგას იგი დიდროვანთა რვალისა გოგორათა, რომელთა გამო უფრორე ადვილად განაღებენ და მიუგდებენ; და კარსა მას აქვს შიგნით კერძო, გვარად ურდულისა, რკინისა კეტი, დიდისა ძელისა ოდენი, და ოდეს შესრულა პატრონი მამა ჩემი მუნ, დამდგარ არს მათსა მოედანსა შეჰურვილი საგმო-

როსა იარაღითა და შეუზახნია კმითა მაღლითა ესრეთ, ვითაჲ ქალაქსა ამას შინა მცხოვრებნო ციკლოპელნო, ანუ გამოვედით ბრძოლად ჩემდა და ანუ თავნი თქვენნი დამამონეთ? მე ვარ მაღლისა მის ზღვათა მეფისა ძე ბრიტან, და ვისცა თავთა თქვენთა მშვიდობაჲ გნებავსთ, დამამორჩილენით თავნი თქვენნიო.“ ოდეს კმა იგი ჰსმენიათ ციკლოპელთა მათ, განკვირვებულან მით, რომე არა არიან თურე გამოცდილნი ბრძოლასა შინა, გარნა უპატიოებისათვის სახელისა თვისისა ყოველთავე ერთ-პირად შემოუტევიათ რკინისა ძელებითა და წელიწადსა ერთსა ყოფილა ბრძოლა ძლიერი და შემდგომად მრავალთა ჭირთა და შრომათა დაჰმორჩილებიან ყოველნი იგი წინააღმდგომნი თვისნი მამასა ჩემსა, დაუსვამთ მეფედ თვის შორის და ესრეთ გაერთგულებიან, ვითარ ძანა-ზრდილნი თვისნი, ყოფილა მრავალსა ლხინსა და შექცევასა შინა მუნ წელიწადი სამი და შემდგომად მოსულა სამეფოსავე თვისსა, აღურჩევია ოთხასი ათასი ლომ-გული ჭაბუკი ოთხი ათასითა სახელოვანითა ფალავანითა. რა იგი ურჩეულესნი ფალავანნი და ჭაბუკნი მას ქალაქსა შეუყვანია, მათ, ციკლოპელთა დაუკეთებიათ ყოვლისა თანა საჭურველი და იარაღი უკლებრად და რაზმი იგი მით დაუჭურავსთ და ესრეთ ბუნებით შეუვალი იგი ქალაქი კვლა უმეტეს გაუმაგრებია, და იტყვიან ამასცა, რომე თუმცა ყოვლისა ქვეყანისა კელმწიფენი აღჰსდგნენ მის ქალაქსა ზედა, ღონესა ვერას მიიცემენ შესვლად მას შინა, მით რომე რჩეულნი იგი მეომარნი და წინამძღავრნი მათნი, ოდეს ცეცხლის მოკლების დრო იქმნების, მას ჟამსა წინა დაჰხვდებიან ბრძოლად მიმავალთა და მესამესა ჟამსა ცეცხლი მოჰსწვავს ყოველთა. მას შინა შეუტანია ყოველი ნივთი მეფობისა თვისისა და საჭურჭლენი მუნ დაუუნჯებიან. აწ ესე არს ნება მისი, რათა შევიდეს მას შინა, და რომელიცა შეიძლებს ძალითა თვისითა შესვლასა მუნ, მან მიმიხვედროს ესე და მეფობაჲცა თვისი მასვე მიულოცოს. ვინაჲთგან პატრონი მამა ჩემი ესრეთ განიზრახავს ჩემთვის, მე ესე მწადს, რათა

მიუგზავნო ვეზირი თვისი და ვჰსთხოვო ნებისა მოცემაჲ შენზედა ქორწინებისა და უკეთუ არა ინებებს, მაშინ დავიმტკიცებ, რომე რაჲცა მსმენია მართალ თურე არს. ნუშირევან, ვინ უწყის, უკეთუ მოხსენებასა ჩემსა ზედა განჰრისხნეს და მე იდუმალ წამიყვანონ მათ ეშმაკთა სადგურსა ადგილსა ციკლოპელთასა, შენ მამისა ჩემისა ბრძოლასა დაეხსენ, მით რომე მოუალია ომი მისი კაცთაგან და ანუ რა სახმარ იქმნების შენდა, რომე მე კრულსა მას ქვეყანასა ტყვედ ვიყო და შენ ცუდსა ბრძოლასა შინა იჭირვოდე! მაშინ ესე იმოქმედე: ერთ-გზის გამოჰსცადე თავი შენი, მოვედ ადგილსა მას, სადა მე მგულობდე; უკეთუ შეიძლებ შემოსვლასა მუნ, მაშინ ერთმანერთი ვერღარამან განგვაშოროს, და თუ უბედობითა ჩემითა ვერ შეიძლო, ნუ დაიწვი ცეცხლითა ნივთიერითა, მით რომე კმა არს შენდა იგი უნივთო ცეცხლი, რომელიცა სურვილითა ჩემითა გეკიდების, მაშინ განიუცხოვე თავი, მოიარე ყოველი პირი ქვეყანისა და სადაცა უსწორო ვინმე მძლეველი ჰპოვო, მას მოახსენე სიყვარული ესე ჩვენი, და, ვინცა იყოს შეგვიბრალებს, დაჰსდებს თავსა თვისსა შეყრისათვის ჩვენისა, ამად რომე ქვეყანასა ზედა დაუსრულებელსა იედგარსა სახელსა მოიგებს და თავსა თვისსა ცადმდე აღიმაღლებს და ყოველი ენა ქებასა დაუწყებს. ნუშირევან, ჩემგან შეყვარებულო, ესე სიტყვანი ჩემნი გახსოვდენ, მე სოფელსა შინა შენგან კიდე არავინ მინდა და მოვჰკვდებიცა შენთვის, ოდენ ნუ დამივიწყებ მე, გახსოვდეს სიყვარული ჩემი და მიეც გული შენი მოთმინებასა.

შ ა ი რ ი.

არვის მივჰსცე გული სხვასა, სიყვარული შენი მწვიდეს,
თვით ამურიცა რომე ჩემთვის მოუწყვედლად ცრემლთა ღვრიდეს,
ზენით ღმერთთა სიმრავლენი სრულად ჩემთვის გარდმოვიდეს,
ვერ მიიღონ ჩემგან ნება, მათთვის ცაცა შემრისხვიდეს.

სხვა საწუთოსა ყოვლისა შემხვდეს ნიჭი და დიდება,
მზემანცა ხორცი შეისხას, ჰყოს ჩემი მინაზიდება,
ცვილსაებრ დადნეს ცეცხლითა, შეუქმნას თავს მოკიდება,
ვერა რა ირგოს ჩემ-მიერ, მქონდეს მე მისი რიდება.
შენგან კიდე სხვას მამაცსა, ვის გინდ უნდეს ჩემი ტფობა,
თუმცა ჰქონდეს ცას ქვეშეთთა ყოველთა ჯრსთა კელმწიფობა,
სახეს აშვნდეს უცხოდ რასმე შვენებისა შემკრეფობა,
ვერ მიხილოს, სხივთა ჩემთა არ ვჰყო მასზედ იეფობა!
შენი იყოს გულსა ჩემსა სამარადო სიყვარული,
უშენოსა ნუ მექმნების წამსა ერთსა სიხარული,
მოგშორდები, მომეცემის სიკვდილისა იგი ჰრული,
გაგეყრები, შეიქმნების ვარდი ჩემი დაცაზრული.
აწ გულსა ამას, საშენოდ სიყვარულ განდიდებულსა,
დატკბობად შენდა მტრფიალსა და შვებად განმზადებულსა,
ნაცვლად მოუგე ხსოვნა და ნუ ჰყოფ გლახ დავიწყებულსა,
მოიგონებდე, უშენოდ ათას-გზის დაწყლულებულსა!

„ნუშრევან, მაშინღა ამო არს სიყვარული შენი ჩემგან, ოდეს თქმულთა ჩემთა არა დაივიწყებ და, რაჲცა მიმცნია მას აღასრულებ და მოთმინებასა შეუდგები.“ მე რა იგი ბრძანებანი მისნი მესმნეს, მყისვე ავთრთოლდი და მომეშალნეს ყოველნი ნაწევარნი ჩემნი, წამიხდეს ძალნი გულისა ჩემისანი, თვალთა ხედვა მიმეღო და ვითარ ეშმა კვეთებული შევიქმენ, არა ვიცოდი, რა მექმნა და რაჲსათვის მიმეჰმსგავსებინა ჟამი იგი; რა უგრეთ სიცოცხლის უნაწილო მიხილა მთოვარემან მან, მიბრძანა: „ჰე ნუშრევან, შენითა ეგრე მოუთმენელობითა ნუ დამაჭკნობ მე, გაფუცებ სიყვარულსა ჩემსა, ისმინე ვედრი ჩემი, დაიმარხე იგი და ველოდეთ მოსამართლისა ცისაგან შეწევნასა და კეთილსა.“ მაშინღა მოვეგე გონებასა და მოვახსენე მზესა მას ჩემსა, ვითა: „მნათობო, ესე უმჯობეს არს ჩემთვის, ვიდრე თავსა შენსა სხვა ვინმე მომაშორებდეს, აწვე თავსა ჩემსა დამწველსა წიალსა შენსა თავი ჩემი მოვიკლა.“

ამოვიღე პირ-ბასრი დაშნა გულსა დასაცემელად. „ეჰა, ვაი-ჩემდა,“ — მთიებმან მან შეჰკივლა და მარგარიტისა მჰსგავსთა-ცრემლთა გარდმომღვრელმან კელი შემტაცა, დაშნა წამართვა და მიპრძანა:

ყ ა რ ი ბ უ ლ ი.

გმირო, მე შენსა სულსა, შენის გვამით გასულსა, ვითა
ვჰსჭვრიტო ცოცხალმან!
თუ ჩემთვის იკლავ თავსა, მე მყოფ მარად მჭმუნავსა, ჳს ვით
ვჰყო ქალმან მკრთალმან!
სხვა რამცა დავაპირო? ჰსჯობს, მე შენ დამიტირო, გულითა
ლომებრ სალმან,
შრავალ შვენიერება ჩემი ვარდ-ფეროვნება გაახმოს სურვის-
ალმან!
ღმერთთა ჩემსა მამასა ჰკითხონ, ვიტყვი ამასა, ჩვენსა და-
მამხობელსა,
რადგად ეს იყო მისი წადილი შესატყვისი, ვთხოვ ცას, ეტლ-
თა მფლობელსა,
შეჰხვდეს თავსა ძვირები, ჟამით-ჟამ სატირები, ჩემებრ შვილის-
მგმობელსა,
ვინ არა მოგვცა ნება, ურთერთის ქორწინება, და შვება ამ
სოფელსა.
რადგან მამისა ძვირსა მე ვათქმევინებ პირსა, ნეპტუნ
ღმერთს, ზღვის მბრძანებელს,
ვიცი, განვარისხებ და მისს წყრომას შევიკრებ და არ შეუდრ-
კეს სავნებელს,
მით, რომ თუ ჰსწორ გაბჭობდა, ჩემსა სიმართლეჳს ჰგრძნობ-
და, არ ვჰყოფ მე მისს უნებელს,
ვითხოვ ჰსჯულით ქორწილსა, არ ვგავ მეძავ განხრწნილსა,
უშვერებით მღირწებელს-

ნუშრევან, წამსაცა ერთსა ნუ იქმნების სიცოცხლე ჩემი უშენოდ! აჰა, რადგან უთმინოებასა აძლევ თავსა შენსა, მე თვით ამავე დაშნითა შენითა მოვჰკვდე წინაშე თვალთა შენთა და განჰქარდნენ დღენი ჩემნი ესრეთითა უბედურებითა.“ მაშინ მუხლნი დავიდგენ და ცხელითა ცრემლითა შევჰფიცე მტკიცედ სიყვარულითა თვისითა, ვითა: „საყვარელო, დააგდე დაშნა ეგე და მივჰსცე თავი ჩემი მოთმინებასა, ვითარ იგი მიბრძანებთ მე.“ აღვჰსდეგ, კელს ვაკოცე, შვენიერთა თვალთა ზედა მომდინარევი ცრემლნი ბაგითა ჩემითა აღმოვსწბე, ტკბილითა ალერსითა გული დაუწყნარე და კვალად შევჰფიცე მოთმინებასა ზედა, ესრეთ:

ყ ა რ ი ბ უ ლ ი.

საყვარელო, მე შენსა ურვას, ჩემთვის ესდენსა, ვითა ღირს-ვარ კელიდა,
მიბრძანებ მოთმინებას, გულისა გარკინებას, ვარ მმორჩილე-ბელიდა,
ვიყო ვითა მთა სალი, მეკიდოს ცეცხლის ალი, სრულიად დამწველიდა,
გავსძლო, ვითმინო წვანი, შენის ტრფობის სულთქმანი, თუმც არიან ძნელიდა.
შემხვდეს რაზომ ჭირები და დრონი სატირები, მივჰსცე თავი თმენასა,
გული ზღვებრ მიღელვიდეს, საბრალოდ მივოხვრიდეს, ვჰსცე თვალნი ცრემლთ დენასა,
ველთა ნადირებ ვჰსძრწოდე, სისხლითა ვიბასროდე, ტყეთა ვეწყო რბენასა,
ეგრეცა სიყვარული მაქვნდეს გულს დაფარული, ველოდე ცით ლხენასა;
აროდეს არ გაწყინო, ვით ჰბრძანებ, მოვითმინო მე, გლახ წყლულმან გულითა.

გავჰსძლო წელნიც მტირალმან, შენის ხლების მზირალმან,
შეშთობილმა სულითა.
დავაგდო შენობანი, მთათა ვჰყო მკვიდრობანი, წესითა ირ-
მულითა,
თავი გავიქვითკირო, არვის ვფლობდე ვით კირო, შენის სი-
ყვარულითა.
თუმცა მარტოდ მწირობით და ტყეთა ნადირობით, ვიწყო
მოლთა ძოვანი,
ქურციკებრ კაცთ ვეფრთხოდე, ზღვად თევზთა ვემოყვროდე,
ვჰყო მცნებისა ხსოვანი,
მაქვნდეს კრძალვით დაცულად, იგი გულს შენახულად, რა-
ზომ ვიყო მხცოვანი,
დამკრას თუ ვინმე წვლილად, შენივე მცნება ტკბილად ვიცვა
ვით მყარ კლდოვანი.
შენისა სიყვარულით, რაც შემხვდეს სიხარულით, გავსძლო
ჭირნი მწარენი,
ოდენ შენ სამ გგულობდე, შვებითა განვჰცხრებოდე, ჩემნი
სანეტარენი
იგი არიან ჟამნი, სიცოცხლე უჰამრავნი, ჩემგან სამუდარენი,
რომე ჰგებდე მშვიდობით, მე გლახ შენის შეტრფობით, რამც
ვით ვიმჭმუნვარენი!

კვალად მიბრძანა, რა ჩემგან ესე ვითარნი ყარიბულნი სტიხნი ისმინა, ვითა: „ნუშრევან, ნუ დაივიწყებ ჟამსა და ფიცსა ამას, რომლითა მარწმუნებ მე; მოითმინე და დაიცევ თავი შენი ჩემთვის, მტრფიალო ჩემო! ვესავ გულთა მფლობელსა ცასა, რომე ვინათგან ორნივე ერთსა სიყვარულსა შეგვაერთა, სამიმდემოსა მოშორებითა არა დაგვჰსწვავს ჩვენ. ხვალისა დღესა მოვახსენო მე პატრონსა მამასა ჩემსა კვალად ნებისა დართვა ქორწინებასა ჩვენსა ზედა, და უკეთუ გულ-ულმობელობითა თვისითა არა ინებოს, გახსოვდეს მოთმინება სიყვარულისა ჩემისათვის და, რასაცა ინებებს, მასცა გაცნობე-

ბო.“ მას ბრძანებასა ზედა კვალად ვარწმუნე ფიცითა მტკიცითა და უთვალავითა შეხვევნითა ვკოცნიდი და ცრემლითა შევსვროდი ნათელსა კორცსა მისსა და ვევედრებოდი გულმხურვალედ, რათა მოეცა ნებაჲ, გამომყოლოდა სამეფოსა ჩვენსა და მუნ გვექორწინა. გარნა ესე მიბრძანა: „მამასა ჩემსა ახსოვს რაოდენი სირცხვილი დაჰსდევ ტახტსა მისსა და რაოდენნი ძლიერნი მორბედობანი აღასრულენ წინაშე მისსა და ესე რა ჰსცნას, განრისხებული შემოიკრებს ურიცხვთა გულ-ლომთა ჭაბუკთა და დღეთა შენთა ბრძოლათა შინა დაგასრულებინებს, სიცოცხლესა ჩვენსა დაგვამწარებს და ქვეყანაცა იგი შენი აოხრებასა მიეცემის და ესე ჰსჯობს შემიწყალოს და ნებითა მისითა მოჰხდესო.“ მე გლახ მის მეტსა ვეღარასა ვჰკადრებდი. მოიწია განთიადი, დავჰკოცნე ცრემლითა ხშირითა, გამოვესალმე და წარმოვედ, რა ჩემსა ჩადრსა მოვედ, მივეცი განუსვენებლობასა, ვვოხრევდი გულითა შავთა კვამლთა აღმომადენი და ვჰსთხოვდი განგებასა ჩემსა შეწევნასა. რა შავისა ხლისა საბურველი ქვეყანამან აღიხადა და აღისფერი კარავი კეკლუცად ზედა გარდაიფინა, შეჰკრბნენ ყოველნი იგი მეფეთა ძენი, მოვიდნენ გოჰარსა ჯანა, მიკმეს და მიველ მეცა, დავსხედით და იწყეს ხუმრობა, და მითხრეს: „ძეო მეფისაო ნუშრევან, ესეოდენი ჟამი არს, რომე მოვსრულვართ ქვეყანით ჩვენით, წარსაგებელი წარგვიგია და ვართ კართა ქალაქისათა ვითა ამაოთა ხნდურთა მომტანნი მოქარავნენი, რომელთა არა აღირსიან ქალაქთა შინა კეთილნი ხანაგანი, არამედ გარე ქალაქისა დაჰსდგიან უნდოთა რაომე ადგილთა; აწე შრომათა ჩვენთა ნაცვალი სხვა არა რაჲ გვინა, ესე ოდენ აღგვისრულე, რომე ქორწილსა შენსა დაგვასწარ, შენითა ბედნიერებითა და მხიარულებითა ჩვენცა დაგვატკბე, ქორწილი გარდავიხადოთ და ესრეთ წარვიდეთ თვის-თვისთა ქვეყანათა შინა, ამად რომე დღეისითგან ძმანი ვართ შენნი და ბედნიერება შენი ჩვენდაცა მხიარულება არსო.“ ესე რა დაასრულეს, წარმოჰსდგა ზე გოჰარ და ჰსთქვა:

„კელმწიფენო, ძენო მეფეთანო, ვინაჲთგან ეგე არს სამართალი, მაშა დღეს მე გარდავიხდი ქორწინებისა პურსა და ხვალისა დღესა მიუგზავნოთ მეფესა მოციქული, რათა მოჰსცეს პირ-მშოსა და საყვარელსა ძმასა ჩვენსა ნუშრევანს ასული იგი თვისი ცოლად და, უკეთუ კვლა ჰყვანან გმირნი, შემოგვაბასო."

აქა ჰოლანთა მეფისა გოჰარისაგან პურობისა გარდახდა მეფისა ძეთა თანა და დიდებულთა მათთა.

გოჰარ პოლანთა მეფემან ჰბრძანა პურისა მოღებაჲ. გამართეს პური და შეჰქმნეს განცხრომაჲ. გოჰარ პოლანთა მეფე სიყვარულისათვის ჩემისა გამხიარულდა და თვითოსა ჭიქისა შესმასა ზედა, თვითო კელთა ძვირფასთა ოქრო ქსოვილთა შესამოსელთა მიართმიდა ყოველთავე მუნ მსხდომთა, რომელნიცა იყვნეს მას დღესა მოდარბაზენი ათასნი ოდენ დიდებულნი, და აღავსნა იგი ყოველნივე ნიჭითა და საბოძვარითა. მოაქვნდათ ყოველთა კაცთა წინაშე დიდ-დიდითა ვეცხლის ლანკნებითა ტურფად ნამზადნი ღვეძილნი და სხვა და სხვაგვარნი მანდარნი და კოლოვიდნი, ასმიდიან ღვინოსა და დამოსდიან ტანთა; მას პურობასა ზედა ყოველნი იგი მეინაკენი ცხრა გზის დამოსნეს ოქრო ქსოვილითა ლარითა. იგი დღე ღამისა განზოგებადმდე დაჰყვეს დიდსა სმასა და მხიარულებასა შინა და შემდგომად გავიყარენით. მე ვითაცა მმართებდა გოჰარს ეგრეთი მადლობა მოვახსენე ჩემისა სიყვარულისათვის, ეგეოდენთა ლართა წარგებასა ზედა და მან გაცინებით მრქვა: „ძმაო, მეკიცხვი, თვარა, შენმან მზემან, თავიცა ჩემი არა მშურს სიყვარულისა შენისათვის წარსაგებელად და ესე მარტო არა რაჲ არს, ოდეს ქორწილსა გარდაიხდი, მაშინ უმეტესი მმართებსო." პირსა ვაკოცე და კვლა მადლობა მოვახსენე და შევედით თვის-თვისთა საწოლსა და განვისვენეთ.

აქა ზღვათა მეფის ბრიტანის წინაშე მოციქულისა გაგზავნა ოთხთა მეფეთა ძეთაგან.

ოდეს დილისა ორიონმან თვისნი მოკამკამენი ისრის-პირნი განსადიდებელად თვისისა ელვითისა შარავანდედობისა ქვეყანისა ოთხსა კიდესა ზედა განსრევით განამრავლნა და პერპერად განჰფინა, მაშინ იგი სამნი მეფეთა ძენი მოვიდნენ ჩვენთანა, რომელთაცა დიდისა სიყვარულითა მივეგებენით, მოვიკითხეთ, შევიწვიეთ და დავსხედით; იგინი სიყვარულისათვის ჩემისა მოსწრაფე იყვნეს, რათა ეხილვათ ბედნიერება ჩემი. და გამოარჩიეს კაცი ბრძენი და ენა მჭევრი სამოციქულოდ ზღვათა მეფისა ბრიტანისა წინაშე, დაადგინეს წინაშე თვისსა და შეჰსთვალეს ესრეთ:

„ჵე, დიდებულო და მაღალო ზღვათა მფლობელო, მოვსრულვართ კარსა შენსა ზედა დიდთა მეფეთა ძენი შორიელთა ადგილთაგან და დაგვიყვია ქვეყანასა თქვენსა დიდნი ჟამნი, მოყვარენი ვართ და არა მტერნი, დღეს უდიდებულესისა და უმაღლესისა მყინვართა მეფის ძე ნუშრევან პირმშო ძმა არს ჩვენი და საყვარელი გულისა ჩვენისა; ჭაბუკობა და მკლავთა ძლიერება მისი სახელოვანთა სპასალართა თქვენთა გამოსცადეს და ბრძოლასა შინა გაძლება თვისი თვალითა თქვენითა იხილეთ, და ესეცა ვიცით, რომე რაზომ გინა მტერი ვინმე იყოს მისი, ერთითა ოდენ ხილვითა მოყვარედ შეექმნების მას. მაღალო მეფეო, აწ ყოველნივე ესე ძენი მეფეთანი ერთობით გევედრებით და გემუდარებით, აჲა ჩვენი ისმინე და თხოვასა ჩვენსა ყურნი გულისა თქვენისანი განუხვენ-ნუ თუ დიდებულსაცა მეფობასა თქვენსა, ვინ უწყის, ოდესმე თავნიცა ჩვენნი დაჰსჭირდეს! შეგვარტყი ჩვენცა ზოსტერი სამსახურისა თქვენისათვის, თქვენსა და ჩვენსა შუა აღმართეთ ძეგლი სიყვარულისა და დასწყვიდეთ დენა ცხელთა ცრემლთა თვალთა ნუშრევანისათა, და ვინაჲთგან სულსაცა თქვენსა-

ზღვათა მნათობსა გულნაზს ესევე ჰსურს და ორთავე ნება არს, მოგვეცით მთიები იგი, და აკმარეთ ესდენი კიდის-კიდეობა, ქორწილი გარდავიხადოთ და დავიტევოთ მშვიდობა და წარვიდეთ მომადლიერებულნი ჩვენთა ქვეყანათა, და უკეთუ კვლა გისხენან მეომარნი, დია ღმერთო, ომსა არა ვაყენებთო." ამას პირსა ზედა გაისტუმრეს მოციქული იგი და დასხდენ პურობად, შექმნეს სმა და მხიარულება ვიდრე მწუხრადმდე და მწუხრსა შევიდნენ სხვასა სახლსა ხილობად.

აქა მის გაგზავნილისა მოციქულისა მოსვლა წინაშე მეფის ძეთა: გოჯარ, კარლო, ფორტუნე და იტალისა და ზღვათა მეფისა ბრიტანის დაბარებულთა მოხსენება.

მას ხილობასა ზედა მოვიდა მოციქული იგი და მოახსენა ბრიტანის დაბარებული ესრეთ: „ჰე, თქვენ დიდებულთა მეფეთა ძენო, რომელთაცა დაგიძლაბლებიათ თავნი თქვენნი და მოსრულხართ მრავლითა შრომითა ქვეყანასა ჩემსა და მრავალნი წარსაგებელნი წარგიგიათ მიზეზითა ჩემითა! აწ ეს მოხსენება მირწმუნეთ მე, რომელ თუმცა ქვეყანით თქვენით გეთხოვათ ასული ჩემი, მაშინცა ჩემგან უარი არ მოგხსენდებოდათ და ვინაჲთგან გნებავსთ საყვარელისა ძმისა თქვენისა ნუშრევანისათვის, თავმან თქვენმან, გული ჩემი ამასზედა მოხარულ არს მით, რომე სიძესა ნუშრევანისა უკეთესსა ვერა ვჰპოებ, დიდისა და სახელოვანისა მეფის ძე არს, შვენიერი ჭაბუკი და გულ-ლომი მეომარი არს, გარნა, კელმწიფენო და უფალნო ჩემნო, არცა თქვენ ინებებთ აღთქმისა ჩემისა გაცუდებასა მით, რომე დამიძს აღთქმაჲ მაღლისა ცისადმი, რომე უკეთუ ესრეთი ჭაბუკი არა ვჰპოვო, რომე ციხე ჩემი, ციკლოპელთა ქალაქი, ძალითა თვისითა ვერა აღიღოს, მან ვერცა მიიხვედროს ასული ჩემი ფერცხლად დამაშვენებელად ტახტისა თვისისა; აწ, თუ კარგი ჭაბუკი არს მყინვართა მეფის ძე ნუშრევან, მივსცე კოლაუზი ჩემი, მივიდეს ციხესა

მას ჩემსა, აღიღოს ძალითა თვისითა, ჰსძლიოს მუნ მყოფთა გმირთა, შეჰლეწოს კარნი ქალაქისანი, შეიმოსოს სახელი უზესთაესი ყოველთა; მას შინა დაჰხვდების საყვარელი თვისი და მიემთხვიოს საწადელსა თვისსა და მაშინ იქმნების საყვარელი შვილი და სიძე ჩემი და, ნაცვლად ჩემსა, მეფე ქვეყანისა ჩემისა; და, უკეთუ მარტოდ ვერა შეიძლებს, იძიოს შემწე ქვეყანასა ზედა ეგე ვითარი, რომლისაცა შემწეობითა შეჰლეწდეს ციხესა მას, და მაშინცა სიძე არს ჩემი და სასურველისა ჩემისა ასულისა ქმარიო; და უკეთუ ამასცა მოხსენებასა არა მიიღებს, ნება აქვს თვისსა გზასა ზედა მიიქცესო. აწ სიქადული ჩემი ზღვათა ქალაქსა შინა შუქთა თვისთა არღა აელვარებს და საყვარელსა ჩემსა ნუშრევანს, ვითაცა ჰსწადდეს, ეგრეთცა ჰყოსო." რა მოციქულმან შემოთვლილობა იგი ბრიტან მეფისა დაასრულა, კაენისაებრი ძრწოლა შემედვა, კუპიდონისა ისარნი გულსა მკვლელად განმესხნეს, დაუსაგნე თავსა ჩემსა ველად გაჭრა და მკეცთაებრ განადირება, დავგმე საწუთოსა ამის დაუდგრომელობაჲ და დავაპირეცა თავისა ჩემისა სიკვდილი, გარნა მომაგონდა საყვარელისა ჩემისაგან მცნებისა მოცემაჲ და გულსა ტყვე ქმნილსა განმაგრება ვაწვიე; იგი დიდებულთა მეფეთა ძენიცა მის ჴმისა გაგონებითა ესრეთ შეიქმნენ, რომე, ჰგვანდა, სისჴვლინე ისარი გულსა ჰსცემოდათ; ჰსთქვეს თვითოეულმან მათგანმან მის საქმისათვის რჩევაჲ და დაასკვნეს თათბირი ესე, რათა ყოველნივე ერთობით წავსულიყვნით წყეულისა მის ადგილისა სახილველად და, რაჲსაცა განგება ინებებდა, იგიცა აღსრულებულიყო. მათსა თათბირსა ზედა მე უარი მოვახსენე და ვარქვი: „ჴელმწიფენო და საყვარელნო ძმანო ჩემნო, რომლისა სამსახურისა და კეთილობისა ჩემისათვის მიიღებთ შრომასა მაგას? მე სვესა ჩემსა განუწირავვარ და ჩემითა უბედურებითა თქვენ რაღა გტანჯოთ და დაგამძიმოთ? მახსოვან სიკვდილამდე მოწყალებანი თქვენნი, და აწ, ბედისაგან დატევებული, დამთმეთ თქვენცა, გევედრებით." ხოლო მოხსენებასა ჩემსა ზედა გო-

ჰარმან ჰფიცა ფიცითა საზარელითა ესრეთ, რომე ვიდრე არა დავღვარო სისხლი ჩემი გზასა ამას ზედა, არა აღვიღო კელი და ოდეს ძალი ჩემი მოუძლურდეს ღონისძიებისა მისთვის, მაშინ სხვასა გზასა დავჰსდგებიო. მას სიტყვასა გოჰარისასა იგი სამთა მათ მეფეთა ძენიცა ფიცითავე ამტკიცებდეს. მე მათსა ნებასა ზედა არღა წყინება ვეცა. მას ღამესა დავჰყავით ერთად, რაჲცა ეთვისოდა მწუხარებასა ჩვენსა და შემდგომად გავიყარენით. მე, გაუბედურებული ესე, შეველ მარტო საწოლსა ჩემსა მწუხარებითა შეპყრობილი და ვგონებდი გზისა მისთვის.

აქა შიკრიკისა მის მორეს მოსვლა წინაშე მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა და ზღვათა მნათობისა გულნაზის წიგნის მორთმევა, ხოლო ნუშრევანისაგან აღმოკითხვა და ტირილით გოდება მას ზედა.

შ ა ი რ ი.

შემოდგა მონა შიკრიკი, ტირილით თავსა მცემელი,
საბრალოს მოთქმით უწყალოდ ღაწვსა და პირსა მგვემელი,
არა პირველებრ მოკრძალვით ურიდად შეუკდემელი,
ვნახე, სულთქმით და ვაებით, არ სიხარულის მჩემელი.
შემომტირა თმისა გლეჯით, მითხრა: „გმირო, სიტყვა მცდარად
ვით გახარო, ეგრე შენცა სისხლთა ჩემთა იქმენ მღვარად,
გიაჯები, სიცოხლესა დამხსენ, ვდგავარ მე მუდარად,
არღა მინდა მზისა ჰვრეტა, ხლმითა შემქმენ ადრით მკვდარად.
„რადგან კრონოს შვილთ შთამნთქმელმან, ბრიტან მრავალთ სისხლთა მღვრელმან,
ულმობელმან გულ-ქვაობით, უსამართლოდ ყრმათ დამსჯელმან,
თვისთა სპათა აღმსპობელმან, სამეფოსა დამმხობელმან,
მოგაშორნა საყვარელნი, ყოვლთა არსთა საძულველმან.
„ხმალი შენი პირ-ბასრული ჩემზედა ჰყავ მომახულად,
ამით ოდენ შემიწყალე, მომაშორე სოფელს სრულად,

თავსა მომკვეთ, უმართლე ხარ, ანუ დამჭრი ასოულად,
რადგან შენი სატრფიალო იქმნა სადმე დაკარგულად.
„თქვენთან ამისი მთხრობელი ვარ, საწუთოსა მგმობელი,
გულნაზ ტყვე იქმნა, სრულ კმელთა და ზღვათა მანათობელი,
სხვას რას ველოდე ბედ-კრული მე ესრეთ მახარობელი!
იხადე, მეცეს მახვილი გლახ შუა გასაპობელი!
„ესე წიგნი მისეული მიიღეო", მომცა კელსა,
გამოვართვი, მით მივეცი სიცოცხლესა საკიცხელსა,
იქით იგი გარდაიქცა, დაემსგავსა სულის მკვლელსა,
ჩემი, რა ვჰსთქვა, ვით შევიქმენ, თქმა არ ძალ-უძს კორციელსა.
ზულსა მომედვა სახმილი, წამერთვა თვალთა ჩენანი,
ავთრთოლდი, დავჰსჯჯდ და ვერცა ზე დგომის მქონდა თმენანი,
მას წიგნსა ზედა დავიწყე სისხლისა ცრემლთა დენანი,
ეწერა ესრეთ, საჩემოდ არ გულის მოსალხენანი:

აქა წიგნი ზღვათა მნათობისა გულნაზისა ნუშრევანისა თანა მინაწერი

აჰა, მტრფიალო ჩემო, მოგშორდი და თანა წამყვა სიყვარული შენი, რომელმანცა გული ჩემი ანდამატებრ მიიზიდე, მას გულსა დაგეკონები და გთხოვ, რათა ასი-ათასი სიმტკიცისა თორნი შეიმოსო და მოთმინებასა შეუდგე; გაფუცებ სიყვარულსა ჩემსა, რომელიცა განგებამან დაჰბეჭდა გულსა ზედა შენსა, განიმყარე თავი შენი ვითარცა ტინი კლდე, რკინა და რვალი, და ეძიე ღონე ჩემისა გამოხსნისა, შენისა მოუთმენელობისა ცეცხლითა ნუ დამჰსწვავ მე. მტრფიალო, მე სახე შენი მაქვს ჩემისა სიცოცხლისა მაბრუნებელად და შენცა სახე ჩემი მჰსგავსადვე. ვიდრემდის ცა ეტლსა თვისსა დაატკბობდეს ჩვენზედა, მუნამდე დავჰსტიროდეთ მათზედა. მე, მოშორებულმან შენგან, მიუგზავნე ვაზირი თვისი პატრონსა მამასა ჩემსა და ვევედრე, რათა დაერთო ნებაა ქორწინებასა ჩვენსა ზედა, გარნა უბედურებითა ჩემითა ესრეთ შემოეთვალა, ვითა:

„თვალთა ჩემთა ნათელო ასულო ჩემო, მე სახელი ესე, რომელიცა მაქვს სიმხნითა ჩემითა შეძინებული, არა დავამდაბლო და არცა აღთქმა ჩემი გავაცრუო; აწე, თუ სიყვარული ჩემი გაქვს, ამას იქმოდეო.“ გამოეგზავნა კუბო სამეფოდ შეკაზმული და თვისთა დიდებულთაგანი ხუთასნი, შემსვეს კუბოსა მას შინა გამზრდელისა ჩემისა თანა და აჰა, ესერა, წარმიტაცეს მას ეშმაკთა სადგურსა ადგილსა. ამიერითგან, საყვარელო დაგულისა ჩემისა სიხარულო, მოვაკლდი შენთანა ალერსსა, სურვილი ჩემი, რომელი მდიდრობდა შენზედა, რომლითა გაღმერთებდი შენ, მით სურვილითა, რომლითა, ოდეს რა გენაზებოდი, შენ რისხვად გეგონნეს და ვერ მომთმენი დაჰსთხევდი ცრემლთა ცხელთა. აწ საყვარელო, მომიტევე ჟამისა მის შეწყინებაჲ შენი, ამიერითგან არღა შეგაწყინო შენ, ამიერითგან არღა იყო დამონებულ ბრძანებისა ჩემისა, არამედ მე ვეტრფოდე მოთმინებასა შენსა, მე შთამყვეს მიწადმდე ცრემლნი შენნი, მე კრძალვა შენი ცეცხლსა მომიდებდეს, მე სიმდაბლე შენი შემეტკბოდეს, მე მოედანსა ზედა შენითა წერწეტითა წელითა ცხენსა ზედა ზუფინითა მღერა სულსა მიბრუნებდეს, მე შენგან მოპირის-პირეთა ზედა ძლევისა მოგონება სიცოცხლისა წამთა მიმრავლებდეს, მე ბრძანებისა მოცემისა ჟამსა შენგან აღსრულება შენდამი დამამონებდეს, და ყოველნი მოძრაობანი შენნი სამარადისოდ გონებისა ჩემისა თვალთა შენდამი შემსჭვალვით ამხედველებდეს! ჵე სიხარულო ჩემო, უკეთუ გიყვარ მე, იცოცხლე ჩემთვის, რათა სიცოცხლითა შენითა მოიმედე იყოს გული ჩემი გამოხსნისათვის ჩემისა! ამიერითგან თვალთა ჩემთა ცრემლნი არღა მოაკლდებიან და ბაგენი ჩემნი თვისითა ლამაზითა გაღიმებითა თვისსა მტრფიალსა ბულბულსა, მას ზედა დამჭიკჭიკებელსა, ვერღა იხილვენ; ბევრის-ბევრისა უშტისა ეჯით გამიფრინდა მტილისა ჩემისა კმა ტკბილი იადონი. ნუმცა დაღაეღგინებისჩემებრსა ედემისა წალკოტსა ესრეთი უწყალო მეწალკოტე, რომელმანცა შვებისა ჩემისა მერცხალი მწარისა შერისხვითა

განმიდევნა, სული ჩემი მას გააყოლა და მე დამაგდო უსულო, მოუთმენელსა ცეცხლსა შინა საწვავად; აჰა, სულო გულისა ჩემისაო, ისწრაფე გამოხსნისათვის ჩემისა და საუკუნოსა სიკვდილისათვის გებრალოდე და, შენმან მზემან, ესე აღთქმა მომირთმევია მტკიცე, რომე უკეთუ უშენობითა სიკვდილსა არა მომისწრაფებ, რადგან ესრეთ დამამწარებელი ყოფილა სიცოცხლისა ჩემისა სიშორე შენი, თუღა კვლა მაღირსებს ყოველთა მფარველი იგი ცა ხილვასა შენსა, არღა ოდეს სურვილისა შენისა აღსრულებისათვის მტილისა ჩემის კარი არღა დაგიხშო, შეგიყვანო სამოთხესა შენსა მრავალ სუნნელსა და ნება გცე შენისა საყვარელისა ხილისა მოსთვლებად და განგამხიარულო უტკბილესისა ნაყოფისა ჩემისა გემოს ხილვითა; ოდენ ამით შემიბრალე, რომე განძლიერდი მოთმინებისათვის და სურვილისა ჩემისა ცეცხლითა ნუ დაიწვი. აწ გაგიჩნდების გულისა შენისა სიმყარე და სიმხნისა ძალი ვითაცა მოითმენ და ჩემისა გამოხსნისათვის ღონესა ეწევიო; მონასა ამას შენსა ჰამბავსა აცნევდე, ესე მე მაცნევს და მით ტყვე ქმნილი სულსა ვიბრუნებო.“ იგი წიგნი სრულად რა აღმოვიკითხე, თავსა კელი ვიეც და მტირალმან ვიწყე ტყება და გოდება ესრეთ:

შ ა ი რ ი.

შე, საყვარელო, მიბრძანებ და მაწვევ მოთმინებასა,
მაგრამ ვით გავჰსძლებ ქვა-ქმნილი ესდენთა ცეცხლთა დებასა,
სული წაერთვას, მოკვდავი ვითღა იქმს ცხოვრებასა,
სისხლი გაუშრეს სნეულსა, რით ელის განკურნებასა!
მე შენსა კვალსა არ მოვსცდე, რაზომცა ცეცხლი მწველობდეს,
გზა სრულად ვეშჰით ძლივსოს, ველნი ღრიანკალ გველობდეს,

ტყეთა ფოთოლნი და მოლნი ჩემსა სიკვდილსა მცდელობდეს,
ცა ჰსწვიმდეს ქვისა სეტყვითა და ჩემზედ მეხ-ტეხილობდეს!

ბძებნო, ჩემის სიცოცხლისა მომცემელო, საწადელო,
არ ვიამო არცა ძილი, ვაი ჟამო ადრინდელო!
ბრიტან სრულად კაცობრივის, სახელისა წარმწყმედელო,
გულსა შენსა მზაკვარობის დამნერგველო, ზე აღმზრდელო!

რად განგვაშორენ მტირალნი ურთიერთის მოყვარულები,
გული ცეცხლითა მიდაღე, მაჩნიან შალალ წყლულები,
ვით არ შეგბრალდა სატყვეოდ ლაწვ-ლალი, ბაგე მკულები,
გიშრისა ტევრად დალალნი, ნაზად და ნატიფ თხზულები!

შენი მტრფიალი, სატრფოო, სამარადისო ალითა,
მმართებს ვიწოდე, ვით ცვილი, ღვენთითა სამალმალითა,
სრულად გავრკინდე, შევიქმნე გულითა ტინებრ სალითა,
ეგრეც ვერ გავსძლო კორცითა მოკვდავით წარმავალითა.

ვით გავსძლო, შენი შვენება თვალს წინა მესახებოდეს,
ძოწისა ბაგე რა ტკბილად გლახ არლა მეუბნებოდეს,
ლაწვზედა განშლით ვარდნიდა, ტურფად ყე გეწებებოდეს,
ესებრთა მხსოვნი, მიბრძანე, გული ვით არა ჰკვდებოდეს!

შენი მკვლიდეს სიყვარული, ვიდრე მედგას კორცსა სული,
უშენოსა რად მინდოდეს თავი ცნობით გარ-გასული,
შენი ვიყო მოუბარი, ქვესკნელს იყო ქვე ჩასული,
არა დავშთე უპოვნელი, ცხრას ცჲს იქმნა ზე ასული.

მე მოვვლო ყოვლნი არენი, სიმრგვლე ცისა და კმელისა,
ზღვად გაუმოყვსდე ნიანგთა, ვჰსცნა საქმე უფსკრულ ბნელისა.
ჰაერს ვესტუმრო მფრინველთა, ვიძმო ნადირნი ველისა,
სადაცა იყოს, ვიპოვო ვანი შენ ჩემის მწველისა,

რადგან ბრიტან უსახურმან ჩვენზედა ჰქმნა საქმე მტრულად,
მეცა მიხი სიბოროტე დავიხსოვნო, დამრჩეს გულად,
ბედმან ჰქმნას და საწადელი ჩვენი არ ჰყოს დაკლებულად,
მაშინ შევსძლვნა განგებასა მე მადლობა ასეულად.

აქა გოჰარისა და სხვათა მათ მეფეთ ძეთაგან ცნობა ნუშრევანის გოდებისა და მათი მოსვლა და მწუხარება მათგანცა.

მათ დიდთა მეფეთა ძეთა ეცნათ გლოვა ჩემი და მოვიდნენ ნუგეშის-ცემად ჩემდა; წიგნი იგი, საყვარელისა ჩემისაგან მოწერილი, მტირალმან მივართვი გოჰარსა და მოვახსენე: „შენსა მზესა, წარიკითხე ესე ყოველთა გასაგონად, რათა მსმენელთაგან იქმნას შებრალებულ ყრმობა ჩვენი.“ გოჰარმან დაიწყო ხმა-მაღლად წაკითხვა ყოველთა გასაგონად, და ოდეს დაასრულა, მუნ მყოფნი ყოველნივე აღენთნენ ჩვენისა შებრალებისა ცეცხლითა, და მათცა იწყეს ჩემთანავე გლოვა და ტირილი ვითარ ორი ჟამი და დაჰგმეს ულმობელობა მის ზღვათა მეფისა ბრიტანისა. ოდეს დაიწყნარეს გული ტირილისაგან, მაშინ ყოველთავე მათ მეფეთა ძეთა მრქვეს ვითარცა ერთითა პირითა, ვითარმედ: „აჰა ძმაო, ჩვენ მზად ვართ შეწევნისათვის შენისა, არა შევიწყალოთ თავნი ჩვენნი და არცა ყმათა ჩვენთანი, ვჰსთხოვოთ უკაცობრიოსა მას ულმობელსა მეფესა გზის ეტიკი, ვითა მას აღუთქვამს, და ნუღარას ვიყოვნითო.“ მსწრაფლად გაგზავნეს კაცი წინაშე მეფისა და ჰსთხოვეს გზისათვის ეტიკი. მეორესა დღესა გამოეგზავნა ბრიტანს სამნი კაცნი გზის მცოდნენი. ჩვენ ყოველივე შევჰკაზმეთ სათანიო განსაგებელი, მოვემზადენით და წარვედით, ვვლეთ მრავალი ადგილი და მივხვდით ქვეყანასა რასმე მრავალ შენობიანსა და კეთილ-ნაყოფიერსა; ვიარეთ მას შენობიანსა ადგილსა ვითარ ათხუთმეტი დღე, და შემდგომად შევედით ქვეყანასა ცუდსა, ბიცსა და აღდაჳსა; მას შინა გვევლო რაჲ ორი დღე, მესამესა დღესა ესრეთი ცხელი ქარი გვეცა, რომე უცხელესი არლა ეგებოდა, და ვიხილეთ შორით მთა იგი საშინელი, რომელსა ყოვლით კერძო მფოფინვარედ და მღელვარედ გარდმოჰსდიოდა ცეცხლისა მდინარე და რა მთისა მის ძირსა დაივაკებდა, ვითარ ოცსა უტევანსა ცეცხლი იგი,

მთისა მის გარემო მინდორსავე ქვე მიწასა შინა შთასვლითა განჰქარდებოდა, მთა იგი ღელვიდა ცეცხლისა აღმოდინებითა ვითა ზღვა, და მოუკლებელად მოადენდა შემწველსა მას ცეცხლსა; ჩვენ ვჰსჭვრეტდით უპირველესისა ჰოგრებითა და ღონესა რასმე ვეძიებდით. სხვასა დღესა გავსხედით უკეთესთა ტაიჭთა ყოველნივე ძენი მეფეთანი და მივმართეთ ცეცხლსა მას გამოსაცდელად, თუ რა იქმნებოდა; ვარბიეთ ტაიჭნი სიმსწრაფლით და რა დაგვშთა უცეცხლო მინდორი გასავლელი, ვითარ სამი ოდენ უტევანი, თავმან მეფობისა თქვენისამან, ესრეთი განძლიერებული ცეცხლისა ალი გვეცა, რომე უკეთუ ტაიჭნი მსწრაფლად არა გარე უკუნ-ქცეულიყვნენ, ყოველთავე შეგვჰსწვევდა ცეცხლი იგი. მოვედით დაჭმუნებულნი სადგომთავე ჩვენთა და ვჰფიქრობდით, თუ რასა ღონესა მივსცემოდით; ვარჩიეთ და გავისტუმრეთ ყოვლით კერძო ლაშქარნი საზრდოსა მოსაკრებელად, რომელთაცა ერთსა სწორსა ეგოდენი საზრდო შეჰკრიბეს, რომე ექვსსაცა თვესა გვეკმაოდა. დავადგინეთ ახლო-ახლო დარაჯნი შესატყობრად ჟამისა მის ცეცხლის მოკლებისა და ჩვენ დავჰსდეგით მარჯვედ მაყურებელნი ჟამისანი; და ოდეს მოიწია დრო იგი ცეცხლის მოკლებისა, ეგოდენი ქარავანი მოვიდა მის ციკლოპის ქალაქისა, რომე რიცხვი არა ეგებოდა; ვუბრძანეთ ყმათა ჩვენთა დაძრცვა მათი და ჰყვეს ბრძანებისაებრ ჩვენისა, და ვჰგებდით მზირად ცეცხლისა მის მოკლებისა.

აქა ციკლოპელთა მთის ცეცხლის მოკლება და მათ ხუთთაგანვე მეფის ძეთა სპითა თვისითა მისვლა აღჭურვილთა, მუნით ათასთა გმირთა ფალავანთა ას-ათასითა რაზმითა მოგებება და ბრძოლა ძლიერი მათი.

Მას ჟამად შეიქმნა ჩვენთა დარაჯათაგან ყივილი, ვითა: „მოაკლდა ცეცხლიო.“ მასვე ჟამსა თანა გავსხედით ცხენთა,

დავაწყეთ რაზმი ჩვენი, მიუძღლით წინარე და შეგვიდგეს უკანით ჩვენსა; ვიყავით მათრახთა წრტიალითა მოსწრაფებით მავალნი, გარნა წინა მოგვეგებნეს ათასნი იგი ძლიერნი გმირნი ფალავანნი ასი-ათასითა გულ-ლომითა ჭაბუკითა და შეგვექმნა ბრძოლა ძლიერი და სასტიკი; ჩვენ ვესწრაფებოდით შესწრებად ცეცხლსა მას, გარნა გულოვნება მათი წინაალმდეგ გვექმნებოდა. ვიყვენით ომსა ძლიერსა ვიდრე მესამე ჟამადმდე, და შემდგომად ესრეთი გრგვინვისა კმა შეიქმნა, რომე საზაროდ კმა იყო; მყისად მოგვბერნა ქარმან შემწველმან, ჩვენ მივეცით ცხენთა სისწრაფესა ძალი და განვერენით ცეცხლისა მისგან შემწველისა. მივედით ჩვენთავე სადგურთა და დავჰსდეგით. იგი ჩვენნი წინაალმდეგნი, ჰგვანდა, ვერლა შესრულიყვნეს ქალაქად, მოვიდნენ და ერთსა კიდესა პირის-პირ ჩვენსა დაჰსდგნენ დარაზმულნი და ბრძოლად განმზადებულნი. ცეცხლმან მან იწყო ჩვეულებრივი თვისი დინება, და ორნივე კერძონი ვიყვენით ხვალისათვის ურთიერთისა მმულრაობელნი.

აქა ზღვათა მეფისა ბრიტანის ერთისა ათასკანისა ფალავანისა გაგოსი და ჰოლანთა მეფის ძის და თვით მეფისა გოჰარისა ბრძოლა ძლიერი.

ოდეს დიდმან მან ქვეყანისა განმამხიარულებელმან მნათობმან თვისნი წითლად მოელვარენი შატროვანნი ცისა სფეროსა გარდაშალნა და მისგამო ქვეყანა განანათლისფერა, მყისად იგი ზღვათა მეფისა ძლიერი გმირი ფალავანი გაგო გამოჰსდგა თვისისა რაზმისაგან და შემოჰსძახა, ვითა: „გამოვიდეს რომელიცა თავისა მოიმედე ჭაბუკი იყოს და მე უჩვენო სიმტკიცე მკლავთა ჩემთაო." მას მისსა სიტყვასა ზედა გაჯდა გოჰარ და შეუტივა, შემოუვლეს ერთი-ერთსა ნავარდი და შეიბნეს სასტიკად; იბრძოდენ გულ-მესისხლედ დილით მწუხრადმდე; გოჰარმან ყოველივე საჭურველი თვისი იხმარა, გარნა ვერასა აკვეთინა; იბრძოლეს ვიდრე მწუხრადმდე ფი-

ცხელად, და ეგრეთ მაშვრალნი, სიბნელემან გაჰყარნა. მოვიდა გოჰარ, სამსა ადგილსა დიდად დაკოდილი იყო, ალხადეს საჰურველი დასტაქართა, წყლულნი შეუხვივნეს და მიეცა მოსვენებასა. საყვარელისა გოჰარისა დაკოდილობისათვის მასლამესა განთიადამდე გული ჩემი ასპიტისა ნაცემსავით მიკვნესოდა.

აქა ძლიერისა მის ბრიტან მეფის გმირისა ფალავნის გაგოსი და მეფინვართა მეფის ძის ნუშრევანის ომი და ნუშრევანისაგან სიკვდილი გაგოსი.

მეორესა დღესა კვლა მოჰსდგა იგივე გმირი ფალავანი გაგო, მმუქრობელი დიდად ჩვენზედა, და გაითხოვდა ჩვენ კერძო მეომარსა. მუნ-თქვესვე ალვსდეგ, შევიჭურე და გაველ, უმალ თვალისა გარდაკიდებისა შეუტიეთ, შევიბენით და ვიბრძოლეთ დიდი ხანი, და გამოვსცადე ყოველი იარალი ჩემი მასზედა, გარნა, ესე მიკვირს ძლიერო კელმწიფეო, რომე ჯაჭვი მისი ვერარასა ვაკვეთინე, ვიბრძოდით სასტიკითა კვეთებითა მწუხრადმდე და სიღამემან გაგვყარნა. მეორესა დღესა კვლა გამოვიდა იგივე ფალავანი გაგო და შემომძახა, ვითა: „გამოვედ, მოპირის-პირეო ჩემო და გამოლავსცადნეთ ერთმანერთი.“ გაველ მეცა და ვიბრძოლეთ ვითარ ხუთი ჟამი, შემდგომად გარდახდა ცხენით და მრქვა: „გეტყობის, გულოვანი მეომარი ხარ და კელ-და-კელ ვირკინნეთო.“ მე სიტყვა იგი არა დიამეწყინა, გარდავხედ, მივედ და შევირკინენით, მწუხრადმდე სასტიკითა ძგერებითა ერთი-ერთსა ვეკვეთებოდით ესრეთ, რომე სისხლისა ოფლი ღვარად გვდიოდა; თავმან კელმწიფობისა თქვენისამან, დიდად საქებელი იყო ძალი ფალავნისა მის. კვლა ვირკინენით მცირე ხანი, შემდგომად ვახსენე მზისა ჩემისა სახელი, შევჰყივლე, ვჰსტაცე ბარკალსა, კელი და მხარსა, ალვზიდე უმაღლეს თავისა ჩემისა, მივიტანე და სადე

გოჰარ გვიმზერდა, მუნ მიწასა ზედა დავეც, ჩაფხუტისა ჯაჭვი გარდაუწიე და თავი მოვჰკვეთე სისხლისათვის ძმისა ჩემისა გოჰარისა; შევიპყარ ცხენიცა მისი და საჭურველი კაცსა და ცხენსა ორთავე ავყარე, მიველ მათ მეფეთა ძეთა თანა, და ვჰსჯედ; გამარჯვება მომილოცეს. ვსინჯვიდით მის ფალავანისა იარაღსა საჭურველსა, არა სადა გვენახნეს ეგე ვითარნი იარაღნი. ბექთარნი ესრეთ ბრწყინვალენი იყვნეს, ვითა მზის თვალი და სიმყარით ესრეთ, რომელ რაიცა პირ-ბასრი იარაღი ჰკვეთებოდა, დაილეწებოდა და მას არა რაი დააჩნდებოდა, და ეგრეთნივე იყვნეს ჩაფხუტნი, კელ-ნავნი, საბარკულნი და პოლოტიკნი რკინანი; გარნა ჯაჭვისა კელოვნებამან უმეტესად განგვაკვირვა, თვალნი მისნი სილბოთი ღრუბელსა ემსგავსებოდეს და სიწვრილოთა კნინღა არა განირჩეოდა: ცხრა-კეცად ერთი-ერთსა შეწმასვნით შემსხდარნი იყვნეს, და ეგრეთნივე ცხენის იარაღნი იყვნეს; მისეული შუბი, ისარი თუ კმალი ზრქელსა ფოლადსა ესრეთ განჰკვეთდა, ვითა ცვილსა რასმე ქსოვილსა. ვჰსჭვრეტდით და გვიკვირდა სიმტკიცე და ქმნილება საჭურველთა მათ. იგი ღამე დავჰყავით ეგრეთ.

აქა ციკლოპით გამოსრულთა ფალავანთა და რაზმთა მათთა და ხუთთა მეფის ძეთა თვისითა რაზმებითა ერთად ბრძოლა ძლიერი და სასტიკი.

მეორესა დღესა, რა მზისა ისარნი ქვეყანისა გულსა მრავლად განეწონნეს და სისხლი მისი ნათლად ზეგარდამოეფინა, იგი ბრიტან მეფისა ფალავანნი და რაზმი მათი, ციკლოპით გამოსრულნი, ერთობით დაიჭურნეს და მოვიდნენ საომრად განმზადებულნი; აქეთ კერძო ჩვენცა განვეწყვენით, მივმართეთ და შევჰქმენით ბრძოლა სასტიკი. ძლიერო კელმწიფეო, ესე იყო საკვირველი, რომე რაზომ მესისხლედ ვიბრძოდით, ეგრეთცა იარაღი ჩვენი საჭურველსა მათსა ვერა მოვჰკიდეთ და ვერცა ერთი მათგანი მახვილითა მოვკალით. კიდე

ამისსა, რომე, რომელსაცა მოლაშქრეთა მათგანსა კაცსა ცხენ-სა მოვხდიდით, დავჰსცით ქვეყანასა და მოვჰკვლიდით, გარნა განსაძრცველად მათცა იგი ათასნი ფალავანნი არავე გვანე-ბებდეს; ესრეთ რომე თვითოსა ზედა ორ-ასნი მოგვიხდიან, კელთაგან დაგვჰყარიან და შექვექმნის ლახტითა ცემა ძლიერი. იყო ზომისაგან უმეტესი კვეთება და შესაძრწუნებელი მოსა-წევარი მწუხრადმდე და ჟამსა ღამისასა მაშვრალნი გავიყარე-ნით. ვთვალეთ სპათაგან ჩვენთა და ოცდა-ათი-ათასი მეომარი დაგვკლებოდა, ვჰსწუხდით და ვიყვენით ყოველნივე დაჭმუნ-ვებულნი.

აქა რჩევა და თათბირი გოჰარისა, პერლო, ფორტუნე და იტალიის ციკლოპის სამზღვარსა ზედა და მათგან ბრძოლასა მას ზედა კელის აღება

მათ სამთა მეფეთა ძეთა საქმესა მას ზედა ზოგმან ზოგი არჩიეს და ზოგმან სხვა და ვერავის რა დაგვესკვნა. შემდგო-მად ყოველთასა ჰსთქვა გოჰარმან, ვითა: „ძმანო ჩემნო და საყვარელნო მოყვასნო, საქმესა ამას ზედა ჰაზრი ჩემი ესე არს; უკეთუ ერთობილითა სპითა ჩვენითა ვებრძოლნეთ მო-პირის-პირეთა ჩვენთა, ათ-ხუთმეტსა დღესა ზედა სრულად ამოგვიწყვედენ რაზმთა ჩვენთა, მით რომე ყოველი მცირეცა დაშნა მათი ჩვენთა პოლოტიკთა ჰკვეთს და თორნნი არად სახმარ გვექმნნეს ჩვენ, ხოლო პირ-ბასრი ისარი, შუბი და კმალი ჩვენი მათსა მარტო ჯაჭვსაცა ვერა სადა ჰსჭრის და, უკეთუ სხვებრ თვითომან ვიბრძოლოთ, დღეთა ჩვენთა აქა დავასრულებთ და ღონესა ვერას ვეწევითო; აწე ამა პირისა-თვის ესე ჰსჯობსო, რათა მივიდეთ ყოველნივე სახლთა თვის-თა, შევჰკრიბოთ მონახულნი ბრძენნი კაცნი და გონიერნი და ნუ თუ გზა მათგან გავიგოთო; მე ესე მემჯობინების და, თუ არა ჰსჯობდეს, თქვენ ჰბრძანეთო.“ ჩვენცა ყოველნივე

მივეცენით ფიქრსა და თათბირს, გარნა გოჰარისავე რჩევა დავამტკიცეთ და თვის-თვისთა ქვეყანათა წარსვლა დავაპირეთ. მას ღამესა ერთად განვისვენეთ, და ვთურმანობდი მათ მეფეთა ძეთა თანა ჩემისა მიზეზითა ეგოდენისა შრომისა მიღებისათვ ის და მემწარებოდაცა გოჰარისა გაყრაჲ, გარნა ბედი ჩემი კეთილსა აღარასა მაღირსებდა. გოჰარმა მაფუცა ფიცითა საშინელითა და მთხოვდაცა, რომე: „უკეთუ ქვეყანასა შენსა მისვლასა თანა, საქმესა ამას გამოუცხადებ უმოხუცებულესსა მას ბრძენთა ბრძენსა ვაზირსა ეგროსს და ზრდილსა მისსა დიდსა მეფესა პატრონსა მამასა შენსა, მათსა ბრჭალსა ცისა ეტლნიცა არა ეურჩებიან, იგინი მოგცემენ გზისა მის განღებისა ცნობასა, და ოდეს გაღირსოს სვემან საწადელისა შენ ისა მიმთხვევასა, მაშინ ნუ დამივიწყებ მე კეთილსა შინა შენსა და, რომელ აღმითქვავს ქორწილი შენი, მეცა გარდამახდევინეო.“ დიდო და ძლიერო კელმწიფეო, თქმულნი საყვარელისა მის მოყვსისა მახსოვან, გარნა გული ჩემი ჯერეთცა მითვე ტყვისა ჩემისა ცეცხლითა იწვის და ენთების.

აქა ციკლოპელთა ადგილთაგან წარსვლა თვის-თვისთა ქვეყანათა ხუთთავე მეფეთ ძეთა და ნუშრევანისაგან შესვლა მჯმუნისა თვისსა გულწყლულისა და თვალ-ცრემლიანისა.

დიდო კელმწიფეო, ყოვლითურთ ულონო ქმნილთა, მის წყეულისა ადგილისაგან ავჰყარენით სპანი ჩვენნი და უკუნვიქეცით დაჰმუნვებულნი, ვიარეთ ერთად ვიდრე გზა გაგვჰყრიდა; შემდგომად გამოვესალმენით ერთი-ერთსა მრავლითა ცრემლითა და ტირილითა და ვიდოდით კიდის-კიდე. მეცა ვიდოდი გულსა საბმჱლ მოკიდებული და არა ვიცოდი, რა მექმნა. შეველ ქვეყანასა ჩემსა, მომეგებოდიან და მილოცვიდიან გამარჯვებასა, იხარებდენ სიხარულითა დიდითა მშვიდობით მისვლისათვის ჩემისა. თვით უდიდებულესი პატრონი მე-

ფე მამაცა ჩემი მომეგებოდა და იშვებდა ხილვითა ჩემითა; შევე-
დით ქალაქსა ჩვენსა; შეჰქმნეს მოქალაქეთა განცხრომაი;
ჰლოცვიდიან მზესა ჩემსა, მეტყველნი: „დღეგრძელდინ მეფე
ჩვენი და ძე მისი ნუშრევან, რომელმან ადიდა სახელი თვისი
და ქვეყანაცა ესე მკლავთა თვისთა ძლიერებითა.“ ეგე ვი-
თარსა მხიარულებასა ერისა ჩემისათანა დავჰყავ მწუხარემან
ვითარ ორი კვირა, გარნა მწვევდა ცეცხლი იგი უშინაგანესსა
ღვიძლსა ჩემსა ზედა მოკიდებული და მდიოდეს თვალთაგან
ჩემთა ევფრატი, მაწვევდა გული წასვლასა და არა ვიცოდი
სადით მიმეღო ლონე შეწევნისა ჩემისა, საგონებელთა ესე
ვითართა მიმცეს სნეულებასა, პატრონი მეფე მამა ჩემი მო-
ბრძანდის ყოველთა დღეთა, მწროთვიდა და შემაგონებდა მრავ-
ლითა ტკბილითა სიტყვითა, გარნა წყლულსა ჩემსა ვერა
რასა ემპლასტრევდა. კვლა უმეტესად დამამძიმებელ მექმნა-
სენი იგი დამძიმლია სარეცელსა ზედა დღებითა. ოდეს საკვირ-
ველმან მან ბრძენთა ბრძენმან უმოხუცებულესმან ვაზირმან
ეგროს მიხილა მე ესრეთსა უკანასკნელსა დღესა შინა მია-
ხლებული, უმოხუცებულესთა თვალთაგან ცრემლნი უხვად
გარდამოადინნა და მრქვა: „ძეო მეფისაო, რად იკლავ თავსა
შენსა მაგა ცუდითა ჯაბნურითა წოლითა? არა ადრითვე მო-
გახსენებია, რომე საქმე ეგე მრავალთა ჴირთა შეგამთხვევდა და
ყოველსავე შინა გაძლებასა მეფიცებოდი? საქმე ეგე არა გუ-
ლოვანთა წესია და არცა მყარისა გულისა მოქმედებული;
მაგა ცუდითა წოლითა შენსა საყვარელსა ერსა ეწევი? აწ
გაიმაგრე გული შენი და შენისა ჰრგებისა კვალსა დაგაყენო,
თუ კვლა გულსა არა გაიმდიდრებ და გულოვანდა საქმესა
შეუდგები.“ მე რა ესე მის საკვირველისა გვამისაგან ესე მესმნეს,
თვალნი აღვახილენ და უძლურისა სიტყვითა კელი ვჰსთხოვე;
მომცა კელი, ბაგეთა დავიდევ, ცრემლითა დავულტვე და ნე-
ლიადითა სიტყვითა მოვახსენე: „მამაო ჩემო, ვიცი, თუცა
მიინდომებ, სიბრძნითა შენითა ცისა მნათობთაცა ქვეყანასა-
ზედა აარევ და ჩემი წამალი კელთა ამათ შინა არს; ნუ მო-

მკლავ მე და შენსა პირნახულსა ცუდად ნუ ჩაარონთჭებ; შენითა სიბრძნითა ესე ძნელი გზა ჩემი გახსენ, ჩემსა საყვარელსა შემყარე და სიკვდილადმდე თავი ჩემი დაიმონე." რა უმოხუცებულესმან კაცმან მან გულის სათქმელმან ჩემგან სიტყვის თქმის ძალი იხილა, მაშინ მრქვა: „ძეო მეფისაო, განძლიერდი! ამიერითგან მოვლენან ჟამნი შენისა გამოხსნისანი, უკეთუ მცირედთა დროთა უცხოებასა გაჰსძლებ და გზისა შრომასა მოითმენ, დიდსა დიდებასა შეხვიდე და შენსა საყვარელსა თანა მიემთხვიო სიხარულსა, და აგრეთვე უდიდებულესი ცათა სწორი კელმწიფე და ქვეყანასა ზედა ყოველთა ყოფილთა და მყოფთა გმირთა უძლიერესი თვისსა სურვილსა შენითავე გზითა ეწევის; რაცა საქმესა ამას ზედა მომავალნი შემთხვევანი იქმნებიან, ყოველივე ადრითვე მომიხსენებია პატრონისა მეფისა მამისა თქვენისა და ზრდილისა ჩემისათვის, რომელმანცა უწყის თითოეულად ჩემ-მიერ სწავებითა, გარნა იგი ვერა გიმეტებს თვალთაგან მოსაშორებლად, და შემობრძანდეს რა სახილველად თქვენდა მეფობისა დიდებულება მისი, ვჰკადრო და მოვახსენო, რათა თვით გიბრძანოს ჰამბავი თვისი და გზასაცა მას მისითავე ნებითა დაადგრეთ, გარნა დაიხსენ ყოველნივე ბრძანებანი მისნი გულისა შენისა საუნჯესა, მით რომე, რასაცა გიბრძანებს, შენთვის ყოვლისა სოფლისა საუნჯეთა უმჯობეს იქმნების, და უკეთუ შეხვალ რავდენთამე დროთა მოთმინებისა ასფადელსა, ესრეთ განდიდებულ იქმნე, რომე წინაპარნი შენნი შენებრ არავინ ყოფილიყვნენო." რა გულისა ჩემისა საამოვნო თხრობანი დაასრულა საწადელმან მან ვაზირმან ეგროს, მაშინ მომეცა მე არა მცირედი ნუგეშინის-ცემა, მით რომე ვიცოდი თქმულნი მისნი მარად ყოფილიყვნეს და იყვნენ წამლვილ ჭეშმარიტნი, გარნა ჯერეთლა თქმულთა მისთა აღუსრულებელობასა ვაბრალებ თვით უბედურობასა ჩემსა. შემდგომად მცირედისა ჟამისა მობრძანდა პატრონი მეფე მამა ჩემი ჩემთანა, დაჰბრძანდა და, რა მიხილა ეგრეთ სარეცელსა ზედა მილეული, შევბრალდი,

ცრემლნი მოედინნეს და შეხედა ბერსა ვაზირსა; მაშინ გულითადმან მან ვაზირმან ეგროს მოახსენა, ვითა: „დიდო მეფეო, ჰხედავა საყვარელსა ძესა ამას შენსა, რომელსა არა რაჲ ერგების, თვინიერ თქვენგან თქვენისა ჰამბის ბრძანებისა; აწ რაზომცა ვერა ჰსთმობს გული თქვენი ჟამ რავდენმე ძისა თქვენისა მოშორვებასა, გარნა თხრობისაგან კიდე სხვა ღონე არა არის.“

თავი მესამე

უდიდებულესისა მეინჯართა მეფის ფინეზისაგან თვისთა სიყრმითგანთა ჰამბავთა ბრძანება თვისსა საყვარელსა ძესა ნუშრევანსა თანა.

Იწყო პატრონმან მეფემან მამამან ჩემმან თვისთა სიყრმით-განთა ჰამბავთა თქმაჲ და მიბრძანა: „შვილო, ნათელო და-ბრყვილებულთა თვალთა მოხუცებულისა მამისა შენისათაო, ვინაჲთგან გული შენი ეგრეთ გამოუხსნელად დაბმულ არს სიყვარულითა მნათობისა მის გულნაზისათა, აწე თუმცა არა მწადდა თქმა ჰამბავთა ჩემთა, მით რომე შენ ხარ სიცოცხლე ჩემი და გვირგვინი ქვეყანისა ამის, შენზედა ალმოდის და ჰნათობს მზე ჩემი და შენითა მოშორვებითა შევიქმნები მტერთაგანცა შესაბრალებელი, გარნა ვინაჲთგან გხედავ სურვილითა მილე-ულსა და შენითა განთავისუფლებითა მრავალნი და დიდ-დიდ-ნი საქმენი შემოხდებიან სოფელსა შინა, ამისთვის არა იქმნე-ბის განგებისა შეცვალება, თუმცა ძალ-მიძს, შვილო, ბრიტან მეფისა შეპყრობაჲ და ქვეყანისა მისისა აოხრებაჲ, გარნა ამა საქმესა მე არა ვიმოქმედებ, მით რომე განგებასა სხვისა ვისთვისმე უძლიერესისა კელმწიფისათვის მიუჩემებია საქმე ესე, იგი ჯერ არს ამაღლდეს ყოველსა კელმწიფესა ზედა, შემ-დგომად მისგან შენისა განდიდებისა, მოვლოს მრავალნი ქვე-ყანანი და რაჲცა გულსა მასსა ჰაზრი აქვს, შენითავე თანა-ხლებითა სურვილსაცა თვისსა იგი ეწიოს. შვილო, თუმცა რავდენთამე ჟამთა მწირობითა მწუხარებასა გამოვლი, გარნა არა რაჲ გევნების და ყარიბობითა გამოიცდებიცა და თავსაცა შენსა ჰსცნობ და ქვეყანასაცა მრავალსა იხილავ. აჰა, შვი-ლო, მოუპყარ სასმენელნი შენნი მოხუცებულთა ბაგეთაგან ჩემთა თქმულსა:

აქა მეინვართა მეფის ფინეზისაგან თავისი უცხოთა ქვეყანათა სიარულის თხრობა ძისა თვისისა ნუშრევანისა.

შვილო ჩემო, მე მოყმეობისა ჩემისა ჟამსა მოვვლიდი ყოველსა ქვეყანასა და გამოვიცდებოდი მრავალთა ადგილთა შინა ბრძოლითა და ვიღოდიცა ძლევა შემოსილი. გარნა ვითა წესი არს უცხოებისა, მრავალნი ლხინნი და ჭირნიცა გამოვიარე ზევრსა დროსა სლვითა და ვჰსცანცა ჰამბავნი უცხოთა ქვეყანათა და ერთანი, და ოდეს შემოვედ ქვეყანასა ამას ჩვენსა, ვიახელ პატრონსა მეფესა მამასა ჩემსა და, ვითა წესი არს, განმხიარულდა გულითა და იწყო შვება და განცხრომა ხილვისათვის ჩემისა; და დავყავით მრავალნი ჟამნი მხიარულებითა, ნადირობითა, ასპარეზობითა, ბურთაობითა და ნადიმობითა; იშვებდა მეფე ჭვრეტითა ჩემითა, და მეცა განალა შევჰსრტფოდი ეგე ვითარსა მამასა და მეფესა. დავჰყავით მრავალნი წელნი ეგე ვითარად შვებულთა; შემდგომად მრავალთა ჟამთა განვლისა, პატრონმან მეფემან მამამან ჩემმან მომოგზავნა მოციქულნი და შემომთვალნა, ვითა: „შვილო, შენ ხარ სიხარული ჩემი, კმა არს შენდა ესდენ უცხოთა ადგილთა სლვა, ყმა ჭაბუკი ხარ და დრო გიცემს შესაბამისა შენისა ცოლისა მოძიებასა; აწე, შვილო, მერწმუნე, მე გამომირჩევიეს საცოლო შენდა, იქორწინე მასზედა და შენითა დღეგრძელობითა მეცა გამახიარულე.“ ოდეს მოციქულთა მათ მრქვეს ბრძანებული მამისა ჩემისა, მე დიადი უარი მოვახსენე დიდებულსა მეფობასა მისსა; გარნა თქმულითა თვისითა დაშლა არღა ინება; სამარადღოდ მიგზავნიდა მოციქულთა, რათა ბრძანებული მისი აღმესრულებინა. მე მახლდა კაცი, ყოვლად კეთილი, სიბრძნითა გამოცდილი, ერთგული ჩემი, ყოველსა ადგილსა თან წარჰსწრებული ჩემი, დიდად ნამსახური, განმწვრთნელი ჩემი და საყვარელი გულისა ჩემისა, იყო მრავალგზის რიგად მოჭირნახულე ჩემზედა და ესრეთ ვენდობოდი მას, ვი-

თარცა თავსა ჩემსა. მას ჟამსა საყვარელი იგი მწვრთნელი
ჩემი არა იყო ჩემთანა და მივსწერე წიგნი ჰურსა მას კეთი-
ლობისასა ესრეთ:

აქა მეფის ძის ფეისუზისაგან თვისსა ლალასა ქვრივსა თანა წიგნის მიწერა.

„ძეო, სიბრძნით განდიდებულო, ჰურნახულითა ღვაწლ-
დებულო და ერთგულებითა სწორად თავისა ჩემისა საყვარელო,
პატრონი მეფე მამა ჩემი მაწვევს ქორწინებასა და ძალარცა
იშლის ბრძანებულისა თვისისა აღუსრულებლობასა, და ვი-
ნათგან ქალი იგი თვით თვალითა შენითა გიხილავს და უკე-
თუ არს შესაბამი ჩემი, მომწერე და რჩევითა შენითა შევირ-
თავ, და უკეთუ არა იყოს შესაბამი ჩემდა, იგიცა მაუწყე და
მშვიდობით ჰგებდე.“ ოდეს წიგნი იგი ჩემი ერთგულებსა მას
გვამსა მიეღო, მასვე წიგნსა ზედა მოეწერა ესრეთ, ვითა:
„ძეო მეფისაო, მზემან და საყვარულმან შენმან; არა კეთილი
გიქმნიეს ურჩება მამისა თქვენისა: ქალი იგი სახითა შვენიერი
არს, დაჰრთე ნება მამისა ბრძანებასა და ვარძმითა *) ნუღარა
აწყენინებო.“ წერილი ერთგულისა მის ჩემისა რა მივიღე,
მუნ-თქვესვე მოვახსენე პატრონსა მამასა ჩემსა და ვიქორწი-
ნეცა. შემდგომად მრავალთა დროთა განვლისა იძია შური
სძალმან მეფისამან ერთგულსა მას ჩემსა ზედა და არა ჰსწად-
და ჩემთანა ყოფნა მისი და არცა ჰნახვიდა იგი ერთგულსა
მას, მიზეზი რომე რეცა ეწამებოდა: „იგი უშლიდა ძესა მეფისასა
შერთვასა ჩემსაო,“ და ესე უმეცარისა მიზეზისათვის ჰყვანდა
შეძულებული უსამართლოდ. გარნა მე მას არა მივხედვიდი,
ვიყვენით მარადის ერთად და ყოველივე საგანგო ჩემი მისგან
განიგებოდა, ყოველნი დიდებულნი ჩემნი მისთანა მოვიდოდეს
და ესრეთი ნება ჰქონდა, ჩემგან მიცემული ერთგულებისა მი-

*) ვარძმიათ: უარის ყოფნითა.

სისათვის, რაჲცა ჰსწადდა წინაშე ჩემსა, ყოველსავე აღასრულებდა. ამისთვის უმეტესად ემეშურნებოდა სიბოროტისა საუნჯე ცოლი ჩემი და არა იქმნა დაზავება მისი. დღესა ერთსა ვსხედით ერთად მე და ჩემისა უბედურებისა მიზეზი მეუღლე ჩემი და კვალად იწყო ფიცი მას ერთგულსა ჩემსა ზედა, რომე „იგი გიშლიდა შერთვასა ჩემსაო.“ მაშინ მოვიღე წიგნი იგი, რომლითაცა მირჩია ერთგულმან ჩემმან შერთვაჲ მისი, მივეც და ვარქვ: „წარიკითხე და შეიკდიმე ასპიტობა ეგე შენი.“ მან წარიკითხა, გარნა დაადგრა გულ-ქვაობასა თვისსავე ზედა და ვიყავ მარადის დამწარებულ ბოროტთა საქმეთა მისთა ზედა. ოდეს მცირედ თქმულთა ამათ წინარე გარდაიცვალა რა მეფე მამა ჩემი, მრავალი უბედურება შემემთხვია მე და თვით სახლსაცა ჩემსა ობლობისა ჩემისა ჟამსა და ესრეთ მმსახურა მან ერთგულმან და ყოველთა საწადელმან კაცმან, რომე გარდახდა მისი ჩემგან შეუძლებელ არს; გამოხდეს დრონი და წელნი მრავალნი და კვლა მომწადდა უცხოთა ქვეყანათა შინა სიარული და თუ ვითარითა სიბრძნითა და კელოვნებითა მომამზადა, განჰკვირდების გონება და აწ ჩემგან თქმა შეუძლებელ არს.

აქა მეინგართა მეფის ფინეზისაგან თვისი უცხოთა ქვეყანათა მოვლისა თქმა ძესა თვისსა ნუშრევანსა თანა.

შვილო ჩემო, ვითაცა იყო სურვილი ჩემი, ეგრეთ წარვედ უცხოთა ქვეყანათა შინა, მოვიარე აღმოსავლეთისა ქვეყანანი, ვიხილე კელმწიფე და მეფენი მუნებურნი, დავჰყავ მრავალნი წელნი მუნ და, ოდეს დამჭირდა, მოუწოდე მოჭირნახულე იგი ჩემი, დაჰსდვა თავი თვისი და მრავალნი ჭირნი გარდაიხადა სიყვარულისათვის ჩემისა. დიდითა ღვწითა და შრომითა მპოვა მე და მიიღო დიადი ნიჭი და პატივი მას ქვეყანასა შინა, გარნა მუნცა მტერობა თვისი არავე დაიშალა მზაკვარმან მან

ცოლმან ჩემმან, ესრეთ რომე მოეწერა წიგნი ჩემთანა ესე, ვითა: „ერთგული იგი წარმოვიდა კერძოთა აღმოსავლეთისათა და, უკეთუ გიყვარ მე, ეცადე სიკვდილსა მისსაო.“ შვილო, თვალთა ჩემთა ნათელო, აწ წარსრულნი დრონი არიან და, ვჰფუცავ სიყვარულსა შენსა, რაოდენსაცა ვჰკითხევდი მას უერთგულესსა ჩემსა ჰამბავსა ცოლისა ჩემისასა, კეთილსა გარე არა რასა მეტყოდა; თუმცა მოწერილმან წიგნმან იგასამან მრავალი ბოროტი შეამთხვია, ჭირი და სიკვდილისა წამსა დაახლოება მიიღო, გარნა იგი კეთილობისა და ბედნიერობისათვის იჭირვოდა, შემწირა სიცოცხლე თვისი და მრავლითა კელოვნებითა და გზათა ზედა განსაცდელთა შემთხვევითა გამომიყვანა აღმოსავლეთით და ცოლსა ჩემსა შემყარა, გარნა მან გულ ღრიანკალმან და ულმობელმან შემდგომად მრავალთა ჟამთა, კვლა უცხოთა ქვეყანათა შინა დამატყვევებინა ყოვლითურთ უწყალოებითა, ესე ვითარად სისხლ შეწირული და უერთგულესად მოჭირნახულე, რომე დღესცა ესე პური, რომელ მაქვს, მისი სისხლი და ოფლი არს, და დამსვა შორის ცისა და ქვეყანისა გაკიცხულად. ესრეთ ვიყავ განმწარებული მის მიერ და ვინანდი შერთვასა მისსა. შემდგომად მრავალთა წელთა განვლისა, ჩვეულებისაებრ ჩემისა, მომევლო რა უცხონი ქვეყანანი, მოველ რა, დასნეულდა ხსენებისა არა ღირსი იგი, და თვისისა გულისა სიბოროტითა იყო დიადთა წელთა სნეულებასა შინა და შემდგომად მოკვდაცა; მე ჟამადმდე ვიგლოვე თვალ სახილველად ერთა და არა გულითა, შემდგომად მოვიყვანე ცოლი დიდებულთა გვარისა, ნება გულისა ჩემისა, სიხარული ჩემი და პატივის-მცემელი ნამსახურთა ჩემთა, ვიშვებდი მისისა ჭვრეტითა და განვატარენ მრავალნი წელნი მასთანა დატკბობითა, დროსა და დროსა ზედა მოვვლიდი უცხოთა ქვეყანათა, ვჰსცნობდი და შევიკრებდი თვით უკიდურესთა ქვეყანათა მეფეთა და ერთა ჰამბავთა, მუნით მოვიდოდი და განვჰსცხრებოდი დედოფლისა თანა, რომელმანცა, შვილო, მიშვა ძე შენებრი და ვიხარებ შენითა ჭვრეტითა.

აქა მეინვართა მეფისა ფინეზისაგან აბაშთა კელმწიფის ჭამბისა თხრობა ნუშრევანსა თანა.

Aწ, შვილო, დროსა აღმოსავლეთს მყოფობისა ჩემისასა იტყოდნენ აბაშთა ქვეყანასა დიდად შვენიერსა და კელმწიფესა მათსა კნინღა დაუჯერებელსა ძლიერებითა, თუმცა, შვილო, ყოვლისა ქვეყანისა და ყოველთა კელმწიფეთა ჰამბავნი არა დამეფარვიან და მიდგანან კაცნი უცხოთა ჰამბავთა შემკრებნი და ყოველთა დიდ შემძლეთა კელმწიფეთა ბრძენნი ვაზირნი, უმოხუცებულესისა ვაზირისა ჩემისა ეგროსის მიერ სიბრძნითა განათლებულ არიან, გარნა ჰამბავნი მათნი თვისთა დროთა ისმინნე და ესე აწ იკმავენ, რომლისაცა მოთხრობითა მწუხარებისაგან შენისა განთავისუფლდები, რომელიცა ვიცი მე თანა მოწამეობითა ვაზირისა ჩემისა ეგროსისათა. იგი, რომელ გაუწყე, შვილო, აბაშთა ძლიერი ხელმწიფე, აწ მცირედთა ამათ ჟამთა წინარე გარდაცვალებულა, იგი, რომელსაცა დაჰშთომია შვილი დილარ მძლეველად სახელდებული და ესრეთ იტყვიან; „მამა მისი მას ვერა ესწორებოდა ვითა სხვანი კაცნი მამასა მისსაო.“ ნუ ჰკვდები, შვილო, სურვილისა საყვარელისა შენისათა, მიჰმართე მას ძლიერსა კელმწიფესა, მას ზედა არს განგებით ბრძანება, მისგან გაიღებ შენისა კურნებისა გზასა, მკლავთა მისთაგან შენ გაბედნიერდები და შენითა მიზეზითა იგიცა კელმწიფე თვისისა ურვისა წამალსა მიიღებსო.“ ესე რა მიბრძანა პატრონმან მამამან ჩემმან, მიომე და სევდათა უკუმრიდეს, მომეცა ძალიზე დგომისა. ორსა კვირასა მამასა ჩემსა თანა დავჰყავ, ჩემითა ჰვრეტითა ვამხიარულე და მეცა სრულსა ძალსა ჩემსა ზედა მოვედ.

აქა მეინვართა მეფის ძის ნუშრევანისაგან თავისსა სამყოფთაგან მო-შორვებისა მოხსენება წინაშე დიდად მძლეველისა.

შემდგომად მცირედთა დღეთა მოვემზადე საყარიბოდ, გამოვემშვიდობე მეფესა და ყოველსა ერსა, იტირეს მრავალი მეფემან და დიდებულთა და სპათა, ყოველთა დაუტევე მშვიდობა. საყვარელისა ჩემისაგან ბოძებული ცხენი შევჰკაზმე მის ციკლოპელთა ფალავნისა ცხენისა იარაღითა და მეცა მისვე ფალავნისა იარაღითა შევიჭურვე, ერთი მახალაკი *) ოქროთი და ძვირფასითა სპეკალითა აღვავსე, შევჰსხედ ცხენსა და გამოვემართე სახელსა ზედა დიდებულისა კელმწიფებისა თქვენისასა. აჰა, უდიდებულესო და ცათა სწორო კელმწიფეო, ესე ორი წელიწადი მივლია უგზოთა და უვალთა ადგილთა ზედა, ველთა და ტყეთა მკეცთა თანა მოყვრობითა. აწ მოვსრულვარ და დიდებულსა კალთასა თქვენსა შევფარებივარ, მე არღარაჲ ვუწყი; რაჲცა ჰშვენოდეს ცადმდე ამაღლებულსა სახელსა თქვენსა, იგიცა ჰქმენით". რა საგლოველი ესე ჰამბავი ჩემი დავასრულე, დიდად ილმო კელმწიფემან მან, თვალთა ცრემლნი გარდმოჰყარნა და ჰმსგავსადვე ყოველნი მსმენელნი ჰსტიროდენ, ვითარ ერთი ჟამი მოიტირეს, შემდგომად სული დაიღეს და შეჰსჭვრეტდენ კელმწიფესა მას, თუ რასა ჰბრძანებდა. დიდებული იგი თვით მპყრობელი იყო დაფიქრებული არა მცირე ჟამს; შემდგომად აღიღო თავი, გაიღიმა, გარდამეხვია და მიბრძანა: „ჰე, ძმაო ჩემო ნუშრევან, თავმან ჩემმან, კარგი ყმა ხარ და საყვარელი გულისა ჩემისა, ვინათგან არა შეიწყალე თავი შენი და დაუფარავად მიამბენ ჭირნი შენნი, პირველადვე აღგითქვი, შევასრულო თქმული ჩემი და შეგყარო საყვარელსა შენსა." მე მისსა ბრძანებასა ზედა აღვჰსდეგ, თაყვანის-ვეც და კელს კოცნასა ვლამოდი, მან არა

*) აბგა.

ინება, პირი შემტაცა და ერთი-ერთს პირს ვაკოცეთ, და კვლა მიბრძანა: „ძმაო ნუშრევან, დღეის წალმართ ლხინი გმართებს და არა ურვაო, მივჰსცეთ თავნი ჩვენნი შვებასა, ვიდრე გზისა საქმესა განვაგებდეო.“ მოაღებინა პური და იგი დღე ლხინსა და სმასა შინა გარდავვლეთ.

აქა უდიდებულესისა მის მონარხისა დილარ მძლეველისაგან მეინვართა მეფის ძის ნუშრევანის მოტანილის ციკლოპელთა ფალავნის საჭურველის განსინჯვა.

მეორესა დღესა დაბრძანდა დიდი იგი კელმწიფე დილარ მძლეველი და დამისვა მეცა გვერდით თვისსა და ჰბრძანა მის ციკლოპელთა ფალავნის საჭურველისა მოღებაჲ. მსწრაფლად მოართვეს და დაუწყეს სინჯვა ყოველთა სპასალართა, დიდებულთა და ქველთა ჭაბუკთა და ერთბამად მოსწონდათ კელოვნება და სიმტკიცე მისი. მაშინ უბრძანა დილარ მძლეველმან მიწერა ვაზირთა თვისთა ყოველსა საბრძანებელსა თვისსა ბრძანებისა, რათა შემოჰკრბნენო მყისად რკინისა კელოვნებისა მცოდნენი სატახტოსა მას ქალაქსა გვირგვინოსანსა, და მსწრაფლად განჰსწერეს ოთხსავე კიდესა ზედა და შემოჰკრიბნეს მალე მსრბოლთა სამასი ათასნი ურჩეულესნი რკინისა კელოსანნი, რომელნიცა ერთობით ჰკმობდეს კმამაღლად, რომე რაჲცა საქმე რკინისა ჰნებავს დიდებულსა კელმწიფესა ჩვენსა დილარ მძლეველსა, გვიბრძანოს და უკეთუ ვერა სრულ-ვჰყოთ ნებისაებრ მისისა, თავნი ჩვენნი დაგვიცანო. რა კელოვანთა მათ ზენკალთა თქმაობანი და რიცხვი მათი მოახსენეს დილარ მძლეველსა, კვლა ჰბრძანა: „მათგანცა უმჯობესნი გამოერჩივნენო.“ მათ რიცხვთაგან ასი-ათასნი ეგრეთნი გამოჰსდგნენ, რომე უკეთესობა და სწორი მათი არღა ეგებოდა ყოველსა ქვეყანასა ზედა. რა მეორედ რიცხვი წარუდგინეს დილარ მძლეველსა, მაშინ უბრძანა სპასალართა

ჰვისთა: „მიველით და უჩვენენით საჭურველნი იგი ციკლოპელთა მის ფალავნისა და ცხენისაცა მისისაო.“ ბრძანებისა მორჩილთა მათ სპასალართა უჩვენეს იგი ყოველი, ჰსჩხრეკდეს, ჰსინჯვიდეს და აქებდეს ხელოვნებასა მას. ოდეს თვითოეულად ყოველივე განიხილეს, მაშინ მათ სამას ათასთ ერთობით ჰსთქვეს: „ჩვენ შემძლებელ ვართ ერთობით ესე ვითართა საჭურველთაგან უკეთესიცა შევმზადოთო“. გარნა მათ ურჩეულესთა ზენკალთა ასი ათასთა ესრეთ ჰსთქვს: „ჩვენ ვიცით უმეტესი კელოვნება, რომე თვით ვულკანცა ვერა გვესწორებოდა ჩვენ და ესრეთი საჭურველი შევჰქმნათ, რომე ქვეყანასა ზედა ჩვენგან გაკეთებული საჭურველი ვერა რამან ჰკვეთოს, და ჩვენგან ქმნილმან კმალმან, შუბმან, ზუფინმან და ისარმან, სადაცა და ვისგანცა იყოს ქმნილი მყარი საჭურველი, ვითა ცუდი რამე ქსელი, ეგრეთ განჰკვეთოსო.“ რა სპასალართა მათ ზენკალთა მათგან თქმული მოახსენეს დილარ მძლეველსა, ჰბრძანა სამეფოთა სახლთა დადგინება მათი და უჩინნა კაცნი, რათა რაჲცა მოეთხოვათ, ყოველივე უნაკლულოდ მისცემოდათ. მათ ზენკალთა იწყეს მუშაკობად, გარნა არავის ნება ჰსცეს ხილვად სამუშაკოსა მის, თუ რასა კელოვნებდეს, და სამსა სწორსა შინა მოიღეს სამი ათასი საჭურველი კაცისა და ცხენისა ყოვლისა თანა უნაკლულო და მოართვეს დიდებულსა მას დილარ მძლეველსა.

აქა აბაშთა უპირველესთა ზენკალთაგან შექმნილისა იარაღისა და საჭურველისა ხილვა და გამოცდა მათი დილარისაგან.

ოდეს იხილა დილარ მძლეველმან ახალნი იგი იარაღნი და საჭურველნი აბაშთა უპირველესთა ზენკალთაგან, მოეწონა თვით და ჩვენცა ვჰსჩხრეკდით; შემდგომად მოაღებინა დილარმან ციკლოპელთა იგი საჭურველი, და რა ერთად განვი-

ჭილეთ, ესრეთ არა ემჰსგავსებოდნენ ძველნი იგი ახალთა, ვითარ-
დილარსა მე არა რასა შინა; ჯაჭვისა და ჯავშნისა თვალნი
ერთი-ერთსა შემსხდარნი იყვნეს ორ ათეულ ორ-კეცად, სი-
ლბოსა, სიმსუბუქესა და ბრწყინვალებასა მისსა თვალნი და
გულნიცა განჰკვირდებოდენ, და სხვათა იარაღთა ქება ვითღა
მოგახსენოთ. დილარ მძლეველმან გამოაცდევინა აბაშთაგან
გაკეთებული იგი ჯაჭვი; შეჰმოსა ცხენი ერთი და მოაღებინა
კმალი იგი ციკლოპელთა და მკლავ მაგარსა ვისმე ჭაბუკსა
შემოაკვრევინა კმალი იგი ციკლოპელთა, გარნა ჯაჭვსა მას
ეგრეთ არა დაეტყო, ვითა არა შეჰხებოდარა; კულა ისარი
ასროლინეს და იგიცა უკუნ იქცა; გალანამცა ბეგთარნი, ჩა-
ბალახნი, კელნავნი, ფარნი, საბარკულნი და პოლოტიკნი-
რკინანი ესრეთნი იყვნეს, რომე არცა ციკლოპელი და არცა
სხვათა ქვეყანათა იარაღნი მათ არა შეეხებოდათ-რა. ესე რა
იხილა დილარ მძლეველმან, ჰბრძანა: „მამისა ჩემისა მზემან,
ადვილად დავიხსნი ნუშრევანის ტყვესაო.“ მაშინ უბოძა ზენ-
კალთა მათ მრავალი ნიჭი, და აღავსნა წყალობითა და უბრ-
ძანაცა, რათა სამარადოდ ემუშაკნათ კელოვნებითა მით სა-
ხელმწიფოდ, და იგინიცა დაადგრენ ბრძანებულსა მას. კვლა
მიეცა დილარ მხიარულებასა. დღესა ერთსა შეაჭურვინა აბა-
შიურითა საჭურველითა ცხენი ერთი და მიბოძა კმალი ცი-
კლოპელთა და მიბრძანა: „ნუშრევან, ჩემსა მზესა, მივედ და
შემოჰკარ კმალი ეგე და ნუ დაჰზოგავ მკლავთა შენთა ძლი-
ერებასაო.“ მე მსწრაფლად მიველ და, რაჲცა ძალ-მედვა, ვეც-
ქედსა ზედა, გარნა ჯაჭვსა მას ვერა რაჲ დავატყევ, მერე
ციკლოპელითა ჯაჭვითა შეაჭურვინა ცხენი და მიბოძა კმალი
ახალი, აბაშთაგან ქმნილი, და მიბრძანა: „მივედ და ეგეცა
გამოჰსცადეო.“ მიველ, ვჰკარ კმალი ქედსა ზედა და, თავმან
თქვენმან, კისერი მრთლად მოვჰკვეთე, ორი წინა ფერხნი
გავაყრევინე და კმალი მიწასა გამოვავლე. გვიამა ყოველთავე,
და ვიყვენით მხიარულებასა შინა.

აქა დილარისაგან ათასთა დიდებულთა ძეთა და სპასალარისა გამორჩევა.

ძლიერმან კელმწიფემან დილარ მძლეველმან გამოარჩივნა და შეჰკრიბნა ათასნი თვისთანა ზრდილნი აბაშეთისა დიდებულთა ძენი, ესრეთნი შვენიერნი ნაყოფნი. რომე დღეთა შინა ჩემთა, გარდა დილარისა, მათებრნი არა სადა მინახავან; რომელთაგანნი თვითოეული დაამოსვინა საჭურველითა მით აბაშიურითა და ჰრემათა თვისთაგან ესრეთნი ტაიჭნი მოასხმევინა, რომე საყვარელისა ჩემისაგან ბოძებული ცხენი მათთანა ყოვლად არღა იხსენებოდა. დილარმან ტაიჭნი იგი დაამოსვინა მითვე აბაშიურითა კელოვნებულითა საჭურველითა და უბოძა ათასთა მათ ჰრჩეულთა, თანა ზრდილთა თვისთა. კვლა გამოარჩია სპასალარი ერთი სახელით მარსი და უბოძა მასცა საჭურველი იგი და ტაიჭიცა. აგრეთვე მოიხმო ათასნი ჰრჩეულნი და უპირველესნი ქოქონიკნი *), გვირაბისა და ხვრელისა გამტანნი, ხუროთ მოძღვრობითა ქვის ხელოვნებისათა სრულნი, და უბრძანა: „ყოვლითა თქვენითა იარაღითა მზად იყვენით." გარნა მე ვჰსწუხდი და ვიტყოდი გულსა შინა ჩემსა: „ნეტარ რა იქმნების ცეცხლისა მის ღონე." რა ვეღარა მოვითმინე, ავჰსდეგ, მოაჯეთა ადგილსა დავჰსდეგ, თაყვანისვეც და მოვახსენე: „ძლიერო კელმწიფეო, ცეცხლისა მის ღონისძიებისათვის თათბირი გმართებსთ და რა იქმნების ბრძანება თქვენი." მას მოხსენებასა ზედა შემომწყინა და მოაღებინა ერთი ხელი აბაშიური საჭურველი და იარაღი კაცისა და ცხენისა ყოვლისა თანა უკლებელი, მიბოძა და მიბრძანა: „ძმაო ჩემო, შენ შენსა საყვარელსა ადრე შეჰყრი და სხვასა რას იურვიო." და კვლა მიბრძანა: „ჩემსა მზესა მოითმინე და მხიარულად იყავ ვიდრე გზისა საქმესა შევჰკაზმიდეო, ესე ბრძანება თვით საყვარელისა შენისაგან გაქვს მოთმინებისათვის და მე ნურარას მაყვედრიო." მე თაყვანის-ვეც და ვიყავ მხიარულებით.

*) დედანში: ქანქანნი.

აქა დიდის აბაშეთის თვით-მპყრობელის ჴელმწიფისა დილარ მძლე-ველისაგან სამონარხოსა თვისისა თვისთა სპასალართა და ვაზირთა შთაბარება, მინდობა, წვრთნა და წეს-დებულებისა მიცემა.

დილარმან შემოიკრიბნა თვისნი ჩინებულნი დიდებულნი და ერთგულნი მისანდონი სპასალარნი და ვაზირნი. ერთს კვირასა ზედა მიანდო ყოველნი ყმანი თვისნი მათ, მიჰსცა ჰსჯულის-დება და წესნი ყოველსა ზედა საქმესა, საზომთა, საწონთა და ნირთა შეუცვალებლობასა ზედა, სწორსა სამართალსა ზედა მოსამართლეობა, ყოველთა ნივთთა გაიეფობისა მომჭირნეობა, ერთა შეუწუხებლობა და უბრძანა მათ: „ნუ-მცა მესმის მე თქვენგან ერთისაცა მცირისა წესისა შეცვალე-ბაჲ, თვარა, ცადცა ალხდეთ, ჴელთაგან ჩემთა ეგრეთცა ვერა განერებითო.“ მათ თაყვანი-ჰსცეს და ჰფიცეს მზითა ჴელმწი-ფებისა მისისათა, ბრძანებისა მტკიცედ პყრობა და აღსრულე-ბა. შემდგომად გაახსნევინა ორი-ათასთა საჭურჭლეთა კარნი, გაჰსცა დიდთა და მცირეთა ზედა მრავალი ოქრო და ვეცხლი, თვალი და მარგალიტი, და ლარნი, ოქრო-ქსოვილნი და ერთ-სა სწორსა პურობა, ნადიმი და გაცემა გარდაიხადა და განა-მდიდრნა ყოველნი ობოლნი, ქვრივნი და დავრდომილნი; ჰლოცვიდნენ ყოველნი მზესა და ჴელმწიფებასა მისსა. მერმე კვალად სამსა დღესა ჰსწვართნა დიდებულნი თვისნი და გა-ნამტკიცნა ყოველნივე სწავლითა კეთილითა, დაადგინნა და განაწყო ყოველნი თვის-თვისსა წესსა ზედა, და მოემზადაცა დიდითა რითმე სიბრძნითა, რაჲცა ჰშვენოდა ეგე ვითარსა ჴელმწიფესა უცხოებასა შინა, რაჲცა რა შეემთხვეოდა, ბედ-ნიერება ანუ უბედურობა. ათასთა მათ უჴელოვნესთა ქოქო-ნიკთა მიუბოძა თვითოთა თვითო ცხენი, ჰმსგავსი ქედისა დიდ-დიდნი და დიდად გამძლენი საჯდომლად მათად და ია-რაღთა მათთა საზიდრად, და კვლა ორ-ორი წვივ მაგარი ჯორ-ნი მიაბარა მათ თვითოსა, დატვირთულნი სჯთანიოსა ნივთითა,

რაჲცა უკმდა კელმწიფებასა მათსა, და უბოძა მათვე გზისა სახარჯოდ თვითოსა ხუთი-ათასი ოქროჲ და სახლთა დასატევებელად მისცა თვითოსა ოცი-ათასი ოქროჲ. ხოლო სპასალარსა მარსის და თვისთა დიდებულთა ძეთა თანა ზრდილთა საგზაოდ თითოსა ოცი-ათასი ოქროჲ და სახლთა დასატევებელად ეგზომი ოქრო და ვეცხლი უბოძა, რომე რიცხვი არა შეიგებოდა. იგინი გამოესალმნენ სახლთა თვისთა და ჰგებდნენ ბრძანებისა მაყურებელნი. მე მიბრძანა, ვითა: „ძმაო, რაჲცა მაქვს, შენი არს და ერთად ვიხმაროთო." მაშინ დაუტევა ყოველთავე მშვიდობაჲ, ჰბრძანა დილარმან სანადიროსა მას მკეცთასა წაბრძანება. მოემზადნენ ყოველნი ხლებად ჩვეულნი და გალანამცა სახლისა უხუცესიცა განემზადა ყოვლითა თვისითა კრებულითა და სათანიოჲსა ხარჯითა. იყვნეს მარადის ჩვეულნი თანა ხლებისა ათასნი სპასალარნი, ათასნი ვაზირნი და ყოველნი მოხელენი თვისითა კრებულითა, და ასი-ათასნი იგი თანა ზრდილნი დილარისნი, დიდებულთა ძენი შვენიერნი და მკლავ მაგარნი ახალ მოყმენი, რომელთა ჰმსგავსნი თვალითა ჩემითა არა სადა მინახავან და პატრონი მათი დიდებული იგი კელმწიფე დილარ მძლეველი ეგეთი იყო, რომე შვენიერებისა მისისა გამოხატვა არას რომელსამე კელოვანსა მხატვარსა არა ძალ-ედვა; ყოველნი მხილველნი მისნი მიილებდნენ თვალთა და გულთა სიამოვნით დატკბობასა.

აქა დილარ მძლეველის წაბრძანება დიდსა მას მხეცთა სანადიროსა თვისისა ჩინებულისა კრებულითა და მეჯინგართა მეფის ძით ნუშირევანითურთ.

დილარ მძლეველი აღმხედრდა ტაიჭსა თვისსა და ჩვენცა განმზადებულნი გავსხედით ცხენთა ჩვენთა და გავემართენით სანადიროსა მისკენ; ვიარებოდით ლხინითა და შექცევითა, გარნა სადაცა ჩამოვხდით საპუროდ, თავმან თქვენმან, ეგრეთი

პურობა გარდაიხადის დილარისა სახლისა უხუცესმან, რომე თვით გვირგვინოსანსა ქალაქსაცა არ დია ნაკლებობდა სანოვაგეთა და სასმელთა სიმრავლითა; მხიარულობდა დილარ და მიმავალი პურობასა ზედა გაჰსცემდა მრავალსა და აღავსებდა ყოველთა თანა წლებულთა. ვვლეთ მრავალი და მივიწიენით მას მკეცთა სანადიროსა; უბრძანა დილარ მძლეველმან ოთხსა მათ ათასთაგანსა მოყმესა განუშორებელად ჩემთანა ყოფნა და თვით დილარცა ახლოს ჩემთანავე ჰბრძანდებოდა; შევჰქმენით ნადირობა და სრვაჲ მკეცთა უზომოსა მას ტყესა შინა. ოთხნი იგი მოყმენი დილარისანი, რომელნიცა ჩემთანა ჰნადირობდეს, ესრეთ მომეწონნეს, ღმერთო, რომე ვერლა ვნადირობდი და მათ შევჰსჭვრეტდი. სამხრობადმდე თითომან მოჰკლა ექვსასი ლომი, სხვათა ნადირთა კიდე. იყო ყოველგან განძლიერებული ნადირობა და კმიანობა დიდი.

აქა ნადირობასა შინა ძლიერის რისმე საშინელის მხეცის გამოჩენა, ნუშრევანისა რქითა აღტაცება, დილარის მიშველება, ნუშრევანის განრინება და დიდის მის მხეცის დილარისაგან სიკვდილი.

Ⴈყო რა ყივილი მნადირებელთაგან, მას კმიანობასა ზედა სადა ჩვენ ვიყვენით, მუნ ახლოს გამოვიდა მკეცი რაჲმე უზომოდ დიდი და საშინელი, ხუთისა სპილოსა ოდენი, მრთლად ტყავსა ზედა ძვალნი ჰქონდეს ჰმსგავსად ვიგრისა და მტკიცენი, თავი ლომსა უგვანდა, ორნი კბილნი შუბის სიგრძენი, შუათა წინარე ესხნეს გაპირბასრებულნი, შუბლსა რქა ედგა; რა შემომხედა, ხმითა რითმე საზარელითა დაიყვირა, შემომიტივა და მომვარდა მყისად, ვითა ვეფხი, და ესე უმეტეს საკვირველი იყო, რომე მთისა ოდენი მკეცი ეგზომ მსწრაფლობდა ვითა ისარი; მან, სახილველადცა საზარელმან მკეცმან დაიდო რქა, ჯაჭვისა კალთასა შემიყარა, რქითა მით ზე აღმაღო და დავრჩი რქასა ზედა ზე დაკიდებული; დილარ მძლე-

ველმან შურით მხილა, განრისხებულმან მომმართა, დაქვეი-
თებულმან მოისწრაფა ვითა ვეფხმან, მოვიდა, ერთი კელი მე-
მომაშველა და მარჯვენითა კელითა ესრეთი მუსტი შემოჰკრა
რქისა ძირსა, რომე შუბლის ფიცარი გამოჰგლიჯა, რქა ძი-
რითურთ მოჰსტეხა, მე ძირსა დამსვა, მიჰყო კელი, ერთითა
კელითა ერთი კბილი შეუპყრა და მეორითა მეორე, შეჰსძახა
ესრეთ ძლიერად, რომე ცისა ჰექა მეგონა, გაზიდნა სასტი-
კად და თავი შუა გაუპო; მხეცმან მან საზარელად დაიღრია-
ლა და მთისა ოდენი იგი საოცარი მკეცი ქვე დაეცა. კვლა
მიუხდა, აბაშთაგან კელოვნებული გურზი ჰკრა სასტიკად წელ-
სა ზედა და მოჰკლა ბილწი იგი, კისკასად გამობრუნდა, მო-
ბრძანდა ჩემთანა და მრქვა: „ძმაო, თუ არა გჰირსრაო." მე
მადლობა მოვახსენე და კვლა მიბრძანა: „თავმან ჩემმან, ცუ-
დად განადირეო." შემდგომად მცირედისა ჟამისა კვლა ვიწყე-
ვით ნადირობა და, ვითარ კვირა ერთი ვიყვენით, დღისით
ვნადირობდით და ღამე პურობითა და სმითა განვატარით.
რასაღა განვაგრძო თქმანი ჩემნი! მივიწიენით ნადირობითა მას
ხშირსა ტყესა შინა, სადა პირველ შევიყარენით. მაშინ ჰბრძა-
ნა დილარ მძლეველმან დაშლა ნადირობისა, დაუცეს საყვირსა
და მოეშალნენ ყოველნივე ნადირთა და მკეცთა სრევასა.

აქა დილარ მძლეველისაგან თვისთა სპასალართა, გაზრდილთა, მოხელეთა-
თანა ზრდილთა მოყმეთა დათხოვნა და გამოსალმება.

ოდეს ერთობილნი ყოველნივე მოეშალნეს ნადირობასა,
მაშინ გარდავხედით მას ადგილსა, სადა დილარმან მპოვა მე
მოტირალი. ერთსა სწორსა დაჰყო მუნ მხიარულებითა და
პურობითა, უბრძანებდა მრავალთა სახსოვართა სწავლათა და
განამტკიცებდა ერთგულებასა თვისსა ზედა, უბოძებდა ყო-
ველთავე თანასწორად და ალავსო ნიჭითა და წყალობითა, და
მისცაცა მრავალნი სოფელნი და დაბანი მრავალთა, ენდალ-

მითა და იერლაყითა მტკიცითა, შემდგომად დაითხოვა ყოველნი თანა ხლებულნი და გამოესალმა, ვითა მლმობელი მამა საყვარელთა ძეთა თვისთა; შეიქმნა გლოვა და ტირილი განსამწარებელი გულთა, იცემდეს თავთა და იგლეჯდეს თმათა და წვერთა, ცხვეოდეს ფერკთა და ჰკოცნიდეს მიწასა გარემო დილარისა და ჰლეწდეს საბრძოლველთა იარაღთა და ევედრებოდეს განუშორებლობისათვის, განმწარდა ჟამი იგი და იყო ცადმდე ამაღლებული კმა ტირილისა და ტყებისა.

აქა დილარ მძლეველისაგან ყმათა თვისთა ტკბილითა სიტყვითა დაყვავება და მიბრუნება სახლთა თვისთა.

უბრძანა დილარ მძლეველმან მათ გოდება გამრავლებულთა ყმათა თვისთა: „აე, თქვენ, ერთგულნო ძალნო და სიმტკიცენო ჩემნო, თანა ზრდილნო და გამოცდილნო ერთგულებასა ჩემსა ზედა, ნუ ჰსწუხხართ თქვენ მცირედსა ჟამსა მოშორვებისა ჩემისათვის, მით რომე განგებით მოსრული საქმე არა შეიცვლების; ამისთვის მოხარულ იყვენით, რომე სახელი აბაშთა გულოვნობისა ყოველსა ქვეყანასა ზედა განეფინების, მკლავთა თქვენთა ძლიერებითა საყვარელნი მიჯნურნი ერთი-ერთსა მიხვდებიან და ყოველი პირი ქვეყანისა თქვენსა ქებასა იღაღადებს, და ნუ უკვე, ვითარცა ერთმან თქვენგანმან, მეცა ამა გზითა სურვილისა ჩემისა გზა რაჲმე ვჰპოო! მაშინ იქმნების თქვენგან ჩემისა სიყვარულისა დამტკიცება, ოდეს ქვეყანასა ჩემსა უჩემობასა არა დააჩნევთ, ბრძანებასა ჩემსა არა შეჰსცვლით და სიხარულით მომილოდინებთ მე. აწ რაჲ არს თქვენგან ამაო ეგე ურვაჲ! უკეთუ გიყვარ მე, მოვშორდეთ ურთიერთსა სიყვარულითა და მხიარულებითაო.“ მაშინ ყოველთავე პირსა აკოცა, დაჰლოცა და გაისტუმრნა. იგინი წარვიდნენ, და დავშთით მუნ: თვით დიდებული იგი ჴელმწიფე დილარ მძლეველი და სპასალარი მისი მარსი,

ათასნი იგი მოყმენი სახელოვანნი ჭაბუკნი, ათასნი ურჩეულესნი ქოქონიკნი და მე, მონა კელმწიფებისა მისისა. მაშინ ბრძანა დილარ მძლეველმან, ვითა: „დღეს ჩვენ ყოველნი ძმანი ვართ და გვეგულვების უცხოთა ადგილთა მოვლაჲ." ყოველნივე დაგვმოსა ვაჭრულითა სამოსლითა და თვითცა ვაჭრულითავე შეიმოსა. მე მიბრძანა, ვითა: „ძმაო ნუშრევან, დღესითგან ეტიკობა ჩვენი შენზედა მოვარდნილ არს, და ვითა გული გაწვევდეს, ეგრეთ იარებოდეთ." მე თაყვანის-ვეც და ვითა მმართებდა, ეგრეთ მადლობა მოვახსენე.

აქა დიდის აბაშთა კელმწიფისა დილარ მძლეველისა წარსვლა ცეცხლოვანთა ქალაქისა ასალებელად და ზღვათა მნათობისა გულნაზისა გამოსახსნელად.

ზავსხედით ცხენთა ზედა და გავემართენით სახელსა ზედა გულნაზ დედოფლისასა. ვინაიდგან ეტიკობა ჩემდა ბრძანებულ იყო, ვუძღოდი წინარე და არა მოვეშლებოდი სიარულსა დღე და ღამე. რომელსაცა ქვეყანასა შევიდოდით, ვაჭრობისა წესითა ვიყიდით საგზაოდ სახმარნი და გზასა არავე მოვეშლებოდით. ვიარეთ ვითარ წელიწადი ერთი გზასა ზედა, ვხუმრობდით, შევექცეოდით და ვიარებოდით. გარნა გულსა ზრუნვად მაქვნდა მის ციცხლისა საქმე, თუ რასა იმოქმედებდა, მისთვის დიდი იგი კელმწიფე დილარ მძლეველი. კვლა ვიარეთ ვითარ ექვსი თვე და შევხვდით ქვეყანასა მას, სადაცა საყვარელი ჩემი ჩემთვის ტყვეობდა. განვლეთ შენობანი და მოგვქროლა ცხელმან მან ქარმან; მცირედ ვიარეთ და დაუახლოვდით ცეცხლსა მას აღმომდინარესა; ჰსინჯვიდა დილარ მძლეველი გულ-დებულად მთასა მას. იგი ღამე განისვენა მხიარულებითა დიდითა დილარმან, და მეორესა დღესა უბრძანა თასთა მათ კელოვანთა ხურელისა გამღებთა: „იხილეთ კეთილად მთა იგი ცეცხლისა და განზომეთ ქვეყანის მზომე-

ლობითითა იარალითა, და ესრეთ იწყეთ ხვრელისა განლებად უფსკრულთა ქვეშე ქვეყანისათა, ესე ვითარითა ზომითა, რომე მის ცეცხლისა მთისა საშუალსა ადგილსა შეხვიდეთ, სადაცა ქალაქი იგი მათი დაშენებულ არსო.“ იგინი ბრძანებისა მორჩილნი გალანამცა მყისად შეუდგებოდეს საქმესა მას. მიჰყვეს კელი და ორსა თვესა ესრეთი ხვრელი გაიტანეს, რომე სიმაღლე და სიგანე თანასწორად ათ-ორმეტი მკარი აქვნდა, და ოდეს სრულ ჰყვეს, იახლნეს დილარს და მოახსენეს: „უდიდებულესო მონარხო, სრულ იქმნა ბრძანებული კელმწიფებისა თქვენისა, და ესრეთ ახლოს მივედით, რომე მუნ მყოფთა უბნობა ისმის, გარნა მათ კერძო, ზემორე მცირე მიწა მოთხედ პირსა ზედა დაუტევეთ უგრძნობელობისათვის მათისა, და რას ინებებს კელმწიფება თქვენიო.“ დილარმან მადლობა უბრძანა მათ, და მიერ ავიყარენით და შორად დავისადგურეთ. მაშინ დილარმან უბრძანა სახელოვანსა მას სპასალარსა თვისსა, ვითა: „მარსი, ოდეს მოიწიოს ჟამი იგი ცეცხლის მოკლებისა, მაშინ მზად ჰგებდე შენ რვა-ასითა თანა ზრდილითა მოყმითა ჩემითა შეჭურვილნი, შევლეთ ხვრელი იგი წინამძღომელობითა მათ კელოსანთათა, აღვედით ქალაქსა მას შინა, და დაჰსდევგით საშუალსა ადგილსა, ერთობით ყოველთავე კმა ჰყავთ, და ადიდეთ სახელი ჩემი და ძმისა ჩემისა ნუშრევანისა, და ჰსდევგინ ბრძანებისა ჩემისა მაყურებელნი.“ და მერმე მე მიბრძანა: „ძმაო, შენ ჩემთანა იყავ და მე შენთანა ჩემითა ორ-ასითა მოყმითა და, თავმან ჩემმან, თუმცა ვერიდები უბრალოთა სისხლთა დათხევასა, გარნა ულმობელობისათვის მის ზლვათა მეფისა არა შევიწყალო გულოვანნი იგი ფალავანნი მისნი და არცა სპანი იგი, ვინაითგან მინდობია მეფე მათი ძალსა მათსა, და შენ, ძმაო ნუშრევან, მცირედ კვლა მოითმინე, მით რომე არა ვათქმიოთ მეფესა მას ესე, რომე: „ქურდულად გამიტეხეს ციხე ჩემი და ესრეთ ამართვესო.“ ესე ჰბრძანა და იგი კელოსანნი უჩინა ცეცხლის მოკლებისა გუშაგად, და უბრძანა: „ოდეს ცეცხლი

მოაკლდეს, მყისად გვაუწყეთ და ესრეთ შეუძლით ჩემთა მოყმეთაო.“ ესრეთ განაგო ყოველივე დილარ მძლეველმან.

აქა წინაშე მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა მოსვლა შაკრიკისა მის მორესი და დილარისაგან მოსმენა მორესაგან მოხსენებულისა.

მასვე ჟამსა შინა მოვიდა ნამსახური იგი ჩემი მორე, თაყვანის-მცა და კელ-განპყრობილმან შეჰსწირა ცასა მადლობა ხილვისათვის ჩემისა, და კმა-მაღლად მოხარულმან მრქვა: „ძეო მეფისაო ნუშრევან, ესე სამი თვე არს, რა ზღვათა მნათობმან გამომისტუმრა საცნობელად ამბავთა თქვენთა, მით რომე დაუძვირდა იგი მას; იგა მნათობთა გამცუდებელი ჰზის ბნელსა სამჭმუნვაროსა სავანსა, თალხითა მოსილი, დღე და ღამე არა გაჰსწყვედს ცრემლთა ღვრასა და შიგან ჰზის მორევსა მისსა. როადამ, დამწვარი მისითა ცეცხლითა, თავსა ევლების და ორთავე გული ჰკვდების მოუთმენელისა პირითა; თვით იგი მაღალი ზღვათა მეფე ჰსწყრების ასულისა თვისისათვის, გარნა შიში მეფისა შორად განუდევნია მისგან სიყვარულსა თქვენსა. ამას ჰბრძანებს მნათობი იგა: „რადგან სვემან მომაშორა სიხარულსა ჩემსა, არცაღა მე მინდა სოფელსა შინა ხანისა დაყოფაო.“ არცა მამასა ჰნახავს და არცა მზისა ნათელსა, მიწყივ ჰზის ბნელსა სავანსა და იმრავლებს ცრემლთა ღვარსა; თუმცა სავანი იგი ბნელი ვერა ჰფარავს პირისა მისისა ელვარებასა და ათენს ბნელსა მას, ვითა დისკო *), გარნა თავიცა იგი უებრო მოჰსძულებია მას, გამოსტუმრებისა ჩემისა ჟამსა მიბრძანა, ვითა: „მონაო, შენგან კიდე ბედსა ჩემსა ყოველი ღონე მოუსპია ჩემგან, აწ გასწირე თავი შენი და, სადაცა იყოს, ჰპოვე იგი გულისა ჩემისა შვება და, ვნატრი თვალთა შენთა, რომე მას იხილვენო, ჩემ მაგიე-

*) დედანში: თვალი მზისა.

რაჲ მას მოქდნისა დამაშვენებელსა მიუსალამე და ესე მოახსენე: „ჰე, საყვარელო, დავჰშთი უშენოდ სიცოცხლე გაარმებული, რგება ჩვენი არავის ძალ-უძს და არცა მწარისა ამის ტყვეობისა ჩემისაგან გამოხსნასა მოველი, თუმცა ვიპოვე წამალი კსნისა ჩვენისა მრავალთა მესტროლაბეთაგან გამოძიებული, გარნა, საყვარელო ჩემო, ვითღა შეგაწუხო უშორესსა გზასასლვითა და შრომითა, კმა არს ჰირი ესე, რომელი ბედმან განგვიწესა და მეტად ვითღა დაგამძიმოო, გარნა გაგონებასა არა გრიდებო.“

აქა შიკრიკისა მის მორესაგან ზღვათა მნათობის გულნაზის დაბარებულთა მოხსენება წინაშე ნუშრევანისა.

მორემან მან დაუფარავად კვლა იწყო თქმაჲ დაბარებულთა საყვარელისა ჩემისაგან წინაშე დილარისა და ჩემსა, ესრეთ: „ჰე, ძეო მეფისაო, ამას მოგახსენებსთ ზღვათა მნათობი იგა: თუმცა იქმნებოდესო ესე, რომე მიაწევდეს ვინმე წინაშე დიდისა და ცათა სწორისა აბაშთა კელმწიფისა დილარ მძლეველისა და მას ჰირთა ჩვენთა მოახსენებდეს, უცილოდ იგი შეგვიწყალებს და მისგან იქმნების ჰირთა ჩვენთა ლხინად შეცვალებაო. მამა ჩემი, ჩემთვის ფილარი *), იჭვნეულობდა რეცა დიდებულისა მყინვართა მეფის ფინეზისაგან სისხლთა ჩვენთა ზღვევინებასა, ამისთვის ძალი ყოვლისა ზღვათა ქვეყანისა აქარე შემოჰკრიბნა და საჭურჭლენიცა არა რა დაუტევა მუნ; ამა სიმაგრესა ჩვენთვის აჯოჯოხეთებს და თვით ცერბერაობს **). ჰრიდე, საყვარელო ჩემო, ორტუსსა ***) ამას, რათა თვისითა

*) დედანში: მომგონებელი და მომპოვნებელი უცხოთა და ახალთა-მწარეთა სატანჯველთა.

**) დედანში: სამ თავი ძაღლი, მცველი ჯოჯოხეთისა.

***) დედანში: ძაღლი, უზომოსა სიდიდისა მქონებელი.

ახერონითა *) არა შეგწვას შენ. ვერ შემძლებელ-არს მამა ჩემი, რათა გარდაგვქმნას სხვად რადმე, ვითარ ალციონა **) და ციგერა ***); ამისთვის, საყვარელო, ველოდეთ გამოხსნასა ჩვენსაო!“ მორემან კვალად ჰსთქვა, ვითა: „ძეო მეფისაო, მე, ბრძანებითა საყვარელისა შენისათა, მოვიარენ მრავალნი ქვეყანანი და ვერა სადა გიხილე, ესერა დაბრუნებული მოვიდოდი, და უკეთუ მის მნათობისათვის მომეხსენებინა უპოვნელობაჲ თქვენი, უცილოდ მოხსენებასავე თანა დაჰსჭნებოდა ყვავილოვნება მისი, და აწ, ვაშა, რომელ გიხილე და არა შევიქმენ მიზეზი მისისა განმწარებისა! გარნა, ძეო მეფისაო, რასა იარები აქა ამა მცირითა ერითა, ესე ჰსჯობს, რათა შეუდგე კვალსა დიდისა მის დილარ მძლეველისასაო.“ ესე რა მორემან წარმოჰსთქვა დაუფარავად, მყისად ქვე დავეცი ვითა უსულო; დილარ მძლეველსა მოვებრუნებინე და იგიცა ჰსტიროდა სიბრალულითა ჩემითა. მორეს რა იგი მომბრუნებელად ჩემდა ეხილვა, განკვირვებული შეჰსჭვრეტდა და არა რაჲ უწყოდა. მაშინ დილარმან უბრძანა მონასა მას ესრეთ, ვითა: „ძმაო, ოდეს შეხვიდე ქალაქსა მას შინა, მოახსენე პატრონისა შენისა ასულსა და დასა ჩემსა გულნაზს დედოფალსა ესრეთ, ვითა: „ჰე, მნათობო, ნულარა ჰსჭმუნავ, აჰა მე, დილარ, მოვსრულვარ ქვეყანით ჩემით გამოხსნისათვის შენისა, და ჩემთანა მომიყვანია შენთვის კელ-ქმნილი დიდისა მყინვართა მეფის ძე ნუშრევან, შვენიერი ჭაბუკი და საყვარელი ძმა ჩემი. მთოვარეო, განემზადე შენისა მტრფიალისა განმაცოცხლებელად, შენთვის მკვდარი შენითა მხიარულებითა სამარეთაგან აღადგინე, და ნება დამრთე, რომე მოკლეთა ამათ დროთა შინა თქვენსა ქორწინებასა გარდავიხდით.“ ესე რა უბრძანა დილარ მძლეველმან მონასა მას მორეს, მან მე

*) დედანში: მდინარე ჯოჯოხეთისა.

**) დედანში: მეუღლე ციგერასი.

***) დედანში: ქმარი ალციონასი.

მკითხა, ვითარ: „ძეო მეფისაო, ესე არს ცათა სწორი ოქროს კელმწიფე განძლიერებულისა აბაშეთისა დილარ მძლეველი?“ და მე ვარქვ: „ესე, ესე.“ და ესე რა ვჰსთქვი, მეყსეულად შეიქმნა ღაღადება დიდი, ვითარმედ: „მოკლდა ცეცხლით.“

აქა დილარ-მძლეველისაგან ციკლოპელთა ქალაქისა აღება და მრავალთა ტყვეთა და ჭაბუკთა გახსნა, გზასა ზედა და კარისა ქალაქისათა შელეწა.

ყოველნივე მას კმასა ზედა თვისსა განწესებულსა ადგილსა შეხვდეს მზად და ჩვენცა განვლეთ მზა ვიყვენით. დილარმან მე მიბრძანა: „ძმაო, შემომიდეგ, აჰა ჟამი შენისა საყვარელისა ხილვისაო.“ გავსხედით ცხენთა ყოვლითა სისწრაფითა და მივმართეთ გზასა მას ცეცხლ-მოკლებულსა; მოგვეგებნეს წინა განწესებულნი იგი ათასნი ფალავანნი ასისთავთასითა ლომგულითა ჭაბუკითა. შეჰსძახა დილარ მძლეველმან კმითა თვითმე საშინელითა და ხაფითა, მიჰკრა კვლი გურზსა და იცემებოდა მარჯვნივ და მარცხნივ და ჰყრიდა ფალავანთა უთვალავად, რომელმანცა ათასნი იგი გამორჩინებულნი ზღვათა მეფისა ფალავანნი, მისვლისავე თვისსა თანა შეუწყალებელად დასოცნა; ვჰსდევდით მეცა უკანით შედგომილნი განკვირვებულნი ბრძოლისა მისისა; კვლავ უმეტესად განმაცვიფრებდა, რომე იგი ორ-ასნი თითო ზრდილნი მოყმენი დილარისანი, მათ ასისთავთა მეომართა ჭაბუკთა, ვითა სიროთა, ეგრე ადვილად ჰსრვიდეს. მსწრაფლად მივედით კართა ქალაქისათა, სადა იყო მოუფიქრებელად რაოდმე გონებისა შეუძლებელი კარი; დილარ-ყვითა ურიგალი, მყისად გარდახტა ცხენით. ჯაჭვისა კალთანი სარტყელსა შთაიჰყრა, მიუხდა ვეფხებრ კისკასად, ჰკრა გურზი ეგზომ ძლიერად, რომე მთამან მან სრულად რყევა დაიწყო, ჰკრა მეორეცა და გასტეხა ძლისა უსხოსი რკინის კეტი ურდულად ქმნილი; განაღო კარი და შევედით

შიგნით ქალაქისა მის, ასნი მოყმენი თვისნი კარსა ზედა დაა-
ყენა მცველად და უბრძანა: „დაჰგულეთ ესე, რათა არავინ
იქმნენ განმსვლელ ჟამსა ამას.“ ჩვენ წარვედით მუნით, და
სხვით კერძო შესრულიყვნენ სპალთრი თვისითა გუნდითა,
იდგნენ საშუალ მოედნისა, და იყო ღაღადება ძლიერი, ვითა:
„დღეგრძელდინ მეფეთა ზედა მეფე და კელმწიფეთა ჴელმწი-
ფე, მპყრობელი ყოვლისა აზიისა დილარ მძლეველი და
ძმა მისი დიდისა მყინვართ მეფის ძე ნუშრევანო.“ მას ჴმასა
ზედა თვით იგი ზღვათა მეფე ყოვლითა თვისითა ალქურვი-
ლითა მკედრობითა და მის ქალაქისა ერითა გარე მოსდგომო-
დეს, და დილარისანი ჰსდგეს ვითა მტკიცენი გოდოლნი და
ელოდნენ პატრონისა თვისისა ბრძანებასა. დილარ მძლეველ-
მან მიჰმართა ჴმასა მათსა და შევჰკრბით ერთად.

აქა ციკლოპელთა ქალაქსა შინა დილარის სპასალარის მარსისა და რვა-ასთა მოყმეთა დილარისათა და ბრიტან მეფისა ორი-ათასთა ფალავნეთა და ორასი-ათასთა ჭაბუკთა მათთა ბრძოლა ძლიერი.

დილარმან უბრძანა სპასალარსა თვისსა მარსის და რვა-
ასთა დიდებულთა ძეთა მოყმეთა თვისთა, ვითა: „დღეს თქვენ
გმართებსთ, რათა გაერჩინეთ შვილთა მკვლელსა ზღვათა მე-
ფესა.“ მათ მსწრაფლად თაყვანისცეს და გაერივნეს ცხენ-
ცხვითა მათ რაზმებთა თავმან შექცევმან, დილარისანი მაღ-
ბრძოლასაშინა არა ჰგვანდეს კოროცილთა, ვინათ რომე მას
დღესა ორი-ათასნი გულოვანნი ფალავანნი ბრიტანისანი და
ორასი-ათასნი მკლავ-მაგარნი ჭაბუკნი დაჰსწყვიტეს და ლაშქარ-
მან გაჰყარნა. მოვიდნენ დილარისანი, გამარჯვება მოულოცეს.
დილარმან პირთა აკოცა, და დავსხდებით მოედანსავე ზედა, მას
ღამესა ლხინითა და მხიარულებითა ვიყვენით, გარნა დილარ
ჰსწუხდა ბრიტანისა გულ-ქვაობასა და ულმობელობასა ზედა
და იტყოდა: „რად არა ეწყალვის ეგოდენნი სულნი, რომე სი-

ცოცხლესა მოაკლდენ მისით სიბოროტითა და ანუ კვლა-
რავდენნი გაჰსწყდებიანო? რად ესე არა იცის, რომე დასა
ჩემსა გულნაზს დედოფალსა, ქაჯადაც იქცეს, კელთაგან ჩემთა-
ვერღა სადა მიმტაცებს, და ვაი სიბოროტესა მისსა, თვარა
ამა ქალაქისა პატრონი ეშმაკთა მიმსგავსებული იქმნების და-
კაცთა ბუნებისა მტერი, რომე ესრეთ ჰსურს სისხლის ღვრა;
შორად განშორებია ბრიტანს ჰორტუნა *) და გულსა მისსა-
შესხდომიან ლემურნი **), რათა დახსნან მისნი განსვენებანი.
იგი დამონებია ევრიპს ***) და ვულკანისა ****) სამყოფი სად-
გურად შეჰყვარებია მას, და რაცა მოუვა, იავსა თვისსა აბრა-
ლოსო.

აქა დილარისა ბრძოლა და ათასთა ფალავანთა ასი-ათასითა ჭაბუკითა მათრახით ჩამოყრა და დაპყრობა.

მეორესა დღესა შებრძანდა დილარ მძლეველი ტაიჰსა-
თვისსა, თვისისა თანა ზრდილითა ორ-ასითა მოყმითა, და მე-
მიბრძანა: „ძმაო ნუშრევან, დღეს ომი ჩემი არს და შენ შენსა-
საყვარელსა მიჰმართე, მებრძოლთა შენდა არა მოვაცლიო.“
რა სიტყვა იგი მიბრძანა, მყისვე ჰკრა ცხენსა მათრახი და-
გაიყოლა ყმანი თვისნი, მოგვეგებნეს წინა ათასნი გმირნი ფა-
ლავანნი ასი-ათასითა ჰაბუკითა, მათ ზედა დილარმან საჰურ-
ველი არღა იხმარა და ჰბრძანა: „ვითართა კაცთა იარაღითა
ვებრძვიო.“ მიჰყო კელი მათრახსა და რომელსაცა ფალავანსა-
მათრახი გადაჰკრის, ცხენით გარდააგდის და ყმათა თვისთა-
დააკვრევინის, შენივთდა ბრძოლა ფიცხელი და სასტიკი.

*) დედანში: ღ῀თია ბედნიერებისა.
**) დედანში: ღ῀თნი, დამხსნელნი შინაურთა......
***) დედანში: ევრიპ ღ῀თია ჯოჯოხეთისა.
****) დედანში: ვულკან ღ῀თია მიწით აღმომავალთა ცეცხლთა.

აქა მეინჯართა მეფის ძის ნუშრევანისაგან თვისისა საყვარელისა გულ-ნაზ დედოფლის ხილვა, ციკლოპელთა ქალაქი რა ადიდა დიდარ მძლეველმან.

მას ბრძოლასა შინა მოვიდა ჩემთანა შიკრიკი ჭგი მორე-და მრქვა: „ძეო მეფისაო, ჩემ კერძ იარებოდეო.“ მე მსწრაფლად შეუდეგ მას, და მიმიძღვა მუნ, სადა სიცოცხლისა ჩემისა მომცემი ჩემთვის ითმენდა დროთა მწარეთა; შემიყვანა სახლთა რათმე ბნელთა, როადამ წინა მომეგება ჩემთვის შავითა ფლასითა მოსილი; რა დამინახა, ატირდა, და გარდამეხვია, ცრემლით სიტყვათა ვერღა აგებდა, მეცა ვემუდარებოდი, ვჰკოცნიდი და ვჰკითხევდი ზედი-ზედა, ვითა: „როადამ, მითხარ მიზეზი შენისა ეგრე შეცვლისა, და ანუ სიცოცხლისა ჩემისასა რასა მეტყვი?“ მან კვლა შემომტირა და მრქვა: „ძეო მეფისაო, მიზეზი ჩვენისა ესრეთ ყოფისა შენცა იცი და ჩემგან მოხსენება არად გინა!“ პირსა ზედა დამეკონა და იტყოდა: „ვითა ვაბრალო ზრდილსა ჩემსა, თუ უშენოდ სოფელი არღა უნდოდაო.“ მომკიდა კელი და შემიძღვა უმინაგანესსა სახლსა, სადა იგი სიცოცხლისა ჩემისა მიმზიდი იბანებოდა ცრემლითა მოუკლებელითა; ვნახე, თალხითა მოსილი იჯდა ძველსა ნოხსა ზედა, შუქმან მისმან განმინათლა ჴლაბ ბედკრული გული ჩემი.

შ ა ი რ ი.

რა დამინახა, წარმოჰსდგა, ტანითა ალვებრ ზრდილითა,
დავიწყდა დღენი წინანი, მეჩვენა იგ ღიმილითა;
შევჰსწირა ცასა მადლობა, სხივნი გამოჰკრთეს კბილითა:
„გმადლობ, ალმაჳსე მე შენის ნათლითა მოფენილითა!“

მიველ მეცა, მისთვის კელი სურვილისა განმრავლებით,
ბროლის ყელსა შევეხვიე, გული გულს ვჰყავ შეწებებით,
ვარდსა ზედა ვამრავლებდი ცრემლთა ღვარსა მოხშირებით,
ვით ღირს ვიყავ, განგებამან ჰყო წყალობა განდიდებით.

სიცილით ცრემლთა დენანი, სულთქმა და მხიარულება,
ორთხნივე ერთად შეზავდნენ და კვლა ბროლ-ლალთა მკულება,
ბაგე ბაგესა დაკონვით, თვალი-თვალ შერთულება,
მკლავსა მკლავის გარდაჭდობა, მკერდსა ზედა შეთხზულება.

სიშორით დამწარებულთა მუნ შეყრით გვქონდა შვებანი,
ნაცვლად ცრემლთა და ტირილთა მოგვეცა გახარებანი,
ძოწის ფეროვანთ ლაწვებთა კონვად ვჰყავ მოსწრაფებანი,
მისთვის ჭირებთა მოთმენის არ მქონდა შენანებანი.

მე ვითა ღირს ვარ, მას დღესა რაცა მომეცა ლხინება,
განგებას ვმადლობ ზენასა, რომელმან ესრეთ ინება,
მთოვარე ვნახე ულრუბლო, აწ რაღა მომეწყინება!
ბნელი მომშორდა მისმიერ, გულს შუქი მომეფინება.

მისსა მტრფიალსა იგი მზე არღა მასმენდა უარსა,
ვიტყოდი: ესე საწუთო, აჰა, ვითარი ცრუ არსა,
ძლიან სოფლისა ბრუნვასა ჩემზედა ვჰსჭვრეტდი მტყუარსა,
დღეს იგი მომცა, რაც პირველ გლახ თავსა ჩემსა უარსა.

მე მისთვის მკვდარი მიჯნური ზე შევფრფინვიდი ტრფობითა,
მკერდი მკერდს მოუშორებლად, მაქვნდა გული გულს წთობითა,
რაცა ისარნი მორი ქმნითა ღვიძლს მესხნეს აშიკობითა,
მაშინ მომეცა კურნება, მე მისგან მრავლადობითა.

ვითა გვრიტი, ალულუნდა, ენა ტკბილად აუბნა,
ლალს შემსხდარნი მარგარიტნი ამჭვირვალა, არ ატყუბნა.
მისმან კმამან ბულბულისამ და ტკბილმ უბნობა მყის დაუბნა,
წამწამთაგან გიშრის ტევრნი ჩემთვის მკვლელად არღ აშუბნა.

მითხრა: „აჰა, საყვარელო, ჩემ ძლით ჭირთა შესწრობილო,
განმამწარე ცრემლთა დენით, სულის ჰმსგავსად ჩემთვის ტკბილო,
შენ ჩემითა სურვილითა, ვითა ტყვეო, შეპყრობილო,
აწ იშვებდე სამიმდემოდ, ყელს მკვეთავებრ განვრდომილო!“

ხუთი ჟამი მკერდითა მკერდსა შეწებებული ვეკონებოდი, ეგვეთითა ტკბილი მოუბარობითა ჩუმისა სიცოცხლისა განმაახლებელსა და აღვივსებოდი მისისა ზილოჲ წინაშეთა ხუნნელებითა; რა ჟამი განმიგრძელდა მისისა ალერსითა დატკბობილსა, მაშინ კვლა მიბრძანა: „ძეო მეფისაო, შენმან მზემან, ამიერითგან გზა ესე შვლარსმან შეგაცთუნოს და ვერცა ბრიტანისებრმან მეწალკოტემან შენსა ვარდსა განგაშოროს; აწ, ნუ თუ დიდსა მას და ძლიერსა ცათა სწორსა კელმწიფესა თანა უზრდელად დავშთეთ, მოიწია ჟამი ხილვისა მისისა, მივედ, თახელ მას და წყეულსა ამას ადგილსა განმარიდეთო." მე მისგან ბრძანებული ესე რჩევა მომეწონა, ხშირად დავებაგე, გამოვესალმე და მიველ დიდარ მძლეველსა თანა. რა დიდარმან შემომხედა, შემომცინა და მიბრძანა: „ნუწრევან, ჩემსა მზესა, იხილე სულისა შენისა შინსმელი აგრეთო ანუ არაო?" მე თაყვანის-ვეც და მოვახსენე: „ესე მოწყალებითა თქვენითა, უდიდებულესო მონარხო." დიდარმანცა მოხარულმან, მაღლობა შეჰსწირა განგებასა და გარდავხედით მასვე დიდარისა ნაომარსა ადგილსა. რა მას მიდამოსა დავჰხედე, სრულად იგი არე სავსე იყო შეპყრობილითა ტყვითა. თურე, მას დღესა, დიდარ მძლეველსა იგი ათასნი გულოვანნი ფალავანნი და ათასთასნი ჰოჩეულნი ჭაბუკნი, ყოველნივე მათრახითა ჩამოეყარნა და დაეპყრობინებინა. იგი ღამე მუნ განვისვენეთ, გარნა ღამე და დღე განურჩეველი იყო მას ციკლოპელთა ქალაქსა შინა, მით რომე მრავალნი ფაკლანი *) აღნთებულნი ყოველსა ბიჯის წარსადგმელსა ადგილსა იყვნეს და, მათ მიერ ჰნათობდებოდა ქალაქი იგი, დაუთვინიერ ცეცხლისა ალისა, არა იყო ნათელი მუნ, და მით უმეტეს ემსგავსებოდა ეშმაკთა სადგურსა ბნელი იგი.

---

*) დედანში: მაშხალანი.

აქა მის ზღვათა მეფის ბრიტანისა და ერთობილთა სპათა მისთა ბრძოლა ძლიერი და დილარ მძლეველისა სპასალარის მარსისაგან ბრიტან მეფის შეპყრობა.

მეორესა დილასა, რა მზისა შარავანდედთა ნაცვლად ფაკლათა ძენძთა ბრდღვიალთა და ნავთთა უმატეს ციკლოპელთა და ქალაქი იგი თვისი მით მრავალ სუნნელებით გაანათელ-ცისკროვნეს. მყის თანად მოვიდა თვით ზღვათა იგი მეფე აღჭურვილი ყოვლითა რაზმითა თვისითა, და მოგვადგა გარე; ჰგონებდა იგი, სპათა თვისთა სიმრავლითა თვისისა წადილისა სრულ-ყოფასა; მაშინ დილარ მძლეველმან ჩვენცა გვიბრძანა და შევიჭურენით; თვით იგი მხილველთა განმამხიარულებელი აბაშთა მპყრობელი დილარცა აღმჴედრდა ტაიჭსა ზედა და ჰბრძანა: „დღეს დასრულება ჯერ არს ბრძოლისაო.“ შეუტია თვით და გვიბრძანა ჩვენცა, მივმართეთ და შეიქმნა ომი სასტიკი; გარნა, თავმან თქვენმან, მე თვალითა ჩემითა ეგეთნი მეომარნი არა სადა მინახავან, ვითარნიცა დილარისა დიდებულთა ძენი იყვნეს, ვჰსჭვრეტდი მათ და მომწონდა სიმჴნე და ქველობა მათი; ერთი-ერთისა თანასწორნი იყვნეს, თვალად და ტანად შვენიერად შეჰმსგავსებულნი, ათ-შვიდმეტთა წელთა არცა ერთი არა მეტობდა, და თვით მარსიცა სპასალარი იგი ათ-რვამეტისა წლისა იყო. იცოდნენ, თურე, დილარისა მოყმეთა, რომე პატრონი მათი ბრძოლასა შინა კაცის კვლასა ერიდებოდა, უკეთუ უცებ არა შეემთხვეოდა; ამისთვის მას ბრძოლასა შინა არღარცა იგინი ჰკოცდეს, ჰყრიდეს ცხენით მეომართა და იპყრობდენ. ოდეს ომი შენივთდა*) და ჴმალთა მსწრაფლად ბრუნვანი ცისა ელვასა დაემსგავსნეს და ციკლოპელთა დილარისა შიშითა უნდოსა თხუნელისა ხვრელი სამალავად უშტის უშტისა ოქროდ ულირდათ, მაშინ

*) დედანში: შეერთდა ანუ შეიქსვა.

ბრიტან ზღვათა მეფემან შეუკდემელად გამოჰსთხოვა მუქარა დილარ მძლეველსა, მოისვა კმალსა კელი და კმალ მოწვდილმან შემოუტივა, რა დილარ მძლეველმან ბრიტან ეგრეთ გაგულისებული იხილა, გაიცინა, შეჰბრალდა და შეჰსძახა: „შავ-ბედო, ავ-გულობითა შენითა რასა ჰზამ? ვისზედ იწვდი კმალსა, ვერა ჰკედაო?“ ბრიტანმან კვლა შემოჰსძახა: „დღეს მოვიდა სიკვდილი შენიო.“ დილარ მძლეველმან კვალად გაიღიმა და უბრძანა: „შენ კელმწიფეთა ბრძოლასა ღირსი არა ხარ, მონასა ჩემსა შემოგაბამ და იგი დაგიმდაბლებს თავსა მაღალსაო“. მაშინ უბრძანა სპასალარსა თვისსა მარსის, ვითა: „ჩემსა მზესა, მივედ და კელ-შეკრული წინაშე ჩემსა მოიყვანეო.“ მარსმან მსწრაფლად თაყვანი-ჰსცა, შეუტივა; ბრიტანმან კმალი შეიმაღლა თავსა დასაკრავად, მარსი წაჰსწვდა, კელი შეჰსტაცა, კმალი წაართვა, თავსა გარდაალეწა, აზიდა, უნაგირისაგან აჰგლიჯა, ცხენსა წინა შემოიდვა, კელნი საგდებელითა შეუკრნა, ქვე დასვა და ეგრეთ შეკრული ქვეთად წინ წამოიგდო და წინაშე დილარისა მოიყვანა. რა მეფე მათი, ყმათა მისთა შეკრული და უპატიო ქმნილი იხილეს, ერთობილთა შემოგვიტიეს; დილარმან გვიბრძანა: „ჩემსა მზესა, ყოველნივე დაიპყრენითო.“ ჩვენ დაუწყეთ პყრობა და მწუხრადმდე ერთი მეომართაგანი არღა სადა დაგვრჩა შეუპყრობელი, და იგი საზიზღარნი სახილველნი ციკლოპელნი შიშისაგან თვით შეპყრობილ იყვნენ და ჰსცდილობდენ ჩვენსა სამსახურისა ჩვენებასა. ჟამსა მწუხრისასა გარდავხედით, და იგი ღამე განვისვენეთ. მეორესა დღესა დაადგმევინა საკელმწიფო ტახტი დილარმან მას მოედანსა ზედა და დააფენინა ყოველი ადგილი სტავრითა, დაჰბრძანდა თვით და მეცა დამისვა თვისთანა; დასვა მარჯვენით თვისსა სპასალარი მარსი და ხუთ-ასნი დიდებულთა ძენი, და მარცხენით ეგრეთვე იგი ხუთ-ასნი დიდებულთა ძენი. მაშინ უბრძანა მათ კელოვანთა ყმათა მისთა დილარ მძლეველმან მოყვანება შეკრულისა მის ზღვათა მეფისა ბრიტანისა.

აქა ბრიტან შეკრული მოაყვანინა დილარ მძლეველმან.

ყმათა დილარ მძლეველისათა მსწრაფლად მოიყვანეს ბრი-ტან შეკრული წინაშე დილარ მძლეველისა და ათაყვანეს ტახტსა მისსა. უბრძანა დილარმან ბრიტანს, ვითარ: „შენ, უღირსო მეფობისაო და შეურაცხებელო სახელისაო, ამპარტავანებისა შენისათვის ღირს ხარ სიკვდილისა და ამას შენგან შეურაცხყოფილსა საუშმაკოსა ადგილსავე დავლევარო სისხლი შენი შემდგომად ოთხისა დღისა. ბედ-შეცდომილო, აწ ესე ჰსთქუ: სიძესა ძმისა ჩემისა ნუშირევანისა უმჯობესსა სადა ჰპოვებდი? რად არა შეიწყალე, ბოროტო, ასული შენი და ანუ ჰაბუკობაი ნუშირევანისა რად არა გებრალოდა? ამა შორიელის ქვეყნით მოვედ შენსა გესლიანობასა ზედა გამწყრალი, არცა კელმწიფეობასა ჩემსა პატივ-ეც, და ეშმაკისა ამის ქვეყანითა იქადოდი! თვალნი ბრმანო და ყურნი დახშულნო, რად არა იხილე თვალითა და ყურებითა არა გულისხმა-ჰყავ, რომე ეგეოდენი სპათა შენთა სიმრავლე ამა მცირედთა ყმათა ჩემთა გაჰსწყვიტეს და უმრავლესნი დაპყრობილ არიან! ამიერითგან იყავ შენ შეპყრობილ დღედ რავდენადმდე და დანიშნულსა დღესა დაიღვაროს სისხლი შენი, ვითარცა ძაღლისა და არა კაცისაო!" უბრძანა კელოსანთა თვისთა გათრევა მისი და მრჩობლითა ჯაჭვითა დაკრძალვაი, რომელთაცა მსწრაფლად სრულ-ჰყვეს ბრძანებული.

აქა დილარ მძლეველისაგან ბრიტანისა თავადთა და სპათა დახსნა ტყუეობისაგან და ცოცხლობით გაგზავნისა ყოველთა ნივთთ სამეფოთა და საჭურჭლეთა და ყოვლითა სამკაულთა საუნჯეთა.

ჴვალად უბრძანა უდიდებულესმან აბაშთა მპყრობელმან დილარ მძლეველმან მათ კელოვანთა ქოქონიათა განხსნა ყოველთა მათ პყრობილთა ბრიტანისა ვაზირთა, დიდებულთა,

ფალავანთა და ყოველთა სპათა. მათ მყისად აღასრულეს ბრძანება იგი, განჰხსნეს ყოველნივე და მოვიდნენ წინაშე დილარისა, მოხარულნი და მადიდებელნი ჴელმწიფებისა მათი-სა, ჰკოცნიდეს მიწასა წინაშე მისსა და აქებდეს მკლავთა მისთა ძლიერებასა; დილარ მძლეველმან ყოველთავე საიმე-დოთა სიტყვათა ნუგეშ-ჰსცა. მაშინ უბრძანა დილარ მძლე-ველმან ნუშრევანს, ვითა: „ძმაო, აღჰსდეგ, შევედ საყვარელსა შენსა თანა, გამოიყვანე სამჭმუნვაროსა ადგილითა, შეჰმოსე საქორწინოსა სამოსელითა, დასვი ტახტსა ზედა, მით რომე მეცა ხვალე მსურს ხილვაჲ მისი; აწ ყოველნი ესე სიმრა-ვლე ლაშქართა და უბრძანე, რათა ყოველივე ნივთი და სა-უნჯე ბრიტანისა დიდებულთა და სპათა მისთა განჰზიდონ სვრელისა მის გზით, და ჩვენსა მას ნასადგომევსა დაჰსცენ ჩადრნი და სალაფარდენი მრავალნი, მოამზადონ ყოველივე კეკელუად საქორწინოჲსა წესითა და განაგონ უნაკლულოდ ბრიტანისა ვაზირთა და დიდებულთა." ნუშრევანმან, რა ბრძა-ნება იგი მიიღო, აღჰსდგა, თაყვანი-ჰსცა, წარვიდა და შეუ-დგნენ ყოველნი ერნი ბრიტანისანი, გარნა ბრძანება ნუშრე-ვანმან განზიდვაჲ ყოვლისა სამეფოსა ნივთისა, საუნჯისა და ყოველთა სპათა ქონებულისა ნივთისა და სახმარისა, და უბრძანა ვაზირნი და დიდებულნი საქმესა მას ზედა, რათა მსწრა-ფლად ემოქმედათ; და იგინიცა შეუდგნენ მყისად და იწყეს ზიდვა ნივთთა ბრძანებისაებრ. ნუშრევან შევიდა საყვარელსა თვისსა თანა და ვითა ჰსწყუროდა გულსა მისსა ხილვაჲ მისი, ეგრეთ დაჰსტკბა ლხენითა მისითა. შემდგომად მოახსენა ყოველივე განგებული და ბრძანებული დილარ მძლეველისა-გან. გულნაზ დედოფალმან უბრძანა ნუშრევანს, ვითა: „მეფე-მან მისმან, ვითარცა ჰშვენის სიბრძნესა და ძლიერსა ჴელმწი-ფებასა მისსა, ეგრეცა უნებებიაო, და აწ შენცა, საყვარელო ჩემო, უბრძანე, რათა მოამზადონ სრანი მამისა ჩემისანი, რა-თა მუნ დავხვდეთ მხნელსა ჩვენსა ჴელმწიფესაო." ნუშრევან მსწრაფლად აღჰსდგა და შეამკობინა სასახლე ყოვლითა სრუ-

მწიფურითა წესითა: დაადგმევინა უპირატესსა ადგილსა ტახტი სამეფო ერთობილისა ალმასისა დილარ მძლეველისათვის, და ერთი ტახტი ძოწეულისა იაგუნდისა, ზღვათა მნათობისა გულნაზ დედოფლისათვის; მაშინ გამობრწყინდა მზეცა იგი ნუშრევანისა, შემკული სრულიად ალმასისა შესამოსლითა და განანათლნა ყოველნი იგი არენი; მზემან თქვენმან, სრულად არლა ეტყობოდა მწუხარებისა გამოვლანი! მოჰსდევდა თანა მზრდელი თვისი როადამ, სიხარულითა აღვსებული, შვენიერითა სახითა და ტურფა გვარად შემკობილი; მობრუნდა მზე იგი ნუშრევანისა, გაიღიმა, აღვიდა იაგუნდისა ტახტსა ზედა, დაბრძანდა და უბრძანა ნუშრევანს: „მოვედ ჩემდა, საწადელო ჩემო, დღესითგან უშენოდ ნუმცა იქმნების სიცოცხლე ჩემიო." მივიდა ნუშრევანცა ბრძანებისა მისისა მორჩილი, კელსა აკოცა და გვერდსა მოუჯდა. დაჰყვეს იგი ღამე ერთად, ვითაცა ჰშვენისთ საყვარელთა მიჯნურთა, და აღივსო ნუშრევან მისგამო სიტკბოებითა. მიაქვნდა როადამს სხვა და სხვანი ჭამადნი და სასმელნი უცხო გვარნი, იგიცა მათთანავე იჯდა და ჰსტკბებოდეს სამნივე ურთიერთისა ჰვრეტითა. დაჰყვეს ერთად ეგრეთ, ვიდრე ქათმისა კმობადმდე და შემდგომად შეიხვივნეს, ვითა ორნი სარონი და ეგრე შეჭდობილთა ჰყვეს ნება გულისა თვისისა და განისვენეს ძილითა ტკბილითა. დილასა ადრე აღვჰსდევგ და გამოვედ გარე, ვიდრე მთიები იგი სამკაულითა შეიმკობოდა, მოვამზადებინე სადილი, და გალანამცა ჩვენცა შევემზადებოდით! ზემორე შეყრა ჩვენი მთხოვა მან ნამსახურმან შიკრიკმან მორემან, რათა მას დავწერა და მეცა სამსახურისათვის მისა მივეც ნება მას ზედა. შემდგომად მცირედისა ჟამისა

აქა დილარ მძლეველისგან ზღვათა მნათობის გულნაზ დედოფლისა ხილვა ცოვდომის ქალაქსა შინა.

მოვიდა სპასალარი მარსი და მრქვა: „ძეო მეფისაო, უკე-

თუ არს ჟამი, მოსვლა ჰნებავს პატრონსა ჩემსა დილარ მძლეველსა ხილვად დისა თჳსისა ზღვათა მნათობისა გულნაზ დედოფლისაო.“ რა ჩინებულმან სპასალარმან მარსიმ იგი მრქვა, თვით ვიახელ დილარს და ვჰსთხოვე ხილვად დისა თჳსისა; დილარმან პირსა მაკოცა, კელი დამიჭირა და ეგრეთ წამობრძანდა. შევედით სახლსა მას, სადა მზე იგი ჩემი სხივთა თვისთა ამრავლებდა. რა დილარ მძლეველმან იგი ჰნახა, განჰკრთა და ჰბრძანა: „სამართლად მიჯნური ამისი არა ცუდად ცრემლთა ამრავლებდაო.“ მივიდა, პირსა აკოცა და მოახსენა: „მზეო ულრუბლოო, შენთჳს ძმისა ჩემისა ნუშრევანისა კელობასა არღა ვამტყუნებო.“ მაშინ იგი პირ-მზე და ედემისა წალკოტისა ნაყოფი აღჰსდგა რხევითა რითმე წყნარითა, ტახტით ძირსა ჩაბრძანდა, მოვიდა, თაყვანი-ჰსცა დილარ მძლეველსა და იადონისა ჰმსგავსითა ენითა ნაზნი სიტყვანი წარმოჰსთქვნა, ქება დიადი შეასხა კელმწიფებასა მათსა, მადლობა მოახსენა და თვისსა ტყვეობისაგან გამომხსნელსა კელს აკოცა და მოახსენა:

შ ა ი რ ი.

„ჰე, თვით მპყრობელო მონარხო, მთათ ცვილებრ დამადნობელო,
მის მინერვისა ბრძოლის ველს მახვლით გამაპობელო,
თვით ცირცეისა საცთურთა დამთრგუნო დამამხობელო,
ვულკანის მუშაკთ ციკლოპელთ შეძრისხვით მოცამსპობელო!
შენ, რომელმან ცა ორიდა *) ბრიტანს აუფლე გოდებად,
ცეცხლისა ალი განჰკვეთე მოხვედ ეტნისა ქოთებად,
გულოვანით ძარღვთა მათრახით ჰქმენ სისხლი აღმოწოდებად,
მრავალ კეცთ რაზმთა დამფრეწო, მწუხარეთა გზედვე შვებად,

*) დედანში: ღ̃თია გლოვისა.

ქუზარა გკადრო, არ ძალ-მიძს, არს ბრძენთა ჩიუთხრობელი,
ვის გფარავს ბრჭყალი მაღალი, ციურთა ძალთა მფლობელი;
აზაშთად ჰბრწყინავს ლომ-გული, ბნელს მყოფთა მანათობელი,
ვინ დაგვიხსენ ჭირთა მწარეთა, მბრძოლთ ექმენ რისხვით მსპო-
ბელი,

ნაცვალი შეგზღოს ყოველთა კეთილთა მაკეთებელმან,
ცისა და ხმელთა მნათობთა ჯეროვნად მაწესებელმან,
ზღვათა საზღვრისა დამდებმან, ცხოველთა მამრავლებელმან,
ქართა ქროლვისა მიზეზმან, ზე წყალთა მამყარებელმან.

სულთ მაუწყებელნი ბნელ-ქმნილნი, კაცთა ბუნების მტერები,
მათის მთავრითურთ ყოველნი მოკვდავთ ცთუნებად მძვერები,
რისხვით ზე გარდმომთხვეულნი, ოდესმე ნათლის ფერები,
თქვენსა გარემოს ნუმცა ოდეს იქმნების მინაკარები.

ორსავ კიდე თქვენს მარადმის ნათლის დასნი იყვნენ მცვე-
ლად,
მოყვარეთა სანუგეშოდ, მტერთა თქვენთა სისხლის მღვრელად,
დღით და ღამით დიდებისა წარმატებად, თანა მსვლელად,
ცით გაცვრევდენ სიტკბოებას უხვებითა უშურველად.

შენ, რომელმან აზაშეთის სამონარხოს შრომით მსვლელმან,
მოვლე ჩვენდა გამომხსნელად, გულ-მყარმან და მახვილ-მჭრელ-
მან,
ციკლოპს შექმენ ღვარებრ მდინარე ფალავანთა სისხლი, ქველმან,
თვალმან, თქვენის მოწყალებით, შეისვენა ცრემლთა მღვრელმან.

ბული წყლული განმოვუჩინე, ყაყაჯ ვარდი ფერით მზრალად,
ლაწვთ ჰმსგავსება არღავნისა გლახ შემქმნოდა და მქრალად,
ღვრძლისა ზედა ცეცხლი მწველი გვმართებდა ეთერს ალად,
აწ ე თქვენი მოწყალებით ზე მომესწრა სიმკურნალად.

ამა კელმან უძლეველმან, ჩემთვის ზეცით მოვლენილმან,
კელმწიფემან, სულთა ლხინის მამხსნელმა, მარჯვენითა თქვენით ქმნილმან,
ვით მე ღირს მყავ სწორედ ლექსისა ამას ადგილსა სულმართ
ჩრდილმან!

მამაშ ყოველთა საქებელად საუკუნოთ წყალობით ზრდილმან!

თქვენო საკვირო ხოტბადა ჩემგან შეუძლოა ქებანი!
თუმცა ყოვლისა სოფლისა ბრძენთა აქა ვჰყონ კრებანი,
უცილოდ, მათცა ვერ უძლონ, ჰყონ ენის დადუმებანი,
მუზთა ტკბილ მეწინწილეთა ჰქმნან ქნართა უქმად დებანი!
ბანგებამან მაღლით ღირს-ჰყოს ყოვლის ქვეყნის ჰელმწი-
ფობას,
საწადლისა აღსრულებას და გულის სატრფოის სწორობას,
მიგახვედროს სანეტაროს, რომელცა ჰსურდეს თქვენსა ყრმობას,
ვით მე ბნელი განმინათლე, თქვენსა ვეხვწოა სულსა მშობას!"

გულნაზ დედოფალმან რა ესე ჭირთამხილი სიტყვანი მოის-ხმენა, დილარამმან კვალად პირს აკოცა თავით უფლითა თვისითა აღიყვანა ტახტსა ზედა, დასვა და მოახსენა: „ვაჰ, ზღვანი მებითა მტირალო მძიებო, გთხოვ პატივისცემისათვის ჩემისა ინებოთ და ძმა ჩემი ნუ მოიყვანთ თქვენთანა ჯდომასა ღირს ჰყოთო, და გულიცა ჩემი თქვენითა ურთიერთ შეყრითა ამხია-რულოთო." მან ზღვათა მნათობმან და მყინვართა ქვეყანისა სამკაულმან, თვისითა ტკბილ მოუბარითა ენითა ესრეთ მოახსენა: „ჰე, უდიდებულესო კელმწიფეო, უკეთუ გამოხსნისა-თვის ჩვენისა ოდენ მავა ჯილდოსა დაჰსჯერდებით თქვენი-საებრ ნებისა აღსრულდესო!" დილარამმან მოახსენეს გუ-ლით ქება შეასხა და პირსა აკოცა, მიერ მოკიდა ჩემთანა, კელი მომკიდა, მიმიყვანა დედოფლისა მოქისა.

აქ დილარამ მიღებულსავსე გულნაზ დედოფლისა წასვლა ხოსროს ხოჯის მიღება და მორთმევა.

უფრომანა ... მეოთხე დილარამმა მძლეველმან და ქრ-თი კელი სამოსელი მოსდევნა. ყოვლითა თვი-სისა სამკაულითა და ხორცითა ყოველი სხეულითა მორთა-რიტითა ნაკერი და მოკაზმილი, ესრეთ მომეგ მათ ქვეყანათა ჯეროვან ჰშვენოდა არავის ესრეთ! ერთი შვენიერი ბრო-

ანტისა, რომელიცა დიდისა ქვეყანისა ფასად ჰღირდა და ერთის დიდისა ოქროჲსა ლანკნითა სავსე დიდ-დიდითა სხვ-ლითა მარგარიტითა მოიღო დილარმან და დასა თვისსა გულნაზ დედოფალს მოართვა და ესე მოახსენა, ვითა: „ესე აწ ხილვისათვის პირისა შენისა მომირთმევია და ქორწინები-სათვის თქვენისა სხვანი სამე მისხენანო.“ შემდგომად მე მი-ბრძანა, ვითა: „ძმაო ნუშრევან, დღეს სადილსა აქა ერთად შევექცეთო.“ აღვიდა თვისსა ტახტსა, დაბძანდა, მარჯვენით თვსსა დასვა ოქროსა სელსა ზედა სპასალარი მარსი, და ჩვენ კერძო დასვა ოქროსავე სელითა ჩემისა სიცოცხლისა მიზეზი როადამ. უბრძანა გულნაზ დედოფალმან შიმუნვართა თვისთა მოღებაჲ სადილისა, და მათ მალიად მოიღეს; და ვიწყეთ მხიარულებაჲ. იგი დღე და იგი ღამე ესრეთ გამხიარულდა დილარ მძლეველი, რომე ჯერეთ ეგრე გამხიარულებული მე არა სადა მეხილვა; და ოდეს მოვიდა ჟამი პურისა აკრებისა, დილარ(ს) და მოყმეთა მისთა მას სრასა შინა განუმზადებინე საწოლნი და მონანი სასამსახუროდ, მიუძღვ მათ საწოლთა მათთა, განვასვენე, და მე მოვედ ჩემსა სატრფოსა თანა და რაჲცა მისთვის პირი ვნახე, ყველა ლხინად შემიცვალა, ყოვ-ლი სენი, გულს ნაქონი, განმაშორა, განმილალა, ბროლ სა-დაფსა შეხვეულნი ლალნი არლა განმისალა, კოკობისა ვარდის განშლა, ვითა მსურდა, არ მიშალა. სამსა დღესა და ღამესა დავჰყავით ერთად სიცოცხლე განახლებულმან შვებითა და მხიარულებისა; და მეოთხესა დღესა შესრულდა ყოველთა ნივთთა განზიდვა მის საეშმაკოსა ქალაქით, ესრეთ რომე არა რა დაშთა არცა ერთისა იოტისა ფასი მუნ. მერე ვუბრძანე ჩადრთა და სალაფარდათა გამართვა მუნ ცეცხლსა გარე, სა-დაცა უკეთილესნი ჰაერიანი ადგილი ყოფილიყო, ყოვლითა კელმწიფობისა წესითა. იგი ვაზირნი და დიდებულნი გავი-სტუმრე ბრძანებისა აღსრულებად, და მე ვიახელ დილარ მძლე-ველსა, მოვახსენე ყოველთა მზაობაჲ. მას დღესა მუნვე ინება მხიარულება და სხვასა დღეს ბრძანა განსვლაჲ ციკლოპით.

აქა დილარისაგან ციკლოპელთა ქალაქით გამოყვანა გულნაზ დედოფლისა და ქალაქისა მის დაცლა.

დილარ მძლეველმან მოალებინა წითლისა იაგუნდისა კუბოა გულნაზ დედოფლისათვს, და ჩვენცა ყოველნივე მოვემზადენით განსვლად მის ეშმაკისა სამკვიდრებელისაგან; თვთ დილარ მძლეველმან კელითა თვსითა შესვა გულნაზ დედოფალი და მზრდელი მისი როადამ მას განმზადებულსა იაგუნდისა კუბოსა შინა, თვთ დილარცა შებრძანდა ტაიქსა თვსსა, და შევსხედით ჩვენცა ყოველნივე, გამოვვლეთ ხვრელისა იგი გზაა და მოვედით კაცთა სამყოფსა ადგილსა, მოგვიძღვნენ დიდებულნი ზღვათა სამეფოსანი, ძღვნიცა გაემზადებინათ და განეწყოთ ყოველივე ჩინებულად, ესრეთ რომე ჰგველასა რასმე ქალაქსა ემსგავსებოდა. გარდახდა დილარ მძლეველი და განვლეთ ჩვენცა ყოველნი, მივედით სახლსა მას, რომელიცა სამეფოდ განემზადათ. დილარმან სამნი ტახტნი დაადგმევინა: ერთი გულნაზ დედოფლისათვს, ერთი საშუალი და ერთი მარცხენით: თვთ დილარმან გარდამოსვა გულნაზ დედოფალი, მიუძღვა და დასვა ოქროსა ალმასისა ტახტსა ზედა, და მეცა მიბრძანა ჩემსა ქმრისა გვერდით ჯდომა. მოალებინა ორი ათასი ოქროს სელნი ძვირფასითა სპეკალთაგან მოოჭვილნი და დაადგმევინა მარჯვენით და მარცხენით ტახტთასა, დაჰბრძანდა თვთ საშუალოსა ტახტსა და როადამცა დასვა გულნაზ დედოფლის ტახტისა უკანით კერძო მძიმედ მოოჭვილსა ოქროსა სელსა ზედა. მაშინ ჰბრძანა დიდმან აბაშთა თვთ მპყრობელმან დილარ მძლეველმან მოყვანაჲ შეკრულისა ბრიტანისა, და მყისვე მოიყვანესცა, რომელსაცა მოჰსდევდა უკანით თვსსა ყოველნი ვაზირნი და დიდებულნი თვსნი, და დაადგინეს წინაშე დილარისა სირცხვლეული და მძრწოლარე შიშითა დილარისათა, რომელიცა ჰგონებდა მრავლითა ტანჯვითა სიკვდილსა თვსსა, დაემხო ქვე წინაშე დილარისა და ცრემლით ევედრებოდა შეცოდებისა მიტევებასა. ესრეთ

შ ა ი რ ი.

Სიმრგულე ოთხისა კიდისა და ცისა იგი სფერები,
თჳთ დისკო მზისა განკრთომით თქვენზედ არს მაღლით მზე-
რები,
თუ გბრძოლონ ღმერთთა, სიმრავლე მკლავით ჰყო განამტვე-
რები,
ნუ მომკლავ ძაღლსა მყეფელსა, მიყმე პირველ ნამტერები!
Ცათა სწორო კელმწიფეო, სხვა რა გკადრო შიშით მკრძალმან,
მე სიკუდილი განმიმსწრაფლა მაღლის ცისა სამართალმან,
გევედრები, შემიწყალე, მიპატიოს თქვენმან კმალმან,
ვითა მონა, გემსახურო, მის დიდისა ღვთისა ძალმან!
მე თუ მომკლავ, სამართალ არს სისხლი ჩემი დაიღვაროს,
მაგრამ გულმან თქვენებრ ბრძენმან, ჰხამს, მოაჯე შეიწყნაროს,
რისხვს ჟამსა მყუდროებით მოწყალება შეიყვაროს,
შვიდათ შვიდ-გზის მიტევება ბრძანებულ არს, ვინ დაჰფაროს!
მცოდე, მეფეო, შემინდევ, მე ქმნილთა ჩემთა ვინანი,
შვილი მოვჰკალ და ასული, ჩემნი თვალისა ჩინანი,
ბოროტის გულით რაცა ვჰქმენ, მახსოვან ჟამნი წინანი,
რავდენთა გმირთა და სპათა სისხლი ველს იქმნა მდინანი.
ჩემნი ცოდვის სიმრავლენი მკვდარმან კორცმან ვით ინა-
ნოს!
ამად გვედრებ სიცოცხლესა, ნუ თუ ცრემლმან მე გამბანოს;
შვილი ჩემი და არს თქვენი, ვის ვჰსჭვრეტ ტახტზედ ალვის-
ტანოს,
მას მიმადლე სისხლი ჩემი, თანა მონად წამიტანოს!

Დილარ, ტახტზედ მჯდომი პორფირითა, ბისონითა და გვირგვინითა, ოქროსა სკიპტრისა მქონებელი, ჰსჭვრეტდა ბრიტანს შეკრულსა, და ისმენდა სიტყვათა ვედრებისათა მისგან; ელმოდა მისთჳს დიდად და უბრძანა: „ჰე ბრიტან, დღეს

დისა ჩემისა სახელმან დაჰსცვა სიცოცხლე შენი, მე მეგულვებოდა ბოროტად სიკვდილი შენი, — გარნა დისა ჩემისა გულნაზ დედოფლისა სახელსა ჰმადლობდე, რომელმან მოგანიჭა შენ სიცოცხლე და გიბოძა მეფობა შენი შენვე." უბრძანა სპასალარსა თჳსსა მარსის განხსნაჲ მისი, და შემოსა სამეფოსა სამოსლითა, და შემკობაჲ სამეფოთავე სამკაულებითა. მარსიმ ყოველივე ბრძანებული სრულ-ჰყო, და კვალად მოვიდა ბრიტან მეფე და დაჰსდგა წინაშე დილარისა, მაყურებელი ბრძანებისა მისისა და ქებით თაყვანის-მცემელი მოწყალებათა მისთა ზედა; იგი და ყოველნი ყმანი მისნი მისთანა. მაშინ უბრძანა დილარ მძლეველმან მეფესა ზღუათასა, ვითა: „მეფეო ბრიტან! აჰა, ესერა, თვალნი ყოველთანი ჰხედვენ, რომე მეფობა შენი შენდავე მოგმინიჭებია, სიყვარულისათვს ასულისა შენისა და დისა ჩემისა ზღვათა მნათობისა გულნაზ დედოფლისა. აწ, მეფეო, ვითაცა ჰშვენოდეს სახელსა შენსა, ეგრეთ განაგე ქორწილი ძეთა შენთაო." მან ზღვათა მეფემან ბრიტან და ყოველთავე დიდებულთა მისთა თაყვანი-ჰსცეს დილარს და ტახტისა მისისა ქვე მიწასა აკოცეს და დალოცეს დიდებულება მისი ეგე ვითარისა მოწყალებისათვს. შემდგომად მოახსენა ბრიტან მეფემან დილარ მძლეველსა, ვითა: „ძლიერო კელმწიფეო, დღეს ბრძანებისაებრ ძისა და სძისა ჩემისა პურსა შეექეცით, და ხვალითგან ვიწყო ქორწილისა მზადებაო." მაშინ თვით უსწორო იგი კელმწიფე ალჰსდგა, ტახტით ძირს ჩამობრძანდა, ზღვათა მეფესა პირსა აკოცა' მოჰკიდა კელი, მოიყვანა წინა ტახტისა ჩვენისა და გვიბრძანა: „თქვენ, საყვარელნო მეულენო, გაფუცებთ სიყვარულისა ურთიერთისასა, მიუტევეთ მამასა ამას თქვენსა ბოროტ-მოქმედება იგი, რომლითაცა გტანჯათ თქვენ." ჩვენ მსწრაფლად ალვჰსდეგით, ვიახელით დილარს, კელს ვაკოცეთ, და მიერ ბრიტანს მივესალმენით და პირსა ვაკოცეთ. მან ორნივე მკერდსა მიგვიყრდნო და მრავლითა ცრემლითა გვეალერსებოდა. მერმე დილარმან გვაწვია ტახტსავე ჩვენსა, და ზღვათა

მეფე ალიყვანა მარცხენით კერძო ტახტსა, და თვითცა დაბრძანდა. მერმე მარჯვენით და მარცხენით სპასალარი მარსი და თჳსნი დიდებულთა ძენი და მათთანა ზღვათა მეფისა დიდებულნი დასხნა სელთა ზედა. მას დღესა გარდაიხადა დილარ მძლეველმან უმეტესი მხიარულებაჲ და ნიჭთა გაცემაჲ ყოველთა ზედა, და თჳთ მეფე ზღვათა ბრიტან ესრეთ გაიწყო დილარმან, რომე მრავალთა იგი ნახული მეფე რეცა უნახავად გახადა, და არღა რეცა, მით რომე პირველ შეაძრწუნა მკლავითა თჳსითა ძლიერებითა და მერმე განაკვრვა სიბრძნითა და ზრდილობითა. შეჰფრფინვდა ზღვათა მეფე დილარ მძლეველსა და აქებდა შვენიერებასა მისსა, რომელიცა თაყვანისჰსცემდა განგებასა მას, რომელმანცა ღირს-ჰყო ეგე ვითარისა კელმწიფისა ხილვასა; ჰსმიდა დოსტაქანთა მიერ ღვნოსა სადღეგრძელოდ დილარ მძლეველისა, გულნაზ დედოფლისა და ჩუმთჳსცა სიძისა თჳსისა, და ასმიდა ყოველთავე მუნ მეინახეთა, გარნა უკვრდა დილარისა სპასალარისა და აბაშთა მათ დიდებულთა ძეთა ეგე ვითარი გამძლეობა, ვითარ ბრძოლასა შინა, ეგრეთვე მოსმურობასა შინა, ლხინსა, ზმასა და ზრდილობასა შინა. მას დღესა გარდაველეთ ეგე ვითარითა ლხინითა და მხიარულებითა, შეექცეოდა დილარ მძლეველი გულნაზ დედოფალსა თანა უბნობითა და ამხიარულებდა ყოველთა მეინახეთა თჳსთა.

აქა ქორწილი მეინახეთა მეფის ძის ნუშირვანისა და ზღვათა მნათობისა გულნაზ დედოფლისა ზღვათა მეფის ბრიტანისაგან.

მეორესა დღესა მზისა დისკომან, თუ ჰსთქუა, მხიარულებით და თამაშობით იწყო ალმობრწყინვებაჲ, მით რომე ოთხსა კიდესა წარავლენდა მახარებელად თჳსთა მარავანდედთა, შეყრისათჳს ორთა სატრფოთა მიჯნურთა. და ბრიტან მეფეცა მოემზადა: ჩვენ, ყმა-ქალთა საქორწინოდ ორნი ტახტნი დაა-

დგმევინა, ერთი უდიდებულესისა დილარ მძლეველისათვს და ერთი ჩვენ სიძე ჰსძლისათვს. მოიყვანა ზღვათა მეფემან ასული თვსი და დასვა ტახტსა ზედა, ხოლო დილარ მძლეველმან მომკიდა ჴელი, მიმიყვანა და გვერდსა მომისვა სატროფოსა მას ჩემსა. დაგვლოცა მამამან ქალ-ყმანი, დაგვადგნა გვრგვნნი და მოჰგვილოცა ყოვლისა ზღვათა ქვეყანისა მეფობაჲ, გარდამოგვაყარა თვალი და მარგარიტი და დაჰსდგა ერთ კერძო. მაშინ მობრძანდა აბაშთა იგი ჴელმწიფე; მხიარულითა გულითა მოგვილოცა და თჳთო ბეჭედი შეგვაცვა, რომე თჳთოსა ქალაქად ღირდა, დაგვლოცა, პირით გვაკოცა, და ორითა დიდისა ოქროსა სინითა სავსე კვერცხის ტოლნი მარგარიტნი ზე გარდმოგვაყარნა და ყოვლისა გალიის მეფობაცა მოგვლოცა. შემდგომად მოვიდნენ ყოველნი ზღვათა მეფისა დიდებულნი ვაზირნი, და ყოველნი ფალავანნი და ჰაბუკნი, მოგვლოცვდიან და გარდმოგვაყარდიან ძვირფასნი სპეკალნი. ერთსა სწორსა იყო ესე ვითარი მოლოცვა, ლხინი და მხიარულება, დავჰსტკბებოდით ჩვენცა საყვარელნი მიჯნურნი საწადელისა აღსრულებითა. უბრძანა დილარმან მათ თჳსთა ქოქონიკთა: „მიიყოლიეთო ბრიტან მეფისა ოთხ-ათასნი ჰაბუკნი და ხვრელი იგი მყართლვე აღმოავსეთო." მათ ბრძანებული იგი დროსა თჳსსა სრულ-ჰყვეს და დაშთნენ ბოროტისა მის ქალაქისა მკვლერნი წესსავე თჳსსა ზედა, და ეფესტოას საბერველით აღმოფინებული ცეცხლი იგი მოუკლებულად მომდინარეობდა მთასა მას ეტნისასა.

აქა დილარ მძლეველისაგან წიგნის მიწერა გალიის ქვეყნისა ერთა და დიდებულთა თანა, თჳსის ჯამბის ბრძანება და გამოცხადება.

დღესა ერთსა ჰბრძანა დილარ მძლეველმან, და მიაწერინა წიგნი გალიისა ქვეყანისა ერთა და დიდებულთა თანა, ესე ვითარითა სახითა: „მე, ზეგარდამოსა განგებითა, ზღვათა და

კმელთა მპყრობელი და მფლობელი, დიდისა აბაშეთისა კელმწიფე დილარ მძლეველი მოგიწერ თქვენ, გალიისა ქვეყანისა ერთა და დიდებულთა, სიხარულსა, სიყვარულსა და მშვდობასა ჩვენ მიერსა, ვიდრე ჩვენდამდე მოიწია ესე, რომე ჩაყოველთა კელმწიფებათა მაწესებელმან მისცა ძლევაჲ დიდებულისა მყინვართა მეფისა ძესა ნუშრევანს, საყვარელსა ძმასა ჩვენსა, მეფესა თქვენსა ბურბონსა ზედა, მიერ დღითგან არღა არს თქვენ შორის მეფე, არამედ დამორჩილებულ ხართ სახოგადოთა ერთა ჰრჩევისა ჰსჯულთა; აწე ესრეთ იუწყეთ ჩვენ მიერ ესე, რომე მივეც მეფობა თქვენი დიდებულისა მყინვართა მეფისა ძესა ნუშრევანს. "გამოვიყვანე მკლავთა ჩემთა ძლიერებითა ციკლოპელთა ქალაქით ზღვათა მნათობი გულნაზ დედოფალი, და მოგვყავს კუბოსა შინა მჯდომი, ვითა მზე, სხივთა ფენითა, ახლავს თვსი მიჯნური და მტრფიალი ძე მეფისა ნუშრევან და მოჰსდევს თანა მნათობსა მამა თვსი, დიდი ზღვათა მეფე ბრიტან მრავალ კეცითა რაზმითა თვსითა და ლომ-გულთა ფალავანთა თვსთა სიმრავლითა; ოდეს ბრძანება ესე ჩვენი მიიღოთ, მყისვე განემზადენით ყოვლითა სამეფოთა წესითა წინა მოგებებად ჩვენდა; განმზადეთ ქალაქი და ყოველნი ერნი საქორწინოდ ნუშრევან მეფისა თქვენისა, და ყოველნი მოხელენი პალატისანი წესსა ზედა თვსსა ადგინეთ. ჰყავთ უკუე ბრძანებული ჩვენი და მშვდობით იყვენით." ესე წიგნი დაჰბეჭდა, უბოძა მალე მსრობლსა ფაიქსა და გაისტუმრა. ჩვენცა გავემართენით ამოთა სიარულითა და შექცევითა გზათა ზედა. რა დილარ მძლეველისა ბრძანება მიეღოთ გალიისა ერთა და დიდებულთა, განკვრვებასა მისცემოდენ და შიშსა დილარისა ძლიერებასა ზედა. შეკრებულიყვნენ ყოველნივე ყოვლით კერძო, განემზადათ ქალაქნი და ქვეყანანი საქორწინოდ და გაეწყოთ სამეფო წესნი; დაედგინათ მოხელენი პალატისა ქალაქთა და სპათა მთავარნი; განეხვნათ კარნი საეკკლესიათანი და მომზადებულიყვნენ, ვითა დიდებულისა დილარისა კელმწიფებასა

ჰშვენოდა, ყოველივე რიგი შეემკოთ და ესრეთ წარმოსრულ-იყვნეს წინა მოგებებად ჩვენდა დიდითა გამომჩვენებითა. ჩვენ ვიყვენით გარდამხდარნი ერთსა ადგილსა და ვლამოდით აყრა-სა; მაშინ მოვიდნენ გალიისა ქვეყანისა დიდებულნი და ერნი; რა გვიხილეს დაბანაკებულნი, იგინიცა გარდახდენ, იახლნეს დილარ მძლეველსა, თაყვანი-ჰსცეს და მოულოცეს დიდებუ-ლი იგი გამარჯვება, და ზე გარდააყარნეს ძვირფასნი სპეკალ-ნი და ადიდეს კელმწიფება მისი. შემდგომად მოვიდნენ წი-ნაშე ჩვენსა, შეგვასხეს ქებაჲ, მოგვილოცეს ქორწინებაჲ თავთა თჳსთა ზედა მეფობაჲ, და გარდამოგვაყარეს უსასყიდ-ლო თვალნი და მარგარიტნი და ეგრეთვე მიულოცეს ზღვა-თა მეფესა ბრიტანს.

აქა გალიისა ქვეყანისა ერთა და დიდებულთაგან მიწვევა დილარ მძლე-ველისა, ახლისა მეფისა მათისა ნუშირვანისა, დელთაფილისა გულისჭირისა და ზღვათა მეფისა ბრიტანისა ქვეყანასა შინა გალიისასა.

ოდეს სრულ-ჰყვეს მოლოცვაჲ გალიელთა, მაშინ ვედრე-ბით აწვივეს დილარ მძლეველსა და მოახსენეს, ჰსთქუეს: „ეჰა, ძლიერო კელმწიფეო, ინებეთ და მოწყალებით ძმად ხმობილ-სა თქვენგან, მეფესა ჩვენსა ნუშირვანსა, თქვენგან ბოძებულსა ქვეყანასა შინა გარდაუხადეთ ქორწილი.“ დილარმან მოცი-ქულთა პირითა ნება დაჰრთო. მასვე ჟამსა მოიღეს გალიელ-თა სამი კუბოჲ, ერთი ძოწეულისა იაგუნდისა, ერთი თეთრი სრულისა ალმასისა და ერთი მწვანისა ზურმუხტისა. თეთრსა კუბოსა შინა აწვივეს დილარ მძლეველი, იაგუნდისა კუბოსა შინა ჩვენ მეფე დელთაფილი მათი და მწვანესა კუბოსა შინა ზღვათა მეფე ბრიტან; შევსხედით კუბოსა შინა და ჩვენთანა დაფისვით რაოდამცა; გაგვძღვნენ წინა გალიელნი და ვიდო-დით მხიარულებითა; სადაცა გარდავხდებოდით, ესრეთითა დი-დებითა დაგვხვდიან და გვმასპინძლიან, რომე გარდა დილა-რისა, ყოველთავე გვიკვრდა, და გვძღვნიდიან ჩვენ მეფეთა

დიადი, და თანა მყოლთა ჩვენთა აღავსებდიან საჩუქარითა; ეგე ვითარითა დიდებითა გვიძღოდენ ვიდრე მათსა სატახტოსა ქალაქადმდე; მაშინ კუალა მთხოვა ნამსახურმან შიკრიკმან მორემან მომავალთა შემთხვევათა წერაჲ; და მივანიჭე მას თხოვისაებრ მისისა.

Ოდეს შევედით გვრგვნოსანსა მათსა ქალაქსა, მოგვეგებნეს წინარე ყოველნი მოქალაქენი, მრავლითა ტკბილ კმოვანითა საკრავითა, მუსიკითა და ორღანოჲთა, ულოცვიდიან დილარ მძლეველსა გამარჯვებასა და ნუშრევანს თავთა ზედა მათთა მეფობასა, და ეგრეთვე ზღვათა მეფესა ულოცვდიან ეგე ვითარისა სიძისა და მემკვდრისა შოვნასა, უფენდეს ქვეშე ოქრო ქსოვილთა ლართა, და უძღოდიან ლაღადებითა და მხიარულებითა დიდითა; მიგვძღვნენ სამეფოთა პალატთა და სრათა ტურფათა და უცხო გვარად კელოვნებულთა, და ედგათ სამნი ტახტნი ძვირფასთა თვალთა თლილთანი; გარდაიწვიეს მეფენი თვს-თვსთა ტახტთა ზედა და დასხეს, მოვიდნენ ყოველნი მის ქვეყანისანი დიდებულნი ვაზირნი, სპასალარნი, მოკელენი და გამგენი სამეფოჲსა საქმეთანი, თაყვანი-ჰსცემდიან დილარ მძლეველსა და იტყოდიან: „დღეგრძელდიან დილარ მძლეველი, რომელმან შეიწყალა ქვეყანა ჩვენი და გამოგვირჩია მეფე სათნო ჩვენი და საყვარელი გულისა ჩვენისაო.“ ორმეოცსა დღესა ჰქონდათ მოუკლებელი პურობა და ქორწილისა წესითა მხიარულებაჲ, მოღება ძვრფასთა ძღვენთა და გაცემაჲ ყოველთა ზედა.

აქა გალიისა ქვეყანისა ვაზირთა, დიდებულთა და მოხელეთა მიართმევს მეფესა თჳსსა ნუშრევანსა და გულნაზ დედოფალსა მის ქვეყანისა ძველთა მეფეთა ყოველივე ქონებული ნივთნი, უძრავნი და მოძრავნი.

Შემდგომად ორმეოცისა დღისა მოიღეს წინაშე მეფისა ნუშრევანისა ხუთთავათასთა საჭურჭლეთა კლიტენი, ძველთა

მეფეთა მათთაგან დაუნჯებულნი და მოართვეს. და კვალად მოართვეს გუჯარნი წერილნი და მუხლედნი სიანი ყოველთა ქალაქთა, სოფელთა, ბედაურთა რემათა, არვეთა, ხვასტაგთა და ყოველთა სამეფოთა შემოსავალთა უწყებანი, და მოახსენეს: „ჰე, მეფეო, ესე ყოველნი ძველთა მეფეთა ჩვენთაგან დანაშთნი არიან, და აწ მეფობასა თქვენსა ეკუთვნის, ვითარცა გენებოს, ეგრეთცა ჰხმარობდეთ.“ მერმე გულნაზ დედოფალსა მოართვეს სამი-ათასთა საჭურჭლეთა კლიტენი სხვა სოფელთა, სხვა რემათა, სხვა არვეთა ხვასტაგთა და სადედოფლოთა შემოსავალთა უწყებანი და მოახსენეს: „დედოფალო ჩვენო, ესე ყოველივე სადედოფლო არს და ნებისაებრ თქვენისა იხმარეთო.“ უბრძანეს მეფემან და დედოფალმანცა მადლობაჲ და გულისა სანუგეშონი სიტყვანი. უჩინნა მეფემან ნუშრევან ყოველთა მათ თვს-თვსნი მოხელენი, და განაგო ყოველი წესი მუნებური, დაადგინნა სპასალარნი, ვაზირნი, მოხელენი და განმგენი ქვეყანისანი და სამეფოსა პალატისანი ყოვლითა კეთილითა განკარგვითა და წესითა, და ესრეთ შეიყვარეს ნუშრევან მისა ქვეყანისა ერთა, რომე ტკბილსა სიცოცხლესა მას შეჰსწირვიდიან, იყვნენ მრავალთა დღეთა შვებითა და მხიარულებითა, და განჰსცხრებოდენ ერნი გალიისა ქვეყანისანი ეგე ვითარსა კეთილობასა ზედა ნუშრევანისასა, და ჰმსახურებდნენ ყოვლითა ერთგულებითა განკრძალულნი.

აქა დილარ მძლეველმან ინება მისი უცხოდ ზრდილისა და ტურფისა მოყმისა ჰოლანთა მეფის კოვარის ხილვა, და უბრძანა ნუშრევანს დაბარება მისი.

შემდგომად არა მრავალთა დღეთა უბრძანა დილარ მძლეველმან ნუშრევანს მეფესა, ვითა: „ძმაო, მჰსწადს, რათა ვიხილო ძმა იგი შენი ჰოლანთა მეფე გოჰარ, და მიჰსწერე წიგნი, რათა მოვიდეს ხილვად ჩვენდა.“ იგი დილარისა ბრძანება

დიდად იამა ნუშირევანს, მით რომე მრავლით ჟამითგან ჰსურ-
ოდა თვითცა ხილვაჲ ძმისა თვისისა. მასვე ჟამსა მისწერა
წიგნი სიყვარულითა აღვსილი, და აცნობა ყოველივე უნა-
კლულოდ ჰამბავი თჳსი, რაცა გარდახდომოდა შემდგომად
მისსა ჭირნი თუ ლხინნი, და ჰამბავი დილარ მძლეველისა:
ჴელმწიფება და განძლიერებულთა ერთა და ქვეყანათა ჰფლო-
ბა, სიბრძნე, ახალი მოყმეობა, მშვენიერება და მკლავთა ძლი-
ერება, რომლითაცა შემუსრა ეშმაკთა იგი სადგური ცოკლო-
პელთა ქალთაჲ, გამოიყვანა მზე ჩემი, და დაჰსწყვიტა ცრე-
მლთა წყარო თუალთა ჩემთა, მიბოძა გალიის ქვეყანა და
დამსვა მეფედ მას შინა; ამან და ესე ვითარმან ძლიერმან ჴელმ-
მწიფემან შეაპყრობინა სპასალარსა თჳსსა მარსის ზღვათა მე-
ფე ბრიტან, გარნა შეიწყალა და აწ მეფობისა პატივითა უბო-
ძა ახლავს იგი ცამოცდარჩენილითა რაზმითა თჳსითა; აწე,
საყვარელო ძმაო, ჟამი ჰშვენის დიდებულსა ამას ჴელმწიფესა,
ეგრეთ განემზადე და ისწრაფე ხილვად შმათისა დიდებულე-
სობისა და დისა თქვენისა გულნაზ დედოფლისა, ვინათგან
გვსურს ხილვა თქვენი.“ ესე წიგნი შეასრულა, მისცა მალე
მსრბოლსა და გაისტუმრა. ოდეს მალე მსრბოლი იგი ჰხლდე-
ბოდა პოლიანდა მეფესა და წიგნი ნუშირევანისა მიერთმივა;
წიგნისთჳს ეკოცნა და მრავლითა ცრემლითა გლმოიკითხა და
მათ საყვარელთა მიჯნურთა შეყრა ეცნა, უსაზომოსა სიხა-
რულსა მისცემოდა, მრავლითა ქებითა განადიდებინა დილარ
მძლეველისა სიმდაბლე და მკლავთა ძლიერებაჲ. მასვე ჟამსა
მომზადებულიყო ყოველივე ჴელმწიფობისა წესითა, დაადგინნა
ერთგულნი და მისანდონი გვამნი ქალაქთა და ქვეყანათა შინა
განსაგებელად; აღერჩივნა სამღვნოდ ტურფანი და ძვრფასნი
მრავალნი სპეკალნი და ოქრო ქსოვილნი ლარნი, და სხვანი
ურიცხვნი ნივთნი ღირსნი ქებისა და ხილვისანი მისართმევე-
ლნი მეფეთა და გულნაზ დედოფლისათჳს, და ურჩეულესისა
ათი-ათასისა ლომ-გულითა მოყმითა წამოსულიყო. ჩვენ ვი-
ყვენით შექცევასა ლხინსა შინა, მხიარულებდა მეფე ნუშირე-

ვან, ვითარცა ჰშვენოდა, და აღავსნა ყოველნი იგი ერნი მიცემითა და ჩუქებითა, და განაღა უმეტეს ყოველთასა დილარისა დიდებულთა ძეთა უხვებით ჰსძღვნვიდა და უშურველად აძლევდა. იყო დიდ-დიდთა დოსტაქანთა სმა და მუსიკთა-ტკბილ ხმათა განმრავლება.

აქა წინაშე დილარ მძღვეულისა მოსვლა პოლანთა მეფის გოჰარისა პურობასა ზედა.

ეგე ვითარსა მხიარულებასა ზედა მოვიდა პოლრანთა იგი მეფე გოჰარ, მოყმე ტურფად შვენიერი, ჩამოხდა ცხენით, შემოვლო პალატ სრანი და შემოვიდა სახლსა მას, სადა მხიარულებასა შინა ვიყვენით; ჰნახა უსწორო იგი მნათობი ძმისა თჳსისა ნუშრევანისა გვერდით მჯდომარე, და ზემო კერძო სხვასა ტახტსა ზედა მჯდომი ვინმე კელმწიფე ახალ მოყმე, მხილველთა შემფრფინვით საჭვრეტი; გოჰარ განჰკვრდა ხილვასა მისსა ზედა, მივიდა წინაშე ტახტისა მისისა, თაყვანი-ჰსცა, ქება დიადი შეასხა და კელსა კოცნასა ჰლამოდა; დილარმან ხელი გამოართვა და ერთმანერთს პირსა აკოცეს გოჰარმან კუალა თაყვანის-ჰსცა, გამარჯვება მიულოცა, მუნით გამობრუნდა, მოვიდა მათ შვენიერთა ქალ-ყმასა თანა, შეჰსწირა ცასა მადლობა, მიულოცა ქორწინებაჲ, და თვითო კელი ესრეთი სამეფო და სადედოფლო შესამოსელნი მიართვა თჳს-თჳსითა გვირგვინითა, სკიპტრითა და ბეჭდებითა, რომე მათ შიგან მსხდომარეთა თვალთაგან სახლი იგი სრულად განათლის-ფერდა, ვითა მზის დისკოსაგან ჰაერი; თაყვანი-ჰსცა, პირსა აკოცა, და გულნაზ დედოფალსა მოახსენა: „ეჲ მნათობთა შვილთა შორის ტკბილო მერვეო მთიებო, ფრინატრო საყუარელისა ძმისა ჩემისა ნუშრევანისა ღვაწლთა და შრომათა, რომელმანცა თვისითა მომჭირნეობითა უკიანოსა ზღვისა მღელვარებასა შინა შთაჰრილმან გპოვა თქვენ უსასყიდლო ეგე

მარგარიტი, და აბაშთა მზისა და ყოვლისა ქვეყანისა ლომისა
ძლიერებითა გამოგიტაცათ სხვისა ვისმე ახლისა ზღვსა მბრძა-
ნებელისა, ახლისა ნეპტუნისაგან, და აწ ვიხარებ მეცა ჭვრე-
ტითა თქვენითო." გულნაზ დედოფალმან ტკბილითა და ნა-
ზითა რითმე სიტყვითა მოახსენა: „ჰე, დიდებულო მეფეო,
ვინათგან ძმა თქვენი გიყვარსთ, მისისა სათნო ყოფისათვს
ჰბრძანებთ, თვარა ჩემთვს გაჭრასა და კელობასა თქვენცა
უზრახავთო." პირსა აკოცა და მადლობა მოახსენა. ნუშრევან
მეფემან გაიცინა და ჰსთქუა: „დედოფალო, მზემან შენმან,
უკეთუ მათ გარდასრულთა ჭირთა მიერ მოვრჩები და სიყვა-
რული შენი მაკმარებს ჭირთა მათ, ჩემთვსცა სანატრელი
იქმნების და არცა ვისგანმე ზრახვასა ვინანი, გარნა ამას ვი-
შიშვი, რომე მესისხლენი ეგე ძნდოთა ჯალათნი მარად ვე-
ლად გაჭრასა მაწვევენ, და ნუ თუ გოჰარისა შუამავლობითა
მოლმობიერდენო." რა ესე ვითარნი სიტყვანი მოიუბნეს, შე-
მდგომად მიბრუნდა გოჰარ და მეფესა ბრიტანს მიულოცა მათ
ტურფათა მიჯნურთა შეყრა. მუნით მიბრუნდა, სპასალარსა
მარსის და აბაშთა დიდებულთა ძეთა ყოველთავე პირსა აკო-
ცა და სიყვარულით მოიკითხნა. მაშინ უდიდებულესმან დილარ
კელმწიფემან უკმო გოჰარს, გვერდს მოისვა და ჰრქვა: „რად-
გან ჩემისა ძმისა ნუშრევანისა ძმა ხარ, ჩვენსა ძმობასა და
სიყვარულსა რაღა აყენებსო!" დასხდეს ერთად და, თავმან
თქვენმან, შეიქმნა მხიარულება უმეტეს თქმისა, და ქალაღდსა
ზედა დაფენისა იწყეს დოსტაქანთა გარდალევა სადღეგრძე-
ლოდ დილარ მძლეველისა და საქებელად ქორწინებისა მის,
ჰკმობდეს მუტრიბნი ტკბილ უსულიანისა კმითა დილარისა
ქებათა და გარდასრულთა მიჯნურობათა ნუშრევანისა და
გულნაზისასა; იყო ყურთა დამატკბობელი ლექსთა სიმრავლე
მგოსანთაგან სიყვარულსა მათსა ზედა, და მიიზიდვიდენ მსმე-
ნელთა გულებსა. მას ეგე ვითარსა მხიარულებასა შინა და-
ჰყვეს სხვადა ორი თვე ქვეყანასა გალიისასა, პურობითა, ნა-
დიმითა, ნადირობითა, ასპარეზობითა, ბურთაობითა და აშვა-

შაგობითა, და იგი ურთიერთისა მტრფიალნი სიძე-სძალნი
ჰსტკბებოდეს საწადელითა მით ალერსითა, და შეხვევნითა.

აქა ზღუათა მეფისა ბრიტანისაგან ვედრება და თხოვნა დილარისა წინაშე წვევად ზღვათა ქვეყანასა ნუშრევანისა და გულნაზისა საქორწილოდ.

დღესა ერთსა იყვნეს ყოველნი იგი მეფენი შეკრებილ
დედოფლით გულნაზითურთ, და მხიარულებდეს. მაშინ წარ-
მოჰსდგა ზღვათა იგი მეფე ბრიტან, დაჰსდგა საჯროსა ადგილ-
სა და მოახსენა დილარ მძლეველსა: „ჵე, ცათა სწორო და
უძლიერესო კელმწიფეო, ვინაჲთგან დაიმდაბლეთ თავი თქვე-
ნი და გამოუთქმელითა მით მოწყალებითა თქვენითა იქმნენ
შვილნი ჩემნი წადილთა თჳსთა მიმთხვეულნი, აწ, გევედრე-
ბით, რათა ისმინოთ თხოვა ჩემი, და კაცთ-მოყვარებითა თქვე-
ნითა სამეფო, ჩემი, მონისა თქვენისა, ბედნიერითა ფერკითა
დიდებულებისა თქვენისათა დაჰსტკეპნოთ, და მუნ ქორწილი
შვილთა ჩემთა გარდაიხადოთო." მის ზღვათა მეფისა მოხსე-
ნებასა ზედა, შეჰხედა დილარ მძლეველმან ნუშრევანს და
ჰრქვა: „ძმაო ჩემო, დღეს მამა და სიმამრი შენი გიწვევს
სამეფოსა თჳსსა, და უკეთუ და ჩემი გულნაზ დედოფალი თჳსი-
სა ქმრისა გულ-ძუნწობითა არა დაგვითხოვს, ვეწვევით." მას
ბრძანებასა ზედა დილარისასა, წამოჰსდგა გულნაზ დედოფალი
რხევითა მით თვალთა მიმზიდველთა, თაყვანი-ჰსცა და მო-
ხსენა: „ძლიერო კელმწიფეო, ზეგარდამოჲსა განგებითა მოვლი-
ნებულო ხსნისათჳს ჩემისა, მე მხევალი ვარ თქვენი და ქმარი
ჩემი მონა დიდებულებისა თქვენისა; აწ, ვინაჲთგან სიმდაბლე
შემოსილსა გნებავსთ გაბედნიერება მამისა ჩემისა და ქვეყა-
ნისა მისისა მიბრძანებითა თქვენითა, ჩვენიცა ვედრება ესე
არს წინაშე კელმწიფებისა თძვენისა, რათა მყინვართაცა ქვე-
ყანა იხილოთ და მოხუცებული მეფე მათი თაყვანის-ცემითა

თქვენითა გჳნაჭაბუკოთ. ჩვენ, შვილნი მათნი, თქვენგან ხსნილნი, მას ჩაგვაბაროთ, მის-მიერ კურთხევა მიიღოთ და მაშინ ავად დახვედრისათჳს სიძუნწე გვიზრახოთ, და, თუ არა, მუნამდის ჩვენ ბრალი არა გვაქვსო.“ ესე მოახსენა და ელოდა პასუხისა ბრძანებასა. მაშინ წარმოჰსდგა თჳთ დილარ მძლეველიცა და მოახსენა: „ჰე, მჯინვართა და ზღვათა ქვეყანისა მთავარეო, უკეთუ სიყვარულისათჳს თქვენისა დავჰსთმე სამონარხო ჩემი, მაგა თხოვასაცა სიყვარულისათჳს თქვენისა აღვასრულებო.“ პირსა აკოცა და დასხდენ თჳსთა ტახტთა ზედა და შეიქმნა უმეტესი მხიარულება. ერთსა სწორსა მუნვე გალიისა ქვეყანასა შინა იყვნეს, და შემდგომად ჰბრძანა დილარ მძლეველმან: „ხვალე წარსვლასა არა დავიშლიო და ზღვათა მეფესა ჰშვენის მასპინძლობა ჩვენიო.“ მას ბრძანებასა ზედა თაყვანი-ჰსცა ბრიტან მეფემან და შეუდგა თჳსსა საქმესა, შეჰქმნეს ყოველთავე წარსვლად მზაობა, და გალიისა ქვეყანისა დიდებულთა, სპასალართა, ვაზირთა და მოხელეთა მოამზადეს ყოველივე საგზალო საკმაო. მეფემან გალიისამან ნუშრევან უჩინნა და დაადგინნა ქალაქთა, ქვეყანათა და სპათა ზედა ერთგულნი და გამოცდილნი სპასალარნი, ვაზირნი, ქალაქ-პეტნი და განმგენი ყოველნი ყოველთა საქმეთა ზედა, და თანა ხლება უბრძანა ორთა სპასალართა, ორთა ვაზირთა და ოცდა-ათი-ათასთა კარგთა ლომ-გულთა მოყმე ჭაბუკთა ყოველთათა საკმაოთა ხარჯითა მათითა, სამეფოსა უწყებათაგან ოქროთა ბოძებითა, უძღვნა დილარ მძლეველსა ასი საჭურჭლე უძვირფასესითა ნივთითა სავსე და მოუმზადნეცა მისთა ეგზომივე თვის-თვისითა საკიდარითა და მსახურ-მონებითა, და ეგრეთვე კულთავანთა მათ ქოქონიკთა, და ჰმსგავსადვე ზღვათა მეფესა, და პოლანთა მეფესა და ყოველთა კრებულთა მათთა, და აღავსნა დიდნი და მცირენი მირთმევითა და ჩუქებითა,

აქა ამბავი მოხსენებისა დილარ მძლეველისა, ზღვათა მეფისა, ჰოლანთა მეფისა, ნუშრევან მეფისა და გულნაზ დედოფლისა წარსულა გალიის ქვეყანით ზღუათა მეფისა ქვეყანასა შინა.

ბრძანებისაებრ უდიდებულესისა დილარ მძლეველისა, მეორესავე დღესა აიყარნენ იგი ველმწიფე და მეფენი გულნაზ დედოფლითურთ, და გავემართენით ზღვათა ქვეყანისა. ვიდრე გალიისა ქვეყანასა განვლიდით, იგივე გალიელნი გვხვდებოდენ გზასა ზედა და გვმასპინძლობდეს ყოველთაგან საქებელითა პურობითა, ვითარ იგი აქუნდათ ყე ბრძანება მეფისა ნუშრევანის მიერ; და ოდეს შევედით სამფლობელოსა ზღუათა მეფისასა, მაშინ განაღა უმეტესითა გამოჩინებითა ფანწედვა ბრიტან მეფესა დახვედრა; სადაცა გარდავხდით, ყოველთა ადგილთა დაგვახვედრიდის პურთა დაგებულთა, და თვით მეფე იგი ჰმსახურებდა დილარ მძლეველსა, მეფეთა და დედოფალსა, ასულსა თვსსა, ვითა მონა და არა ითქმევდა მეფობისა სახელსა თავმან თქვენმან, ვიდრე სატახტოსა მისსა ქალაქსა შევიდოდით, გზასა ზედა ორსავე მხარესა ედგნეს უცხო გვარად მკვრელნი და მომღერალნი, ესრეთ რომე ერთისა ბიჯისა წარსადგმელსა ადგილთა, სასმენელთა ჩვენთა ტკბილკმაობა არა მოჰკლებია; და ოდეს შევედით სატახტოსა მას ქალაქსა, გარდასვა დილარ მძლეველი თვით ველითა თვისითა და სხვანიცა იგი მეფენი მანვე გარდასხნა. შემდგომად მოვიდა ასულსა თვსსა ფარნა, კუბოსა შატროვანი აახწივა და მოახსენა: „მოვედ, თვალთა ჩემთა ნათელო და სიცოცხლისა ჩემისა მომნიჭებელო, და განისვენე სატახტოსა ამას შენსა.“ მოჰკიდა ველი და შეიყვანა განმზადებულსა მას სახლსა, სადაცა მზაობდა ყოველი სამეფო და დაფიცებულნი ტახტნი და სელნი, და პურიცა დაგებულივე იყო. მას დღესა გარდაიხადა პურობა ზღვათა მეფემან, ვითარ იგი ჰშვენოდა გზით მაშვრალთა, ხოლო დღესა მეორესა მოვიდა წინაშე დილარისა

ზღვათა მეფე და მოიღო ხუთ-ასთა საჭურჭლეთა კლიტენი და მოახსენა: „დიდო და უძლეველო კელმწიფეო, ესე საჭურჭლენი მიირთვით, კაცნი თქვენნი უჩინენით და, ვითა გენებოსთ, ეგრეთ ჰხარჯევდითო.“ შემდგომად გოჰარსა თანა მოვიდა, მოიღო ეგზომივე და იგივე სიტყვა მოახსენა; მიერ მიბრუნდა წინაშე ნუშრევანისა, დააწყო ოთხი-ათასთა საუნჯეთა კლიტენი და მოახსენა: „შვილო, დღეს შენ ხარ მეფე ქვეყანისა ამის ჩემისა, ესე საუნჯენი ჴელითა ჩემითა შემიკრებიან და, ვითა ჰშვენის მეფობასა შენსა, ეგრეთ გაჰსცემდეო“ პირსა აკოცა და ცრემლ-დენილი მიუბრუნდა ასულსა თჳსსა დედოფალსა ზულნაზს და მოახსენა: „ეჰა, სიცოცხლისა ჩემისა მმატებელო და თვალთა ჩემთა ნათელო, სიტკბოებაო გულისაო და სულისა ჩემისა შვებაო, აწ თვალნი შენნი ჰხედვენ, რომე დღენი ჩემნი სიბერისა ოდენ მიწევნილ არნ და ნაცვლად შუენიერისა დილისა მზისა დასლვისა მწუხრსა მივჰმსგავსებივარ, შენ ხარ მოლოდებისა ჩემისა დასაბამი და დასასრული, ვსასოებ ნაყოფსა შენსა, რომლითაცა აღჰყვავდების კვერთხი მეფობისა ჩემისა, ვითარსაცა საქრმოსა ჰპოვებდი შენთჳს, მაღალმან ცამან უკეთესიცა მომცა მომვლელი ქვეყანისა ჩვენისა; აწ, შვილო, ესე სამი ათასი საღაროთა კლიტენი აჰა წინაშე შენსა მომიღია, მე ამათ შინა არა რასა ვმონაწილეობ, ესე ყოველნი დაუნჯებულ არიან თჳსა დედისა შენისა დედოფლისაგან შენთჳს, ამათ, ვითაცა გნებავს, ჰხმარობდე, სულთა ჩვენთა იხსენებდე და მიწისა მოყრასა ძირს მყავ ხელითა შენითაო.“ ესე გვარნი მრავალნი წარმოჰსთქვნა ბრიტან მეფემან, და ღლავსით ყოველნი მსმენელნი ლმობიან. რა ეგე ვითართა სიტყვათა იტყოდა ბრიტან მეფე ცრემლითა მშრალითა, ფრიად ილმობდა დილარ შმლეველი და შეუყვარდა იგი, რომელმანცა უბრძანა ესრეთ, ვითა: „მეფეო ბრიტან, მაგა სიტყვათა, რომელთაცა ჰბრძანებ, შესაწყალი არს და შესაბამი სიბრძნისა შენისა. გარნა, მეფეო, ჯერ ყომად შენი შენდავე ეგების ძალითა ზეგარდამოთა, და შე-

მდგომისათჳს, ვითარცა განგიზრახავს, ეგრეთცა აღასრულე; მეფეო, ჟამი ესე ითხოვს დახვედრასა შენ მიერ და განსვენებასა ჩვენსა, ლხინი ჯერ არს და ქორწილისა გარდახდაო." მიერითგან იწყეს პურობა, სმა და ნადიმობა; იყო გაცემა მოუკლებელი, და დაიწყეს პურობისა რიგიცა. პირველსა დღესა გულნაზ დედოფალმან გარდაიხადა პურობა თჳსსა სრასა შინა, მეორესა დღესა დილარ მძლეველმან, და იყო ესრეთ რიგ მოდებით პურობა, გაცემა და მხიარულობა ყოველთაგან ყოველსა დღესა. რა განმრავლდა მათგან მხიარულებით ჟამთა განტარება, მას ეგე ვითარსა შვებისა დღეობასა შინა

აქა ზღუდათა მპყრობმან გულნაზ დედოფალმან ჰშვა წული ყრმა ზღვათა მეფისა ქალაქსა შინა.

გულნაზ დედოფალი დამძიმდა; და შეიქმნენ ყოველნივე უმეტესად მხიარულნი, გარნა ბრიტან მეფე ჰსთხოვდა განგებასა, რათა მოსცემოდა ნუშრევანს ძე, რომელიცა აღეზარდა მას ნებისაებრ თჳსისა. ისმინა ზენამან არსმან თხოვაჲ ბრიტანისა, და ჰშვა გულნაზ დედოფალმან ძე, პირითა მთოვარებრ სფერებული, ბექ-ბრტყელი და ლომ-ნაკვეთი და მოლოდება ზღუათა მეფისა. ამისთჳს შეჰქმნეს უმეტესი მხიარულება და ყოველთა ზედა საბოძვრისა გაცემა; ესრეთ აღავსეს მის ქვეყანისა გლახაკნი და დავრდომილნი, რომე მდიდართა თანა შესწორებულ-იქმნეს, ჰლოცვიდიან დღესა მას ახლისა ყრმისასა, და ულოცვიდიან დიდ შემძლენი გულნაზ დედოფალსა ძვირფასთა ნივთთა მირთმევითა. და თჳთ დილარ მძლეველმანიცა უძღვნა ერთი კელი კაცისა და ცხენისა საჭურველი ყოვლისა თანა საგმიროსა იარაღითა, კელოვნებული აბაშელთაგან, და მოახსენა ესრეთ, ვითა: „საყვარელო დაო ჩემო გულნაზ დედოფალო, ვიცი, ყრმა ესე სახელოვანი ფალავანი გამოვალს, ესე საჭურველი და იარაღი მრავალსა ადგილსა

გამოადგების, და მისთვს დასცევითო." თყვნენ მრავალთა ჟამთა მხიარულებასა შინა ყოველნი იგინი მყოფნი ზღუდეთა სამეფოსა შინა და იშვებდენ ურთიერთისა ჭვრეტითა. დღესა ერთსა იყვნეს ყოველნი ერთობით პურსა ზედა გულნაზ დედოფალსა თანა, და მაშინ ჰბრძანა უდიდებულესმან ხემწიფეთისა თვთ-მპყრობელმან, ციკლოპელთა სატურიანისა სიმაგრისა შემმუსვრელმან და ნუშრევანისა საყვარელისა ტყვეობით დამ მხსნელმან, ვითა: „აწ ჟამი არს, რათა განვემზადნეთ და ვიხილოთ საწადელი იგი მეფე მყინვართა ქვეყანისა მოხუცებული ფინეზ, მის მიერა კურთხევა მოვიღოთ, და უმოხუცებულესი ბრძენთა ბრძენი ვაზირი ეგროსცა ვნახოთო." ამას დილარ მძლეველისა ბრძანებასა ზედა წარმოჰსდგა პოლანთა იგი მეფე შვენიერი ჭაბუკი გოჰარ, დაჰსდგა მოაჯეთა ადგილსა და მოახსენა: „ჵე, კელმწიფეთა მბრძანებელო და გმირობისა საფუძველო, ცისა ეტლნიცა ბრძანებასა თქვენსა ვერა ეურჩებიან, გარნა ვითხოვ ვედრებით, რათა აჯასა ჩემსა მოჰხედოთ, მით რომე გზა იგი რომელსაცა ჰბრძანებს ჴელმწიფება თქვენი, უფრო შემოკლდების ქვეყანით ჩემით, მით რომე გზასა ზედა წინა ჰსძეს სამეფო ჩემი, მონისა თქვენისა, ამისთვს გევედრებით, რათა მცირედთა დღეთა მეცა გარდამახდევინოთ ქორწილი ძმისა ჩემისა ნუშრევანისათ." დილარმან მასცა ნება ჰსცა ორმეოცისა დღისა ჰაემნითა და უბრძანა: „ხვალე წასვლელი არა ვარ, და, ვითაცა დაგვხვდების, გაგიჩნდებაო." გოჰარმან ქვე დაფენით თაყვანი-ჰსცა, და შეჰქმნეს ყოველთავე წასვლისათვს მზადება.

აქა წარვიდა მეფისა ბრიტანის ქვეყნით წარსვლა პოლანისა სამეფოსა შინა უდიდებულესისა ხემწიფე მონარქისა დილარ მძლეველისა, წუღლანის დედოფლისა, ნუშრევანისა და გოჰარისა, და, კაცთამცა, მასთან ძმისა მათისა ბრიტანისა.

გავემართენით პოლანთა ქვეყანისა ლაშქრითა და ...

ბრიტან მეფისა ქვეყანასა განვლიდით, იგივე იყო მასპინძე-
ლოჲ; და შემდგომად ყოველივე ხარჯი და წარსაგებელი იყო
გოჰარ მეფისა და ვითა ჰშვენოდა ჭაბუკობასა და სიყვარულ-
სა მისსა, ეგრეთ მხიარულებით ჰხვდებოდა, მასპინძლობდა და
ჰსძღვნიდა. ვვლეთ შვებითა და მხიარულებითა ამოდ-ამოდ
გზასა ზედა, ვიდრე თვე ერთი, გარნა ყოველთა დღეთა უკე-
თესად და უკეთესად მასპინძლობდა; პირველისა დღისა პური
შემდგომისასა ესრეთ არა ჰგვანდა, ვითა ზამთრისა ველნი
მაისისა ველთა, და ოდეს ქალაქსა მათსა დაუახლოვდით, ყო-
ველნი დიდებულნი და ჩინებულნი გვამნი, დამოსილნი პირად
პირადითა ოქრო-ქსოვილითა სამკაულითა, წინა მოგვეგებო-
დიან მწყობრად და გუნდად, და ჰმსგავსადვე მოხელენი ყო-
ველნი თვის-თვისითა წესითა; მათსა შემდგომად მის ქვეყნისა
რჩეულნი ერნი და დიდ შემძლენი ვაჭარნი მათ მეფეთა მო-
ულოცვიდიან მათსა ქვეყანასა მისვლასა და ნუშირევანისა ქო-
რწილსა, ფერხთა ქვეშე უფენდენ ჰრომაულთა ოქრო ქსო-
ვილთა ოქსინოთა და სხვათა ლართა ტურფათა. ოდეს მათ
მამრთა წინა მომგებელთა, სრულ-ჰყვეს მილოცვა, მაშინ
ქალაქისა კართა წინა მოეგებნეს ბანოვანნი დიდებულთა
ცოლნი და ბექანი, აყრიდიან გულნაზ დედოფალსა თვალსა
და მარგარიტსა და იტყოდიან: „სვიანმცა არს ქორწილი თქვე-
ნიო". კვლა ორ-პირად სასახლემდე იდგნენ მუსიკნი და
მომღერალნი, დილარისა ძლიერებისა და მის ქორწილისა ქე-
ბისა მთქმელნი. დაახვედრეს სამეფონი პალატნი და დარბაზნი
ყოვლითა საკელმწიფოთა რიგითა და წესითა განწყობილნი.
გარდახდეს მეფენი, და გარდმოსხვეს გულნაზ დედოფალი მათ
ბანოვანთა დიდებულთა ცოლთა, აწვივნეს, თვის-თვისთა ადგილ-
თა დასხდეს, და იგი დღე მათ შვენიერთა ბანოვანთა გარდაი-
ხადეს ლხინი ესრეთითა ტკბილ კმოვანითა საკრავითა და ცეკვა-
როკვა-შუშპარითა, რომელ თვალნი ყოველნი მათ ჰსჭვრეტ-
დენ და დაშთნენ მშიერნი, უკვრდათ ყოველთა ეგრეთ უსუ-
ლიანად და კეთილ-ნატიფად მიმოხრევა, დაკვანწვა და როკვა;

იყო განთიადადმდე საწადი იგი თამაშობა ქალთა და მასვე-აელებასა(?) თანა დადგაცა როკვა ქალთა. უბრძანა გოჰარ მეფესა დილარ აძლეველმან, ვითა: „თავმან ჩემმან, კეთილი მასპინძელი ხარ, გარნა თუ ესრეთ ჰქმენ, ნოვაგთა და სასმელთა ხარჯი არლა მოგივაო; ძმაო, ჩვენ ქალთა მათ მუშ-პრობისა ყურებასა მოუნდით და სასმელნი შენნი ჭურთავე თჳსთა მიაღებინეო." მას დილარისა ბრძანებასა ზედა იცინეს ყოველთავე მრავალი, და თჳს-თჳსთა საწოლთა განისვენეს, სადილობადმდე ამოჲთა ძილითა იყვნეს მოსვენებასა შინა და ჟამსა სადილისასა სხვასა სახლსა შეეკაზმათ პური. მოვიდა გოჰარ მეფე და ჰსთხოვა დილარს და მეფეთა მათ, ვითა: „მეფენო! ინებეთ და ჟამი არს პურობისაო." დილარმან ნება ჰსცა, აღჰსდგნენ და მივიდნენ, სადა იყო პური დაგებული, დასხდენ და შეჰქმნეს სმა და მხიარულება, და კეკლუცთა ქალთა იწყეს თჳსითავე წესითა თვალთა და გულთა მისაზიდავნი მუშპარნი. მეტი რაღა მოგახსენოთ, ორმოცსა დღესა ესრეთ დაჰხვდა გოჰარ მათ ყოველთა, ვითა სიყვარულსა მათსა ჰშვენოდა. აღავსნა ყოველნივე მირთმევითა, ძღვნობითა და ჩუქებითა. უდიდებულესმან აბაშთა მონარხმან დილარ მძლეველმან მოაღებინა ერთი კელი კაცისა და ცხენისა საჭურველი ყოვლისა თანა იარაღითა უკლებელი, აბაშთა იგი კელოვნებული, უბოძა გოჰარ მეფესა და უბრძანა: „ძმაო, ყმა კაცი ხარ და გულოვანი ჭაბუკი, ესე საჭურველი თავსა ჩემსა მოგაგონებდესო." გოჰარმან ქვე მიწადმდე დავრდომით თაყვანი-ჰსცა, და ესრეთ მოხარულ იქმნა, ვითა ყოველი ქვეყანა მას ეშოვნა; ასმოდა ქებაჲ აბაშურისა საჭურველისა დარა იხილა, ქებისაცა უმეტესი იყო. შემდგომად ჰბრძანა დილარმან: „აწ ჟამი არს, რათა მოხუცებული იგი მეფე მყინვართა ფინეზ ვიხილოთ და მისგანცა კურთხევა მოვიღოთო." უბრძანა ნუშრევანს წიგნისა მიწერაჲ მამასა თჳსსა თანა, და, მან მოახსენა: „ჵე, უდიდებულესო თვით-მპყრობელო, რა მოწყალებითა თქვენითა ციკლოპელთა ქალაქსა შინა მზისა

ჩემისა ხილვა მეღირსა, მიერ ღლითგან ყოველსავე ჰამბავსა ჩვენსა წვლილად და თვითოეულად მოვახსენებ, არა დავაკლებ, და აწცა, ბრძანებითა თქვენითა, კვალად მივჰსწერო. დაჰსწერა წიგნი ნუშრევან მეფემან უმოხუცებულესსა მას ეგროს ვაზირსა თანა, და შეჰსთვალა ყოველი ყოფილი კვალად, და მიმავალობაჲ მათ ყოველთა, უბოძა მალე მავალსა ფაიქსა და გაისტუმრა. მოემზადნენ ერთობილნი მყინვართა ქვეყანასა წასასვლელად. მაშინ უძღუნა გოჰარ მეფემან მათ ყოველთავე ურიცხვნი ძვირფასნი ნივთნი და სხვა-და-სხვა საკვირველნი კელოვნებანი. შემდგომად განაგო ტვისისა სამეფოჲსა საქმენი, უჩინნა ერთგულნი და მისანდონი კაცნი, და თვთცა მოემზადა მეფობისა წესითა, და ვიყვენით მზად წარსვლისათვს.

თავი მეოთხე

დილარ მძლეველისაგან ბოლასთა სამეფოდათ წარსვლა და შესვლა მყინვართა ქვეყანასა სახილველად მოხუცებულისა მეფისა ფინეზისა და თანა მიყვანა მათ საყვარელთა მიჯნურთა ნუშრევანისა და გულნაზისა და თანა ხლებაცა ზღვათა მეფისა და ბოლასთა მეფისა გაჭარისა.

მზისა შარავანდედმან იწყო აღმობრწყინვებად მყინვართა ქვეყანასა, მით რომე იგი ცათა სწორი აღმოსავალისა იმპერატორი, მისვლითა თვისითა მუნ აღმოაბრწყინვებდა ზღვათა მანათობელსა გულნაზ დედოფალსა და თვისსა ზედა მაშარავანდედსა(?) მფლობელსა თჳსსა, ადრითგანვე ტყვეობითა დასჯილსა და აწ დილარისა მიერ გაბედნიერებულსა. ვაშა, ვაშა, დილარ, ტყვეთა გამომხსნელო, და უბედურებისა, უყეთა შინა შთაფლულთა, აღმომყვანებელო, ისწრაფე მოხუცებულისა მეფისა ფინეზისა ხილვა, რათა მის მიერ შენისა ურვისა წამალი მიიღო.

დილარ მძლეველი არღა დამყოვნებელი, ტაიჭსა თვისსა ზედა აღმკედრდა და ყოველნივე მზა ქმნილნი სიხარულითა თანა მოგზაურ ექმნენ. მაშინ სათანადო იყო გზასა ზედა მასპინძლობა ნუშრევანისა, და, თავმან თქვენმან, ესრეთითა ხელოვნებითა განეგო მასპინძლობა, რომე ღირსი ქებისა იყო. ყოველთა გარდასახდომელთა ადგილთა მოგვეგებოდიან მონანი, თაყვანის-გვციან და გარდაგვიწვევდიან, შეგვიძღოდიან თჳს-თჳსად განსაგებელთა ადგილთა, ცხენთა სადგურნი და საჭმელნი უჩინიან და ჩვენ ყოველთა პური დაგებული დაგვახვედრიან. მას გზობასა შინა არა რა დაგვიგეს ჭამადი

თვნიერ ურცხო გვართა მფრინველთა, მრავალ-გვარად გემოვან-
თა მწვართა და მოხარშულთა. ესე იყო საკვირველი, ეგე-
ოდენთა სიმრავლესა ერთასა, ეგრე მზად, ვითა დაგვახვედრი-
დიან კეთილ გემოვანთა მრავალთა მათ მფრინველთა! გვექონ-
და ლხინი და მხიარულება, და ვვლიდით ნებიერად და შე-
ქცევითა. დღესა ერთსა სადილად ვსხედით, და უბრძანა დი-
ლარ მძლეველმან ნუშრევანსა, ვითა: „ძმაო, მებრალები, ვე-
ნაძთგან ზროხა და ცხოვარი არა გშოვებია ქვეყანასა შენსა,
ნუ თუ მფრინველნი ესე გამოგველიოს, ჩვენ მშივრები და-
ვშთეთ და შენ სირცხვილი მიიღო." მას დილარის ბრძანე-
ბასა ზედა გაიცინა ნუშრევან და მოახსენა: „შემინდევ, კეთილ-
მწიფეო, მე არასით ზედა ბრალეული ვარ; ესე განგება ღვთისა
თქვენისა გულუხვისა ღმრთისმოყვარისა ზრახვა და რაიცა ნაყოფიერება
იყოს, მას ბრალებულ ვიქნები თქვენსა კეთილობასა ზედა. წამოიყვანა
გულნაზმა თავისთვალმან სახლთუხუცესსა თვისსა, იგი მყისვე
გარე განვიდა, მცირეოდენ ჟამსა ვითარად ლაღობდეს, იცინო-
დეს და შექცეოდეს, იყო ზმა ლხინისა და მხიარულებისა, მის
მხიარულებასა შინა მსწრაფლად მოიღეს დიდ-დიდითა ვეცხ-
ლისა სინებითა მრთელნი ზროხანი და ცხოვარნი და ბატკან-
ნი მწვარნი, მრავალნი უსუქესი ღორის ძუძუნი და მსგავ-
სადვე მოხარშულნი, და ყოველნი წინაშე დაჰსდგეს სათვითოდ
მრთელ-მრთელნი. ჩვენ გაგვიკვირდა, ეგრე მსწრაფლად შემზა-
დება მათი, და დილარმან გალიმებით შეგვიბრძანა: „ნუ გი-
კვირსთ, ძმანო ჩემნო, ძმა ჩემი ნუშრევან მეკობრობისა ჩვეული
არს, ნატაცები შეგროებული ჰყოლია, და ჩვენ ქურდობასა
თვისსა გვიზიარაო." ესე ჰბრძანა, გარნა დედოფლისა გულ-
ნაზის ეგე ვითარი გონიერობა დიდად იამა და მადლობაცა
უბრძანა. სამსა დღესა მას ადგილსა სუფრა აულებელად ლხინ-
სა არლა მოეშალნენ. ჩვენ ვიყვენით მას ჟამსა, მათ მეფეთა
თანა ლხინსა სადღეგრძელოდ, ვითარ სამ-ათასიან გვამნი,
ვსმიდით ღვინოსა სადღეგრძელოდ მათსა და ვაქებდით ეგე
ვითარსა სიყვარულსა ურთიერთისასა; ესე იყო უმეტეს გულ-

კეთილობა დილარისა და სიმდაბლე, რომე არა რომელსა მეკე-დართაგანსა დაუტევებდა სუფრად დაუჯდომელსა, და ყოველ-თავე თვის-თვისსა ჟამსა უბრძანებდა სიტყვასა. მეოთხესა დღე-სა გავემართენით და ვიდოდით მითვე წესითა მხიარულებით ვითარ თვისა ერთისა დღეთა.

აქა მის მოხუცებულისა მყინვართა მეფისა ფინეზის მოსვლა წინაშე დილარ მძლეველისა, თვისთა საყვარელთა ხილვა და მიგებება ურთი-ერთისა მხიარულებით.

მოვიდა მახარებელი მყინვართა მეფის მოსვლისა, დიდად გაეხარნეს დილარს და ჰბრძანა: „ვმადლობ სვესა ჩემსა, რომე კაცისა გამოცდილისა ხილვა მეღირსებისო.“ და ზედა მოვიდა მეფე იგი ყოვლითა მოხუცებულითა ჯარითა, ესრეთ მრავა-ლითა, რომე ამას იტყოდა მხილველი: „ყოვლისა ქვეყანისა მოხუცებულნი აქარე შეკრებილანო.“ გარდახდენ და წამო-ვიდნენ ჩვენ კერძო; მაშინ ჰბრძანა დილარმან, ვითამე „მოხუ-ცებული არს გამოცდილი და მამა ჩვენი, ჰხამს, ჩვენგანცა პატივის-ცემა მისიო,“ ნუშრევანსა უბრძანა: „ჩემსა მზესა შენ და დაი ჩემი გულნაზ დედოფალი ტახტსა ზედა დაგვი-ხვდით ყოვლითა სამეფოსა სამკაულითა შემოსილნიო.“ თვით დილარ მძლეველი წინ გაეგება და თანა გაიყოლა პოლანთა მეფე გოჰარცა.

აქა მყინვართა მეფისა ფინეზისაგან ხილვა დილარ ახაშთა თავ-მპყრო-ბელისა და ფინეზისაგან დალოცვა დილარ მძლეველისა.

მოეგებება მეფე იგი მოხუცებული დილარ მძლეველსა თაყვანი-ჰსცა, დალოცა და მოახსენა: „ჵე, ყოველთა გან-ძლიერებულთა კელმწიფეთა უზესთაესო და მრავლითა კეთი-

ლობითა აღვსილო, მბრუნავიცა ეტლი იქმნების თქვენ ზედა შეუცვალებელი, ცამცა ტკბილითა მომხედველობითა თვისითა განაგებს დაუსრულებელობასა ყოვლმწიფებისა თქვენისასა. მზესა ქვეშენი ქვეყანისა კელმწიფენი თაყვანის-ჰსცემდენ ფერჴთა თქვენთა ნატერფალსაცა მოგცემიესმცა, ღმერთისა ჩვენისაგან მარსის ველსა ზედა ათას სამ-გზის დაფნისა გვირგვინითა განდიდებულსა, ღირსება მიმთხვეული მზისა ქალაქისა კელმწიფესა, ნუმცა შეეხებიან ტარტაროზთა ჭირნი გარემოთა თქვენთა, და ყოველითა კეთილ-სვეობითისა ღვთით აღვსილსა მოგხედრიამცა ელისეის მინდორსა ხადგურსა ნეტართასა მყუდროება და განუცდელი იგი მხიარულება ნაზთა მუზთაგან კმა ტკბილობათა." ერთითა ქელითა მოართვა სკიპტრა ოქროსი ძვირფასითა თვალითა შემკობილი, რომელსა თავსა ედგა ბურთისა საბურთალოსა ტოლი ალმასი, და ერთითა კელითა მიწა მცირე და ესე მოახსენა: ძლიერო კელმწიფეო, გახსოვდეს დიდებასა შინა, რომე მიწანი ვართ და უსამართლოებასა ერიდე." რა მან მოხუცებულმან მეფემან ეს სიტყვანი მოახსენა და დაასრულნა, დიდად მძლეველი სიყვარულით გარდაეხვია, და ვითარ მშობელსა მამასა, ეგრეთ წვერსა აკოცა და ჰრქუა: "მამაო, კურთხეულ არს განგება იგი, რომელმანცა დღეს ერთმანერთი შეგვყარა, და აღრითვე საწადელი ჩემი ხილვითა შენითა შემისრულაო." შემდგომად მათ მოხუცებულთა თაყვანი-ჰსცეს, დაიწყეს კმა-მაღლად კმობა: "დღეგრძელდინ, დღეგრძელდინ დიდი დიდებ მძლეველი, რომელმან დაჰსწყვიტა მოხუცებულთა თვალთა ჩვენთა ცრემლნი გულთა განმამწარებელნი და გვაღირსა ჩვენისა მეფის ძის ნუშირევანისა ხილვაო." დიდებულმან შემდგომად წარადგინა პოლანთა მეფე გოჰარ, მისცა ცნობა და ჰრქვა: "მამაო, ესე არს მეფე პოლანთა გოჰარ და სიყვარულითმა ჩვენითა იკოცეს ერთმანერთსა, იგიცა მესამმად დაჰლოცა და ჰრქვა „შვილო და დიდო მეფეო, და შენმცა ღირს იქმნები მზისა ქალაქისა მნათობთაგანისა მეუღლეობასაო." დიდად განკვირვებული ისმენ-

და შემდ მოხუცებულისა მეფისა მიერ მზისა ქალაქისა ეგრე განდიდებასა, გარნა ჟამადმდე დუმილი აჰყრობინა. მერმე ჰრქვა მეფესა: „მამაო, მოვედ და იხილე საყვარელი ძე შენი ნუშრევან, მეფე ყოვლისა ქვეყანისა ფალიისა და სძალი შენი დედოფალი გულნაზ და ნაყოფი მათი ძე ძისა შენისა და ასული ფინდუზ, რომელსა ჰსდევს სახელი ყრმისა ამის ჩვენისა.“ მოჰკიდა ველსა და შევიდნენ სახლსა მასა, სადა იყვნეს მსხდომარენი ტახტსა ზედა. რა იგინი იხილნა მყინვართა მეფემან, ესრეთ ჰრქუა: „ესე განგებაა დიდისა ღმრთისა არს, მით რომე ქორწილი არს და ტახტსა ზედა ჯერ არს მილოცვა.“ მოეხვია მაქარი ყელითა თვისითა, მოვიდა და ჰლოცა სიძე-სძალნი მიულოცა, მაქარი და ჰრქუა: „შვილნო ჩემნო, ცამან და ქვეყანამან მრავალთა წელთა ურთიერთისა სიყვარულითა უტკბილესი მაქარისა ქვეყანებსა თქვენსა ზედა გამრავლდესა კეთილთა ნაყოფითა სიუხვესა; შვილო ნუშრევან, უსიკვდილოდ განერე მზისა ქალაქისა ქვეყანასა შინა და ყველთაგან თქვენთა მეღირსეთ მიწათა მომყუდროება.“ და შემდგომად მოვიდნენ მოხუცებულნიცა და თვილით ველთა მაქარისა მეყრობილთა მოულოცეს და მაშინ წარმოჰსდგნენ სუფრანი, ტახტით ქვე ჩამოვიდნენ და მივიდნენ, მამასა ყელს მოეხვივნეს, და მათთანავე შეწუხებისათვის შენდობასა ითხოვდნენ. მყინვართა მეფემან აიყვანა მცირე ყრმა იგი, წყლითა მიიყვანა, ჰკოცნიდა ცრემლითა და მხიარულად ეტყოდა: „შენ, ყრმაო, კურთხეულ იყავ ცისა მიერ მადლითა და მრაგეცეს ზეგარდმო მორჩილება მშობელთა და ჭეშმარიტისა ღვთისათვის, რათა იყო დიდ შენი განგრძელებული ქვეყანასა ზედა, ვითარცა მამისა შენისა და გეწოდოს შენ სახელითა მსგაფირუზ დედის შენისა მოგაკლდეს ღმრთისა წყალობა და მრავალქმნება შენი თვითმპყრობელისა დიდისა მძლეველისა და უძლეველესთა მისთა ძეთა მისთაგანი“. ხოლო შემდგომად ჰრქუა ნუშრევანს და ასულსა თვისსა: „შვილნო ჩემნო საყვარელნო, ესე შუამდგომელი თქვენი, უმეტესსაცა შეცოდებასა ქვეშე იყვნეთ და არხვევს მოტევებასა.“ კოცნა აკოცნა და ტახტსავე თვისსა დასხნა.

აქა ლილარ მძლეველისაგან მყინვართა მეფისა ფინეზისა თანა მიყვანა ზღვათა მეფისა ბრიტანისა, მათგან უბნობა, მისალმება და პურობისა გამართვა; ლხინი და მხიარულება მათი.

ლილარ მძლეველმან მოიყვანა მყინვართა მეფესა თანა ბრიტან ზღვათა მეფე და ჰრქვა: „მეფეო ფინეზ, ესე არს საყვარელისა დისა ჩემისა და სძლისა თქვენისა გულნაზ დედოფლისა მამა ბრიტან, ზღვათა ქვეყანისა მეფეო." მან მოხუცებულმან მეფემან მოახსენა: „ჰე, კელმწიფეო, ვიცი და ვიცნობ მე, და თვით ესეცა არს მცნობი ჩემი, მით რომე მრავალნი კეთილობანი ჩემ მიერ ამას ზედა ცისა სფეროსა ზედა დაწერილ არიან, რომელმანცა დაივიწყნა იგინი და არა ჰრიდა უსჯულოსა ძესა ჩემსა სიკუდილად, გარნა ქმნილნი იგი კეთილობანი მოიწივნეს თქვენდამი, და აზღვიეს კელითა თქვენითა." მერმე მიუბრუნდა ბრიტანს და ჰრქვა: „მეფეო, შვილისა ჩემისა უკეთესსა სიძესა სადა ჰპოებდი, რომე ეგეოდენი უბრალოი სისხლი დაიღვარა კელითა და მიზეზითა შენითა, და უკეთუ ულმობელობითა შენითა ძესა ჩემსა სიკუდილი შემთხვეოდა, ესე კარგად უწყოდი, რომე არცა შენ და არცა ქვეყანა შენი გარდარჩებოდით კელთაგან ჩემთა ალუსპობელად, და ვინადგან განგებითა ესრეთ ჯერ იყო, ამიერითგან სიყვარულსა ჩვენსა ვერღა ვინ დაჰყენებსო." შემდგომად ბრიტან მეფემან ჰკადრა: „მეფეო ფინეზ, უგამოცდელო ყოველსა შინა გმირობასა და კელოვნებასა, ჩინებულო და სახელოვანო, ყოველნი ბრძანებანი შენნი ჭეშმარიტ არიან და, მზემან უდიდებულესისა კელმწიფისა ლილარ მძლეველისამან, ვინანი და ვჰსწუხცა წარსრულთათჳს საქმეთა ჩემთა, გარნა თქვენ უმჯობესი უწყით, უკეთუ საქმე ესრეთ არა მომდინარებულ იყო, ესე ვითარისა ძლიერისა კელმწიფისა ხილვასა ვინ სადა ღირს-

გვჰყოფდაო." ესე ჰსთქვეს, ერთმანერთი სიყვარულით მოიკითხეს, პირსა აკოცეს და ილერსეს, თვით დილარმან მყინვართა მეფე ტახტსა თვსსა მარჯვნივ დაისვა, და სხვანი თვს-თვსსა ტახტსა დასხდეს. ესრეთ პატივ-ჰსცემდა დილარ მყინვართა მეფესა, ვითა მშობელსა მამასა თვსსა. ჰბრძანა დილარმან: „სამსა დღესა აქა ჯერ არს ქორწილისა გარდახდაო." მასვე ჟამსა მოიღეს პური და შეჰქმნეს ლხინი. იგი დღენი მას ადგილსა დაჰყვეს ესრეთითა მხიარულებითა, რომე არა სადა შინახავს მათ მეფეთაგან ეგეთი მხიარულება; და ოდეს სრულ იქმნეს დანიშნულნი იგი დღენი, ჰსთხოვა მყინვართა მეფემან დილარს, ვითა: „ძლიერო კელმწიფეო, მე დავბერებულვარ და დღენი ჩემნი მიწევნილ არიან კარსა საფლავისასა; აწე მოხუცებულისა კაცისა თხოვასა ნუ შეურაცხ-ჰყოფთ, ხვალითგან მე ჩემითა მოხუცებულთა ჴრებულითა გიმასპინძლებთ და კუალადა გამოვსცდით ისართა ჩვენთა ფიცხელობასა ნადირთა ზედაო." დილარმან ფინეზ მეფისა თხოვასა მოხარულმან პატივ-ჰსცა, განთიადადმდე ლხინსა იყვნესა, და რიჟურაჟს ოდენ განიყარნენ მოსასვენოდ; მყინვართა მეფემან უჩინნა დიდებულნი თვისნი დილარ მძლეველსა და უბრძანა, ვითა: „ოდეს ჟამსა თვსსა გამოიღვიძოს და ინებოს, წარმოუძღვით თქვენ მუნ, სადაცა არს გარდასახდომელად დანიშნული ადგილი, და პური მუნ მზა იქმნებისო." ესე რავდენთამე თვისთა დიდებულთა უბრძანა, და თვით მათ მოხუცებულთა სიმრავლითა აღმკედრდა და წარვიდნენ. დღესა მეორესა ბრძანა დილარმან აყრა მუნით და მოვიდნენ დიდებულნი მყინვართა მეფისანი, თაყვანი-ჰსცეს დილარ მძლეველსა და მოახსენეს: „გევედრებისთ მეფე, პატრონი ჩვენი, რათა დღეს პურობა ნადირებულითა მისითა გარდაიხადოთ, და ჯუჯო მოხუცებულისა მეფისა დიდებულებამან თქვენმავე არა უგულებელს-ჰყოსო." დილარს უცხოდ რასმე იამა მოხსენება იგი, და უბრძანა: „დია ღმერთო, წინაშე ვართო."

აქა დილარ მძლეველისაგან მყინვართა მეფის ფინეზის კელოვნებულს ქარვა-ხუთოს სრასა მიბრძანება და მუნ პურობისა გარდახდა მოხუცთა ნადირებულთა ზედა.

აღმკედრდა დილარ მძლეველი და ყოველნი მეფენი კრებულითურთ მათით და გავემართენით. წინარე იარებოდეს დიდებულნი მყინვართა მეფისანი, და მალიადობითა სლვისათა ჟამსა სადილისასა მივიწიენით მუნ, სადაცა განემზადათ პური. მეფე იგი მყინვართა წინა მოეგებზ დილარ მძლეველსა, თაყვანი-ჰსცა და შეუძღვა სრასა, რომლისა უშვენიერესი არა ეგებოდა. იყო სრულად ქარვა ხუთოსი, უცხოსა კელოვნებითა შეწყობილი, და ზედა გულქანდად გამოკუტილნი ყოველნივე იგი მოქმედებანი, ვითარითაცა სიმხნითა აღიღო დილარ მძლეველმან ციკლოპელთა იგი ქალაქი და რაოდენნი ბრძოლანი გარდაიხადა მუნ, ვითარ პყრობილ ჰყო ბრიტან მეფე და სპანი მისნი, და ვითარ შეჰყარნა საყვარელნი მიჯნურნი, ესე ყოველნივე იყვნეს შვენიერად გამოჭრილ და კეთილად კელოვნებულ. რა დილარმან იგი საქებელნი კელოვნებანი ყოველნივე თჳთოეულად განიხილნა, დიდად მოიწონა და ჰბრძანა: „ვითარცა ჰშვენის მეფობასა, სიბრძნესა და მეცნიერებასა მისსა, ეგრეთცა შეუკელოვნებიან საქმენი ესე სიმართლითა და კეთილ-გონიერებითა თჳსითა.“ რა მათ მეფეთა და კრებულთა მათთა უნაკლულოდ იხილეს ყოველივე, შემდგომად აწვია სხვასა სახლსა მყინვართა მეფემან პურად; დასხდენ თვის-თვისითა წესითა, და შეიქმნა მხიარულება, მოზიდეს მრავალ-გვარნი ჭამადნი სუნნელებითა ტურფად შეზავებულნი, მწვარნი და მოხარშულნი; გარნა ესე იყო საკვირველი, რომე სხვა არა რა იყო თჳნიერ უცხოთა და გემრავანთა ნადირთა კორცისა, მწვარნი და მოხარშულნი მრავალ-გვარად შემზადებულნი. ერთსა სწორსა მუნ განისვენეს და შეექცეოდეს. უცხო კელოვნებულისა მის ქარვა ხუთოსა სახლისა

ჭვრეტითა, რომელიცა იყო დიდად საქებელ მხილველთაგან, მით რომე სახლი იგი ქარვა ხუთოსი იყო, სამი-ათას საწოლად დაყოფილი თვს-თვსითა სამაემნოესა შესაკრებელითა სახლებითა. ყოველთა დღეთა წარვიდოდა თვთ მყინვართა მეფე სანადიროდ თვისითა მოხუცებულთა გუნდითა, და ესეოდენთა ნადირთა მოიღებდეს მოკლულთა, რომე მას სიმრავლესა ერთასა მრავალიცა გარდარჩისთ, ჰქონდა ყოველთა დღეთა მეფესა მყინვართასა ძღვენთა-ძღვნობა და არა დააგდებდა არცა ერთსა ვისმე. რომე თვთ ხელითა თვსითა არა მიეღო ძღვენი. ალავსნა ყოველნივე და იყო მხიარულება მოუკლებელი.

აქა მყინვართა ქვეყანისა სატახტოსა ქალაქსა შესვლა დილარ მძლეველისა და სხვათა მათ მეფეთა, დიდებულთა და ერთა, და წინა მოგებება ნუშრევანისა თანა ზრდილთა მოყმეთა, და მუნ სასახლისა და პურობისა განსხვავება და მხიარულება.

მეორესა კვირასა ავიყარენით ქარვა ხუთოსა სასახლით, და მივახლოვდით მყინვართა ქვეყანისა სატახტოსა ქალაქსა, მაშინ წინა მოგვეგებნეს მეფის ძის ნუშრევანისა თანაზრდილნი მოყმენი, ყოვლითა მის ქვეყანისა ჭაბუკითა ყმა კაცითა იგი ყოველნი იყვნეს წითლითა ოქრო-ქსოვილითა ლარითა მოსილნი, ყელთა ეპყრათ ვეცხლისა ლანკნებითა ოქროთა, მოვიდიან თაყვანი-ჰსციან დილარს და მათ მეფეთა, ნუშრევანს ქორწილსა ულოცვიდიან, და უფენდეს ფერხთა ქვეშე ოქროსა მას. ესე ვითარისა მხიარულებისა ლალადებითა შეუძღვნენ სამეფოსა პალატსა და გარდახდნენ, პური დაგებული იყო; და დაიწყეს პურობა და მხიარულება, ჰსმიდეს მოვარაყულსა ღვინოსა, და იყვნენ განცხრომასა შინა. მაშინ მოახსენა მყინვართა მეფემან დილარ მძლეველსა, ვითა: „უძლიერესო დიდებულო კელმწიფეო, უკეთუ ინებებთ, ესე საუზმე იყო და სადილისა პური სხვასა სახლსა არს დაგებულიო, და მუნ ისა-

დილეთო." დილარმანცა ჰრქვა: „ღირს ღმერთო." მყისვე შე-იქმნა სრიალი რაჲმე, და ყოველნივე პურად მსხდომნი ვიქმნენით უგრძნობელად ჩვენსა, სხვასა სახლსა და სხვათა პურსა დაგებულსა მსხდომარენი, იგი წინა სახლი მისი არა ჰგვანდა, ესრეთ, ვითა ამათა ბოშათა ხარგანი, გალიცსა ქალაქისა სრათა შვიდ სართულიანთა. მასა პურობასა ზედა არცა მსახური იყო და არცა მწდე; ჭამადი ყოველი პირველვე დაგებული იყო, და ყოველსა კაცსა წინა ედგა თვითოსა ჭურჭლითა ღვინოჲ და სასმისი. ვსდევს ჭამადისა და ღვინისა ჭურჭელი დავცალით, უჩინოდ შორიგორმე ცალიერნი იგი ძირსა მთავიდის და სხვასა ჭურჭლითა ახალსა საჭმელსა და სხვასა სასმელსა წინა დაგვიდგის, უხელოდ დაესხმოდის ღვინო სასმისთა ზედა და რაჲ შევსვით, გაამოსსა გვეტყოდიან და ჩვენ ვერა რასა ვჰხედვიდით. დიდად მოეწონა დილარ მძლეველსა ხელოვნება იგი, და აქებდა სიბრძნესა მოხუცებულისა მის მეფისასა, რომე-მდგომარე მოახსენა დილარს მყინვართა მეფემან: „[illegible] დიდო ხელმწიფეო, თუმცა მოგახსენებდეთ ძე ჩემი ნუ შრევენ თავსა თვსსა ზედა გარდასავალთა, თავგანწირულობასა და მწირობასა, და სადაცა რა შეემთხვა, გარნა უკეთუ ინებავსთ, ყოველივე იხილეთ ქაღალდსა ზედა გამოჭრილ-გამოქანდაკებულნი, თქვენგან ქმნილნიცა კეთილნი მოქმედებანი მას ზედა; და მისნიცა შემთხვევანითურთ." დილარ მძლეველსა მეტად იამა და ჰრქვა: „[illegible] ჩემმან, ყარგოთ ქმნებისო."

აქა ამეთვისტოსა სახლსა შინა კედლოვნებითა შეწყობილთა სხვა-და-სხვათა სურათთაგან ცოცხალთა შინა დილარის მოქმედებათა და ყოველთა შემთხვევათა ნახვისათა, ხილვა დილარისა და სხვათა მათ ყოველთაგან.

რა დილარ მძლეველმან ნება დაჰრთო მყინვართა მეფესა, მყისვე სახლსა მას, რომელსაც შინა ვიყვენით, რომელიცა სა-

შვებულად გულისა ტურფად რაიმე შენებულ იყო, ესრეთ რომე ვითარიცა სევდითა დაჭმუნვებული გული ყოფილიყო, მუნ ყოფნითა მოიხედვიდა. მას სახლსა იგი ბრწყინვალედ შეგოზილი, შიგნით ერთი პირი მოქამარცვას და გამოჰსჩნდა კედლ-წმიდად განათლილი კედელი სრულისა ამეთვისტოსი. შეწყობილი ესრეთ წმიდად, რომე იგი უზომო და კეკელა სახლი რეცა ერთითა ქვითა იყო ნაშენები, შეწყობილება სრულად არა ეტყობოდა, და ესრეთ ბრწყინვიდა ვითა მზის თვალი, რომელსა ზედა იყო განსადიდებელითა კელოვნებითა წმიდად გამოჭრილ-გამოყვანილნი, ყოველნი მოქმედებანი ნუშირევანისანი ბრძოლანი, მიჯნურობანი ტრფიალებანი, ტირილნი, ბნედანი, მწირობანი, ველთა და ტყეთა სლვანი, აბაშეთს მისვლა, დილარის შეყრა, ციკლოპელთა ქალაქისა შემუსრვა, და ყოველნი ქმნილნი კეთილობანი დილარისანი ნუშირევანისა ზედა, გალიისა ქვეყანასა გამეფება, და ვიდრე მამისა ხილვადმდე, ესრეთ წმინდად იყვნეს გამოჭრილნი, და შეფერადებულნი იგი შემთხვევანი, რომე არა რომელსა კელოვანსა მხატვარსა ძალ-ედვა ეგრეთ ფერადითა შეხამება, და ესე არა თუ წამალთაგან იყო, არამედ სხვათა-და-სხვათა ფერადთა სპეკალთაგან იყვნეს შეწყობილნი კელოვნებითა, უჭვრეტდა დილარ მძლეველი ისანჯვიდა, იამებოდა და დიდად აქებდა კელოვნებასა მას. იგი მოყვარულნი კელმწიფე და მეფენი იყვნენ მრავალთა დღეთა შვებითა და მხიარულებითა, ნადირობდეს, ნადიმობდეს, ბურთაობდეს და ასპარეზობდეს.

აქა კულად ჭმუნვა გულსა დედოფალმან ვაჟი მეორე შეინზარია ქვეყანასა გვირგვინოსანსა და დიდსა ქალაქსა შინა.

ზეგარდამო განგებამან კვალად მოხედა ნუშირევან მეფესა ტკბილითა თვალითა, და ჰშვა გულნაზ დედოფალმან ვაჟი ტურფა და ჰმსგავსი მისი შვენიერებითა, და მაშინ განაღა

შეიქმნა უმეტესი მხიარულება და ურიცხვთა ძღვენთა ძღვნობათ მოვიდეს გალიისა ქვეყანისა ვაზირნი და დიდებულნი; მოიღეს მრავალნი მოსალოცავნი და ძვირფასნი ნივთნი მოართვეს დედოფალსა თვსსა გულნაზს, და გამოჰსთხოვეს მცირე ყრმა იგი სამეფოდ თვისად, მოუდგნენ ბრძენნი და გამოცდილნი კაცნი მზრდელად, და დაუწყეს ზრდა წესსა თვსსა ზედა ყრმასა მას, და უწოდეს სახელი მეფისა თვისისა ბურბონ. შემდგომად მოაღებინა ზღვათა მეფემან ბრიტან სამეფოთ თვსით მრავალნი სხვა-და-სხვანი ახალნი კელოვნებანი და ძვირფასნი სამკაულნი, მოულოცა და მოართვა ასულსა თვისსა დედოფალსა გულნაზს, და ეგრეთვე პოლანთა მეფემან გოჰარ მოართვა მრავალნი, რაიცა ქვეყანასა მისსა იპოვებოდეს, ტურფანი და უსასყიდლონი ნივთნი, და ოდეს ყოვლით კერძო შესრულდა მილოცვანი, მაშინ გულსა დაიდვა დიდმან აბაშთა თვით-მპყრობელმან დილარ მძლეველმან, რათა ჟამსა მარჯვესა ეკითხა მყინვართა მეფისათვს ფინეზისა, თუ რაი და ვინა იყო მზისა ქალაქისა იგი კელმწიფე, რომელიცა ეგზომ განადიდა მან, და ეგრეთვე პოლანთა მეფე გოჰარ ჰნატრობდა ცნობასა, თუ რაი იყო მზისა ქალაქი და ანუ მუნებური მნათობთაგანი, რომელი სანატრელ ჰყო მისთვის. ესრეთ ორნივე იგი ახალ მოყმენი ჭაბუკნი იყვნენ იდუმალ მტრფოლნი მის მზისა ქალაქისა ცნობისა. დილარ ჟამისა მარჯვისა მლოდნებელი იყო მრავალსა ლხინსა და მხიარულებასა, განგრძობასა დღეთასა, და შეექცეოდენ მკეცთა, ნადირთა და მფრინველთა სრვითა და ნადირობითა.

აქა გულნაზ დედოფალმან უშვა ნუშრევან მეფესა ვაჟი მესამე, და განმრავლდა უმეტესად მხიარულება გულთა შინა მათთა.

ვულა მოჰხედა ყოველთა მფარველმან მაღალმან ცამან წყალობითა მყინვართა მეფისა ძესა და გალიისა დიდსა მეფე-

სა და ზღვათა ქვეყანისა მემკვიდრესა ნუშრევანს, და უშვა სტრფომან თვსმან დედოფალმან გულნაზ ძე მესამე, რომელიცა დამნიშვნელ იყო სამთა დიდთა ქვეყანათა მპყრობელობისა. მაშინ ყოველნივე აღივსნენ უმეტესად მხიარულებითა, განხსნეს საჭურჭლეთა კარნი და დაიწყეს უხვად გაცემაჲ გლახაკთა ზედა და დავრდომილთა, ქვრივთა და ობოლთა ზედა. მათ მყინვართა ქვეყანასა შეკრებილთა კელმწიფემან და მეფეთა ინებეს თვსთა საკუთართა საუნჯეთაგან, და რაჲცა მას ქვეყანასა ობოლ-ქვრივნი, გლახაკნი და დავრდომილნი იყვნეს, ყოველნივე აღავსნეს წყალობითა და საუკუნო საკმაო საცხოვრებელი უბოძეს, რომე არღა ვისმე მათგანსა ჰქონოდა მდღევარისა საზრდელისათვს ზრუნვაჲ და არცა რასა ზედა ნაკლულევანებაჲ, და ჰლოცვიდეს ყოველნივე მათ სამთა ყრმათა მეფის ძეთა მზე-გრძელობასა და სვე-სვიანობასა; მოვიდოდეს ყოვლით კერძო მომლოცველნი დედოფლისა გულნაზისა წინაშე და მოართმიდეს მრავალთა და ძვირფასთა ნივთთა, ოქროსა და ვეცხლსა. მას საკვრველ შეხელოვნებულსა ამეთვისტოსა სახლსა შინა აღასრულა გულნაზ დედოფალმან შშობიერობისა წესი, ვითა ჩვეულება იყო მას ქვეყანასა შინა ორმეოცსა დღესა, და იგი მოყვარულნი მონარხი და მეფენი მოხარულნი განამრავლებდეს პურობასა, და მათ სამთა ყრმათათვს სადღეგრძელოთა გარდალევასა, და თვთ დედოფალიცა გულნაზ იშვებდა და ამრავლებდა შუქთა თვისთა ეგე ვითარისა ბედნიერებისა თვსისათვს. მაშინ აღჰსდგა ზღვათა მეფე ბრიტან და ჰსთხოვა მეფესა ფინეზს, ვითა: „ჵ, ყოვლითა ბედნიერებითა აღვსილო მაფეო, მომეც მე მცირე ყრმა ახალი შვილის-შვილთა ჩემთა, რათა დავსვა მეფედ ქვეყანასა ჩემსა, და მე, ვითარცა მონა წელ-შერტყმული, გმსახურებდეთ თქვენ, ვზრდიდე ძესა ჩემსა ჩვენებრივითა წესითა, და იყოს გული ჩემი და გული ერისა ჩემისა დამსჭვალულ სიყვარულსა ზედა მისსა,“ და ჰსთხოვაცა მოყვანებაჲ მათ სამთავე ყრმათა. მეფემან ფინეზ აღასრულა თხოვა მეფისა მის

ბრიტანისა, უბრძანა ძესა თჳსსა ნუშრევანს მოყვანება სამთა ძეთა თჳსთა, შვენიერთა მათ ნაყოფთა. ოდეს მოიყვანეს და იხილა ბრიტან, პაპამან მათმან, სამნივე მკერდსა და წიაღთა მიიყრდნო, ცრემლითა მრავლითა ჰკოცნიდა და ეალერსებოდა, და ესრეთ შეჰსტრფოდა, რომე ამას ჰგუანდა, ერთი სული მისი იყო, ერთი გონება და ერთი სიტყვა; ჰყო ჟამ მრავალ ტრფიალებასა შინა მათსა, და შემდგომად მოიყვანნა ბრიტან მეფემან სამნი იგი ყრმანი წინაშე დილარ მძლეველისა და მოახსენა: „ეჰა, ცადმდე ამაღლებულო კელმწიფეო, დაჰსდევ ძლიერი მარჯვენე თქვენი ყრმათა ამათ ზედა და უწოდე მრწემსა ძმასა სახელი ჩემი, რათა სვე-სვიანობითა თქვენითა იყვნენ ესენიცა ქვეყანასა ზედა სახელისა თქვენისა მადიდებელნიო.“

აქა აბაშთა თჳთ-მპყრობელისა იმპერატორისა დილარ მძლეველისაგან სამთა ძეთა ნუშრევან მეფისათა დალოცვა, და განსადიდებელთა ნიშანთა თვისთა ბოძება.

რა ზღვათა მეფემან იგი სიტყვანი მოახსენა დილარ მძლეველსა, აღჰსდგა ტახტით დიდი იგი კელმწიფე, ყრმანი იგი სამნივე წინარე თვისსა დააყენებინა, კელნი თჳსნი თავთა მათთა დაჰსდვა, თვალნი ზეცად აღიხილნა და ეგრეთ აღმხილველმან ჰსთქვა: „ეჰა, განგებაო, რომელსაცა მოგინიჭებია ჩემდა დიდება ესე ვითარი, რომე ყოვლისა ქვეყანისა მეფენი ბრჭალსა ჩემსა უძრწიან, შენვე მართალო და კეთილო სრულო, მოხედე ყრმათა ამათ მცირეთა—ფინეზს, ზურბონს და ბრიტანს, განაძლიერენ ესენი შენითა ძლიერითა მარჯვენითა, და დღეს, რომელნიცა ქვეყანანი ჩემ მიერ ემორჩილებიან მამასა ამათსა, დაუუნჯენ ამათ ვიდრე საუკუნეთა საუკუნეთადმდე, და ჰყვენ ესენი საყვარელ და საწადელ წინაშე ყოველთა მხილველთა, ვითარ იგი არს მამა ამათი წინაშე თვალთა

ჩემთა, და მოეც ამათ ქვეყანისა ნაყოფთა უხვება, ცით ცვრუვა კეთილთა ცვართა, და მკლავთა ამათთა დაუმორჩილენ ყოველნი მბრძოლნი ამათნი შენისა ნებისა და მართლ-მსაჯულებისა მოსამართლოებითა, მოეც ამათ სოფელსა ჟამს შინა-ცხოვრება მრავალთა წელთა, ვითარცა პაპასა ამათსა, და სიბრძნე მისი ნუმცა განეშორების გულთა ამათთა, სიყვარული შრომათა ჩემთა დანერგე ამათ შორის, რათა იხსენებდენ ღვაწლთა ამათ ჩემთა, რომელ ვიღვაწე მამისადმი ამათისა, რათა განძლიერდენცა ესენი კეთილისა მიმართ ღვაწლისა.“ და-ოდეს დაასრულნა დილარ გვირგვინოსანმან სიტყვანი ესე ლოცვისანი, უბრძანა დიდებულთა ძეთა მოყმეთა თვისთა, და მოაღებინა სამნი ოქროჲსა სახენი თჳსნი, ძვირფასითა სპეკალითა მოოჭვილნი, და ყრმათა მათ ყელთა შეაბა, უბრძანა ნუშრევან მეფესა, ვითა: „ძმაო, ესე სახენი ჩემნი იყვნენ სახსოვრად ჩემდა შვილთა შენთა ზედა, და თუ ოდესმე ვითარითამე შემთხვევითა ქვეყანასა ჩემსა შეჰხვდებიან, მიიღებენ უპირველესსა პატივსა ტახტისაგან, და იქმნებიან მიმთხვეულ საწადელთა თჳსთა.“ მას მოწყალებასა ზედა დილარ მძლევე-ლისასა ყოველთა მათ მეფეთა და დედოფალმან გულნაზ თაყვანი-ჰსცეს და მრავალი მადლობა მოახსენეს, და კვლა დაიწყეს პურობა და მხიარულება ვითარ იგი შეჰგვანდა მათ, და დაჰყვეს კვლა სამი თვე მას შვენიერსა სახლსა შინა ყოვლითურთ შვება მოუკლებელთა; უჭვრეტდა ზღვათა მეფე ბრიტან კედელთა მათ ზედა უცხოდრე გამოყვანილთა ყოველთა შემთხვევათა ნუშრევანისათა, ჰსწუხდა, ინანდა და ჰგმობდა თავსა თჳსსა. მაშინ ჰბრძანა დილარ მძლეველმან მათ ყოველთა შორის, ვითა: „ძმანო ჩემნო, და საყვარელო დაო ჩემო გულნაზ დედოფალო, ესეოდენნი წელნი დამიყვია მე სიყვარულითა თქვენითა, მოშორვებულსა ქვეყანისა ჩემისაგან და არა გამიცხადებია თქვენთანა წადილი გულისა ჩემისა, და აწ ჟამი არს, რათა მეცა ვჰსთქვა წადილი ჩემი თქვენ ყოველთა თანა, მცირედ მაცადეთ მე, რათა დიდსა მეფესა

მყინვართასა ვჰკითხო, რომელიცა მეგულვების კითხვად, და ეგრეთ მივიქცე ქვეყანასა ჩემსა ყმათა თანა ჩემთაო.“ იგი ბრძანება დილარ აბაშეთისა მონარხისა მუნ შეკრებილთა ყოველთა ესრეთ ისმინეს, ვითარ ელისეს მინდორთა მუზთა მათ ტკბილ კმაობა, და ყოველთა მიიღეს დუმილი, იტყოდეს განკვრვებულნი: „ნეტარ თუ რა იქმნების უდიდებულესისა და ძლიერისა კელმწიფისაგან საკითხავი ესე ვითარიო,“ და უმეტეს დედოფალი გულნაზ მოისწრაფებდა სმენასა მისგან ბრძანებულისასა, და თვალ დაუწამწამებელი უმზერდა დაძრვასა უშვენიერესთა ბაგეთა მისთასა.

აქა დილარ მძლეველმან ჰკითხა მყინვართა მეფესა ფაინეზს ჰამბავი მზის ქალაქისა და კელმწიფისა მისისა.

აღაღო ჩჩვლ ულვაშთაგამო შვენიერნი იგი ბაგენი აღმოსავალისა ლომმან და დასავალისა მხიარულებისა მიმფენელმან დილარ მძლეველმან, და ჰრქვა მეფესა მყინვართასა, ვითა: „მეფეო, რაოდენნი ჟამნი არიან, რომე ჰსურს გულსა ჩემსა კითხვა თქვენი, გარნა აქამომდე დავჰსთმე სურვილი გულისა ჩემისა, და არა დაუმძიმე მეფობასა თქვენსა, და აწ ჟამი მაწვევს, რათა იგივე გჰკითხოთ თქვენ. მეფეო, პირველსავე ხილვასა ჩემსა თანა, ვითარცა ჰშვენის მოხუცებულებასა შენსა, ეგრეთ მოიღეთ კურთხევა ჩემზედა, და დამლოცე მე, ვითარცა მამამან მლმობელმან, რომლისათვს გმადლობს გული ჩემი სამარადოდ; გარნა, მამაო, მათ ლოცვათა შინა ესეცა დაურთე, ვითა: „მიცამთხვეულხარო მზისა ქალაქისა კელმწიფესაო.“ მე, მეფეო, სიტყვასა მას აქათ ვარ გამოძიებასა გულსა შინა ჩემსა, თუ რაჲ არს ქალაქი იგი და ანუ რა ბედნიერება იქმნება ჩემთვს მიმთხვევა კელმწიფისა მის. მამაო, ვიდრე ძმისა ჩემისა ნუშრევანისა ქორწილსა შევასრულებდი, დავიმარხე სიტყვა იგი გულსა ჩემსა და აწ ჟამი არს ჩემგან

მისისა კითხვისა; შენგან მოვლილი მე დაუფარავად მის ჰამბისა თხრობასა: თუ ვინ არს კელმწიფე იგი მზის ქალაქისა, და ანუ ქვეყანა იგი ვითარი არს, ყოველივე მომითხარ და საქმე მათი მაცნობე." დილარ მძლეველისაგან რა ბრძანება იგი მიიღო მოხუცებულმან მყინვართა მეფემან, მწარედ აღმოიხრა, დაჰკიდა თავი და დიდსა ხანსა იყო ფიქრსა რასმე მძიმესა, მერმე ზე აღიხედა, შეჰხედა დილარს, ჰვრეტა დაუწყო, თვალთაგან ცრემლნი გარდმოადინნა, და ჰსცდილობდა დაფარვასა მის ჰამბისასა, უარ-ჰყო და ჰსთქუა: „არა რაჲ არს, გარნა მას ლოცვასა შინა სიტყვისა საშვენებელად მომივიდაო." დილარ მის ჰამბისა უსმენელობასა ვერღა მოითმენდა; კვალად ჰრქვა მყინვართა მეფესა: „მამაო, თვით თვალითა შენითა ჰხედავ ახალ მოყმეობასა ჩემსა და ქმნილნი სახელოვანნი საქმენი ჩემნი ზოგნი გსმენიან და მრავალთა არა მოუწევიან სასმენელთადმი შენთა; თუმცა უხილავს ძესა შენსა ნუშრევანს დიდება კელმწიფებისა ჩემისა, გარნა მასცა მცირედნი ოდენ. ათ-რვამეტისა წლისამან არად შევჰრაცხე კელმწიფება ჩემი, დავჰსთმე ქვეყანა იგი განძლიერებული და საყვარლად თანა ზრდილნი ყმანი ჩემნი ანუ არა ესენი ვჰყავა? სიყვარულისათვს ძისა შენისა შეუდეგ კვალსა მისსა და თჳსისა მწუხარებისაგან გამოვიხსენ იგი, მოვიყვანე საყვარელი შვილი შენი და სძალი, და აწ იხარებ მათითა ხილვითა; უკეთუ დამჰფარავ ჰამბავსა მას ჩემგან, ესე იცოდე, რომე თვით ხელითა შენითა მომკლავ მე, და თუ არა შეიბრალებ ყმა კაცობასა ჩემსა სიკვდილისათვის, ესე არა არს სამართალი, მეფეო, ნუმცაღა მესმის საქმესა ამას ზედა უარი თქვენგან, მით რომე, რაცა ჰსთქვით მას ლოცვასა შინა, ყოველივე მართალ არს, მით რომე არა გოჰარცა პოლანთა მეფე ესე მუნებურისა მნათობთაგანისა შეუღლვითა განადიდეა? და ძეცა შენი ნუშრევან დაჰლოცე მუნ სიკუდილისა განრინებისათვს, და ესეცა მსმენია, რომე ჩემისა ურვისა წამალი ამა გზით უნდა ვიპოვო, და შენ, მეფეო, ნურღარასა მიზეზიანობ, და-

ნუმცა უთქმელობითა სიკვდილსა განმიმსწრაფლებთ." რა მოხუცებულმან მყინვართა მეფემან ეგრეთ მწუხარებით დამძიმება დილარისა იხილა, დაჰსჭმუნდა, აღჰსდგა, წინაშე დილარისა მუხლთა ზედა დაიჩოქა და მოახსენა: „ჵე, უდიდებულესო ძლიერო კელმწიფეო და მზესა ქვეშე უსწოროო გმიროო, თვით შეიწყალე თავი შენი და მაგა საქმესა ზედა კელი აიღე, მით რომე მიმყოლი საქმისა მის დაიმწარებს თავსა თვისსა და დიდ-დიდთა ჭირთა და განსაცდელთა შთავარდებისო." მეფე იგი მყინვართა ეგრეთ მუხლ დადგმით ევედრებოდა ცრემლითა ხშირითა დათმობასა მის ჰამბისასა. მაშინ დილარ მძლეველი წარმოჰსდგა, ზე აღაყენა, წვერს აკოცა, აღიყვანა, გვერდსა დაისვა და ჰრქვა: „მეფეო და მამაო ჩემო, სიცოცხლე ჩემი მაშინ იქმნების ჩემთვის მწარე, ოდეს მას ამბავსა სრულებით არა მიამბობ, ესე მტკიცედ იცოდე; რომე მის ჰამბისა უცნობელობა მომკლავს მე, არცა მოგეშვები, ნურა რასა დამიფარავ, რაცა იცოდე ანუ გსმენოდეს, ყოველივე მიამბეო." მყინვართა მეფემან ფინეზ რა დილარ მძლეველისა ეგრეთ გულს მოდგინება იხილა საქმისა მისთვს, ვერღა აწყენინა და მოახსენა: „დიდებულო კელმწიფეო, ნება გულისა ჩემისა ესე იყო, რათა არა გამოჰკიდებოდით დიდად ძნელსა და საფათერაკოსა მას ჰამბავსა, და ვინათგან ესრეთ ჰსწადს გულსა თქვენსა, და მოგახსენებ, მეტად არღა შეგაწუხებთ." ყოველნივე ჰსჭვრეტდენ მოხუცებულსა მას მეფესა და იტყოდენ: „ნეტარ რა იქმნების ჰამბავი იგი, რომე ესრეთ უმძიმს გამოცდილსა მას მეფესა თხრობა ჰამბისა მის, და რომლისა ქვეყანისათა საქმესა მოუთხრობსო." უსაზომოდ გამხიარულდა დილარ მძლეველი მყინვართა მეფისაგან ნების დაჰრთვასა მის ჰამბისა თქმასა ზედა, პირსა და წვერსა აკოცა და შეჰსჭვრეტდა სკისტროსან-გვირგვინოსანი გვირგვინოსანსა მას მეფესა.

თავი მეხუთე

კარი იგივე

მეინუართა მეფისა ფინუზისაგან თავისისა სიჭაბუკისა ჰამბავისა თქმა წინაშე დიდარ მძლეველისა და მისის ქალაქისა ჴელმწიფისა ქებისა მოხსენება.

Ⴈწყო ბედნიერმან მოხუცებულმან მყინვართა მეფემან ფინეზ თქმა ჰამბისა, და მოახსენა: „ეჰა, ძლიერო და ცადმდე ამაღლებულო თვით-მპყრობელო ჴელმწიფეო! მე, მონა ესე თქვენი, დროსა სიჭაბუკისა ჩემისასა მოვვლიდი პირსა ყოვლისა ქვეყანისასა, და სამნივე ნაწილნი მოვიარენ ყოვლით კიდით მათითურთ, და სადაცა რა უცხოთა სანახავთა ვიხილევიდი ანუ ჰამბავთა ვისმენდი ღირსთა ხსოვნისასა, ყოველთავე შთასწერდა ქარტათა შინა ურთგულესი მზრდელი ჩემი ეგროს, რომელიცა არა სადა განმეშორებოდა ჩემგან, რომელსაცა აქვნდა ყოველთა დიდ-შემძლეთა ჴელმწიფეთა და მეფეთა, ბრძენთა ვაზირთა თანა წერა წიგნთა და ახელოვნებდა მათ ყოველთა ზენათა და ქვეყნათა მეცნიერებათა შინა. მას ჟამად მომევლოცა მეოთხისა ნაწილისაცა კერძონი რომელნიმე, და მის სახელოვანისა და ყოველთა მეცნიერებითა განმანათლებელისა ეგროსის მიერ იდიდებოდა სახელი მეფობისა ჩემისა ყოველთაგან დიდად, ვინაჲთგან ეგე ვითარი ზესთა ბრძენი იყო მზრდელი ჩემი. მე, ჩვეული ეგე ვითარისა სლვისა, შევხვდი სლვასა შინა ერთსა კერძოსა აღმოსავლეთისასა კნინღა უკიდურესსა რასმე ნაწილსა, და, სადაცა ვიხილევიდი უცხოთა რათმე ქვეყანისა ერსა, გავეწყობოდი და ჰამ-

ბავთა მათთა ვაამბობინებდი, რომელიცა იყო საამო გულისა ჩემისა. მას უკიდურესსა ადგილსა ესრეთ ფიცხელი იყო მზისა ხორშაკისაგან ჰაერი, რომე ყოველნი მუნ მცხოვრებნი ღამე მოქმედებდეს და დღე ხვრელთა შინა ქვეყანისათა უჩინო იქმნებოდეს. მეცა გამოვჰსცდიდი თავსა ჩემსა ყარიბობასა შინა, და მას ქალაქსა ღამე მავალმან ვიხილენ კაცნი ყოვლად უცხონი და ესრეთითა სამოსლითა მოსილნი, რომე დღეთა შინა ჩემთა არა სადა მეხილვა ეგე ვითარნი, სამოსელი მათი ჰგვანდა ერესა ქსოვილსა რასამე ლიბილსა, გარნა სრულად ოქრო იყო მრავალ ყვავილედად ქსოვილი, ხოლო თვით კაცნი იგი ესრეთ შვენიერნი იყვნეს თვალად, პირად და ტანად, რომე მომივლია პირი ყოვლისა ქვეყანისა და ჰმსგავსი მათი დღეთა ჩემთა შინა არა სადა მიხილავს; ამას იტყოდა მხილველი მათი, რომე „ყოვლისა სოფლისა შვენიერება ამათ ზედა შეჰკრებილარსო." განაღა მე უზომოდ მიამა ხილვა მათი, გავაწყევ გული და მრავალთა დღეთა ხვრელთა შინა ერთად დავჰყავით შექცევითა და ლხინითა, დღესა ერთსა ვჰკითხე კაცთა მათ, ვითა: „ძმანო ჩემნო, უცხოსა და შორიელისა ქვეყანისა კაცი ვარ და ვიარები უცხოთა ჰამბავთა შესაკრებელად, და, ვიცი, თქვენცა უცხონივე ხართ, მიამბეთ ჰამბავი თქვენი და ქვეყანისა თქვენისა და მეცა გითხრა თქვენ მრავალთა ქვეყანათა ჰამბავნი." მათ ესრა სიტყვა იგი ჩემი ესმათ, დიდად გაიხარეს და მრქვეს მე: „ძმაო, კარგსა კაცსა შეგხვდით და საყვარელსა გულისა ჩვენისასა, და ვინათგან გიამება, დია მოგახსენებთო."

აქა მეინვართა მეფისა ფინუხისაგან წინაშე ღილარ მძლეველისა მისისა ქალაქისა კაცთაგან თვისთა ქვეყანისა ერთა და კეთილმწიფისა ჰამბავთა ჰემბობისა მოხსენება.

იწყო ერთმან მან ყოვლად უშვენიერესთა კაცთაგანმან და

ჰსთქვა: „ძმაოჲ, ქვეყანა ჩვენი არს მზისა აღმოსავალისა დასასრულსა კიდესა ზედა, და რომე მისი ვითარება და კეთილობა კაცმან ჰსთქვას, მსმენელი არა ირწმუნებს, მით რომე მზესა ქვეშე ქვეყანასა ჩვენსა არა რომელიმე კერძო არა ემჰსგავსების, და უკეთუ თჳით თვალითა თვისითა არავინ იხილავს, მსმენელთათჳს დაუჯერებელი იქმნების, მუნებური ერნი ესრეთ შვენიერნი არიან, რომე არა რომელსამე კელოვანსა მხატვარსა, ვითარნიცა არიან, ფგეთისა შვენიერისა კალმითა დახატვად ვერ ძალ-უძს; აჰა, ჩვენ, მის ქვეყანისა მდაბიონი უკანასკნელნი მიწის მუშაკნი ვართ, პირის ფერობა და ჰაეროვნება ჩვენი ამა გარე ქვეყანათა და ცუდთა ჰაერ-წყალთაგან განრყვნილი არს და კვალად ესრეთნივე ვართ! ჩვენთა ქალთა თვალ-ტანადობისა შვენიერება მიუწთომელი არს, მით რომე რაზომ გინა სხვათა ქვეყანათა ქალნი მნათობნი იყვნენ, ჩვენებრთა მდაბიოთა ცოლთა და ქალთა ვერა ესწორვიან; ესრეთითა გარდამატებულითა შვენიერებითა განმდიდრებულ არიან, და გალანამცა ჩვენთა დიდებულთა ცოლთა და ქალთაცა! ჩვენსა ქვეყანასა შინა ღამე არა იქმნების და მარად დღე არს; ქვეყანისა კეთილობა და ნაყოფთა მომცემლობა მდიდარი არს და მოუკლებელი; ერთსა თესლსა ზედა ათასსა მომცემლობს; ოთხნი დრონი წლისანი უმეტ-ნაკლებლად შეზავებულ არიან უცვალებელად, ჰაერი მისი დამტკბარ არს, და, იტყვიან, ედემისა მსგავსებასა; წყალნი ტკბილნი და ჭავლ-კანკლედად ჩამჩქერნი, უგემოვანესთა მრავალ გვართა თევზთაგან განმდიდრებულნი, ხენი ტკბილთა ნაყოფთაგან სავსენი შვენიერად ირხევიან, მთანი და ველნი მრავალ ფეროვანთა ყვავილთა სუნნელებითა სავსენი არიან, ჰაერი, ზეფირისა მომნიავებელი ნელიადობითა, სიცოცხლისა დღეთა ამრავლებს, მრავალ გვარ-ფრთოვანთა ტკბილად კმოვანთა მფრინველთაგან სასმენელნი ჩვენნი დასტკბებიან; ტყენი და ჭალაკ-ხერთვისნი ნადირთა მიერ აღვსილ არიან; წალკოტთა და მტილთა კეთილ შვენიერება არა მიიწთომის; სნეულება არა ვითარიმე

არა იქმნების მუნ, თვნიერ წყინებისა, და უკეთუ ვის რა
ეწყინა, მოუთმენელობა სიკუდილსა მოუსწრაფებს. ესე ვითა-
რად განკეთილებულსა ქვეყანასა და ერთა გვივის კელმწიფე
ბრძენი, უხვი, მოწყალე და მოსამართლე, დიდ გვაროვანთა
კელმწიფეთა ჩვენთაგან შთამოსრული, გარნა ძლიერსა მას
კელმწიფესა ჩვენსა ჯერეთ შვილი არა უვის და ამისთვის
განდიდებული იგი სახელმწიფო დიდსა ურვასა შინა არს, და
ჰსთხოვენ განგებასა ნაყოფსა მათსა. იგი კელმწიფე ჩვენი სე-
ზოსტრ და დედოფალი ესთერ გარდამატებულითა შვენიერე-
ბითა განმდიდრებულ არიან, ესრეთ რომე თვთ დიდებულნი
ჩვენნი განჰკვირვებულან მათსა მას შვენიერებასა ზედა, რომ-
ლისათვის უმეტესად ისურვიან მათსა ნაყოფსა და რაჲცა
იქმნების წული ძე ანუ ქალი, სიხარულით მიიღებს დიდებუ-
ლი იგი ტახტი. მას ქვეყანასა ჩვენსა აქვს წინა ჩვენსა გზასა
ზედა საზღვარს გარე ორისა თვისა სავალი უწყლო და უნა-
ყოფო, ბიცი და ალდაჭი მინდორი და მისსა გარე არს გრძნე-
ულთა ქვეყანა, განდიდებული სამეფო, იგინიცა კელმწიფისა
ჩვენისა კმასა ემორჩილებიან, გარნა ყოველნი იგი ერნი მე-
ფითურთ მათით შეჰსდგომიან გრძნებისა კელოვნებასა და
განჰსწავლილ არიან ფრიად მას შინა. ამათ ორთა მიზეზთაგან,
არავის ძალ-უძს შესვლა მას კეთილსა ქვეყანასა ჩვენსა; თვით
გრძნეულთა მათცა ქვეყანასა კაცობრივითა ძალითა არა შეი-
ძლების შესლვა, და ამას გარდა, იგი უწყლო და უნაყოფო
ადგილი არავის ნებას-ჰსცემს შესვლად მას ედემისა ჰმსგავსსა
ქვეყანასა ჩვენსა. ჩვენ მრავლითა შრომითა გამოვვლით მას
უნაყოფოსა ადგილსა, ბრძანებითა კელმწიფისა ჩვენისათა
უცხოთა ჰამბავთა შეჰკრებისათვის. გამოვიტანთ ქვეყანით ჩვე-
ნით ქვათა, რომელნიცა სხვათა ქვეყანათა ძვირფასად გაივა-
ჭრებიან, და ესრეთ შევჰკრებთ უცხოთა ქვეყანათა ჰამბავთა,
მივართმევთ კელმწიფესა ჩვენსა, რომელიცა აღგვავსებს მრავ-
ლითა ნიჭებითა და წყალობითა. უვის კელმწიფესა ჩვენსა სე-
ზოსტრს ბრძენთა-ბრძენი ვაზირი ჯანუჯან, რომელიცა განსწა-

ვლილი არს მყინვართა ვისმე მეფისა ვაზირის ეგროსისაგან, რომელთაცა აქვსთ, თურე, წერა ერთი-ერთისა თანა ჩვენებრთა მატარებელთა შეტანითა და გამოტანითა, გარნა ჩვენ ესე არა ვიცით, მით რომე სხვანიცა მრავალნი ჰყვანან კელმწიფესა ჩვენსა ჩვენებრ მატარებელნი, და ძველადგანვე აქვს ჩვეულებად ტახტსა მას საქმე ესე ვითარი, ჩვენ ათნი ვართ ამა კერძოსა შინა, ოთხნი არა დავაგდებთ ადგილსა ამას, ექვსნი წარვალთ შემკრებნი ჰამბავთანი, მოვახსენებთ კელმწიფესა ჩვენსა და კვალად მოვალთ აქავე და დავსდგებით ცვლით, რომელთა რიგი შეგვხვდების დგომისა. აჰა, ძმაო, ესე არს ჰამბავი ჩვენი და ამა საქმესა ზედა ვართ რებულნიო.“ დიდო კელმწიფეო, მე რა მათ ყოვლად უშვენიერესთა კაცთაგან იგი ჰამბავი მოვისმინე, მრავალი მადლობა უთხარ და ვჰსთხოვე, რომე „მეცა დაუტევებ კაცთა ჩემთა ცვლით,“ ვითარცა თქვენ ხართ ეგრე, თქვენისა ქვეყანისა ჰამბავთა მათ ეტყოდეთ და იგინიცა მრავალთა სხვათა ქვეყანათა ჰამბავთა შეგიკრებენ, ჩვენსა წერილსა კელმწიფესა თქვენსა მიართმიდეთ, და ამით სახითა უმეტესად განამხიარულებთ კელმწიფეზა თქვენსა.“ რა კაცთა მათ ჩემგან ესე ისმინეს, დიდსა მხიარულებასა მიეცნენ და მრქვეს: „ძმაო, თუ მაგა საქმესა იხმარებ ჩვენზედა, შენ იქმნები გულისა ჩვენისა სიხარული და დიდისა კელმწიფისა ჩვენისა მოყვასიო.“ მასვე ჟამსა ოცი ათასი ოქრო შევჰსძლვენ მათ კაცთა, ოთხნი ყმანი ჩემნი მეცა დაუტევე მათ თანა, მრავლისა ოქროსა საზრდოდ მიცემითა ერთმანერთსა შევასაყვარლე, გავემცნე კელმწიფესა სეზოსტრს წიგნისა მიწერითა. დაუტევე მშვიდობა და წარმოველ. უდიდებულესო კელმწიფეო, მუნ დღითგან განწესება იგი არა დამიგდია, ერთ-გზის წელიწადსა შინა გავგზავნი ოთხთა გამოცდილთა მონათა ჩემთა მრავლითა ჰამბითა და წერილითა ჩემითა, ახალნი მივლენ და ძველნი წარმოვლენ მის ქვეყანისა და კელმწიფისა ჰამბისა მომტანნი; უზომო და განძლიერებული ქება არის მის მზისა ქალაქისა, და არცა

არს ქვეყანასა ზედა მისებრი კელმწიფე, ქვეყანა და ერი, უწინარეს ათ-ხუთმეტისა წლისა მივჰსწერე დიდსა მას კელმწიფესა სეზოსტრს წიგნი ქებისა თქვენისა და მოვახსენე ყოველივე დიდება და ძლიერება თქვენი, და კვალად ესე სამი წელი არს რა უდიდესი სახელი შეიმოსეთ ციკლოპელთა მის ქალაქისა შემუსრვითა და ტყვე ჩვენი დაიხსენით, გალანამცა ესენიცა წვლილად ვაცნობე მას კელმწიფესა.

აქა მეინუართა მეფისა ფისუზისაგან წისაშე ღიღარ მძლეველისა მოხსენება, მზის ქალაქისა კელმწიფისა გარდაცვალება და ასულისა მისისა ასავსისა გაკელმწიფება.

იწყო მყინუართა მეფემან კვალად და მოახსენა, ვითა: „შარანდლისა წელსა მომივიდა ჰამბავი, რომე იგი უსწორო კელმწიფე სეზოსტრ გარდაცვალებულა და დაჰშთომია ერთი ოდენ ასული, რომლისაცა განცდა შვენიერებისა მისისა არა შეუძლიან თვალსა კაცისასა. იგი ასული თვისი სიცოცხლესავე თვსსა აღუყვანია ტახტსა ზედა, დაუსვამს კელმწიფედ ათ-ორმეტისა წლისა, მას ზღუდეთა ქალაქისათჳს აღუშენებია ათ-ორმეტი გოდოლი სრულისა იაგუნდისა და სხვათა ათერთმეტთა მათ ძვირფასთა სპეკალთა ქვათა თლილთა ფიქალთაგან, თვითოსა გოდოლსა წინა შეუმკვია ბაღი საკვრველისა ხელოვნებითა და მრავალ გვარითა ნაყოფიერითა და სუნნელითა ხე-ხილითა და ყვავილთა სიმრავლითა; იტყვიან ესრეთ, რომე გოდოლნი იგი თვითო, სიდიდითა და სრა-პალატ ოთხთა სიმრავლითა, თვითოთა კეკელათა ქალაქთა უმეტესობდეს, შენებულებათა შვენიერებისა გამოთქმად შეუძლებელობენ, ხოლო სიმტკიცითა ესრეთ აქებენ, რომე მბრძოლთაგან გატეხა ანუ აღება მათი ყოვლად შეუძლებელ იყოს. იგი ათორმეტნი გოდოლნი მიუჰმსგავსებია ათორმეტთა ცისა ზოდიაქოთათვის, და სახელნიცა მათნი უწოდებია, და დაჰყურე-

ბენ, თურე, ყოველსა მას ქალაქსა და ზღუდეთა ქალაქისათა და ბაღთა. უახლებია ათ-ორმეტნი-ათასნი თვისთა დიდებულთა ასულნი თანა ზრდილნი და წლითა თანა სწორნი მისნი, და თვითოსა თვესა შინა თვითოსა მას გოდოლსა იმყოფება, ვითა მზე მათ ბურჯთა შინა, თვითოსა გოდოლსა ათასნი იგი მნათობნი დიდებულთა ასულნი ჰსცხოვრებენ ყოვლითა საკელმწიფოსა წარსაგებელითა, და შეაქცევენ კელმწიფესა თვისსა, ხოლო თვთოსა გოდოლსა შინა ოთხი-ათასნი ესრეთნი საჭურჭლენი დაუცან და დაუუნჯებიან, რომელ ტურფათა ნივთთა რიცხვი არა ეგებისო. იგი კელმწიფე ანავსია განაგებს დიდსა მას სახელმწიფოსა ყოვლითა წესითა სეზოსტრ ხელმწიფისათა და ჰმორჩილებენ ყოველნივე ბრძანებასა მისსა, და შემდგომისათვის თუ რა იქმნების, იგი ჟამმან თვისმან განაგოსო.“

აქა მყინუართა მეფისაგან დასრულება წინაშე დილარისა ჰამბავთა მზის ქალაქისა კელმწიფისა და ქვეყანისა მათისა.

რა ესე ჰამბავი დაასრულა მყინუართა მეფემან წინაშე დილარ მძლეველისა, თაყვანი-ჰსცა დილარსა და დაჰსჯდა დაღრეჯით და თავ-დაკიდებით, გარნა დილარს ესრეთ იამა, რომე უმეტესობა არღა ეგებოდა, გარდაეხვია, აკოცა მყინვართა მეფესა, და ჰრქვა: „მეფეო, რად დაგიღრეჯია კეთილისა ჰამბისა წარმოთქმისათვის? აწითგან მივჰსცეთ თავნი ჩვენნი უმეტესსა მხიარულებასა, რომე დიდისა კელმწიფისა და ქვეყანისა უცხოსა ჰამბავი ვისმინეთო!“ მაშინ მოხუცებულმან მყინუართა მეფემან მოახსენა, ვითა: „კელმწიფეო დიდო, საქმე ესე, ვიცი, რასაცა ჭირსა დაგაბამთ, გარნა სინანული ვისრას გვიშველისო.“ ესე მოახსენა მყინუართა მეფემან და კვალად იყო დაფიქრებით. აქებდა დიდად დილარ მძლეველი გულსა შინა თვსსა მის მოხუცებულისა მეფისა გონიერებასა.

და იტყოდა: „ჰშვენის სიბრძნესა ამისსა ყოვლისა ქვეყანისა მეფობა და განგება მათიო.“ ამას ჰბჭობდა დილარ მძლეველი, გარნა შეეპარა გულსა შინა თჳსსა, ვითა ძილი მრავალ დღე უძილოსა, სიყვარული მის მზის ქალაქისა კელმწიფე ანავსიასი და განიფესვ-ძირებდა მის შორის სურვილი მისი, გარნა გა-ნუმაგრდა თავსა თვისსა, და მიჰყვეს კელი მხიარულებასა და პურობასა; ერთსა სწორსა ესრეთ განმხიარულდნენ ყოველნი-ვე, რომე, ჰგვანდა, განგება აღსრულდებოდა ურთიერთსა. რა განჰს-დიდებულსა მას ლხინსა ერთი კვრა დაჰყოს,

აქა გალიისა და ზღვათა მეფემან და მეინვარდმა მეფის ძემან ნუშირე-ვან თჳსსა ნამსახურსა რაოდამს უბოძა ერთი ქალაქი თჳსითა გარე-მოებითა სოფლებითა და დაბნებითა, და ეგრეთვე მერიგსა მორეს სამასი სოფელი უბოძა.

Mერმე მოუწოდა ნუშირევან მეფემან გულნაზ დედოფლისა თანა ზრდილსა და ნამსახურსა რაოდამს და უბოძა მას ზღუა-თა სამეფოსა შინა ერთი რჩეული და ჰრჩეული ქალაქი თჳ-სითა გარემოთა სანახებითა და დაბნებითა, და ჰრქვა: „დაო ჩემო, შენ ნამსახური და ღვაწლ-დადებული ხარ მზესა ჩემსა ზედა და ჩემთვისცა მრავალი ჭირი გარდაგიხდიან, აწე მაგა ქვეყანათა უპატრონეო, ვინცა გწადდეს დიდებულთა ჩემთა-განი ქრმად შეირთე და ესრეთ გვჰმსახურეო.“ რაოდამმან თაყვანი-ჰსცა და მოახსენა: „მეფეო, მე თქვენისა ჰვრეტისა უკეთესი არა რაი მინდა, გარნა ეგე წყალობა თქვენი არავე-საუარო არს ჩემგან, უკეთუ სამსახურსა თქვენსა არავე მომა-შორებთო.“ ესე ნამსახურისა მოგონებაზე ნუშირევანისა მიერ დილარს დია იამა და მადლობა უბრძანა. შემდგომად მიმო-წოდა თვით მე, მორე, და სამ-ასი ჰრჩეული სოფელი მიბოძა და მიბრძანა: „ძმაო მორე, ნამსახური ხარ და შენისა შრო-მისა ჯილდოდ ეგე სოფელნი შენდა მიბოძებია, გარნა ნუ-

მცა იქმნების შენ მიერ მოშორება დილარ მძლეველისა, და ჰამზავთა სიმართლით წყრომა ეცადეო." მე მადლობა მოვახსენე, კვალად ვაკოცე, დავჰლოცე მეფობა მისი და დილარის ტახტისა წინა მიწასა ვაკოცე. მიბრძანა დილარმან: „ძმაო, მე ჯერეთლა შენთვს წყალობა არა მიბოძებია-რა, გარნა ვინაჲთგან ძმამან ჩემმან ნუშრევან თავი შენი მე შემომჰსძღუნა და ჰამზავთაცა ჩემთა ჰსწყერ, ჩემგანცა ჯერ არს წყალობაო. და უბრძანა სპასალარსა თვისსა მარსის: „ესე მოყმე შენდა მომიბარებია, ათასთა დიდებულთა ძეთა თანა შემირაცხავს და ესრეთ უფრთხილდი, ვითა პატრონსა შენსაო." მარსიმ თაყვანი-ჰსცა, მიმიყვანა მათ ათასთა მოყმეთა დიდებულთა ძეთა თანა, ოქროსა სკამსა ზედა დამსვა, ტანსა ზედა სადიდებულო შესამოსელი შემმოსა, ბეჭედი მათებრი ნეკსა შემაცვა, დღესა შინა მოუკლებელად ოროჯიკად ხუთასი ოქრო განმიწესა და ყმა-მამული ურიცხვი ჩამიჭთქვა დროსა თვისსა ზედა.

აქა დილარ მძლეველმან მოიკითხა უმოხუცებულესი იგი ვაზირი ეგროს, ყოველთა ბრძენთა მის საუკუნოისათა სწავლითა განმანათლებელი.

მას ნუშრევანისა მიერ ნამსახურთა მოგონებასა ზედა ჰკითხა დილარმან მყინვართა მეფესა ფინეზსა ვითა: „მამაო, ჩემსა მზესა, იგი ღვაწლ-დადებული მოჭირნახულე თქვენზედა ლალა, გამზრდელი ვაზირი თქვენი, უკეთუ აქა გახლავსთ, ცნობა მისი საკუთრად დიდად ჰსურს სულსა და გულსა ჩემსა და მწადს ხილვაჲ მისი, უკეთუ მოხუცებულებითა არა დაიზარებსო." მასვე ბრძანებასა ზედა დილარ მძლეველისასა მოუწოდეს უმოხუცებულესსა მას ვაზირსა ეგროსს; მყისვე შემოვიდა თმა-წვერ განსპეტაკებული ზესთა ბრძენი იგი, წინარე წარჰსდგა, თაყვანი-ჰსცა დილარ მძლეველსა, ტახტის პირს აკოცა, დაჰლოცა და მოახსენა ქება შეჰმსგავსებული დიდე-

ბულისა კელმწიფებისა და ძლიერებისა მათისა, აღიპყრნა კელნი ცად მიმართ და მოხუცებულთა თვალთაგან დნეპრის ჰმსგავსად უხვად ცრემლნი ამდინარნა, ალალო უმოხუცებულესნი ბაგენი და იწყო უბნობაჲ ხოტბისა ესრეთ:

ი ა მ ბ ი კ ო ნ ი.

უძლიერესო მონარხო გმირთა ძველთა,
აღმოსავლეთით დასავალს ჰფენ ნათელთა,
სურვით შერყეულთ უმტკიცებ საფუძველთა,
ციკლოპს მებრძოლთა გვამით უსერე მელთა,
საკვრველს სიბრძნით შერახვევდ ციხეს ხვრელთა!
ცას ვჰხედავ თქვენზედ განხმულთა სადიდებლად,
მუნით მუზთადა მოსრულთა თქვენდ საქებლად,
ნათლიერ გმირთა ერთის-ერთისადმი მსწრებლად,
განსადიდებელთ გვირგვინთა კელთა მპყრობელად,
მესმის, გიტყვიან თქვენ დიდ სახელის მკრებლად!
ზედა მეტრფენი გაწვევენ სხვას დიდებას,
ჰსწერენ სათქვენოდ უზესთაესსა ქებას,
აღმოსავლეთად უშორესადრე რებას,
ყოველთ სკიპტროსანთა აქმნევენ თქვენს მონებას,
ამას ნუ ჰგონებთ ჩემგან სათქვენოდ თნებას!
ფარსკულაენი ფვისსა წესსა თქვენზე ტკბილობენ,
ზოდიაქონი ფარვას ვრცლად გაჩრდილობენ,
ეტლნი სრულებით დიდად რასმე ჰსცვლილობენ,
თქმულნი ღმერთთანი შემწედ თქვენდა ჰყრილობენ,
მინერვას *) თანა მოგზავედ გიპირობენ!

*) დედანში: მინერვა ღ̃თია სიბრძნისა, კელოვნებისა, მეცნიერებისა და ღ̃თია ბრძოლისა.

კუპიდონ *) და სხვა ვენერად **) წოდებული
ცდილობენ, რათა ეგე მყარად სალ გული
სიყვარულითა ჰყონ რადმე ცვალებული,
მცირედ გიზიდონ, გარნა ვერ გჰყონ ძლეული,
მით რომე პრიაპ ***) არს თქვენზედ დგინებული!

მორფეჲ ****), ორთა სიყვარულის მწდეველი,
უმზადებს წამალს, საძილოდ მისცემს კელთა,
არ აცლის თქვენდა სურვილისა მფრქვეველთა,
რათა სრულებით შეგზიდონ ტრფობის ველთა,
გარნა ეგრეთცა გარდაგხვევენ საბელთა!

ვჰსთხოვ მაღალსა მას ცათა დამამყარებელს,
და მრავალთ წყალთა ერთადრე ზღუად შეკრებელს,
რათა განერნეთ ყოველს ბოროტს სავნებელს,
და სიხარულით შეხვდეთ თქვენსა საშვებელს,
ქვეყანასა მას სურვით ყოვლთა საქებელს,

მიიღოთ სკიპტრა კელმწიფეთ მბრძანებელი,
ყოვლთა მეფეთა ყმურად ყე მმონებელი,
დამპყრობი მისი, მზეებრ მანათობელი
მეუღლედ თქვენდა ჰგებდეს დამტკბობელი,
და სამთა ძეთა იყოს თქვენდა მშობელი!

მოესწრათ მათსა თქვენს უმეტეს გმირობას,
სიბრძნით და სწავლით განსადიდებელს მკობას,
ვესავ მე ჩემთა თქმულთა ყოფით მზაობას,
მით რომე ცუდად არ ვაბნევ სიტყუაობას,
თვით მე ვიხილო იგინი მათსა ყრმობას!

---

*) დედანში: კუპიდონ ღ̃თია სიყუარულისა.

**) დედანში: ვენერა ღ̃თია სიყუარულისა და შვენიერებისა.

***) დედანში: მორფეჲ კარის კაცნი ძილისა ღ̃თთანი და დამძინებელნი......

****) დედანში: პრიაპ ღ̃თია უკუნ-მაქცეველი სიყუარულისაგან.

მონარხო, დიდნი შეგხვდენ შემთხვევანი და,
ბრძოლა სასტიკნი, უზომო სისხლ-ღვრანი და,
სხვა-და-სხვა გვარნი განსაცდელ-ურვანი და,
რომე ქვე თქვენსა ჰსძრწოდენ ტინნი ქვანი და,
ბოლოდ კეთილად იყოს თქვენი სლვანი და!
ზარნა უფრთხილდი, ნუშრევან, თქვენს მონასა,
მით რომე ვჰხედავ ეტლს მისზედ ცუდ მრონასა,
ვეშპისა მიერ ინთქას იგ მუნ ყოვნასა,
ჯანუჯან ესწრას მისსა წყლით განბანასა,
ჩემ მიერ წამლით უქმს სოფლად მოყვანასა!
იგი ვაზირი, ჩემგან განსწავებული,
ახსოვს ყოველი, გულსა მისსა მცნებული,
ვარსკვლავთა სლვასა ჰყავ მძლედ კელოვნებული,
სხვა ქვე სწავლათა იყო მოსწრაფებული,
მიიღო სწავლით და საქმით არს ქებული!
თვინიერ მეფის ჩემის, ჩემგან ზრდილისა,
სხვა მჯობი მისი რომლისმე ადგილისა
არ იპოების, არ ჰსჯობს თქმა ქადილისა!
მას ჰსურს შეფარვა თქვენის ტახტის ჩრდილისა,
იგი ნუშრევანს ექმნას მხსნელ სიკუდილისა!
დიდიცა იგი მპყრობელი პეკინისა,
ვეშპისაგამო შეხვდეს ჟამს მომწყინისა,
სამთა ვეშაპთა თქვენი მკლავი ტინისა
დაჰხოცს დიდ-დიდთა, ტყავნი აქვსთ, ვით რკინისა,
ემალოს მათცა თქვენგან ყოფა ბინისა!
უჭირდეს ბრძოლას მარსის სპასალარსა და,
ჩაბალახ მოშლილს ჰსცემენ ბასრს ლახვარსა და,
თქვენად მისვლადმდე შეიქმენ სისხლ-ღვრასა და,
მზისა ქალაქის შესასვლელს სამზღვარსა და,
არა რა ევნოს, სახელს ჰკრებს საკმარსა და!
ესე ათ-ასნი დიდებულთა ძენი და,
იდიდნენ დიდად, ძლიერთ მებრძოლთ მძლენი და,

ვინცალა იყვნენ მუნ თქვენი თან მხლენი და,
ღირს იქმნენ მნათობთ ნიჭით აღსავსენი და,
სვე კეთილობით დაუტკბესთ მათ დღენი და.
მრავალნი მბრძოლნი, სკიპტრისა მპრობელნი და,
ძლიერნი ძალით, ბრძოლით სკვრეულნი და,
თქვენს ბრჭალსა ქუეშე იქმნენ მმონებელნი და,
ბოლოდ შეექმნასთ ეტლნი დამტკბობელნი და,
მიხვდენ საწადელს, რის იყუნენ მთხოველნი და!

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

უმოხუცებულესმან ვაზირმან ეგრეთ, რა შესხმა იგი მოახსენა, მოვიდა, დილარს ფეხნი აკოცა; დილარ მძლეველმან პირს აკოცა და ჰრქუა: „მამაო, კურთხეულ არს ხილვა შენი და დიდებულ სვეცა ჩემი, ვინადგან მოვიღე ლოცვანი შენებრ უმოხუცებულესისა კაცისაგან! ამისთჳს მოვალე ვარ მეცა, რათა გარდავიხადო ნაცვალი შრომისა ამის და წინასწარმეტყველობისა, რომელიცა მრწამს, რომელ აღსრულდეს თჳსსა ჟამსა ზედა, ვითარ იგი აღსრულდა ნუშრევანსაცა ზედა ლოცვანი შენნი.“ მერმე ჰკითხა მყინვართა მეფესა დილარ მძლეველმან, ვითა: „მეფეო, ამას უმოხუცებულესსა კაცსა გულის სათქმელსა რა აქვს ჯილდოდ თქვენგან მიღებული თჳსისა სამსახურისათჳსისაო?“ მოახსენა მყინვართა მეფემან: „კელმწიფეო ძლიერო, გარდა თჳსთა მამულთა ყმათა და მამულთა, აქვს ჩემგან სამკჳდროდ ბოძებული ორი ქალაქი თჳსითა გარემოთა და რვა-ასითა სოფლითა, და აწ ვინათგან პირის-პირ თქვენგან ცნობისა ღირს იქმნა, ამისთჳს სამი ქალაქი თჳსითა გარემოებითა და ათას-ორასითა სოფლითა კუალად მიბოძებია. კელმწიფეო, ყოველივე საქმე ქუეყანისა ჩემისა ამის-მიერ განიგების; ჰყავან კელ-ქუეშენი მრავალნი, ვაზირნი და მოხელენი; არა რა იქმნების საქმე ეგზე ვითარი, რომელიცა მა-

გისსა შეკითხვასა ქვეშე არა იყოს; შვილი ამისი ლარა, ძისა ჩემისა თანა ზრდილი, შიმუნვარი სპასალარი და სახლის უხუცესი არს, ესრეთ ვჰსცხოვრებთ ერთი-ერთისა განუშორებელნი სიყვარულითაო.“ მას მყინვართა მეფისა ბრძანებასა ზედა უმოხუცებულესი იგი ვაზირი ეგროს იქმნა ჴელითა მპყრობელ ძისა თჳსისა ლარასი, მივიდნენ წინაშე დილარ მძლეველისა, ჴელს ჰკოცეს, და აგრეთვე მყინვართა მეფესა ფინეზს და ძესა მისსა ნუშრევანს. დილარმან უბრძანა ერთსა მოყმესა თჳსსა დიდებულთა ძეთაგანსა და ერთითა დიდითა ოქროჲსა სინითა მოაღებინა სავსე ესრეთითა სხვილითა მარგარიტითა, რომე უმსხოსნი მათსა არღა ეგებოდა, უბოძა ბერსა ვაზირსა და უბრძანა: „მამაო, ესე ჩემეულად სახლსა შენსა დაიუნჯე სახსოვრად ჩემდაო.“ კჳლა მოაღებინა ერთი ჴელი კაცისა და ცხენისა საჭურველი ყოვლისა თანა იარაღითა და უბოძა ლარას, ნუშრევანისა სახლისა უხუცესსა; იგი ორნივე მამა-ძითა ქვე დაემხნენ, თაყვანი-ჰსცეს, მადლობა მოახსენეს, კჳლა მივიდნენ და მუჴლს აკოცეს. დილარმან უბრძანა უმოხუცებულესსა ეგროსს, ვითა: „მამაო, თავმან ჩემმან, საყვარელი ჩემი ხარ და ნამსახურისა დავიწყებაჲ არა ჯერ არსო.“ მან კჳლა ქვე მიწათა დაფენით თაყვანის-ჰსცა, მივიდა ძითურთ თჳსით მოაჯეთა ადგილსა, დაჰსდგნენ, და მკერდსა ზედა ჴელ-მოჭდებულმან იწყო მოხსენებაჲ ესრეთ:

ფისტიკური.

ჵ, დიდებულო ჴელმწიფებითა, მბრძოლთ შემძრწუნო
გმირის მკლავითა,
ვით ანგელოსსა ზეცით მოსრულსა, ეგრეთ გმზერ ბრყვილის
სახედავითა,
რაცა გნებოს, აღასრულებცა, ძალ-გიძს ძალითა მტერთ მმუ-
სრავითა,

ელნი გმირნებენ, ბურჯნი ცისანი ყოველით მათითა საბრძ-
ნავითა!

რადგან მომხედე წყალობის თვალით და ვეღირსეცა თქვენ-
გან ცნობასა,
ცამან დამხედა, სვემან კეთილმან, მოვესწარ თქვენსა მფარვე-
ლობასა,
თქვენით მიიღებს ყოველნი კიდენი აღშფოთებულნი დიდს
მშვიდობასა,
ვალი მაქვს მოხუცს ძველთა ღმრთისა ვაქებდე თქვენსა კეთილ-
მწიფობასა.

მე სიკვდილამდე, ჰე, თვით-მპყრობელო, მადლგინეთ თქვენ-
და მადიდებელად,
რა გაგვა, თქვენი ვიყო მკურთხევი და სახელისა მძლედ მაქე-
ბელად,
რაცა ინებოთ თქვენის ძლევისა, ვარ ყოველისავე მის შემძლე-
ბელად;
მომხედეთ მოხუცს მოაჯესა და მაქვს მცირე ვედრი მე სათხო-
ველად.

ნუ შეურაცხ ჰყოფთ ჩემსა თხოვასა, ლოცვის მყოფს საწადლის
აღსრულებასა,
ნუცა დამაგდებ ჟამს სიბერისას და ჩემის ძალის გლახ მოკლე-
ბასა,
ჭაბუკნი ესვენ თვით სიბერემდე ბედოვნებისა განახლებასა,
მე მარად ველი სიბერის გამო, საფლავისადა კართ განღებასა.

ერთი მაქვს თხოვა წინაშე თქვენსა და, ვიცი, ჩემგან ძნელ
არს კადრება,
მით რომე მიძლევის არა რა თქვენდა, ეგე ვითარი მე მსახუ-
რება,
მაგრამ დიდი არს ღვთისა და თქვენებრთ, კელმწიფეთაგან სა-
ხიერება,
ესე მჰსცემს ძალსა გაბედვისასა, ვარნა წყრომისთვის მაქვსცა
ვედრება!

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

უბრძანა დილარ მძლეველმან: „ჰსთქუ, მამაო, ძველო დღეთაო და, რაჲცა გინა, თავმან ჩემმან, აღგისრულებო.“ კულა თაყვანი-ჰსცა ეგროს ვაზირმან და მოახსენა: „ჵე, ჴელმწიფეთა უჴელმწიფესო, ვიცი, მზისა ქალაქისა ჴელმწი-ფისა უნახავი არ დაჰსდგები, შვილი ჩემი ყმა კაცი არს, თან იახელით და ერთი დიდებულთა მის ქვეყანისათა ქალი მასცე ცოლად უბოძეთო.“ მის უმოხუცებულესისა ვაზირის ეგრო-სის მოხსენებასა ზედა დიდად გაიცინა დილარ მძლეველმან, იამა მოხსენება იგი, და უბრძანა: „მამაო ეგროს, კურთხეულ არს ენა შენი, და ესე აღმითქვავს, რომე, უკეთუ დაჰსთმობს ძმა ჩემი ნუშრევან ძესა შენსა და მოიშორებს მას, თავმან ჩემმან, შეგისრულებ თხოვასა შენსაო.“ მაშინ მამამან ძი-თურთ მუჴლსა აკოცეს, და კვალად მოახსენა უმოხუცებუ-ლესმან ვაზირმან ესრეთ:

ათ-ოთხმეტ მარცვლოვანი ეგროსული.

ჵე, დიდებულო, ძალ-ქებულო, მონარხ-ცხებულო,
სკიპტრა-გვირგვინით, შვება-ლხენით განდიდებულო,
მებრძოლთ დაცემით, უხვ გაცემით შეყვარებულო,
ტახტით ყოველთა, სხვა მპყრობელთა, აღზევებულო,
ჩემგან თხრობილნი არს ტკბობილნი, ღვთივ მყარებულო!
ნუშრევანს, თქვენსა მომალხენსა, უთქვენობასა
ვერ დააჯერებთ, არ უმტერებთ ტკბილსა ძმობასა,
თქვენი სიშორე მისთვს სწორე სოფლით სპობასა,
მოგშორდეს თვალნი ცრემლით მთვრალნი მისსა ყმობასა
შეექმნას გული ჭირ-ჭმუნვილი, სიბრძნით ვსებულო!
ჩემგან თხრობილნი არს ტკბობილნი, ღვთივ მყარებულო!

გოჰარ მეფემან, ბრძენ მოყმემან, თქვენთან სლვითა და,
მიიღოს შვება, განდიდება, მუნით მზითა და,
აღივსოს ლხინით, შესაძინით ორის ძითა და,
იგიც ვერ დადგეს, თქვენს კვალს უდგეს ღამე დღითა და,
სიტყვით რაც ვსახო, თვალით ჰნახო, განდიდებულო!
ჩემგან თხრობილი არს ტკბობილი, ღვთივ მყარებულო!
მით ძველი დღეთა, თქვენთ საქმეთა ვიტყვი წინარე,
თვარა, თვით ძმანი, ვითა ყმანი, ცრემლ მომდინარე,
ითხოვდენ ნებას და თან ხლებას გამომჩინარე,
ვერღა დამალო, რაზომ ჰკრძალო, ჰყო შენაწყნარე,
სრულ-ჰყო ვედრება, მათი ნება, მოჰსწრაფებულო!
ჩემგან თხრობილნი არს ტკბობილნი, ღვთივ მყარებულო!
აწ, ვინმე გზასა, არნ ყე სლუასა, ვითა ფრენითა,
თქვენის ქვეყანით, ოფლით მბანით, მოვლენ რბენითა,
ჰსცნობთ მშვიდობასა, სხვა ტროფობასა შეხვდეთ სმენითა,
მათ მოაქვსთ სახე, თქვენთჳს მახე, გყონ შეწყენითა,
მცირე დროს ურვა, სოფლის მდურვა გხვდეს, შვენებულო!
ჩემგან თხრობილნი არნ ტკბობილნი, ღვთივ მყარებულო!

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

ოდეს უმოხუცებულესმან ვაზირმან ესე ვითარითა ტკბილ-უბნობითა მომავალნი საქმენი წინა უბნობითა დაასრულნა, მაშინ ნუშრევან მეფემან მოახსენა: „ჱე, ძლიერო კელმწი-ფეო, თავმან და სიყვარულმან თქვენმან, არა სადა მოვშორდე სამსახურსა თქვენსა; ვიდრემდის უბედნიერესსა ტახტსა ზედა არა დაგვირგვინოსანდეთ თქვენ ჰსჯულიერითა მეუღლეობითა, ნუ იფიქრებთ მოშორებასა ჩემსა, უკეთუ გზას მას შეუდგე-ბითო.“ მას ნუშრევანის მოხსენებასა ზედა აღჰსდგა პოლანთა იგი მეფე გოჰარ, თაყვანი-ჰსცა და მოახსენა: „ეჰა, განძლიე-რებულო კელმწიფეო, თავსა შენსა ვჰფუცავ, ასი-ათასიცა

ფიცხელი არგანი აკვრევინო, ეგრეთცა მე უთქვენოდ არა ვარ, სამსახურისათვსცა და მუნებურთა ქალთა ასრეთი სიყვარული შთამეჭრა გულსა, რომე მცირედ მიკლია გახელებასა, და აწ ამა გულისათვის რაჲცა ჰხამდეს, იგიცა ჰქმენითო."
გოჰარის მოხსენებასა ზედა იცინეს ყოველთავე მრავალი, გარნა მყინვართა მეფე დიდად დაჭმუნვებული იყო, და ჰსთქუა: „ამას ვიტყოდიო, ვიცი, არცა ერთი არა დაიშლით, და გზისა მისთვის რჩევა მმართებსო."

აქა აბაშეთით მოსვლა მალე მსრბოლთა გაბრთა წინაშე დილარ მძლეველისა და წიგნისა მორთმევა მყინვართა ქვეყანასა შინა.

მას ჟამსა შემოჰსდგა მანდატურთ უხუცესი მყინვართა მეფისა, თაყვანი-ჰსცა და მოახსენა მეფესა თვსსა, ვითა: „მეფეო, მოვიდნენ უცხონი ვინმე კაცნი შორიელთა ქვეყანისანი და ჰსურსთ თაყვანის-ცემა დიდებულისა დილარ მძლეველისაო." რა კელმწიფემან დილარ იგი მოისმინა, მყისვე ჰბრძანა შემოყვანა მათი; ოდეს შემოიყვანნეს უცხონი იგი კაცნი, დაჰსცვივდნენ ქვეყანასა ზედა, თაყვანი-ჰსცეს და მოახსენეს: „დღეგრძელდინ, დილარ, კელმწიფეთა ზედა კელმწიფე და მპყრობელი ყოვლისა აბაშეთისა და სხვათა მრავალთაო." კვალად თაყვანი-ჰსცეს და მოართვეს წიგნი დაბეჭდილი და ჰკადრეს თვისთა ყმათა, სპასალართა და ვაზირთაგან თაყვანის-ცემა ტახტისა ფერხთა ქუშ. დიდად განმხიარულდა დილარ, და ჰკითხა გაბრთა მათ ქვეყანისა თვისისა ჰამბავნი და მათ ჰკადრეს: „მიწანი ფერხთა თქვენთანი, ყოველნივე თქვენ ძლიით მშვიდობასა შინა ჰსცხოვრებენ და ბრძანებასა თქვენსა მონებენო." დილარმან მის წიგნისა წარკითხვა უბრძანა მყინვართა მეფისა უმოხუცებულესსა ვაზირსა ეგროსს; მან თაყვანი-ჰსცა, ჩამოართვა, თავსა დაიდვა და კუალა თაყვანი-ჰსცა, განჰშალა და დაიწყო კითხვა:

აქა წინაშე დილარის თვისთა სპასალართა და ვაზირთგან მოწერილის წიგნის წარკითხვა ვაზირის ეგროსისაგან.

ეჰა, ყოვლისა ქვეყანისა კელმწიფეთა ზედა უკელმწიფესო და მეფეთა ზედა მეფეო დიდო, დილარ მძლეველო! ნიადაგმცა ბედნიერსა ბავრაყსა თქვენსა თაყვანი-ჰსცემენ კიდენი სოფლისანი, სადავესა თქვენსა ჰმონებენ კელმწიფენი და ფერკთა თქვენთა დაეგებიან მეფენი! ნუმცა მოგაშორებს განგება მფარველსა კელსა თჳსსა! დაუსრულებელმცა იქმნების ცადმდე ამაღლებული ეგე სახელი თქვენი! ოთხთა კიდეთა მქროლველნი ქარნი მიმცა უთხრობენ უკიდურესთა წევრთა ქვეყანისათა დიდებასა და ძლიერებასა თქვენსა! ჩვენ, მიწანი ფერხთა თქვენთანი, სპასალარნი და ვაზირნი დავჰფენთ წინაშე დიდებულისა ტახტისა თქვენისა თავთა ჩვენთა და დავამხობთ მოხსენებასა ჩვენსა კვარცხლბეკისადმი თქვენისა! ესრეთ: მშვიდობასა ყმათა თქვენთასა და ბრძანებისა თქვენისა ძრწოლით თაყვანის-ცემასა, დიდებულო მონარხო, მოვიდეს ოთხნი კაცნი უცხონი, და ყოვლად უცხოჲთა ქვეყანით იტყვიან თავთა თჳსთა; ჰსურდათ თაყვანის-ცემა ფერხთა მიწისა თქვენისა და აქვნდათ წიგნი კელმწიფისა თვისისა წინაშე დიდებულებისა თქვენისა და მასთანა კოლოფი რაჲმე, მძიმედ ხელოვნებული უსასყიდლოჲსა სპეკალისა, დაბეჭდილი ღურბითა სკიპტროვანითა და ისწრაფდეს მორთმევასა მისსა თქვენისადმი დიდებულებისა, გარნა გზით მაშვრალნი განვასვენეთ აქა ყოვლითურთ განდიდებულისა პატივის-ცემითა, რომლისაგამო გაბრნი ესე წარმოვავლინეთ უადრეს ხლებად თქვენდა, და თანა ჰქონან დაბეჭდილი იგი წიგნი და კოლოფი ძვირფასი, და ვამცნეთ სწრაფად სლვა გაბრთა ამათ, და აწ რაჲცა იქმნების ბრძანება თქვენი, ისურვიან უცხონი ესე ადრე ბოძებასა და თვისსა ქვეყანასა უკუნ-ქცევასა.“ რა წიგნი იგი დაასრულა უმოხუცებულესმან ვაზირმან, ჰბრძანა დილარმან მოთხოვა წიგნი-

სა მის და კოლოფისა. გაბრთა მათ მოართვეს; დაჰხედა აბაშთა ფლობით მპყრობელმან ბეჭედთა მათ, აღჰსტეხა და უბოძა მასვე ვაზირსა წარსაკითხავად.

აქა უზესთაეს განდიდებულისა მზის ქალაქისა კელმწიფისა ანავსიასი წიგნისა და კოლოფისა შინა მდებარისა სახისა მორთმევა გაბრთა მათ აბაშელთაგან, და წიგნისა მის წარკითხვა ეგროს ვაზირისა მიერ.

Iწყო უმოხუცესმან ვაზირმან ეგროს წარკითხვაჲ წიგნისა მის, რომელსა შინა ეწერა ესრეთ: „უზენაესისა არსისა განმგებელობითა, მე მზისა ქალაქისა და მრავალთა ქალაქთა და ქვეყანათა მკვდრად მფლობელ-მპყრობელმან კელმწიფა ანავსიამან დავამტკიცე დიდისა და შეუსწორებელისა კელმწიფე მამისა ჩემისა სეზოსტრ გვირგვინოსანისა ბრძანებაჲ, და ნებითა მისითა მოგიწერ შენ აბაშეთისა კელმწიფესა დიდად მძლეველსა მშვიდობასა და გახარებ შვებასა; გიხაროდენ! ცნობაჲ სახელისა შენისა მრავლო უდიდებულესსა და შეუსწორებელსა კელმწიფესა მამისა ჩემისა და შეჰყვარებოდი შენ ყმაწვილობისა, შვენიერებისა და გმირობისა შენისათვს, ვითარცა გაქებდა მეფე მყინვარისა, მეგობარი კელმწიფე მამისა ჩემისა, წერილითა თვისითა; რომლისათვის თვით მამასაცა ჩემსა ჰნებავდა მოყვანა შენი და ხილვა, გარნა სვემან უბადომან მომაკლო მე მზრუნველობასა მისსა, თვითვე სიცოცხლესა შინა მარწმუნა დიდებული ტახტი ესე და მიბრძანა: „შვილო და კელმწიფეო, არა არს ქვეყანასა ზედა ჰმსგავსი შენი, რათა მომეყვანა საქმროდ შენდა გარეშე ქვეყანათაგან და, უკეთუ დრომან სურვილი ქმრისა კარსა დაგირეკოს, ნუ ეძიებ სხვასა ქმარსა, კიდე დიდად მძლეველისა." აწ მე მამისა ჩემისა ბრძანებისა აღსრულებისათვის ესე ვინებე: სურვილი მამისა ჩემისა გამოცხადებად შენდა! ყმანი ჩემნი გამოვგზავნენ, რათა ჰსცნან ჰამბავი შენი, და ამასთანავე გიცხადებ, რომე

არიან მრავალნი დიდებულნი და დიდ შემძლენი კელმწიფენი, გმირნი და მინდობილნი ძალისა თვისისანი, რომელთაცა სჰმენიათ კელმწიფებისა და შვენიერებისა ჩემისა ქება და ემზადებიან მიხვედრისათვის ჩემისა; გარნა, გარდა მათსა არიან თვით ქვეყანასა ჩემსა ოთხნი ჩემთა სპასალართა ძენი, დიდად განდიდებულნი, დაიცვს ჟამი ობლობასა ჩემსა ზედა, განჰსდგენ ქალაქთა და სიმაგრეთა შინავე ჩვენთა, არა უდრიან თავთა თვისთა ქვეყანასა ზედა გმირთა და ფალავანთა, ამპარტავნებითა თვისითა ეგრეთ აღზუავნეს, რომე ესრეთ მემოციქულებიან: „არა შემოუშვებთო გარეგანთა ქვეყანით უცხოთა ვიეთმე კელმწიფეთა საქმროდ შენდა, მით რომე არავინ ღირს არს თავსა შენსა და არცა სადა დაუტკეპნია სხვათა მდაბიოთა ქვეყანასა მცხოვრებთა დიდებული ესე საკელმწიფო, და უკეთუ გნებავს, ოთხთა ამათ, რომელთაცა დავაჯეროთ ერთსა ერთმან ძალითა, იგი მიგვიღე მაგა ტახტსაო.“ არიან დიდად მინდობილნი ძალისა თვსისა, შეუკრებიან რაზმნი სასპასპეტოსა მათისაგან და მომდგომიან ქალაქსა გარე; მეცა ვჰბრძანე და შემოვჰკრიბე მრავალნი ერთგულნი და გამოცდილნი მეომარნი სპანი და სპასალარნი, და არს მარადის ბრძოლა; და ესეცა მსმენია, რომე ემზადებიან დაპყრობად ქვეყანისა ჩემისა დიდი იგი კელმწიფე ჩინეთისა ლასურ, კელმწიფე ჰინდოეთისა, მეფე ბაბილოვნისა, მეფე ეგიპტისა, მეფე კადუზიანთა, მეფე სკვითთა და სხვანიცა მრავალნი ძალისა მოიმედენი, და მოსალოდებელითა ამით დაწყებილებითა იქნებიან ბრძოლანი მრავალნი და სისხლთა სხმანი. სახე ესე ჩემი, რომელიცა წარმოგიგზავნე, განიცადე, და უკეთუ გაქვნდეს მკლავთა შენთაგან იმედი, მოისწრაფე მიმთხვევად ბედნიერებისა და შვენიერებითა ჩემითა განაკვრვე გული და თვალნი შენნი; ხოლო მეცა გარწმუნებ ჩემ კერძო, რომე არა გარდავალ ანდერძთა ბრძანებულსა კელმწიფე მამისა ჩემისასა, და უკეთუ, რაჲცა თქმულა შენთვის, იგი არა იქმნები, ჩაშ, რომე სახელისაცა ულირსი ყოფილხარო.“ არა წიგნი იგი

უმოწყალებულესმან ვაზირმან ეგროს მღმრთკრძხა, მასვე წამსა შეიქმნნეს შვენიერნი თვალნი დილარისანი ცრემლთა მორევად, გულმან ძგერა დაუწყო, და კნინღა სულნი შეიქმნა, გარნა ჰსთქვა თავსა შორის თვისსა: „თაო ჩემო, გაძლებასა ეძლევიორა რადგანცა ვერას გარგებს.“ უბრძანა კოლოფითა მის სახისა აღმოღებად და ოდეს აღმოიღეს, სახლი იგი სრულიად განათლდა, რომე მხილველნი თვალთა ვქლთა იფარვიდეს და იტყოდეს: „ესე კორცელისა არა ქმნებისო.“ ოდეს გულნაზ-დედოფალმან სახე იგი გამოწვლილვით განიხილა, ჰბრძანა: „აწ ვჰსცან, რომე ყოველთა მნათობთა მბრძანებელი და შვენიერებისა მაგალითი ესე ყოფილ არს და ნეტარძი მას, რომელიცა პირის-პირ იხილავს და სხივნი მისნი არა შეჰსწვვენო.“ ყოველნივე განჰკრთეს და იტყოდეს: „მისსა მტრფიალსა სხვა ცეცხლი შემწველად არღა უნაო.“ დილარმან სახე იგი უბესა მიიღო, გულისაგან მწუხარებისა შავი კუამლი აღმოუტევა და ჰსთქვა: „რასაცა ვეძიებდი, ვჰპოვეო! მოვიდეს ჟამნი განმწარებისა ჩემისანი! აწ მშვიდობით ერთგულნო მოყვასნო მეფენო და მისანდონო ჩემნოო.“ ესე ვითარისა საგონებელისა მიერ შეპყრობილი იყო, ვითარ ერთი ჟამი მოვიქრებელი, და შემდგომად უბრძანა ვაზირსა ეგროსსა ყმათა თვისთა თანა წიგნისა მიწერად ესე ვითარითა სახითა:

აქა ეგროსის მეფემან უბრძანა ყოვლისა ერთგულისა ყმათა თვისისა ყმათა, სპასალართა და ვაზირთა თანა წიგნისა მიწერა, და მისწერა ეს ქერეთ—მეინუართა მეფისა ქალაქით დიდის სამთავროსა ადასმეთს მარგარიტისა ქალაქის წინა.

თქვენ, ბრძანებისა ჩემისა მორჩილნო ერთგულნო, სპასალარნო და ვაზირნო, გიხაროდენ! რომელსა თანა გაუწყებთ მშვიდობასა ჩემსა, და ამისგამო ორსავე კერძოსა ემადლობდეთ

განგებასა! წიგნი თქვენი მივიღე და მშვიდობისა თქვენისათვის ვიხარებ; კაცნი ეგე, რომელნიცა მოსრულან ჩემდა, დიდისა მის კელმწიფეთა უკელმწიფესისა ბრძანებითა, ჩვენ მიერისა პატივის-ცემითა მოიკითხეთ, და შეუძლით საჭურჭლეთა შინა ჩემთა და, რაჲცა ირჩიონ, ყოველივე მიიღონ, ნუ რა რასა აყენებთ! და მსწრაფლად გაისტუმრეთ, და აჰა, მეცა შევდგომივარ მაგათისა კელმწიფისა ბრძანებასა და დავსდგომივარ მათისა ქვეყანისა გზასა; და ესე ჩემისა ღერბითა დაბეჭდილი წიგნი გაატანეთ მათ მისართმევლად კელმწიფისა მათისა; თქვენ ჰგებდეთ ბრძანებისა ჩემისა აღმასრულებლად, და მშვიდობით იყვენით."

აქა ღილარ მძლეველისაგან წიგნისა მიწერა ყოველთა კელმწიფეთა უზესთაესსა მზისა ქალაქისა კელმწიფისა წინაშე.

მოაღებინა მელნად ურიომოსა ოქროჲსა ოფაზი, მრავლითა სუნნელებითა შეზავებული, და ქაღალდიცა კელოვნად რადმე ტურფად დაყვავილადებული, და დაიწყო თჳთ თვისითა კელითა წერად ესრეთ: „ეჰა, ყოველთა კელმწიფეთაგან თაყვანი-საცემელსა, ტახტსა ზედა ამაღლებულო, მზისა ქალაქისა კელმწიფეო, აბაშეთისა მბრძანებელო და გულისა ჩემისა სავანეო! წერილი დიდებულებისა თქვენისა მივიღე და სახეცა ახლისა რისმე განუცდელისა ნათლისა მომფენელი თვალთა ჩემთა; მე მყისვე დავამონე თავი ჩემი და შეუდეგ ბრძანებისა თქვენისა აღსრულებასა; დღესითგან ჰსცნობს კელმწიფება თქვენი, უკეთუ ვარ მე სახელისა უღირსი, მით რომე მბრძოლნი ჩემნი, იმედეულ ვარ, განამართლებენ ყოველთავე თქმულთა ჩემთჳს, და უკეთუ სხუა არა რაჲ იქმნების ჩემგან გულოვანთა მორბედობა, შენისა გზისა შედგომილი სიკვდილისა ღირსი ეგრეცა ვიქმნებიო,

ძაგნაკორული.

აწ დრომან მიმცა მიჯნურობასა, ვჰსცნა, რაცა ძალ-უძს ძლიერ ტრფიობასა!
იტყვიან ძნელსა აშიკობასა, მისგან სიმწარით ისრის სობასა:
ვით ბრძენი, მივხვდე ცეცხლით დნობასა, არა მოვჰსცილდე თქვენსა მკობასა,
მეც მივჰსცე თვალნი ცრემლთა ვრცლობასა, შევწირო გული ამა გზობასა!
ვმორჩილებ თქვენსა მბრძანებლობასა, ვითარ იგი ჰშვენის ერთგულ ყმობასა!
ჰბრძანებ ფალავანთ დას-დასობასა და მათსა სიმკნით გულოვნობასა,
არ შეუდრკები რაზმთ მრავლობასა, თუმცა ვარ ჯერეთ ახალ ყრმობასა,
მეც მივსცე თვალნი ცრემლთა ვრცლობასა, შევჰსწირო გული ამა გზობასა!
ვმადლობ სიკვდილმდე თქვენს წყალობასა, წერილით ღირს მყავ სახის ცნობასა,
რაცა გსმენიათ, მის ოდნობასა ჩემთან ვერ ჰპოებ მორბედობასა,
გარნა სულს შეუქმ თქვენდა ძღვნობასა, მით სრულ ვჰყოფ ჩემსა მოყმეობასა,
მეც მივჰსცე თვალნი ცრემლთა ვრცლობასა, შევჰსწირო გული ამა გზობასა!
თუ ჰყოფთ გულისა ჩემდა ტრფობასა, ჩემგან ვერა ჰგრძნობთ ორ-პირობასა,
თქვენთვის ავირჩევ ყარიბობასა, არა მივჰრიდებ ველს მწირობასა,
ბრძოლა ვირჩიო სმა-ჩანგ-ნობასა, ბასრი კმალი მაქვს გმირთა წყობასა,

მეც მივჰსცე თვალნი ცრემლთა ვრცლობასა, შეგჰსწირო გუ-
ლი ამა გზობასა!
ოდეს მიიღებს ცეცხლით წთობასა, რკინა მაშინღა ჰყოფს
მაგრობასა,
მეცა, შესრული თქვენს საგრობასა, განვმტკიცდე სპათა უჰამ-
რობასა,
ნუ ვინ მექადის გვამთ გმირობასა, ვერვინ ჰსცნობს ჩემსა
ბრძოლით ლმობასა!
მეც მივჰსცე თვალნი ცრემლთა ვრცლობასა, შეგჰსწირო გუ-
ლი ამა გზობასა!

დილარ მძლეველმან, რა წიგნისა დაწერა შეასრულა, დაჰბეჭდა, წმიდისა პეტრატიკონისა ბუდესა შინა შთადვა, სამპირად სუნნელითა მუშამბითა შეგრაგნა და თვსითა ღერბითა ოთხსა კიდესა ზედა დაბეჭდა, უბოძა გაბრთა მათ და უბრძანა: „არა დამზოგველთა თავთა თქვენთათა იარეთო.“ მათ თაყვანი-ჰსცეს და მოახსენეს: „დღეგრძელდინ დილარ მძლეველო, ხელოვნებითა ჩვენითა ორსა სწორსა ზედა მივიდეთო.“ ესე მოახსენეს და, ვითარ ისარი ძლიერისა, ეგრეთ წარვიდეს.

აქა დილარ მძლეველმან ჰრჩევით უბრძანა ნუშრევანს მეფესა და გოჰარ მეფესა, რათა დაშთომილიყვნენ თვისთა ქვეყანათა და არა შეჰსდგომოდნენ კუალსა მისსა.

დილარ მძლეველმან უბრძანა საყვარელთა მოყვასთა თვისთა ნუშრევან და გოჰარ პოლონთა მეფესა, ვითა: „ძმანო ჩემნო, თავმან ჩემმან, ხართ კარგნი და საიმედონი მოყმენი, საყვარელნი გულისა ჩემისანი, გარნა, ვითარცა გვესმის, არს, თურე, ქვეყანა იგი შეუვალი და სხვებრ გრძნეულთა და მეომართა სიმრავლესა ეგოდენსა. იტყვიან, რომე ყოვლითურთ დამძიმდების შესვლა მას შინა; აწ, საყვარელნო ჩემნო, და-

ჰსცევით თავნი თქვენნი ქვეყანასა თქვენსა და იცხოვრეთ მშვიდობასა შინა; უკეთუ ქვეყანასა მას მკლავთა ძლიერებითა შესვლა ეგების, შევიწიო ძალი ზეგარდამო, და მებრძოლთა ჩემთა შევანანო, და თუ კაცობრივი ძალი მუნ არად სახმარ არს, მაშა, თქვენსა ქვეყანასა თქვენ ცუდად რად მოგაშოროთო.“ რა ესე ბრძანება დილარისა მათ ყმათა ისმინეს, წარმოჰსდგნენ და ჰკადრეს: „ჰე, მკლავ ძლიერო კელმწიფეო, ნუმცა იქმნების უთქვენოდ სიცოცხლე ჩვენი ქვეყანასა ზედა! თავმან თქვენმან, ერთსა ჟამსა გზასა ზედა დაცავინგვხოცოს, ეგრეთცა უთქვენოდ არა დავდგებითო.“ უშლიდა დიდად დილარ მძლეველი, გარნა იგინი ვერა დაიყოლია და ცრემლით მხურვალედ ევედრებოდეს თანა ხლებასა; მაშინ დილარ აღჰსდგა, შევიდა და ავიდა ტახტსა მას, სადა იჯდა გულნაზ დედოფალი, გვერდსა მოუჯდა და დიდისა რითამე ზრდილობიანისა სიტყვითა მოახსენა, ვითა: „დედოფალო და გულისა ჩემისა საყვარელო დაო, ვჰფუცავ თავსა შენსა, რომე დიდად უშლი ძმასა ჩემსა ნუშრევანს და აგრევე საყვარელსა ჩემსა გოჰარს, გარნა არა იშლიან და ამტკიცებენ ჩემთანა წამოსვლასა, ვჰსწუხვარ და ღონესა ვერას მივჰსცემივარო, და აწ გთხოვ, რათა თქვენ დააშლევინოთო.“ რა დედოფალმან გულნაზ ბრძანება იგი დილარისა მოისმინა, ვარდისა ბაგენი გაალიმნა და მარგარიტნი გამოაკრთოლვა, სიტყვანი ყანდისა უტკბილესნი აღმოჰსთქვა და მოახსენა:

აქა გულნაზ დედოფლისაგან ტკბილითა სიტყვითა სიმართლით შეგონების მოხსენება დილარისა წინაშე.

უდიდებულესო მონარხო, თქვენ საყვარელისა მისისა გამოხსნისათვის რაოდენნი ჭირნი მოითმინეთ და რაოდენნი განსაკვრვებელნი ბრძოლანი გარდაიხადეთ, ტყვე მისი გამოიხსენით და ცხელნი ცრემლნი დაჰსწყვიტეთ თვალთა მისთა;

კელმწიფეო, რაზომცა გულ-სალი ბრძანდებით, შენმან მზემან, ეგრეთცა განსაკრთომელი იგი შვენიერება ანავსია კელმწიფასი მიგიზიდავს და სიყვარულისა მისისა ისარნი მაგა მყარსა გულსა გაგემჰსჭვალვიან; კელმწიფეო, იცის სურვილმან ძლიერთა მოუძლურება და მიჯნურობამან მრავლისა ფათერაკისა შესწრებს; რაზომცა გულსა მოთმინებისა ას-კეცი ჯაჭვი შეიმოსო, ეგრეცა ტრფიალებისა მახვლი ადვლად გაჰსტეხს, სულისა ნიშატსა მიგიღებს და სიბრძნის მოყვარესა გონებასა ველად გაჰრასა თავს ადებს; რაზომცა კმა თქვენი ცისა ჰექისაგანცა უძლიერესი იყოს, ეგრეცა სიყვარული დაგიმდაბლებს; ერთითა კელითა ერთსა ჟამსა შინა ასი-ათასსა გოლიათსა შეჰკრვიდე, მაშინცა ერთსა წამსა სატრფიალოსა გაკუშტება თვით შეგჰკრავს; ყოველი ქვეყანა კელმწიფებასა შენსა ჰმონებს, გარნა ნურლა ჰფარავთ, გული თქვენი ტრფიალებასა დაუმონებია; უძლიერესო გმირო, სიყვარულსა არცა საჭურველი აქვს და არცა საბრძოლველი, გარნა გხედავთ მის მიერ ძლიერად დამონებულსა; კელმწიფეო, ცხად არს ყოველთა შორის ძმასა და მონასა თქვენსა ვითარიცა სიყვარული აქვს ჩემი, და ესეცა ვიცი, რომე მოშორება ჩემი გულსა დაუჩაგრავს და თვალთა ზედა ცრემლთა კვალად განუახლებს, გარნა მომიტევე, შენმან მზემან, რაზომცა ეცადოს მოშორებასა თქვენსა, მე მაგას ზედა ნება არა ვჰსცე და არცა ქვეყანასა ზედა საგიობელად დავიდვა და ესე არავის ვათქმიო, რომე—ეგოდენ ღვაწლ-დებული კელმწიფე, ვითარსა ჟამსა დაჰსთმო და საყვარელსა თვისსა ვერა მოჰსცილდაო.— კელმწიფეო, ეგე არა იქმნების, რომე მანცა თავი თვისი თქვენ არ შეგწიროს და გზასა მას არა გმსახუროს; თუმცა ბრძოლისა ჟამსა არად გეხმარვის, გარნა გულისა სანდო მოყვასი მიჯნურობასა შინა დიდი ლხინია, და უკეთუ მარწმუნებთ მე, რომე გულსა შინა მიჯნურობა არა შეგპავრვიათ, მაშინ ნებასა თქვენსა აღვასრულებ და დაშთეს ჩემი ჩემდავე; და უკეთუ მიჯნური ხართ, ეგეთსა ჟამსა საყვარელთა ძმათა

რად მოიშორებთ? ჰფუცე მზე მის მზისა უმჯობესისა ანავსია-სი, რომე სიყვარული მისი გულსა თქვენსა არა შესრულიყოს და მაშინ ნება თქვენი სრულ იქმნასო!“ რა დილარ მძლეველმან გულნაზ დედოფლისა მიერ ესე სიტყვანი მოისმინა, კელი გამოართვა, პირსა ზედა დაიდვა, ჰკოცნიდა, ჰსცრემლოდა, და ჰრქვა: „შემინდევ, საყვარელო დაო! შენმან მზემან, ჭერლა დაგიფარავ, ეგოდენი სიყვარული შემქრია გულსა ჩემსა მის ყოვლისა სოფლისა მანათობელისა, რომე სიცოცხლე მომძულებია, და ერთიც სიშორე მისი უგანმიგრძელდა, სულისა მფრინველი გამიფრინდების, ვითაცა გუშვენის, საქმე ეგრეთ წარმართე, მე ცნობას აროა ვარო.“ იგი დღე დილარმან ქვრეშ დაჰყო გულნაზ დედოფლისა უბნობასა შინა, და პურობაცა მუნვე გარდიხადეს! მეორესა დღესა დილარ მიბრძანდა გულნაზ დედოფალისა თანა და ყოველნი მეფენი მისთანა, შეჰყრილნი და ჰსტათბირობდენ საქმესა მას ზედა და ჰქონდათ სხვა-და-სხვა თქმაობა გზისა მისთჳს.

აქა ზღვათა მეფისა ბრიტანისაგან თათბირი და რჩევა წინაშე დილარ მძლევლისა.

ზღვათა მეფემან ბრიტან იწყო სიტყვად და ჰსთქვა, ვითა: „კელმწიფეო ძლიერნო და დიდნო მეფენო, ამა საქმესა ზედა ჩვენგან გამორჩევა და თათბირი ურგები არის, მით რომე გზასა მას, უბნობენ, დიდად ძნელსა, გრძნეულითა ალსავსესა; ამად რაცა ჰსჯობს მისთვის, დიდებულმან და უმაღლესმან მყინუართა მეფემან ფინეზ და უმოხუცებულესმან ვაზირმან ეგროს სიბრძნის მოყვარემან უწყიან, და ვითაცა ჯერ იყოს მის გზისა გალება, მათცა გვასწავონო, მით რომე უვლიან მრავალნი ქვეყანანი და უცხონი კერძონი, მრავალ გვარად გამოცდილი არიან, სიბრძნითა თვისითა ცისა ვარსკვლავთაცა შეიპყრობენ, ქვეყანისა ჰამბავნი მათ არა დაეფარვიან და სა-

ქმისა ამისთვის წამალი მათვე გვასწაონო და ღონეცა გვიპოვ-
ნონო." ესე ზღუათა მეფისაგან თქმული დიდად მოეწონა
დილარ მძლეველსა და ჰბრძანა: „თავმან ჩემმან, ზღუათა მე-
ფემან სამართლიერი სიტყვა ბრძანაო." მაშინ მყინვართა მე-
ფემან ამოიხრა და მოახსენა: „ჴელმწიფეო, მართალ არს
ბრძანებული თქვენი, და მმართებს ამა საქმისათვს ღონის-
ძიებაჲ, გარნა თქვენ დაჰყავით გულნაზ დედოფლისა თანა
სწორი ერთი ღხინითა და შექცევითა, და მე მიბოძეთ ნებაჲ
ჩემითა უმოხუცებულესითა ვაზირითა, რათა ვიყვნეთ მარტოდ
და განვაგოთ ყოველივე გზისა მის საქმეჲ, და შევმზადოთ
სახმარნი, რაჲცა ჯერ არს უნაკლულოდაო." მას მყინვართა
მეფისა ფინეზის თქმულსა ზედა დილარმან და ყოველთავე
მუნ შეკრებულთა იწყეს მხიარულებაჲ, და მას დღესა მუნ
ყოველთა ერთად გარდაიხადეს პურობა და დაიწყეს სმა ღო-
სტაქანთა სადღეგრძელოდ მყინვართა მეფისა ფინეზისა და
უმოხუცებულესისა ვაზირისა ცისისა ეგროსისათვს და განადი-
დებდეს სიბრძნესა მათსა. ვიდრე ღამისა განზოგებადმდე იყო-
ფოდეს მხიარულებასა შინა, და ჟამსა შუა-ღამისასა ყოველ-
თავე გამოესალმა მყინვართა მეფე თვისითა ვაზირითა და გა-
იყარნენ თვის-თვისად.

აქა მყინვართა მეფისა ფინეზისა და უმოხუცებულესისა ვაზირისა ეგ-
როსისა შესვლა საკუთარსა სახლსა შინა მზისა ქალაქისა გზისა გან-
საგებელად.

ოდეს უშვენიერესმან დილის ცისკარმან თვისი ლამაზად
მოკამკამე პირი ცისა ველსა ზედა ამკრთოლვარა და შავნი
არაბნი, მოძულენი თვსნი, ქვეყანასა მოაშორნა, მაშინ ყოველ-
ნივე შეჰკრბენ სრასა გულნაზ დედოფლისასა, და თვით დიდი
იგი ჴელმწიფე დილარ მძლეველიცა მობრძანდა, გვერდსა

მოუჯდა გულნაზ დედოფალსა, ტკბილად დაჰკოცნა და მოახსენა: „დედოფალო, თუმცა სურვილი მასწრაფებს წარსვლად და შედგომად გზისა ჩემისა, გარნა, შენმან მზემან, შენიცა მოშორება მძიმის და ნუშრევან რასა იტყვის, არა ვიცი.“ მასვე დილარისა ბრძანებასა ზედა ნუშრევანმან განიცინა, და მოახსენა: „კელმწიფეო, შენმან მზემან, არა დაგიფარო თქვენ: ოდეს დაამტკიცეთ მზისა ქალაქისა გზისა შედგომა, მით წამითგანვე ყოველთა ღამეთა მკერდით და ყელით შემდომილი ქვესლმები მრავლითა ცრემლითა განმბანელი ცხედრისა და ვჰსთხოვ განგებასა კულა ადრე ხილვასა; გარნა უწყალო ესე არა შეილმობს ცრემლთა ჩემთა, იმაფუცეს თავსა და სიყვარულსა თვისსა, რათა ვითარცა მმართებს, ეგრეთცა გმსახურო თქვენ გზათა ზედაო, და მე ესე მიმძიმს, რომე ტკბილსა ამას შეხვევნასა შინა ადრე ზედა მათენდების, თვართ სხვა არარასა ვზრუნავთ.“ ამას ნუშრევანისა თქმასა ზედა შეექცეოდეს, იცინოდეს და ლაღობდეს; შეჰქმნეს პურობაი და დასწყეს სმა მრავალფერისა ღვინისა. მას პურობასა ზედა ჰბრძანა დილარმან, ვითა: „ძმანო ჩემნო, ჩვენ ლხინსა, შექცევასა ამისთანა მრავალნი ჟამნი დაგვიყვიან, გარნა წარსრულნი იგინი ორნი გვახსოვან; აწ სამართალი ესე არს, რომე ვინათგან გულნი ჩვენნი ურთიერთად ვერღარ ჰსძლებენ, ამისთვის განაგოთ ყოველივე სამეფოისა თქვენისა საქმენი, ვითაცა გნებავსთ, და ესრეთიმზად ვიყვნეთ დიდებულისა მყინვარეთა მეფისაგან მოცემულსა მცნებისა ჟამსა, რომე აქარლა შეგვიგვიანდესო.“

აქა მეინაჯართა, გალიისა და ზღვათა ქვეყანათა დედოფლისა გულნაზისაგან ნუშრევანისა და გოჯარ მეფისა საქმეთა განგება და მისთა თქმულთაებრ აღსრულება.

გულნაზ დედოფალმან მოახსენა დილარ-მძლეველსა, ვითა:

„ძლიერო კელმწიფეო, მე ესრეთ მემჯობინება, რომე დავშთე
აქა ძმისა თქვენისა ქვეყანასა და დიდსა მეფესა მყინვართასა
ვანუგეშო ჩემითა პხლოს ყოფითა; ზღვათა მეფესა მამასა ჩემსა
ჰყავს შვილი ჩემი და ჰზრდის მას ნუგეშად თავისა თვისისა;
კვალად გალიისა ერთა უვისთ ძევე ჩემი და შეჰსტრფიან მას
ყოვლითა ერთგულებითითა ზრდითა და მეფობისა წესითა. აწ
ესე არს მოხსენება ჩემი: გრძჰარ მეფემან პოლანთემან მიჰსწე-
როს ბრძანება თჳსსა ქვეყანასა, და დაუდგინოს ერთგულნი
და მისანდონი თვისნი ქალაქთა და სპათა ზედა განმგებელად
და მმართებელად ქვეყანისა თვისისა, და იხმოს რავდენნიმე
ჰრჩეულნი და გულოვანნი ჭაბუკნი, თანა ზრდილნი თვისნი,
ხლებად თვისდა; ეგრეთვე მონამან თქვენმან ნუშრევანცა
ამოირჩიოს გალიით, ზღვის ქალაქით და მყინვართა ქვეყანით
ჰრჩეულნი და გულ-ლომნი ჭაბუკნი თანა ხლებად და სამსა-
ხურად თქვენდა, და ესრეთ ესრულ-ჰყონ განმზადება თჳსი.
მე, კელმწიფეო, ცნობადმდე ჟამისა თქვენისა შევალ სახლსა
მას საშვებელსა, სადაცა არს კელოვნებით კედელთა ზედა
გამოქანდაკებულნი ძმისა, და მონისა თქვენისაგანი მოქმედე-
ბულნი, და მათ ზედა ჰვრეტითა განვატარებ დროთა სიგრძე-
თაო.“ რა დედოფალმან გულნაზ ეგე შიდარნი კეთილნი სა-
განმგეონი სიტყვანი ჰბრძანა, მოეწონნეს ყოველთავე ერთო-
ბით, და განაგეს თჳს-თჳსთა ქვეყანათა საქმენი, ეგრეთვე ნუ-
შრევან მეფემან ჰბრძანა სრულისა ზღვათა სამფლობელოთა-
გან უპირველესთა მკედრობათაგან გამოირჩევა ორმეოცისა ლომ-
გულისა ჭაბუკისა, ორმეოცისა ეგე ვითარისავე გალიისა ერ-
თაგან და ოთხ ათეულისა მყინვართა ქვეყანისაგან, და გაჰსცა
ბრძანება, რათა მზად ყოფილიყვნენ მყინვართა მეფისა მცნე-
ბისა მოცემადმდე; ხოლო პოლანთა მეფემან წარავლინა მალე
მსრბოლნი ქვეყანასა თჳსსა და განაგო ყოველნი სამეფონი
საქმენი წერილითა თჳსითა და დაიბარნა სახელდობ ას-ოცი
გამოცდილი ბრძოლასა შინა მკნე და გულოვანი ჭაბუკი. და
ესრეთ, იყვნეს მოლოდებასა შინა მყინვართა მეფისა და უმო-

ხუცებულესისა ზესთა ბრძნისა ეგროსისასა. ოდეს დანიშნულთა მათ დღეთა განვლეს, იყვნეს ყოველნივე ერთბამად პურობასა ზედა და მოელოდა წამიერ-წამად მყინვართა მეფესა დილარ მძლეველი. მაშინ მობრძანდა მყინვართა მეფე ვაზირითა თვისითა, მოიკითხნა იგი ყოველნი სიყვარულითა და განატარეს დღე იგი შვებითა და მხიარულებითა. შემდგომად მოახსენა დილარ მძლეველსა მყინვართა მეფემან, ვითა: „მეფენო, ღამე ესე განატარეთ ნებისაებრ თქვენისა და ხვალისა დღესა ადრე მობრძანდით ჩემთანა, თქვენ ყოველნი მეფე, რათა მოგახსენოთ ყოველნივე გზისა თქვენისა ჰამბავნი და მოგცეთ მცნებანი, ვითარ ჯერ არს შესლვასა ქვეყანასა მას უკეთილესსა ყოვლისა ქვეყანისასა.“ მის მეფისა სიტყვასა ზედა ყოველნივე წარვიდნენ თვის-თვისად განსასვენლად.

აქა მყინვართა მეფისა ფინეზის სრასა მობრძანება დილარ მძლეველისა და ყოველთა მათ მეფეთა, და ფინეზისაგან მზისა ქალაქისა გზის შედგომისათვის მრავლისა მცნებისა მიცემა.

მეორესა დილასა, რა ბრწყინვალისა მზისა შუქნი განეგმირნეს მთოვარესა და მისგან შიშით განვლტოლილი სამალავთა ადგილთა თავსა აფარებდა და ნაზნი იგი თვისნი ელვარებანი მორიდებისა ქურსა შთაემწყვდივნეს, ხოლო მზე ძლევისათვის მისისა პირველსა კენტრონსა ზედა შვენიერსა შუშპარსა განიგულებდა, თუ ჰსთქვა, ყოველნი იგი მეფენი მყინვართა მეფისა სადგომისა მიდამოსა მზისა ჯანმლიერებასა მახარებლობდეს, და მეფეცა იგი მიმღებლობდა მათ მოხარულითა გულითა; შეიწვივა და დასხდნენ თვის-თვისითა წესითა; მცირედსა ჟამსა სიტყვითა შეექცნენ, და შემდგომად იწყო მეფემან ფინეზ ესრეთ: „ჰე, შვილნო ჩემნო, ჰუდიდე-

ბულესო კელმწიფენო და დიდნო მეფენო, ისმინეთ აწ გულდებულად თქმულნი მოხუცთა ბაგეთა ჩემთაგან და ნუმცა იქმნების თქვენგან გზათა ზედა ერთისაცა თქმულისა ჩემისა დავგდება ანუ დავიწყება, თვარა მრავალთა ჭირთა შთასცვივით და უცხოთა რათმე ადგილთა უპატიოთა სიკუდილითა მოჰსწყდებითა: პირველ ყოველთასა გმართებსთ, შვილნო ჩემნო, რათა მცირედნი ვინმე გამოცდილნი ლომნი ჭაბუკნი თანა იახლნეთ, მით რომე სადა თქვენ გეგულვებისთ სლვაჲ, მუნ სპანი ვერა მოგჰყვებიან; და ოდეს დაახლოვდებით გრძნეულთა მას ქვეყანასა, ეგეოდენნი გრძნებანი შეგხვდებიან, რომე რიცხვი არა შეიგების; გარნა მე მოგცემთ ქვათა რათმე მტკიცეთა, ფოლადსა შთასხმულთა მყარითა ჯაჭვითა: იგი ყელსა გარდაიკიდეთ მკერდსა დამაგრებით და მით, რაცა ცეცხლი გრძნებითა იყოს, თქვენ ვერა რასა გავნებსთ; კულა მოგცემთ რასმე წამალსა, ტილოსა ზედა განრთხმულსა: იგი მოგუთა ლანჩთა შინა და ცხენთა ნალთა შიგნით დაატანეთ და რაოდენნიცა გრძნებითა წყალნი აღგიდგელვონ, მით ზე გაივლით, ვითა კმელსა ქვეყანასა; მოგცეთ კულა წამალნი წვრილითა ბროლებითა: იგი წამალი ყოველსა დილასა ცხვირთა მოიცხეთ და გრძნებითა ძალსა ვერღა მიგიღებენ; კულა მოგცემთ წამალთა დაბეჭდილთა მცირითა ჭურჭლებითა: ოდეს გულთა თქვენთა შიში შემოვიდეს, იგი გულთა მოისვით და შიში არღა გაივლის გულთა თქვენთა; მოგცეთ კვლა წყალი დიდისა რკინისა ყუმყუმითა, და ოდეს გრძნებითა დღე დაგიბნელონ და თვალითა ვერღარასა ჰხედვიდეთ, წყალი იგი აპკურეთ და იგი განგინათლებსთ; და უკეთუ გრძნებითა თოვლი და ყინელი რაჲმე სასტიკი აღგიდგინონ, მოგცეთ ბალახი: იგი აკმიეთ და მყის დაჰსცხრების თოვლი და ყინელი იგი; და უკეთუ კულა თვალთა ნათელი მიგიღონ, მოგცეთ ზეთი: იგი თვალთა მოისვით და მოეგებისთ სინათლესა. შვილნო ჩემნო, რასაცა გესაუბრებით, დაისწავლეთ ესე და ყოველნივე მოცემადნი ჩემგან თვის-თვისსა ჟამსა იხმარეთ

ოდეს შეხვიდეთ გრძნეულთა ქვეყანასა; და ესეცა დაიბეჭდეთ გულთა თქვენთა, რომე მას ქვეყანასა საბრძოლველად თქვენდა ნუ რა რაჲ იქმნების თვინიერ გურზისა, და მით იბრძოდეთ, თუ არა, რომლითაცა საჭურველითა იწყოთ ბრძოლაჲ, მახვილნი იგი, თქვენდავე მოქცეულნი, მკულელ თქვენდავე იყვნენ, გარნა გურზი მხოლოჲ; და იგიცა ეგროსულითა ვარსკვლავთ მრიცხველობითა არს ბრძოლისათვის თქვენდა იგი. თუმცა ურიცხვნი და უთვალავნი გრძნებისა კელოვნებანი დაგხვდებიან მას ქვეყანასა, გარნა მათ შორის ოთხნი ესრეთნი ზარ-დასაცემნი საშიშარნი არიან, რომე უკეთუ მუნით შეშინებულნი გამოიქეცით, თქვენთაცა ქვეყანათა ფერხთა ვერღა მოიკიდებთ; ამისთვის მათ შემთხვევათა შინა იგი დაბეჭდილი წამალი დაკრძალული გაქვნდესთ და მაშინ იხმარეთ, ვითაცა მიმცნია; და ოდეს გრძნეულთა იგი სამეფო განვლოთ, მაშინ ფიცხელი იგი და უნაყოფო ადგილი გავლეთ ხვრელითა ხელოვანთა მათ ქოქონიკთა განდებითა: მით რომე იგინი გაიტანენ ხვრელსა გვირაბითა, ვითარცა ჯერ არს, და ეგრეთ შედით ყოვლად კეთილსა მას ქვეყანასა; და სხვებრ მრავალნი ბრძოლანი შეგხვდებიან და ვითა ჰშვენის მკლავთა თქვენთა ძლიერებასა, ეგრეთცა იმოქმედეთო. აწ მომეცით რიცხვი და მაუწყეთ, რაოდენნი იქმნებით ერთად მოგზაურნი, რათა ყოველთათვის მოგუნი და ქვათა ჯაჭვნი გავაკეთებინო. ამიერითგან მიეცით თავნი თქვენნი მხიარულებასა და შვებასაო.“ რა დილარ მძლეველმან მყინვართა მეფისაგან ეგევითარნი სიტყვანი მოისმინა, მიეცა ზომისაგან უმეტესსა მხიარულებასა და უბრძანა ნუშრევანს: „ძმაო, რაჲცა შენ გაამე, ათასი ეგზომი მამამან შენმან და ვაზირმან ეგროს გარდაიხადეს ჩემზედაო.“ შემდგომად მისცეს რიცხვი თანა მყოლთა და თვით თავთაცა თვისთა: ათას ორას ორმეოც-და-შვიდისა, თვინიერ კელოვანთა მათ ქოქონიკთა. მყინვართა მეფემან მოახსენა დილარ მძლეველსა: „კელმწიფეო, ეგეოდენნი გრძნეულთა ქვეყანასა შესასვლელად ბევრნი ხართ და ვინათგან

არა დაგიშლიათ, ღია ღმერთო, იყავნ ნება თქვენი, გარნა იგი ქოქონიკნი მის გრძნეულთა ქვეყანისა კიდესა სამზღვარსა ზედა დააყენეთ, თან ნუ შეიყოლიებთ მათ, და ოდეს ქვეყანა იგი შეჰლახოთ, მაშინ ერთად იარებოდეთო." ესე მოახსენა და შეჰქმნეს პურობა; იგი დღე მხიარულებითა განვლეს; მეორესა დღესა მიაყოფინა კელი მყინვართა მეფემან და რაცა სახმარი იყო საგზაოდ, ყოველივე სამსა კვრასა შეამზადებინა, და ზედა მოვიდნენ ნუშრევანისა და გოჰარისაგან მოწოდებულნი იგი ჰრჩეულნი ლომ-გულნი ჭაბუკნი ოთხთავე სამეფოთაგან, გარნა, თავმან თქვენმან, ერთ სანახავად უკეთესნი მოყმენი არღა ეგებოდეს! შეჰქმნეს კვლა მზადება რაცა სათანიოდ სახმარნი იყვნენ ყოვლისა თანა უნაკლულოდ და განეწყვნენ დიდითა რითმე სიბრძნითა მყინვართა მეფისათა. დილარმან იგი ოთხთა სამეფოთაგან გამორჩეულნი მოყმენი დააჭურვინა ციკლოპელთაგან შემზადებულითა იარაღითა და ცხენნიცა ურჩეულესთა რემათაგან მითვე ციკლოპურითა საჭურველითა, კვლა სამი ათასი კერძოვირნი წვივ მაგარნი საზიდრად უკეთილესთა სასმელთა და საზრდელთა და ყოველთავე თვს-თვსად ცხენთა საკიდი მახალი ყოვლისა თანა სანოვაგითა და სასმლითა. ესრეთ, ყოვლითურთ განმზადებულთა, დაჰყვეს კვლა სამი დღე და ღამე ერთმანერთისა გამოსალმებითა და სიყვარულითა; მისცა მყინვართა მეფემან ყოველთა მათ კაცად-კაცადსა თქმულნი იგი წამალნი, ჯაჭვნი და მოგუნი, და კვლა გვამცნო, რათა გვეხმარა ეგრეთ, ვითაცა გვითხრა პირველ და გვასწავა. რასაღა ვაგრძელებდე და განვაგრძობდე სიტყვათა! მოშორდნენ ერთმანერთსა მრავლითა გოდებითა და ცრემლითა, და დაუტევეს მშვიდობა ურთიერთს.

აქა წარსვლა აბაშთა მპყრობელისა დილარ მძლეველისა მზისა ქალაქისა ქვეყანასა და თანა ხლებნ ნუშრევან მეფისა და გოჰარ ზოლასთანა მეფისა და ურჩეულესთა მოყმეთა მათთა.

ბაჭემართენით სახრულსა ზედა მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსიასსა; მათ საყვარელთა ძმა ფიცთა და ვითა ძმათა მის- ცეს თავნი უცხოებასა და აღმოსავლით წარმავალისა, ვიდოდიან მრავალთა ადგილთა და ქვეყანათა კეთილთა და ბოროტთა სადაცა შენობათა მივხვდებოდით, სახედ ვაჭართა ვიწყეთ სლვა, და საგზალთა სასმელ-საჭმელთა ვიყიდდით, ხოლო უშენთა ადგილთა ჩვეულებისაებრ შეჭურ- ვილნი ვიდოდით; მოვვლეთ მრავალნი ქვეყანანი, ზღვითაცა და ხმელითა, და იხარებდენ იგი მოყვარულნი ძმა ფიცნი ურთიერთისა ჭვრეტითა და უბნობითა; დილარ და გოჰარ მიესწრაფებოდეს მნათობთა ცოლთა შოვნისათვის, გარნა ნუ- შრევან უმეტესად ისწრაფოდა გზასა ზედა სიარულითა და ევედრებოდა განგებასა და იტყოდა: „ეჰა, ძლიერო მარჯვე- ნეო, მოეც ძლევა მკლავთა ჩვენთა, რათა ესე კელმწიფე და მეფე მიხვდენ ადრე საწადელსა თვსსა და მეცა მეღირსოს ჩე- მისა საყვარელისა გულნაზისა ხილვაო.“ მივიდოდეს გზასა ზედა, იმღეროდეს ტკბილისა კმითა და არად უჩნდესთ გარე- ობა. დაავდეს მზღვარნი შენობათანი და უშენოთა რათმე ადგილთა ვიარებოდიო, გარნა მათ მეფეთათვის შენობათაცა უმჯობესი იყო, ვინათგან იგი ერთმანერთისა მოყვარულნი ჰსტკბებოდეს ურთიერთისა ჭვრეტითა, არად უჩნდეს სამეფო- ნი დიდებანი და ჩალად ჰრაცხდეს ამასა ამის საწუთოსა შე- მთხვევასა; იყვნეს შედგომილნი საგანისა მის თვისისა ღამე და დღე არა დაჰსცდებოდეს სიარულსა, სადაცა წყალი და- და ბალახი ჰნახიან, გარდახდიან, შეისვენიან და კულა შე- სხდიან და ვიდოდიან; ვლეს მრავალნი დრონი უშენთა რათ-

შე ადგილთა და ვერა სადა გაიღეს ღონე სურვილისა თვისისა; დილარ მძლეველი იხარებდა მათ მეფეთა თანა ყოლითა და იგინი მას შეჰსტრფოდნენ; ნუშრევან გამოცდილი იყო უცხოებასა შინა, გარნა იგი გამოუცდელნი უფროს მისსა მოითმენდეს, მით რომე მათ უსწოროთა კეკლუცთა პოვნა და ხილვა ამხიარულებდათ, და იგი საყვარელისა შორ-ქმნისათვის შეიჭირვებდა. დღესა ერთსა მვიდოდით ვითა გზა დაბნეულთა წესი არის, და ვნახეთ მდინარე რამე, პირსა მოლნი ამონოდა ხენი შვენიერნი; დილარმან ჰბრძანა მის წყლისა პირსა გარდახდომაჲ, გარდავხედით და პური მიირთვეს.

თავი მეექვსე

კარი იგივე

შესვლა დილარ მძლეველისაგან მეკობრეთა მეფისა ქვეყანასა და გზასა ზედა მეკობრეთა ფალავნისა ნასრის შეპყრობა და ცნდლით ვაჭართა განთავისუფლება.

დიდებული იგი კელმწიფე დილარ მძლეველი მათ მეფეთა თანა ხუმრობით შეექცეოდა და ნუშრევანს დაღრეჯისათვის ეკიცხვოდა, და უბრძანა: „თავმან ჩემმან, განმხიარულდი, დღეს ჰამბავს რასმე შევხვდებითო.“ ესე რა ჰბრძანა, ვნახეთ, რომე კაცნი ვინმე ტაიჭთა მოარბევენ და ჰსტირიან. რა დილარმან მათი ეგეთი ყოფა იხილა, გულსა შეჰბრალდა, და შეჰსძახა: „ძმანო, ვინ ხართ და რისა ჭირისა უფალნი? მოვედით და გვაცნობეთო!“ მათ რა დილარ მძლეველი შეჭურვილი იხილეს, დიდად განჰკრთეს და ეუცხოვათ მისი ეგეთობა; მოვიდნენ, გარდახდნენ, თაყვანი-ჰსცეს და მოახსენეს: „პატრონო, ჩვენ დიდისა ჩინეთ მეფისა ყმანი ვართ, ჩვენით ქვეყანით გამოემზადა ურიცხვი ვაჭარი ჩინეთს წარსასვლელად, გარნა ამას გზასა ზედა არა ძალ-ედვათ უბადრაგოდ სიარული; პატრონი ჩვენი იყო ძალისა მოიმედე ლომ-გული ჰაბუკი; მოვიდნენ მის ქარავნისა დიდ ვაჭარნი და მოახსენეს პატრონსა ჩვენსა, ვითა: „ხარ ქვეყანასა ზედა გამოჩენილი ფალავანი, აწე მიიღე ჩვენგან ოქრო რაოდენიცა გნებავს, გვიბადრაგე და ესე ოდენი მოგცეთ, რომე დღეთა შენთა ვერა დაჰლიო, ოდენ გზა ესე მშვიდობით მოგვატარეო.“ პატრონ-

მან ჩვენმან ითვალა მის ქარავნისა ვაჭარნი და იყვნეს ყოველნივე ერგას ათასეული სული სპილოთა და აქლემთა ტვირთითა სრულნი, ძვირფასითა ლარითა სავსენი; მან ფალავანმან შეჰკვეთა სულსა ზედა ოქრო ასი: „ესე მომეცით და მე მოგატარო გზასა ესე მშვიდობით ნებისაებრ თქვენისაო.“ მათ მოქარავნეთა დიდად იამათ და სიხარულით აღუთქვეს; მან გმირმან გამოგვარჩია ათი-ათასი გამოცდილნი კაცნი, შევეკაზმენით და წარმოუძღლვით მათ ვაჭართა; სადაცა მეკობრენი გარდაგვეკიდიან, დავჰკოცდით, და ესრეთ მივიყვანეთ ჩინეთის ქვეყანასა; დაჰყვეს მუნ ჩინეთს თვე ექვსი და ესრეთ გაუმარჯვდათ ვაჭრობა, რომე თვითვე იტყოდეს ესრეთ: „დღეთა შინა ჩვენთა ესრეთი სარგებელი არა სადა მოგვსლიაო.“ მუნით გამოუძღლვით და მოვიდოდით მხიარულნი, აწ დაგვხვდა გზასა ზედა ნასრი ვინმე მეკობრეთა ფალავანი სამოცი ათასითა ჰრჩეულითა ლომ-გულითა ჭაბუკითა, შეეტყო ამა ქარავნისა სიკეთე და ლართა სიმდიდრე, მზირი ჰყვიყო და აჰა დღეს დაგვეცა თავსა, მივიდა ჰინდო ფალავანი და ტკბილითა უბნობითა ჰსთხოვა დაგდება ქარავნისა, მან არა ისმინა, შემოგვიძახა ლაშქარი თვისი და ჩვენცა შეუტიეთ, შევჰქმენით ბრძოლა ძლიერი და ვჰხოცდით მრავალსა; რა ჩვენგან თვისთა სპათა კლვისა დამატება იხილა, იყივლა ნასრიმ და განძლიერდა ბრძოლასა შინა, ეკვეთნენ ერთი-ერთსა ჰინდო და ნასრი და ჰქონდათ ომი სასტიკი. ათი-ათასი ჰრჩეული მეომარი და თვით ნასრი ებრძოდნენ ჰინდოსა და სხვანი დანაშთნი ჩვენ გვებრძოდნენ; იყო თითქმის ჟამი ფიცხელი ხმლისა და კაფვა კორცთა; გაუტეხეს ჯაჭვი ჰინდოსა და მოეშალა ჩაბალახი; მოჰკლა რვა ათასი ჭაბუკი ჰინდომან და შემდგომად დაუშინეს ისარი და ესრეთ მოჰკლეს სახელოვანი იგი ფალავანი; ჩვენ რა იგი მკვდარი ვნახეთ, ვეღარა ვებრძოლეთ სამი ჟამი და მან მესისხლემან ესრეთ გაგვწყვიტა, რომე ჩვენ ათნი ოდენ ესე გარდაურჩით ტაიჭთა ჩვენთა სიკეთითა და ეგერა ქარავანთა ჰსძრცვანო.“ რა დილარ მძლეველმან მათ

კაცთაგან ესე მოისმინა, ჰბრძანა: „ვისწრაფოთ, ნუ თუ მივესწრნეთ მათ საბრალოთაო.“ გავსხედით ცხენთა და წავესწრაფენით; უბრძანა დილარმან მათ კაცთა: „ძმანო ჩემნო, თუ გულს არ გაკლებსთ, შემოგვიდეგითო.“ მათ თაყვანი-ჰსცეს და თურე ეშინოდათ, შორად ამოდ მოდევნება დაგვიწყეს; ჩვენ მყისად მივედით და ზედა მივესწრენით. მაშინ შეჰსძახა დილარმან ხმითა რითმე ცისა ჰექისა ჰმსგავსითა და ჰრქუა: „ნასრი, ნასრი! აღიღე ჴელი მაგა ქარავანსა ზედაო.“ და ჩვენ გვიბრძანა: „ქარავანსა შეეწიენითო.“ ფიცხელად მივმართეთ და დაუწყეთ კოცა მეკობრეთა და განთავისუფლება ქარავანთა; ესე რა იხილა ნასრიმ, შემოგვიტია და მოგვმართა ჴმალ-მოწვდილმან. დილარმან ნუშრევანს შეჰხედა, გაიცინა და ერთსა თვისსა დიდებულთა ძეთაგანსა უბრძანა: „მივედ და ცოცხალი მომგვარეო.“ მან მსწრაფლად თავი დაუკრა და მიჰმართა, მუნით ნასრიმ შემოუტია, აღარა აცალა, ჰკრა ჴმალი ჩაბალახსა ზედა და ეგონა შუა გავკუეთეო; რა ნასრიმ უვნებელობა მის მოყმისა იხილა, კულა შემოუტია და შემოჰსძახა: „ბედ-მქისეო, ამა უკაცურსა ადგილსა რად მოხვედ თავისა სასიკუდილოდ, ნუ თუ არა გასმოდეს გმირი იგი გმირთა ნასრი მეკობრეთა ქვეყანისაო.“ ესე ჰრქვა და მძიმე გურზი თავსა ჰსცა მოყმესა, გარნა ვერა რაჲ ავნო; კულა უმეტესად განმკეცებულმან მოჰმართა და მეორედ გურზისა დაკვრასა ჰლამოდა; მაშინ შეჰსძახა მან მოყმემან, ვითა: „უბედურო, აწ გათავდა სიცოცხლე შენიო.“ ჴელი შეჰსტაცა, გურზი წაართვა და შორად გაჰსტყორცა, სარტყელსა ჴელი ჩაავლო, აჰგლიჯა უნაგირისაგან, აღილო მაღლად, ჴელსა დაიჭირა, მოვიდა წინაშე დილარისა, დაჰსცა ქვეყანასა ზედა, ჴელნი შეუკრნა, და პატრონსა თვისსა ჴელსა აკოცა და გამარჯვება მოულოცა; დილარმან მადლობა უბრძანა. რა მეკობრეთა ლაშქარმან იგი იხილეს, ერთობით შემოგვიტიეს. დილარმან ჩვენ, ყმათა თვისთა, გვიბრძანა: „მყისად მივედით და ვითა ცეცხლი თივასა, ეგრეთ მოეკიდენით.“ ერთსა ჟამსა

შინა სრულად გავჰსწყვიტეთ და ასნი ოდენ ვათავისუფლეთ სახლთა მათთა ჰამბავთა მისატანად. მაშინ ჰბრძანა დილარმან, რაცა კრულნი ვაჭარნი დაგვშთომოდეს, მათი დახსნა და განთავისუფლება. მათ ვაჭართა იწყეს ტირილით ღაღადება, ვითა: „ვინ ხართ, ჭაბუკნო, სიცოცხლისა ჩვენისა მომცემნო და ეგეოდენთა უბრალოთა სისხლთა ამღებნო, გვაცნევით თავნი თქვენნი, ნუ თუ ჩვენცა არა გმსახუროთო.“ დილარმან უბრძანა გოჰარ პოლანთა მეფესა: „ძმაო საყვარელო, შენ აცნობე ამა ქარავანსა თავნი ჩვენნიო.“

აქა გოჰარ პოლანთა მეფემან ჰინდოელთა ვაჭართა უბრძანა სახელი დილარისა, ნუშრევანისა და თვისიცა.

გოჰარ მეფემან პოლანთამან შემოჰკრიბნა ყოველნი იგი ქარავანისა კაცნი, და უბრძანა: „ძმანო ჩემნო, ისმინეთ ჩემი: ესე სიცოცხლისა თქვენისა მომცემი არს ყოველთა კელმწიფეთა ზედა კელმწიფე და მეფეთა ზედა მეფე დილარ მძლეველი, მპყრობელი ყოვლისა აბაშეთისა, რომელსა მონებენ მრავალთა ქვეყანათა დიდ-დიდნი მეფენი, რომელიცა განგებამან მოიყვანა აქა ხსნისათვის თქვენისა და ჩვენ მონანი მისნი მისგან სიმდაბლით ძმად წოდებულნი; ესე ნუშრევან არს ყოვლისა მყინვართა ქვეყანისა, გალიისა და ზღვათა მეფე, ხოლო მე, ძმანო ჩემნო, ვარ პოლანთა ქვეყანისა მეფე, რომელნიცა ვახლავართ ძლიერსა ამას კელმწიფესა და ვიარებით საქმესა სხვასა ზედა, გარნა ბედი თქვენი აქა მოგვიძღვა ხსნისათვის თქვენისაო.“ რა გოჰარ მეფისა ბრძანება მათ მოქარავნეთა ვაჭართა ისმინეს, ერთობილთა კელნი ცისადმი განიპყრეს და ადიდებდეს მკლავთა ძლიერებასა დილარისასა. შემდგომად ჰბრძანა დილარმან: „მიეცით ვაჭართა ამათ თვისი ყოველი უნაკლულოდ, დაუტკრთეთ და ესრეთ გაისტუმრეთო.“ მას ქარავანსა შინა იყო ვინმე კაცი დიდ ვაჭარი, მო-

ხუცებული და მრავალთა ქვეყანათა მხილველი, რომლისა სიტყვასა ერჩდენ ყოველნი იგი მოქარავნენი, რომელსა სახელად ეწოდა რაჯიბ, რომელმანცა, თურე, უწყოდა(?); იგი გამოერჩივა მათ ქარავანთა შორის, მოვიდა, თაყვანი-ჰსცა დილარ მძლეველსა და მოახსენა: „კელმწიფეო, ჩვენ, მონანი თქვენნი, ვაჭრობისა საქმისა მქმნელი ვართ და თქვენებრთა კელმწიფეთა დახვედრა არა ვიცით, გარნა ვედრება ქარავნისა ერთა ესე არს, რომე დაიმდაბლოთ თავნი თქვენნი, ამას ღამესა ჩვენნი სტუმარნი ჰბრძანდებოდეთ და ხვალე, რასაცა გვიბოძებთ ჩვენთა ტჳრთთაგან, ეგრეთ გზასა ჩვენსა შეუდგედგებით, და ესეცა მოგახსენოთ: ამა ადგილსა გარდასახდომელი ცხენთა და კაცთათჳს არა ეგრე მალ საპოვნელ არსო." დილარ მძლეველი დაჰყვა მის ვაჭართა უხუცესისა რაჯიბისა თხოვასა და დავჰსდეგით ერთსა კიდესა ჩვენ პატრონ-ყმანი და ერთსა—იგი ქარავანნი; თავმან თქვენმან, მას ღამესა ვითარ იგი ვაჭარნი დაგვხვდენ, უკეთესობა არღა ვისგან ეგებოდა; თვით, ვითა ჰშვენოდათ, ეგრე მოხარულობდეს, გარნა მეფენიცა ჩვენნი არა დააგდეს უნაწილო თვისისა მხიარულებისაგან: მოაქვნდათ სხვა-და-სხვანი სანოვაგენი და ხილნი და სასმელთა სხვა გვაროვანთა რიცხვ არა შეეგებოდა, ესრეთ რომე მათგან უკეთესი მასპინძლობა ქალაქთაცა შინა არღა სახმარ იყო; მხიარულებდეს მეფენნი ჩვენნი ეგე ვითარსა გზასა შინა ეგეთთა კაცთა შეხვედრისათვის და შეექცეოდეს განთიადადმდე. განთიადისა ჟამსა უბოძა დილარ მძლეველმან მოქარავნეთა თვისი ყოველი უნაკლულოდ, და ჰინდო ფალავნისა ყმათა—რაჲცა მეკობრეთა ლაშქართა იყო: ცხენნი, იარაღნი ანუ ნივთნი, უბოძა ყოველივე და უბრძანა: „ძმანო ჩემნო, ოდეს მიხვიდეთ ქვეყანასა თქვენსა, ამა ქარავანსა აღთქმულიცა გამოართვით და პატრონისა თქვენისა სახლეულთა თანა მკუდართა დანაშთთა და თქვენ სამართლიერად ეგრეთ წილ იგდევითო." მათ ერთობილთა თაყვანი-ჰსცეს, მოჰსცეს მშვიდობა და გაესალმნეს. ჩვენცა განაღა მივეცენით მოსვე-

ნებასა, და ოდეს მეფეთა ჩვენთა გამოიღვიძეს, მოვიდა იგივე მოხუცებული ვაჭართა უხუცესი რაჯიბ, თაყვანი-ჰსცა დილარ მძლეველსა, და მოახსენა: „კელმწიფეო, მომივლია პირი მრავლისა ქვეყანისა და თქვენებრი ჭაბუკი არა სადა მინახავს. აწ ამა უკაცურთა ადგილთა რასა იქმებით? ნუ თუ რაჲ ვიცოდე და საქმესა მას ზედა გმსახურო, მიბრძანეთო!“ დილარმან მათ მეფეთა შეხედა და უბრძანა ვაჭარსა: „ამა კაცისა თქმასა არა ურიგოსა ვიქმთო.“

აქა დილარ მძლეველმან უბრძანა ჭინდოეთს დიდ ვაჭარსა რაჯიბს გრძნეულთა ქვეყანასა შიმავალობა და რაჯიბმან გრძნეულთა ჰამბავი მოახსენა.

Dილარ მძლეველმან უბრძანა მას მოხუცებულსა დიდ ვაჭარსა, ვითა: „ძმაო, ვინაჲთგან უცხომან და მრავალთა ქვეყანათა მომხილველმან, მოიწიე ჩვენთა ჰამბავთა გაგონებად! ამისთვის არა ვაწყინო მოხუცებულებასა თქვენსა; ძმაო ჩვენო, ესე არს მიზეზი ჩვენისა სიარულისა: რომლისამე საქმისათვის ვეძიებთ გრძნეულთა ქვეყანასა შინა მიმყვანსა გზასა, მრავალნი ადგილნი, შენნი და უშენნი, მოგვივლიან მიზეზითა ამით და ჯერეთცა ვერა მიმთხვეულვართ ქვეყანასა მას ჩვენსა და ესრეთ ვრონინებთ გზა შეცთომილნი, და აწ, უკეთუ იცოდე ანუ გასმოდეს რა გზისა მის, გვასწავეო.“ ოდეს დილარ მძლეველისა ბრძანება მოისმინა მან მოხუცებულმან კაცმან, თაყვანი-ჰსცა და მოახსენა: „ეჰა მკლავ-ძლიერო კელმწიფეო, მე, მონასა თქვენსა, ამა მცირეთა დროთა წინარე მესმა, რომე იგი გრძნეულთა ქვეყანისა ერნი და დიდებული მეფე მათი არიან დიდსა მზადებასა შინა და გრძნებისა კელოვნებისა მომატებასა შინა, მით რომე მიელიან, თურმე, დიდისა ძლიერებისა მექონთა კელმწიფეთა, შემძლეთა მეომართა, გმირთა და სახელ განთქმულთა ჭაბუკთა, და კვალად დიდი იგი კელმწიფე ჩინეთისა ლაშქარსცა აგროვებს სპათა და

ხაზინათა მრავალთა, და ემზადებს დიდითა საზაროებითა შესვლასა მუნ. ხოლო ლასურისასა ესრეთ იტყვიან, რომე დღეს კაცი მებრძოლი ჰმსგავსი მისი არა იყოს ქვეყანასა ზედა, იგი კელმწიფენი იქადიან მათსა შემუსრვასა და გრძნეულნი იმედოვნებენ მათსა დაპყრობასა და საჭურველთა ათვრიაქებასა; თუმცა არიან მის ქვეყნისა ერნი გრძნეულებასა დაკელოვნებულნი, გარნა მათ კელმწიფეთაცა ძლიერთა მებრძოლთა იტყვიან, და, თუ რა იქმნების, შემდგომი საქმე გამოაჩენს; და ჩვენ ესე ვიცით, რომე, ვინცა უადრეს მივა მას ქვეყანასა, ჰირნი მას გარდახდებიან, და ესე ჰსჯობს, რომე თქვენ ადროოთ, რათა წინათ სხვანი შევიდნენ და თქვენ მშვიდობიანსა გზასა შეუდგეთო; აწე კელმწიფეო, რადგან თქვენ ქვეყანასა მას დაგიმართავსთ და ჩვენ ესოდენნი სულნი სიკვდილისაგან დაგვიხსენით და ჩვენნი საქონელნი ჩვენთავე კელთა არიან უნაკლულოდ, ესე არა იქმნების, რომე ჩვენცა ძალისაებრ ჩვენისა არა გმსახუროთ. თუმცა წინა გიხსენან გზანი ძნელნი და საშიშარნი, გარნა თქვენ, ვითარნი ჰაბუკნი ხართ, ზედა გეტყობისთ ჩვენ მოგცეთ ეტიკი ეგე ვითარი, რომე მას გრძნეულთა ქვეყანასა უცთუნელად მიგიყვანოსთ და მათსა საზღვართა შინა შესვლასა ნუღარა აწვევთ; და ესეცა მოგახსენოთ, რომე გზასა ზედა სიფრთხილით სიარული გმართებსთ, მით რომე მეკობრეთა ქვეყანა წინა გიძსთ და მათგან ფათერაკად განსაცდელსა არასა შეხვიდეთ, ვითა ეტიკმან მოგახსენოსთ, ეგრე იარებოდეთო". რა დილარ მძლეველმან მის დიდ ვაჭრისა რაჯიბისაგან ესე სიტყვანი მოისმინა, უზომოსა მხიარულებასა მიეცა, და ჰრქუა დიდ ვაჭარსა მას: „ძმაო ჩვენო, ეგე სიკეთე იხმარე ჩვენზედა, გზისა ეტიკი მოგვეც, რომე გზასა სწორეთ წარგვიძღვეს და სხვებრ ნურას რასა ჰზრუნვი, თვით თავთა ჩვენთა მობადრაგენი ვართო." რაჯიბმან თაყვანი-ჰსცა, მსწრაფლად მივიდა თვისსა ქარავანსა შინა და ერთი ესრეთსა ტაიჰსა ზედ მჯდომი კაცი მოიყვანა, რომე ცხენისა სიკეთე მასზედა დასრულდებოდა; თაყვანი-ჰსცა დილარსა და ჰკითხა

აბაშთა მპყრობელმან: „იცი, ძმაო, გზაჲ გრძნეულთა ქვეყანასა მიმყვანიო?“ მან კუალა თაყვანი-ჰსცა და მოახსენა: „ვიცი, კელმწიფეო, და მზადაცა ვარ სამსახურისათვს, უცთურად მიგიყვანოთ მას ქვეყანასა, გარნა გევედრებით, შიგნით შეყოლასა ნურლა მაწვევთო.“ დილარმან გაიცინა და უბრძანა: „ძმაო, მის ქვეყანისა შიში, თურე, არს გულსა შენსაო?“ იგი ეტიკი მალაღობელი, თურე, ყოფილიყო, და მოახსენა: „კელმწიფეო, სიცრუე არა კეთილ არს და ვერცა დავმალავ: ესრეთი შიში არს გულსა ჩემსა მათ გრძნეულთა, რომე ხსენებასა მათსა ზედა ძვალნი მითრთიანო.“ დილარმან კვლა უბრძანა: „მტკიცედ იცოდე, ნუ იშიშვი, შინა არა გაწვევო.“ მან ეტიკმან თაყვანი-ჰსცა, და მოახსენა: „მაგა პირსა ზედა წინაშე ვარო.“ იგი ვაჭართა უხუცესი გამოგვესალმა, დაგვიტევა მშვიდობა და წარვიდა. იგი დღე და იგი ღამე მასვე ნაომარსა ადგილსა დავჰსდეგით; სხვასა დილასა მოაყვანინა დილარმან ნასრი იგი მეკობრეთა ფალავანი, გაახსნევინა და უბრძანა: „უბედურო, მოსისხლეობისა შენისათვის ღირს ხარ სიკუდილსა, გარნა მე სიკუდილსა კაცთასა ვერიდები, და წარვედ, უბრალოთა კაცთა სისხლთა ღვრასა ჰრიდებდეო.“ მან საბრალომან, შიშითა მთრთოლარემან, მისისა ფერკთა მიწასა აკოცა. თვისი ცხენი და საჭურველი ყოველივე უბოძა და გაისტუმრა ქებისა მათისა უცხოთა ქვეყანათა შინა სათქმელად. რა იგი ნასრი ფალავანი ათავისუფლეს, შემდგომად ოთხისა ჟამისა ჩვენცა ავიყარენით და შეუდეგით გზასა.

აქა ჰჳნდოთა მის ეტიკისა მუჯარამისა წინა გაძღოლა და დილარ მძლევლისა შედგომა გზასა გრძნეულთა ქუეყანისასა მუჯარამისა ეტიკობითა.

წარგვიძლუა წინა მუჯარამ ეტიკი და შეუდეგით ჩვენცა უკანა მისსა; ვიარეთ დღე იგი მწუხრადმდე ულალთა და უგე-

მურთა რათმე ადგილთა და საღამოსა მივედით წყალსა რასამე მცირესა და ველსა მწჳანე მოლიანსა; და მოახსენა დილარს მუჯარამ ეტიკმან: „კელმწიფეო, ამას ღამესა ესე არს სადგური ჩვენი; აწ შემოვედით დიდსა ქვეყანასა მეკობრეთა მეფი-ჲსასა და ამიერითგან წინა დარაჯათა წაიმძღვარებდეთ, რათა მეკობრეთა ლაშქარნი უცებად ზედა არა შეგვხვდენო.“ მის ეტიკისა სიტყვასა ზედა დილარს გაეცინა და უბრძანა: „მუჯარამ, მეკობრენი ჩვენგან რასა ალაფსა იშოვნიან? ანუ რაჲსა ჰავასიკსთ შეიკრებენ თავთა თვისთა სიკჳდილთა კიდე? დღისით ყოველნივე დარაჯნი ვართ, გარნა ღამით ეგე შენგან თქმული ჯერ არსო.“ გარდავხედით, ცხენნი საძოვართა ადგილთა დავაბენით, შევისვენეთ, პური მიირთვეს და დაიწყეს ლოღობა და მხიარულება. იგი ეტიკი ჩვენი უცხოდ რასმე ენა მარდი და მლაღობელი ყოფილიყო; ჰლაღობდა და აცინებდა დილარს და საყვარელთა მისთა მოძმეთა და მეფეთა ნუშრევანსა და გოჰარს. შემდგომად ალავსო თასი მუჯარამმან, შესვა და მოახსენა დილარ მძლეველსა: „კელმწიფეო, ვიცი, მე ამას ღამესა კეთილსა ძილის შორისსა მაზმანებს და ვისცა გერჩიოს, დარაჯობა მას უბოძეთ.“

აქა პოლანთა მეფისა კოჰარისა და ყმათა მისთა დარაჯად დადგინება დილარ მძლეველისაგან.

უბრძანა დილარ აბაშთა თვით-მპყრობელმან გოჰარ მეფესა, ვითა: „საყვარელო ძმაო ჩემო, ამას ღამესა შენ და ყმანი შენნი იყვენით დარაჯათაო.“ გოჰარ კისკასად წარმოჰსდგა, თაყვანი-ჰსცა და შეიპურა და ყმანიცა მისნი დაჰმზადდნენ, გაჯდა ცხენსა, გაიყოლა ყმანი თვისნი და წარვიდა; ჩვენ მივეცენით ძილსა და მოსვენებასა. ჟამსა შუა ღამისასა მოვიდა, თურე, სიმრავლე მეკობრეთა ლაშქრისა ხუთითა ურჩეულესითა ფალავნითა; შეუტევა გოჰარმან, შეჰსძახა და

შეიბნეს; განთიადამდე გარდაეხადათ ძლიერი ბრძოლაჲ, დაეხოცათ მრავალი კაცი და ცხენი, რომე რიცხვი არა ეგებოდა. დილასა ადრე მოვიდნენ, იგი საკელოვანნი ფალავანნი ხუთნივე დაეპყრათ ხუთი ათასითა გულოვანითა ჭაბუკითა; მოულოცეს გამარჯვება; დილარმან პირს აკოცა და მადლობა უბრძანა. ხუთი ჟამი მოისვენეს და ჟამსა პურისასა აღსდგენ, პური შეექცნენ. იგი ტყვენი განათავისუფლეს და გაისტუმრეს; შემდგომად გასხდნენ ცხენთა ზედა და, გავემართენით. იგი დღე ვლეთ და მწუხრსა ზედა გარდავხედით, მოახსენა დილარ მძლეველსა მეჯარამან, ვითა: „ხელმწიფეო, ამის ღამესა უმეტესნი დარაჯნი გვშვენიანო.“ მაშინ დილარ მძლეველმან უბრძანა თვისთა დიდებულთა ძეთა, ხუთთა თანამოყმეთა, ვითა: „ძმანო ჩემნო, ესე ღამე თქვენისა დარაჯობისა არს, და ცუდთა მეკობრეთა ჴელსა ნუ მისცემთ ტყვედ ნუშირევანს, მით რომე ყმა კაციჲ არს და ბრალი იქმნების, საყვარელსა თვისსა ვერღა იხილავსო.“ მათ შვენიერთა მოყმეთა მხიარულითა პირითა და გულითა თაყვანი-ჰსცეს, დაჰლოცეს ჴელმწიფება მისი, ჴელს აკოცეს, გასხდენ ცხენთა, ოროლნი ჴელთა მიიცეს და წარვიდნენ. ჩვენ მივეცენით ძილსა და მოსვენებასა ჰამოსა.

აქა დილარ მძლეველისაგან თვისთა ხუთთასთა დიდებულთა ძეთა, გმირთა მოყმეთა დარაჯად დადგინება მეკობრეთა მეფისა ქვეყანასა შინა.

ოდესე(?) ყმანი დილარისანი დარაჯობდეს მცველად პატრონისა თვისისა, შუა ღამისა ჟამსა მოვიდეს, თურე, ურიცხუნი სპანი მეკობრეთა მეფისანი, გულოვანნი მებრძოლნი, შემოერტყნეს გარე და ჰგონეს დაპყრობაჲ მათი; მაშინ მოყმეთა მათ იყივლეს სახელი პატრონისა თვისისა, ერთ-პირად შეუტიეს და შეჰქმნეს ბრძოლა სასტიკი, ვლილიან, თურე,

ცხენსა კაცითურთ, შეჰსტყორციდიან სხვათა და ქვრით ჰხოციდიან. ვიდრე სამი ჟამი ჰქონდათ ომი ფიცხელი, შემდგომად, თურქთ დაამარცხეს, მოჰსწყვიდნეს უთვალავნი სპანი და თხუთმეტი ათასნი გულოვანნი ფალავანნი, სპათა მათთა მძლევანნი, კელ-დაკრულნი ტყვენი შემოქცეულთა თანა მოიყვანნეს. როდეს დილარმან და მათ მეფეთა დილასადრე გამოიღვიძეს, მოვიდნენ თანამყრობილთა მათ, თაყვანი-ჰსცეს და გამარჯვება მოულოცეს; დილარმან პირთა აკოცა და მადლობა უბრძანა, მცირედ შეისვენეს, იგი ტყვენი ათავისუფლეს, პურსა შეექცნენ; შევსხედით ცხენთა და გავემართენით, ვიარეთ ვითარ შვიდი ჟამი მსწრაფლითა სიარულითა და ზედა შევჰხვდით წყალსა ტყიანსა და ბალახსა შვენიერსა; მოახსენა ეტიკმან ჩვენმან დილარს: „კელმწიფეო, დღეს დღე ამას ღამესა ესე არს სავანე ჩვენი.“ მის ეტიკისა მოხსენებასა ზედა გარდახდა დილარ და ყოველნივე მისნი მისთანა; შეჰქმნეს ხუმრობა მეფეთა, ზმობდეს და მხიარულობდეს ვიდრე ღამემდე. პურსა შეექცნენ, და ჟამსა თვისსა მოახსენა მეჯლარმან: „კელმწიფეო, ამას ღამესა გულოვანნი დარაჯანი გვინანო.“ დილარ მძლეველმან უბრძანა სახელოვანსა სპასალარსა თვისსა მარსის, ვითა: „მარსი, შენ და ხუთასთა მოძმეთა შენთა ჯერ არს დარაჯობა და ჩემსა მზესა ომსა ნუ აკლებთო.“ მარსის ეყრით იამა იგი პატრონისა თვისისა ბრძანება, რომე ადგნა და ჰსთქვა: „მადლი ღმერთსა, პატრონისა ჩემისა სამსახურსა კვალად ღირს ვიქმენო.“ მსწრაფლ თაყვანი-ჰსცეს, გასხდენ ცხენთა, შუბნი კელთა იპყრეს და წარვიდნენ.

აქა დილარ მძლეველისაგან თვისისა სპასალარისა მარსის და ხუთასთა დიდებულთა ძეთა დარაჯად დადგინება.

რა სპასალარი მარსი და ხუთ-ასნი მოყმენი დილარისანი დარაჯობდეს; ღამისა დასრულებისა ჟამსა მოვიდნენ, თურე,

შვიდნი სპასალარნი მეკობრეთა მეფისანი ჳურიცხჳთა ლომ-
გულითა ჭაბუკითა, და ზედა შეხვდა მარსი ხუთ-ასითა მოძმი-
თა თვისითა, შეუზახეს ურთიერთას და მიჰმართეს გულ მე-
სისხლედ, ჰყიოდეს მეკობრეთა მეფისა სპასალარნი, ვითა:
„ვის გაგიწირავსთ თავნი თქვენნი და შემოსრულხართ დიდსა
ქვეყანასა მეკობრეთასა სიცოცხლისა თქვენისა დასასრულებ-
ლადო.“ აქათით ყმათა დილარისათა ედიდებინათ სახელი
პატრონისა თვისისა, ეხოცათ მრავალი ცხენი და კაცი, გა-
ექციათ იგი ყოველნი, დანაშთნი და შვიდნივე იგი სახელ
განდიდებულნი სპასალარნი დაეპყრათ ათ-შვიდმეტითა ათასი-
თა ჭაბუკითა, და მასვე რიჟრაჟსა გამარჯვებულნი მოვიდნენ
და თანა მოიყვანნეს ტყვენი იგი; გარნა მათ შვიდთა სპასა-
ლართა შორის ერთი ეგზომ დიდი კაცი იყო, რომე დღეთა
ჩემთა შინა ეგზომ დიდი კაცი არა მენახა. მოულოცეს დი-
ლარს გამარჯვება; დილარმან მათ ყოველთა პირთა აკოცა და
მადლობა უბრძანა. შემდგომად მოაყვანინა იგი პყრობილნი,
განათავისუფლნა და უბრძანა მას დიდსა კაცსა: „შავ-ბედო,
ეგზომ დიდი კაცი რა ჯაბანი ყოფილხარო.“ ათასი ფიცხელი
არგანი აკვრევინა, იგიცა და სხვანი ყოველნი გზასა მათსა
გამოუყენა, და უბრძანა: „წარვედით სახლთა თქვენთა და
და დღესითგან კაცთა ვნებასა ერიდენითო.“ იგინი წარვიდ-
ნენ. პატრონნი ჩვენნი პურსა შეექცნენ; შევჰსხედით ცხენთა,
გაგვიძღვა ეტიკი ჩვენი და გავემართენით. უკვირდა მუჯარამს
და იტყოდა: „ქვეყანა ესე არავის შემოულახავს, გარნა თქვენ
ეგეთნი ჭაბუკნი ხართ, რომე თქვენგან ყოველივე შეიძლები-
სო.“ ვვლეთ იგიცა დღე და საღამოსა ტყესა რასამე მიგვი-
ძღვა ეტიკი ჩვენი; მუნ გარდავხედით; პურისა ჭამასა შინა
ვიყვენით და მოახსენა მუჯარამმან დილარს, ვითა: „ძლიერო
ჴელმწიფეო, ნუ თუ შესწყენოდესთ ყმათა ამათ თქვენთა, გარ-
ნა ამას ღამესა მხმილავთა წესი ეგრეთვე ჯერ არს გარდა-
ხდადო.“ მაშინ ნუშრევან მეფემან მოახსენა დილარს: „ჴელ-
მწიფეო, ამათ ყოველთა თვის-თვისი ვალი გარდაუხდიათ და

აწ ჩემდა ჯერ არს ხვედრიო.“ დილარმან ნება ჰსცა; თაყვანი-ჰსცა, გაჯდა ცხენსა, გაიყოლა ყმანი თვისნი და წარვიდა.

აქა დილარ მძლევლმან დაადგინა დარაჯად ნუშრევან მეფე ას-ოცითა ჭაბუკითა ყმითა თვისითა და ეგროსის ძის ლარათი, და ამათგან ძლიერისა ბრძოლისა გარდახდა.

რა ნუშრევან მეფე ყმათა თვისთა თანა ჰსდარაჯობდა სიფრთხილით, მას ღამესა მოვიდნენ ოთხნი ჰრჩეულნი და გულლომნი ფალავანნი მეკობრეთა მეფისანი დიდ ძალითა მეკობრეთა ლაშქრითა. მათ მყისად წინა მიეგება ნუშრევან გუნდითა თვისითა; შეუტია და შეჰქმნეს ომი ფიცხელი. იგი მეკობრენი, თურე, ბრძოლასა შინა გამოჩინებულნი იყვნეს, ექვსსა ჟამსა ესრეთისა კლმისა ცემისა კმა ისმოდა, რომე კაცსა განაკვრვებდა, და მეშვიდესა ჟამსა ომისა კმა მისწყდა; მრავალნი, თურმე, გაეწყვიტნეს და მცირედნი გარდაეხვეწნეს; იგი ოთხნი ჩინებულნი ფალავანნი თვით ნუშრევანს დაეპყრნეს! დილასა ადრე მოვიდა მოცინარითა პირითა, გარდახდა, თაყვანი-ჰსცა დილარს, გამარჯვება მოულოცა და ოთხნი იგი ტყვენი დაკრულნი მოართვა. დილარმან პირს აკოცა და უბრძანა: „ძმაო, ბედითსა რასმე სადარაჯოსა დაგადგინა ეტიკმან ჩვენმანო.“ მუჯარამმან გაიცინა და მოახსენა: „ძლიერო ჴელმწიფეო, უკეთუ ეგე ეგრეთ არს, ეგე კრულნი განიკითხე და თვით მოგახსენებენო.“ ჰკითხა დილარმან მათ ტყვეთა და ჰრქვა: „ვინ ხართ, უბადონო, რომე თვალად რასმე კარგსა ჰგავხართ და ოთხნი ეგე ერთსა ამას ჯაბანსა ყმა კაცსა ვითა შეეპყრობინენითო.“ მათ ტყვეთა მოახსენეს: „პატრონო, ყმა ეგე ჯაბანი თუ არს, ჩვენ არა ვიცით, ესე ოდენ ვიცით, რომე ჩვენ წინაშე მეკობრეთა მეფისა გვქონდა პატივი სარდრობისა, გვიბოძა ასი-ათასი ჭაბუკი მეფემან ჩვენმან, და გვიბრძანა: „კაცნი ვინმე, გზა შეცთომილნი, შემოსრულან ქვეყანასა

ჩვენსა, წარესწრაფენით და ცოცხალნი აქ მომგვარენითო." ჩვენ მოხარულნი წამოვედით, ვითარცა გვაქვნდა თავისაგან იმედი, გარნა მაგა ერთმან მეომარმან თვისითა მცირითა გუნდითა ოც-და-ათი-ათასი ჭაბუკი მოჰკლეს, ჩვენ შეგვიპყრეს და დანაშთენნი მრავლისა ცდითა გარდაიხვეწნესო." დილარ მძლეველმან რა მათ სარდართაგან ესე მოისმინა, შეჰბრალდა, დაახსნევინა, თვითო ხელი ხალათი დაჰმოსა, ცხენი და საჭურველი უბოძა, და უბრძანა: „წარვედით გზასა თქვენსა მშვიდობით და მეფესა მას თქვენსა სიჯაბნე ჩვენი მოახსენეთო." იგი სარდალონი, მადლობისა მომხსენებელნი, აქებდეს ძლიერებასა მათსა და ადიდებდეს მოწყალებით მოხედვასა დილარისასა, და ეგრეთ თაყვანის-მცემელნი წარვიდნენ. იგი დღე მუნ განვატარეთ ლხინითა, ნადიმითა და მხიარულებითა. მეორესა დღესა წავიყარენით, წაგვიძღვა იგი უტიკი და ვიარებოდით სამსა ღამესა; სადაცა გარდაგვახდინა მუჯარამან, დარაჯობისა არარა გვახსენა-რა, და გვეტყოდა: „მშვიდობით განისვენეთ ნებასა თქვენსა ზედა, ვიდრე არა მოგახსენოთ, მოლოდება ნუ რა რასი გექმნებათო." ჩვენ თქმულითა მისთა-გამო ვიყვენით ამოდ და ძილითა შვებულნი, დღესა ერთსა დილით ადრე აგვყარა უტიკმან ჩვენმან და მწუხრამდე შეუსვენებელად გვატარა და მწუხრსა ზედა გარდაგვახდინა ქედსა რასამე შვენიერსა, წყაროებ-მწვანოვანსა, და მოახსენა დილარ მძლეველსა: „აწ აქა განისვენეთ სმითა და პურობითაო." მისსა მოხსენებასა ზედა გამხიარულდა დილარ და ჰბრძანა: „ჰქამს პურობაო." შეჰქმნეს პურობა და მხიარულება, ვითარცა ჰშვენის გზის მავალთა. ვიყვენით მუნ შვებითა და განსვენებითა, ვითარ ორი დღე და ღამე. მესამესა მწუხრსა რა პურსა მიირთმევდეს და მხიარულებდეს მეფენი, მაშინ ეტიკი იგი მუჯარამ აღჰსდგა, აღავსო ოქროსა ჯამი მოვარაყულითა ღვინითა, დაიჩოქა წინაშე აბაშთა თვით-მპყრობელისა, მიართვა და მოახსენა: „ჰე, მკლავ ძლიერო მონარხო, ესე სასმისი მიიღე; ღვინო შესვი და ამას ღამესა მონათა შენთა

თვით თქვენ გვფარვიდეთ დარაჯობითაო." დილარ მძლეველსა იამა მოხსენება იგი ეტიკისა მუჯარამისა, ღვინო იგი შესვა, ჯამი მუჯარამს უბოძა და უბრძანა: „ძმაო მუჯარამ, მადლობელი კაცი ხარ და, ჩემსა მზესა, ცუდსა დროსა ნუ შემირჩევდო უგვანსა სადარაჯოსა ნუ დამადგენო." მან ეტიკმან მოახსენა: „მომიტევე, კელმწიფეო, და, თავმან შენმან, უკეთუ მკნედ არა იქმნები, ჩვენ ვერცა ერთი ტყვეობასა და სიკუდილსა ვერ გარდაურჩებითო." დილარმან მისსა მოხსენებასა ზედა ჰბრძანა: „ვინცა დილარს იცნობთ და გიყვარსთ, იგი გულ-დებულად ძილსა მიეცენითო."

აქა თვით დილარ მძლეველისა დარაჯად დადგომა, მეკობრეთა მეფისა ზორასტანისა და ხუთასთა მისთა რჩეულთა სპასალართა, გმირთა და ძლიერთა ფალავანთა შეკრება და სამასთა ათასთა სპათა მისთა გაწყვეტა, დამარცხება და გაქცევა დილარ მძლეველისაგან.

Დილარ მძლეველი მიმხედრდა ტაიჭსა თვისსა, გაემართა მარტოდ სადარაჯოდ და თვანა არავინ გაიყოლა. გვერნა მას ეტიკსა ჩვენსა, თუარემ გულსა შიში ჰქონდა და იდუმალ შორით უკან ემდგომოდა, და რა სამისა მილისა გზა განვლო, დილარ მძლეველმან შეიტყო, თუარემ იგი მეკობრეთა მეფე ზორასტან ყოვლითა თვისითა რაზმითა უთვალავითა და სამასისა ათასითა გულოვანითა ჭაბუკითა მოუგება წინა მარტოდ დილარ და მუნით მეწინავეთა რჩეულთა ფალავანთა და რაზმთა მათთა; დილარს საომარისა იარაღისათვის კელი არა მიეყო, მათრახი კელსა მიეცა და ეგრეთ გარეულიყო. მათ ურიცხვთა მეომართა შინა, კისკასად ბრუნვა დაეწყო და მათრახისა გარდაკვრითა, ვითა შემოდგომისა ხეთა ფურცელნი, ეგრეთ ჩამოეყარა იგი უთვალავნი სპანი და ფალავანნი, მიწრაფლად გაეტეხა და გაექცია, მისწეოდა თვით მეფესა მეკობრეთასა ზორასტანს და ხუთ-ასთა მისთა ჩინებულთა თავადთა,

მთავართა, ვაზირთა და გულ-ლომთა სპასალართა, თვითოსა მათრახისა გარდაკვრითა ჩამოყარნა, კელნი დაეკრა და სხვანი გარდახვეწოდენ. ჟამსა შუა ღამისასა მოსულიყო, იგი ტყვენი პყრობილნი თან მოეყვანა, მოპარვით ხეთა ძირსა დაეყარა და იდუმალ თვისსავე ადგილსა დაწოლილიყო.

აქა ეტიკისა მუჯარამისაგან ხუმრობით დაღვიძება კელოვანთა მათ ქოქონიკთა და დიდად შეშინება მათი.

Იგი ეტიკი ჩვენი მუჯარამ მოვიდა და დაგვიწყო გამოღვიძება, თრთოდა და გვეტყოდა: „ჰაბუკნო, რასა გძინავსთ, აღჰსდეგით, თავსა უშველეთ, პატრონი ჩვენი შეიპყრესო!“ შეიქმნა ჩვენში ურვა მიმორბენა, ცხენთა პყრობა და აღჭურვა; იგი ხელოვანნი ქოქონიკნი იცემდეს თავსა, იგლეჯდეს წვერსა და იტყოდეს: „ეჰა, ვაჲ ჩვენდა, რასა უბედოსა ჟამსა შევესწარითო!“ განმრავლდა კმა გოდებისა, და გასხდენ ცხენთა დილარისა მოყმენი და თვით მეცა მათთანა, გარნა, თავმან თქვენმან, შიშით და მწუხარებით კვეთებულსა ვჰგვანდი; იგი ლომნი დილარისა მოყმენი გაეკიდნენ პირველ ნაკვალევსა დილარისასა და მე დავშთი მუნ არცა მკუდარი, არცა ცოცხალი; ზედა გათენდა და შევჰქმენით გოდებისა მომატება და ტირილი; მათ მეფეთაცა გამოიღვიძეს, განჰკრთეს და გვიბრძანეს: „რა მოგვლენიათო?“ ჩვენ ტირილით მოვახსენეთ ჰამბავი ჩვენი; იგინიცა შეშფოთებულნი წამოიჭრენ, საჭურველსა კელი მიჰყვეს და ცხენნი მოითხოვეს; მიხედეს დილარს ადგილსა თჳსსა მწოლარესა და ამოდ მძინარესა; იგი წყეული ეტიკი ჩვენი ერთ კერძო იდგა, გვიმზერდა და იცინოდა; მოვიდა და მათ მეფეთა მოახსენა: „დიდნო მეფენო, მომიტევეთ, ეგე ვითართა გულთა მქონებელნი გრძნეულთა ქვეყანისა შელეწასა ვითა აპირობთო.“ რა ნუშრევანმან საქმე იგი სალაღობელად ჰსცნა, ტაში შეატყველა, იწყო კმა-მაღლად

სიცილი და იქმნა მხიარულება; მას კმასა ზედა დილარ მძლე-ველსაცა გამოეღვიძა; მივიდეს ნუშრევან და გოჰარ, და მოა-ხსენეს ყოველი ყოფილი მუჯარამისა მიერ; დილარ, შვენიე-რებისა საუნჯე, ჩვეულებისაებრ თვისისა გამხიარულდა. ჩვენ მიგვიწოდა და გვიბრძანა: „ძმანო ჩემნო, რასა ურვასა შინა ყოფილხართო?“ ჩვენ გაწბილებულთა სირცხვილით სიტყვა ვერღა მოვახსენეთ, და მათ ქოქონიკთა ყოველივე მოწევნი-ლი ჩვენზედა თვითოეულად ჰკადრეს. კვალა უმეტესად გა-მხიარულდა მოყვარეთა სიქადული დილარ და ესოდენ იცი-ნოდა, რომე სიტყვასა ვერღა აგებდა. შემდგომად მიბრძანა: „ძმაო, ისწრაფე და ყმანი ჩემნი ჩემდავე მოიყვანენ და მშვი-დობა ჩემი უამბეო.“ მე განაღა გავესწრაფე და მოვსწვდი მინდორსა რასამე მომავალთა, მოვახსენე ყოველივე ყოფილი ეტიკისა მიერ, თუმცა განჰსწყრნენ, გარნა დილარისა მშვი-დობისა ჰამბისა სმენამან დაავიწყათ წყინება და მხიარულებით უკუნ-ქცეულნი მოვედით წინაშე აბაშთა მონარხისა; ყმანი დილარისანი ირცხოდეს მუჯარამისაგან გაწბილებისათვის, გარნა უბრძანა დილარმან: „ძმანო ჩემნო, მადლი გვმართებს მუჯარამისა და არა წყრომა, მით რომე ეგე ვითარითა მოქმე-დებითა უმეტესად გამოიცდებითო.“ შემდგომად მოუწოდა ეტიკსა მას, და უბრძანა: „თავმან ჩემმან, კარგსა და მოხუ-მარსა კაცსა შეგხვდით და საკუთრად ამა ლაღობისათვის წყა-ლობასა გიბოძებო.“ მან ქვე მიწადმდე თაყვანი-ჰსცა, და მოახსენა: „დიდებულო მონარხო, მომიტევე, შემდგომისა ჟა-მისათვის ვილაღობე ესე, რათა გრძნეულთა ქვეყანასა შესვ-ლისს დროსა ყოველნივე სიფრთხილით იყვნენო.“ მოითხოვა დილარმან პური, მიირთვეს და, ვითა ჰშვენოდათ, ეგრეთ მხია-რულებდეს. მაშინ შეიქმნა ერთ კერძო მწუხარებით ღაღადე-ბა; თურე, დილარს რომ ტყვენი მოეყვანნეს, იგინი ჰკმობდეს და იზახდეს, ვითა: „ვინ ხართ, ყოველსა კაცსა ჰსჯული აქვს და, თქვენსა ჰსჯულსა, მცირედ შეკრულებისაგან გვიფოთო-ლეთო.“ მაშინ დილარმან ჰბრძანა მოყვანა მათი.

აქა დილარ მძლეველისაგან მეკობრეთა მეფისა ზოროასტანისა და და-
დებულთა მისთა მოყვანინება, განხსნა და ჭსჯულის დებისა მიცემა.

Ოდეს მოიყვანეს წინაშე დილარ მძლეველისა მეფე იგი მეკობრეთა ზოროასტან და დილეგებულნი მისნი ყმათა დილარი-სათა, დაახსნევინა კრულებისაგან და ჰრქვა მათ დილარმან: „უბედურნო, ვინ არს მეფე თქვენი, ყოვლითურთ გზისა სიბოროტისასა მადგინებელი და მწვრთელი თქვენი?“ ამათ, რა დილარისა კმა და ბრძანება ისმინეს, იცნეს, რომე იგი იყო მათისა შეპყრობისა მიზეზი; ერთი მათგანი წარმოჰსდგა, თაყვანი-ჰსცა, და მოახსენა: „ეჰა, მკლავ ძლიერო და შეუსწორებელო მეომარო, მე ვარ უბადრუკი ესე მეფე მეკობრეთა ქვეყანისა და მიზეზი ეგოდენთა სისხლთა დათხევისა; რაჲ არს ნება შენი, გვიბრძანე.“ უბრძანა დილარმან: „შავბედო, დღეს არს წამი სიკვდილისა ანუ სიცოცხლისა შენისა! უკეთუ წინაშე ჩემსა დაჰსდებ აღთქმასა მტკიცესა, რომე არცა შენ და არცა შემდგომთა შენთა დასასრულადმდე სოფლისა, დაძრცვა, დახვედრა და სიკუდილი კაცთა არა გაბედოთ და მომცეთ პირობის წერილი ფიცითა მტკიცითა ამას ზედა შენ და ერმან შენმან, მოგიტევებთ სიბოროტესა თქვენსა და, უკეთუ არა ჰყოფთ ამას, თავმან ჩემმან, თქვენ და ქვეყანისა თქვენისა მამაცსა და დიაცსა ყოველთავე ერთობით გაგჰსწყვეტთო.“ მას დილარისა ბრძანებასა ზედა მეფემან ზოროასტან თაყვანი-ჰსცა, და მოახსენა: „ჰე, გმირთა გმირო, თუ ოდესმე სიბოროტე გვქონია, მათრახმან თქვენმან შეგვანანა, აწ, ვინათგან მაგა მოწყალებასა მოიღებთ, დაიმდაბლეთ თავი თქვენი, ქვეყანასა ჩვენსა მობრძანდით, მაშვრალობისაგან განისვენეთ და ესრეთ მე და ყმათა ჩემთა ფიცისა წერილი მოგართვათ, ვითარ იგი გნებავსთო.“ მას მოხსენებასა ზოროასტანისასა ერწმუნა დილარ, მათ ყოველთა თვისნი ცხენნი და

თვითო ხალათი უბოძა; ავიყარენით და გავემართენით მათსა ქვეყანასა.

აქა დილარ მძლეველთ მიიპატიჟა მეკობრეთა მეფემან ზორასტან ქვეყანასა თვისსა და ოთხნი დიდებულნი თვისნი წარავლინნა განმზადებად ქალაქთა და დაბათა და თვითცა შეუდგნენ კვალსა მათსა.

მეკობრეთა მეფემან ზორასტან წარავლინნა ოთხნი დიდებულთა თვისთაგანნი, და უბრძანა განმზადებად ყოველთა ქალაქთა და დაბათა, მისაღებელად მის ძლიერისა მონარხისა და დიდთა მათ მეფეთა, რათა ყოველნი ერნი შეჰკრიბონ სატახტოსა თვსსა ქალაქსა სადღესასწაულოსა მის ფიცისათვის. იგი დიდებულნი მეკობრეთა მეფისანი წარვიდნენ, და თვით მეფე ზორასტან მიგვიძღვოდა გზასა ზედა ამოთა სიარულითა. რა იგი დღე მწუხრადმდე ვლეთ, შევედით შენობასა რასამე ზედი ზედსა ტურფად საამოსა და უცხოსა წყალ-ბალახიანმთიანსა, ბალჩა-ბაღითა, მტილ-წალკოტითა განშვენებულსა და მრავლად ხე-ხილიანსა. მოეწონა დილარს ჰაერი იგი და მას ღამესა მუნ განუსვენა მეფემან მეკობრეთამან დილარს, მეფეთა მათ და ყოველთა კრებულთა მათთა, პურობითა, დახვედრითა და ლხინითა. მეფე ზორასტან ჰმსახურებდა დილარს და მეფეთა ჩვენთა ვითარ მონა, და იტყოდა: „ამიერითგან დავჰსდვა თავი ჩემი სამსახურსა თქვენსა ზედა და სიყვარულსა თქვენსა უძღვნა სიცოცხლე ჩემი.“ იგი ღამე იყო მოუკლებელი პურობა და სმა ღვინისა; ჰქონდა ძღვნობა მრავალთა და უცხო ფერთა ლართა. ჩვენცა ვსმიდით და შევექცეოდით განთიადამდე და რიჟურაჟსა ზედა განვისვენეთ ძილითა, და დროსა სადილისასა მოვიდა მეფე იგი და მოახსენა დილარს: „ძლიერო კელმწიფეო, მგზავრთათვის დრო არის პურისაო.“

დილარმანცა უბრძანა: „ჟამი არს, მეფეო, და ნუღარ იყოვნით.“ მყისად მოიღეს და დააგეს. თავმან თქვენმან, უკეთესობა საჭმელთა არღა ეგებოდა; თვით მეფე იგი ღვინის მწდეობდა, მიართმიდა და ევედრებოდა გამხიარულებისათვის; პატრონნიცა ჩვენნი მიეცნენ შვებასა, მით რომე ცუდსა და ფიცხელსა გზასა ზედა მაშვრალნი იყვნეს. ერთსა სწორსა მუნით არღა აგვყარნა მეკობრეთა მეფემან და ყოველსა დღესა უმჯობესად ჰმსახურებდა და მოართმიდა ურჩეულესთა ნივთთა. შემდგომად, სწორისა სრულ-ჰყოფისა, ჰსთხოვა მეფემან ზორასტან დილარ მძლეველსა სხვასა ადგილსა შექცევა; ინება დილარმანცა. შევსხედით და გავემართენით, რასადილობადმდე ვვლეთ, მივედით უკეთესსა ადგილსა და უკეთილესსა შენობასა; პური სადილისა მუნ განემზადებინათ; გარდაგვახდინა და პურობად გვაწვივა; დავსხედით და სადილსა შევექეცით. რა პურობა დავასრულეთ, აგვჰყარა მუნით და ვახშმად სხვასა ადგილსა უკეთესსა შენობასა მიგვიძღვა, დავიდევით პური და უმჯობესი ლხინი მუნ გარდავიხადეთ. იგი მეფე მეკობრეთა სამსა კვრასა ეგრეთ გვატარებდა შენობასა შინა, სადილად სხვაგან გვიმასპინძლებდა და ვახშმად სხვასა ადგილსა მიგვიძღვის, და ოც-და-მეორესა დღესა მიგვიყვანა თვისსა სატახტოსა ქალაქსა. მოგვეგებნენ წინარე ყოველნი დიდებულნი და ჰრჩეულნი ერნი სამეფოსა მისისანი, თაყვანისჰსციან დილარ მძლეველსა და აქებდენ მკლავთა მისთა ძლიერებასა და აგრევე მათ მეფეთა ულოცვდიან მათსა ქვეყანასა შესვლასა, უფენდნენ ქვეშე სტავრათა და ოქსინოთა. შეგვიძღვნენ სამეფოთა სრათა, და, თავმან თქვენმან, ყოველთა მხილველთაგან საქებელნი სრანი და დარბაზნი იყვნეს. ორი კვრა განგვისვენეს მრავლითა მხიარულებითა და ძღვენთა მორთმევითა და ძღვნობითა.

აქა წინაშე დილარ მძლეველისა მეკობრეთა მეფისა ზორასტანისა და ერთა მისთაგან მოღება აღთქმისა და ფიცის წერილისა და მგელთა მოყვანა დიდითა დიდებითა, რომელნიცა იყვნეს მათდა ღმერთებად, და მათ ზედა ფუცვა მათი და წესთა თვისთა აღსრულება, ვითარ იგი აქვნდათ ჩვეულებაჲ.

მეფემან მეკობრეთამან ზორასტან და ერთა მისთა ყოველთავე მოიღეს წერილი ფიცისა, დაბეჭდილი სამეფოსა ღერბითა და ყოველთა პალატისა ერთა და დიდ-დიდთა ხარისხოვანთა ძველ გვართა ერთაგან, ესრეთ: რომე არა რომელთამე შთამომავალობათა მათთა მეკობრობისა წესითა არღა ევლოთ და არცაღა კაცნი დაეძარცვათ, და სადაცა ქარავანთა შეხვედროდენ, ემასპინძლათ, შეექციათ და მშვიდობით გაეტარებინათ გზათა მათთა, და ესრეთვე, რაჲცა უცხონი ტყვენი ჰყვანდათ, ყოველნივე თვსთა სახლთა მიეყვანათ ხუთითა აქლემისა ტვირთითა, ძვირფასითა ნივთითა და ოქრო-ქსოვილითა ლარითა. კუალა მოიყვანნეს მგელნი ოთხნი, დიდთა ოქრო მავთულოვანთა ყაფაზა ხანდუკთა შინა მსხდარნი, უსასყიდლოთა შატროვანთაგან ბალდახინ გარე მოფარდაგულნი, რომელთაცა მათ მგელთა ზედა ჰფუცეს ესრეთ: რომე არა ვითარსამე ჟამთა ცვლილებასა აღთქმა იგი არა დარღვეულიყო, არცა მათგან და არცა შთამომავალთა მათთაგან. იგი საფიცი მგელნი ჩვენ დიდად გვეუცხოვა, გარნა მათ შორის დიდად, თურე, მძიმე იყო. ფიცი იგი შეასრულეს. მოვიდნენ, სადა დილარ მძლეველი და მეფენი იგი ჰსდგეს ფერკთა ზედა; მათთა ფერკთა ქვეშეთაგან აღიღეს ქვანი და შეიღეს მგელთა მათ ყუთ ყაფაზათა შინა, კუალა ჰფუცეს, და ჰსთქვეს: „ესე ქვანი იყვნენ წინაჲშე ღმერთთაჲ ამათ სახსოვრად დიდისა ამის

დღისა, რათა ვმონებდეთ დილარ მძლეველსა, და რაჲცა გვიბრძანოს, სიხარულით აღვასრულოთო.“ ესე ლალადება ჰქონდათ ვითარ ერთი ჟამი, მერმე ცეცხლი დააბოლეს, და კვამლსა მას დაჰსძახეს, ვითა: „კვამლო, აღიტანე კმა უსე ჩვენი შენთანა და დაჰკრძალე ცასა შინა მტკიცე ესე აღთქმა ჩვენიო.“ რა ესე ყოველივე შეასრულეს, მგელნი იგი ეგრეთვე წარიყვანეს დიდითა დიდებითა ადგილთა თჳსთა. შემდგომად მოვიდა მეფე ზორასტან ყოვლითა თვისითა დიდებულთა კრებულითა, და სამსა დღესა გამართეს პურობა, ვითარ აქვნდათ ჩვეულებაჲ ფიცსა ზედა; რაცა ჭამადნი მოიღეს, ყოველნივე მრთელნი იყვნეს; ჩვენ ვსმიდით ღვინოსა და ვჰსინჯვიდით წესსა მათსა. ოდეს ჭამადი შევასრულით, ძვალსა აღჰკრებდიან და გარე მოედანსა ზედა აგროებდეს, და კვლა სხვა მოიტანიან მრთელნი ზროხანი, ცხოვარნი ანუ მფრინველნი, მწუარნი თუ მოხარშულნი; და იყო სიმრავლე ნადირთა ხორცთაცა. მას სამსა დღესა და ღამესა მოუკლებელი ლხინი და პურობა იყო, და ძვალთა ერთსა ადგილსა აგროებდეს; თვით მეფე ზორასტან და დიდებულნი მისნი გვემსახურებოდეს დიდითა სიყვარულითა. მესამესა დღისა სრულ ყოფასა მიგვჭირდა ჩვენცა, და მაშინ მეფემან და დიდებულთა მისთა აღავსეს დიდდიდნი ოქროსა დოსტაქანნი და ზე მდგომთა შესვეს სადღეგრძელოდ დილარისა და მეფეთა ჩვენთათვის; იგი რა დაცალეს, ჩვენცა შეგვასვეს და პურობაცა მოშალეს. მაშინ გვაწვიეს სახლთა გარე, გავჰყევით და ვნახეთ, რაცა მას პურობასა ზედა ძვალნი მოეგროებინათ, დაასხეს ზეთი, ერბო და თაფლი, მიჰსცეს ცეცხლი და დაჰსწვეს იგი და ნაცარი წმინდად გაჰსცრეს, კუალა შეზილეს მითვე სამითა ნივთითა, შეჰქმნეს მცირე ყვერბეულებად, გამოაცხვეს და შეინახეს ყოველთა ერთა სახლთა თვისთა—სახსოვრად დიდისა მის სადღესასწაულოსა ფიცისა. მაშინ დაშალეს კრებული იგი ერთა, და ჩვენცა მივეცენით მოსვენებასა. მეორესა დღესა მოვიდა მეფე მეკობრეთა ზორასტან წინაშე დილარ მძლეველისა და

მოიყვანნა ყოველნი ტყვენნი, რომელნიცა ყოფილიყვნეს ქვეყანასა მისსა ერგასის წლით, ვიდრე მუნ დღედმდე; ყოველთავე გააყოლა კაცი თვისთა ქვეყანათა მშვიდობით მისვლისათვის მეფემან ზორასტან, ეგზომითა ოქროთა და ნივთთა სიმრავლითა, რომე რიცხვი არა ეგებოდა. შემდგომად მოიღეს რაცა დღეთა შინა მათთა უსამართლოებით შეეკრიბათ და დაავგროვეს დიდსა და ვრცელსა მინდორსა შინა, და დააყენეს ზვინად და ხვავად თვალი და მარგალიტი, ოქრო და ვეცხლი და სხვა სიმრავლე ოქრო-ქსოვილთა ლართა, სხუა ყუმაშთა, სხვა შალთა და სხუათა ფერად-ფერადთა კერილთა და უკეთ-ულთა ნივთთანი, აღავსეს დიდი იგი მინდორი და დააყენეს დიდ-დიდს მთებად ნივთნი იგი. მაშინ წარიყვანა ზორასტან მეფემან დილარ და მეფენი ჩვენნი და გალანამცა ჩვენცა ყმანი მათნი მათთანა და გვიჩვენა ურიცხვი იგი სიმრავლე სპეკალთა ოქროთა, ვეცხლთა და ლართანი, და მოახსენა დილარს: „კელმწიფეო, ესე ყოველი უსამართლოებით არს შეკრებული და, ვითაცა გნებავსთ, ეგრეთ ჰკმართობდეთ, და თუ ჰბრძანებთ, ცეცხლითა დაიწვასო.“ შეუყვარდა დილარს მეფე იგი და ერნიცა მისნი, და ჰბრძანა: „ჰგავს, რომე სრულითა გულითა მოიქცნენ და ჩვენდაცა ჯერ არს, რათა კეთილად შევაგონოთო.“ უბრძანა დილარმან ზორასტანს შემოკრებად მის ქვეყანისა ყოველთა ობოლთა, ქვრივთა, დავრდომილთა და გლახაკთა, რომელმანცა მყისად წარავლინნა ბრძანებანი, და ერთსა თვესა ყოვლით კერძო შემოჰკრბნენ ყოველნი მის ქვეყანისა დავრდომილნი, გლახაკნი და ობოლ-ქვრივნი. უბრძანა დილარმან და მიუშვა ყოველი იგი სიმრავლე, მიჰყვეს კელი და იწყეს ზიდვა და ორსა სწორსა ზედა განზიდეს ყოველი იგი შეგროვებული, და განმჰსდიდრდა ყოველი მის ქვეყანისა დავრდომილი და აქებდეს კელმწიფებასა დილარისასა, და ესრეთ შეიყვარეს დილარ მის ქვეყანისა ერთა, დიდთა და მცირეთა, რომე განაღმრთობდენ განგებულებათა მისთა და შეჰსტრფოდენ ბაგეთაგან მისთა გამოსრულთა სიტყვათა.

აქა დილარ მძლეველისაგან მეკობრეთა მეფისა ზორასტანისა, დიდებულთა მისთა და ყოველთა ერთა მათთა შეგონება, სწავლა და მოქცევა ბილწისა მის სჯულისა და მკეცთა თაყვანის-ცემისაგან.

დიდსა მას აბაშეთისა თვით-მპყრობელსა დილარ მძლეველსა ელმოდა ფრიად მის მეკობრეთა მეფისა და ერთა მისთათვის, რომელნიცა დაპყრობილ იყვნენ საქმითა ბოროტითა და მკეცთა ბილწთა თაყვანი-ჰსცემდეს. დღესა ერთსა განამზადებინა სამეფოსა მის პალატისა მოედანი და დაადგმევინა სამნი სამეფონი ტახტნი, გაბრძანდა თვით და გაიყოლა ძმანი თვისნი და ჩვენცა ყმანი მათნი; დაჰბრძანდა თვით საშუალსა ტახტსა ზედა და მარჯვენით ტახტსა დასხნა ნუშრევან და გოჰარ, მოუწოდა მეკობრეთა მეფესა, დიდებულთა და ყოველთა ერთა მისთა, შემოიკრიბა გარე, და უბრძანა ესრეთ: „ჵი მეფეო და ყოველნო ერნო, რომელნიცა მკვდრობთ ქვეყანასა ამას კეთილსა, თქვენ, კაცნი გონიერნი და სიტყვიერნი, დამონებიხართ მკეცთა უსიტყვთა, უგუნურთა და ბილწთა; აწ ისმინეთ თქმულნი ჩემნი და უმჯობესი გზა გამოგირჩიო თქვენ და დაგადგინოთ საფუძველსა კეთილსა! ესე უმჯობესი არა არსა, რათა იცნათ; რომელიცა არს ცასა ცათასა მყოფი, მართალი ღმერთი სავაოთ? რომელსაცა შეუმზადებია სიტყვითა თვისითა ყოველივე, რაჲცა არს ცათა შინა ზე, და რომელნიცა არიან ქვეყანასა ზედა ქუჱ, შემკობილება ვარსკვლავთა მას განუშვენებია, მზე და მთოვარე წამის ყოფითა თვისითა განუწესებია და ბრძანებასა მისსა მორჩილებენ, რომელსაცა კაცი სულითა მთავრობისა თვისისათა და კელითა თვისითა შეუქმნია და ყოველთა ცხოველთა ზედა მეფედ დაუდგენია, ზღვა და კმელი მისთვის განუსაზღვრებია და ესე მრავლადობა ნაყოფთა და მრავალ ფერადობა ყვავილთა მისისა სიმშვენისათვის შემოულია, თვისისა სამ მზეობისა და

ერთობისა მაგალითი ჩვენთანა დაუმკვდრებია, რათა ჩვენ შორის დამკვიდრებულითა ძალითა მის მიერითა ვიცნათ იგი თაყვანი-საცემელად, სამობა ერთობითა და ერთობა სამობითა, ვითა ესე არს ჩვენ ერთსა განუკვეთელსა შორის გონება, სიტყვა და სული, სამი ესე ერთსა შორის იპოვების და მით განშვენებულ არს; და კვალად გეტყვი თქვენ: ვითარ იგი მზე ერთ არს და სამნი ერთსა მას შინა ისაჩინოებიან—დისკო, სხივი და ნათელი და სამნიცა იგი ერთობასა მზისასა ამკობენ. აწ ჯერ არს ჩვენდა, ძმანო ჩემნო, მის ერთისა დიდისა ღუთისა, სამობით ქებულისა, თაყვანის-ცემა და შედგომა კეთილთა საქმეთა სარწმუნოებითა, სიყვარულითა, სასოებითა, სიწმიდითა, სიმდაბლითა, მოთმინებითა, მოწყალებითა, სიმშვიდითა და მიტევებითა, რათა მის მიერ ბოძებული ესე დიდება გარდავჰსცვალოთ უკუდავსა მას ცხოვრებასა, და სიხარული ჩვენი იყოს დაუსრულებელი მეორეთა მათ ნათელ მსახურთა მისთა და ყოველთა მოყვარეთა მისთა კრებულთა თანა. აჰა, მეფეო, უკეთუ გნებავს, რათა კეთილი გეყოს შენ და ერთა შენთა გამოუთქმელსა მას დიდებასა შინა, დაუტევე ბილწნი და არა წმიდანი ეგე მკეცნი, მოიქეც მკეცთა თაყვანის-ცემისაგან და იყავ ძმა ჩვენი საყვარელი და დიდებულნიცა ესე შენნი მოვეაქციენ ერითურთ შენით და ვიხარებდეთ ერთობით ყოველნივეო."

აქა მეკობრეთა მეფე ზორასტან და ყოველნი დიდებულნი მისნი ერითურთ მათით მოიქცეს მგეცთა თაყვანის-ცემისაგან, ღმერთ ყოფილნი იგი მათდა მგელნი თვით კელითა თვისითა დაჰხოცნეს.

რა მეკობრეთა მეფემან და ერთა მისთა ესე დილარისა ბრძანება მოისმინეს, დაჰსდგნენ დაფიქრებულნი თავთა შორის

თვისთა, და იტყოდეს, ვითა: „კელმწიფე ესე ყოველსავე კეთილსა გვიბრძანებს, და რაჲ არს ჩვენი ესე ამაოებასა შინა დაბრმობაო." მათ ყოველთა ერთობით თაყვანი-ჰსცეს დილარსა, და მოახსენეს: „ძლიერო კელმწიფეო, კეთილ ბრძანებანი ეგე ტკბილნი და კეთილ ჰსჯულის დება თქვენი, გვრწამს სავაოთ, ღმერთი ერთი, სამობით დიდებული და თაყვანის-ცემული, რომლისაგან ყოველნი არსნი არსობენ. აწ ჰბრძანეთ და ჰსჯულსა თქვენსა დაგვადგინეთო." ამისთვს დილარ მძლეველი დიდად მოხარულ იქმნა. თვით მეფემან მეკობრეთამან და ერთა მისთა მოიყვანნეს მგელნი იგი, რომელთაცა თაყვანის-ჰსცემდეს, და თვითვე კელითა თვისითა დაჰხოცნეს, მაშინ ყოველმან მან სიმრავლემან ერთამან იწყო ღაღადება: „დიდ არს, დიდ არს ღმერთი ცისა და ქვეყანისაო." ესე ჰსჯული მის ქვეყანისა ერთა დიდთა და მცირეთა ყოველთავე აღიარეს და ირწმუნეს მოხარულთა; და მიჰსცა ჰსჯულის დება წერილით დილარმან, ვითა ზემორე მიუთხრა მათ; ხოლო მეფემან მეკობრეთამან ზორასტან აღმართნა ძეგლნი ყოველთა ქალაქთა და დაბნებთა, და მოხარულნი აქებდეს და ადიდებდეს ღმერთსა (ცისასა) სავაოთსა, და რა ესრეთ განაგნა თვისისა ქვეყანისა საქმენი მეფემან ზორასტან, მაშინღა იწყეს უმეტესი სმა და პურობა და ერთსა სწორსა იყვნეს დიდსა მხიარულებასა შინა.

აქა დილარ მძლეველისაგან მეკობრეთა ქვეყანით წარსვლა გრძნეულთა ქვეყანასა, მეფისა ზორასტანის მომზადება და თანა გაყოლა ჯრჩეულითა სპითა თვისითა.

უბრძანა დილარმან მეკობრეთა მეფესა, ვითა: „ძმაო ზორასტან, ჩვენ მივალთ საქმისა რომლისათვისმე ქვეყანასა

გრძნეულთასა, და ოდეს ბრძანება ჩემი მოგივიდეს, რაცა იყოს, ეგრეთ აღასრულებდეთ." რა მეკობრეთა მეფემან გრძნეულთა ქვეყანასა დამართება მათი ისმინა, დიდად დაუმძიმდა და მოახსენა: „კელმწიფეო ძლიერო, ძნელსა ქვეყანასა დაგიმართავს, და უკეთუ მოხდებოდეს, გარე უკუნ-ქცევა უმჯობესი იქმნება, და თუ არა ინებებთ, მეც თანა გიახლებით, მით რომე ნუ თუ ჭამადი რა დაგვჰსჭირდეს, ქვეყანით ჩვენით კელს ვიმართვიდეთო." დილარმან დია დაუმადლა მოხსენება იგი, და უბრძანა: „ძმაო ჩემო, თავმან ჩემმან, კარგსა და საყვარელსა მოყვასსა გარდაგვეკიდენით და, ვითა ჰსჯობდეს, ეგრეთცა იქმოდეო." მან თაყვანი-ჰსცა და თვისთა საკუთართა ხვასტაგთაგან, უბრძანა დიდებულთა თვისთა ერგასთა ათასეულთა ზროხათა და სამას ათასეულთა ცხოვართა გრძნეულთა ქვეყანისა გზასა შეყენება, ხოლო პურისა, ღვინისა და სხვათა ხორაგთათვის ეტლთა სიმრავლე ვისგან ვითა მიიწთომოდა! კულა უბრძანა ათი-ათასთა, ბრძოლათა შინა გამოცდილთა, ლომ-გულთა ჭაბუკთა გაყოლა მათ საკლავთა. მეკობრეთა მეფისა ყმათა ბრძანებული იგი მათდა მარჯვედ აღასრულეს, და შეუდგნენ გზასა მას. კულა მოჰმზადა ზორასტან მეფემან თვისისა ქვეყანისაგან ოცი-ათასი მკნე ჭაბუკი, ხვარაზმულითა აბჯრითა დაჭურვილნი, ხლებად თვისთანა; და იყო მზად მაყურებელი დილარის ბრძანებისა. ათსა დაჰყვეს კვლა დღესა ლხინითა და შექცევითა ქალაქსა მას შინა, და შემდგომად მოახსენა მეკობრეთა მეფემან დილარს, ვითა: „ძლიერო კელმწიფეო, ჰსჯობდა, რათა გზასა მას ჩამოხსნოდით, მით რომე წყეულნი იგი ერნი ეშმაკობითა და გრძნეულობითა სავსენი არიან, და ვინაჲთგან არღა დაიშლით, ვიარებოდეთო."

აქა დილარ მძლეველისა, გონება მზისა და გულ ანდამატისა, წარსვლა მეკობრეთა ქალაქით გრძნეულთა ქვეყანასა შესასვლელად და თანა ყოლა ნუშრევანისა, გოჭარისა და მეკობრეთა მეფისა ზორასტანისა.

შეიქურა დილარ მძლეველი და ყოველნი, მის თანა მყოფნი, დავეკაზმენით, გავსხედით ცხენთა, დავუტევეთ მშვიდობა ერთა მათ და გავემართენით; ვიარეთ ერთი თვე ქვეყანასა კეთილსა და კეთილ შენობიანსა, საბრძანებელსა მის მეკობრეთა მეფისასა, რომელიცა გვხვდებოდა ყოველთა ადგილთა დიდითა გამოჩინებითა და წარსაგებელთა სიმრავლითა; ვითაცა ჰშვენოდა სიყვარულსა მისსა, თავმან თქვენმან, მრავალთა და დიდთა ქვეყანათა მეფე ყოფილიყო; და ოდეს დავასრულეთ და განვვლეთ საბრძანებელი მისი, შევედით ცუდსა და გაუძლებელსა ადგილსა, ქვეყანასა უწყლოსა და უნაყოფოსა, ესრეთ რომე არცა ნადირი და არცა მფრინველი არა გვინახავს, და უკეთუ მეკობრეთა მეფესა სათანიო იგი არა ეზრუნვა, სიმშილი საქმეს გაგვიჭირებდა; გარნა იგი ულალი ადგილი ესრეთითა ლხინითა განგვავლო, რომე ნოვაგთა და სასმელთა სიმრავლე შენობიანსაცა მეტი არლა ეგებოდა. რა ერთი თვე ვვლეთ მას გაუძლებელსა ქვეყანასა და გარდავხედით სადილობად, შეჰქმნა ეტიკმან ჩვენმან მხიარულებაჲ, უმატა სმასა ღვინისასა, და მოახსენა დილარ მძლეველსა: „დიდო და ძლიერო კელმწიფეო, იშვებდ, ამად, რომე ესე სამი დღეა, და შევალთ ქვეყანასა მას გრძნეულთასა, და ვითარ გულ-მყარად იქმნებიან ესე ქოქონიკნი, ყმანი თქვენნი, მაშინღა გაუჩნდებისთო." დილარს მეტად იამა დაახლოება მის ქვეყანისა, და უბრძანა მას ეტიკსა: „ძმაო, ჩვენსა სიჯაბნესა თქვენცა ხედავთ, გარნა შენითა იმედეულ ვართ მის ქვეყანისა შევლასაო." მან მუჯარამმან მოახსენა: „კელმწიფეო, მზემან თქვენმან, აწვე გული მითრთის მათ წყეულთა

შიშითა, და თუ კჳლალა მიბრძანებ, ვჰგონებ, უკუნ-ქცეულმან ეგზომი ვირბინო შიშითა მათითა, რომე ჩემსაცა ქვეყანასა გავჰსცილდეო. გული ჩემი ამას მაწვევს, და ჩემგან მეტსა ნურასა მოელით." იცინოდა დილარ მის ეტიკისა ლაღობასა ზედა, და კჳლა უბრძანა: „მუჯარამ, გული კაცისა მეტი არღა ეგების, ვითარიცა შენა გაქვს, და, ვიცი, ყოველსავე ჰლაღობ შექცევისათვის ჩვენისა, გარნა, ნუ თუ ამა მეკობრეთა მეფისა ყმათა მართალი ეგონოსთ, ნუ მეტსა ლაღობო." მან კვლა მოახსენა: „კელმწიფეო, ნუ ჰბრძანებ, შენსა მზესა, ჩემგან მის ქვეყანისა დალახვასა, ამას სამსა დღესა, უკეთუ სული შემრჩა, სვესა ჩემსა დავლოცავო." დილარ დიდად მხიარულებდა, და სამი დღე მას ადგილსა დაჰყო პურობასა, სმასა და შექცევასა შინა.

მეოთხესა დღესა აღმკედრდა დილარ მძლეველი და ყოველნი მისთანა მყოფნიცა გავსხედით ცხენთა, გაგვიძღვა ეტიკი ჩვენი და წარვედით. იგი თქმული სამისა დღისა სავალი ესრეთ სისწრაფით იარა დილარმან, რომე პურობა და ნადიმი არღა სადა გარდაუხდია; ვიარეთ და ზედა შევხვდით მდინარესა დიდად დიდსა და ტყესა ხშირსა, ხითა მაღლითა და სხვლითა იმიერ კიდესა და ამიერ, მივედით და გარდავხედით მის მდინარისა კიდესა ტყესა შინა და ველსა შვენიერ ბალახოვანსა; იგი დღე და იგი ღამე მუნ განვისვენეთ და ცხენნიცა შევასვენეთ. სხვასა დღესა გამართა პურობა მეკობრეთა მეფემან უფროსი და უმჯობესი წინათ მგზავრობისა პურობისა და მხიარულობდა დილარ მძლეველი. მაშინ აღჰსდა მუჯარამ და მოახსენა: „კელმწიფეო, წყალს იმიერ მზღვარი არს გრძნეულთა ქვეყანისა, და, ვითა გიბრძანებია, გევედრები, ნება მიბოძეთ უკუნ ქცევისაო." დილარ, მხიარულ ქმნილმან, უბრძანა: „არა, ძმაო, ნამსახური ხარ და მრავალი შრომა გარდაიხადე გზასა ზედა ჩვენთვს, არა ეგების ეგრეთ გასტუმრება შენი, რათა მაგიერი წყალობა ჩვენცა არა გიყოთო; აწ ისმინე ჩემი, ძმაო! დაჰსდეგ ადგილსა ამას, მოიყურენ

ჰამბავნი ჩვენნი, და შემდგომად ჩაგათვლი მეფესა ამას, რათა შენსა ქვეყანასა მშვიდობით მიგიყვანოს.“ მერმე უბრძანა მეკობრეთა მეფესა, ვითა: „მეფეო, შენ დაჰსდეგ ადგილსა ამას შენითა სპითა და ყმანი ესე ჩემნი შენთანა დაადგინენ, რომელნიცა არიან გამოცდილნი მიწის ხვრელობისა კელოვნებასა შინა; შენის ქვეყანით ჭამადთა ნუ დაიკლებ, ესე წყალი და ტყე ზურგად მიიეც, და ელოდე ჩვენთა ჰამბავთაო.“ მან თაყვანი-ჰსცა, და მოახსენა: „შენმან მზემან, ვიდრე ბრძანება თქვენი არა მივიღო, აქათით არა წარვიდეო.“



თავი მეშვიდე

კარი იგივე.

შესვლა აბაშთა თვით-მპყრობელისა დილარ მძლეველისაგან გრძნეულ-
თა ქვეყანასა შინა და თანა შეყოლა ნუშრევან მეფისა, გოჭარ ზოლან-
თა მეფისა, სპასალარის მარსისა, აბასთა დილარის მოყმეთა, ნუ-
შრევანისა და გოჭარის ჭაბუკთა და მორე დილარის ხვედრისა.

(ისმინეთ აქა:)

დილარ მძლეველისა გულმან, ვითა უკიანოსა ზღვამან,
ღელვა დაიწყო, პირმან მისმან ნათელ-მფენელობასა უმა-
ტა, სიხარულითა აღივსო, და ჰბრძანა: „ჟამი არს გრძნეულ-
თა ქვეყანასა შესვლისაო." მასვე ბრძანებასა ზედა დილარი-
სასა მოვემზადენით ყოველნივე ერთობით, დავიმოსეთ მოგვნი
იგი მყინვართა მეფისაგან მოცემულნი, შევიჭურვენით ყოვ-
ლითა საჭურველითა, გარდავიკიდეთ ჯაჭვნი იგი ქვათანი
ყელსა ზედა მკერდსა ზედა გამაგრებითა, თვის-თვისად მოცე-
მულნი წამალნი მოვიმარჯვენით მალ ხმარებისათვის, ცხენთა
ნალნი დავაკარით, ვითარ იგი ემცნო ფინეზ მეფესა, ჴელთა
გურზნი მივიცენით, დავუტევეთ მშვიდობა მეკობრეთა მეფე-
სა, გამოვესალმეთ ყოველთავე, გავსხედით ცხენთა და გავე-
მართენით. იწყო წინარე სლვა დილარ მძლეველმან მხიარუ-
ლითა გულითა, თანა ახლდეს მოყმენი თვისნი და ჩვენ, ყმა-
ნი მათნი, უკანა შეუდეგით; ოდეს დიდი იგი წყალი ცხენთა
ცურვითა განვვლეთ, მაშინ ჰბრძანა დილარმან: „ძმანო ჩემ-
ნო, ამას გზასა დღისით ვიარებოდეთ ანუ ღამე, ვითარ-

ჰსჯობსო?“ ნუშრევანმან მოახსენა: „კელმწიფეო, აწითგან ჩვენთვის ორივე სწორეა, ვვალთ და ვიარებოდეთო.“ გარნა გოჰარმან ეგრე მოახსენა: „არა, კელმწიფეო, არა კარგია ესრეთსა ქვეყანასა ღამე სიარული, მით რომე ჩვენ შინა ვიარებოდეთ და მტერთა შენობა უკანა გვჰშთებოდეს, გამობრუნებისა ჟამსა წინავე დაგვხვდებიან და საქმე გაგვიორდების, ამისთვის ესე უმჯობესი არს, დღე ვიარებოდეთ, რათა შემდგომსა დროსა სინანულსა არა შევიდეთო.“ დილარმან ესე გოჰარისა რჩევა დაასკვნა, იგი ღამე მუნ დავჰყავით. მეორესა დილასა იწყეს სიარული მეფეთა მალითა სლვითა და ჩვენცა ვჰსდევდით მონანი მათნი, ვიარეთ ვითარ სამი ჟამი, დაგვხვდა ქვეყანა შვენიერი და ფრიად ჰაერ კეთილი, ვიდოდით გზასა ზედა და არა ვიცოდით, რა იქმნებოდა.

აქა გზასა ზედა ხილვა მრავალთა დაჭურვილთა კაცთა, ძელსა ზედა დამოკიდებულთა, რომელთამე მკჳდართა და რომელთამე სული მობრძავთა გრძნეულებითა.

დილარ წინარე იარებოდა და ვჰსდევდით ყოველნივე დაფიქრებულნი და არა ვიცოდით, რა შემთხვევა იქმნებოდა ჩვენზედა. ოდეს მცირედ წარვვლეთ, ვიხილეთ უთვალავნი კაცნი, დაჭურვილნი, ძელთა ზედა დამოკიდებულნი თვითოსა კელითა და მრავალნი დახოცილნი; გზისა ორსავე კიდესა ზედა ეგზომი იყვნეს დაკიდებულნი, რომე რიცხვი არა შეიგებოდა! შეჰსწუხდა დილარ და ჰბრძანა: „ღმერთო, ესე საბრალონი ვისნი არიან, რომე ესრეთ მრავალნი ესრეთითა ტანჯვითა ამოწყვეტილანო.“ ვიარებოდით სწრაფად, გარნა არა იქმნა მოკლება მათ დამოკიდებულთა კაცთა; ვნახეთ მათ სიმრავლეთა შორის კაცი ერთი დამოკიდებული, რომელსა სული მცირედღა ედგა, და, რა ჩვენ დაგვინახა, იწყო კმობა და ვედრება, ვითა: „ვინ ხართ, ჰაბუკნო, მიშველეთ, თქვენსა

სიმკნესა შემაღლეთო.“ მისსა კმასა ზედა ახლოს მივიდა დილარ და ჰკითხა: „ვინ ხართ, უბადონო, ესრეთ უწყალოდ დაკოცილნიო?“ მან მოახსენა: „პატრონო, ენისა ძვრაჲცა არლა ძალ-მიძს, ჩამომხსენით და ყოველივე მოგახსენოთო.“ შეჰბრალდა დილარს, კელი მიჰყო და ენება, რათა ჩამოეხსნა. მაშინ გოჰარმა შეჰსძახა: „კელმწიფეო, უკუჰრიდე, შენსა მზესა, გრძნება რაჲმე იქმნებაო.“ რა დილარ მოეცალა

აქა მათ ძელთა ზედა დამოკიდებულთა კაცთა ცეცხლად შეცვლა, ჰაერსა აღსვლა, მუნ ვეშაპად გარდაქცევა და დიდროანთა ლოდთა ჰაერით დაშენა დილარსა, მათ მეფეთა და ყმათა მათთა ზედა.

მან კაცმან საშინელითა კმითა დაიწივლა, სრულიად ცეცხლად შეიქმნა, ჰაერსა აღვიდა, მთის ოდენად ვეშაპად შეიცვალა და დაიწყო წივილი; მისსა წივილსა ზედა იგი უთვალავნი კაცნი, ძელზედ დამოკიდებულნი, ყოველნივე დაცოცხლდენ, ცეცხლად შეიცვალნენ, ჰაერსა აღვიდნენ, ვეშპად შეიქმნენ, იწყეს წივილი და დიდროანთა ლოდთა დაშენა ჩვენზედა; ჩვენ თავთა ფარნი ვიფარეთ, მივანდევით თავნი ჩვენნი განგებასა და ესრეთ ვიარებოდით; მათ ეგზომნი ლოდნი დაგვიშინეს, რომე ამას იტყოდა კაცი: ყოვლისა ქვეყანისა ლოდნი აქა მოუკრებიანო. ესე, თურე, მყინვართა მეფისა და ეგროს ვაზირისა კელოვნებითა იყო: რომე დიდდიდნი ლოდნი იგი რა თავსა დაგვციან, ვითა სიროთა ბუმბული, ეგრეთ მსუბუქად გვეკუწთებოდა. ოდეს იხილეს ვეშაპთა მათ, რომე ლოდთა მათ დაშენითა ვერა რაჲ გვავნეს, ქვე შთამოვიდნენ, გარე მოგვერტყნეს და დაგვიწყეს ბრძოლა სასტიკი; ჩვენცა ერთობით მივმართეთ, დავიწყეთ ომი გურზითა, ვჰკოცდით მრავალთა, იგინი ბრჭალითა იცემებოდეს და პირითა ცეცხლსა გვაყრიდეს. ესე იყო საკვირველი: ოდეს ცეცხლი იგი ჩვენთანა მოაწევდის, განქარდებოდის და ჩვენ

ვერა რაჲ გვავნის. ჰგავს, თურე, მყინვართა მეფისა მოცე-
მულთა ქვათაგან იყო, თუ არა, სრულად ცეცხლითა შეგვ-
წვავდენ. ვიყვენით ძლიერსა ბრძოლასა შინა სამი დღე და
ღამე, და არა იქმნა ღონე ვეშაპთა მათ დალევისა; იგი ერთი
ვეშაპი წიოდა და ყოვლისა ქვეყანისა ვეშაპი ჩვენდა ჰკრბე-
ბოდა. მიგვჭირდა მეტითა ბრძოლითა ღამე და დღე ერთსა
კვრასა, და არა დარჩა ჩვენთანა ღონე მრავლისა გურზისა
ცემითა, შიმშილობითა და უძილობითა, გარნა დილარ ესრეთ
მხიარულითა და მოცინარითა პირითა იბრძოდა, რომე ჰგჳან-
და ნადიმად მჯდარიყო; კულა ვიბრძოლეთ სხვაღა ორი დღე,
გარნა ვერა ღონესა ვეწიენით, იზახდა დილარ ქუხილისა
ჰმსგავსითა კმითა, გვამხნობდა და გვეტყოდა: „ძმანო ჩემნო,
ესე არს მკლავთა თქვენთა ძალისა გამოჩენისა ადგილიო.“
მას თამაშად მიაჩნდა, გარნა ჩვენ შორის ძალი არღა დაშთო-
მილიყო. მას ჟამსა, ლარა, ნუშრევანისა სპასალარი და სა-
ხლისა უხუცესი, მის ვეშაპისა ახლოვე იბრძოდა, რომელიცა
კმითა სასტიკითა წიოდა, კისკასად ზედა მიუხდა, ჰკრა გულ-
მესისხლედ გურზი აშკმულსა პირსა და ვერა რაჲ ავნო, კვლა
გაფიცხდა და უძლიერესად ჰსცა თავსა ზედა და მოჰკლა ვე-
შაპი იგი. რა იგი ვეშაპი მოჰკლა ლარამან, რაცა ცოცხალნი
ვეშაპნი იყვნეს, გაუჩინარდეს და რომელნიცა გვეხოცნეს,
მკუდარს კაცად ეყარნეს; განვჰკვირდით სიმრავლესა მკვდარ-
თასა, და გარდავხედით შესვენებად. დილარმან მადლი უბრ-
ძანა ლარასა და ჰრქუა: „დღეს შენ გვჰსჯობდი ყოველთა და,
თავმან ჩემმან, მოგიბოძებ მის მზის ქალაქისა მნათობთაგან-
საო.“ მას ბრძანებასა ზედა მყისად მივიდა ლარა, მუკლს აკო-
ცა, და მოახსენა: „კელმწიფეო, ნუმცა მომეშლების მოწყა-
ლება ეგე თქვენიო.“ ცხენთა ბალახი მოვაძოვეთ, პურსა შე-
ვექეცით, ვიძინეთ და ცვლით ვჰსდარაჯობდით. მას დღესა
მუნ შევისვენეთ, და ღამეცა იგი მუნვე გავითენეთ. მეორესა
დღესა პური მივიღეთ, გავსხედით ცხენთა და გავემართენით
მასვე გზასა, ვიარეთ ვითარ ოთხი ჟამი.

აქა დილარ მძლეველისა და მასთანა მეოტვთაგან გზასა ზედა სილვა ოთხთა ლომთა დიდთა, რომელთაცა შვენიერნი ყრმანი მოეტაცნათ, პირთა ეპყრათ და მირბოდენ მრისხანისა თვალით მიმომხედველნი.

შიმავალთა მინდორსა ზედა ვიხილეთ, რომე ოთხთა სპილოსა უდიდესთა ლომთა შვენიერნი ყრმანი მოეტაცნათ, პირთა ეპყრათ და მიჰრბოდნენ; დილარ მძლეველსა შეჰბრალდა და ჰბრძანა: „ჩემსა მზესა, გვალეთ, ვესწრაფებოდეთ, რათა ყრმანი იგი დავაყრევინოთო.“ შეუტიეს თვით დილარმან, ნუშრევანმან და გოჰარმან და სპასალარმან მარსიმან; რა ლომთა მათ შეტევება იხილეს, ყრმანი იგი დაჰყარნეს და გაიქცეს. დილარ მძლეველი უადრეს მოეწია, ჰკრა ძლიერად გურზი მას ერთსა ლომსა და მოჰკლა, მეორესა წაეწია, ჰკრა და იგიცა მოჰკლა, მას მესამესა ლომსა მოჰსწვდა სპასალარი მარსი, ჰკრა და მან იგი მოჰკლა, მან მეოთხემან ლომმან შორად გაასწრო და ვერღა მოჰსწვდენ; და მათ ყრმათა თანა მოვიდნენ, შვენიერნი ყრმანი იყვნეს, დილარმან კელი დაჰყო და ერთი მათ ყრმათაგანი კელთა აიყვანა; რა მკერდსა მიიყრდნო, ცეცხლად შეიქმნა და გარე მოედვა, გარნა ქვისა მის ძალითა ვერა რაჲ ავნო და მყისად განქარდა. იგი ლომი, რომელიცა გაექცათ, მაღალსა ქედსა რასმე აღვიდა და მუნით იწყო საშინელითა კმითა ყვირილი; მას კმასა ზედა იგი სამნი ყრმანიცა ცეცხლად იქმნეს და გაუჩინარდეს, ჩვენ დაგვიკვირდა და ვიყვენით განცვიფრებულნი ეგე ვითართა საქმეთა ზედა. და აღუთქმიდი მრავალსა აღთქმასა მაღალსა: უკეთუ გზასა მას მშვიდობით გარდურჩებოდი, გარნა უმეტეს ჩვენ, რომელნიცა ორთა მეფეთა ქვეყანისანი ვიყვენით, ტკბილითა სიტყვითა ნუგეშ-გვცემდა დილარ და გვიბრძანებდა: „ნუ იურვით, ძმანო ჩემნო, ესე ყოველნი ადრე განჰქარდებიან და ჩვენ ვეგებით მშვიდობასა შინა, გარნა ესე არს, რომე ძნელსა საეშმაკოსა გზასა შემოვედითო.“ რა დილარ

მძლეველმან ესე სიტყვანი გვიბრძანა და სხვაცა ეგულებოდა თქმად, იწყო მან ლომმან უმეტესად ყვირილი და მისსა ყვირილსა ზედა შეიქმნა კმა რაჲმე საოცრებისა და ალმური კვამლისა, რომე, თუ ჰსთქვა, ცასა შეესწორა კვამლი იგი და იყო გრგვინვა სასტიკი, იჩქითად მოვიდა სიმრავლე ლაშქართა დაჭურვილთა, რომელთა ჰამრვა არა შეიგებოდა.

აქა ურიცხვთა, დაჭურვილთა რაზმთა, ბრძოლა ძლიერი დილარისა და მასთანა მყოფთაგან და ნუშრევან მეფისა მიერ მის მყვირალისა ლომისა მოკვლა და სხვათა გაწყვეტა.

ფიცხელად შემოგვიტიეს და შევექმენით ომი და ბრძოლა სასტიკი და ვიქნევდით გურზთა მკლავითა მტკიცითა და ვჰხოცდით მრავალთა. გარნა ლომი იგი ჰყვიროდა და უმეტესად ემატებოდა; ვიბრძოლეთ ვითარ სამი დღე განუსვენებელად, ვხოცდით მრავალთა, გარნა მოკლება ვერა დავატყევით; კვლა ვიბრძოდით რა მეოთხესა დღესა, და გაგვიჭირდა საქმე; მაშინ შეჰსძახა მეფემან ნუშრევან დილარს, ვითა: „აჰა, კელმწიფეო, აწ ჰნახო სამსახური მონისა და ძმისა თქვენისაო.“ მიმართა ლომსა მას მყვირალსა, წინა მყოფნი, რაჲცა შეხვდეს, ყველაკანი მიმოდაჰყვნა, თავსა გურზისა გარდამკვრელმან მიწა მათთვის გააკვნა; რა ლომსა მასთანა მისვლისა გზა გახსნა, მიუხდა, ჰკრა ძლიერად გურზი თავსა ზედა და მოჰკლა; რა იგი ლომი მოკვდა, იგი ურიცხვი რაზმი უჩინო იქმნა და ჩვენგან დახოცილნი ქვე ეყარნეს; შევასხით ქება მეფესა ნუშრევანს და დილარმანცა მადლობა უბრძანა. გარდავხედით და მოსვენებასა მივეცენით; იგი ღამე რიგით ვიძინეთ და რიგით ვიდარაჯეთ. დილასა ადრე აღვჰსდეგით, პურს შევექეცით, მყინვართა მეფისაგან მოცემული წამალი ცხვრითა მოვიცხეთ, გავსხედით ცხენთა, მივანდვენით თავნი ჩვენნი მაღალსა არსებასა და გავემართენით, გარნა ესე

გვიკვირდა, რომე დილარისა მოყმეთა ეგეევითარსა გზასა ვერ-
ცა შიში და ვერცა ბრძოლასა შინა დაკლება დავატყევით.

აქა დიდთა მთის ოდენთა სპილოთა ზედა დიდთა კაცთა მსხდომთა მოსვლა, გზასა წინა გადადგომა და მათ სპილოთა პირთაგან საშინელთა წყალთა წარმოდინება, მუნ ბრძოლა ძლიერი და სპასალარისა მარსისაგან მის ყოვლად დიდისა კაცისა საკჳდილი და გამარჯვება.

რა გზასა შედგომილთა ვიარეთ შვიდისა ჟამისა სავალი, მსწრაფლად ოთხნი მთის ოდენნი სპილონი მოვიდნენ და წინა გარდაგვიდგნენ, მათ ზედა ისხდეს ოთხნი უზომოდ დიდნი კაცნი, გარნა ერთი მათ შორის უფროსრე დიდი იყო. რა ჩვენ მიმავალი დაგვინახეს, იწყო მან დიდად დიდმან კაცმან სასტიკითა კმითა ყივილი; მისსა კმასა ზედა მათ სპილოთა წარმოუტევეს პირთაგან წყალნი ვითარ ზღვა, ღელვიდა წყალი იგი და ზვრთთა მაღლად ისროდა. დავშთით ჩვენ წყალსა მას შინა, რომლისა კიდე არცა ერთსა მკარესა არა იხილვებოდა; დიდი იგი კაცი ჰყიოდა კმითა მით საშინელითა და ესეოდენი სიმრავლე ზღვისა მკეცთა მოგვაკრბა გარე და დაგვიწყეს კბილითა, ტოტითა და ბრჭალითა ბრძოლა, რომე დიდად შეგვაჭირვეს; მყინვართა მეფისა წამლისა ძალითა წყალთა ზედა პირის-პირ დავრდოდით, ვიბრძოდით გურზებითა და ვხოცდით მრავალთა, გარნა უმეტესი ემატებოდა; ვიბრძოლეთ ორი დღე და ღამე, გარნა წყალთა შინა სლვითა დიდად დავშვერით. მაშინ სპასალარმან დილარისამან ახსენა სახელი ძლიერისა და უდიდებულესისა პატრონისა თვისისა და ჰსთქვა:

შეწყობილი.

გაჭირვების ჟამს მამაცი ჰკამს სახელისა მქმნელია,
ტინს მთასა ცვილად ჰხედვიდეს, ცეცხლი ფერხით ვლოს მწვე-
ლია,
ზღვა პეშვით ამოშრობად ჰსჩნდეს, იყოს ვეშაპთა მნთქმელია,
გმირთ ათასობა თვალთ წინა ემჩატოს ვითა მელია,
ნიანგთა ღვიძლთა განპობად მზაობდეს ძახვილ მჭრელია,
სიკუდილის ხსოვნა ბრძოლის ჟამს ლომ-გულთა არ სახელია!

რა შეწყობილი ესე მარსი სპასალარმან კმა ტკბილად, მაღლად დაიმღერა, გურზი თავსა დაიბრუნა და შეუტია მას სპილოსა ზედა მჯდომსა დიდად დიდსა კაცსა, მიუხდა, ჰკრა განრისხებულმან გურზი თავსა ზედა და, თავმან თქვენმან, კაცი და სპილო ორივე დაჰხოცა; რა იგი კაცი მოკვდა, წყალიცა დაშრა, და რაცა მკეცნი დაგვეხოცა, იგინიცა მკვდრად კაცად ეყარნეს. შევასხით ქება სპასალარსა, და გარდავხედით მოსვენებად; ჟამ რავდენმე განვისვენეთ, პური დავიდევით და შეექცეოდნენ მეფენი დილარისა უბნობითა.

აქა სამთა დიდთა მფრინველთაგან ბრჭყალითა აღტაცება ჰაერსა შინა: სამთა სამეფოთა მეფისა ნუშრევანისა, გოჭარ პოლანთა მეფისა, სპასალარისა მარსისა; და დილარ მძლეველისაგან მათი დახსნა და მფრინველთა დახოცა.

მას ჩვენსა გარეობითსა პურობასა ზედა, ჰაერით სამნი ესრეთნი დიდნი მფრინველნი მოვიდნენ, რომე სრულად ცა დაჰფარეს, და სადა დილარ და მეფენი ჩვენნი სხდეს, მუნზედა დაეცნეს, ერთმან მფრინველმან ნუშრევანს ჩაავლო ჩარბი ერთმან გოჭარს და ერთმან მარსისა, აზიდნეს და ვითარ ქათმისა მცირე მართვენი, ეგრეთ აღიტაცნეს. სპასალარმან მო-

ისწრა გურზი, ჯერეთ სამის მხრის სიმაღლედ არ აეტანა, შეჰსძახა კმითა მაღლითა მფრინველსა მას, და ჰსთქვა:

მრჩობლედი.

ჭარბით და ბრჭალით გიპყრივარ, ვიცი, მიმიტან ბუდესა,
მართვეთა მიმცემ საჭმელად, მით განუმტკიცებ ზღუდესა,
მე ჩემსა ცდასა არ დავშლი, ზღუდათა ჩამაგდო ძირებსა,
თუ ძალი შემწევს, დაცავშლი მე შენსა დანაპირებსა,
მართვენი შენნი შენზედა ვატირო, ვამგლოვიარო,
ფრთისა შენისა ცემითა ჰაერი ვერღა იარო,
ამავე ჟამსა, იცოდე, ვაცუდებ შენსა წადილსა,
გული ვით მაწვევს, ეგრეთ ვჰყო, არა ვჰსდევ ცუდსა ქადილსა!

სპასალარმან რა მრჩობლედი ესე დაასრულა, მყისად ჰკრა გურზი მკერდსა ზედა და პირიდამ ღვიძლი წამოაგდებინა, მფრინველი იგი მკვდარი ქვე დაეცა და მარსი უვნებელად ფერკთა ზედა დაჰსდგა! აქათით კერძო, რომელსაცა მფრინველსა ნუშრევან ეპყრა, ჰსცა დილარმან გურზი, მოჰკლა მფრინველი იგი და ნუშრევან განთავისუფლდა; მას ჟამად, რომელსაცა მფრინველსა გოჰარ ეპყრა, მაღლად წარვიდა. განრისხდა დილარ მძლეველი, შეჰსძახა და შეჰსტყორცნა გურზი მფინველსა მას ჰაერსა შინა, მოხვდა თავსა ზედა და მკვდარი ქვე წამოვიდა, დილარმან გოჰარს კელი მიაშველა და ზე დაიჭირა, და მფრინველიცა იგი მკვდარი ქვე დაეცა, დაუწყეთ სინჯვა და გვიკვრდა სიდიდე მათი. მათ მფრინველთა ფრთეთა სიგრძე უმეტეს სამისა უტევანისა იყო. ჰსთქვა მარსმან; „ფრთესა გამოვაძრობ და ჩვენს ქვეყანასა წავიღებო." რა კელი მიჰყო და გამოძრობასა ჰლამოდა, მსწრაფლად ცეცხლად იქცა და გარე მოედვა, გარნა ქვისა მის ძალითა განქრა. დილარ და იგი მეფენი მათსა საქმესა ზედა იცინოდეს, და კვალად დასხდეს პუროვად.

აქა ჰურობასა ზედა ოთხთა დიდთა კაცთა მოსვლა და მათგან ბრძოლაჲ ძლიერი.

Დილარ და მეფენი ჩვენნი რა პურსა შეექცეოდეს, მოვიდნენ ოთხნი დიდნი კაცნი, დიდთა ცხენთა ზედა მსხდომნი, გარდახდეს, მოგვიკითხეს და ჩვენთანა დასხდეს, ეგზომ დიდნი იყვნეს, რომე ათი ჩვენებური ერთისა ბარკლისა მათისა ოდენი არა იყო. შევჰყურებდით თვალ გასტერებული და ფერცვლილი, გული მიმომეკვეთებოდა და იმედად ჩემდა იყვნეს დილარ და ყმანი მისნი. იგინიცა ჰსხდეს და გვიყურებდეს; ჩვენ არა რასა გავეუბნენით. პური შევასრულეთ და მზად ვიყვენით, გარნა მე არა მცირედ შეშინებული ხედვითა მათითა, ვიტყოდი ჩემ შორის სიტყვათა ამათ:

შერეული.

Ჰე, თაო ჩემო, შენისა, ჰსჯობს, ჰსწყეო შობის ჟამები,
მით რომე დაგიახლოვდა შავ-ბედს სიკუდილის წამები,
ამა დევ კაცთა ვერ მოჰრჩე, ქვესკნელსა იმალო ხვრელებსა,
კბილთა მათთაგან შეიქმნა შემუსვრით შენაჭამები,
მახვილსა ჰხედავ მათ ზედა პირ-ბასრად რასმე მჭრელებსა,
განგებას ჰსთხოვე, დღე შენი აქ არ ჰყოს დანალამები!

მათ საზაროთა კაცთა გვითხრეს: „რა ცუდნი სტუმართ დამხვედრნი ყოფილხართო! რად პური ჩვენცა არა გვითავაზეთო?“ მრისხანედ აღჰსდგენ, ერთი დილარს მოეკიდა, ერთი გოჰარს და ერთი ნუშრევანს და ერთი სპასალარსა მარსის; ჩვენნიცა კისკასად წამოჰხტნენ და დაიწყეს ფიცხელი რკინობაჲ. დილარს, რომელიცა ერკინებოდა, აღიღო უმაღლეს თავისა თვისისა, დაჰსცა ქვეყანასა ზედა, დაჰკრა გურზი და მოჰკლა. რა მარსიმ პატრონსა თვსსა შეხედა, რომე მოცლით

ჰსდგა, მოახსენა: „კელმწიფეო, ძმათა შენთა შეეწიე და მოხილე მონაცა შენიო.“ ესე მოახსენა დაჰყო კელი მებრძოლისა თვისსა, აღიღო, მოიტანა წინაშე დილარისა, დაჰსცა ქვეყანასა, დააყოლა ზე გურზი და მოკლა; ნუშრევან და გოჰარ ვითარ სამი ჟამი ესრეთ ძლიერად იბრძოდენ, რომე სისხლისა ოფლი ღვარულად ჰსდიოდათ, და შემდგომად ჰსძლიეს მათცა და დაჰხოცნეს მებრძოლნი თვისნი; მოვიდნენ წინაშე დილარისა და მოულოცეს გამარჯვება და დაიწყეს ერთად მხიარულებით უბნობა. იგინი რა ტკბილსა საუბარსა შინა იყვნეს, მყისად მათ ოთხთა დიდთა გვამთაგან ესრეთისა ცეცხლისა ღვარმან იწყო დინება, რომე ნილოსისა უდიდე იყო. ჰსდიოდა ცეცხლი იგი ჩვენსა გარემო და ღელვიდა, გარნა ჩვენ ვერა რაჲ გვავნო ქვათა მათ ნიშატთაგამო, ჰსდიოდა გარემო ჩვენსა ვითარ სამი ჟამი და გაჰქრა.

ჴყობილი.

ცეცხლი ზღუებრ იღელვებოდა,
ალი ღრუბელთა ჰსწთებოდა,
მხილველი გაოცდებოდა,
ვინ არა შეშინდებოდა!
გული ჩემებრი ჰკუდებოდა,
მართ შიშით განლიგდებოდა,
ლაწვთ ფეროვნება ჰსჭკნებოდა,
ჯაბანთა სული ჰხდებოდა,
მკლავთ ძალი მოაკლდებოდა,
სხვებრ რა, გლახ, იაზრებოდა!

აქა დიდთა კაცთა უთვალავთა რაზმებთა მოსვლა დილარსა და მათ მეფეთა ზედა და მათგან ბრძოლა ძლიერი და სასტიკი.

ოდეს წინა მივხედეთ, მოვიდა სიმრავლე რაზმებთა დიდ-

ძიდთა კაცთა, ესრეთ რომე იგი დიდნი კაცნი დახოცილნი მათ არა ჰგვანდეს, ვითა ჩვენ მათ დახოცილთა არა ვჰგვან-დით სიდიდითა, და ამათ შორის ერთი ყოვლითურთ უდიდე-სი იყო და მბრძანებელი მათი. რა მან ყოვლად უდიდესმან კაცმან იგი ოთხნი კაცნი მკვდარნი ჰნახნა, ჰსთქვა რისხვით:

ლექსი.

ვინ დახოცნა ესე ჩემნი მონანი და ჯაბან ყმანი?
ვის მოჰსწყინდა სიცოცხლე და კორცსა შინა სულის დგმანი!

ტაეპი.

ვინცა ჩემნი ყმანი მოჰკლნა, მან თვით დღენი დაიმოკლნა!

მერმე ჩვენ შემოგვხედა და შემოგვყივლა: „ბედ განწი-რულნო, ნუთურე, თქვენ დაჰხოცენით უნდონი იგი ჯაბანნი მსახურნი ჩემნიო?“ და ჰსთქვა:

რვული.

მშობელნი თქვენნი, თვალ-ცრემლიანნი, მე თქვენზედ და-
ვსხა ვაებვიანი,
ვინ ხართ, უგვანნო, შავ-ბედიანნი, ვერლა იხილოთ დღენი
მზიანნი,
მალედ მიხვდების თქვენებრ ჭკვიანი, სიკვდილის რულსა გონ
შლეგიანი,
თქვენით გავაძღო ყოვლი ფრთიანი, სვავ-ყორან-ბორა რაც
ჩარბიანი!

ჩვენ მას მრისხანედ მოუბარსა არა რაა უპასუხეთ, რო-მელიცა მით უმეტესად განრისხდა; იწყო კმითა რითმე საზა-რელითა ზახილი, შემოგვიზახა ლაშქარნი და ჰრქუა: „ეგერა,

დაჰკოცენითო.“ აქათ დილარ და მეფენი ჩვენნი გასხდენ ცხენთა, წინა მიეგებნეს და ჩვენცა შეუტიეთ; ილოდა დილარმან ჩვენ სამთა სამეფოთაგან, რომელნიცა ვახლდით ნიშატი მკლავთა ჩვენთა და გულთაცა ჩვენთა ვითარება, ამისთვის მარადის წინარე ჩვენსა მოყმეთა თვისთა, ლომ-გულთა და მკლავ ძლიერთა, აბრძოლებდა. შეიქმნა ბრძოლა უძლიერესი და უსასტიკესი, ესრეთ იბრძოდეს იგი უდიდესნი კაცნი, რომე დღეთა ჩვენთა მათებრნი მეომარნი არა სადა გვეხილვნეს, ჰყოდა დიდი იგი კაცი და მოჰსდიოდა სიმრავლე მათ დიდთა კაცთა; ესე იყო კარგი, რომე იარაღი მათი საჭურველსა ჩვენსა ვერა მოჰკიდეს; განრისხდა დილარ, აღიღის კაცი და ცხენი ცალითა კელითა, შეჰსტყორცნის სხვათა და განართხმიდის მიწასა, და ეგრევე მეფენი და დილარის მოყმენი, ჰხოცდეს გურზითა, და ჩვენცა, რომელნი მათ მებრძოლთა ცერთა ტოლნი არა ვიყვენით, ეგზომ კისკასად ვჰსცემდეთ გურზთა, რომე ცოცხალი არა გარდავარჩინით; იყო კმობა და ყივილი იქით მათგან და აქათ ჩვენგან; ვიბრძოლეთ შვიდი დღე და ღამე შეუსვენებელად და მათ ლაშქართა დაკლება ვერა დავატყეთ, განმრავლდა მკვდარი მათ დიდთა კაცთა, გარნა უფროსი და უმეტესი ემატებოდა. მაშინ განჰრისხდა დილარ მძლეველი.

აქა მის ყოვლად უდიდესისა კაცისა თამთარისა და დილარის ბრძოლა და სიკუდილი თამთარისა.

შიუხდა მას რაზმთა უფროსსა ყოვლად დიდსა კაცსა, შეუტია და მან მას შემოუტია. მცირე ხანს იბრძოლეს, მერმე კვლა შეჰსძახა დილარმან და შეჰყივლა: „ბედ-უკუღმართო, აწ მოვიდა სიკვდილი შენი.“ ჰსტაცა სარტყელსა კელი, აზიდა, მოჰგლიჯა უნაგირისაგან და ესრეთ ძლიერად დაჰსცა მიწასა ზედა, რომე სრულად მიდამო იგი შეირყა და დიდი

იგი ბილწი თამთარი მოკვდა. რა იგი მოჰკლა დილარ მძლევლმან, მათ ურიცხვთა მეომართაგანი ვერცა ერთი ვერღა ვნახეთ, თვნიერ მკვდართა და მის მკუდრისავე თამთარისა.

მოვიდნენ მეფენი, მოულოცეს გამარჯვება; გარდასწყდა ბრძოლა და გარდავხედით მოსვენებად, ფართა ზედა თავი მივიდეთ და დავიძინეთ მწუხრადმდე. სალამოს ალვჰსდეგით, პურსა შევექეცით და ღვინითა განვძლიერდით; შემდგომად კვლა დავიძინეთ და ჟამსა მეხუთესა დღისასა ალვჰსდეგით, პურსა შევექეცით, ვიმხიარულეთ მათ გრძნეულთა ზედა, გავსხედით ცხენთა და გავემართენით.

აქა მრავალნი მერწყულნი დაგვიხვდენ გზასა ზედა, რომელთა ეტჳრათ მძიმედ საზიდარნი წყალნი დიდროანითა კოლოტებითა და მივიდოდნენ შრომისა მიერ დაჭმუნვებულნი, დილარ მძლეველსა შეჰბრალდა, ჰკითხა ჭამბავი მათი და გაჰყვა სადგურსა მათსა სახედ სტუმართა.

Რა მცირედ წარვვლეთ, ვიხილეთ გზასა ზედა მრავალნი და ურიცხვნი მერწყულნი, რომელთაცა მძიმედ სატვრთველნი ჰურჰელნი წყლითა სავსენი ეკიდათ და მიაქვნდათ შრომითა დიდითა ფრიად მტირალთა. დილარმან რა იგინი იხილნა, შეჰბრალდა და ჰრქვა: „ვინ ხართ, ძმანო, ეგოდენი სიმრავლე ცხელითა ცრემლითა მტირალნი და ანუ სადა ჰზიდავთ მაგა წყალთაო?“ მათ მოახსენეს:

შ ა ი რ ი.

Პატრონნო, ვიცით განაღა, ხართ ამის ქვეყანისანი,
გაფუცებთ ჰსჯულსა მას თქვენსა, ისმინეთ ჩვენის კმისანი,
დაგვხოცეთ, გავვლოთ საწუთოს დღენი ესთ სასჯელისანი,
რად ულმობელობთ ჩვენზედა, გული გაქვსთ არა ქვისანი!

შპრძანა დილარმან:

ႴႨႱႲႨႩႳႰႨ.

მრავლის შრომით დამწარებულნო, რომლითა ხედვა თვალთ დაგკლებიან,
რითა ვეჰმსგავსვით ამა გრძნეულთა, ჰხედავთ, სამოსნი გვე-სხვაებიან,
ირწმუნეთ, ძმანო, ჩვენ უცხონი ვართ, სახე და საქმე გვე-მოწმებიან,
ნურღა გვიმალავთ, ჰსთქვით, რაცა გიმძიმსთ, შეწევნად თქვენ-და გვესწრაფებიან!

მათ მერწყულთა რა ესე სიტყვა დილარისაგან ისმინეს და კარგად გაგვსინჯეს, ჰსთქვეს თვს შორის: „ესენი მართ-ლად ამა წყეულთა ქვეყანისასა არა ჰგვანანო.“ და მოახსენეს დილარს: „პატრონო, ოდეს ყოველთა გმირთა უძლიერესი იგი და მეფეთა ზედა მეფე ლასურ ჩინეთისა კელმწიფე ალ-მხედრდა და შეუდგა სიყვარულსა მზის ქალაქისა სიყვარულსა და ყოვლისა ქვეყანისა მნათობისა ანავსია კელმწიფასსა, მო-ვიდა ამას გრძნეულთა ქვეყანასა, და იტყოდა: „ვინ წინა აღუდგების მკლავთა ჩემთა ძლიერებასაო.“ რა მოვედით წყე-ულთა ამათ ერთა შორის, მრავალნი ბრძოლანი გარდაიხადნა და განსადიდებელნი ძლევანი შეიმოსნა, გარნა შემდგომად იგიცა და ყოველნი სპანი მისნი დაბრმობით დაიპყრნეს და აგერა, იგინი იმას ციხეთა ჰყვანანო პყრობილად და ჩვენ ყმანი მისნი აქლემთა და ფეშხანათა მსახურნი შეგვიპყრეს, ყოველსა დღესა ას-ასსა არგანსა გვჰკვრენ და ესრეთ გვამუ-შავებენ; ჩვენგან წყლის ზიდვითა და მუშაკობითა სამი ჩინე-ბული ციხე აღაშენეს, და აწ რაცა მათ ციხეთა შინა ხარო-ნი არიან, წყლითა გვავსებინებენ, მით რომე მოელიან მრა-ვალთა კელმწიფეთა და ძლიერთა მეომართა და ყოვლით

კერძო ციხეთა ამაგრებენ; ჩვენ დღე ყოველ ესრეთსა ჭირსა შინა ვართ და ღამე, ეგერა, იმას ციხესა შინა განვისვენებთო, თქვენცა, ვინათგან სტუმარნი და უცხონი ხართ, ამას ღამესა ჩვენთანა ინებეთ გარდახდომა და დილით თქვენსავე გზასა წავეესწრაფენითო." დილარ მძლეველსა ეგეთნი შეწუხებულნი დიდად ებრალებოდეს, და უბრძანა: „გვალეთ, ძმანო, ამას ღამესა თქვენნი სტუმარნი ვართო." იგი მერწყულნი უცხოდ რასამე მხიარულ იქმნეს, და მოახსენეს: „ჩვენებრ ღარიბთა სტუმრობა არა აუგიაო." წარგვიძღვნენ წინა და ჩვენ შეუდეგით კვალთა მათთა.

აქა მერწყულთა მათგან დილარისა და მისთანა მყოფთა ციხესა რასმე მტკიცესა შეყვანა მოცთუნებით და გრძნეულობით.

მაშინ გოჰარმან მოახსენა: „კელმწიფეო, ნუთუ რა საფრკესა შევჰსცვივდეთ, ჩვენსავე გზასა ვიარებოდეთო." გარნა დილარმან უბრძანა: „საყვარელო ძმაო, ესე გლახაკნი, საბრალონი რისა, გლახ, შემძლებელნი იქმნებიან, ნუ ჰშლი ჩემსა მზესაო." მივსდევდით ჩვენ და იგი მერწყულნი აღვიდნენ უზომოდ მაღალსა და შეუვალსა რასმე ციხესა და შევედით ჩვენცა, რომლისა ზღუდისა სიმაღლესა თვალთა ხედვა ქინდა შეჰსწვდებოდა.

ესრეთითა დიდროვანითა ლოდებითა იყო ნაგები, რომე თვითო ლოდი თვითოსა მთასა ეჰმსგავსებოდა; ჩვენ უზომოდ დაგვიკვირდა, და ვჰკითხეთ: „ძმანო, ვითა თქვენ იტყვით, უკეთუ ციხე ესე თქვენგან ნაგები არს, ესე მთისა სწორნი ლოდნი ვითარ შეამუშავეთ?" გარნა მათ ესრეთ გვითხრეს: „წყეულნი იგი გრძნეულნი ესრეთ ადვილად მიზიდვენ, ვითა მცირე კენჭნი იყვნესო." ესე რა ჰსთქვეს, მოგვიტანეს პური, დაგვიგეს და მოიღეს უცხონი და მრავალ გვარნი საქმელნი და სასმელნი; რა მეფემან გოჰარ მრავალ გვარობა საქმელთა

იხილა, ჰსთქვა: „ესე პური ცოდვისა პური არს და, თავმან დილარისამან, ჩვენგან კელი არა დაეყოფისო.“ ჩვენ გვიბრძანეს, ჩვენივე საგზალი პური მივართვით და მას შეექცნენ. იგი ტყვენი მრავალსა ევედრნენ; გარნა მათსა პურსა კელი არღა დაჰყვეს, თვით დასხდეს, პური ჭამეს, განისვენეს, და ჩვენ გვითხრეს: „ძმანო, რადგან პური ჩვენი არა მიიღეთ, თქვენსა ცოდვასა ნურღა გვაყურებინებთ, აწვე თქვენსა გზასა შეუდეგითო.“ ჩვენ სიტყვა იგი მათი არა დია გვეწყინა, მით რომე გულთა შინა ჩვენთა მათ კაცთა არა ვერწმუნებოდით, და ვიტყოდით: „უთუოდ კაცნი ესე გრძნეულნი არიან და საბრკესა შთაგვყრიან რასამე, გარნა ყოველნივე დილარსა შევჰყურებდით, თუ რასა ჰბრძანებდა დიდი იგი კელმწიფე.

აქა დილარ მძლევლისაგან გრძნეულთა ციხის დანგრევა და მათ მერწყულად საგონებელთა გრძნეულთა გაწყვეტა და დილარის თანა მყოფთა ყოველთა ციხით გამოხსნა და თვისთავე გზათა შედგომა.

მცირესა ოდენ ჟამსა დაფიქრდა დილარ მძლეველი, და ჰბრძანა ცხენთა მოყვანა. მივართვით ცხენი, გაჯდა იგი და მეფენი და ჩვენცა შეუდეგით. გვენება ციხით გარეთ გამოსვლა, გარნა რაზომცა ვიარეთ, ვერცა გზა გავიგეთ და ვერცაღა კარი ვიპოვეთ, შეგვექმნა მწუხარება, და ვიტყოდით: „ეჰა, რა ბედითითა საქმითა წარვაგეთ თავნი ჩვენნი.“ ვჰკმუნვიდით და ვიარებოდით კარისა საპოვნელად. მას ღამესა ვერცა ერთი მერწყულთაგანი ვერღა სადა ვიხილეთ და ველოდით განთიადამდე, და ოდეს მზე აღმობრწყინდა, შევხედეთ და ვიხილეთ, რომე მერწყულნი იგი მის ციხისა ქონგურთა ზედა ჰსხდეს და ჩვენ გვიყურებდეს. ოდეს ვიცანით მომალოდნებელნი იგი ჩვენნი, ზე დაგვყივლეს და გვითხრეს: „ვაგლახ, რა ჯაბნად ტყვეობასა შთაჰსცვივდითო, რად ჩვენი არა ისმი—

ნეთ, უკეთუ პური ჩვენი მიგელოთ, გზასაცა გაიღებდითო და თავსაცა ეწეოდითო, ამიერითგან ჩვენმცა უბრალონი ვართ, რაცა მოგივა, თავთა თქვენთა აბრალეთო.“ დილარ მძლევე-ლი იცინოდა, და უბრძანა ნუშრევანს და გოჰარს: „რასა ცუდსა ერსა გარდავეკიდენით, რაზომცა გული ჩვენი მათ-თვის კეთილსა განიზრახავს, ეგზომ უმეტეს ბოროტსა დღესა შეგვამთხვევენო, და ჰბრძანა:

შერეული.

ავს თემსა შეხვდე, იცოდე, კეთილსა ჰნახავ ვერასა,
ერი ბოროტი დაგიწყებს მარადის ცუდად მზერასა,
თუ ჰნახონ შენში კეთილი, შურით აღგიდგნენ მტერადა,
აღდაჰსა, ბიცსა მიწასა აღმოაცენებს მზე რასა!
გარე მოგადგნენ სავნებლად, უტევონ ყოვლი მღერადა,
თუ მათ განერო, ჰლოცვიდე შენსა სვესა და წერასა!

რა სლვითა დავშვერით და ლონესა ვერა რასა ვეწიენით, მაშინ მათ მერწყულად საგონებელთა კვლა დაგვყივლეს ქონ-გურთაგამო, ვითა: „რასა ლონესა ხართო?“ აქათით ნუშრე-ვანმან შეჰსძახა: „კუდიან-ჯადო-გრძნეულნო, კრულმცა ხართ თქვენ და ლონეცა თქვენიო.“ და ჰსთქვა

ლექსი.

ბოროტთა კაცთა უბნობა გულსა მოუდებს ალებსა,
თაფლუჭს მოაცლის ბაგეთა, შეასმევს სხვა სამსალებსა!

ტაეპი.

თქვენ გაქვს გრძნეულთა ხელობა, ჩვენი არს მახვილ-
მკრელობა!

მათ გრძნეულთა ესრეთ უპასუხეს: „ჭაბუკო, რასა გულისობ და ჩვენზედა წყრომითა რასა წადილსა ეწევიო, თუ კარგნი მამაცნი ხართ, მაგა ციხით თავს გამოიხსნითო.“ მაშინ გაიღიმა დილარმან და უბრძანა ნუშრევანს: „ძმაო საყვარელო, მივედ შენ და გოჰარ ყმითა თქვენითა და დაუშინეთ გურზითა ციხესა და გამოჰსცადეთ მკლავთა თქვენთა ძლიერებაო.“ მათ სიცილით მოახსენეს: „კელმწიფეო, მამათა ჩვენთა კლდეთა და ქვითკირთა რღვევა არა უსწავებიათ ჩვენთვის, და ვითაცა გერჩიოს, გზა ეგრეთ შეგვიქმენო.“ დილარმან უბრძანა:

ႸႤႼႷႭႡႨႪႨ.

სმა, ლხინი, მხიარულება, მიწყივ ადვლ არს შვებანი,
ოდესცა იყვნეს პალატად მოცლით დიდებულთ კრებანი,
ყოვლთათვის კეთილ სასმენ არს კმა ტკბილი ორღანებანი,
გარნა, ჰხამს, მამაცს უჭირდეს კელისა გამოღებანი,
ლომ-გულად შეხვდეს, არა ჰყოს ჭირს შინა გულის კლებანი,
მტერი აძრწუნოს, მახვილთა ჰქმნას მარჯვედ მოხმარებანი!

ქვალად უბრძანა:

ႪႤႵႱႨ.

მოვედით, ძმანო, გაჩვენებთ მე მკლავთა ძლიერებასა,
კარი განგიხვნათ ციხისა, არ მიგცეთ დაჭმუნვებასა!

ႲႠႤႮႨ.

მივიდა ძირსა ციხისა, გულს შიში არ შეიხისა!

დილარ მძლეველი ვითა ეტლისა თვალი დალმართსა ზედა, ეგრეთ მსწრაფლად სლვითა მიუდგა ციხესა მას ერთსა კიდესა და ჩვენ ყოველნი, ვითა სამსა უტევანსა, შორად დაგვაყენა, ჯაჭვისა კალთა სარტყელსა შთაიპყრა, გურზი შე-

თამაშა, სამ-გზის შეაგდო და კელსა დაიჭირა, შემდგომად ესრეთითა კმითა შეჰსძახა, რომე ციხემან მან სრულად რყევა დაიწყო, მიუხდა განჰრისხებული, ჰკრა ძლიერად გურზი და გამობრუნდა, კვლა მიუხდა და მეორეცა მასვე ადგილსა ჰკრა, მესამედ გურზი თავს შემოივლო და ესრეთ კბილ ღრჭენით ჰკრა, რომე ციხისა მის ერთი კერძო სრულებით დაიქცა, თვით ვეფხვებრ სიმსწრაფლითა შორად გაასწრო და შემოგვჰსძახა, ვითა: „ძმანო ჩემნო, აჰა გზა და ვიძრებოდეთო." ჩვენ ყოველნი ერთობით მივედით და მოულოცეთ ეგე ვითარი სიმკნე და მკლავთა ძლიერება, ყოველნივე ვიხარებდით და კმა-მაღლად ვლოცვიდით ძალსა მისსა. კვლა ჰბრძანა დილარმან: „აწ ჟამი არს ვიარებოდეთო." ცხენნი კელთა დავიჭირეთ და მის ნაქცევის მხრით ვიწყეთ სიარული; რა მათ მერწყულთა ესე იხილეს წინა, გარდაგვიდგეს და ციხისა მის ნაქცევითა ქვითა დაგვიწყეს სროლა; დილარ, ვითა ქურციკი, წინა მიგვიხტოდა და იგი საშინელნი ლოდნი ჩვენთანა არა მოუშვა, კელთა მიაგებებდა, იჭერდა მჰსწრაფლად და ქვე დაჰსდებდა, და რომელსაცა გრძნეულსა მოეწეოდა, დაჰკრის გურზი და მოჰკლის; იგი გზა ეგეთითა ბრძოლითა განვლეთ, და ოდეს გარე განვედით მინდორსა, გაჯდა დილარ ცხენსა და განვსხედით ჩვენცა და დავიწყეთ გურზითა ცემა და ხოცა, გავაქციეთ და გავეკიდენით უკანა, ვჰსდიეთ ვითარ ხუთი ჟამი და იგი სიმრავლე ესრეთ გავჰსწყვიტეთ, რომე ერთიცა მოამბე არა გადავარჩინეთ. ვიარეთ და ერთსა შვენიერსა წყლის პირსა და მწვანოანსა ბალახსა ზედა გარდავხედით.

ფისტიკური.

მას რა ესწორვის, ოდეს გულოვანს ბრძოლით სახელი
განჰსდიდებოდეს,
მტერნი მოესპოს, მოყვარეთ გული მისსა ჰვრეტასა ესურვებოდეს,

ნაშრომი ველზედ განისვენებდეს, ფარი ტახტად ჰყოს, ზედა ჰსჯდებოდეს,
მიჯნი თან მყოლნი გარემო მისსა უსხდენ და ურთიერთს ელა-ლებოდეს!

იგი მოყვარულნი ძმანი იხარებდეს ერთმანერთისა ჰვრეტითა, ლაღობდეს და იშვებდეს. იგი დღე და იგი ღამე მუნ შევისვენეთ პურობითა, სმითა და ძილითა, იგი ადგილი უცხოდ რაჲმე საამო სამყოფი იყო; გაეწყო დილარ და სამსა დღესა მუნით არღა აიყარა, იხარებდეს და არღა იყო გულსა მათსა ჰმუნვა, გინა საქმე მას გზასა ზედა სიარულისაგან კიდე. იტყოდა მეფე იგი პოლანთა გოჰარი: „ახ, ნეტარ, თუმცა მის მზისა ქალაქისა ქალთაგანი ვიხილო და შემდგომად სიკვდილ-სა არა ვინაღვლიო," და ჰსთქვა:

მრჩობლედი.

გული ვისცა ეტრფიალოს, თვალთაც ხილვა მისივე უნდეს,
ვიდრე მიხვდეს საწადელსა, მისკენ ჰრბოდეს, არ დაბრუნდეს;
საყვარული ვისი აქვნდეს, მისსა ცეცხლსა არ დაჰრიდოს,
ხორცი მიჰსცეს დასაწველად, თუ ყე იგი მოიზიდოს!
თუ ვერ ჰპოოს საწადელი, გულმან წყლულმან, გლახ, რა ირგოს,
სჯობს, საწუთოს ამის ბაღით თავი სხვას ბაღს გარდაირგოს!
აწ ესე ჩვენი შრომანი სურვილით გვიმრავლდებიან,
მოყვარე დაგვჰხოცს თუ მტერი, ორ-პირვე სულნი გვხდებიან!
ნეტარ ვიხილო, ვისთვისცა გვაქვს ესდენ ჭირნი, შრომანი,
ანუ მან ჰსცნამცა, გულსა მაქვს ვითარად მისი ნდომანი!

გოჰარმან თვისნი სურვანი ამა მცირედითა მრჩობლედითა წარმოაჩინნა, გარნა ნუშრევან განგებასა ევედრებოდა და იტყოდა სულთქმითა მწარითა ესრეთ:

შეწყობილი.

ჰე, განგებაო, რომელი ჰსჭურეტ ურულოსა თვალითა,
რომელსა მყოფნი ყოველნი გიპყრიან საღმრთოს ბრჭალითა,
შენ სლვანი ჩემნი წარმართე საქმითა სამალ-მალითა,
საწადსა ღირს მყავ, აღმავსე შენის წყალობის თვალითა;
ადრე დავბრუნდე, გადიდო ცრემლითა გულ-მხურვალითა,
მე ჩემი დამხვდეს მშვიდობით, მთოვარებრ შუქ-მრავალითა!

ესე ორნი საყვარელნი ძმანი გოჰარ და ნუშრევან თვისსა გულსა შეკრებილსა სიტყვასა იტყოდეს, გარნა დილარ, აბაშთა მპყრობელი, თვისსა ვარდსა გაჰბულბულებოდა, და, თუ ჰსთქვა, სამნივე იგი ერთსა და მასვე საგანსა ზედა მომქირნეობდეს. იგი დღენი ეგრეთ მხიარულთა გაატარეს მას შვენიერსა წყალსა და ბალახოვანსა ზედა. ერთსა დილასა, ადრე, შორად ვიხილეთ შენობა რაჲმე დიდი და მის შენობისა ძირსა მრავალი მძოვარი ცხოვარნი და ზროხანი იყვნეს.

აქა დილარ მძლეველმან ინება საკლავთა მორეკა, ნუშრევან მეფე თვისითა ყმითა წარვიდა და მრავალნი საკლავნი მოჰრეკეს.

დილარ მძლეველმან ჰბძანა: „ვისცა გერჩიოსთ, წარვედით და საკლავი მოჰრეკეთ, ეგერა, მინდორსა ჰსძოვენო.“ ნუშრევან მეფე ზე აღჰსდგა, და მოახსენა: „თავმან შენმან, ძოლანდლითგან მწვარი არა მიჭამია, მივალ და ერთობით აქ მოვრეკო.“ გაიყოლა ყმანი თვისნი და წარვიდნენ და გოჰარმანცა ყმითა თჳსითა მიჰმართა; ეგოდენი სიმრავლე ცხოვართა და ზროხათა მორეკეს, რომე რიცხვი არა ეგებოდა. ჩვენ გვიამა. დილარმან უბრძანა: „ჩემსა მზესა, კარგი რამ ჭამადი შეგვიმზადეთ, უცხოდ პოხიერნი საკლავნი ორიანო, მე და ყმანი ჩემნი ამა წყლისა პირსა მოვივლით და ზედა

მოგესწრებითო.“ დილარმან ჩვენ გვიახლნა და მხიარულისა პირისა შეექცეოდა და ჩვენცა მასთანავე ვლიდით და მო-რით ვეზრდით ორთა მათ მეფეთა და ყმათა მათთა. ვიხილეთ, რომელი ოდეს იწყეს პყრობა საკლავთა

აქა საკვირველ [illegible] მეფისა [illegible] და [illegible] დიდროვანს ლომებად გარდაქცევა, ნუშირვანისა და ყოველთა მათ მონათა.

მ ყისადროვე საკლავნი დიდთა ზურგითა ქედნად ლომებად შეიცვალნენ, დაავლეს პირი მათ ყოველთა პატრონ-ყმიანად, დაიტაცეს და მიჰმართეს შენობასა მას, ესე რა ვიხილეთ, მოვახსენეთ და ვაცნობეთ ლომ-ქმნულთა სპასალარსა დილარს, დილარმან, ვითა ცამან, იქუხა და ცხენ რბევით მათ ლომთა ზედა მიუხდა; ჩვენცა განა ასრე მოვშორდებოდით, გან-ჰრისხებულთა წაუშინეთ გურზები, და ვიდრე წყალსა მიიტან-დენ, ლომნი დავჰხოცეთ და ტყვენი დავაყრევინეთ; ესე ვაშა ჩემდა! რომელსაცა სამარცხვინოსა ლომსა ნუშირევან ეპყრა, იგი მე მოვკალ და ხელმწიფე სამეფოთა მეფე დავიხსენ სიკვდილი-საგან; რა ჩვენნი ყოველნი განთავისუფლდენ, დილარმან ლომთა მათ არღარა ჰსდევა; მივიდა, ყოველნი თვითოეულად ნახნა და მოიკითხნა; არავის რა [illegible]; მადლობა მოახსე-ნეს და გამარჯვება მოულოცეს; მერმე მივიდა მათ მეფეთა თანა, მკლავდაჰკრა და ჰრქვა: „ღმერთმან ჰამადი შემიშალე-თო!“ ნუშირევანმან მოახსენა: „ღმერთმან ეგრე, ჩვენგან ბოძებულნი საკლავნი განძვინებულს ლომებად გარდაიქცევიან და დაშლევა ჩვენი გვნება, ჩვენგან რასაღა ჰამადს შეიმზადებ-დით? ვიცოდით, ამას ქვეყანასა ჰავარიულთა ხელოვნებისა სას-წაულებრივად იარებით და, შენს მზესა, პირველ ჩვენზედა ნუ იხმარებთ, რაცა ასწავლათო.“ ესე ვაქარიათა სიტყვათა მცი-რედ [illegible] და შემდგომად გახსენებსა ცხენთა, და მივმარ-

თეთ შენობასა მას; ოდეს ახლოს მივედით, ეგეოდენი სიმრავლე დიდ-დიდთა ლომთა წინა მოგვეგება, რომე რიცხვი არა ეგებოდა; შეუტიეთ და იგინიცა შემოგვებნენ ფიცხლად, ვჰხოცდით გურზებითა; თავმან თქვენმან, ექვსსა ჟამსა შინა ორ-ასი ათასი ლომი მოვჰკალით; რა ეგრეთი სიმხნე და მოშჳრნეობა ჩვენი იხილეს ლომთა მათ, მსწრაფლად გარდაიხვეწნენ და თვალთა წინა მიგვეფარნენ. ოდეს დავხედეთ, რაჲცა ლომი გვეხოცა, ყოველნივე მკვდრად კაცად ეყარნენ. შეჰბრალდა დილარ მძლეველსა და ჰბრძანა: „ესე საბრალონი და უბედურნი, რად იხოცენ თავსა და გზასა რად არა მოგვცემენო.“ მას დილარისა ბრძანებასა ზედა, ბაუცრით გოჰარს და მოახსენა: „კელმწიფეო, უკეთუ იმის მზისა ქალაქისა მნათობთაგანისა შვენიერება განუცდიათ და მათთჳს თავთა იხოცენ, ნება გაქვსთ და არა ეზრახვისთო.“ ამას და ესე ვითართა სიტყვათა რა უბნობდეს, მივედით მას შენობასა, რომელიცა უცხოდ რასმე შენებული და კეკელად სახილველი იყო. ჰბრძანა დილარ მძლეველმან: „დიდად მომეწონა შენობა ესე და აქა გარდავხდეთო.“ გარნა გოჰარმან მოახსენა: „არა, კელმწიფეო, რა კარგი არს გრძნეულთა სახლთა შინა შესვლაო.“ იგი შენობა გავიარეთ და მინდორსა რასამე ამოსა გარდავხედით.

მეწყობილი.

დაგვხვდა ველი მწვანოვანი, ყვავილთ მრავლად მოფენილი;
სუმბული და შორშან, ვარდი იყო ტურფად დანერგილი,
ჰყეფდა მრავლად ვარდსა ზედა, გლახ, ბულბული მიჯნურ ქმნილი,
დილარმან ჰსთქვა: „აქ მოილხენს კელი მინდორს გავარდნილი!“
ხილთა იყო მრავლადობა ერთი-ერთსა ზედა მყნილი,
ვინცა შეხვდის მას ჰაერსა, მოწყენილმან ჰყვის ღიმილი!

მან ტურფასა რასმე მინდორ-ველსა ინება დილარმან გან-მხიარულება, ჰბრძანა პურისა დაგება და შევჰქმენით სმა ღჳ-ნისა. იგი დღე და იგი ღამე დიდსა მხიარულებასა შინა იყვ-ნენ დილარ და მეფენი იგი. კვლა შესხდეს და ვიდოდეს. მოგვხვდა შენობა შენობასა ზედა, უცხონი და კეკელანი ქა-ლაქნი, დიდნი და შვენიერნი სოფელნი და დაბანი დიდ-დიდ-ნი, გარნა ცალიერნი; ვიდოდით და განვვლიდით მრავალთა შენობათა, საქებელად და დიდებულად ნამკობთა, გარნა ცა-ლიერთა და უეროთა. რა მრავალნი დღენი ვვლეთ უკაცურ-თა შენობათა შინა, მივხვდით ერთსა შვენიერსა ტევრსა, წყალ-მიმდინარესა. მოეწონა დილარს და მუნ გარდავხედით, მით-რომე იყვნეს მფრინველნი მრავალნი.

ლექსი.

ხოხობნი მრავლად ბუდობდეს, კაკაბნი, თურაჯებია,
ადვილად საპყრობ-საჭერნი, ქორთ გვინდის არ აჯებია!

ტაეპი.

გნოლნი, იხვნი და ბატები კვლა იყვნეს მონამატები!

ერთსა კჳრასა მუნ განვისვენეთ და ცხენნიცა ვალაღეთ მას ბალახსა და წყალსა ზედა, გარნა მფრინველთა მწვართა სიმრავლე ჩვენგანცა გადიადლა. რა ერთი სწორი მას ადგილ-სა დავჰყავით ლხინითა და არღავინ გამოჰსჩნდა გრძნეულთა-განი, იტყოდეს ნუშრევან და გოჰარ: „ნუ თუ გრძნეულნი სრულიად გავჰსწყვიტეთ, თუ არა, რად არღა სადა გამო-ჰსჩნდესო.“ ჩვენ ვიხარებდით გრძნეულთა არ გამოჩენითა და ავიყარენით მას ადგილით.

[illegible] სიმრავლე დაგვხვდა გზასა ზედა, ეგზომ ურიცხვი, რომე [illegible] შინა ჩემთა ეგზომ სიმრავლე სადათაცა არა სადა მიხილავს; მათ [illegible] მტვერი რამე შემოგვაყარნეს და თვალთა ნათელი შემ[illegible] გვიდეს.

გავემართენით, ვიდოდით გზასა ზედა და ვჰფიქრობდით გრძნეულთა საქმესა. რა სამიოდ ჟამი ვიარეთ, ანაზდად გამოჩნდა სიმრავლე დიაცთა, ურიცხვნი, ვითა ვარსკვლავნი ცისანი, თავსა მოეხვიდნენ, ისცემდენ, ჰსტიროდენ და იტყოდნენ: „უწყალონო და ულმობელნო, რად აოხრეთ ქვეყანა ესე კეთილი და გაჰსწყვიტეთ პატრონნი ჩვენნი, ქვრივობისა ცეცხლითა დაგვჰსწვით და სამარადისოსა მწუხარებასა შთაგვყარენითო." ჩვენ რა ახლოს მივედით, იწყეს უმეტესი ტყება და ლალადება, აღიღეს მტვერი კელთა, ერთბამად მათ ყოველთა ზე შემოგვაყარეს და შემოგვკივლეს: „ვითა ჩვენ შავითა ქვრივობისა ლეჩაქითა დაგვაბნელეთ, ეგრეთ თვალთა თქვენთა ნათელი დაუბნელდესო." რა ესე ჰსთქვეს და მათგან შემოყრილმან მტვერმან ჩვენდა მოაწია, ყოველთავე მიგვეღო ნათელი თვალთა და ვერღარასა ვხედვიდით, დაგვიმძიმდა ყოველთა და ვჰსთქვით: „ამას, თურე, იტყოდეს იგი მერწყულად საგონებელნი გრძნეულნი და ესრეთ განჰქარდა ცხოვრება ჩვენი." ამასა და ესე ვითარსა მწუხარებასა შინა მყოფნი მოველოდით ანუ შეპყრობასა, ანუ დახოცასა ჩვენსა და [illegible] რჩეულსა ვიყვენით. მას ჟამსა მოგვესმა კმა [illegible] გვეტყოდა ჩვენ: „ძმანო ჩემნო, [illegible], მოიგონეთ მოხუცებული მეფე მყინვართა და მისი [illegible] წამალი იხმარეთო." კმა იგი გავარჩიეთ; რომე [illegible] ჩვენისა [illegible] იყო, გულსა იმედი [illegible] წამალიცა იგი მოგვაგონდა, მსწრაფლად ამოვი[illegible] და თვალთა [illegible], რა მცირე ჟამი ვიყვენით, დიდი რამ ნისლი და შავი კვამლი მოგვშორდა თვალთაგან

ჩვენთა და ვიხილეთ, რომე ყოველთა მათ დიაცად საგონებელთა გრძნეულთა კელთა საგდებელნი ემყრნეთ და შეკვრასა ჩვენსა ესწრაფებიან, მაშინ ჩვენცა მრისხანითა გულითა შეუტიეთ და შევიბენით, ესრეთ გავჰსწყვიტეთ, რომე ერთიცა მათგანი არღა ვაცოცხლეთ. განვვლეთ ადგილი იგი და დაგვხვდა წინა ქალაქი ყოვლად კეკელა და ტურფა, გზრნს უკაცური და ცალიერი, იგიცა განვვლეთ და ვიდოდით ამოდ-თა სიარულითა.

აქა დილარ მძლეველი, ნუშრევან და გოჰარ მეფენი და ჩვენ, ყოველნი ყმანი მათნი, ვიდოდით და გზასა ზედა ურიცხვნი ყრმანი მოტირალნი დაგვხვდნენ და დაიწყეს უმეტესი ტირილი.

ვიხილეთ გზასა ზედა მრავალნი და უთვალავნი წვრილნი ყრმანი ჰსტიროდეს საბრალოსა კმითა გულ-ამოსკვნილნი და უკმობდეს დედ-მამათა, ვიდოდენ მოტირალნი, ვითა შეცთომილნი და მშობელნი არა სადა უჩნდეს. რა დილარ მძლეველმან იგი საცოდავად ტირილი ყრმათა მათ იხილა, უბრძანა ნუშრევანს და გოჰარს: „აჰა, უწყალონო, ესე საბრალო ყრმანი კელთაგან თქვენთა არიან დაობლებულნი და განგებასა რასა ჰასუხს უგებთო?" მეფემან ნუშრევან გაიღიმა და მოახსენა:

რვული შაირად.

ჰე ბრძენო, სიტყვა წყლიანო, გმირო, მებრძოლო, სვიანო,
ღვთივ ზეცით მრავლ ნიჭიანო, მკლავ მტკიცევ, ხაფად ხმიანო,
სურვილით ძლევ ტვირთიანო, აწ ჩვენზედ მიზეზიანო,
თქვენგან რაც სისხლი დიანო, მუნ ჩვენ არ გვეკითხვიანო!

ლექსი რვულად, ჩახრუხაულად.

Სურვილის მექონს გული ურვასა აწვევს და თვალნი ცრე-
მლთა წურვასა,
მიწყივ არს სოფლის გმობა-მდურვასა, არად ჰსჩან, მოჰკლავს
კაცს ასსა თუ რვასა!

ტაეპი რვული შაირად.

Ვინცა ჰსძებნოს საყვარელი, ჰმართებს, კმალი აქვნდეს
მკრელი!

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

Უდიდებულესო კელმწიფეო, თქვენ საყვარელისა მიხვედრისათვის კაცთა სიკუდილად არღა იწყალებთ და ჩვენ რასალა გვაბრალებო?" ესე ვითარად რასმე უბნობდეს, ლაღობდეს და მივიდოდეს. იყო ფრიადი ტირილი ყრმათა მათგან და არავინ ესვათ ნუგეშათ. ჰკითხა დილარ მძლეველმან მცირესა ვისმე მათგანსა ყრმასა, ვითა: „ყრმაო, ვიეთთა ავთა კაცთა დაჰხოცეს მშობელნი თქვენნი, რომ ეგზომ ჰსტირითო?" მან საბრალოდ კვლა შემოჰსტირა და სულთქმითა კმასა ვერღა აგებდა, თუ რასა იტყოდა, დილარმან ამოიღო ჯიბით შაქარი უბოძა ყრმასა მას და შეაჭამა; რა გემო გაიღო და ეტკბილა, უკმო სხვათაცა ყრმათა მან მცირემან ყრმამან, ვითა: „აქა მოვედით, მოძმენო, და ამა კეთილთა კაცთა მოწყალებითა დავჰსტკბეთო." მისსა კმასა ზედა, იგი სიმრავლე ყრმათა ჩვენსა გარემო მოჰკრბეს და დაიწყეს შაქართა თხოვა. დილარ მძლეველმან გვიბრძანა: „ჩემსა მზესა, ვისაცა შაქარი გაქვსთ, შიეცითო." ჩვენ განაღა ბრძანებასა დილარისასა აღვასრულებდით, და, ვისცა რა გვქონდა, მივეცით, და ოდეს შესჭამეს, შემოგვჰსტირეს და გვითხრეს: „თქვენ ხართ პატრონნი

და შემბრალებელნი ჩვენნი და თქვენთან წაგვასხენითო, და უკეთუ თქვენ არა ინებებთ, ჩვენ ეგრეთცა კვალთა თქვენთა არავე მოვშორდებითო.“ ერთსა ყრმასა სპასალარი მარსი დასწვდა და ჰსთქვა: „ამას მე წარვიყვან და ნებად ჩემდა გავზრდიო.“ აიყვანა და ცხენს წინ შემოისვა.

აქა ყრმათა მათ დიდ-დიდად ტიგრებად გარდაქცევა და მათგან სასტიკი ბრძოლა დილარსა და მასთან მყოფთა თანა.

მან ყრმამან ესრეთითა საშინელითა კმითა შეჰსძახა, რომე დღესცა კმა იგი ყურთა შინა მიდგას; რა ეგეთითა საზარელითა კმითა შეჰსძახა, სპასალარმან ყრმა იგი შორად გაჰსტყორცნა, გარნა დაიწყო უძლიერესად ყვირილი; მისსა კმასა ზედა ყოველნი იგი ყრმანი სპილოსა უდიდეს ტიგრებად გარდაიქცნენ და დაგვიწყეს სასტიკად ბრძოლა. უფალნო ჩემნო, მრავალნი ქვეყანანი მინახავან და მრავალსა მკეცთა ბრძოლასა დავსწრებივარ, გარნა ეგრეთ მესისხლედ ბრძოლა არა რომელთამე მკეცთაგან მიხილავს; ჰყვიროდა ერთი იგი, ოდესმე ყრმა, ტიგრი და ალივსო ყოველნი იგი არენი საშინელითა მით მკეცითა, მივარდა ბრძოლა მათი თვით დილარსა ზედა, ნუშრევანსა, გოჰარსა, სპასალარსა, დილარისა მოყმეთა და ლარასა ზედა, მით რომელ ჩვენ, რომელთაცა მოგვავლოდიან ტოტნი, აღგვილიან უნაგირისაგან და ერთსა უტევანსა შორად გაგვჰსტყორციდიან და ამის გამო ვითლა ძალ-გვედვა ბრძოლა მათი; იყო ძლიერი და სასტიკი ომი სამსა დღესა და ღამესა. მეოთხესა დღესა სპასალარმან ახსენა სახელი დილარისა და მიჰმართა განრისხებულმან ტიგრსა მას, რომელიცა ძლიერად ჰყვიროდა, დააგდო ცხენი, მისცა მოძმესა თვისსა და შეუტია. მუნით მან მკეცმანცა შემოუტია, იბრძოლეს ვითარ ერთი ჟამი, შემდგომად მარსი შეჰხლტა მაღლად, ჰკრა კბილლოჭენით გურზი თავსა ზედა და მოკლა იგი; რა იგი მოჰკლა,

სხვანი ყოველნი გაუჩინარდეს და დაჰსცხრა განუსვენებელი შრომა იგი. ოდეს დავხედეთ მარსისაგან მოკლულსა ტიგრსა, იყო ჭაბუკი შვენიერი; გავჰკვირდით და ვიტყოდით: „ესრეთ შვენიერნი ერნი რად ესრეთითა გრძნებითა განბოროტებულ არიან, გარნა ჩვენითა უბნობითა მათ გრძნებათა ვერა მოვუშლევინებდით. მცირეთ წარვვლეთ წინარე და გარდავხედით მოსვენებად. ოდეს დასხდეს მეფენი იგი, გოჰარმან მოახსენა დილარს: „კელმწიფეო, მზემან შენმან, მაშვრალი ხარ და მწყურისცა, ნუ თუ გაწყრდესთ, მცირე შაქრის ყინული მიბოძეო." გამხიარულდა დილარ, მათ ორთავე ძმათა სიყვარულით დაჰკოცნა, და უბრძანა გოჰარს: „ძმანო, თქვენ უწყალონი ხართ და მოწყალებისათვის რას მეკითხვითო?" ლაღობდეს და მხიარულობდეს წესითა თვისითა, სამსა დღესა მას ადგილსა დაჰყვეს ხუმრობითა და შექცევითა, მეოთხესა, დილით ადრე გავსხედით ცხენთა და გავემართენით მასვე გზასა ჩვენსა.

აქა გზასა ზედა მიმავალთა დაგვხვდა ქალაქი დიდი და შვენიერად ნაგები და მუნ ვიხილეთ ურიცხვნი უსინათლონი მოხუცებულნი, თხოვრად მსხდომარენი, რომელნიცა ჴმა-მაღლად ითხოვდეს მოწყალებასა.

რა სამი ჟამი ვიარეთ, შევჰხედით ქალაქსა უზომოდ დიდსა და შვენიერად შენებულსა, ვუჭვრეტდით და ვაქებდით კეთილ მკულებასა მის ქალაქისასა, გარნა სრულად ცარიელი იყო. ვიხილეთ გზათა ზედა მარჯულ და მარცხულ, უთვალავნი ბერნი კაცნი, ტეთრნი წვერნი ქვე მიწათა ეფინნეს, ბრმანი იყვნეს, ქვე ისხდეს და მოწყალებასა ითხოვდეს. ესე რა ვიხილეთ, განვჰკვირდით სიმრავლესა მათსა ზედა, და უბრძანა დილარმან გოჰარს: „ძმაო, რასა იტყვი, მოწყალება ჯერ არს, ანუ არაო?" გოჰარმან მოახსენა: „კელმწიფეო, მოწყალება ჯერ არს მათდა, რომელნიცა მიიღებენ მადლობით

ზენაძსაგან, რომელთაცა მიცემული დაიუნჯებს მაღალსა ცა-სა შინა და მიმცემელიცა მიიღებს ათასეულად მრჩობლსავე შინა, ხოლო უმადლოდ მიმღებელნი დასასჯელად თავთა თვისთა მიიღებენ, მით რომე არა ჰმადლობენ მომცემელსა მას კეთილთასა, გარნა, კელმწიფეო, ჰრიდე, შენსა მზესა, მაგა მოხუცებულთა, მით რომე ვჰგრძნობ რასამე მათ შორის სულსა სიბოროტისასა და გული მეტყვის ადრე განშორებასა მათსა." ჰკმობდეს მოხუცებულნი იგი და ივედრებოდეს მი-ცემად მოწყალებისა, ჩვენ მივიდოდით მოსწრაფედ და ყურსა არა ვათხოვებდით. რა მათ მოხუცებულთა ჩვენგან მოწყალე-ბისა იმედი გარდაიწყვიტეს, ერთობით ამოიოხრეს და ჰსთქვეს: „თქვენმან ჰსჯულმან მოწყალება, თურე სრა იცის და აწე ნაცვალსა ჩვენცა მოგაგებთო."

აქა მათ მოხუცებულთაგან დღისა დაბნელება და ბრძოლა ჰაერში.

შათ მოხუცებულთა ესრეთი შავი კვამლი აღმოუტევეს პირთაგან, რომე დღე იგი ნათელი სრულად დაჰფარეს და იქმნა ბნელი უკუნი, წინა არღა რაა გაირჩეოდა; დავრჩით ბნელსა შინა, რომე ერთი-ერთსა ვერღა ვჰხედევდით; მიგვე-ლო ძალი თქმისა და ჴლავისა და მოუძლურდა ყოველი ნა-წევარი ჩვენი და, ჩემ კერძო სიკვდილსა გარე არღა რასა ვი-მედობდი.

წყობილი ჩახრუხაულად.

ნათელი დღისა დაჰფენვა მზისა დაბნელდა მყისა, შეგვხვდა
დრო ურვისა,
წაგვწყვერთვა. თქმისა და ძალი სვლისა, აქვნდა ვისა ჟამი სურ-
ვისა.

ჴმა ვაებისა იყო ტყებისა, ჩვენგან არ სხვისა სოფლის მდურ-
ვისა,
ხსნა მის ჟამისა, ოხვრა ვამისა და კულთა დგმისა ვის არ
ჰსწყურვისა!

ლექსი.

ჩვენ, ვიტყვი სამთა სამეფოთ მეფეთა შეკრებილები,
ფარვა რაღა ჰკამს, შიშითა ვთრთოდით, შეგვეკრა კბილები!

ტაეპი.

დილარისათა რვალისა აქვნდათ ყე გული სალისა!

ლექსი.

მით რომე რაზომ საშიში გვესწრიან ჟამნი მწარენი,
იგინი იყვნენ ძალ ჩვენდა, ჩვენივე მცველ და მფარვები

მაშინ დილარ მძლეველმან შემოგვზახა, ვითა: „ძმანო ჩემნო, ზეთი იგი ფინეზ მეფისა მოიცხეთ და წყალნი იგი ყუმყუმათაგან აპკურეთო.“ ჩვენ ბრძანებასა ზედა დილარისასა მოგვაგონდა, ვიცხეთ ზეთი და დავიწყეთ ყუმყუმათაგან პკურება წყალთა და ცვარნი იგი ანათლებდეს ბნელსა, ვითა მზე; ვიდოდით ეგრე მპკურებელნი წყალთანი და მყისად სიმრავლე იგი მოხუცებულთა წინა გარდაგვიდგა, ხედვა არღა აკლდათ, დაგვიწყეს სასტიკი ბრძოლა; ჩვენ ერთითა კელითა ცვარსა ვაპკურებდით და ერთითა კელითა გურზსა ვიცემბოდით; გვქონდა ბრძოლა ფიცხელი, ვხოცდით და მივიდოდით სისწრაფით გზასა ზედა; სამი დღე და ღამე განუსვენებელსა ომსა შინა ვიყვენით და მეოთხესა დღესა დავასრულეთ სიცოცხლე მათ მოხუცებულად საგონებელთა ერთა: ესრეთ გავჰსწყვიტეთ, რომე მოამბეცა ვერღა გარდაგვეხვეწა, რა მათსა ბრძოლასა მოვრჩით, ბნელიცა იგი უჩინო იქმნა. მას ჩვენსა

ნაომარსა ადგილსა მცირედ შეუქციეთ და გარდავხედით შე-სვენებად. შემდგომად ჰბრძანა დილარმან: „ნეტარ თუმცა იყოს ესე ვითარი ღონე, რომე ესეოდენთა სიმრავლესა ერთა-სა არა ვხოცდეთ და კეთილსა ქვეყანასა არა ვაოხრებდეთო!“ ნუშრევან მეფემან თაყვანი-ჰსცა და მოახსენა: „კელმწიფეო,

ფისტიკური.

შე გიპოოთ გზა ეგე ვითარი, მშვიდობით დაჰშთენ ესე
გლახ ერნი,
ჩვენცა, შრომათა განსვენებულნი, ვიყვნეთ, არ ურთიერთს კვლად
შენამზერნი,
დღისით და ღამით ბრძოლა ძლიერი გვაქვს, ისპობიან უწყა-
ლოდ მტერნი,
ვინცა ისმენენ, ულმობელობას ჩვენსა იტყვიან ყმანი თუ
ბერნი!

შეხედა დილარმან ნუშრევანს და ჰრქვა: „ძმაო, შენ და გოჰარ მესისხლე კაცი ხართ და ჩვეულნი უბადოთა კაცთა სისხლთა ღვრასა და უმეტეს საამო არს თქვენდა, რაოდენ უმრავლესთა დახოცთ, თუარა თქვენ სხვასა მშვიდობისა გზასა არა გაიღებთო.“ კვლა მოახსენა ნუშრევანმან: „კელმწიფეო, ნუ თუ ლაღობა რაიმე გეგონოსთ? თავმან შენმან, ამა ღო-ნისა წამალი ვიცი და, თუ ბრძანებ, მოგახსენოო.“ უბრძანა დილარმან

ფისტიკაურად ტაშვი.

ვიცი, ლაღობას, ღე საყვარელო, აპირებ და გთხოვ, მალ
იტყოდეო!

მოახსენა ნუშრევანმან:

ტაეპი.

ველოდი შაგა ბრძანებას, თქვენსა ნებისა აღებას!

დიდისა და განძლიერებულისა ქვეყანისა მპყრობელოესე ჰბრძანე, ანუ თქვენ ესეოდენსა ჭირსა რადა ხართ და ანუ ამა საბრალოთა ერთა რადა ჰკოცთ? დაჰსთმე საყვარელო თქვენი, გარე უკუნ-იქეც და ესე კაცნი სიკვდილსა მორჩებიანო.“ დილარმან ტაშ ტყველვით გაიცინა და უბრძანა:

შ ა ი რ ი.

ნუშრევან, მაგა თაპირსა აწ რომე მირჩევ ენითა,
გარე შექცევას ამტკიცებ გულითა აწლა ბრძენითა,
ოდეს ციკლოპულთ ვებრძოდით, იყავ ცრემლისა დენითა,
მაშინ რად არ ჰსთქვი, აწ ჩემთვის ადვლ გიჩნს, იტყვი ლხენითა!

ხუმრობდეს ესე ვითარად და შეექცეოდეს. სამსა დღესა მას ადგილსა ზედა განისვენეს.

აქა იწროსა რასამე გზასა ზედა ოთხთა საშინელთა დიდთა კაცთა, დიდროვანთა ვეშაპთა ზედა მსხდომთაგან, გზასა დაჭერა და ბრძოლა ძლიერი.

დღესა მეოთხესა ავიყარენით, გავსხედით ცხენთა და წარვედით; რა მცირე ვიარეთ, შევჰხვდით გზასა რასამე იწროსა, რომე მისგან კიდე გზა არა სადა იყო; მას გზასა ზედა იდგნენ ოთხნი მთისა ჰმსგავსნი კაცნი და ერთი ესრეთ დიდი იყო, რომე მათ სამთა ოდენი იგი ერთი იყო, ალპიის მთისა უდიდესთა მარტოდ რქათა ჰსხდეს და ჩვენ კერძო იყურებოდეს, თვალნი სახმილისა ჰმსგავსად გამოენთნეს, ჰბრუნვიდეს, ვითა

ბორბალი, კელთა გურზნი ეპყრათ და ეგრეთ გზასა მას ჰსცვ-დეს. რა მივედით და ახლოს ვიხილეთ, სრულად ფოლადისანი იყვნეს და ესრეთ მოძრაობდეს, რომე ხორციელნი გვეგონნეს. მაშინ დილარმან ჰბრძანა: „მკლავთა ჩვენთა ძალსა იგინი გამოჰსცდიანო.“ და კვალად ჰბრძანა: „ვინცა გინა, მიდით, გარნა იგი უდიდესი კაცი ჩემთვის დაჰსცევითო.“

აქა სპასალარისა მარსისა და დიდის მის ფოლადისა კაცისა ბრძოლა და მარსისაგან მის კაცისა და მარტო რქისა მისისა დამუსვრა და გამარჯვება.

Დილარისა ბრძანებასა ზედა, მარსი სპასალარმან თაყვანი-ჰსცა და მიჰმართა ფოლადისა კაცსა მას, შეუტია და ზედა მიუხდა; იგი ფოლადისა კაციცა წინა მოეგება და დაუშინეს ერთი-ერთსა გურზებითა, ჰსცემდეს და ჰქონდათ ბრძოლა სასტიკი ვითარ ორი ჟამი. მოიჰირვა სპასალარმან და გამოსცადა ძალი მის ფოლადისა კაცისა. მესამესა ჟამსა ახსენა სახელი დილარისა, მიუხდა, ჰსცა ძლიერად გურზი თავსა ზედა და ესრეთ დამუსრა კაცი და მარტო რქა მისი, რომე ვითა კაჰაჰი, ეგრეთ დალეწილნი ქვე დაჰსცვვდეს; გამობრუნდა, დილარს კელსა აკოცა და დილარმან პირსა აკოცა; მოულოცეს ყოველთა მეფეთა გამარჯვებაჲ და მას დღესა დაჰსხდნენ სპასალარისა ომსა, პურსა შეექცნეს და განისვენეს.

აქა [illegible] მეფისა და მის [illegible] ფოლადისა კაცისა ბრძოლა და [illegible] და [illegible] გამარჯვება.

Მეორესა დღესა, რა მზისა წინა-მორბედმან შუქმან ქვეყანისა კიდენი სხივითა თვისითა მონაწილე ჰყვნეს, ალჰსდგა [illegible] ჰოლონთა იგი მეფე, გამოესალმა დილარს და მიმართა ფოლადისა

დისა მას კაცსა; იგი განრისხებულითა რითმე სახითა წინა მოეგება და შეჰქმნეს ბრძოლა ძლიერი, ჰსცემდეს სასტიკად გურზთა; ჰსცდილობდა გოჰარ უმეტეს ძალისა თვისისა და ოფლი მაშვრალობისა, ვითა გაზაფხულისა ღრუბელსა ცვარნი, ეგრეთ ჰსდიოდეს. ვიდრე მწუხრისა ჟამადმდე იყვნეს დაუ-ცადსა გურზისა ცემასა შინა და მიმწუხრი შეჰსძახა დილარ-მან, ვითა: „მეფეო გოჰარ, ანუ ჰსძლიე და ანუ ბრძოლასა მოეშალეო." დილარისა სიტყვასა ზედა შეირცხვინა გოჰარ-მან და განჰსძლიერდა; ვიდრე ღამისა განზოგებადმდე კვლა იბრძოლეს და შემდგომად იყივლა გოჰარმან, ვითა: „აჰა, კელმწიფეო, აწ ჰნახო სამსახური მონისა და ძმისა თქვენი-საო." შეუტია, ჰკრა გურზი გულ-მესისხლეედ მკერდსა ზედა და სრულად დალეწა კაცი იგი და ვეშაპიცა იგი დაიმუსრვა. გამობრუნდა და მოვიდა დილარსა და ნუშრევანსა თანა, მო-ულოცა, მათ პირსა აკოცეს, და იგი ღამე განვლეს მხია-რულებითა.

აქა ნუშრევანისა და მის მესამისა ფოლადის კაცისა ბრძოლა ძლიერი და ნუშრევან სამთა სამეფოთა მეფისაგან გამარჯვება.

Სხვასა დილასა ადრე აღჰსდგა ნუშრევან მეფე, ჯაჭვისა კალთა სარტყელსა შთაიპყრა, ყოველთავე გამოესალმა და გაემართა მის ფოლადისა კაცისა საბრძოლველად; მივიდა, შეუხდა მას კაცსა, ჰკრა გურზი ფიცხელად და მან მასა ჰკრა; იბრძოლეს ერთი-ერთსა ზედა ვითარ შუადღედმდე, არა მოა-კლეს ერთმანერთსა გურზისა ცემაა; ოფლი ნუშრევანისა ღვარსა ეჰმსგავსებოდა და კისკასად ბრუნვითა და ხლტომითა ვეფხსაცა უმალესობდა. მწუხრისა ჟამსა შესძახა სახელი სა-ყვარელისა თვისისა გულნაზისა და მიუხდა კაცსა მას, ჰკრა კბილ-დრჭენით გურზი პირსა ზედა და, ვითა მტვერი, დაავლო და, დასრულებასა დღისასა დასრულდაცა ბრძოლა მათი. გა-

მობრუნდა მუნით ნუშრევან, მოვიდა დილარსა და გოჰარსა თანა, გამარჯვება მოულოცა, მათ პირსა აკოცეს და დაჯდა მოსვენებად.

აქა დილარ მძლეველისა და მის უდიდესისა ფოლადის კაცისა ბრძოლა და დილარისა მიერ ძლევაჲ მისი.

ოდეს ნუშრევანმან შეისვენა, მასვე ჟამსა აღჰსდგა დილარ და ჰსთქვა: „ძმანო ჩემნო, თქვენ თქვენსა ვალსა მორჩით და აწ მე მნახეთო." მიუხდა მას უდიდესსა კაცსა ფოლადისასა და იგი კაცი წინა მოეგება, შეიმაღლა გურზი დასაკრავად, მისწვდა დილარ, ერთითა კელითა გურზი მისი დაიჭირა და მეორითა კელითა ესრეთ ძლიერად ჰსცა გურზი, რომე ეგეოდენი დიდი კაცი, ვითა ცუდი რამე მინა, ეგრე დააწვლილა და დამუსრა. მსწრაფლად გამობრუნდა, მოვიდა მეფეთა თანა, მათ გამარჯვება მიულოცეს, შეასხეს ქება და დასხდეს პურობად, შექმნეს ლალობა და მხიარულება წესისაებრ თვისისა. იგი ღამე ნადიმითა და ძილითა განისვენეს. მეორესა დილასა ადრე აღჰსდგნენ, პურსა შეექცნენ, მათ გრძნეულთა მოქმედებასა ზედა იცინოდეს და უბნობდეს; თუმცა ჩვენთვის არა სალალობელი იყო ეგე ვითარსა გზასა სიარული, გარნა რადგან დილარისა სატრფიალო მას გზასა ზედა სლვითა იპოვებოდა, სიცოცხლე ჩვენი დილარის ნებასა შევჰსწირეთ. შემდგომად ავიყარენით მუნით, გავსხედით ცხენთა და გავემართენით და დავიწყეთ სლვაჲ მასვე იწროსა გზასა ზედა.

აქა დილარ მძლეველისა და მის თანა მეფეთაგან მას იწროსა გზასა ზედა ხილვა საშინელისა რვალის ლომისა და მას ზედა ბრძოლა სასტიკი.

ჴელმწიფენო მსმენელნო, მიმავალთა მას იწროსა გზასა

გზასა ზედა ვიხილეთ ლომი რვალისა, ესოდენ დიდი, რომე ოცნება რამე გვეგონა. გზა იგი მას შეეპყრა, პირით ცეცხლსა აღენდა და ჰაერი მის ცეცხლისა კვამლსა მოეცვა. მან, სახილველად საზარელმან ლომმან, ოდეს ჩვენ გვიხილა, ცეცხლისა დენა დააყენა და დაიწყო პირით საშინელთა რვალისა ლომთა გამოჰყრა; ეგეოდენი სიმრავლე ლომთა გამოუშვა პირით, რომე იგი ქვეყანა სრულად ლომითა აღივსო. შემოგვიტიეს და ჩვენ მათ შეუტიეთ, გვჰსცემდენ ძლიერად კუდსა და ტოტსა, თუმცა საჭურველთა ჩვენთა სიკეთითა კორცად ვერა გვიწევდენ და წყლულება ვერა დაგვდევს, თვარა სხვასა კეთილსა არა რასა გვაყრიდენ. ვიბრძოდით გურზებითა და ვლეწდით მრავალთა, გარნა უმეტესად ესე გვაკლებდა გულსა, რომე ვერცა დაკლება დავეტყეთ და არცა გზა წასავალისითმე იყო. ხუთსა დღესა და ღამესა მოუკლებელად იყვნეს და გვებრძოდეს ვითა უკიანოსსა ზღვისა ქვიშა; რაოდენსაცა ვჰხოცდით, იგი საშინელი ლომი ერთი ათასად პირიდამ ჰყრიდა. გაძნელდა საქმე ჩვენი და ვიჭირვოდით ყოვლითა ღონითა ჩვენითა. სრულ იქმნა ათი დღე ბრძოლისა ჩვენისა და ვერა სადით გავეხსენით გზა, რომე მას ლილსა ლომსა თანა მიგვეწივა. ვისვემდით ზეთსა, ფინეზ მეფისაგან ბოძებულთა და გვაძლევდა სიმტკიცესა და გულისა სიმყარესა ზეთი იგი; მეფენი, წუშრევან და გოშპარცა ჰსცდილობდენ მას საშინელისა ლომსა თანა მიწევნასა, [illegible] გარნა იგი მეომარნი ლომნი მას იწროსა გზასა ზედა, ვითა ღელვა, ეგრეთ იყვნეს წინა მბრძოლნი; გაჰსჭირდა საქმე ჩვენი და მიგველო სასოება ცხოვრებისა. მაშინ დილარ მძლეველმან შემოგვძახა, ვითა: „ძმანო ჩემნო, ვითა ხართო?“ ჩვენ, გლახ, ერთობით შევღაღადეთ: „კელმწიფეო, შენსა მზესა, თუ რაა ძალ-გიძს, გვეწიეო.“ მან ჴმასა ჩვენსა ზედა შეჰყივლა მოყმეთა თვისთა, ვითა: „ლომნო აბაშთანო, მივქდით და გზა გასხენითო.“ იგინი, ღმერთო, მაშინ კაცად საგონებელნი არღა იყვნეს, შეუტიეს ფიცხელად და [illegible] თანა მყისად

დამუსრეს ურიცხვნი ლომნი და გზა გახსნეს. ნუშრევან მეფემან, უკანა შედგომილმან მაჲმან, მიჰმართა მას საზარელსა ლომსა და შეიმაღლა გურზი, ენება, რათა დაეკრა. ლომი იგი, ვითა ქარი, ზედა მივარდა, დაავლო პირი და ცხენი ნუშრევანითურთ პირსა შეიღო.

აქა დილარ მძლეველისაგან საყვარელისა ძმისა თვისისა ნუშრევანისა მიშველება და მას ლომსა თანა ბრძოლა, ნუშრევანისა გამოხსნა და ლომისა დალეწვა დილარისაგან.

Dილარ მძლეველმან რა ნუშრევან ეგრეთსა ძნელსა ადგილსა იხილა, გულსა ცეცხლი მოედვა, ესრეთ ძლიერად შეჰსძახა, რომე იგი მიდამონი სრულად შეირყივნეს; მიუხდა, ჰკრა ძლიერად გურზი ზურგსა ზედა და ნუშრევან პირიდამ წამოაგდებინა; დაიღრიალა ლომმან მან, უკანასა ფერხთა ზედა დაჰსდგა, მოუხდა, ორივ ტოტი წელსა მოხვია და ესრეთ ძლიერად შემოუჭირა, რომე უკეთუ საკვრველი იგი კელოვნება თორნი(?) არა შეჰსწრებოდა, გმირთა კელმწიფე და ფალავანთა სპასალარი იგი მას დღესა გათავდებოდა. რა დილარმან იგი ძლიერება ლომისა იხილა, განრისხებულმან ჰკრა ძლიერად გურზი, გარნა ლომმან მან არად რად მიიჩნია. მაშინ უმეტესად განჰრისხდა დილარ, ესრეთ ძლიერად განზიდნა მის ლომისა ტოტნი, რომე წელისაგან მოიშორნა, ასწია, მით ორითა ტოტითა აღიღო და შორად გაჰსტყორცნა, კისკასად მიუხდა, ჰკრა გურზი თავსა ზედა და დალეწა. რა იგი უსაზომო ლომი დაილეწა, სხვანიცა ლომნი ქვე დაჰსცვივდეს და დაიმუსრნეს. მივიდა მსწრაფლად, ნუშრევან ჰნახა, პირსა აკოცა და მოიკითხა, და ჰრქვა: „ძმაო საყვარელო, ნუ თუ რა გევნოო?“ ნუშრევანმან მადლობა ჰკადრა და მოახსენა: „კელმწიფეო, თავმან შენმან, მე და ჩემი ცხენი მის ლომისა პირსა შინა ესრეთ ვჰსდეგით, ვითა ვერცხლსა ველსა ზედა და

რა გვევნებოდაო!“ ყოველთავე ერთობით მხიარულთა გამარჯვება მიულოცეთ, მცირედ შევისვენეთ, და ჰბრძანა დილარმან: „კარგსა მტერსა მოვრჩითო.“ პური მიირთვეს, გასხდნენ ცხენთა და გავემართენით. განვვლეთ გზა იგი იწრო და დაგვხვდა წინა შენობა შენობასა ზედა და ქალაქი ქალაქსა ზედა, შვენიერნი და კეკელად შენებულნი, გარნა უკაცურნი. ვიარეთ და ერთსა ამოსა ადგილსა გარდავხედით, უძილობით დამძიმებულნი ვიყვენით და ერთსა სწორსა მუნ განვისვენეთ. შემდგომად ჰბრძანა დილარმან: „არა კარგია ესრეთსა გრძნებითა სავსესა ქვეყანას ესდენ ჟამ დგომაო.“ მას დილარისა ბრძანებასა ზედა მოვიყვანნეთ ცხენნი, შევსხედით და ვიწყეთ სიარული. რა სამი ოდენ ჟამი ვვლეთ, შევჰქდით მინდორსა რასმე თვალ უწთომელსა.

აქა დილარ მძლეველისა და მას თანა მყოფთა ყოველთაგან თუალუწთომელსა მინდორსა შინა ურიცხვთა მგელთა ხილვა, რომელთაცა კრავნი ეპყრათ პირთა და მირბოდეს; დილარისაგან გამოდგომა მათი და ვითარებისა მათისა ხილუა.

ოდეს წინარე მივხედეთ, ვიხილეთ მგელნი, მომავალნი სიმრავლითა, ვითა ქვიშა ზღვისა. მოვიდოდეს და ყოველსა მას სიმრავლესა მგელთასა პირთა კრავნი ეპყრათ და ესწრაფებოდენ ტყესა შინა შესვლასა. რა დილარ მძლეველმან იგინი იხილნა, გვიბრძანა: „ძმანო ჩემნო, ესე კრავნი ამა მგელთა დავაყრევინოთ და მათ ზედა ბოროტთა მკეცთა ნუ ვამხიარულებთო.“ რა დილარისა მიერ ესე ბრძანება მივიღეთ, მივმართეთ ყოველთავე ცხენთა სისწრაფით, გარნა რაოდენცა ვარბიეთ ცხენნი, უგრეცა ვერღა მოვჰსწვდით და ტყეთა შეგვასწრეს; ოდეს ჩვენცა მივედით მის დიდისა ტყისა პირსა, არღა მოეშალა დილარ მათსა დევნასა, მიჰყვა კვალსა მათსა და განალა ჩვენცა არა მოვშორდებოდით კელმწიფესა ჩვენსა.

იგი თვალ-მიუწდომელი ტყე ვიდრე ნახევრობადმდე განვვლეთ და დაგვხვდა მთა რაჲმე დიდი, რომლისა სიმაღლე და სივრცე არა მიიწთომებოდა. მას მთასა შინა იყო გვირაბად შეკვეთილი გზა ფართოდ და იგი სიმრავლე მგელთა მას შინა შევიდნენ; დილარ შეჰყვა მას შინა და ჩვენცა ვჰსდევდით უკანა მისსა. ვიდოდით ხვრელსა მას ბნელსა ვითარ ორი ჟამი, და გამოჰსჩნდა ქვაბი დიდი გამოკვეთილი, ჰმსგავსი ქალაქისა დიდისა; მას დიდსა ქვაბსა გარემო მგრგვლივ აქვნდა ქვაბნი, გამოჭრილნი შვენიერ ოთახებად, ურიცხვნი.

აქა დიდსა მას ქვაბოვანსა შესვლა დილარ მძლეველისა და ყოველთა მასთანა მყოფთა, და მათ ურიცხვთა მგელთა და კრავთა შუენიერს ქალებად და ყრმებად შეცვლა და საოცართა საქმეთა მოქმედება.

ოდეს მგელნი იგი მას ქვაბოვანსა შევიდნენ და ჩვენცათანა შეყოლილნი გვიხილეს, იგი ურიცხვობა მგელთა შვენიერს ქალებად შეიცვალნეს და კრავნი იგი, რომელნი პირთა ეპყრათ, ყრმებად იქცნენ. მოვიდნენ ტურფითა რითმე რხევითა, გვისალამეს, და გვითხრეს: „ჭაბუკნო, ჩვენ ხელთაგან თქვენთა ვივლტით თავთა და შვილთა ჩვენთა დასაცველად და თქვენ რად არა გვეშვებით? აწ, თუ გნებავსთ, შვენიერებასა ჩვენსა ჰხედავთ და უზადოება ჩვენი, მკუდართაცა გრძნობა აქვნდესთ, მოეწონებათ, იქმავეთ ეგოდენი სისხლთა დათხევა, თქვენცა კაცნი ხართ და განკითხვისა დღესა მოელით. რასა ეძებთ ქვეყანასა ამას შინა, რომე დიაცთა მამაცთა და ყრმათა არა განიკითხავთ და შეუწყალებელად ჰხოცთ? თქვენგან უდიდესი შემძლებელი სხვა მაღალი არს და პასუხისა მიგება მუნ დაგჭირდებათ, რასა სიტყვასა ეტყვით, რომე სამოთხისა ჰმსგავსი ქვეყანა ესე აღაოხრეთ და ამას შინა მცხოვრებთა ერთა სისხლი დაღვრილი ჰღაღადებს ცად მიმართ, და ჰაერთ შეაგინეთ უწყალოებითა თქვენითა? ისმინეთ ჩვენი, ეგრეთ

გულ-ულმობელობა მკეცთაცა არა ჰშვენისთ! აჰა ჩვენ, არა-გიშლით, მოვედით, შვენიერება და სიკეკლუცე ჩვენი კელთა-თქვენთა შეხებითა განიხილეთ, ჩვენთანა წოლითა და წადილ-თა თქვენთა აღსრულებითა დასტკბით, ქრთამად ჩჩვილისა კორცისა ჩვენისა შეხება იკმავეთ და ესრეთ ქვეყანასა თქვენ-ზა მიიქეცითო.“ რა დილარ მძლეველმან მათ შვენიერთა ქალ-თაგან ეგე ვითარნი სიტყვანი მოისმინნა, დიდად რასმე შეჰს-წუხდა და ილმობდა მათთვის. დაჰსდგა დაფიქრებული და არავის რა მიუგო. რა ეგეთსა უზადოებასა და სიკეკლუცესა მათ ქალთასა ვჰსჭვრეტდით, დიდად მოგვჰსწონდა და გულიცა შეგვექმნა; უკეთუ დილარის რიდი არა გვქონოდა, მათსა ალერსსა ვაპირობდით. მეფემან ნუშრევანმან დაგვასწრა და მოახსენა: „კელმწიფეო, მრავალთა ჟამთა განვლეს, რა დასა თქვენსა, დედოფალსა გულნაზს მოვშორდი, ესე ქალნი შვე-ნიერებით მდიდარნი არიან, საიდუმლოდ ესე დამიმარხეთ და ამა ქალთაგანსა ძუძუთა დავეკონები და სუნნელთა იისა და-რაჯათაგან დაკრძალულთა ძოწეულისა კართა განუხვავ და ერთსა ჟამსა მისისა გემოვნებითა დავჰსტკბებიო.“ დილარმან რა ნუშრევანისაგან ეგე ვითარნი სიტყვანი ისმინა, ესრეთითა მხიარულებითა, ტაშ-ტყელვითა გაიცინა, რომე სრულად ქვა-ზოვანთა მათ კმა მოსცეს, და სიცილითავე უბრძანა: „მემრუ-შეო, ვიცი, მართალსა იტყვი, გარნა დასა ჩემსა გულნაზ დე-დოფალსა ვითღა იხილავ ეგე ვითართა თანა გაწბილებულიო? სამართლად, თურე, არა გაძლევდა ასულსა თჳსსა ბრიტან მეფე, ვინაჲთგან ეგრეთ უპირო და შეურჩომელი ყოფილხა-რო.“ ნუშრევანმან, თჳსისა ლაღობისა არა კმა-მყოფელმან, კვლა მოახსენა: „კელმწიფეო, მომიტევე, მე ამა შვენიერთა ქალთა თანა წადილისა ჩემისა აღსრულებითა რომე დავჰსტ-კბე, ესე მიბრძანე, გულნაზ დედოფალი რასა მიმერჩის და ანუ აქა მოქმედებასა რასა იგულისხმებსო.“ იცინოდა დილარ და იამებოდა ნუშრევანსა თანა სიტყვისა განგრძობაჲ. კვლა უბრძანა: „ჵი ნუშრევან, ძმოსა ხორცისა სიყვარულითა და-

მბრძანო, არა ჩვენცა შენებრვე ყმა კაცნი ვართა? რად მე და გოჰარ, საყვარელი ძმა ჩემი, მაგავე ფიქრითა არა ვართო?" ნუშრევანმან მყუდროებით მოახსენა: „დიდო ჴელმწიფეო, მცირედ მადროეთ და ვითარიცა ჰხამს სიყვარულითა დასლბო-ბა, ჟამი გამოაჩენს და თქვენსა ნავარდსა ვნახავო." მაშინ გო-ჰარმან იწყო დაუფარავად ფიცი და ჰსთქვა: „თქვენმან მზე-მან, თუმცა მზე ხორციელად მავალი ვიხილო, მასზედაცა გული ჩემი არა ჰგრძნობს სიყვარულსა, მით რომე წამითი-წამად გულსა ჩემსა აღელვებს მის მზის ქალაქისა მნათობთა-განისა შემთხვევა, სხვად გულსა ჩემსა არა ჰსცალსო." რა მან ჴელმწიფემან და მათ მეფეთა ესე ვითარითა ლაღობითა მოი-უბნეს, იგი შვენიერნი ქალნი მოჰსდგეს და აწვიეს მეფეთა, ვითა: „სტუმარნი ხართ, ვითაცა გნებავსთ, ჩვენთანა განისვე-ნეთ და გზასა თქვენსა შეუდეგითო." მათ ჩვენთა მეფეთა ჴმა არა გაჰსცეს და არცა შეხედეს. რა იგი ქალნი აგრე გაკიც-ხულნი შეიქმნენ მათგან უპასუხობითა, მოვიდნენ, გვერდსა მოუსხდნენ და ჰრქვეს: „რად ჴელსა არა მოგვჰყოფთ, კაცნი არა ხართო? ჩვენებრ კეკლუცთა ქალთა სადა ვით ჰპოებთო."

აქა მეინვართა მეფის ძის ნუშრევანისაგან მათ ქალთა გამოცდა და ბრძოლა ძლიერი.

მაშინ ნუშრევანმან ჰსთქვა: „ესე ქალნი ჩვენთვის კეთილ-სა არა ჰზრახვენ და მე გამოვჰსცადოო." მივიდა, დაჰყო ერთ-სა ქალსა ჴელი და იხილა, რომე კაცი იყო სამამაცოსა იარა-ღითა შეჭურვილი. მყისად ზედ მოვარდა ნუშრევანს და და-უწყო რკინობა ძლიერი, განჰკვირდა ნუშრევან და შეჰქმნეს რკინობა; ერთსა ჟამსა ესრეთითა ძლიერითა რკინობითა იბრ-ძოდეს, რომე ნუშრევან სისხლისა ოფლსა შინა ჰსცურვიდა. ეწყინა დილარს და შეჰსძახა: „ნუშრევან, ნუშრევან, გაცუდ-და ჰაჰუკობა შენი, რომე ქალისა ომი ესრეთ მიგჭირდაო."

მაშინ ნუშრევანმან ერთი კელი ბარკალსა ჰსტაცა და ქართ-კისერსა, აღილო და მათ სხვათა ქალთა შეჰსტყორცა, ორი სხვა და ერთი იგი სამივ დაჰხოცნა. ოდეს მკვდართა მათ დავხედეთ კაცნი, იყვნეს დაჭურვილნი. დილარ განჰრისხნა და გვიბრძანა: „ყოველნივე დახოცქნითო.“ მაშინ ჩვენ ყოველთა ერთობით დავიწოდეთ გურზნი და შეუტიეთ, იგინიცა მოგვეგებნეს მითვე ქალ საგონებელითა სახითა, და, თავმან თქვენმან, ესრეთ ფიცხელად გვებრძოდენ, რომე მეომართა უნახავად გაგვხადეს, ჩვენ ძალისა ჩვენისაებრ ვიბრძოდით და ვხოცდით მრავალთა. რა ეგე ვითარი სიმხნე ჩვენი იხილეს,

აქა მათ ქალ საგონებელთა გრძნეულთა ერთად შეკრება და ვითარ ერთითა პირითა შეჰკივლება; მის მთისა დიდის ქვაბოვანისა ჰაერსა აღსვლა და ჩვენგან შეშინება დიდად.

იგი გრძნეულნი ერთად შეჰკრბენ და ვითა ერთითა პირითა სამ-გზის ესრეთ ძლიერად შეჰკივლეს, რომე მათსა კმასა ზედა იგი ქვაბოვანი მთა სრულად ძირითურთ აღიფხვრა და ჰაერსა აღვიდა; ჩვენ შევშინდით და მიდამო ვრბოდით, რათა თავთა სამალავნი გვეპოვნა, მით რომე საშინელი იგი მთა ჰაერით ქვე წამოვიდა, მსწრაფლად ჰბრუნვიდა და ჩვენზედა დაცემასა ჰლამოდა, ვთრთოდით შიშითა, ვითა წნორისა ფურცელი და ღონე მოკლებულთა შევჰსძახეთ დილარს, ვითა: „ძლიერო კელმწიფეო, აჰა ჟამი ჩვენისა შეწევნისა, ესერა მთა ესე დაგვფარავს!“ დილარ მძლეველმან, რა ჩვენი ეგრე შეშინება იხილა, შევბრალდით და გვიყივლა: „ძმანო ჩემნო, ნუ იშიშვით, შყინვართა მეფისაგან მოცემული ზეთი მოისვითო.“ ჩვენ შიშისაგან გონება დაბნეულთა მოგვაგონდა, ამოვიღეთ და რა ზეთი იგი მოვისვით, იგივე გული ჩვენი მოგვეცა, გარნა ესე იყო, რომე ესრეთ შევშინდით, უკეთუ გზა გვეპოვა, ესრეთ გავიქცეოდით შიშითა, რომე ჩვენსაცა ქვეყანასა გა-

ვჰსცილდებოდით და სირცხვლსა არღა მივხედვიდით. იგი მთა ალფხვრილი მსწრაფლად ჰბრუნვიდა ჰაერსა შინა, ღილარ მას სიცილით შეჰყურებდა; მერმე გვიყივლა: „შემომიდეგით.“ ალვიდა ერთსა კერძოსა მის აგლეჯილისა მთისასა და ჩვენცა განალა შევყევით. რა ზემორე ალვკედით, ვიხილეთ ქალნი იგი და ყრმანი მუნ მზაობდეს ბრძოლისათვის; შემოგვკივლეს, შემოგვიტიეს და ჩვენცა მივმართეთ. ორი ჟამი სასტიკითა ბრძოლითა ვიჰირვოდით და ესრეთ დავჰხოცეთ, რომე ერთიცა ვერღა წაგვივიდა. ოდეს წყეულნი იგი დავჰხოცენით, ვიხილეთ, რომე არცა მთა იყო, არცა ქვაბოვანი და არცა ტყე იგი დიდი, არამედ იგივე გზა იყო, რომელსა მივდიოდით და იგი ყოველნი გრძნებითა მოეჩვენოვნათ შესაშინებლად ჩვენდა. რა მათ გრძნეულთა მოვრჩით, ამოთა სიარულითა ვიდოდით მრავალთა დღეთა, და მივხვდით კვლა სოფლებსა და ქალაქებსა უზომოდ კეკელად და ტურფა გვარად შენებულთა, გარნა უკაცურთა.

აქა ღილარ მძლეველისა და მასთანა მეოცეთაგან მრავალთა დაჭურვილთა მშვილდოსანთა კაცთა ზედა ბრძოლა, მთოვარისა და ვარსკვლავთა ცით ქვეყანად გარდმოჭენცევისა და ღილის საოცრებისა შემთხვევა.

ოდეს მათ შვენიერთა შენებულებათა გავჰსცილდით და გზასა ძელა მივიდოდით, ვიხილეთ ეგზომნი დაჭურვილნი მშვილდოსანნი კაცნი რაზმად და მწყობრად მოვიდოდეს, რომე ერთ სახედ უკეთესობა არღა ეგებოდა, მშვილდი კელთა ეპყრათ და რა გვიხილეს, ფიცხელთა ისართა სროლა დაგვიწყეს, ჩვენ ფარნი ვიწინამძღვრეთ და დავიწყეთ გურზითა ბრძოლა. სამე დღე და ღამე ვიჰირვოდით და ვჰხოცდით მრავალთა. მეოთხესა ღამესა კვლა ვიყვენით სასტიკსა ბრძოლასა შინა განზოგებამდე ღამისა. ნათელი მთოვარიანი ღამე იყო და ვარსკვლავნი კამკამებდეს შვენიერად; მსწრაფლად იგი რაზ-

მები ერთად შეჰკრბეს და ყოველთავე ერთად ზარ-დასაცემითა კმითა შეჰსძახეს ესრეთ: „ეჰა ცაო, ესეოდენთა უბრალოთა სისხლთა დათხევა შენდა ჯერ არს მოკითხვად! აწე მოსამართლეობითა შენითა გარდამოუტევე მთოვარე და ვარსკვლავნი, რათა რისხვითა შენითა დაეცნენ ესენი ქვეყანასა ამას ჩვენსა, რომე სხვათაცა არღა გაბედონ კაცთა ზედა უსამართლოება და ერთი-მეორისა მამულსა შესვლა, წართმევა და მძლავრებაო.“ ესე კმა სამ-გზის უსაშინელესითა კმითა შეჰსძახეს და მათსა კმასა ზედა იქმნა საკვრველება დიდი: ცამან იწყო გრგვინვა და ქვეყანამან ჰრყევა, გარდამოვარდა მთოვარე და ვარსკვლავნი, დამოჰსცვივდენ, დაგვეცა შიშისა ზარი და არა ვიცოდით, რაჲ გვექმნა. იყო შემაძრწუნებელი რყევა, მთოვარისა და ვარსკვლავთა ქვეყანასა ზედა ხლტომა და ხეთქება; იგი მოპირის-პირენი ჩვენნი მოისარნი რეცა მხიარულობდეს და ჰკმობდეს: „ესერა დაჰსაჯა ცამან ჩვენ ზედა უსამართლოებისა მოქმედნიო.“ ჩვენ შიშმან აგვიყოლა და ვთრთოდით, ვითა ქარისაგან ვერხვისა ფურცელნი. ესე იყო საკვრველი, რომე დილარისა მოყმენი ეგე ვითარსა შემთხვევასა შინა, ვითა მყარნი კლდენი, ეგრეთ ჰსდგეს და შეჰყურებდეს პატრონსა თვისსა. მაშინ დილარმან, რა შეგვატყო შეშინებაჲ, ზეთი იგი მოგვაგონა და თვსთა მოყმეთა შეჰსძახა: „ყმანო ჩემნო, რასა ჰსდგათ და მჰსჭურეტთ მე, მიველით, ანუ დაჰხოცეთ მტერნი ჩვენნი და ანუ მანდილნი თავთა მოიდევით და ჰსთქუთ: თქვენებრი არა ვართო.“ მაშინ მარსიმ და მოყმეთა დილარისათა მოახსენეს: „პატრონო, რაზომცა ჰსწყრები, ეგზომცა სიტკბოებასა მომდინარეობ, ჩვენ ხლებისა თქვენისა უმჯობესსა ვერა რასა შევჰსძინებთ თავთა ჩვენთა და ბრძოლისათვის მანდილნი არა ჩვენი კელი არსო.“ იპყრეს კელთა გურზნი, დაუკრეს თავნი და მიეტევნეს მოისართა მათ განრისხებულნი, და დაიწყეს ბრძოლა ესე ვითარი, რომე მხილველთა თავთა თვისთა შეაყვარებდეს. ჰხოცდეს და კმა-მაღლად ჰკმობდეს დილარისა კელმწიფებისა ქებასა. ჩვენ ზეთი იგი

მოვისვით და გულსავე ჩვენსა მოვედით. დილარ ჩვენთა მეფეთა ელაღებოდა, და უბრძანა: „ჩემსა მზესა, ნუ თუ ყმათა თქვენთაებრ გულსაცა თქვენსა შიში რა შემოვიდაო?“ გოჰარმან მოახსენა: „კელმწიფეო, შიშისათვის არა ვიურვი; ნეტარ, თუმცა მზისა ქალაქისა გზასა დავაჰსდგებოდეთო(!)“ მაშინ ნუშრევან ჰრქვა გოჰარს: „ძმაო, მაგა კელმწიფესა რასა თვალს უგებ, რომელმანცა სიყვარული ყოვლად არა უწყის, გვალე, ძმათა ჩვენთა შემწე ვექმნეთ, რათა ჯაბნობითა მათითა არა დაიხოცნენო.“ ესე რა ნუშრევანმან ჰსთქვა, ყოველთავე ერთბამად მივმართეთ ბრძოლასა მას დილარისა მოყმეთასა, და ზედა ინათლა. წინა მოგვეგება მარსი და ყოველნი მოყმენი დილარისანი, მოგვილოცეს გამარჯვება და მოახსენეს მეფეთა ჩვენთა: „უფალნო ჩვენნო, შრომასა ნურღა მიიღებთ, აჰა, მბრძოლნი იგი მოისარნი, მკუდარნი ქვე მიწასა ზედა მდებარეობენო.“ ოდეს მივხედეთ, ვიხილეთ, რომე იგი ვარსკულავთა მიჰმსგავსებულნი სიმრავლითა მეომარნი სრულად დაეხოცათ; ქება დიდი შევასხით, ვითაცა ჰშვენოდათ. ერთსა კიდესა ნაომრისასა შეუქციეთ და დავსდეგით, შევისვენეთ და პურსა შევექეცით; რასაღა ვაგრძელებდე, სამი დღე მუნ დავჰყავით მხიარულებითა და შემდგომად ავიყარენით. ვიარეთ ვითარ კვრა ერთი და გრძნეულთაგანი არღა სადა შემოგვხვდნენ. ერთსა დილასა მივიდოდით გულ-დებულად, კეთილი მზიანი დღე იყო და რა მცირე წავიარეთ,

აქა ოთხთა დიდთა და საშინელთა ვეშაპთა მოსვლა საშინელთა მეეტლეთა ზედა მსხდომთა და უჭამრავთა მესავგირეთა თანა მოყოლა, მათგან სასტიკისა ქმნა და ჩვენ ყოველთავე დიდად შეშინება და განკვირვება მათგან საუგორისა დაბერგასა ზედა.

მოვიდნენ ოთხნი საშინელნი ვეშაპნი, უდიდესთა მეეტლეთა ზედა მსხდომნი, რომელთაცა მრავალნი მესაყვირენი კაცნი

თანა მოჰსდევდნენ, პირითა ზღვისსა ჰმსგავსსა ცეცხლსა ადენ-დეს. რა ჩვენზედა ახლოს მოვიდნენ, ოთხნი იგი ვეშაპნი ოთხსავე კიდესა მოგვადგეს, პირთაგან გამომდინარე ცეცხლისა იგი ზღვა ჰაერთად აღადინეს და, თუ ვჰსთქვა, ვიდრე მზედმდე აღუწიეს და იწყეს ვეშაპთა მათ სასტიკითა კმითა წივილი და მათ მესაყვირეთა დაჰბერეს საყვრთა თვისთა და ესრეთი შესაძრწუნებელი კმიანობა შეიქმნა, რომე ყოველი კიდე ქვეყანისა შეიძრა, კლდენი ჰსქდებოდეს და თვისთა ადგილთაგან აღიფხვრებოდეს, ცა ქვე დაწევითა ქვეყანასა დაუახლოვდა და ჰგვანდა, თავსა დაგვეცემოდა, მზე გარდამოვარდა და ქვეყანასა ცეცხლი ეკიდებოდა. მაშინ ყოველთავე ქვეყანისა აღსასრული გვეგონა, თვალნი დაგვიშტერდეს, ენა დაგვება და შიში ალმა-დალმა გვახლტუნებდა, წაგვიხდა სიცოცხლისა იმედი, ვონებასა ჳსისა ეჯითა შორად გავსცილდით და, ვითა კრულთებულნი, ეგრეთ ვბორგვიდით; დილარ ვითა ნადიმსა მჯდომი, ეგრე იცინოდა და მხიარული მათ შეჰყურებდა. რა ჩვენისა სიცოცხლისაგან უიმედო შეიქმნა, მსწრაფლად მიიჰრა ნუშრევანს და გოჰარსა თანა, იგი წამალი მყინუართა მეფისა მოჰსცხო; სპასალარსა და ყმათა მისთა თვით მოეცხოთ და მტკიცედ ჰსდგეს. რა დილარ მძლეველმან მარსი და მოყმენი თვისნი შეუშინებელად იხილნა, შეჰსძახა: „ძმანო ჩემნო, მივედით და წამალი ყოველთავე მოჰსცხეთო.“ მათ, ვითარცა მფრინველთა ფრთოვანთა, ეგრე მსწრაფლად დაგვიარეს და ზეთი იგი ყოველთავე მოგვისვეს, განგვამხნო დილარმან ტკბილითა სიტყვითა და მოვეგენით გონებასა ჩვენსა. მაშინ შეჰსძახა ყმათა კაცითა დილარმან და მიჰმართა ვეშაპთა მათ, მუნით იგინიცა მოეგებნეს და ცეცხლისა მდინარე პირის-პირ დილარისა მოუშვეს, დილარ მას ცეცხლსა არა მოერიდა, მიუხდა განმზადებული, ჰკრა გურზი და, მზემან თქვენმან, ვეშაპი და იგი უზომო მკაცი ორივე ერთად მოჰკლა; მიუხდა მეორესა, ჰკრა უძლიერესად და იგიცა მოჰკლა; მესამე კერძო მიუხდა სპასალარი მარსი მას მესამესა ვეშაპსა,

ჰკრა თავსა ზედა გურზი და მან იგი მოჰკლა; მას მეოთხესა ვეშაპსა იქით დილარ მიუხდა და აქეთ მარსი, ორნივე ერთსა ვეშაპსა ზედა შეიყარნეს, უბრძანა დილარმან: „სპასალარო ჩემო, ვეშაპი მე და მკეცი შენაო.“ ესე რა ჰრქუა, ორნივე ფიცხლად წარვიდნენ, დილარმან წინა უსწრო, ესრეთ ძლიერად ჰსცა გურზი ვეშაპსა, რომე იგი და მკეცი მისი ორივე მიწასა ზედა დანაყა, ზედა მარსიცა მივიდა, დილარმან უბრძანა: „შემინდევ სპასალარო, გურზმან ჩემმან არღა გითავაზა და ამისთვის ნუ შეჰსწყინდებიო.“ მივიდა სპასალარი, ორსავე ხელს აკოცა და გამარჯვება მიულოცა. რა იგი ვეშაპნი დაიხოცნეს, ვიხილეთ, რომე ყოველივე თვის თვისსა წესსა ჰსდგეს: ცაცა და ქვეყანაცა, მზეცა და ჰაერიცა. მაშინ კვლა შეჰსძახა დილარმან თვისთა მოყმეთა, ვითა: „ძმანო ჩემნო, ეგერა, მესაყვირეთა ბრძოლასა შეექეცითო.“

აქა დილარისა ათასთა მოყმეთაგან მათ მესაყვირეთა ზედა ბრძოლა ძლიერი და გამარჯვება.

მაშინ დილარისა მოყმეთა შეუტივეს მათ მესაყვირეთა. თურე, იგინიცა დიდად ჰრჩეულნი მეომარნი იყვნეს. ოთხსა ჟამსა ესრეთ ძლიერად იბრძოლეს, რომე უკეთესობა არღა ეგებოდა, გარნა დილარისანი დაამაყდეს მათზედა და ესრეთ გაჰსწყვიტეს, რომე ერთიცა ვერღა გარდაურჩათ. შეიქმნა ჩვენ შორის მხიარულება დიდი, მით რომე სოფლისა ალყასრულსა განვერენით. მოვიდნენ დილარისა მოყმენი, მოულოცეს გამარჯვება და ვსხედით ყოველნი შესვენებად, იწყეს მეფეთა ჩვენთა სიცილი და ეგზომ იცინეს, რომე ცრემლი დახუსტდეს და უმეტეს გოჰარ იცინოდა და იტყოდა: „ღმერთო, არღა მეგონა, თუ ცა ქვეყანასა არად დაეცემოდეს და ანუ კვლა ერთი-ერთსა ვნახავდითო-და.“ ნუშირევანს თვისი მოუბარი ენა მეტისა სიცილითა ვერღა უხმარა, მგორვიდა და სი-

ცილით ცრემლთა ადენდა; რა მეტისა სიცილითა გული მოიოხეს, უბრძანა დილარმან გოჰარს: „მზესა ჩემსა, რასა ყოფასა იყავო?“ გოჰარმან მოახსენა: „მზემან შენმან, არა ვიცოდი, რასა ვიქმოდი, გონება გამცლოდა და თვალნი გამსტერებოდეს და უსრეთ შემცვლოდა გონება, რომე ცასა კელს ვაშველებდი, თავს არა დამცემოდა; მისებრი დღე ღმერთმან ნურღა მაჩვენოსო.“ ნუშრევანცა მასვე ემოწმებოდა, და იტყოდა: „საყვარელო ძმაო, მისებრი დღე რაღა იქმნების, ცისა დაქცევასა შევესწარით, მზე გარდამოვარდა, მთოვარე და ვარსკვლავნი ქვე დაეცნეს, ქვეყანასა ცეცხლი ეკიდებოდა და მთანი იფხვრებოდეს, მეტისა ხილვა ცოცხალთა რისაღა შეგვხვდებისო.“ სამი დღე მუნ დავჰყავით ლხინითა და შექცევითა, მეოთხესა დღესა ავიყარენით და მივხვდით ქვეყანათა და ქალაქთა ზედი-ზედ მოკიდებულთა და ტურფაგვარად ნაშენთა. ვიდოდით ვითარ ერთი სწორი, შესვენებულნი გრძნეულთა საქმეთაგან. დღესა ერთსა მიმავალნი მიხუმრობდეს გზასა ზედა დილარ და მეფენი ჩვენნი; კეთილ ჰაერიანი და მზიანი დღე იყო და სიარულსა შინა უბნობით შეექცეოდეს.

აქა დილარ მძლეველსა, გზასა ზედა მიმავალსა, შემოხვდენ მრავალნი შავნი ჯინდონი, სპილოთა ზედა მსხდომნი, რომელთაცა შუბნი კელთა ეპყრათ და მზიანსა დღესა შინა ჰყვეს გრძნებითა ყინვა და თოვლი.

მოვიდნენ მრავალნი და რიცხვ შეუგებელნი შავნი ჯინდონი, სპილოთა ზედა მსხდომნი, პირ-ბასრნი შუბნი კელთა ეპყრნეს, და ოდეს ჩვენ მიმავალნი გვიხილეს, ერთად შეჰკრბნენ და დაიწყეს ცუდითა რითმე ჴმითა ყვირილი და კბილთა ჩენა. მათსა ყვირილსა ზედა მყისად შეიქმნა ღრუბელი და დაჰფარა მზისა ნათელი, ბნელმან მოიცვა ქვეყანა და იქმნა სასტიკი ყინვა და იწყო თოვა, მცირესა ოდენ ჟამსა ესოდე-

ნი თოვლი დაჰსდვა, რომე ყოველნივე დაგვფარნა, ცხენი და კაცი, და ყინვამან სიკუდილსა დაგვაახლოვა კნინღა; იყო სამარედ ჩვენდა თოვლი; დილარ, მოყვასთა იგი ნუგეში, მომგონებელ, თურე, იქმნა მყინვართა მეფისა მიერ მოცემულისა ბალახისა, რომლისა ყოველთავე თვის-თვისად მცირედ მახალაკთა შინა გვაქვნდა დაკრძალული; დილარს მყისად ამოეღო წამალი იგი, კვესითა ცეცხლი შეექმნა და ბალახი იგი დაეკვამლებინა, დილარისა მიდამოსა თოვლი და ყინელი განქარვებულიყო მის წამლისა ძალითა და ჩვენ კერძო ეწყო სიაროული მით კმეულითა ბალახითა და კვამლი იგი აქარვებდა სასტიკსა მას ყინელსა და თოვლსა; ყოველთავე თვითოეულად დაგვიარა, ბალახი იგი ამოიღო მახალაკთაგან ჩვენთა, მოუკიდა ცეცხლი, მოგვცა კელთა და ეგრე კვამლებითა განჰქრა ყოველი იგი ყინელი და თოვლი, და შეიქმნა იგივე კეთილი მზიანი დღე. მაშინ შემოგვიტიეს მათ ჰინდოთა და შევექმენით ბრძოლა ძლიერი. გვიყივლა დილარმან: „ჩემსა მზესა, ერთსაცა ცოცხალსა ნუ გარდაარჩენთო.“ ვიბრძოლეთ განრისხებულთა ვითარ ხუთი ჟამი და ესრეთ დავხოცეთ, რომე ერთიცა ცოცხალი არღა მოგვირჩა. გვიკვირდა მის გრძნეულისა ქვეყანისა ერთა სიმრავლე, და ვიდოდით კეთილ ჰაერიანსა მას ქვეყანასა. რა სამი დღე ვიარეთ, შევხვდით წყალსა რასმე შვენიერსა და ველსა ტურფასა, მუნ გარდავხედით და პურსა შევექცეოდით.

აქა მრავალ კაცთა, დაჭურვილთა რაზმთა მომავალთა, ხილვა დილარისა და მასთანა მყოფთაგან.

რა წყალსა მას გაღმით მივხედეთ, ვიხილეთ, ეგზომი დაჭურვილი ლაშქარი მოვიდოდა, რაზმად და რაზმად დაწყობილი, მრავალ გვარითა სხვა-და-სხვა ფერითა ალმებითა და სამეფოსა წესითა, რომე ეგეოდენი სიმრავლე ლაშქრისა ჯერეთ

მას ქვეყანასა არა გვეხილვა. დაგვიკვრდა სიმრავლე იგი მათი, და ჰსთქვა დილარმან — „თავმან ჩემმან, დიდი ვინმე მეფე ყოფილა ქვეყანისა ამის, რომელსაცა ესეოდენი სიმრავლე ერთა ჰყოლია, და ესე ბრალი არს, რომე გრძნებისა საცთურითა დამბრმალანო.“ ესე რა ჰბრძანა დილარ მძლეველმან, მოვიდა იგი სიმრავლე რაზმებითა და, სადა ჩვენ ვიყვენით, პირის-პირ ჩვენსა წყალსა იმიერ გარდახდეს, გამართეს სამეფო სარა-ფარდანი და დაჰსცეს ჩადრ-კარავნი მრავალნი სხვა-და-სხვა ფერთა ოქროვანთა ლართაგან. ვუჭვრეტდით დაბანაკებასა მათსა და მოგვეჰსწონდაცა წეს-დებულება იგი მათი. რა ყოველივე განაწყვეს და თვს-თვსთა კარავთა განისვენეს,

აქა გრძნეულთა ქვეყანისა გარშარაბ მეფისა ორთა დიდებულთა ვაზირთა მოსვლა მოციქულად წინაშე დილარ ძლეველისა სავედრებელად და ყოველთა ჰამბავთა თვისთა სიმართლით განსაცხადებლად და მოსახსენებლად.

Მაშინ მათ ლაშქართაგან ორნი ვინმე კაცნი წამოვიდნენ, წყალსა გამოვიდნენ, ცხენით გარდახდეს და მოვიდეს, სადა დილარ და მეფენი ჩვენნი ჰსხდეს, ქვე მიწასა დაჰსცვივდეს და ეგრეთ თაყვანი-ჰსცეს. უბრძანა დილარმან: „ოე, ეშმაკისა სადგურნო, ვინ ხართ, და ანუ რასა საქმესა მავალნიო?“ მათ კვლა თაყვანი-ჰსცეს და მოახსენეს: „პატრონო, ჩვენ ამა გრძნეულთა ქვეყანისა გარშარაბ მეფისა ყმანი გახლავართ და ვაზირობისა პატივითა ვემსახურებით. ვითა წესია ერთგულთა, ყოველთა დღეთა ვურჩევდით და მოვახსენებდით გრძნებათა ზედა კელის აღებასა და შევაგონებდითცა ესრეთ, ვითა: „მეფეო, ხარ ძლიერი და დიდებული მეფე, დიდი არს საბრძანებელი ესე თქვენი და ქვეყანა კეთილობითა სავსე გიპყრია, მოშალე სამეფოსა ამას შენსა გრძნეულთა ხელოვნება, მით

რომე არა ჰშვენის დიდებულსა მეფობასა შენსა საქმენი ბო-
როტისანი, ნუ აბრმობ ერთა შენთა გრძნებისა სიბილწითა,
ისმინე ჩვენი და შეუდეგ სიმართლესა, თვარა, გამოვა შენსა-
ვე ჟამსა შინა კელმწიფე ვინმე ძლიერი, კეთილსა ამას ქვე-
ყანასა აღაოხრებს და ესეოდენსა სიმრავლესა ერთასა გაჰწ-
წყვეტს და თავსა სინანული შეგიდგებს." ძლიერო კელმწი-
ფეო, ჩვენ რა ესე ვითარად მოვახსენებდით; სხვანი ვაზირნი
და მრჩეველნი დაშლიდენ და მოახსენებდენ: „მეფეო, ჩვენთა
წინაპართა ყოველთავე კელოვნებითა ამით უსარგებლიათ და
არა ვნებიათ-რა, და აწ რაჲსათვის მოიშალოს ესე მრავალ-
გვარი კელოვნება და რა საქმნელი არის." ჩვენ კვალა მასვე
სიტყვასა მოვახსენებდით და მასზედ ვეგენით; რომლისათვის
შეგვრისხა მეფემან, შეგვაპყრობინა და ციხესა შინა შეგვსხა,
ათ-ხუთმეტი წელი პყრობილად ვიყვენით და ესე სამი ოდენ
კვირა იქმნების, რა ინება საპყრობილით გამოყვანება ჩვენი,
და გვიბრძანა: „რასაცა მირჩევდით, მართალი ყოფილა და შე-
ცთომილი ბოროტთა კაცთაგან არა ვისმენდი თქვენსა; აწ,
ჟამსა ამას შემოვიდა ქვეყანასა ჩვენსა კელმწიფე იგი დიდად
მძლეველი, მპყრობელი დიდისა და სრულისა აბაშეთისა და
თანა ახლავს სახელოვანისა მის მყინვართა მეფის ძე ნუშრე-
ვან და დიდისა პოლონთა ქვეყანისა მეფე გოპარ, სხვა მოყმე-
ნი ჭაბუკნი და ძლიერნი მეომარნი, ყოველი ქვეყანა ჩემი
აღაოხრეს და ერნი ამომიწყვიტეს, რაჲცა გრძნეულნი და მე-
თილისმენი იყვნეს, ერთიცა არღა გარდამირჩინეს; აწ ესე პი-
რი დავასკვენ, რომე რაცა მართალნი და გრძნეულებისა მო-
უხედავნი ერნი დამრჩომიან, მათითურთ გულად შევება და მეცა ქვე-
ყნისა ჩემისა ოხრებასა თანა მოვჰკუდეო." ჩვენ რა მეფისა
ჩვენისაგან ესე ვითარი ბრძანება მოვისმინეთ, გული დაგვეწვა,
ავსტირდით და მოვახსენეთ: „დიდო მეფეო, თქვენითა სიკუ-
დილითა მომკუდართა ერთა მილიონებთა ვერღა განაცოც-
ხლებთ, აწცა თუ მართალსა პირსა გვიბოძებთ, ჩვენ მივალთ
დიდებულსა მას კელმწიფესა და მოძმეთა მისთა თანა, გვე-

დრებთ და მოვახსენებთ, რათა იკმაონ ესეოდენთა ერთა სისხლთა დაღვრაჲ, მით რომე იგიცა კაცი არს და კელმწიფისა გული მოწყალე იქმნებისო.“ რა მეფემან ჩვენმან ჩვენგან ესე ვითარნი სიტყვანი მოისმინა, ჰფიცა ფიცითა საშინელითა ესრეთ, რომე: „უკეთუ თქვენ მის კელმწიფისა გულსა მოაქცევთ, ვიდრე ქვეყანა ეგოს და მზე ცით კმელთა და ზღვათა ანათობდეს, ჩემსა საბრძანებელსა შინა გრძნეულნი არღაიპოებოდეს და არცაღა მოქმედებანი მათნი იხსენებოდენო.“ ჩვენ ფიცსა მათსა ვერწმუნენით და ამა საქმესა ზედა თანავიახელით; აწე, კელმწიფეო, მოსრულ არს მეფე იგი თვისითა მართალთა ერთა დასებითა, რომელნიცა, იცის ღმერთმან, რომე დღეთა თვისთა გრძნეულთა საქმეთა შინა არა გარეულან. უკეთუ მოხსენებასა ჩვენსა ირწმუნებთ, კეთილ, და უკეთუ არა, ერთ-პირ შემოგებმით და გაწყვეტასა რა წინაუდგასო.“

ოდეს დილარ მძლეველმან მათ ვაზირთაგან ეგე ვითარნი სიტყვანი მოისმინა, ნუშრევანს და გოჰარს შეჰხედა და დიდადაც გვიამა ყოველთავე ერთობით. დილარ მძლეველი მცირედ დაფიქრდა, და შემდგომად უბრძანა მათ ვაზირთა: „ძმანო ჩემნო, კეთილსა კაცსა ჰგავხართ და სიტყვათაცა კეთილთა იტყვით, გარნა მინდობა თქვენი დიდად საეჭო არს, მით რომე საქმე თქვენი ცთუნება და გრძნება არსო.“ მათ ვაზირთა ტირილი დაიწყეს და ჰსთქვეს:

შ ა ი რ ი.

კაცისა ცრუსა მყოფობა, ჰსჯობს, ზღუამან შთაიძიროსა,
მით რომე ცრუობს, გიმუხთლებს, ქვე ჰზის, თუ გზასა იროსა,
სარგოდ ესე აქვს მართალსა, რაზომცა დაეჭიროსა,
არავინ უსმენს, მიწასა თავიც შთაიქვითკიროსა!

ცე, კელმწიფეო, მართალსა ჰბრძანებთ, ეგე ვითარნი მოქმედებანი დაგხვდებოდეს გზათა ზედა, რომე ჩვენგან სიმართლით მოხსენებასა არა ირწმუნებთ, გარნა ღმერთსა ცისასა მიენდვენით, რომელსაცა ყოველივე სიბრძნითა თვისითა დაუბადებიან, რომე ყოველსავე სიმართლით მოგახსენებთ და გულთა შინა ჩვენთა ზაკვა არა არსო, ვითარცა ჰბრძანებთ, მეფე ჩვენი ერითა თვისითა თავსა გარწმუნებსთო." მათსა მოხსენებასა ზედა დილარმან უბრძანა მათ ვაზირთა: „ძმანო ჩემნო, მცირე ჟამ იქით შეიცადეთ და პასუხს გეტყვითო." მათ თაყვანი-ჰსცეს, შორე გაჰსდგეს და პასუხსა ელოდეს.

აქა დილარ მძლეველისა, ნუშრევანისა და გოჰარისაგან ჭრჭევა და თათბირი გრძნეულთა ქვეყანის გარშარაბ მეფის შეყრისა და მისლობისათვის და გოჰარ მეფისა წარსვლა გარშარაბ მეფისა სახილველად.

იწყო დილარ მძლეველმან თვისთა საყვარელთა ძმათა თანა უბნობა, თუ რომლისა სახითა ჰნდობოდენ მას გრძნეულთა მეფესა გარშარაბს; მაშინ მეფემან პოლანთამან გოჰარ მოახსენა დილარს, ვითა: „კელმწიფეო, მე მივინდო საქმე ესე ქედსა ჩემსა; ნეტარ, თუმცა გზა მოგვცენ, რათა შევიდეთ მზისა ქალაქისა ქვეყანასა, თვარა, ჯერა ვჰრიდეშ მეფისა მის ხილვასა; მივიდე და ველაპარაკო, თუ რა ჰსწადს, და ანუ რად გვიჰერს გზასა, გამოვჰსცადო გული მისი, უკეთუ სრულად მოქცეულ არს და მივენდობი მე; მაშინ თქვენ რაღა გაყენებსთ, და, უკეთუ ჩემზედა გრძნება იხმარონ, მაშინ თქვენგან ველი შეწევნასაო." დილარს სიტყვა იგი გოჰარისა დიდად იამა, მიჰყო კელი, პირსა აკოცა და ჰრქუა: „საყვარელო ძმაო ჩემო, რაცა გრძნებანი წინარე გზათა შეგვიმზადეს, ას-გზის უმეტესი შეგვიმზადონ და ეკელოვნონ, თავსა შენსა ვერა წამართმევენო." დაასკვნეს ესე პირი და მოუწოდეს გარშარაბ მეფისა ვაზირთა. იგინი მოვიდნენ და დაჰსდგნენ წინაშე კელ-მოჰდობილნი. უბრძანა დილარმან: „თქვენ, მა-

მულისა და მეფისა თქვენისა ერთგულნო, ესე საყვარელი ძმა ჩემი და დიდისა პოლანთა ქვეყანისა მეფე გოჰარ წამოგვყვებისთ მეფესა თქვენსა თანა, ამათის მეფობის დიდებულებასა არწმუნოს მან და ერმან მისმან მოქცევაჲ სიბოროტისა მის დიდისაგან და, უკეთუ კვლა ხრიკსა რასამე ხართ, თავთა თქვენთაავნებთ და ჩვენ არა რაჲ გვეზიანებისო.“ რა ვაზირთა მათ ბრძანება დილარისა ისმინეს, ესრეთ შეიქმნეს, რომე სიცოცხლე გაახლებულს დაემსგავსნეს; თაყვანი-ჰსცეს და მათსა წინაშე მიწასა აკოცეს და მოახსენეს: „დღეგრძელდინ დილარ მძლეველი, რომელი დაიხსნის ცოდსა ამას ერსა საკუდილისა და ეშმაკთა მონებისაგანაო.“ ესე მოახსენეს, გაბრუნდნენ, წავიდნენ და გაჰყვა პოლანთა მეფე გოჰარ ყმითა თვისითა. მათ ვაზირთაგანი ერთი წინარე წარვიდა საცნობელად მეფისა თვისისა და მითხრობად სახარულევანისა მის ჰამბისა. რა ვაზირი იგი მივიდა და მოახსენა მოწყალებითი იგი მიხედვა დილარ მძლევეელისაგან და გაგზავნა დიდისა მეფისა გოჰარისა, დიდსა მხიარულებასა, თურე, მიცემოდა, აღმდგარიყო თვით და ყოველნი ყმანი მისნი მისთანა, ყელსა კმალი ჩამოიკიდეს და ეგრე ქვეითნი წინა მოეგებნეს; რა ახლოს გოჰარისა მოვიდნენ, ერთობილთა თაყვანი-ჰსცეს; აქეთ გოჰარცა გარდახდა, წინა მიეგება; მოვიდა მეფე გარშარაბ და გოჰარისა მუხლისა კოცნასა ჰლამოდა, გოჰარმან კელი გამოართვა და ერთმანერთს პირსა აკოცეს, სიყვარულით მოიკითხეს და კელით კელსა მოეკიდნეს და მათსა სადგურსა მივიდნენ. თუმცა საომრად წამოსულიყო მეფე იგი, გარნა დიდება ეტყობოდა.

აქ პოლანსით მეფისა გოჰარის მისვლა ქრისტიანეთა ქვეყანის მეფისა გარშარაბისა მოპატიჟებით მისა და გარშარაბ მეფისაგან სისხლის საჭმელთა მოხსნება წინაშე გოჰარ პოლანსით მეფისა.

ძვირფასისა, მრთელისა ზურმუხტისა ტახტი დაედგა, ოქ-

ბუნდისა გვირგვინი ტახტსა ზედა ედვა და სრულისა თლილისა ბრილიანტისა სკიპტრაჲ მასზედა მიეყრდნო. რა კარავსა შევიდნენ, მას ტახტსა ზედა მეფე გოჰარ აწვია და თვით კელითა თვისითა აღიყვანა და დასვა, იგი ტახტი, გვირგვინი და სკიპტრა და სამეფონი ნიშანნი ყოველნივე მას შეჰსძლვნა და თვთ ოქროსა ხელითა წინაშე მისსა დაჰსჯდა და მოახსენა: „მეფეო, მე ჩემთა სიბოროტეთა და ეშმაკთა მიყოლისა ნაცვალი ღმერთმან მომაგო, რასაცა ჩემნი ერთგულნი ვაზირნი მირჩევდეს, მათ არა უჯერებდი კეთილსა და, რომელსაცა ქვეყანისა ჩემისა აღმაოხრებელნი მომახსენებდენ, მათ უსმენდი სიბოროტეთა, და ქვეყანა ჩემი მათისა მიყოლითა ესრეთ აღვაოხრე; აწ, მეფეო დიდო, ჰხედავს ყოველთა მხედველი თვალი, რომე ვჰსწუხვარ და ვინანი სიბოროტეთა ჩემთა; თქვენ გევედრებით, ვითაცა გნებავსთ, მაფიცოთ და ირწმუნოთ, რომე დღეთა შინა ჩემთა მე გრძნეულთა საქმე არღა მოვიგონო და საძულველცა ჩემდა იყოს იგი."

აქა გრძნეულთა ქვეყანისა მეფის გარშარაბისაგან მოთქმა და გოდება თვისთა საქმეთა ზედა და ერისაცა მისისა მასთანავე ტირილი.

ამას რა იტყოდა მეფე იგი გარშარაბ, ჰსტიროდა და ყოველნი ერნი მისნი მისთანავე ჰლვრიდენ ცრემლთა ცხელთა და ჰქონდათ გოდებაჲ; ჰკმობდა მეფე იგი და იტყოდა საბრალოსა სულთქმითა: „ჰი, უბედურო გარშარაბ, ეშმაკთა მიყოლითა თავისა შენისა დამცემო და ქვეყანისა შენისა აღმაოხრებელო, აწ სადა არიან ბოროტნი იგი მრჩეველნი, რომელნი დაგარწმუნებდეს, ვითა: „მეფობა შენი გრძნეულებითა ამით საუკუნეთადმდე დაუსრულებელად დადგინებულ იქმნებისო. მათ უსმენდი და კეთილნი გვამნი პყრობილად გყვანდენ, მართალთა კაცთა ჰსძულობდი და ეშმაკეულთა წინაშე შენსა პატივი ჰქონდათ, მართალმან კელმან საქმეთა შენთა-

ქბრ ღირსად დაგსაჯა; ბედ-შაო გარშარაბ, გრცხვენოდეს ერთგულთა შენთა განძებისათვს; ბოროტო გარშარაბ, რად ვერა ჰხედვიდი, რომელნიცა წარმატებისა შენისათვის სიცოცხლესა შეჰსწირვიდეს. ვაჲ შენდა, გარშარაბ, შეიკდიმე! ვაჲ შენდა, გარშარაბ, რომე დიდნი მეფენი შენისა სიბოროტისათვის სიმართლესაცა არღა გისმენენ! ვაჲ შენდა, გარშარაბ, მოეგე გონებასა! ვაჲ შენდა, გარშარაბ, აღჰსდეგ! ვაჲ შენდა, გარშარაბ, მოიძიენ! ვაჲ შენდა, გარშარაბ, ჰპოენ იგინი! ვაჲ შენდა, გარშარაბ, რომელნიცა შენთვის უტკბილეს თაფლისა სიტყვათა ადენდეს, იგინი განიშორენ! ვაჲ შენდა, გარშარაბ, კეთილთაგან ცალიერ-ქმნილო! ვაჲ შენდა, გარშარაბ, საცთურიანთა საქმეთა ჰურო! ვაჲ შენდა, გარშარაბ, მზაკვარებისა ფრეო! ვაჲ შენდა, გარშარაბ, სიცრუისა მთხრებლო! ვაჲ შენდა, გარშარაბ, დაუდგრომელობისა ეტლის თვალო! ვაჲ შენდა, გარშარაბ, საცთურისა ბადეო! ვაჲ შენდა, გარშარაბ, ულმობელობისა გოდოლო! ვაჲ შენდა, გარშარაბ, მრისხანებისა ზღვაო! ვაჲ შენდა, გარშარაბ, ეშმაკთა სადგურო! ვაჲ შენდა, გარშარაბ, გრძნეულობითა ვიდრე უფსკრულადმდე შთაძირულო! ვაჲ შენდა, გარშარაბ, სიბილწისა უყეო; ვაჲ შენდა, გარშარაბ, ვეცხლის მოყვარებითა მამონაო! ვაჲ შენდა, გარშარაბ, ფლიდთა კაცთა სავანეო!“ ამას და ესე ვითარსა მოჰსთქმიდა სიტყვითა ესდენ საბრალოდ, რომე თვით გოჰარ და ყმანიცა მისნი ჰსტიროდეს. შემდგომად მოჰხედა გოჰარს და მოახსენა: „მეფეო, მე თავისა ჩემისათვის არა რასა გენუკვი, მით რომე სიკვდილი ჩემი სამართალ არს, გარნა ყმანი ესე ჩემნი გებრალებოდენ, სიბოროტესა ჩემსა ნუ მიხედავთ, ღმერთისა ცისასა ენდვენით, რომ ყმათა ამათ ჩემთა, დღეთა შინა თვისთა, გრძნეულებისათვის არა მიუხედავსთ, ესენი გრძნეულთა ჰსძულობდეს და რისხვა ჩემი ამათზედა ამის გამო მრავალ იყო, გარნა, ვერცა რისხვითა და ვერცა ტანჯვითა, ვერა მოვიზიდე გრძნეულებათა ზედა; და აწ, მეფეო, სისხლიამა უბრალოთა და მართალთა ერთანი დაჰსცევით და ნაცვ-

ლად ამათსა დაღვარეთ სისხლი ჩემი; ვითარითაცა სიკვდილითა მოვკუდები, ღირს ვარ მე, მით რომე უმეტეს ორისა ათასისა ბევრისა ყმანი ჩემნი, შემოსლვითა თქვენითა აღჰსწყვედილან და სისხლი მათი კელთაგან ჩემთა გამოიძიების და მუნ დაუსრულებელსა სასჯელსა, უმჯობეს ჩემდა არს, რათა ამას მოკლესა საწუთოსა გარდამხდეს და მუნ არღა მეკითხოს და აქავე მივიღო დასჯაო." რა ესე ვითარნი განმამწარებელნი სიტყვანი მდუღარითა ცრემლითა მეფემან გარშარაბ წარმოსთქვნა და ყმანიცა მისნი მასთანავე ჰგოდებდეს, გოჰარ პოლანთა მეფე მწუხარებითა მათითა, ვითარცა საკმილი, აღენთო, აღჰსდგა ტახტსა ზედა, სამეფო გვირგვინი თავსა დაიდგა, სკიპტრა კელთა იპყრა, პორფირი მოისხა და დაიწყო კმამაღლად უბნობა ესრეთ:

„ჰოი მეფეო გარშარაბ! მეფობისა პატივითა გარწმუნებთ თქვენ, რომე სიმდაბლისა მაგის და სინანულისა თქვენისათვის, რომელიცა შეგიმოსიეს, მოგიტევებსთ სიბოროტეთა თქვენთა ცათა სწორი იგი და გმირთა გმირი, კელმწიფე კელმწიფეთა და მეფე მეფეთა, აბაშეთისა მპყრობელი, დიდი დილარ მძლეველი, მოაქცევს მეფობასა შენსა შენდავე და ერნიცა შენნი მიიღებენ მისგან კეთილსა მფარველობასა და მრავალსა წყალობასა. მეფეო, წარსრულთათვის ამიერითგან ნურღა ინანი, ნურცაღა იურვი და მომავალისათვის კეთილსა შეუდეგო." რა გოჰარმან ბრძანებანი იგი დაასრულნა, მათ ყოველთავე თაყვანი-ჰსცეს და განამრავლეს კმაა მადლობისა. შემდგომად მოჰკიდა კელი გოჰარმან მეფესა გარშარაბს, აღიყვანა ტახტსა ზედა და ერთგან დაჰსხდენ, უთხრნა მრავალნი სანუგეშონი და დაარწმუნა დაცვისათვის მათისა. მაშინ მოახსენა გარშარაბ მეფემან გოჰარს, ვითა: „მეფეო, ვიცი, გარჯილნი ხართ, სიბოროტითა ჩემითა მრავალთა დღეთა და ურიცხვნი განსადიდებელნი ბრძოლანი გარდაგიხდიათ; უკეთუ ინებებს მეფობა შენი, გვაახელ დილარ, მძლეველსა თაყვანი-ვჰსცეთ და პური დაუგოთო." პოლანთა მეფემან გოჰარმანცა ნება-ჰსცა. აღჰს-

დგნენ და გაემართნენ. თვით მეფემან გარშარაბ და ყმათა-
მისთა თავსა შავნი მანდილნი დაიბურეს და ესრეთ მოვიდო-
დოდეს, სადა დილარ და ნუშრევან ჰსხდეს.

აქა ჰოლანთა მეფისა გოჰარისაგან წინაშე დილარ მძლეველისა მოყვანა-გრძნეულთა ქვეყანისა მეფისა გარშარაბისა და შერიგება მათი.

პირველად წინარე მოვიდა გოჰარ ჰოლანთა მეფე, იახლო-
დილარს და მოახსენა, ვითარითაცა სრულითა გულითა მო-
ქცეულიყო მეფე იგი გარშარაბ და ანუ ვითარცა გაევლო-
საქმესა, და ესრეთ უბნობდა გოჰარ, რომე თვითვე ცრემლე-
ოდა უბნობასა შინა და გალანამცა დილარ უმეტესად მწუხა-
რებდა ეგეოდენთა ერთა გაწყვეტისა და გარშარაბის გოდები-
სათვის. უბრძანა ნუშრევანს: „მიველ, ძმაო, და მეფესა მას
მანდილი მოხსენ," და ჩვენცა ყოველთა გვიბრძანა სპათა მათ
მანდილთა დახსნაჲ; ჩვენ ბრძანებისაებრ მივედით, დავხსენით
მანდილნი, და წინაშე დილარისა მოვიდნენ მეფე ერითურთ
და თაყვანი-ჰსცეს. უბრძანა დილარმან გარშარაბს: „სიმდაბ-
ლისა და სინანულისა შენისათვის მომიტევებია შეცოდება-
შენი და დღესითგან კეთილსა შეუდგებითო." მაშინ კვლა
ერთობით თაყვანი-ჰსცეს და წინაშე მათსა მიწას აკოცეს და
ჰფუცეს დიდისა ღმრთისა სახელითა და კელმწიფობითა მა-
თითა, რომე „დღეთა შინა ჩვენთა არა სადა გავივლოთ გულ-
თა შინა ჩვენთა გრძნეულთა საქმეთა მიხედვაო." მაშინ დი-
ლარ აღჰსდგა, მივიდა, მეფესა გარშარაბს პირსა აკოცა, კე-
ლი მოჰკიდა, მიიყვანა, გვერდსა დაისვა და უბრძანა: „მეფეო,
მომიტევე, თუ რა ქვეყანასა შენსა შევჰსცოდე და, თავმან
ჩემმან, ნაცვლად კეთილსა გარდგიხდიო." გარშარაბმან კელ-
სა აკოცა და მოახსენა: „კელმწიფეო, მე დღესითგან თქვე-
ნითა მოწყალებითა ცოცხალი ვარ და სამსახურიცა ვალი არს
ჩემი, გარნა ჟამსა ამას ამას ოდენ გევედრებით, რომე მა-

შვრალნი ხართ და ვანსა ჩემსა ინებოთ სიმდაბლით მობრძანებაჲ და პური მიირთვათო.“ დილარმან უბრძანა: „მეფეო, აწითგან ესრეთ მოვალ შენთანა, ვითა სახლსა მამა მძუძისა ჩემისასა.“ ესე რა ჰბრძანა დილარმან, წაგვიძღვა მეფე გარშარაბ და გავემართენით და მივედით; ორი ტახტი დაედგმევინა, ერთი სრულიად თლილისა ალმასისა და ერთი იაგუნდისა. მას პირველსა დილარ აწვია და მეორესა ნუშრევან და გოპარ, და სხვანი ყოველნი ოქროსა სელთა ზედა დაგვსხნა; მოიღეს პური, და ჩვენ გვიხაროდა, მით რომე მრავალთა დღეთა ახალი სანოვაგე არა მიგვეღო, თავმან თქვენმან, ესრეთი შემზადებულნი ჭამადნი მოიღეს, რომე სუნმან დაგვაძღო, და ამასთანა ჯანადა სასმელნი ტურფად გემოვანნი, ოქროსა კოკებითა და იაგუნდისა სტამნებითა. პირველად ჭამადნი და სასმელნი მეფემან გარშარაბ და ერთა მისთა მოღიან და ესრეთ წინაშე ჩვენსა დადგიან. მოახსენა მეფემან გარშარაბ დილარ მძლეველსა, ვითა: „ძლიერო ყელმწიფეო, მოცხვენიან, ღმერთმან იცის, სიბოროტისათვის ჩემისა და სამართალი არს, რათა გული თქვენი არა მენდობოდეს და ამისთვის ყოველთა უწინარეს ჭამადსა და სასმელსა ჩვენ მივირთმეთო.“ დილარმან მადლობა უბრძანა და ჰრქვა: „მეფეო, ჩვენდა ჯერ არს სირცხვილი და ურვა, რომე ეგეოდენი სიმრავლე ერთა გვავჰსწყვიტეთ, თუ არა, თქვენ კეთილისა ამის მასპინძლობისათვის რასათვის ირცხვენით.“ ჩვენ დავჰყავით კელი და, ვითა ეგზომთა დღეთა მაშვრალთა გვეერობდა, ეგრეთ შევექეცით. იგი დღე და ღამე სმასა შინა ვიყვენით და განთიად თვის-თვისად მოვისვენეთ; მეფე იგი გარშარაბ დილარს და ჩვენთა მეფეთა თვით კელითა თვისითა მსახურებდა და დიდითა სიყვარულითა ჰმონებდა. მას დღესა მწუხრადმდე ყოველთავე გულდებულად გვეძინა და მწუხრსა ზედა ყოველნივე წინაშე დილარისა შევჰკრბით, და დაიწყეს მეფეთა ლაღობა. ჰკითხა ნუშრევანმან გოპარსა, ვითა: „ძმაო, მითხარ მართალი, შენსა მზესა, ოდეს ცა დაჰსდრეკა ჩვენ ზედა და მზე

გარდამოვარდა, მაშინ, თუმცა ეხარებინა ვის გარშარაბის შერიგება, რასა სამახარობლოსა გაიღებდით?“ გოჰარმან შეხედა და ჰსთქვა: „ლაღობად ნუ ჩამამართმევთ, ესრეთ გაოცებულ ვიყავ ჟამსა მას, რომე თუ ზარ-დასაცემელსა მას შემთხვევასა განმარინებდა ვინმე და ეთხოვნა, სრულად ქვეყანასა ჩემსა მივსცემდით.“ შემდგომად დილარმან ჰკითხა ნუშრევანს, ვითა: „უკეთუ ეთქვა ვისმე, რომე საყვარელი შენი მომეც და ამა დროსა განგარინებო; ჰსთქუ სწორე, რასა იქმოდით?“ ნუშრევანმან მოახსენა: „კელმწიფეო, ეგე საქმე ეგრეცა სიკვდილი ჩემი იქმნებოდა, და ესე მოგახსენო: ვინცა მას წყეულსა დროსა მომარჩენდა, ერთსა ჰსწორსა მას ედემისა წალკოტსა უთავაზებდით.“ დილარმან გაიცინა, და უბრძანა გოჰარს: „ესე სიტყვა შენ გახსოვდესო.“ ესე ვითარად ხუმრობდეს და შეექცეოდეს იგი სიყვარულ შეერთებულნი ძმანი, და ზედა შემოვიდა მეფე გარშარაბ და მოახსენა: „კელმწიფეო და მეფენო, ინებეთ და პურსა შეექეცითო.“ აღჰსდგენ პატრონნი ჩვენნი, წარგვიძღვა გარშარაბ და შეუდეგით ჩვენცა ყმანი მათნი, მივედით სხვასა სახლსა, პური დაგებული დაგვხვდა, დავსხედით და ვიწყეთ სმა. უცხოდ რაღმე მომზადებულიყო მეფე იგი, რომე უკეთესობა არღა ეგებოდა. დავჰყავით განთიადამდე და გავიყარენით. რასაღა განვაგრძო უბნობა! ერთსა სწორსა მუნ განგვისვენა მეფემან გარშარაბ, საქებელითა და განსადიდებელითა პურობითა. შემდგომად მოახსენა დილარს, ვითა: „დაიმდაბლეთ თავნი თქვენნი და ქალაქსა მონისა თქვენისასა მობრძანდითო.“ დილარმანცა ნება დართო და უბრძანა: „მეფეო გარშარაბ, ამიერითგან შენცა ჩვენთანავე ძმა და საყვარელი ჩვენი ხართ და, ვითაცა ჰშვენის მართალსა სიყვარულსა, ეგრეცა გვხვდები და გვმასპინძლობ, და ამას ოდენ გთხოვ, რომე გვიშოვნო კაცნი მალე მსრბოლნი, რათა გავგზავნოთ ქვეყანისა შენისა სამზღვრისა დასასრულსა, სადაცა არს მდინარე დიდი და ტყე, მით რომე მუნ დავადგინე ბანაკსა ჩვენისა მაყურებელად დიდი იგი მეფე მეკობრე-

თა ქვეყანისა რაზმითა თვისითა და რავდენნიმე ყმანი ჩვენნი, მათ ვაცნობოთ ჰამბავი ჩვენი წიგნითა ჩვენითა, და შემოუძლვნენ ქვეყანასა შენსა, რათა იგინიცა ჩვენთანა იხარებდენ შენითა მაგა კეთილობითაო." რა გარშარაბ მეფესა ესმა ბრძანება დილარისა, თაყვანი-ჰსცა და მოახსენა: „კელმწიფეო, ინებეთ წიგნისა დაწერა და კაცთა აწვე განვამზადებო." დილარმან უბრძანა წიგნისა მიწერა გოჰარ მეფესა მეკობრეთა მეფესა თანა, რომელმანცა მისწერა ყოველივე თვითოეულად, რაოდენსა ადგილსა რაცა შემთხვევანი და ბრძოლანი მოგვსვლოდა, და შემდგომად გარშარაბ მეფისა შემოერთება და ლხინსა შინა ყოფნა, და მოსწრაფედ წარმოსვლა მისი მით რაზმითა თვისითა და მათ კელოვანთა ქოქონიკთა თანა მოყოლითა მით ეტიკითავე ჩვენითა. რა გოჰარმან წიგნი შეასრულა და დილარმან დაჰბეჭდა, შემოვიდა მეფე გარშარაბ და ათასნი ეგეთნი ცხენ-მალენი კაცნი მოიყვანნა, რომე მფრინველთა ედრებოდეს.

აქა დილარ მძლეველისაგან მალე მსრბოლთა კაც ზავნა მეკობრეთა მეფის დასაბარებლად, ათასთა მათ ყმათა თვისთა და ეტიკის მის მეჯარმის.

უბოძეს წიგნი კაცთა მათ და დაუედრეს მსწრაფ-მსწრაფ სიარული. იგინი წარვიდეს, და დილარმან უბრძანა გარშარაბ მეფესა, ვითა: „მეფეო, აწ თხოვისა შენისაებრ ვიდოდეთო." მასვე ჟამსა გასხდენ ცხენთა და გაემართენით; მიგვიძღოდა მეფე გარშარაბ მხიარულითა გულითა, და რა ხუთი ოდენ ჟამი ვიარეთ, დაგვხვდა წინა ქალაქი ტურფა და კეკელად შენებული, შემკობილი; შევედით და გარდავხედით სასახლესა უცხოდ რასამე შვენიერსა და კეთილისა განკარგვითა ნაშენსა. ყოველთა მის ქალაქისა ერთა ეპყრათ კელთა სანთელ-

ნი და დიდი იგი ქალაქი ძლევამპრათ. ულიდეს მის ქალაქისა ერნი ქუჩა-ქულბაქთა და ჰკმობდეს, მლალადებელნი: „დღე-გრძელდინ კელმწიფეთა ზედა კელმწიფე და მეფეთა მეფე დილარ მძლეველი, მპყრობელი აბაშეთისა, რომელმან დაგვიხსნა სიკვდილისა და გრძნეულთა სიბოროტისაგანაო.“ იგი დღე და იგი ღამე იყო მოუკლებელი სლვა და ღაღადება ეგე ვითარი. ჩვენ ვსხედით პურობასა ზედა და სამსა ოდენ დღესა დავჰყავით მუნ პურობითა და მხიარულობითა. მეოთხესა დღესა აგვყარა მუნით და წარგვიძღვა, მიგვიყვანა სხვასა უმჯობესსა ქალაქსა; სადილი მუნ დაგვიდგა და გვალხინა და ვახშმად სხვასა ქალაქსა გარდაგვახინა. ესე ვითარითა მხიარულებითა გვიძღვოდა, და ოც-და-ათი ქალაქი გაგვატარა, სავსე ურითა და გარემოებისა სიმრავლითა, და ყოველთა ქალაქთა შინა გვძღვნიდა მრავალთა ტურფათა და დიდებულად გვმასპინძლობდა. იტყოდა მეფე გარშირაპ: „დამშვენდა ერგასნი ქალაქნი, რომელნი ჯერეთ არა გინახავსთ თვის-თვისითა გარემოებითა, რომელთა შინა ჰსცხოვრებენ ყოვლითურთ მართალნი ერნიო.“ დღესა ერთსა ვიყვენით ქალაქსა შინა დიდსა და კეთილად შენებულსა, ვსხედით პურობად და ღვინოსა ვსმიდით.

აქა მოსვლა წინაშე დილარის მეკობრეთა მეფისა ზორასტანისა, ძმათა დილარისათა და ტრიკასის ჩვენისა.

მოვიდა კაცი, ვითარ „მოვიდა მეფე ზორასტან თანა მყოლითა თვისითაო.“ განმხიარულდა დილარ მძლეველი, დაუბრძანა გარშირაპ მეფესა ტახტისა მზადება, და მყისსა შინა მოიღეს ერთობილისა ზურმუხტისა და დაადგმევინა ბირის-პირ ნუშროვანისა და გომბორისა, რომელსა კაცის არშივი ჰამადი და სასმელი [illegible]. მაშინ შემოვიდა მეფე იგი მეკობრეთა, თაყვანი სცა დილარისა და ძმათა მისთა, იგი განსაღიდებული

გამარჯვება მიულოცა და ძვირფასნი სპეკალნი გარდმოაყარნა, დილარმან და მათ მეფეთა პირსა აკოცეს, მშვიდობით მოსვლა მიულოცეს და მას ტახტსა ზედა აწვიეს; მეფე გარშარაბ გაიცნეს, მათ ერთმანერთი სიყვარულით მოიკითხეს და პირს აკოცეს; უბრძანა დილარმან და ორნივე ერთად მას ახლად განმზადებულსა ტახტსა ზედა დაჰსხდნეს. მაშინღა შეიქმნა უმეტესი მხიარულება. ჟამისა სწორსა მოუშლელად პურობასა და მხიარულებასა შინა ვიყვენით, და რა ყოველთავე შეგვწყინდა, ჰბრძანა დილარმან მოშლა პურობისა და გავიყარენით. მას ღამესა განვისვენეთ. დილასა ადრე შეჰკრბნეს სამნივე მეფენი წინაშე დილარ მძლეველისა, და მოუყვა მეფე გოჰარ მეკობრეთა მეფესა ყოველსავე ჰამბავსა და ბრძოლასა, რამდენიცა გარდაგვხდა გრძნეულთა ქვეყანასა შინა. რა მეკობრეთა მეფემან ისმინა, განჰკვირდა და აქებდა გულთა და მკლავთა ძლიერებასა მათ მეფეთასა; და იტყოდა: „თავმან თქვენმან, ესრეთი შიშისა ზარი შევიდის გულსა შინა ჩემსა ამა ჰამბისა სმენითა, რომე თუმცა მათ ღონეთა დავესწრებოდი, უთუოდ შიში მომკლავდა, და აწ ვმადლობ ღმერთსა, რომელმანცა მოჰსცა გულსა თქვენსა ეგე ვითარი უშიშროება და მკლავთა თქვენთა ძლიერება, რომელმან ინება და კელითა თქვენითა დაიხსნა ყოველი ქვეყანა გრძნეულთა სიბოროტისაგანაო.“ ამას და ესე ვითარსა რა იტყოდეს, შემოვიდა მეფე იგი გრძნეულთა გარშარაბ და მოახსენა დილარ მძლეველსა: „უდიდებულესო და უძლიერესო კელმწიფეო, ამიერითგან მოწყალებითა თქვენითა მიეცა ქვეყანასა ჩემსა მშვიდობითი მყუდროება, და ჟამი არს, რათა ლხინსა თავსა მოვჰსცეთო.“ მის მეფისა მოახსენებასა ზედა, აღჰსდგა დილარ მძლეველი, და მივედით ყოველნივე სხვასა სახლსა პურსა ზედა. სანოვაგეთა უკეთესობა არღა იქმნებოდა, ვითარსაცა მეფე გარშარაბ შეგვიმზადებდა, და კვლა დავჰყავით კვირა ერთი მხიარულებასა და სმასა შინა.

აქა დილარ მძლეველისაგან გამოცხადება გარშარაბ მეფესა თანა საქმისა თვისისა მზისა ქალაქისა შესვლისათვის და გარშარაბ მეფისაგან საქმესა ამას ზედა ჭრჩევისა მოხსენება წინაშე დილარ მძლეველისა.

დღესა ერთსა სხდეს ყოველნი მეფენი წინაშე დილარ მძლეველისა და ჰქონდათ ლაღობა გარდასრულთა საქმეთა ზედა. მაშინ უბრძანა დილარ მძლეველმან გრძნეულთა მეფესა, ვითა: „მეფეო, შენგან ამიერითგან სიყვარული, პურობა და ძღვნობა არა მოგვაკლდების, გარნა ესე არს, რომე ჩვენგან დროთა განგრძობა არღა კეთილ არს, მით რომე ქვეყანასა ჩვენსა უმძიმს მოშორვება ჩვენი, და ყმანი ჩვენნი დიდსა ურვასა შინა არიან; ჩვენ სხვასა საქმესა ზედა შემოვედით დიდსა ამას სამეფოსა შენსა და დავჰყავით დიდნი ჟამნი. აწე პირი ესე არს, რომე ჩვენ ჩვენსავე გზასა შეუდგეთ და ღონე ვჰპოვოთ მზისა ქალაქისა შესვლისათვის, რათა იგი ფიცხელი და უნაყოფო გზა შეუწუხებელად ვიაროთ, და საქმისა ამისთვის ყოველთავე ვარჩიოთო." რა იგი ბრძანება დილარისა მოისმინა გარშარაბ მეფემან, თაყვანი-ჰსცა, და მოახსენა: „ძლიერო კელმწიფეო, უკეთუ ინებებთ, მე საქმე მისი უნაკლულოდ მოგახსენოთ და შემდგომად, ვითაცა ჰსჯობდეს, ეგრეთ განაგეთო." დილარ მძლეველი მზისა ქალაქისა სახელისა მოღებამან განამხიარულა და, ვითა გაზაფხულისა მრავალყვავილოვანი მტილი, პირისა ფეროვნება ეგრეთ შვენიერად აუყვავდა, და ესრეთ ჰგონებდა, მას ყოვლისა ქვეყანისა კეკლუცთა კელმწიფესა და მნათობთა მბრძანებელსა ანავსია სკიპტროსანს პირის-პირ უჭვრეტდა და მას ეალერსებოდა. უბრძანა გარშარაბ მეფესა დილარმან, ვითა: „მეფეო, ჩემსა მზესა. რაცა იცოდე მის მზისა ქალაქისა, იტყოდეო".

კარი მერვე.

თავი იგივე

წინაშე დილარ მძლეველისა გრძნეულთა მეფისა გარშარაბისაგან მზისა ქალაქისა ჭამბის მოხსენება და დილარისაგან შესვლა კეთილსა მას ქვეყანასა.

Იწყო გარშარაბ მეფემან და მოახსენა: „Ჲე, კელმწიფეო ძლიერო, იგი მზისა ქალაქი, რომელიცა დიდებულებამან თქვენმან ჰბრძანა, არს ქვეყანა დიდი და ქალაქნი მრავალნი; ყოველივე ნაწილი მის ადგილისა ესრეთ კეთილ არს, რომე რა ზომ გინა ყოვლისა ცასა ქვეშეთისა ქვეყანისა მხილველი კაცი იყოს და მას ქვეყანასა მივიდეს, ამას იტყვის: „თურე, ქვეყანისა უნახავი ვჰყოფილვარო." მის ედემისა ჰმსგავსისა ქვეყანისა კელმწიფე იყო სეზოსტრ, ყოვლითა კეთილობითა სრული და ლომ-გულობითა სახელ-განთქმული, რომელსაცა არა ესვა შვილი და ყოველსა საკელმწიფოსა მისსა უმძიმდა უშვილოება მისი. შემდგომად მრავალთა წელთა მიეცა შვილი, — ერთი ასული, ესრეთ შვენიერი, რომე ამას ფიცით ამტკიცებენ მუნებურნი, რომე ჯერეთ მზესა ქვეშე ჰმსგავსი მისი სოფელსა არა ენახოს და პირისა მისისა განცდა არავისგან შესაძლებელ იყოს პირსა საბურველ ჩამოუბურველად. რა ესრეთი კორციელი მზე ქვეყანისა სეზოსტრ კელმწიფესა მიეცა, შევიდა დიდსა სიხარულსა, და აღუშენა ათ-ორმეტი გოდოლი ათ-ორმეტთა ქვათა პატიოსანთაგან მის ქალაქისა სიმრგვლესა ზედა, მრავლითა კელოვნებითა და უზომოსა შვენიერებითა,

ესრეთ მტკიცედ, რომე, თუმცა ყოვლისა ქვეყანისა მეფენი მას ზედა შეჰკრბენ, ძალითა მათით აღება მოუვალი არს. ვითარ მზე, თვითოსა თვესა შინა თვითოსა ბურჯსა შევალს; ეგრეთ მას განუწესა ყოველსა თვესა თვითოსა გოდოლსა ყოფნაჲ. უახლებია თვისთა დიდებულთა ასულნი, წლითა თანასწორნი მისნი, თვითოსა გოდოლსა შინა ათას-ათასნი და დაუზღევინებია ასულსა თვისსა თანა მრავლისა სათუთობითა და საკელმწიფოთა წარსაგებელითა, და მნათობნი იგი იშვებენ მის მზისა პყრობითა. კელმწიფეო, მის ქვეყანისა ერთა, დიდთა თუ მცირეთა, შუენიერებისა გამოთქმა ენასა არა ძალ-უძს. მრავალნი ძლიერნი კელმწიფენი ქორწიან და სურვილითა ყელსა გადიხრიან, გარნა ორითა მიზეზითა არა ძალ-უძსთ მას ქვეყანასა შესვლაჲ: ერთი ჩვენითა და მეორედ მის ფიცხელისა ქვეყანითა. ჩვენ, რომელნიცა მზისა ქალაქისა კელმწიფენი იქმნებიან, მათისა ბრძანებისა მორჩილება გვმართებს, მით რომე ძველადვე წესად დადებულ არს და არცა ჩვენ გარდავხდებით ჩვეულებისა მას. აწე არა მრავალი წელი არს, რა სეზოსტრ კელმწიფე გარდაიცვალა და იგი ასული მისი კელმწიფობს ტახტსა მისსა ზედა მითვე წესითა მისითა. მას მზისა მოწუნარისა კელმწიფე ანავსისა უკუსდგომიან სპასალარნი თვისნი ოთხნი, მკლავითა თვისითა მოიმედენი, და ჰსთხოვენ თავსა მას კელმწიფესა, და იქადიან, თურე, რომე უარ მითა ქვეყანით არავინ შეუშვან მუნ, და მათ ოთხთაგან, რომელიცა უმეჯობესი იყოს ძალითა და გულოვნებითა, მან მიიხვედროს კელმწიფე იგი. მათ სპასალართა ძლიერებისა დიდად რასამე იტყვიან. გარნა იგი კელმწიფე ჰსწყრებისე, თურე, მათ ზედა, და უბრძანების თვისთა დიდებულთა პირითა: უკვეთე ხქვენ არა დაგჳსჯერით რისხვითა ჩემითა, არცალა მე მინებს კელმწიფობა ესე ჩემი და შუენიერება ესე ცუდ იქმნეს ჩემ ზედა, თუმცა თვით ჩემგან განდიდებულთა ღირსეულეთ თავნი თქვენნი და ჩემი მპოვეთ ძალობასა ჩემსა ზედა, გარნა ვინც ლონე ყოვლით კერძო და თქვენი შეცოდებისა ნაცვალი მოგა-

გოთო. აწ კელმწიფეო, კაცნი დიდებულსა მის კელმწიფესანი ხშირად დაჰსდიან გზასა ამას, და თუ რა არს ნება მისი, ესე არა ვიცით. ამა ჟამებსა არს, თურე, ბრძოლა ძლიერი მის მზისა ქალაქისა ვრცელსა მოედანსა ზედა, მის კელმწიფესა ერთგულთა და უკუმდგართა სპასალართაგან, და ჩემთვისცა მოეწერა უმაღლესა ბრძანება, ვითა: „მონაო ტახტისა ჩვენისაო, გარშარაბ, მე სპასალართა ჩემთაგან განჰრისხებული გიბრძანებ, შენ მზად ჰგებდე, მტკიცედ ბრძანებისა ჩემისა მაყურებელი, შენითა გრძნეულთა სიმრავლითა და, უკეთუ რაიცა მოლოდება მაქვს, იგი არა იქმნების, მაშინ მტკიცედ მოგწერ ბრძანებასა და ესე სპასალარნი ჩემნი დასაჯეო." კელმწიფეო დიდო, მოველოდი ბრძანებასა მის კელმწიფისა უზესთაესსა, თუ რა იქმნებოდა, და აჰა, დიდებულებამან თქვენმან ზედა მოგვასწრო, და კვლავ იტყვიან მრავალთა დიდ-შემძლეთა კელმწიფეთა და მეფეთა შემოსვლასა მისვე მზისა ქალაქისა კელმწიფესა ძებნისა და ტრფიალებისათვის, და რასა ინებებთ, გზა მივსცე ანუ ბრძოლა ავკიდოთ?"

აქა დიდმან აბაშთა მპყრობელმან დილარ მძლეველმან გრძნეულთა მეფისა გარშარაბისაგან მზისა ქალაქის ქამბაგი მოისმინა და თვითცა უბრძანა პასუხი, ესრეთ:

დილარ მძლეველი მის პამბისა სმენითა მცირედ გულმიტაცებულ იქმნა და დაფიქრებულიყო. შემდგომად ამისა ზედა და უბრძანა გარშარაბს: „მეფეო, გარეგანთა მათ მომავალთა ნუ აყენებ შემოსვლად მაგა საქმესა ზედა. ესე არს ნება ჩემი, რომ შენ დაშთე აქა ქვეყანასა ამას შენსა, და ვინცა გარეგანნი მეფენი მოვიდნენ, მისცე გზა პირობით ამით, რომე ქვეყანასა ამას არა რაი ავნონ, და რაიცა დაასჭირდესთ, სყიდვით იყიდონ, და მისცე. შემოვიდნენ და ჰსცნონ მრავალთა ჩემთა ძლიერება. ხოლო შენ, მეფეო გარშარაბ, მოგვეც

მუშაკნი ქვეყანისაგან შენისა, ვითარ ასი ათასი, რათა ფიცხელსა მას ადგილსა შინა, ქვეშე ქვეყანისასა გავატანინოთ. გვირაბი ხვრელი უცხოსა რითმე კელოვნებითა ყოვლითა, წესმკულებითა თვისითა, და ესრეთ შევიდე ქვეყანასა მას გულისსათქმელსა, და გამოვჰსცადოთ, რაძი ვინ ჰაბუკნი იქმნებიან მუნ მყოფნი, ანუ გარეგანნი ვინანი შემოვლენ, და ჩვენ, რაოდენიცა ვიქმნებით, ყოველთათვის საკმაო საზრდელი განგვიმზადე, ვიდრე მას ქვეყანასა შევიდოდეთ. მეფეო, ესე არს თხოვა ჩემი შენდამი, და სიმსწრაფლეცა გვიჯობსო.“

აქა გარშარაბ გრძნეულთა მეფისაგან დილარ მძლეველისა ბრძანებულსა ზედა ნებისა დაჭრთვა და მზისა ქალაქსა შესვლისათვის ჭრჩევისა მოხსენება და გარშარაბ მეფისაგან საქმესა მას ზედა გონიერებითა თადარიგის ნახვა.

მას დილარისა ბრძანებასა ზედა, თაყვანი-ჰსცა გარშარაბ მეფემან და მოახსენა: „კელმწიფეო, ყოველივე ბრძანებული თქვენი აღვასრულო უცვალებელად, და ესეცა მოგახსენოთ, რომე სადაცა თქვენ დაგიმართავს, მუნ მრავალნი დიდ-შემძლენი კელმწიფენი შეკრბებიან; ვიცი, მოგიხდებიან ძლიერნი და ფიცხელნი ბრძოლანი; თქვენ მგზავრნი ხართ და არა კელმწიფობისა წესითა მავალნი; ესე ჰსჯობს, რათა დიდებულითა რიგითა განემზადნეთ და სახმართა ნივთითა სიმრავლითა შეხვიდეთ კეთილსა მას ქვეყანასა. კელმწიფეო, ვიცი, რომე გაქვს მკლავთაგან იმედი, გარნა ბრძოლისა ჟამსა ჰხამს გულოვანთაგან მკლავთა სიმტკიცე, და პყრობისა დროსა სიუხვით გაცემაო.“ ესე გარშარაბ მეფისაგან თქმული დიდად მოეწონა დილარ მძლეველსა, და უბრძანა: „ძმაო, რასაცა ჰრჩევსა იტყვი, მართალი ხარ, და ესე არს, რომე ნუ თუ შენ დაგემძიმოთ და ჯერეთ ჩვენგანა მუქაფა რა გინახავსო!“ მეფე გარშარაბ დაჰსდრკა, მიწამდე თაყვანი-ჰსცა და მოახსენა:

„კელმწიფეო, შაგას რად ბრძანებთ? დღეს ქვეყანა ჩემი მო-
წყალებითა თქვენითა დახსნილ არს გრძნეულთა სიმძლავრეთა-
გან და, თუმცა ათასთა წელთა გმსახურო, ეგრეცა ვერა გარ-
დავიხდი. ოდენ ამას გევედრები, რათა მადრომოთ შესაბამად
თქვენდა მომზადებისათვის და, უკეთუ გნებავსთ, მუშაკნი
თანა იახლენით, იწყეთ კეთებაჲ გზისა მის და ვიდრე შემზად-
დებოდეს იგი, მეცა ზედა მოგესწრებითო." მას სიტყვასა ზე-
და ყოველნივე მეფენი ეთანხმნენ გარშარაბ მეფესა და თვით
დილარმანცა სათნო იყო. განმზადნეს მუშაკნი ასი ათასნი
ყოვლითა საკმარითა მათითა და საკმოდთა ნუზლითა. ქოქო-
ნიკნიცა წარვიდეს მათ თანავე სამუშაკოდ.

აქა დილარ ძლევეულისა და ყოველთავე მათ მეფეთა და ცოლთა მათთა
და ასი ათასთა მუშაკთა წარსვლა მას ფიცხელსა ადგილსა გვირაბისა
გასაკეთებლად ყოვლითა სახმრითა ნივთითა და საკმაოთა ნუზლითა.

გაემართნენ ოთხნივე კელმწიფე და მეფენი დიდითა სი-
მძიმითა და ნუზლთა სიმრავლითა. დაშთა გარშარაბ მეფე მუნ
განსაგებელად ქვეყანისა თვისისა, და მომზადებადცა. ვიარეთ
მრავალნი დღენი ქვეყანასა მას გრძნეულთა მეფისასა; გვი-
ძღოდა წინა ვაზირი გარშარაბ მეფისა და სახლის უხუცესი
მისი, რომელნიცა ესრეთ დიდებულად გვხვდებოდენ, ვითარცა
ჰშვენოდა დიდებულებასა დილარისასა; ყოველთა ქალაქთა,
სადაცა გარდავგვახდიან, პერპერაულად გვმსახურებდეს, და გვ-
გზავნიდიან ურიცხვთა ხოსტაგთა, ხორაგთა და საკლავთა.
ეგე ვითარითა დიდებითა და მხიარულებითა გაგვატარეს სა-
მზღვარი გრძნეულთა მეფისა, და მივიწიენით კიდესა ზედა
მის ფიცხელისა ქვეყანისასა, სადაცა იწყეს მუშაკთა მათ კლ-
დოვანთა თხრა გვირაბისა ღრმად, ქვეშე ქვეყანისა; უკრვიდენ

კამარათა კურტიმელად *), კელოვნად გამოკვეთილთა ქვათაგან, და გვერდთაცა ქვისაგან უშენებდესვე; ძირსა უფენდენ თლილითავე ქვითა და ჰკუწთდენ საკვიროსა კელოვნებითა. მრავალსა ალაგსა ატანდეს ხანაგათა დიდ-დიდთა, ურიცხვითა სახლოთახებითა, ჰსთხრიდენ ფრეთა და გამოაჩენდენ წყალთა გემოვანთა; ილვწიდენ დღე და ღამე და ჰსწრაფობდენ შესრულებასა. არა შეისვენეს შრომისაგან. ორასსა დღესა შეასრულეს გონებისაგან განსაკჳრვოჲ გვირაბი, სიგანითა ოც-და-ათი მხარი და სიმაღლით შესაბამი სიგანისა, ესრეთ მკიცედ, რომე სოფლის დასასრულადმდეცა ეგებოდა, და ესრეთ გრილი იყო, რომე მოუბურველად რისამე მუნ სლვა არა შეეძლო კაცსა; თვითოსა მხარსა ზედა დაეკიდნეს ლიფლიფანი **) მრავლად მანათობელად მის გვირაბისა, და ესრეთ განეწყოთ ხანაგანიცა იგი ყოვლითა საკმაოთა კაცისა და ცხენისა საზრდელითა, და რა იგი ყოველივე ესრეთ შეასრულეს,

აქა გრძნეულთა ქვეყანისა გარშარაბ მეფის მოსვლა წინაშე დილარ მძლევჱლისა ჟოჟლითა სამეფოჲთა მომზადებითა და ჭრწეულითა სჳითა.

ზედა მოვიდა მეფე გარშარაბ ორმოც-და-ათი-ათასითა რჩეულითა ჰაბუკითა და დიდისა კელმწიფობისა წესითა, თაყვანიჰსცა დილარს და მოახსენა: „დიდო და ძლიერო კელმწიფეო, შემიკრებიან მრავალნი საჭურჭლენი და დამიცავნ ურიცხვნი განძნი და არიან უთვალავნი სამეფონი განსაგებელნი, ოდეს შეხვიდეთ დიდსა და კეთილსა მას ქვეყანასა, რაჲცა ინებოთ უე განსაცემელად, ყოველივე მზა არს, რაოდენიცა გასცეთ არა მოგაკლდებისთ: ტახტნი ძვირფასთა თვალთანი და სამე-

*) აშიაზე: კამარედად.

**) აშიაზე: ფარანნი.

ფონი ნიშანნი, თვალნი და მარგარიტნი, ოქრო და ვეცხლი, ლარნი, ოქრო-ქსოვილნი, კურილნი და უკერავნი, ტაიჭნი მრავალნი და აგრეთვე ბრძოლისა ჟამსა სახმარნი ყოველნივე მრავლად არიან, ვისზედ რაჲ გენებოსთ, გასცემდეთ. განმიწესებიან მოკელენი თვის-თვისთა ადგილთა ზედა. კელმწიფობისა წესითა განეწყვენით და ესრეთ ჰხვიდოდეთო. მე დავჰსშთები ქვეყანასა ჩემსა, მათ მომავალთა კელმწიფეთა ჰამბისა საცნობელად და ქვეყანისა ჩემისა განსაგებელად და მომავალთა ჰამბავთა თქვენდა მცნეველადო." დილარ მოხარულ იქმნა გარშარაბ მეფისა მრავალთა მათ კეთილობათა მისთა ზედა, და, მოხარულმან, პირსა აკოცა და ვალდებულობისა მისთვის თანამდებისა გარდახდაჲ უბრძანა. შემდგომად გამოესალმა თვით დილარ მრავლითა სიყვარულითა და სხვანი ყოველნი მეფენიცა. დაუტევეთ მშვიდობაჲ,

აქა დილარ შძლეველისა და სამთა მათ მეფეთა შესვლა მას უცხოსა კელოვნებულსა კვირაბსა შინა.

შევედით გვირაბად და დავიწყეთ სლვაჲ. ესრეთითა კელოვნებითა შეეშენებინათ, რომე მოგზაური მას შინა არა დაშვრებოდა, მით რომე ყოველი ფერკისა წარსადგმელი ადგილი უმჯობესი და უკეთილესი სახილველი იყო. მტკიცეთა მათ ქვათა ზედა ტურფითა კელოვნებითა გამოექანდაკებინათ ყოველნი იგი შემთხვევანი, სადაცა რა გარდაგვხდეთ გრძნეულთა ქვეყანასა შინა, ბრძოლანი სასტიკნი, ანუ შემაძრწუნებელნი სახილველნი. მივიდოდით, ვჰსინჯვიდით და გვიკვირდა ჩვენ, რომელნიცა მათ ჟამთა დამსწრენი ვიყავით. რა გამოკუეთილნი იგი წარმოგვიდგენდეს ჟამთა მათ შემთხვევათა, არავე დავშთით განუკრთომელნი და განაღა, რომელთა არა ეხილვათ, ჰსჭურეტდენ რა, შიშისა ზარი განაკრთობდა. მოვიდოდით და შევექცეოდით უცხოთა მათ კელოვნებათა ჰვრე-

ტოთა; ესრეთ ნათელ იყო გზა იგი, ვითა დღე ლოფლიფათა მათ სიმრავლითა და, სადაცა გარდავხდით ხანაგათა შინა, ეგეოდენი სიმრავლე კაცთა და ცხენთა ესრეთ დავეტეოდით, რომე მრავალნი სახლნი ცალიერნი დაშთებოდეს. იყო ცხენთა და კაცთა საზრდელი უხვებით, და ვიარეთ ვითარ ერთითვე სწრაფითა სიარულითა.

აქა დიდისა მის აბაშთა მპყრობელისა დიდად მძლეველისა და სამთა მათ მეფეთა: ხუშრევანისა, კოჭარისა და ზორასტანისა თანა მეოდრა-თურთ მათით მის ფეხოსა კელოვნებულის გვარებით განსვლა და შესვლა მზისა ქალაქის სამზღვარსა ზედა

შევედით ქვეყანასა მას კეთილსა, ქვეყანასა მას მრავალყვავილოვანსა და სუნნელსა; ჰაერი მისი განწმედილ იყო, ვითარცა სარკე რაიმე ბრწყინვალე, კეთილნი ნიავნი მომბერველობდეს სუნნელებასა სხეულთა განმტკიცებისათვის; ქვეყანა ჰმსგავსებდა მწვანესა ზურმუხტსა, რომელთა შვენიერად მიზინჯებითა უცხო-ფერთა, მრავალ-გვართა ყვავილთა ამაყობა ფარშამაგთა ფრთეთაცა უშვენიერესობდა, წყალნი ჰსჩქერდეს წმიდად განკლედად და ჰავლად ჩამდინარენი, მრავალი გვარნი თევზნი მოთამაშენი, ზეთა ნაყოფიერთა რკევანი თვალთა მიიზიდვიდეს და მრავალთა კმა-ტკბილთა მფრინველთა კმითა სასმენელნი დაჰსტკბობდეს, მთათა ლამაზად წყაროთაგან შემკობილება გულთა შეატრფობდეს და თვისით სავანით მიიტაცებდეს, ველნი, მწვანესა ხავერდსა მიჰმსგავსებულნი, გონებასა განაცვიფრებდეს და ნადირნი, უცხოდ განპოხებულნი, მასზედა ძნოვარდობდეს, ცაჲ სამკაულითა თვისითა განშვენებული, ქვეყანასა მას ტკბილად რასმე დაჰყურებდა და სიცოცხლესა კაცთასა განაცხოვლებდა.

აქა მის გულ-ღომისა დილარ მძლეველისა სურვილისაგან ძლევა და ცხენით გარდმოვარდნა, სამთა მეფეთა შეშველება, მათგან ტირილი, ნუშრევან მეფისაგან საბრალოდ მოთქმა მის ზედა.

Ყოველთა გმირთა უმეტესმან დილარ მძლეველმან რა ესე ვითარი შემკობილება ქვეყანისა იხილა, თუ ჰსთქვა, ყოველნი იგი მის ქვეყანისა კეთილობანი მასზედა სამსალასა აწარმოებდეს, გულსა სურვილისა ისარნი მრავლად განესხნეს, თვალნი ღრუბლად გარდაექცნეს და ოხრვანი ოკიანოსა ღელვისა კმა-ჲსა დაეჰმსგავსნეს, ცნობა მიეღო და ცხენით ქვე მიწასა უპატიოდ დაეცა, კელოვნებისა მკურნალთა მისისა სიცოცხლისა წამი დასრულებისა კიდურსა ზედა ჰსთქვეს.

ნუშრევან ძმობასა გამოიჩენდა და გოჰარ, მოყვსობის ცეცხლითა აღტყინებული, თვალთაგან ცრემლთა ზღვასა ჰმდინარებდა, და მეკობრეთა მეფე სიყვარულითა მისითა თმათა თვისთა ნაგლეჯსა ჰაერსა განაბნევდა, მარსი და მოძმენი მისნი გულსა მახვილთა დასაცემელად განიმზადებდეს, დილარისა ცნობისა მოგებისათვის მოსწრაფეობდეს და ზედა დაჰსტიროდეს; იგი სამნი მეფენი, თუ ჰსთქვა, ერთი სულად ექმნა, ერთი გონებად და ერთი სიტყვად, მჭევრმეტყველობისა ასვადელი ნუშრევანს უთავაზეს და სიტყვათა ბურთისა საბრალოდ ყვანჯსა ცემა დაუწყო, ცრემლთა უხვებით ზედა აკურებდა და ესრეთ დაჰსძახდა:

„დილარ, შენგან ძმად კმობილთა სიხარულო! დილარ, ყოვლისა ქვეყანისა კელმწიფეთა გვირგვინო! დილარ, ლომგულობისა სახელისა მართალსა ცასა ზედა აღწერილო! დილარ, შვენიერებისა საუნჯეო! დილარ, ყმობითა [illegible] ყვავილო განუშლელო! დილარ, სიბრძნისა ზღვაო მიუწდომელო! დილარ, მეფეთა დადგინებისა გოდოლო, მტკიცეო! დილარ, მთვლენისა დამამშვენებელო! დილარ, სოფლისა გუ-

ლოვანთა განმაცუდებელო! დილარ, მშვიდოსნობისა დასაბამო! დილარ, მოასპარეზეთა მბრძანებელო! დილარ, მობურთალთა მასწავლელო! დილარ, რაჴნდთა თაო! დილარ, მეომართა წესისა მიმცემო! დილარ, შენთა მჭვრეტთა შვებაო!" დილარ, მოწყალებისა უფსკრულო! დილარ, მლმობელობითა ყოველთა მამაო! დილარ, მწუხარეთა ნუგეშო! დილარ, გრძნეულთა განმაქარვებელო! დილარ, ნუშრევანისა ცრემლთა დამწყვეტელო! დილარ, გოჰარისა სოფლის საშვებელთა მოლოდებაო! დილარ, მეკობრეთა მეფისა მკეცთა თაყვანის-ცემისაგან გამომხსნელო! დილარ, სიცოცხლისა ჩვენისა სულო სიტკბოებაო და ძალო! აღახვენ თვალნი ეგე ყოვლად ტკბილად მხედველნი და გვიხილენ, შენგან მოწყალებით შეყვარებულნი, ვითარსა განმწარებულსა ჟამსა შინა ვართ!"

ჴმა აგარული გოდებისა ნუშრევანისა მიერ.

Თვალნო, ცრემლნი წინარედ,
ვით ღრუბლის თქვრა წინარედ,
გულსა ლახვარ განგმერით, კორცნი ეკლით წინარედ!
Ვისს თვალთ ვჰხედავ დაფახვას,
სულთქმით დავჰსძახ დაფახვას,
გარდასცვალეთ, მუსიკნო, გლოვად ნოტდა დაფახვას!
სხვას შუნებრი, სადა ვის
უხილავს მჰყრობ სადავის,
ამად გული მეალვის, ცრემლით მაქვს თქმა სადავის!
Მის ლაწვნი გალალოდეს
და მზეცა გალალოდეს,
შენსა შვენიერებით, ვფუცავ, შორს გალალოდეს!
Ტკბილნო ვარდის ბაგებო;
რად ჰსდუმ, რასა ბაგებო,
მიბრძანე სიტყვა მონას, რას ჰყოვნი, რის ბაგებო!

დაგვფარავს სამალამნი,
სიკვდილის სამალამნი,
ჩვენზედა გაიშალოს, არ გვარგებს სამალამნი!
მიცი, დამწვენ მაშალნი,
სიცოცხლისა მაშალნი,
რადგან ესთ უუბაროზ, შავი ხლა თავს მაშალნი!

დილარ, ქვეყანასა ზედა შვენიერებისა ლითონო, შენ ჩვენისა სიცოცხლისა მოგებისათვის თავსა განსაცდელსა არა ჰრიდებდი და აწ, ჩვენისა სიკვდილისათვის შენვე ისწრაფიო.“ დილარს რა თვისგან შეყვარებულთა ძმათაგან ეგე ვითარნი გლოვისა კმანი შეესმნეს, თვალნი აღახვნა,

აქა მცირედ გონებად მოსრულმან დილარმან თვისთა საყვარელთა ძმათა რავდენიმე შესაბრალებელნი სიტყვანი უბრძანა.

სურვილისა მიერ მეტისა უბნობა არღა ძალ-ედვა დილარს და ესე ოდენ უბრძანა: „სე, საყვარელნო ჩემნო, რასა ეგზომ იურვით! გაფუცებთ სიყვარულსა ჩემსა, თქვენითა სიბრალულითა ნუღარა მტანჯავთ მე, ბედი ჩემი აქამომდე მომიძღვა, კმა არს ჩემდა; რათა საყვარელსა ჩემსა მისისა ქვეყანისა კიდესა სიცოცხლე ჩემი შევსწირო; მოთმინებისა სადავე მისისა საბრძანისისა სამზღვარმან წამართვა, დღეთა ჩემთა მწერალმან აქა დაასრულნა ჟამნი ჩემნი და განგებასა ვერ წინააღმდეგ ვექმნები, შემიბრალეთ და მადროვეთ სიკვდილი! გარნა ამას ოდენ გვედრებთ, რომე ჩემისა გულისა წამრთმევსა ესე მოახსენოთ, ვითარ „შენითა ბრძანებითა მისრული, ბედ-განწირული დილარ, შენისა საიმპერიოსა კიდესა ზედა საუკუნოდ შენგან გამოსალმებულ იქმნა და თავი თვისი შეგწირა.“ რა საყვარელთა მათ ძმათა დილარისაგან სიტყვა ესმათ, სულისა ნიშატი ემატათ, გულსა მწუხარებისა ფარდა

მოიხსნეს და თვალთა ევფრატის მომდინარეობა დაიწყვიტეს და დაწყნარებულითა გონებითა გარე ეტროფოდეს და შესაგონებელთა სიტყვათა ქვე დაფენით მოახსენებდეს; თუმცა ნუშრევანს სურვილისა ცეცხლი გამოეცალა და მისისა მწველობისა ძალი ჯერეთცა განუშორებელ იყო მისგან, გარნა იგი დილარისა შეგონებისა მოედანსა შევიდა, ტკბილთა სიტყვათა ბურთი შეათამაშა და ჩოგანსა ცემა დაუწყო,

აქა მეინვართა მეფის ძისა და თვით მეფის ნუშრევანის მიერ ტკბილთა და შესაგონებელთა სიტყვათა მოხსენება დილარ მძლეველისა.

ქელითა დილარისა კელი ეჭირა და მას შვენიერთა თვალთა თვისთა ბაგეთა მოუგარებდა, ცრემლთა მისთა, უტკბოს ყანდისა, აღმოჰსწოვდა და ოხვრისა მისისა ორთქლთა პირსა შეიზიდვიდა, თვისისა გონებისა კარსა მით განაღებდა და მისთა სასარგებლოთა სიტყვათა ესრეთ ალერსით დაუფენდა და მოახსენებდა: „დილარ, კელმწიფეთა მბრძანებელო, არა იგივე დილარ ხარა, რომელმან დიდ-დიდნი მეფენი ბრჭალსა შენსა დაუმორჩილენ? არა იგივე დილარ ხარა, რომელსა ოთხნივე კიდენი მძლეველად აღგიარებენ? არა იგივე დილარ ხარა, რომელმან ეგევითართა ჭირთაგან ადვილად გამოხსნა იცი? არა იგივე დილარ ხარა, რომელი ყოვლისა ქვეყანისა გულოვანთა მეომართა და გრძნეულთა დასცემდი? არა იგივე დილარ ხარა, რომელი მარსის ველსა ზედა, ათას სამ-გზის დაფნისა გვირგვინითა განჰზდიდი? აწ კელმწიფეო, პატრონო და ძმაო, სადა ძლიერება შენი, სადა დამმონებლობა შენი, სადა გულისა უშიშროება შენი და სადა სიბრძნითა ორბისა უმაღლესი მომგონებლობა შენი? ნუ სადა, კელმწიფევ! ნუ სადა, პატრონო! ნუ სადა, საყვარელო! ნუ სადა, ძმაო! ნუმცა დამარწმუნებენ, რომე სალოგულობა შენი უფროს ცვილისა მოილბეს და მძლეველობისა სახელი ძლეულად შე-

ცვალოს და, ტყვეთა გამომხსნელი, ტყვეობასა შეხვიდე. აჰა,
კელმწიფეო, ტურფად ძბინწებელნი ველნი ესე, შენისა სა-
ყვარელისა სუნნელებასა გიკმევენ, ჰაერი ესე მისისა ელვა-
რებითა განათლებულ არს, ხეთა ფოთოლნი მისსა დაახლოვე-
ბასა გიშრიალებენ, წყალნი, მოკანკალედნი და წმინდანი,
მისისა კორცისა უბიწოებასა გიჩანჩქრედობენ, ვარდნი ლაწვთა
მისთა ფეროვნებასა განიშნებენ, არღავანნი ბაგისა მისისა
ჰმსგავსებასა წარმოგიდგენენ, სუმბულნი სპეტაკობითა გულ-
სა მისისა ველთა გიწვევენ და სუნნელობითა წიაღისა მისისა
მრავალ სუნნელებასა მოასწავებენ, იანი, თავ-დახრით მყოფნი,
შენისა ეგრე ცნობა მიღებისათვის შენისა სატრფიალოისაგან
მჰმუნვარებასა გაცნობებენ; აჰა, ტკბილად მკმობნი ესე მფრინ-
ველნი თქვენ საწადელთა მიჯნურთა შეყრასა მოხარულობენ,
ვარსკვლავნი, მოკამკამედ ბრწყინვალენი, თქვენსა ქორწინებასა
ცასა ზედა ურთიერთას მიუთხრობენ, ტატანთა მრავლად რთ-
ბანი თქვენისა შეყრისათვის მოუხშირებიან, მზე ნივთთა
ზედა უმეტეს გარდამომცემელობს, მთოვარე ღილისა ცვართა
ტკბილ მანანისაებრ ყვავილთა ზედა აპკურებს და ესრეთ ყო-
ველნი ბუნებანი თქვენისა შეერთებისათვის განმსცხრებიან და
შენ, ჰო, კელმწიფეო, მხიარულებისა ჟამსა რად გონებასა
მიეხდები? აქამომდე ყოველი პირი ქვეყანისა შენსა მძლევა-
ლობასა განადიდებდა და აწ მცირითა სიყვარულითა იძლევი!
სულისა შენისა ნიშატი ცუდად ცამან უთვალავმდ დააგვირ-
გვინა, ვინათგან ესრეთ ადვილად სურვილითა დაუძლურდები!
ამაოდ ყოველნი მეფენი გმონებენ, ვინათგან ტრფიალება
თვით დაგიმონებს. ეგე ვთარითა მოუთმენელობითა ვისი
თვისცა კელობა ეგრე გაქვს, მას დამკარგავი ნუ თუ ახლოს გა-
ხსოვდეს, რომე შენისა გულისა კელმწიფესა ესე ბრძანება
მოუცია, რომ სიმხნითა გაგზვენო ძლიერთა მეომართა წინაშე,
მოედანი საბრძოლველად დაამშვენო; მტერთა [illegible] [illegible]
და ესრეთ სურვილისა შენსა ლხინს იქმნა. [illegible] ესე [illegible]
[illegible] გაწყობასა მოგვითხრობს და შენ ცრემლისა დენა[illegible]

ცუდად ჰსჯაბნდები! იხილე, კელმწიფეო, განჰსჭვრიტე, განი-ცადე, რავდენთა წელთა შრომანი აქა ერთსა ჟამსა კელთაგან გვეცლებისო! ვიცი, მზესა მას სხვა მიიხვედრებს და ჩვენ ცუდ-ნი სასჯელნი შეგვრჩებიან, თუმცა მებრძოლი არავინ იყოს, თვით მნათობი იგი განგაძებს, მით რომე ეგეთსა ჯაბანსა-თვისსა სამოთხესა არა მიგიღებს, და ამას ჰბრძანებს: „დილა-რისა სიმხნისა და ძლიერებისა სახელი მფრინველთაცა ფრთეთა-ზედა ეწერათო და აწ ესე კელი სახელისაცა ულირსი ყოფი-ლაო.“ მოვედ, კელმწიფეო, ვინათგან დაახლოება მისი ესრეთ ცნობასა მიგხდის, გარე უკუნ ვიქცეთ და მშვიდობასა შინა-ვიყვნეთ! აქა რასა ვეძიებთ? დავსთმოთ მზე იგი! ვისიცა ხვე-დრი არს, მანცა მიიხვედროსო.“

აქა ნუშრევანისა უძნობასა ზედა დილარ თვისსავე პირველ გონებასა მოეგო და მათ სამთა მეფეთა თანა ბოდიშობა იწყო.

რა ესე გვარნი სიტყვანი ნუშრევანმან მრავლად წარმო-ჰსთქვა, დილარს სმენისა ძალი მიეცა, გონებასა პირველსავე მოეგო, ირცხვენოდა, მათ მეფეთა თანა ჰბოდიშობდა, და უბრძანა: „საყვარელნო ჩემნო, მომიტევეთ! ვჰსწუხვარ თქვენისა და-მძიმებისათვის, გარნა რა ვჰყო, სიყვარულმან მძლია და ნუ დამგმობთო.“ იგი მეფენი ცასა ჰმადლობდეს მისისა მობრუნ-ვებისათვის. კვალად უბრძანა დილარმან ნუშრევანსა: „ძმაო, თუმცა ჩემი ორს სიყვარული არა გამოუცდია და ჩემსა გმობასა იყოს, არა რა არს, და შენ, ნუშრევან, მოიგონე, ოდეს ქირნი ესე ვითარნი შენთანა იყვნეს, ვითა გჰსტანჯვიდეს შენ, და აწ ჩემნი ესე ცრემლთა დენანი რაჲსა გიკვირს შენ? უკუნ-მიყვესა მიწვევ მე, და ეგე ჰმსგავსი გულისა შენისა პრჩევა-ანს, მით რომე მეომართაგან იშიში, და ესე პირობა დამიძს-ება გზობისა შენ არა გიბრძოლო. შენ რა გგავს! მე და გო-ლიათ შევალთ ბრძოლისა მოედანსა ზედა და შენ მაყურებლო.

ბისათვის რასალა დაჰკრთუბიო?" გოჰარმან სიცილით მოახსენა: „კელმწიფეო, თავმან და სიყვარულმან შენმან, ესრეთი სიყვარული შემჰრია აქაურთა ქალთა, რომე ესრეთ ვჰგონებ, ცუდიცა მწყემსისა ქალი ვიხილო, იგიცა ცნობასა მიმიღებს, თუ არა მე გულოვანთა მოპირის-პირობასა არა განვიზრახავო!" გოჰარის სიტყვასა ზედა აღჰსდგა ნუშრევან და მოახსენა: „კელმწიფეო, მე რა გულსა თქვენსა განვიცდი, არცა თქვენ და არცა გოჰარს მოედანსა შესვლა არღა შეგძლიანთ, და ესე მიხარის, რომე გულოვანთა ბრძოლა მე და მეკობრეთა მეფესა წილად გვხვდებისო!" რა ზორასტან მეფემან ესე მოისმინა, ჰრქვა ნუშრევანს: „არა, მეფეო, მე ამა სურვილითა ძლეულთა ძმათა მოსული და თქვენ მეშუქარეთა წინა კმალსა იქნევდეთო." ესე ვითარითა სიტყვითა და ლაღობითა დილარის გული სრულიად სიმტკიცესა ზედა მოიყვანეს.

აქა დილარისა და მოძმეთა მისთაგან შესვლა უკიდურესსა მზღვსა ქალაქისა ქალაქსა შინა.

მაშინ ჰბრძანა დილარ მძლეველმან ალმხედრება. გავსხედით ცხენთა და გავემართენით მას უშვენიერესსა ქვეყანასა. ვიდოდით და გვიკვირდა კეთილობა ჰაერისა და მდებარეობისა. ვიარეთ ვითარ ცხრა ჟამი და გარდავხედით ერთსა საშვებელსა ადგილსა; იგი ღამე მუნ განვისვენეთ და მეორესა დილასა ავიყარენით. პირველსა მისვლასა ზედა ესე უმეტესად დაგვიკვირდა, რომე მას ქვეყანასა ღამე ყოვლითურთ არა იყო; ჩვეულებრითა წესითა ჩვენ ოდენ უწოდდით ღამედ და დღედ, დილად და მწუხრად, თვარა ყოვლად ნათელი იყო ქვეყანა იგი ოცდაოთხსავე ჟამსა შინა. იგი დღე ვიარეთ ვიდრე მწუხრისა სახელისა შემოსვლისა დრომდე, და მას ჟამსა მივხვედით რასმე შენობასა და ქალაქსა ყოვლად სანატრელსა და თვალთათვის საწადელსა. მოგვეგებნეს მუნებურნი ერნი

მოხარულითა გულითა, გარნა რასაცა მათსა შვენიერებასა იტყოდეს, მზემან თქვენმან, ას წილად ჰამბავსა ერნი უმჯობესობდეს. მოახსენეს დიდარს თაყვანის-ცემა, მოიკითხეს და ჰკითხევეს სახლთა მათთა გარდახდომა; მიგვიძღვნენ დარბაზთა დიდებულთა. შენობა ყოველი ზურმუხტისა ქვათაგან იყო შემდგარი. დაჰბრძანდა დიდარ და მეფენი იგი, დაგვსხეს ჩვენ ყოველნი მასვე სახლსა შინა ოქროსა სელთა ზედა და დაგვიდგეს პური. ესრეთნი ჭამადნი მოიტანეს, რომე დღეთა შინა ჩემთა ჰამბათცა არა სადა გამეგონეს, ვრა თუ თვალითა მეხილვნეს! ესრეთი გემიერნი(?) იყვნეს, რომე სიტყვით თქმა მსმენელთათვის დაუჯერებელი არს. ვჰსმიდით ღვინოსა გემოვან-ფეროვანსა, წმინდასა და ვმხიარულობდით ეგე ვითარისა ერისა, შენობისა და ქვეყანისა ხილვისათვის; იგი უზომოდ შვენიერნი ერნი გვმსახურებდეს ყოვლითა განკრძალვითა, ვითარცა პატრონსა მათსა, და იტყოდეს: „კურთხეულ არს მოსვლა თქვენი ქვეყანასა ჩვენსაო." იგი ღამეც დანიშნული დრო დავჰყავით სმითა და მხიარულებითა და ძილითა; მასვე სახლისა გარემო ოთახთა შინა განვისვენეთ ოქრო-ქსოვილთა ცხედართა ზედა. ხოლო მეორისა დილისა სახელისა შემოსვლისა ჟამსა კვლა მიგვიძღვნენ სხვასა უმჯობესსა და უკეთილესსა სახლსა, და იგი დღეცა მუნ განვვლეთ მხიარულებითა. სამი დღე მუნ დავჰყავით ყოვლითურთ მოხარულთა და მეოთხესა დღესა დიდნი და მცირენი ტანთა დაგვმოსნეს და მოგვცნეს ტაიჭნი; ყოველთავე მოგვიყვნნეს მესტუმრენი მრავალნი, გზასა ზედა დამხვედრნი. დაუტევეთ მშვიდობა და გაუმარჯვებით. ვიარეთ ეგრეთითა წესითავე მრავალნი დღენი და სადაცა შენობასა შევიდით, მოგვეგებოდიან დიდითა მხიარულებითა, გვიმასპინძლდიან, განგვისვენიან, გვიძღვნიდიან, მოგვციან მესტუმრენი და წარვედით. ესწრაფებოდა დიდარს მალეველი ხილვასა მზისა ქალაქისასა. ვიარეთ კვლა მრავალნი დღენი.

აქა აბაშთა მჴურობელისა დილარ მძლეველისა მისვლა თჳისსა მას სა-
წადელსა მზისა ქალაქსა თჳსითა თანა მეომრითა კრებულითა და სპითა.

მოვახლოვებულთა ქალაქსა მას მზისასა და ვითარ ოქრო-ასისა უტევანსა ესრეთ ანათობდა ზღუდე მისი, ვითარ მზისა დისკო. ოდეს მივედით, იყო ქალაქისა მის ზღუდე მრთელისა იასპისა ქვითა ნაგები და ათ-ორნი იგი გოდოლნი იაგუნდისა ქვითა იყვნეს ნაშენნი, ქალაქისა მის ზღუდეთა გარე იყო მოედანი ესრეთ დიდი, რომე, ვჰგონებ, ყოვლისა ქვეყანისა ერი მას-ზედა დაეტეოდა, და მას მოედანსა ზედა ჰქონდათ ბრძოლა ძლიერი. რა ჩვენ მივედით და გარდავხედით ერთსა კიდესა მის მოედნისასა, ბრძოლაცა იგი დაშალეს. ზოგნი ქალაქად შევიდნენ და სხვანი დაჰსდგნენ მისვე მოედნისა ერთსა კიდე-სა. ჩვენცა დავჰსდგით მრავალნი კარავ-ოთახნი, გარდავხედით და მაშვრალობისაგან განვისვენეთ. მეორისა დილისა სახელო-სა შემოსვლისა ჟამსა ალჰსდგა დილარ და დაადგმევინა ოთხნი ტახტნი ძვირფასითა სჰელოვანი, დასხდეს მეფენი ტახტთა ზედა ყოვლითა სამეფოთა ნიშნებითა შემკობილნი, და გა-მართეს სამეფონი წესნი და დაადგინნეს მოხელენი თჳის-თჳისთა ადგილსა ზედა. მაშინ დილარ მძლეველი ესრეთ და-ჰშვენდა, რომე ესრეთ იტყოდა მხილველი: „ჯერეთ ქვეყანა-სა ზედა ჰმსგავსი ამისი არა შემოსულაო“. შეჰქმნეს პურობა და მიეცნენ დიდსა მხიარულებასა; დილარს, ვითა ჰშვენოდა, ეგრეთ არა მხიარულობდა, მით რომე გულისა მისისათჳს მიჯნურობასა ესრეთი ბრჭალი შემოესვა, რომე თჳისსა ნებასა ზედა ვერა მხიარულებდა, მარადის სატრფოსა მას თჳისსა იგონებდა და წამსაცა ერთსა გონებასა თჳისსა მისგან არა განაშორებდა, თუალთა წინა მისი შარავანდ-მშვენიერობა უძ-რებდა და სულისა ძალსა მიხდიდა.

აქა მათ ოთხთა სპასალართა, რომელნიცა განსდგომოდეს მზის ქალა-ქისა კელმწიფესა და ჰქონდათ ბრძოლა, მათის მოციქულისა მოსლვა წინაშე დილარ მძლეველისა.

მას პურობასა ზედა მოვიდა მოციქული მათ უკუმდგართა სპასალართაგან. და მოახსენეს დილარს მოსვლა მოციქულისა და დილარმანცა ჰბრძანა შემოყვანა მისი. მოუძღვეს მანდა-ტურთ უხუცესნი, თაყვანის-აცემინეს წინაშე ტახტისა დილა-რისა და დაადგინეს ადგილსა თვისსა. მაშინ უბრძანა დილარმან: „იტყოდე, ძმაო, გარჯისა შენისა მიზეზსაო.“ მას დილარისა ბრძანებასა ზედა, მან მოცნქულმან თაყვანი-ჰსცა და მოახსენა: „კელმწიფეო, მზისა ქალაქისა კელმწიფესა და ყოვლისა ქვე-ყანისა მანჳთობელისა სპასალართა მომავლინეს წინაშე თქვენ-სა და ესე მოგახსენეს: „დიდო კელმწიფეო, გარჯილხართ შორიელთა ქვეყანათაგან და მრავალნი ჭირნი გარდაგიხდიან გზათა ზედა და ესე ჩვენცა გვიმძიმს, რომე რაჲცა შრომანი მოგსვლიან, ცუდად ჩაგივლის და შენსა წადილსა ვერა მიხვდე-ბი; მაგა საქმესა ბრძოლანი მრავალნი ძლიერნი შეუდგებიან, მოპირის-პირენი ჩვენნი გაწბილდებიან; აქაჲთ თავსა მრთელსა ვერავინ გაიტანს, და შენ, კელმწიფეო, თავსა ცუდითა სი-ლაღითა ნუ ჰოიკლავ, ამა სამსა დღესა განისვენე სტუმართა წესითა და შემდგომად გარე მიიქეც ქვეყანასა შენსა, და, უკეთუ არა მოგვისმენ, შემოვედ მოედანსა და იგი დაგაჯე-რებს თავსა შენსაო!“ რა იგი სიტყვანი დილარმან ისმინა, გაიღიმა და უბრძანა მოციქულსა: „ძმაო, ამა სამსა დღესა, სიტყვისაებრ მათისა, სტუმარი ვარ, და შემდგომად ჰსცნობენ თავთა თვისთაო.“ უბოძა მრავალი მოციქულსა, ტანსა ძვირ-ფასი შემოსა და გაისტუმრა. ჩვენ ვიყვენით მას ედემისა მჰსგავსსა ქვეყანასა მრავლითა მხიარულებითა, გარნა დილარ სხვა-და-სხვა გვარითა საგონებელითა მას სამსა დღესა შინა იტანჯებოდა, მით რომე წამითი-წამად მოელოდა მოკითხვისა

კაცსა სასურველისა თვისისასა, და არა იქმნა. ოდეს დანიშნული იგი სამი დღე სრულ იქმნა, შეიქმნა მათ სპასალართა კერძო საბრძოლველთა საკრავთა კმიანობა, გარნა დილარ კვლა მოელოდა თვისისა მბრძანებელასა ბრძანებასა.

აქა მის მზისა ქალაქისა კელმწიფეა ანავსიას შიმუნვარის და მოლარეთ უხუცესს დიდებულის ასულის მონის მოსვლა წინაშე დილარ მძლეველისა.

Dილარისა მას მოლოდებასა ზედა მოვიდა მონა ვინმე შვენიერისა სახისა და იკითხა აბაშეთისა კელმწიფე დილარ მძლეველი; მანდატურთა ცნობა მისცეს. მოდგა იგი დილარისა ტახტსა წინა, თაყვანი-ჰსცა უცხოსა რასმე ზრდილობითა და მოახსენა: „კელმწიფეო, მოპირის-პირეთაგან გათხოვილისა არა განსლვა ჯაბნობა არს, ამისთვის ჰბრძანებს მის ყოვლისა კელმწიფეთა მბრძანებელა კელმწიფასა ჩვენისა შიმუნვარობასა და მოლარეობასა ღირს ქმნილი, დიდებულის ასული, ზეფირ, რათა ინებოთ შესვლაჲ მოედანსა ზედა დასასჯელად მათ წინააღმდეგთა ტახტისათა სპასალართა, რომლისათვის თვით ესე ნება ჭიმჭიმელსა ზედა გაცისკამარებულისა მიერ მოუღიეს ცნობად თქვენდაო.“ რა დილარ მძლეველმან უშვენიერესისა მის მონისაგან გულისა თვისისა განმამხიარულებელი ბრძანება მიიღო, უბრძანა მარსის და მოაღებინა დიდისა ოქროსა ლანკნითა სავსე სხვილი მარგარიტი, უბოძა მონასა მას, და უბრძანა: „სიცოცხლისა ჩემისა მახარებელო, ესე სახსოვრად ჩემდა მიიღე შენ და მბრძანებელასა მას ჩემსა ზეფირს თაყვანისცემა შეჰკადრე და მოახსენე: „მე ბრძანებისა მოუღებელად ვითა ვიკადნიერებდი ამა დიდებულისა მოედნისა დალახვასა, და აწ ბრძანებისა თქვენისა მონასა მცნობთ მე, ვითარიცა ჯაბანი ვჰყოფილვარო.“ მონა იგი ეგე ვითარითა სიტყვითა გაისტუმრა, თვით აღჰსდგა და მათ მეფეთა ჰრქვა: „საყვარელ-

ნო ჩემნო, თქვენ სხედით აქა მეფობისა წესითა და გქონდესთ ჩემზედა თვალი, მით რომე გული, ვითარმე სურვილისა მიერ ძლეული, მისუსტდების და, უკეთუ სიყვარულმან მძლიოს, შემწე მექმნენით და აქა სადმე მომრტანეთო.“ უსასყიდლო-კაბა ტანსა შეიმოსა, კელთა მათრახი მიიცა, გაჯდა ტაიჭსა თვისსა, გაიყოლა მარსი თანა, და ესრეთითა შვენებითა მიმა-ვალობდა, რომე შემჭვრეტელთა შეიტრფობდა. შეიქმნა ჩვენ კერძო საკრავთა კმიანობა, მათ სპასალართა კერძო უმატეს საყვირთა დგრიალსა. შევიდა ლილარ მოედანსა ზედა და გულსა აწვევდა მოთმინებასა. იწყო ცხენისა ნავარდობა და იტყოდა ლექსთა ტურფათა.

მ უ შ ა კ უ რ ი.

მოედანს შესრული საომრად გმირი,
ხამს, გულით მყარობდეს მამაცთა დარად,
ძლიერს მტერს ჰსძლიოს მარდად და ჩქარად.
ხამს, გულით მყარობდეს მამაცთა დარად!
არ უჩნდეს სიკვდილი არცა ჩალადა,
შიში შორს განჰსდევნოს, გული სალადა
ჰყოს, თავი საჩინოდ, არა მმალადა.
ხამს, გულით მყარობდეს მამაცთა დარადა!
სურვილით ძლეული განმხნდეს ბრძოლასა,
ჰსჯობ, მეომარს ჰსძლიოს, ოხვრას წოლასა,
თვისი მემუქარე მისცეს ძრწოლასა.
ხამს, გულით მყარობდეს მამაცთა დარად!
სახელის მოგება უჩნდეს გვირგვინად,
მარჯვენის ხმარება შეჰრაცხოს ლხინად,
სიმკნე, ძლიერებით მბრძოლი ჰყოს მწყინად.
ხამს, გულით მყარობდეს მამაცთა დარად!
რა ჰსჯობს, მტერთა მძლეველს უთხზვიდენ ქებას,
ყოველნი ულოცვიდენ გმირს გამარჯვებას,

ამით საყვარელს მისცემს ამებას.
ხამს, გულით მყარობდეს მამაცთა დარად!

ჩვენ, რომლისა გოდლისა უმარჯვესად ვიდეგით მას გოდოლსა, თურე, იყო იგი კელმწიფა მზისა ქალაქისა, და რა ორსავე კერძოსა განძლიერდა საყვირთა ჴმიანობა, შეჰქმნეს მის გოდლისა ბანთა ზედა აღმოსლვა ქალთა მნათობთა და განათელ-ცისკროვანდა მოედანი იგი მათითა ელვარებითა. ჩვენ უცილოდ ვჰგონეთ გოდოლი იგი ცად, ვარსკვლავთა მიერ განშვენებულად და არცა ვერწმუნებოდით კოლციელობასა მათსა. მათ მნათობთა კენარითა რითმე რკევითა მოიღეს უსასყიდლო ტახტი საკელმწიფო, დაჰსდგეს მას ბანსა ზედა და გამობრძანდა იგი კელმწიფა მზისა ქალაქისაჲ პირსა ძვირ-ფასი საბურველი ჩამოებურა, დაჰბრძანდა ტახტსა ზედა და გარე მოადგნენ მნათობნი იგი ქალნი. ჩვენ მის კერძო ჭვრე-ტა ვერღა შევიძლეთ, სხივმან მისმან თვალნი სრულიად და-გვიბუნდნა, თვალთა კელნი მივიფარეთ და ვჰსთხოვდით გან-გებასა დილარისა გაძლებასა. დილარს თვალნი მათ სპასა-ლართაკენ ეჭირა და ელოდა გამოსვლასა მათსა. მაშინ მოვი-დნენ ოთხნივე იგი გამოჩენილნი სპასალარნი მოედანსა ზედაჲ

აქა მზისა ქალაქისა კელმწიფისა ოთხთა სპასალართა დილარის ბრძოლა.

მძიმედ შეჭურვილნი იყვნენ კაცნი და ცხენნი ყოვლითა საჭურველითა, და რა დილარ მძლეველი ეგრე უსაჭურველოდ იხილეს, გულთა შინა ითაკილეს, გასწყრნენ, განრისხებულთა შემოუტივეს და ენებათ ცხენით გარდაგდება და შეპყრობა მისი. დილარმან კაფისა კმითა შეჰსძახა და აღიდა სახელი მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსიასი, მიჰყო მათრახსა კელი, თვითოსა გარდაკვრითა იგი ოთხნივე სახელოვანნი სპასალარ-ნი, თავ-მხარ დალეწილნი, ცხენით გარდაჰყარნა, თვით სა

გდებელითავე მათითა მარსი სპასალარსა კელნი დააკვრევინა, და ეგრეთ დაკოდილნი ქვეითად წინ წამოიყარნა. რა გამობრუნდა და მის გოდლისა კერძო მიხედა და სახელმწიფოსა ტახტსა ზედა მჯდომი უღრუბლო მზე განიცადა,

აქა დილარ მძლეველისა ანავსია კელმწიფისა სურვილითა ცხენით გარდავარდნა და სამთა მეფეთაგან მიშველება.

Sხივითა მისთა შარავანდედმან თვალნი დაუბნელნა და გულისა სიმყარე წაართვა, სული მას გოდოლსა შეუფრინდა და იგი უსულო ცხენით მიწასა ზედა დაეცა. რა მისგან შეყვარებულთა მეფეთა დილარ ეგრეთ გაბედითებული იხილეს, მყისად სამეფოსა ტახტით გარდმოიჭრნენ, გვირგვინნი შორად გაჰსტყორცნეს და ფეხ-შიშველნი რგებად მისდა მიისწრაფდეს, თავსა იცემდეს და მხილველნი მისნი ზედა დაჰსტიროდეს, ჰსცდილობდენ სულითა სამსახურსა და მობრუნებასა მისსა. რა ორმან ჟამმან განვლო, შეიძრა და, ვითა წესია კელობისა, ეგრეთ მიმოხედვა, ბორგვა და მიწასა ზედა გორვა დაიწყო. რა მათ მეფეთა მისისა მობრუნებისა ისარი, ბრუტოსისა მთასა გარდაცილებული, იხილეს, მოაღებინეს საკელმწიფო კუბო იაგუნდისა, მას შინა კრძალვით შეაწვინეს, თვით იგი მეფენი და მარსი ქვე შეუსხდეს, ასწიეს და თვისთა სამყოფთა მიიღეს, საკელმწიფოსა ტახტსა დააწვინეს და დაუწყეს სუნნელთა ყნოსება. რა მცირედმან ჟამმან განვლო, კვლა შეიძრა, თვალნი აღახვნა და მეფენი იგი მოტირალნი იხილნა, მოეგო გონებასა და ჰკვირობდა თვითცა თავისა თვისისა საქმესა, ოხვრიდა და იტყოდა: „რა მერგების ბედ-კრულსა, ესრეთ მომხვევია გულსა, ტყვე ქმნილსა, მისთა წარბთა ქამანდი, რომე განხსნა მისი მისგან კიდე კორციელსა არა ძალ-უძს. აჰა, უბედობა ჩემი, ვითა წამსვლიან ძალნი და სიმტკიცენი ჩემნი, რომე ერთსაცა შეხედვასა მისსა ვერა გაუძლებო.“ უკვირდა და მასვე იგონებდა.

აქა მეინვართა მეფის ძმან და თვით მეფემან ნუშრევანმან იწყო ლაღობა დილარ მძლეველისა განსამხიარულებლად და დილარმანცა პასუხი მიუგო.

ალალო ნუშრევანმან მალალობელნი ბაგენი თვისნი და მოახსენა: „კელმწიფეო, ძრსა საგონებელსა შეუპყრივარ და არა მცირედ მაწუხებს; უკეთუ მოგახსენო, განმკიცხავ, და უთქმელობაცა ვერა მიხმარიაო!“ უბრძანა დილარმან: „ჩემსა მზესა, იტყოდეო.“ და მოახსენა: „კელმწიფეო, საყვარელსა თქვენსა კაცი მოეგზავნა და ესე შემოეთვალა, ვითა: „მეთაკილების, რათა ეგე ცნობა მიხდილი ვინმე კაცი ჩემსა მიჯნურობასა იტყოდეს და სახელსა ჩემსა ჰკიცხევდეს; აწვეჲ სითცა მოსრულხართ, ბარგი თქვენი მითვე გზით წარიღევით და ეგე კელი ქვეყანასა ჩემსა განაშორეთო.“ კელმწიფეო, მრცხვენიან და მიმძიმს, ესრეთ გაკიცხულნი ვითა გავბრუნდეთ, მაგა ხელობითა თქვენითა ესდენთა შრომათა ჩვენთა განმცუდებელნი, და ანუ მოხუცებულსა მეფესა ფინეზს და უმოხუცებულესსა ვაზირსა ეგროსს ვითარა, ვეჩვენნეთ ქალისაგან დაწუნებულნი! ჰსჯობდა ესე, რათა სურვილისა ასპარეზსა ყოვლად არა შესრულიყავ და არცა ყოველთავე ერთად სახელი ასე მოგვყივნებოდა! მაგა მოუთმენელობითა თქვენითა ესე ოდენ მოვიგეთ, რომე თვით საყვარელი თქვენი განმძებელ გვექმნა, და აწ სრინანულისა შედეგომა რასაღა გვარგებს და ანუ რა ვჰყოთო!“

აქა დილარ მძლეველმან მეინვართა მეფის ძეს და თვით მეფეს ნუშრევანს პასუხი მიუგო, ესრეთ:

რა ნუშრევანმან იგი სიტყვანი დაასრულნა, უბრძანა დილარმან: „ძმაო, მაგა საქმესა ზედა რასა იურვი, ბედი ჩემი

ესრეთ მექადის, რომე შემდგომთა დროთათვის კეთილსა არლა მოველი, მე ამა არეთა მოშორვება არა ძალ-მიძს, შენ ქვეყანასა შენსა ეპატრონე და საწადელსა შენსა ზედა ჰსუფევდე, მე ერთი ოდენ აბა(!) მეყოფის, მას შევიმოსავ და დღეთა ჩემთა ამა გოდლისა ჭვრეტასა შინა დავასრულებ. ნუშრევან, ესე არს, სადაცა ველოდი შენგან სიყვარულისა ჩემისა დათმობასა, ჯაბანთა კაცთა თანა ყოლასა, ველურთა მკეცთა თანა სიარული ჰსჯობს! ესე არს, სადა ვსასოებდი შიშისა შენისა გამოჩინებასა, რად არა ვიცოდი, რომე ესრეთსა უცხოსა ქვეყანასა შინა დამიტევებდი შენითა ჯაბნობითა! გარნა, ნუშრევან, ესე ოდენ მიბრძანე, სადა, გლახ, განერინები ბრძოლასა? ეგერა, გზასა წინარე შეგხვდებიან ძლიერნი იგი მომავალნი კელმწიფენი და აქათ გაქცეულსა პასუხსა იგინი მოგაგებენ ყე! ნუშრევან, გული შენი საჩემოსა კეთილსა არა განიზრახავს ლაფლობითა! თუ არა, თუმცა მათ მეომართაცა განეპარო, თვით დასა ჩემსა, გულნაზ დედოფალსა, ვითა იხილავ და რასა ჰამბავსა მოახსენებ? ამას ოდენ ჰკადრება? „ძმა შენი დილარ, მიჯნურობისაგან გულ-წართმეული, ურიცხვთა გმირთა წინაშე დაუტევე და მე, შიშითა გამოქცეული, მოველო?“ მაშინ ამო იქმნების სიცოცხლე, რა მისგან ეგე ვითარისა მახარობლობისათვის განიძო, თვისისა მტილისა ვარდი არლა გაკრიფოს და, მისგან შერისხული, შეზავებისათვის მევე მეძებდე! ნუშრევან, მე შენისა მკურნალობისათვის არლარა ვმოვალეობ, თვით თავი ჩემი შემქმნია სამკურნალოდ! წარვედ და ნაცვალი მოგეგებისო!“ ესე გვარითა უბნობითა დილარისა გული მცირედ სურვილისა ცეცხლსა მიერიდა, მოთმინებისა ალმაგი შთაიცვა და კელობასა მძლე ექმნა. პურისა დაგება ინება, და უბრძანა ნუშრევანს: „ძმაო, რაზომცა მიისწრაფი, ვიცი, მოვედ, ღვინო ვსვათ და გზასა შენსა შეუდეგო.“ აღჰსდგა ნუშრევან და მოახსენა: „დიდო კელმწიფეო, თქვენმან მზემან, არლა ლალობა არს, ესრეთ შემაშინეთ ჩემისა გულნაზისა დაქადებითა, რომე ცნობასა არლა ვარ, ნუ

თუ რა მიხრიკო და ჩემი სჯბეზლარი წიგნი მისწეროთ." ნუშრევანისა სიტყვასა ზედა განმხიარულდა დილარ და უბრძანა: „დასტურ შეგასმენ, რად არა იციო, და, უკეთუ მწარე არს საყვარელისა განჰრისხება, თვით რად მოიგონე? რაცა თავისა შენისათვის გიმძიმდეს, სხუათათვის ნუ ადვლ გიჩნსო!" კელი მოჰკიდა, გვერდსა დაისვა და პურობასა კელი მიჰყვეს, ღვინის სმასა შევიდნენ და საყვარლად ჰლაღობდეს. მაშინ მოაგონდა დილარს იგი შეპყრობილნი სპასალარნი, და უბრძანა დასტაქართა განკურნება მათი, და ერთსა სწორსა ზედა ესრეთ განჰკურნეს, რომე სრულად არღა ეტყობოდათ მათრახითა დალეწილ-დაპობილობა.

აქა წინაშე დილარ მძლეველისა ზეფირის მონისა მოსლვა და დაბარება ზეფირისაგან დილარისა.

დღესა ერთსა ნადიმად ვსხედით და მოვიდა იგივე მონა, რომელიცა ძოლან მოვიდა, თაყვანი-ჰსცა დილარს და მოახსენა: „ყოველთა მეფეთა ზედა მეფეო და ძლიერო კელმწიფეო, მეოთხესა ცასა ზედა დიდისა მის მთიებისა უბრწყინვალესისა მნათობისა და კელმწიფებითა ცხრად ცადმდე საჩინოჲსა, ათხუთმეტისა წლითა შემკობილისა კელმწიფისა ჩვენისა ასულისა და თვით კელმწიფასა უნაზესსა ბრძანებასა გიცხადებსთ მისგან მოწყალებით შიმუნვარობისა ღირს-ქმნილი, თანა ზრდილი მისი და მოლარეობისა პატივსა აღწევნილი, თანა მეინახე მათი დიდებულისა ასული ზეფირ, რათა სპასალარნი იგი, კადნიერებითა მათითა დიდსა ორგულებასა შეცვივნულნი, თქვენითა ძლიერებითა შეპყრობილნი, მიეცნენ დასჯასა, ვითარ იგი აქვს ბრძანება ზეფირს, რომელსაცა პირის-პირ ეგულების გამოცხადება თქვენთანა ჟამსა ამას და გთხოვსთ, რათა ინებოთ მობრძანება ადგილსა მას, სადაცა უბრძანებია ჩემდა ზეფირს." რა მონამან დილარს ბრძანება იგი გამოუცხადა,

სიხარულმან გულსა მისსა ათასი შვება შეიღო, ღაწვისა ფერნი გაულალდეს, ბაგეთა ზედა ვარდნი გარდაეშალნეს და ორთა მბზინავთა მერცხალთა ლამაზად ქიკქიკი შეჰქმნეს, ვეფხისა სიკისკისე მუხლთა მიეცნეს და შავარდნისა ფრთენი მკართა მოეხსნეს. აღსდგა და მონასა მას შეუდგა.

აქა დილარ მძლეველისა წარსლვა შეიძრისა სახილველად გოდლისა ბაღსა შინა, შეყრა მათი და დილარისაგან მრავალ-გვარად ვედრება შემწეობისათვის.

შივიდნენ მის ბურჯისა ძირსა, სადა მზე იგი განისვენებდა, იყო წალკოტი შემკობილი ძვირფასისა კელოვნებითა. შეუძღვა მონა იგი და ხეთა შვენიერთა ძირსა დაადგინა. თუმცა წალკოტისა მის ხილვა ღირსი ხსოვნისა იყო, გარნა დილარის გული სხვა გვარ ჰკრთებოდა და სამათოდ არა ჰსცალდა. ბაღსა მას გოდლისა მის გარე ევლო ზღუდე მრავალ ფერთა სპეკალთაგან შენებული და გოდლითაცა აქვნდა კარი შესავალი. მოწამან გარე შესავალი კარი დაჰკეტა და თვით გოდლის კარით შევიდა და აცნობა ზეფირს დილარისა მოსლვაჲ ბაღსა შინა, ესრეთ:

შაირი

ვინ სიტყვიერად შეგამკოს, მას ქება ემრავლებიან,
ცის კამარათა მნათობნი ვის ტრფობით გემონებიან,
აჰა, ბრძანება სრულ იქმნა, ჰყავს; რაცა გენებებიან;
წალკოტსა გელის ლომ-გული მარტოდ, არავინ ჰხლებიან!
ვითა ვარდსა ყინვით დაზრულს, მზისა შუქი ენატრების,
ანუ მტილსა ნაგვალევსა ცისა ცვარი ესწრაფების,
ბრმას ნათელი თუ ეღირსა, განჰსცოცხლდების, განახლდების,
ეგრეთ დილარს ხილვა თქვენი ეწადების, ესურვების!

დილარ, განკვრვებული, ჰსთხოვდა განგებასა და ევედრე-ბოდა ესრეთ: „ეჰა, განგებაო, მოეც სიმტკიცე გულსა ჩემსა და ბაღი ესე შეჰქმენ ჩემდა სიხარულისა მომცემად, ხენი ესე, მრავალ სუნნელად მაჩრდილებელნი, ჰყავ დამცველად სიცო-ცხლისა ჩემისა, განამტკიცე ძალი ჩემი სურვილსა შინა მხნედ ყოფისათვისაო." რა დილარ სუნნელთა მათ ხეთა ძირსა გან-გებასა ესრეთ ეაჯებოდა, იხილა ჰმსგავსი ვინმე მთოვარისა მომავალი, რომლისა პირისა სხივნი ბაღსა მას სრულად ანა-თლებდეს! კენარისა სლვითა, ვითა ელვა, ერხეოდა და წალ-კოტისა მის მრავალგვართა ყვავილთა ფეროვნებანი მისგან დაიჩაგრებოდეს! დილარ, ჭაბუკობისა ცეცხლითა ატყინებუ-ლი, ოცნებასა რასამე აჰმსგავსებდა, მას ჰსჭვრეტდა და მომა-ვალობასა მისსა ზედა განცვფრდებოდა, იტყოდა გულსა შინა თვისსა: „რომელსა ქვეყანასა ესე ვითარნი მნათობნი იზრდე-ბიან, სამართლად მზისა ქალაქი უწოდებიათო!" დილარ ელ-ვარებათა მისთა თვალთა მიდამო აფარებდა და არა იცოდა, რა ექმნა. იგი უებრო, ვითა წალკოტისა მის ახალ რტო კი-ნამოსი, ეგრეთ უსაწადელესისა რხევითა წარმოჰსდგა, ფეროვ-ნებითა ვარდისა უმჯობესნი ბაგენი შეჰსძრნა, მოლაღურისა ჰმსგავსი ენა აუბნა და ნაზისა სიტყვითა დილარ მოიკითხა და მუნ მისლვისა და გარჯისათვის ეთურმანებოდა და განსხვავე-ბულისა სამაგალითოსა ზრდილობითა სიტყვასა თანა მოძრა-ობდა. დილარ, მისისა ეგე ვითარობისათვის ცნობასა ასითა ეჯითა გაცილებული, ვითარ ერთი ჟამი უკმოდ მას შეჰს-ჭვრეტდა და თვისისა ზრდილობისა ჩარხნი დაშლოდეს. ზე-ფირმან ყოველივე იცოდა, დილარისა გული მიჯნურობასა ვითაცა გაეტეხა და ამად უფრორე ჰფარვიდა ტკბილითა უბ-ნობითა მისსა უუბრობასა. რა დილარმან ეგრეთ ტკბილად მოუბარი და სათვისოსა მლმობელობითა აღვსილი იხილა, მოეგო გონებასა და ჰსცნა, რომე თჳსსა მოხსენებულსა იგი მთიები მიიღებდა.

აქა დილარ მძლეველისაგან ზეფირის გასაუბრება ბაღს შინა ჭირველი.

მდაბლად, ქვე მიწადმდე დავრდომით, მიუსალამა და ცრემლთა მომჩქეფრებელმან მოახსენა: „მთოვარეო, ბედისაგან განწირულისა კაცისა შეწევნასა მართალსა ცასა დაამდლებენ! მე სიყვარულისა ცეცხლითა დამწვარ ვარ და ჩემისა შეწევნისა იადონი შენსა წიაღსა განისვენებს, სიცოცხლისა ჩემისა სადავე კელთა გიპყრია, სვესა ჩემსა ესე წყალობა მოუნიჭებია, რომე ამა არესა მოუწევივარ და შენსა სოფარველსა თავი ჩემი შემოუტანია, მე სხვად აღარა მცალს, ჟამი ჩემი მუნამდე სანატრელ არს, ვიდრემდის შვენიერებასა შენსა ვახლავარ; მე შენსა შეწევნასა ვმოიმედეობ; ტინსა კლდესა სასმენელი და სასიტყველი აქვნდეს, მიჯნურისა შებრალებასა იგიცა ილაღადებს; ხენი ესე მოწამე არიან გულისა ჩემისა კრთომასა ზედა და გევედრები, ესრეთსა ჟამსა შინა ულმობელობასა ნუ იხმარებ, უნაზესი გული შენი ჩემთვის განამტკიცე, ცრემლნი ესე ჩემნი შეიწყალენ, გოდებისა ჩემისათვის ილმობდე, სიკუდილსა ნუ მომისწრაფებ! საიედგაროსა წიგნსა შინა შთამიწერია შენდა მონებისა ჩემისა საუკუნოებაჲ, შენისა მონებისაგან ნუ განმაძებ, ამა წალკოტსა შინა ერთისა ხისა ძირსა ადგილი მიბოძე, რათა დღენი ჩემნი სიმწარით აქა დავასრულო, გულის შინათა ჩემთა გამოცხადებისათვის ნუ შემრისხავ. არლა იგი დილარ ვარ, რომლისა ბრჭალსა კელმწიფენი და მეფენი ჰმონებდეს და რისხვასა ჩემსა უძრწოდეს, არლა იგი დილარ ვარ, რომელიცა მოედნისა შუაგულობასა ასო-ათასთა გმირთაგან ლახტისა ცემასა არად შევჰრაცხდი და, რაჲცა მენება, მასცა ვიქმოდი. აჰა, მიჯნურობამან ესრეთ გამტეხა, რომე მაგა ტკბილთა ბაგეთაგან ჩემსა მოხსენებულსა ზედა უარსა ვერღა გაუძლებ და შერისხვა შენი სიცოცხლესა მიმიღებს. თავსა ზედა ჩემსა კელმწიფება გაქვს და გული ჩემი გიძრწის! ვითარითაცა მონებითა გნებავს, მიმონე, ცრემლნი

ჩემნი შენზედა ტკბილად მხედსა კელმწიფასა წარუდგინე, ქირნი ესე ჩემნი მას განუცხადენ, ნუ თუ შენითა მეოხებითა შევჰბრალდე და მისგან მოღებული სახმილი მცირედრე დამიშრიტოს და სული ჩემი გვამსავე ჩემსა მიბრუნოსო."

აქა ზეფირისაგან პასუხის მიგება დილარისა და უკმოქცევა ტურფისა მის წალკოტით დილარისაგან.

რა დილარ მძლეველმან მრავლითა ცრემლითა ესე სიტყვანი ზეფირს მოახსენნა, მან, ვითა ქაჯთა მბრძანებელმან და კეკლუცთა თავმან, მინაზებით გაიღიმა და დილარს მოახსენა: „კელმწიფეო, თუმცა შენისა ძლიერებისა და სიბრძნისა სახელი ცასა ზედა აღწერილ არს, გარნა ჯერეთცა ყრმობისა ჟამი გაქვს და მისგან გალაღებული არღა განმრჩეველობ, თუ ვითარ შეუძლებელსა საქმესა მენუკვი. კელმწიფეო, განიხილე, ბრძნულითა გონებითა გაბჭე და მაშინ ჰსცნობ, რასაცა მიბრძანებ. ნუ თუ, კელმწიფეო, ამა საუდიდებულესსა წალკოტსა შემოსლვითა თავი გაგიიაღონებია და განურჩევლობითა თვალნი შენნი გაცთუნებენ; რად სიმართლით არა მიმოიხილავ, რომე ესებრსა წალკოტსა მისებრი ვარდი არა იპოების. ყრმაო, ახალ მოყმეო, ესრეთ მსწრაფლად რომე ინატრი მის მზისა სიახლესა, რად ყრმობა შენი არა გეწყალვის და შენისა უნივთოსა ცეცხლითა დაწვისათვის რად მეაჯები? თუმცა სანეტარო არს ეგე ჭაბუკობისა ჟამი, რომელსაცა შინა აწ ჰგებთ თქვენ, გარნა სურვილისაგან დაძაბუნება იცის ფრიადმან და სწორესა გზისაგან გარდაბიჯება. კელმწიფეო, პირველსავე ხილვასა შინა ესრეთ რა შეგცოდე, რომე ჩემისა სიკვდილისა წავარნასა ზედა შეყენებასა მიპირებ? მე არა რაჲსა მოხსენება ძალ-მიძს, უკეთუ თვით მოწყალებით არა ინებებს კითხვასა მკევლისა თვისისასა. ეგე აღტეხილება გულისა დაიმდოვრე და ესეცა იცოდე, ვიდრემდის თვით თვა-

ლითა თვისითა არა განიცდის ამა მოედანსა ზედა თქვენგან თვისისა ერთგულებისათვის მრავალთა საგულოვნოთა საქმეთა აღსრულებულსა, მუნაღმდე ხორციელსა არა ძალ-უძს სათქვენოსა სიტყვისა მოხსენება, და მაშინ რასაცა ინებებს იგი, თვით უწყის. კელმწიფეო, აწ ჟამსა ამას ესე არს ბრძანება მისი, რათა მათ ორგულთა სპასალართა, შიშვეულთა ტანთა ზედა ათას-ათასი ფიცხელი ამუდა აკვრევინო, ციხეთა და ქალაქთა კლიტენი ჩამოართვა და ერთგულთა შენთა მიაბარო. დიდი არს შემოსავალი მათი და ჯიბის ხარჯად გიბოძა პირველსა ამას სამსახურსა ზედა. არა თუ მათ სპასალართა იყო ქვეყანა იგი, არამედ ესე ხუთი წელიწადი არს, რა საუფლისწულოსა თვისისაგან უბოძა თვითოსა თვითო სამეფო, რათა ერთგულად ემსახურათ და ნაცვლად ერთგულებისა, ეგე ვითარსა ორგულებასა შევიდნენ, ვითარიცა გსმენიათ თქვენ. მათნი სამკვიდრონი მათდავე ჰრჩებიან და თვისნი ხვედრნი სამი სამეფო ქვეყანა თქვენ გიბოძა სამსახურისა თქვენისათვის და სხვასა დროსა, რაჲსაცა განიზრახავს თქვენთვის, იგი თვით მნებებელია. აწ, კელმწიფეო, ნურღა ჰყოვნით, ბრძანებული თქვენდა მსწრაფლად აღასრულეთო!“

აქა კვალად ვედრება დილარ მძლევლისა ზეფირისა წინაშე ცრემლითა ხშირითა.

Დილარ მძლეველმან რა მის მნათობისა ზეფირისაგან ეგე ვითარნი სიტყვანი მოისმინა, კვლავე ჰმატა ცრემლთა ცვარნი და მუხლ-დადგმით მოახსენა: „ჵე, ჩემთვის სიცოცხლისა უმჯობესო, ამა ადგილით ნუ განმაძებ, ესე ჩემთვის ყოველსა წყალობასა უმჯობესიაო.“ მრავლისა ვედრებით კელი გამოართვა და გულ-ამოსკვნილი ტირილით ჰკოცნიდა მოხსენებულისა თვისისა აღსრულებისათვის, და ზეფირ მასზედა უწყალოებდა და ზედა-ზედ ეტყოდა: „წარვედ, ბრძანებული შენ-

და ალასრულეო.“ დილარ, სურვილისა მიერ მილეული, გამობრუნდა ზეფირისაგან გამცუდებელი თხოვისა თვისისა. მისსა უმაგალითოსა შვენიერებასა ზედა ჰკვირობდა და იტყოდა: „უცილოდ, ზეცით გარდამოსრული მუზი არს, და არა კოკციელიო!“ სლვასა შინა მუხლნი ედრიცებოდეს, გარნა თავსა იმედსა უდებდა და იტყოდა: „გულო ჩემო, აწითგან გმართებს გამაგრება მისისა მოწყალებისა მიხედვითა, მით რომე მზე იგი შენთვის ჰნათობსო.“ ესე ვითარითა საგონებელითა განიმხიარულა გული თვისი დილარმან და მოვიდა მეფეთა თანა, იგინი წინა მიეგებნეს და მისისა მხიარულებისათვის განგებასა ჰმადლობდეს. გარნა ნუშრევანმან ჰრქვა მეფეთა მათ: „ძმანო ჩემნო, ვიცი, კელმწიფე ესე ჩვენ არდა გვაღირსებს სიტყვასა, თვისისა საყვარელისა ხილვასა ესრეთ გაუამაყებია, და არცა თვისსა ჰამბავსა გვიბრძანებსო.“ დილარს ნუშრევანისა სიტყვასა ზედა გაეცინა, და უბრძანა: „აჰა, მესისხლეო, კაცთა სიკუდილი და დაჰსჯა შენდა სიხარული არს, და, ჩემსა მზესა, მიიყვანენ იგი საბრალონი სპასალარნი მაგა გოდლისა ძირსა და ათას-ათასნი ფიცხელი ამუდა შიშველსა ტანსა ზედა აკვრევინე. ესე არს ბრძანება ზეფირისაო.“

აქა დილარ მძლევლმან მზისა ქალაქისა კელმწიფესა სპასალართათვის ათას-ათასი ამუდა აკვრევინა, ციხეთა და ქალაქთა კლიტენი ნამთართვა და თვისნი ერთგულნი წარგზავნნა მათ ქვეყანათა შინა თვისად სამსასყროდ.

ნუშრევან მეტყემან უბედურნი იგი სპასალარნი, დაკრულნი, წარაყვანინა მის გოდლისა წინარე, სადა კელმწიფა იგი მზეებრ ჰნათობდა. ბრძანებული იგი ალასრულა, იგი საბრალონი მცველთა ქვეშე შეაყენა და უბრძანა დასტაქართა მათთა ნაგვემთა წყლულთა მოვლა. მოაღებინა დილარმან ყოველთა ციხეთა და ქალაქთა გასაღებნი და წარავლინნა

თვითოსა სასპასალაროსა ქვეყანასა შინა. თვითოჲსა მეფისა ყმანი ათ-ათნი და ერთსაცა შინა თვისნი ათნი მოყმენი, და უბრძანა მათ ქვეყანათა შინა შესლვაჲ, ციხეთა და ქალაქთა დაპყრობაჲ და მიცემა ბრძანებისა მათ ქვეყანათა ერთა და დიდებულთა, რათა მოვიდნენ ყოვლითა მეფობისა წესითა, განწყობილნი ხარჯითა და წარსაგებელითა და მსახურონ თვის-თვისთა ხვედრთა მეფეთა.“ იგი ბრძანებისა მორჩილნი წარვიდნენ, და თვით დილარ და მეფენი მიეცნენ პურობასა და ნადიმსა.

აქა მოსლვა ოთხთა სასპასალაროთა ქვეყანათაგან ერთა, დიდებულთა, ჩინებულთა და პატივ-ცემულთა გუამთა წინაშე დილარ მძლეველისა ყოვლისა სახელმწიფოსა წესითა და განსაგებელითა.

რა ორი სწორი შესრულდა, იწყეს ოთხთა მათ სამთავროთაგან ერთა და დიდებულთა მოსლვა დიდითა დიდებითა; თაყვანი-ჰსცემდიან დილარ მძლეველსა და მოულოცვდიან თავთა თვისთა ზედა პატრონობასა და, ვითაცა ბრძანება მიეღოთ, ეგრეთ მოუდგნიან თვისთა ხვედრთა მეფეთა და ჰსლვნობდიან მრავალთა ძვირფასთა ნივთთა. განმრავლდა ჩადრ-კარავნი უცხო ფერთა და საკვრველთა ოქრო-ქსოვილთა ლართაგან მის მოედნისა კიდესა ზედა, და მიერითგან ყოველივე საგანმგეო ხარჯი ჩვენი მათგან იყო, და ესრეთ დიდებულითა გამოჩვენებითა გვხვდებოდნენ, რომე თვითოთა სასპასპეტოთა განგება დიდთა მეფეთა განგებასა მრავლად უმეტეს-უპჯობესობდა. ყოველთა დღეთა სხვა-და-სხვანი საკლავნი, ნადირნი და მფრინველნი ეგეოდენნი მოაქვნდათ, რომე ასთა ეგეოდენთა ერთა ეკმაოდენ. ურჩეულესისა ღვინისა სიმრავლე არა შეიგებოდა. კვლა მოიღეს მეფეთათვის საჭურჭლენი მრავალნი და ჰმსახურებდენ ყოვლითა კრძალულებითა და სიყვარულითა; მოართვეს ყოველნი გასაღებნი და კლიტენი ციხეთა,

ქალაქთა და სიმაგრეთანი დილარს და ყოველთა მუნ დებულთა საჭურჭლეთა რიცხვნი და დაამონნეს თავნი თვისნი. გარნა, თავმან თქვენმან, ერთა მათ სიმრავლე, შვენიერება და ზრდილობა კაცისა გონებით არა მიიწთომოდა; ჩვენ ჭვრეტა მათი და უზადოება სახისა თუ აღნაგისა დიდსა განკვირვებასა შეგვიყვანდა და ეჭვიცა გვქონდა, რომე კნინღა კორციელსა არა ჰგვანდეს. მათ მათითა მით კეთილ-ზრდილობითითა ქცევითა და მასპინძლობითა ესრეთ დაგვავიწყეს სახლნი ჩვენნი, რომე მუნ შობილად გვეგონნეს თავნი ჩვენ ყოველთა. თუმცა დილარს ემძიმებოდა თვისისა სურვილისა მიუწთომელობა ეგეოდენთა ჟამთა, გარნა იგიცა მათ ერთა კეთილობითა ითმენდა თვისისა საგანისა მიუხვედრობასა, და ერთ კერძოცა ებრალოდა იგი სვისა მიერ განწირულნი სპასალარნი. ყოველსა ჟამსა მოელოდა ზეფირისა მონასა და ელოდა მისსავე შემწეობითა სპასალართა გამოხსნასა. დღესა ერთსა პურობა შესრულებულ იყო და ნადიმად ვსხედით.

აქა ნადიმსა ზედა წინაშე დილარ მძლეველისა ზეფირისა მონისა მოსვლა დილარისა დაბარებისათვის და დილარ მძლეველისა წარსვლა მასა ტურფასა წალკოტსა შინა.

კვლა მოვიდა იგივე ძლიერ მოსრული მონა, თაყვანი-სცა დილარს და ყურსა სიტყვა რაიმე მოახსენა. დილარმან რა მონისაგან სიტყვა იგი მოისმინა, მსწრაფლად მონა იგი გაისტუმრა და თვითცა მწუხრის სახელისა მომსლვისა ჟამსა წარვიდა ბაღსა მას, სადაცა დაბარებული იყო ზეფირისაგან. მონამ იგი ბაღისა მის კარსა მოეგება, მოხარულმან შეიყვანა დილარ და ტურფათა მათ ხესთა მანუგეშებელთა ქვეშე ძირსა დასხდა და მოელოდა შვენიერებითა ავსილსა მას სიტყვიერებისა წალკოტსა მრავალ სურნელსა და ამას განიზრახვიდა, თუ რომელითა საქმითა მოელმობიერებინა გული ნაზისა მის,

რათა იგი მოსწრაფე ყოფილიყო შემწეობისათვის მისისა. ამა საქმისათვის თავსა თვისსა გაებჭოდა და იტყოდა: „ცე, განგებაო, შენგან ვსასოებ საწადელისა ჩემისა სრულ-ყოფასა, მით რომე ნუ თუ ვეღირსო ჰსჯულიერითა ქორწინებითა შვილიერებასა და ამით იდიდებოდეს სახელი შენი ნაყოფთაგანცა ჩემთა.“ რა ესე ვითარითა განზრახვითა დილარ თავსა თვისსა გაებჭოდა და ღამისა სახელის-დებისა ჟამიცა მოიწია: მთოვარისა კელმწიფებისა ბავრიყი ცასა ზედა საწადელად განიშალა, ვარსკვლავთა ლაშქარნი ტურფად დაშვენდეს და ქვეყანამან მბრძანებლობა მისი სიამოვნით მიიღო, ხეთა, ფოთოლთა და ყვავილთა სიმრავლემან მისნი დამატკბობელნი ცუარნი ალერსით შეიწყნარნა და დილარისა გულსაცა მძაფრითა ალითა შემწვარსა სინოტიე რაიმე ამახარობლა. (ავქსონი.) თუმცა მიჯნური შესაბრალებელი არს, გარნა საბრალო იგი არს, რომელმან არა იცის და არცა გამოუცდია, რავდენნი განცეცხლებულნი მახვილნი მტრფიალთა გულთა განწონვილნი ჰქონან და რავდენნი განმაშმაგებელნი ღელვანი გულთა მათთა აშფოთებენ; ჭამადი მათი არს სატრფიალოთა მათთა თანა გონებითა მიუცილებელობა და სასმელად აქვან ჰამბავთა მათთა მოსმენა. ვისცა გონება აქვს, მიჯნურსა შეიწყალებს და შეწევნასა მათსა ეცდების, მით რომე მრავალნი დიდნი კელმწიფენი მიჯნურებისა ზღვასა შეცურვილან და მაღალნი გონებანი ბადესა მას ესრეთ დაბმულან, რომე მას შინა დამწყვდეულთა სიკუდილი მრჩობლი მიუღიათ. ამისთვის ნუ ვინ განჰკვრდების ტრფიალებასა ზედა, და რომელმანცა მიჯნური იხილოს, ნუ დაჰგმობს და შეწევნასა მისსა ეცადოს. აქა იხილეთ ესეცა: დილარ, რომელსა მრავალნი მეფენი ჰმონებდეს, მოყმეობისა ბურთი ახლად ასპარეზსა გაეგდო, შვენიერებითა მაღლობდა; მკლავთა მისთა ძლიერება, თუ ვსთქვა, ვარსკვლავთაცა ქვე დაჰსცემდა და სიმდიდრისა მისისა მიწთომა რიცხვთა არა ეგებოდა. ესე და ესე ვითარი დილარ ხეთა ძირთა შინა ჭირთა ითმენს, ცრემლნი მოუკლებელად თვალთა

მისთა, ვითა ფისონი, ჰსდიან; მეფენი ბრძანებასა მისსა ეტრფიან და იგი ზეფირისა ხილვისა და თაყვანის-ცემისათვის ფერჴზე დგომით ითმენს ჭირთა მრავალთა ჟამთა და ესრეთ ჰგონიეს, ყოვლისა სოფლისა განსვენება ჩემ შორის იპოებისო. აჰა, სოფლისა ამის პირ-უმტკიცეობა, ძოლან ესე დილარ სხვათა ჭირთაგან გამომხსნელ იყო, და დღეს ჭირსა შიგან მყოფსა არავინ უვის შემბრალებელი. ჰსჯობს, ყოველმან მოკვდავმან განიცადოს საწუთოსა დაუდგრომელობაჲ და ყოველთა მისთა მოქმედებათა განეშოროს, მით რომე არავის მისცემს ერთითა კელითა მხიარულებასა, რომელსა მეორითა არა წაართვას, და არცა ვის აცინებს, რომელსა მყისად ტირილი არა შეუდგინოს. საწუთოსა ამის მიმდევი ბრმასა მას ჰგავს, რომელმან გზისა განურჩევლობითა ჯურღმულსა შინა თავი თვისი შთაიგდო და მოკვდა.

აქა დილარ მძლეველისაგან მის გოდლისა წალკოტსა შინა ზეფირის ხილვა და დილარის ცნობის მიხდა.

Დილარ მარტოდ მყოფი ხეთა ძირსა, მოელოდა თვისსა განმამხიარულებელსა ზეფირს და იხილაცა სასურველი თვისი, მისდამო მიმავალი. (ავქსონი) ვისცა ბედი მიხედავს, ადრითვე თვისსა ჩარხსა მას ზედა ტკბილად დააბრუნებს. ზეფირ უნაზესითა რხევითა მოვიდა და აქეთ სურვილისაგან ტყვე ქმნილი დილარ წინა მიეგება, ერთი-ერთსა მიუსალამეს; დილარმან, ვითა მონამან, კრძალვით კელი ჰსთხოვა და ზეფირმან მას გამოართვა, ურთიერთს კელსა აკოცეს და ზეფირმან მოახსენა: „კელმწიფეო, ნუ თუ გაამაყდე, ეგე ბედნიერება ბაგეთა შენთა ამად მიიღეს, რომე დღეს ღირს იქმენ ყოვლისა მზისა ქვეყანისა განმგეობასა, მით რომე ვინათგან ეკრძალვი სატრფიალოსა შენისა ბრძანებასა და ნებისა მისისა აღმასრულებელი ხარ, ამისთვის ინება, რათა ყოველი საბრძანებელი

მისი გმორჩილებდეს, ვითაცა პატრონსა თვისსა, და, რაჲცა გენებოს, მასცა იქმოდე, თვინიერ ამა ერთისა გვირგვინოსანისა ქალაქისა, სადაცა მზე იგი მზეობს, ყოველსა კერძოსა ზედა მისწერა ბრძანება სპასალართა, ვაზირთა და მოხელეთა და ყოველთა განმგეთა ქვეყანისათა, რათა ხახლნენ უდიდებულესობასა თქვენსა და ეტრფოდენ ბრძანებისა თქვენისა აღსრულებასა. ესე ბრძანება შენზედა მბრძანებელისი გამოგიცხადე, და კვალად ესეცა, რომე იგი ოთხნი სასპასპეტონი მიეც მათ შენთანა მყოფთა მეფეთა; და, უკეთუ იგინი არა კმა ეყვნენ, უბოძე სხვანიცა, რაოდენიცა გენებოს, დიდი ესე ქვეყანა შენდა მოუნიჭებია, გაეც, და რაჲცა გენებოს, მასცა იქმოდეო. ამიერითგან მოვლენან სასამსახუროდ თქვენდა მოხუცებული ვაზირი ჯანუჯან, სპასალარნი და ყოველნივე დიდებულნი, და ესრეთ განატარე ჟამნი მხიარულებითა, პურობითა და ნადიმობითაო. ესე არს ბრძანება, და აწ მსწრაფლად მიიქეც ამა წალკოტით, რათა თვალნი შენნი არა შეაცთუნონ სინაზითთა ჩემთა უბნობითაო.“ დილარისა სასმენელთა რა ზეფირისა მიერ ესე მოისმინეს, რომე მსწრაფლად წარვედო, ვერღა მოითმინა, კვამლი სურვილისა გულსა მოეხვია, თვალნი დაუბნელდენ და, ვითა უსულო, ქუე დაეცა.

აქა სურვილისა მიერ ცნობა მიხდილს დილარს მძლეველსა მის მნათობთა მოწუნარისა ზეფირისაგან ტირილი და სინაზით მოთქმა.

ზეფირ განცვფრებული ზე დაჰყურებდა, ცასა კელნი განუპყრნა და მისდამი მვედრებელი დილარისა მობრუნებასა ცდილობდა, თვალთა ზედა ებაგებოდა და ცრემლთა, ვითა მარგარიტსა, გულსა ზედა აპკურებდა; ვითა გვრიტი წყნარითა კმითა, სიტყვითა ზე დაჰგრუტუნებდა, ესრეთ:

ამარული.

შენნი მწყობრნი დასადნი,
გულ-შეწირულ და სადნი,
სადა ჰგებენ? მარტოდ გმზერს თვალი ესე დასადნი!
შენზედ ვხმობდე, და ხედვას,
მიჯობს, ვაკლდე დახედვას!
სულმან განვლო სხეული, მიწას განხრწნად დახედვას!
ბრალდე შენზედ მტირალი,
ვითა შემწვავს მტირალი!
სიკვდილს ველარამ დამხსნას, ქაჯი მხვდეს თუ მტირალი!
ჟამნი მხვდეს უმოსავნი,
წარწყმდეს შენდ უმოსავნი;
შემწედ ვხადი, მეწივნენ ხორცითა უმოსავნი!
შენგან ნატრფიალებსა,
ესმას ნატრფიალებსა,
სამსალებისას შესვავს, იწვის ნატრფიალებსა!
სადა სპა და მხედარნი,
შენდა არ დამხედარნი,
უსულოდ გმზერ, დაბნელდეს ჩემთვის დღე და მხედარნი!
მსდუნნი, გლახ, თმენანი,
გაქვნდა მწირს არ თმენანი,
დრო გხვდა მხიარულების, აწ ჰყავ უტყუად თმენანი!

ჰეჲ, კელმწიფეო, გულ-ლომო და მკლავ ძლიერო, თუმცა ჟამი ყრმობისა ეგე ვითარად გეკამათება, გარნა ესეცა მოგხსენებია, რომე მე უფროჲ ახალ ყვავილოვნება მაქვს სოფელსა შინა; აწ, ჯერეთ ვარდმან განუშლელმან ესრეთ რა გაწყინე! იცი, ბუნება ჩვენი ვით უძლურიარს, და ჩემისა სიკუდილისათვის რად მოსწრაფეობ? მე ყოველო მზისა ქვეყანა მოგართვი და ნაცვლად სამახარობლოსა სიცოცხლეს ბაკით

გაგყავარ! მეფეო მეფეთაო, შემიწყალე! უკეთუ მან, მეცხრესა ცასა ზედა აღცისკამარებულმან, ესე ჰსცნას, რომე ზეფირის მოხსენებულსა ზედა დილარს, სახელ შვენიერსა, ცნობა მიხდიაო, მე უბედურსა, ამას არღა გამიკითხავს და განძვნებულთა ძაღლთა კბილითა კორცთა ჩემთა შეაჭმევს! კელმწიფეო, ესეოდენ შემიბრალე, რომე ცნობას მოეგე, მწარისა სიკვდილისაგან გამომიხსენ და, თავმან მისმან, რომლისა სიყვარული გულსა ეგრეთ გიალებს, რაჲცა გინა, შენისა სამსახურისათვის ტკბილსა სულსა გავჰსწირავ და დღეთა შინა ჩემთა შენისა სიამოვნისაგან კიდე არა რასა ვიმოქმედებ; რაჲცა ინებო, უარი არღარასა ზედა მოგახსენო.“ ზეფირ ცხელითა ცრემლითა ზე დასტიროდა და შიშისა ზარი ათრთოლებდა, ეკონებოდა თვალთა და ბაგეთა; ერთითა თვალითა გოდლისა ლანძვთა კერძო იყურებოდა და ერთითა დილარს დაჰყურებდა, ზედა ცრემლთა დააყრიდა, ჰგოდებდა და იტყოდა: „ვაჲ, უბედურო ზეფირ, რად დაჰკარგენ ჟამნი იგი შენისა შიმუნვარობისანი, რომლისათვს ყოვლისა ქვეყანისა განდიდებულნი კელმწიფენი ჰნატვრით ყელსა გარდიგდებდეს და შენისა ერთისა ოდენ კმისა გაცემისათვის თავთა თვისთა შეგჰსწირვიდეს! ვაჲ, უბედურო ზეფირ, აწ განემზადე, რომე ნათელთა და ჩჩვილთა კორცთა შენთა, შენისა კელმწიფასა რისხვითა, მძვინვარენი ძაღლნი განგლეჯით შეჰსჭამენ! ვაჲ, უბედურო ზეფირ, რად არა განეკრძალე მოწყალებით ამა ადგილისა ღირს ყოფასა! არა მრავალ-გზის გიბრძანებდაა, რომე „დილარ მძლეველი, შვენიერი მოყმე ჭაბუკი, ჩემითა ბრძანებითა და სიყვარულითა მოსრული, გზათა ზედა მრავალთა ჭირთა შესრული არს, ბრძოლანი ძლიერნი გარდაუხდიან და ამად მმართებს მეცა, ჩემთვის შრომა შემთხვეულსა ტკბილად განუსვენოო.“ უბედურო ზეფირ, მრავალ-გზის გიბრძანებდა კელმწიფა იგი შენი, რომე „აქამომდე სული ჩემი ამაშეთსა ჰბრწყინვიდა და მე აქა უსულოდ ვჰგებდი, და აწ დილარს სული ჩემი თანა მოჰყვა, მე მოსლვითა მისითა ცხოველობასა

მივეცი და ესე ვითარისა მკურნალისა ამოდ დახვედრა და შექცევა სამართალი არს.“ უბედურო ზეფირ, უკეთუ სიტყვით ბრძანებულმან მისმან ვერა დაგარწმუნა, რად საქმეთა არა ერწმუნე, რომე ძლიერი საკელმწიფო თვისი ბრჭალსა მისსა დაუმორჩილა! უბედურო ზეფირ, ამას ჟამსა რა დილარისა დაბარება გიბრძანა, არა ესეცა თანა დაურთო! რომე „მშვიდობიანისა ქცევითა მიეგებე და ტკბილითა სიტყვითა, ჩემგან ჩემი ქვეყანა, მისდა შეძლვნობილი, მირთმევით მიულოცე!“ უბედურო ზეფირ, აწ რაჲმე გეგულების სიტყვად, რომე ესე ვითარისა კელმწიფისა მკვლელი შეიქმენ, რომელსა ცისა სფეროსა ქვეშ მყოფნი შიშით თაყვანის-ჰსცემენ! უბედურო ზეფირ, რომლისა მათრახსა გმირნი დაემორჩილებოდეს, რად ცრემლითა მისთა შენ არა შეილმობდი? რად ახალ მოყმეობასა მისსა შენსა შემწეობასა არა ასახმარებდი? ნუ უკუე შენთანაცა გულისა გამხიარულებაჲ ენება, რად შვენიერება მისი, ეგდენ ჟამ ხეთა ქვეშე მდგომი, არა განიკითხე? უბედურო ზეფირ, გიჯობს, ამა კაროკოვანთა ხეთა ძირსა სული შენი თანაუტეო და დილარისა სულსა წინა წარუსწრო! დილარ, პოროფიროვანთა გვირგვინო, მტერთა შემაძრწუნებელო და მოყვარეთა სიხარულო, ლახვენ უშვენიერესნი ეგე გუგანი და იხილე მხევალი შენი ზეფირ, მოუკლებელისა ცრემლითა მგოდები! მიბრძანე სიტყვა და, რაჲცა გნებავს, ყოველივე აღვასრულო! გავჰსწირო სიცოცხლე ჩემი და მოვვილო ნებასა შენისა სატრფიალოისა მიერ შენგან ხილვისა.“ ზეფირ, უმშვენიერესი იგი ბორციელი მნათობი, ესე ვითარითა სიტყვითა დილარ მძლეველსა ზე დაჰსტიროდა და ცრემლითა უხვებით გულსა დაალბობდა. ზეფირისა თვალთა მდინარე დილარისა სიცოცხლესა მწე ექმნა და სავაებრითა მათ სიტყვათა მისისა გულისა კარნი შეაწყნა, თუმცა იდვა სურვილისა მიერ მოკლეული თვალ-დახუჭული დილარ, გარნა სიტყვანი ზეფირისანი დაუფარავად ესმოდეს.

აქა ზეფირისა სიტყვათა ზედა დილარ მძლევლისა მობრუნება და უბნობა მათი.

ვითა მთვრალი სპილო, დილარ ეგრეთ შეიძრა, თვალნი ალახვნა, და რა ზეფირ ეგრე ცრემლ მოხშირებული იხილა, შეჰბრალდა; მკლავნი გარდახვივა, მკერდსა მიიკრა, ცრემლიანნი თვალნი ხშირად დაჰკოცნა, და აჰა, მიხვდა შვენიერი ქურციკი ლომსა, რომლისა გამოხსნა ძნელ საგონებელი იყო! ტკბილსა წყაროსა ზედა გაბანვით გალამაზებული თურაჯი მწყაზარმან ქორმან ბრჭალსა შეიღო და განმათავისუფლებელი მისი არავინ სადა ჰსჩნდა! დილარმან ზეფირისა წიაღთაგან სუნნელებითა საგრძნობელთა თვისთა ძალისა მატება ჰგრძნო, ჭაბუკობისა სახმილი ემატა და მის უბრყვილოსა მთიებისაგან დაშრეტა განუგულსაკრველი მიჰყო, ტკბილსა ალერსსა შევიდა და უბნობა დაუწყო: „ოჰ, სულისა ჩემისა მეორედ შთამდგმელო, ღმერთისაგან მონებისა შენისა სახჩვი(!) ქედსა ჩემსა არა მივაცილო და თავი ჩემი ბრძანებისა შენისა სრულ-ყოფისათვის წარვავგო, ოდენ მიბოძე მე მტკიცე პირი, რომე ძმად შენდა მიმიღო და დობისა შენისა ღირსი გამხადო, ესე ვითარისა ღირსებითა მე სურვილსა ჩემსა მიმამთხვიო და შენ ცადმდე ამაღლებულისა საქმეთა ამისა საუკუნოდ გმონებდე.“ ზეფირ, ვითა შეპყრობილი გვრიტი არწივსა ქვეშე, ეგრეთ გულ-მფრიალებელი მოახსენებდა: „ოჰ, კელმწიფეო, თქვენებრ სახელისა სიმაღლითა გამოჩენებულმან თუმცა ჩემებრ უმანკოსა ტრედსა ჰსძლიოსა, არა რაი საკვირველ არს, და ესე უწყოდე, რომე თუმცა ძალითა თქვენითა ცხრათავე ცათა ზოდიაქონი დაგეპყრა, ამა ღირსებასა ვერა ეწეოდი, გარნა რა ვჰყო, სიკუდილისა ჩემისა შიშმან თავი ჩემი თქვენდა შემომაწირვინა; რასაცა ვითა ინებებთ, ყოველსა ზედა კელმწიფება გაქვსთ; მე თქვენგან უკეთესსა ძმასა ვერსადა ვჰპოვებ! აჰა, დად ჩემთვის გიწოდებთ და, რაცა ჰშვე-

ნის ძმასა, მოყვარულსა დისასა, ეგრეთ ჩემთვისცა იზრუნე, და მე თავი ჩემი შენდა შემომიწირავს." დილარმან იგი მნათობი ყოვლითურთ სათვისოდ მოიზიდა, ურთიერთისა დაძმობითა მტკიცითა კოპარითა დაჰკავშირდენ, და მოიწიაცა ჟამი მათისა განშორებისა. ზეფირმან დილარ წალკოტისა კარსა გამოაცილა, იგი დილარს ევედრებოდა დაუვიწყებლობასა, და დილარ მისისა მოშორებისათვის ჰსდნებოდა. ტკბილად რასმე ერთმანერთსა დაჰკოცნეს და გაიყარნენ. ზეფირ ნაზითა რითმე რხევითა გაემართა, თვისსა საწოლსა შევიდა, ძილითა ამოდ განისვენა, და ოდეს აღჰსდგა, შეიმკო და თვისისა კელმწიფას უსახილველად აღვიდა გოდოლსა მას შინა.

აქა ზეფირისა ხლება მზის ქალაქისა კელმწიფა ანავსიას წინაშე, მისგან დილარის ჯამბის კითხვა და ზეფირისაგან მოხსენება, ვითარცა იტანჯებოდა დილარ.

მიხვდა კელმწიფა იგი თვისი, ტახტსა ზედა სხივ განმრავლებული. ზეფირ ვითარცა ჰშვენოდა, ეგრეთ კრძალვით წარჰსდგა წინაშე ტახტისა, თაყვანი-ჰსცა, ქება შეასხა და დაჰსდგა ადგილსა თვისსა. მან კელმწიფეთა მბრძანებელმან შემოჰხედა ზეფირს და სირინთა უტკბილესითა სიტყვითა უბრძანა: „ზეფირ, დილარ მძლეველისა ჰამბავი, რაცა იცოდე, მომახსენე."

აქა ზეფირისაგან მზის ქალაქისა კელმწიფა ანავსიას წინაშე დილარის ჯამბის მოხსენება და შებრალება მისი.

ზეფირმან ყოველი ყოფილი დილარისა მოახსენა, ვითა ცნობა მიხდოდა და რაოდენთა ცრემლთა შვენიერნი იგი თვალნი მისნი ადენდეს. სიტყვანი ყანდისა უტკბილესად შე-

მზადნა და ესდენნი სალმობელნი ლექსნი მოახსენნა, რომე ვითაცა ჰსუროდა გული მისი, ეგრეთ სამისოდ მიზიდა და ესეცა დაურთო, ვითა: „უკეთუ მოწყალებითა თქვენითა სულსა არა უბრუნებთ, სწორ უპოვარი იგი ჭაბუკი სურვილითა თქვენითა სოფელსა ამას გაესალმების, შვენიერება ყოველთა გმირთა დაჰსჭნების და ესდენნი შრომანი ამაოდ შთაივლიან. მე ჭირთა მისთა სრულებით გამოთქმასა ვერა ვბედავ. ცრემლნი თვალთა მისთა მოუკლებელად ტიგრისად შეჰქმნიან; ოხვრა გულისა მისისა ამა შვენიერსა ჰაერსა აბნელებს, ცნობანი შორად განჰსცლიან, წამსაცა ერთსა თქვენისა სურვილისა ცეცხლი მას არა ჰშორდების, თქვენ გიგონებსთ, თქვენ გეტრფისთ და თქვენითა სიყვარულითა ენთების. უკეთუ რისხვითა თქვენითა დავისჯები ესე ვითარისა კადნიერებისათვის, სამართალ არს! გარნა მან, გმირთა გვირგვინმან და შვენიბისა დასაბამმან, მტერთაცა შესაბრალებელითა ცრემლითა მაფუცა მზითა თქვენითა, რათა ეგეთი სიმწარითი მდგომარეობაჲ მისი წინაშე უდიდებულესისა ტახტისა თქვენისა დამემხო, და ვინაჲთგან შემკრა მე ფიცითა საშინელითა, ამისთვის ვჰბედავ და ყოველსავე სიმართლით მოგახსენებთ, და უკეთუ მოწყალება თქვენი მალედ არა მიესწრების, სხვისა ჟამისათვის მისისა სიცოცხლისა იმედი ნურლა გექმნებისთო." რა ესე ვითარნი სიტყვანი ზეფირმან მას ცთომილთა განმაცუდებელსა მოახსენა, ესრეთი შარავანდედი გამოაკრთოლვა პირისა მისისა ციაგობამან, რომე კნინლა ზეფირ სხივთა მისთა დაჰსწვეს. საბრალომან ზეფირ თვალთა კელნი მიიფარა და მოახსენა:

შაირი და რვული.

ყოველთა დაზრულთა ყვავილთა მზის შუქნი მოალხინებენ,
მიწით დაფარულთ მოზარდთა ფერ მრავლად ალადგინებენ,

ჭმუნვის სანაცვლოდ მისგამო შვებასა შეიძინებენ,
შემწველნი სხივნი ჩემზედა, არ ვიცი, რასა ინებენ!
ვჰხედავ, უწყალოდ საკვდავად გიშრისა ტევრთა ხშირობას,
შარავანდედთა ისარნი მიქმონენ დღეთა მცირობას;
სიცოცხლეს მართმევს უცილოდ, შევერთვი სულთა სირობას,
ვითა გავუძლო ბედ-კრულმან სათთ მახვლთ განაგმირობას!
ტანსა რხევით მიმოარებს, თუ სად ჰპოებს დასაფარებს,
განიმრავლებს ცრემლთა ღვარებს, გენიოსებრ ამდინარებს,
კადრებისთვის იმგლოვარებს, ვალალებით იმჭმუნვარებს,
ჰხედავს თვისზედ რისხვის ჯარებს, ამად ოხრავს, სულთქმისა
მწარებს!

შიშით მთრთოლარემან ზეფირ ესე შაირნი და რვული წარმოჰსთქვა და კვალად მოახსენა: „ტკბილო კელმწიფაო, ვიცი, შუქითა მაგით დავიწვი, გარნა შაბაშ გულსა მის ქაბუკისასა, რომელიცა აქამომდე თქვენსა სიყვარულსა შინა არს და ჯერეთცა არა დამწვარ არსო.“

აქა ანავსია კელმწიფასაგან ზეფირისა შერისხვით მხილება და სკიპტრისა გატანება დილარსა თანა.

Oდეს ზეფირმან ესე სიტყვანი დაასრულნა, მაშინ კელმწიფამან მან უსაწადელესისა რისმე სიტყვითა უბრძანა: „ზეფირ, ზეფირ! თავმან მისმან, რომლისა სიყვარულითა გული ჩემი დაბმულ არს, უკეთუ მოგზავნილი მისი არა იყო, აწვემცა მძვინვარეთა ძაღლთა დაგაჭმევდი, გარნა შენითა სიკვდილითა, ვიცი, მას ვაწყენინებ, და ამისთვის თმობისა კიდე ღონე არა მაქვს. ფლიდო, ვითა კადნიერობ ჩემთანა მისისა სიკვდილისა ხსენებასა? ესე რად არ იცი, რომე თავსა ჩემსა და ქვეყანასა ამას დიდსა მას ვანაცვალებ? დღესითგან რაცა სიცოცხლისა ჟამი გაქვს, მას უმადლოდე, მით რომე სახელი

მისი იქმნა დამცველ ცხოვრებისა შენისა და, ვითარცა გმართებს, მადლობა მას მოახსენე. ესე სკიპტრა კელმწიფებისა ჩემისა გულისა ჩემისა სადგურსა მიართვი, ტკბილნი სიტყვანი მიუწინაშე და ესრეთ მოახსენე: „დილარ, ჩემითა სიყვარულითა ტანჯულო, ესე კჳრთხი ჩემი და განდიდებული საკელმწიფო თავითურთ ჩემით შენდა მომიძღვნია, მცირედისა ჟამისა უხილველობისათვის გულსა შენსა ნუ აჭირვებ; თვალნი ეგე, რომელნიცა ჩემგან სულებრ საკრძალავნია, ცრემლითა ნუ აბრყვილებ, და უკეთუ სიყვარულისა ჩემისათვის მაგა ქირსა შინა ხარ, მაშა, თავსა ჩემსა გაფუცებ, ამიერითგან გული შენი ამხიარულე და ცუდითა ცნობა მიხდილობითა სიკუდილსა ნუ დამაახლოებ; მე შენისა სახისა უნახავად სახელი ოდენ შევიყვარე, და რაცა წერილითა ჩემითა გაცნობე, მას ზედაცა ვჰსდგა; სახელი მესმოდა და ხილვითა უმეტესად გამეჩვენე. აწ გზათა და ბრძოლათაგან დამაშვრალი ხარ, მცირედ განისვენე; ეგერა, საკელმწიფო ესე კელთა შენთა მივეც, რაჲცა გენებოს, მასცა იქმოდე, და რა შრომათაგან განისვენებ, შენისა განმამხიარულებელისა ქორწინებისათვის განემზადე, და, უკეთუ კვლალა მასმენ შენსა ცრემლთა დენასა და ცნობისა მიხდასა, შენმან მზემან, თურე, გულსა შენსა სიყვარული ჩემი არ თურე ჰქონებიეს. დილარ, საყვარელო ჩემო, სანადირონი ქვეყანასა ამას მრავალნი ჰქონან, ინადირე და შენთანა მყოფნი ეგე მეფენი ნადირობითა განამხიარულენო." რა ესე ბრძანება ზეფირმან მოისმინა და კჳრთხიცა მიიღო, კვლა შიშით მკრძალმან მოახსენა: „სიტყვიერო მზეო, მრავალ შარავანდედო, მტრფიალმან თქვენმან მრავლითა ვედრებითა ითხოვა, რათა ბალი ესე დავჰკრძალო და დროსა თვისსა თქვენის მშვიდობის ჰამბის სმენისათვის ამა წალკოტსა მოვიდოდეს და მით გულსა თვისსა ანუგეშებდეს, და თქვენგან მოწყალებითა ამას ზედა ნების დართვასა ელისო." მაშინ კვლა უბრძანა: „ზეფირ, ვითარცა მას ჰნებავს, ეგრეთცა იქმოდე, გარნა შენ ეკრძალე ყოვლი-

თურთ წყინებასა მისსა და ტკბილითა ალერსითა შეაქცევდეო.“ ესე ბრძანებანი ზეფირს ვითაცა ჰსწადდა ეგრეთ მიიღო და ჰნატრიდა ბედსა თვისსა. ოდეს დილარ მძლეველმან გამოიღვიძა, უცხოდ რასმე მხიარულებასა იჩენდა.

აქა მათ ოთხთა სასპასპეტოთა ერთა და დიდებულთაგან პურობისა გარდახდა და მხიარულება დილარისა, ხუშრევანისა, კოჭარისა და ზორასტანისა და ყმათა მათთა ერთობით.

ოთხთა მათ სასპასპეტოთა ერთა და დიდებულთა პური განემზადებინათ და ელოდნენ მათ მეფეთა მისვლასა. მაშინ ნუშრევან მეფემან მოახსენა დილარს, ვითა: „კელმწიფეო, აწე მხიარულებისა ჟამი გვაქვს, პური მზაობს და შევექცეთო.“ დილარმან მოცინარითა პირითა უპასუხა: „ძმაო, უკეთუ არს ჭამადი განსაძღომელი შენი საკმაოდ, დია, წინაშე ვარო!“ შევედით კარავსა მას, სადა პური დაგებული იყო, დაბრძანდა დილარ და ყოველნი მეფენი ყოვლით კრებულით მათით. კელი ვჰყავით მხიარულებასა. სახითა უზადონი იგი ერნი ევედრებოდეს დილარს, რათა ქნებებინა ქვეყანათა და სანადიროთა მათთა წაბრძანება, რომელნიცა ფიცითა დაარწმუნებდეს, რომე „არა არს პირსა ზედა ყოვლისა ქვეყანისასა სანადირო, ვითარნიცა ამას ქვეყანასა ჰქონან, და ოდეს თვით თვალითა თქვენითა განიცდით, მაშინ ჰბრძანებთ სიმართლესა ჩვენსაო.“ ჩვენ ვსმიდით ღვინოსა მოვარაყულსა და ვიყვენით განცხრომასა ფრიადსა. მოიღიან დიდებულთა მათ ძღვენი ტურფანი და შესამოსელნი ძვირფასნი, და თვითოსა სადღეგრძელოსა შესმასა ზედა ყოველთავე თვის-თვისად გვძღვნობდიან და ტანსა დაგვმოსდიან. ხოლო დილარს და მათ მეფეთა სხვათა და სხვათა ფას დაუდებელთა სამეფოთა ნიშანთა, სამკაულთა და ტახტთა მოართმიდიან მოხარულითა გულითა. მას პურობასა ზედა ათ-ხუთმეტნი კელნი სამეფონი სამკაულ-

ნი ესრეთნი ჰსძლევნეს დილარსა და მეფეთა, რომე გონებასა კაცთასა განაკვირვებდა, და ჩვენცა ყოველნივე ათ-ხუთ-გზის დაგვმოსეს ტანთა უცხო გვარითა ოქრო-ქსოვილითა ლარითა. ვიყვენით ყოველნივე ერთბამად მხიარულებასა შინა, გარნა დილარ მძლეველისა გული სხვასა რასმე განდიდებულსა მხიარულებასა შინა იყო: პირისა მისისა ყუავილოვნება მაისისა შემკობილსა მტილსა ემსგავსებოდა, თვალნი მოცინარენი მერცხლისა ჰმსგავსად უჭიკჭიკებდეს, ბაგეთა ზედა, თუ ვჰსთქვა, ძოწნი გარდაშლოდეს და ენითა ტკბილად მოუბარობდა, ყველაკასა წყალობსა ალგვითქმიდა და თვისითა საიმედოჲთა ბრძანებითა განგვამხიარულებდა: იგი სასპასპეტონი ერნი აქებდეს სვესა თვისსა, ეგე ვითარისა კელმწიფისა ხლებისა და ჰვრეტისათვის.

აქა დილარისაგან ლაღ წოდებულის მნათობის ზეფირის მონის მოსლვა ჰურობას ზედა, დილარის ლაბარება და წარსლვა მას შვენიერად შემკობილს საკელმწიფოს წალკოტს შინა.

ჩვენ რა განდიდებულსა მას მხიარულებასა შინა ვიყვენით, მოვიდა მონა იგი ზეფირისა, დილარს თაყვანი-ჰსცა, ყურსა სიტყვა მოახსენა და მსწრაფლად წარვიდა, ჩვენ ლხინითა მაშვრალნი გავიყარენით განსასვენოდ და დილარ გზასა თვისსა შეუდგა. ვიდრემდის დილარ ბაღისა კარსა მივიდოდა, ზეფირ გზასა მისსა ჰსდარაჯობდა და იტყოდა:

აქა დილარ მძლეველის გზას ზედა მიმლოდინებელის ზეფირისაგან უბნობა დილარის სიყვარულს ზედა.

ნეტარ, სადა არს იგი მნათობთა გულისა მიმტაცი, მებრძოლთა დამამდაბლებელი და შვენიერებისა მაგალითი დილარ,

რომლისა შეხედვა ათასსა ჩემებრსა შეიპყრობს!“ ზეფირ ოხვრიდა და ბაღისა კარსა იყურებოდა, სიტყვანი შესაბრალებელნი პირად აქვნდა და ჰკმობდა: „ჰე, საყვარელო საყვარელისა შენისაო და ჩემ, დისა შენისა, განუშორებელო სულო! ნუ თუმცა ამად ჰყოვნიდე, რომე ძოღანდლისაებრ დაგვიანება ჩემი გეგონოს? არა, იმზემან შენმან, მას წარსრულსა შეცთომასაცა ვინანი, და აჰა, შენისა გზისა ყურებასა შინა ცრემლნი მოუკლებელად მჰსდიან! მოვედ, კელმწიფეო, ხილვითა შენითა გულსა ჩემსა ანუგეშე და ჩემგანცა შენთვის სასიხარულონი ჰამბავნი მოისმინენ. მუნამდე შვებისა ჩემისა ტრედი არა მოიქცევის, ვიდრე შენთა ბაგეთაგან შაქრისა-უტკბოსთა სიტყვათა არა მასმენ! ამა წალკოტისა მრავალ-ფეროვანნი ყვავილნი მაშინ გაიშლებიან, ოდეს შვენიერნი ფერკნი შენნი მათზედა დაიდგმიან! აჰა, ხეთა ამათ მქროლველნი ნიავნი შენ გელოდებიან, რათა შენსა მოსვლასა თანა მათცა ამოდ მობერვითა ფოთოლნი შრიალით განამხიარულონ! ჯერეთ ჰაერსა შენისა სუნნელებისა სუნი არა უხარებია ჩემთვის, რათა საყნოსელნი მით განვიმტკიცო! მოვედ, კელმწიფეო, და შენითა ხილვითა თვალნი განმინათლენ, უძლური ძალი ჩემი შენითა ალერსითა განაძლიერე! მოვედ, კელმწიფეო, კაეშან განმრავლებულისა გულისა მუფარახო! მოვედ, შენისა მკევლისა შენგან დად წოდებულისა სიხარულო, და შენითა ჭვრეტითა დამატკბეო!

რ ვ უ ლ ი.

რადგან იკადრებ ძმობასა, სიმდაბლით მიხმობ დობასა,
ნუ ჰყოვნი, ამა გზობასა მრიდე ცრემლთ მრავლადობასა,
მომხედე შენსა მტრფობასა, ვარდსა უმზედ მჭნობასა;
ვვედრივარ მაგა ყრმობასა, ხილვით მომაგე ცნობასა!
შენისა სიშორისანი, ისარნი სამსალისანი,
გულსა დამესხნეს მყისანი, წამართვეს ძალნი თქმისანი,

გბრალდეს კმა, სულთქმა ვისანი, ტირილით ცრემლთა მღვრი-
სანი,
არა გული მაქვს ქვისანი, არცა ხალისა კლდისანი!
ნურღა ჰყოვნი, მოისწრაფე, გზა ტინიცა გამოჰკაფე,
ხილვით ლხინი ინოტ-დაფე, კმა გმირულად გაიკაფე,
წალკოტს ვარდნი იალაფე, არ სხვათაგან საიაფე,
ლაწვთა სიტკბო ბაგით ჰსწლაფე, გზა მკული გიძს, არ შალაფე!

რა ესე ვითარითა ლექსთა ზეფირ საბრალოდ, ჰმსგავსად შაშვისა, ჰსტვენდა და თვალნი დილარისა გზასა ზედა ეპყრნეს, ანაზდად გამოუჩნდა გმირი იგი გზიროთა მისკენ მიმავალი. ზეფირმან წალკოტისა კარნი მსწრაფლად განუღო, შინა შეიყვანა, კარნი დაჰკრძალნა, შეიხვივნენ, მკერდითა მკერდსა შეკავშირებულნი, უთვალავად ჰკოცნიდეს და ეგრეთ შეხვეულნი მივიდნენ ვარჯოვანთა ხეთა ძირსა და სუნნელთა ყვავილთა ძირსა დასხდეს, ვითარ ორნი ჟამი სიტყვად ვერღა მოიცალეს, ბაგითა ერთი-ერთსა ჰსტკბებოდეს, და ერთი მეორესა თავსა შეაბრალებდა. რა ურიცხვოსა სიყვარულითა სრულთა ჟამნი რავდენნიმე განატარეს, შემდგომად ზეფირმან ყოველივე ბრძანებული კელმწიფისა თვისისა დილარს გამოუცხადა და უსასყიდლოცა სკიპტრა იგი მოართვა, დილარ ელ-ჰსდვა, მიწადმდე თაყვანი ჰსცა, მრავლისა მადლობისა მოხსენებით სკიპტრა იგი ჩამოართვა, აკოცა, თავსა დაიდვა და ჰრქვა ზეფირს: „მნათობო, მე, მოწყალებათა მისთა არა ღირსი, სიკვდილამდე დავიხსოვნებ შეწევნასა ამას თქვენსა და ესეცა კვერთხი კელმწიფობისა, რომელ უბოძებია, სამართალ არს, მით რომე მონასა უფლისა თვისისასა კვერთხი მონებისა ჯერ არს კელთა ეპყრას აღსრულებად ბრძანებისათა.“ კვლა ზეფირმან მოულოცა ქვეყანისა მის მფლობელობა და თავსაცა თვისსა შეაბრალებდა: დილარ მას ემუდარებოდა შემწეობისათვის და იგი მნათობი თავსა თვისსა ავედრებდა, და ესრეთ ტკბილითა კოცნითა და ალერსითა იხარებდეს, ვიდრე

საყვარელნი დაძმანი. დილარ მოხშირებულითა ვედრებითა ჰსთხოვდა თვისისა საყვარელისა ხილვასა და თაყვანის-ცემისა ღირს-ყოფასა, და ზეფირ მოახსენებდა: „კელმწიფეო, ბედი თქვენი მუნამდე ბრმა იყო, ვიდრემდის გულსა ჩემსა სათქვენოდ შეპყრობდით და აწ შენისა ნებისა ბურთი განგებასა კელთა მოუციათ; რაცა გნებავს, იგიცა იქმნებისო.“ ესე ვითარითა საიმედოთა სიტყვებითა დილარისა გული ზესთა მხიარულებასა შევიდა და ღამისა დასრულებისა ჟამიცა მოიწია; საყვარლად შეეკონნენ, დაჰკოცნეს და ერთი-ერთსა გამოეთხოვნენ. ზეფირმან წალკოტისა კარნი დაჰკრძალნა და შინათ კერძო შვენიერითა რხევითა წარვიდა. დილარ თვისსა კარავსა შინა მობრძანდა და განისვენა. შემდგომად, ჟამსა სადილისასა, განიღვიძა; მეფენი მოიწვივნა, და შეჰქმნეს შექცევა.

აქა დილარ მძლეველისა თვისთა მოძმეთა მეფეთა თანა თვისისა საყვარელისა მიერ სკიპტრისა ბოძებისა და ქვეყანისა დამონებისა მბობა და მათგან მხიარულება.

Უბრძანა დილარმან მეფეთა მათ საყვარელისა თვისისაგან ნებისა მოცემა მას დიდსა საკელმწიფოსა ზედა, სკიპტრისა ბოძება და ქვეყანისა დამონება მღალებისა სკიპტრა იგი, და რა ჰნახეს, განჰკვირდეს ყოველნი იგი მეფენი ფას-დაუდებელსა მას ნივთსა ზედა, და იტყოდეს: „ჩვენ რომელსამე საკელმწიფოსა შინა თქმული არს წერილთა მომთხრობელთაგან, ესე ვითარი სამეფო კურთხევა.“ აღსდგნენ ყოველნივე და ერთობით მიულოცეს განძლიერებული იგი საკელმწიფო დილარს და კელმწიფობა მისი შვენიერისა და ჰაერ-განწმედილისა ქვეყანისა. მეფენი იგი იხარებდეს დილარისა საწადელისა დახლოებისათვის, გარნა პოლანთა მეფისა გოჰარისა გული ჰფრინვიდა, ვითა ქუდ-მოხდილი შავარდენი და მიმოეძებდა საგანსა გულისასა თვისისასა და ვერა სადა შეხვდა შუნებურსა

ქალისა, რათამცა ეხილვა და ეცნამცა მართალი, რომე რასაცა იტყოდენ შვენიერებასა ქალთასა, ეგეთნი იყვნესა ანუ არა, თუმცა დაერწმუნებოდა ერთა მათ უმაგალითოსა შვენიერებასა ზედა, გარნა ქალნი ესრეთ დაკრძალულნი იყვნეს, რომე უცხოთაგან ხილვა მათი ყოვლითურთ შეუძლებელ იყო, და ესრეთ სხვად და სხვად მფიქრებელმან, ვერღა მოითმინა, მოთმინებისა საზღვარსა გარე გაბიჯა, გაჰბედა და მოახსენა დილარს: „დიდო და განძლიერებულო კელმწიფეო, თავსა მისსა გაფუცებ, რომლისა სიყვარულითა უთვალავნი ბრძოლანი გარდაგიხდიან და მრავალთაცა გეგულებისთ გარდახდა, მიბრძანე, იგი ამა ქვეყნისა დიდებულისა ასული შიმუნვარი და თქვენგან დად კმობი ზეფირ, ვითარი არს შვენიერებითა და, რომელიცა ქება მათი თქმულ არს, მართალი არს, ანუ არაო?“ დილარ რა მძიმითა მით ფიცითა შეჰკრა გოჰარმან, მაშინ თანა ედვა დილარსაცა სიმართლით ბრძანება ზეფირსა ზედა.

აქა დილარ მძლეველისაგან ზეფირის ქებისა ბრძანება გოჰარსა და მათ მეფეთა თანა.

უბრძანა დილარმან, ვითა: „საყვარელო ძმაო გოჰარ, მზემან მისმან, რომლისა მოწყალებითა ჩემა უკეთილესსა ქვეყანასა შემოსვლასა ღირს ვიქმენ, ზეფირისა შვენიერებისა, სინაზისა და უბრყვილობისა გამოთქმა ენასა კაცობრივსა, რაზომცა მჭევრობდეს, არა შეუძლიან. ჯერეთ ათ-ხუთმეტისა წელსა შინა არს. ესე რავდენჯერმე ღირს ვქმნილვარ ხილვასა მისსა ბრძანებითა თავსა ზედა ჩემსა კელმწიფისათა და ჯერეთცა უკორციელობა მისი არა მჯერა. პირისა მისისა ბრწყინვალება მზესაცა უმეტესობს; წალკოტი იგი სადაცა შემოვალს, სრულად ნათლითა მისითა აღივსების; ყვავილნი და ნარნარით ჰრხევა მისი ქაჯთაცა შეიპყრობს; გარეგანთა ქვეყანათა მნათობნი მას არა ედრებიან, ვითა ერნი ურაბიელ-

ნი ამა ქვეყანისა ერთა; და, რომელიცა მხილველი კორციელობასა მისსა ირწმუნებს და ანუ გონება შერჩება, შაბაშ გულისა მისისა სიმტკიცესაო.“ ოდეს გოჰარმან იგი დილარისა ბრძანება მოისმინა, ჰსთქვა გულსა შინა თვისსა: „ღმერთო, უკეთუ ერთი დიდებულთა მათ ასულთაგანი ცოლად მეღირსება, განაღა შრომა ჩემი არა ცუდად ჩამივლისო!“ გოჰარ ამას იგონებდა, გარნა გულოვანისა მის სპასალარისა მარსის გონება მის ზეფირისა ქებამან მიიზიდა და იტყოდა: „ნეტარ, თუმცა ღირს ვიქმნე დილარის მოწყალებითა მის მნათობისა შეუღლებასაო.“ რა დილარმან ზეფირის ქებისა ბრძანებანი დაასრულნა, ჰბრძანა პურისა დაგება; და გალანამცა მათ მისთა ხვედრთა სასპასპეტოთა დიდებულთა ერთა განემზადებინათ პური ესრეთსა დიდსა და ძვირფასსა კარავსა შინა, რომე ერთსა ქალაქსა ემჰსგავსებოდა: ათ-ხუთმეტი ათასი ოქროსა სვეტი ედგა, ძვირფასითა თვალითა შემკობილი. შეუძლვნენ დიდებულნი იგი, დასხდენ მეფენი ტახტთა ზედა და ჩვენ ყოველნივე ყმანი მათნი ოქროსა სელთა ზედა დავსხედით. დილარისა გულისა სიმდაბლე ამით უმეტესად საქებელი იყო, მით რომე რაჲცა გარშარაბ შეფისა ყმანი, ანუ მეკობრეთა მეფისა ახლდეს, დიდთა და მცირეთა, ყოველთავე თვისთანა დასხმიდის პურობასა ზედა ოქროსა სელთა ზედა. მას დღესა ვახლდით პურობასა ზედა ჩვენ, თანა მყოლნი მისნი, ცხრა ათეულნი ათასნი; გარდა ოთხთა მათ სასპასპეტოთა დიდებულთასა, და იყო დილარ მძლეველი მარადის მხიარულებასა შინა. განჰსცემდა და ამხიარულებდა ყოველთავე.

თავი მეცხრე

კარი ეგოდენივე.

მოსვლა წინაშე დილარ მძლეველისა ყოვლისა მზისა ქალაქისა ქვეყანისა დიდებულთა, სპასალართა, ვაზირთა, მოკელეთა და მოხუცებულისა ჯანუჯან ვაზირისა.

Დღესა ერთსა დილარ მძლეველი და ყოველნი მეფენი ჰბრძანდებოდენ მას დიდსა კარავსა შინა კელმწიფობისა წესითა ტახტთა ზედა და ახლდნენ ყოველნი მოხელენი რიგსა ზედა განწყობილნი. მაშინ მოვიდნენ განდიდებულისა მისსა კელმწიფოისა დიდებულნი, სპასალარნი, ვაზირნი და ყოველნი მოხელენი სეზოსტრ კელმწიფისანი ყოვლით კერძო, და თვით მოხუცებული ჯანუჯან ვაზირი. თაყვანი-ჰსცემდიან დილარს, მოულოცვიდიან კელმწიფობასა და შეავედრიდიან თავთა თვისთა. იყვნენ ოთხნი ათასნი ჩინებულნი სპასალარნი, ოთხი ათასნი ვაზირნი და ათ-ექვსმეტი ათასნი დიდებულნი, ყოველნივე მოხელეობისა ხარისხითა პატივ-ცემულნი. დილარ მძლეველი განმხიარულდა და ყოველნივე იგინი ტკბილითა სიტყვითა მიიღო და თვის-თვისითა წესითა დასხნა. მოაღებინა პური და დაიწყეს მხიარულებაჲ. იგი დილარისა ხვედრნი დიდებულნი ესრეთითა გამოჩინებითა დაგვხვდნენ, რომე უკეთესობა არღა ეგებოდა. რაცა მას პურობასა ზედა ვსხედით მუნებურნი ანუ გარეგანნი, ყოველნივე ოც-გზის ტანსა დაგვმოსეს ძვირ-ფასითა ოქრო-ქსოვილითა, ლარითა, სტავრითა და ოქსინოთი, და გალანამცა მეფეთა ჰსძღვნიდიან, და ყო-

ველსა თვითოსა ღვინისა შესმასა ზედა მოილიან დიდ-დიდითა ვეცხლისა ლანკნებითა ოქროჲ და წინაშე კაცად-კაცადისა დაჰსდგიან. მწუხრადმდე ალგავსეს ყოველნივე მუნ მყოფნი ძღვნითა და ხილათითა. რა მიგვჰირდა მეტისა ღვინისა სმითა, ჰბრძანა დილარმან კმა-ყოფაჲ პურობისა და გავიყარენით. დილარმან იგი მეფენი თვისთანა დააწვენნა სალაროზელად, და სხვანი კარავთა თვისთა წარვიდეს ღამისა დროთა ძილისა განსატარებელად.

აქა მზის ქალაქის კელმწიფის ანავსისაგან ზეფირის მიწოდება და დილარის ჯამბის გამოკითხვა.

ოდეს ღამისა სახელის დებისა ჟამი შემოვიდა, ზეფირ, მჯდომი სახლსა თვისსა, მიუწოდა კელმწიფემან თვისმან, და რა ჰბრძანება იგი ჰსცნა კელმწიფისა ზეფირმან, აღჰსდგა იგი უნაზესითა რითმე რხევითა, წარჰსდგა კრძალვითა და რიდითა დიდითა და თაყვანი-ჰსცა. მაშინ უბრძანა დილარისა სანეტაროსა ბაგითა კელმწიფამან, ვითა: „ზეფირ, ვითარ ჰსუფევს მზისა ქალაქისა დამაშვენებელი დილარ მძლეველი და ანუ არა მხიარულობსა ჩემსა ზედა კელმწიფებისათვის, რომე ესრეთ შევსძლვენ თავი და საკელმწიფოჲცა ჩემი?“

აქა ზეფირისაგან პასუხის მოხსენება წინაშე მზისა ქალაქის კელმწიფისა ანავსისასა.

ზეფირმან ათასითა ქაჯთა კლოვნებითა სიტყვანი შეაწყო და მოახსენა: „ცადმდე კელმწიფებითა ამაღლებულო და მარავანდედითა შვიდთავე ცთომილთა უნათელ-მკრთოლვარესო, რად ინებებთ ეგე ვითარსა ბრძანებასა და ანუ რად გშვენისთ

დამონებისა მისისა ცხად-ყოფაჲ! იგი ლომ-გული თქვენისა უკანასკნელისა მხევლისაცა მონა არს. მე რა გულსა მისსა ვჰსცნობ, ერთსა ბრძანებასა თქვენსა თავსა და საკელმწიფოსა ფჴსსა შეჰსწირავს. მას, სიყვარულითა თქვენითა დამწვარსა, თქვენისა მონებისაგან კიდე არა რაჲ ენატრების: თქვენითა სურვილითა თვალნი მისნი შავისა ზღვისა ღრუბელსა ჰგვანან ცრემლ მოუკლებელნი. კელმწიფეო, თუმცა იგი ყმა კაცი მძლედ იტანჯების მოუთმენელითა ჭირითა, გარნა მისსა მხილველსა არავე უჭიროდ დააგდებს, მით რომე არავინ ესრეთი გულ-ქვა იხილავს მას, რომელიცა შებრალებითა მისითა ცვილურებ არა ალენთოს და შეწევნასა მისსა არა ეცადოსო."

აქა ანავსია კელმწიფესაგან დილარის შებრალება და ზეფირის თანა სიტყვითა ბრძანება დილარის საწადელთა და ზეფირის განსამხიარულებელთა.

რა ზეფირმან ესე ვითარნი სიტყვანი წინაშე კელმწიფესა თჳსისა წარმოჰსთქვნა, გული ანავსია კელმწიფესი დილარისა შებრალებისა სპათა შეიცვეს, მკერდსა კელი დაიკრა და ჰბრძანა: „ჟიმე, შვებაო ჩემო დილარ, ჩემითა სიყვარულითა რაოდენნი ჭირნი გამოგატარენ და რაოდენნი განსადიდებელნი ბრძოლანი გარდაიხადენ და შენითა საქებელითა ძლიერებითა აქამომდე მოაწიე, ჩემისა ბრძანებისა აღსრულებისათვის განძლიერებული საკელმწიფო დაჰსთმე, თავი შენი ნებასა ჩემსა დაამორჩილე და მევე გტანჯავ! ესე არა არს მართალი განსჯა ჩემგან! აწ მეცა მმართებს, რათა შენისა შებრალებისა კვალსა დავადგეო." ზეფირს ახლოორე მიუწოდა და უბრძანა: „ჩემსა მზესა, ისწრაფე, აწვე მონა შენი წარავლინე და წოლკოტი ჩემი დილარისა შემოსვლითა განაშვენე და ესრეთ მოახსენე: დილარ, თვალთა ჩემთა ნათელო, ესე საკელმწიფო და ჰუამ-

რავნი დიდებულნი შენდა დამიმონებია, ჯანუჯან ვაზირმან, ძმამან მისმან და სხვათაცა მრავალთა დიდებულთა იციან წესი კელმწიფობისა ჩვენისა; ეგერა, წინაშე შენსა არიან და ჩვე-ნებრივითა ქელი-ჰყავ მხიარულებასა და ითმენდე მომავალთა კელმწიფეთა და მეფეთა საქმისა გარდაწყვეტადმდე, ვითაცა გენებოს, გაეც ბრძანება და იშვებდე ნადირობითა, პურობითა და ნადიმობითაო.“ ზეფირ ესე ვითარისა ბრძანებისა მიმთხვე-ვითა, ფუ ვჰსთქვა, ცად აღიწია, დაძრკა, ქუს-დაფენითა თაყვანი-ჰსცა, დიდებულისა ტახტისა ფერხსა აკოცა და ეგრეთ წამოვიდა. მონა თვისი დილარსა თანა გაისტუმრა და თვით ბაღსა შევიდა; გოდლისა კერძო კარნი მაგრიად დაჰკრძალნა და გარე კარი მცირედ განაღო; მონამან ზეფირისაგან დაბა-რება დილარს მოახსენა და თვით მალიად უკუნაქცა.

აქა ზეფირისაგან დილარისა მიწოდება ბაღსა შინა და დილარისა მხიარულებითა მისვლა და ზეფირის ხილვა.

Დილარ მძლეველი მსწრაფლისა სიხარულითა წალკოტსა შიგან შევიდა და შვენიერი იგი მნათობი ზეფირ წინა მოეგება მღიმარითა ბაგითა. იგი ორნივე საყვარელნი და და-ძმობისა კავშირითა შეკრულნი ტკბილად შეიყარნეს, შეიხვივნენ და ეგრეთ მივიდნენ და შვენიერთა მათ ყვავილთა ზედა დასხდეს, ორთავე საწადელი ჰპოვეს. ზეფირმან ყოველივე ბრძანებული გამოუცხადა დილარს და გულისა სამხიარულო ჟამი მიეცა. მაშინ განა რა უმეტესად საამო იყო დილარისა ზეფირსა თანა ალერსი! ჰკოცნიდა ვარდისა უფეროვნესთა ბაგეთა, და ათ-ქმევდა საყვარელისა თვისისა ჰამბავთა ყოველთავე, და უკვირ-და უზომოდ დილარს ზეფირისა ეგვე ვითარი ზრდილობიანი მჭევრ-მეთქვი უბნობა და უმაგალითო სახე და აღნაგისა აღ-მკულება! ზეფირმან შეატყო დილარს, რომე მოსწონდა მისი ეგვე ვითარი უზადოება და, რეცა გაკვირვებით, მოახსენა: „ჰე,

კელმწიფეო, ყოვლისა ქვეყანისა მნათობნი ქალნი რაზომ გინდა შვენიერებითა მადლობდენ, ჩვენისა ქვეყანისა მუშაკთა ქალთა ვერა ესწორვიან; რომელნიცა ამას საკელმწიფოსა პალატსა აღვიზრდებით, აქაურნი დიდებულთ ქალნი ჩვენ ვერა გვესწორვიან, მით რომე მცირეთა ჩჩვილთა სურჩეულესთა გვართაგან აღგვიყვანენ და დიდებულსა პალატსა შინა აღგვზრდიან ვიდრე შვიდ წლადმდე, ყოველთა დღეთა ესრეთითა ძვირ-ფასითა წამლებითა გვაბანებენ, რომე წამალთა მათ ბუნებითა ძალი ესრეთ განამტკიცებენ კორცთა ჩვენთა, რომე შემდგომად ქორწინებისაცა ქმარნი ჩვენნი, რავდენგზისცა თანა გვეყვნენ, ქალწულადვე გვგრძნობენ ჩვენ, და იგი უძვირ-ფასესი წამალი საკელმწიფოსა სამკურნალოსა კიდე არა სადა იპოვების. ჩვენ, ათ-ორმეტნი ათასნი, რომე დიდებულთა ასულნი დღეს კელმწიფასა ჩვენისა მკევალი ვართ, ყოველნივე მით წამლითა ბანვითა აღზრდილნი ვიმყოფებით და კვალად მათვე წამალთაგამო, რომელიცა დედათა წესი არს მთოვარისა, ვერცა მას ვიხილავთო." უკვრდა დილარს სიტყვანი ზეფირისანი და ეტყოდა: „სასურველო დაო ჩემო, ვითარ იქმნების ბუნებისა წესსა გარდასვლა, რაიცა რა ვის ზედა დაწესებულ არსო." გარნა უზადო იგი მნათობი მასვე დაუმტკიცებდა და მოახსენებდა: „კელმწიფეო, ოდეს საყვარელსა შენსა თანა მიიღებ ქორწინებითა ბედნიერებასა, მაშინ ჰსცნობ თქმულთა ჩემთა სიმართლესაო." ესე ვითარითა ტკბილითა მოყვსურითა უბნობითა დილარს ასი-ათასნი ტრფიალებისა ისარნი მოემატნეს საყვარულისა თვისისანი. განთიადისა სახელისა შემოსვლადმდე იალერსეს და დაჰკოცნნეს ურთიერთი. დილარმან მრავალი მადლობა და თაყვანის-ცემა დაბარა ზეფირს წინაშე საყვარელისა თვისისა და ესრეთ გაყარნენ იგი ტურფანი მოყვარულნი, თვის-თვისთა სავანეთა მივიდნენ და მხიარულთა ნებისაებრ თვისისა განისვენეს. მეორესა დღესა მეხუთესა ჟამსა აღჰსდგა დილარ, მასვე დიდსა კარავსა დაჰბრძანდა და ყოველნი მეფენი და დიდებულნი

ახლდეს თანა თვის-თვისითა წესითა, იგი მზისა ქალაქისა ქვეყანისა დიდებულნი შეჰყურებდეს დილარს და უქებდიან სიყმესა, სიბრძნესა და შვენიერებასა. მათ დიდებულთა შორის იყო ბერი ვაზირი სეზოსტრ კელმწიფისა, რომელიცა დიდად დიდებულ იყო მათ შორის სიბრძნითა და მეცნიერებითა, რომელმანცა, რა ეგე ვითარი კეთილობა განიცადა დილარ მძლეველისა,

აქა მზისა ქალაქის კელმწიფის სეზოსტრის ვაზირის ჯანუჯანისაგან წინაშე დილარ მძლეველისა და მათ მეფეთა სიტყვათა მოხსენება.

იგი ბერი ვაზირი ჯანუჯან ზე აღსდგა, მოხუცებულთა თვალთა ცრემლნი მოადინნა, საშუალ ყოველთასა დაჰსდგა, თაყვანი-ჰსცა დილარს და დაიწყო სიტყვათა თქმად ცრემლითა ხშირითა ესრეთ: „ეჰა, თქვენ დიდნო მეფენო, რომელთაცა დიდებულისა დილარისა სიყვარულისათვის მრავალნი შრომანი და ბრძოლანი გარდაგიხდიათ და მოწევნულხართ კართა დიდისა ამის სახელმწიფოჲსა ქალაქისათა, ესე უწყოდეთ, რომე ესე ქვეყანა დასაბამითგან აქამომდე არავის დაუტკეპნია; აჰა, ესერაჲ თვალნი დიდებულთა ჩვენთანი ჰსჭვრეტენ დიდისა დილარ მძლეველისა შვენიერებასა და კეთილობასა. ესე ზენასა განგებასა ჩვენისა ქვეყანისა კელმწიფედ დაუბადებია და მეცა მრავალთა წელთა წინარე მომიხსენებია პატრონისა ჩემისა სეზოსტრ კელმწიფისათვს ესე დღე, რომელსაცა შინა დღეს თქვენ იმყოფებით და აწ, კელმწიფეო კელმწიფეთაო, დიდო დილარ მძლეველო, ისმინე აჯა მონისა თქვენისა და ინებეთ, რათა დიდისა კელმწიფისა ჩვენისა, სიმამრისა და მამისა თქვენისა, სეზოსტრ გვირგვინოსანისა ანდერძისა წერილი წარიკითხონო.“

აქა ჯანუჯან ვაზირისაგან მზისა ქალაქისა კელმწიფისა სეზოსტრ გვირგვინოსანისა ანდერძის წერილის მორთმევა წინაშე დილარ მძლე-ველისა.

მოიღო წერილი, ძვირ-ფასად რადმე შეკრული, სრულად უსასყიდლოთა სპეკალთაგან ოქროსა ურიოშოსა ზედა მოო-ქვილი. განხსნა, რომელიცა იყო წმიდასა პეტრატიკონსა ზედა, ოქრო-ოფაზ-ლაჟვარდ რეულითა აღწერილი, აკოცა, თვალთა დაიდვა, აჰსტირდა და დილარ მძლეველსა მიართვა; მაშინ დილარცა აღჰსდგა, ჩამოართვა და სპასალარსა თვსსა მარსის უბოძა წარსაკითხავად; მარსიმ თაყვანი-ჰსცა, ჩამოარ-თვა, თვალთა დაიდვა, აკოცა და განშალა და დაიწყო წარ-კითხვა ყოველთა გასაგონად, რომელსა შინა ეწერა ესრეთ:

„აჰა, საყვარელო სიძეო და ძეო ჩემო, აწ შენცა კელ-მწიფეო დილარ მძლეველო, რომელსაცა მკლავთა ძლიერებითა შენითა მრავალნი ბრძოლანი გარდაგიხდიან და გულოვ-ნებითა შენითა მეკობრეთა მეფე ზორასტან კერპთა, და მკეც-თა მონებისაგან გამოგიხსნია და განსადიდებელითა მორბედო-ბითა შემოგილეწია გრძნეულთა ქვეყანა, მეფე გარშარაბ და-გიმონებია და მართალნი ერნი მისნი გრძნეულთა სიბილწე-თაგან განგითავისუფლებია! აწ, შვილო ჩემო და საყვარელო სიძეო, ისმინე ჩემი: მეცა ვიყავ კელმწიფობითა ცადმდე ამა-ღლებული, ყოველივე ნება გულისა ჩემისა მაქვნდა, გარნა უშვილოება დღეთა ჩემთა მიმწარებდა, უკანასკნელთა დღეთა მომეცა ასული, ვითა მზე, თვალთა ჩემთა ნათელი და გული-სა ჩემისა სიხარული, მას შევჰსტრფოდი და იგი იყო მოლო-დება კელმწიფობისა ჩემისა; განვუწესენ საუფლისწულონი მრავალნი და ვაპატრონენ დიდ-დიდთა ქალაქთა და ქვეყანათა ზედა, და კვალად ამა გვირგვინოსნისა ქალაქისა სიმრგვლესა ზედა აღუშენენ ათ-ორმეტნი გოდოლნი დიდითა შვენიერე-ბითა და მრავალ-გვარად მორთულებითა და შემკობილებითა,

და თვითოთა გოდოლთა შინა ათასნი დიდებულთა ასულნი წლითა თანასწორნი მისნი დავაზრდევინე ყოვლითა კელმწიფობისა წესითა, და დავუუნჯენ თვითოსა გოდოლსა ოთხიათასი საჭურჭლე უძვირფასესთა სპეკალთა, ოქროთა, ვეცხლთა და ლართაგან პატიოსანთა; ყოველსავე გოდოლსა შევუმკვენ წალკოტნი ყოვლად კეთილნი, და სხვა-და-სხვათა მადრევანთაგან განშვენებულნი. მეწადა გულსა ჩემსა, რათა ესრეთი სიძე მეშოვნა, რომე ყოფილიყო შესაბამი კელმწიფობისა ჩემისა და ღირსი ასულისა მის ყოვლად საწადელისა, გარნა უბედურობამან ჩემმან არა დრო მცა, ჩემი სოფლისა საშვებელი დედოფალი ესთერი მძლავრმან სიკვდილმან მიმტაცა და მე გოდებითა მწარითა აღმავსო და მწუხარებამან სნეულებანი მიმცა. შვილო ჩემო, მესმოდა ქება შენი, მეგობრისა ჩემისა, მყინვართა მეფისა ფინეზისაგან, და გულმანცა ჩემმან შეგიყვარა; მწადდა მოწვევა შენი, გარნა ცუდ იქმნა სურვილი ჩემი სიკუდილისა მიერ უწყალოისა; ვამცნე ანდერძით ასულსა ჩემსა, რათა შენგან კიდე არავინ მიელო ქმრად თვისად, რომლისაცა მრწამს, რომე არა გაჰსტეხს ბრძანებასა ჩემსა, და აწ, საყვარელო შვილო ჩემო, სიძეო და პატრონო ქვეყანისა ჩემისაო დილარ, თუმცა შრომანი მრავალნი მიგიღიან ქვეყანასა ჩემსა შემოსვლითა, გარნა, სიყვარულმან შენმან, ჯილდოცა ესრეთი მიიღე, რომე არავის ქვეყანასა ზედა ესევითარი ჯილდო არა მიუღია. შვილო ჩემო, ყოველნივე წესნი კელმწიფობისა ჩემისანი განიხილე; ყრმა ხარ და მრავალსა სწავლასა მიიღებ; ნუ მოშლი, შვილო, ნუცა ერთსა წესდებულებასა ჩემსა, მოიარენ ყოველნი საკელმწიფონი ჩემნი, ციხეთა და საჭურჭლეთა ბეჭედნი შენნი დასხენ, ყოველნი მოხელენი ჩემნი თვის-თვისსა წესსა ზედა აღგინე, პატივსა უყოფდე ნამსახურსა ჩემსა, და ბერისა ჯანუჯან ვაზირისა მოხსენებულსა ყურსა უპყრობდე; შვილო, იგი აღრითვე მომითხრობდა შენსა აქა შემოსვლასა და შენთანა მყოფთა მეფეთასა. ისმინე ჩემი, ასული ჩემი დიდისა კრძალვითა და სი-

ნაზითა ზრდილია; მისსა სიამოვნესა ეტრფოდე და გულსა მისსა წყენასა ნუ შეილებ, მით რომე გვაროვნება ჩვენი მცირესაცა წყინებასა ვერ მოითმენს. შვილო ჩემო, უკეთუ მას წყინებითა რამე ევნების, საუკუნოდ სიცოცხლეცა შენი დაგმწარდების, ვითარცა ესე მე. შვილო ჩემო საყვარელო, ნებასა მისსა მიჰყვებოდე და ეკრძალებოდე, მით რომე ვაზირმან ჩემმან მახარა მე ესრეთ, ვითა: „ასული შენი დილარისგან სამსა ეგეთსა ნაყოფსა ჰშობს, რომე ვითა დილარს ცუდნი ჰინდონი ვერა უდრიან, ეგრეთ დილარ მათ ვერა ედრებოდესო.“ შვილო, ეგეთთა ნაყოფთა განგება ასულისა ჩემისაგან მოგანიჭებს, და გმართებს შენცა ნებისა მისისა მიყოლა. მე ამა მახარებლობისათვის შვილსა მისსა, სახლის უხუცესსა ჩემსა საურმაგს მივეც მეფობა და გვირგვინი თვით კელითა ჩემითა დავადგი, ორმეოც-და-ათი ჩინებული ქალაქი უბოძე თვისთეისითა სანახებითა და მმსახურებდა მეფობისა პატივითა ერთგულად. ასული საურმაგისა საყვარელისა შენისა სახლის უხუცესი არს, შვენიერებითა მდიდარი და კეკლუცობითა გულისა მიმტაცი, მასცა შენთანა მყოფი და საყვარელი მეგობარი შენი პოლანთა მეფე გოჰარ შეირთავს, იგიცა განგებასა მისთვის დაუნიშნავს, და მაგა უცხოსა მოყმესა გოჰარს სიყვარულითა მისითა ნუ ჰსტანჯავ. სპასალარსა შენსა და გულ-ლომსა ჭაბუკსა მარსის დიდებულისა ჩემისა ასული ზეფირ მიუბოძე, რათა ხილვითა მისითა მარსიმ სიცოცხლისა დღენი განიმრავლოს. მეგობრისა ჩემისა მყინვართა მეფის ძის სახლის უხუცესსა ლფრას უბოძე მოწყალებით დიდებულისა ასული სოსანა, და მასცა მით ანუგეშე; და შენთა ათასთა გულ-ლომთა მოყმეთა მივეც ათასთა ჩემთა დიდებულთა ასულნი, და სხვანი ყოველნი, შენთანა მყოფნი, ნუმცა დაჰშთებიან შენგან უჯილდოოდ. წინარე გისხენან მბრძოლნი ძლიერნი, გარნა მიენდევ განგებასა, მკლავთა შენთა ძლიერებასა და ყმათა შენთა სიმტკიცესა. აჰა, შვილო, დავასრულე ანდერძი ჩემი. ამიერითგან მოგცესთ ზენამან განგებამან დღეთა სიგრძე მრა-

ველთა წელთა და დაგატკბოსთ ურთიერთისა სიყვარულითა, ჟამცა ნუ შეჰსცვლის ნებასა თქვენსა ზედა მბრუნაობასა და ქვეყანა აღმოგიცენებდეს კეთილთა ნაყოფთა უხვებით და თქვენცა მეფენო, ჩემისა დილარისა მოყვარენო, მშვიდობით! ამიერითგან გლოცავ თქვენ, რათა ხსენებასა ჩემსა ჰყოფდეთო."

აქა სეფოსტრ კელმწიფისა ანდერძსა ზედა ყოველთაგან ტირილი და სამღოცველთა გაცემა.

მარსი სპასალარმან რა ანდერძისა წარკითხვა შეასრულა იწყო დილარმან ტირილი, და ყოველთა მათ მეფეთა და დიდებულთა გოდება განამრავლეს. ვითარ ორი ჟამი მოიტირეს კელმწიფობისა წესითა და მერმე დაჰსწყნარდეს, უბრძანა დილარმან ბერკა ვაზირსა ჯანუჯანს, ვითარ „ვაზირო, განჰსწერე ბრძანება დიდსა ამას საკელმწიფოსა შინა, რათა ყოველმან სულმან, დიდმან და მცირემან, შავი შეიმოსონ, ქალაქთა ყოველთა ფლასი გარდააფინონ, და ნუსადა იქმნების მხიარულებისა კმა ორმეოცთა დღეთა ყოველსა ამას ქვეყანასა, თვნიერ ერთისა ამის გვირგვინოსანისა ქალაქისა, სადა მზე ჩემი მზეობს; და უჩინენ დიდებულნი ერთგულნი, რათა ყოველთა ქალაქთაგან განილონ ათას-ათასნი საჭურჭლენი, გაჰსცენ გლახაკთა და დავრდომილთა ზედა, სამღოცველოდ დიდთა მათ კელმწიფეთა, და იყოს, რომელმან არა დაიცვას ბრძანებაჲ ესე სიკუდილითა მოკვდესო." ესე დილარისა ბრძანება დიდად მოეწონათ ყოველთა ვაზირთა და დიდებულთა, და აქებდენ სიბრძნესა მისსა. მასვე ჟამსა უჩინეს მოლარენი და წარავლინნეს მსწრაფლად ბრძანებაჲ მის ქვეყანისა ოთხსავე კიდესა ზედა.

აქა დილარისაგან წარვლინება ბერისა ვაზირისა წალკოტსა შინა ზეფირისა ხილვად და თხოვად სპასალართა განთავისუფლებისა.

შემდგომად უბრძანა დილარმან ბერსა ვაზირსა, ვითა: „მამაო, მიიღე შრომა, მიველ კარსა გოდლისა წალკოტისასა, მოუწოდე მნათობსა ზეფირს და პირითა მისითა მოახსენე ყოველი ესე ყოფილი მას კელმწიფეთა დამმონებელსა კელმწიფასა, და ჩემ მაგიერ დიდითა შიშით და კრძალვით გაუბედე თაყვანის-ცემა, და მოახსენებინე ესრეთ, ვითა: „ივედრების მონა თქვენი დილარ, რათა სამლოცველოდ დიდთა მათ კელმწიფეთა, უკეთუ ინებებს, განთავისუფლდენ უბედურნი იგი სპასალარნი, ბრძანებითა მისითა შეპყრობილნი. მამაო, ესრეთ ეცადე მეცნიერებითა შენითა, რომე მოხსენებასა მას ზედა წყინება არა მიიღოს, თვარა, მზემან მისმან, კელითა ჩემითა თავსა მოვიკლავო.“ ამასვე ბრძანებასა ზედა აღჰსდგა ბერი ვაზირი, თაყვანი-ჰსცა და გაემართა. რა ბაღისა კარსა მივიდა, მონა წინა მოეგება, თაყვანი-ჰსცა, გაბრუნდა და ვაზირისა მისვლა ზეფირს მოახსენა. ზეფირმან ტურფითა ზრდილობითა ვაზირი ბაღსა შეიწვია, დასხდეს, და ჰკითხა ვაზირსა შრომისა მიზეზი. ვაზირმან ყოველივე უამბო, ვითაცა განაგო დილარმან, და დიდისა განკვირვებით უქებდა სიბრძნესა, და ეფუცებოდა: არა გამოსრულ არს ქვეყანასა ზედა ჰმსგავსი დილარისა კელმწიფეთა. რა ყოველი დაბარებული უნაკლულოდ უამბო ვაზირმა, ზეფირი წყნარითა ჰრხევითა გაესალამა.

აქა ზეფირისაგან ჯანუჯან ვაზირისა დაბარებულთა კელმწიფისა ანავსისა წინაშე მოხსენება და მისგან მოწყალებით მიღება დილარ მძლეველისა თხოვათა.

მივიდა წინაშე ტახტისა დიდისა მის კელმწიფასსა, ქვე

მიწადმდე თაყვანი-ჰსცა და დაჰსდგა კრძალვით, და ესრეთითა მჭევრითა სიტყვითა მოახსენა ყოველი იგი შემთხვეულობაჲ დილარისა, რომე ცრემლ-მდენელი ინება ხელმწიფემ, ესრეთ ჰბრძანებდა: „ოდეს ჩემზედაცა მასვე გაჰქვს საგლოველი!“ და სპასალართა განთავისუფლებისათვის უბრძანა ზეფირს ესე-ლიმებით: „აჰა, ზეფირ, თვალნი შენნი მხედვენ, რომე მლი-მარი გიბრძანებ სიტყვითა დილარისა მოხსენება: ერთ არა თუ მეწყინების, მზემან ჩემმან, მოწყალეცა ვარ გულისა მისისა მლმობელობისა ზედა. ესრეთ შეუთვალე დილარს, ვითა: „განდიდებულო ესე ქვეყანისა შენდა მშვიდობისა, ეგრეთცა გე-ნებოს იგიცა ჰქმენ, „შენ განა ქმნილი კეთილი ჩემდაცა სასი-ხარულო იყოს.“ ამას ბრძანებასა მყისვე ზეფირ მსწრაფლად უკუნ იქცა, მიერსა ვეზირისა ყოველი ბრძანებული გამოუცხა-და, და ვეზირიცა გამობრუნდა, მოადგს დილარს, იახლა და მოახსენა, ვითარცა ზეფირისაგან დაბარებული იქნა, და ესრეთ გამხიარულდა დილარ, რომე ყელნი განიპყრნა და განგებასა მადლობა შესწირა, ვინათგან უბედურთა სპასალართა სიცოცხ-ლობასა მოვრჩით.

აქა დილარ მძლეველისა მიერ მათ შემცოდეთა თვისთა სპასალართა წინაშე თვისსა მოყვანინება, შეცოდებისათა მათთა მიტევება და არასთა მოყმეთა თვისთა თანა განწყვეტება მათი.

Dილარ მძლეველმან დაუყოვნებელად უბრძანა მყინვართა მეფის ძეს ნუშრევანს და იგი სპასალარნი დაკრულნი წინაშე თვისსა მოაყვანინა და დაჰსდგნა ყოვლითა წესი დამნაშავეთებრ შე-ცოდებულთა. დილარ მძლეველმან კრულებისაგან განახსნე-ვინა და უბრძანა: „სპასალარნო, აჰა, თვალნი ესე მრავალთა დიდებულთანი ჰხედვენ, და გულნი ამათნი მოწამე არიან, რომე გარდამატებულითა მოწყალებითა თვისითა მოგიტევათ, ხელმწიფემან და სიცოცხლემან ჩემმან ორგულება ეგე თქვე-

ნი, და ამიერითგან იყვენით მლოცველ სახელისა დიდისა კელმწიფისა სეზოსტრისა, მით რომე იყვენით ღირსნი სიკუ-დილისანი, გარნა სახელმან მან დიდმან დაჰხსნა ცხოვრება თქვენი, ამიერითგან ნუმცა ლა გიხილავთ შეცოდებულთა, თუარა სისხლი თქვენი თავსა თქვენსა იყოს." ამათ საბრალოთა წინაშე მისსა მიწასა აკოცეს და მოახსენეს: „კელმწიფეო, იგი ამაოდ მოქადულობა ჩვენი თვითომან მათრახმან თქვენმან დაამდაბლნა, დღესითგან ერთგულებასა შინა თქვენსა დავასრულოთ ცხოვრება ჩვენი." კვლა მიწასა აკოცეს და ადიდებდეს კელმწიფებასა მისსა. დილარ მძლეველმან, რაცა საკუთარი ყმა და მამული მათი იყო, უბოძა და ათასთა თვისთა მოყმეთა თანა განაწესნა. რა დილარ მძლეველმან, იგი ყოველივე ეგრეთ ქმნაგო, ყოველნი მზისა ქალაქისა ქვეყანისა დიდებულნი, სპასალარნი, ვაზირნი და მოხელენი აქებდეს და ადიდებდეს დილარისა მოწყალებასა და მამობრივსა მლმობელობასა, და იტყოდეს თავსა და ქვეყანასა თვისსა ბედნიერად და ეგე ვითარისა კელმწიფისა მფარველობასა ქვეშე შესვლისათვის, და ეტრფოდენ სიყვარულითა დიდითა და ჰმსახურებდენ გულ შეწირულნი.

აქა მზისა ქალაქისა სეზოსტრ კელმწიფისა ვაზირისა ჯანუჯანისა და ყოველთა დიდებულთაგან მიწვევა დილარ მძლეველისა და ყოველთა თანა მყოლთა მისთა ქალაქსა რასამე შინა კეკელასა და უცხოსა სა-ხილველსა.

Dღესა ერთსა, ოდეს დილარ მძლეველსა თანა იყვნეს ყოველნი მეფენი და დიდებულნი შეკრებულნი, მაშინ აღდგეს ჯანუჯან ვაზირი და ყოველნი ჩინებულნი მის ქვეყანისანი და მოახსენეს დილარს: „ჰე, კელმწიფეო, ამიერითგან არღა სტუმარი ჰბრძანდებით, თქვენი არს ესე განძლიერებული და ვრცელი ქვეყანა; ესერა წინარე არს დიდი და კეკე-

ლა ქალაქი ყოვლითა კეთილობითა შემკობილი; კარავთა შინა ყოფნა არღა ეგების თქვენი; ყოველივე მას ქალაქსა შინა მზა არს და მუნ განისვენეთო.“ დილარ თუმცა დამძიმდა მის გოდლისა მოშორვებისათვის; და ერთ კერძო უხაროდაცა, მით რომე „ნუ თუ საწადელსა ჩემსა ფვირგვინოსანსა ქალაქსა შესვლაცა მეღირსოსო.“ დაჰრთო ნება დილარმან თხოვასა მათსა, და მეყვსეულად დაჰსცეს და მომალნეს კარავ-ოთახნი, ავიყარენით, წარვგიძღვენენ და მივედით მას შვენიერსა ქალაქსა, მგრგვლივ ბაღნი ევლნეს, მრავალი ნაყოფიერნი ხილითა და ყურძენითა მრავალი გვარობა. არა მიეწთომოდა სახლნი, პალატნი და დარბაზნი საკელმწიფონი ესრეთნი ჰყვნდეს, რომე შემსვლელთა გული გამოსვლასა არღა მოინდომებდა; შენობაი შორველი ფლილისა ზურმუხტისა ოქთაგან იყო მოეგებნეს ქალაქისა ერნი ყოველნი მხიარულითა პირითა, კელთა დილარ მძლეველისა სახე ეპყრათ მრავალ გვარად დაფენით ბლდაგვირგვინებული, და იტყოდეს მღუმრიალისა ჴმითა: „ესე კელმწიფე ჩვენი, რომელიცა მკლავთა თვსთა ძლიერებამან ესრეთ ადიდაო.“ მიგვიძღვნენ მათსა მას საკელმწიფოსა სასახლესა, და ოდეს გარდავხედით მოგვეგებნენ წინა ყოველნი მოხელენი სეზოსტრ კელმწიფისანი ყოვლითა ჩვეულებრივითა წესითა მათითა; მიიყვანეს დილარს, შეუძღვნენ და დასვეს ტახტსა ზედა.

აქა საკელმწიფოსა დილარის, ტახტის, ქებისა და ვითარებისა სიტყვით
წარმოჩენისათჳს.

იყო ტახტი იგი დასაჯდომელად საკმაო ათ-ორმეტისა კაცისა, მრგვლად ერთობილისა წითლისა იაგუნდისა, და სვეტად უდგეს ათ-ორმეტნი ძეგლნი იასპისანი ნაკვერცხლისა ჰმსგავსად მოელვარენი, რომელთა ზედა გამოწერილ იყვნეს უმთავრესნი ჰსჯულის-დებანი სეზოსტრ კელმწიფისანი და ზედა

მისსა გავალაკი სალხინებელი, მაჩრდილებელად კამარედად გამოკვეთილი სრულისა ბრილიანტისა; იყო ოთხთავე კიდეთა შთამომვებულნი ფუნჯნი ვაშლედად მრთელისა ბალახშისანი, ესრეთ მოელვარენი, ვითარ მზის თვალნი; და ზედა მის ტახტისა მდგომარე არწივი, ორი ფავედად ფრთე გაშლილი ქვისა მის უსასყიდლოისა ფრცხილისა, ერთითა ბრჭალითა ეპყრა სკიპტრაჲ და მეორითა სფერო, და გვირგვინნი თავსა ზედა, რომელიცა პირითა მოუკლებელად ჰკმობდა: „დიდებულ არს კელმწიფე ესე, დიდებულ არს!“ ოთხთა კიდეთა ზედა მის ტახტისათა იდგეს კაცნი სარდიონისა ქვისანი კელოვნად და ტურფად გამოჭრილნი, რომელთა პირთაგან ისმოდა დაუცადებელად კმა ტკბილი მრავალ-გვარისა ორღანოჲსა, და ესრეთ მათ მეფეთა თვისცა დაედგათ ტახტნი ძვირ-ფასნი და სამეფონი ნიშანნი. ხელნი ყოველნი იყვნეს იაგუნდისა ქვისანი, უცხო გვარად თლილ-გამოჭრილნი. დავსხედით ყოველნი მას ტურფასა სახლსა შინა, და მოვილეს ფური. ყოველი ჭურჭელი იყო იაგუნდისა მრთელისა; ჭამადთა გემოვნებისა გამოთქმა შეუძლებელ იყო, თუ ვითარ შეემზადებინათ ეგრეთ კეთილად და გემოვანად. ყოველნივე ერნი და დიდებულნი იყვნენ შავითა შემოსილნი და კეკელაცა იგი ქალაქი იყო შავითა შემობურვილი გლოვისათვის სეზოსტრ კელმწიფისა, და ვინაჲთგან ბრძანება იგი იყო დილარისაგან, გალანამცა ჩვენ უმეტესად გვმართებდა დაცვა და აღსრულებაჲ ბრძანებისა მის. იგი ორმეოცნი დღენი გლოვისანი ეგრეთ შევასრულებინეს სხვასა და სხვასა სახლსა შინა პუროობითა და ნადიმითა, თვინიერ საკრავთა და მომღერალთა.

აქა მზის ქალაქისა ქვეყანისა ერთა და დიდებულთაგან სეზოსტრ კელმწიფისათვის გლოვის სრულ-ყოფა და მხიარულების დაწყება კეკელასა ქალაქსა შინა.

ოდეს სრულ იქმნეს დღენი იგი გლოვისანი, მოჰსძარცვეს

სახლოთა, ბანთა და კედელ-ქულბაქთა შავნი და ერთაცა შეიმოსეს წესითა თჳსითა, განათლდა გულნი ყოველთანი მხიარულებითა და შეჰქმნეს მრავალ გვართა მუსიკთა და მომღერალთა კმა ტკბილად კმობაჲ; განამრავლნეს თვალთა საამოვნო სათამაშონი, და შეიქმნა ყოველთა სახლთა შინა შვება და მხიარულება; იტყოდეს მომღერალნი სასმენელთა დამატკბობელთა ლექსთა დილარისა ქებისათა და გამართეს ყოველთა ალაგთა პურობაჲ, შეჰქმნეს ძღვენთა ძვირ-ფასთა მოლებაჲ, და მოხელენი თჳსითა წესითა იმსახურებოდეს.

აქა ჯანუჯან ვაზირმან მოართვა დილარ მძლეველსა მის კეკელისა ქალაქისა ოთხთა ათასთა საჭურჭლეთა გასაღებნი.

მოიღო ბერმან ჯანუჯან ვაზირმან მის ქალაქისა საჭურჭლეთა გასაღებნი ოთხი-ათასნი წინაშე დილარ მძლეველისა და მოახსენა: „კელმწიფეო, ესე საჭურჭლენი თქვენთვის განმზადებულ არიან სეზოსტრ კელმწიფისა მიერ და თვით კელითა მისითა დაბეჭდილნი ამას ქალაქსა შინა, და ესოდენივე არს მისისა ასულისათვის დაკრძალულნი. აწე ჰბრძანეთ, ბეჭედნი თქვენნი დაჰსხენით, და, ვითაცა გნებავსთ, ეგრეთ იხმარეთ და გაჰსცემდეთო.“ ვითა ვაზირმან მოახსენა, დილარმანცა ეგრეთ ინება, ბეჭედნი თვისნი დაასხმევინა ყოველთა ზედა, და ერთსა სწორსა შინა ვიყვენით ლხინსა და პურობასა მოუკლებელსა.

აქა ჯანუჯანის ვაზირისა შვილსა სარმაგ სახლის უხუცესსა დაუმტკიცა მეფობა დილარმან და თვით კელითა თვისითა დაადგა სამეფო გვირგვინი.

დღესა ერთსა ჰბრძანა დილარ მძლეველმან პურობისა დიდისა გარდახდა და ყოველთა მუნებურთა და გარეგანთა

ერთა და დიდებულთა მოწვევა. და აღსრულდაცა ბრძანება მისი. შეჰკრბა ყოველი იგი სიმრავლე და დასხდენ თვის-თვისითა წესითა. მაშინ დილარმან მოაღებინა ტახტი ძვირ-ფასი და სამეფო ნიშანნი. მოუწოდა ვაზირის შვილსა საურმაგს, აღიყვანა ტახტსა ზედა და თვით ხელითა თვისითა დაადგა გვირგვინი, მიულოცა მეფობა მან და ყოველმან ერმან. მეფე საურმაგ გარდავიდა ტახტით, თაყვანი-ჰსცა დილარს და მუხლს აკოცა. დასხდეს და შეიქმნა პურობა და მხიარულება. იყო სმა სადღეგრძელოთა და გარდალევა ურთიერთისადმი.

აქა ჯანუჯან ვაზირმან მოართვა დილარ მძლეველსა სეზოსტრ კელმწიფისა მიერ მის ქვეყანისა უჩინებულთა ქალაქთა სახელები, აღწერილი და ბეჭედ-დასმული.

Მას პურობასა ზედა აღსდგა ბერი ვაზირი და მოართვა დილარ მძლეველსა ნუსხა მის ქვეყანისა უჩინეულესთა ქალაქთანი, რომელიცა იყო აღბეჭდილი თვით დიდისა მის კელმწიფისა სეზოსტრისაგან, რომელსა შინა ეწერა ათას-ხუთას ორმეოც-და-ათთა უჩინებულესთა ქალაქთა სახელნი და ზედა მოწერილი იყო მისვე კელმწიფისა კელითა ბოძება საურმაგისა ხუთ-ათეულთა ქალაქთა. რა ჯანუჯან ვაზირმან წარიკითხა მათ ქალაქთა სახელნი, დაგვიკვირდა ყოველთა სიდიდე ქვეყანისა მის და სიმრავლე ქალაქთა, და ვაქებდით კელმწიფებასა სეზოსტრისასა. კვალად მოახსენა ვაზირმან დილარს: „უდიდებულესო და ძლიერო კელმწიფეო, რაჲცა ქალაქნი ამა ნუსხასა შინა წერილ არიან, ნუ თუ უბადონი ქალაქნი გეგონნესთ? ყოველნივე განდიდებულნი და კეკელანი ქალაქნი არიან; თვითოსა ქალაქსა შინა ოთხი ათასი სამეფო და ოთხი ათასი სადედოფლო სალარონი დაკრძალულ არიან, რომე ძვირფასთა ნივთთა რიცხვი არა შეიგების, და ერთი მათ ქალაქთაგანი ესე არს, რომელსა შინა აწ თქვენ ჰბრძან-

დებით, და უკანასკნელი ყოველთაგან ესე არს.“ ჩვენ და-
გვიკვრდა, მით რომე უპირველესი ქალაქი იგი გვეგონა, ამად
რომე უკეთესობა ქალაქისა არლა ეგებოდა, გარნა ვაზირისა
სიტყვა უმართლე იყო. შეჰქმნეს მეფეთა ლხინი, და შეიქმნა
ღვინის სმა. დილარ მძლეველმან უბრძანა სახლის უხუცესსა
თვისსა საურმაგს, ვითა: „მეფეო, ჩემსა მზესა, და უკეთუ
გაქვს სიყვარული ჩემი, ნუ ჰზოგავ საჭურჭლეთა, და ვითაცა
იყო წესი პურობისა სეზოსტრ კელმწიფისა, ეგრეთ მოიქეცო.“
რა ესე ბრძანება დილარისა მეფემან საურმაგ მიიღო, აღჰს-
დგა, თაყვანი-ჰსცა და მოახსენა: „დიდო კელმწიფეო, მაგა
ბრძანებასა ველოდი, და ვინაჲთგან ინებეთ, ერთი მათ ოთხი-
ათასთაგანისა სალაროსა გასაღებიცა მიბოძეთ, რათა ჰსცნათ
სიმრავლე ნივთთა, და გმსახურო თქვენისაებრ ბრძანებისა.“
დილარმან მყისად მოაღებინა ერთისა სალაროსა გასაღები და
უბოძა. მეფემან საურმაგ მუხლს აკოცა და გარე განვიდა.

აქა იწყო მეფემან საურმაგ წესითა სეზოსტრ კელმწიფისათა მასპინ-ძლობა.

მეფე საურმაგ რა გარე განვიდა, მიერითგან იწყო და
რაჲცა ჭურჭელი ჭამადთა დაიცალის, გინა სასმელთა, ვისსა
წინაშე იდგის, მისსა სახლსა ჰგზავნიდის; კულა სხვა მოიღიან
და რა იგინიცა დაიცალიან, სახლთავე ჩვენთა გაგზავნიდის და
სხვანი ახალნი მოიღიან. ამა წესითა მას პურობასა ზედა ას-
გზის გამოიცვალა სასმელთა და ჭამადთა ჭურჭელნი, და ყო-
ველივე ხვედრი კაცად-კაცადისა სახლთა შეჰკრიბეს. მას დღე-
სა იყო ყოველივე ჭურჭელი ვეცხლისა უცხოდ კელოვნებუ-
ლი, და ვიყვენით მუნ ღირსნი სხდომისანი ასოცი-ათასნი.
იგი დღე და ღამედ სახელ-დებული ესრეთისა წესითა გვიმას-
პინძლა მეფემან საურმაგ და პურობაცა იკმაეს. სხვასა დღესა,
ოდეს მეფეთა გამოიღვიძეს, შეჰკრბნენ წინაშე დილარისა და

დაიწყეს ლაღობა. ნუშრევანმან მოახსენა დილარს, ვითა: „კელმწიფეო, ამა სახლისა უხუცესსა თქვენსა ეგეოდენი ვეცხლი შეუკრებია სახლსა ჩემსა, რომე დღესითგან ოქრომჭედლობასა კელი უნდა მივჰყოვო!“ დილარმან გაიღიმა და უბრძანა: „ჩემსა მზესა, ნუ აყენებ, ვითა წესი აქვს, ეგრე გვჰხვდებოდესო.“ და საურმაგს უბრძანა: „ესე ნუშრევან ნაყროვანი არს და სადილისა დაგვიანებისათვის პატრონ-ყმანი გაგვჰკიცხაო.“ მაშინ მეფემან საურმაგ ჰკადრა: „დიდო და ძლიერო კელმწიფეო, ბრძანებასა თქვენსა ველოდი, თვარა, სადილი ადრითვე მზა არსო. ინებეთ და მობრძანდითო.“ ინება დილარმანცა და გაუძღვა მეფე საურმაგ და შეგვიყვანა სხვასა უმჯობესსა და უკეთილესსა სახლსა. პური დაგებული იყო, და მათ მეფეთათვის ეგეთნი ტახტნი დაედგა ძვირფასთა თვალთაგან, რომე ვითა მზე, ეგრეთ ანათობდეს თვის-თვისითა სამეფოთა ნიშნებითა, დაჰსხდეს ყოველნივე განწესებულთა ადგილთა, და შეიქმნა ლხინი უმეტესი. მას დღესა ყოველი სუფრის იარაღი ოქროსი იყო, და პირველისავე წესითა, რა გამოჰსცვალიან ჭურჭელნი, თვის-თვისი არშივი ჩვენთა სახლთა წარიღიან და სხვა მოიტანიან. ოდეს სადღეგრძელოთა სმა შეიქმნა, იწყეს მოღება სხვათა ტახტთა, სხვათა სამეფოთა ნიშანთა, და სხვათა ოქროსა სელთა ძვირფასითა შესამოსლებიითა, და რა თვითოსა სადღეგრძელოსა შევსმიდით, გამოჰსცვალიან ტახტნი, სამეფონი ნიშანნი და სელნი, სხვანი დაჰსდგიან; ტანთა დაგვმოსდიან და წინანი სახლთა ჩვენთა წარიღიან. მას პურობასა ზედა ას-ოც-და-ათ-გზის გამოჰსცვალნეს და ეგზომივე ტანთა დაგვმოსნეს და იგი ყოველი სახლთა ჩვენთა გაგზავნეს. მხიარულებდა დილარ, და არა დარჩა კაცი მუნ დაუთვრობელი. რა მეტად მიგვჭირდა, ჰბრძანეს მეფეთა და გავიყარენით. თავმან თქვენმან, უკეთუ მეფის საურმაგის კაცნი არა გვძღოლოდნენ, სახლთა ჩვენთა ვერღა მივაგნებდით, ესრეთ ღვინო სმულნი ვიყვენით. იგი ღამედ სახელდებული ჟამნი ძილითა განვისვენეთ, და კვლა მეორესა დი-

ლასა ადრე იახლა დილარს სახლის უხუცესი თვისი და მოახსენა: „კელმწიფეო, უკეთუ ინებებთ, დღეს ბაღსა შინა თქვენსა მიიღეთ პურიო.“

აქა ბაღსა შინა საკელმწიფოსა მიწვევა სახლის უხუცესის და მეფის საურმაგისაგან დილარ მძლეველისა და ყოველთა მეფეთა და თანა მყოლთა მათთა და მუნ პურობისა გარდასხდა.

დილარ მძლეველმან უბრძანა საურმაგს, ვითა: „სახლისა უხუცესო ჩემო და მეფეო, თავსა ჩემსა, საუნჯეთა ნუ ჰსწყალობ და ამა მეფეთა ესრეთ დაჰხვდი, ვითა ჰშვენოდესო.“ მეფემან საურმაგ თაყვანი-ჰსცა და მიიწვია ბაღსა შინა საკელმწიფოსა. მეფენი წაბრძანდენ და ყოველნი ჩვეულნი ხლებისანი უკანა შეუდეგით. შევედით ბაღსა მას, სადაც ხე ნაყოფიერი ვერა ვიხილეთ. იყვნენ ხენი შვენიერად და მწყობრად მდგომნი სრულისა იაგუნდისანი, ფოთვლად აქვნდეს მწვანე ზურმუხტნი კელ წმიდად განათალნი, და ნაყოფად—ზოგთა იასპნი, ზოგთა ბალახშნი, ზოგთა სამარაგდონი და ზოგთა სარდიონნი; ხოლო ტევნად აქვნდეს თეთრისა წილ ალმასნი უცხო გვარად გამონაკვეთებულნი და წითელთა წილ—ლალნი. არა იყვნეს მას ბაღსა შინა ხენი ეგე ვითარნი, რომელნიცა რტოთაგან გინა ნაყოფთა და ფოთოლთაგან უმაღლეს ათხუთმეტისა წყრთისა შადრევანთა არა ადენდეს. იყო მას ბაღსა შინა მრგვლად ბურვილი თალარი, მათვე სპეკალთა ხეთა და ფოთოლთაგან ყოვლად დიდი, რომლისა საშუალ იყო ჰავზი მრავლითა ტურფითა კელოვნებითა ქმნილი. მის ბაღისა ყოველნი იგი შადრევანნი მის თალარისა ხეთა შორის მოიქცეოდეს და თალარისა ზედა კერძო იგი ჰაერი ერთობით შადრევანთა წყალთაგან მტკიცედ რადმე გარდაფენით შეიქსოდა და მუნით ჰავზი იგი ივსებოდა. ჩვენ, ყოველი იგი სიმრავლე მეინახეთა, მას თალარსა ქვეშ დაგვხსნეს და ყოველ-

თა ურჩეულესთა ლალთა სელნი დაგვიდგეს და მეფეთათვისცა ლალისავე ტახტნი დაედგნეს; წყალნი იგი შადრევანთა ზედა კერძო გვაჩრდილებდეს და ჰავზსა მას შინა ჩანჩქერად შთავიდოდეს. მოიღეს პური და საჭმელნი ყოველნივე ლალისა ჭურჭლითა და ღვინისა საწდე, სალვინენიცა ლალისანივე იყვნეს. მას დღესა ორას-გზის გამოჰსცვალეს ჭურჭელნი ორასთა რიგთა ჭამადთანი და სახლთა შინა ჩვენთა გაგზავნეს, და სადღეგრძელოთა შესმათა ზედა ტანთა დაგვმოსდიან და სელთა დასცვლიდიან და კვლა ჩვენსავე გაგზავნიდიან, გვიკვირდა და ვაქებდით ქვეყანისა მის ქვათა პატიოსანთა სიმრავლეს. რასალა გრძლად მოუბარობდე, სამსა კვრასა ესრეთ დიდებულად გვიმასპინძლა სახლისა უხუცესმან, რომე ყოველნივე განგვაკვრვნა. ყოველთა დღეთა სხვათა ბალთა უმჯობესთა და სხვათა სახლთა დაგვიგის პური, და ეგოდენი სიმრავლე ოქროქსოვილთა ლართა, თვალთა თლილთა, ჭურჭელნი ოქროთა და ვეცხლთანი გვიძღვნა, რომე, თავმან თქვენმან, კაცადკაცადისა შოვნილნი დიდსა მეფესა საუნჯედ ეყოფოდა. აღგვავსნეს ყოველნივე, და მოგვწონდა წესი მათი. მაშინ იტყოდა ეტიკი იგი ჩვენი მუჯარამ: „ღმერთო, უკეთუ ამა ქვეყანით ესეოდენთა საჭურჭლეთა გავიტან, არა მცირე საეტიკო მიშოვნია, და რად გლახ ვეთხოვებოდი დილარ მძლეველსაო.“ დღესა ერთსა ნადიმსა ზედა ჰლაღადობდეს მეფენი, და ჰრქვა ნუშრევან მეფემან მეფესა და სახლის უხუცესსა საურმაგს, ვითა: „ძმაო, საკელმწიფონი საჭურჭლენი დაჰსცალენ და ძვირფასნი ნივთნი იავარ ჰყავ, ჩვენ დაგვამდიდრე და პატრონი შენი დილარ დააგლახაკე. ეგე ვითარი სახლის უხუცესი არად სახმარ არსო!“ სახლის უხუცესმან საურმაგ გაიცინა და პასუხ უგო: „მეფეო და საყვარელო მოყვასო დილარისაო, ნუ თუ რა მართალსა ჰბრძანებდე, თავმან და მზემან დილარ აბაშთა და მზისა ქალაქისა ქვეყანისა კელმწიფისამან, მის ერთისა სალაროსა ნივთნი ჯერეთ მეათედიცა არა დახარჯულ არსო და ეგე ბრძანება თქვენი კიცხვა არს, ვინათგან შესაბა-

შად ვერა გმსახურებთ, და შემდგომისათვის მოვალე ვართ,
რათა სათნოდ და მოსაწონად თქვენდა გმსახუროვო."

აქა მზის ქალაქისა საშუალსა მოედანსა ზედა პურისა დაგება ხანდის უხუცესისა და მეფისა საურმაგისაგან, დილარ მძლეველისა და მათ მეფეთა მიწვევა.

შის ქალაქისა საშუალსა ადგილსა ზედა იყო საკელმწიფო
სასახლე ყოვლად შვენიერი და მოედანი ვრცელი ტურფითა
კელოვნებითა ქმნილი. დღესა ერთსა მოახსენა საურმაგ მეფე-
მან დილარს და მათ მეფეთა მას მოედანსა ზედა პურობად
მიბრძანება, სადაცა განემზადებინა ყოველი სანოვაგე; ინება
დილარმან, გაჰყვა და ყოველნი მეფენი და დიდებულნი მუ-
ნებურნი, გინა გარეგანნი, თანა ვიახლენით. მივედით იგი
სიმრავლე კრებულთა, პური და ჭამადი ყოველივე უნაკლუ-
ლოდ და სავსებით დაგებული იყო, რომე ერთსა კვრასაცა
კმა-საყოფელი იყო. დასხდეს დილარ და მეფენი და ჩვენცა
ყოველნივე დავსხედით და კელი ვჰყავით პურსა. რადგან ხშირ-
და სმასა შევედით, ერთობით მოედანი იგი, ჩვენ რომელნსაცა
ადგილსა ვსხედით, აღვიდა სიმაღლედ ვითარ ხუთი მხარი;
ჩვენ შეუძრველად ვსხედით და განკვირვებულნი ვიყურებოდით
თუ რა მოგვიხდა. თურე, მოედანი იგი ესრეთითა კელოვ-
ნებითა იყო ქმნილი, რომე მდინარეთა მიერ დიდთა შადრე-
ვანნი იყვნეს მომართულნი; და ოდეს მოხსნეს მილთა პირ-
ნი, მდინარენი იგი იქმნნეს კამარედად, აღზიდეს მოედანი
იგი და ჩვენცა ზე მსხდომარენი მაღლადვე დავშთით. ყოველ-
თა წინაშე ღვინისა შადრევანი ჰსდიოდა. იყო კმა მხიარულე-
ბისა დიადი. და ჰკმობდა მეფე საურმაგ, ვითა: „აჲ, მეფენო
და დიდებულნო, ეგე ღვინო და მხიარულებასა ნუ მოშლი-
თო." გამხიარულდა დილარ, ვითაცა ჰშვენოდა და სამსა
დღესა წართვით სმასა არღა მოეშვა. მისს პურობისა ძღვენი

და მოსართმევი წინათა ყოველთაგან უმჯობესნი და უმრავლესნი იყვნეს. მეტითა სმითა მიგვჭირდა ყოველთავე, გარნა მუნით შთამოსვლისა ღონე ვერღა მივიეცით; ჰსინჯვიდეს ნუშრევან და იგი მეფენი და ჩამოსვლისა გზა ვერა ჰპოვეს; მაშინ სახლის უხუცესმან საურმაგ მოახსენა ნუშრევანს, ვითა: „მეფეო, წარსაგებელნი წარმიგიან და საკელმწიფონი საჭურჭლენი განმილევიან; აწე, თუ უკანა არა მომიზღავთ, აქათგან ჩასვლა არა ძალ-გიძსთო.“ ნუშრევანმან შეხედა და ჰრქვა: „მეფეო საურმაგ, ვიცოდი დილარ მძლეველისა სიძუნწე, დაამად მიკვირდა შენგან ეგეოდენთა საჭურჭლეთა წარგება, გარნა, ძმაო, შენ უმეტესი ძუნწი ყოფილხარ. აქათით ჩასვლის ღონე გვიპოვე და რაჲცა საჭურჭლე დაგეხარჯოსთ, უკანვე გვაზღვევინე, ჩვენ თითოსა ტაიჭსა მეტი არა გვჰყავსრა და იგიცა შენდა ქრთამად შეგვიწირავსო.“ ნუშრევანის სიტყვასა ზედა შევჰქმენით სიცილი ყოველთავე. მაშინ მყისად, თურე, შადრევანთა მათ სოლინართა წყალნი მოუჭრნეს და მოედანი იგი ძირს თვისსავე წესსა ზედა დაჰსდგა უძრავად. ნუშრევანმან კელნი შეიტყუბნა და ჰსთქვა: „გრძნეულთა ქვეყანასა მოვრჩით და აქა უარესსა, თურე, მოვსრულვართო, მით რომე ქალნი გონებასა მიგვიღებენ, კელოვნებანი განგვაცვფრებენ, ნივთთა სიმრავლე ოცნებასა ჰგავს და ქაჯთა მეტი რაღა ეცოდინებათო.“ ჰლაღობდეს, იცინოდეს და მრავალსა მადლობასა ეტყოდეს საურმაგს მეფესა ეგე ვითარად დახვედრისათვის. მაშინღა გავიყარენით და თვის-თვისად წარვედით სახლთა ჩვენთა და იგი სახელდებულნი ღამისა ჟამნი ძილითა განვატარეთ.

აქა ჰოლასთა მეფის გოჰარის მისვლა წინაშე მეინვართა მეფის ძის ნუშრევანისა, თვისისა სურვილის გამოცხადება და ვედრება მისი.

მეორესა დილასა ადრე მივიდა იგი ახალ მოყმე გოჰარ

პოლანთა მეფე ნუშრევან მყინვართა მეფის ძესთანა და ჰრქვა: „მეფეო, მოახლებულ არს ჟამი სიკვდილისა ჩემისა და შენგან კიდე მეხვაიშნე არავინ მივის; შენ ხარ სიცოცხლისა ჩემისა ნუგეში და შენგან კიდე არავის გაუტყდები თავსა შენსა ვჰფუცავ, უკეთუ არა შემიწყალებ, დღეთა ჩემთა სიკვდილისა აჩრდილი დააბნელებს. მის სახლის უხუცესისა და მეფისა საურმავის ასულის სურვილი ესრეთსა სიყვარულისა ცეცხლსა მიდებს, რომე უცილოდ დამწვავს მე, ვინაჲთგან ზანგებასა ადრითვე ჩემთვის განუწესებია. ამისთვის შენ გევედრები, გამოაჩინე ჩემზედა სიყვარული შენი, ამა უბედურსა ჟამსა შინა მყოფი შემიბრალე, სიკვდილისაგან გამომიხსენ. იცი, მეფეო, სიყვარული ვითა მწარე არს, შემეწიე და სიკვდილამდე მონურად მიმსახურე; მრცხვენიან და მეტითა გამოცხადებითა ნურღა შემარცხვენ, მივედ ფარულად პატრონსა და კელმწიფესა ჩვენსა დილარსა თანა, ჭირნი ჩემნი მოახსენე, ესე მდინარე ცრემლთა ჩემთა მას წარუდგინე, რასა ინებებს, შემიტყევ და წამალსა ჩემსა ეცადე, ნუ თუ შეწევნითა შენითა მანცა შემიწყალოს.

შ ა ი რ ი.

სურვილი ცეცხლად შემქმნია, გულსა მწვავს მისი ალები,
დღე გონებითა მას ვახლავ, ძილით მას ვეტრფიალები,
სიცოცხლის ძალნი წამსვლიან, მჭრიან სიკვდილის კმალები,
სხვა არვინ მივის ნუგეშად, თუ შენ არ შეგეწყალები!
შემიბრალე, გამომიხსენ, სახმილსა ვზი აღგზებულსა,
სიტყვით ოდენ მესახმარე, ეემპლასტრე წყლულსა გულსა,
ცრემლნი ჩემნი შეიწირენ, მარგე ოხვრით ვაებულსა;
მეტად ვერღა გაგიცხადებ გულსა ჩემსა დაფარულსა!
ესე არს ჟამი, მაცოცხლებ, ანუ თუ მომკლავ მე ვინა;
კელობის წამნი მომეცნეს, ვარ ცნობის შორად სრევითა:

გონება მიწვევს მინდორად მათ მკეცთა თანა რბევითა,
შენგან მოველი კურნებას ტკბილის წამლისა სმევითა!
არა მამართლებ, არ მიკვირს, შენც ოდესმე ამა ჭირსა
მოუთმენლად იტანჯოდი, შეიმთხვევდი რაბამ ძვირსა,
ცრემლთა შენთა ნაკადულნი ესწოროდეს ღვარსა ხშირსა;
ლხინად გიჩნდა ველად რბენა და მჰსგავსება ტყის ნადირსა!
აწ მეცა ჟამად მომეცა გავლა მის გზისა შენისა,
მომძულდა შვება სოფლისა, მაქვს დღენი ცრემლთა დენისა,
ქვასა არ ძალ-უძს გაძლება ჩემებრ ძნელისა სენისა;
რასაც მეწევი, ისწრაფე, თუ გრწამდეს ძალი ზენისა!“

რა ნუშრევან მეფემან თვისისა საყვარელისა ძმისა და მეფისა გოჰარისაგან ესე განმწარებულნი სიტყვანი ისმინა და თვალთაგან მოუკლებელნი ცრემლნი იხილა, ვითა სიყვარულისა მათსა ჰშვენოდა ეგრეთ შეილმო მისთვის; თვალთაცა ნუშრევანისათა ცრემლნი უხვად ამდინარეს, ყელსა გარდაეჭდო, დაჰკოცნა და ჰკადრა: „საყვარელო ძმაო და დიდო მეფეო, ნუ ჰსჭმუნავ, არა შევიწყალო თავი ჩემი და ვეცადო, რომე ადრე გამოგიხსნა მაგა შეჭირვებისაგანაო.“

აქა ნუშრევანისაგან მისვლა წინაშე დილარ მძლეველისა, გოჰარ ჰოლანთა მეფისა სურვილისა მოხსენება და ვედრება სახლის უხუცის და მეფის საურმაგის ასულის ბოძებისათვის.

ნუშრევანმან რა იგი სიტყვანი ჰრქვა გოჰარს, ალჰსდგა და გაემართა მალითა სიარულითა და მივიდა კარსა დილარისასა, და რა შევიდა, დილარ ეგრეთვე ქვეშაგებსა შინა ჰსჯდა, რა ნუშრევან დაინახა, შემოჰსცინა, გვერდსა დაისვა და უბრძანა: „ვაშად მოხვედ, ფიქრსა რასამე მოვეცვით, მით რომე გარშარაბ მეფისა არა ვიცით-რა და არცა მომავალთა მათ ძლიერთა კელმწიფეთა რაჲ გვაცნობაო.“ ნუშრევანმან მოახსენა:

კელმწიფეო, მათსა გულოვნობასა რასაცა იტყვიან, იგინი აქა მოუსვლელნი არა დაჰსდგებიან და თავსაცა მათსა გვაცნობებენ, გარნა აჯა ჩემი სხვა არს და გევედრები, რათა მწარისა ამის მწუხარებისაგან გამომიხსნათო."

შ ა ი რ ი.

Ადგა, მუხლნი უქვე მიწნა, ცრემლითა ეაჯებოდა,
სიტყვანი ტკბილნი შეჰკადრნა, წყენასა ერიდებოდა,
თავსა ქვე შეავრდომებდა, მიწასა ეფინებოდა,
მართლ ლექსთა ვერლა აგებდა, ტირილსა ესწრაფებოდა!
ჰკადრა: „ძლიერო კელმწიფევ, ვჰსძრწი ამა მოხსენებასა,
მაგრამ თვით საქმე გვასწავებს მიჯნურთა შეწყალებასა,
ძმად წოდებულთა შენთანი, დღეს საქმე თქვენსა ნებასა,
რისხვას ჰყოფ ანუ წყალობას, ვინ იტყვის უარებასა!
Თვითვე იცით, მიჯნურთ გული ვით საბრალოდ იწვის, ჰდნების,
სიკვდილი აქვს სანეტაროდ, სოფლით განსლვა ესწრაფების,
ლხინად უჩანს ცრემლთა დენა, გოდებასა არ დაჰსცხრების,
ველად ჰრბის თუ ზღვასა ჰსცურავს, არცა ერთი ეკრვების!
Მიჯნურთა თანა ჰსწორე არს დღე-ნათელ, ღამე-ბნელები,
ლხინი და შვება, გოდება, ტირილი, ცრემლნი ცხელები,
სრანი ტურფანი და ველნი, მთანი ქვაბოვან ხვრელები,
ფლასნი სამოსლად ტანისა და ლარნი, ოქრო ჭრელები!
Არად უჩანს არცა ერთი ქვეყნის პყრობა, მეფობანი,
შიმშილი და სიგლახაკე, სიცილი და ცრემლ ვრცლობანი;
ვისი გულს აქვს სიყვარული, მისივე ჰსურს შეტრფობანი,
ამად არის შესაბრალი, ვის ძალ-ედვას, ჰყოს მწობანი!
Არ დაგვხოც, ვიყვნეთ სათქვენოდ მონებად წელ შერტყმულები,
გმსახუროთ სისხლთა დათხევით, თქვენთვის გავსწიროთ სულები!

ჰსჯობს, მოწყალებით ისმინოთ მონათა თქვენთა თქმულები, თუ დაგვხოც, ჩვენთვის მზა იქმნას მახვილნი გამახულები!“

აქა დილარ მძლეველისაგან ჰასუხი ნუშრევანისადმი.

Dილარ ზე წამოიჭრა და ჰსთქვა: „ვაგლახ ჩემდა, ვითარსა მწუხარებასა შესრულხარ! ვიცი, დისა ჩემისა სიშორე დაგამძიმებდათ.

ლექსი.

შენისა საყვარელისა სიშორე მიგჭირვებიან,
მაგრამ თუ დამთმობ, უშენოდ მე სულნი ამომხდებიან!

აქა ნუშრევანისაგან ჰასუხისა მოხსენება დილარ მძლეველისა.

ნუშრევანმან ცრემლით კვლა მოახსენა: „კელმწიფეო, ეგე ბრძანება დიდებულებისა თქვენისა მართალ არს, გარნა აწ ჟამი არა არს. კელმწიფეო, ესე არს მოხსენება ჩემი: გოჰარისა გული სიყვარულისა ცეცხლსა შეუწვავს, ირცხვენის, გარნა ივედრებს თქვენისა მოწყალებითა ცრემლთა თვისთა დაწყვეტასა, და ესრეთ მუხლ-დადგმით ორნივე მონანი გთხოვთ, რათა უბოძოთ ასული სახლის უხუცესისა თქვენისა და ჭირნი მისნი განჰკურნოთო.“ რა დილარ მძლეველმან ეგრეთ ცრემლითნი ვედრებანი ნუშრევანისაგან ისმინნა, ზე აღჰსდგა, აყენა, გვერდსა მოისვა, პირსა აკოცა და უბრძანა: „საყვარელო ჩემო, ესე რად არ იცი, რომე გოჰარცა ძმა ჩემი არს და გულისა ჩემისა საწადელი მოყვასი; მე საურმაგის ასულისათვს მას ეგრე საქმესა არა გაუხდი, რომე იგი მიჯნურობითა

მკეცთა თანა ვატირო! თავმან ჩემმან, აწვე მივჰსცემ, გარნა ოდენ მოითმინოს, ქორწილი ერთად გარდავიხადოთ.“

აქა დილარ მძლევლისაგან ყოველთა მათ მეფეთა და დიდებულთა ერთად მოწვევა და საურმაგ მეფის ასულის თხოვნა გოჯარ ჭოლანთა მეფისათვის.

ოდეს დილარ მძლეველმან ნუშრევანს ეგე ვითარნი სიტყვანი უბრძანა, მაშინვე მოუწოდა ყოველთა მეფეთა და დიდებულთა, თვითცა ტანთ შეიმოსა და შემოჰკრბნენ ყოველნივე ერთბამად. უბრძანა დილარმან ბერსა ჯანუჯან ვაზირსა, ვითა: „მამაო, ნება გულისა ჩემისა ესე არს, რათა ასული ძისა შენისა საურმაგისა მივჰსცე საყვარელსა ძმასა ჩემსა, ლომსა ჭაბუკსა და დიდსა მეფესა პოლანთასა გოჰარს, და მწადს ნებაცა შენი ერიოსო.“ მას დილარისა ბრძანებასა ზედა ბერმან ვაზირმან თაყვანი-ჰსცა და მოახსენა: „ძლიერო კელმწიფეო, ცისა ეტლნიცა ვერა გეურჩებიან და ეგე ბრძანება თქვენი ჩვენდაცა სიხარულ არსო.“ მოვიდნენ მამა ძითურთ, მუხლსა აკოცეს და ეგე ვითარისა მოწყალებისათვის დიადი ქება შეჰკადრეს. შემდგომად მოუწოდეს პოლანთა მეფესა გოჰარს. მოვიდა, გარნა ირცხოდა; ზე აღჰდსდგა დილარ, წინა მიეგება, მიულოცა საურმაგ მეფის ასულისა შერთვაჲ და პირსა აკოცა; მერმე მოვიდნენ ბერი ვაზირი და ძე მისი, ერთმანერთსა პირსა აკოცეს, თაყვანი-ჰსცეს დილარს და კელსა აკოცეს. მერმე ნუშრევან და მეკობრეთა მეფე მოვიდნენ, მათ სიძე-სიმამრითა პირსა აკოცეს და მიულოცეს, გამობრუნდნენ, დილარს მადლობა მოახსენეს და კელსა აკოცეს; ესრეთ ყოველთავე დიდებულთა მიულოცეს. მერმე უბრძანა დილარმან საურმაგ მეფესა პურისა მზაობაჲ, და მან მზაობა მოახსენა.

აქა წინაშე მზისა ქალაქისა და აბაშეთისა ხელმწიფისა დილარ მძლეველისა მოსვლა წიგნისა და კაცისა გარშარაბ გრძნეულთა მეფისა და მოხსენება დიდისა მის ჩინელთა კელმწიფის ლასურის შემოსვლისა.

იყო რავდენთამე დღეთა მფიქრებელი დილარ მძლეველი გარშარაბ გრძნეულთა მეფისა ჰამბის უსმენელობისათვის, და ახლდეს ყოველნი მეფენი და დიდებულნი წინაშე თვისსა, და მას დროსა მოვიდა კაცი მის გარშარაბ მეფისა, თაყვანი-ჰსცა დილარ მძლეველსა და მოართვა წიგნი დაბეჭდილი. დილარმან წიგნი იგი გახსნა და უბოძა ბერსა ჯანუჯან ვაზირსა წარსაკითხავად; მან თაყვანი-ჰსცა და დაიწყო წარკითხვაჲ, რომელსა შინა ეწერა ესრეთ:

აქა წიგნი გრძნეულთა მეფისა გარშარაბისა წინაშე დილარ მძლეველისა.

მაღლისა არსისა მიერ ყოვლისა ქვეყანისა მეფეთა და კელმწიფეთა ზედა მბრძანებელსა, მკლავ ძლიერსა და სიბრძნითა ორბებრ ფრთოვან ქმნილსა, დიდსა დილარ მძლეველსა თაყვანის-ცემა, დიდება და ქება! რა ბრძანებითა თქვენითა ქვეყანასა შინა ჩემსა დავშთი მომავალთა კელმწიფეთა ჰამბავთა მაყურებელად, ვიდრე ამა დრომდე ვერა რაჲ ვჰსცან, რათა დამემხო წინაშე დიდებულისა კვარცხლბეკისა თქვენისა მოხსენება ჩემი. ამისთვის ვიწყე შენება მოოხრებულთა ქვეყანათა ჩემთა და მრავალთა ძეგლთა ზედა აღმართულთა გამოვჰსწერე სახელი დიდებულებისა თქვენისა;

შ ა ი რ ი.

მიწა და მონა ტახტისა ვიკადრებ მოხსენებასა,
სამსახურისა თქვენისა სურვილით აღსრულებასა,

ადრე ხილვასა თუ ჰსწადდეს, ზესთა განგების ნებასა,
პირის-პირ თაყვანის-ცემით ღირს ვიქმნე თქვენსა ხლებასა!
მოსვლას ველოდი, შემწყინდა მომავალთ მოლოდებანი,
ვერა ვერა ვჰსცან მართალი, მხვდა ამად დაყოვნებანი,
ამისთვის ვიწყე უშენთა შენობის მოსწრაფებანი;
არა კეთილ არს დროთა—და ამაოდ გატარებანი!
მე ბრძანებისა თქვენისა დამცველი, აღმასრულები,
ვჰგებ ქვეყანისა მაშენად, სად ერთ არს ნაკლებულები,
შევამკე უცხოდ, კელ-ახლად ვჰყავ ერნი მკვდრებულები,
კვლა განვაახლენ ქალაქნი, აღვმართენ სრანი სრულები.

„აწ ესე მცირე დრო არს, რა მოვიდა სამზღვარსა ზედა ქვეყანისა ჩემისასა განძლიერებული იგი კელმწიფე ჩინეთისა გვირგვინოსანისა მის ქალაქისა პეკინისა ლასურ დიდითა დიდებითა და საზაროებითა, მრავლითა ათასითა ძლიერითა ფალავნითა, გულოვანითა ჭაბუკითა; ჰყავს ასი-ათასი ბრძოლასაშინა გაწვრთნილი სპილოჲ და თვითოსა სპილოსა ზედა სხედან ათორმეტნი მეომარნი ჭაბუკნი. მე ჩემ კერძო შევიკრიბენ სპანი ჩემნი და გარდაუდევ გზასა წინა. მომიგზავნა მოციქული და შემოეთვალა, ვითა: „მეფეო, მე სამტეროდ შენსა ქვეყანასა არა მოვსრულვარ, საქმე ჩემი სხვა არს, მომეც გზა, რათა შევიარო ქვეყანა შენი მშვიდობით, რომე გზასა ზედა არა მომიგვიანდეს, მიიღე ჩემგან ფასად რაცა გინდოდეს და ნურღა დამაყოვნებ, თვარა, ბრძოლისათვის არა გერიდებიო.“ მე რა იგი მოციქული მომივიდა, ვითარ იგი მქონდა თქვენგან ბრძანება, მივეც გზა და ყოველსა სახმარსა ფასითა შევჰპირდი. ესე ვითარითა სახითა შემოვლო ადგილი ჩემი და აჰა, მას გვირაბსა თანა მოვიდნენ. ესე კაცნი ჩემნი გაახელ და მე უკუნ ვიქეც სხვათა მათ კელმწიფეთა მაყურებელად. აწ ვშთები ბრძანებისა თქვენისა აღმასრულებელად და რა იქმნების ნება კელმწიფებისა თქვენისაო?“
ოდეს დილარ მძლეველმან ჰამბავი იგი მოისმინა, დიდად გა-

მხიარულდა და უბრძანა სახლის უხუცესსა საურმაგს და რაჲცა წინა ერთისა კვრისა პურობათა ზედა სხვათა თვითოსათვის მიეცა, ეგოდენივე უნაკლულოდ მეფისა გარშარაბისა ორისა კაცისათვის მიაცემინა; ცხენნი უკეთესნი უბოძა და მათ ბოძებულთა ნივთთათვის ორასნი საკიდარნი დაუტვრთეს. მისწერა წიგნი მადლობისა და ესრეთ გაისტუმრა კაცნი იგი; მოხარულნი და მრავლითა ნივთითა ძვირფასითა აღვსილნი. მაშინ დილარმან და მათ მეფეთა ყოველთა შეჰქმნეს ჰრჩევაჲ საქმესა ამას ზედა, და იყო თქმაობა მრავალი.

აქა დილარ მძლეველისაგან გრძნეულთა ქვეყანისა გარშარაბ მეფის წიგნის გაგზავნა წინაშე საყვარელისა თვისისა ჯანუჯან ვაზირისა ქალითა.

დილარ მძლეველმან ჰბრძანა: „ძმანო, მოვახსენოთ ჰამბავი ესე და წიგნიცა გარშარაბ მეფისა მივართვათ კელმწიფასა და შვებასა ჩემსა, და ვჰსცნათ, რასა ინებებს და ბრძანებსო.“ უბოძა წიგნი ბერსა ვაზირსა და გაისტუმრა. რა ბაღისა კარსა მივიდა, შვენიერი იგა მნათობი ზეფირ მოიხმო, მისცა წიგნი და დავედრებულიცა დილარისა ჰრქვა. ზეფირმან წიგნი იგი მიართვა კელმწიფასა მას კელმწიფეთა განმახელებელსა, და ოდეს ჰსცნა ჰამბავი იგი, დაჰსწერა წიგნი და უბოძა ზეფირს მიცემად ვაზირისა; უშვენიერესმან მნათობმან ზეფირ წიგნი იგი ბერსა ვაზირსა მისცა და გაისტუმრა, რა ჯანუჯან ვაზირი წინაშე დილარ მძლეველისა მოვიდა, წიგნი იგი მოართვა, დილარმან ჩამოართვა, აკოცა, თვალთა დაიდვა და მასვე უბოძა წარსაკითხავად, რომელსა შინა ეწერა ესრეთ:

აქა მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსიას წიგნისა წარკითხვა წინაშე დილარისა ჯან-ჯან ვაზირისაგან.

შ ა ი რ ი.

ჵე, ქვეყანისა ჩემისა სფეროთა განმაშვენებო,
მისთავე ატმოსფეროთა მომლხენო, არ მომწყენებო;
მზისა ქალაქსა მგლოვარეთ ბნელ გულთა გამათენებო,
რაცა გენებოს, იქმოდე, არასა არ გაყენებო!
შენ სურვილითა ჩემითა რაზომ რავდენნი გვნებიან,
ქვეყანათ მოვლა ეგზომი მზის სხივნი ვერ მისწვთებიან,
თვით სასტიკითა ბრძოლითა მეფენი დაგმონებიან,
მე ვარ მიზეზი, ვჰყო იგი, რაცა გულს ვით გეთნებიან!
რაცა ბრძოლასა სახმარ არს, ლომ-გულთა ქარტას ჰსწერიან;
კარგნი მამაცნი ომის ჟამს მტერთა ურიდად მზერიან;
მდედრთა არ წეს არს მამრობა, სად ბრძოლის საყვრს ჰბერიან;
მათთვის, რაცა ჰსჯობს, თვით იცი, სირნიცა მას იმღერიან!
ჰხედავ, მაღალმან ვით ღირს გყო შენისა გულის ნებასა,
ყოველთ სიტყვიერთ საწადელს, შეგასწრა დიდსა შვებასა;
ქვეყანა ესე კელთა მივეც ადრითვე შენსა თნებასა,
რაცა გინდოდეს, იქმოდე, ნუ ჰყოფ საქმისა კლებასა!
შენცა იცი, გულსა ჩემსა სხვა უშენო არ უნდოდეს,
მზეცა იქცეს კორციელად, ჩემის ტრფობით ველად ჰრბოდეს,
რასა ჰქვიან კელმწიფედა, რაზომ გინა მაღლოოდეს,
ჩემსა არეს ვერ ეახლოს, ქარისაებრ ჰაერს ჰქროდეს!
ზახსოვს, წერილით ქაღალდზედ ჩემგან თხზულ-დანართავია,
კვლა ზეფირისა პირითა, აწ რადლა სამალავია,
რაცა იქმნების განგებით, ვისგან რა საზრახავია,
მას პირსა ზედა სხვამან—და ჩემგან ვერ ჰპოვოს ზავია!
მოხდების ბრძოლა ძლიერი მრავალთა კელმწიფეთანი,
ვიცი, გახშირდეს მოედანს ჭაბუკთა აბჯართ კვეთანი,
დაეცნენ გვამნი უსულოდ, მიწასა ზედა მძლეთანი,
მაშინ გამოჰსჩნდეს გმირული მკლავთ ძლიერება მხნეთანი!

შენ დაჰსცევ თავი საჩემოდ, გაფუცებ სიყვარულსა და,
კვლა განეკრძალე მეფეთა და ყმათა თან კრებულსა და,
ჰბრძანე ყოვლ კერძო მოწვევა, ჰნახავ სპას დარაზმულსა და,
იგინი ჰბრძოდენ, ნუ გახვალ თქმულს ჩემსა განზრახულსა და!
თუმცა ბრძოლის თალპიონსა ერთ ჟამს ათასს გმირსა ჰსრვიდე,
ეგრეც ჩემებრ სატრფიალოს ვერა სადა ივაჭრიდე!
გთხოვ ვედრებით, თავი შენი მეომართა მოარიდე,
ამად რომე არ კეთილ არს უბრალოთა სისხლთა ჰღვრიდე!
უბრძანე, რაზმი შეჰკრიბე, მოგივლენ გმირთა დასები,
გიახლებიან ლომ-გულნი, ჭაბუკნი ბევრ ათასები,
სპასპეტნი, სპათა მთავარნი, სამეფოს პალატს ხასები,
კარგად გმსახურონ, უბოძე ერთგულებისა ფასები!
ზვერდით გახლავან ვაზირნი, ჩვენთა ყმათ აღმწერელები,
მდივანნი, ლაშქარნივისნი, თავ-თავად აღმრიცხველები,
უბრძანე, შეჰკრბენ მამაცნი მშვილდ ფიცხელ, მახვილ მჭრელები,
რა ჰნახო, შენცა მოგწონდეს ჩვენთა მტერთ სისხლთა მღვრე-
ლები!
შენ დაჰსჯედ ტახტზედ, უჭვრიტე მეომართ რაზმთა წყობასა,
იქით და აქათ შეექეც გულოვანთ მორბედობასა,
ზრდილნი არიან კეთილად ასპარეზ ნავარდობასა,
უხვად გაჰსცემდე, ნუ ათქმევ ლაშქართა სიძუნწობასა!
ამისგან კიდე, რაცა ჰსჯობს, ლომმან, გულითა ბრძენითა,
შენ იმოქმედე, არ გიშლი არ წერით, არცა ენითა,
ოდენ გახსოვდეს რჩევანი, იყავ ომისა თმენითა!
რა გაგვა, სხვანი იბრძოდენ, შენ ჰგებდე ტახტზედ ლხენითა!“

დილარმან რა ლექსნი იგი ისმინნა, გამოუღო, ჯანუჯან ვაზირსა აკოცა, თვალთა დაიდვა და, ვითა ანგარმან ოქროჲ, ეგრეთ უბესა დაჰკრძალა. დილარ მძლეველისა მხიარულებასა მხილველი ვერღა გამოთქმიდა, მით რომე მეტითა მხიარულებითა პირისა ელვარება ეთერსა დაეჰმსგავსა და თვალთაგან ცრემლთა აღენდა. მყისვე ჰბრძანა პურობისა გამართვა და

მიეცა მხიარულებასა; მას დღესა არღა დარჩა კაცი მისგან უნიჭებელი და არცა დაუთრობელი, მით რომე ერთითა კელითა უბოძებდა ღვინოსა და მეორითა ძვირფასთა სპეკალთა და ოქროთა; რომელიცა უბრძანებდა მიმღებელთა, ვითა: „ღვინო სახე არს სულისა კერძოთა ძალთა განძლიერებისა და სხვანი ესე ნივთნი ჩემისა ერთგულებისათვის მორჩილობისა; აწ ჟამი არს მხიარულებისაო.“ ჩვენ განაღა პატივის-ცემისათვის დილარისა ვსმიდით ღვინოსა და ვიღებდით ნიჭთა ურიცხვთა, გარნა ესრეთ შევიქმნენით ღვინითა, რომე კაცთა ძლევანვითა კნინღა მივიწიენით სახლთა ჩვენთა და განვისვენეთ.

აქა დიდმან აბაშეთისა და მზისა ქალაქის ქვეყანისა კელმწიფემან დილარ მძლეველმან უბრძანა ბერსა ჯანუჯან ვაზირსა, მომავალის ჩინეთის კელმწიფის და რაზმთა მისთათვის მრავალთა საზრდელთა შეგროვების მას ქალაქსა შინა.

Sხვასა დღესა, რა ყოველნი მეფენი და დიდებულნი შეჰკრბნენ დილარ მძლეველისა წინაშე, მაშინ უბრძანა ბერსა ჯანუჯან ვაზირსა დილარმან, ვითა: „მამაო, იგი მომავალი კელმწიფე, რასაცა გზასა ზედა მავალია და ანუ ვინცა არს, ჩვენ ეგრეთცა დახვედრა გვმართებს. გაჰსწერე ბრძანება, რათა ყოვლით კერძო შემოჰკრიბონ სასმელი, საკლავნი და პური, რათა უხვებით იყოს და არა მოგვაკლდესო.“ ჯანუჯან ვაზირმან თაყვანი-ჰსცა და მოახსენა: „დიდო და ძლიერო კელმწიფეო, ლასურ, ჩინეთისა კელმწიფე, თუმცა რაზმთა სიმრავლითა მომავალ არს, გარნა თუმცა ხუთი ეგზომი სიმრავლე სხვაცა მოჰყვეს, თვითოეულსა ქალაქისა შემოსავალი კმა არს ჩვენდა და მათდა, და ვინაჲთგან ჰბრძანებს კელმწიფება თქვენი, ამისთვის ერთისა ქალაქისა სხვისაცა შემოსავალი აქავე შემოიკრიბოს და ნუ თუ გამოსაღები ესე ქვეყანისა ამის ერთა დამამძიმებელ გეგონოსთ, თვით შემოსავალი სახელ-

მწიფო ეგოდენი არს, რომე რიცხვი არა მიიწთომისო.“ გამხიარულდა დილარ მძლეველი და უბრძანა საურმაგს: „ჩემსა მზესა, მამასა შენსა ნურა მისცემ შრომასა, ესრეთ მოემზადე, ვითა მაქვს შენგან იმედიო.“ საურმაგმან მოახსენა: „ჴელმწიფეო, მაგისათვის ნუ შეიურვებთ, თავმან თქვენმან, თუმცა ყოვლისა ქვეყანისა ჴელმწიფენი და მეფენი აქა შემოჰკრბნენ, ესრეთ დავხვდე, ვითა დიდებულსა სახელსა თქვენსა ჰშვენისო.“ მას ჟამსა უჩინნა სახლის უხუცესმან საურმაგ მრავალნი მესტუმრეთ უხუცესნი და მესტუმრენი, ეზოს მოძღვარნი და და ჴელ-ქვეშენი მათნი, მეღვინეთ უხუცესნი და მეღვინენი, მუჯირნი და აუსტარნი და ყოველნი საგანმგეონი განაწესნეს თჳს-თჳსითა მოკელეთა მიჩენითა, და ერთსა სწორსა ზედა ესრეთ განამრავლეს კაცთა და ცხენთა საჭმელნი, რომე ჰამრავ შეუგებელი იყო და მათთანა ეგოდენნი საჴელმწიფონი ტაიჭნი შემოჰკრიბეს, რომე სიკეთესა და სიმრავლესა მათსა ზედა გონება კაცისა განჰკვირდებოდა. თვით მიჰყო დილარ მძლეველმან ჴელი განცემასა და სიუხვესა, რომე არა დააგდო არა მცირე და არცა დიდი, რომელი არა აღავსო წყალობითა და ნიჭითა, და ესრეთ ამხიარულებდა მუნებურთა და გარეგანთა პურობითა და ჩუქებითა, და ყოველი პირი ადიდებდა ჴელმწიფებასა მათსა.

აქა ჩინეთის ჴელმწიფის ღასურის მოსლვა დიდითა სასაროებითა და მრავლითა გულ-ღრმითა ფალავნითა.

მოვიდა იგი დიდი ჴელმწიფე გვირგვინოსანი ღასურ მრავლითა ძალითა და რაზმთა სიმრავლითა, რომელსაცა ახლდეს ხუთნი გვირგვინოსანნი მეფენი ძლიერნი და გამოცდილნი ბრძოლათა შინა; დაჰსცეს მრავალნი კარავნი ვითარ ქვიშა ზღვისა, და აღივსო მის დიდისა მოედნისა კიდენი გულოვანთა მეომართაგან; დაიყენეს სპილონი მისავალთა ადგილთა და

განეწყვნენ კელმწიფობისა წესითა; სამსა დღესა განისვენეს მაშვრალობისაგან და არავის გაეუბნეს.

აქა დილარ მძლეველისაგან გაგზავნა სპასალარისა თვისისა მარსისა წინაშე ლასურ ჩინეთის კელმწიფისა მოსაკითხავად და პურად მოსაწვეველად.

Meორესა დღესა უბრძანა დილარმან სახლის უხუცესსა თვისსა, ვითა: „საურმაგ, გვმართებს, რათა გაუგზავნოთ კაცი მოკითხვისა კელმწიფესა მას ლასურს და მოვიწვიოთ პურად ჩვენდა." საურმაგმან თაყვანი-ჰსცა და მოახსენა: „კელმწიფეო, რასაცა ვით ინებებ, ყოველივე მზა არს, და ნებისაებრ თქვენისა აღსრულდეს." მაშინ უბრძანა სპასალარსა თვისსა, ვითა: „მარსი, მივედ კელმწიფესა ლასურსათანა, ჩემ მიერ სიყვარულით მოკითხვა მოახსენე, და მშვიდობით მოსვლისათვს მისისა სიამოვნე გამოუცხადე, და აწვივე პურობად მობრძანება ჩვენდა." ბრძანებისა მორჩილი მარსი აღჰსდგა, გაიყოლა თანა კარგნი მოყმენი, გასხდნენ ცხენთა და გაემართნენ. ოდეს მარსი მათსა სიახლოვესა მივიდა, მოეგება წინა ხაყან ვინმე ფალავანი, რომელიცა იყო, თურე, მას დღესა მცველი გარემოთა მისავალთა გზათა ათასითა ლომგულითა ჭაბუკითა და შემოჰსძახა სპასალარსა ჩვენსა, ვითა: „ვინ ხართ ეგეოდენ ცოტანი ამა გზასა მავალნიო." მარსიმ მიუგო ტკბილითა სიტყვითა: „ძმაო, ამას ჟამსა მოყვარენი ვართ და არა მტერნიო და მაქვს სიყვარული მოკითხვითურთ დაბარებული დიდისა და ცათა ჰსწორისა მზისა ქალაქისა და ყოვლისა აბაშეთისა თვით მპყრობელისა დილარ მძლეველისა მიერ, პატრონსა შენსა თანაო." ხაყან ფალავანმან, რა მარსის თქმულნი ისმინნა, მყისად გაგზავნა ბუნბერაზი ერთი, და აცნობა უპირველესსა თვისსა მისვლაჲ დესპანისა. ოდეს ლასურ კელმწიფისათვის მოეხსენებინათ, ებრძანა მიყვანა მარ-

სისა, და მივიდა, სადა ლასურ ჰბრძანდებოდა, ახლდეს ორსავე მკარესა გვირგვინოსანნი მეფენი, გულ-ლომნი სარდარნი და მკლავ მაგარნი ფალავანნი, რიცხვითა შეუგებელნი. სპასალარმან თაყვანი-ჰსცა ლასურ კელმწიფესა და ყოველივე დაბარებული მოახსენა.

აქა ჩინეთის კელმწიფის ლასურისაგან პასუხის დაბარება დილარ მძლევველსა თანა და მარსის გამობრუნება.

ოდეს სპასალარის მოხსენებული ისმინა ლასურ კელმწიფემან, მაშინ უბრძანა: „ძმაო ჩემო, პატრონსა შენსა მადლობა მოახსენე და ესეცა ზედა დაურთე, ვითა: „კეთილსა ამას ქვეყანასა შემოსულხარ ვითარცა მპარავი და ჰგონებ, რეცა ძლიერებითა შენითა მიემთხვიო სურვილსა შენსა, და ესე იცოდე, შეგანანებ აქა შემოსვლასა; აწე თუ გონიერი იყო, პურობისათვის არა გცალს, მით რომე რაჲცა ჟამნიდა გისხენან, ჰსჯობს სიცოცხლესა ესალმოდე; ხვალითგან მზა იქმენ, რომე მოგისევ უნდოთა ვიეთთამე მეომართა და წინაშე ჩემსა შეკრულსა მოგალებინებ, და უკეთუ კარგი ჭაბუკი ხარ, გამოვედ მოედანსა ზედა შენითა თანა მყოლითა და ნუ შეაპყრობინებ თავსა შენსა სახლსა შინა, მით რომე სახლსა შინა შეპყრობა მამაცთათვს აუგიაო.“ ესე უბრძანა მარსის. უბოძა მრავალი, გარნა არა რაჲ მიიღო, თაყვანი-ჰსცა და წამოვიდა.

აქა წინაშე დილარ მძლევველისა მარსი სპასალარის მოსლვა.

სპასალარი გულზედა ცეცხლ-მოკიდებული ესრეთი მოვიდა, რომე, თუ ვჰსთქვა, პირითა ალსა ადენდა. რა დილარ მძლევველმან მარსი ეგრეთ იხილა, უბრძანა: „ჩემსა მზესა, ყოველსავე დაუფარავად იტყოდეო.“ მარსი განრისხებული

ზე ვერღა ჰსდგებოდა, და მოახსენა დაუფარავად, რაჲცა ლასურ კელმწიფესა დაებარებინა, მერმე ქვე მიწასა დაემხო და ვედრებით ჰსთხოვა: „ძლიერო კელმწიფეო, ინებეთ და ხვალე მე მიბრძანეთ მოედანსა ზედა შესვლაჲ, რათა ძლიერნი იგი გმირნი ჭაბუკნი ლასურისანი მე გამოვჰსცადოო.“ დილარმან გაიცინა და უბრძანა: „მარსი, მაგას ზედა ნუ იურვი, თავმან ჩემმან, ხვალისა დღესა ჰრჩეულნი იგი გმირნი ლასურისანი დაპყრობილნი კელსა ქვეშე შენსა იქმნებიან, და შენისა ბრძოლისა დღე ხვალე არა არსო.“

აქა მზისა ქალაქისა მოედანსა ზედა ლასურ კელმწიფისა ურჩეულესთა გმირთა ათასთა და ასთა მოყმეთა დილარ მძლეველისათა ბრძოლა ძლიერი.

რა დილა მზისა ორიონთაგან, ვითა სასძლო ქალი, ეგრეთ შეიმკო, უბრძანა დილარ, აბაშეთისა ისარმან, მზისა ქალაქისა საგანსა ზედა დამჰსჭვალულმან, ასთა თვისთა მოყმეთა აბაშიურთა ჩინებულთა დიდებულთა ძეთა, ვითა: „განვედით მოედანსა ზედა და, თავმან ჩემმან, უკეთუ დღეს მოპირისპირეთა თქვენთა ჩემთანა დაპყრობილთა არა მოასხამთ, სიცოცხლესა თქვენსა წინაშე ჩემსა დაჰკარგავთო.“ მათ თაყვანი-ჰსცეს, შეიჭურნენ და მოედანსა ზედა გავიდნენ. შემდგომად უბრძანა მეკობრეთა მეფესა განსლვა მოედანსა თვისთა ყმათა თანა, და შეამოყრილთა მეომართა დაპყრობაჲ. დილარისა ბრძანებისაებრ მზა იქმნენ ყოველნივე მოედანსა ზედა, და შეიქმნა მრავალ გვართა საყვირთა კმიანობაჲ, დაჰსჯდა ლასურ ჩინეთისა კელმწიფე მაღალსა ტახტსა ზედა და გამოვიდნენ ათასნი ფალავანნი მისნი, რომელნიცა, ღმერთო, შესახედავად საშინელნი იყვნეს: სრულად რკინასა შინა ისხდეს ცხენნი და კაცნი და ეტყობოდათ, რომე ჰქონდათ მკლავთა თვისთაგან იმედი ოდეს მოედანსა შემოვიდნენ, შეჰსძახეს

კმითა დიდითა, ვითა: „გამოვიდეს, რომელიცა არს დილარ, რათა შევიპყრათ და დიდსა კელმწიფესა ჩვენსა მივართვათო.“ მას კმასა ზედა გაჰსწყრეს ყმანი დილარისანი, შეუტიეს და შეჰსძახეს: „ბედ მლაშენო, ვითა ღირს ხართ პატრონისა ჩვენისა სახელისა ხსენებასაო.“ დაუწყეს ბრძოლა ფიცხელი, თავმან თქვენმან, ესრეთითა შვენიერითა მოძრაობითა იბრძოდეს, რომე მეომრობისა სიკეთისა ქება მათზედა დასრულდებოდა. იგი ლასურ კელმწიფისა ფალავანნი, თურე, ჰრჩეულნი მეომარნი იყვნეს და განგრძელდა ბრძოლა ვითარ ხუთი ჟამი.

აქა მზის ქალაქის კელმწიფა ანავსის აღვიდა გოდლის ბანთა ზედა და დილარის მოყმეთა ბრძოლასა უჭვრეტდა.

მაშინ მოხსენდა მას მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსისა, ვითა: „ასნი მოყმენი დილარისანი და ათასნი ჰრჩეულნი ფალავანნი ლასურისანი ბრძოლასა სასტიკსა არიანო.“ აბრძანდა მის გოდლისა მაღალთა ბანთა ზედა, მრავალთა მნათობთა ქალთა თანა ხლებითა, და მუნით უჭვრეტდა იდუმალ ბრძოლასა მათსა და ჰბრძანებდა: „ვითარ გამოიმეტა დილარმან ასნი იგი ტურფანი მოყმენი ათასთა ვეშაპთა ბრძოლისათვის, ნუ უკუე ბრალად არა უჩნსო.“ იყო საყვრთა კმიანობა, და შეჰსძახეს ყმათა დილარისათა ერთიერთსა, ვითა: „ძმანო, უკეთუ გვეტყობის პატრონსა ჩვენსა თანა ზრდილობა რაჲმე, აწ გამოჩენისა ჟამი არსო.“ მიიცეს კელთა გურზები, იწყეს მით ცემაჲ და გარდამოჰყრიდეს ჩინებულთა მათ ფალავანთა, ვითარცა ხეთა ფურცელთა; იზახდეს, ვითარცა ლომნი მყვირალნი ყმანი დილარისანი, და ცხრა ჟამადმდე იგი ჰრჩეულნი ფალავანნი ლასურისანი ჰშთამოჰყარნეს თავ-მხარ დალეწილნი, და ყოველნივე დაიპყრეს მეკობრეთა მეფისა სპათა და მიიყვანნეს წინაშე დილარ მძლეველისა, ხოლო მოყმენი დილარისანი ჰსდგეს მოედანსა ზედა და გაითხოვდენ მოპირის-

პირეთა. რა ლასურ კელმწიფემან იხილა მათ ცოტათა მოყმე-თაგან ძლევაჲ თვისგან გამორჩეულთა ფალავანთა, ჰბრძანა და გასაყარსა საყვირსა აკვრევინა. ყმანი ლილარისანი გამო-ბრუნდენ, პატრონსა თვისსა გამარჯვება მიულოცეს და კელ-სა აკოცეს, ლილარ მძლეველმან პირთა აკოცა, და შეჰქმნეს პურობა ყოველთავე მოხარულითა გულითა.

აქა ახავსია კელმწიფისა მიერ ლილარ მძლეველისა მოყმეთა გამარჯვე-ბისა მოლოცვა ზეფირისა მონისა პირითა და ჯილდოთა ბოძება.

მაშინ მოვიდა მონა ზეფირისა და სხვათა მონათა სიმრავ-ლე, მოიღეს მათ ასთა დიდებულთა ძღჳათვის მძიმე და ძვირ-ფასნი შესამოსელნი, ტანთა დაჰმოსნეს და თვითოსა წინა დაუდგეს დიდ-დიდითა ოქროსა სინითა სავსე დათლილნი სხვილნი იაგუნდნი, და შემოეთვალაცა ზეფირს ესე პირი, ვითა: „დიდებულმან კელმწიფებამან მათმან ინება უზენაესისა მოწყალებითისა თვისისა მოხედვითა, თქვენისა სიმკნით მორ-ბედობისათვის ჯილდოდ ასთა თვისთა დიდებულთა ქალთა მნათობთა ცოლად ბოძებაჲო.“ მათ ლილარისა მოყმეთა დი-დისა მხიარულებითა თაყვანი-ჰსცეს და თვით ლილარმან მა-დლობა მოახსენა. მონანი იგი წარვიდეს და ჩვენ კელი ვჰკა-დეთ სმასა და მხიარულებასა. უკვრდათ მის ქვეყანისა ყო-ველთა დიდებულთა და იყოდეს: „არა ყოფილ არს პირსა ზედა ქვეყანისასა ლილარისა მოყმეთაებრი ჭაბუკიო.“

აქა კვალად მოვიდა მოციქული მის დიდის ჰეკინის კელმწიფისა ლასურის.

ჩვენ რა განდიდებულსა მას სმასა და მხიარულებასა შინა ვიყვენით, მოვიდა მოციქული ლასურ ჰეკინისა კელმწიფისა

და შემოეთვალა ესე, ვითა: „ხვალისა დილასა შემოვგზავნი მოედანსა ზედა ათასთა ჭაბუკთა ჩემთა, და შენცა ეგრეთვე ჰქმენ, და მათცა ერთმანერთი გამოჰსცადონო.“ დილარმანცა ნება დაჰრთო. იგი მოციქული ტანსა შეამოსვინა, უბოძა მრავალი და გაისტუმრა. დილარმან მას პურობასა ზედა აღავსებინა ასნი ოქროსა თასნი ღვინითა და თვით კელითა თვისითა უბოძა ასთა თვისთა მოყმეთა დიდებულთა ძეთა და უბრძანა: „ეგე შესვით და, ჩემსა მზესა, ხვალე კარგად შეიბენითო.“ მათ ერთობით ადიდეს დილარ მძლეველი, შესვეს ღვინო და წარვიდნენ სახლთა თვისთა.

აქა ასთა აბაშიურთა დიდებულთა ძეთა დილარ მძლეველისა მოყმეთა და ათასთა გმირთა ჭაბუკთა ლასურ კელმწიფისათა ბრძოლა ძლიერი.

დილისა სახელისა წოდებისა ჟამსა ჰკრეს ორსავე კერძოსა საბრძოლველთა საყვირთა; მასვე კმასა თანა მყისად განვიდნენ დილარისა მოყმენი და თანა გაჰყვა მეფე ზორასტან რაზმითა თვისითა; მეორით კერძო მოვიდნენ ათასნი იგი ლომ-გულნი ფალავანნი პეკინისა კელმწიფისა ლასურისანი, შემოუვლეს ნავარდი ერთმანერთსა და შეიბნეს, შეიქმნა ბრძოლა ფიცხელი და სასტიკი. აბაშელნი მოყმენი შიშითა დილარისათა საჭურველსა ვერა კმარობდეს, მით რომე იცოდეს, მეომართა სიკვდილი დილარისა არა საამო იყო, ამისთვის იბრძოდენ ოდენ გურზისა ცემითა, გარნა რომელსაცა ფალავანსა გურზსა დაჰკრვიდენ, მყისად ცხენით გარდამოაგდიან და ზორასტან მეფისა თანა მყოლნი მოჰსცვივდიან და კელნი დაუკრიან. მას დღესა დიდად მოიჭირვეს ჰრჩეულთა და ჩინებულთა ჭაბუკთა კიტაიისა კელმწიფისათა, გარნა მეცხრესა ჟამსა ყოველნივე ჩამოჰყარნეს ცხენით და დაიპყრნეს. ჰკრეს გასაყარსა საყვრსა და დაიშალა ასპარეზობა. მოვიდეს ყმანი დილარისანი, მოულოცეს გამარჯვება და კელსა აკოცეს დი-

ლარმან პირთა აკოცა, უბრძანა მადლობაჲ, და გამართეს პურობაჲ. რა სმასა შინა ვიყვენით და ვმხიარულობდით,

აქა ზეფირის მონათა მოსვლა და მოლოცვა ასთა მნათობთა ქალთა(?) ბოძებისათვის ასთა მოყმეთა დილარ მძლეველისათა.

ჴვალად მოვიდნენ მონანი ზეფირისანი, მოიღეს ეგეოდენნივე და მოულოცეს ეგრეთვე ასთა დიდებულთა ასულთა მნათობთა ქალთა ცოლად ბოძებაჲ. რასაღა ვაგრძელებდე სიტყვათა! ათასთა მოყმეთა დილარისათა, ათსა დღესა შინა, ათი-ათასნი გამოჩინებულნი ფალავანნი დაიპყრნეს და ათასთავე უბოძა მნათობნი ქალნი ცოლად მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსიამან.

აქა ჩეკინის კელმწიფის ლასურის მოციქულის მოსვლა წინაშე აბაშთა მპყრობელისა დილარ მძლეველისა.

დღესა ერთსა პურობასა ზედა ვსხედით და ღვინოსა ვსმიდით, მოვიდა მოციქული ლასურ კელმწიფისა და შემოეთვალა ესრეთ, ვითა: „დილარ აბაშო, ხვალე გამოვგზავნო ათნი სპასალარნი ჩემნი და, თუ ჭაბუკი ხარ, თვით გამოვედ და შეები, რომელნიცა გაცნობებენ მკლავთა შენთა ძლიერებასაო.“ დილარ მძლეველმან კაცსა მას უბოძა მრავალი და შეუთვალა პასუხი ესრეთ: „ლასურ მეფეო კიტაიისაო, ჯერეთ ბრძოლისა ჩემისა ჟამი არა არს და ოდეს შენ შემოხვალ მოედანსა ზედა, რომელსაცა ალგიმალლებია თერმონისა *) სმითა და იტყვი, რეცა შენებრი მეომარი თვალსა მზისა-

*) დედანში: ჩაის სმითა.

სა არა ენახოს, მაშინ გაჩვენო მკლავთა შენთა ძლიერება, და ხვალე შენთა მაგათ სპასალართა მოედანი ცალიერი არა დაჰხვდებისო.“ მოციქული ამით სიტყვთა გაისტუმრა, და ზედა აღჰსდგა გოჰარ პოლანთა მეფე და მოახსენა: „კელმწიფეო, ინებეთ და ბრძოლისა ასპარეზი ხვალე მე დამრჩესო.“ მაშინ ჯანუჯან ვაზირმან მოახსენა: „არა, თავმან შენმან, კელმწიფეო, მათ სპასალართაგან სიფრთხილე გვმართებსო.“ დილარ მძლეველმან აღავსო თასი ბრილიანტისა ღვინითა და უბოძა მარსის ამით ბრძანებითა, ვითა: „სპასალართა ბრძოლა სპასალარსა გმართებს, ეგე შესვი, და უკეთუ ხარ ჩემთანა ზრდილი, ხვალე გაგიჩნდებისო.“ მხემან თქვენმან ესრეთ გამხიარულდა მარსი, რომე ვითა ზეფირსა თანა შვებისა დღე ღირსებოდა! აღჰსდგა, მუკლსა აკოცა და მოახსენა: „კელმწიფეო, ამას ოდენ გევედრები, უკეთუ მათ სპასალართა მათისა გულის-თქმისაებრ არა ვაქმნიო და ვჰსძლიო, მომეც აღთქმა, რათა სურვილსა ჩემსა ვეწვიო, და ტკბილთა ბაგეთა ზეფირისათა დაკონებასა ღირს-მყოთო.“ მარსის თქმასა ზედა დილარს გაეცინა და ბერსა ვაზირსა შეხედა; მან მოახსენა: „კელმწიფეო, ნუ ლაღობად შემირაცხ, თავმან კელმწიფებისა თქვენისამან, უკეთუ მათ ძლიერთა სპასალართა ჰსძლევს, ერთად წოლისაცა ღირსი იქმნებისო.“ ჩვენ ვიცინოდით და იგი დღე ლხინითა გარდავვლევით. მეორესა დღესა ადრე შეიჭურა სპასალარი, მოვიდა, დილარს მუკლსა აკოცა, გაჯდა ტაიჭსა თვისსა და შევიდა მოედანსა ზედა; გაჰყვა მეკობრეთა მეფე თვისითავე რაზმითა, აქეთ შეიქმნა სამართა საყვრთა კმიანობა და მეორით კერძოთ უმატეს სხვათა და სხვათა ზარისა მოსამატებელად საყვირთა ცემასა, გამოვიდნენ ლასურისა იგი ათნი სპასალარნი მძიმედ შეჭურვილნი. შემოიგდეს ცხენნი მოედანსა ზედა და ეტყობოდათ, რომე ძლიერნი მეომარნი იყვნეს. მათ საყვირთა კმიანობასა ზედა აღვიდა დილარისა მზე ბანსა ზედა და მუნით უჭვრეტდა იდუმალ.

აქა დილარ მძლეველისა სპასალარის მარსისა და ათთა ძლიერთა სპასალართა ლასურ კელმწიფისათა ბრძოლა ძლიერი.

სპასალარმან მარსიმ რა მოპირისპირენი თვისნი იხილნა, ცხენი გააფიცხა, შეჰსძახა კაფისა კმითა სახელი პატრონისა თვისისა დილარ მძლეველისა და სასტიკითა შეტევებითა მიმართა სპასალართა მათ. პირველსავე მისვლასა ზედა ერთსა მათგანსა მიჰყო კელი სარტყელსა, აზიდნა კბილ ორქენით, ალგლიჯა უნაგირისაგან, შეჰსტყორცა სხვასა და ორნივე ცნობა მიხდილნი ქვე მიწასა ზედა დაჰსცნა, მყისად მისცვივდეს დასნი ზორასტანისანი, მკარნი დაუკრეს და წარიღეს, სხვა რვანი იგი მოეხვივნეს მარსისა და დაუშინეს გულ-მესისხლედ ლახტითა, და იგიცა გურზსა თვისსა მათზედა გაამსწრაფლებდა; ჰქონდათ დაუცადებელად ლახტთა ცემაჲ, შუბთა ძგერებაჲ და კმალთა კუეთებაჲ; ზეფირისა სიყვარულითა შემწვარი საბრალო მარსი შეიცვეს გარე უწყალოთა მათ სპასალართა და კნინღა არღა მოაცალეს იარაღისა კმარებად, ალეწდეს ზედა შუბთა, კმალთა და ისართა და იყო ყივილი დიდი და ძლიერი პეკინელთაგან, ვითა: „ლომ-გულნო სპასალარნო ლასურისანო, ჰსძლიეთ აბაშსა მაგას და ცოცხალსა ნუ გაუშვებთო.“ მაშინ განჰრისხდა მარსი და კვალად შეჰსძახა სახელი დილარ მძლეველისა, და იწყო ბრუნვა გურზისა და სასტიკად ცემაჲ მათ ზედა. იჭირვოდეს სპასალარნი იგი, გარნა მარსიმან, რომელსაცა ჰსცა გურზი თვისი, ცხენით გარდმოუგდებელი არღა გაუშვა და ეგრეთ ძლიერითა ბრძოლითა ცხრა ჟამადმდე ყოველნივე ქვე ჩამოჰყარნა და მეკობრეთა მეფისათა დაიპყრნეს. მარსი სპასალარი ძლევა-შემოსილი მიუხდა ლასურისა კერძო და მოპირისპირეთა გამოიწვევდა. მათ გასაყრელისა საყვირსა ჰკრეს და მარსიცა გამობრუნდა, მოვიდა სპასალარი, დილარს გამარჯვება მოულოცა, კელსა აკოცა და დილარმანცა პირსა აკოცა, აგდებით მადლობა

უბრძანა და ჰრქვა ესრეთ, ვითა: „ჯაბანთა ვიეთთამე შეები და ძლევითა მათითა ზეფირისა შვენიერთა ბაგეთა კოცნასა არა ღირს-ხარო.“ მარსიმ საბრალოდ აღმოიოხრა და მოახსენა: „დიდო კელმწიფეო, პირველსა აღთქმასა ნუ გამიტეხთ და, თუ გნებავსთ, თვით ლასურსაცა შემაბითო.“ მცირესა ჟამსა ეს გვარად ილაღობეს, და პურობა გამართეს.

აქა მის მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსიას მონათა მოსვლა პურობასა ზედა მარსისა გამარჯვებისა მილოცვისათვის და წყალობისა მოღება მათგან სპასალარისა მარსისა თანა.

რა მხიარულებასა და სმასა შინა ვიყავით, მოვიდნენ უშვენიერესნი მონანი მის მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსიასანი, მოიღეს მძიმე ოქრო-ქსოვილი შესამოსელი და ეგრეთვე ოქროსა სინითა დიდითა ძვირფასნი იაგუნდნი მარსისათვის, და ესე ებრძანა, ვითა: „სპასალარო ჩვენო, დღეს საცოლოსა შენსა ზეფირს კარგად გაეჩვენე და ესე ბეჭედი მისეული ამად გიბოძეო.“ იგი ბეჭედი თლილისა ბრილიანტისა ესრეთი იყო, რომე ერთსა დიდსა ქალაქად ჰფასობდა. მარსი სპასალარი ზე აღჰსდგა, ქვე მიწადმდე თაყვანი-ჰსცა, ბეჭედსა მას აკოცა, ნეკსა შეიცვა და მხიარულებასა რასამე დიდსა მიეცა. მათ მონათა თვით დილარმან მადლობა უბრძანა ზე დგომით, და წარვიდნენ. ჩვენ ვსვით განთიადადმდე და გავიყარენით. სხვასა დღესა შეჰკრბნენ ყოველნი მეფენი და დიდებულნი წინაშე დილარ მძლეველისა და უბრძანა დიდებულთა თვისთა, ვითა: „ძმანო ჩემნო, არა კარგი არს ესე, რომე ეგე ვითარი კელმწიფე დიდსა ამას საკელმწიფოსა შემოვიდეს და ჩვენ პურითაცა ვერა დავხვდეთო.“ აწე გაუგზავნოთ კაცი და მოვიწვიოთ პურად ჩვენდაო.“ მათ დიდებულთა ყოველთავე ერთობით მოიწონეს ბრძანება იგი.

აქა აბაშთა თვით მპყრობელისა დილარ მძლეველისაგან სპასალარისა თვისისა მარსისა მოციქულად გაგზავნა დიდისა ჰეკინისა კელმწიფის ლასურისა წინაშე და პურად მოწვევისა დაბარება.

უბრძანა დილარ მძლეველმან სპასალარსა თვისსა, ვითა: „მარსი, აღჰსდეგ და მივედ წინაშე ლასურ კელმწიფისა და ესე მოახსენე, ვითა: მოსრულხარ დიდისა ქვეყანისა მპყრობელი და განგებასა ორნივე აქა ერთსა საქმესა ზედა შეუკრებივართ და ჩვენთა წადილთა მიმთხვევასა ვილვწით, ბრძოლისა დღესა საჭურველისა ხმარება გვმართებს და მშვიდობისა ჟამსა ერთმანერთისა ხილვასა და პურობასა რად ცაყენებთ; გთხოვთ, რათა ინებოთ და პურად ჩვენდა მობრძანდეთო.“ სპასალარმან თაყვანი-ჰსცა, იახლნა კარგნი მოყმენი და წარვიდა. რა მათსა მწყობრსა მივიდა, მოახსენეს კელმწიფესა ლასურს და მანცა ინება მოყვანება მისი; ვითარ იგი აქვნდათ წესი, შეუძღვნენ, თაყვანი-ჰსცა მარსიმ, წარჰსდა და მოახსენა, რაჲცა თვისისა კელმწიფისაგან ბრძანებული აქვნდა. რა ლასურ კელმწიფემან აგი შეთვლილობა მოისმინა, ესრეთ შეიქმნა, ვითა ცეცხლი და ესრეთ უბრძანა მარსის: „ძმაო ჩემო, ესრეთ მოახსენე შენსა წარმომავლინებელსა: „რაჲცა საქმე შენ გავიგია, ეგე არა არს გონიერთა კაცთაგან განსაგებელი, მითრომე საქმე ჩვენი მტერობა არს და არა მოყვრობა, შენ ვითა ძალ-გედვას ემზადებოდე გაწბილებისათვის ჩემისა და მეცა ყოველივე ძალი ჩემი აქარე მომიტანია, ესე არს სურვილი ჩემი, რათა გძლიო შენ და ტახტისა ჩემისა თაყვანის-მცემელად გამყოფო შენ და ანუ მოედანსა ზედა სატრფიალოსა ჩემისათვის სახელოვანი სიკვდილი მოვიდო. ამიერითგან განემზადე, ანუ სიკუდილი შენი მოახლებულ არს და ანუ დიდებულისა ტახტისა ჩემისა დაცემაჲ. ორნი ერთისა სატრფიალოსა მტრფიალნი ვართ და ურთიერთისა ძლევისაგან კიდე ვერა რაჲ გარდაგვიწყვედსო.“ ესე სიტყვანი უბრძანა სპასა-

ლარსა, უბოძა მრავალი და დაითხოვა. ოდეს გმირი იგი მარსი წინაშე დილარისა მოვიდა და თაყვანი ჰსცა, გალანამცა ყოველივე დაბარებული უნაკლულოდ მოახსენა. დილარ მძლეველი თუმცა შეჰსწუხდა, გარნა მრავალიცა იცინა, და ჰბრძანა: „ღმერთო, კაცი იგი ვინცა არს, ჩაუშობისა *) ღირსიცა არა ყოფილ არსო, მით რომე სიყვარულსა არა მიიღებს და სისხლისა დაღვრასა ისწრაფისო: ამიერითგან ვუჩვენო საქმეთა მისთა შენანებაო."

აქა დილარ მძლეველისაგან მისთანა მეომართა მეფეთა და დიდებულთა თანა შესაგონებელთა და დასახსოვართა სიტყვათა ბრძანება.

რა მარსის მოციქულობა მოისმინა, დილარ აბაშთა მბრძანებელმან და მზისა ქალაქისა მპყრობელისა დამონებულმან ინება და შეჰქმნეს პურობაჲ. დილარ, გმირთა მაგალითი, ზომისაგან უმეტესად განმხიარულდა და ჰბრძანა: „ვმადლობ სვესა ჩემსა, რომე ვიხილე დღეთა შინა ჩემთა კაცი ეგე ვითარი, რომელსა ჰშორავს სიყვარული და სისხლისა დაღვრა ჰსურსო." მრავალნი ტკბილნი და გულსა დასაუნჯებელნი სიტყვანი უბრძანა მეფეთა მათ და დიდებულთა კრებულთა ეგე ვითარისა მოქმედისა კაცისათვის, და ჰბრძანებდა, ვითა; „არა ჯერ არს კელმწიფეთაგან სამართალსა გარე განსლვა და მძლავრებისა შედგომა, მით რომე კელმწიფენი მიმსგავსებულ არიან მადლითა მას, რომელი იგი არს ცასა ცათასა და ვითა იგი მართალ არს, რომე არს ერთი სამობით და სამობა ერთობით, ეგრეთვე კაცთა მოჰსცა გონება, სიტყვა და სული, მიზეზითა ამით, რათა ჰსცნობდენ კაცნი სამობისა ღვთისა ძლიერებასა და, ვითარ იგი ჰბრძანებს სიყვარულსა, ეგრეთ ყოველთავე გვიყვარდეს, ყოველნივე ვიქმოდეთ სიმართლესა, ერთი-ერთსა

*) დედანში: გზირი.

შეწევნასა ვჳსწრობდეთ, არა ვიუსამართლოთ სხვათა მამულთა შეძინებითა; უკეთუ იმძლავრებოდეს ვინმე ერთი-ერთისაგან და გვთხოვოს შეწევნა და მფარველობასა ქვეშე ჩვენსა შემოსვლა, დავჰსცვათ იგი კელისაგან მძლავრისა და ვაუფლოთ იგი ყოველსა თვისსა ზედა უზრუნველად, ოდენ კელი ჩვენი ჰსცვდეს მას, და განაგებდეს ქვეყანასა თვისსა ნებისაებრ თვისისა, მით რომე უკეთუ მძლავრისაგან განვარინებთ ქვეყანასა მათსა და ჩვენ მიუღებთ, მაშინ ვიქმნებით ჩვენ ტირან და ბოროტისგან უბოროტეს. ყოველნი კელმწიფენი არიან ვეშაპნი პირ-აშკმულნი, რომელთაცა ჰნებავსთ ყოველთა შთანთქმაჲ, და ესე არს უბოროტესი ყოვლისა სიბოროტისა, მძლავრნი კელმწიფენი დაადგენენ თითოთა გვამთა თვითოთა ვრცელთა ქვეყანათა შინა და არა იგულკმებენ, ვითარ მტანჯველ არიან მათდა. ნუ იყოფინ ესე მართლ-მსაჯულთა კელმწიფეთა შორის, რათა არა დასასჯელ იყოს კელმწიფება მათი მრჩობლსავე შინა. მივხედოთ ცხოვრებასა ჩვენსა და ვიხილოთ, არა მიწანი ვართა კორციითა! და თვინიერ კეთილ მოქმედებისა სულისათვის არა რაჲ არს საკმარ, დიდება ესე მსოფლიო მიწასა შინა ვისმე შთაჰყოლიეს ყე! სამართალ არს ესე, რათა ცხოვრება ჩვენი განვატაროთ სიმართლით და სიყვარულით! აწ მე რაზომცა მოქმედება პეკინისა კელმწიფის ლასურისა მარისხებს, ეგრეცა სიყვარული მისი არავე შეცვალების გულსა ჩემსა და ყმათა მისთა პყრობილება მაურვებს, გარნა, რაჲცა იქმნების, ბოლოდ ეგრეთვე სიყვარული აღორძნდების ჩვენ შორის, თუ არა შემდგომთა დღეთა განვიცადოთო.“ ესე გვარნი მრავალნი სწავლანი ჰბრძანა და პურობა იგი გავატარეთ ეგრეთსა წვრთანასა შინა. მას დღესა განამრავლა დილარ მძლეველმან გაცემაჲ და არავინ უნიჭებელი დაუტევა, ესრეთ რომე მას ქალაქსა შინა ყოველსა მოსახლესა თვითოსა დიდისა ოქროსა ხონჩითა სავსე ძვირფასნი სპეკალნი დაურიგა. ადიდებდეს და აქებდეს ყოველნივე, იყო განცხრომა მომატებული და შვება უზესთაესი.

აქა პეკინისა იმპერატორის ლასურის მოციქულისა მოსვლა წინაშე დილარ მძლეველისა.

Ესე ვითარსა მხიარულებასა შინა კვლა მოვიდა მოციქული დიდისა მის კელმწიფისა ლასურისა წინაშე დილარ მძლეველისა და შემოეთვალა ესე პირი, ვითა: „ხვალე გამოვგზავნი ერთსა მეფეთაგანსა ჩემსა და შემოაბი მეომარი შენი, ვინცა გინდარ.“ დილარმან მოცინარითა პირითა ესრეთ შეუთვალა: „კელმწიფეო, კარგად უმარჯვდებათ ათასთაცა ფალავანთა თქვენთა და ერთსა უფროორე ადვილად ალასრულებინებთ წადილსაო.“ მოციქული იგი ტანსა შეამოსვინა, უბოძა მრავალი და გაისტუმრა ამა პირითა, რომე „ხვალე შენსა მეფესა მოედანსა ზედა მზად დაჰხვდების შემპყრობელი თვისიო.“ მაშინ უბრძანა გოჰარ პოლანთა მეფესა, ვითა: „ძმაო, ხვალე შენი არს მოედანსა ზედა ნავარდი და კელისა გამოღება გმართებს, რათა საყვარელი შენი არა წაგართვანო.“ გოჰარმან თაყვანის-ჰსცა და მოახსენა: „კელმწიფეო, ერთსა უადვილეს მოვჰკლავ, ამისათვის მოხარული ვარო.“ ჰსვით მრავალი და გავიყარენით. მეორესა დილასა ადრე შეიჭურა მეფე იგი პოლანთა გოჰარ; იახლა დილარ აბაშთა ძლიერსა თვითმპყრობელსა, თაყვანი-ჰსცა და ქება დიდი შეასხა, გამოესალმა, გაჯდა ჰუნესა თვისსა, გაიყოლა თანა გულოვანნი ყმანი თვისნი და შევიდა მოედანსა საბრძოლველად.

აქა პოლანთა მეფისა გოჰარისა და ბუხართა მეფისა შაბანდასა ომი ძლიერი.

Oრისავე კერძოსა ჰკრეს საყვირთა და გამოვიდაცა მეფე იგი შაბანდა, მოჰსდევდეს დიდებულნი თვისნი და ზედა იჯდა მკეცსა რასმე საშინელსა. შაბანდა სრულად ბასრითა ფოლა-

დითა შეჭურვილი იყო და სიდიდითა უზომოდ რასმე დიდობ-და. ჰკრა მკეცსა მას დეზი, საშიშრად პირი დააღო, ვითა ლომმან, ყვირილი შეჰქმნა და მოუხდა ზედა გოჰარ მეფესა; შაბანდას მკეცმან გოჰარის ჰუნესა კისერსა პირი დაავლო, თუმცა კისრისა ჯაჭვი ვერა გაუტეხა, გარნა ძვალნი სრულიად დაულეწა და ქვე მკვდარი დაეცა; რა გოჰარ ქვეითად დაჰშთა, კისკასად ზედა მიუხდა მკეცსა მას და ესრეთ ძლიერად ჰსცა გურზი თავსა ზედა, რომე ტვინი ზედ შემოესხა. დაიღრიალა და მკვდარი ქვე დაეცა. განჰრისხდა შაბანდა მეფე, მიუხდნენ ერთიერთსა და დაუწყეს ცემა გურზითა და ლახტითა, ვითარ ერთი ჟამი; რა მეტითა ცემითა ორთავე მისჭირდათ, დაჰყარეს იარაღი და კელდაკელ ირკინნეს. ჰბრძოლვნვიდენ ვითა ლომ-ნი და გასდიოდათ სისხლისა ოფლნი ორთავე და არა იქმნა არცა ერთისა ძალისა მოკლებაჲ. იყვნენ ეგრეთ მესისხლედ მბრძოლნი, ვიდრე მეშვიდედ ჟამადმდე, იჭირვოდა გოჰარ და აქებდა შაბანდას ძლიერებასა. ოდეს მოაგონდა გოჰარს, რომე ესეოდენ ჟამსა ომისა განგრძობისათვის სირცხვილსა შივიღებ დილარ მძლეველისა წინაშეო, შეჰსძახა მაღლითა კმითა, ვითა: „ლასურ, კელმწიფეო ჩინელთაო, აწ იხილე მკლავთა ჩემთა ძლიერება, ვითარი ჭაბუკი ვარო!“ დაჰსცა კელი კისერსა და ბარკალსა, ზე აზიდნა, შეჰსტყორცნა ყმათა თვისთა და შე-ჰსძახა: „შეკარითო.“ რა გოჰარმან შაბანდას ბრძოლისაგან მოიცალა, მოითხოვა სხვა ცხენი, გაჰსჯდა მასზედა და შეუ-ტია დიდებულთა შაბანდა მეფისათა; მაშინ ჰკრეს გასაყარსა საყვირსა, და გოჰარცა გამობრუნდა, მოვიდა წინაშე დილარ მძლეველისა, მოულოცა გამარჯვება, დილარმან პირსა აკო-ცა. და დავსხედით პურობად. რა ხშირსა სმასა შევედით,

აქა პურობასა ზედა ზეფირის მონათა მოსვლა და გოჰარის გამარჯვებისა მოლოცვა მზისა ქალაქისა კელმწიფისა ანავსიას მაგიერად.

მოვიდნენ მონანი ზეფირისანი, მოიღეს ძვირფასნი სამეფო

შესამოსელნი და ყოველნი სამკაულნი და ორი ტვირთი თვალ-ნი თლილნი მოართვეს გოჰარ მეფესა ჴელმწიფა ანავსიას მაგიერადა და გამარჯვება მოულოცეს და თვისისა საყვარელისა მიერ ესრეთი ბეჭედი მოართვეს, რომე ერთისა დიდისა ქალა-ქისა ფასი იყო. გოჰარმან რა ბეჭედი იგი იხილა, აღიღო, თვალთა დაიდვა, აკოცა და ჰსთქვა: „ესე არს სიცოცხლისა ჩემისა მომატებისა ნიშანი." ნეკსა შეიცვა, ჴელმწიფა ანავ-სიასა თაყვანის-ცემით მადლობა მოახსენა და ზუფირს შეუ-თვალა, ვითა: „მნათობო, შემწე მექმენ და საყვარელისა ჩე-მისაგან კიდეგანად ნუ მომკლაო." და თვით დილარ მძლე-ველმანცა მრავალი მადლობა მოახსენა; იგი ღამე, ვითაცა გვშვენოდა ყოველ დღე გამარჯვებულთა, ეგრეთ მხიარულე-ბით განვატარეთ. მეორესა დღესა კვალა შეჰკრბნენ წინაშე დილარ მძლევველისა ყოველნი იგი მეფენი და დიდებულნი.

აქა კვალად მოსვლა მოციქულისა მის კიტაიისა მეფისა ლასურისა წინაშე დილარ მძლევველისა

მას დროსა ზედა მოვიდა კვალად მოციქული მის ჩინელ-თა შორის სახელოვანისა ჴელმწიფისა ლასურისა და შემოუ-თვალა ესრეთ, ვითა: „დილარ მძლევველო, ხვალისა დღისა დილასა გამოვგზავნი სახელოვანსა ტეიათისა მეფესა ქერამს, და, ვინცა გინა, შემოაბიო." დილარმან მას მოციქულსა მრა-ვალი უბოძა და აღუთქვა მეომრისა მზაობა. წარვიდა მოცი-ქული იგი, და მაშინ ნუშრევანმან, გალიისა და ზღვათა მე-ფემან მუჴლნი დაიდგნა წინაშე დილარ მძლევველისა და მო-ახსენა: „დიდო ჴელმწიფეო, ხვალისა დღესა, ვინცა ქერამ მეფისა ომსა დამიშლის, ჰსჩანს, თურმე, კაცად არა მხადისო." დილარ მძლევველმან რა ნუშრევანისა მიერ ეგე ვითარი ომისა მოწადიება ჰსცნა, არღა დაუშალა, ნება დაჰრთო და უბრძანა: „მზესა ჩემსა, ქერამისა სიკუდილსა ერიდეო." ნუშრევანმან

მოახსენა: „დიდო კელმწიფეო, ვიცი, ქვეყანასა თქვენსა მე-
კომურნი მცირედ გისახლობენ და ესდენნი ტყვენი ამად
გინდიან, რომე უშენი აბაშეთი კაც მრავალ ჰყო, და, დია
ღმერთო, კოცხალსა მოგართმევო.“ დილარამან პირსა აკოცა
და შეჰქმნეს მხიარულება. მწუხრსა გავიყარენით და განვე-
რენით მეტსა ღვინისა სმასა.

აქა ნუშრევან მეფისა და ჩეიათელთ მეფის ქერამის ბრძოლა ძლიერი ამშის ქალაქის მოედანსა ზედა.

მეორესა დღესა ადრე შეიჭურა ნუშრევან, მოვიდა, გა-
მოესალმა დილარ მძლეველსა, გაჯდა ცხენსა, გაიყოლა თანა-
ყმანი თვისნი, შევიდა მოედანსა ზედა, და შეიქმნა ჩვენ კერ-
ძო საბრძოლველთა საყვრთა ყვირილი და დუმბულ-სპილენძ-
ჭურთა დგრიალი. ლასურ კელმწიფისა მხრითაცა უმატეს სა-
კრავთა ცემასა, და გამოვიდა მეფე იგი ქერამ: შავსა მთის
ოდენსა ტაიჭსა ზედა ჰსჯდა, მარჯულ და მარცხულ მოსდევ-
დეს დაჭურვილნი ფალავანნი, და რა მოედანსა ზედა შემო-
ვიდა, მათ თანა მყოფთა გმირთა თაყვანი-ჰსცეს და მოედნისა
კიდესა ზედა დაჰსდგეს. მეფე ქერამ განრისხებული წარმოვი-
და, ლახტსა კელი მოივლო, შემოუტია ნუშრევანს და შეჰს-
ძახა ესრეთ: „ბედ-შაო, რად მოსრულხარ ამა მოედანსა ზედა
თავისა შენისა სიკუდილისათვის! აწვე ამა ლახტითა ჩემითა
მიწასთან გაგასწორებო.“ ესე ჰსთქვა, ლახტი შეიმაღლა და
ესრეთ ძლიერად დაჰკრა თავსა ზედა, რომე ნუშრევანისა
ცხენი წელ მოწყვედილი მკვდარი მიწასა ზედა დაეცა, მსწრა-
ფლად ნუშრევან შორს გარდახტა, სხვა ცხენი მოჰგვარეს,
შეჰსჯდა, და კვლა მოუხდა ქერამ და უმეტესად გულ-მესის-
ხლედ ჰსცა თავსა ზედა იგივე ლახტი და ესრეთი ძალი და-
ადგა ნუშრევანისა ცხენსა, რომე მუცელი მიწასა გაართხა და
მყისად მოკუდა. კვლა სხვა ცხენი მოართვეს, გაჯდა მას ზე-

და, გარნა დიდად აქებდა ქერამის მკლავთა ძლიერებასა. რა მესამედ ლახტი შეიმაღლა დასაკრავად, ნუშრევანმან მაჯა შეჰსტაცა, ლახტი წაართვა, შორედ გაჰსტყორცნა, ბასრსა კმალსა კელი მიჰყო და მით ჰლამოდა სიკვდილსა ქერამისასა; რა ეგრეთი განრისხება ნუშრევანისა იხილა ბერისა ვაზირისა ეგროსის ძემან ლარამან, უყივლა, ვითა: „მეფეო, მეფეო, რასა ჰზამ? ეგე ხმალი სიკვდილსა ქერამისასა მოუთხრობს და მძლედ სახელოვნება ჩაგივლის, უკეთუ დილარ მძლეველისა ბრძანებასა არა მოიგონებო.“ თვსისა საყვარელისა ლარას კმასა ზედა კმალი შორს გასტყორცნა, მიუხდა ქერამს და ცხენ და ცხენ შეირკინენ. ოთხი ჟამი მესისხლედ ირკინებოდენ, მერმე განჰრისხდა ნუშრევან, წელსა ზედა კელი მოხვია, აზიდნა ძლიერად, აღგლიჯა უნაგირისაგან და ყმათა თვსთა შეჰსტყორცნა; სახელოანი იგი ქერამ, ვითა უსულო, მიწასა ზედა დაეცა, ყმათა ნუშრევანისათა კელნი მაგრად შეუკრნეს; და ყმათა ქერამისათა ერთობით ნუშრევანს შემოუტიეს, ნუშრევან გაერია შორის მათსა, ვითა შავარდენი ტრედისა გუნდსა, და ლასურისა ჯარისა კარავთა თანა მიჰრეკა. მაშინ მყისად ჰკრეს გასაყარსა საყვრსა და ნუშრევანცა გამობრუნდა, მოვიდა დილარ მძლეველსა თანა, თაყვანი-ჰსცა, გამარჯვება მოულოცა, დილარმან მოცინარმან პირსა აკოცა. ქერამ სხვათა პყრობილთა თანა მიჰსცეს, და ჩვენ პყრობად დავსხედით. მას დღესა კულა უმეტესად განმხიარულდა დილარ მძლეველი და განაღა ჩვენცა ყოველნი ერთობით მასთანავე ვმხიარულობდით.

აქა ზეფირის მონათა მოსვლა პყრობასა ზედა და ნუშრევანისა გამარჯვების მოლოცვა მზისა ქალაქისა კელმწიფისა მაგიერ.

მაშინ მოვიდნენ მონანი ზეფირისანი და მოიღეს ერთი კელი სამეფო შესამოსელი ყოვლითა სამეფოსა სამკაულითა

და ერთი კელი სადედოფლო შესამოსელი ყოვლისავე თანა სადედოფლოსა სამკაულითა, და ოთხი ტკრთი ძვირფასნი სპეკალნი, და ესე შემოეთვალნეს, ვითა: „მეფეო ნუშრევან, ეგე ქალისა სამკაულნი და შესამოსელნი ყოველთა კელმწიფეთა მბრძანებელამან კელმწიფამან ჩვენმან საყვარელსა შენსა და დასა თვისსა გულნაზ დედოფალსა შემოჰსძღვნა, რათა ამათეულად დაჰსცვა მისთვის და გამარჯვება მოხარულითა გულითა მოგილოცა.“ ნუშრევან ზე აღჰსდგა, მდაბლად თაყვანის ცემა მოახსენა და მადლობა თვით დილარ მძლეველმან შემსთვალა; მონანი იგი წარვიდნენ და ჩვენ კვლა დავჰყავით ლხინსა შინა მწუხრამდე და გავიყარენით. მეორესა დღესა შეჰკრბენ ყოველნი მეფენი და დიდებულნი წინაშე დილარ მძლეველისა და იწყეს ლაღობა გარდასრულთა ბრძოლათა ზედა.

აქა კვალად ჰეკინის კელმწიფისა ლასურის მოციქულისა მოსვლა წინაშე დილარისა.

მას ლაღობასა ზედა მოვიდა იგივე მოციქული ლასურისა და შემოეთვალა ესრეთ, ვითა: „დილარ, ხვალისა დღესა მოვგზავნი დილასა ათი-ათასთა სპილოთა ძლიერად მეომართა და, ვითა გწადდესთ, ეგრეთ შეებენითო.“ დილარმან მას მოციქულსა ტანსა შეამოსვინა, უბოძა მრავალი და ესრეთ უბრძანა: „ჭაბუკო, ესრეთ მოახსენე შენსა კელმწიფესა, ვითა: „მეფეო, კაცნი თურე შემოგაკლდეს, რომე აწე მკეცთა და პირუტყვთა აბრძოლებ, და, დია ღმერთო, ეგრე ჰყავო.“ წარვიდა კაცი ივი, და ბერმან ჯანუჯან ვაზირმან მოახსენა: „დიდო კელმწიფეო, ნუ თუ მარტოდ სპილონი გეგონნესთ მებრძოლნი? თავმან და სიყვარულმან თქვენმან, თვითოსა სპილოსა ზედა ათ-ორმეტნი ესრეთნი გმირნი სხენან, რომე უკეთესობა ჭაბუკთა არლა სადა იქმნების, და ამასცა მოგა-

ხსენებთ, დიდი გაფრთხილება გვმართებს მათგანაო." რა ჯანუჯან ვაზირმან იგი სიტყვანი მოახსენა დილარ მძლეველსა, დიდად დაუმადლა და მრავალი მადლობა უბრძანა. მწუხრადმდე ჩვენსა ლხინსა ირთ ჰსჭირდა-რა, და ჟამსა საღამოსასა უბრძანა დილარმან ნუშირევანს და გოჰარს, ვითა: „ხვალე თქვენ დასხედით აქა ყოვლისა მეფობისა წესითა და დაისხენით დიდებულნი თქვენთანა, აწითგან ჩემი არს რიგი მოედანსა ზედა ბურთისა შეთამაშებისაო." უბრძანა ზორასტან მეფესა: „შენ შეჰსჭურენ ყმანი გარშარაბ მეფისა და ყმანიცა შენნი და მკნედ იყვენით ბრძოლისა ჟამსა თალპიონსა ზედა ჩამოცვენულთა მეომართა შეკრვისათვის და მათ ზედა იფრთხილეთო." მერმე უბრძანა სპასალარსა მარსის და მოყმეთა თვისთა, დიდებულთა ძეთა, ვითა: „თქვენცა ფრთხილ იყვენით, ზურგი შემინახეთ და ამისთვის მტკიცედ ჰსდეგითო." ესე ყოველი ბრძანება მასვე ჟამსა განაგო, განისვენა და რიჟურაჟსა ადრე აღსდგა, შეიჭურა და დაეკაზმნენ ყოველნივე მას დღესა ბრძანებასა ქვეშე მყოფნი. შეიქმნა საყვირთა კმობა, ყვრო სტვირთა, დუმბულთა, სპილენძ-ჭურთა და ტაბლაკთა დგრიალი. მაშინ აღმჯედრდა ტაიჭსა თვსსა დილარ კელმწიფე, განვიდა თალპიონსა ზედა და თანა იახლნეს ყმანი თვსნი, მეკობრეთა მეფე და ყოველნი სპანი მისნი.

აქა ბრძოლისა თალპიონსა ზედა განსვლა დილარ მძლეველისა ათიათასთა სპილოთა და ასოცი ათასთა გულოვანთა ჭაბუკთა საბრძოლველად.

დილარ მძლეველმან დაუწყო გოდოლსა მას შეჭვრეტა, სადა საყვარელი თვსი მზეობდა, იწყო ლექსთა სატრფიალოთა კმობაჲ ესრეთ ტკბილითა კმითა, რომე მისსა კმასა ზედა, თუ ჰსთქვა, ყოველნი ჰაერით მფრინველნიცა მუნ შემოჰკრბენ, ესრეთ:

შ ა ი რ ი.

ჰე, გონებისა მომზიდო, მტრფიალთა ველად მარებო,
ცხრათაგან ცათა შვიდთ ცთომილთ უმთავრეს შენაწყნარებო,
ყოველთა გულთა კელმწიფად და მეფად შენაყვარებო,
დიდ-დიდთა ქვეყნის მპყრობელთა სურვილით სანეტარებო!
ვინ ღირს არს თვალთა შედგმასა, განცდად უსახოს სახისა,
შენთვის სიკვდილი საჩემოდ უტკბილეს მუფარახისა,
რავდენთა წელთა საბავთნი კმობა მაქვს ოხვრა-ახისა,
ველად ტარება, შედგომა კვალთა, მკეცთ დანალახისა!
ზულსა სხვად, გლახ, არღარად ჰსცალს, თვალნი ჰვრეტას ისურვიან,
ყოვლნი ცნობის ნაწილები შენს სიახლეს იწყურვიან,
მკვირან, სევდით დატკრთული რისათვის ვჰკვდები ესრეთ გვიან,
თავი ჩემი მემკულელების, სხვა მებრძოლი რასა ჰქვიან!
ორთ-გზის ველირსო, ნეტარძი, ორთაგან ერთსა ბჭობასა,
ანუ პირის-პირ ხილვასა, ანუ მკვლელს ლახვართ სობასა!
ვითა გაუძლო კელ-ქმნილმან საკმილთა მრავლადობასა,
წარბთაგან ისართ სრევასა, წამწამთა მახვილობასა!
შორით ვხედავ სხივ მრავლობას, ელვარისა პირ-მასკობას,
მტრფიალთათვის მოსაწყლველად, სხვა და სხვათა მუშაკობას,
სხვა ირისედ ფერ მრავლობას, განწმედილსა ცაზედ მკობას,
ბოლოდ რა ჰსდევს, არა ვიცი, ესდენ მწარე აშიკობას!“

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

თალპიონსა ზედა ცხენსა ათამაშებდა და შუბსა იმღეროდა, მისისა შუბისა წვერი, თუ ჰსთქვა, ცასა ჰსწვდებოდა და ისარნი მისნი კრონოსსა ესაუბრებოდეს, კმალი მისი ეთერისა ცეცხლსა განჰკვეთდა და გურზი მისი ეტნისა მთასა დაარღვევდა, საგდებელითა ალპიისა მთასა ძირითურთ ჰოჰფხვრი-

და და ლახტითა არარატსა სრულიად დაჰლეწდა, ზუფინი მისი სალსა ბრუტოსისა მთასა შიგან განვლიდა, და კინენითა თვისითა ალაგაზსა ზე აღიღებდა, გარნა ესე ვითარისა მოყმისა კელი თვისისა სატრფიალოსა მზისა მიწთომად მოკლეობდა, თალპიონით მისსა სამყოფსა ელერსებოდა და ტრფიალებითა მისითა თავი თვისი მას ადგილსა სასიკვდილოდ მიეტანა. აჰა, ვითარი ბრმა არს სიყვარული ესე საწყმო კორცისა! ასი-ათასსა მეომარსა სპილოსა და მას ზედა მომართულთა ძლიერთა გულოვანთა გმირთა, ერთი ოდენ სამ-ათისა წლისა მოყმე წინა გარდასდგომია და უჰამრავთა მებრძოლთაგან არა იშიშვის! ამას ნუ ვინ იტყვის, რომე დილარ მკლავთა თვისთა სიმტკიცითა ამას ჰყოფდაო, მით რომე თვთ ჯაბანთა გულსაცა, უკეთუ სურვილისა ცეცხლი აღენთოს, მათცა ეგრეთვე თავსა გააწირვინებს, მით რომე მიჯნურობა მწარე არს, და ამად მიჯნურისა შებრალება ჰხამს. განხშირდა საომართა საყვირთა კმიანობა ორსავე კერძოსა და, ფუ ჰსთქვა, ჰაერი იგი მრავალთა მეომართა დაცემასა იგლოვდა. მოვიდა რაზმი მოედანსა ზედა საშიშართა სპილოთა და მათ ზედა მომართულნი გმირნი დილარისა სიკვდილისათვის იქადოდეს. რა იგი ქვეყანისა შემძრველი კმა სპილოთა და საყვირთა განძლიერდა, მის ქვეყანისა კელმწიფა მრავალ დასითა მნათობთა გუნდითა გოდლისა ბანთა მზისა უელვარესითა შარავანდედითა გამობრწყინდა, ვრცელი იგი თალპიონი მისითა ელვარებითა და ნათლითა აღივსო და მრავალნი სპილონი დაფრთხენ სხივთაგან მისთა.

შ ა ი რ ი.

სისხლისა მღვრელსა თალპიონს ნათელი მოეფინების,
დილარის თვალთა, საბრალოდ, ცრემლთა ზღვა მოედინების,
სიცოცხლე გამწარებულსა, რა გლახ, ვით მოელხინების,
უფროს ყოვლისა ჟამისა დღე იგი მოეწყინების!

გონებასა მას შეჰსწირავს, გოდლის ბანთა ყრმის თვალნი,
გულს სიმტკიცე მოეშალა, განეშორნეს სულის ძალნი,
მიემატა სურვილისა, გარს მოეგზნა ცეცხლის ალნი,
რა ჰქმნას ღვიძლსა დაუპობდა სიყვარულის ბასრნი ხმალნი!

არ ახსოვს იგი ურიცხვნი მეომართ მრავლადობანი,
მისისა სიკვდილისათვის თალპიონის ნავარდობანი,
თვისსა კელმქმნელსა ალერსობს, მასზედ აქვს მუსიკობანი,
შორით სალამსა შეჰკადრებს, მისდა უმსხვერპლავს ცნობანი!

ჰგვანდა, სული გაუფრინდა, კორცს სურვილით აკანკალებს,
არღა იცის, ვერღა ჰხედავს თვისზედ მბრძოლთა მიმავალებს,
ვითა შტერი, შვენიერთა თვალთ მიდამო ატრიალებს;
მუნითგამო გარდმომდვრელთა მდინარეთა განიმრავლებს!

ოხვრის კვამლმან სრულიად არე დააბნელა დაბურნდა,
ვინმცა ჰნახა იგი ეგრე, რომე მისთვის არ შეძრწუნდა!
თუმცა მოკვდეს მის წინაშე, მაშინ დილარს დიდად უნდა;
ესრეთ შეიქმს სიყვარული, ვინცა სურვილს უძაბუნდა!

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

Დილარსა გულმან ჴმა-მაღლად ძგერითა ქვე მიწათა ზედა თაყვანის-ცემა დაუფინა და გმირნი მკლავნი საბრძოლველად არღა ასახმარნა, გონება მან მიჰსტაცა და თვალნი დაუსტერდეს. მათ სპილოთა ზედა მსხდომთა გულოვანთა თვისი სანატრელი ჟამი შეხვდათ, გარე მოერტყნენ და დაუწყეს ზოგთა ისრითა სროლა, სხვათა მძიმითა ლახტითა ცემა, სხვანი საგდებელთა გარდააყრიდეს და მათ სპილოთაგან ხორთუმითა ცემა მყარსა მთასა დალეწდა, გარნა დილარ უგრძნობელი მათ კვეთებათაგან, ვითარ ერთი ჟამი, ეგრეთ ჰსდგა უძრავად, თვისსა მას სატრფიალოსა შეჰსჭვრეტდა და ესრეთ ჰგონებდა, ვითა: გოდლითგამო მნათობნი იგი ვარდთა შეკონვილთა ჰსტყორცნიდეს დილარს. ეგეთსა ოცნებასა შინა მყოფსა მრავალი საგდებელი თავსა გარდააყარნეს, უთვალავნი ფალა-

ვანნი ლახტსა საკლავად ჰსცემდეს, და ისარნი ჯაჭვსა ზედა მისსა კატართა ტყესა დაემჰსგავსა; მათ მოქამანდეთა ათასთა ერთად საგდებელნი გარდაასცვეს, გაიბრუნეს სპილონი და ძლიერად გაზიდნეს, რა საგდებელთა მათ გაზიდვითა დილარისა ტაიჰსა ძალი დაადგა, წინა მუხლთა ზედა დაეცა, მაშინ მოეგო გონებასა თვისსა დილარ მძლეველი და ჰსცნა თავი თვისი მრავალთა მოქამანდეთაგან შეპყრობილად. ცხენით კისკასად გარდახტა, ფერხნი მასისის მთისაებრ განიმტკიცნა, საგდებელნი იგი კელთა მოიგროვა და ესრეთის ზარ-დასაცემელითა კმითა შეჰსძახა, რომე ყოველნი იგი მოდამონი შეიძრნენ, გარე მორტყმულნი იგი გმირნი ბრძოლასა მოეშალნენ და განკვირვებულნი ცასა შეჰმზერდეს, სპილონი დაჰფრთხეს და დაწყობილება მოეშალათ; მაშინ დილარ მძლეველმან მათ საგდებელთა ესრეთ ძლიერად გამოზიდნა, რომე სპილონი იგი და მათზედა მსხდომნი ფალავანნი მიწასა დასცნა და უცნობო იქმნნეს; მყისად მისცვივდეს ყმანი დილარისა და მეკობრეთა მეფისა მწყობრნი და ყოველნივე დაიპყრეს; მაშინ დილარ მძლეველი მიუხდა ერთსა სპილოსა, ჰსტაცა ხორთუმსა კელი, აღიღო, სამ-გზის თავსა შემოივლო და სხვათა შესტყორცა, რომელმანცა მით ერთისა სპილოსა შეტყორცვითა ათნი სხვანი სპილონი დაჰკოცნა და მათზედა მსხდომნი ფალავანნი, ძირსა დამოცვივნულნი, ყმათა მისთა დაიპყრეს. შემდგომად მოითხოვა ცხენი, მოართვეს, გაჯდა მასზედა, იპყრა გურზი კელსა, გაერია მათ სპილოთა შინა კისკასითა, ბრუნვითა და სასტიკითა ცემითა, ვიდრე მეხუთე საათადმდე ყოველნი სპილონი გაჰსწყვიტა, და მათზედა მყოფნი ფალავანნი ას-ოციათასი დაიპყრეს. მაშინ ჰკრეს გასაყრელსა საყვირსა და დილარ მძლეველიცა გამობრუნდა, მობრძანდა და თანა მოიყვანნეს იგი სიმრავლე პყრობილთა, მიეგებნეს წინარე იგი მეფენი და დიდებულნი ყოველნივე, თაყვანი-ჰსცეს და მიულოცეს ეგე ვითარი მკლავთა ძლიერება; დილარმან მათ მეფეთა პირსა აკოცა და ყოველთა ერთობით მადლობა უბრძა-

ნა. რა მზისა ქალაქისა ერთა და დიდებულთა დილარ ეგრეთ დაუშრომელად შემოსრული იხილეს, განჰკვირდეს დიდად ძლიერებასა მისსა ზედა და იტყოდეს: „ვჰმადლობთ ღმერთსა, რომელ ესრეთისა მფარველისა და კელმწიფისა ღირს ვიქმნენით." დილარმან საჭურველი აღიხადა, და სხვათაცა ყოველთა პყრობილნი იგი მისცეს საპყრობილესა სხვათა თანა. და უბრძანა საურმაგ მეფესა დილარმან: „ძმაო, ვიცი, ნუშრევან სადილსა მე მომილოდინებდა, აწე დრო არს, და თუ მზად არა რაჲ გვაქვს, ჩვენ საკლავთა მორეკადმდე მოვითმენთ და ნუშრევანისათვის, ეგერა, მოედანსა ზედა დაყრილთა სპილოთა კორცი მოუზიდვინე და მით მიუმასპინძლეო!" ნუშრევანმან ტკბილად რასმე შემოჰსცინა და მოახსენა: „მზემან თქვენმან, არა ხუმრობა არს და პურობა ჯერ არსო." მასვე ჟამსა მოიღეს პური და, ვითა ჰშვენოდა მის დღისა დილარ მძლეველისა გამარჯვებასა, ეგრე შეემზადა პური საურმაგ სახლისა უხუცესსა და ყოველივე სანუკვარი განემრავლებინა. ჩვენ გულითა მოხარულითა მივყავით ჴელი სმასა, და ვაქებდით დილარისა მკლავთა ძლიერებასა.

აქა პურობასა ზედა მოსვლა ზეფირისა მონათა წინაშე დილარ მძლეველისა და მოლოცვა განსადიდებულისა მის ძლევისა.

პურობასა ზედა მოვიდნენ მონანი ზეფირისანი და მოიღეს ოთხი-ათასთა საჭურჭლეთა გასაღებნი და ოცი-ათასთა ურჩეულესთა ტაიჭთა ნუსხა, და მოელოცა ეგე ვითარი მოუგონებელი ძლევა და შემოეთვალა, ვითა: „სატრფიალომან შენმან, რომლისაცა გოდლით მეომარსა გიმზერდა, შებრალებისათვის შენისა პირ მასკ დაბურვილი, მით რომე არა შეჰსწვასო სხივთა ჩემთა შარავანდედობამანო! მის გოდლისა საჭურჭლე ეგე ვითარისა ძლევისათვის მოგიძღვნა დაკული, ვინაჲთგან ცხენი შენი დამაშვრალი არს, ოცი-ათასი-

უპირველესნი ტაიჭნი თვისთა საკუთართა რემათაგან გიბოძა,
და ესეცა გიბრძანა: საკელმწიფოთა რემათა და საუნჯეთა ნუ
ჰკრძალავ, ვისი რაჲ გენებოს, უბოძე, არა რა დაგველევიანო.“
დილარმან მადლობა მრავალთ მოახსენა და ქუდი მიწადმდე
თაყვანის-ცემა შეჰკადრა. მონასა მას ზეფირისა თანა ესრეთ
დაბარა, ვითა: „მნათობო სიცოცხლე ჩემი შენგან არს და,
ვითა გნებავს ჩემთჳს, ეგრეთ იურვეო.“ მონანი იგი წარვიდ-
ნენ, და პურობაცა იკმავეს. მეორესა დღესა ჰბრძანა დილარ-
მან სხვასა ბაღსა საკელმწიფოსა პურისა შემზადებაჲ და განა-
ლა საურმაგ დილარისა ბრძანებასა აღასრულებდა, შეგვიძღვა
ბაღსა უშვენიერესსა და კეკელად რადმე შემკულსა; პური
მზად იყო, დავსხედით, გარნა ამას ვიტყოდი: ჯერეთ ჰმსგავ-
სი ამისი ბაღი არა გვიხილავსო. იყო ჰავზი წმიდა, გათლილი
და კელოვნად შეწყობილი ბრილიანტისა ქვისა, ეგზომ დიდი,
რომე ეგეოდენნი სიმრავლე მეინახეთა მას გარემო ვსხედით,
გრძელ ტაროსანი ოქროსა ჩოღრათონი ყოველსა კაცსა წინა
გვედგა, ჰავზი იგი, სავსე მოკარაყულითა ღვინითა, წმინდა,
ლამაზად გვიციმციმებდა; გვერდივ ჰავზისა მის მაჩრდილობე-
ლად იყო სხვათა და სხუათა გვართა ვაზთა თალარი და ეს-
ხნეს მრავალ ფერნი უგურკონი მსხვილ მარცვალნი მტევანნი.
ვიყვენით მხიარულებასა და მოუკლებელსა ღვინისა სმასა შინა.

აქა კვალად მოსვლა დიდისა ჰეკინის კელმწიფის ლასურის მოციქუ-
ლისა წინაშე აბაშთა თვით მპყრობელისა მონარხისა დილარ მძლევე-
ლისა, კეკელასა ბაღსა შინა.

ამას ზედა მოვიდა დესპანი მის კელმწიფისა ლასურისა,
რომელსაცა შემოეთვალა ესრეთ, ვითა: „დილარ მძლეველო,
კელმწიფეო აბაშთაო, ხვალე კვალად გამოვედ და შეები სამ
ათეულთა აჲასთა სპილოთა და ზედა მსხდომთა გულოვანთა

ჭაბუკთა, და უკეთუ კარგი კაცი ხარ, ომსა შინა ნუ დალებინოჲ.“ რა დილარ მძლეველმან იგი მოციქულობა მოისმინა, მას დესპანსა მრავალი უბოძა, ღვინო ასვა და შეჰსთქვალა: „კელმწიფეო, ომსა შინა დაკლება თქვენთა ფალავანთა წესიყოფილა და არა ჩვენიო.“ დესპანი იგი წარვიდა და ჩვენცა გავიყარენით.

აქა დილარ მძლეველისა და ლასურ კელმწიფისა ოც-და-ათიათასთა სპილოთა და მათ ზედა მხედრთა სამას-სამოცი-ათასთა ფალავანთა ბრძოლა.

დილასა ადრე შეიქმნა ორ კერძოვე საომართა საყვირთა კმიანობაჲ, და შეიჭურა დილარ მძლეველი, ალმხედრდა ტაიჭსა თვისსა, განვიდა მოედანსა ზედა და გაჰყვნენ თანა ვიეთდაცა ბრძანებულ იყო. მოვიდნენ ლომნი იგი ჭაბუკნი, სპილოთა ზედა მსხდომნი, და დაჰფარა მოედნისა ერთი კერძო სპილოთა სიმრავლემან. დილარმან შეჰსძახა ცისა ჰექისა მჰსგავსისა კმითა სახელი სატრფიალოჲსა თვისისა და შეუტია; პირველსავე მისვლასა ზედა ალილო სპილო, ჰკრა სხვათა და ზედა მსხდომნი ფალავანნი, ვითა ხისა ფურცელნი, ეგრეთ ჰსცვიოდნენ განტყორცილთა სპილოთაგან, და გალანამცა სპილონი იკოცებოდენ და ფალავანთა მათ დილარისა ბრძანებისა ქვეშე მყოფნი იპყრობდენ. ვიდრე ორი ჟამი ეგრეთ იბრძოდა და მრავალნი სპილონი დაჰსცნა, შემდგომად მიჰყო მძიმესა გურზსა კელი და, რომელსაცა სპილოსა დაჰკრის, მყისად სიკუდილსა ასტუმრებდის, და ეგრე მსწრაფლად გურზისა კმარებითა, ვიდრე დღისა განზოგებადმდე, იგი სიმრავლე სპილოთა სრულიად დაჰკოცნა და ზედა მსხდომნი მეომარნი დაიპყრეს.

აქა ბრძოლასა შინა უდალატა დილარ მძლეველსა ლასურ კელმწიფემან და მეისად სამოცი ათასი ბრძოლასა შინა განსწავლული სპილო მოუსივა ზედ მხედრითა უთვალავითა ლომ-გულითა ფალავნებითა.

ოდეს ლასურ კელმწიფემან დილარისა ეგეთი ძლიერება იხილა, განჰრისხდა და ჰბრძანა: „დამაშვრალსა ნუღარა გაუშვებთ, მიუსივეთ ყოველნი სპილონი და ზე მხედრმნი გულოვანნი, რათა აზღვევინონ სისხლნი ამხანაგთა თვისთანიო." ესე ჰბრძანა და მსწრაფლად მიუშვეს სამოცი ათასი სპილო, და მოადგეს ყოვლით კერძო სამ ათისა წლისა ჭაბუკსა, და ისწრაფდეს ფალავანნი იგი მის მოყმისა ძლევასა. რა დილარმან ლასურისა ეგე ვითარი მუხთლობა იხილა, ვითა ცეცხლი, ალენთო, გაერია შიგან მათსა და დაუწყო უწყალოდ კოცვა სპილოთა და ჩამოჰყრა ფალავანთა ლასურისათა; იძახდა კმითა შეუძრწუნებელითა და ყოველნი იგი გარემონი ირყეოდეს კმისა მისისაგან; მაშინ დილარ შეექმნა(?) მათ სპილოთა და ზედა მხედრმთა, ვითა ცეცხლი კმელსა თივასა, და ანუ ზფრიკისა მზისა შარავანდედი მცირესა გუბესა რასმე მდგარსა. ორსავე კერძოსა ზედა მყოფნი განკვრვებულნი ჰსჭვრეტდეს დილარისა სიმკნესა. ვიეთნიმე შურითა დაცემასა და სიკვდილსა მისსა ინატრიდეს და უმრავლესნი ცრემლითა ჰსთხოვდეს განგებასა განძლიერებასა და მშვიდობით დაცვასა მისსა.

აქა მის კელმწიფეთა უზესთაესისა მზისა ქალაქის კელმწიფა ანავსიას მიერ დილარისა სპილოთაგან გარე მოცვისათვის ზრუნვა და დილარისა მოძმეთა თანა ბრძანებისა შემოთვლა და ლექსთა მოწერა დილარისა მიშველებისათვის.

ოდეს სატრფომან დილარისამან, მიზეზმან კელმწიფეთა შორის სისხლისა შთამოგდებისამან, იხილა კელმწიფეთა შვე-

ნიერუბა მკეცთა და მეომართაგან გარე მოცული, გულსშ მი-
ძისა შებრალებისა ნაბერწყალი გაუსაკმილდა, შეჰქმნა ზრუნ-
ვაჲ და ყოველთა მათ მნათობთაგან ისმოდა ჴმა რაჲმე რუ-
დუნებისა; მზისა ქალაქისა კელმწიფა და დიდ-დიდთა მონარხ-
თა სურვით სანეტაროები ვერღა მომთმენელ იქმნა, წარუვლი-
ნა ნუშრევანს და გოჰარს მონანი თვისნი და უბრძანა: „ჰე,
საყვარელნო ძმანო ჩემნო, რასაღა უწყალოებთ და რასაღა
ჰყოვნით? ვერა ჰხედავთა, ვითარ იგი შეიმწყვდიეს აბაშთა
იგი ლომი? მიშველებად წარესწრაფენითო."

შ ა ი რ ი.

თქვენ საყვარელნო მოყვასნო მის უსწოროსა ყმისანო,
თანა მზრუნველად მავალნო, უტკბოსნო მისთვს ძმისანო,
დაურიდებლად მებრძოლნო სამისოდ მტერთ რაზმისანო,
გაჭირვების ჟამს იმედნო დიდისა ჴელმწიფისანო!
ვითა არ ჰხედავთ მოყმესა მძლესა, მებრძოლსაც სვიანსა,
რაზმთაგან გარე მოცულსა, კატის ძახილით კმიანსა,
მკეცთა საშუალ მბრუნავსა, ვითა არწივსა ფრთიანსა!
სამ-ათის წლისა ჭაბუკი, ვამე თუ შეხვდეს ზიანსა!
ესე არს ჟამი სამისოდ ძმობისა გამოჩენისა,
გმირულთა მკლავთა კმარებით დრო შეწევნისა თქვენისა,
ნულარა ჰყოვნით, ისწრაფეთ, აჰა დღე სისხლთა დენისა!
წამნი განშორდეს შვებისა, ღამე მიახლოვს სენისა!
წა, უშველეთ, რაცა ძალ-გიძსთ, მიდით, ზედა მიესწრენით,
მტერთა გარე მოზღუდვილსა ანუგეშეთ მისვლით თქვენით,
ეგე რაზმი დიდებულთა მიიყოლეთ თანა ფრენით,
მბრძოლთა გუნდი ბასრის კმალით დაჰხიენით, დაჰფრიწენით!
თქვენგან მომეცეს, მოველი, მე სიცოცხლისა წამალი;
სიკვდილსა ვჰხედავ, უცილოდ მომადგეს მსწრაფელი და მალი,
ნურას ჰგვიანობთ, გენუკვით, თავი გაქვსთ არღა სამალი,
მის თალჰიონით მედების შემწველი იქიდამ ალი!

აწ არს თქვენის სიყვარულის გამოჩენის ჟამი და დრო,
მკლავთა თქვენთა ძლიერებით რა უშველოთ, მადლი გკადრო;
ვერას არგებთ, მეცა მასთან სიკვდილის დღე გავიადრო,
შავის ფლასით მიწას შთავჰსჯდე, ძაძა ტანსა გავიჩადრო!
მოედნით მესხმის ისარნი, ცეცხლებრ შემწველი მალები,
თქვენგან ვსასოებ, გმირულად იკმაროთ ბასრი ჴმალები,
გემუდარებით, ისწრაფეთ, ვიცი, გული გაქვსთ სალები,
აწ განმარინეთ სიკვდილსა, დაგვდევით დიდი ვალები!

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

Ნუშრევან და გოჰარ, რა ბრძანება იგი მოისმინეს, შეჰსძრწუნდეს, ამად რომე ბრძანებისა მისისა აღუსრულებელობა მათგან ყოვლითურთ შეუძლებელ იყო, გარნა დილარის წყინებისათვის ვერღა გაჰბედეს, მით რომე იცოდეს, დილარს ეგე ვითარსა ბრძოლასა შინა შემწე არად უჩნდა, და ბრძანებასა მისსა ვინცა არა დაიცევდა, გულსაცა მისსა დაიშორებდა. ამისთვის ორთა მათ ჰაზრთაგან შეწუხებულთა ჰგაბედეს და ყოველთა ჴელმწიფეთა მბრძანებელსა ჴელმწიფესა ესრეთ მოახსენეს: „ჵე, გულოვანთა მჯართა სიმტკიცისა და მაუძლურებელო და ცისა სფეროსა ქვეშე ყოველთა არსთაგან თაყვანის-საცემელო! მიწანი და მონანი ტახტისა თქვენისანი გევედრებით და ქვე დამხობით გთხოვთ, რათა მცირედ მოითმინოთ და თვით უშვენიერესითა თვალითა თქვენითა განიცდით მონისა თქვენისა დილარისა მკლავთა ძლიერებასათ." აბაშთა იგი ჴელმწიფე დილარ მძლეველი იზახდა ჴმითა შესაძრწუნებელითა სახელსა თვისისა დამწველისასა, ქვეყანა ირყეოდა ჴმითა მით, და, ვითა მარიხი, დილარ მათზედა სისხლის მღვრელობის ეტლობდა. მან დღესა და ღამისა მესამე საათამდე ეგეოდენნი სპილონი სრულიად გაჰსწყვიტა, რომე ერთიცა ცოცხალი არღა დაუტევა, და მათ ზედა მხედომნი ფალავანნი დაიპყრეს. დილარმან რა სპილოთა და მათ ფალა-

ვანთაგან მოიცალა. კვლავ მიუხდა ლასურ ჩინელისა ბანაკსა და შეჰსძახა: ლასურ, წყეულმცა ხარ! მუხთლობა რა კელმწიფეთა წესი არს? თუ გულოვანი ხარ, გამოვედ ამასა მოედანსა ზედა და ერთმანერთი გამოვჰსცადოთო. მას დილარისა კმასა ზედა ლასურმან გასაყრელსა საყვრთა აკვრევინა. და დილარცა გამობრუნდა. გარნა ისართა დასხმულთა სიმრავლითა ნაძვსა მთასა ემჰსგავსებოდა. შინა მოვიდა, ჯაჭვი აღიხადა, ტყვენი იგი საპყრობილესა წარავლინა, თვისგან შეყვარებულთა ძმათა პირთა აკოცა და უბრძანა: „ძმანო, რად არა მომეშველენითო?“ მათ მართალი ეგონათ და შეიკდიმეს. კვლავ პირთა აკოცა და უბრძანა: „სიყვარულმან საყვარელისა ჩემისამან, უკეთუ მომშველებოდით, საუკუნოდ გულსა ჩემსა ვერლა ჰპოვებდითო“. მას ბრძანებასა ზედა ნუშრევანმან მოახსენა: „ძლიერო კელმწიფეო, მაგა საქმესა ზედა თქვენგან დამტკიცება არლა გვინა. ჩვენცა ვიცით, გულარჯალი და მესისხლე ჰბრძანდებით, ამისთვის კელითა თქვენითა სიკვდილსა მოუშველებლობა ვარჩიეთო“. დილარ მძლეველი გამხიარულდა. გოჰარსა კელი მოჰკიდა და უბრძანა: „ძმაო, ჩვენ პურსა შევექცეთ, ნუშრევან აქამომდე მუცელსა განიპოხებდა და ძილითა განისვენოსო. დილარ რა მათ მეფეთა ეგე ვითარად ელალობოდა და დიდებულნი მისნი მხიარულებით ულოცვიდეს დიდსა მას ძლევა შემოსილებასა,

აქა დილარ მძლევლისა თანა მოსვლა მის მთოვარისა უკედგარესისა მნათობისა ზეფირისა მზის ქალაქისა კელმწიფისა მაგიერ მოსაკითხავად, და სახელოვანისა სპასალარისა სიყვარულითა მისითა ცნობისა მიხდა.

მას გადიდებულსა მოლოცვასა შინა ვიხილეთ, რომე მოვიდნენ მონანი მრავალნი ძვირ ფასითა ოქრო ქსოვილითა სტავრითა დამოსილნი. და გუნდსა მას შვენიერთა მონათასა სა-

შუალ ერხეოდა ქალი ვინმე ახალ ჭაბუკა, სხივთა განმამრავლებელი, ვითა მზე. ჩვენ ყოველნივე განკვირვებას მივეცენით, და ხორციელობა მისი არა გვეგონა. ოდეს დილარ მძლეველმან იხილა, იცნა, ზე აღჰსდგა, წინა მიეგება და, მხიარულებით აღვსილმან, თაყვანი-ჰსცა. მან მნათობთა მოწუნარემან პირსა აკოცა და დილარმან მისისა ელვებრ აღყვავებულსა პირსა უმაგიერა, მრავლისა კრძალვით ჰსთხოვა, მოიწვია და ტახტსა ზედა გვერდით მოისვა. პირსა, მზისაცა უბრწყინვალესსა, შეფრვნვით ეალერსებოდა, და ჰკითხა: „ჵე ზეფირ ცისა ცორანოსა მნათობო, რასა მიბრძანებ ჩემისა სიცოცხლისა ბრძანება რა მოგილიაო?“ რა ზეფირისა სახელისა ხსენება მარსი სპასალარმან ისმინა, ვითა ცხროიანი, ეგრეთ ათრთოლდა და ქვე დაეცა ვითა უსულო. ნუშრევან და გოჰარ მას მიეშველნენ. და ზეფირმან ჰკითხა დილარს: „კელმწიფეო ძლიერო, ვინ არს შვენიერი იგი ჭაბუკი, რომელიცა ეგრე შეიქმნაო?“ დილარმან მოახსენა: „მნათობო, იგი არს სპასალარი ჩემი მარსი, რომლისა მოპირის პირე მებრძოლი ჯერეთ ქვეყანასა ზედა არა გამოჩენილ არს. და აწ, მზემან შენმან, უცილოდ სიყვარული შენი მძლე ექმნა და სული შეგწირაო“. ზეფირმა თვისისა კელმწიფას მაგიერად დილარ მოკითხა. დიდებული იგი ძლევა მოულოცა და მოახსენა: „საყვარელმან შენმან ამად წარმომავლინა, რათა თვით თვალითა ჩემითა მეხილვე, ნუ უკუჵ წყლულებითა ევნო რაჲმეო. და ვინათგან ეგრე ჰბრძანდებით, ვმადლობ ღმერთსა. გარნა, მზემან შენმან, სპასალარისათვის ჭირად მოვსრულ ვარო“. დილარმან მადლობა და თაყვანისცემა მოახსენა და შეჰსთვალა: „ჵე, ყოვლისა სოფლისა მბრძანებელავ და განმაშვენებელო, თუმცა მილიონითა ლახვრებითა დაკოდვილ ვიყო, ერთითა ოდენ ხილვითა თქვენითა განვიკურნებიო“. ზეფირ ზე აღჰსდგა, გამოესალმა და მოახსენა: „კელმწიფეო, შენსა სპასალარსა ნუგეში უბრძანე, ვინათგან თქვენითა ბრძანებითა მისი ხვედრი ვარ, ნუ ჰკუდების, თვისსა დროსა ზედა ჩემგან მხიარულებასა ელირსებაო“. ესე ჰკადრა და

უსაწადელესისა რითმე რხევითა წარვიდა. ჩვენ, რომელნიცა გარეშე ქვეყნით თანა ვახლდით დილარ მძლეველსა, არცა ერთი მის მნათობისა კორციელობასა არა ვერწმუნებოდით და უცილოდ ოცნება რაჲმე გვეგონა. მით რომე მისი ჰმსგავსი შვენიერი სიზმრადაცა არა სადა გვზმანებოდა. დილარმან დიდებულთა თვისთა უბრძანა: „ეგე ვითარისა მნათობისა თვის მარსი ცნობისა მიხდასა ზედა ვითა ვამტყუნოვო!“ ეს ჰბრძანა და თვითცა მიბრძანდა, სადა მარსი უსულოებდა. მეფენი იგი გარ ეხვევოდეს და მობრუნებასა მისსა ჰსცდილობდეს. დილარ განაღა ილმობდა ეგე ვითარისა თანა ზრდილისა ლომკაცისათვის, კელითა შესძრვიდა და დასძახდა სანუგეშოთა სიტყუათა ესრეთ:

ყარიბული.

ცრემლთა ზე აპკურებდა, ვით მონა მსახურებდა, ეტყოდა სიტყვა ტკბილსა:
ჵე უსწორო გმირო, ჰკამსა შენთვის მატირო? გშვენის ჩემთან შეზრდილსა!
აღჰსდეგ, გული შვებასა მიეც, ლხინთა ხლებასა, მალ მიხვდე შენს წადილსა!
ზეფირ შენს ნუგეშებსა მეტყოდა, ნაზს სიტყვებსა, თავს რად აძლევ სიკვდილსაო?
განიღვიძე, ვით ლომმან, ბრძოლასა დაუშრომმან, მომხედე შენს პატრონსა,
შენთვის შეწუხებულსა, ურვა განმრავლებულსა და დიდად შენაღონსა,
ალახვენ ეგე თვალნი, ერთგულად განაკრძალნი, მოეგე, ლომო, გონსა!
სად გაქვს გულის სიმყარე? რად შენზედ შემოგვყარე? ვერ ჰხედავ ცრემლთა ფონსა?

რაზმნი, სპილოთ მძლეველნი, ჩვენზედა რისხვის მთქმეველნი, ნუთუ გულს გიშინებდეს
ამად ეგე ლონენი აწ მით მოიგონენი, რომ ბრძოლა არ გინებდეს!
შენ თუ ცოცხალი მესვა, ვით ღვინო, ეგრეთ შევსვა, იგინი თავს ივნებდეს.
ასი ეგზომი დასი. ვერ იყოს ჩემი მნასი, ვერც ბრძოლით მაწყინებდესო!
შენც იცი, ესე დია ცუდად არ მიქადია, ბევრჯელ გამოგიცდია.
ათეულ გზის ასობენ, ათნი კვალად მეტობენ, არა სად გავბიცდია.
ზულოვანნი ბრძოლანი, გახსოვნ შენთან ყოლანი, აწ რად გადიაცდია?
გახსოვდეს იგი ჯამნი, გმირთ გულთა დაასამნი, განმკნდი, გამამაცდია!
ჩემთანა შენც იშვებდე, ლხინებსა შეიკრებდე, ზეფირისა ხილვითა
ერთბამად დაჰვსტკბებოდეთ, საყვარელთ ვეთნებოდეთ, საწოლსა მიმოსვლითა.
აწ ჯამი სისხლთა დენის გვაქვს, სახელ გამოჩენის, მტერთა გულებ ღელვითა.
ვინ სად მოვიდა უცებად, არა სად არს უწყებად, ელვის გამოკრთოლვითა".

ჰ ა მ ბ ა ვ ი:

რა დილარ მძლეველისა კმა, სურვილისაგან მირულებულსა, მარსი სპასალარსა მიესმა, თვალნი აღახვნა, საბრალოდ აღმოიოხრა და ჰსთქვა: „რა მომვლენია, რომე ესე დიდი კელმწიფე და მეფენი გარემოს ჩემსა ფერკთა ზედა მდგომარეობე-

ნო?“ დილარ მძლეველმან კელი მოჰკიდა,ააყენა და პირსა აკოცა. უბრძანა: „მარსი, ჩემსა მზესა, ნუ ჰსჭმუნავ, ადრე შეგყრი საყვარელსა შენსაო“. საბრალომან სპასალარმან კელსა აკოცა და მოახსენა: „ძლიერო კელმწიფეო რადლა სამალავ არს, რა მთიები იგი თქვენთანა მოვიდა, მე კორციელობა მისი არა მეგონა, და რა ზეფირობა მისი ჰბრძანეთ, სახელისა ცნობამან ესრეთ გამხადა, და ნეტარძი მას, ვინცა ღირსი მისი იქმნებისო!“ ნუშრევანმან კმა მაღლად გაიცინა და ჰსთქვა: „ღმერთო, ესე რასა ქვეყანასა შთამოვსცვივდითო. ზოგნი სიყვარულითა ვბნდებით, ზოგნი ომსა შინა ვიტანჯებით, და ვიეთნიმე შიმშილითა ვიყმინდებითო. კელმწიფეო, შენსა მზესა, აწე ეგრეცა პურისა მოღება ჰბრძანეო“. მიბრძანდა დილარ მძლეველი, დაჰბრძანდა, და სხვანიცა ყოველნივე თვის თვისითა წესითა დავსხედით. მოიღეს პური და შეიქმნა მხიარულება. იგი ღამე და მეორესა დღისა მეცხრე ჟამადმდე ვიყვენით დიდსა ღვინისა სმასა შინა. გაჰსცემდა დილარ მძლეველი უხვებით ყოველთა ზედა, და აღავსნა დიდნი და მცირენი ტურფითა ძვირფასითა ლარითა და სპეკალითა, და ვიყვენით უგანძლიერებულესსა სმასა და ლხინსა შინა, ვითარ იგი ჰშვენოდა დილარ მძლეველისა მის ძლევა-შემოსილებასა. მაშინ მოვიდეს მონანი ზეფირისანი. და კვლა მოართვეს დილარ მძლეველსა ოთხი ათასთა სალაროთა გასაღებნი და მოულოცეს გამარჯვება მის კელმწიფეთა მბრძანებელასა მაგიერად. დილარმან მადლობა მოახსენა. მონანი იგი წარვიდნენ და ჩვენცა გავიყარენით სადილოთა. სხვასა დღესა კვლა შეიქმნა პურობა და შეიქმნაცა მხიარულობაჲ.

აქა ლასურ ჩანელის მოციქულის მოსვლა წინაშე დილარ მძლეველის.

კვლა მოვიდა მოციქული მის ლასურ კელმწიფისა წინაშე დილარ მძლეველისა და მოახსენა, ვითა: „დილარ, მფლო-

ბელო აბაშთაო, თავსა შენსა ნუ ულაღდები, ჯერეთცა გისხენან მრავალნი დღენი ჰირისანი. ხვალე გამოვედ მოედანსა ზედა და მეცა გამოვგზავნო მეფე ჩემი. და ყოვლისა ყურყანისა ქვეყანისა მბრძანებელი სურუტაშ, და შენ და იგიცა გამოიცადენითო". დილარ მძლეველმან მოციქულსა მას მრავალი უბოძა და უბრძანა: „წარვედ, ძმაო, და შენსა კელმწიფესა ესრეთ მოახსენე, ვითა: „მეფეო, რაჲცა გიბრძანებია, დია ღმერთო, ეგრეცა აღვასრულეთ და უკეთუ მეფემან შენმან აკლოს, სხვა უმჯობესი იძიეო!" წარვიდა მოციქული იგი და ჩვენცა ვიკმავეთ პურობა. დილარ მძლეველმან უბრძანა თანა განმყოლთა სადილაოდ მზა ყოფა. მას ღამესა ამოდ განისვენა. და დილასა ადრე აღჰსდგა, სამამაცო საჭურველითა შეიჭურვა. მოეწყვნენ თანა განმყოლნი. ჰკრეს ხაომარსა საყვირსა. შეიქმნა ქალაქსა შინა დგრიალი. და გავიდნენ მოედანსა ზედა:

აქა მზის ქალაქის მოედანსა ზედა დიდისა ყურყანელთა მეფისა სურუტაშისა და დილარის ომი:

შეიძრა ყოველი იგი ქალაქი. მომჰზადეს მრავალ გვარნი გულისა შემაშინებელნი საყვირნი, და განძლიერდა კმა საზაროებისა. გამოვიდა მუნით სახელოვანი და მრავალთა ბრძოლათა შინა მკნედ გამოჩინებული მეფე სურუტაშ, და თანა გამოჰყვნენ თვისთანავე გამოცდილნი ერგასნი ათასნი ფალავანნი, მძიმედ შეჭურვილნი ყმანი თვისნი. შეიქმნა მუნითცა საყვირთა კმიანობაჲ, და შემოიგდო მეფემან სურუტაშ ტაიჭი თვისი. ეტყობოდა, რომე იყო სასტიკი და ფიცხელი მეომარი. შემოუტია დილარს და მესისხლე შუბი თავსა ზედა დაიბრუნა. მოჰმართა და საკვდავად გულსა ზედა დაამგერა. მეფე იგი ჰგონებდა მით ერთითა შუბითა წადილისა თვისისა აღსრულებასა. გარნა რა შუბი მისი დილარს თორნსა ზედა ეკუწთა,

მჰსწრაფლად დაილეწა და ძირსა დაჰსცვივდა. განჰრისხდა სურუტაშ და პირბასრთა ისართა სროლა დაიწყო. დილარ ისართაცა მათ უვნოდ გარდურჩა. კვლა განრისხებულმან მეფემან მოისვა კმალსა ჴელი; შემოუტია, ჰსცა მუზარადსა ზედა და ზე დაალეწა. მეფემან სურუტაშ იწყევა მარჯვენეჲ თვისი და ჰსთქვა: „ესოდენნი წელნი ბრძოლათა შინა დამიყვიან და საჭურველთა ჩემთა გაცუდება არა მინახავსო. აწე ესე ლახტიცა ჩემი გამოვჰსცადო და უკეთუ ესეცა უხმარ იქმნების, თურე ამა მოედანსა ზედა დასრულდება მორბედობა ჩემიო." ალილო დიდისა კამბეჩისა სახედ შექმნილი რკინისა ლახტი, სამ გზის თავსა დაიბრუნა, და ესრეთ ძლიერად ჰსცა თავსა ზედა, რომე დილარმან აქო მკლავთა მისთა ძლიერებაჲ. რა მოედანსა ზედა მეომართა წესითა რიგი დილარს ერგო, მყისად კინენსა კელი მიჰყო და შეჰსძახა: „მეფეო, გამიფრთხილდი, რომე ამა კინენითა სოფელსა გამოგასალმებო!? შეუტია, შეუყარა კინენი, აგლიჯა უნაგირისაგან და თვისთა ყმათა შეჰსტყორცა, და თვით მიჰმართა დარაზმულთა მათ ფალავანთა. რა გმირთა მათ თვისი მეფე ეგრეთ იხილეს, ერთობით გარე მოეხვივნეს და ფიცხელი ბრძოლა დაუწყეს. წესი იყო დილარისა, უკეთუ მეომარი ფათერაკითა არა შემოაკვდებოდის, არა მოჰკვლევდის. ამისთვის მათ ზედა საჭურველი არა რაჲ იკმარა. მათრახსა კელი მიჰყო და კისკასად კმარებითა ოთხსა ჯამსა ყოველნივე იგინი თავ მხარ დალეწილნი ქვე ჩამოჰყარნა. და ყმათა მისთა დაიპყრეს. რა ლასურ კელმწიფემან დილარისა ეგე ვითარი ძლიერება იხილა, რომე იგი ურჩეულესნი გმირნი თვითოსა მათრახისა გარდაკვრითა გარდმოჰყარნა, ჰსთქვა გულსა შინა თვისსა: „ამა კაცისა ძლიერება უკეთუ თვალითა ჩემითა არა მეხილვა, არა სადა ვირწმუნებდი! ამიერითგან სხვათა არღა ვაბრძოლებ და სიმრავლითა ტყვეთათა არა ვალალებ. თვით მე განვიდე მოედანსა ზედა და შევანანო საქმენი მისნიო". უბრძანა და გასაყრელსა საყვირსა აკვრევინა. მაშინ დილარ მძლეველიცა გამობრუნდა, მოვიდა მეფეთა და

დიდებულთა მოულოცეს გამარჯვებაჲ. მან მადლობა უბრძანა და ნუშრევანს ჰრქვა: „აჰა, ძმაო, აწ პური არლა დაგიგვიანე, რალას მემდურიო!“ საჭურველი ყოველთავე აღიხადეს. ტყვენი იგი საპყრობილესა წარავლინეს სხვათა თანა და თვით პურობად დაჰბრძანდნენ. განმხიარულდეს მის ქვეყანისა დიდებულნი ყოველნი. და ჰნატრიდეს თავთა თვისთა ეგე ვითარისა პატრონისა ღირს ყოფისათვის. ჰსმიდეს სადღეგრძელოსა დილარისასა და ჰლოცვიდენ მზესა მისსა.

აქა ლასურ პეკინის იმპერატორის მოციქულის მოსვლა წინაშე დილარ მძლეველის აბაშთა მპყრობელის.

მასვე პურობასა ზედა მოვიდა მოციქული ლასურ ჩინელთა კელმწიფისა, რომელსა შემოეთვალა ესე, ვითა: „დილარ აბაშო, აქამომდე ომნი წინანი ყმაწვილობა იყვნეს და ბედითთა კაცთა პყრობანი. აწ ხვალითგან კარგათ მოემზადე, მით რომე თვით მე შემოვალ ბრძოლისა ასპარეზსა ზედა და შეგანანებ კელითა ჩემითა უწესოთა ნაქმართა შენთაო!“ რა·ესე მოციქულობა დილარ მძლეველმან მოისმინა, უზომოდ გამხიარულდა. მას მოციქულსა ერთი კელი მძიმე სტავრისა შესამოსელი და ერთი ოქროსა სინითა სავსე ძვირფასნი თვალნი თლილნი უბოძა და ესე შეუთვალა: „ჩინელთა მპყრობელო ლასურ, აწ მოსრულ ხარ სრულსა გონებასა და შეგბრალებიან ესოდენნი ტყვენნი და, დია ღმერთო, ხვალისათვის მოედანსა ზედა მზა ვიქმნებიო“! იგი მოციქული მით სიტყვითა გაისტუმრა, და ჩვენ მივეცენით უმეტესსა მხიარულებასა. მაშინ ჯანუჯან ვაზირმან მოახსენა დილარ მძლეველსა, ვითა: „ძლიერო კელმწიფეო, გვმართებს მის ლასურისაგან გავფრთხილდეთ, მით რომე მეფე იგი არს მრავალთა ბრძოლათა შინა გამოცდილი და დღეთა თვისთა მოპირის პირე მისი არავინ გამოსჩენია, და დიდ დიდნი სამეფონი მკლავითა თვისი-

თა დაუპყრიან, და ძლიერნი მეფენი მორჩილებასა თვისსა ქვეშე მყოფნი თანა ახლავან. აწ, ძლიერო კელმწიფეო, ეგე ვითარი მკლავ-მტკიცე გმირი თქვენითა კელითა დიდსა დაკლებასა შინა შესრულ არს. ამისთვის ესე ჰსჯობს, რათა პირველად სხვანი შევაბათ, გამოვჰსცადოთ ჭაბუკობა მისი და შემდგომად ვითარცა ჰსჯობდეს, ეგრეთ განვაგოთ ბრძოლა მისი. რა ესე რჩევანი ჯანუჯან ვაზირმან მოახსენა დილარ მძლეველსა, მრავალი მადლობა უბრძანა და ჰრქვა: „მამაო, ეგე თქმულნი შენნი ჯერ იყო მაშინ, ოდეს პირის-პირ არა გამოვეთხოვე მას მე, და ვინაჲთგან ლასურ ეგრე იქადის ჩემ ზედა, ჰკამს, მეცა ვაჩვენო მკლავთა ჩემთა ძლიერებაჲ, და ესე აღმითქვამს წინაშე თქვენ ყოველთასა, ვინაჲთგან ეგრეთი ჭაბუკი არს, რომე დიდსა ამას საკელმწიფოჲსა გულოვნებისა მისისა სახელისა ქება ესრეთ მოფენილ არს, ხვალე მოედნით არა უკუნ ვიქცჳ, ვიდრე არა გარდავსწყვიდო ბრძოლა მისი“. ესე ჰბრძანა და გავიყარენით ყოველნივე. შეიქმნა კმა ქალაქსა შინა, ვითა: ხვალე ორნი იგი ძლიერნი კელმწიფენი შეიბმიანო, დ̃ ჰსწადდათ ყოველთა მათ ძლიერთა ლომთა ჭაბუკთა ომისა ხილვაჲ. რა დილისა აფროდიტმან ლურჯსა მოედანსა ზედა თვისისა მკრთოლვარებისა შუშპარი შეჰქმნა და მთოვარისა მოსაწევნელად მალიადსა ეტლსა ზედა აღმკედრდა,

აქა დიდისა მის აბაშეთისა კელმწიფისა დილარ მძლეველისა ბრძოლისა თალპიონსა ზედა შესულა და მუნითგან ალერსი თვისისა სატრფიალოსი.

შეიქმნა ორთავე ქალაქსა შინა კმიანობა საყვირთა და განემზადებოდა ყოველი სული მოედანსა განსასვლელად, ჰვრეტად მათისა ბრძოლისა. დიდთა მათ ქალაქთა ბანნი ალჲვსნეს ქალთა მნათობთა სიმრავლითა. მაშინ შეიჭურა დილარ და უბრძანა ჩვეულთაცა თანა ხლება. გაიყოლა ასნი ჰრჩეულ-

ნი ტაიჭნი და თვისსა ცხენსა შეჰმოსა აბაშიური იგი სამოსი, უბრძანა სახლის უხუცესსა საურმაგს, ვითა: „მეფეო, დღეს მსურს პურობისა დიდისა გარდახდა. სიმრავლე მეინახეთა, ვგონებ, შეუგებელი იქმნება, და, ვითა მაქვს შენგან იმედი, ეგრეთ განგვიმრავლე ჭამადი ყოველიო!“ ესე ჰბრძანა და განვიდა მოედანსა ზედა. რა ლასურისა კერძოთა იხილეს მოედანსა ზედა მზად დგომა მოპირის-პირეთა, უცეს მუნითცა სხვათა და სხვათა საკრავთა და საყვირთა, და შეიქმნა კმიანობა სასტიკი და საშინელი, რომე მამაცთაცა გულთა გაამდედრებდა, თვარა ჯაბანთა მელისა კვრელთა ყელ გარდაგდებით ანეტარებდა. დილარ მძლეველი, ვითა ნადიმად მყოფი, იშვებდა მოედანსა ზედა, და მებრძოლთა გულისა გამაპობელსა პირ ბასრსა შუბსა კელსა ზედა იმღერებდა; ოხვრიდა საბრალოდ და მიუცილებელად შეჰსჭვრეტდა ბანსა მას და სართულსა გოდლისასა, სადაცა ჰგულობდა თვისისა ეგეოდენისა შრომისა მიზეზსა. ნელიადისა რითმე ტკბილისა სიტყვითა, ვითა ტრედი, ეგრეთ შეღუღუნებდა, იადონი კმა ტკბილობასა მისგან ისწავებდა, და მერცხალთა ჭიკჭიკი მისისა კმისა ეშხითა მაშინ შემოილეს. შეჰყეფდა, ვითა ბულბული, გულითა დაწყლულებულითა, და თვისისა უფრჭკვნელისა ვარდისა ხილვასა ისწრაფოდა, გულისა თვისისაგან აღმოოხვრილსა შავსა კვამლსა მას გოდოლსა შეჰბერვიდა და იტყოდა: „ეჰა დილისა ამოვო ნიავო ზეფირ, ესე სიმწარითნი სულთქმანი ჩემნი მიჰბერენ მას, ტკბილნელობისა და ნაზისა მოძრაობითა მისისა წალკოტისა სუმბულნი წყნარად რადმე შეარხიენ. ვარდთა მიუალერსე და მისთა დარაჯათა წინამოთა კრძალვით მიუანბორე, იშიშვოდე, მისთა გიშრისა ისართა სასიკვდილოდ არა მოგჰსწყლან, ჵ უწყალოთა მისთა მირყაზაბთა ერიდე, რათა გული არა განგიპონ, მრავლითა იდუმალითა მოძრაობითა ჩემ მიერ სურვილი და თაყვანის-ცემა მოახსენე, და ესრეთ სიმდაბლისა შემოსილმან სიტყვანი ჩემნი მიუწინაშე ესე გვარისა უბნობისა წარდგინებითა, ვითა: „აჰა ბრძანებისა შენისა მორჩილი დი-

ლარ, საშენოსა მონებისა მტრფიალი, სისხლისა დასალვრელსა თალპიონსა ზედა ჰსდგას შენდა სიცოცხლისა შეწირვად, და ღირს ჰყავ ბნელ ქმნილნი თვალნი მისნი შენგან ჰვრეტითა განათლებასაო“. რა სურვილისაგან ტყვე ქმნილი დილარ ამათ და ესე ვითართა ჰაზრთა მქონებელი მოედანსა ზედა შუბითა იმღეროდა, მყის მოეფინა ნათელი საყვარელასა თვისისა, მოექცა ნიავი აღმოსავალით კერძო, და მოჰბერა დილარისა საყნოსელთა განმაცხოველებელი სუნნელებაჲ. იწყო დილარმან კვლა უმეტეს შუბისა მღერაჲ მხართა ზედა, და ტაიჰსა უმატა თამაშობაჲ. მას ეგე ვითარსა დილარისა განმამხიარულებელსა ჟამსაშინა,

აქა ლასურ ჩინელის კელმწიფის მოსვლა მზის ქალაქის მოედანსა ზედა, და სასტიკი ბრძოლა დილარის და ლასურის:

გამოვიდა ლასურცა თალპიონსა ზედა მრავლისა გულოვანისა ფალავნითა და გამოიყოლა მანცა ტაიჰნი მრავალნი. ოდეს შევხედეთ ლასურს, დიდად მოგვეწონა და ვჰსთქვით: „რაჲსაცა ჯანუჯან ვაზირი იტყოდა, მართალ თურე ყოფილ არს!“ პირველსავე მოსვლასა ზედა არა რას გაეუბნა მოედანსა ზედა, ცხენი შეითამაშა, შეიმღერა, დილარს შემოუტია, აბაშთა მფლობელმან სალამი მისცა და ჩინელმან არა ჩამოართვა, ამაყად შუბი წამოიმძღვარა და, რა მოუხდა, შემოჰსტყორცნა შუბი, ეცა ცხენსა დილარისასა და, ვითა ცუდსა რასმე სამოსელსა, ეგრეთ განვლო შიგან ცხენსა მას და ქვე მკვდარი დაეცა. დილარს სხვა ცხენი მოართვეს. გაჰსჯდა მას ზედა. კვლა მოუხდა ლასურცა შუბითა და იგიცა ცხენი მოუკლა, ლასურმან ეგე ვითარითა ბრძოლითა ასნივე ტაიჰნი დაუხოცნა. მაშინ დილარ გაჰსჯდა თვისსა საკუთარსა ცხენსა ზედა, შუბი შეითამაშა, გაჰბრუნდა, შეჰსტყორცნა, ლასურისა ცხენსა მოჰხვდა უკანასა ზედა და შუბლსა გავარდა. კვლა იწყო შუბითა ბრძოლაჲ და ასი ტაიჰი დილარმან მოუკლა. გაჰრისხდა ლასურ, მოუხდა, ჰსცა კმალი თავსა ზედა და დაჰს-

ძახა, ვითა: „დილარ, თუ მამაცი ხარ, გაუძელ მაგა ნაკრავსა ჩემსაო!“ დილარ მისსა ნაკრავსა არა სად შეუდრკა. რა დილარისა უვნებელად ყოფნა ლასურმან იხილა, განჰკვირდა, მით რომე ჰგონებდა შუა განკვეთასა მისსა. მაშინ გამესისხლებულმან მოზიდა მშვილდსა, და დაუწყო ფიცხელთა ისართა სროლაჲ. დილარმან ფარი მიაგება და ოცდა ოთხი ისარი მას აატანინა. კვლა განჰრისხდა ლასურ, ვითა ლომმან შეჰყვირა, ლახტი შეიმაღლა და ესრეთ სასტიკად ჰსცა თავსა ზედა, რომე დილარმან მოწონებისათვის ჰრქვა: „შაბაშ შენთა მკლავთა სიმყარესაო!“ რა ლასურმან მით ლახტითაცა ვერა ავნო რა, ლახტი მრისხანებით შორად გაჰსტყორცნა, მიჰყო კინენსა კელი, შემოუტია, შეუყარა და ძლიერად აზიდნა. ლასურს კინენი გაუტყდა, და დილარ, ვითა ტინი მთა, ეგრეთ ჰსჯდა ცხენსა ზედა. კინენისაგან უიმედო ქმნილი ლასურ, გაჰრისდა, საგდებელსა კელი მიჰყო, შემოჰსტყორცნა, ზეგარდააცვა და კბილ ღრჭენით განჰზიდა ესრეთ, რომელ მრავალ კეცი იგი საგდებელი ვითა მკედი, ეგრეთ გაჰსწყვიტა. დილარ მღიმარი უძრავად ჰგებდა. ლასურმან, განძვინებულმან ვითა მხეცმან, მოისვა პირბასრსა კმალსა კელი, მოუხდა და დასაკრავად შეუმაღლა. დილარმან კისკასად ქცევითა მარჯვენე შეჰსტაცა, კმალი წაართვა, შორს გაჰსტყორცა და ჰრქვა: „კელმწიფეო, მომიტევე! აწ მნებავს, რათა ეგოდენი სილაღე შეგანანებინოვო!“ ჰსტაცა სარტყელსა კელი, მსწრაფლად აღგლიჯა უნაგირისაგან და ყმათა თვისთა შეჰსტყორცა. გმირი იგი კელმწიფე ლასურ ესრეთ ძლიერად დაეცა მიწასა ზედა, რომე, ვითა მკვდარი, ეგრე უსულოებდა.

აქა დილარ მძლეველისაგან მზის ქალაქის მოედანსა ზედა ლასურ ჩინეთის კელმწიფის დანაშთომია ძლიერთა ბრძოლა, ნამოურა და დაშურობა:

დილარმან ლასურისა ფალავანთა მიჰმართა. ჩინელთა გულოვანთა ერთობით შემოუტიეს და დაუწყეს ბრძოლა ძლიე-

რი. დილარმან კისკასითა მკლავთა კმარებითა იგი ყოველნი ჩამოჰყარნა, და ყრმათა მისთა დაიპყრეს. აბაშთა თვით მპყრობელმან რა მათ ჩინელთაგან მოიცალა, გამობრუნდა და პეკინისა კელმწიფესა თანა მოვიდა.

აქა დილარ მძლეველი ლასურ კელმწიფესა თანა მობრძანდა, საუნოსელითა სუნნელითა მოაბრუნა და თვისსა სრასა მიიყვანა:

დიდი იგი კელმწიფე პეკინისა ლასურ ჯერეთცა უცნობო იყო, დილარმან რა იგი ეგრე იხილა, შეილმო, გვერდსა მოუჯდა, მრავალი სასუნებელი სუნნელი აყნოსებინა და ცნობასა მოაგო. რა ლასურმა თავი თვისი ეგეთსა უბედურებასა შინა იხილა, მწარედ ამოიოხრა და ჰსთქვა: „ეჰა, ამაყო ლასურ, ქვეყანასა ზედა გულოვანსა არა იდრიდი, და აწ მზისა ქალაქისა მოედანი საფლავად შენდა იქმნა! ყოველნო მხილველნო ჩემნო, ისწრაფეთ და შეუდეგით სიმდაბლესა, თუ არა ყოველი ძალისა დიდებისა და საუნჯისა თვისისა მოსავი ესრეთ დაეცეს და იქმნეს შეურაცხ, ვითარცა მე, და დამდაბლდეს, ვითარცა მიწა, და დასთრგუნვიდენ მას თანა წარმავალნი გზისანიო!“ დილარ, მისგან ეგე ვითართა სიტყვათა მსმენელი, ალენთო, ვითარცა იყო ცეცხლსა ზედა, თურმანობა და ლამპარაკი ტკბილი დაუწყო. ლასურ წარსულთა მოქმედებათა თვისთა თვის სკვდილსა მოელოდა და რა დილარისაგან ეგე ვითარი მლმობელობა იხილა, მრავალი ქება მოახსენა, კელი გამოართვა, აკოცა და მოახსენა: „დიდო და ძლიერო კელმწიფეო დილარ მძლეველო! ვინაჲთგან განგებასა ეგე ვითარი გული და მკლავთა ძლიერება მოუნიჭებია, დღესითგან მონებასა შენსა ვერა რამან განმაშოროსო!“ ესე ჰსთქვა და მოიწია თაყვანი საცემლად. გარნა ფერხნი სრულიად ვერღარა იხმარნა. შეჰსწუხდა დილარ, საკელმწიფო კუბო მოატანინა, მასშინა სიფრთხილით შთააწვინა და თვისსა სახლსა წაიყვანა, მოეგებნეს

დილარს წინარე მეფენი და დიდებულნი, მოულოცეს გამარჯვება იგი, და გარდააყრიდეს ძვირ ფასთა თვალთა. მან ყოველთა ერთობით მადლობა უბრძანა, მსწრაფლად მიიყვანა ლასურ და თვისსა სახლსა დააწვინა. მალიად მოიხმო დასტაქარნი. საჭურველი აღჰხადეს და ჰნახეს, რომე თეძო ამოვარდნილი ჰქონდა, სხვა არა რა უჭირდა. მათ კელოვანთა დასტაქართა თეძო მყისად ჩაუგდეს და ყოველითურთ სიმრთელესა მიეცა. მაშინ წამოჰსდგა ლასურ სიხარულითა დიდითა, თაყვანი ჰსცა დილარს და მოახსენა: „კელმწიფეო, მკლავთა თქვენთა ძლიერებამან ესრეთ დამამონა თქვენდა, რომე დღეთა შინა ჩემთა თქვენისა სამსახურისაგან კიდე არა რაჲ მინდა, და, მზემან შენმან, არცა კვალსა შენსა განვეშორო. და ესე მოწყალება მოიღე, რომე მეცა ერთგულთა შორის თქვენთა შემრიცხე და მიმსახურეო“. ესე მოახსენა და მოაჯეობისა ადგილსა დაჰსდგა. რა დილარმან ლასურისა ეგე ვითარი სიმდაბლე იხილა, დაჰგმო საწუთოსა ამის პირ უმტკიცეობა და იტყოდა გულსა შინა თვისსა: „ეჰა, დაუდგრომელო ცხოვრებაო კაცთაო! გუშინ დიდი ესე კელმწიფე მკლავთა თვისთა ძლიერებითა ცასა კელსა აწვდენდა და დღეს კელსა ჩემსა ესრეთ დამონებია, რომე მოაჯეთა ადგილსა ჰსდგას და სიტყვათა სავედრებელთა მოუბარობს! ნუთუ, მბრუნავო ეტლო, ჩემზედაც ესევე მოაწიო! ამისთვის შენგან ამაღლებულთა სიქადული არა გვმართებს, არამედ უფროსად სიმდაბლე და სიყვარულიო“. მსწრაფლად აღჰსდგა, მივიდა, ლასურს კელსა მოეკიდა, პირსა აკოცა და ჰრქვა: „კელმწიფეო, ხარ კარგი და ძლიერი ჭაბუკი! თავმან ჩემმან, დღესითგან ძმა ხარ ჩემი და საყვარელი გულისა ჩემისა მოყვასიო“. მიიყვანა, ნუშრევან და გოჰარ გააცნო, ეგრეთვე მეკობრეთა მეფეჲ და ყოველნი კრებულნი თვისნი. ლასურ მათ ყოველთა მიეალერსა და ტკბილ მოუბარითა ენითა მოიკითხნა. დილარმან ლასურ თვის თანა ტახტზედა დაისვა და სხვანი ყოველნივე თვის თვისითა წესითა დასხდეს. მცირესა ჟამსა უბნობითა შეექცნენ, და შემდგო-

მად ჰბრძანა დილარმან პურისა დაგებაჲ. მაშინ წარმოჰსდგა სახლისა უხუცესი მეფე საურმაგ, თაყვანი-ჰსცა და მოახსენა: „ძლიერო კელმწიფეო, პური მზა არს სხვასა სახლსა შინა და მობრძანებასა თქვენსა ველით.“

აქა დილარ მძლეველისაგან პურობის გარდახდა ლასურისა ურიცხვთა პურობილთა განთავისუფლება და მხიარულება დიდი:

Sაურმაგ მეფისა მოხსენებასა ზედა აღჰსდგა დილარ, ლასურს კელი მოჰკიდა და წარუძღვა საურმაგ, მიჰყვნენ კელმწიფენი და მეფენი, და ჩვენცა შეუდეგით უკანა მათსა, შევედით სახლსა ეზომ დიდსა, რომე დღეთა შინა ჩემთა ეზომ დიდი სახლი არა მეხილვა, და შვენიერებისა მისისა გამოთქმაცა არა შეიძლების. ორასისა ათასისა კაცის პური დაეგო მეფესა საურმაგს და დიდად რასმე მომზადებულ იყო. დასხდეს კელმწიფენი და ჩვენცა, ღირსნი სხდომისანი, ვიყვენით ცხრა ათეულნი ათასნი. შეიქმნა სმა და პურობა და დაიწყეს მუტრიბთა და მომღერალთა ყურისა დამატკბობელთა ლექსთა თქმაჲ დილარისა ქებისათა. მას პურობასა ზედა ესრეთ გამხიარულდა ლასურ ჩინეთისა კელმწიფე, რომე ამას იტყოდა კაცი: გულსა მისსა წყენა არა რაჲმე მოჰხდომიაო. ყოველთავე გვიკვირდა ზრდილობა მისი და ტკბილ მოუბარობა. ესრეთ სიყვარულით ექცეოდა დილარ მძლეველსა, რომე ესრეთ იტყოდა მხილველი: ღღენი მათნი ერთად დაუყვიათო. და განაღა დილარ მისსა ეგრეთსა ზრდილობასა ზედა უმეტესად მხიარულობდა და გულსა შეაწყობდა. რა ხშირსა ღვინის სმასა შევედით, უბრძანა დილარმან საპყრობილისა მთავარსა ყოველთა პყრობილთა განთავისუფლება. და საურმაგს წამ უყვნა, რათა იგი ყოველნი თვის თვისითა წესითა ძვირფასითა სამოსლითა დაემოსათ. საურმაგ გარე გამოვიდა და ყოველივე ბრძანებული მსწრაფლად აღასრულა. მოიყვანეს იგი ურიცხვნი ტყვენი, თაყვანი-

ჰსცემდეს დილარს და აქებდეს კელმწიფებასა მისსა. დილარმან უბრძანა ლასურს, ვითა: „ძმაო, ვითხოვ სიყვარულისაგან შენისა, რათა რომელნიცა ამა პყრობილთა შორის შენთანა სხდომისა ღირსნი იყვნენ, უბრძანო, და დასხდენ პურობად ჩვენთანაო“. რა ბრძანება დილარისა ლასურმან მიიღო, ზე აღჰსდგა, მოუწოდა თვისთა მეფეთა, დიდებულთა და გულ ლომთა ფალავანთა, წინაშე დილარისა დააყენა, თვითცა მათ-თანა დაჰსდგა, ყოველთავე ერთბამად თაყვანი ჰსცეს და ადიდეს კელმწიფება მისი ეგე ვითარისა მოწყალებისათვის, და დაჰხსნა თვის თვისითა წესითა ათ ერთმეტ ათეულნი ათასნი, და სხვანი იგი ურიცხვნი სხვათა სახლთა დასხნა სახლისა უხუცესმან და განუმრავლა სასმელნი და ჭამადნი. მაშინ დილარ აღსდგა, მივიდა, ლასურს პირსა აკოცა, აღიყვანა ტახტსა ზედა და ერთგანვე დაჰსხდეს, მაშინ განაღა შეიქმნა უმეტესი მხიარულება. და გამართეს სადღეგრძელონი. პირველად შესვამდეს სადღეგრძელოსა მის მზისა ქალაქისა კელმწიფასასა, დილარისა სატრფიალოსასა. შემდგომად დილარისასა, ლასურისა, ნუშრევანისა, გოჰარისა, ზორასტანისა სპასალარისა, დილარის მოყმეთასა, ლასურისა, მეფეთა და დიდებუთასა, და შემდგომად მზისა ქალაქისა დიდებულთასა. ვინაჲთგან იგინი იყვნეს დამხვედრნი და მასპინძელნი. განაგრძეს პურობა იგი სამსა დღესა და ღამესა. და აღავსნა დილარმან ყოველნივე წყალობითა და ნიჭითა და ბოძებითა. მას პურობასა ზედა ყოველნი ტახტნი, სელნი და ჭურჭელნი სუფრისანი იყვნეს ოქროსაგან წმიდისა, შიგან მსხდომითა თლილითა იაგუნდითა. რაჲცა ჭურჭელნი გამოიცვლებოდეს, ყოველივე, ვისაცა წინა იყვნეს, მათთა სახლთა შინა წარივლინებოდა. და განაღა სახლნი ლასურისა და სპათა თვის მისთა მას ქალაქსა შინა იყვნეს და ბარგ სამძიმარნი მათნი მუნვე მოელოთ. რა ყოველთავე ერთობით მიგვჰსჭირდა ღვინის სმა და მოსმურობა, ჰბრძანეს გაჰყრა პურობისა. მეოთხესა დღესა, რა დილარ მძლეველმან გამოიღვიძა, მიუწოდა სახლისა უხუცესსა თვისსა და ჰრქვა: „მეფეო საურმაგ!

ესე ხუთისა საჭურჭლისა გასაღებნი მიიღე და, ჩემსა მზესა, დიდებულად გვმასპინძლობდეო“. საურმაგმან გასაღებნი იგი ჩამოართვა, თაყვანი-სცა და მოახსენა: „დიდო კელმწიფეო, ნუ-თუ მიწყრებოდეთ და შესაბამად თქვენდა ვერა გმსახურებდეთ, თუ არა ესე რა არსო! თავმან თქვენმან, მის ერთისა საჭურჭლისა ძვირფასნი ნივთნი ჯერეთ-ღა არა დაჰლეულანო“. დილარს მოხსენება იგი დიდად იამა და უბრძანა: „ძმაო, თავმან ჩემმან, კარგად გვმასპინძლობ და მადრიელცა ვარ. და, უკეთუ გულსა არა გაკლებს, ჩემსა სალაროსა რად ჰზოგავო!“ საურმაგ მეფემან დაჰლოცა და მოახსენა: „ადიდოს ღმერთმან ელმწიფება ეგე თქვენი და სიუხვე გულისა თქვენისა! რაჲ-ცა გენებოს, ეგრეცა ჰბრძანე, ნებისაებრ თქვენისა გმსახუროო“. მაშინ მოვიდა დიდი იგი კელმწიფე პეკინისა ლასურ. და თანა მოჰყვნენ თვისნი იგი მეფენი და დიდებულნი წესისაებრ თვისთა ადგილთა. შეჰქმნეს გარდასრულთა ბრძოლათა თვის ლაღობაჲ, და ხუმრობდეს მეფენი ტკბილ მოუბარითა ენითა. ლასურ კელმწიფემან მოახსენა დილარ მძლეველსა: „ძლიერო კელმწიფეო, რაჲსაცა ჩემი შეცოდება მაგულ-კმებს, თქვენგან შეწყალებისა ღირსი არა ვიყავ, გარნა მოწყალება გულისა თქვენისა ესრეთ მჰსდიდრობს ჩემზედა, რომე წარსრულისა სამისა დღისა პურობისა ძვირფასნი ნივთნი, რაჲცა ჩემთა მოლარეთა მიჰბარებია, მადლობა ჩემგან შეუძლებელ არს, ამისგან კიდე, რომე სიცოცხლეჲ ჩემი სამსახურსა თქვენსა შევჰსწიროო.“ დილარმან მადლობა უბრძანა, პირსა აკოცა და ჰრქვა: „ძმაო, ნუ თუ თქვენად საფერად ვერა დაგხვდი და შემდგომად თურმანსა მოვიხდიო.“ ესე ჰბრძანა და სადაცა პური დაგებული იყო, მუნ შეჰბრძანდნენ. დავსხედით პურად და შეიქმნა მხიარულება. ესრეთ დიდებულად მომზადებულ იყო საურმაგ, რომე წინანი პურობანი მას არა ჰგვანდეს: ყოველთავე ერთობით ტახტნი და სელნი მრთელისა იაგუნდისანი ედგნეს, და ჭურჭელნი თლილისა ბრილიანტისანი იყვნეს, რავდენ გზის ჭურჭელთა გამოჰსცვლიდიან, ეგრეთვე სელთა

და ტახტთაცა, და ზემსხდომთა სახლთა შინა გაჰგზავნიდი-ან, კვლა სხვასა მოიტანდიან და დასდგმიდიან. ამა წესითა მას პურობასა ზედა ორ-ას გზის გამოჰცვალნეს ტახტნი და სელნი, ჭურჭელ სალვინე და საწდენი, და ვისცა წინა იდ-გეს, მათთა სახლთა გაგზავნეს, და ეგრეთვე იგი სიმრავლე მეინახეთა ორას გზის ტანთა დაგვმოსეს ძვირფასითა ოქრო ქსოვილითა სამოსლითა; ერთსა სწორსა ყოველსა დღესა ეგ-რეთითა მასპინძლობითა განუსვენა დილარმან ლასურსა და ყოველთა მათ ურიცხობასა სპათასა, და განაკვირვნა გულნი ყოველთანი გარდამატებულითა მით სიუხვითა თვისითა.

აქა წინაშე დილარ მძლეველისა მის მნათობისა ზეფირისა მონა-თა მოსვლა მოსაკითხავად და მრავალთა საჭურჭლეთა გასალებთა მორთმევა ყოველთა საცხადოდ.

დღესა ერთსა ნადიმსა ზედა ვსხედით, და მოვიდნენ მო-ნანი ზეფირისანი, და მოიღეს სამთა გოდოლთა საჭურჭლე-თა გასალებნი, რომელიცა შეჰსდგებოდა ათ-ორმეტ ათასს საჭურჭლედ, თაყვანი ჰსცეს დილარს და მოახსენეს: „დიდო და ძლიერო კელმწიფეო, ესე საჭურჭლეთა გასალებნი მო-გართვათ პატრონმან ჩვენმან მნათობმან ზეფირ, და ესე მო-გახსენათ: „მიბრძანეთ უკლებელად თქვენისა მშვიდობისა ჰამ-ბავი, სტუმარსა შენსა კარგად განუსვენე, და, ვითა ჰშვენის კელმწიფებასა შენსა, ეგრეთ ჰხვდებოდეო.“ რა დილარ მძლე-ველმან ესე მოისმინა, აღჰსდგა და მადლობა ზედგომით მო-ახსენა, და ესრეცა შეჰსთვალა, ვითა: „ჩე სულისა ჩემისა გან-სასვენებელო მენაკო, ჰგავს, რომე დიდებულისა ტახტისა თქვენისა წინაშე ზეფირს შეუსმენივარ სიძუნწესა ზედა, და მართალცა არს, მით რომე სახლისა უხუცესი ჩემი იჭირ-ვის სარგებლობისა თვის ჩემისა, და სახელისა შეძინებასა ჩემ-სა არა ეძიებსო.“ მონანი იგი წავიდნენ, მაშინ კვლა უმეტე-

სად მივეცენით მხიარულებასა, და დილარმან დაიწყო გაცემისა განმრავლებაჲ ესრეთ, რომე თვით ლასურ და ყოველნი კრებულნი მისნი ჰკვირობდენ ეგეოდენსა სიმრავლესა ძვირფასთა ნივთთასა და სიუხვესა გულისა მისისასა, და იტყოდეს: „არა ყოფილ არს ქვეყანასა ზედა სხვა მსგავსი დილარისა ძლიერებითა, გინა კელმწიფებითა, და არცა სადა ვის ესოდენნი განსადიდებელნი ბრძოლანი გარდაუხდიანო.“ აქებდეს ყოველნივე და შეჰსწირვიდეს გულთა თვისთა. ეგე ვითარითა გარდამატებულითა სიუხვითა და გამოჩინებულითა მასპინძლობითა განუსვენა ლასურ კელმწიფესა დილარმან ორ-მეოცსა დღესა, ესრეთ, რომე წინა დღისა პურობასა და ძღვენთა ძღვნობასა შემდგომისა დღისანი უმეტეს უალრესობდა.

აქა დილარ მძლეველმან მიუწოდა ჯანუჯან ვაზირსა და გამოჰკითხა მის შვენიერისა ქვეყნისა სანადიროთა ჰამბავი.

დღესა ერთსა დილარ მძლეველი მარტოდ ჰბრძანდებოდა, და მოიხმო ჯანუჯან ვაზირი და უბრძანა: „მამაო, ესე დიდი კელმწიფე, და თავად თქმული თქვენგან გმირობითა, აწ სტუმარი არს ჩვენი, და, თავმან ჩემმან, ძლიერი ჭაბუკი, გვმართებს ჩვენცა, რათა ყოვლითურთ დავხვდეთ უნაკლულოდ და შევაქციოთ, და უკეთუ არიან ქვეყანასა ამას სანადირონი კეთილნი, მაუწყე მე, რათა ნადირობასაცა შინა მოვალხინოთ.“ ჯანუჯან ვაზირმან, რა დილარ მძლეველისა ბრძანება მოისმინა, თაყვანი-ჰსცა და მოახსენა: „ძლიერო კელმწიფეო, ქვეყანასა ამას შინა არიან მრავალნი სანადირონი და კეთილნი, თვით სახელმწიფონი ესრეთნი, რომე პირსა ზედა ყოვლისა ქვეყანისასა არა არიან მათებრნი, გარნა მათ შორის არს სანადირო ერთი, რომლისა მჰსგავსი არა სადა არს, გარნა მუნ ნადირობა მცირედ რაჲმე საფიქრებელ არს და მოხსენებისა თვისცა ვიშიშვი, რათა არა შემრისხოს კელ-

მწიფამან ჩემმან; იგი დაუტევეთ და სხვათა სანადიროთა შეე-ქეცითო.“ რა დილარმან ბერისა ვაზირისაგან ესე მოისმინა, გაიცინა და უბრძანა: „მამაო, კელმწიფასა ჩვენსა უკეთუ ჰნე-ბავს, სიკვდილიცა ჩემი ადვილად ძალუძს, და უკეთუ მე არა მომკლავს, შენსაცა შერისხვასა არა თავს იდებსო, და, ჩემსა მზესა, მას სანადიროსა ვიარებოდეთო.“

აქა დილარ მძლეველისა, ლასურ კელმწიფისა და ყოველთა მათ დიდებულთა და სხვათა დიდსა მას მზისა ქალაქისა სანადიროსა წარსასვლელად მომზადება.

მაშინ გაჰსცეს ბრძანებაჲ, ვითა: ძლიერი კელმწიფე დი-ლარ მძლეველი მიბრძანდება სანადიროდ, და ვისცა საჴელ-მწიფო ნადირობა წესად გედვასთ, მოემზადენით და მოის-წრაფეთო. განისმა ყოველგან, ვითა: დიდნი კელმწიფენი და მე-ფენი მიბრანდებიან დიდსა მას სანადიროსაო; შეიქმნა ჩვენ-სა და ჩინელთა შორის მზადება და მხიარულება; სახლისა უხუცესმან და მეფემან საურმაგ წარავლინნა კაცნი, რომელ-ნიცა მას სანადიროსა გზასა ზედა ქალაქნი იყვნეს, რათა განემზადებინათ ყოველნი ჭამადნი და სასმისნი უხვებით და უნაკლულოდ. ხუთსა კვირასა ზედა განეწყო ყოვლითავე საურმაგ, და მოვიდეს ყოვლით კერძო მის ქვეყანისა შვე-ნიერნი გმირნი ჭაბუკნი სამ ათეულნი ასნი ათასნი, რო-მელთაცა თანა ედვათ თვისთა კელმწიფეთა თანა ნადირობა-სა თანა ხლებაჲ, იყვნეს მოხარულნი და მზად წარსვლისა თვის მაყურებელნი და მნატვრელნი თავთა თვისთა, რომე ვიხილავთო ეგე ვითართა კელმწიფეთა და მეფეთა ნადირო-ბასაო; ჰქონდათ მზაობა და იყვნენ მაყურებელნი კელმწი-ფეთა წარბძანებისა. მაშინ ალმკედრდენ იგი კელმწიფენი და მეფენიცა და განეწყვნენ წარსასვლელად ვრცელსა მას მზი-სა ქალაქისა მოედანსა ზედა.

აქა მის მნათობისა ზეფირისა მონისა მოსვლა წინაშე დიდისა აბაშთა კელმწიფისა დილარ მძლეველისა, და დაშლა მას დიდსა სანადიროსა წარსვლისა.

რაჟამს ყოველნივე ვგულობდით გამგზავრებასა, ზედა მოვიდა მონა იგი უბრყვილო მნათობისა ზეფირისა წინაშე დილარ მძლეველისა, თაყვანი ჰსცა და მოახსენა ცხადად, ყოველთა განსაგონად, ვითა: „გულოვანთა მებრძოლთა მაგალითო და კელმწიფეთა გვირგვინო, ზეფირმან მოგახსენათ: „სატრფიალო თქვენი ჰსწყრების თქვენზედა, მით, რომე დაგიმართავს დიდსა მას სანადიროსა და გეგულების მუნ ნადირობაჲ, აწ უკეთუ შერისხვასა მისსა განეკრძალები და ანუ სიკუდილი ჩემი არა გნებავს, მას სანადიროსა დაეხსენ, სხვანი არიან მრავალნი და კეთილნი სანადირონი და მუნ შეექეც ვითარცა გნებავს, და უკეთუ არა მომისმენ, რასაცა სინანულსა შეხვიდე, მემც უბრალო ვარო.“

ლექსი.

მას ადგილსა სანადიროს განეშორ, განეკრძალეღა
ვედრება ჩემი ისმინე, გენუკვი, შემიწყალეღა,

ტაეპი.

ვითა ასპიტსა ერიდე, თვარა უხვად ცრემლითა ჰლვრიდე!

შაირი.

არა მომისმენ, მირწმუნე, შეხვალ დიდს სინანულსაღა,
მას დაიმდურებ, ვისი დაგიალებს ცეცხლი გულსაღა,
მე მომკლავ შენის ურჩებით, შენცა დაიჩნევ წყლულსაღა,
არ დაიჯერებ, მალე ჰსცნობ ყოველსა ჩემგან თქმულსაღა!

სალსა გულსა დაგილბილებს შენის სარტყლის გაკუშტება,
მზისა სხივთა დაშორებით ქურციკიცა ვერღა ჰხლტება.

მომეჰკვდე და შენ ჰსტიროდე, ურვა ამად მემატება,
ეს არს შენის განზრახულის ბოლოდ დიდი წარმატება.

აწვე დაეხსენ, ისმინე, ნუ გწადს მუნ ცხენთა რბენანი,
რად გინებს ჩვენი და თქვენი ლაწვებზედ ცრემლთა დენანი!
არიან მჴეცნი ბოროტნი, ვეშაპნი შთანთქმით მკბენანი,
მაშინ რამე ვჰყოთ, მოგვადგეს მუნ სასიკვდინე სენანი!

ლ ე ქ ს ი.

სხვასა მიდით სანადიროს, სავსეს ნადირ მფრინველ მხეცით,
ვითა გწადდესთ, ინადირეთ, ისროლეთ და შეექეცით.

ტ ა ე პ ი.

მშვილდსა ფიცხლად მოზიდვიდეთ, მრავალ გვართა ნა-
დირთ ჰსრვიდეთ.

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

ოდეს დილარ მძლეველმან ზეფირის მონისაგან იგი სიტყვანი მოისმინა და მირთმეული ავთრათიცა ესე აღმოიკითხა, დიდად დასჭმუნდა და ჰბრძანა: „ღმერთო, ჩემთვის ვითარი ბედ შავი სანადირო იქმნების, უკეთუ მზესა ჩემსა გავიწყრომებო.“ არწმუნა მონასა მას გზისა მის დაგდება, და ზეფირს შეუთვალა: „გრწამდეს, მთოვარეო, გონებითაცა არლა მივხედავ კრულსა მას სანადიროსა, და ჩემისა მწყვლელისა რისხვისა თვის გებრალებოდეო.“ ზეფირისა მონა, მით ბრძანებითა ჴმა ყოფილი, უკუნ იქცა. და ჰბრძანეს ცხენთა მზაობაჲ. შეიქმნა საყვირთა ჴმიანობა და იწყეს შვენიერითა განკარგვითა მწყობრად სლვაჲ—ერთ მწყობრად მზისა ქალაქისა ქვეყანისა სპასალარნი და სპანი მივიდოდეს, ერთ მწყობრად მეკობრეთა და გრძნეულთა ქვეყანისა დიდებულნი და სპანი, ერთ მწყობრად ჩინელნი, ერთ მწყობრად კელმწიფენი და

მეფენი და თანა ზრდილნი მათნი. ვიდოდით დიდითა დიდებითა, და დაჰფარვიდა ქვეყანასა სიმრავლე იგი კეთილად ალჭურვილთა გულოვანთა რაზმთა. სადაცა ინებებდის დილარ გარდახდომასა, საურმაგ მეფე ესრეთ დაგვხვდებოდა ეგეოდენსა ურიცხობასა ერთასა, რომე ქალაქთაცა შინა მეტი არლა ეგებოდა, და სადაცა ქალაქთა მივხვდებოდით, მოგვეგებოდიან შვენიერებითა მდიდარნი იგი ერნი, ოქრო ქსოვილისა სამოსლითა მოსილნი, გვიძღნიდიან მრავალსა, გვიმასპინძლიდიან, განგვისვენიან და გავემართებოდით. ვიარეთ მრავალნი დღენი შვებითა და მხიარულებითა, და მივიწიენით სანადიროსა მას კეთილსა და საშვებელსა, რომლისა ჰმსგავსი არა არს პირსა ყოვლისა ქვეყანისასა. იყო სიმრავლე ნადირთა სხვა და სხვათა და მფრინველთა მრავალ-გვარობა არა აღირიცხოდა. იყო ტყენი და ტევრნი მრავალნი, და ადგილ ადგილ ველნი შვენიერნი, მრავალ სუნნელოვანითა ყვავილითა აღსავსენი; მუნ ჩამოდიოდეს მდინარენი და წყარონი მრავალნი და კეთილნი. გარნა სანადიროსა მას ჰსდიოდა მდინარე დიდი, ვითა ზღვა. მას დღესა მის მდინარისა კიდესა, ტყისა პირსა განისვენეს თევზთა გემოვანთა პყრობითა და მირთმევითა.

აქა ჯანუჯან ვაზირისა მიერ მათის უდიდებულესობის დილარ მძლეველისა წინაშე ჭირჩევისა მოხსენება.

მეორესა დღესა დილასა ადრე მოვიდა ჯანუჯან ვაზირი წინაშე დილარ მძლეველისა: ეტყობოდა, რომე ურვასა რაჲსამე შინა იყო, და წამალნიცა რაჲმენი შეემზადებინა ჰიქათა შინა. მოახსენა, ვითა: „უდიდებულესო კელმწიფეო, ჰბრძანე„ რათა სიმრავლე ესე მკედრობათა არა განვიდნენ იმიერ წყლისა ამის, და ამა ტყესა შინა შეექცნენ ნადირთა და მფრინველთა სრვასა, თვარა ვინცა განვალს წყალსა იმიერ,

ბედსა თვისსა დაჰსწყევლისო, და თქვენ, ჴელმწიფენო და მეფენო, აღირჩიენით გულოვანნი ლომნი ჭაბუკნი, და ესრეთ წყალსა იმიერ შეექეცით ნადირთა სრვასაო.“ დილარ მძლეველმან მასვე ჟამსა გაჰსცა ბრძანებაჲ, და დააძახნა ქადაგნი, ვითა: „ვაჲ კაცისა მის, რომელიცა წყალსა იმიერ განჰჴდების სანადიროთაო.“ მაშინ დილარმან განმზადა სპასალარი თვისი და ათასნი მოყმენი ძლიერნი, დიდებულთა თვისთა ძენი, ლასურმან განმზადნა თვისნი იგი ხუთნი ძლიერნი მეფენი, ნუშრევანმან ხუთნი, გოჰარმან ხუთნი და მეკობრეთა მეფემან ხუთნი, დაიჭურნენ ყოვლითა სამამაცოთა საჭურველითა, განჰჴდენ წყალსა მიერ, მიჰყვეს ჴელი და იწყეს სრვაჲ მჴეცთა და ნადირთა, რომე რიცხვი არა მიიწთომოდა. იყო ჴმა ყივილისა და ზახილისა და იყო უზომო სისხლთა ღვრა. მათსა ეგზომსა ჴმიანობასა ზედა, მის დიდისა მდინარისა მიერ გამოვიდნენ სამნი, საზარლად საშინელნი, ვეშაპნი, ესრეთ დიდნი იყვნეს, რომე დიდროანთა მთათა ეჰმსგზავსებოდეს; ოდეს ჩვენგან მლტოლვარენი მჴეცნი და ლომნი მათსა სიახლოესა გაირბენდეს, და ავლიდენ პირთა ვეშაპნი იგი და შთაჰყლაპვიდიან, ვითა მცირეთა რათმე სირთა. უყურებდეს ჴელმწიფენი, ჰკვირობდეს სიდიდესა მათსა. მოეშალნენ ყოველნივე ნადირობასა, და მათ შევჰყურებდით.

აქა დილარ მძლეველისა, ლასურ ჴელმწიფისა, ნუშრევანისა, გოჰარისა და სამთა მათ ვეშაპთა ბრძოლა სასტიკი და ძლიერი. ლასურისა და ნუშრევანისა შთანთქმა ვეშაპთა მათგან, და დილარისა მიერ ხსნა მათი და ვეშაპთა დაჴოცა.

მაშინ დილარ მძლეველმან ცხენი დააგდო, ხიშტი ჴელსა მიიცა, და მიჰმართა ერთსა ვეშაპსა, რომელიცა უფრორე დიდობდა და შეჰსძახა ესრეთ:

მ უ შ ა კ უ რ ი.

ჴმა კაფად შეჰსძახა ვეშაპსა ქველად:
ვერლა სად განმერო, მოველ შენს მკვლელად!
რად არა გასმიათ თქვენ ესე: ძველად,
მე ვარ ქვეყანისა ამის დამცველად!

აწ ღვიძლსა განგიპობ ბასრის მახვილით,
სიცოცხლეს მიგიღებ ამავე დილით,
ვერლა განისვენო ხეთა ქუჩ ჩრდილით.
მე ვარ ქვეყანისა ამის დამცველად!

ვით იკადრეთ, ბილწნო, წინ გარდადგომად!
ნუ თუ ვერ მიცნობდეთ, მოვსულვარ ომად!
დილარ ვარ მძლეველი, თქვენ ზედა მწყრომად.
მე ვარ ქვეყანისა ამის დამცველად!

მეეტლეთ დამარქვეს თქვენი სიკუდილი,
აბაშეთით მოველ ბასრ მახვილ წვდილი,
ვექვ, არა მინდოდეს თქვენ ზედ ქადილი.
მე ვარ ქვეყანისა ამის დამცველად!

მწადს, თქვენგან დავჰსცალო ესე არენი,
მახვილით დაგხოთ, დრო გხვდესთ მწარენი;
აჰა ჟამი, თქვენთვის შესაზარენი!
მე ვარ ქვეყანისა ამის დამცველად!

ჯ ა მ ბ ა ზ ი.

დილარ განრისხებულმან შეჰსტყორცა პირბასრი ხიშტი ვეშაპსა მას დაშკმულსა პირსა, და, ვითა სალსა ქვასა, ეგრეთ არა მოეკიდა. ხიშტი იგი და ქვე დაეცა. მაშინ მოისვა კმალ-

სა კელი, ვითა ვეფხი ზე შევარდა, ჰსცა ძლიერად კმალი წელსა ზედა, და მთისა ოდენი ვეშაპი შუა განჰკვეთა და მოჰკლა. მერმე ლასურმან, ნუშრევანმან და გოჰარმან შეუტიეს. გაგულისდა პეკინისა მპყრობელი, ფიცხელი ისარი შეჰსტყორცნა, და ვერა აკუწთინა, ვერცა ხიშტითა რა დააკლო. მერმე მიუხდა, სამ გზის ძლიერად ჰსცა კმალი, გარნა სრულიად დაიმუსრა კრმალი იგი და ვეშაპსა მას ვერა რაჲ ავნო. შეჰსწუხდა ლასურ, და სხვისა იარაღისა ხმარებასა ჰგულობდა; მაშინ ვეშაპი იგი შეიღვლარჭნა, შემოუტია დაშკმულითა პირითა ცეცხლი ზე შემოაყარა, დაჰსწვდა, მკერდადმდე შთანთქა და წარვიდა. დილარმან მსწრაფლად თვალი შეასწრა, ვითა ცამან შეჰსჭეხა, კისკასად მოეწია, ჰკრა კრმალი წელსა ქვემორე და შუა განჰკუწთა. ლასურ, დაბნედილი, პირით დააძრო. მყისად მოიჭრა ჯანუჯან ვაზირი მრავლითა თანა მყოლითა, ლასურ საგებელსა შთააწვინეს, საჭურველი აღჰკადეს და დაიწყეს სალბუნთა სამკურნალოთა წასმა და ყნოსებაჲ. ოდეს დილარმან წინარე მიიხედა, იხილა, რომე მან მესამემან ვეშაპმან ნუშრევანს დაავლო პირი, შთანჰთქა და მიმართა მდინარესა მას დიდსა, თვალნი დაუბნელდა, გულსა ცეცხლი მოედვა და, ვითა შავარდენი, გაჰფრინდა, მალედ მოეწია, განრისხებულმან ჰსცა კმალი თავსა ზედა, თავი ორად განუპო და მოჰკლა იგიცა. მყისად ბასრსა ხანჯალსა კელი მიჰყო, სიფრთხილით მუცელი შუა განუპო და საყვარელი ნუშრევან მუცლითგამო ვეშაპისათ გამოიღო, საჭურველი აღკადა, მას მდინარესა განჰბანა, ვითა ცოტა ყრმა, ეგრეთ მკერდსა მიიყრდნა და, სადა ლასურ და ჯანუჯან იყვნეს, მუნ მიიტანა, და ლბილსა საგებელსა შთააწვინეს. ჯანუჯან ვაზირსა ლასურ კელმწიფე მოებრუნებინა, პირიდამ ვეშაპისა გესლი თვიისთა წამლებითა მრავალი ესხმევინებინა და ძილად მიეწვინა. დილარმან რა ლასურ ეგრე მშვიდობიანისა ძილითა იხილა, განგებასა მადლობა შეჰსწირა. გარნა ნუშრევანსა ზე დაჰსტიროდა საბრალოსა კმითა და იტყოდა ესრეთ:

ყარიბული.

ნუშრევან საყვარელო, ჩემო ლხინთ მომცემელო, მოყვასობის საფუძველო,
უწყალოდ ჩემგან მკვდარო, მე სოფლად ვითა ვარო, დაშრტი, თვალო მხედველო!
თვალთა ჩემთა ნათელო, სიხარულის დამრთველო, მოყმეო საკვირველო,
ჩემის გულისა ლხინო, მეფობისა გვირგვინო, მტერთაცა სასურველო!
ჩემო სიმტკიცე ძალო, გუგებრ ჩემგან საკრძალო, აწ, გლახ, რა ვჰყო ბედ კრულმან,
სად მომასწრა გრძნეულმან, უბადო სვემან ბრმულმან, შვიდათ შვიდ გზის წყეულმან
დამსვა მარად მგლოვარე, სისხლი შენი მე ვღვარე, ცოცხლივ ცეცხლსა შერთულმან!
ჰკამს, მახვილსა დავეგო, სოფელსა არღა ვეგო, მკლას სენმან ასეულმან!
ვინ ვნახო ძმისა მკვლელმან, რა ვჰსთქვა შტერმან და კელმან ანუ ვინ შემიწყალოს!
ვინცა გიბრუნოს სული, ვჰყო ტახტზედა ასული, სიკვდილმდე დამავალოს,
არ მინა სრასა ლხინი, არცალა ტახტ გვირგვინი, მიწა ზედ დაიხალოს!
შენი ოდენ შეხედვა დიდად იმედად მედვა, აწ მახვილმან ალმთალოს!
ამან მომხედოს, გიხილო აღდგომილად, მივხვდე ამით შვებასა,
მაშინ ვნატრიდე სვესა, ჩემსა ჟამსა და დღესა ღირს ვიქმნე შენს ხლებასა,
აღთქმა დავჰსდვა ნამდვილი: სადა ტყვეთა არს ჩრდილი, არ ვჰყოფ მუნღა რებასა,
ამით ორობს ძვირები, თავსა უქმნე ჭირები, ვარ მით შენანებასა.

აჰა შენი შთამთქმელი, არლა არებს ცხოველი, მყისად მივეც სიკვდილსა!
იხილე დათრგუნვილი, თავ შუა გაპობილი, მკეცნი მას ზედ ხადილსა
ჰყრილობენ, იხარებენ, მოყვასთა შეიკრებენ, იმზადებენ სადილსა.
ოდეს გიხილო მრთელი, არ ჰშრტეს ჩემი ნათელი ამა დროსა და დილსა.

ჰამბავი.

რა დილარ მძლეველი საყვარელსა ძმასა თვისსა ნუშრევანს ზე დაჰსტიროდა და ქოჩორსა იგლეჯდა, მოვიდა ჯანუჯან ვაზირი, მუხლთა შეუვრდა და მოახსენა: „კელმწიფეო, მცირედ მოითმინეთ და იხილეთ უმოხუცებულესისა ეგროს ვაზირისა ნასწავლითა მეცნიერებითა ვითარ განჰკურნო ძმა ეგე თქვენი." მივიდა, უბეთაგან ჰიქებითა წამლები რაჲმე აღმოიღო, ცხვირსა, შუბლსა, საფეთქელთა და გულსა ზედა მოჰსცხო, პირი დაუღო და პირსაცა შთაასხა. რა ერთი ჟამი გამოვიდა, პირითა, ჰმსგავსი ნავღლისა, ვითარ ერთი კოკა, მყრალი შხამი წარმოასხა. ვაზირმან პირი მოჰბანა და კულა შთაასხა წამალი. რა ერთი ჟამი გამოვიდა და არღარა წამოასხა რა, მოიღო უცხოდ რაჲმე სუნნელი წამალი. ზოგი პირსა ჩაასხა და ზოგი შუბლსა და გულსა შემოჰსცხო, მიაწვინა და მცირედ მიხურა. მაშინ ჯანუჯან ვაზირმან მიულოცა დილარს მორჩენა ნუშრევანისა. მას დროსა ლასურცა განთავისუფლებულ იყო ყოვლითურთ, დაალჰსდგა. მაშინ ერთობილნი გარე მოაკრბნენ ნუშრევანსა და ელოდენ მობრუნებასა მისსა, გოჰარ მეფე იგი პოლანთა მას შემთხვევასა შინა ცხოველ არლა იყო, ქვე დაცემულსა ჰსდიოდეს ცრემლნი მწარენი და არა იცოდა, რა ექმნა. ნუშრევანს რა სამი ჟამი ეძინა, კვლა ჯანუჯან ვაზირმან გამოაღვიძა, ერთი ჰიქა წამალი

დაალევინა და მიაწვინა. რა ერთი ჟამი კულა განვლო, ნუშრევანმან თვალნი ალახვნა, და რა საყვარელნი იგი კელმწიფე მეფენი ეგრეთ იხილნა, ზე წამოიჭრა და ჰსთქვა: „ვაგლახ ჩემდა, რა მოგვლენიათო!“ ჯანუჯან ვაზირმან ერთი ჭიქა წამალი კვლა დაალევინა, და ყოვლითურთ განიკურნა ნუშრევან. მაშინ იკითხა ნუშრევანმან, ვითა: „დიდი კელმწიფე ლასურ რასა იქმს, ვითა ჰბრძანდებაო?“ ლასურ გარდაეხვია, აკოცა და ჰრქვა: „აჰა, ძმაო, მე ყოვლითურთ უვნებელად ვარ, და შენითა ეგრე ყოფნითა ჩვენი სიკვდილისაგან დამხსნელი ესრეთსა ურვასა შინა შეიყვანეო!“

აქა ჯანუჯან ვაზირისაგან ნუშრევანისა განკურნება, და ყოველთა ერთობით განმსიარულება. და ნუშრევანისა მიერ დილარისა კელს კოცნა და მადლობისა მოხსენება.

ნუშრევანმან, რა თვისი სიკვდილისაგან გამომხსნელი დილარ ეგრე ვარჯოვან, ქოჩორ მიშლილ მოშლილი იხილა, მაშინ იცნა, კელს აკოცა და მოახსენა: „ძლიერო კელმწიფეო, ეგზომსა ურვასა თქვენსა მზესა ქვეშე მყოფნი არსნი ყოველნი არა ღირსან! და მე, მონა თქვენი, ვინ ვარო, რომე შვენიერი ქოჩორი ეგრეთსა ალრეულებასა შეგიყვანიათო.“ ქოჩორსა ზედა ჰკოცნიდა, ალერსობდა, და კვლა მოახსენა: „ვჰგმობ ჭაბუკსა მას, რომელსა თქვენ თვის სიკვდილი ლხინად არა უჩნდესო!“ დილარმანცა საყვარლად კოცნა დაუწყო და შეჰქმნეს ლაღობაჲ. ნუშრევან ესრეთ შეიქმნა, რომე ამას ჰგვანდა, ვითა არა რაჲმე ვნება არა შემთხვეოდა რა; ლაღობდა და მოახსენებდა: „კელმწიფენო და მეფენო, დღეისა შემდგომად მე ჭაბუკად ნურღა ვინ მხადის, მით რომე ერთმან ჭიამან ერთს ლუკმადცა არა მიკმარა და ჩემთანა მრავალნი ლომნი და მკეცნიცა შთანთქაო!“ ლასურმან გაიცინა, აკოცა და ჰრქვა: „ძმაო, მაგის თვის ჭაბუკობისა სახელსა არა ალვიხდი! ჰგინი

ეგეთი ჭიანი იყვნეს, რომე მე უარესსა ჭირსა მიმცეს. გარნა აწ იგივე ვარო.“ დილარ იხარებდა მათსა ეგრეთსა სიმრთელე-სა ზედა და განგებასა ჰმადლობდა. ნუშრევანმან თვისებრითა მხიარულებითა მოილხინა და ჰრქვა საურმაგ მეფესა: „ძმაო, მაღალსა ცასა დაამადლე, გესლთაგან დაუძლურებული ვარ, და უკეთუ არა რაჲ გეპოვების, ვეშაპთა მათ კორცითა ეგრე-ცა გვიმასპინძლეო!“

აქა პურობისა გარდახდა დილარ მძლეველისა მიერ, ოდეს ლასურ და ნუშრევან გათავისუფლდენ ვეშაპთა გესლისაგან სუზოტრ კედ-მწიფისა დიდსა სახადიროსა შინა.

მასვე დიდისა მდინარისა კიდესა ზედა დაჰსხდეს და მოუ-წოდეს ყოველთა დიდებულთა და სპათა, და იწყეს პურობა და, ვითა ჰმართებდა დილარს, ეგრეთ მხიარულებდა. მოუმატა სახლისა უხუცესმან სხვათა და სხვათა, გემოვნად კეთებულთა მწვართა და მოხარშულთა, ნადირთა და მფრინველთა მოზიდ-ვინებასა. იგი დღე და იგი ღამე ლხინსა არა მოეშალნენ. და გაჰსცა დილარ მძლეველმან ყოველთა მუნ მყოფთა დიდ-თა და მცირეთა ზედა თვითო მახალაკი თვალ'ნი თლილნი, და არცა ვინ დაუთრობელი გაუშვა, მით რომე ასმევდა სა-დღეგრძელოსა ლასურისა და ნუშრევანისასა. ჰხუმრობდეს და მხიარულებდეს წართვით ორსა დღესა. მესამესა დღესა იკმავეს პურობა და მწუხრადმდე ძილითა განისვენეს. სხვასა დღესა დაჰბრძანდა დილარ და გვერდით მოისხნა ძმანი თვის-ნი, მოუწოდა ყოველთა დიდებულთა და სპათა.

აქა დილარ მძლეველმან უბრძანა ყოველთა მათ ურიცხობასა სპა-თასა ვეშ:პთა მათ ტყავთა გახდა.

მოვიდა იგი სიმრავლე ალჭურვილთა ჭაბუკთა და უბრძა-ნა დილარმან: „მივედით ყოველნი, გამოჰსცადეთ მახვილნი თქვენნი და განხადენით ტყავნი მათ ვეშაპთანიო.“ მალიად

ბრძანებისაებრ მიჰკრბენ მათ ვეშაპთა ზედა; გამოჰსცადეს საჭურველნი თვისნი ყოველნივე, გარნა ვერა რომლითამე იარაღითა ტყავნი მათნი ვერა გაჰსჭრეს. ტყავსა ზედა წვრილად და ხშირად ძვალნი ესხნეს, სიმტკიცითა ჰმსგავსნი ფოლადისანი, სახედ ვიგრისა. მრავალ გვარად ეცადნენ და ვერა რომლითამე კერძოთი ვერა გასჭრეს ტყავი მათი. და, განწბილებულნი, უკუნ იქცნენ. შემდგომად უბრძანა დილარ მძლეველმან თვისთა ათასთა მოყმეთა, დიდებულთა ძეთა, ვითა: „მივედით, ძმანო ჩემნო, და აბაშიურითა სატევრებითა დაატყავეთო?“ მათ მოყმეთა ბრძანებული იგი სრულ ჰყვეს და ჩჩვილითა თომითა გაჰსტენეს. მაშინ იწყეს ნადირობა და შეჰქცევაჲ. ჰქონდათ ხოცა და პურობა შვენიერთა და ტურფათა მფრინველთა და ნადირთა, ორმოცსა დღესა ვერღა მოაშორეს გულნი მას კეთილსა სანადიროსა, და ესრეთ იშვებდეს, რომე რაჲცა ჰირი იხილეს, ათას წილ ლხინი უმეტესი გამოიარეს.

აქა წინაშე დილარ მძლეველისა ჯანუჯან ვაზირისა მიერ მათ ვეშაპთა ჭამბისა მოხსენება.

ერთისა დღესა ნადირობით მოსრულნი ვსხედით პურობასა ზედა და ვმხიარულობდით ყოველნი ერთობით, მაშინ აღჰსდგა ჯანუჯან ვაზირი და მოახსენა, ვითა: „მკლავ მტკიცეო კელმწიფეო, ესე საშიშრად საკმაონი ვეპაპნი რა ამა წყალსა და სანადიროსა დაეუფლნენ, ესე სამ ათნი წელნი არიან: დიდსა ურვასა შინა იყო დიდი იგი კელმწიფე კელმწიფეთა სეზოსტრ სანეტარები, გარნა კაცობრივითა ძალითა მათი ბრძოლა მოუგონებელი იყო, გარნა თქვენ, კელმწიფეო, ვითარიცა ძლიერება გაქვსთ, გამოთქმა არა შეიძლების! და აწ ქვეყანა ჩვენი თქვენგან მიეცა დიდსა განსვენებასა, მით რომე კერძო ესე არს ყოვლად კეკელად შემკობილი, და მცხოვრებნი ამათ შინა ვიეთნიმე ვეშაპთა ამათგან შთანთქმულ იქმ-

ნენ და უმრავლესთა სხვათა ნაწილთა ამის ქვეყანისათა გარდაისახლეს. გარნა, კელმწიფეო, ამათ ყოველთასა უმეტესი სამძიმარი ესე მოხდა, რომე მის მნათობისა ზეფირისა მონანი აქა ყოფილან, ყოველივე თქვენი ჰამბავი შეუკრებიან და ესრეთ გამჰსწრაფებულან. ვიცი, საქმესა ამას მოხსენებასა და ცნობასავე თანა შეუდგენს რისხვასა, და, ვითარცა ჰშვენის სიბრძნესა თქვენსა, ეგრეთ შეჰკაზმეთ საქმე ესეო!“ დილარ მძლეველსა მოხსენება იგი არა დია იამა, და ურძანა ვაზირსა: „მამო, განგებით რაჲცა იქმნების, მისიდა შეცვლა მოუვალია; ამა საქმესა მე თავსა ჩემსა ვაბრალებ, და უკეთუ მომკლავს გულისა ჩემისა მბრძანებელი, სამართალიცა არს, მით რომე გარდავხედ ბრძანებასა მისსა, და ნებისა მისისა არა ქმნა, სიყვარულმან მისმან, ავადაც მომიხდაო!“ ესე სიტყვა მოიუბნა ვაზირსა თანა და ჰბრძანა აყრა მის კეთილისა სანადიროსაგან.

აქა მის საწადელისა სანადიროსაგან აყრა დილარ მძლეველისა და ყოველთა მას თანა მყოფთა, და მისვლა მასვე სამყოფსა ქალაქსა მათსა.

მასვე ჟამსა დჰსცეს საყვირსა და ყოველგან აძახეს ქადაგნი მოსაკრებელად მათ უჰამარავთა სპათათვის, და სამსა დღესა შემოჰკრბენ ყოვლით კერძო, და მოართმიდიან დილარ მძლეველსა მრავალ გვართა მფრინველთა შვენიერთა და ამა ტკბილთა, და უცხოთა კეკლუცთა ნადირთა, ახალთა და ნუკრთა ფერად ფერადთა ცხოველთა, საჭვრეტლად სასურველთა. დილარ მძლეველსა უცხოდ რადმე იამებოდა მათ ტურფათა ცხოველთა ხილვაჲ, და უბრძანა სახლისა უხუცესსა საურმაგს, ვითა: „მეფეო, ყოველთაგან გვართა ამა შვენიერთა ცხოველთაგანი თითოსაგან ათ ორმეტი ათასი ცოცხლებით დამიკრძალე და სხვთა გზასა ზედა გვმასპინძლობდეო.“ საუ-

მაგმან მოახსენა: „დია, ღმერთო, ბრძანებული აღვასრულო, და სხვანიცა მისხენან სათქვენოდ უმრავლესნი ამათსაო.“ სახლისა უხუცესმან გაისტუმრა ყოველი სამძიმარი წინარე ხუთისა დღისა. და ჩვენცა გამოვემართენით და ვიარეთ ყოვლითა სისწრაფითა გზასა ზედა და მოვიწიენით ჩვენსავე ქალაქსა, სადა პირველ ვიყვენით. დილარისა გული არა მცირედ იღელვებოდა და ყოველსა ჟამსა მოელოდა ზეფირისა მონასა.

აქა მის მნათობის ზეფირის მიერ დილარ მძლეველის მას ტურფასა გოლდის ბაღსა შინა დაბარება, და ორთავე ურგეულთა მიერ ერთმანერთის ხილვა, ალერსი და ყუბნობა.

მწუხრისა სახელის დებისა ჟამსა მოვიდა იგი მონა წინაშე დილარისა და მოახსენა ზეფირისაგან დაბარება. დილარი მყისად აღსდგა და ვეფხებრითა ხლტომითა წარვიდა და მივიდა ბაღისა კარსა, ზედა ზეფირი დახვდა, სიკვდილისა შიშითა შეძრწუნებული, გარნა ეგრეცა ზრდილობავე იხმარა, სამაგალითოსა რხევითა წინა მოეგება, შინა შეიწვია და ბაღისა კარნი დაჰკრძალნა, მოიკითხა და ორნივე მჭმუნვარენი მივიდნენ და მათ ვარჯოვანთა კინამოთა ქვეშე დასხდეს. დილარს, ვითა ჰმართებდა შეცოდებულსა მოკვდინებულითა სახითა ყოფნა, ეგრეთ იყო, შეჰყურებდა და ვერა გაებედნა სიტყვისა მოხსენება ზეფირისა თვის.

შ ა ი რ ი.

ორთა მახეთა გაბმული შავარდნის გული მკრთალია,
რა ტრედის კრტნასა უმზერდეს, ვერ იპყრობს, ამად ბრალია,
არ ახსოვს ჰქირსა შთავარდნილს, თუ ვითარ ფრენად მალია,
თვით თავსა თვისსა იგონებს, უპოვოს რა წამალია.

დილარ სიბრძნისა ნილოსი, უსწორო გმირი ძალითა,
ბალახშის მჯობთა ლაწვთადა ალტობს ცრემლითა მალითა;
არს მოკვდინებით მოაჯე, სახითა შესაბრალითა,
ჯერ გაუბედავს სიტყვის თქმა, ოდენ შეჰყურებს თვალითა.

იცის, ცნობისა შენდობა იქმნების სინანულითა,
მიიღებს მიტევებასა დამდაბლებულის გულითა,
ჰგებს, ვითა უტყვი უენო, ყოფითა განკრძალულითა,
შეჰსტროფის, შეჰყურებს მთიებსა, ძმებრივის სიყვარულითა.

არა რას ჰკადრებს ენითა, არ ტკბილსა, არცა მწარებსა,
ოდენ თვალთაგან უხვებით ახშირებს ცრემლთა ღვარებსა,
სახით ანიშნებს სინანულს და აჯას ამუდარებსა,
მისგან მოელის ღირს იქმნას თვისსა მას სანეტარებსა.

მუხლთა უყრის ქვე დავრდომით, განამრავლებს ამბორებს,
ბრძანებისა გარდახდომის გამოიჩენს შენანებას.
თითით ყელსა გამოიზევს, ცხად ჰყოფს სურვის განმრავლებას,
ელის მისგან შეწყალებით ტკბილის სიტყვის გაგონებას.

მან დილარის სიმდაბლემან, ცრემლთა უხვად-მდინარობამ,
ჰაერიცა დააბნელა, სიბნელისა ღრუბლის ვრცლობამ,
ჰგვანდა, ხენი აატირნა, მისმან ეგ ზომ თავ მდაბლობამ,
რას იქმოდა: ზეფირისა სრულ ალავსო გული ლმობამ.

დაავიწყდა თვისი სიკვდილი, ძაღლთაგან დაფქვა კბილითა.
დაჰსწყნარდა გული მკრთალისა, იქმნა გონება ტკბილითა,
ჰსთქვა: „მამკლავს ჩემი კელმწიფა, რა გათენდება დილითა,
აწ ლომსა ნუთუ ვაამო საქმითა ჩემგან ქმნილითა!„

ჰამბავი.

ზეფირმან რა ესრეთ მოკვდინებულითა სახითა და ცრემლ განმრავლებული დილარ იხილა, შეჰბრალდა და იტყოდა: „რა

მერგების საბრალოსა ამას! სიკვდილისა კარნი ჩემ თვის განხმულ არიან, ხვალე შვენიერება ესე ჩემი ამაო შეიქმნების, დღეს ყოველთა კელმწიფეთა დამმონებელი ჩემისა ხმისა გაგონებისა თვის ესრეთსა ჭირსა შინა არს და მე შიშითა სიკვდილისათა მის თვის არა მცალს, თუმცა შეძრწუნებულსა გულსა ჩემსა მოვიმორჩილებდე, ჰსჯობს ესე კმისა ჩემისა გაცემითა, ტრფიალებითა შემწვარი გული დილარისა გამოვიხსნა, და მე ესრეთ განმწარებულმან ლხინება მისგან მოვილო, ვიცი, კელმწიფასა ჩემსა უყვარს იგი და თხოვასა მისსა არა გააცუდებსო.“ ესე ვითართა გულის სიტყვათა მიერ ზეფირმან გული დაიწყნარა, კელი გამოართვა დილარსა და მოახსენა:

შ ა ი რ ი.

უნაზესისა სიტყვითა იგი ვარდისა ბაგენი
შეჰსძრნა ლამაზად საუბრად, მჭვრეტელთა განმაშმაგენი,
ჰსჩნდეს მარგალიტნი მჭვირვალნი, ბალახშთად დანალაგენი,
მისთა მხილველთა ყოველთა ტურფათა მომაძაგენი.

ჰკადრა: „ვიცი, კელმწიფეო, სურვის ცეცხლი მოგდებია,
ალსა მისსა გული თქვენი მძაფრად შეუმჭიდრებია,
მაგრამ ყრმობის ჟამი გქროლავს, ამად საქმე დაგკლებია,
არა იცი სიყვარული, ვითა თავის წამგებია!

ვისცა გულსა სიყვარული მოეხვიოს, გაემყაროს,
ვის თვისცა აქვს ოხვრა, ახი, თუ ჰსწადს თავი შეაყვაროს,
სჰჯობს, სიმდაბლე მოიხმაროს, არ აწყინოს არად, აროს,
თვარ ვერ მიხვდეს საწადელსა, რაზომ თავი გაიმწაროს.

შენ არ მოსმენა ავად ჰქმენ შენისა საყვარელისა,

ამად გაქვს თვალთა მოდენა ცრემლისა უშურველისა,
მეცა დამსაჯე უწყალოდ, მომკლავს დღე ხვალინდელისა,
სადა ვით შეჰხვდეს წამალი, ცნობა ვისცა აქვს კელისა!

არად გეწყალვის შვენება და ჩემი სინაზეობა,
ახლად სოფელსა შემოსვლა, ათ ხუთ-მეტ წელთა დღეობა,
ვარდთა კოკობთა დანასვა, ფეროვნებით მძლეობა,
ყოვლთა ყვავილთა უაღრეს, ჰხედავ, მაქვს კელმწიფეობა!

ესრეთ უბრალოს ყოვლითურთ მშვენოდა სრასა ზრდილობა,
მას ვმსახურებდი, რომელსა აქვს მზისა მოადგილობა,
იგა დავჰკარგე, შემჰრისხდა, აჰა შენ საქმეთ ქმნილობა!
მე მოვჰკვდე, შემდგომ რას მარგებს სხვათა მახვილთა წვდილობა!

ოდენ ნუ ჰსჭმუნავ, იკმაე ეგდენთა ცრემლთა დინება,
მარადად ცვართა მოდენა ღრუბელთაც მოეწყინება,
გემუდარები სიკვდილსა მიმტაცო, მომცე ლხინება,
მით რომე, ვიცი, მოკვდავი მიწასა შეეძინება.

აწ ჟამი ჩემი არ ითხოვს ბუნების სესხის გებასა,
მცირედ მადროე, მიველე საწუთოს გემოვნებასა,
ყოვლით ულონო შენგან ვარ მე ამა იმედებასა,
ვითაცა ჰსჯობდეს, შეუდეგ საქმისა მოსწრაფებასა.

ცოცხალი გმონებ, მარიდე დღე სიკვდილისა მწარედა,
ნუ დაღვრი სისხლსა უბრალოს, მიშველე, მომეხმარედა;
შეჰსთვალე შენსა კელმქმნელსა, ვედრებად წიგნი არედა,
თუ გნებავს, შენცა იშვებდე, მე შენით გამახარედა!“

ჟამბავი.

აწ ნურღა ჰჭმუნავ, ხელმწიფეო! თქვენ მხიარულებასა შინა იყვენით და მე ჭირსა თქვენსა ვემაგიერო. გარნა, გევედ-

რები, მოციქულნი აახელ, წიგნი მისწერე, ჩემგან დაშლისა ავთრათიცა მიართვი, ჰსთხოვე სისხლისა ჩემისა მოტევება, და ამისთვის ისწრაფეო". დილარ, ზეფირისა სათვისოდ მოლმობიერებისა თვის, გამხიარულდა, პირსა კელი მოსდვა დ და-ძმურად კოცნა დაუწყო; ეფიცებოდა ფიცითა საშინელითა და ეტყოდა: „ნუ ჰსჭმუნავ, მთოვარეო! მზემან მისმან, ვინცა მე არა მომკლავს, შენსა ვნებასაცა განეკრძალებაო, დილასა ადრე მოციქულთაცა ვაახლებ და წიგნსაცა მივართმეო." ორი ჟამი ტკბილითა ალერსითა იუბნეს, და დილარ გამოეთხოვა წიგნისა დასაწერად, ზეფირ ზედა ზედითა ვედრებითა ევჯებოდა სიკვდილისაგან ხსნასა, და დილარ თვისსა საწოლსა მივიდა, მალედ წიგნი დაწერა, ზეფირისა ავთრათიცა შიგან შთადვა, დაბეჭდა და მცირედ მოისვენა.

აქა მზისა ქალაქისა ჴელმწიფისა ანავსიასგან მოწოდება ზეფირისა განმართლებად თვისა.

ჟამსა იალომისასა მივიდა მონა საკელმწიფოსა პალატსა ზეფირისა თანა და ჰრქვა: „ცათა სწორი კელმწიფე გიწოდს, მოვედ და განმართლება შენი თანა მოიყოლეო, თუ არა, მზემან მისმან, ვისთვისცა განგებამან გამაწესა, ამასვე დილასა თანა მძვინვარეთა ძაღლთა კბილთა დაგაბზარვინებო." ზეფირს, რა ბრძანება იგი ხელმწიფისა თვისისა მიუვიდა, მთრთოლარე მსწრაფლად აღჰსდგა, გული გაიმაგრა და სთქვა: „ვიცი, უსწორო იგი ჴელმწიფე თავსა ჩემსა არა მოაკვლევინებსო! მრავალნი გულისა მოსაზიდავნი სიტყვანი შემზადნა და გაემართა მით უსულიანითა ჰრხევითა, ალვიდა, სადა იგი ცისა მნათობთა განმაცუდებელი ბრძანდებოდა, და შიშითა მძრწოლარემან თაყვანი-ჰსცა. ბუთმან ჴორციელმან, მსმენელთა დამატყვევებელითა სირინთა უტკბილესითა ნაზითა სიტყვითა შეჰსძრნა უკვდავებისა მომდინარენი იასპისა ბაგენი და უბრ-

ძანა, რეცა რისხვითა, ვითა: „ჰე მკვლელო ძიდთა მათ კელმწიფეთაო, რაჲ განმართლება მოგილია დიდსა შეცოდებასა შენსა ზედა? რად არა გამოუცხადე ბრძანება ჩემი დილარ მძლეველსა, რათა არა წარსულიყო ვეშაპთა სადგურსა მას სანადიროსა, სადაცა სიცოცხლე ჩემი კნინლა დასრულდა? აწ განგებამან ჩემი ჩემდავე დამიბრუნა, და იგი ძლიერნი კელმწიფენი შენისა უსმენელობითა სიკვდილსა შეაყენენ! უკეთუ ბრძანება ჩემი გამოგეცხადებინა, იგი ნებისა ჩემისა მორჩილი არს, მას სანადიროსა არა წარვიდოდა და ესეოდენნი განსაცდელნი თავსა ჩემსა ზრა მოიწეოდეს! აქამომდე ამად გადროე, რომე განუსჯელად სისხლი შენი არა დაღვრილ იყო, აწ განგებამან ლომი იგი ლომთა მშვიდობით მოჰგვარა მზესა თვისსა; რაჲ არს სიმართლე შენი, ჰსთქუ; და ანუ სიკვდილი შენი მოწევნულ არსო!“ რა ზეფირმან თვისი იგი ტკბილად მხედა კელმწიფა მარიხებრ სისხლისა მღვრელად განიცადა, დავარდა წინაშე კვარცხლბეკისა მისისა, ცრემლისა მორევნი თვალთა მისთაგან განმრავლდეს, და შეძრწუნებულმან, რისხვისა მისისა მიერ, ჰკადრა: „უდიდებულესავ კელმწიფავ, ვინაჲთგან ჩემისა დასასრულისა სიცოცხლისა ამას წამსა მაღირსეთ წინაშე კათედრისა თქვენისა წარმოდგომაჲ, მისსა სიყვარულსა გაფუცებთ, რომელსაცა მონებისა თქვენისა თორნი შეუმოსავს და თქვენისა ბრძანებისა თვის უმსხვერპლებია თავი და საკელმწიფო თვისი, მცირედ მადროეთ, უბრალოება ჩემი მოგახსენოთ, და ესრეთ ნება თქვენი აღსრულდეს, და მე საწყალობელი ესე, მივეცე, ნაცვლად მიწისა, მრისხანეთა ძაღლთა მუცელსა, დასაფქველად შუათა მათთა.“ რა ზეფირმან კელმწიფასა თვისსა დილარის მზე აფიცა, მრისხანებისა მისისა აღგზებულსა ცეცხლსა წყალი დაასხა და სრულიად დამშვიდდა, უბრძანა: „ჩემთვის ქაჯად ქცეულო, იტყოდე დაუფარავად სიმართლესა შენსაო!“

აქა წინაშე მზისა ქალაქისა კელმწიფისა ანავსიასსა ზეფირისა მიერ თავისა თვისისა განსამართლებელთა სიტყვათა მოხსენება და მისგანცა სულისა დიდებით მოსმენა.

ზეფირმან ჰსცნა, რომე განჰსტყორცილი ისარი თვისი საგანსა ზედა უცთურად მიიყვანა და მოხსენებასა თვისსა გაგონებისა ადგილსა აპოვნინებდა, მაშინ კვლა ცრემლთა განმრავლებითა მოახსენა: ეჰა, ყოველთა კელმწიფეთა კელმწიფაო! მე ვითა ძალ მიძს წინაშე უდიდებულესისა ტახტისა თქვენისა განმართლებაჲ თავისა ჩემისა! გარნა ამას ოდენ ვივედრები, რომე უბრძანოთ მას ლომ გულობისა გვირგვინსა და ჭაბუკთა შვენიერებისა დასაბამსა და ჰკითხოთ ფიცითა სახელისა თქვენისათა, რომე მომიხსენების ბრძანება თქვენი ანუ არა, და კვალად უკეთუ რისხვისა თქვენისა შიში არა დააფარვინებს, ჩემგან დაშლისა მიწერილი მცირე ავთრათიცა მას ახლავსა ანუ არა? და უკეთუ იგი მოგახსენებსთ, რომე მე არა დამეშალოს მუნ წაბრძანება, მაშინ რისხვა თქვენი სამართლიერი მოვედინ ჩემ ზედა; და უკეთუ მომეხსენებინოს ყოველთა საცხადოდ, მაშინ უბედურსა ამას რაჲ ბრალი მექმნების? ვინმცა იკადნიეროს სიტყვისა მოხსენება თქვენდა ჟამსა მას, ოდეს ტკბილად მლმობელი გული თქვენი ჩემებრსა უსუსურსა და უნდოსა მხევალსა ზედა ჰრისხდებოდეს! აქამომდე ვერა გავბედე მოხსენება ესე, ამად რომე თვით იგიცა მოედნის დამაშვენებელი და მებრძოლთა გამაცუდებელი, ამა მიდამოთა არა ამხიარულებდა: აწ, კელმწიფაო, მესმის, რომე იგიცა თურე ბედსა ჩემსა აქარე მოუყვანია და მოხარულ არს ქალაქისა არეჳ მისისა შვენიერებისა განცდითა; უბრძანეთ მას უმოწყალესისა კითხვითა და სამართალი ჩემი ესრეთ განსაჯეთო." რა ანავსია კელმწიფამან იგი სამართლიერნი მოხსენებანი ზეფირისაგან მოისმინა, უბრძანა ზეფირსა: „წარვედ და, ვიდრე მართალსა ვჰსცნობდე, ჩემსა მიდამოსა სვლასა ეკრძალე, და ოდეს მისგან ვირწმუნებ, რომე

შენ ბრძანება ჩემი მოგიხსენებია, მაშინ შენსავე პატივსა ეგე-ბით.“ ესე უბრძანა და საბრალო ზეფირ მძრწოლარე გარე გა-მოვიდა, მუხლნი შიშითა ედრიკებოდეს; და ვიდრე თვისსა სადგომსა მიაწევდა, ას გზის ქვე დაეკუეთა.

აქა მზისა ქალაქისა კელმწიფისა ანავსიას მიერ მოწოდება სახლის უხუცესისა და მეფისა საურმაგისა ასულისა მნათობისა რიზარინი-სა, გოჭარისა სატრფიალოსა, მამისა მისისა დაბარებისა თვის.

მაშინ მოუწოდა კელმწიფა ანავსიამან სახლისა უხუცე-სისა თვისისა საურმაგისა ასულსა რიზარინს და უბრძანა: „წარ-ვედ, მოიხმე მამა შენი ბალსა შინა ჩემსა, და შეუთვალე პი-რითა მისითა დილარ მძლეველსა, ვითა: თავსა ჩემსა გაფუცებ, ზე-ფირმან მოგახსენა ამას სანადიროსა წარუსვლელობაჲ ანუ არა? ესე სიმართლით მომახსენე, თუ არა, თავსა მისსა ვფუცავ, შენ-ცა ზეფირსა თანა უწყალოთა ძაღლთა შეგაჭმეო!“ მასვე წამსა მნათობმან რიზარინ თაყვანი-ჰსცა და შიშითა, კორცთა მკან-კალებელი, გამოვიდა, საკელმწიფოსა ბალსა შთავიდა, და მტირალსა ეგულვებოდა მამასა თვისსა თანა მონისა წარვლი-ნებაჲ; მყისად მიდგა მონა მისი და მოახსენა: „დედოფალო ჩე-მო და უნათელ-მკრთოლვარესო, აჰა ბალისა კარსა მობრძან-დნენ ბერი ვაზირი, ჯანუჯან, პაპა თქვენი და ძე მისი სახლი-სა უხუცესი და მეფე საურმაგ მამა თქვენი—მოციქულად მა-თისა უდიდებულესობისადმი, თანა მოუტანიათ საშინელთა და შესაძრწუნებელთა რათმე ვეშაპთა ტყავნი, და აქვსთ სიტ-ყვაჲ დიდებულისა დილარ მძლეველისა მიერ დაბარებული წიგნითურთ დაბეჭდილითა. ჰსურსთ ხილვა თქვენი და მოსწ-რაფებით გიკითხვენ მამა ძითურთო.“

აქა აბაშთ კელმწიფისა დიდარ მძლეველისა მიერ მოციქულად გაგზავნა ჯანუჯან ვაზირისა და ძისა მისისა საურმაგისა, და წიგნისა მირთმევა წინაშე მზისა ქალაქისა კელმწიფისა ანავსიასსა, და ვედრება ზეფირის განთავისუფლებისა თვის.

შვენიერი იგი მნათობი რიზარინ ბალისა კარსა თანა მიეგება თვისსა მშობელსა. მონამან კარნი განუღო და ბალსა შეიწვივნა. რა ბალსა მას მამა ძითურთ შევიდნენ, თვალთა ნათელი მდიდრად მიეფინათ და გულთა სხივნი შეადგესთ. იხილეს მზე კორციელად მოარული ბალსა შინა, და რომელსაცა კერძოსა მიიხედვიდა, მის ხისა ფოთოლნი მისისა ნათლითა კამკამებდეს. რა დილარ მას ქვეყანასა მიბრძანებულ იყო, თვისი სატრფიალო ასული არლა ეხილვათ, და ოდეს იცნეს, მოვიდა რიზარინ ტუფითა რითმე რხევითა, მშობელთა ველთა აკოცა, და მათ პირსა მნათობასა უმაგიერეს, მცირედ ალერსითა მისითა დაჰსტკბეს და სუნნელებითა აღივსნეს, თვით მშობელიცა-მამა ასულისა თვისისა კორციელობასა ჰკვირობდა და ღმერთსა მადლობასა შეჰსწირვიდა. იგი მშობელნი თვისნი უცხოსა ზრდილობითა დაიწვივნა და დასხნა მდიდრად მორთულსა დალიჭსა ზედა, და თვით საშვალ მათსა დაჰსჯდა. მჭვრეტელთა სატრფიალოთა თვალთაგან, ვითა მარგარიტნი, ცრემლნი მოაჩქეფრა, და იაგუნდისა უფეროვნესთა ლაწვთა ბანვა დაიწყო და მოახსენა სიტყვითა, გულთა დამაწყლულებელითა: „ჰე, მოწყალენო მშობელნო, მაღალმან ცამან აწ ჟამსა ამას მოყვსისა ჩემისა ზეფირისა და ჩემად ნუგეშად შეგკრიბნათ, ესე არს წამი შეწევნისა ჩვენისა, შეიწყალეთ მცირე წლოვანობა ჩვენი და მწარისა სიკვდილისაგან განგვარინეთო.“ მოახსენა ყოველი ყოფილი, და, ვითაცა ჰსწყრებოდა კელმწიფა მათი, უამბო; იგი საბრალო მშობელნი აღენთნენ მწუხარებისა ალითა, ჰკოცნიდეს საყვარელსა ასულსა და გულსა უწყნარებდეს და ეტყოდეს: „ასულო ჩვენო, ნუ ჰსტირ! თვით მაგა საქმესა ზედა ვართ რებულნი მის ძლიე-

რისა კელმწიფისა დილარ მძლეველისა მიერ, ფეხვედრებს და ჰფიცავს მზესა მის მზისა მოწყუნარისასა: „უკეთუ ზეფირს უბრალოსა არა მიუტევებს, თვით მივალ და წინაშე გოდოლისა მისისა თავსა მოვიკლავო. მე ვარ შემცოდე, და ვინაჲთგან ჩემისა შეცოდებითა ესრეთ განვარისხე, არლა მინა სიცოცხლე თვით მახვილითა ჩემითა დავღვარო სისხლი ჩემი, და ზეფირისა სიკვდილსა არა დავესწრაო!“ ესე წიგნი საყვედრებელი თვით კელითა თვისითა დასწერა მისართმეველად და ჰფიცავს, უკეთუ არა ინებებს მიტევებასა ზეფირისა ყოვლითურთ უბრალოსასა, პირველ მე მოვიკლავ თავსა ჩემსა და სიკვდილსა მისსა არა დავესწრობიო! სატრფიალონი ასულნი ჩვენნი, წერილითა მოხსენება ესე წარუდგინე წინაშე უდიდებულესობისა მათისა და საშინელთა ვეშაპთა ტყავნიცა შინაგან გოდოლისა ასპარეზსა შეატანინე — ეგე ვითარნი მტერნი ქვეყანასა ამას დილარისა მკლავთა ძლიერებამან მოაშორნა, რომლისათვის უწყოდო იგი კელმწიფე ჯილდოსაცა მიელის, და უკეთუ სიკვდილი მის უსწოროსა გმირისა ჰნებავს, მასცა სიხარულად მიუჩანს, გარნა ეგე ვითარსა ლომ გულსა სიზმრადცა ვერღა ვნახავთო!“ მან მნათობმან რიზარინ წიგნი იგი მიიღო, ტყავნი იგი დარბაზისა მონათა ათას ორასთა შიგან გოდლისა მოედანსა შეატანინა პირის პირ ლანძვისა მის, სადა ანავსია კელმწიფა ჰბრძანდებოდა და დააწყობინა; რიზარინ აღვიდა, თაყვანი ჰსცა მას, ყოველივე იგი მოციქულობა, დილარისა მიერ ზეპირად დაბარებული, მოახსენა, და წიგნიცა იგი დაბეჭდილი მიართვა. ანავსია კელმწიფემან რა ყოველივე მოისმინა, ბეჭედი წიგნსა მას დილარისასა თვით კელითა ახსნა და რიზარინსავე უბოძა წარსაკითხავად, რომელსა შინა ეწერა ესრეთ:

შაირი.

ჭირაბამად საწადნი აწ ჟამნი შემხვდეს სვიანნი,
ჰსწყრების საჩემოდ საკვდავად პირ-ნათლითა მზიანი,

რომლისა რისხვით დასჯადა მომადგეს სამართლიანი,
მწარეს სიცოცხლეს სიკვდილი ჰსჯობს, ამას იტყვის ჭკვიანი.

აწ, საყვარელო, უშენოდ დავშთე რას თვის მზისა მზერად,
არ კმარობდა, ცას ქვეშეთნი გარდვიკიდე სრულად მტერად,
მარადის მაქვს ოხვრა, ახი და ტირილი ჩემად მღერად,
ვხედავ, შენცა განგარისხე, ვჰსთქვა, სიცოცხლე მინდა მე რად?

ვჰფუცავ, არ მინდა სოფელი, თავიცა მომძაგებია,
არა სად მარგებს ნუგეში, მაქვნდა ცუდ იმედებია,
წარვლილნი ლხინნი ყოველნი სიმწარით მომძულებია,
უთმენთა ჭირთა ჯალათნი დამესხნეს სხვა ახლებია.

ვიცოდი, ხრწნადი საწუთრო აქ ჩემ თვის საფლავს ჰმზადებდა,
ყოველი ბიჯის წარმოჰსდგმა მე ამას განმიცხადებდა,
სასტიკი ბრუნვა ეტლისა სალმობას განმიკვლადებდა,
უწყალო ბედი ჴმა მაღლად შრანდლითგან დაიქადებდა.

სადა ვით ვჰპოვო ბჭე სრული, ჩემ თვის შიეცეს ბჭობასა,
შთაუთხრას ჩემსა ჴელმქმნელსა, რა ვჰსცოდე ამა გზობასა,
თვით ბრძანებითა მისითა შეუდგე მისსა ტრფობასა,
შემოვვლენ გზანი უვალნი, არ უდრეკი მრავალ მტრობასა.

ბედი ჩემი სასიკვდილოდ მჰსდევს და ესრეთ მემტერების,
ხილვასაცა ვერ ვღირსე, ვისთვის გული ცვილებრ დნების,
ცრემლთა ხშირად მოდენითა, ვხედავ, ვარდნი ლაწვთა მჭკნების,
ვჰგონებ, ადრე მოყმეობა ჩემი ჩრდილებრ განქარდების.

მე, მზეო, ვითა გამეძლო, მბრძოლნი ჩემსა წინა ჰსდგებოდენ,
მრავალნი სულნი შთანთქმითა მათგან სიმწარით კვდებოდენ,
რას, გლახ, ჴელს ვჰპყრიდი პირ ბასრნი ჴრმალნი ქარქაშსა მდე-
ბოდენ?
მესისხლე მტერნი დავხოცენ, ვჰგონებდი, გიამებოდენ;

შენმან მზემან, უბრალო არს ზეფირ, ამად შეიწყალენ,
მითხრა ცხადად, შემოთვალა, მაგრამ რა ვჰყო, არ ვიბრალენ,
დავაშავე, საკმილისა ნაბერწყალი გავიალენ,
გველნი, მსმოდა, მძვინვარენი, მით ბრძანებას ვერ ვეკრძალენ.

სინანულისა შედგომა, რას მარგებს ცუდი ყბედობა,
შთავვარდი ჭირსა ულხენსა, მაქვს ცრემლთა ზედის ზედობა;
გემუდარებით, მე მომკლათ, დამხსნათ უბედო ბედობა,
ზეფირ შეილმო უბრალო, ჰყო ამის მოიმედობა.

არ შემიბრალებ, გიფიცავ, სხივითა მზისა დარებსა,
მაგა გოდოლსა მოვასხამ ჩემსა სისხლისა ცვარებსა,
რადლა მინდოდეს სიცოცხლე მე, შენსა განმამწარებსა,
მეც განმკვეთს ჩემი მახვილი თუ სხვათა მოამკვდარებსა!

მე ცოცხალი ვერ მოვისმენ, ზეფირ მკვდართა დაედაროს,
ვით გაუძლო თვალთა ჩემთა ესდენ ცრემლთა მომდინაროს,
წინ წაუსწრობ სიკვდილითა, მიწამ შეჭმად მიმიბაროს,
მზე მოშორდეს, ესე ვიცი, ვარდმან ადრე იდამჭკნაროს.

არ გახსოვთ, მარსიმ მიიღო წყალობა თქვენი ტკბილია,
მას აქათ გმირი უსწორო არს სურვით შეპყრობილია,
ზეფირ მისია, რომელი არს მტერთად მახვილ წვდილია,
ესეც მომიკვდეს, შევიქმნა მე ცოცხლივ წარწყმედილია.

პატრონ ყმანი გეაჯებით, გვალირსო შეწყალებასა,
სხვად არა ველი ვეშაპთა სიკვდილით დაჯილდებასა,
ზეფირ გვაალნო, გვაშორო, ქსდენთა ცეცხლთა დებასა,
თუ დაგვხოცთ, არა შევიდეთ სიკდილის შენანებასა.

მე ცოცხალი არა ღირს ვარ მზისა შუქთა მოფენასა,
სიკვდილი ჰსჯობს, ესე ვიცი, მარად ცრემლთა მოდენასა,

ვით გაუძლოს გულმან კრულმან ესდენ ჭირთა მოთმენასა,
ვერა გკადრებ, ვერიდები თქვენსა წყენით მოსმენასა.

ზღვა ამაღლდების ღელვითა, სრულად დაჰფარავს კმელებსა,
თუ მზისა დისკო შორს ჰყოფდეს თვისსა სხივებსა მწველებსა,
მაგრამ იგ აშრობს, ამტკიცებს სამზღვარსა პირვანდელებსა,
მე შენგან შორ ქმნილს ზღვად შემრთავს, ვხედავ, ცრემლს
ხშირად მთქვრელებსა!
ამად გვედრებ, ცრემლთა ღვარმან ზღვასა არ მიმცეს დასანთ-
ქმელად,
შუქნი შენნი მიიეფენ, ბნელსა ექმენ განმდევნელად,
ერთჯელ ხლებით განმაცოცხლე, სიშორე მჭირს ჭირად ძნელად.
ვითა სნეულს განკურნება, მე ხლება მაქვს სანატრელად.

აჰა წიგნი ზეფირისა, უბრალობა ამით ჰსცანით,
დამიშალა, არ ვისმინე, მისთვის ცრემლით ლაწვთა ვბანით,
არ იბრალებ, გფუცავ, მზეო, თავს მოვიკლავ მახვილ დანით,
დავჰსთმობ მწარეს სიცოცხლესა, არა ვიყო საქმის ნანით.

მე ესდენ ჟამსა მეყოფა ტირილი, ოხვრა, ახობა,
სამსალა შევსვი ესრეთი, არ მარგებს მუფარახობა;
ამაოდ დამშთა ესდენნი შრომანი, გულის ჭმახობა,
მიცუდდეს ქვეყნის მოვლანი და მწირობითნი გლახობა.

ამა დღემან დაასრულნა მოყმეობის ჩემის წამნი,
განმიშორა მზისა შუქნი, ჩემთვის იქმნა დანაღამნი,
არღა ვესავ სიცოცხლესა, სიკვდილისა მახლავნ ჟამნი,
მე დავჰკარგე ურჩებითა დიდებანი თუ რაბამნი!

მოვკუდე, ამას გეაჯები, ყმათა ჩემთა მე განმბანონ,
ნუ დაუშლი, გვამი ჩემი მათვე თანა წაიტანონ,
აქა ყოლე არ იყოვნონ, არცა ჟამი დაიხანონ,
ერთა ჩემთა დამიტირონ, მუნვე მიწა მისავანონ!

ჰამბავი.

მნათობმან რიზარინ რა წიგნი იგი დილარისა წაიკითხა, ანავსია კელმწიფამან შვენიერთა თვალთა, ვითა მარგარიტნი, ცრემლნი გარდმოჰყარნა, და ყოვლითურთ დილარისა შეწყალებად აღიძრა, მით ლანძვით გარდახედა მათ საშინელთა ვეშაპის ტყავთა, შეჰზარნა, მსწრაფლად უკმორიდა, წიგნი იგი დილარისა უბესა თვისსა ღირს-ჰყო, და უბრძანა რიზარინს: „მზემან ჩემმან, მართლად უბრძანებია დილარ მძლეველსა, იმა საშინელთა ვეშაპთა დამხოცსა ცას ქვეშეთიცა ჯილდოდ ერგებისო! მერმე ჰბრძანა და მნათობი იგი ზეფირ მოაყვანინა.

აქა ანავსია კელმწიფას მიერ დიდებულისა თვისისა ასულისა ზეფირისა მოყვანინება, დილარისა შუა მდგომელობითა მოწყალებიანთა სიტყვათა ჰბრძანება და შეზავება.

ტკბილისა სიტყვითა მრავალნი სანუგეშონი ბრძანებანი ასმინა და ბოდიში მოიხადა თვისისა ეზომ წყრომისა თვის მას ზედა, ესრეთ რომე ყოველი მწუხარება მისი სიხარულად შეუცვალა. ზეფირმან უდიდებულესისა ტახტისა წინა მიწასა აკოცა და მადლობა დიადი შეჰკადრა. და კვალად უბძანა: „ზეფირ! ყოველივე სახელოები შენი და ბალისა მცველობა შენდავე მიბოძებია და, ჩემსა მზესა, ნურღა იხსენებ რისხვასა ჩემსა შენ ზედა, ვჰსცან უბრალოება შენი, და გარდა ამისსა ასეთი სიბრალული ჰქონია შენი გულსა ჩემისა დილარისასა, რომე დღესითგან ღირს ხარ მესაიდუმლოებასა ჩემსა, და აჰა წიგნი დილარისა, რომელიცა მჰსწერს მე ვედრებასა შენ თვის წაიკითხე შენცა და, ვითაცა გმართებს, მადლობა ეგრეთ მოახსენეო.“ ოდეს დილარისა მიერ მოწერილი წიგნი ზეფირმან აღმოიკითხა, მაღალსა რასამე მხიარულებისა აღძრცვილებასა მიეცა, გარნა ვითარცა კელოვნად მომგვარებელი იყო საქმისა, ეგრეთ მო-

აქცია სიხარული იგი კელმწიფესა თვისისადმი და მოახსენა: „ჵე ცისა ცთომილთა დამაბუნდებელო, ესეცა თქვენითა მოწყალებითა არს ჩემ ზედა, მით რომე ძლიერსა მას კელმწიფესა ერთი ოდენ მე უვი უმაღლესითა ნებითა თქვენითა შეცნობილი და ჰამბისა თქვენისა მოხსენებითა ჩემგან იბრუნებდა სულსა, და ოდეს რისხვითა თქვენითა მოვჰკვდებოდი მე, მას ჰამბავი თქვენი დაუძვირდებოდა, და გალანამცა მის თვის სიკვდილი სანატრელ იქმნებოდა.“ კვლა დამხობილმან თაყვანი ჰსცა და წიგნი იგი დილარისა მიართვა.

აქა მზისა ქალაქისა კელმწიფისა ანაგსიას მიერ მის მნათობისა რიზარინისა წარგზავნა ბაღ'ს შინა საკელმწიფოსა მშობელსა თვისსა თანა სამახარობლოდ მნათობისა ზეფირის თვისსავე ჰატივსა ზედა გებისა თვისსა.

უბრძანა მზისა ქალაქისა მბრძანებელმან და თვით კორციელმან მზემან მნათობსა მას რიზარინს, ვითა: “მნათობო, აჰა თვით თვალითა შენითა იხილე მიტევება ზეფირისა. აწ წარვედ ბაღსა შინა საკელმწიფოსა მშობელთა შენთა თანა და ახარე მათ ესე ყოველი, ხოლო ამას ღამესა თვით ზეფირისა პირითა გაველაპარაკები დილარ მძლეველსა.“ რიზარინ„ მრავლისა მხიარულებითა ალვსილი, წარმოვიდა მით ჩვეულებრივითა ჰრბევითა ტურფითა მშობელთა თვისთა თანა, და მოახსენა ყოველივე იგი ყოფილი; იგინი დიდად განმხიარულდეს, საყვარელსა მას ასულსა გამოესალმნეს და წარმოვიდნენ. ოდეს დილარ მძლეველსა თანა მხიარულებით შემოვიდნენ, უბრძანა: „ჩემსა მზეს, ნურღარა ჰყოვნით, მნათობი იგი ზეფირ განთავისუფლდა ანუ არა?“ ვაზირმან ყოველივე მოახსენა, ვითარ იგი საქმესა ემდინარა; და იგი კელმწიფე მეფენი დიდსა მხიარულებასა მიეცნენ, გარნა მარსი სპასალარი მკვდარი განცხოველდა. დილარმან პურისა დაგება ჰბრძანა, მასვე ჟამ-

სა შეჰქმნეს პურობა და, ვითა ჰშვენოდათ, ეგრე მოხარულობდეს მწუხრისა ჟამადმდე. მას ღამისა სახელის დღებისა დროსა ებრძანა ანავსია კელმწიფასა ზეფირისა თვის, ვითა: „საყვარელო მნათობო, წარვედ, ბაღსა შინა მოუწოდე დილარ მძლეველსა, ამა გოდლისა კარსა ახლოს, ხეთა ძირსა ძვირ ფასი დალიჭი დაადგმევინე, პირი კარის კერძო ჰქმენით. მას ზედა დასხედით, ჩემითა ჰამბითა გული დილარისა განამხიარულე, და მეცა კარისა იმის მცირით სათვალით დაგიწყებთ იდუმალ მზერასა.“ ზეფირმან ბრძანება იგი ჰმსწრაფლად აღასრულა და ბაღიცა განმზადა.

აქა მნათობისა ზეფირისაგან ბაღსა შინა საკელმწიფოსა დილარ მძლეველისა მოწვევა საალერსოდ, უბნობა მათი, და ანავსია კელმწიფასა მიერ იდუმალ ჭვრეტად მათი.

ოდეს ზეფირმან წარჰგზავნა მონა თვისი წინაშე დილარ მძლეველისა მოსაწვეველად, მაშინ კელმწიფაცა ანავსია შთავიდა გოდოლსა მას, მის მცირისა სათვალისა თანა ტახტი დაადგმევინა, დაჰბრძანდა მას ზედა, და თანა ახლდეს უბრყვილონი იგი მნათობნი; კასია, ელიკრიტ, კრონოს, ორიონ, მუშთარ და რიზარინ; მით მცირისა კარის სათვალით ეგრეთ ჰხედვიდა, სადაცა დალიჭი დილარისა თვის დაედგა ზეფირს, რომე ვითაცა მუნ ყოფილ იყო, და დუმილით უბნობაცა არა დაეფარვოდა. ოდეს მონა ზეფირისა დილარისა წინაშე მოვიდა და ბაღსა შინა დაბარება მოახსენა, აღჰსდგა, უმჯობესი შესამოსი შეიმოსა, ძვირ ფასითა სუნნელითა თავი და ტანი იპკურა და მყისად წარვიდა; ბაღისა კარსა ზედა ზეფირ დახვდა, უცხოთა ზრდილობითა წინა მიეგება, მიესალმა და წინა წაუძღვა, მივიდნენ და, სადაცა დალიჭი დაედგა, მას ზედა დასხდეს.

აქა დილარ მძლეველისა მიერ ზეფირის საუბარი ბაღსა შინა.

Დილარ მძლეველმან თვისითა ტკბილ მოუბარითა ენითა მოახსენა ზეფირს, ვითა: „Ცე სიცოცხლისა ჩემისა ემპლარსტროო! მე ჩემითა უბედურებითა ესრეთსა ჭირსა შთაგაგდე, რომე თავიცა ჩემი შეგჰწირო, ნაცვალსა ვერა გარდვიხდი, და სამიმდებოდ მსტანჯავს უბრალოება შენი; გარნა აწ, მნათობო, მიბრძანე ესე: სიცოცხლისა ჩემისა მბრძანებელმამ სრულიად მოგიტევაა! ანუ არა? მიზეზითა ჩემითა ესრეთსა განსაცდელსა შეგიყვანე, რომე ჰრგებაცა არა შემიძლიან, გარნა გარწმუნებ, მთიებო, ფიცითა მზისა ჩემისათა, რომე მივჰსცე თავი ჩემი სიკვდილსა და შენ უვნებელად დაგიცვა; მე გარდავხედ ბრძანებასა ჩემისა კელმწიფასასა და დამიძს თავი ჩემი სასიკვდილოდ. ნეტარ, თუმცა ვეშაპთა მათ მოვეკალ და შენი ეზომ შეწუხება არა მეხილვა! ესე უმეტესი უბედობა ჩემი, რომე არა იქმნა დასრულება სიცოცხლისა ჩემისა, დაძვირდა მომკვლელი ჩემი ქვეყანასა ზედა. მე ვეძიებ მას და არა ვერიდები სიკვდილსა; აწ უმეტესად მმართებს მოძიება მისი, რათა განვერო ესდენსა სიმწარესა. სასო წარკვეთილმან სნეულმან ცხოვრებისაგან, რა ჰრგებს ჩხილოს მკურნალისა განრისხებითა! მიმდევს ვალად სიკვდილსა შინა უბრალოდ დაჰსჯა შენი. რასა მოვიგონებდი, სვისაგან განწირული ესე, რომე ამა კეთილისა ქვეყანისა აღმაოხრებელთა ვეშაპთა დახოცითა რისხვასა მივიღებდი, და ჩემითა შეცოდებითა შენ გულისა ჩემისა სიხარულსა ესრეთ ჭირსა შეგიყვანდი! აჰა ესე დამშთა სარგებელად მის მორბედობისა ჩემისაგან, რომე იგა განვარისხე. მე ვკვდები, შენ დაგსაჯე, შენითა დასჯითა ძლიერი იგი მრუმე სპასალარი ჩემი მიკვდების და სრული აბაშეთი ოხრდების. ჵი, ვითარსა განწირულებასა შინა ვარ, ცასა მოვსძულებივარ, და ქვეყანა ჰქოთებს ჩემ ზედა! ნეტარ, თუმცა შენ განთავისუფლდე და მე ქვეყანამან შთანმთქმასო.“ დილარ ზეფირისა შვენიერსა პირსა ჰკოცნიდა მრავლითა უიჭვოთა

ტრფობითა და ჰსთხოვდა დანაშაულის მიტევებას. ზეფირ თვისითა კელოვნად მოქმედებითა ნაზობით ექცეოდა და ძვირ ძვირად პასუხსა უგებდა. დილარმან არა რაჲ უწყოდა მათი კელოვნებაჲ, და რა ზეფირისაგან სიტყვათა ზედა კუშტობა იხილა, იგიცა დიდად ეკრძალებოდა და ზრდილობით ექცეოდა მით; რომე ჰგონებდა რისხვითა კელმწიფასა თვისისათა ეგრეთ ყოფასა მისსა. ეალერსებოდა, ჰკოცნიდა და აღუთქმიდა, ვითა: „სიცოცხლე ჩემი განვჰსწირო და შენ მზესა ჩემსა შეგაერთოო.“ ზეფირ განაღა მასვე ზედა ევედრებოდა, და ეგრეთ ტკბილითა უბნობითა დაჰყვეს ერთად ვითარ ორი ჟამი, და შემდგომად ზეფირ გამოეთხოვა და მოახსენა: „ხვალე მონასა ჩემსა გაახლებ და ყოველსავე მოგახსენებო.“ ერთმანეთსა აკოცეს და გაესალმნეს. დილარ შინა მოვიდა, ზეფირმან ბაღისა კარნი დაჰკრძალნა და გოდლისა კარით შევიდა, იხილა დილარისა თვალთა მანათობელი ტახტსა ზედა მჯდომარე. იგა მნათობნი თვისნი გვერდსა ახლდეს და განკვირვებული აქებდა დილარისა შვენიერებასა და ზრდილობიანსა ტკბილსა უბნობასა.

აქა მზისა ქალაქისა კელმწიფის ანავსისაგან თვისისა მნათობისა ზეფირისა მოწყალებით პირის კოცნა, ხარისხისა მომატება და დილარსა ზედა უბნობა.

Aნავსია კელმწიფამან მიუწოდა ზეფირსა, პირსა აკოცა და უბრძანა: „ვინათგან დილარისა შვენიერთა ბაგეთა სიტკბოება ამა ლაწვთა ზედა არს, ჩემგანცა კოცნასა ღირს არსო!“ მიხედა მნათობსა რიზარინს და ჰრქვა: „ზრდილობითსა ფლიდობასა ზეფირისასა ვერა ჰგრძნობა? რომელსა თვისისა სამაგალითოსა ენა მზეობითა ესრეთ შეუპყრია ჩემისა დილარისა გული, რომელ, უკეთუ არა მიმეტევებინა, კნინღა სიცოცხლესა დავამწარებდი და მეცა ურვასა სასიკვდინესა შთავიჭრებოდი, და ვინაჲთგან იგი მებრძოლთა შემაძრწუნებელი ეს-

რეთ პატივ ჰსცემს, ჩვენგანცა ღირს არს პატივის ყოფასაო.“ მაშინ კვლავ მოუწოდა ზეფირს, კელი უბოძა, აკოცნინა და უბრძანა: „ზეფირ, მზემან ჩემმან, დღესითგან ყოველივე მოხსენებული შენგან ესრეთ ვირწმუნო, ვითა თვალითა ჩემითა ხილულიო.“ უბოძა ბეჭედი თვისი და უბრძანა: „მესაიდუმლოება ჩემი შენდავე მიბოძებია, შენ იყავ საიდუმლოსა ჩემისა საუნჯე დაკრძალულიო.“ ზეფირმან ქუჱ დამხობით თაყვანი ჰსცა, ფერკთა მისთა კვარცხლ ბეკსა აკოცა, აღჰსდგა, მადლობა მოახსენა; კვლა კელსა აკოცნინა, თვით ლაწვთა აკოცა და უბრძანა: „ზეფირ! მას გულოვანთა კელმწიფესა რომე იგი საშინელნი ვეშაპნი დაუკოცნია და დიდი ესე ქვეყანა ოხრებისაგან დაუხსნია, საქმე ესე ვითა დიდ არს, ეგრეთ შესაბამი ჯილდო გვმართებს, და მე ესე მნებავს, რათა ვაქმარო თავი ჩემი ჯილდოდ და შენ რასა იტყვიო, იგიცა დაჰსჯერდება ანუ არაო?“ ზეფირმან გაიღიმა და მოახსენა: „მზემან შენმან, უკეთუ შეიწყალებ, ერთსა კოცნასაცა თქვენსა დაჰსჯერდებისო.“

აქა ანავსია მზისა ქალაქისა თვით მპყრობელისაგან თვისისა მნათობისა ზეფირს თანა ტკბილად უბნობა და დილარისა ჰამბავთა გამოკითხვა.

შემდგომად დაუწყო ტკბილად გამოკითხვა ზეფირს ანავსია კელმწიფემან, ვითა: „მომითხარ, ჩემსა მზესა, ოდეს ჩემითა ჰამბითა დაატკბობ დილარისა სასმენელთა და ერთგან ყოფნითა განაგრძობთცა ჟამსა, რასა გიბრძანებს ხოლე? არა ისწრაფისა ხილვითა ჩემითა გაბედნიერებასა თვისსა? რად არა ეწყალვის თავი თვისი უსოდენსა დროსა უნივთოსა ცეცხლითა დამწვარი? უკეთუ თავსა არა შეიბრალებს, ქვეყანა ესე ეგრეთცა ებრალოდეს, და ერთი ოდენ მეხვაიშნე ჩემსა წინაშე იშოვნოს, რათა მისსა სურვილსა ჩემ თანა მოუბარობდეს, და მეცა მისდამი დამახლოებდესო.“

აქა მნათობისა ზეფირისაგან ანავსია კელმწიფეს პასუხის მოხსენება.

მაშინ მნათობმან ზეფირ ამოძრავა მჭევრ მოუბარი ენა თვისი, რომლითა ქაჯთა და ფერიათაცა შეიპყრობდა მოახსენა: უდიდებულესავ კელმწიფაო, უკეთუ მოხსენებული გაქვნდესთ თქვენდამი გულისა მისისა ტრფიალება, ესრეთ ვჰგონებ, ამასავე ღამესა ღირს ჰყოფდით ხლებასა თქვენსა, გარნა ესე არს, რომე ვინ დაჰფენს წინაშე ტახტისა თქვენისა სურვილსა მისსა! ყოვლითურთ უცხო არს იგი პალატისა ამის მცხოვრებთაგან, ერთსა ოდენ მე მიცნობს ნებითა თქვენითა, და მეცა, უკეთუ არა მკითხოთ მხევალსა თქვენსა, ვითარ ძალ მიძს მოხსენება რისაცა სიტყვისა! და აწ, ვინაჲთგან მივიღე უმაღლესი ბრძანება, ყოველივე სურვილი მისი ცხად ვჰყო წინაშე თქვენსა. იგი ჭაბუკთა შვენიერება სიყვარულითა თქვენითა, ვითა ცვილი, ჰსდნების, და ოდეს დაღამებისა სახელის დებისა ჟამი მოიწევის, ამა გოდოლსა გარე ევლების, ვითა ფარვანა ნათელსა, გოდლისა ამის შენებულთა ქვათა ცრემლთა აფრქვევს და კოცნასა განუმრავლებს, მეტყველი: „ნეტარ, თუმცა ერთი ქვათაგანი თქვენთა ვიყო, რათა ნუ თუ ერთგზის ჩემზედაცა განისვენოს მზემან ჩემმანო.“ და ოდეს ბაღსა ამას შემოვალს, ყოველთა წალკოტისა ამის გზათა ამბორისობს და ჰკოცნის და ამათა მიწათაგან სუნსა იყნოსებს, მეტყველი: „ჩემის უკვდავებისა მომცემელისა შვენიერნი ფერკნი თქვენზედა დადგმულ არიან, ნეტარძი თქვენსა ღირსებასაო!“ რა ამა არესა შემოვალს, თქვენითა ტრფობითა ესრეთ ჰგონიეს, ყოველთა ხეთა ფოთოლთა ზედა თქვენ ჰბრძანდებოდეთ, ესრეთ უალერსებს და თაყვანის-ცემისა მათისაგან არა დაჰსცხრების. ყოველნი ბაღისა ხენი, ნაყოფ ფოთოლნი და ყვავილნი მისთვის მოსტირიან, და ერთ გზის ხილვითა თქვენითა საბრალოდ მოტირალნი თვალნი მისნი არა განანათლეთ და არცა მძაფრითა ცეცხლითა გულისა მისისა წვა შეგბრალდათ, რაზომცა შვენიერი იგი მოყმე სურვილითა თქვენითა

ოლევის, ვჰგონებ, კელმწიფებასა თქვენსა სიხარულად მიაჩნდეს, თუ არა ეგრეთი უწყალოება მტერთაცა ზედა არა ჯერ არს, თუმცა ჯერეთ დიდებულება თქვენი მას საზომსა არა არს მიწევნილი, რომე იცოდეთ ძალი სიყვარულისა და ფასი დასდვათ დილარისა გულისა ტრფიალებასა, გარნა შეწყალება და მლმობელობა თქვენგან უჰასაკოსაცა გულსა ექმნების; აწ ესე ჰბრძანე, კელმწიფაო, ვიდრემდის იწვოდეს მარავებრითა ალტყინებულითა საკმილითა. ვიცი, კელმწიფაო, მეტისა ჭირისა გაძლება მას არღა შეუძლიან და უკეთუ ტკბილითა გასაუბრებითა თქვენითა დღეთა დილარისათა არა იყიდით, მისისა სიცოცხლისა ძაფი დალეულ არს; კელმწიფაო, ჰსჯობს თქვენცა შებრძანდეთ სიყვარულისა წალკოტსა და განიცადოთ ხილთა მისთა სიტკბოება, თუ ვითარნი შვებისა მრავლადობანი არიან მას შინაო.

შაირი

სიყვარულისა წალკოტსა აქვს კარნი მარად ღიანი,
ჰფშვიან სუნნელნი მარად და ხილნი ტკბილ გემოიანი,
ვინცა იგემებს ხილთა მათ, რაზომ ვინ იყოს ჭკვიანი,
იტყვის: „ესე ჰსჯობს სოფელსა, რაც რა არს ნაყოფიანი!“

ვერა უდრის საწუთოსა ამის კორცთა გემოვნება,
არა ტკბილი, საამოვნო, ვერცა ყვავილთ ფეროვნება,
თუ მკცოვანმან იგემოვნოს, დაავიწყდეს ბეროვნება,
რა ჭაბუკმან განიხილოს, ექმნეს დღეთა თენოვნება.

მას აქვს ოთხ კერძო შემკულნი თვისნი მიდამო არენი,
ყოვლითურთ საშვებ სალხენი და გულთა სანეტარენი,
ჰსდგანან ნაყოფნი ყვავილით, წყარონი მომდინარენი,
თუ ვინ იხმევენ, ილხენენ, თვით გულით მგლოვიარენი.

ჰსცთების ყოვლსა საწადელსა, ვინცა არ შევალს მისსა არებს,
მისის სიტკბოს უგემოვნო ამა სოფელს დაიმწარებს,
ვისც არ უნებს მისი ხილვა, რად არ განვლის ველთა გარებს,
ცუდად გულთა საცთუნებლად რად გლახ თვალთა მიმოარებს!

ანუ დასთმოს საწუთოსას, ყოველს სიტკბოს მიერიდოს,
დაუტეოს კორცებრივი, სხვას საშვებელს მოეკიდოს,
უშენს სადმე იმოღვაწოს, სულის სასძლოს იმედ იდოს;
თვარა ორთა მელსაპეპონთ ხილი ცალ კელ ვინმც აზიდოს!

ლექსი.

თუ სიყვარულის უვიცი იყო დიდ გვირგვინოსანი,
გაეწყევ სოფლის საშვებელს, გყეფ იადონებრ კმოსანი.

ტაეპი.

თუ არ იცი ტრფობა სურვა, ბოლოდ უქმნა თავსა მდურვა.

ჰამბავი.

რა ესე ვითარნი მრავალ გვარნი სიტყვანი მნათობმან ზეფირ მას სოფლიოსა მზესა მოახსენა, მან საბრალოდ რადმე ალმოიოხრა, ცრემლნი, ვითა მარგალიტნი წმინდანი, ძოწეულისა უმჯობესთა ღაწვთა უშვენიერესთად დამოადინნა, და უფრჩკვნელისა ვარდისა უფეროვნესნი ბაგენი, ტკბილად შეჰსძრნა და უბრძანა: „ჵი ზეფირ, ვინაჲთგან გარწმუნე მესაიდუმლოება ჩემი, ამის თვის, მნათობო, შენთანა არღა დავფარო გულისა ჩემისა ხვაშიადი. ჵი მთიებო, რასა მაგას მწვრთნი? აწ ჰგონება, რომე რეცა ჟამი არა მქონდეს და სიყვარულისადმი უცხო ვიყო? არა ჰსცთებია მაგა ჰაზრსა შინა? დრო მირეკს მე და სიყვარულისა ცეცხლი ფრიად მომდებია. დილარ! ოჰ, რასა თვის ესრეთ შეიპყრა გული ჩემი შენისა სურ-

ვილისა მუკუდმან, *) რომე წამსაცა ერთსა შენი სიშორე არღა ძალ-მიძს! ოჰ, ზეფირ, ჟამსა ამას შენი საქმესა შინა მაგალითობა შემაწიე, დილარ სიცოცხლე ჩემი არს და თვალთა ჩემთა ნათელი, გარნა, მნათობო, ჭაბუკთა გული მოუთმენელი არს, ამის თვის მასვე უფრთხილდები, ნუ თუ შვენიერება ჩემი განიცადოს და ცნობა მიეღოს, მე მოვჰკუდე ესრეთ სიშორითა მისითა და იგი ეგოს მშვიდობით. ჵი, რაბამ ბედნიერ ვიქმნები, უკეთუ შვენიერება ჩემი მას არა ავნებს, და უბედურისა ამის სახისა ჩემისა ხილვისა ჟამსა გულსა გაიმაგრებს, რომე ცნობა არა მიეღოს და ეღირსოს თვალთა ჩემთა ახლოს ჭვრეტაჲ მისი, და მისითა უბნობითა სასმენელნი ჩემნი დაჰსტკბნენ. გული მაწვევს მარადის ერთად ყოფნასა, ვერღა გავსძლებ უხილველობასა მისსა; ორთაგან ჭირთა შეპყრობილმან არა ვიცი, რა ვჰყო; ზეფირ! აჰა მოიწია იგი ჟამი ჩემ ზედა, რომელი შენ თვისცა სანატრელი იქმნება, ღღესითგან მომეცა დრო, რათა მე შენ გმსახურო. აწ უკუე ჰქმენ იგი, რომელი თავსაცა შენსა ადიდებს, სიყვარულმან დილარისამან, უკეთუ ამა ცეცხლიდამ გამომიხსნი და ჩემსა სატრფოსა შემყრი, დედოფლობისა გვირგვინითა აღგამაღლებ, ქალაქთა და ქვეყანათა მრავალთა გიბოძებ, ქმარსა შენსა მარსის გავამეფებ და უმაღლესობისა ტახტსა ზედა დაგჰსხამთ. ესე სიტყვანი ჩემნი კვალად მიართვი მას კელმწიფეთა გვირგვინსა დილარ სახელ სატრფოსა, გული განიმყაროს და თვისითა უბნობითა სული მიბრუნოსო.“ რა ზეფირმან თვისისა კელმწიფასაგან ესე შინაგანისაგან გულისა სიტყვანი მოისმინა, მცირედ დაიყოვნა და მოახსენა: „ჵე, კელმწიფაო, შარავანდედისა თქვენისა განცდა მეოთხისა ცისა მნწთობსაცა დააბუნდებს, და უკეთუ დილარ განცვიფრებამან შეიპყრას, ესე რაჲ საკვირველ იქმნების! გარნა ესე ვიცი, ხილვა თქვენი მას სიცოცხლესა შეჰსძინებს, და უკეთუ სახისა თქვენისა განკვირვება

*) ავ ძარა თოკისა.

შეიპყრობს, სუნნელნი საყნოსელნი თანა ვიქონიოთ და მალედ მოვაბრუნებთ. აწ ვინაჲთგან ორნი ეგე უშვენიერესნი ნაყოფნი ურთიერთისა შეყრასა ისურვებთ, დამშლელი თქვენი მას საუკუნესა უწყალოდ დამცა ისჯებისო.“ ესე ზეფირისა მოხსენება ანავსია კელმწიფასა დიდად რასმე იამა, ლაწვთა აკოცა და უბრძანა: „ამას ღამესა თვით ჰნახე და ახარე,“ რომე ვერცა მე მომითმენია და ხვალისა ღამესა ხილვითა ჩემითა ვამხიარულებო.“ ესე პირი მათ დაასკვნეს, და დილარისა ღამემან განთენება დაიწყო! მისმან სიბრძნით მოქმედებამან ნაყოფისა გამოღებისა ჟამი მოაწივა: უკეთუ დილარს ზეფირისა გული სათვისოდ არა ეპოვა, ესრეთ ადრე წადილსა თვისსა ვერ მიემთხვეოდა. საბრალო იგი მიჯნური არს, რომელსა მეხვაიშნე არა უვის. მას ღამესა განისვენეს, და დილასა ოდეს მეფენი წინაშე დილარისა შეჰკრბეს მოხარულნი ზეფირისა განთავისუფლებისა თვის, ჰბრძანა დილარმან, გამართეს პურობა და შეჰქმნეს მხიარულებაჲ.

აქა თავი მეათე, კარი იგივე.

გრძნეულთა მეფისა გარშარაბის კაცის მოსვლა და წიგნის მორთმევა წინაშე დილარ მძლევლისა, და სკვითთა მეფისა ხაყანის ჭაშბისა დაწყება.

ოდეს განდიდებულსა პურობასა ზედა ჰბრძანდებოდა დილარ მძლეველი და იგი კელმწიფე მეფენი და დიდებულნი, მას ჟამსა მოვიდა კაცი გრძნეულთა მეფისა გარშარაბისა წინაშე დილარისა, თაყვანი ჰსცა და დაბეჭდილი წიგნი რაჲმე მოართვა. დილარ მძლეველმან ჩამოართვა წიგნი, უზომოდ განმხიარულდა, წიგნი იგი უბოძა ჯანუჯან ვაზირსა წარსაკითხავად. ვაზირმან თაყვანი ჰსცა და იწყო ყოველთა გასაგონად წარკითხვა: პირველად სახელი ღვთისა ედიდებინა და

დილარისა კელმწიფება, პეკინელთა ზედა გამარჯვება მოგელოცა და ესე, ვითა: „ცადმდე აღმაღლებული ჴელმწიფებისა თქვენისა სახელი ნუმცა მოგვეშლების ყმათა ტახტისა თქვენისათა! აწ ჟამსა ამას შემოვიდა მეფე იგი სკვითთა ხაყან უთვალავითა სპითა, რომელსაცა ახლავან ხუთი ათასნი ძლიერნი და უჩინებულესნი ფალავანნი, და ვით ხაყანისა თვის ესრეთსა ქებასა იტყვიან, რომე მოხსენებისა თვისცა ვიშიშვი! თვალად რასმე კარგსა ჰგვანან და მკლავთა ძლიერებითა წინაშე თქვენსა გამოიცდებიან! და ნებასა ზედა ჰსუფევდეთო.“ რა ჯანუჯან ვაზირმან წიგნი იგი დაასრულა, კაცი იგი დასვეს, და უმატეს მხიარულებასა.

აქა ლასურ პეკინისა კელმწიფემან ჰსთხოვა დილარ მძლეველსა გედრებით სკვითთა მეფესა ზედა ბრძოლად და განდიდებულისა სპასალარისა როინისა ასული კასია ცოლად თვისად

მაშინ აღსდგა დიდი იგი ჴელმწიფე პეკინისა ლასურ, დაჰსდგა დილარისა ტახტისა წინაშე და მოახსენა: „ყოველთა ჴელმწიფეთა უზესთაესო და ძლიერებითა ზღვათა და კმელთა ზედა შეუსწორებელო! მე, უმდაბლესი ერთი მსახურთა თქვენთაგანი, ვითხოვ ვედრებით, რათა იგი მომავალი მეფე სკვითთა დაჰსდვათ ხვედრად ჩემდა, და უკეთუ ვჰსძლიო მას და სპათა მისთა, მაშინ ვევედრები კელმწიფებასა თქვენსა, რათა მოჰხედოთ თხოვასა ჩემსა და გამომიხსნათ ცეცხლისა ამისგან, რომელიცა მწვავს მე მოუთმენელად; აჰა დაფარულთა გულისა ჩემისათა განვაცხადებ წინაშე ესოდენთა ერთა, შეიწყალეთ ჭაბუკობა ჩემი და მიბოძეთ დიდებულისა სეზოსტრ კელმწიფის სპასალარის როინის ასული კასია, რომლისა სურვილსა სიკვდილად მიუწევნივარ! მე მიწად შთასვლადმდე შემოვჰსწირე თავი ჩემი ტახტსა თქვენსა, და ნუ განშაძებთ მონებისაგან თქვენისა, მომკლავთ თუ ანუ მაცოცხ-

ლებთ, კელსა შინა თქვენსა არს თავი ჩემიო.“ ჰსტიროდა და ცრემლ განმრავლებულმან მოახსენა:

შაირი.

სიყვარულისა სახმილი გულსა მედების მწველია,
ვხედავ, სიცოცხლე მელევის, მკლავს ჭირი ძოლანდელია,
ვითხოვ ვედრებით, მასმინოთ კმა ჩემი სანატრელია,
ნათელსა ღირს მყოთ მზისასა, შორს განმიდევნოთ ბნელია!

გული მახვილმან უწყალოდ, პირ ბასრეულმან, დაჰხია,
მრავლად დამიგო სურვილმან გლახ შეპყრობისა მახია,
ვიცი, უმისოდ სიცოცხლე ჩემთვის ბოროტად ჰმახია,
სხვას ჩემგან კიდე მომკვლელად ვის ექმნა მუფარახია!

მარად იგ მაქვს სახსოვრად, გონება არს მას თან მთრენად,
ვისგან მჭირან ჭირნი ძნელნი, იგა მქნია ჩემად მლხენად,
გული მმზაობს სავაებლად, თვალნი მისხენ ცრემლთა მდენად,
არ მაღირსებთ შეწყალებას, შევიქმნები ველად მრბენად.

ცასა ავასხებთ უცილოდ აწ ჩემსა შებრალებასა,
დამშლიან წევრნი ყოველნი, ველი დღეთ შემოკლებასა,
მთვარეცა მცხრალი მოელის მზისაგან განათლებასა,
თვით თერიაყი განჰკურნებს წამლისა სამსალებასა.

არა სად მიჩანს ნუგეში სხვა ჩემის განკურნებისა,
ამა უბედოს ბედისა კეთილად მობრუნებისა,
ოდენ მაქვს ესე იმედად, დაჰრთვა თქვენისა ნებისა,
უარით მომხვდეს წამები მე მკვდართა შეძინებისა.

ორთაგან ერთსა გენუკვი საბრალოდ განმწარებული,
სიცოცხლის ველით განსრული, სამარედ მიახლებული:

ანუ დამშრიტო სახმილი, მძაფრიად მოკიდებული,
ანუ მირყაზაბთ უბრძანოთ—მჰსცენ კმალი პირ ბასრებული.

რა ვჰყო, არ ვიცი სასტიკად სიყვარულითა ძლეულმან,
ვინაა ჩემი მკურნალი, მას გლახ მივჰმართო სნეულმან,
გული მომიწყლა უთმინოდ პირმან მან ბალახშეულმან
ტანითა, ვითა საროშან, ედემის მტილსა ჰრხეულმან.“

მანდილი ყელსა მოიდვა, დაჰსდრკა, მუკლნი მოუყარნა,
ეაჯების გულ მდუღარედ, ნილოსაებრ ცრემლნი ღვარნა,
მისნი მჭვრეტნი ყველაკანი ერთობილნი შეაზარნა,
გული სავსე სურვილითა სადა ვინმცა განახარნა!

ჟუჱ დამხობილი ჰმოქენობს დილარს თჳისს შეწყალებასა,
სულთქმა ოხვრითა ზედითა არ ჰყოფს ცრემლთ შემოკლებასა
მისგან მოელის წყალობით საწუთოს განახლებასა,
ანუ სიკვდილსა საწამრდ და ნათლის დაბნელებასა.

ჰ ა მ ბ ა ვ ი

რა დილარ მძლეველმან ლასურ კელმწიფისა ესე ვითარნი შესაბრალებელნი სიტყვანი მოისმინნა და ჰსცნა, რომე სიყვარულისა ისარნი მრავლად დასხმოდეს, თვალთა ცრემლი მოერია, აღჰსდგა, მივიდა, პირსა აკოცა, სიტყვანი სანუგეშინის ცემონი ჰრქვა, კელი მოჰკიდა, აღვიდნენ და ერთგან დაჰსხდნენ.

აქა დილარ მძლევლისა მიერ საურმაგ მეფისა გაგზავნა ზეფორისა თანა ლასურისა თვის მნათობისა კასიას სათხოვნელად, და გარშარაბ მეფისა წერილის მისართმეველად წინაშე ანავსია კელმწიფისსა.

მასვე ჟამსა მოიხმო დილარმან სახლისა უხუცესი თვისი და მეფე საურმაგ და უბრძანა: „მსწრაფლად წარვედ ბაღსა სა-

კელმწიფოსა, იხილე მნათობი ზეფირ, ძმისა ჩემისა ლასურისა ტრფიალება მთიებისა კასიასადმი გამოუცხადე და ქსეცა, რომე მე ჩემ კერძო მივეც კასია ლასურ საყვარელსა ძმასა ჩემსა. რომლისა თვის ყოველნივე ერთობით ვჰსთხოვთ მუხლ დადგმით და ვევედრებით კელმწიფასა თქვენსა, რათა მოწყალებით ინებოთ ესე თქვენცა, და წიგნი ესე გარშარაბ მეფისაცა მიართვიო." მეფე საურმაგ მყისად წარვიდა, ბალისა კარსა დაჰსდგა, მონა შეგზავნა მნათობისა ზეფირისა მოსაწვევლად. იგა მალედ კარსა წინა მოეგება, შინა შეიყვანა და ტკბილისა ალერსითა მოიკითხა, ხილნი ტურფანი მოართვა და შარბათნი ამონი უწინაშა, და შემდგომად შრომისა მიზეზი გამოჰკითხა. მეფემან საურმაგ მისდა დაბარებული ყოველივე უამბო, და წიგნიცა იგი გარშარაბისა მიართვა. მნათობი იგი ზეფირ გამოესალმა, გაბრუნდა, გოდოლსა მას სიცოლით შევიდა და მოახსენა; „კელმწიფაო, იგი კელმწიფენი და მეფენი ამა მნათობთა, ვიცი, წაგვართმევენ და მზისა ქალაქსა ამათგან ცალიერი დაშთების." ანავსია კელმწიფამან იასპისა უმჯობესნი ბაგენი გაალიმნა და უბრძანა: „ჩემსა მზესა, რა გსმენიაო?" ზეფირმან ყოველივე უკლებრად მოახსენა, და წიგნიცა იგი გარშარაბისა მიართვა. ოდეს წიგნი გარშარაბისა აღმოიკითხა, მცირედ დაჰფიქრდა და ჰბრძანა: „ესე რა სამართალი არს, დიდი იგი კელმწიფე ჩემითა სიყვარულითა ესოდენთა ბრძოლათაგან იტანჯების და მე ერთ გზის ხილვითაცა ჩემითა არა განვამხიარულეო!" უბრძანა ზეფირს: „ესრეთ არქვ საუმაგს, რათა მოახსენოს ლასურ კელმწიფესა ჩემ მიერ ესრეთ, რომე ვინაჲთგან ძმასა შენსა შვენიერი მნათობი კასია თქვენდა ხვედრად დაუნიშნავს, მეცა ნებასა მისსა ვეთანხმები, გარნა არა ჯილდოდ სკვითელთა მეფისა ბრძოლისათვის, ნუ იყოფინ! არამედ საშინელთა მათ ვეშაპთა ბრძოლისა ჯილდოდ მნათობი კასია მიბოძებია, ხოლო სკვითელთა და სხვათა ბრძოლისა საქმენი ნებისაებრ დილარისა განეგებისო."

აქა საურმაგისა და სახლის უხუცესისა საკელმწიფოსა ბაღით გამობრუნება, და წინაშე დილარისა მოსვლა.

ზეფირმან იგი ყოველივე ბრძანებული საურმაგს გამოუცხადა და ესრეთ გამოემშვიდობა, და საურმაგცა უკმობრუნდა. რა წინაშე დილარისა მოვიდა, ლასურს ფერი შიდამო ჰკრთებოდა და გულისა მისისა ძგერა ყოველთა გვესმოდა. მეფემან საურმაგ პირველად ზეფირისა უმეტესსა პატივსა ალსვლა მოახსენა და შემდგომად ლასურ კელმწიფესა მიულოცა თვისისა კელმწიფასა მაგიერადა შვენიერა იგი მნათობი კასიაცოლად და გამოუცხადა ყოველი ბრძანებული მისი. ლასურზე წამოჰხლტა, საურმაგს თვალთა და ენასა აკოცა, სამი კელი სამეფონი ტახტნი, გვირგვინნი, სკიპტრანი, სფერონი და შესამოსელნი ესრეთნი მოალებინა, რომე ყოველთა თვის საკვირო იყვნესა და საურმაგს შეჰსძლვნა; მან მადლობა მოახსენა, და თვის თვისთა ადგილთა დასხდეს, უმატეს მხიარულებასა, ჰსმიდეს ფეროვანთა ღვინოთა; განძლიერდა ლხინი და სადღეგრძელოთა გარდალევა, იყო მუსიკთა და მომღერალთა მოუკლებელი კმიანობა, და აქებდეს მეებნენი მათ მოყვარულთა კელმწიფეთა და მეფეთა. ოდეს ყოველთა მიგვჭირდა მეტითა მოსმურობითა, ჰბრძანეს გაჰყრა პურობისა და ყოველნივე წარვედით თვის თვისთა სავანეთა განსასვენოდ.

აქა შვენიერასა მის მნათობისა ზეფირისა მონისა მოსვლა წინაშე დილარ მძლევველისა აბაშთა კელმწიფისა, წიგნისა მორთმევა, დილარისა სანატრელისა ჟამისა მოწევნა და თვისისა საყვარელისა ხილვა.

მას ლამედ სახელ დებულისა ლამესა და ვითა დღესა, დილარისა გული რასალამე მხიარულებასა აუწყებდა, ჰკრთებოდა და არა უწყოდა, რა მოევლინებოდა. რა იგი ეგეთსა გა-

ნუსვენებლობასა შინა იყო, მსწრაფლად მოვიდა მონა ზეფირისა, თაყვანი ჰსცა და წიგნი რამე მოართვა. დილარმან, ტრფიალებითა აღვსილმან, ბეჭედი ახსნა და წარიკითხა; რომლისა აღმოკითხვითა ორბებრ მხიარულებისა ჰფერსა აღიწია, რომელსა შინა ეწერა ესრეთ, ვითა: „ნუღარა ჰყოვნი, აჰა საცოცხლე ჩემი შეგჰსწირე და გეღირსების შენისა სატრფიალოსა ხილვა; მოვედ და ტკბილი მოუბარითა ენითა ყვანჭი მჭევრ მეთქველობისა ტურფად შეათამაშე."

შაირი.

ეწერა წიგნსა მის მიერ სურვილთა დიადობანი,
ვითა ბულბულისა ვარდ ზედა, ყმისა თვის ყეფა ტრფობანი,
ხილვისა მოსწრაფებითა პირის პირ აღერსობანი:
„ჟამი შეგხვდა ყე, იკმარე ენისა ლამაზობანი,

მე თავი ჩემი საშენოდ შეგჰსწირე დასაწველადო,
რაცა სურვილით გეწადა, იგი ვჰყავ ამა კელადო,
ნურღა იჭირვი ცრემლითა, ნუცა ხარ ცნობით კელადო,
გულსა სიმყარე მიიეც, იწოდე ლომი ქველადო,

ჟამი შენი საწადელი აწ მოვიდა, იყავ ლხენით,
ომაინის მხარნი ისხენ, მოისწრაფე, მოი ფრენით,
ეთერისა სიმაღლესა აღმოჰგვალე ცნობით ბრძენით,
ნუ ჰყოს ღმერთმან, კვლა გიხილო ტრფიალებით, ცრემლთა დენით.

ხილვისა ჟამსა მე შენი მითქვამს გულისა მყარობა,
ამაღ გენუკვი, გამაგრდე, არ მაჩნდეს სიტყვის მცდარობა,
ცნობას არ განჰხდე, იხილო ულრუბლო პირის მთვარობა,
გაჰსძელ ყინვითა დაზრულმან, რა შეგხვდეს მზისა დარობა.

შეცა ვიცი, ნაბრწყალნი ტალით ცეცხლსა აღაგზებენ,
ველთა ზედა კმელთა კაჰაჰთ მით ხანძალთა მოუდებენ,
მაგრა მისით მწვარნი ველნი ნაყოფს უფროს უმატებენ,
რომლისგამო ასეულად დათესილთა შეიკრებენ.

მრთ გზის თუ გასძლო სიახლე და მზის პირის პირ მჭვრეტობა,
მოყმეობითა ტრფობისა არა ჰყო მეტის მეტობა,
შენთვის დაატკბოს დისკომან თვისი ნათლისა სვეტობა,
კვლა გვედრებ, მწყვლელად არ გექმნას მისი ნაზ წელ წერ-
წეტობა.
ტკბილთა მათ თვალთა რა ჰნახო ჲნდელთა დარაზმულობა
და არაბთაგან ფიცხელად შავთა მშვილდთ მოზიდულობა,
გემუდარები, არ შეგხვდეს ჟამსა მას გულ მოწყლულობა.
გაჰსძელ, გამაგრდი, გამოჰსჩნდეს მაშინ მკნედ მოწიფულობა.

თუ გაუძლებ, სხივნი მისნი თვალთა ბნელთა გინათლებენ,
შენ თვის ტკბილის ედემისა შვებად კარსა განგიღებენ,
საუკუდაოს ნაყოფისა გემოს ხილვას გაღირსებენ,
ამოდ რასმე შეგიჩვევენ, არღა სულთქმით გატირებენ.

აწ გაგიჩნდების სიმტკიცე, მაგა გულისა სულობა.
მტერთა მძლეობა, მრეობა და მკლავთა გმირთა ძალობა,
თუ გაჰსძლებ მზისა ხლებასა, შეგითხზა ქების გალობა,
ვერა მოითმენ, შემხვდების საფლავად მიმავალობა.

ნურღა იყოვნი, შეუდეგ მოწასა ჩემგან რებულსა,
ჰნახავ ბაღისა არეთა სხივითა განათლებულსა,
იგა მოგელის, ვისთვისცა ხარ ჭირსა განმრავლებულსა,
მოხვალ, იხილავ საყვარელს საშენოდ განმზადებულსა.

დავნატრი თვალთა მათ შენთა, ჯერ კაცთა უხილავსადა,
ჰნახავ საშენოდ მომტკბარსა გულისა შემაზავსადა,

მაგრამ გმუდარობ, არ ინთქა სიყვარულისა ნავსადა,
მამკალ, თუ ჰმსგავსი სოფელსა მისი გლახ უნახავსადა!

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

დილარ მძლეველმან რა წიგნი იგი მნათობისა ზეფირისა აღმოიკითხა, მყისად აღჰსდგა, თავი და ტანი ძვირ ფასითა სუნნელითა განიბანა, სამაგალითოდ შეიმოსა, და ესრეთ შეუდგა მონასა მას, გარნა გული მისი შაბარდულისს ბრჭალითა შეპყრობილისა გნოლისაებრ ჰხლტოდა, სიხარული ათრთოლებდა და სიყვარული მყარსა გულსა მისსა დაალბობდა. ბაღისა კარსა მივიდა. წინარე ზეფირ მოეგება, შეიყვანა შინა, კარნი დაჰკრძალნა, თვალთა აკოცა და მოახსენა: „ნეტარძი თვალთა ამათ, რომელ ყოვლისა ქვეყანისა შვენიერების გვირგვინსა განიცდიანო!“ დილარსა სირცხვილისა ოფლნი წყაროს თვალთაებრ ჰსდიოდეს და დავიწყებოდეს, თუ რა ექმნეს. ზეფირმან ჴელი მოჰკიდა და მათ ვარჯოვანთა კინამოთა ძირთა მიიყვანა. ოდეს დილარმან წინარე მიხედა, იხილა დისკო მზისა კორციელად იასპისა ტახტსა ზედა მჯდომარე, ათ ორმეტნი მნათობნი ქალნი, ვითა მთოვარენი, მარჯვენით კერძო იაგუნდისა სელთა ზედა უსხდეს, ათ ორმეტნი მარცხენით. და ზურგით უდგეს, ვითარ ვარსკვლავნი ბრწყინვალენი, დას დასად ქალნი მნათობნი. გარნა ტახტსა მას ზედა მჯდომარე ბალსა მას, ვითა მზე, ეგრეთ ანათობდა. დილარ, განმკრთალი გამოუთქმელსა მას შვენიერებასა ზედა, მიჰყვანდა ზეფირს და ოდეს სადიდებულოსა კათედრასა წინაშე მიიყვანა, განკვირვებულმან სამ გზის დამხობით თაყვანი ჰსცა და ეგრეთ ჰსდგა ოფლისა ღვარებრ მომდინარე. ნათელმან მან კორციელმან ზეფირს წამ უყვნა, იგამან ძვირფასი სელი მოიღო, დილარს დაუდგა, და მოახსენა:

აქა დილარ მძლეველის პირველი ხილვა მზის ქალაქის კელმწიფა ანავსიასი და შვენიერებითა მისითა დილარ მძლეველის გულს შემოურა, და ანავსიას მიერ მობრუნება მის დილარის.

Dილარ მძლეველო, საყვარელო შენი გიბრძანებს პირის პირ თვისსა ჯდომასა! დილარს სასმენელნი თვისნი ზეფირისა თქმულთაგან შორად განჰსცლოდა. რა ზეფირმან ჴელითა დაჯდომა აწვია, იგი სწორ უპოვარი მოყმე, სურვილისა მახესა გაბმული, უცნობო ქმნილი, ქუე დაეცა; მისთა მხილველთა, სიცოცხლისა მისისა მფრინველი, მისგან შორად განფრენილი, ჰგონეს. იგი შვენიერნი მნათობნი ერთობით ზედა მოკრბეს და ყოველთა ჴელითა ეპყრათ ძვირ ფასნი და მრავალ გვარნი სუნნელნი, საყნოსელნი წამალნი. და უმეტესად ზეფირ ესწრაფებოდა მობრუნებასა მისსა. რა ანავსია კელმწიფემან საყვარელი თვისი დილარ, წინაშე თვისსა სიყვარულითა თვისითა ძლეული, ეგრეთ იხილა, ნაზად რასმე ალმოიოხრა და ტკბილად ჰბრძანა: „ამას ვიტყოდიო!“ მათ მნათობთა გუნდმან ტახტით ძირსა შთამოიყვანეს; დილარს თავსა დაადგა, ჴელი გამოართვა, თვალთა ჴელი მოუსვა და სამ გზის დასძახა სახელი თვისი. დილარს ჴმამან მან გონებისა კარნი განუხვნა, თვალნი ალახვნა და ვითა ლომი შეიძრა, იხილა მწყლველი თვისი, რომელსაცა კელი მისი ეპყრა; ცნობასა მოეგო, ზე ალჰსდგა, თაყვანი ჰსცა და მოახსენა: „მზეო ულრუბლოვო, ნუ განმირისხნები მონასა შენსა, ესეოდენ ჟამ განგრძობილი სიყვარული მძლე მექმნა, მოუტევე თქვენდა შემსჭვალულსა გულსა ჩემსაო.“ რა უბნობა დილარისა ესმა ანავსია კელმწიფესა, მოხარულ იქმნა და უბრძანა: „დილარ, ჩემსა მზესა, გული შენი განიმაგრე და ჩემსა შვენიერებისა ხილვასა გაუძელო!“ დილარისა კელი ჴელსა ეჭირა, ბაღსა მას შინა ნელიად მიმოატარებდა და ტკბილთა სიტყვათა უბრძანებდა. დილარ თუმცა არღა ჰბნდებოდა, გარნა განკვირვებული ჰკრთებოდა სხივთა მისთა, ისმენდა უნაზესთა ბრძანებათა იგასთა

და ეყნოსებოდა სუნი სუნნელებისა, მრავალ გვარად განმაცხოველებელი ჰრხევისაგან მისისა. დილარ იჭვეულობდა კორციელობასა ზედა მისსა და ჰგონებდა, უცილოდ ზეცით გარდამოხდომილობასა მზისა დისკოსა. იგა, ვითარცა კელოვანი მკურნალი, შეაჩვევდა ჭვრეტასა თვისსა დილარისა თვალთა, და, ოდეს მცირედ შეიჩვია, კვლა უბრძანა: „კელმწიფეო დილარ, ვიცი ეგე გონებისა მიხდა კელოვნებით მოიგონე, რათა ესე ბედნიერება გღირსებოდა და ჩემითა უბნობითა დამტკბარ იყავ, თუ არა აქა სხვა საწყენი არა რაჲ მომხდარაო!“ რა დილარმან იგი ბრძანება თვისისა კელმქმნელისა მიერ მოისმინა, დავარდა, თაყვანი-ჰსცა დ̃ მოახსენა: ეჰა, იადონო, ტკბილად მკმობელო, თავსა შენსა ვჰფუცავ, არა თუ კელოვნება რაჲმე იყო, სიყვარულისა გარდამატებამან გული მიმტაცა, და ჭვრეტამან თქვენმან გონება ჩემი ცნობისა საზღვრით შორად განიყვანაო! მაშინ კვლა უბრძანა საყვარელამან თვისმან, ვითა: „უკეთუ ეგეთი სახილველი ვარ, რომე, ვინცა მიხილავს, გონებასა დაჰკარგავს, მაშა რადღა გსურს ხილვაჲ ჩემი, ეგერა ბაღისა კარნი განვლე, და მშვიდობით ჰგებდეო!“ დილარმან ქვე მუხლთა ზედა დაიჩოქა და ცრემლით მოახსენა: ეჰა, სიცოცხლისა ჩემისა მბრძანებელავ, ჩემსა სიხარულსა, მაგა შვენიერებასა ვჰფუცავ, თქვენითა ჭვრეტითა თუმცა ერთსა ჟამსა შინა ასი ათას გზის მოჰკვდებოდე, ეგრეთცა შორს ყოფნასა თქვენითა ჭვრეტითა სიკვდილი მირჩევნია, და ესე არს ვედრება ჩემ მონისა თქვენისა, რომე ესე მოულოდებელი მოწყალება თქვენი არა მომაკლოთ, ამა კინამოთა ძირსა მცირესა ქოხსა დავრიშთასა გავიკეთებ, დღეთა ჩემთა აქა დავასრულებ, არცა კელმწიფება მინდა და არცა ქვეყანა, მე ჭვრეტა თქვენი სიცოცხლესა მირჩევნია, და თქვენი მონება ყოველთა კელმწიფეთა საუნჯესა, ესე ბაღი უმჯობეს არს ჩემთვის შადადისაცა სამოთხისა, და რაჲცა დღენი მისხენ, აქადგან ვერა რამან განმიყვანოს, თუ რისხვა თქვენი არა განმაძებსო! ანავსია კელმწიფამან კელი დაუჭირა, ალაყენა, იგი ძოწისა უმ-

ჯობესნი ბაგენი გაალიმნა და უბრძანა: „დილარ, მარჯვედ მოუბარობისა ყვანჭსა უცხოდ შეთამაშება იწყე. გარნა იგი მომავალნი კელმწიფენი ამა ბალით განგაძებენ და თავსაცა ჩემსა წაგართმევენ, მაშინ რასღა იქმ, რომე დავრიშობა შენი ვერღარასა გეხმაროსო!“ დილარმან მას ბრძანებასა ზედა მწარედ ამოიოხრა და მოახსენა: „ეჰა, მზეო შარავანდედ მრავალო, რასა ბრძანებასა მასმენთ მე! თავი შენი სხვამან კორციელმან წამართვას, მაშა მე ქვეყანასა ზედა ცოცხალი არღა ვიქმნები, და კრმალიცა ჩემი დამიწებული იქმნების! ვინცა იყოს ეგე ვითარი კელმწიფე, რომელმანცა გაჰბედოს წართმევაჲ თქვენი დილარისა კელთაგან? მაგა ბრძანებითა ცეცხლსა ნურღა მიმატებთ, ეგე ძალი არავის აქვს, უკეთუ თავსა შენსა თვით არა წამართმევ, და შენსა კელსა ყოველივე ძალ უძსო.“ ანავსია კელმწიფამან დილარისა შეწუხება მით სიტყვითა ჰსცნა, კელი უბოძა და უბრძანა: განაბედნიერენ ბაგენი შენნი ამა კელთა ზედა დაკონებითა! ესე კელი შენსა გარე სხვასა კორციელსა არა შეეხებისო. დილარმან უშვენიერესსა კელსა მას ასი ათასითა სურვილითა აკოცა და ქვე მიწადმდე დავრდომით თაყვანი-ჰსცა, მიიყვანა და მას უსასყიდლოსა ტახტსა ზედა თვის თანა დაისვა და მრავლითა საალერსოჲთა სიტყვითა ჰსტკბებოდეს; შემდგომად უბრძანა, ვითა: დილარ, ნებითა შენითა მივეც სპასალარისა როინის ასული, მნათობი კასია, ცოლად პეკინისა კელმწიფესა ლასურს, რიზარინ — გოჰარ პოლანთა მეფესა და ერთ გულსა სპასალარსა შენსა მარსისა — ზეფირ, რომელიცა მრავალ გზის გიხილავს შენ, გარნა შენისა საყვარელისა ძმისა ნუშრევანისა სახლის უხუცესსა ლარას მნებავს მივსცე დიდებულისა ჩვენისა ასული სოსანა, რომელთაცა აქავე გავაცნობ კელმწიფებასა შენსაო.“ უბრძანა კასიას და წარმოჰსდგა სულით მნათობი ვინმე ვითარ კრონოსი, მოვიდა წინაშე დილარისა, თაყვანი ჰსცა და პირსა აკოცა, დილარცა ზე აღჰსდგა, კელსა და პირსა აკოცა, და წესისაებრ თავი თვისი გააცნო. შემდგომად უბრძანა რიზარინს, იგიცა მოვიდა და ურთი-

ერთისა ცნობა მიიღეს. მერმე ზეფირ იახლა და აგრევე სოსანა, გარნა მათ მნათობთა შვენიერებისა გამოთქმა შეუძლებელ იყო: ესრეთ იქცეოდეს, ვითარ უკორცონი, და ელვარებასა ესრეთ ამრავლებდეს, ვითარ მთოვარე. თუმცა ანავსის კელმწიფას ნათელი ყოველთავე შვენიერებასა ჰფარვიდა, გარნა ოდეს იგი მნათობნი თვის თვისად კაცსა ეხილვა, ამას იტყოდა: უცილოდ ციურნი არიან და არა კორციელნიო! უკვირდა დილარს მათ მნათობთა შუქთა მრავლობა, ერთობით ყოველთავე თანა სწორ შვენიერება, და აქებდა ქვეყანისა მის კეთილობასა. შემდგომად უბრძანა ანავსია კელმწიფამან დილარს, ვითა: ლომო ჩემო, იკმავე პირველსა ჟამს შინა ესოდენ ურთიერთსა თანა ხილვითა დატკბობაჲ, და შემდგომსა დროსა კვლა შევიყარნეთო! დილარ ტახტით ძირს შთამოვიდა, თაყვანი ჰსცა; იგამან კელი უბოძა, დილარმან ტკბილად დაჰკოცნა და მოახსენა: „კელმწიფეო, ინებეთ მოწყალებით, რათა ხვალისა ღამესაცა გავბედნიერდე თაყვანისცემითა თქვენითა და ამა მნათობთაცა კელ დასადებელნი მოუტანოვო.“ იგამან ტკბილად შეჰსცინა და უბრძანა: ეგრეთ იყოს! გარნა ჩემთვის რასა მოიღებო? დილარმან თაყვანი-ჰსცა და მოახსენა: „მე მონება თქვენი აბაშეთითა მომიღია, რათა თქვენსა მონებასა შინა აღვსრულდეო.“ იგა მნათობთა დამაბუნდებელი მას სიტყვასა ზედა შეწყენილ იქმნა და უბრძანა: „ჩემსა მზესა, ეკრძალე და შენსა სიკვდილსა წინაშე ჩემსა ნურღარა გაახსენებ, მით რომე, ესე დაფარული არღა არს, ვითა მე გიყვარ შენ, ეგრეთცა გული ჩემი სიცოცხლითა შენითა იხარებს, წარვედ და მომავალთა სკვითელთა საქმე ჯეროვნად შეჰკაზმეო.“ ესე ჰბრძანა და გაიყარნენ. დილარ, სიცოცხლე მომატებული, წარმოვიდა, თვისსა საწოლსა შევიდა და ამოსა ძილსა მიეცა; კელმწიფა იგა ანავსია თვისსა მას გოდოლსა შეჰბრძანდა, და უბრძანა ზეფირს: „მზემან ჩემმან, ვითარცა აქებდი დილარისა ზრდილობასა, უმეტესიცა ყოფილ არს! ნეტარძი თვალთა მათ, რომელნიცა მიუცილებელად მას ჰსჭვრე-

ტდენ. აწ, მნათობნო, რასა რჩევასა მომცემთ მე? მისი შვენიერება ბრძოლისა თალპიონსა არლა მემეტება შესასვლელად, მით, რომე კმა არს, რაჲცა ბრძოლანი და ჭირნი გარდაუხდიან ჩემითა სიყვარულითაო. მისსა ბრძანებასა ზედა მოახსენა მნათობმან მან კასიამან: კელმწიფაო! მაგა საქმისა თვის თქვენ ნუ იურვებთ, მე შეუთვალო პეკინისა კელმწიფესა ლასურს, რათა იგი ებრძოდეს სკვითელთა და საყვარელსა თვისსა გამოჩვენოსო. შემდგომად ზეფირმან მიუგო: არა, მნათობო კასიავ, მაგას დილარ არა ინებებს, რომე საყვარელი ძმა თვისი ნაცვლად თვისსა მოედანსა შეჰგზავნოსო, მე გაუგზავნო მონა ჩემი სპასალარსა მარსის, რათა იგი იბრძოდესო. შემდგომად კუალა ჰბრძანა ანავსია კელმწიფამან, ვითა: მოვითმინოთ ხვალადმდე, და რა დილარ ხილვითა ჩემითა დაჰსტკბეს, მას თანავე საქმე ესე ვარჩიოთო. ესე ჰბრძანა და განსვენებასა მიეცნენ. მეორესა დღესა რა ყოველნი კელმწიფე მეფენი და დიდებულნი შეჰკრბენ წინაშე დილარ მძლეველისა, შეჰქმნეს წესისაებრ ლაღობა და მხიარულებაჲ. განაღა დილარს უმეტესად ჰშვენოდა, უბრძანა საურმაგ მეფესა, მას უშვენიერესსა დიდ ჰავზიანსა ბაღსა შინა პურისა დაგება. მან მჰსწრაფლად აღასრულა, შევედით ყოველნივე და თვის თვისითა წესითა დავსსხედით.

აქა დილარ მძლეველმან მას წინა ღამესა თვისი შემთხვევა ჰბრძანა ყოველთა განსაგონად, და შეესიერთა მათ მნათობთა უსაზომო ქება წარმოჰსთქვა.

იწყო დილარ მძლეველმან მას წინა ღამესა თვის ზედა გარდასავალთა თქმა, ვითაცა ელირსებინა ანავსია კელმწიფასა თვისი ხილვა, და მათ მნათობთა ესრეთი ქება წარმოჰსთქვა, რომე მათნი მტრფიალნი ცნობისა თიატრონით განვიდენ; და

უბრძანა ლასურ ჴელმწიფესა, ვითა: ძმაო, გვმართებს, რათა მათ უბრყვილოთა მნათობთა თვის ნიშანნი რაჲმე ჴელ დასადებელნი მოვჰმზადოთ; მით რომე ამას ღამესა თვით მე მიუტანო, და ესრეთნი თანა ჰსწორნი ნივთნი ჯერ არიან მიტანად, რათა ერთი მეორესა არა მეტ უმჯობესობდეს, მით რომე იგა უშვენიერესნი მნათობნი, წლითა თანა სწორნი, ერთად ზრდილ არიან და ჰგიან სიყვარულსა ზედა მტკიცესა, და ჰსჯობს ესე, რათა ჩემგან მიტანილითა ნივთითა გულსა არა შეაკლდეთო. ლასურმან მოახსენა: დიდო ჴელმწიფეო, მე მოგართვა ოთხნი ეგეთნი თანა სწორნი ბრილიანტნი, რომე თვითო თვითო დიდთა ქვეყანათა ფასნი იყვნენ, და იგინი შეჰსძლვენითო. დილარმან უბრძანა: „არა, ძმაო, ეგე ვითარნი თვალნი ამა ქვეყანასა მრავალნი არიან, რაცა ქვეყანასა ზედა სპეკალნი თქმულან, ყოველთაგან გვართა დიდ დიდნი მთანი არიან, და ლითონთა მათგან ყოვლადვე ჰსთლიან, ყოველ დღე ანაკვეთებენ, და საჴმარებასა შინა მოჰყავსთ, და თვით მევე მოვილო მათ თვის შესაბამნი ნივთნი, რომე ამა ქვეყანასა იგი ოდენ არს უცხოდ ჴმარებულიო.“ უბრძანა და მოაღებინა ოთხნი ჰრტონი ოქროსანი, ვაშლისა რტოს ჰმსგავსად ჴელოვნებულნი, თვითოსა რტოსა ზედა ესხნეს ხუთნი მარგარიტნი ოქროსა ღეროებითა, თვის თვისითა ყვავილითა და ფოთლითა ტურფად შემკობილნი, თვითო მარგარიტი იყო თვითოსა ბურთისა ოდენი, ფოთოლთა წილ მწვანე ზურმუხტი იყო ხმარებული, ყვავილნი, თეთრისა წილ, ბრილიანტი, და წითლისა წილ—იაგუნდი, საკვიროდ რაღმე შეხელოვნებული იყო. რა ჴელმწიფემან, მეფეთა და დიდებულთა იგინი იხილეს, დიდად მოეწონათ და ქება შეასხეს გამკეთებელსა მათსა. იგი დღე ლხინსა შინა დაჰყვეს, და ღამისა სახელის შემოსვლისა ჟამსა მოვიდა მონა ზეფირისა დილარსა თანა და მოახსენა: „საყვარელო შენი გიწვევსო.“

აქა დილარის წარსვლა ანავსია ჴელმწიფესა სახილველად, და ძვირფასთა ნივთთა ჴელთა დასადებელთა თანა მიტანა.

მჰსწრაფლად აღჰსდგა დილარ, მრავალ გვართა სუნნელთა წყალთა აბანოსა შევიდა, გაებანა, ტანსა ზედა ძვირფასი შესამოსელი შეიმოსა და სრულისა სხვილისა მარგარიტისა გარემო ბრილიანტისა არშია მოვლებული კაბა შეიმოსა, მოაღებინა დიდ დიდისა მარგარიტისაგან შემკობილი საჴელმწიფო გვირგვინი, რომლისა ფასისა დადება შეუძლებელ იყო, და ერთი რტო ვაშლის სახედ ოქროსი, რომელსაცა ათ-ორმეტნი სხვილისა აპელცინის უსხონი მარგარიტნი ეკიდნეს, საკვირვოსა ჴელოვნებითა კოწლად ყუავილოვნებული, ერთსა ძვირფასსა ლუსკუმასა შინა შთააწყო, მას მონასა უბოძა და გაემართნენ.

აქა მეორედ ხილვა ანავსია ჴელმწიფესა დილარ მძლეველისაგან საჴელმწიფოს ბაღს შინა.

ბაღისა კარსა ზეფირ მოეგება, შეუძღვა, და მითვე წესითა მათ ვარჯოვანთა კინამოთა ქვეშე დახვდა საყვარელი თვისი, და იგი მნათობნიცა ეგრეთვე მსხდომარენი. დილარ წარჰსდგა წინარე, თაყვანი-ჰსცა ჴელმწიფესა მას, და ყოველთა მათ მნათობთაცა მიესალმა. შემდგომად უბრძანა გვრიტმან მან, ტკბილად მღუღუნებელმან, ვითა: „მოვედ, შენსა საწადელსა ადგილსა დაჰსჯედ, და ამა ქალთა მნათობთა უბოძე ნიშნად, თუ რა მოგიტანიათ!“ დილარმან კვლა მიწადმდე თაყვანი-ჰსცა, აღვიდა კრძალვით ტახტსა ზედა და გვერდსა მოუჯდა, უბრძანა ზეფირს მის ლუსკუმისა მოღება, და ოდეს მოიღო, აღჰსდგა თვით დილარ, თვითო იგი ვაშლისა სახენი რტონი მნათობთა მიართვა, პირთა აკოცა და დანიშნა თვისთა მტრფიალთა მაგიერად. რა მათ მნათობთა იგი ოქროსა რტოები

ბხილეს, აქებდეს ჴელოვნებასა მას. შემდგომად აღმოიღო დი-
ლარმან რტო იგი და გვირგვინი, მიიღო და მოახსენა თვი-
სისა წყლულისა ემპლასტროსა, ვითა: ჴელმწიფეო, თუმცა არა
გაიბედების ჩემგან ესე ვითარი მცირე ძღვენი, გარნა მონა
ვარ და მოუტევე შორით მწირობით მომავალობასა ჩემსაო!
ევედრებოდა მხურვალედ, რათა თვით ჴელითა თვისითა დაედ-
გა თავსა, მნათობთა უმნათობესსა, გვირგვინი იგი და ლაწვთა-
ცა მისთა სიტკბოება ბაგეთა მისთა მიეღო. იგამან გაიღიმა
და უბრძანა: მზემან ჩემმან, მცირე ფასი მოგიღია, გარნა სამ-
სახურნი შენნი ღირს არიანო. მაშინ დილარ აღჰსდგა, თაყვანი-
ჰსცა და მოახსენა:

შაირი.

Dაიდგ გვირგვინი თავსა და ქვეყანის მანათობელსა,
ცისა ცთომილთა ყოველთა სხივითა დამამხობელსა,
ოთხთა კიდეთა საკვიროდ შვენებით განმაკრთობელსა,
ყოველთა დიდთა კელმწიფეთ რისხვითა დამამცრობელსა.

რომლისა თავსა ჰმონებენ ყოველნი არსნი ქვენანი,
ჰშვენის გვირგვინით შემკობა, ნათლისა ცხადად ფენანი,
მეცხრესა ცასა აღსვლა და მუნით სხივთ გამოჩენანი,
თქვენის დიდების სათხრობლად ჰკამს ვარსკვლავთ მიმორბენანი.

აღიმაღლე თავი ესე ჴელმწიფეთა სამონებლად,
აწ ჟამი არს, სახელისა იყო მრავლად მომვაჭრებლად,
არღა გშვენის გოდოლს ყოფნით ჰგებდე შუქთა მაკრძალებლად.
შენ გმონებენ ცას ქვეშეთნი, იყავ ნების აღმსრულებლად.

მიიღე ჴელსა ჰრტო ესე, ყოველთა კიდეთ მპყრობელსა,
ჩემსა სახმილოს დამწველსა და ჩემსა დამაღონობელსა,

ნუთუ ერთ გზისცა ველირსო კჳლა ცათა მანათობელსა,
მერე, თუ წარვალ, არ მგამა მას სულთა სავაჭრობელსა.“

ორივე წინა მიუძღვნა—გვირგვინი და ჰრტო მკულები,
მაშინ ცხად უყო ყოველი გულისა დაფარულები,
სვემან აღირსა, ჟამითა ამთხვია სიხარულები,
არა არს ჭირი, მოთმენით არ იქმნას დაკარგულები!

ჰამბავი.

მივიდა დილარ კრძალვით, თვისითა კელითა თავსა ზედა გვირგვინი იგი დაადგა, ბაგენი თვისნი მისთა ლაწვთა შეხებითა დაატკბო, კელსა ჰრტო იგი მიართვა, და კელსაცა ზედა აკოცა. რა ანავსია კელმწიფამან რტო იგი კარგად განიხილა, უცხოდ რასმე მოიწონა და უბრძანა დილარს მოხდა გვირვინისა მის, და იგიცა გასინჯა; მერმე მოუწოდა მათ მნათობთა და მათცა გაასინჯა, რომელთაცა დიდად აქეს. უბრძანა ანავსია კელმწიფამან მნათობთა მათ, ვითა: შვენიერებითა მდიდარნო მნათობნო, თქვენ ჰსაჯეთ სამართლიერად: დილარ ამათისა მორთმევისა თვის რავდენსა დაკონებასა ღირს არს ეთერისა ჰმსგავსად აელვარებულსა ლაწვთა ჩემთა ზედაო? მათ მოახსენეს: კელმწიფაო, ნივთსა ვერა ვხედავთ ფასად დაკონებისა, გარნა ვინაჲთგან კელმწიფესა ამას მონებისა თქვენისა ზოსტერი განუმტკიცებია, ამის თვის ღირს არს თქვენგან შეწყალებასაო!

აქა ანავსია კელმწიფისა მიერ ნებისა დართვა დილარისა მისთა უსაწადელესთა ლაწვთა ზედა დაკონებისა, და სიტყვათაცა ტკბილთა ბრძანება.

მათ მნათობთა მოხსენებასა ზედა, უბრძანა დილარს: მოველ ლომო ჩემო, ესე წალკოტი შენ თვის ყვავილოვნებს,

აღივსენ ბაგენი შენნი ჩემითა სიტკბოებითა, ესე მნათობნი ესეთნი მემტილენი არა არიან, რომე შენ შვენიერი, ენა ტკბილი ბულბული ჩემთავარდთა კვალთაგან განგაძონო! დილარს თვისი სანატრელი ჟამი მოევლინა და გალანამცა ბრძანებასა მისსა აღასრულებდა. იწყო კრძალვით შეხვევა და სურვით დაბაგება. დილარ თვისითა სამაგალითოთა ზრდილობითა ემკაცროდა, რათა არა შევაწყინოო, საამოდ ჰკოცნიდა და შეზავებულითა სიტყვითა ალერსთა დაუფენდა. ტკბილითა მით შეერთებითა შეჰქმნეს ურთიერთისა შეჩვევა. დილარმან მცირედ იუბნის საალერსოდ და კვალად დაუწყის ხვევნა და კოცნა მათ უსაწადელესთა თვალთა, ღაწვთა და ბაგეთა. რა მეტითა სურვილითა დილარ დაბნედად მიიწურის, კვლავ უბნობა იწყის. რა ეგე ვითარითა სიტკბოებითა განატარეს სამი ოდენ ჟამი, შემდგომად უბრძანა სატრფომან თვისმან დილარს, ვითა: მითხარ, ლომო ჩემო, მათ მომავალთა მეფეთა და ფალავანთა ზედა ბრძოლა ვითა გეგულებისო? დილარმან მოახსენა: სიცოცხლეო და შვებაო ჩემო, მაგა გვართა თვის, გევედრებით, თქვენ ნუ შებრძანდებით ნუ რა რასა ფიქრსა შინა! ოდეს იგინი აქა შემოვლენ, მე, მონამან თქვენმან, ვაჩვენო მკლავთა ჩემთა ძლიერებაჲ და სვე სვიანობითა თქვენითა შევანანო საქმეთა მათთა დაწყობილებაო!

აქა პეკინისა დედოფლის კასიას მიერ თხოვა დილარსა თანა, რათა სკვითელთა თანა ბრძოლისა მოედანი დაენებებინა ლასურ ჴელმწიფისა თვის.

მას დილარისა თქმასა ზედა აღჰსდგა პეკინისა დედოფალი, მნათობი იგა კასია და მოახსენა: „ჴელმწიფეო დილარ მძლეველო, კმა არს წინანი რაჲცა განსადიდებელნი ბრძოლანი გარდაგიხდიან, აწე ამიერითგან უბრძანე ლასურ ჴელმწიფესა, რათა იგი იბრძოდეს და ჩვენ გაგვეჩვენოსო!“ დილარ ზე წა-

მოსდგა და დიდ პატივის ცემით მოახსენა: ნუ ინებებ კელმწიფაო კასია მნათობო, მაგა ბრძანებასა, მით რომე მე და ყმანი ჩემნი ერთსა ადგილსა სამსახურისა თვის წელ შერტყმულნი ვჰსდგეთ და სტუმარნი ჩვენნი იბრძოდენ, ეგე ვითარ იქმნების? იგინი სტუმარნი არიან და სტუმართა განსვენება ჯერ არს და არა ბრძოლა! აწ ნუ უკუჲ ზეფირისა საქრმოსა ძალი შემოჰკლებოდეს, მზემან თქვენმან, იგი ძალისა მოქადული მეფე ხაყან ოდეს მოვიდეს აქა, მას შევაბა სპასალარი ჩემი, და გაეჩვენოს საყვარელსა თვისსა, თუ რაძი ჭაბუკი უვის ქრმადაო! ზეფირმან რა დილარისა ბრძანება მოისმინა, ზე აღსდგა, თაყვანი სცა და მოახსენა: „კელმწიფეო, თავმან თქვენმან, მე ჭაბუკობასა ამისსა ვჰსჯერ ვარ და ნურავის მომიკვლევინებო! უტევე იგი, იყოს მშვიდობასა შინა, ჩინელნი მრავალნი არიან და იგინი იბრძოდენო! კასია მნათობსა კელსა აკოცა, თვისსა ადგილსა აწვია და დასვა, და ზეფირს უბრძანა: მზემან მისმან, რომლისა სიყვარულითა ვიწვი და ვენთები, ხამს, ჩემგან პატივის ცემა შენი, დიდად ვალ-დებულ ვარ და ნებისა შენისა აღსრულება მმართებს, გარნა მაგა საქმესა ზედა ნუ დამემდურები, მით რომე მოუვალი არს მე და ყმანი ჩემნი არა ვიბრძოდეთ, და ნუ გეშინის, მარსი არა ეგრეთ ჯაბანი არს, ვითა შენ ჰგონებ, თუ არა, გმირობასა მისსა მაშინ ირწმუნებ, ოდეს ხაყან მეფე აქა მოვალს; გარნა მარსი მხოლოდ არა ვაბრძოლო, მყვანან დიდებულთა ჩემთა ძენი, მოყმენი თანა სწორნი წლითა მარსისანი და ლომ გულობითაცა თანა სწორნივე, მათ და მარსის ერთად ვაბრძოლებ სკვითელთა ზედაო. რა ბრძოლისა თვის სიტყვა ეგრეთ დაამტკიცა დილარმან, ანავსია კელმწიფამან არღარა უბრძანა რა, მით რომე ნუ უკუჲ ვაწყენინოო, გარნა ეს ოდენ უბრძანა, ვითა: დილარ, უკეთუ კრულმან მან სკვითთა მეფემან, რომელსაცა გარშარაბ მეფე ზომისაგან უმეტესად აქებს, თვით შენ გამოგითხოვოს საბრძოლველად, მაშინ შენ რასა იქმ? მე ესერა დაფარულთა გულისა ჩემისათა გამოგიცხადებ, რომე შენი ბრძოლად მოედანსა

შესვლა მე სულსა მიმიღებს და არცაღა მოთმინება შემიძლიან, და უკეთუ სიკვდილი ჩემი მოგინებებია, ეგე არა ვიციო!“ რა დილარმან თვისი საყვარელი ეგრეთ შეწუხებული ჰნახა, თვალთა ცრემლნი მოედინნა, კელი მიჰყო და გულ ამოსკვნით კოცნა დაუწყო, ევედრებოდა და მოახსენებდა: ეე, სიცოცხლისა ჩემისა სიხარულო, უკეთუ სიკვდილსა შენსა ბნელ ქმნილი გული ჩემი განიზრახავს, მაშა ვისისა სიცოცხლისა თვის მინდა კელმწიფება, ანუ თავი ჩემი, ანუ ესოდენნი ჭირნი და შრომანი, ვის თვის, გლახ, გარდავიხადენ ცუდად? მართალმან ცამან ერთსაცა წამსა უშენოდ სიცოცხლე ჩემი ნუ ჰყოს, შვებაო ჩემო, უკეთუ გული ჩემი სიკვდილსა თქვენსა განიზრახავს, აწვემცა აღმოვიგლიჯო იგი, და თვალნიმცა ჩემნი დაშრტენო! იცა მკერდსა ზედა მჯიღი, და დაიწყო გოდება, ცრემლთა უხვებით მღვრელმან ესრეთ:

შაირი.

იცემდა მკერდსა, საბრალოდ მტირალი, ცრემლთა დენითა.
იტყოდა: გულმან ვით გაჰსძლოს, მოცულმან მწარეს სენითა,
ვის თვის, გლახ, მინდა სიცოცხლე, რად ვარ ჭირებთა თმენითა,
ვნატრი სიკვდილსა, მოვიდეს ჩემზედა მალედ ფრენითა!

დილარის გულსა სიკვდილი თვისისა საყვარელისა,
უნდოდეს, მაშინ ექმნების თავსა შემოსა ბნელისა,
რად არ აღმოვგლეჯ, გადვაგდებ, რად მინდა ძალი კელისა,
თუ მალედ მოვჰკვდე, ჟამი მხვდეს ჩემისა საწადელისა!

არავინ უწყის, რაბამნი სახმილნი მეკიდებიან,
სურვილი ცეცხლად შემქმნია, ალნი წვად მემატებიან,
ყოველი ძალი სულისა ჩემ შორის ცეცხლებ ჰსდნებიან,
თუ მომისწრაფებს საწუთო, ადრითვე მენატრებიან!

ვგმობ ჭაბუკსა, ვინცა ჩემებრ საყვარელი მოაწყინოს,
მისგან კიდე რა ერგების, ჭირი ჭირზედ შეიძინოს,
ვერ გაუძლებს გული ცეცხლსა, თავი სრულად გაირკინოს,
მისგან კიდე საშვებელმან ვერა რამან მოალხინოს.

ვით იქმნების, სატრფიალოს გულმან ვნება განიზრახოს,
არ ეკრძალოს საწყინოსა, რაზომ შორით დაინახოს,
ვისცა ჰსურდეს სამარადოდ მისის ფერხით დაილახოს,
მან ვით გაჰსძლოს, საყვარელი მისგან შეჴდეს ჟამით ახოს.

ვიცი, სატრფოვო, საჩემოდ ბრძანება ესე მკვლელია,
მით რომე მზა ვარ მონებად, თავი მაქვს უშურველია,
სული შეგჰსწირო, დავიწვა, ჩემთვის არს სანატრელია,
შენს მიდამოსა დავეფლა, ახ, რაზომ სასურველია!

შენებრ ტურფამ ჩემს სამარეს, ნეტარ, თუმცა გარდიაროს,
წელი წვლილი, ნაზად მრონი, მას ზედ ჰრხევად არ აზაროს,
მიწა ქმნილმან ძვალმან ჩემმან, ვჰფუცავ, დიდად გაიხაროს,
მკვდრად მნახვიდე მონა ქმნილსა, სულის შვებად ეს მეკმაროს.

რად მინა ხედვა თვალისა, შენ გჭვრეტდე მოწყინებულსა,
დაბნელდენ ცრემლთა დენითა, დამეყვნენ ვალალებულსა,
გულსა მხურვალეედ მტირალსა, ვგრძნობდეცა დაავლებულსა,
სხვათა ყოველთა სხეულთა შევესწრა დადუმებულსა!

შენმან მზემან, თავსა ჩემსა არა სადა შევიწყალებ,
რადგან ესრეთ მეწამებით, რომე სიკვდილს არ გაკრძალებ,
აწ დასრულდეს დღენი ჩემნი, გვედრებ, ნურღა შემიბრალებ,
ბაღი ესე მესამაროს, ცრემლსა ამად ვამალმალებ.

ქმა არს, ესდენ ჟამ სიცოცხლე მე სრულად მომძულებია,
დამიპეს გული უწყალოდ, გამესხნეს მახვილებია,

სიტყვითა შევსვი სასტიკნი, ულხენი სამსალებიჲ,
სვემან შეგჰსძინოს მრავლობით ჩემთა დღეთ დანაკლებიჲ!

დილარ ესრეთ,მსმენელთა თვის სალმობელად, ლექსით ჰსტირდა,
კელსა ზედა ცრემლს ადენდა, ვისგამოცა ჭირნი ჰჭირდა,
მის წალკოტის ოთხივ კიდე გოდებასა მისსა ჰკვირდა,
თუმც ეძებდა სიკვდილის წამს, მაგრამ დიდად დაუძვირდა.

ႠႠႫႡႠႥႨ.

რა უმანკომან მან გვრიტმან თვისითა ერთითა ოდენ სიტყვითა დილარ ეგრეთ გულ მდუღარედ მტირალი იხილა, შეჰსძრწუნდა, თვალთა მათ ცრემლიანთა თვისისა უნაზესისა კელითა ხოცა დაუწყო, ტკბილითა სიტყვითა გულსა უყვავებდა და ეტყოდა: „დილარ, ჩემსა მზესა, შეიბრალე გული ჩემი! რაცა ვჰსთქვი, სიყვარულმან მათქმევინა, დღესითგან, ვითაცა გენებოს ბრძოლა ნებისაებრ შენისა განაგე, დაიშრე თვალთა ეგე უხვად მომდინარე წყაროჲ, აჰა, მე მიჰყვარ შენ, დაატკბე გული შენი შვენიერებითა ჩემითა!“ თვალთა ზედა უძვირფასესთა ბაგეთა დააკონებდა, და ტურფა გვარად ეალერსებოდა და ეტყოდა.

႘ႠႨႰႨ.

აჰა, ჩემო, სიყვარული შენგან გულსა გამებადა,
ამად, რად ჰსტირ, სურვილისა თავი მახეს დამებადა,
მეცა ვიცი, შენ საჩემოდ ღვიძლს სახმილი გეგზებადა,
სიყვარულის პელეგონსა ვჰსცურავთ ცუდ შენანებადა.

ႪႤႵႱႨ.

ადრითგანვე ესე ჟამი, ვიცი, დიდად გენატრების?
რას თვის ჰსტირ და რად მაწუხებ, გული შენი რადლა ჰსდგების!

ტ ა ე პ ი.

ქვლა საწყენსა არ გეტყოდე, მეალერსე მეხვეოდე.

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

მით ეგე ვითარითა კელოვნურითა საუბარითა დილარისა გული დააწყნარა, და მოიყვანა სინანულსა ზედა, ყელსა შეეკონებოდა, ჰკოცნიდა და მოახსენებდა: ჵე კელოვანო მკურნალო, მოუტევე ზე აღწევნილსა სურვილსა ჩემსა, მე ვით ვღირს ვარ თქვენგან ეგზომსა მოწყალებით შებრალებასა, და ამას ოდენ გევედრები, ამა მოწყალებისა კარსა ნუ დამიხშამ! ჰპოვა დილარმან თვისგან სანატრელი ჟამი და, ვითაცა ჰსურდა, ეგრეთ განუმრავლა კოცნა ბაგეთა, თვალთა, ყელსა და გულსა ზედა, მისითა სუნნელებითა აღივსო, გული განიმხიარულა და ბაგენი დაიტკბო. ვიდრე განთიადისა სახელის დებისა ჟამადმდე ეგრეთსა მხიარულებასა შინა იყო დილარ, რომე მისგან გამოთქმაცა არა შეიძლებოდა! ჰგონებდა იგი, ჟამი მას აროა მიეცილებოდა, გარნა განთიადისა მოწევნამან ერთმანერთი განჰყარნა.

შ ა ი რ ი.

საწუთოს ქცევა ბრუნვასა აქვს მრავალ ფეროვნებანი,
ორივე კელთა უპირავს—დიდება, მოყივნებანი,
თუ ალხენს ვისმე, პირს უქცევს, მალ შეხვდეს მოწყინებანი,
დღეს სკიპტროსანთა დიდ დიდთა ხვალ ეცესთ განქარვებანი.

ლ ე ქ ს ი.

თუ სურვილი გქონდეს ვისი, ჵე შენია შესატყვისი.
იყოს, მაგრამ არის მყისი, ეს გახსოვდეს ღამე, დღისი!

ტაეპი.

ნუ ენდობი საწუთოსა, ნუცა მისსა ბარანთოსა.

ჯამბაზი.

Დილარ, მოშორებისა თვის დაჭმუნებული, გამოესალმა, და საყვარელა თვისი კვლა ადრე ხილვისა თვის ნუგეშსა უბრძანებდა. იგი თვისსა გზასა შეუდგა, და იგა თვისთა შიმუნვართა ესრეთ უბრძანებდა: „ვერა ჰხედავთა, მნათობნო, რომე ჩემისა დილარისა გული ესრეთ გაუტეხია სიყვარულსა ჩემსა, რომე ერთისა სიტყვისა თქმაცა ვერღა მოუთმენია, და შვენიერთა თვალთა ცრემლთა არა მოაკლებს; ამად ვიშიშვი მისსა მოედანსა შესვლასა, რომე ვინაჲთგან ტრფიალებასა ესრეთ გაუტეხია, ნუ თუ უბედურობა ჩემი ესრეთ განმრავლდეს და მტერთაგან იძლიოს და სიცოცხლეცა ჩემი მისსა ძლევასა თანა დასრულდებისო.“ მან ბრძანებამან მნათობი ზეფირ განამხნო და მოახსენა: „ჴელმწიფაო! მაგა გვარითა ჰაზრითა თქვენ ნუ ჰსჭმუნავთ, დილარისა მძლეველი განგებასა სოფელსა შინა არა შემოუყვანია ერთისაგან კიდე და მის ერთისა სიფრთხილე დიდად გვმართებსო. მყისად ზედა მიატანა კელმწიფამან და ჰკითხა: „მნათობო, მითხარ, ჩემსა მზესა, ვინ არს ერთი იგი, რათა მისგან განვაფრთხილოთ და ვარიდოთო?“ მაშინ ზეფირმან მოახსენა: „ჴელმწიფაო, — თქვენ, მზემან თქვენმან, და სხვა არა ვინ არს მძლეველი მისიო!“ მით მოხსენებითა შეწუხდა ანავსია ჴელმწიფა და უბრძანა: „მნათობო ჩემო, შენცა იცი, ვითა ვეკრძალვი წყინებასა მისსა, და ესეცა მირწმუნებია შენთვის, რომე ამა მოკლეთა დღეთა განვამხიარულებ გულსა მისსა მოწყალებითა ჩემითა; და აწ, ზეფირ, მსურს, რათა კაბა იგი მარგარიტისა, რომელიცა ეცვა მას ზედა, მისეულად მე შევიკერო იგი, ხოლო სამაგიეროდ მისსა შევედ სალაროსა, ერთი კაბა სრულისა ბრილიანტისა გარემო და

ფესვედ იაგუნდიანი, და ერთი კაბა იაგუნდისა, გარემო ბრილიანტ მოვლებული, აღიღე, ხვალ წარუვლინე და იგი კაბა ჰსთხოვე, მსწრაფლად შემიკერეთ, რათა მისეულითა კაბითა ვიხილო იგიო." ესე უბრძანა და განსვენებასა მიეცა. მნათობმან ზეფირ განაღა ბრძანება იგი მყისად აღასრულა.

აქა წინაშე დილარ მძლეველისა მნათობისა ზეფირისა მიერ წიგნისა მიწერა, მის მარგარიტისა კაბისა თხოვა და მონასა წარვლინება.

დილასა ადრე მისწერა წიგნი დილარსა და კაბა იგი ჰსთხოვა თვისისა საყვარელას მაგიერ, იგი უძვირ ფასესნი კაბანიცა გაუგზავნა, მონასა თვისსა მისცა, და ესრეთ მიუწერა.

შაირი.

მიუწერა: ლომო, შენთვის მზემან შუქნი გაამდიდრა,
უკუნს ხაოსს განგარიდა, ბნელი უფსკრულს დაამკვიდრა,
ცრემლთა შენთა შეწყალება გულსა თვისსა მიიმზიდრა,
ტრფობა შენი მანცა მრავლად მოივაჭრა, მოიმსყიდრა.

მალედ მოგივლენ წამები, თვით შენგან სანეტარები,
არ ცუდად გდინდა თვალთაგან უხვად ცრემლისა ღვარები,
აჰა ბნელს გულსა მოგფინა ცამან წყალობის დარები,
ადრე იხილო, რაცა არს თვით შენგან შენაყვარები!

შენმან გთხოვა სატრფიალომ, რომე ტანსა კაბა გცმოდეს,
იგი ჰნებავს შენეულად შეიმოსოს, მას ეტრფოდეს,
მისი თვისდა მიგიზიდოს, არღა გული ველად გრბოდეს,
სხვა ესრეთი ჟამი ტკბილი გღირსებია არა ოდეს.

შენთვის შეიქმნა აწითგან წალკოტის კარნი ღიანი,
ვარდისა კვალსა გელირსა, შეხვალ კელმწიფე სვიანი,

დაგხვდების ყვავილ მრავლობა და იგი ნაზნი იანი,
გნატრი, კოკობი ვარდი დაიკელთო სუნნელ იანი.

გამოჰგზავნე იგი კაბა, ჰქმენ საქმისა მოჰსწრაფება,
შეუმზადო, ვიდრე მისი განილვიძებს კელმწიფება,
ანუ იგა მნათობთ დასნი მზესა თანა შემოჰკრბება,
ნუღა ჰბნდები, შენთვის არის მისის გულის იეფება.

ამა მონასა ამის თვის ვუქმენ შენთანა ჰფრენადა,
შენისა საყვარელასი მაქვს ძლვნისა გამოჩენადა,
მისეულითა შეიმკევ ტანი, გულსა გხვდეს ლხენადა,
დაგვიწყდეს ჭირნი ყოველნი, მოგშორდეს სევდა სენადა.

ამავე დილით მოვასწრა, მე ესე მესწრაფებიან,
მალედ მიგზავე, სამყისოდ ,ნუღარა გეყოვნებიან,
ვითა ზეგარდმო ბრძანება, მისნი არ დაიგდებიან,
მას ვიმოქმედებ, რაცაღა თვით გულსა გეწადებიან.

აწ გაბრჭე ბრძნულად საშენოდ მისგან გულისა დადება,
შენის შვებისა წალკოტის შენთვის საამოდ მზადება,
ვითღა იქმნების უმეტეს მისგან სურვისა ცხადება,
შენთვის ისწრაფის, ნუ გინა სიტყვისა კვლა და კვლადება.

რა არწივი შავარდენსა თვისსა ნებას მოიყვანებს,
არ მიჰხედავს გვიძინსა და თავსა მაღლად აღიყვანებს,
ნუ თუ მისებრ დაგავიწყდე, ადრე გჰკადრებ ამისთანებს,
სამსახური შთამიტარო, საქმეს მისცე შეუგვანებს!

ლექსი.

მაშინ, გვედრებ, სამსახური ჩემი არა დაივიწყო,
სვე სრულობის უტლსა იჯდე, ნაცვლად წყალობა მომიწყო.

ტ ა ე პ ი.

მთხოვ ვედრებით, არ მანაღვლო, ვით ღირს ვიყო, აღმამაღლო.

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

Ოდეს ზეფირისა მონა წინაშე დილარისა მივიდა, ჯერეთ ცხედარსა ზედა განისვენებდა. მონამან თაყვანი ჰსცა, წიგნი იგი მიართვა, და კაბანიცა წინა მიუძღვნა. დილარ მძლეველმან წიგნი ზეფირისა მხიარულებით აღმოიკითხა, და იგი კაბანიცა იხილა. ვითარ ჰშვენოდა, ეგრეთ სიხარული მოემატა. მსწრაფლად ჰბრძანა, იგი კაბა, რომელიცა ზე ჰსცმოდა, მოაღებინა, და სხვანი ხუთნი კაბანი სრულად სხვილითა მარგალიტითა ნაკერნი, საქალოდ ტურფად შემკობილნი, ზოგთა გერდივ და ფესვედნი ისპისანი ჰქონდეს მოვლებული, ზოგთა იაგუნდისა, ზოგთა ბრილიანტისა, ზოგთა ზურმუხტისა და ზოგთა სარდიონისანი, იგინი მონასა მას მისცა და ზეფირს შეუთვალა: „მნათობო, ყოველივე გულისა შენისა ნება აღვასრულო, და ამას ღამესა, რა ჩემისა სატრფოჲსა ხილვასა ღირს მყოფ, თქვენ თვისცა ძღვენსა ვეცდებიო."

ქაა ზეფირის მონისაგან დილარისეულთა კაბათა მიტანა ზეფირისა წინაშე, და ზეფირისაგან მირთმევა თვისისა ქელმწიფისა წინაშე.

Მონამან დილარისა ძღვენი ზეფირისა თანა მიიღო და სიტყვანიცა მოახსენა. იგა ზე აღჰსდგა და წინაშე ჴელმწიფისა თვისისა აღიტანა. მას, მჰვრეტელთა დამწველსა, ახლად გამოღვიძებოდა, და, ვითა ათხუთმეტისა დღისა მთოვარე, ეგრეთ დალიჰითგამო ანათობდა. ზეფირმან ძღვენი იგი დილარისა მიართვა და სიტყვანიცა, გულისა მოსაზიდავნი, მოახსენა. მან, მზისა ნათლისა მოწუნარემან, იგი ყოველნი განიხილა, დიდად მოეწონა, ტანსა ზედა ჩაიცვა, და ესრეთ ჰამო-

ადგეს, რომე, ჰგვანდა, მისთვის გამოჭრილნი ყოფილ იყვნენ, უზომოდ იამა და ჰბრძანა: „საყვარელი ჩემი დილარ ესრეთ მტრფიალი არს, რომე ჩემისა სამსახურისა სიყვარულითა მკერვლობაცა თვითვე უსწავლია, და ეგე ვითარსა ჩემსა მონასა მეცა თავი ჩემი არღა დაუძვიროო.“ მასვე ჟამსა მოუწოდა ხუთთა მნათობთა, კაბა იგი დილარისა დააშლევინა და მუნვე შეაკერვინა.

აქა წინაშე დილარ მძლეველისა შეჰკრბეს უდიდესნი იგი კელმწიფე მეფენი და დიდებულნი.

Იწყეს მხიარულება, და მათ უბრყვილოთა მნათობთა ზედა ქებისა თქმათა განმრავლებაჲ. იტყოდეს მტრფიალნი მათნი: ნეტარძი ჩვენდა! ჟამი იგი, რომელსა შინა მათგან დაისრულნი, გულნი ჩვენნი, მათ თანავე ხლებითა, განიკურნენო! ზოგნი ხილვისათვის მათისა ცრემლთა უხვად აღენდეს, ზოგნი სრულსა ცნობასა არღა იყვნეს, და რაჲღა ითქმოდეს? ერთი ერთისაგან უსაბრალოესნი იყვნეს. მათ შორის დილარმან გული განიმტკიცა, განმხიარულდა და ჰბრძანა პურისა მოღებაჲ. საურმაგ მეფესა პური ადრითვე მზა ექმნა, მოიღეს და შეჰქმნეს მხიარულებით მოყვარულთა სხუათა და სხვა გვართა ღვინოთა სმაჲ.

აქა სკვითთა მეფისა ხაყანისა მოსვლა მზისა ქალაქისა მოედნისა კიდესა ზედა მრავლითა ათასითა მეომრითა და გულოვანითა ფალავნითა.

Მოვიდა კაცი წინაშე დილარ მძლეველისა და მოახსენა, ვითა: „უდიდებულესო კელმწიფეო, მოვიდა მეფე იგი სკვითთა ხაყან და აღივსო ერთ კერძო კიდე იგი მოედნისა მეო-

მართა გულოვანთა რაზმითაო. დილარ უმეტესად მას მოხსენებასა ზედა მოხარულ იქმნა, და ჰბრძანა ქალაქისა საყვირთა ცემისა განმზადებაჲ. მასვე წამსა უცეს მოქალაქეთა საყვირთა, და გახშირდა ჴმა სამვიკთა, მუსიკთა, ებან ქნართა, ორღანოთა, დუმბულთა, ტაბლაკთა, ყვირო სტვირთა, სპილენძ ჭურთა, ზროხა კუდთა, ნაღარათა და ქანარათა. მათ მომატებულთა საკრავთა ჴმიანობასა ზედა ჰგონა მეფემან ხაყან მებრძოლთა განმზადება და მუნით მანცა აკრევინა საომართა საყვირთა, და უბრძანა ასთა უჩინებულესთა ყოველთა სკვითელთა შორის სახელოვანთა ფალავანთა, ვითა: „მივედით და თავსა ჩემსა გაფუცებთ, რათა უკეთუ კელმწიფე იგი შემოვიდეს მოედანსა ზედა საბრძოლველად, რომელსაცა მძლეველობით უხმობენ, ვითა მაქვს თქვენგან იმედი, ეგრეთ მარჯვედ იყვენით, ცოცხალი შეიპყარით და წინაშე ჩემსა მოიყვანეთო.“ მათ გმირთა, თავისა თვისისა მოიმედეთა, აღუთქვათ პატრონისა თვისისა თვის შეპყრობაჲ დილარისა. ესე ყოველივე მოახსენა ჯანუჯან ვაზირმან დილარ მძლეველსა, მით რომე ჰყვანდეს კაცნი ეგე ვითარნი, რაჲსაცა მომავალნი სამტეროდ კელმწიფენი და მეფენი ჰბრძანებდენ, ყოველსავე ჰსცნობდენ და მოახსენებდენ ვაზირსა. რა ჯანუჯან ვაზირმან იგი სიტყვანი მოახსენა დილარ მძლეველსა, მადლობა უბრძანა.

აქა ხაყან სკვითელთა მეფისა ასთა ურჩეულთა ფალავანთა და დილარ მძლეველისა ერთისა ათასთაგანისა მოყმისა ლომ ფოლადისა ბრძოლა ძლიერი.

მსწრაფლად უბრძანა დილარ მძეველმან ერთსა თვისთა დიდებულთა ძესა, მოყმესა ლომ ფოლადსა, ვითა: „ლომ ფოლადო! ჩემსა მზესა, ალჰსდეგ, შეიპურე, და უკეთუ მათ დაქადებულთა ფალავანთა ამა პურობასა ზედა აქა დაკრულთა

არა მოიყვან, ცოცხალი ნურღა მეჩვენებით." მას ბრძანებასა ზედა აღჰსდგა ლომ ფოლად, გარე განვიდა და შეიჭურა. მაშინ ჯანუჯან ვაზირმან მოახსენა: „ძლიერო კელმწიფეო, მათ ფალავანთა დიდად გამოცდილთა და ლომ გულთა იტყვიან, და, უკეთუ ინებებთ, სხვანიცა მოყმენი თან გავაყოლოთო." გარნა დილარმან ჰრქვა: „ბერო ვაზირო, უკეთუ ლომ ფოლად ჩემ თანა ზრდილი არს, სხვა მეშველი არღა უნდაო." გარნა ზორასტან მეფესა უბრძანა: „მეფეო, აღჰსდეგ, ათასნი კაცნი თანა იახელ და ლომ ფოლადისაგან ჩამოყრილთა ფალავანთა დაჰკვრიდეთო." გჰსჯდა ცხენსა მოყმე იგი დილარისა, მივიდა მოედანსა ზედა, და თანა მიყვნენ ზორასტან და მწყობრი მისი. უცემდეს საყვირთა და იყო კმიანობა დიდი. ლომ ფოლადმან ცხენი შეითამაშა და იწყო ნავარდობა მოედანსა ზედა. მაშინ მოუხდა ერთი ასთაგანი მათ ფალავანთა, რომელიცა, ჰგვანდა რომე, უპირველესობდა მათ შორის და შემოჰსძახა: „ჭაბუკო, შენ ხარა მეფე იგი აბაშთა დილარ, რომლისაცა შესაპყრობელად მოსრულ ვართ? ანუ იგი დაიმალა შიშითა ჩვენითა და შენ ნაცვლად მისსა მოსრულ ხარ ამა მოედანსა ზედა თავისა შენისა სასიკუდილოდაო!" მას ჴმასა ზედა გაჰრისხდა მოყმე იგი ლომ ფოლად და შეჰსძახა: ბედშაო, ვითა ღირს ხარ დიდისა მის კელმწიფისა სახელისა ხსენებასა? მე მონა ვარ მისი და ამასვე ჟამსა დაგიმდაბლო თავი და შეკრული მიგართვა კელმწიფესა ჩემსაო! მას სიტყვასა ზედა გაჰსწყრა ფალავანი იგი და ზედა მოუხდა კმალ მოწვდილი. დილარისა მოყმემან კლმიანი კელი შეჰსტაცა და ერთი კელი სარტყელსა ჩაავლო, აზიდნა, აღგლიჯა უნაგირისაგან, შეჰსტყორცნა სხვასა, და ორნივე ქვე უსულონი დაეცნენ. მაშინ იგი ყოველნი ფალავანნი გარე მოეხვივნენ, და დაუწყეს ცემა კლმითა, ლახტითა, აფთითა, შუბითა და დაასხეს ისარნი მრავალნი. მოყმე იგი, მათ ფალავანთაგან შეიწრებული, იარაღსა ვერღა ჰკმაროობდა, დჟავლის კაცსა და ცხენსა კელი, აღიღის, სხვასა შეჰსტყორცნის, და ეგრეთ

ჰყრიდა ფალავანთა მათ. თურე დიდად ჩინებულნი გმირნი იყვნეს იგინიცა, სამსა ჟამსა გულ მესისხლედ იბრძოლეს, და ესრეთ ყოველთავე ჰსძლია, ჩამოჰყარნა და ზორასტან მეფისათა დაიპყრეს, გარნა იგიცა ლომ ფოლად მოყმე სამსა ალაგსა დაჭრილი იყო, მკლავთა და ფერხსა ზედა. სკვითელთა ჰკრეს გასაყრელსა საყვირსა, მოყმე იგი გამობრუნდა, და პყრობილნიცა იგი წარმოიყვანეს. ლომ ფოლად შევიდა, თაყვანი ჰსცა დილარს, გამარჯვება მიულოცა და კელსა აკოცა. დილარმან პირსა აკოცა, უბრძანა საჭურველისა ალხდა და წყლულთა შეხვევა. იგი გარე გამოვიდა, საჭურველი აღიხადა, დასტაქართა წყლული შეუხვიეს; შევიდა და პურობასა ზედა დაჰსჯდა. დილარმან კრულნი იგი საპყრობილესა წარავლინა. მაშინ შევქმენით უმეტესი სმა და მხიარულებაჲ მწუხრისა სახელისა მოწევნადმდე, და მას დროსა ჰქმნეს დაშლაჲ პურობისა და წარვიდნენ ყოველნივე თვის თვისთა სავანეთა. დილარმან განმზადნა ოც და ოთხი სხვილისა მარგარიტისა კაბანი, რომელთაცა ევლო ყოველთა კიდეთა ზედა უსასყიდლოთა თვალთა არშიანი, უცხო გვარად რაღმე კელოვნებული; იგინი მძიმედ მოოჭვილსა ლუსკუმასა შინა შთააწყობინა და თვით საყვარელასა თვისისაგან ბოძებული კაბა შეიმოსა, და ეგრეთ განმზადებული მოელოდა მნათობისა ზეფირისა მონისა მოსვლასა.

აქა ზეფირისა მონისა მოსვლა წინაშე დილარ მძლეველისა მისაწვევლად საყვარელსა თვისისა თანა, დილარისა წარსვლა და ორ ათ ოთხთა მნათობთა თვის მარგარიტისა კაბათა ძღვნად მიტანა, და ალერსი მუნ დილარისა თვისს ვარდსა თანა.

ოდეს მონა ზეფირისა მოვიდა წინაშე დილარისა მისაწვეველად, იგი ლუსკუმა მას მონასა უბოძა და ეგრეთ გაემართნენ; ბაღისა კარსა ზეფირ წინა მიეგება, შინა შეუძღვა

და კარნი დაკრძალნა. მივიდნენ მას ადგილსა, სადა ანავსია კელმწიფა, ვითა ცასა ზედა მზე შარავანდედ განმრავლებული, ჰბრძანდებოდა, და მოკამკამეთა ვარსკვლავთა სიმრავლე გარ ახლდეს, დილარისაგან ძღვნობილი კაბა ტანსა ემოსა, და ესრეთ ჰშვენოდა, რომე შემხედველთა ცნობასა მიჰხდიდა. დილარმან ტახტსა წინა ქჳს დამხობით თაყვანი-ჰსცა, იგა უბრყვილონი მნათობნი ზე აღჰსდგნენ და მოესალმნენ. დილარმან ტკბილითა უბნობითა მოიკითხნა, და ესრეთ საყვარელმან თვისმან მიიწვია ტახტსა ზედა. დილარმან ზრდილობიანისა ქცევითა კვლა თაყვანი-ჰსცა, ეგრეთ აღვიდა, კელსა აკოცა და გვერდსა მოუჯდა. უბრძანა სიყვარულისა თვისისა ცეცხლითა შემწვარსა დილარს, ვითა: „ლომო ჩემო, უზრდელად დავშთი შენისა დიდებულისა ძესა თანა, გარნა, მზემან ჩემმან, არა დავაგდებ არცა ერთსა ყმასა შენსა უჯილდაოდ, და ნუ თუ გულსა შეაკლდესო?“ დილარმან თვისისა სამავალითოსა ენითა მადლობა შეჰკადრა და მოახსენა: „კელმწიფაო, პატრონი მათი თქვენისა ჩრდილისა მონა არს, და მათზედა ეგე ვითარი ბრძანება რად გმართებსთო?“ შემდგომად ჰსთხოვა ვედრებით, რათა მათ მარჯულ და მარცხულ მსხდომთა მნათობთა თვის ძღვნისა მირთმევისა ნება ებრძანებინა. მან დია მოხარულითა გულითა ნება ჰსცა. მაშინ აღჰსდგა დილარ და სადა ლუსკუმა იგი ხისა ძირსა დაედვა, თვით მოიღო წინაშე ტახტისა მის, აღმოიღო თვითოჲთა ბოხჩითა' და თვითოსა მნათობსა წინაშე მიართვა, და ყოველთავე აკოცა, მათ მნათობთა მადლობა მოახსენეს. დილარმან კვლა მადლი გაუმეორა, აღვიდა და თვისსა საწადელსა ადგილსა დაჰსჯდა. უბრძანა ანავსია კელმწიფამან მათ მნათობთა თვისთა დილარისაგან მიტანილთა კაბათა შემოსა; იგანი, ბრძანებისა მორჩილნი, აღჰსდგნენ, მრავალ ფოთლოვანთა კინამოთა ხეთა მოეფარნენ, და შეიმოსეს მარგარიტისა კაბანი, და ესრეთ წარმოვიდნენ საწადელითა ჰრხევითა, ვითა გავსილნი მთოვარენი, მოჰსდგნენ ტახტისა წინა, ორთავე მათ სატრფოთა

კელმწიფეთა თაყვანი-ჰსცეს, მადლობა მოახსენეს და თვისთავე ადგილთა დასხდეს, იწყეს მხიარულება და განთიადადმდე დილარ ბაგეთა თვისთა ჰრქვა განაშორებდა თვისსა მას სატრფიალოსა ვარდსა, და განიმხიარულა გული თვისი, მრავალთა წელთა მგოდებელი მისთვის, ხოლო ჟამსა განთიადისასა მრავლითა სურვილიანითა ალერსითა გამოესალმა, მოვიდა და თვისსა საწოლსა განისვენა, მრავლითა მხიარულებითა ალვსილმან. ოდეს დილარმან გამოიღვიძა, უბრძანა საურმაგ სახლისა უხუცესსა, რათა პური მის მოედნისა კიდესა შეემზადა, პირის პირ სკვითელთა მეფისა ხაყანისა. საურმაგმან ბრძანებული იგი მალიად აღასრულა. მაშინ შეჰკრბნენ ყოველნი მეფენი და დიდებულნი, და განვიდნენ სადა პური განემზადა საურმაგს, განეწყო ყოველივე ტახტნი და სულნი მრავალნი და პურიცა ზედა მათსა მზა ექმნა, დასხდნენ და იწყეს პურობა და იყო საკრავთა კმიანობა მრავალი. რა სკვითელთა მეფემან იხილა პურობა იგი დილარისა, მანცა თვისსა კიდესა მოედნისა პირად გამართა პურობა, დაჰსჯდა, დაისხნა დიდებულნი თვისნი, და დაიწყეს მათცა პურობა და მხიარულებაჲ. ხაყანმან აღავსებინნა ასნი ჰიქანი, უბოძა ასთა ფალავანთა თვისთა, და უბრძანა: „ეგე შესვით, და დღეს მოედანსა ზედა ნავარდი თქვენი არსო.“ მათ, თაყვანის-მცემელთა მეფისა თვისისათა, შესვეს წვენი იგი ყურძნისა, შეიჭურნენ, შემოვიდნენ საბრძოლველსა ადგილსა, უცეს საყვირთა და შეიქმნა ზარისა დასაცემელი კმიანობა.

აქა მისრის ქალაქისა მოედანსა ზედა დილარისა ერთისა მოყმისა და ასთა ფალავანთა ხაყანისათა ბრძოლა ძლიერი და ჭვრეტა ყოველთა მეფეთა და დიდებულთაგან

ჩვენ კერძო უბრძანა უდიდებულესმან მონარხმან დილარ მძლეველმან ერთსა თვისსა დიდებულთა ძესა სარდიონს, ვი-

თა: „აღჰსდეგ და, ვითა გმართებს ჩემ თანა ზრდილსა, ეგრეთ გამეჩვენეო.“ მასვე ბრძანებასა თანა მსწრაფლად აღჰსდგა მოყმე იგი სარდიონ, თაყვანი-ჰსცა დილარს, ჴელსა აკოცა, გარე გაჰსდგა, შეიჭურა და გაჯდა ცხენსა და ფიცხელად ზედა მიუხდა მათ. იგინი თურე ლომ გულნი ჭაბუკნი იყვნეს, და დაიწყეს სასტიკი ბრძოლა. იწყო კმა ჴაფად ზახილი სარდიონ, ვითა: ლომო დილარისაო და გულოვანო აბაშიურო, აჰა დღე დიდებისა შენისა, ჰსძლიე მტერთა შენთა, და განადიდე სახელი შენიო!“

შაირი.

გულოვანი ჰკამს არ უდრკეს მტერთა თვისთა მრავლადობას,
არად ჰრაცხდეს გულ მწყობრობით შეომართა ათასობას,
არ მიხედოს ბასრთა მახვილთ, ისარ მშვილდთა შიმშერობას,
მკლავთა მტკიცედ ახმარებდეს, მბრძოლნი მისცეს მყისად სპობას.

ჰამბავი.

Ⴄბრძოდნენ სკვითელნი იგი ფალავანნი ძლიერად დ იჭირვოდენ სასტიკითა კუწთებითა, ვითარ სამი ჟამი, გარნა რა კაცსა ბედი გაჰსწირავს, მოჭირვება არღარას თურე არგებს. სარდიონ, ლომი იგი აბაშიური, გამესისხლდა მათ ზედა, კისკასად გურზისა ცემითა იგი ყოველნი ცხენით შთამოჰყარნა, ჴელნი დაუკრნა და წინაშე დილარისა მოიყვანნა, თაყვანი ჰსცა, ჴელსა აკოცა. დილარმან პირსა აკოცა და მადლობა უბრძანა. იგი ფალავანნი საპყრობილესა წარავლინნეს. სარდიონ საჭურველი აღიხადა და თვისსა ადგილსა დაჰსჯდა და შეიქმნა სმა და მხიარულება. აქებდა ლასურ პეკინისა იმპერატორი დილარისა მოყმეთა და იტყოდა: „არა არს პირსა ზედა ქვეყანისასა დილარისა მოყმეთაებრი ჭაბუკიო!“ დილარ მოხა

რულობდა, იგი დღე და ღამე მას მოედანსა ზედა არა მოე-შვა პურობასა. გარნა მეფე იგი სკვითთა ხაყან შეწუხდა და იტყოდა, ვითა; „დღეთა შინა ჩემთა ესე ვითარი შემთხვევა არა სადა მომსვლია, სწორ უპოვარნი ფალავანნი ჩემნი, რომელ-თა ჰმსგავსნი ქვეყანასა ზედა არა იყვნეს, ესრეთ ადვილად იძ-ლევიანო." მეორესა დილასა დაშალეს პურობა, და მივედით სახლთა ჩვენთა. მაშინ კვლა მას სკვითთა მეფესა გამოეგზავ-ნა მოციქული და შემოეთვალა; ვითა: „კელმწიფეო დილარ! არიან ძლევითა განდიდებულნი ყმანი შენნი, დღესცა შეებ-ნენ ასთა ფალავანთა ჩემთა და მათნიცა ბრძოლანი გამოვჰს-ცადოთო." დილარმან მას მოციქულსა მრავალი უბოძა და პა-სუხად შეჰსთვალა: „მეფეო, ვინათგან გიბრძანებია, მაგა განწე-სებასა ნუღარა მოშლიო! უბრძანა საურმაგს, პური მასვე ად-გილსა შეაკაზმვინა, გაჰბრძანდა დილარ და თანა გაჰყვნენ მოყვარულნი მისნი, დასხდენ და შექმნეს სმა და მხიარულე-ბაჲ. მეორით კერძო ეგრეთვე დაჰსჯდა მეფე სკვითთა. უცეს საყვირთა და შემოგზავნნა ასნი ფალავანნი თვისნი მოედანსა ზედა. მაშინ დილარმანცა უბრძანა ერთსა მოყმესა თვისსა ზუმრუთს, შეიჭურა, გაჰსჯდა ცხენსა და მივიდა მოედნისა კი-დესა ზედა.

აქა მზისა ქალაქისა მოედნისა კიდესა ზედა დილარ მძლეველისა მოყმისა ზუმრუთისა და ასთა ფალავანთა სკვითელთა ბრძოლა ძლიერი.

Iგი სკვითელნი ფალავანნი განრისხებულნი იყვნეს, და მყისად დაიწყეს ფიცხელთა ისართა სროლაჲ. ზუმრუთმან ფა-რი კელთა მიიცა, და ისართა მათგან არა რაჲ ევნო. რა ფა-ლავანთა მათ ისარნი დაელივნეს, მოუხდნენ კლმითა, და ჰგონებდეს ძლევასა მისსა, გარნა კმალნი მათნი მონაქნევნი რა აბაშიურსა საჭურველსა ეკუეთის, მყისად დალეწილი ქვე დაჰსცვივის. კულა შუბითა იწყეს ხშირად კუეთება და ლახ-

ტითა ცემაჲ. გარნა ლომი დილარისა მოყმე ზუმრუთ ჰსდგა მოედანსა ზედა ვითა მყარი კლდე და გამოჰსცდიდა ძლიერებასა მათსა. რა ყოველნი იარაღნი თვისნი სკვითელთა მათ იხმარნეს. და მოპირის პირე უვნებელად იხილეს, განრისხებულნი გარე მოეხვივნეს და დაუწყეს ლახტითა ცემაჲ. დილარისა მოყმემან სასტიკითა ჴმითა შეჰსძახა ლექსი ესრეთ:

შაირი.

თქვენ, ავ თესლნო, განცოფებით ერთზედ ასნო შეკრებილნო,
სამესისხლოდ მოსეულნო, ისარ შუბით ჴმალ მოწვდილნო,
აჰა ჟამი, მტკიცის გურზით დაგლეწო და დაგაწბილნო!
ერთსა ყმასა ეგ ზომ გმირნი ვითა მებრძვით, შერცხვენილნო?

ჰამბავი.

ზუმრუთმან რა შაირი ესე შეჰყივლა, მიჰყო გურზსა ჴელი და პაშტასა დროსა იგი ფალავანნი ქვე შთამოყარნა, მკლავნი დაუკრნა და წინაშე პატრონისა თვისისა მოიყვანნა, დილარს ჴელსა აკოცა, საჭურველი ალიხადა და თვისსა ადგილსა დაჰსჯდა. მაშინ კვლა შექმნეს მათ ჴელმწიფეთა და შეფეთა სმაჲ, და იყო მხიარულება განდიდებული. დილარ მათ საბრალოთა ტყვეთა თვის ფრიად ილმობდა და ჰრქუა ლასურ; „ძმაო, მეწყალევის პყრობილნი იგი ფალავანნი და მნებავს, რათა განვათავისუფლნე ყოველნივეო. ლასურმან მოახსენა: „ჴელმწიფეო, ვითარცა გნებავს, ეგრეცა იქმოდეო.!“

აქა დილარ მძლეველისაგან ყოველთა სკვითელთა ფალავანთა პყრობილთა განთავისუფლება და შეწუხებულთა გაგზავნა მათი სკვითთა მეფისა თანა.

უბრძანა დილარ მძლეველმან და ყოველნი იგი პყრობილნი ფალავანნი მოაყვანინა, ტანსა ძვირ ფასნი შემოსნა

შესამოსელნი, მას პურობასა ზედა დაჰსხნა, პურობითა განამხიარულნა და საბოძვრითა აღავსნა, შემდგომად უბრძანა: „ძმანო ჩემნო, თავმან ჩემმან, ხართ კარგნი კაცნი და პატრონისა თქვენისა ერთ გულნი. აწე ჩემგან გულ კლებულნი ნუ იქმნებით. ეგერა თავის უფალნი ხართ, და მეფესა თქვენსა თანა მრისწრაფენითო.“ თვითო ტაიჭი და თითო კელი საჭურველი ყოვლისა თანა უბოძა, და ესრეთ გულნი მათნი განამხიარულნა, მათ მიწადმდე თაყვანის მცემელთა მადლობა მოახსენეს და ესრეთ მადლიერნი წარვედნენ. მწუხრისა ჟამსა პურობაცა მოშალეს და თვისთა ვანთა მიჰმართეს.

მას ღამესა დილარისა გულსა დიდი რაჲმე განუსვენებლობა მიეცა ხილვისა თვის საყვარელისა თვისისა, და იტყოდა: „გულისა ჩემისა ჴელმწიფა და ჴელმწიფებისა ჩემისა მბრძანებელი თვისსა ბურჯსა შინა, ვითა მზე, ყოველსა ანათობს ქვეყანასა, და მე აქა ამა ლბილსა ქვეშ საგებელსა, ვითა პირ გამახულთა ეკალთა შორის, განუსვენებლად ვჰსწევარ. ყოვლისა ქვეყანისა ჴელმწიფენი და მეფენი მისითა სურვილითა ცეცხლსა ემსგავსებიან აღტყინებულნი, და ესრეთ უშურველად სისხლსა ჰღვრიან, და მე, განსვენებული შრომათაგან, ვილევი ტრფიალებითა! არა ვიცი, ოდეს იქმნების ცეცხლისა ამის ჩემისა დაშრეტა და ოდეს მოიწევის დღე იგი სიხარულისა ჩემისა. ნუ თუ ესდენთა დროთა განგრძობასა შინა გული თვისი შეჰსცვალოს, მე გამწიროს და დავშთე ქვეყანასა ზედა ჭირ განმრავლებულიო.“ ესე ვითარითა საგონებელითა ცხედარსა ზედა ჰსთრთოდა და იტყოდა: „ეჰა სვეო ჩემო, ნეტარ თუმცა ამა ჟამსა ესე განუსვენებლობა ჩემი მას ედემად აღყვანებულსა გამოუცხადო, შებრალება ჩემი გულსა მისსა დაჰნერგო და მიწოდება ჩემი ანებებინოო!“ დილარ რა ესე ვითარსა საგონებელსა შინა იტანჯებოდა და ცხელსა ოფლსა შინა ჰსცურვიდა,

აქა ზეფირის მონის მოსვლა წინაშე დილარ მძლეველისა და ბაღს შის მიწვევა საყვარელსა თვისსა თანა, დილარისაგან მხიარულებით შეწყნარება მონის მის და წარსულა.

შეყუსეულად მონა ზეფირისა შემოსდგა, ეჯიბსა თანა მოვიდა და დილარისა ხლება გამოუცხადა. ეჯიბი მოკრძალვით საწოლსა შინა შედგა და მოესმა კმა ოხვრისა მრავლისა: დილარს რა ფერკთა კმიანობა მიესმა, სიხარულით ზე წამოიჭრა და ჰსთქვა: „ნუ თუ ბედმან შემიბრალა და ზეფირისა მონა იყოს!“ ეჯიბმან თაყვანი ჰსცა და ზეფირისა მონისა მოსვლაჲ მოახსენა. დილარმან მყისად მოუწოდა, და მონამან ჰკადრა: „კემწიფეო, ნუღარასა ჰყოვნი, ყოველივე ბაღისა მიდამო მზისა თქვენისა ელვარებითა განათლებულ არს და ზეფირ კარსა ზედა მიგელისო.“ დილარს კმა იგი განმაცხოველებ ექმნა და, თუ ჰსთქვა, მკვდარი განჰსცოცხლდა (ავქსონისა მიერ) ჵ˝ი ამათო საწუთოო, რომელსაცა შენსა ჩიჩქინურსა შეამწყვდევ, გულსა საწამოსა სიყვარულითა ესრეთ შეუპყრობ, ვითა მფრინველთა აშრიალითა, გონებასა მიხდი და მოკუდავისა გორცისა სურვილითა, უკუდავსა მას საშვებელსა დაავიწყებ, მრავალნი, ნებისა შენისა მიმყოლნი, უკანასკნელ ტირილსა და ვაებასა მიჰსცემიან და მიდევნება შენი არღარად შეჰსწევნიათ. ნეტარძი გულსა მას, რომელიცა შენსა დაუდგრომელობასა მიხედავს, ზურგსა შეგაქცევს. და მის ერთისა საწადელისა სატრფიალოსა თვის შენისა სიძულილისა ელმავსა შეიმოსს (უბადოო საწუთოვ) უთვალავნი მოშხამულნი ქეიბურნი ჯელთა გიპყრიან, თვალთა და პირთა ტკბილად რაღმე მოსაჩვენებელი და გულისა უფროს ნაღვლისა დამამწარებელი. (უჰამარავნი შენნი მოძულენი სამიმდემოსა სიტკბოებითა იხარებენ და უმრავლესნი, შენგან დამბრმალნი, უნუგეშინის ცემოჲთა ტყებითა იგლოვენ. (ყოველთა კეთილთა მაკეთმან მან ზენკალმან, შენისა მძლავრისა კელისაგან განგვარინოს და საუკუდაოსა მას ფუფუნებასა აღგვა-

ტროფოს) თუმცა დილარისა ესე სურვილ განმრავლებულება არა საგმობელი არს, მით რომე ცოლ-ქმრობისა თვის იჭირვის, გარნა ესეცა დაუდგრომელ და ამაოვე არს.

Ოდეს დილარმან ზეფირისა მონისაგან იგი მიწვევისა კმა გაიგონა, მსწრაფლად შეიმოსა და მონასა მას შეუდგა, ბაღისა კარსა ზედა ზეფირ მოეგება, და ტკბილად ერთმანერთი დაჰკოცნეს და მივიდნენ ადგილსა თვისსა, სადა მზისა ქალაქისა მზე შარავანდედ განმრავლებით ჰსჯდა, და ვარსკვლავთა სიმრავლესა მისნი მიდამონი შეემკვნეს. დილარ წინა წარსდგა და ქუშ მიწადმდე თაყვანი-ჰსცა. დილარმან ჰსცნა, რომე სატრფიალო მისი მას ზედა ჰკუშტობდა და შეხედვასა უძვირებდა. საბრალოსა დილარისა გული ათასმან უტევანმან ისარმან განჰგმირა, ჰსდგა მრავლისა შესაწუხებელისა საგონებელთა და მისისა განრისხებისა მიზეზსა ვერა ჰპოვებდა, ელოდა მისგანვე შეწყალებასა. რა ჟამმან განვლო და საყვარელამან თვისმან არცა შეჰხედა და არცალა განმაცხოველებელი კმა თვისი გააგონა, მაშინ დილარმან ჰსცნა თავი თვისი მძიმესა რასამე შეცოდებასა ქვეშე მყოფი, გული აუგრგვინდა, ქვე დაიჩოქა და შავისა ზღვისა ჰმსგავსად თვალთაგან ცრემლნი გარდამოუტევა, გულ ამოსკვნილი თავსა მიწასა ზედა დაამხობდა, მკერდსა იცემდა და კელითა ანიშნებდა შეცოდებისა მიტევებასა. რა მიჯნურობითა დამწვარმან დილარ ცრემლისა მორევსა შინა შთობა დაიწყო, მაშინ უწყალოდ განრისხებული იგაჲარუა მცირედ მისითა სიბრალულითა მოჰრეჰსტკბა, და აბაშთა გვირგვინოსანისა დამატკბობელისა ნაზისა სიტყვითა უბრძანა: „მოვედ ფრიად შეცოდებულო, ჩემთანა ჯდომითა გული შენი განიმაგრე და ეგე ტიგრისისა მომდინარეობა შეაყენე, რომლისაცა ჰვრეტასა ვერა გაუძლებო.“ დილარ მისსა ბრძანებასა მკვდარიცა ემორჩილებოდა, მყისად აღჰსდგა, თაყვანი ჰსცა, კრძალვით აღვიდა და თვისსა სატრფიალოსა გვერდით მოუჯდა, თვალთა ზედა ცრემლი შეიმშრალნა. მისმან ხუნწელებამან დილარისა მოუძლურებული გული განა-

მტკიცა, და ოდეს გული დაიწყნარა, უბრძანა რისხვითა ტკბობა რეულითა ათ-ხუთმეტ დღეულმან მთოვარემან, ვითა: ჴელმწიფეო დილარ! ცრემლთა შენთა შუა მდგომლობამან დღეს ჟამსა ამას დაგიხსნეს ჩემისა მიდამოსა განძებისაგან. აწ ესე მაუწყე და თავიცა შენი წინაშე ჩემსა განიმართლე: რად წყინებასა ჩემსა არა განეკრძალები? რად ესრეთ წადილსა შენსა ჰსდევ და საჩემოდ არა რასა ჰზრუნავ? აწ ვითამცა განმართლებდე ეგეთსა განუსჯელობასა ზედა? ნუ თუ ესე არა იცოდე, რომე სულისა შენისა მფრინველი ჴელთა შინა ჩემთა არს, მონებისა ჩემისა ფიალითა გული შენი რად გერე ადრე გამოიყვანე? მათ ფალავანთა განთავისუფლება რად მეცა არა დამეკითხე და ბრძოლანი უმეტესად განიძნელენ? დილარ შენ მარტო არღარა ხარ, შენითა ეგე ვითარითა განმგეობითა მოუთმენლობისა ასფადელსა შემიყვანე. აჰა გულისა ჩემისა დაფარულთა გიცხადებ: შენ ესე იცოდე, რომე მე მარადის შენთანა ვარ განუშორებელად, და რაჲცა საჭურველი შენ გეკვეთების, უკეთუ შენ სიმჴნითა შენითა მოითმენ, გულსა ჩემსა მკულელად ეკვეთებიან, და უკეთუ სიცოცხლე შენი ჩემთვის გინა, რად სიცოცხლისა ჩემისა თვის არა იჭირვი? მე ვითა გაუძლო ანუ ესდენთა ცრემლთა შენთა და ანუ ყრმებრივსა ქცევასა შენსა, რომელმანცა ძლიერნი იგი ფალავანნი მეფესა მათსა წარუვლინენ და საქმენი განიმეორენო?“ დილარმან რა სამართლიერი იგი ბრძანება მოისმინა და სათვისო ედემისა ვარდი გაელიკრიტებული იხილა, მუხლთა დაემხო და მოახსენა: „ჴელმწიფაო, აწ ვჰცან, რომე ვარ დიდად შემცოდე წინაშე თქვენსა, მათ ფალავანთა განტევებისა დაუკითხაობასა ზედა, და ესეცა ვიცი, რომე მონა ვარ ჴელმწიფებისა თქვენისა და მონამან ვინათგან ვიხმარე ეგე ვითარი უგუნურება, ღირს ვარ დაჰსჯასა, და აჰა თავი ჩემი! სიკვდილი ჩემთვის სამართალი არს ამად, რომე რად არა მოგახსენე განტევება მათი, თვარა ეგე ვითარნი მეომარნი ჰსჯობს სახელისა თქვენისა მადიდებელად იყვნენ ცოცხალნი ქვეყანა-

სა ზედა, ამად ვიხმარე კადნიერებით განტევება მათი, რომე მზე თქვენი მაფუცეს, და სადღე გრძელოდ თქვენდა ვათავისუფლენ მით, რომე ვინცა რასა ზედა სახელი თქვენი მაფუცოს, ჩემგან აღუსრულებელობა მისი ყოვლითურთ შეუძლებელ არს, და ვინაჲთგან მას ზედა მრისხანებთ, უკეთუ მომკლავთ, ნება გაქვთ, და უკეთუ მომიტევებთ, ვჰფუცავ თავსა თქვენსა, მას სკვითელთა მეფესა ყოვლითა სპითა თვისითა ჴელმწიფებასა თქვენსა ადრე დავამონებ. აწ რომელსაცა ინებებ, სიკუდილსა ანუ სიცოცხლესა ჩემსა, აჰა ნებასა თქვენსა ზედა ვჰგიეო.“ რა დილარმან საჯებელნი სიტყვანი მოახსენა, იგა, ვითა სპეკალთა მუფარახი, ეგრეთ დაჰსტკბა, და უბრძანა: „მომიტევებია, ბრძოლისათვის, რაჲცა გენებოს, მასცა იქმოდეო. და აწ განამხიარულენ ბაგენი შენნი უშვენიერესთა ლაწვთა და ბაგეთა ჩემთა შეხებითაო! დილარმან, მას ბალახშისა ბაგეთა ნაზად მოუბართა დაკონებულმან, გული თვისი დაატკბო და ზილფთა სუნნელებითა აღივსო. გარნა ზედა ზედითა დაბაგებითა ევედრებოდა, რათა გული მისი არღარა მწყრომელ ჰქმნოდა, რომელიცა მალიად მოუსწრაფებდა სულისა აღმოხდასა, და ქენებით ევედრებოდა, რათა მოშურნესა ვისმე არა შეეცვალა მოწყალებაჲ მისი დილარსა ზედა, რომელიცა მისსა მიჯნურობითა ძლეული იყო და სულთა დგმა ემწარებოდა. რა დილარ მრავალითა ვედრებითა სიტყვათა ქვე დაუფენდა, შეჰბრალდა ვარდსა მას პალესტინისასა და უბრძანა: „დილარ! ირწმუნე სახელითა მამისა ჩემისათა და შვენიერებითა ჩემითა, რომელ ესე მოწყალება ჩემი ჴორციელმან შენ ზედა ვერა გამოჰსცვალოს და არცა გული ჩემი შენგან კიდე სხვასა მივსცე, შენ ხარ ჴმა ტკბილი ბულბული ჩემი და კოკობსა ვარდსა ჩემსა სხვამან ვერა დასჭიკჭიკოს, შენ გიგონებდე და სიყვარული შენი გულსა ჩემსა ესრეთ დავჰკრძალო, ვითა ტკბილი სული გულსა შინა. მირწმუნე, დილარ, სხვამან იადონმან ამა კვალსა ზედა ფრენა ვერ გაბედოს, და რაზომ ტკბილ ჴმაობდეს, ყურად ღებასა არა მივჰსცე, და უკე-

თუ იკადნიეროს ვინმე გაბედვად, სიკვდილი თავისა თვისისა მიიღოს. აჰა გული ჩემი მოწამე არს ჩემთა და სიტყვათა ზედა და ბაგენი შენნი განამხიარულენ მას ზედა, გარნა ეკრძალე ორთა მუნ ბმულთა წვლილთა მარგალიტთა, ახლად შეკოკბილთა, და შვენიერთაგან არა შეირისხო, თუარა მათგან შერისხული დაზავებისა თვის შუამდგომელთა ვერლა სადა ჰპოებო."

რა სურვილისა ცეცხლითა დაავლებულმან დილარ ესე ბრძანება და ტკბილი ნება მიიღო, თუ ჰსთქვა, ორბებრ სიჭაბუკე მისი განახლებულ იქმნა. თვალნი განუნათდეს და გულმან მისმან ჰმსგავსად შავარდნისა მაღლად ფრენა დაიწყო. კელი მიჰყო და უსასყიდლო იგი კუშტობანი ამოართვა. სადაფისა ბრწყინვალესა ველსა ბაგენი თვისნი სანავარდოდ შეიყვანა. კრძალვით ნარდისა მრავალ სუნნელისა უსუნნელსსა კორცსა კოცნა დაუწყო, და ორთა მათ კოკობთა მარგარიტთა თვალთა ტკბილად მიუალერსებდა, მათგან სუნნელებისა მრავლადობა დილარისა საყნოსელთა დაატკბობდა და, ვითა ფარვანა, ზე დაეწოდა, სულ მილეული კვალად სულსა მისგანვე იბრუნებდა. ეგეთსა განმრავლებულსა სიყვარულსა შინა დილარ იშიშვოდა: ნუ თუ ძლეული სიყვარულისაგან კადნიერ ვიქმნე და ესე გზა მოწყალებისა დავიხშაო. ვითაცა ჰშვენოდა ზრდილობასა მისსა, ეგრეთცა დიდსა კრძალვასა ხმარობდა. გარნა ვითაცა ჟამი იგი ჰსთხოვდა, ეგრეთცა ეტრფოდა, ბროლისა მკერდსა და უპესა თვისთა ბაგეთა ვერლა მოაშორებდა და მათგან სუნნელებითა სულისა ძალსა განიმტკიცებდა. უთვალავთა ჟამთა შრომა გარდახდილი დილარ აწე ელირსა თვისსა საწადელსა წალკოტსა და ერლა იგმობდა მისგან ეგე ვითარნი უთვალავნი ტრფიალებანი მით, რომე ბრალი იყო ეგე ვითარი მოყმე, მისითა ცეცხლითა შემწვარი, მალიად განეშორა ვისმე. მან, ყოველთა მნათობთა მზემან, ნება ჰსცა ეგე ვითარსა დატკბობასა შინა ვითარ ოთხი ჟამი, და საპრალოსა დილარისა ბაგენი მისისა სიტკბოებისა აღმოწოვითა, ვითა პირ ბასრისა მახვილითა დაჭრილნი, ეგრე დაუსქდეს,

გარნა მით წყლულებითა არა განეშორებოდა და უმეტესად ზედა დაეკოპარებოდა დაბაგებითა ხაზიდისა მას ულბილესთა კორცთა მისთა, და ამად ბრალი იყო, რომე შიშმან შეროსხვისა მისისამან აკმარა, თვითვე ზრდილობიანითა ქცევითა წიალნი იგი დაჰკრძალნა, კუშტობანი იგი თვისთავე კელითა გაუწყო და მრავლითა ალერსიანითა სიტყვითა ჰბოდიშობდა, მით ეგეთითა კრძალვითა და ზრდილობითა თვისისა საყვარელისა გული სათვისოდ მოიყიდა მით, რომე იცოდა დილარისა ტრფიალება თვისდამი, და ეგე ვითარსა სურვილისა ალტყინებასა შინა რა ჰხედვიდა მისგან განკრძალვასა, ამისთვის დიდად ცვალუბდა, და ნაცვალ გებასა სიამოვნისასა იგაცა ჰსცდილობდა. რა დილარისა გული ეგრეთ განამხიარულა საყვარელმან თვისმან, ალჰსდგა და მდაბლად თაყვანის მცემელმან ქება და მადლობა დიადი მოახსენა, მის მოწყალებისა მოლებისათვის კელსა აკოცა და საამოსა უბნობასა შევიდნენ. რა დილარისა შვენიერნი ბაგენი საყვარელმან მისმან ეგრეთ დაპობილნი იხილნა, უბრძანა: „დილარ! ამა მოკლეთა დროთა შინა არა გიბრძოლია მოპირის პირეთა წინაშე და ეგრეთ უწყალოდ ბაგენი ეგე რად დაჰრილნი გქონანო?“ დილარმან, შეფრფინვით შემჰვრეტმან, მოახსენა: „კელმწიფაო, ესე ვითარი ბრძოლა და დაჰკოდვა ნუმცა მომაკლდების მოწყალებითა თქვენითაო!“ მან უწყალომან გაიღიმა და უბრძანა: „ვიცი გულსა შენსა რაძცა ესწრაფვების, გარნა, ჩემსა მზესა, მცირედ მოითმინე, ჟამი განთიადისა მოწევნილ არს და სხვასა დროსა იგიცა იქმნების, მერწმუნე, ჩემითა სურვილითა არლა დაგლევო: დილარ მის მოწყალებიანისა სიტყვითა მოხარულ იქმნა. ტახტით ქვე ჩამოვიდა, მისს წინაშე მიწას აკოცა, და ეგრეთ მისგანვე ნება რთვითა გამოესალმა. დილარ წარმოსრული თვისსა საწოლსა შევიდა და ამოდ განისვენა. ხოლო მზისა ქალაქისა კელმწიფამან დილარისა ზრდილობისა ქებისა თხრობასა შინა მათ მნათობთა თანა ერთსა სახლსა შინა განისვენა. მეორესა დღესა, რა იგი კელმწიფე და მეფენი შეჰკრბენ წი-

ნაშე დილარისა, დაიწყეს ლაღობა და ჰბრძანეს პურისა მზაობა. საურმაგმან პური მარჯვედ მოალებინა, და შეჰქმნეს მხიარულებაჲ.

აქა წინაშე დილარ მძლევველისა სკვითელთა მეფისა ხაყანის მოციქულისა მოსვლა პურობასა ზედა.

მაშინ მოვიდა მოციქული მის სკვითელთა მეფისა ხაყანისა წინაშე დილარ მძლეველისა და მოახსნენა: „კელმწიფეო, ხვალე განმზადენ სპანი შენნი და მეცა ჩემ კერძო ეგრეთვე განვაწყო სპანი ჩემნი, შემოვალ მოედანსა ზედა და თვით ერთმანერთი გამოვჰსცადოთო, უკეთუ მძლიო მე შენ, ყოველნი სპანი ჩემნი ჩემთანა გაჰსწყდნენ, და უკეთუ მე გძლევ, ეგრეთვე შენსა რაზმსა დაემართებისო.“ რა დილარმან ესე მოციქულობა მოისმინა, მას მოციქულსა მრავალი უბოძა, ტანსა ძვირ ფასი შესამოსელი შეჰმოსა და პასუხი ესრეთ შეუთვალა: „ჵე მეფეო, მე შენისა ბრძოლისაგან ვიშიშვი მით, რომე ნუ თუ ვერა გაუძლო ნაკრავსა შენსა და მებრალების მოყმეობა ჩემი, და ესე ვითარისა ბრძანებისა შენისა, აღსრულებისათვის შემოვგზავნი მოპირის პირედ შენდა სპასალარსა ჩემსა და მას შეები, და უკეთუ ჰსძლევ მას, მე დავემორჩილები ბრძანებასა შენსა და უკეთუ მისგან იძლევი, მაშინ განაღა დაემორჩილები კელმწიფებასა ჩემსა, და რაზმიცა ჩემი გამოვალს მოედანსა ზედა საკმაოდ გულოვანთა შენთა ფალავანთა თვის; ესე არს სიტყვა ჩემიო.“ იგი მოციქული გაისტუმრა, და ჩვენ კელი ვჰყავით ლხინსა და ღვინის სმასა. რა იგი მოციქული მივიდა მეფესა თვისსა თანა და ყოველივე დაბარებული მოახსენა, დიდად განჰრისხდა და ჰსთქვა: რაზომცა ჯაბანი ვიყო, ეგრეცა მეფე ვარ და არა ჰშვენოდა, რათა სპასალარი თვისი მოპირის პირედ ჩემდა განემზადა, მით რომე არა კეთილ არს მონათაგან მეფეთა ბრძოლა, და უკე-

თუ იგი სახელოვანი კელმწიფე არს, მისგან ჩამოგდებასა და დაკოდვასა ეგრეთცა ღირს ვიყავო. ვინათგან გონება მისი ეგრეთსა ჰაზრსა შინა არს, მე შევანანო სიტყვითავე თვისითა განზრახვა თვისიო.“ მრავალნი ესე ვითარნი სიტყვანი ჰბრძანა დიდებულთა თვისთა თანა, და მათცა პურობა გამართეს. მას დღესა აღავსნა ყოველნი დიდებულნი თვისნი წყალობითა და ნიჭითა, და კნინღა ყოველი საჭურჭლე თვისი გაჰსცა მათ ზედა. იგი დღე ეგრეთ სმითა და სიხარულით განატარეს, და მომავალისა დღისა თვის იქადოდეს მოპირის პირეთა ზედა. ოდეს დილარისა კერძოდ პურობა შესრულდა, უბრძანა დილარმან სპასალ-არსა თვისსა განმზადება მეფესა ხაყანსა ზედა, დ ყოველთა მოყმეთა თვისთა ამცნო შეჭურვად და უბრძანა: ოდეს გარდაჰსწყვიტონ ხაყანმან და მარსიმ, მაშინ მიეტევენით თქვენ სპათა ხაყანისათა და განეკრძალენით სიკვდილსა ერთისაცა მეომრისასასა, და უბრძანაცა მეკობრეთა მეფესა, რათა იგიცა გასულ იყო თვისითა გუნდითა და გარშარაბ მეფისა სპითა. მათ ერთობილთა თაყვანი ჰსცეს და განემზადნენ ბრძანებისაებრ დილარისა. რა ყოველნივე თვისთა სახლთა მივიდნენ და განისვენეს, დილარცა თვისსა საწოლსა შევიდა და განსვენებასა ჰგულობდა, თავი სასთუნალსა მისდვა და თვისსა სატრფიალოსა იგონებდა.

აქა წინაშე დილარ მძლეველისა ზეფირის მონის მოსვლა და ბალისა მას სახელმწიფოსა მიწვევა და წარსვლა დილარის ზეფირის სახილველად.

მოვიდა მონა ზეფირისა და მოახსენა: „დიდო კელმწიფეო, ზეფირ მარტოდ დამკრძალველი ბაღისა მოგახსენებსთ, რათა ინებოთ შრომისა მიღებაჲ და მობრძანდეთო.“ დილარს რა მონამან იგი მოახსენა, აღიმსწრაფლა, შეუდგა მონასა მას, და კართა ბაღისათა შევიდა. ზეფირ წინა მოეგება და, ვითა მათ-

სა სურვილსა ჰშვენოდა, ეგრეთ მიუალერსეს ერთი ერთსა. დილარ სიყვარულსა თვისისა სატრფიალოსასა მას ზედა მცირედ რასმე იქარვებდა. გარდაეხვია და მკერდსა მიყრდნობილი მათ ვარჯოვანთა კინამოთა ხეთა ძირსა მიიყვანა, ჰკოცნიდა და ეალერსებოდა უზაკველითა სიყვარულითა, და მკერდსა შეხვეულნი საუბრობდეს. ზეფირ თვისსა ხვედრსა სპასალარსა შეავედრებდა და მოახსენებდა: „კელმწიფეო, ხვალე ბრძანებითა თქვენითა შეებმის სკვითთა მეფესა, და უკეთუ მეფე იგი მძლე ექმნას, შენსა მზესა, მაშინ შემწე ეყავ, რათა არა მოიკლას შვენიერი იგი ყმა კელითა მისითა.“ დილარ მას ზედა ფიცით არწმუნებდა, რომე მარსის ეგე ვითარნი მებრძოლნი არა რად მიაჩნია, და, უკეთუ გნებავს, მაგა შვენიერითა თვალითა ხვალე უმზირეო. კელი მიჰყო, თვალთა აკოცა, და ჟაამმანცა მოატანა, ერთმანეთსა გამოესალმნენ. მეორესა დღესა, რა ორიონი აღმოჰჩნდა და მზისა დისკო განმანათლებელად დღისა თვისსა ეტლსა ზედა აღმჴედრდა, სკვითელთა კერძო ჰკრეს საბრძოლველთა სპილენძ ჰურთა და საყვირთა, აღმჴედრდენ ყოველნივე და მოვიდნენ მოედნისა კიდესა მწყობრად, და იყო კმიანობა სასტიკი.

აქა სკვითელთა ძლიერისა მის მეფისა ხაყანისა და დილარ მძლევლისა სპასალარის მარსისა ომი, და ეგრეთვე რაზმთა ხაყანისათა და დილარისა მეომართა ბრძოლა ძლიერი.

ოდეს დილარისა მჴრით ესმათ სკვითელთა საყვირთა ღგრიალი და განმზადება სპათაცა იხილეს, ჰკრეს აქეთცა საყვირთა, და გულოვანნი მეომარნი შეიჰურნენ. შეიქმნა კმა და განვიდნენ ყოველნი მოქალაქენი საჰვრეტლად ბრძოლისა მის. ჰბრძანა დილარმან განსვლაჲ მოედნისა კიდესა ყოველთა დიდებულთა მის ქვეყანისათა და ლასურცა აწვია ყოვლითა კრებულითა თვისითა, და ყოველნივე ერთბამად

ამკედრებულნი განჰყვნენ დილარს, გარდახდნენ მაღალთა ადგილთა და დასხდენ წესისაებრ ტახტთა და სელთა ზედა, და თვითცა კეკელისა და მოთხედ შენებულისა მის მზისა ქალაქისა ბანნიცა აღივსნეს მჭვრეტელთაგან, და გალანამცა კელმწიფა იგა მათი გამობრწყინდა გოდლისა ბანთა ზედა მრავლითა ათასითა მნათობთა გუნდითა, მზიანი იგი დღე იქმნა ღრუბლითა მობლარდნილ და, თუ ჰსთქვა, ცამან იწყო ტირილი მათ მეომართა ზედა. ჰაერი იგლოვდა მის დღისა ბრძოლისა თვის. მოვიდა სპასალარი მარსი და ათასნი, თანა სწორნი გმირობითა მარსისა, მოყმენი დილარისანი, გარდაჰხდეს ცხენით, დილარს თაყვანი-ჰსცეს, კელსა აკოცეს, და მარსიმ მოახსენა: „ძლიერო კელმწიფეო, თქვენსა მზესა, უკეთუ განგებამან მოჰსცეს ძლევა მკლავთა ჩემთა მას ხაყან მეფესა ზედა, ერთსა ოდენ ხილვასა ზეფირისასა ღირს მყავო და სიკუდილისაგან გამომიხსენო.“ დილარმან გაიღიმა და უბრძანა: „მარსი, წარვედ, საქმესა შენსა შეუდეგ, იგა უებრო მთიები სხივთა თვისთა აგრე არა აიეფებს, რომე ეგრე ადვილ ღირს იქმნეო.“ მარსი გულ მოთუთქვილი გაჰსჯდა ცხენსა თვისსა და შევიდა მოედანსა, შეჰქმნა ნავარდი და დაიწყო შუბითა მღერა.

აქა სკვითელთა მეფისა ხაყანისა შემოსვლა მზისა ქალაქისა მოედანსა ზედა ყოვლითა რაზმითა თვისითა და ბრძოლა ძლიერი ხაყანისა და მარსი სპასალარისა.

მაშინ მოვიდა მეფეცა იგი ხაყან, სრულად ოქრო რეულითა ფოლადითა შეჭურვილი, და ცხენიცა ეგრეთვე ჰყვა. გულ ლომნი ფალავანნი თვისნი გარე მორტყმით მოჰსდევდეს და დიდებასა თვისისა მეფისასა მოიტყოდეს. თავმან თქვენმან, შესახედაობა ერთისა კაცისა უკეთესი არღა ეგებოდა. მარსიმ, რა მეფე იგი იხილა, მივიდა, მდაბლად თაყვანი-ჰსცა და

მოახსენა: „დიდო მეფეო, ჰსჯობს მეომართა თვის რასაცა ადრე შეიბმიანო.“ ხაყანმან ტკბილითა სიტყვითა უპასუხა: „ძმაო, ნუ ისწრაფი, დღეს უომრად არა დაჰშთებიო.“ ესე ჰსთქვა და ოროლსა კელი მიჰყო, ცხენი შეითამაშა, თავსა ზედა დაიბრუნა, და ფიცხელად შემოუტია, ოროლისა წვერი გაჰნიშნა და მკერდსა სპასალარისასა ძლიერად აძგერა. მარსი, ვითა კლდე შეურყეველი, ეგრე ჰსდგა და მის მეფისა შემძლებელობასა გამოჰსცდიდა. კვლა დაიბრუნა ოროლი ხაყანმან, მარსის ცხენისა მკერდსა ეცა, თუმცა ცხენსა ვერა ავნორა, გარნა ესრეთი ძალი დაადგა, რომე სამი მხარი უკან გაჰხტა. ხაყანმან კმალსა კელი მოისვა დ̃ მოწვდილმან შემოუტია, ჰსცა ჩაბალახსა ზედა ფიცხელად, და, თურე კრმალი იგი საქებელი იყო,—რომე ჩაბალახისა სიკეთემან ვერა გაჰსტეხა, ხაყანმან კმალი ქარქაშსა შთააგო, მშვილდსა მოჰზიდა დ̃ ძლიერად ისართა სროლა დაიწყო. მარსიმან ფარი იფარა და იგი ისარნიცა მას აატანინა. განჰრისხდა მეფე იგი, მშვილდი დააგდო და მძიმესა ფოლადისა ლახტსა კელი მიჰყო, მოუხდა და ესრეთ მესისხლედა ჰსცა სამ გზის თავსა ზედა, რომე ყოველთა მხილველთა სპასალარისა იმედი გარდაიწყვიტეს, გარნა მარსი ქვეშე ლახტისა მის ესრეთ ჰსდგა, ვითა ბრუტოსისა მთა. რა ხაყან მეფემან მარსის უვნებელობა იხილა, ჰსთქვა: „ესე დევისა ნაშობი ვინა არს, რომელიცა ესრეთ გულ მყარად ლახტსა ჩემსა ქვეშე ჰსდგას? დიდი იგი ქვეყანა ყურყანისა და ველურნი გმირნი მუნებურნი ლახტსა ჩემსა ძრწოლით დაემონნეს დ̃ ამას მებრძოლსა ჩემსა ვერა რაჲ ვაგრძნობინეო!“ კვლა განრისხებული მოუხდა და კბილღრჭენით ჰსცა თავსა ზედა, გარნა სპასალარი ჰსდგა უძრავად და შეჰყიოდა: „მეფეო, გამოჰსცადე მკლავთა შენთა ძლიერება ვითარი ჭაბუკივარო! მას მარსისა სიტყვასა ზედა კვლა გაგულისდა ხაყან მეფე, მოუხდა და, ვითა სეტყვა, ეგრეთ დაუშინა ლახტი თვისი. რა მრავლისა ლახტისა ცემითა დაშვრა, დაჰსწყევა ძლიერება თვისი და ლახტიცა კელთაგან დააგდო და ეგრე გადგა გარე. მაშინ სპასალარმან ახსენა სახელი პატ-

რონისა თვისისა დილარ მძლეველისა, მოისვა კრმალსა კე-
ლი, შეუტია და შეჰყივლა.

შაირი.

მონათა არა წესია ბრძოლა მეფისა დიდისა,
გარნა აწ ჟამი არ მაძლევს კრძალვად თქვენ მეფე მშვიდისა,
თვითვე ინებეთ პირველად გადება ამა ხიდისა,
ამად ვთურმანობ, განმშორდა წამი თქვენისა რიდისა.

აწ მეცა ვჰსცნა კმალსა ჩემსა აქვს ვითარი პირბასრობა,
ნუ თუ ცუდად ქარქაშს მედგას, ნებს ვუმარჯო კოტის პყრობა,
გამოვჰსცადო, ვითარ განკჳეთს, არ მიზრახოთ იასრობა,
ამად გჰკადრებ, ხაყან მეფევ, თქვენცა გმართებსთ გულ მაგრობა.

ესე არს ჟამი საჩემოდ სახელის გამოჩენისა,
ბრძოლის თალპიონს ლომ გულთა მარჯვედ ხმარება ცხენისა,
ვიცი, ჰსცან, ვით მაქვს გაძლება საჭურველისა თქვენისა,
აწცა თქვენებრსა ტახტოსანს განდრეკა არა ჰშვენისა.

ჰამბავი.

ეჰა, მეფეო ხაყან, გაჰფრთხილდი, რომე ესე კრმალი ჩე-
მი არა სამხიარულოსა ჰამბავსა მოგითხრობსთ; გარნა მეფე
ჰბრძანდები, და ჩემგანაცა პატივის ცემა ჯერ არს, და ესე
მომიტევე, რომე ტაიჭსა თქვენსა არა ვჰრიდებო! უცა ცხენსა
მხართა ზედა, განჰკჳეთა ჯაქვი ჯავშანი, და ორნივე წინა
ფერკნი მკერდითურთ და კისრით მოჰკვეთა, მეფე იგი სკვით-
თა კისკასად შორად გარდახლტა, და მარსიმ, რა დაქვეითებუ-
ლი მეფე იხილა, თვითცა დაიქვევითა და ეგრეთ მიჰმართა,
შეუტიეს და ურთიერთისა მმულრაობელნი, ვითა რკინისა მთა-
ნი, მესისხლედ ეკჳეთნენ; ჰქონდა ფიცხელი რკინობა ვითარ

ხუთი ჟამი, და ოფლი მათი ჰმსგავსად ზღვისა პერეულთა გა-
რე ჯაჭვთა გამოსჩქვეფდა, ჰკვირობდა მეფე იგი ხაყან სპასა-
ლარისა ძლიერებასა და იტყოდა: „უკეთუ დღეს ჴელთაგან ამის-
თა განვერო, დღეთა შინა ჩემთა სახელსა და ძალსა მისსა ვა-
ქებო." მარსი რკინობასა შინა ძლიერდებოდა და ხაყანს ძალი
შემოაკლდებოდა. კვლა შეჰსძახა სპასალარმან სახელი პატრო-
ნისა თვისისა ერთი ჴელი ბარკალსა ჰსტაცა და ერთი კისერ-
სა, აიღო მაღლად, დაჰსცა ქვეყანასა ზედა. მსწრაფლად ჴელ-
ნი შეუკრნა. და მეკობრეთა მეფესა გუნდთა მიაბარა. ცხენსა
გაჰსჯდა, მცირედ შეისვენა! ოდეს სკვითელთა უთვალავთა
გმირთა სიმრავლემან მეფე თვისი ეგრეთ იხილეს, მყისად დაჰ-
კივლეს და შემოუტიეს, სპასალარი ჰლამოდა შეტევასა მათსა,
გარნა ლომ გულთა ყმათა დილარისათა ერთ პირად მიჰმარ-
თეს და სპასალარსა შეჰსძახეს: ძმაო, შენ შენი სრულ გიყო-
ფია, გადექ და აწ ჩვენ გვიყურეო. მაშინ იწყეს ბრძოლა
ძლიერი და გურზთა მესისხლედ ბრუნვაჲ, გარდმოჰყრიდენ
სახელოვანთა ფალავანთა ვითა კენჭთა, და იპყრობდენ გუნდ-
ნი მეკობრეთა მეფისანი, ოთხსა ჟამსა ხუთასი ათასი გულო-
ვანნი მებრძოლნი აბაშელთა ლომთა შთამოჰყარნეს და ზო-
რასტანისათა დაიპყრეს, და სხვანი მოლაშქრენი გარდაეხვეწ-
ნეს. რა დილარმან მათ შეშინებულთა მოლაშქრეთა გარდა-
ხვეწა იხილა, ლასურისა სპათაგან ნაწილი გამოუყენა და უბრ-
ძანა: „ჩემსა მზესა, ტკბილითა სიტყვითა უკუ მოაბრუნეო." მა-
შინ მოვიდნენ მარსი და მის თანა დიდებულთა ძენი გამარჯ-
ვებულნი, და ეგე ვითარნი უთვალავნი ფალავანნი მკლავ და-
კრულნი მეფითურთ მათით წინაშე დილარისა მოიყვანეს,
ჴელსა აკოცეს და გამარჯვება მოულოცეს. დილარმან მად-
ლობისა ბრძანებითა პირთა აკოცა, და უბრძანა საურმაგ მე-
ფესა, მას მოედნისა კიდესა პურისა მოღებაჲ. მსწრაფლად
მოიღეს და შეჰქმნეს სმა და მხიარულებაჲ. მას პურობასა ზე-
და ინება დილარმან განთავის უფლება მის ძლიერისა მეფისა
ყაყანისა და ყოველთა, ყმათა მისთა,

აქა დილარ მძლეველისაგან მზისა ქალაქისა მოედანსა ზედა მოყვანინება სკვითელთა მეფისა ხაყანისა და ყოველთა ყმათა მისთა ხუთასი ათასთა პურობილთა და განთავის უფლება მათი და ეგრეთ ყოველთაგან განმხიარულება.

უბრძანა დილარმან და მოიყვანნეს გულოვანი იგი მეფე ხაყან და ყოველნი სპანი მისნი, გაახსნევინა, ნუგეშინიანნი სიტყვანი უბრძანა. მეფე ხაყან სამეფოსა ტახტსა ზედა დასვა, და სხვანი დიდებულნი თვის თვისითა წესითა ოქროჲსა სელთა ზედა დაჰსხნეს, დაუგეს პური და ესრეთ უმატეს მხიარულებასა, დაიწყეს სადღე გრძელოთა გარდალევა, დ მაშინ გარდა ხვეწილნიცა იგი მოვიდნენ, თაყვანი-ჰსცეს დილარს და აქებდეს ჴელმწიფებასა მისსა, რომელმანცა შეიწყალნა ეგეოდენნი და არა დაჴოცნა ნაცვლად შეცოდებათა მათთა, რა სკვითთა მეფემან იხილა ეგე ვითარი დილარისა ჴელმწიფება, სიყმე, შვენიერერება, გულ კეთილობა; და მკერდ მკლავთა სისრულე, ზე აღჰსდგა, თაყვანი ჰსცა დ მოახსენა: „ყოვლისა ქვეყანისა მპყრობელო ჴელმწიფეო დიდო დილარ მძლეველო, ვინაჲთგან ჰყავთ ჩემზედა ესე ვითარი მოწყალება და ყმითურთ ჩემით არა მიმეცით სიკვდილსა, დღესითგან ვიყო მონებისა თქვენისა თვის წელ შერტყმული და დავღვარო სისხლი ჩემი ერთ გულებისა შენისა თვის, ვჰსდიო ჩრდილსა თქვენსა და ვაქო ძლიერება თქვენიო.“ დილარმან მადლობა უბრძანა. და კვლა მიჰყვნენ მხიარულებასა. არა დააგდო დილარმან არცა ერთი მცირედთაგანი, მუნებურნი ანუ გარეგანთა ქვეყანათაგან შემოსრული, რომელნიცა მუნ იყვნეს, რომელნი არა დასხნა მას პურობასა ზედა, და განამხიარულნა ყოველნივე. კნინღა სავსე იყო ვრცელი იგი და კეკელა მოედანი მეინახჴითა, სადაცა ისხდეს ხუთი მილიონი მამრნი, უდიდებულესისა დილარისა ჰვრეტითა განმხიარულებულნი და ჴელმწიფებისა მათისა მაქებელნი (ესრეთ იტყვიან, რომე მისებრი განდიდებული პურობა მის პირველ არა ჰყოფილ იყოს ქვეყა-

ნასა ზედა და პირველ მას ეწოდაცა პყრობა დილარისა), მას ეგე ვითარსა მხიარულებასა და დილარისაგან განცემასა შინა.

აქა ზეფირის მონათა მოსვლა წინაშე დილარ მძლეველის პყრობასა ზედა და წყალობის წერილის მოღება.

ჟამსა მას მოვიდნენ მონანი ზეფირისანი და მოიღეს წყალობისა წერილი კელმწიფესა მათისა, თაყვანი-ჰსცეს დილარ მძლეველსა და მოართვეს ძვირ ფასად მოოჭვილი წიგნი. დილარმან რა დიდსა მას ოქროსა ღერბსა შეხედა, ზე აღჰსდგა, თაყვანი-ჰსცა, ჩამოართვა, შუბლსა დაიდვა, აკოცა და დიდისა პატივის ცემითა უბოძა ბერსა ვაზირსა წარსაკითხავად. ბერმან ვაზირმან ქჳშ დამხობით მიწასა ზედა თაყვანი ჰსცა, აღჰსდგა, წიგნსა მას და კელსა დილარისასა აკოცა, თავსა დაიდვა და კვლა აკოცა, და დაიწყო ჴმა მაღლად აღმოკითხვაჲ, რომელსა შინა ოქროსა ოფაზითა ლაჟვრად რეულითა ეწერა ესრეთ:

„ჩვენ ზეგარდამო მაღლისა განგებისა მიერ ყოველთა კელმწიფეთა ზედა უზესთაესმან და მბრძანებელამან მზისა ქალაქისა და მრავალთა ქალაქთა და ქვეყანათა მპყრობელმან, და მკვიდრად მფლობელმან, შარავანდედითა მზისაცა სხივთა უმეტესმან და ნათლითა მთოვარისა დამბნელებელმან, მკრთოლვარებითა კრონოსისა უკამკამესმან და მრისხანებითა მარიხისაცა შემაძრწუნებელმან, სიტკბოებითა სძისა და თაფლისა უკეთილესმან და მოწყალებისა სიუხვითა შემოდგომისა წვიმათაებრ განმრავლებელმან, ვარდთა ფეროვნებითა განმაცუდებელმან, მაისისა წალკოტისა დამნასველმან და ეგვიპტისა ლელწმისა ჰრხევითა დამჩაგვრელმან, ყოველთა შვენიერებათა მაგალითმან, აბაშეთისა განმაცხოველებელმან დისკომან და დილარისა გულისა შვებამანა კელმწიფეთა კელმწიფამან, სახელ სატრფიალომან ანავსიჲ, გიბოძეთ შენ, ყმასა

ჩვენსა, საყვარელისა მეუღლისა ჩვენისა დიდისა ჴელმწიფის-დილარ მძლეველისა სპასალარსა მარსის, ჩვენისა საკუთარისა საუფლის წულოთაგან ხუთ ათეული ქალაქი თვისითა გარემოებითა სანახებითა, სამკვიდროდ საყმოდ, მიზეზითა ამით, რომე ვინაჲთგან მრავალ რიგად ნამსახური იყავ და ჟამსაცა ამას რა დიდი იგი მეფე სკვითელთა ხაყან ძლიერებითა სახელოვანი გვირგვინოსნისა ამის ქალაქისა ჩვენისა კიდესა მოედნისასა გარდახდა და ბრძოლა თვით საყვარელსა ჩვენსა დილარს გამოჰსთხოვა, რომელმანცა არა იცოდა მკლავთა დილარისათა სიმტკიცეჲ და მოწყალებით არა ინება გაყოლაჲ მისი, რათა არა შემოჰკლომოდა მას—ამის თვის გიბრძანა შენ მოპირის პირედ მის ძლიერისა მეფისა განსვლად მოედანსა ზედა, და შენთანა უბრძანავე ათასთა დიდებულთა ძეთა მოყმეთა თვისთა, თანა სწორთა შენთა გმირობითა, ბრძოლად გამოსვლა ხაყანისა უთვალავთა რაზმთა ზედა და თქვენ, ვითაცა გშვენოდათ ერთ გულთა და თანა ზრდილთა დილარისათა, ეგრეთ თვის თვისთა ხვედრთა ზედა შეიმოსეთ სახელი დიდი და ჰსძლიეთ მტერთა თქვენთა, ამის თვის ჯილდოდ გიბოძეთ ხსენებულნი ესე ქალაქნი თვის თვისითა საჭურჭლითა, და ამას თანავე უხვებითისა მოწყალებისა ჩვენისა განმრავლებითა მოგიბოძეთ ცოლად შვენიერი მნათობი დიდებულისა ჩვენისა ახული და თანა ზრდილი ჩვენი, მრავლითა ხარისხითა განსხვაებული, თანა გამზრახი და მეხვაშიადე ჩვენი ზეფირ, და ესე ვითარისა დიდებისა ცხად ყოფითა ალგამაღლეთცა მეფობისა გვირგვინითა შენ და შთამომავალი შენი საუკუნოდ სამსახურსა შინა ჩვენსა, რომელსაცა ზედა დასამტკიცებელად აწერს თვით ნამდვილითა ჴელითა თვისითა ყოვლისა ქვეყანისა ჴელმწიფე დილარ მძლეველი (დილარისა ჴელისა მოსაწერი ადგილი დაგდებული იყო, და თვით შემდგომად მოეწერა ჴელი ესრეთ: ანავსია). დილარმან წიგნი იგი ბერსა ვაზირსა ჩამოართვა, აკოცა და თვალთა დაიდვა. მოითხოვა საწერელი, ჴელი მოაწერა და უბოძ

სპასალარსა თვისსა მარსის. მან ქვე ტახტისა ძირსა მიწასა აკოცა ეგე ვითარისა მოწყალებისა ბოძებისა თვის, გარნა მუხლ დადგმით ჰსთხოვა დილარსა, ვითა: „კელმწიფეო დიდო, გევედრები, შეჰსთვალე სატრფიალოსა თქვენსა თანა: ნეტარ თუმცა რაჲცა ნივთნი მქონან, იგიცა წამართვათ და ზეფირისა ხლებასა ღირს მყოთო." დილარმან გაიღიმა და საყვარელსა თვისსა მადლობა თვით შეუთვალა და იგი მარსისა მიერ თქმულიცა მოახსენა. სპასალარი სამეფოსა ტახტსა ზეაღიყვანეს, და გვირგვინი დილარმან თვით კელითა თვისითა დაადგა. მონანი ზეფირისანი წარვიდნენ. და დილარმან მას მოედანსა ზედა სამსა დღესა და ღამეს არა მოშალა პურობა და მეოთხესა დღესა აიყარნენ მოედნით, სახლისა უხუცესსა ადრითვე სკვითთა მეფისა და სპათა მისთა თვის სახლნი ქალაქსა შინა განემზადა, მიუძღვა და მუნ გარდაახდინა ტურფათა სრათა და სამყოფთა, შემდგომად უბოძა დილარმან საურმაგს ხუთისა საჭურჭლისა გასაღებნი და უბრძანა, ორსა კვირასა პირველისავე წესითა დაგვხვდებოდე სკვითთა მეფესა თანაო. საურმაგ გალანამცა დილარისა ბრძანებასა აღასრულებდა, და ათ ხუთმეტსა დღესა ესრეთ დიდებულად გვიმასპინძლა, რომე მუნ მყოფნი განაკვირვნა ყოველნივე, და გალანამცა სკვითთა მეფე და ყმანი მისნი ამას კმობდეს: ჩვენ ქვეყანად არა ვართ, ცასა ვიმყოფებითო და ესე ნივთთა სიმრავლე მუნით არისო! შეაყვარა დილარმან ყოველთა სკვითელთა თავი თვისი, და აქებდენ კელმწიფებასა მისსა. დღესა ერთსა ნადიმსა ზედა ჰბრძანდებოდა დილარ და გვერდით ხალდეს ლასურ პეკინელთა კელმწიფე, ნუშრევან მყინვართა, გალიისა და ზღვათა მეფე, გოჰარ პოლანთა მეფე, მეკორეთა მეფე, სკვითთა მეფე, და ხუთნი გვირვინოსანნი მეფენი ლასურისანი, და სხვანი ყოველნი დიდებულნი მათნი, და იყო მხიარულება დიდი, და შეჰსწირვიდენ თავთა თვისთა სიყვარულსა დილარისასა.

თავი მეათერთმეტე, კარი იგივე.

ქა მოსვლისათვის განსაკვირვებელისა მის გმირისა კადუზიანელთა მეფისა ფარსმანისა და უმათა მისთა კაცის მჭამელთა ფალავანთა.

ოდეს კელმწიფენი და მეფენი იგი ერთმანეთისა ჭვრეტითა იშვებდეს და მხიარულობდეს, მას ჟამსა მოვიდა კაცი გრძნეულთა მეფისა გარშარაბისა, თაყვანი ჰსცა დილარს, ტახტისა ფერჴთა ქვე მიწასა აკოცა და წიგნი თვისისა მეფისა მოართვა. რომელსა შინა ეწერა ესრეთ: დღე გრძელდინ, დილარ მეფეთა ზედა მეფე და კელმწიფე, მომლოცველი სკვითელთა ზედა ძლევისა, შეუდგენ მოხსენებასა ჩემსა ესე ვითარითა სახითა. აწ ჟამსა ამას მოვიდა განსადიდებელი ძლიერებითა და გმირთა გმირი დიდი გიგი მეფე კადუზიანთა ფარსმან, უთვალავითა ფალავანთა დასებითა და მრავალთა კელოვნებათა მცოდნეთა რაზმებითა, რომელთაგან გაფრთხილება დიდად სახმარ არს. ახლავან ყმანი თვისნი ბრუტოსისა მთისა და მის კერძოთა მთათა მოსახლენი გმირნი, ვითარ ხუთასი ათასი, რომელთა საბრძოლველად უპყრიათ დიდ დიდთა ძალთა მჰსგავსნი რკინანი, დ̃ თუმცა მთასა ბალბასისათა დაუშინონ, მათცა ძირითურთ დაჰფშვნეტენ, დ̃ საზრდელად მათდა არს თვით კაცთავე ხორცი საჭმელად. რომელიცა თვით თვალითა ჩემითა ვიხილე, რომე რავდენინე მოყვასი მათი მოკვდა, და ზე მიმხვეველთა ძვალი ხორცითურთ კბილითა დამუსრეს და შეჰსჭამეს. და კვალად ახლავან ყმანი თვისნი კოლხიდისა კერძოსანი და საგაბუნოჲსანი, რომელთასა ესრეთსა მპარობასა იტყვიან, რომე რაჲცა უნდესთ, დღისით მზისით ესრეთ მოიპარვენ, რომე ვერა სადა ვინ ჰსცნასო, სიმრავლე მათი არა შეიგების, ყოველნივე არიან გმირნი და. თუ ჰსთქვა, კაცთა არად შემრაცხნი, და იტყვიანცა—ჩვენდა საჭმელად მოცე-

მულ არიან ყოველნი კაცნიო. უბნობენ, რომე თვით მეფე იყოს უძლიერესი ყოველთა ნამყოთა და აწ მყოთა ჴელმწიფეთა და გმირთაგან; ყმა კაცი არს, გულ მყარი და მკლავ მტკიცე, და უკეთილესისა სახისა მექონი. მე მონასა ჴელმწიფებისა თქვენისასა მშვიდობიანისა სიტყვითა მთხოვა ძლიერმან მეფემან ფარსმან გზაჲ, და ბრძანებისა მებრ თქვენისა მივეც ნებაჲ. ესერა გამოვლეს ქვეყანა ჩემი და მას გვირაბისა პირსა მოვიდნენ. ესვენ ღმერთებად რასმე სახელ დებულთა არმაზ და ზადენს, გაციმ და გაიმს, და ცეცხლსაცა თაყვანის-ჳსცემენ. ესე გვარნი ნათესავნი არა სადა მსმენიან, და ამათ ზედა სიფრთხილე დიდად საჭირო არს, და ნებასამცა თქვენსა ზედა ჳსუფევდეთო." დილარ მძლეველმან რა იგი ჰამბავი მოისმინა, ჳბრძანა პურობისა გამართვა. კაცი იგი გარშარაბისა სელსა ზედა დასვეს, და შეჳქმნეს პურობა. უბრძანა დილარმან საურმაგს, ვითა: „მივედ ბალისა კარსა ზედა, მნათობი იგა ზეფირ მოიკმე, წიგნი ესე გარშარაბ მეფისა მიუტანე, რათა მიართვას ჴელმწიფესა მას ჴელმწიფეთასა, და ვჳსცნათ, რა იქმნების ბრძანება მისი ამა საქმესა ზედაო." საურმაგ მსწრაფლად წარვიდა, გარნა ყოველნი იგი მეფენი არა მცირედსა ფიქრსა მიეცნენ.

აქა საურმაგ მეფისა და სახლის უხუცესისაგან გარშარაბის წიგნის მიტანა ზეფირსა თანა და ზეფირისაგან ანავსია ჴელმწიფესა წინაშე მირთმევა და ყოველთა მათ მნათობთა ფრიად შეშინება ჰამბავსა მას ზედა.

ოდეს საურმაგ მეფე ბალისა კარსა მივიდა, მონა მოიხმო და ზეფირსა თანა შეჳგზავნა. ზეფირმან ბალისა კარი შეაღო, საურმაგ შინა ბალსა შეიწვია, ნაზად მოესალმა, და თვისისა გარჯისა მიზეზი გამოჳკითხა. სახლისა უხუცესმან ზეპირად ყოველივე გამოუცხადა—კადუზიანეთა ვითარება, დ ფარ-

სმან მეფისა ეგე ვითარი ძლიერი შემძლებელობა, წიგნიცა იგი გარშარაბ მეფისა მიართვა წარსადგენელად დიდისა მის კელმწიფასა წინაშე და, რაჲცა დილარისა ბრძანება აქვნდა, იგიცა აუწყა, და შემდგომად თავით თვისით მფიქრებელმან ჰრქვა ზეფირს, ვითა: ჵე, მნათობო და საყვარელო შვილო ჩემო, დიდი იგი კელმწიფე აბაშეთისა ეგე ვითარისა შვენიერებისა, სიბრძნისა და ძლიერებისა მექონი, დამტევებელი ვრცელისა მის სამონარხოსი, რავდენთა ჭირთა და ბრძოლათა გარდამხდელი არს გზათა ზედა სიყვარულითა კელმწიფასა ჩვენისათა, და თვით ნებითა და მოწვევითა კელმწიფასა ჩვენისათა შემოვიდა უკეთილესსა ამას ქვეყანასა და მიერითგან მარადის ძლიერითა ბრძოლითა იტანჯების, აწ ვიშიში, მთოვარეო, ვინ უწყის ესდენი ბრძოლანი და მტერთა ჩვენთა პასუხის მიცემანი შეჰსწყინდეს, და ვინაჲთგან ჯერეთცა წადილისა თვისისა ალუსრულებელი არს, შეგვაქციოს პირი და გარე უკუნ იქცეს. ჩვენ კელმწიფესა მისებრსა ვერა სადა ვჰპოვებთ, და დავშთებით მტერთაგან ასაოხრებელნი. აწ საქმისა ამის თვის ესე ჰსჯობს, მთოვარეო, რათა შეიწყალოს ქვეყანა თვისი და თვისსა მტრფიალსა მიჰხედოს მოწყალებით და დიდი ესე სამონარხო ესე ვითარისა მწუხარებისაგან გამოიხსნასო. ზეფირმან ყოველივე გულ დებულად მოისმინა და მის კადუზიანთა მეფისა შიშიცა გულსა არა მცირედ მიეცა, აღჰსდგა შეწუხებული და საურმაგს მოახსენა: „მეფეო, ამა ბალსა შეექც და დაყოვნებისა ჩემისა თვის ნუ შეიწყენ, ნუ თუ ჟამი ბედნიერებისა შემხვდეს და საქმესა ამას ზედა კელმწიფასა ჩვენსა წინაშე სიტყვა გავბედოვო."

აქა ზეფირ მხატრობის აღსვლა წინაშე კელმწიფა ანაგსიასსა, გარშარაბის წიგნის მირთმევა და ყოველთა დაბარებულთა მოხსენება.

ზეფირ დაჰმუნებული წარვიდა და რა გოდოლსა აღვიდა, იხილა, რომელ ყოველნი იგი მნათობნი ერთად შეკრე-

ბილნი იყვნეს და ჴელმწიფა ანავსია თვისსა საკუთარსა საწოლსა დილარისა საქმესა არჩევდა მარტოდ. ზეფირმან კარსათანა მიმოსვლა იწყო და შინა შესვლა უბრძანებელად ვერა იკადნიერა. ანავსია ჴელმწიფას რა კმაჲ მიმოსვლისა ესმა, ოქროსა მცირესა სალპინსა ერთი ოდენ ჩაჰკრა, რომელიცა იყო ერთისა შესვლისა ნიშანი. ზეფირმან კარი კრძალვით შეაღო, თაყვანი ჰსცა და ეგრეთ ჰსდგა, ოდეს მოხედა ანავსია ჴელმწიფამან ზეფირს, მჭმუნვარება რაჲმე შეატყო და უბრძანა: „მნათობო, ნუთუ რა გსმენოდესო?“ მან კვლა თაყვანი-ჰსცა და მოახსენა: „მტერსამცა ტახტისა თქვენისასა ნუ მოაკლდების ეგე ვითარი გაგონება, რაჲცა მე მკევალსა თქვენსა მსმენიაო!“ წიგნი იგი გარშარაბისა მიართვა და ყოველივე თქმული საურმაგისა თვისთა დიდებულთა მაგიერ მოახსენა, ვითარსაცა მწუხარებასა შინა ყმანი მისნი იყვნეს. რა ანავსია კვლმწიფან წიგნი იგი გარშარაბ მეფისა აღმოიკითხა, ჴელთაგან გავარდა და ჰბრძანა: „ეჰა, განგებაო ესე რა მესმის მე? დილარს, ჭაბუკთა შვენიერებისა დასაბამსა, იგი კაცის მჭამელნი გმირნი მით დიდროანითა რკინისა ძლებითა ებრძოდნენ, მე თავი ჩემი ცოცხალი რადღა მინაო!“ ჰმსწრაფლად გამოჰბრძანდა და დიდსა მას სახლსა შინა, სადა იგი ათ-ორმეტნი ათასნი მნათობნი ელოდნენ თაყვანის-ცემასა მისსა, ზეფირს წიგნი იგი გარშარაბ მეფისა ჴელთა ეპყრა, და უბრძანა ანავსიამან მნათობსა სოსანას წიგნისა მის კმა მაღლად წარკითხვაჲ. რა წიგნი იგი დაასრულა და ყოველთა მათ მნათობთა შეკრებულებამან გაიგონეს, შიშმან მოიცვნა იგინი და შეძრწუნებულთა ცრემლ დენით მოახსენეს: ეჰა მფარველო ჩვენო კელმწიფაო. შეგვიწყალენ და უხვებითისა მოწყალებითა თქვენითა აღზრდილნი მხევალნი თქვენნი! აჰა ესერა სიცოცხლე გვეკარგების მათ კადუზიანელთა შიშითა. თქვენსა მზესა, ინებეთ და გაგვგზავნეთ შორსა ქვეყანასა, სადაცა სახელი მათი არა იხსენებოდეს. ესე არს ჟამი ჩვენისა მოვლისა, დაგვიხსენით მათ კაცის მჭამელთა ჴელთაგან. შიშმან მიგვტაცა ჟამი კრძალვისა. თქვენ ხართ

ცხოვრება ჩვენი. მოუწოდე მტერთა შემამძრწუნებელსა კელმწიფესა კელმწიფეთასა დილარ მძლეველსა, სპასალარსა სახელოვანსა მარსის და ათასთა ლომ გულთა ჭაბუკთა მოყმეთა დილარისათა, კელმწიფესა ლასურს და ყოველთა მათ გულოვანთა მეფეთა, და ძნელი ესე საქმე მათ თანა არჩიეთო. ვის რაღლა ვეფარვით? აჰა დრო სიკდილისა ჩვენისა მოახლოებულ არსო.“ რა ანავსია კელმწიფამან მათ მნათობთაგან იგი მოხსენება მოისმინა, მოეწონა და უბრძანა ზეფირს: „მსწრაფლად მივედ და საურმაგს გამოუცხადე ბრძანება ჩვენი, რათა ამას ღამესა გვეწვივნენ ხილსა ზედა დილარ მძლეველი, ლასურ პეკინელი, ნუშრევან მყინვარელი, გოჰარ პოლანელი, ზორასტან მეკობრელი, მარსი სპასალარი, ათასნი მოყმენი აბაშიელნი, ათ-ორმეტნი დიდებულნი ჩვენნი, ლარა ძე ეგროსისა,—რათა ერთად მომავალთა მტერთა თვის ვიუბნათ და ვარჩიოთო. ზეფირ მოვიდა საურმაგსა თანა და ყოველივე ბრძანებული გამოუცხადა, ერთი ერთსა გამოესალმნეს, და სახლის უხუცესი წარმოვიდა. ანავსი ხელმწიფამან ჰბრძანა მას ზალსა შინა ხუთთა საკელმწიფოთა ტახტთა დადგმა, ერთი ადამასისა საშუალ დილარისა თვის, ორთა იაგუნდისათა მარჯვენით მისსა და ორთა კვლა მარცხენით კერძო იაგუნდისათა, და ესრეთვე მარჯულ და მარცხულ ჰბრძანა დადგმაჲ მრავალთა სელთა უსასყიდლოთა სპეკალთაგან, და ზურგით კერძო ურიცხვთა ადამასისა სელთა. კვლა უბრძანა ზეფირს ხუთთა კელთა იაგუნდისა სამოსელთა სადედოფლოთა გამოღებაჲ და ხუთთა ხოირთა ადამასისათა თლილთა, კვლა უბრძანა მრავალ სუნნელიანისა წყლისა აბანოსა განმზადებაჲ; და ესე ყოველივე ბრძანებისაებრ სრულ-იქმნა. მაშინ თვით ანავსია შებრძანდა აბანოსა, განებანა და ოთხნიცა იგი მნათობნი თვის თანავე აბანნა, შემოსა ოთხთავე სადედოფლო სამოსელი ხოირითა და სამკაულებითა, და განემზადნენ თვის თვისთა ხვედრთა თვის სიყვარულისა მმატებელად.

ოდეს მეფე და სახლისა უხუცესი საურმაგ წინაშე დი-

ლარისა მივიდა, მაშინ აბაშთა მფლობელი თვისსა საწოლსა შინა მარტოდ ჰბრძანდებოდა. საურმაგმან ყოველივე ბრძანებული მოახსენა. დილარ უზომოსა მხიარულებასა მიეცა, დამოუწოდა ლასურს, ნუშრევანს, გოჰარს, ზორასტანს, სპასალარსა, ათასთა მოყმეთა თვისთა დიდებულთა ძეთა, ლარას და ათ ორმეტთა დიდებულთა მუნებურთა, იგი საიდუმლოებითი ბრძანება გამოუცხადა და გულნი მათნი მხიარულებითა აღავსნა. დილარმან ყოველივე ძვირფასისა სხვილისა მარგარიტისა კაბებითა დაჰმოსნა, დროსა თვისსა მოემზადნენ დაგაემართნენ.

აქა დილარისა და ყოველთა კრებულთა მისთა მისვლა უშვენიერეს-სა მას გადოლისა წალკოტსა შინა წინაშე ანაგსია კელმწიფასსა.

წალკოტისა კარნი მონათა მიერ პალატისათა განეხვნეს და შევიდნენ მას შვენიერსა და ტურფასა წალკოტსა, ეყნოსათ სუნი სუნნელებისა განმაცხოველებელი ყოველთა. მიუძღოდა წინარე დილარ, და მივიდნენ მუნ, სადა მზე იგა სხივთა ამრავლებდა. იგი დილარსა თანა მყოფნი ყოველნი განკვირვებულნი მიაჩემებდენ თავთა თვისთა ოცნებასა რასამე შინა მყოფსა, თვალთა ჴელთა იფარებდეს და სხვითა მათთა განმრავლებასა თავთა არიდებდეს. დილარმან ვიდრე მიწადმდე ტახტისა წინა თაყვანი ჰსცა, და ხელსა მოელვარესა აკოცა, გამობრუნდა, მოჰკიდა ჴელი ლასურ პეკინისა ჴელმწიფესა და ნუშრევანს, მიიყვანა წინაშე ტახტისა, თაყვანი-ჰსცეს, დილარმან ცნობა მათი წარუდგინა, შემდგომად გოჰარ და სორასტან მიიყვანა და ცნობა მათი მოახსენა, კვლა უკუ მოიქცა და ათასნი თვისნი მოყმენი წარადგინა, შემდგომად სპასალარი მარსი და ლარა ძე ეგროსისა მიიყვანა და ცნობა მათი წარუდგინა და ათაყვანნა. კვლად მის ქვეყანისა დიდებულნი იგი განაღა მიიყვანავე, და თვისსა ჴელმწიფასა თა-

ყვანი-ჰსცეს. მან კორციელმან მზემან იგი ყოველნივე თვის
თვისითა შესაბამითა ნაზითა და წყნარითა სიტყვითა მოიკით-
ხნა, შორის გზით მოსვლისათვის მადლობა უბრძანა, და მას
ქვეყანასა შინა თუარა რასამე ზედა უმძიმდათ გამოჰკითხა, და
ანუთუ ვითარ მოჰწონდათ ქვეყანისა მის ჰაერი და ერჭა მათ
შვენიერება. მათ, განცვიფრებულთა მისსა ეგე ვითარობასა ზე-
და, ქუე-დავრდომით თაყვანი ჰსცეს და მადლობა მოახსენეს,
საფარველსა ქვეშე მისსა ყოვლითურთ უნაკლულობისა თვის
და ჴელსა აკოცეს. შემდგომად აღჰსდგა ლომისა ეტლით მზე
იგი და მადლობა ზე დგომით უბრძანა, უნაზესისა ჰრხევი-
თა და ნაზითა ნარნარითა ტახტით ქვე შთამოიყვანეს უზა-
დოთა მათ მნათობთა, და ვითა ესებონისა სარომან, უსუ-
ლიანად სვლა იწყო, მობრძანდა ლასურსა თანა და უბრძანა:
„ჴელმწიფეო პეკინისაო, ცხად არს წინაშე უდიდებულესისა
ტახტისა ჩვენისა, ვითარითაცა სიყვარულისა ცეცხლითა იწვი
საყვარელისა მნათობისა კასიასითა, და ვინაჲთგან გაქვს გან-
დიდებული ძმებრივი ტრფობა აბაშთა მფლობელისა და მზი-
სა ქალაქისა მბრძანებელისა, ამის თვის ღირს გყავ კასიას მე-
უღლეობასაო.“ მოჰკიდა ჴელი და მარჯვენით თვისსა, სადა კა-
სია ტახტსა ზედა ჰსჯდა, მას გვერდით მოუსვა, ჴელი ჴელსა
ჩაუთვალა, დაჰლოცნა და ურთიერთისა ღირს ყოფისა ქება
უდიადა. იგინი ზე აღჰსდგეს, თაყვანი ჰსცეს, ჴელსა აკოცეს
და მადლობა მოახსენეს. მუნით გამობრუნდა, ნუშრევანსა და
ზორასტანს ჴელი მოჰკიდა და მარცხენით თვისისა ტახტისა
ტახტსა ზედა დაჰსხნა. შემდგომად მობრძანდა გოჰარსა თანა
და უბრძანა: „მეფეო, ამიერითგან არღა გატირო, აჰა საყვარე-
ლი შენი რიზარინ შენდა მიბოძებიაო.“ მიიყვანა და გვერდით
მოუსვა, ჴელი ჩაუთვალა, დაჰლოცნა. კვლა მოჰკიდა მარსსა
თანა და იგიცა თვისსა სატრფიალოსა ზეფირს გვერდით მოუ-
სვა. შემდგომად დაჰსდგა ათასთა მა[illegible] გულ ლომთა საშვალ
აბაშელთა მოყმეთა და უბრძანა: ჱე თქვენ, მებრძოლთა შე-
მაძრწუნებელნო, თქვენნიცა მნათობნი განმზადებულნი არიან

თქვენ თვის. გარნა გთხოვთ, რათა მცირედ მოითმინოთ, და თქვენიცა მხიარულება სრულ ვჰყოვო.“ მათ შუბლნი მიწასა დაამხვეს და მადლობა მოახსენეს. შემდგომად მობრძანდა და ლარა ძე ეგროსისა მიიყვანა და თვისსა მას ვარდსა სოსანს გვერდით მოუსვა. მერმე ყოველნივე თვის თვისითა წესითა დასხნა. რა ყოველივე განაგო, შემდგომად მობრძანდა დილარსა თანა და უბრძანა: „მოვედ, ბულბულო ჩემო, დღესითგან გაკმარებ ჩემთვის ოხვრასა და სულ-თქმასაო!“ ჴელი გამოართვა, აღიყვანა და თვისსა ტახტსა ზედა ერთად დასხდეს. მოიღეს ხილნი მრავალნი, ტურფანი და უცხო გვარნი, და სხვა და სხვა სასმელნი, და ყოველთავე თვის თვისად წინა დაუდგეს. მაშინ, ვითარ უსხეულომან ვინმე მნათობმან, ყოველთავე ჰსთხოვა ჴელისა დაყოფა, გარნა მუნ მყოფნი ყოველნივე ჴელმწიფე მეფენი და დიდებულნი განკვირვებისა რასმე ზე მხედველობასა იყვნეს და ჰგონებდეს თავთა თვისთა ცნობისაგან გარე განსრულად, თუმცა იყვნეს მუნ სიყვარულისა ღრიპონსა შემწყვდეულნი, და ჰგებდეს თვისთა სატრფიალოთა შემჭვრეტნი სხვად აღარად მოცალე იყვნეს. გარნა იყვნეს რომელნიმე, რომე მათისა სიყვარულისაგან უცხო ქმნილნი შემთხვევით მუნ დაესწრნენ, ვითარ ერთიცა იგი ნუშრევან, რომელსაცა ესვა საყვარელი თვისი გულნაზ დედოფალი, რომლისა ტრფიალებასა არა მოჰსცილდებოდა, გარნა თვით იგიცა ესრეთ იტყოდა: „ნეტარ, თუმცა ესე მაუწყაო, რომე ცასა აღსრულ ვართ და მუნებრთა მნათობთა ვჰსჭვრეტთ და ანუ ჴორცსავე შინა ვართ და ესე ძილის შორისობა არსო!“ აწ ჰბრძანე, მსმენელო, უკეთუ ნუშრევან ეგე ვითარითა საგონებელითა გარე მოცული იყო, განაღა სხვანი ცნობისა გარე იქმნებოდენ! ნუშრევან ჰსჭვრეტდა დილარისა ქცევასა, რომელიცა დიდითა რითმე და განსხვაებულითა ზრდილობითა ჰსთლიდა ხილთა მათ ყოვლად უშვენიერესთა და უტკბილესთა და ჰსთავაზობდა თვისსა მას მზესა უღრუბლოსა, და ღვინოსა მოჟარაყულსა და პუმპულასა უტკბილესსა ჰსმიდა

და მიართმიდა ჟამსა თვისსა. სატრფიალოსა თვისსა. გარნა რა მიჰხედვიდა ლასურს, გოჰარს და სპასალარსა, იყვნენ იგინი ვითარ უცნობონი და არა იცოდეს, რასა მოქმედებდეს. ხოლო ეგე ვითარსა განკვირვებასა შინა, უბრძანა ჴელმწიფა ანავსიამან მათ კელმწიფეთა, მეფეთა და დიდებულთა, ვითა: „თქვენ, რომელიცა მართალსა ცასა დღეს აქ შემოუკრებიხართ, ნუ განცვიფრებულ ხართ შვენიერებასა ჩვენსა ზედა მით, რომე ჩვენცა კორციელნი ვართ და კაცობრივისა ბუნებისა მექონნი. აწ ესე ჰბრძანეთ, რომე რასა განაგებთ მომავალისა მის კადუზიანთა მეფისა თვის და საძულველთა მებრძოლთა მისთა თვის, რომელნიცა კაცობრივისა ბუნებისაგან განსრულარიან, თურე, და მჴეცთა ბუნებაჲ მიუღიათ, მოყვასი მოყვსისა კორცსა ჰსჭამს და ცეცხლსა, განგებით სახმარად მოცემულსა, თაყვანს-ჰსცემენ და მპარაობასა შინა დაჴელოვნებულ-ყოფილან. აწ რაჲ არს ჰრჩევა თქვენი მოსვლისა თვის მათისაო?“ რა ანავსია კელმწიფამან ესე ვითარნი სიტყვანი ჰბრძანა, მათ არა ვისლა შეეძლო პასუხისა მოხსენება მით, რომე სურვილისა მიერ შეპყრობილ-იყვნენ და თვისნი სატრფონი გაელმერთებინათ და სხვად არღა ეცალათ. მაშინ აღჰსდგა ნუშრევან მეფე, თაყვანი ჰსცა და მოახსენა: „ეჰა უდიდებულესო ჴელმწიფაო და შარავანდედითა მზისაცა გამაცუდებელო, ვჰფუცავ უზენაესსა ჴელმწიფებასა თქვენსა, უკეთუ კვლა ერთსა ჟამსა აქა დავშთებით ჩვენ, ერთობით ყოველნივე შვენიერებითა თქვენითა განცვიფრებულნი, სიცოცხლისა ველით განვალთ, და ესე უმჯობეს არს, რათა მოწყალებით ინებოთ და ნება გვიბოძოთ, და სახლთაგან ჩვენთა ბრძანებულისა თქვენისა პასუხი მოგახსენოთ.“ მას ნუშრევანისა მოხსენებასა ზედა თვითო ოდენ თაფლუჭი კვლა ჩამოატარეს და დაითხოვეს. წარმოვედით თვის თვისთა სახლთა და დილარისა არა ვინ ვიცოდით, მოვიდა ანუ არა.

აქა ბაღსა შინა დილარ მძლეველისაგან მიქცევა გზისა და მუნვე ანაგსით კელმწიფისათანა ხლება და მათგან რჩევა მის მომავალის კადუზიანთა მეფესა ფარძანსა ზედა.

ლასურ პეკინისა იგი დიდი კელმწიფე ოხვრიდა და იტყოდა: „ნეტარ თუმცა, მთიებო კასია, თვალნი ჩემნი შენსა ჰვერეტასა შინა დაბნელდნენ და თლილთა თითთა შენთა მკუდარსა მიწა მომაყარონ! მე შენისა ერთისა ხილვისა ღირსიცა არა ვარ, და ვინა იყოს ჩემდა ბედნიერება იგი. რომელმანცა შენითა შეხვევნითა დამატკბოსო!“ იგი ღამე ეგე ვიაარითა გოდებითა განატარა, და არა თუ მარტოდ ლასურმან, არამედ გოჰარისა, მარსისა და ლარას ცრემლნი შავისა ზღვისა ჰმსგავსად მღელვარეობდეს. იგინი ეგეთსა ვაებასა შინა იყვნეს და დილარ თვისსა სატრფოსა თანა იხარებდა. ოდეს იგი მეფენი დიდებულნი წარმოვიდეს, დილარმან თურე ბაღსა შინა გზა მიუქცია და მუნვე დაჰშთა ვითაცავე ებრძანა საწყურსა თვისსა. ბაღისა კარნი დაჰკრძალნეს და დასხდეს კელმწიფენი იგი და შვენიერნი მნათობნი. უბრძანა მზემან თვისმან დილარს, ვითა: „ლომო ჩემო, მათ კელმწიფეთა და მეფეთა, სურვილისა მიერ შეპყრობილთა, პასუხი ვერა რაჲ მომიგეს და შენ რასა განიზრახავ მათ კაცის მჭამელთა მომავალთა ზედაო?“ დილარმან კელს აკოცა და მოახსენა: „თვალთა ჩემთა ნათელო და სიტკბოებაო ჩემო, ნუ თუ ზრუნვა რაჲმე გაქვნდესთ თქვენ მათთვის ანუ ამა შვენიერთა მნათობთა? ვევედრები კელმწიფებასა თქვენსა, ნუ რასა ჰზრუნავთ, ვჰფუცავ სიყვარულსა თქვენსა, ოდეს მოვიდნენ კეკელისა ამის ქალაქისა მოედანსა ზედა, მაშინ მე, მონამან თქვენმან, შევიწიო ძალი ზეგარდამო და ვუჩვენო მკლავთა ჩემთა ძლიერება ბედნიერებითა თქვენითა; ამას ხოლო ვევედრები კელმწიფებასა თქვენსა, რათა განამკნოთ საწადელნი ესე მნათობნი თქვენნი და შიში ყოვლითურთ განიშოროთ ნაზთა გულთაგან თქვენთა.“ მაშინ განიღიმა დილარისა სამოთხემან და უბრძანა: „არლო-

სამალავია და, მხეჳან ჩემმან, ყოველთავე დიდად გვეშინის კრულთა მათ კაცის მჭამელთაგან და კრძალვაცა ფრიადი მმართებს მპარავთა მათგან: ნუ თუ მომიპარონ და ცუდად დაგშთეს სიქადული შენი. მე შიშითა მათითა არღა ძალ მიძს მარტოდ ამა გოდოლსა შინა ყოფაჲ. ჭ ი დილარ, ესე ჰსჯობს, რათა შენ მცველად ჩემდა დაჰსდგე გოდოლსა ამას ჩემსა ასითა მოყმითა შენითა და ათასითა ქალაქისა ლომ გულითა ჭაბუკითა, ლასურ პეკინისა კელმწიფე დაჰსდგეს საყვარელასა თვისის: გოდოლსა შინა ორი ათასითა ურჩეულესითა ჭაბუკითა თვისითა, ნუშრევან დაჰსდგეს ერთსა გოდოლსა შინა მცველად თვისთა მოყმითა და ათასითა აქაურითა გმირითა, ერთსა გოდოლსა შინა დაჰსდგეს მცველად ზოჰარ თვისითა მოყმითა, და ათასითა აქაურითა ფალავანითა ერთსა გოდოლსა დაჰსდგეს ზორასტან მცველად თვისითა და გარშარაბის ყმითა და ათასითა აქაურისა ჭაბუკითა, ერთსა გოდოლსა მარსი დაჰსდგეს მცველად ზეფირისა ორასითა მოძმითა თვისითა, მოყმითა შენითა, და ათასითა აქაურითა გულოვნითა, ერთსა გოდოლსა დაჰსდგეს მცველად ლარა ძე ეგროსისა საყვარელასა თვისისა სოსანასსა ექვსი ათასითა აქაურითა ჭაბუკითა, ერთსა გოდოლსა დაჰსდგენ ასნი მოყმენი შენნი ორი ათასითა აქაურითა მეომრითა, და ყოველთა გოდოლთა შინა დაჰსდგენ ას ასნი მოყმენი შენნი ორორითა ათასითა აქაურითა ფალავნითა, და დანაშთნი მოყმენი შენნი იყვნენ შენთანავე გოდოლსა ამას ჩემსა, ესე ბრძანებული ესრეთ სრულ ჰყავ, რათა ათ-ორმეტთა გოდოლთა შინა მყოფნი მნათობნი იყვნენ ყოვლითურთ უშიშროებასა შინა, ხოლო მას თქვენსა სამყოფსა ქალაქსა დაადგინეთ სკვითთა მეფე ხაყან თვისითა სპითა და ლასურისა რაზმებითა, და მოუდგინე მათ ბერი ვაზირი, რათა ყოვლითა კელმწიფურისა წესითა ჰხვდებოდეს მათ სიმრავლესა ერთასა, საურმაგ სახლისა უხუცესითანა იახელით, რათა შესაბამად კელმწიფებისა თქვენისა გმსახურებდეთ ყოველივე სახმარი თქვენ თვის მიბრძანებიეს და

მზა არს ქალაქსა ამას შინაო.“ დილარს იგი განკარგვა თვისისა სატრფოსა მიერ უზომოდ იამა და მოეწონაცა, მას უშვენიერესსა პირსა და გულსა უთვალავად დაჰკოცნა და, ვითა ჟამი ითხოვდა, გაიყარნენ. გარნა ბრძანებისა მის აღსრულება დაუყოვნებელად მომავალისა დღისა თვის კვალად უბრძანა. დილარ თვისსა საწოლსა მოვიდა და, ვითაცა ჰშვენოდა, მხიარულებით ძილსა მიეცა და განისვენა.

აქა მათ კელმწიფეთა და მეფეთა განკვირვება უზადოთა მათ მნათობთა შვენიერებასა ზედა და ზოგთა სურვილითა მათითა ცნობის მიხდა და დილარისაგან მობრუნება მათი.

მეორესა დღესა დილასა ადრე აღჰსდგა დილარ მძლეველი და გაუგზავნა კაცი მათ კელმწიფეთა და მეფეთა მოსაწვეველად, და რა დაიყოვნეს მოსვლა, კვლა გაუგზავნა კაცი ნუშრევანსა და შეუთვალა, ვითა: ჩემსა მზესა, ნურღა ჰყოვნი, მალედ მოვედო.“ რა მეორედ კაცი დილარისა მივიდა, მყისად აღჰსდგა ნუშრევან, მივიდა და თაყვანი ჰსცა. დილარმან მოიკითხა და უბრძანა: „ნუშრევან, ნუთუ რა გემიზეზებოდეს, რაჲსა თვის დაიყოვნეო?“ მან მოახსენა: კელმწიფეო, მზემან თქვენმან, განკვირვებასა დიდსა რასამე შინა ვიყავ და ჯერეთცა იჭვსა შინა ვარ მათ მნათობთა ზედა; მით რომე კორციელნი არა მგონიან, და უკეთუ იგანი კორციელნი არიან, ნეტარძი მათთა მოყვარეთა გულისა გაძლებასაო!“ დილარმან პირსა აკოცა და უბრძანა: „ძმაო, ნუ თუ ესენი გგონიეს იგინი, რომელთაცა, მგელ-ქმნილთა, სახე ქალთა შეიმოსეს და შენ მოგაცთუნეს! ეს არა გარძნეულთა ქვეყანა არს, არამედ მზისა ქალაქი არს, სადაცა ეგე ვითარნი მნათობნი იზრდებიანო.“ შემდგომად მოვიდა მეფე მეკობრეთა ზორასტან, და მასცა ჰკითხა დილარმან, ვითა: „ზორასტან, ვითა მოგეწონენ იგა მნათობნიო?“ მან მოახსენა ესრეთ: „ჵე კელმწიფეო,

უკეთუ იგანი მიწისაგანნი არიან, მე ესე არა მჯერა, და ესე იქმნების, რომე ცით ღმერთთა სიმრავლე გამოსრულ იყვნენ, იგი არსთა შექმისა მსახურთა შეეცვასთ, და ესენი აქარე დამკვიდრებულ არიანყე. მისგან კიდე ვერა რაჲსა მიმხვდარ ვარო. დილარ მათსა სიტყვასა ზედა იცინოდა და მხიარულობდა, გარნა რა ლასურ და გოჰარ არა მოვიდნენ, დაჭმუნდა და მოკითხვისა კაცი გაუგზავნა, და სპასალარსა შეუთვალა: რად არა მნახე, ნუ თუ რა გჭირდესო? მარსი მალიად ზე აღჰსდგა, მივიდა და თაყვანი-ჰსცა. დილარმან მადლობა უბრძანა, სელსა ზედა დაიწვია და დაჰსჯდა. გარნა არა მცირედი ჭმუნვარება ეტყობოდა, უბრძანა დილარმან: ჩემ თვის საწადელო მოყვასო, რასა ურვასა შესრულ ხარო? მან საბრალოდ სულთქმა აღმოუტევა და მოახსენა: კელმწიფეო, გევედრები, შემიწყალო და არა მამკლა ზეფირისა კიდეგანობითა! ვნატრი ჟამსა მას, ოდეს შვენიერებითა მისითა თვალნი ჩემნი ჰნათლდებოდეს, გარნა ვაჲ ამით, რომე ახლოს ყოფნითა დავილიე და რა მოვშორდი, სიცოცხლე ჩემი მას თანავე დაშთა, და ამას გეაჯები, ჟამისა ამის თვის გებრალებოდეო. ოდეს მარსიმ იგი მოხსენება დაასრულა, მოვიდა კაცი, გაგზავნილი ლასურსა და გოჰარსა თანა, და მოახსენა, ვითა: წვანან და არა ძალი უძსთ მოსვლაჲ თქვენამდეო. დილარმან რა იგი სიტყვა მოისმინა, აღჰსდგა, ნუშრევან და მარსი თან წარიყვანნა, და მივიდნენ ლასურსა თანა, იგი საბრალოდ ცრემლითა ხშირითა იბანებოდა და გონება შესუსტებულსა ყმანი მისნი სუნნელთა ჰკურებითა აბრუნებდეს. დილარს თვალთა ცრემლი მოერია, კელითა კელი დაუჭირა, პირსა აკოცა და დაჰსძახა: კელმწიფეო ძმაო ლასურ, შენსა გულისა სიმყარესა ვითა ჰშვენის ეგრე უცნობო ქმნილობაო? მოაღებინა ბერი ვაზირისაგან მოცემული წამალი და ცხვირსა აყნოსა, შუბლსა მოჰსცხო, და ლასურ გონებასა მოეგო. რა თვალნი აღახვნა და დილარ თვის ზედა მოტირალი იხილა, სირცხვილისა ოფლი წარმოჰსდინდა, დაჰგმო თავი თვისი, ზე წამოჰსჯდა და მოახსენა დილარს:

კელმწიფეო, რაჲცა განიზრახოთ ჩემთვის, სამართალ რას, თავმან თქვენმან, გულსა ჩემსა ესე არა განივლიდა. თუმცა სიყვარული დამიმონებდა, გარნა აწ არა თუ დამონება, არამედ სიკვდილიცა დამიახლოვა მნათობმან მან კასიამან, და ჲნდელთა რაზმნი მისნი გულსა ჩემსა შემპყრობელ ემნეს და ამას ოდენ ვინატრი—ერთ გზის ტკბილთა მათ თვალთა დაკონებასა ვეღირსო, სული ჩემი მისთა გუგათა შთავბერო, და მისსა წიალსა შინა სიცოცხლე ჩემი დასრულდესო." რა ლოსურ სრულად ცნობასა მოვიდა და საუბარი განამრავლა, დილარმან ნუშრევან მუნ დაუტევა შესაქცევლად და თვით გოჰარსა თანა მიჰბრძანდა. იგი სარეცელსა ზედა ჰსწვა და სურვილისა ცეცხლსა შეხურვება მიეცა. რა დილარ თვის ხანა იხილა შესრული, აჰსტირდა და ჰკადრა: „უდიდებულესო მონარხო, ნუ დამგმობ, შენსა მზესა, სიყვარულისა ზღვამან თვისსა პეპელონსა დასაშთობად შემიტანა და ამის თვის მოტევებასა ღირს მყავო." დილარმან ტკბილითა სიტყვითა უბრძანა: „საყვარელო ძმაო, ეგე ჭირი გულსაცა ჩემსა მკვლელად ჰსჭირს, გარნა მოთმინებისაგან კიდე ღონე არა გვაქვსო." გოჰარმან ამოიოხრა და მოახსენა: კელმწიფეო, ნეტარ თუმცა ხილვა რიზარინისა კუალადცა მეღირსებოდეს, თვარა მოთმინებასა არა ვექცევიო." დილარი თვისსა ვანსა მოეშურებოდა, გოჰარს პირსა აკოცა და უბრძანა: „ადრე მოგვალე ჩემდა, თავმან ჩემმან, შენსა სასიხარულოსა ჰამბავს მოგასმენო." დილარ მყისად თვისსა დარბაზსა მიბრძანდა და მოუწოდა ყოველთა მეფეთა და დიდებულთა, მყის ჟანად შემოჰკრბენ ყოველნივე ერთბამად და თვის თვისითა წესითა დასხდეს, და სულ დაღებით კრძალვით ჰსჭვრეტდენ დილარ მძლეველსა, თუ რასა ჰბრძანებსო.

აქა დილარ მძლევლისაგან კანკება, თუ ვითარ ჟჯერ-იყო მის კადუზიანელთა მეფის ფარსმანის მოსვლის ჟამსა საქმის მოქმედება ანუ მზის ქალაქის დაცვა კელთაგან მათთა და მნათობთა სიმრავლის უშიშრად დაკრძალვა ვითარცა ჰშვენოდათ.

მაშინ ჰბრძანა დილარმან, ვითა: ძმანო ჩემნო, კელმწიფენო და მეფენო და ყოველნო დიდებულნო, აჰა ჩვენ ესეოდენი სიმრავლე ერთა შემოჰგვკრიბნა მიზეზითა რომლითამე ზენამან განგებამან, დიდსა ამას და განსაკვირვოსა საკელმწიფოსა, და აწ ჩვენ ვინაჲთგან ურთიერთისა სიყვარულსა ზედა დავმტკიცებულ ვართ, ამის თვის ჯერ არს ჩვენდა, რათა თავნი ჩვენნი ერთისა სიყვარულისა მხოლოდ მექონთა შევჰსწიროთ ერთმანეთსა. რომლისა თვისცა არც აქა დავშთებით უჯილდოთ და არცა მას სოფელსა. ამისთვის ყოველთა ერთობით მომჰირნეობა და სიმხნისა გამოჩენა გვმართებს. ყოველთა გესმათ რომე იგი დიდი მეფე კადუზიანთა ფარსმან მომავალ არს ძლიერითა გმირთა სიმრავლითა კაცთა შემჭამელთათა, რომელთა კმასა შეუშინებიეს სიმრავლე იგა მნათობთა. აწ საქმესა ამას ზედა ესე არს ბრძანება ყოველთა კელმწიფეთა მბრძანებელთასი და თვით ჩემ მიერცა, რათა ქალაქისა ამის თავად და მბრძანებელად და დამცველად დაშთეს აქა მეფე სკვითთა ხაყან ყოვლითა რაზმითა თვისითა, და ლასურისა სპათა სიმრავლითა, და მოუდგეს მას ბერი ვაზირი, რათა ჰმსახურებდეს ყოვლითა კელმწიფურისა წესითა. ლასურ პეკინისა კელმწიფე აღმომრჩეველი თვისთა სპათაგან ორ ათასთა ლომგულთა ჭაბუკთა, მოუდგეს გოდოლსა მას, სადაცა ანათებს საყვარელი მისი მნათობი კასია. ერთსა გოდოლსა მოუდგეს მცველად ნუშრევან ყმითა თვისითა, ვითა ბრძანებულ არს ზემორე მზისა ჩემისაგან. ერთსა გოდოლსა მოუდგეს გოჭარ ყმითა თვისითა, სადაცა არს საყვარელი მისი რიზარინ, ვითარცა არს ბრძანებულ ზემორე. ერთსა გოდოლსა მოუდგეს მცველად ზორასტან გარშარაზისა სპითა და ყმითა თვისითა,

ვითაცა არს ბრძანებულ ზემორე, ერთსა გოდოლსა მოუდგეს მარსი მცველად თვისსა სატრფოსა ზეფირს ბრძანებისაებრ. ერთსა გოდოლსა მოუდგეს ლარა ძე ეგროსისა, საყვარელსა თვისსა სოსანასა მცველად ბრძანებისაებრ, და სხვათა გოდოლთა მოუდგნენ მცველად თვითოსა ას ასნი მოყმენი ჩემნი, ვითაცა არს ბრძანებულ ზემორე. ხოლო ერთსა მას გოდოლსა თვით მე მოუდგე მცველად დანაშთითა მოყმითა ჩემითა ბრძანებისაებრ, და შევჰსწირო თავი ჩემი სიხარულსა ჩემსა. ამის თვის განმზადებულ არიან ათ-ორმეტნი გოდოლნი, რათა მივიდეთ და დავჰსდგეთ მათ შინა მცველად უშიშრობისა თვის მათ მნათობთასაო, რა დილარმან ბრძანება ესე დაასრულა, უბოძა ბერსა ვაზირსა სამ ათისა საჭურჭლისა გასაღებნი, და უბრძანა: „ჩემსა მზესა, რაჲცა წესი სეზოსტრ კელმწიფისა იყოს, მითვე წესითა ჰხვდებოდე მეფესა ხაყანს, და ყოველსა სიმრავლესა ერთა მათთსაო.“ ჯანუჯან ვაზირმან გალანამცა ბრძანებისა აღსრულება მოახსენა, და ესრეთ მას ქალაქსა შინა მყოფთა საქმე ესრეთ განაგო.

აქა დილარ მძლევველისა და მათ ყოველთა კელმწიფეთა, მეფეთა და დიდებულთაგან მომზადება და შესვლა უშვენიერესსა და კეკელასა მას მზისა ქალაქსა შინა და მენით მოგებება ყოველთა მკვიდრთა მას შინა დიდებულთა და აზნაურთა და შემდგომთა უჩინებულესთა მოქალაქეთა.

შემდგომად უბრძანა დილარ მძლეველმან მეფესა და სახლისა უხუცესსა საურმაგს: წარვედ შენ წინარე და სადილი მის გოდლისა წალკოტსა შინა განგვიმზადეო, სადა კელმწიფე იგი მზისა ქალაქისა ჰბრძანდებაო. მეფემან საურმაგ თაყვანი-ჰსცა და მოახსენა: უძლიერესო კელმწიფეო! ეგე ყოველივე მზა არს, და მობრძანებისა თქვენისა მაყურებელნი ვართო. მას მოხსენებასა ზედა დაიჭურნენ ყოველნი და უკე-

თესთა გასხდნენ ცხენთა, დაარჩივნეს უჩინებულესნი გულოვანნი, და დაუტევნეს მშვიდობა მუნ დანაშთთა და გაემართნენ საწადელითა სლვითა და მოხარულითა გულითა დასად და დასად დაწყობილნი, მივიდნენ მის დიდებულისა და კეკელისა ქალაქისა კართა, რომლისა კელოვნებისა გამოთქმა შეუძლებელ არს. მოეგებნეს მოქალაქენი, ჴელთა ლამპართა მპყრობელნი, და გვაყრიდენ ზედა ძვირ ფასთა სპეკალთა. ყოველნი მის ქალაქისა ქუჩანი იყვნეს დაფენილ უცხოსა ჴელოვნებულისა სტავრითა შალითა ნახლითა და ოქსინოთა, იყო სიმრავლე სანიობათა ტკბილ კმიანობისა, და აქებდეს დილარისა კელმწიფებასა. ოდეს ქალაქისა შემკობილება ვიხილეთ, ესრეთ ვჰგონეთ დღეთა შინა ჩვენთა შენობა არა სადა გვეხილვა, არა რა არს ქვეყანასა ზედა შვენიერებითა ჰმსგავსი მისი! ვლეთ მოსწრაფედ ვითარ შვიდი ჟამი და მივედით საშუალსა მის ქალაქისასა, სადაცა იყო საკელმწიფო მოედანი და პალატნი შვენიერნი, რომელთა ქებისა წარმოთქმა არა რომელთამე რიტორთა არა ძალ უძსთ, და მსმენელთა გულნი განჰსცვიფრდებიან. მოგვეგებნეს ყოველნი დიდებულნი და მოხელენი თვის თვისით წესითა, და თაყვანი-ჰსციან დილარს, ქება შეასხიან, ქვე სპეკალთა დაგვიფენდეს, და ესრეთ დიდებითა დიდითა აღგვიძღვნენ საკელმწიფოთა პალატთა და სრათა.

აქა დილარ მძღუგელისა და სხვათა მათ კელმწიფე მეჯეთა და დიდებულთაგან სეზოსტრ კელმწიფისა სრა პალატთა შინა აღსვლა და მუნ ხილვა მრავალთა კეთილთა სახილველთა.

შესავალსა გზასა ზედა იყო ბალახშისა სვეტნი, ზემო კერძო კურტიმელად ჴელოვნებული, და მას ზედა იყო მდგომარე სრულისა იაგუნდისაგან ჴელოვნად გამოქანდაკებული დიდი იგი ჴელმწიფე მზისა ქალაქისა სეზოსტრ, რომელსაცა ერთსა კელსა ეპყრა გვირგვინი მრთელისა ალმასისა, და მეო-

რესა ჴელსა სფერო იასპისა, და მას ზემორე ოქროსა ფირო-შოსა გავალაკი ედგა, და ზედა ეწერა ადამასითა განათალითა ასოებითა, და შიგან ტურფად შთაწყობილითა ესრეთ:

„საყვარელო ჩემო დილარ! მიიღე ქვეყანა ესე ჩემი შენთვის განმზადებული, და ნუჰყოფ დავიწყებასა ჩემსაო.“ დილარმან რა წერილი იგი აღმოიკითხა, აჰსტირდა, მივიდა, თაყვანიჰსცა, ჴელსა აკოცა და რა მეორედ თაყვანი ჰსცა, გვირგვინი იგი თავსა დაადგა და სფეროჲცა ჴელთა მისცა. განვჰკვირდით ყოველნივე მას ჴელოვნებასა ზედა, და ესრეთ შევვლეთ დიდი იგი პალატი, ვჰსინჯვიდით და ჰკვირობდით ჴელოვნებასა და სიმრავლესა სახლთასა. შემდგომად მოახსენა საურმაგმან, ვითა: ძლიერო ჴელმწიფეო! დაშვრებით, სახლთა ამათ უკეთესობა და უმჯობესობა არა მოაკლდებისთ; სხვათა კეკელათა და ტურფათა სახლთა კიდე, სამ ათნი ათასნი სახლნი ეგეთნი არიან, რომე არცა სივრცით და არცა სიგრძით კაცისა სამოსელთა ფერთა განრჩევა არა შეიძლების, თვარა კაცისა ცნობა კიდით კიდედმდე ყოვლად არა იქმნების! დილარ და იგი ჴემლწიფე მეფენი და დიდებულნი ჰსჭვრეტდენ ჴელ-წმინდად შენებულებასა მას, და უცხო გვარად შეწყობასა მათ ძვირ ფასთა ქვათასა; სხვა არა რა იყო ხმარებული, ზოგი ყვითლისა ზურმუხტისა და მწვანისა იყო, ზოგი წითლისა იაგუნდისა, ზოგი იასპისა, ზოგი ბალახშისა, ზოგი სარდიონისა, ზოგი ოქროს ლაჟვარდისა, და თეთრისა წილ იყო ყოველგან ადამასისა ქვანი, ისხდეს განათალნი, და ზედა იყვნეს საკვიროსა ჴელოვნებითა გამოჰრილნი ყოველნი ცისა შემკულებანი, ზოდიაქონი მისნი, მზისა და მთოვარისა მიმოსვლანი, და სხვათა მათ ცთომილთა სრბოლანი, და ვარსკვლავთა სიმრავლენი. რა უცხოთა მათ შენებულებათა ხილვითა დაშვრნენ, გარე გამოვიდნენ, ცხენთა დავსხედით და სადასადილო განმზადებული იყო მის წალკოტისა კარსა გარდავხედით, შევედით ბაღსა მას, რომელსა ცისა ქვეშვე არა რაჲ ედრება, მუნ პური მზა დავხვ-

და. რაჲცა ჩვენ ვიყვენით მეორე ქალაქით შესრულნი ანუ უცხონი და ანუ მის ქალაქისა დიდებულნი, ყოველნივე ერთ-ბამად ასი ათასნი სულნი ვიყვენით. დავსხედით პურობასა ზე-და, გარნა ესრეთ გასხვაებული პურობა იყო, რომე რაჲცა მას მეორესა ქალაქსა გვენახა, ვითა უბადოთა კაცთა პურობა ყოფილიყო! სრულად არღა გამოჰსჩანდა მუნებური პურობა, რომელიცა ჩვენ ძლიან დიდად გვიკვირდა, და ვითა მას პურო-ბასა ჰშვენოდა, იგი კელმწიფენი და მეფენიცა ეგრეთ მხიარუ-ლობდეს. უბრძანა დილარმან საურმაგს, ვითა: „სახლისა ჩემისა უხუცესო! ესე განგება რად მას ქალაქსაცა არა იხმარეო?“ რომელმანცა მოახსენა: „უდიდებულესო კელმწიფევ! ვითარ გვირგვინოსანი ქალაქი არს ესე, ეგრეცა უმეტესობა ჰშვენის და კვლა უმჯობესი ამისსა სხვათა დღეთა თვის განმზადებუ-ლი არსო“. იგი მოხსენება ყოველთავე მოუწონეს, და გან-მრავლდა სმა ლოსტაქანთა, ვიდრე შუაღამემდე მუკლებელი-სმა იყო, და რაჟამს პურობა სრულ ჰყვეს, მოგვცეს წინა მძღომელნი, და, ვითა განეგოთ, ეგრეთ თჳს თჳსთა ბურჯთა შეგვიყვანეს. მაშინ უმეტესად განკვირვებასა მივეცენით მით, რომე თუმცა გოდლად სახელ-ჰსდებდენ, თვარა თვითოთა ქა-ლაქთა შენებულება იყო, მრავალნი სახლნი სახლთა ზედა ტურფად რადმე სპეკალითა შენებულნი გვიჩვენნეს ჩვენთვის განმზადებულნი, ყოველნივე შენებულებანი იყვნეს ათ-ხუთ-მეტ სართულნი, და განვისვენეთ ჩვენთა ხვედრთა სავანეთა. მეორესა დღესა დილასა ადრე იახლა დილარს სახლისა უხუ-ცესი საურმაგ და მოახსენა: „კელმწიფეო! დღეს სადა ინე-ბებთ სადილისა განმზადებასაო“. დილარმან უბრძანა მასვე ბაღსა შინა სადილისა მზაობა.

აქა წინაშე დილარ მძლეველისა შემოჰკრბენ ყოველნი იგი კელმწიფე მეფენი და დიდებულნი, და ჰეკინისა კელმწიფე ლასურისა და სხვათა მეფეთაგან ქება მათ გოდოლთა შენებულებისა, და დილარისაგან უმეტესისა ქებისა ბრძანება.

ოდეს თვისსა დროსა შემოჰკრბენ წინაშე დილარ მძლეველისა იგი კელმწიფე მეფენი და დიდებულნი, სხვასა არა რასა მოუთხრობდენ მათ გოდოლთა შვენიერებისაგან კიდე, და განკვირვებულნი აქებდეს კელოვნებათა მათთა. შემდგომად დილარმან უბრძანა: „ძმანო ჩემნო საყვარელნო! თქვენცა უწყით სმენით, კელმწიფებისა ჩემისა დიდება, და რომელსამე თქვენგანსა უხილავსცა სრა-პალატნი ჩემნი. გარნა თვით ჩემდაცა საკვირო არიან კელოვნებანი ამათ გოდოლთანი, და უკეთუ სრულად იცოდეთ კელოვნებით შენებულებანი ამა გოდოლთანი, უმეტესსა ქებასა წარმოიტყვით, და მეცა ამისგან კიდე არა რაჲ ვიცი, რომე ზედა კერძო ჩვენსა სატრფიალონი ჩვენნი ანათობენ, და ყოველსა მოქმედებასა ჩვენსა პირის პირ ჰსჭვრეტენ. იგინი ჩვენ თვითოეულად გვჰსინჯვენ, და ჩვენ მათსა ვერა რასა მივხვდებითო“. მას დილარისა ბრძანებასა ზედა ყოველთავე ერთობით ვარძმი ჰსთქვეს და არა ირწმუნეს, ფუცვდეს და იტყოდეს, ეგე ეგრეთ არა იქმნებისო. რა იგი კელმწიფე და მეფენი მას ცილობასა შინა იყვნეს, დილარმან გაუგზავნა მონა ზეფირსა და შეუთვალა, ვითა: უმდაბლესისა კრძალვით მოახსენე მზესა ჩემსა, რათა ესე კელმწიფენი და მეფენი ერთსა დროსა თვისსა სრასა მიგვიწოდოს, და თვთ პაშტასა ჟამსა ამა ჩვენსა სამყოფსა განისვენოსო“. ვიდრე მონა იგი ზეფირსა თანა ალვიდოდა, მათ მნათობთა თურე ჰსცნეს, და სხვა მონა მოჰგზავნეს, ვითა: „თუ გნებავსთ ზემო სახლსა მობრძანდითო“. მის მონისა მოხსენებასა ზედა ალჰსდგნენ ყოველნი და ალვედით ფრიად შვენიერსა სრასა რასმე შინა, და ოდეს ქვე იატაკსა დავხედეთ, იგი სახლი, რომელსა შინა დილარ იდგა, ესრეთ გამოსჩნდა, ვითა მას შინა

ყოფილ ვიყავით, და რა კვლა დავჰსჭვრიტეთ, იგა უბრყვლო-ნი მნათობნი ახლდენ კელმწიფასა თვისსა და შეექცეოდნენ. რასაცა იტყოდეს, ყოველივე გვესმოდა, და მოძრაობა მათი არა რაჲ გვეფაროდა. მაშინ ლასურ და გოჰარმან კმა ჰყვეს: „დაცავინ გვხოცოს, ჩვენ სახლსა ამას არღა სადა განვეშორე-ბითო მით, რომე ეგერა სატრფოთა ჩვენთა პირის პირ ვჰსჭვრეტ-თო“. ესრეთ ახლოს ჰსჩნდეს, რომე ვჰგონებდით ჩვენსა და მათ შუა არღარა იყო რა. დილარისა სპასალარი მარსი ზე-ფირისა ტრფიალებითა აღეტყინა, სიყვარულმან მათ კელმწი-ფეთა კრძალვა დაატევებინა, დაჰსდრკა, რეცა საყვარელი თვი-სი ახლოს ჰგონა, და ესრეთ ძლიერად ჩატკბობით აკოცა, რომე მისისა კოცნისა კმა მუნ მყოფთა ყოველთა გავიგონეთ. გლახ! სპასალარს თურე იატაკი შეჰხვდა და ზეფირისა წილ ქვასა რასმე აკოცა, საბრალომან დიდად შეიკდიმა და სირ-ცხვილისა ოფლმან დაასხა. დილარმან დიდად გაიცინა და ლა-სურმან კმა მაღლად ჰსთქვა: „განვიდეთ და ამა ქაჯთა კელოვ-ნებასა განვერნეთო, რათა უარესსა ჭირსა არა გავებნეთო“. მყისად გარე გამოვიდნენ და დილარისავე სამყოფსა შთავე-დით. მუნ არცა მნათობნიღა იყვნეს და არცა მზე იგა, მზეთა კელმწიფა მათი. კვლა ესე უმეტესად დაგვიკვირდა და ვერა რასა მივხვდით. ლასურ თვისსა სახლსა წარვიდა და ჰსთქვა: „მე აქა ვერა დავჰსდგები მით, რომე მათ მნათობთა ჩვენი არა რაჲ ეფარვის და ნუთუ სიტყვითა წყენა რაჲმე მიიღონო“. ესე ამად-ყე ჰსთქვა, რომე ახსოვდა სიტყვა იგი, რომელ ჰსთქვა, და იტყოდა გულსა შინა თვისსა, „ვითა: ვიცი უცილოდ იგი თქმუ-ლი ჩემი ბოროტსა რასმე მომაყენებსო“. რა თვისსა სრასა მი-ვიდა, სასთუნალსა თავი მიჰსდვა და ფიქრსა რასამე მძიმესა შიეცა. თურე მას სახლსა ზემორე მთიები იგა კასია იყო და ზე დაჰყურებდა, რა მცირე ჟამმან განვლო,

აქა მნათობისა მის კასიას მონისა მოსვლა წინაშე ლასურ პეკინის კელმწიფისა და წიგნისა მორთმევა.

შემოდგა მონა ვინმე შვენიერისა სახისა და სამოსლითა ძვირფასითა მოსილი, და წიგნი რაჲმე მოართვა. იგი კელმწიფე ფიქრითა დამძიმებული ზე წარმოჰსკდა, წიგნი იგი მონასა მას ჩამოართვა და კითხვა დაუწყო, რომელსა შინა ეწერა ესრეთ: „ჵე უმადლოო, ლასურ კელმწიფეო პეკინისაო, რაჲსა თვის სვესა შენსა ზედა ესრეთ უმადლოობ, რომელმანცა ჩემებრი მნათობი შენდა ხვედრად განაწესა, რასა შრომასა და სისხლის დაღვრასა იქადი ჩემისა დახვედრისათვის და რომლისა სახელოანისა საქმისა აღსრულებისა თჳს მოქადულობ, და რასა თვის ქაჯად და გრძნეულად გვიწოდ ჩვენ. აწვე მაგა სამყოფით ჩემით განვედ და ჰმსგავსი შენი, სადაცა გერჩიოს, მუნცა მონახე. ნურღა ჰგონებ ჩემისა ელვარისა პირისა ხილვითა კვლაღა გაბედნიერდე, და ანუ შენსა სურვილსა ჩემთანა მიემთხვიო. განმეშორე სამყოფით ჩემით, ქაჯთა ქვეყანა თურე თქვენი სამფლობელო არს, რომე სახელიცა მათი შენვე გცოდნია, და კელოვნებასაცა მათსა ზრდილი იქმნები, და ჩვენ შენგან ამაოდ ცილ-დაწამებულთა აქამომდე სახელიცა მათი არა გვსმენია.

შ ა ი რ ი.

შენებრსა ლალსა, კადნიერს, პირი თავსა არ აჰცილდეს,
ვინ გაღირსოს შეწყალება, რაზომ ცრემლი თვალთა გმილდეს,
ჩვენებრ მზისა მოწუნართა შენ ხსენება გიადვილდეს,
რასა ჰქვან, ქაჯად გვრაცხე, ცეცხლი გულსა ვით გიგრილდეს!

ჩვენ არა ვიცით ქაჯთაგან კორცითა ნათელ მფენობა,
სრათა კელოვნად გებულთა, მათი ზანაკად შენობა,

სულად ბოროტად გვასმია, კაცთად აქვსთ დიდი მწყენობა,
ვითა ვეჰმსგავსით, რითა ვჰგავთ, ჰყავ ამის გამომჩენობა!

აწვე თავსა უწინამძღვრე, განმეშორე, განმერიდე,
გჰსწადდეს—ღხინით განჰსცხრებოდე, გჰსწადდეს—ცრემლთა
ველად ჰღვრიდე,
ვერღა სადა მიხილვიდე ათას გზისცა შინატრიდე,
თუ გლახ გჰქონდა სიყვარული, გიჯობს, გულით აღმოჰფხვრიდე.

ლასურ პეკინისა დიდმან კელმწიფემან, რა წერილი იგი აღმოიკითხა, საკვდავად აღმოიოხრა, თვალთა ცრემლისა ღვარნი გარდმოუტევა და დაიწყო გლოვა საბრალოსა კმითა ესრეთ: ჵი, სვისა მიერ განწირულო უბედურო ლასურ, რად ენა შენი მახვილითა არა მოიკვეთე, უენოდ სიცოცხლე შესაძლებელ იყო, და აწ სულისა შენისა დამკარგავი სრულიად მიწა იქმნები! შავ-ბედო ლასურ, ვისთვისცა კელმწიფება შენი საძღვნოდ გსურდა? რად ესე არა იცოდი, რომე მას განკრძალვაცა დიდად უნდოდა! ბაგეთა შენთა ჰაბუკობა შენი გააბედითეს, და ენამან შენმან დიდება შენი განაქარვე, რაჲცა ერთითა სიტყვითა დაჰკარგე, თუმცა ათასსა წელსა სიცოცხლე გქონდეს და ყოველსა ჟამსა სისხლსა ღვრიდე, მისი ჰოვნა არღა ძალ-გიძს, და ვინაჲთგან შენსა ვვამსა ზედა კელმწიფაჲ განარისხე, ესე არს სამართალი, რათა განივლტო ველურთა მკეცთა თანა და დღენი შენნი სიმწარესა შინა დაასრულო! ვერღარავინ ჩემისა საყვარელისა გულსა-მომიგებს. მე ბრძანება მისი სურვილით აღვასრულო, ესერა მომავალსა ღამესა დასრულდების ცხოვრება ჩემი კაცთა შორის და უღალთა მთათა ზედა მხეცთა შესაჭმელად მივეცემი! იგლოვდით ჩემთვის, მოყვასნო და მეგობარნო!“

შ ა ი რ ი.

პეკინელთ დიდი კელმწიფე იგლოვდა ცრემლთა მღვრელია,
იტყოდა: სიტყვთ ალვაგზენ ჩემთჳს სახმილი მწველია,
ვინ დამიშრიტოს, ბედკრულსა ალი მედების ძნელია!
მოვჰკუდე, არ მგამა, სამისოდ თავი მაქვს უშურველია.

ვიცოდი სიტყვით, შემედვა გულსა მახვლნი მჭრელები,
შევჰსცდი, დავჰკარგე სიცოცხლე და დღენი სანატრელები,
ვჰსწყევ თავსა ჩემსა, წამერთვა ყოველი საწადელები,
რას მარგებს ტყებით ვაება, დ̃ ცრემლნი უშურველები!

ენამან ჩემმან სამსალა შემასვა მკვლელად გულისა,
მსწრაფლად მოჰკუეთა წამები ჩემისა სიხარულისა,
სხვად ულონო არს კურნება ესე ვითარად წყლულისა,
ველად გავიჭრა, მომადგა დაჰსჯა, გლახ, ჩემგან თქმულისა!

დავჰსთმო ყოველი დიდება ნადირთა თანა რებითა,
მთათა და ტყეთა შევჰსჩივლო მე ცრემლთა მოხშირებითა,
დღესითგან ვჰსძებნო სიკვდილი სულისა მოსწრაფებითა,
იგა დავჰკარგე, რომელი ვერ ვჰპოვო შენანებითა!

ჰკმობს: „საყვარელო, მე შენი მმართებს ბრძანების მცველობა
ჟამითა მომხვდა ბედ კრულსა გაჭრა მთათა და კელობა,
ველად განვიდე, მტირალმან ვჰყო თავის შემწირველობა,
მჴეცთა მივეცე საჭმელად, დამიშრტეს ცეცხლთა მწველობა“

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

მას ლისურისა განმწარებულსაგლოვასა და კმა მაღლად გოდებასა თურე უზადო იგა მნათობი კასია ზემო სახლით ყო-

ველსავე ჰხედვიდა და ქარტაცა იგი იხილა, რომელსაცა მდუღარითა ცრემლითა ჰსწერდა. რა შეასრულა, მონასა მას მიხედა და ჰრქვა: „ძმაო ჩემო, ესე წიგნი სიცოცხლისა ჩემისა მომკრულთსა მიართვი და მოახსენე: „მთიებო, ამასვე მომავალსა ღამესა ბრძანებული შენი აღვასრულო. დავჰთმო კაცთა თანა ცხოვრება და ველურთა მკეცთა კვალსა შეუდგეო“. მონამან წიგნი იგი ჩამოართვა, და მთიებსა მას მიართო. ოდეს უშვენიერესმან პეკინისა მთოვარემან კასია წიგნი იგი აღმოიკითხა, დიდად შეჰბრალდა და ჰბრძანა: „იგი კელმწიფე თქმულსა თვისსა აღასრულებს ამას ღამესა და ჩემითა სიყვარულითა ველად გაიჭრების, მისითა სმენითა კელმწიფაცა ჩემი განჩირისხდების, და რა კაცთა მჭამელნი იგი გმირნი მოვლენ, მეცა უპატრონო დავრჩები; აწე ესე ჰსჯობს, რათა შევიწყალო, ჩემითა სიტკბოებითა აღვავსო, იგი უებრო ჭაბუკი არა მოვჰკლა და არცა კელმწიფა ჩემი განვარისხოვო“. მასვე ჟამსა მცირე ავთრათი მისწერა, ვითა: „ამისგან უმეტესად გულსა ჩემსა საშენოდ ნუ განარისხებ, აწვე მონასა ჩემსა შეუდეგ და შეცოდება შენი პირის პირ შეინანეო“. იგი ავთრათი მონასა მას უბოძა და უბრძანა: „იდუმალის გზით მოუძღვ საწოლსა ჩემსაო“.

აქა პეკინის დედოფლის მნათობის კასიას მონის მისვლა წინაშე ლასურის და წიგნის მირთმევა და ლასურის სასურველის წამისა მოწევნა:

Მონა იგი მყისად მივიდა წინაშე ლასურისა, სადა გულმდუღარედ ჩგლოვდა პეკინისა მბრძანებელი, ავთრათი იგი მიართვა და მოახსენა: „კელმწიფეო, ისწრაფე, რათა სასურველი თქვენი არლა განარისხოო“. ოდეს ლასურმან ავთრათი იგი აღმოიკითხა, ცრემლნი მოიწურნა და სთქვა: „ჰსჯობს ესე, რათა ვიახლო და წინაშე მისსა თავი მოვიკლაო“. წაუძღვა მონა იგი და მიიყვანა, სადა იგი ლასურისა დამადნობელი მთიები

კასია ჰსჯდა უსასყიდლოსა დალიჭსა ზედა. მონამან კარი გარე გაიხურა და გარე კართა მცველობდა. ლასურ მძრწოლარემან რისხვითა მისითა კრძალვით თაყვანი ჰსცა, მუხლნი დაიდგნა და ცრემლითა ხშირითა ევედრებოდა რისხვასა შინა წყალობისა მოხსენებასა:

შ ა ი რ ი:

ჯეონისა ჰმსგავსად ცრემლნი თვალთა გადმოჰსდინდეს.
ასე უნდა, საყვარელსა მოყვრის გული შეუშინდეს,
ჰხამს, შესტრფოდეს სამარადოდ, მის თვის სურვა არ შეჰსწყინდეს
და არ სხვა და სხვას ემიჯნუროს, არ ფრთოვანებ ხე ხე ჰფრინდეს.

ერთსა შესტრფოდეს მიჯნური, იყოს მისს ალერსობასა,
შემზურდეს მისთა წარბ წამწამთ, გიშრულად ტურფად წყობასა,
ლაწვ ბალახშს ყელსა მინასა, მუშკ სუნნელ და ლალობასა,
გულსადაფ ტანსა კენარსა, ნაზად მრხევს წელ წვლილობასა.

პეკინისა თვით მპყრობელი ჰგვანდა საკანს შეპყრობილსა,
ქედ მოდრეკით მუხლ მოყრილი შეჰსტირს, ჰკადრებს სიტყვას ტკბილსა:
„არ ვინ მივის შემბრალები მე ენითა დამხობილსა
შემიწყალე, მთოვარეო, გთხოვ ყოვლითურთ შემკობილსა

არა ვარ ღირსი ვიცოცხლო, სიკვდილსა მიმეც მალებსა,
მე, შენი განმარისხები, ვიწვი ცეცხლისა ალებსა,
სიტყვითა შევჰსცდი, ვინანი, ამად ვსვავ აწ სამსალებსა,
მისთვის დავიცემ საკვდავად მახვლსა სხვა ახალებსა.

რად არ ვიცოდი, შეჰრისხვა შენი დღეთ დამიმწარებდა,
მკეცთა მიმცემდა საჭმელად და ველად გამაგარებდა!
ვიცი, სვე ჩემი უბადო კეთილს არ მომაკარებდა
ოდესცა იყო სიცოცხლეს ჴირითა შემაზარებდა.

აწ ერთსა გკადრებ, ისმინე აჯა ჩემისა გულისა:
წინაშე შენსა ინებე შეწირვა მონის სულისა,
აქ მომკალ თვალთა წინარე, ჰყავ აღთქმულება თქმულისა,
ნუ გენებება ველს გაჭრა, სამყოფთა დაკარგულისა.

ამისგან უფროს საწადი გულმან რა შეიყვაროსა,
რა მოვკუდე შენსა წინაშე, სულმან მით გაიხაროსა.
უბრძანე, მონათ შემცოდე მიწითა დაიფაროსა,
სხვებრ განძებითა ნუ დამჰსჯი, ღირს მყავ ჩემს სამუდაროსა".

ჰ ა მ ბ ა ვ ი:

ლასურ თავსა თვისსა ბრალეულ ჰყოფდა, მეტისა ტირილითა სიტყვას ვერღა აგებდა, წინაშე სატრფოჲსა თვისისა მიწასა ჰკოცნიდა და მოახსენებდა: „ჵ ჴელმწიფაო, შემიწყალე შეწყალებისა არა ღირსი ესე და ნუ განმაძებ შენისა მიდამოსაგან. აქა სულსა შეგჰსწირავ და მკვდარსა ოდენ შენითა შვენიერითა ფერხითა დალახვა მაღირსე. ჩემებრისა შეცოდებულისა მიტევება არა ჯერ არს, მას საუკუნესა ნუგეშად ესე წამყვების, რომე შენთა მაგათ უშვენიერესთა თვალთა წინა მოვჰკვდე, ჩემდა სიხარულად იგი კმა არს, და არცაღა სხვასა რასამე ბედისა ჩემისაგან მოველიო. რა სურვილისაგან მილეული და შეცოდებისა თანამდები ლასურ მრავლისა ვედრებიანისა ცრემლითა უკიანოსა დაფსკერებული ყოვლითურთ ულონო იქმნა და სიცოცხლისა თვისისა მომატყვებელნი ბაგენი თვისად მოწყალებად აღძრულნი ვერა იხილნა, კვლა იწყო გამესისხლებულითა ქალითა თავსა ცემა და თვისისა სიცოცხლისა წამი დასრულებად მოიყვანა, და ხელისა თვისისა ტრედი მისისა სიყვარულისა საცეცხლესა შესაწვავად დაჰსდვა, არღა უნდოდა არცა ერთი წამი სიცოცხლეა, და საბრალო ლასურ სიკვდილსა მიეშურებოდა.

აქა ჰეკინის დედოფლისა მნათობის კასიასაგან თვისისა მიჯნური-სა შეწყალება, შესაგონებელთა სიტყვათა ბრძანება და საბრალოსა ლასურისაგან თვისისა საწადელისა სრულ ყოფა:

რა შვენიერებითა განმდიდრებულმან მნათობმან კასია დიდისა მის კელმწიფისა სული კორცთაგან კიდეგანად იხილა, მაშინ, მრისხანებისა ცასა აღსრული, მოწყალებისა ქვედ დალიჰ-სა დაჰბრძანდა და ღმობიერად საწადელითა სიტყვთა უბრ-ძანა: „ლასურ ხელმწიფეო! შენითა განურჩევლობითა ესრეთ ჰგონებდი, რომე ნებისა შენისა ბურთსა ვიდრე ეთერისა სი-მაღლედმდე შეათამაშებდი, და ესე არღა გეგონა, რომე სუ-ლისა შენისა ნიშატი კელსა შინა ჩემსა მოუძლურდებოდა. ამიერითგან ჰსცან თავი შენი, რომე ნებასა ჩემსა ჰმონებს, და დღესითგან განეკრძალე რისხვასა ჩემსა, და სამსახურისა ჩემისათვის თავსა შენსა წარაგებდე. აწ აღჰსდეგ, მომიტევე-ბია, ნურღა ჰსტირ და ჩემითა შვენიერებითა განინათლენ თვალ-ნი შენნიო". ლასურს იგი ტკბილნი სიტყვით ბრძანებანი შა-დადისაცა სამოთხისა ხილვასა ერჩივნა, მისითა რისხვითა მოწ-ყლული გული მისმანვე ტკბილისა სიტყვისა ბრძანებამან გან-ჰკურნა; აღჰსდგა, თაყვანი ჰსცა, გარნა გული კვლა უძრწოდა: ნუთუ განმაძოსო. კასია კელოვანთა მნათობთა მაგალითი იყო და პლატონურითა მეცნიერებითა სხვათა მნათობთა თანა გან-სწავლული, მკურნალთა ყოველთა კნინღა უმეტესობდა, და თვისსა სნეულსა რაჲცა არგებდა, წამალსა მას შეუმზადებდა. იგი უშვენიერესნი თითნი განშალნა, კელი უბოძა და მას ზედა დაკონებასა ღირს ჰყო, და ადრითგან სანატრელსა გვერ-დით ჯდომასა თვისსა აწვა. ლასურ სიკვდილსა მყოფი, ცო-ცხლე განახლებული შეიქმნა. წინამოთა მისთა მრავალ სუნნელებამან სული მოუბრუნა, და სულ მიღეულსა სურვი-ლითა მისითა მისთავე ნუგეშიანთა ბრძანებათა სიმტკიცე მოუგეს, კელსა ზედა მოწიწებით დაეკონა და კრძალვით გვერდით მოუჯდა და ბალახშთა უფეროვნესთა ბაგეთა აღერ-

სით ემუდარებოდა შეურისხველობასა. უზადომან მან მნათობმან თვისი იგი მიჯნური ტკბილითა სიტყვითა მცირედ მცირედ შეიჩვია და ლასურ თვისითა ტრფიალებითა ვითა სახმილი ალატყინა. მაშინ გაბედა პეკინისა მპყრობელმან და თვისისა სურვილისა აღსრულებისა თვის მოაჯეობა ცრემლით დაუწყო მან უბრყვლომან მნათობმან, მისნი ეგზომნი ცრემლნი შეიბრალნა და მათ კადუზიანელთა შიშითაცა მისისა თხოვისა აღსრულებად ნება ჰსცა. ლასურმან თვისისა შვებისა წალკოტსა უთვალავად დაჰკოცნა და უშვენიერესსა კოკობსა ვარდსა განშლად მიუალერსა და ჩატკბობით მოქმედება დაიწყო. ვითარ იგი შემწვარი გული თვისი აწვევდა, სამსა კაცსა ეგრედ ჩამტკბარი ეტრფიალებოდა, და საწადელსა მას თვისსა მოქმედებასა ესურვოდა. შემდგომად უბრძანა თვისისა სიცოცხლისა მიმნიჭებელმან ლასურს, ვითა „კელმწიფეო, ამიერითგან ეკრძალე განრისხებასა ჩემსა, თუ არა სიცოცხლესა შენსა დაჰკარგავ და დღეთა შენთა დაიმწარებო. ლასურ ეფიცებოდა ცითა, მზითა, მთოვარითა და ქვეყანითა, რომე სიკვდილადმდე მონა იყოს ბრძანებისა მისისა; და შევსწირო თავი ჩემი და ქვეყანაცა ერთსა ნებასა შენსაო. ლასურმან რა დიდითა ფიცითა დაუმტკიცა მორჩილებაჲ თვსი, მერმე უბრძანა: კელმწიფეო! აწ ჟამი გითხოვს, დრო არს სადილისა და, ჩემსა მზესა, გამხიარულდი და მათ მომავალთა კადუზიანთა კელთა განმაკრძალეო. მაშინ ლასურმან შვენიერთა მათ ფერკთა აკოცა და მოახსენა: სიცოცხლეო ჩემო, ნურარასა იქვნეულობთ მოსვლისა თვს მათისა. თქვენისა დაცვისათვის განგებასა აქა შემოუკრებივართ ესეოდენნი გმირნი და თქვენ რად გმართებთ მათ ზედა ზრუნვაო! ესე მოახსენა, თაყვანი ჰსცა და წარმოვიდა სიხარულითა და სიტკბოებითა აღვსილი; თვისისა საწოლსა შებრძანდა განკვირვებული მნათობისა კასიასა ვითარებასა ზედა, მცირედ განისვენა და ზედა მოვიდა კაცი დილარისა, რომელსაცა ეხმო სადილად მას შვენიერსა გოდლისა ბაღსა შინა.

აქა მის უშვენიერესისა გოდლისა წალკოტსა შინა პურობისა დიდისა გარდახდა დილარ მძლეველისაგან და ლასურ პეკინისა ჴელმწიფისა მიერ მადლობისა მოხსენება:

ლასურ მჴიარულებით აღჰსდგა და გაემართა ჴილვად ძმისა თვისისა საყვარელისა. ოდეს დილარმან იხილა ლასურ მიმავალი, წინა მიეგება, პირსა აკოცა და მოიკითხა. პეკინისა მპყრობელმან ხელი გამოართვა, ტკბილად დაჰკოცნა და მოახსენა: „ჵე უდიდებულესო მონარხო, დიდო დილარ მძლეველო, ნუმცა მომეშლების მკლავთა შენთა ძლიერება, რომლითაცა იხსენ გული ჩემი სამარადოსა მწუხარებისაგან და თვალნი ჩემნი ცრემლთაგან, რომელმან ნაცვლად სიკვდილისა სიცოცხლე მომანიჭე და მოუკლებელი სიჴარული მომმადლეო". ესე სიტყვანი მოახსენა და დასხდეს ყოველნი კელმწიფენი მეფენი და დიდებულნი პურობასა ზედა. თუმცა ყოველნივე მჴიარულობდეს, გარნა ლასურ, თვისისა სურვილისა ღირს ქმნილი, მაღალსა რასამე მჴიარულებისა ჴარისხსა აღწევნილ იყო. ღვინოსა კეთილსა თვით კელითა თვისითა ასხმიდა და დიდ დიდითა იაგუნდისა ლოსტაქნებითა მიართმიდა ყოველთა მუნ მყოფთა მსხდომარეთა. სმიდეს სადღეგრძელოთა, და იყო განძლიერებული მჴიარულება. რა ესე ვითარითა შვებითა განვჰსცხრებოდით,

აქა მოსვლა დიდისა მის და ძლიერისა კადუზიანთა მეფისა ფარსმანისა და ძლიერთა მათ გმირთა მისთა კაცის მჭამელთა და მპარავთა მათ კოლხიდისა კერძოთასა:

მოვიდა ჯანუჯან ბერი ვაზირი და მოახსენა დილარს, ვითა: „ჴელმწიფეო, აჰა მოვიდა კადუზიანელთა დიდი იგი და ძლიერი მეფე უაჰმრავითა მებრძოლითა გმირითა და ჩვენგანცა სიფრთხილე ფრიად საკმარ არს მით, რომე ყოველთა მებრ-

ძოლთა განსხვავებულ არიან იგინი, და ესე მოგახსენათ ხაყან მეფემან, ვითა: უკეთუ მებრძანების მე, პირველად მე ავკიდო ბრძოლა მეომართა მათ და გამოვჰსცადო ძალი მათი, და თუ არა ინებებთ, იგიცა გვებრძანოსო. რა დილარ მძლეველმან დიდისა მის მეფისა ფარსმანის მოსლვა ჰსცნა, ჰბრძანა: „არავისი ბრძოლა არა ეგების მათ ზედა, თვნიერ ყმათა ჩემთა და პატრონისა მათისა, და ესე ჰკადრე მეფესა ხაყანს, რათა დაიცვას ხვედრი თვისი ქალაქი, მხედრობა და თავიცა თვისი მპარავთა მათგან, და თვით შენცა, ვაზირო, ესევე სიფრთხილე გმართებს“. კვალად მოაღებინა დილარმან ოცისა სალაროსაგასაღებნი და უბოძა ჯანუჯან ვაზირსა და უბრძანა ყოვლითურთ უწარჩინებულესად მასპინძლობა ხვედრთა თვისთა ზედა. ბერი ვაზირი გამოესალმა, თაყვანი ჰსცა და წარვიდა, ჩვენ დავჰყავით მხიარულებასა შინა მწუხრისა სახელისა შემოსვლადმდე და გავიყარენით.

მას ღამესა და ვითა დღესა, იგი ათასნი უბრყვლონი მნათობნი ფრიად თურე შეშინდეს მათ კადუზიანელთაგან, დაგანიგულეს თვისთა ხვედრთა მოყმეთა მიწოდება, და ეგრეთცა ჰყვეს, რომელთაცა სიხარულითა აღავსნეს გულნი მიჯნურთა თვისთანი, და სულნი მათნი მარადად დარაჯად თვისად დაიდგინეს, და მათ ლომ გულთა შეერთებითა მიიღეს უშიშროებაა.

აქა სახელდოვანისა მის გულოვანისა მარსის მხიარულებისა ჟამისა მოწევნა და თვისისა მის სატრფოსადმი მხიარულად ზეთარისაგან დაბარება და მარსისაგან თვისისა სიყვარულისა სრულ ყოფა.

მის პურობისაგან წარსრული სპას ლარი, რა თვისსა საწოლსა შევიდა, სასთუნალსა ზედა მიწვა. იგონებდა გულისა თვისისა დამატყვევებელსა და იტყოდა: „ჰე საყვარელო! იქმნებისმცაა ჟამი იგი, რომელსა შინა ერთისა იდენ ხილვასა

შენსა ღირს ვიქმნე და სული ჩემი წიალთა შენთა განუტეო. ახ, ვითარი მხიარულება იქმნება ჩემთვის, ოდეს შვენიერებისა შენისა განცდა მეღირსოს და კელსა შინა შენსა დღე ჩემი დასრულდესო". უსწორო იგი მოყმე მარსი, რა ეგე ვითარითა საგონებელითა განილეოდა, მყისად შევიდა მონა ზეფირისა და მოახსენა: „სახელოვანო სპასალარო! რასაღა ჭურვეულობ, აღჰსდეგ და შემომიდეგ, საყვარელი შენი მიგელისო." მარსიმ რა საწადელი იგი ჴმა მონისა მის მოისმინა, სიხარულითა აღტაცებული აღჰსდგა, შეიმოსა, მონასა მას ერთი მანდიკი სხვილი მარგალიტი უბოძა და კვალსა მისსა შეუდგა. იგა უშვენიერესი მნათობი ზეფირ საკუთარსა საწოლსა შინა იყო. მონამან მარსი მუნ მიიყვანა. და შეჰსდგა კარსა წინა, დაჰკროთა შუქთა მისთა ზედა და არა იცოდა, რა ექმნა. მაშინ უბრძანა მთოვარემან მან მით უსულიანითა სიტყვითა, ვითა: სპასალარო! მოვედ, შემბრალდეს ცრემლნი შენნი და ვინებე მოწყალებით, რათა დავჰსწყვდო თვალთა შენთა ეგე ღვართა მომდინარეობაო". მარსი, მორჩილი ბრძანებისა მისისა, წარჰსდგა, თაყვანი-ჰსცა და დალიჭისა ფერკთა აკოცა, აღვიდა და თვისსა საწადელსა ადგილსა დაჰსჯდა, განდიდებულისა სიყვარულისა მიერ ჰსძრწოდა. და უბრძანა: „სპასალარო! ნუ განჰსცვიფრდები, მე განგებითა შენისა გულისა მზე აღმობრწყინვებულვარ, ეჰა, ვითარ სანატრელ არს ჟამი ესე შენთვის, რომელსა შინა მარმენიომან შენმან შენისა ნებისა აღსრულებად მოიყვანა გული ჩემი. ჵე, გულოვანო მოყმეო, მიბოძებიეს ნებაჲ, დაატკბენ ბაგენი შენნი სურვილისაებრ შენისა, გარნა ეკრძალე, რომელ აღტყინებულითა მძაფრითა სახმილითა მოყმეობა შენი არა შეიწვასო". სპასალარი სუნნელებისა მისისა ყნოსებამან სიმტკიცესა ზედა მოიყვანა, და სურვილისა ცეცხლისა დიადობამან კრძალვისა მერით განიყვანა, ნებისა მისისა დართვამან ძალი უმატა, რავდენთა დროთა მოუთმენელსა ცეცხლსა შინა მყოფი განმაგრილებელსა წყაროს თვალსა ეძიებდა და ძიებისა თანა მყისად შევდა და განიგრილა ალ-

ტყინება იგი სახმილებრი, უკვრდა სიტკბოება იგი მარსის და ზე შეტრფობით შელეული მისსავე ალერსსა არავე უტევებდა და მოახსენებდა: „ჰე სიცოცხლისა ჩემისა დასაბამო, ამიერითგან მონა მყავ ბრძანებისა შენისა და ჩემისა ამის სამოთხისა კარსა ნურლა დამიხშავ, და მით სიკვდილსა ჩემსა ნუ ინებებ, შენმან მზემან, მე განშორება შენი არლა ძალ მიძს, და ამად გევედრები, მოწყალება ესე არა დამიძვირო“. ზეფირმან უბრძანა: „სპასალარო! ვჰსცან განდიდებული სურვილი შენი ჩემდა მომართ და ნაცვლად სიყვარულისა შენისა არა მოგაკლო შვება ესე ჩემთანა. გარნა მპარავთა მათ კადუზიანელთაგან დიდი კრძალვა გმართებსთ, რომელთა შიშმან ესრეთ ადრე დაგიმოკლა თავი ჩემი და ვარდისა მტილსა შეგიყვანე, შეგვაბრალე დილარ მძლეველსა, რათა, ვითარცა ჰშვენოდეს სიბრძნესა მისსა, ეგრეთ განაგოს ბრძოლა მათიო“. ესე ვითარნი სიტყვანი მრავალნი უბრძანა და გამოეთხოვა. მარსი თვისსა საწოლსა შევიდა განკვირვებული ზეფირისა ეგე ვითარსა შვენიერებასა ზედა და იტყოდა: ნეტარ, თუმცა ხლებასა მისსა არავინ განმაშოროს და დღენი ჩემნი წინაშე მისსა განმატარებინაო. რა ზეფირსა თანა ტკბობასა მოიგონებდა, ვითა სახმილი აღეტყინებოდა, მას ეალერსებოდა და მას შესტრფოდა, და არა თუ მარტოდ მარსი, არამედ ლასურ, გოჰარ და ათასნი მოყმენი დილარისანი და თვით ლარა, ძე ეგროსისა, თვის თვისთა ხვედრთა მნათობთაგან მიემთხვივნენ საწადელთა თვისთა და იყვნენ სიხარულსა დიდსა. ესე შემთხვევა მოუხდა მნათობთა მათ კადუზიანელთა შიშისა გამო.

აქა დილარ მძლეველმან შემოჰკრიბნა ყოველნი კელმწიფე მეფენი და დიდებულნი და მარსი სპასალარი თვისი გაგზავნა მოციქულად წინაშე ფარსმან მეფისა.

Dილისა ადრე დილარმან მოუწოდა ყოველთა კელმწიფე მეფეთა და დიდებულთა, და შეჰქმნეს ჰრჩევა მათ კადრუ-

ზიანთა ზედა ბრძრლისათვის, თუ ვითარად განეგოთ საქმე მათი. თუმცა ყოველნივე ჰსთათბირობდეს და არჩევდეს, გარნა დილარსავე შეჰყურებდეს, თუ რასა ჰბრძანებდა. მაშინ ჰბრძანა დილარმან: „ძმანო ჩემნო! თქვენ ყოველნივე სტუმარნი ჰბრძანდებით ჩემნი და სტუმართა განსვენება ჯერ არს, ხოლო კადუზიანთა ბრძოლისათვის ესე სამართალ არს, რათა მე ჩემითა ყმითა ვიბრძოდე და გამოვჰსცადო ძლიერება იგი მათი. აწე მიუგზავნო სპასალარი ჩემი და შეუთვალო, რაჲ არს წადილი მათი. უკეთუ მშვიდობა ჰსურს და თვისსავე ქვეყანასა მიქცევა, განუტეო იგი დიდითა პატივითა, და უკეთუ ომსა არა მოიშლის, მაშინ განგებამან იზრუნოს ჩემთვის.

შ ა ი რ ი.

ზეგარდმო რაცა განეგოს, მას ვინმცა შეეცილების!
თუ ჰნებავს, ზღვათა დააშრობს, თუ ჰსწადს, მთა გაუცვლდების,
რაცა რა უნდეს, ყოველნი მისს კელსა ეადვლების,
იგი არს მიზეზ ყოველთა და მექმი სრულ კეთილების.

ყოველნი არსნი მონებენ მისსა მას დიდსა ნებასა,
პირველნი წარვლენ და სხვანი იქმონენ დამკვიდრებასა,
სოფლის სავსება ჟამამდე არა იქმს მით მოკლებასა,
ბოლოდ დასრულდენ ყოველნი, კვლა მიხვდენ განახლებასა.

ყოველთა ვიცით, საწუთროს პირუმტკიცობა, ფლიდობა,
ვიცით, მას შინა არიან მკდოვანნი, ზოგთ აქვსთ დიდობა,
ზოგან ბრძოლითა დაცემა, ზოგან არს მყუდრო მშვიდობა,
ზოგან ტირილი და ზოგან სიცილითა არა მრიდობა.

საწუთროს ბრუნვა მრავალ ფერ, ვსციყე მრავალ გვარია,
რაცა ვის ასვას თაფლუჭი, ბოლოდ ეგრეცა მწარია,

ვით მიენდობის მას ბრძენი, თუ არ გონება მცდარია,
მეც გამოვსცადო ფარსმან მხნე, ვითარი მეომარია.

Ⴇუ ამაღლდე, დამდაბლებას თანვე ჰსჭვრეტდე, განიცდიდე,
მომცემელი ყოველთ კეთილთ მრავლის ქებით განადიდე,
თუ დამდაბლდე, მადლობასა მრავლის ცრემლით მოიფრდიდე,
ორსავ შინა ზესთ არსისა ვედრებასა გულს იზრდიდე.

ბრძენსა უთქვამს ყე: „ჩვენ აქა არა გვაქვს საყოფელია,
არამედ მერმეს ვეძიებთ და ფრიად სასურველია“.
ჩვენცა ივივე გონება გვაქვნდეს, არ საკვირველია,
აქა დიდებით არ ვჰკარგოთ იგ, ეს არს სანატრელია“.

ფარსმან მეფესა, ვითა ჰსჩანს, ესე არ გაუგონია,
ჰგავს, მინდობია ძალსა და მრავალთა გმირთ პატრონია.
ნუ ვინ ვმაღლოით დიდებით, წარვლენან ესე დრონია:
სიმდაბლე საქებ, ზვაობა არვისგან საკადრონია.

Ⴇქმულა, მდაბალთ მოჰსცის მადლი, ამპარტავანთ ჰმუს-
რავს ტიდად,
განისვენებს ზესთა სული, მდაბალსა და ვინ არს მშვიდად,
ჰსჯობს ესევე შევიკრიბოთ, ვიყვნეთ ტრფობით ჩვენ მიამსყიდად,
სიყვარული შევიძინოთ, იგი გვაქვნდეს გზებად, ხიდად.

Ⴚხადად სიყვარულს აქებენ, იტყვიან მადლობასა,
თვით ღმერთი არს სიყვარულ, ვერვინ ეჰყოფთ მათს ცილობასა,
ორნი საწადნი ბრძენნი და არიან მისსა ტრფობასა,
ჩვენცა შეუდგეთ მათს თქმულსა, ვიყვნეთ ურთიერთის ძმობასა.

Ⴠ Ⴀ Ⴋ Ⴁ Ⴀ Ⴅ Ⴈ.

Ⴍდეს დილარმან ბრძანებანი ესე დაასრულა, მაშინ უბრძანა სპასალარსა თვისსა, ვითა: „მარსი! მიველ მეფის ფარ-

სმანისა წინაშე და მოახსენე ჩემ მიერ სიყვარული, სიხარული და მშვიდობა, და მიულოცე შემოსვლა ქვეყანას ამას ფრიად კეთილსა და კეკელსა და მოახსენეცა, რაჲ არს შრომისა მისისა მიზეზი, რათა ვჰსცნათ წადილი მისიო". მარსი მალიად ბრძანებისა სრულ მყოფელი მოემზადა და მივიდა მათსა ადგილსა. მოახსენეს მეფესა ფარსმანს მისვლა მოციქულისა და ჰბრძანა მიყვანება მისი. შევიდა მარსი, თაყვანი ჰსცა და ყოველივე დაბარებული დილარისა მოახსენა. ოდეს მარსიმ მოციქულობა თვისი დაასრულა, უბოძა მრავალი; ტანსა ძვირფასი შესამოსელი შემოსეს, და უბრძანა: „ეე ჭაბუკო, კელმწიფესა შენსა აქვს თურე მკლავთაგან თვისთა იმედი, გარნა არა კარგია ეგე ვითარი მინდობილობა თავისა თვისისა და ვერცა იქმნების დამპყრობელ ქვეყანისა ამის მით, რომე ვრცელი ესე სახელმწიფო დიდთა მათ ღმერთთა არმაზ და ზადენს, გაციმ და გაიმს ჩემდა მოუნიჭებიათ და კელმწიფაცა მისი ჩემივე არს; არავის ძალუძს სახელმწიფოსა ამის კელთაგან ჩემთა მიღება, და იგი ვინაჲთგან დიდი კალმწიფე არს და მრავალთა სახელოვანთა საქმეთა აღმასრულებელი, ამისთვის მიყვარს მეცა და, თუ ჰნებავს, სიყვარულით უკუ იქცეს და, უკეთუ არა ინებებს, ვუბრძანო რკინისა ძელთა მპყრობთა ყმათა ჩემთა ფალავანთა, და გამოჰსცადოს მეომრობა მათიო". რა მარსიმ ბრძანება იგი მეფისა მოისმინა, თაყვანი ჰსცა, გამობრუნდა და მოვიდა პატრონსა თვისსა თანა, ყოველივე დაბარებული ფარსმანისა მოახსენა და ესეცა ზედა დაურთო, ვითა: „ნეტარ, თუმცა მეფე იგი დაუტევებდეს ბილწსა მას ჰსჯულსა თვისსა და ჩვენ გაგვიერთდებოდეს! ჭაბუკად უკეთესი სახილველი არღა უნაო". დილარმან გაიცინა და უბრძანა: „სპასალარო ჩემო! რა ეგრე მოგწონებია, ვინ უწყის, ეგრე იქმნასო". ესე ჰბრძანა და გამართეს პურობა, უმატეს ღვინის სმასა და შეიქმნა მხიარულობა.

აქა პურობასა ზედა მის კადუზიანთა მეფისა ფარსმანის მოციქულისა მოსვლა წინაშე მზისა ქალაქისა და აბაშთა კელმწიფისა დილარ მძლე-ველისა.

მას პურობასა ზედა მოვიდა მოციქული მეფისა ფარსმანისა დილარსა თანა, და შემოეთვალა ესე პირი, ვითა: „დიდო კელმწიფეო აბაშთაო დილარ! თვით კაცისა თქვენისა პირითა მოგახსენე და აწცა მასვე სიტყვასა ზედავე ვჰსდგა: ნუ იჰირვი ქალაქისა მაგის განმაგრებასა, დამიცალე ღმერთთაგან მოცემული ეგე ჩემი ქალაქი და სიყვარულით გამოვეთხოვნეთ ურთიერთსა, და უკეთუ არა ინებებ, მოვგზავნო ბრიყვნი ბრუტოსელნი და მისს კერძოთა მთათა მცხოვრებნი ფალოვანნი ყმანი ჩემნი, და დაარღვიონ ფრიად კეკელა ეგე ქალაქი და ამას მოგახსენებ, რათა მიზეზი არა შეიქმნათ თქვენ აოხრებისაო“. დილარ მძლეველმან მას მოციქულსა ესრეთი ძვირფასი ტანის სამოსი შემოსა, რომე თვით მეფეთაცა სანდომი იყო, უბოძა მრავალი და შეუთვალა ესე, ვითა: „დიდო მეფეო! არიან თურე ყმანი ეგე შენნი ბრძოლასა შინა გამოცდილნი, რომელთა თვის ეგრე იქადი და ჩემ კერძო ამას მოგახსენებ, რომე ომი თავმდაბალი არს, და უკეთუ ძალი ზეგარდმო მფარავს, რომელთაცა ამას ქალაქსა ზედა მოგზავნი, მათ შენთანა ცოცხალთა ვერღა იხილავ, და ჰსჯობს, რომელნიცა მოგვისიო, მანდავე გამოესალმოო“. მოციქული იგი წარვიდა. დილარ უმეტეს სხვათა დღეთასა გამხიარულდა და შემდგომად იქმავეს პურობაცა. მაშინ უბრძანა დილარმან სპასალარსა და ასთა მოყმეთა თვისთა, ვითა: „ამას ღამესა დაიჯურენით და ზედა კერძო ვაჭრულითა კაბებითა შეიმოსენით და ესრეთ იქელოვნეთ, რომე გარე კართა ქალაქისათა ქურდთა მათგანნი რამდენიმე შეიპყარით და წინაშე ჩემსა მოიყვანეთო“. მარსი მასვე ჟამსა ასითა მოძმითა თვისითა განემზადა, ქალაქისა კართა გარე განვიდნენ და ერთისა კიდესა ზედა მიწვნენ, ვითა

მოქარავნენი ვაჭარნი, ეგრეთ ეყარნენ და ქურდთა მათ ზედა ჰსდარაჯობდეს.

აქა კადუზიანელთა მეფისა ფარსმანის კელოვანთა ქურდთა წამოსვლა ბრძანებითა მეფისა მათისათა შესაპყრობელად რავდენთამე სპათაგან დილარისათა და გზასა ზედა შეხვედრა სპასალარისა მარსისა და სხვათა გულოვანთა მოყმეთა აბაშელთა და აბაშელთაგან შეპყრობა ათასთა ქურდთა და ათასთა მათ ბრიყვთა ფალავანთა.

მიერ კერძო ებრძანა კადუზიანთა მეფესა ფარსმანს საგაბუნაოსა მცხოვრებთა ათასთა ურჩეულესთა ქურდთა თვის, ვითა: „წარვედით და დილარისა სპათაგან რავდენნიმე დაპყრობილნი აქა მომგვარეთო“. რა იგი კელოვანნი მპარავნი წამოსულ იყვნეს და ქალაქისა კართა დაუახლოვდენ, ზედა შეხვდენ მარსის და მოყმეთა დილარისათა რეცა მძინარეთა; რა კარგად დაჰსინჯეს, ჰსთქვეს: „ესე ვაჭარნი არიან, კარნი ქალაქისანი დახშულნი დაჰხვედრიათ. შინა ვერღა შესულან და აქა ძილი მოსვლიათო, ესენი ჩვენნი ზარმელნი არიან და სხვანი ვნახოთო“. მათ არა მიხედეს და ქალაქისა კართა მიეშურნენ. მაშინ მარსი თვისითა მოძმითა აღჰსდგა მსწრაფლად, და მათ უკანა მოეწივნეს მყისად და შეუტიეს და დაუწყეს შეპყრობა. იგი ათასნი მპარავნი სრულად დაიპყრეს და კარის მცველთა გუშაგთა მიაბარეს. თვით გაბრუნდენ და მათთა სადგურთა მივიდნენ. იდუმალ ყოველნი იგი კარავნი მათნი მოვლეს და შეხვდენ ბრიყვთა მათ ფალავანთა სამყოფსა. მათ თაფლუჰი მრავალი ესვათ და მთვრალნი მძიმითა ძილითა ეყარნენ. თვითომან თვითო მაგრად შეჰკრეს ზეწამოიკიდეს, მათნი რკინისა ძელნი კელთა დაიჭირეს და ეგრეთ მსწრაფლითა სიარულითა კარსა ქალაქისასა მოვიდნენ. იგინიცა მათვე გუშაგთა მიაბარეს და თვით მალიად უკუნ იქცნენ და მას ღამითა ათ გზისობითა ათასნი იგი ბრუტოსელნი ფალავანნიცა დაიპ-

ყრეს. დილასა ადრე რა ყოველნი მოდარბაზენი შეჰკრბენ წინაშე დილარისა, მაშინ მოვიდა მარსიცა თანა მოძმებითა თვისითა და მაგრად შეკრულნი იგი ორ ათასეულნი ტყვენი თანა მოიყვანეს. დილარმან მადლობა უბრძანა სპასალარსა და მოყმეთა თვისთა პირსა აკოცა, და ზოგად ათასთავე მოყმეთა თვისთა ას ასი საჭურჭლისა გასაღებნი უბოძა. შემდგომად ჰკითხა მპარავთა მათ დილარმან, ვითა: „თქვენ მკეცნო და არა კაცნო, რაჲსა თჳს მოხვიდოდით ქალაქისა ჩემისა კართა და რაჲ საქმე გეწადათო?“ მათ მოახსენეს: „ჩვენ დიდისა მეფისა ჩვენისა ბრძანებითა წარმოვედით, რათა სპათაგანნი ვინმე თქვენნი დაგვეპყრა და დაგვეპარა, გარნა ბედისა უკუღმა დაბრუნებითა ამა ყმათა თქვენთა შეგვიპყრეს და აქა მოგვიყვანესო“. დილარმან მათ მპარავთა ქალაქსა გარე მაღალთა ძელთა და მოკიდება ჰბრძანა და მათ ფალავანთა საპყრობილესა დაკრძალვა დილარისა ყმათა ბრძანებული მსწრაფლად აღასრულეს, და ოდეს კადუზიანთა თვისნი კელოვანნი მპარავნი ძელსა ზედა დამოკიდებულნი იხილნეს, შეჰქმნეს ღრჭენა კბილთა და მოახსენეს მეფესა ფარსმანს: „კელმწიფეო, ჰბრძანე და მიგვიშვენ ქალაქსა ზედა, რათა სრულად აღვაოხროთ და მცხოვრებნი მას შინა დავჰსჭამოთო“. ფარსმან მეფემან უბრძანა ხუთ ათეულთა ათასთა გმირთა მათ ბრუტოსელთა, ვითა: „მიდით და მამაცად იყვენითო“. რა თვისისა მეფისაგან ბრძანება მიიღეს, მაშინ წარმოვიდნენ, ვითარცა მკეცნი მძვინვარენი.

აქა დილარ მძლევველისა და ხუთ ათეულთა ათასთა ბრუტოსელთა კაცის მჭამელთა ფალავანთა ბრძოლა ძლიერი.

ოდეს იგი კადუზიანელნი გმირნი გამოემართნენ შვენიერისა და კეკელისა მზისა ქალაქისა აღსაოხრებლად, მაშინ აზამეთისა დიდება და მზის ქალაქისა მფარველი დილარ მძლეველი შეიჭურა საქვეითოთა აბჯრითა და თანა გაიყოლა

თვისნი იგი დიდებულთა ძენი ათასნი მოყმენი, და მარსის უბრძანა, შენ ჰსდეგ ათი ათასითა აქაურითა გულოვნითა ჭაბუკითა, და ჰსცვდე გარე ქალაქისა კართა ქალაქისათაო. რა იგი ბრიყვნი ბრუტოსელნი ფალავანნი დაახლოვდენ ვიდრე შვიდითა უტევანითა ქალაქისა კართა, მაშინ დილარ წინა მიეგება მათ. გურზსა მძლედ ხმარებულსა კვლა კელი მიჰყო, შიგან მათსა გაერია და იწყო ბრძოლა სასტიკი, და გურზისა კისკასად ბრუნვა ხმარება და ცემა. იგი ბრუტოსელნი კაცის მჭამელნი გარე მოეხვივნეს, ჰსცემდეს დიდ დიდთა მათ რკინისა ძელთა ესრეთ, რომე თუმცა ჰსცემოდა მყარსა მას მთასა ალანისასა, იგიცა დაირღვევოდა, და იგი უსწორო კემწიფე ითმენდა კორცთა თვისთა დალებებასა თვისისა სატრფიალოსა დაცვისათვის; უკვრდა მათ ფალავანთა ძლიერება და იტყოდა გულსა შინა თვისსა მათებრისა მეომრისა არა სადა ხილვასა, და დიდად აქებდა ჭაბუკობასა მათსა. დილარ და მისნი მოყმენი დიდროანთა მათ რკინისა ძელთა ხშირად დაშენითა ესრეთ შეიქმნეს, ვითა ლილისა მთანი. დილარმან შეჰსძახა ყმათა თვისთა, განამკნო, და დაიწყეს კვლა მესისხლედ ბრძოლა. რომელსაცა ფალავანსა გურზსა დაჰკერევდა დილარ, მისსა სულსა მყისად წარუვლენდა მათსა ღმერთასა არმაზს. იგი მლმობელი კელმწიფე მათ ფალავანთათვის მარიხებრ მრისხანებდა: ჰსრვიდა, ჰკლვიდა, ჰსწყლვიდა, და მძოვრითა მათითა მათ მიდამოთა ალავსებდა. ჰქონდათ მათ გმირთაცა ყვრილი და მოსაწევარი დიდი, უკმობდენ ღმერთთა რათმე შემწედ მათდა გაციმ და გაიმს და, ზედა დამსხმელნი დილარისანი, ჰსცემდენ რკინისათა მათ ძელთა სასტიკითა კუწთებითა, და იყო ორსავე კერძოსა კმა საყვრთა განძლიერებული.

შ ა ი რ ი.

მგრგვინავის კმითა დილარ მძლე შეჰსძახდა გმირთ ბრუტოსელთა:
მაეცქმნილნო კადუზიანნო, სად ივლტით ჩვენთაგან კელთა?

ვიცი, ვერღა ჰსჭამთ კაცთ კორცთა, მიგიღებთ დღეთა ნათელთა!
ვატირებ თქვენთა მოყვასთა, ვადინებ ცრემლთა მართ ცხელთა.

აქამომდე რაც გიქმნიათ, ჰსცანთ, შეგიყვანთ სიბანულსა,
შეგაერთებთ ბილწთ ეშმაკთა, რადგან ვერ ჰსცნობთ კეთილ ჰსჯულსა,
ვინცა მებრძვით, ღმერთი შემწევს, დაიმწარებთ სიხარულსა,
სრულად მოგკლავთ მკლავით ჩემით, აჰა სრულ ვჰყოფ ჩემგან თქმულსა!

ჰსჯობს თქვენ მოჰსწყდეთ, ეშმაკისა სიბილწისა გზასა-მვლელნი,
ვინ სადა ჰსთქვა შკეცთა გარე კაცნი კაცთა კორცთ მჭამელნი!
ვით ნადიმსა მსმელნი ღვინის, თქვენ სისხლის ხართ ტკბილად მსმელნი
უმჯობეს არს აღმოიფხვრას ძირით თქვენი საძირკველნი.

რაზომ მრავლობდენ ეშმაკნი, ერთს მართალს ვერ ერევიან,
მართალთა იგი მოთმენა სულთ ბოროტთ ევაებვიან;
თქვენ მათნი ხართ და იგინი თქვენ გყვარობენ, გეკუთვნვიან;
ჩვენ ძალი გვცავს ზეგარდამო, თქვენებრნი მით დაინთქმიან.

აწ ნახეთ თქვენნი ღმერთანი, ვით ცუდნი ამაონია
შეწევნის ნაცვლად მოისრათ ადრე, მე ესე მგონია,
თქვენსა წარწყმედას იხარებს ჯოჯოხეთის პატრონია
თქვენ გაგწყვეტთ, სხვანი მოიქცენ, ჩვენგან ეს საზრონია.

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

დილარ მათსა ბრძოლასა და სიმჴნესა აქებდა და ჭაბუკობასა თვისსა მათ ზედა გამოჰსცდიდა, ვითარ ათი ქამი განუ-

სვენებელითა ბრძოლითა იჭირვოდა, და შემდგომად ყოველნი
წინა აღმდგომნი თჳსნი აღჰსწყვიტნა, და მრავალნი მათგან-
ნი ცოცხალნი დაიპყრეს. ესე კარგი მოხდა, რომე ფარსმან
მეფემან არა ვისი ჰბრძანა მიშველება ყმათა თვისთა, თვარა
საქმე დამწარდებოდა და ჩვენნი ძლიერსა რასამე შრომასა
შევიდოდნენ. დილარ გამარჯვებული გამობრუნდა და თჳსსა სრა-
სა გარდამოხდა. იგი კელმწიფე მეფენი და დიდებულნი იახლ-
ნენ და მოხარულითა პირითა გამარჯვება მოუღოცეს, დასხ-
დენ, ჟამ რავდენ შეისვენეს, და ნაომარმან დილარ ჰბრძანა
პურისა მოღებაჲ. საურმაგ მეფესა ვითაცა ჰშვენოდა მას დი-
დებულსა ძლევასა, ეგრეთ პურობაცა განედიდებინა, და მას
დღესა ვიდრე მწუხრადმდე ლხინსა შინა დავჰყავით, და ოდეს
პურობისა დასრულებასა ჰგულობდნენ:

აქა მპარავთა მათ გაბუნიათა ბანძელთაგან ხაყან სკჳთთა მეფისა და ათი ათასთა დიდებულთა ლასურისა და ხაყანისათა დაპარვა, და დილა-რისაგან შეტყუობა დაპარვისა მათისა და წარსვლა გამოხსნად მათდა.

მაშინ მოვიდა კაცი ჯანუჯან ვაზირისა დილარსა თანა
და მოახსენა: „დიდო ხელმწიფეო! დღეს რა მებრძოლნი თქვენ-
ნი მკლავმან თქვენმან მოსრნა, მეფე იგი სკჳთთა პურობად
დაჰბრძანდა და ყოველნი დიდებულნი ლასურისანი და თვის-
ნი მის თანა, თქვენისა გამარჯვებისათვის მოხარულთა ჰსვეს
მრავალი დოსტაქანი, და რა დიდსა ძილსა მიეცნენ, მოსმუ-
რობისა გამო, ანაზდითა რითმე მოქმედებითა მეფე იგი ხა-
ყან სამი ათასითა დიდებულითა თვისითა და შვიდი ათასითა
ლასურისათა ადგილთაგან თჳსთა დაუპარავთ, და ესერა ბერი
ვაზირი, შემკრები ურიცხვთა გულოვანთა რაზმთა, ჰსდგას ქა-
ლაქისა კართა ზედა და ბრძანებასა თქვენსა მიელისო". დი-
ლარმან რა სიტყვა იგი მოისმინა, ვითა ვეფხი წამოხტა, თჳს-
თა მოყმეთა შემოუძახა: შეიჭურნენითო, და აგრევე ზორას-

ტანს უბრძანა შეპყრვა თვისითა გუნდითა, თვითცა შეიპყრა, და გარე ჯაჭვთა ყოველთა თანა გამყოლთა მათებრივად წითელნი კაბანი შემოსნა, და ქუდნიცა მათებრნივე დაიბურნეს. წაბრძანდა დილარ და შეუდგნენ მისნი მისთანა. რა ქალაქისა კართა მივიდნენ, უბრძანა მარსის: „შენ ჰსდეგ აქა ქალაქისა კართა ზედა ათი ათასთა გუშაგთა თანა და ჰსცვდე ქალაქსა ამას ყოვლითა ძალითა შენითა და ნუმცა ვით იქმნების აქადგან მოშორება შენი“. თვით გაემსწრაფლნენ, და რა მათსა კარავსა დაუახლოვდნენ, ნელითა სიარულითა იწყეს სლვაჲ ბანაკსა შორის მათსა და დაიწყეს ძებნაჲ ტყვეთა თვისთა. მაშინ მას მიმოსვლასა შინა იხილნეს ყოველნი ტყვენი იგი და მეფეცა ხაყან, უპატიოდ განშიშვლებულნი ეყარნენ შეკრულნი. თურე ათასთა მათ დილარისა მოყმეთაგან მოჰარულთა ფალავანთა წილ სისხლად მიეცა მეფესა მათსა, და გმირნი იგი გარე შემორტყმოდეს და ეტყოდეს: ვაგლახ ბედსა თქვენსა! დილასა ადრე წინაშე კართა ქალაქისა თქვენისათა დაგჰსჭამთ და მოყვასთა ჩვენთა სისხლთა გაზღვევთო“. რა სკვთთა მეფემან იგი სიტყვა გაიგონა, ამოიოხრა და ჰრქვა: კაცობრიობისაგან უცხონო და მხეცთა მძვინვარეთა მიჰმსგავსებულნო, მე ერთ გულობისათვის დიდისა აბაშთა მპყრობელისა და მზისა ქალაქისა მბრძანებლისა დილარ მძლეველისა სიკვდილი სიცოცხლედ მჩანს, გარნა არცა თქვენ შეგარჩენსთ სისხლთა ჩვენთა უსწოროთ იგი კელმწიფე ჩვენი.

აქა დილარ მძლეველისაგან შესვლა კადუზიანელთა გმირთა ბანაკთა შინა და მათგან შეპყრობილთა სკვითთა მეფისა ხაყანისა და ყოველთა დიდებულთა გამოხსნა და ბრძოლა ძლიერი.

ოდეს დილარ მძლეველმან ხაყან მეფისაგან იგი სიტყვა მოისმინა, თვალთა ცრემლნი მოედინნეს და ცისა ჭექისა მსგავსისა ხმითა შეჰსძახა: აჰა მეფეო ხაყან, აქ არის დილარ მძლე-

ველი და მხსნელი შენი პყრობილებისაგანაო. მიუხდა მძიმითა
გურზითა, იგი ტყვენი ყოველნივე კრულებისაგან განხსნეს, მე-
კობრეთა მეფესა მიაბარეს და გაისტუმრეს. თვით პატრონ-
ყმანი გაერივნენ მათ მკეც-კაცთა შორის, დაიწყეს ბრძოლა
სასტიკი, დაჰსცეს ზარი და შეიქმნა კმიანობა შესაძრწუნებე-
ლი. მოხსენდა მეფესა კადუზიანთასა, ვითა: „შემოსულან მპარა-
ვნი ვინმე, იგი პყრობილნი განუთავისუფლებიათ, მცველნი და-
უხოციათ, აწ სპათა ჩვენთა დაჰრევიან და ძლიერი ბრძოლა
არისო". მასვე წამსა უბრძანა ფარსმან მეფემან ასსა ათასსა
ბრუტუსელთა ფალავანთა, ვითა: გარე მოერტყენით და ერთ-
საცა შეუპყრობელსა ნუ გაუშვებთო. იგი გმირნი, მორჩილნი
პატრონისა თვისისანი, მესისხლედ გარე მოერტყნენ და დაუ-
წყეს დიდროვანისა რკინისა ძელებითა ცემაჲ დილარსა და
ყმათა მისთა, იზახდეს კმითა საშინელითა და ჰკმობდეს, ვითა:
გულოვანნო გმირნო კადუზიანელთანო! აჰა დრო მოჰირვე-
ბისა და კელის გამოღებისა ჩვენისა, დავჰსცნეთ მტერნი ჩვენ-
ნი და ვიდიდნეთ ქვეყანასა ზედაო. შეიქმნა ზარისა დასაცე-
მელი კმა საყვირთა და იძრვოდა ქვეყანა კუპთებითა მათითა.
დილარ განრისხებული აღილებდის ცხენსა კაცითურთ და ეგ-
რე ჰხოცდის სიმრავლესა გულოვანთასა. იგი დილარისა ლომ-
გულნი მოყმენი იბრძოდეს, განძვინებულნი ჰხოცდეს და იზახ-
დეს: გველტოდეთ, გველტოდეთ, მკეც ქმნილნო კადუზიანე-
ლნო, მოვიდა დღე აღსრულებისა თქვენისაო. ვითა გამალე-
ბულნი ბორბალნი, ეგრეთ ჰბრუნვიდეს შუა მათსა და განა-
კვრევბდეს მებრძოლთა თვისთა. რა კმა საყვირთა განძლი-
ერდა და მეომართა ყვრილითა ცა ჰგრგვინვიდა და ქვეყანა
იძვროდა, მეორით კერძო მსწრაფლად შეიჰურნენ ლასურ, ნუ-
შრევან და გოჰარ გუნდითა თვისითა, ჰსდგეს განმზადებულ-
ნი და არა იცოდეს, რა ექმნათ მით, რომე დაედვა ბრძანება
დილარისა, მისგან კიდე ბრძოლისა მოედანსა ვერავინ შევი-
დოდა. მას ჟამსა ზედა მოვიდა მეკობრეთა მეფე რაზმითა თვი-
სითა და მოიყვანნა იგი პყრობილნი ყოველნივე, მასვე წამსა

აბანოს აბანეს და ძვირ ფასითა შესამოსლითა შემოსეს. მოახ-სენა ლასურს მეკობრეთა მეფემან, ვითა: კელმწიფეო! ესერა უმეტეს განძლიერდა კმა ბრძოლისა საყვრთა და თქვენცა უბრძანეთ, რათა ქალაქისა ზღუდეთაცა უცენ საყვრთა ჩვენ კერძო და თქვენცა ყოველნი აღვედით ზღუდეთა ზედა, მუ-ნით გვიმზერდით და აჰა მე პატრონსა ჩემსა თანა მივესწრა-ფებიო. ესე მოახსენა, გაბრუნდა და მყისად სპასალარსა თანა მივიდა და გამოუცხადა ბრძანება, ვითა: ჰსდეგ კარსა ამას თა-ნა მცველად და ჰბრძოდე მომავალთა მეომართაო. ლასურმან ნება ჰრთვითა მზისა ქალაქისა კელმწიფესათა გაჰსცა ბრძანება და ოთხთავე კიდეთა ზღუდეთასა უცეს საომართა საყვრთა ესრეთ ზარისა დასაცემელად, რომე ყოველი იგი ქალაქი ირ-ყეოდა და შიშითა მრავალნი ცნობასა გარე განჰხდეს.

აქა მის მზის ქალაქის კელმწიფესა და აბაშეთის მპყრობელის მიმზი-დისა ანავსისაგან თვისისა გოდლისა ბანით ჭვრეტა სასტიკისა მის ბრძოლისა და დილარისა თვის ტირილი და გოდებით ზრუნვა.

იგა ქვეყანისა განმანათლებელისა მზისა ბრწყინვალე-ბითა უნათელ მკრთოლვარესი კელმწიფე ანავსი თვისისა გოდლისა სართულსა ზედა ჰგებდა ყოვლითა მით მნათობთა სიმრავლითა, პირსა მას მოელვარესა იხოკდა, ნაზად მელნისა ტბით ცვართა ხშირად აღვსენდა და, ვითარ ტოლ მოკლებული გვრიტი, ტკბილად რასამე ჰგრუტუნებდა და სულთქმით იტ-ყოდა: ეჰა ყოვლისა ქვეყანისა ჩემთვის უმჯობესო, სულისა ჩემისა სადგურო ფიალო და გულისა ჩემისა სალხინებელო მე-ნაკო, კორცი შენი, რომელიცა ჩემთვის საალერსოდ სატრფი-ალო არს, იგი უწყალოთა კაცის მკვლელთა გმირთაგან რკინი-სა ძელებითა მწარედ იგვემებიან და მე უბედო ესე ესრეთსა განსვენებასა ვიმყოფები! ჵე სულო გულისა ჩემისაო, რასა ნაცვალ გებასა შემძლებელ ვარ ეგეოდენისა პირისა შემთხვე-

ვისა წილ! სასურველო ჩემო, თუმცა ეგე საზარელნი რკინი-
სა ძელნი ჩჩვილთა კორცთა შენთა დაალებებენ, გარნა, შენ-
მან მზემან და სიხარულმან, გულსა ჩემსა სასტიკად მეხად და-
ეცემიან, და, ვიც, ჟამსა ამას სიცოცხლესაცა მიმიღებს. საწა-
დელო ჩემო, უკეთუ ცამან მოწყალება თვისი ჩემთვის არ გა-
ამსწრაფლა და ქვეყანისა სფეროჲსა დამამშვენებელი ტანი შე-
ნი, წამსა ამას ძლევა შემოსილი, ჩემდავე არა დააბრუნა, მა-
გავე ბრძოლასა შინა სულსა შემოგძლევნი, უშენოდ სიცოც-
ხლე ჩემი ნუმცა იქმნების, თვალთა ჩემთა ნათელი მუნამდე
არს, ვიდრემდის შენსა უგმირესსა ტანსა და უშვენიერესსა
პირსა ვჰჭვრეტ! ჵე მოყვარეო, შემიბრალე ამას ჟამსა გოდ-
ლისა სართულსა მდგომარე ცრემლ მოუკლებელი და სასიკვდი-
ლოჲსა ზღვას შინა მიმოკვეთებული დასანთქმელად! სიხარულო
ჩემო, შეიმოსე ძალი ცითგამო ზე, და გაამხიარულე მკვდრად
მილეული გული ჩემი, მიჩვენე პირი შენი მრავალ წალკო-
ტად აღყვავებული! მოვედ, მოი, მზისა ეტლო, რათა მზე შენი
შენთანა დასტკბეს! შვებაო ჩემო, მათ წარსულთა ჟამთათვის
სინანულსა ვარ მით, რომე უკეთუ სული ჩემი შენსა წიაღსა
შინა იყო, რადღა გენაზებოდი და რად თვალთაგან შენთა
საჩემოდ ცრემლთა დინება მიამჭბოდა! გლახ! რად არა ვიცო-
დი, რომე ერთი ოდენ ცვარი ცრემლთა შენთა ყოვლად ქვე-
ყანად ჰღირდა! რით გლახ შემძლებელ ვიყავ ფასსა ცრემლთა
შენთასა, უკეთუმცა შეგჰსწირე უბედური ესე ქვეყანა და თა-
ვიცა ჩემი, გარნა რად ნაცვალი ვარ ცრემლთა შენთა! სა-
შუალსა ქვეყანისა წერტილსა ზედა, ოთხთავე კიდეთა გასა-
გონოდ სოფლისა ქადაგსა ჳმა მაღლად უხმობია, რომე დი-
ლარსა ერთი ოდენ ცვარი ცრემლთა ყოვლისა ქვეყანისა ფა-
სი არსო. ჰოი მე, ჰოი მე, ნათელო ჩემო, ნეტარ თუმცა ერთ
გზის კვლა გიხილო გამარჯვებული და ჩემთანა შემოსრული,
თვარა, შენმან მზემან, ესრეთ დაგგკრძალო, ვითა თვალთა ჩემ-
თა გუგა და ვითა უშინაგანესი გულისა ჩემისა წევრი. მე ნე-
ბისა შენსა დავემონო, წამოგყვე ქვეყანასა შენსა და ესე გა-

უბედურებული საკელმწიფო დაუგდო მტერთა შენთა. რაჲსა-თვის მინდა ქვეყანა და ანუ კელმწიფება, უკეთუ შენ ესრეთ განუსვენებელ იქმნები ბრძოლითა? დღესითგან თვალთა ჩემ-თა ხედვაჲ შენსა ჰვრეტასა შინა დავასრულო, შენ გმსახუ-რო და შენსა მორჩილებასა შეუდგიო". იგა მჰვრეტელთა და-მადნობელი მთოვარე, ვითა წნორისა ფურცელი, ჰსთროთოდა და ესე ვითარად საბრალოდ იგლოვდა, პირსა კრონოსისა უბრ-წყინვალესსა იხოკდა და ბროლსა და ლალსა ზედა არღავნის ფერსა წყაროსა მოიმჩქეფრებდა და ცრემლთა თვისთა კბო-დესა ტანსა წვლილსა აცურვებდა.

აქა მზისა ქალაქისა კელმწიფისა და აბაშეთის მპყრობელისა მზისა ანასისას მიერ ტირილით თხოვანი ცისადმი.

შ ა ი რ ი

შენ ყოვლთა ზედა დამჰვრეტო მით საკვიროთა თვალითა,
ათორმეტთ ზოდთა, შვიდთ ცთომილთ, კეთილად მჰყრობო ბრქა-[ლითა,
შენ მიუწთომმო სივრცითა, ცაო კორცისა ძალითა,
შენ დამატკბობო ყვავილთა ზე ცურვით მომავალითა!

შენზედ იქმნების ყოველთა ცთომილთა მორბედობანი,
სიტკბო, სიმწარე, სიუხვე, ბედი და უბედობანი,
ვით ჰსწერენ ბრძენნი წინანი და მათნი მრავალდობანი,
ზოგთ დაზრევენ ყინვით, ზოგთ დაჰსწვავს სიცხისა ხორშაკობანი.

შენ ზედ მყოფნი აქა ქმნადსა მნათნი ესრეთ განაგებენ:
ზოგან ჰსწვიმენ, ზოგან სეტყვენ, ზოგთ ნაყოფთა უმრავლებენ,
ზოგთა ჰბერევენ სწადს ზეფირს, ზოგთ სასტიკთ ქართ უქროლე-[ბენ,
ზოგნი ჰსწყევენ მათსა ქცევას, ზოგნი ქებით ადიდებენ.

აწ ამა ჟამსა შეგბრალდე გულმდუღრად მოტირალია,
მათ მნათობთ თვისნი ნიშატნი თუ აქვსთ რა საკვირველია,

შენც უწყი, ჩემებრ ყრმაასი სიკვდილი შესაბრალია,
ვერ გავჰსძლებ, დეირის ცეცხლის გულზედ მედების ალია!

ზაფუცებ შენსა მას დიდსა ბრძანებით დამადგინებსა,
ვინ არს უხილავ, მიუწთომ და სამიმდემო ლხინებსა,
ცეცხლის ალებრთა მსახურთა გარემო დამაზვინებსა,
მეწიე, დამხსენ ჭირებსა, აწ ჩემგან მოუთმინებსა.

შენ დიდსა მას უკიანოს ზედა ჰბურავ საფარველად,
შენ კმელთა მათ სივრცე, სიგრძეს განიხილავ საკვირველად,
ჩემსა ჰხედავ სიმწარესა, ვარ ვითარცა ცრემლთა მღვრელად,
მიშველე რა რგებად ჩემდა, იყავ მსწრაფლად, უშურველად.

ოცი ჩემებრთა ყრმაათა ვითა აქვს გული მკრთალები,
ცეცხლმან მომიცვა უთმინოდ, შემწვენ გლახ მისნი ალები,
შენ გეაჯები დაიხსნა სიკვდილად მინავალები,
დილარ დაიცევ მბრძოლთაგან, მით დაგვსდევ დიდი ვალები.

მეშინის, მარსი, მარიხი ბრძოლის ჟამს სისხლის მღვრელია,
მისნი უწყალო მახვლნი ძლიერთა სისხლთა მღვრელია,
შენ იგ დაუტკბე დილარ მძლეს, კელმწიფე სასურველია,
რად არ შეილმობ, შენს ქვეშე სხვა მისებრ არ რომელია.

მოიხილე, უჰამრავნი გმირნი ჰსცემენ რკინის კეტსა,
შეეწიე ომსა შინა პირად მზესა, წელ-წერწეტსა,
ნუ აღმოფხვრი მზისა ქალაქს, კელმწიფეთა ნათლის სვეტსა,
არქვ, მარიხი შემწე ეყოს, მას მოყვასთა ტკბილ საჰვრეტსა.

კრონოს მჭამელი შვილთა-და, უწყალო დროთა ძველებსა,
ჰგავს, კიდუზიანთ ბილწ ჰსჯულის იგ უდგამს საძირკველებსა,
შენ გარდმოიგდე ალბასტროთ, ეს ძალუძს შენსა კელებსა,
მისის მიმყოლით მოჰსწყვიტენ, მიეც მახვლსა მჭრელებსა.

მიეც მათ მისთა მორჩილთა ზეგარდმო მეხ ტეხილობა,
აწვიმე ცეცხლი, მოიწვას მრავალად მათი ყრილობა,
დაიცევ დილარ მძლეველი და მისი სვე-კეთილობა,
შეჰმუსრენ მათნი შუანი და კაცთ მჭამელთა კბილობა.

მაშინ მოგართვა მადლობა, ვჰყო მსხვერპლის შემწირველობა,
რა დილარ ვნახო მშვიდობით და ექმნეს ჩემკენ მსვლელობა,
მტერნი მოესრნეს მძლეველსა, ჰქონდეს თვით უპირველობა,
მაშინ ვჰსცნობ, ჩემზედ წყალობის დია გაქვს უშურველობა".

ამას იტყოდა ცისადმი მნათობთა გამცუდებელი,
ცრემლით უჰვრეტდა მას ბრძოლას თვალთა ვერ მომშორე-
ევედრებოდა განგებას, ოხვრისა მომხშირებელი, [ბელი,
სიკვდილს ჰნატრობდა, სიცოცხლე შეჰქმნოდა სანანებელი.

შიშის ზარი ტანსა წვლილსა ვერხვის ფურცლებრ ათრ-
თოლებდა,
პირს მთოვარის უელვარესს თითთა ცემით დაილებდა,
დახოცილთა სისხლ მდინარე ჰმსგავს რიონის არ იკლებდა,
ამბრის ფერთა თმათა ნაგლეჯთ ბანთა ზედა ამრავლებდა.

ზარე მნათობთა სიმრავლე სუნნელთა აჰკურებდიან,
იგანიც მკრთალნი ბუნებით შეჰსტრფოდენ, ჰმსახურებდიან,
შეჰფრფინვიდიან საწადლად, წიალთა იკონებდიან,
საბრალო ქმნილნი ცრემლ ხშირნი, ოხვრიდენ და ვაებდიან.

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

რა მზისა ქალაქისა კელმწიფე ანავსია გულმდუღარედ ცასა შეჰსტიროდა და ცრემლისა ზღვასა პელელონსა ჰსცურვიდა, მოედანსა ზედა კმა სასტიკისა ბრძოლისა განძლიერდე-

შენც უწყი, ჩემებრ ყრმაასი სიკვდილი შესაბრალია,
ვერ გავჰსძლებ, დეირის ცეცხლის გულზედ მედების ალია!

ზაფუცებ შენსა მას დიდსა ბრძანებით დამადგინებსა,
ვინ არს უხილავ, მიუწთომ და სამიმდემო ლხინებსა,
ცეცხლის ალებრთა მსახურთა გარემო დამაზვინებსა,
მეწიე, დამხსენ ჭირებსა, აწ ჩემგან მოუთმინებსა.

შენ დიდსა მას უკიანოს ზედა ჰბურავ საფარველად,
შენ კმელთა მათ სივრცე, სიგრძეს განიხილავ საკვირველად,
ჩემსა ჰხედავ სიმწარესა, ვარ ვითარცა ცრემლთა მღვრელად,
მიშველე რა რგებად ჩემდა, იყავ მსწრაფლად, უშურველად.

Იცი ჩემებრთა ყრმაათა ვითა აქვს გული მკრთალები,
ცეცხლმან მომიცვა უთმინოდ, შემწვენ გლახ მისნი ალები,
შენ გეაჯები დაიხსნა სიკვდილად მინავალები,
დილარ დაიცევ მბრძოლთაგან, მით დაგვსდევ დიდი ვალები.

მეშინის, მარსი, მარიხი ბრძოლის ჟამს სისხლის მღვრელია,
მისნი უწყალო მახვლნი ძლიერთა სისხლთა მღვრელია,
შენ იგ დაუტკბე დილარ მძლეს, კელმწიფე სასურველია,
რად არ შეილმობ, შენს ქვეშე სხვა მისებრ არ რომელია.

მოიხილე, უჰამრავნი გმირნი ჰსცემენ რკინის კეტსა,
შეეწიე ომსა შინა პირად მზესა, წელ-წერწეტსა,
ნუ ალმოფხვრი მზისა ქალაქს, კელმწიფეთა ნათლის სვეტსა,
არქვ, მარიხი შემწე ეყოს, მას მოყვასთა ტკბილ საჰვრეტსა.

ქრონოს მჭამელი შვილთა-და, უწყალო დროთა ძველებსა,
ჰგავს, კადუზიანთ ბილწ ჰსჯულის იგ უდგამს საძირკველებსა,
შენ გარდმოაგდე ალბასტროთ, ეს ძალუძს შენსა კელებსა,
მისის მიმყოლით მოჰსწყვიტენ, მიეც მახვლსა მჭრელებსა.

მიეც მათ მისთა მორჩილთა ზეგარდმო მეხ ტეხილობა,
აწვიმე ცეცხლი, მოიწვას მრავალად მათი ყრილობა,
დაიცევ დილარ მძლეველი და მისი სვე-კეთილობა,
შეჰმუსრენ მათნი შუანი და კაცთ მჭამელთა კბილობა.

მაშინ მოგართვა მადლობა, ვჰყო მსხვერპლის შემწირველობა,
რა დილარ ვნახო მშვიდობით და ექმნეს ჩემკენ მსვლელობა,
მტერნი მოესრნეს მძლეველსა, ჰქონდეს თვით უჭირველობა,
მაშინ ვჰსცნობ, ჩემზედ წყალობის დია გაქვს უშურველობა“.

ამას იტყოდა ცისადმი მნათობთა გამცუდებელი,
ცრემლით უჭვრეტდა მას ბრძოლას თვალთა ვერ მომშორე-
ევედრებოდა განგებას, ოხვრისა მომხშირებელი, [ბელი,
სიკვდილს ჰნატრობდა, სიცოცხლე შეჰქმნოდა სანანებელი.

შიშის ზარი ტანსა წვლილსა ვერხვის ფურცლებრ ათრ-
თოლებდა,
პირს მთოვარის უელვარესს თითთა ცემით დაილებდა,
დახოკილთა სისხლ მდინარე ჰმსგავს რიონის არ იკლებდა,
ამბრის ფერთა თმათა ნაგლეჯთ ბანთა ზედა ამრავლებდა.

ზარე მნათობთა სიმრავლე სუნნელთა აპკურებდიან,
იგანიც მკრთალნი ბუნებით შეჰსტრფოდენ, ჰმსახურებდიან,
შეჰფრფინვიდიან საწადლად, წიაღთა იკონებდიან,
საბრალო ქმნილნი ცრემლ ხშირნი, ოხვრიდენ და ვაებდიან.

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

რა მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსია გულმდუღარედ
ცასა შეჰსტიროდა და ცრემლისა ზღვსა პელელონსა ჰსცურ-
ვიდა, მოედანსა ზედა კმა სასტიკისა ბრძოლისა განძლიერდე-

ბოლდა და დილარისა კმა კაფი ოთხსავე კიდესა არყევდა და მბრძოლთა საშუალი ჰბრუნვიდა. მაშინ გოდლისა კერძო მოჰხედა და მათ მნათობთა სიმრავლე სართულთა ზედა განიცადა, ვითა ცამან, იჭექა და კისკასად მბრძოლთა, ვითა ცეცხლი, მოედვა. მეფემან კადუზიანთამან ფარსმან რა მცირედთაგან ეგე ვითარი ძლიერი ბრძოლა იხილა; ყოველი მხედრობა თვისი აღჭურა და თვითცა შეიჭურა და ყოველთავე ერთობით მოჰმართეს დილარს და ყმათა მისთა.

აქა დილარ მძლეველისა და კადუზიანელთა მეფისა ფარსმანისა ბრძოლა ძლიერი და მესისხლედ კვეთება მათ უსწოროთა ჭაბუკთა:

დილარს მას განრისხესულსა ჟამსა ზედა შეხვდა მეფე იგი ფარსმან და მძიმითა ლახტითა მოჰმართა. დილარ შეჰსდგა და მკლავთა მისთა ძლიერებისა გამოცდა განიგულა. რა მეფემან ფარსმან ლახტი დასაკრავად შეიმაღლა, ჰსთქვა გულსა შინა თვისსა: უცილოდ ესე ფალავანი ძალისა მქონებელი ვინმე არს, რომელიცა ესოდენთა გმირთა ებრძვის და ნუ თუ დილარ იყოს თვით! აუგი არს ცხენიანისაგან ქვეითისა ბრძოლაო. ლახტი მაღლა დაიჭირა და დაჰსძახა, ვითა: ძმაო, უკეთუ დილარ მძლეველი აბაშეთისა კელმწიფე თქვენ ბრძანდებით, აუგი არს ქვეითსა ზედა ცხენიანისა ბრძოლა. უბრძანე ტაიჭთა მოსხმა და ეგრეთ ვიბრძოლოთო. დილარს იგი ზრდილობიანი სიტყვა ფარსმან მეფისაგან დიდად გულსა იამა და ჰრქვა: „ძმაო, სწორედ გიცნივარ და შენისა ნებისაებრ აღვასრულოო“. უბრძანა მეკობრეთა მეფესა ტაიჭთა მრავალთა მოსხმა ყოველთათვის. მეფე ზორასტან მყისად უკმოიქცა და ფარსმან მეფემან უბრძანა ყმათა თვისთა ბრძოლისა დაცადება, და თვით მოედანსა შუბითა მღერა დაიწყო. დილარ მძლეველსა დიდად მოჰსწონდა სადავისა ხმარება და მკერდ ლომი მონაკვეთეობა მისი და გულსაცა შინა უცხოდ რასმე შეუ-

ყვარდა ახალ ულვაშთა გამო ჭაბუკობა მისი. ოდეს მეკობრე-
თა მეფემან მოიყვანნა ცხენნი მრავალნი მათ ყოველთა თვის,
გასხდენ ცხენთა, და შევიდა დილარცა მოედანსა ზედა. ფარს-
მან მეფემან დააგდო შუბითა მღერა, მოვიდა და ტკბილითა
საუბრითა დილარს მოესალამა და ჰრქვა: „კელმწიფეო! სი-
ყვარული თქვენი, ვითა ძილი თვალთა, ეგრე შემეპარა გულ-
სა ჩემსა. ამისთვის მიიღეთ პატივის ცემაჲ ჩემგან და პირვე-
ლად თქვენ ინებეთ იარაღისა ხმარებაჲ ჩემ ზედაო“. დილარისა
გული მისმან ზრდილობიანმან სიტყვამან და ქცევამან ყოვ-
ლითურთ მისისა სიყვარულისადმი მიიზიდა, და ჰრქვა: „მე-
ფეო, იხმიე სიყვარული და იკელთე იარაღი შენი, რაჲცა გინა,
და გამოვჰსცადო მკლავთა შენთა ძლიერება რაძი ჭაბუკი ხა-
რო“. ფარსმან თაყვანი ჰსცა და მოახსენა, ნებასა შენსა დავე-
მორჩილოვო, გაიყენა ტაიჭი თვისი, ნავარდი შემოუვლო,
მიჰყო კელი მასვე მძიმესა ლახტსა, მოუხდა და ესრეთ ძლიერად
დაჰკრა თავსა ზედა, რომე დილარს ჯერეთ ეგე ვითარი ლახ-
ტი არა ვისგან ჰსცემოდა. თვალთა წინა ნათელი დაუბნელდა,
და ცხენი დილარისა მიწასა ზედა განერთხა და მოკვდა. გან-
კვირდა დილარ მის მეფისა ძლიერებასა და ქება შეასხა მკლავ-
თა მისთა სიმტკიცესა. გარდახდა ცხენით, სხვასა ცხენსა გაჯ-
და, და კვლა მოუხდა ფარსმან მეფე, ჰსცა გულ მესისხლედ
ლახტი მუზარადსა ზედა, და ესრეთი ძალი დაადგა, რომე დი-
ლარ წელსა შეხარა. გარნა თვით გაუძლო მეტითა მოჭირვე-
ბითა და ცხენიცა იგი მოუკვდა. კვლა გაჯდა სხვასა ცხენსა-
ზედა დილარ, და მუნით მოუხდა ფარსმან ქველი იგი, და
კბილ ღრჭენით უსასტიკესად ჰსცა ლახტი მარცხენესა მკარსა
ზედა, ცხენი ფიცხლად დაეცა მკვდარი, და დილარცა იგი
დიდებული კელმწიფე მიწასა ზედა დაეცა. მსწრაფლად თვალ-
თა კელი მოისვა და თვისი ტაიჭი მოითხოვა. გაჰსჯდა მას
ზედა, მიჰყო კელი თვისსა გურზსა და შესძახა: „ფარსმან მე-
ფეო! გამოვჰსცადო მეომრობა შენი, ვითარი გამძლეობა გექმ-

ნებაო“. შეუტია და იგიცა მტკიცედ ჰსდგა. დილარმან, გულგანრისხებულმან, ჰკრა გურზი მუზარადსა ზედა, ცხენი ფარსმანისა მიწასა ზედა დაასქდა და მოჰკვდა, ფარსმან შორს გარდახდა და მალიად სხვასა ცხენსა გაჯდა. კვლა მიუხდა დილარ, და მესისხლედ ჰკრა გუზი მხარსა ზედა, ცხენიცა იგი მოჰკვდა, და ფარსმან, ვითა მყარი გოდოლი, ეგრეთ დაჰსდგა ფერკთა ზედა და მოახსენა დილარს: „კელმწიფეო! ჰუნეთა არარა ბრალია, უკეთუ ინებებ, გარდამოხედ ცხენით, ქვეითად ვირკინოთო“. ფარსმან მეფისა სიტყვასა ზედა დილარ მყისად გარდახდა, ჯაჭვისა კალთანი სარტყელსა შთაიპყრნა და ვითა განრისხებულნი სპილონი ერთი ერთსა ეძგერნეს. შეჰქმნეს რკინობა ძლიერი და ჰბრძღვინვიდენ ვითა დამშეულნი ლომნი განთიადისა სახელის მოწევნისა დრომდე, ესრეთ მრისხანედ ეკვეთებოდეს ურთიერთას, რომე იგი მოედანი ირყეოდა, ჰსდიოდათ ოფლი, ვითა ღვარი ქვეყანასა ზედა, და ჯაჭვნი მათნი ოფლთა მათთა პერმან დაჰფარა. დილარს შეუყვარდა ფრიად ფარსმან ეგე ვითარისა განსადიდებელისა ძლიერებისათვის მით, რომე არა ენახა ჭაბუკი მისებრი ქვეყანასა ზედა, და ფარსმანცა ჰსთავაზობდა დიდისა სიყვარულისა გამო. რა კუწთებისაგან ფრიად მაშვრალნი მცირედ უკუჰსდგნენ და შეისვენეს, კვლა ვითა სალნი მთანი ერთი ერთსა ეძგერნენ და განთიადიცა მოიწია. მაშინ დილარმან ახსენა სახელი საყვარელისა თვისისა, ასწია და ლომი იგი ლომი ფარსმან ქვე მიწასა ძლიერად დაჰსცა. მყისად მივარდა დილარ ტკბილად დაჰკოცნა და ჰრქვა; „ჵი დიდო მეფეო და უძლიერესო ყველთა გმირთაო! აწითგან შენ ხარ სწორად თავისა ჩემისა საყვარელი ძმა, და გთხოვ მომიტეოცა ესე ვითარი მოქმედებაო“.

აქა ფარსმან ქველისა და ძლიერისა მეფისა საუბარი დილარ მძლევე-
ლისა თანა:

ათ ოთხმეტ მარცლოვანი.

შჰა დილარ მძლეველო, მე თქვენმან სიყვარულმან
მიმიღო მკლავთა ძალი, გულის ხაზთა შესრულმან
თვალით რა განგიცადე, მიპყრა დიდად სურვილმან,
არ ვიკადრო სიცრუე, ნამდვლ მათგან ძლეულმან
თქვენმა ძლევამ აღმავსო მე დიდად სიხარულმან

მიტყოდი: ჰმსგავსი ჩემი ვიპოვო კაცი, ვალ ვით
სადა გინდ იყოს, შევხვდე, განვიცადო შეთვალვით,
მას დავამონო გული და ვაამოცა კრძალვით,
ესე ვჰფუცე ღმერთთადმი ცხადად და არა მალვით
გავეწყო ვესათნოვო, არა მოვექცე ლალვით.

აწე სურვილსა ჩემსა ვხედავ აღსრულებულად,
მიხარის არ ვინანი, არცა ვარ გულ კლებულად,
რაცა გნებავს, იგი ჰყავ ჩემზედ მოსწრაფებულად
გწადს, ჯურღმულსა დამკრძალე, თავს ლოდ დაფარებულად,
სიყვარულს არა ჰრცხვენის, მაქვს გულს დამყარებულად.

მეტყოდეს ყურთა ჩემთა, მზისა ქალაქის ქებას,
დიდთა კელმწიფე გმირთა აქ სამე მოსწრაფებას,
ამის თვის არლა ვჰყოვნე, შევხვდე ლომ გულთ დასებას?
ეს იყო ნება ჩემი, არ ვიტყვ ძალთა კლებას
მეც მეცნა თავი ჩემი დიდთა მებრძოლთა კრებას.

ამას გთხოვ ყმათა ჩემთა, ნუ ჰყოფ სპათა ბრძოლასა,
მით, რომ იგინი უქმენ თვისთა მებრძოლთ ძრწოლასა,

ურთიერთის მშვიდობა ჰსჯობს ბასრთა ისართ სროლასა,
სისხლი რად დაითხიოს კეთილს ამას მოლასა,
მტერთა ჰკამს სისხლთა დაღვრა, ჰსჯობს შინ ცუდად წოლასა.

თქვენ უბრძანეთ თქვენთა მათ ყმათა და საქებელთა,
რათა არა მიიცენ ბასრი მახვილი კელთა,
მეც ვამცნო ჩემთა გმირთა, ბრძოლად მომსწრაფებულთა,
ნუ შეეხებიან ყე საჭურველთ, რკინის ძელთა,
მით, რომე სიყვარულის მტკიცედ ვჰყრი საფუძველთა.

რად მოჰსწყდნენ ორგნით ცუდად, ორთავე დაგვაკლდების,
სად სიყვარული შევალს, მუნ მტერობა მოჰკვდების,
აწ სიყვარული თქვენი გულს არლა მიმცილდების,
რაცა ინებო, ჰბრძანე, იგიცა აღსრულდების,
ჩემგან თქვენი ბრძანება, არლა სად დავარდების.

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

რა კადუზიანთა ძლიერი იგი მეფე თვისი ეგრეთ იხილეს, იწყეს კბილთა ღრჭენა, ვვირილი და ერთობით ჰლამოდენ შემოტევასა. დილარ მძლეველი ფარსმან მეფისა ტკბილ-მოუბარობითა, ძლიერებითა და შვენიერებითა, ვითა კაკაბი მახესა, ეგრე დაება; ჰკოცნიდა, ეალერსებოდა და ჰსთურმანობდა. მერმე უბრძანა მეკობრეთა მეფესა უკეთილესისა ტაიჭისა მორთმევა ფარსმან მეფისა თვის. მან გალანამცა მყისად მოართვა. გაჯდა ფარსმან მას ზედა და ესრეთ უყივლა სპათა თვისთა და გმირთა, ვითა: „ჰსდევგით და ნურარასა ურვეულობთ, ვითაცა იყო სურვილი ჩემი, ეგრეცა დღეს ვნახე ძლიერთა მძლეველი, მეფე მეფეთა და კელმწიფე კელმწიფეთა დილარ აბაშეთისა მპყრობელი. მე დღესითგან ბრძანებასა მისსა ვემორჩილები და თქვენცა ესევე გშვენისთო“. კადუზია-

ნელთა რა ბრძანება თვისისა ძლიერისა მეფისა ისმინეს, მო-ვიდნენ, თვისსა მეფესა თაყვანი ჰსცეს, მუკლსა აკოცეს და ესრეთ, მეფითურთ მათით, წინაშე დილარისა მოვიდნენ, ქება შეასხეს და მადლობა მოახსენეს.

ჯქა დიდის მის აბაშეთის მპყრობელისა და მზისა ქალაქისა მთავრვე-ლისა დილარ მძლეველისაგან მათ კადუზიანელთა წვრთნა, შეგონე-ბა და მცნება.

ოდეს კადუზიანელნი შემოჰკრბენ მეფითურთ წინაშე დილარისა, იხარებდა უსაზომოჲთა მხიარულებითა დილარ, ფარსმანისა კელი კელსა ეპყრა და ეტრფოდა ვითა მოყვარე საყვარელსა და, ვითა იოსებ ბენიამენსა, და თაფლისა უტკბი-ლესითა სიტყვითა ჰრქვა: „ეჰა შენ, ყოვლითა შვენიერებითა და ძლიერებითა განდიდებულო მეფეო ფარსმან და ყოველნო ძლიერნო გმირნო კადუზიანელნო! თქვენ, რომელნიცა ეგე კაცნი სიტყვიერებითა განშვენებულნი იმყოფებით, რად მიჰ-მსგავსებულხართ პირუტყვთა მკეცთა უგუნურთა და ჰსჭამთ ჰმსგავსთა თქვენთა კაცთა ეშმაკისა მიყოლითა, თაყვანი ჰსცემთ ცეცხლსა სახმარად ჩვენდა შემოღებულსა, ესავთ ღმერთთა რათმე ამაოთა და საძაგელთა, რომელიცა მიგიზიდავსთ საუ-კუნოსა დასანთქმელსა ტარტარსა, ისმინეთ ჩემი, აღჰხედეთ ცასა და მკულებასა მისსა, იხილეთ ბრწყინვალება მზისა და ნათელი მთოვარისა, მიხედეთ მკრთოლვარებასა ვარსკვლავთა-სა, გულის-კმა-ჰყავთ ქვეყანისა მრავალ ფერობით განშვენე-ბანი და არსთა ყოველთა საკვრვოდ ქმნილებანი. რასა ჰგო-ნებთ თქვენ, ნუ უკუჱ ცეცხლმან თქვენგან აღნთებულმან დაჰბადა ესე ყოველი კეთილობა, ანუ ღმერთთა მათ თქვენთა ამაოთა და საეშმაკოთ შეჰქმნეს იგინი ანუ დაჰბადნეს? ვინ გა-სწავა თქვენ ჭამა კორცისა თქვენისა? რომელთაცა სულნი უკუდავნი იღაღადებენ მის ყოველთა დამბადებელისა წინაშე,

მომიგეთ მე, სადა იყვნენ ღმერთნი იგი თქვენნი, ოდეს ჰზადებდა უხილავთა მათ და ხილულთა ამათ კეთილობათა მაკეთი კეთილობა? და ანუ ვინაით შემოვიდნენ კაცნი სოფელსა ამას შინა? არა მან შექმნაა ხატად და ჰმსგავსად თვისად, რომელიცა ჰსუფევს მაღალთა შინა და განიცდის ქვესკნელთაცა შინა ყოველთავე, ერთი ღმერთი სამობით დიდებული, არა პირველსა მას კაცსა მოჰსცაა ესე ყოველი სახმარად თვისად? არა თქვენნი იგი ღმერთნი მის მიერვე გარდამოითხივნენა რისხვთა მისითა და შეიცვალნენ ნათლისაგან ბნელად, და ანგელოსობისაგან ეშმაკად ამპარტავნებითა თვისითა? აწ იგინი მოქმედებენ ეგე ვითარითა საცთურთა, რათა მიიზიდონ წარსაწყმედელად კაცთა ნათესავი; ისმინეთ ჩემი, მოიქეცით უკეთურებისაგან თქვენისა, იცანთ დიდი იგი ღმერთი, რომელსაცა აქვს ცაჲ საყდრად და ქვეყანა კვარცხლბეკად, თაყვანის ეცით მას, და დაუტევეთ მკეცთა ეგე ჰმსგავსება და მისგამო ვიყვნეთ ურთიერთისა მოყვარულნი და ერთობით სიხარულსა შინაო.

დილარ მძლეველი კადუზიანელთა რა ეგე ვითარითა სწავლითა შეაგონებდა, იგინი მყუდროდ ისმენდნენ სიტყვათა მისთა და იდგნენ მდუმარედ მფიქრებელნი მოქმედებათა თვსთა ზედა. რა პასუხი არავინ მოახსენა, კვლა დაუწყო ამოდ საუბარი ფარსმანს და ჰრქვა ესრეთ: „ჰოი, მეფეო დიდო და ძლიერო, თაყვანის ეც ღმერთსა მას, რომელიცა სამ მზეობისა კრთოლვითა საჩინოებს და ერთობასა შინა მეორეთა ნათელთაგან დაუდუმებელად იდიდების, ესე დაიმყარე გულსა შინა შენსა, რომელ იგი არს დამწესებელი ყოველთა კეთილსა ზედა, მას უპყრიან სადავენი ცისანი და იგი არს დამამყარებელი ქვეყანისა, მეფენი მის მიერ მეფობენ და კელმწიფენი მისითავე ნებითა მპყრობელობენ, და შენ თვისცა, საყვარელო ძმაო, მასვე მოუნიჭებია ეგე ვითარი ძალი და ყმათა გმირთა სიმრავლე, მოჰსძარცვე ეგე ვითარი საზურველი გულსა და თვალთა შენთა, დაემონე მას და გრწმენეს იგი ყოვლითა გუ-

ლითა შეწითა და იქმენ სწორად თავისა ჩემისა და ძმად საყვარელად ჩემდაო“.

ფარსმან მეფემან, მრავლითა საგონებელითა აღვსილმან და მძიმედ მწუქრებელმან, მოახსენა დილარს, ვითა: „ჴელმწიფეო დიდო და ძლიერო, ვინაჲთგან მოწყალებითა მრავლითა გნებავს ყოველთა კაცთა სიმართლისა გზასა ზედა დადგინებაჲ და ჭეშმარიტსა ცნობასა ზედა მოყვანაჲ, ამის თვის გთხოვ, რჲთა მომცეთ მე ნება სამისა დღისა პაემნითა მით, რომე შემოვჰკრიბო ყოველნი სჯულის მეცავნი ჩემნი ქურუმნი და ყოველნი ცეცხლისა მემსხვერპლენი, რათა ბრძანებული თქვენი მათ თანა ვილაპარაკო, ნუ უკვე ცთუნებულ ვართ მათგან, ვჰსცნა მართალი, მე დავჰსაჯო იგინი და ესრეთ განეგოს ყოველივეო,

შ ა ი რ ი

მე ჩემისა ჰსჯულისა ვჰსცნა წვლილადრე ვითარებანი,
აწვე მოუწოდ ყოველთა, ვჰყო ჩვენთა მღვდელთა კრებანი,
გამოვიძიო მართალი, მათნი ყე მოქმედებანი,
ნუთუ მათგან ვართ ცთუნებულ, გვიკარგავს სულთ დიდებანი.

ცეცხლის მსახურნი ზინქარნი, ქურუმნი მემსხვერპლენია,
ვალაპარაკო ერთობით მსახვრალნი მერამლენია,
ვით დავბნეულ ვართ გონებით და ვითარ რა მოგვვლენია,
ნუ თუ მართლ ეშმაკს უპყრივართ ესდენნი სიმრავლენია.

თუ ვჰსცნა მე მათი საცრუე და ბოროტ მზაკვარებანი,
ერთად შევიპყრა ყოველნი, გარს ვჰბრძანო ცეცხლის დებანი,
ვითა გაჰბედეს ესდენთ ერთ გონების დაბნეულებანი,
თავსა მივაგო გლახ მათი სიბილწით მოქმედებანი.

არ შევიწყალო, დავჰკოცო, ვით ძაღლნი ცოფით მკბენარნი,
არღა უსმინო აჯანი, არცა ვედრებით ზენარნი,
ცეცხლითა დავჰსწვა კერპნი და მათნი სიცრუით მრწმენარნი,
მათის დაჰსჯითა ვაკვრვო შორიელნიცა მსმენარნი.

ვიცი ჩვენსა სიბილწესა ჰკვირდებიან ყოველნი ერნი,
ვისცა ესმის, შეგვიზიზღებს რაც სადა ვინ სულიერნი,
ჰსთხოვენ ჩვენსა აღსპობასა ცას ქვეშეთნი ყმა და ბერნი,
რად ვერ ვჰსცნობდით აქამომდე, რად ვიყვენით ცნობა შტერნი!

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

მას ძლიერისა მეფისა ფარსმანისა მოხსენებასა ზედა უზომოდ მოხარულ იქმნა დილარ მძლეველი, გარდაეხვია და საყვარელად დაჰკოცნა. შემდგომად უბრძანა მეკობრეთა მეფესა, ვითა: „მეფეო, წარვედ და არქვ საურმაგ მეფესა, რათა ყოველივე საზრდო ცხენთა და კაცთა თვის უხვებით მოართვასო“. მეფე ზორასტან მყისად უკვმოიქცა და ბრძანებული სრულ იქმნა. დილარმან და ფარსმან მცირედ ტკბილად მოიუბნეს, აკოცეს ერთმანერთსა, ფარსმან თვისსავე სადგურსა მოედნისა კიდესა დაჰსდგა და დილარ შემოიქცა საწადელსა თვისსა ქალაქსა და მოეგებნენ წინარე ყოველნი იგი კელმწიფე მეფენი, დიდებულნი და ქალაქისა ერნი, შეტრფიალებულითა გულითა ულოცვდიან მას განსადიდებელსა ძლევასა, აქებდიან მკლავთა მისთა ძლიერებასა და ქვეშე ფერკთა უფენდეს უძვირფასესთა სპეკალთა და მძიმეთა ოქრო ქსოვილთა ლართა, და ეგრეთ შეუძღვნენ დიდებითა დიდითა სრასა მას სამყოფსა თვისსა. ოდეს შევიდნენ სახლსა, მაშინ თვისნი იგი საყვარელნი ძმანი და დიდებულნი ყოველნივე ტკბილად მოიკითხნა, პირთა აკოცა, დასხდეს და მცირედ შეისვენეს.

აქა ზეფირისა მონის მოსვლა წინაშე დილარ მძლეველისა და მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსიას წინაშე მიწვევისა მოხსენება, დილარის მიერ მალიად შედგომა კვალსა მისსა.

მოვიდა მონა ზეფირისა წინაშე დილარ მძლეველისა, თაყვანი-ჰსცა და მოახსენა: „კელმწიფეო, ნურღარასა იყოვნით, ზეფირმან მოგახსენათ, აწ საყვარელი თქვენი იხილეთო“. დილარ კისკასად აღჰსდგა, საჭურველი აღიხადა და აღუვიდა, სადა იგი მისი პატიჟთა მიზეზი ჰბრძანდებოდა. დილარმან რა იხილნა თვისნი სატრფიალონი ლაწვნი უწყალოდ დახოკილნი და სუნნელებისა იგი მაფრქვევნი წინა მონი და ღულამბარნი მიშლით მოშლით შიფუტკვნილნი, ვითა ასპიტ ნაცემი ეგრე შეიქმნა და ჰსთქვა: „ჵი, უბედურო თავო ჩემო, რასა ჰხედავ სიცოცხლისა შენისა მომცემელისა ლაწუთა ზედა და ანუ რა სიმწარე მომვლენიაო“. მათ საყვარელთა თვალთაგან ცრემლთა ღვარნი გარდმოჰსდინდეს და გულით მისით აღმოოხვრილმან კუამლმან ჰაერი დააბნელა. ანავსია კელმწიფა ზე აღჰსდგა, წინა მოეგება, პირსა აკოცა და უბრძანა: „ლომო ჩემო, ნუ ჰსჭმუნავ ჩემისა ესრეთ ყოფისა თვის, უკეთუ შენ ჩემითა სურვილითა თავსა სიკვდილსა არა ჰრიდებ, ჩემგანცა შენ თვის ესე რა საკვირველი არსო“. მოჰკიდა კელი, აღვიდნენ ტახტსა ზედა და ერთგან დასხდენ. დილარ ნახოკთა მათ ზედა ბაგეთა თვისთა ატკბობდა და წყლულთა მათ საბრალოთ ენითა თვისითა მოამრთელებდა, სულისა შეწირვითა სიტყვათა დაუფენდა და გულსა თვისსა ემპლასტროდ ახმარებდა. ბრძოლასა შინა განდიდებული დილარ მძლეველი ეგე ვითარითა ქცევითა სატრფიალოსა თვისსა სიცოცხლესა შესწირვიდა, ეხვეოდა სურვილ განმრავლებული და ნელითა რითამე შეხებითა კრძალვით ჰკოცნიდა. ანავსია კელმწიფა არა ყე უნაცვალ გებო დაშთებოდა, მკლავსა თვისსა ყელსა ზედა მოხვევდა, მკერდსა შეიკონებდა და ეტყოდა: „დილარ, შენ-

მან მზემან, დღესითგან ბრძოლისა თალპიონსა ზედა შესასვე-
ლელად ვერღა გამოგიმეტებ და ვერცა შენსა სიშორესა მო-
ვითმენ, ამას ოდენ გთხოვ, რა მტერნი აქა მოვიდნენ, შენ
წიაღსა ჩემსა არა განეშორო და ძმანი შენნი შენ წილ იბრძო-
დენო“. დილარს ეგე ვითარითა ბრძანებითა სიცოცხლე ემა-
ტებოდა მით; რომე რაჟცა გულითა ენატრებოდა, იგი თვი-
სისა საწადელისაგან ესმოდა.

აქა ავქსონის მიერ შეგონება საზოგადოდ.

ეჰა მბრუნაო ეტლო, დაუდგრომელო საწუთოსა ცვლი-
ლებაო, ვითარ მრავალ არს პირისა შენისა სხვა-და-სხვად ფე-
რადობა! ძოლან ესე დილარ ერთისა მისისა ჭვრეტისა თვის
თასისა, წლისა სიცოცხლესა გაიღებდა და დღეს საყვარელი
თვისი წიაღით თვისით განუშორებლობსა მოქენობს. ვინა-
ტრი სიბრძნესა მას, რომელიცა ბრჭალსა შენსა უვნებელად
განერება და შენსა მომხიბლავსა სასმელსა ბაგეთა თვისთა გა-
ნაშორებსო.

დილარ, თვისისა სვისა მმადლობელი, განგებასა თაყვანი
ჰსცემდა და თვსსა საყვარელსა ბროლისა მკერდსა ჰკოცნიდა,
და წვლილთა მარგარიტთა ახლად და ლამაზად აკოკობებულ-
თა ბაგითა ამოსწოვდა და მათგამო სუნნელებითა აღივსებო-
და, მით სასტიკითა ბრძოლითა მაშვრალობა არღა ახსოვდა
და სულსა თვისსა მათ მიდამოთა შეჰსწირვიდა. მაშინ თვით
ვარდმან მისმან, რა თვისი ბულბული თვისითა ტრფიალებითა
ეგრეთ თვის ზედა სიყვარულითა გულ შეწირული იხილა,
შეჰბრალდა და უბრძანა: „შვენიერად და კმა ტკბილად მქმო-
ბარეო იადონო ჩემო, შენმან მზემან, მესაზაროების მოშორება
შენი, გარნა მაშვრალი ხარ, განისვენე და მათ ძლიერთა გმი-
რთა და მეფისა მათისა საქმე განაგეო“. დილარ მასვე ბრძა-
ნებასა თანა აღჰსდგა, კელსა აკოცა და მხიარულებითა აღვ-

სილი თვისსა კრასა შეჰბრძანდა. მაშინ შეჰკრბენ წინაშე დილარისა ყოველნი იგი კელმწიფე მეფენი და დიდებულნი და შეიქმნა პურობა, ყოველთა პურობათა უაღრესი, ვიდრე ცხრა ჟამამდე, და დაიწყეს მათ კადუზიანელთა ზედა ხუმრობაჲ და ლაღობაჲ. შემდგომად ლასურმან ჰკითხა, ვითა: „კელმწიფეო, ვითარითა სახელითა იყვნენ განდიდებულნი კადუზიანელნი ანუ მეფე მათი, ღირსნი სახელისა მჴომარნი ყოფილან ანუ არა? მიბრძანე, მზესა შენსაო.

აქა დილარ მძლეველისაგან მათ კადუზიანელთა მჴომრობისა ქებისა ბრძანება და მეფისა მათისა ფარსმანის ძლიერებისა განცხადება ყოველთა შორის.

დილარ მძლეველმან ცხადად, ყოველთა გასაგონოდ უბრძანა პეკინისა იმპერატორსა, ვითა: „საყვარელო ძმაო ჩემო ლასურ, სიყვარულმან მისმან, რომლისა თვისცა ესეოდენსა ჭირსა შინა ვარ, მე დღეთა შინა ჩემთა მრავალნი სახელოვანნი, ბრძოლანი მინახავან, გარნა ეგრეთ თანა სწორ მჴომარნი მკნენი და ძლიერნი მჴედრობანი არა სადა მიხილავს. ხოლო მეფე მათი ფარსმან ესე ვითარისა ძლიერებისა მქონებელი არს, რომე მისისა ძლიერებისა გამოთქმა შეუძლებელ არს და კნინღა ოდენ რომე მძლეველობისა სახელი მან მიიღო. გარნა განგებითა რითამე მოჰხდა ძლევა მისი ჩემგან. მისსა ბრძოლასა შინა გამძლეებსა დიდი ქება ჰშვენის და ესე უმეტესად საქებელ და სადიდებელ მისსა, რომელ ეგე ვითარისა ძალისა მქონესა, ახალ მოყმეობა და უშვენიერესობა აქვს ზრდილობითა დაგვირგვინებული. ნეტარ, თუმცა იგი მას საძაგელსა ჰსჯულსა დაუტევებდეს, რომე სწორად თავისა ჩემისა პატივი ვჰსცე, ძმად ჩემდა საყვარელად შევჰქმნა, მივსცე შვენიერთა მნათობთაგანი ცოლად და ესრეთ სიყვარულით ვჰსცხოვრებდეთო. რა ლასურმან და მათ მეფეთა და დიდე-

ზულთა დილარისაგან ეგე ვითარი ქება გაიგონეს, ყოველთავე განადიდეს მეფე იგი ფარსმან და დიდად შეიყვარეს, ჰსთხოვდეს განგებასა ეგე ვითარისა ჭაბუკისა მის ბილწისა ჰსჯულისაგან მოქცევასა.

აქა კადუზიანთა ძლიერისა მის მეფისა ფარსმანისა და ჰსჯულის მეცნავთა მისთა პაექრობა და ძლევა მათი ფარსმანისაგან.

მეფემან ძლიერმან კადუზიანელთამან ფარსმან შეიკრიბნა ყოველნი ჰსჯულის მეცნავნი და მეცნიერნი თვისნი და შეჰქმნეს გამოძიება გამოკვლევით სჯულსა თვისსა ზედა, და ვითარ ორი დღე იყვნენ დიდსა პაექრობასა შინა და მესამესა დღესა ჰსძლია მათ მეფემან მათმან ფარსმან, რომელნი იყვნეს ვითარ ხუთ ათას ოდენ, ჰრქვეს და აღიარეს ყოველთა შორის, ვითარმედ: „ვჰსცრუვით და ამაო არს ჰსჯული ჩვენი, გარნა გვაქვნდა მრავალი სარეწავი და სარგებლობა და ამისთვის ვაცთუნებდით თვით დიდებულსა მეფობასა შენსა და ერსაცა შენსაო“. ფარსმან მეფე განჰრისხდა მოხსენებასა მათსა ზედა და ყოველნი ყმანი მისნი მისთანა, შეიპყრნეს ყოველნი იგი მაცთუნებელნი თვისნი და ცეცხლითა დასწვეს და კერპნიცა იგი მათნი შეურაცხ-ჰყვეს, დამუსრნეს და დასწვეს ცეცხლსა შინა. მაშინ აღჰსდგა მეფე ფარსმან და ყოველი იგი სიმრავლე ყმათა მისთა, შეჰქმნეს მხიარულება და ლალადება დიდი, შეურაცხჰყოფდეს პირველსა ჰსჯულსა თვისსა და თაყვანი-ჰსცემდენ ღმერთსა ცისასა და თვისი იგი პირველი ჩვეულება მოსაგონებლადცა საზიზღელად შეექმნათ, აქებდეს დილარს, რომელმანცა გამოიხსნა ეგე ოდენი სიმრავლე ერთა ეშმაკთა მონებისაგან, ვითარ ოთხი ჟამი აქვნდათ მხიარულებაჲ და ჰკმობდეს მაღლითა კმითა დიდებასა ღვთისასა, და თაყვანის-ცემდენ ღმერთსა მხოლოსა დამჰსველსა ცისა და ქვეყანისასა. ოდეს დიდსა მას დილარ მძლეველსა მოხსენდა მოქცევა მათი, უზომოსა რასმე მხიარულებასა შევიდა.

აქა მართალსა სჯულსა ზედა მოქცევა დიდისა და ძლიერისა მის კადუზიანთა მეფისა ფარსმანისა ყოვლითა მით უჰამრავითა ერითა თჳსითა და მოსვლა წინაშე დილარისა და მადლობისა მოხსენება და დილარისა განმხიარულება და პურობისა დიდისა გარდახდა დიდსა მას მოედანსა მზისა ქალაქისასა.

მოედანსა ჰბრძანა დილარმან დადგმა მრავალთა სამეფოთა ტახტთა და უჰამრავთა სელთა და გამართვა პურობისა დიდისა. ერთი ტახტი დაადგმევინა საშუალ და მას გვერდით, მარჯვენით, ლასურისა თვის, მას თანა ნუშრევანისა თვის და მას თანავე გოჰარისათვის; მარცხენით თვისსა ახლოს დაადგმევინა ტახტი ძვირფასი ფარსმანისა თვის და მას თანა ტახტი ხაყანისა თჳს, და მას თანა მეფისა მარსისა თვის, და მასთანავე ოთხნი ტახტნი ლასურისა ოთხთა მეფეთა თვის; კვლა გოჰარისა ტახტსა თანა საურმაგ მეფისა თვის და მასვე თანა ზორასტანისა თვის, და მას თანა სელთა ზედა ათასნი მოყმენი თვისნი. ოთხნი სპასალარ ყოფილნი, ლარა და თვით მე მორე და მუჯარამ და აგრევე უთვალავნი სულნი მარჯულ და მარცხულ დიდებულთა თვის და ყოველთა ერთა თვის. დაჰსჯდა დილარ და გვერდით თვისსა, მარჯვენით, მოისვა ლასურ, და დასხდეს ყოველნივე განწესებისაებრ. მაშინ მოვიდა მეფე იგი კადუზიანთა ფარსმან ყოვლითა ერითა თვისითა, თაყვანი-ჰსცა დილარ მძლეველსა, და მოახსენეს მრავალი მადლობა მართლისა ჰსჯულისა ცნობისა თვის. წარჰსდგა წინაშე დილარისა მეფე ფარსმან და მოახსენა: „კელმწიფეო! ვეძიებდი მე კაცსა უძლიერესსა ჩემსა და მართალმან ღმერთმან შემახვედრა სურვილსა ჩემსა და ვიცანცა ჭეშმარიტი ღმერთი. აწ კელმწიფეო, ვითარ იგი თქვენგან მცნებული ღმერთი არა დაუტევო, ეგრეთვე სიყვარული თქვენი არლა განვაშორო გულსა ჩემსა და დავამონო ტახტსა თქვენსა თავი ჩემი და ერიცა ჩემიო“. მაშინ ალჰსდგა დილარ, ტახტით ქვე ჩამოვი-

და, მივიდა, ფარსმანს გარდაეხვია, პირსა აკოცა და ჰრქვა:
„დიდო მეფეო და ძლიერო ფარსმან! ამიერითგან ძმა ხარ ჩე-
მი და სწორად თავისა საყვარელიო“. კვლა აკოცა, მიიყვანა
და თჳსსა ტახტსა ზედა დასვა მარცხენით თვისსა და მისნიცა
დიდებულნი გმირნი და ყოველნი ერნი დასხნა თვის თვისთა
წესითა სელთა ზედა. მერმე დასჯდა თვით დილარცა და მო-
იღეს პური. თავმან თქვენმან, ერთსა შვიდეულსა ესრეთი პუ-
რობა და მხიარულება იყო, რომე ეგეთი პურობა დილარს
მას ქვეყანასა შინა არა გარდაეხადა. საურმაგ სახლისა უხუ-
ცესი და მეფე სეზოსტრ კელმწიფისა წესსა მრავალსაცა უმა-
ტებდა და მრავალთა თვალთა თლილთა, ჭურჭელთა წარაგებ-
და. მას პურობასა ზედა ყოველთა მეინაკეთა სახლთა შინა
მიიღეს ათას ოთხასი ჭურჭელი ძვირფასთა თვალთა, თვინიერ
ოქროსა და ვეცხლისა დიდ დიდთა სინთა, ლანკანთა, ფეშხვენ-
თა და ხუფთა მათთა, ჰკვრობდენ კადუზიანელნი დილარისა
ეგე ვითარსა დიდებასა, სიუხვესა და თვალთა თლილთა სიმ-
რავლესა, აქებდეს კელმწიფებასა მისსა და ჰლოცვდენ სვანო-
ბასა თჳსსა, რომელ ღირს იქმნნეს ეგე ვითარისა კელმწიფისა
ხილვასა და თაყვანის-ცემასა. რა დაშვრნენ ყოველნივე მეტ-
თა მხიარულებითა და პურობითა, ჰბრძანეს დაშლაჲ პურო-
ბისა. დილარმან იგი ფარსმან მეფე დააყენა ერთსა გოდოლსა
შინა ორი ათასითა გმირითა თვისითა და სხვათა სპათა მისთა
ჰბრძანა მას მეორესა ქალაქსა შინა დასადგურება და ესრეთ
წარვიდნენ ყოველნივე განსასვენოდ. მეორესა დღესა რა დრო-
სა თვისსა შეჰკრბენ ყოველნი კელმწიფე მეფენი და დიდებუ-
ლნი წინაშე დილარისა, იწყეს მხიარულობა და ლაღობაჲ,
ნუშრევანმან შეხედა სახლისა უხუცესსა საურმაგს და ჰრქვა:
„ძმაო მეფეო! რასა დაგიღრეჯია, ნუ თუ საკლავნი შემოგ-
კლებიან და ამას ჰზრუნვიდე კადუზიანთა არა დაგჰსჭამონო?
მაგის თვის ნუ მჭმუნვარეობ და ნუცა იშიშვი, ეგე წესი მათ
შორის არლა არსო“. მეფემან ფარსმან დიდად იწყინა ნუშ-
რევანისაგან თქმული იგი და მოახსენა დილარს: „ჰე, კელ-

მწიფეთ ცოდვილსა მონანულსა მოქცეულსა ზედა. თვით ღმერთი მაღალი მოხარულ იქმნების, ულხენს მონანულსა, მიანიჭებს წყალობასა და არა აყვედრის. ჩვენ თვით ვჰსწუხვართ წარსულთა მოქმედებათა ჩვენთა თვის, და საძულველ არს მოგონებაცა მისი ჩვენგან და ესე რაჲ არს ყვედრებაჲ ესე ვითარიო". დილარსაცა ეწყინა მის უსწოროსა ჭაბუკისა დამძიმება, კელი გარდაჰსდვა, აკოცა და ჰრქვა: „ძმაო ჩემო, იცის ღმერთმან, ხარ უებრო და ძლიერი ჭაბუკი და მიყვარხარ ვითარცა თავი ჩემი და ამასცა გაუწყებ, რომე ძმა ესე ჩვენი ნუშრევან, მეფე მყინვართა, გალიისა და ზღვათა ქვეყანისა; არს მლაღობელი კაცი და ჩვენისა შექცევისა თვის ჰხუმრობს და ამის თვის ნუ დამიმძიმდებიო". ნუშრევანმანცა შეიკდიმა, აღჰსდგა, მივიდა, ბოდიში მოითხოვა და ერთმანერთს პირს აკოცეს. შემდგომად უბრძანა დილარმან საურმაგს მას უშვენიერესსა გოდლისა წალკოტსა პურისა შემზადებაჲ, რომელმანცა მსწრაფლად აღასრულა; შევედით და შეიქმნა პურობა და სამსა დღესა არღა მოეშალენ პურობასა. დილარმან აღავსნა ყოველნივე მრავლითა ძვირფასთა ნივთთა და ოქროქსოვილთა და სამოსელთა ბოძებითა, განამრავლა გაცემა გაცემასა ზედა, და უმეტეს კადუზიანელთა ეგ ზომი მიანიჭა, რომე თვითვე იტყოდეს: „რიცხვი არა ვიცით დილარისაგან ბოძებულთა უსასყიდლოთა ნივთთაჲო". იხარებდენ ყოველნივე და შეჰსტროფოდენ დილარს, ვითა ბულბულნი ვარდსა და იტყოდენ: „ვაჲ კაცისა მის, რომელიცა დილარისა ხლებასა და ჭვრეტასა მოაკლდებისო". იყვნენ ორმეოცი დღე პურობასა და მხიარულებასა შინა. დილარისა გული, ვითა ცაჲ, ჰსთოვდა ნივთთა ძვირფასთა სიმრავლესა, იყვნენ მრავალთა დღეთა შვებითა და განატარებდენ დროთა მხიარებითა. დღესა ერთსა ფარსმან მეფემან იხილა თჳსისა გოდლითა ლანძვთა ზედა მნათობი ვინმე, რომლისა შარავანდედისა ისარნი განეყარა გულსა და წამითი წამად სიკვდილსა დაუახლოებდა სურვილი მისი. თურე რომელსაცა გოდოლსა იდგა ფარსმან, მის გოდ-

ლისა ათასთა მნათობთა მთავრინა სპასალარისა ასული ორიონ იყო და მისსა სიყვარულსა შეეპყრა იგი სალ გული და ძლიერი ჭაბუკი და მისითა ცეცხლითა იწვოდა, გარნა სირცვილითა ვერა გამოეცხადებინა და ჰმსგავსადვე სკვითთა მეფისა გული მიეზიდა მნათობსა ვისმე მარიხს და ორნივე იგი მეფენი სახმილისა ჰმსგავსად ენთებოდეს და ვერა ვის უცხადებდეს.

აქა დილარ მძლეველისა და მათ ყოველთა კელმწიფე მეფეთა და დიდებულთა და სპათა მათთა მზისა ქალაქისა სანადიროსა წარსვლა და ნადირობით შექცევა მათ ურიცხვთა რაზმთა, განმხიარულება უცხოსა მის სანადიროსა ხილვისათვის ყოველთაგან.

დღესა ერთსა ჰბრძანა დილარმან მის მზისა ქალაქისა საკუთარსა სანადიროსა წარბძანებაჲ. და უბრძანა სახლისა უხუცესსა განმზადება ყოვლითა დიდებულითა წეს წყობილებითა, და გალანამცა საურმაგ განემზადა, ვითარცა ჰშვენოდა მათ კელმწიფეთა მეფეთა და ურიცხვთა რაზმთა მათთა. მიაზიდვინა მრავალი პური და ღვინო და საკლავთა სიმრავლე; ვითა ქვიშა, ზღვისა მის სანადიროსა კიდესა ზედა დაჰსცეს კარავნი და სარაფარდანი უთვალავნი ვითა ვარსკვლავნი. და ოდეს ყოველივე განმზადეს, მაშინ განემზადნეს მუნებურნი და გარეგანნი მოხარულნი მათ კელმწიფეთა და მეფეთა ნადირობისა ხილვისა თჳს. და ეგეოდენი სიმრავლე შეკრბა, რომე, თუ ვჰსთქვა, ქვეყანა ირთოდა სიმრავლითა და სიმძიმითა მათითა. ვლეს და მივიდენ მას ტურფასა სანადიროსა. იგი ღამე განისვენეს ლხინითა და შექცევითა და მეორესა დილასა ადრე მიჰყვეს კელი ნადირობასა და იწყეს კოცად მკეცთა ნადირთა და მფრინველთა ურიცხვთა. დაჰკიოდენ და უსწრობდენ წინარე ერთი ერთსა. ჰღურიდენ უწყალოდ სისხლსა ნადირთასა ესრეთ, რომე ჰგვანდა ცით ჰსწვიმდა სისხლი მათი. იყვნენ სიხარულითა აღვსილნი ნადირობასა შინა. დი-

ლარ და ფარსმან ერთგან ჰხოცდენ და ესროდენ და არა შეეტყობოდა, თუ რომელი უმჯობესობდა. გარნა ყოველთავე სხვათა ფარსმან ჰსჯობდა. თუმცა გარეგანთა ქვეყანათაგან მუნ შესრულნი ათ ექვსმეტთა კელმწიფეთა და მეფეთა ყმანი ჰრჩეულნი იყვნეს. გარნა მის ქვეყანისანიცა ერნი ესრეთნი მონადირენი იყვნეს, რომე მათსა ტურფად ნადირობასა ზედა მრავალთა ეჭირათ თვალნი და უკეთესობა არღა ეგებოდა. სალამოდმდე არა დარჩა არცა ერთი მცირედთა მოლაშქრეთაგანი, რომელმან ათი ეგრეცა არა მოჰკლა მკეცი და ნადირი. და მწუხრისა ჟამსა აძახნეს მრავლად საყვირნი. მოჰშალეს ნადირობაჲ და შეჰქმნეს პურობა დიდი. ჰსმიდენ მათ უკეთილესთა ღვინოთა, ლაღობდეს, იცინოდეს და უკვრდათ მის სანადიროჲსა კეთილობაჲ, სიდიდჱ მკეცთ და ნადირთა სიმრავლჱ. დაჰყვეს ერთსა თვესა მოუკლებელსა ნადირობასა შინა, და ჰხოცდენ მრავალთა და ურიცხვთა. გარნა ესრეთი სიმრავლჱ იყო ნადირთა, რომე ამას ჰგვანდა, ერთიცა არა მოჰკლებოდა. აქებდეს ყოველნივე და იტყოდეს: არა არს ცასა ქვეშე არცა ქვეყანა და არცა სანადირო ჰმსგავსი ამისიო. კვლა დაჰყვეს მრავალნი დღენი შვებითა და მხიარულებათა ნადირობასა შინა, და შემდგომად დაჰბრუნდნენ თვისთა საწადელთა ადგილთა მისასვლელად.

აქა გზასა ზედა ფარსმანისა და ხაყანისაგან წინაშე დილარისა მოციქულად მიგზავნა მარსი სპასალარისა თვისთა, ტრივიალებათა გამოცხადება და თხოვნა საცოლოდ მათ შვენიერთა მნათობთა ორიონისა და მარიხისა და დილარ მძლევლისაგან მოხარულითა გულითა აღთქმა და ბოძება.

გზასა ზედა ორთა მათ მეფეთა მიმავალთა ჰნახეს მარსი სპასალარი და გამოუცხადეს ჭირნი თჳსნი და ჰსთხოვეს მისვლა წინაშე დილარისა და მოხსენება ვედრებით, რათა

მოწყალებით ებოძებინა მნათობი ორიონ ფარსმანისა თვის და მნათობი მარიხ ხაყანისა თვის, რომელნიცა იწოდნენ სიყვარულისა მათისა ცეცხლითა. მარსი მსმენელი მათგან სურვილისა, მოხარულ იქმნა, სიტყვითა ნუგეშ ჰსცა და მოახსენა: „დიდნო მეფენო, ნუ ჰჭმუნავთ, ვიცი რომე კელმწიფე ჩვენი არა დაუტევებს გულთა თქვენთა განუმხიარულებლად, და ესრეთ მეცა მოვახსენო ვედრება თქვენი და ვჰსცნა, რა იქმნების ნება მისიო. მარსი მივიდა და მიმავალსა გზასა ზედა მოახსენა პატრონსა თვისსა მწუხარებაჲ მათ მეფეთა. რა დილარმან ჰსცნა, უბრძანა: თავმან ჩემმან, მეცა გულსა მედვა მათი ეგე ვითარი საქმე, რომელთაცა მნათობთა სიყვარული გულსა დაედებოდათ; და ვინაჲთგან თვითვე შეჰსდებიათ სიყვარულისა მათისა ცეცხლი, დია ღმერთო, მოვახსენო მზესა ჩემსა და აღვასრულო სურვილი მათიო. სპასალარმან იგი დილარისა ბრძანება მათ გამოუცხადა, რომელნიცა უზომოსა მხიარულებასა მიეცნენ. მოვიდნენ, დილარს კელსა აკოცეს და ეგე ვითარისა მოწყალებისა თვის დიადი მადლობა მოახსენეს. მანცა პირთა აკოცა და ესრეთ მოხარულნი ვიდოდეს გზასა ზედა. ვლეს მრავალი და მოვიდეს თვსსა საწადელსა ქალაქსა, გარდახდენ თვს თვსთა სავანეთა და განისვენეს მაშვრალობისაგან.

აქა მზისა ქალაქის კელმწიფა ანავსისა მიერ მოწოდება დილარ მძლეველისა და ბრძანება ლასურისა და გოჭარისა ქორწინებისა და დილარისაგან ვედრება ფარსმანისა და ხაყანის ქორწინებისა თვის და სხვათა ყოველთა თვის, და ანავსისა მიერ ნებისა დართვა დილარისა თხოვასა ზედა.

მოვიდა მონა ზეფირისა და მოახსენა დილარს, ვითა: კელმწიფეო საყვარელო თქვენი გიწვევს და მობრძანდიო. დილარ მალიად აღჰსდგა და აღვიდა, სადა სიცოცხლისა მისისა

ჭვრიტი დღეთა მისთა მომატებასა ღრუტუნებდა. მივიდა ტახტისა წინა, აკოცა და ეგრეთ კრძალვით ჰსდგა; თჳსმან სატრფიალომან შემოჰსცინა და უბრძანა: ჵე მზისა ქალაქისა და აბაშთა მფლობელო, რად ნადირებულთა თქვენთაგან ჩემ თვისცა არა მოგიღია რა; ამის თვის ვჰსწყრები და არა ღირს გყოფ ჩემ თანა ჯდომასაო. დილარს მისისა მიჯნურობითა ჰქონდა გული გატეხილი და მართლად ჰგონა ბრძანებული იგი, თვალთა ცრემლნი გარდმოჰსდინდეს და მოახსენა: მთოვარეო, ეგზომცა მივი, რა ზომნი შვენიერნი და უცხოდ მამობნი და მსტჳნავნი მფრინველნი თქვენ თჳს განმზადებულნი მესხნეს, სხვათა ფრთოვანთა და ტურფათა ნადირთა გარდა. გარნა სვე ჩემი ესრეთ მემტერების, რომე ვერა ვიკადნიერე მორთმევად, ესე ჭირი თავსა მით მომადგა, თვარა აწ მოგერთმევის უტურფესნი ფრთოვანნი და ნადირნი, ვითარ ას ოცი ათასი. და ნუ მომკლავთ რისხვთა თქვენითაო. მაშინ აღჰსდგა დილარისა შვება, მით უებროჲთა ჰრხევითა მოვიდა, თვალთა აკოცა და უბრძანა: ლომო ჩემო, რასა გულ ჩვილობ, სულსა ჩემსა ვითა შეგრისხავო, მოჰკიდა ჴელი აღიყვანა და ერთგან დასხდეს. უბრძანა დილარს: „ჴელმწიფეო! ესდენთა დროთა მოშორებულმან განიმხიარულენ ბაგენი შენნი, ვარდნი ჩემნი შენთვის იეფობენო. დილარ, მისგან ბრძანება მიღებულმან, მიჰყო ჴელი და, ვითა გული თვისი აწვევდა, ეგრეთ ჩაიტკბო ბაგენი თჳსნი უთვალავად მისითა შეხებითა, და განიმტკიცა გული მისითა ეგე ვითარითა მოწყალებითა. შემდგომად უბრძანა, ვითა: ჴელმწიფეო! აწ ჟამი არს, რათა ლასურისა და გოჰარის ქორწილი გარდავიხადოთო. დილარ უზომოდ მოხარულ იქმნა და მოახსენა: დიდებაო ჩემო, ეგე სასიხარულოდ ჩემდა ჰბრძანეთ. გარნა სხვაცა არს ვედრება ჩემი, და გთხოვთ ინებოთ თხოვისა ჩემისა აღსრულებაო. მაშინ უბრძანა მზემან მან, ვითა: ჵე ვიცი მარსისა და ლარასა თვის გექმნება თხოვაჲ და ათასთა მოყმეთა შენთა თვის, და მათიცა მათ თანავე აღსრულდესო. დილარმან მის მოწყალებისა

თვის კელსა აკოცა და კვლა მოახსენა: ნათელო ჩემო! ესე არს ვედრება ჩემი, რათა მნათობი იგი ორიონ უბოძოთ მას შვენიერსა ახალ მოყმესა და ჭაბუკობითა შეუსწორებელსა დიდსა მეფესა ფარსმანს, რომლისა თვის ვფუცავ სიყვარულსა თქვენსა, რომე ესრეთისა ძლიერებისა მქონებელი არს, რომე ჩემსა მეორედ ითქმის ქვეყანასა ზედა, გარდა ამისსა შვენიერება და ზრდილობა უკეთესი არღა იქმნების, რომელიცა მას აქვს, და მეორე მნათობი მარიხ ებოძოს მეფესა ხაყანს, რომელიცა არს ნამსახური თქვენისა ტახტისა, და ესრეთ ყოველთა ქორწილი ერთად გარდავიხადოთო. ანავსია კელმწიფამან მათ ზედაცა ნება ჰსცა, გარნა ღიმილით უბრძანა: საყვარელო ჩემო, ნუთუ ოდესმე მოშივდეს და უზადო იგა მნათობი შეჰსჭამოს, რაღა ვჰყოო. დილარმან მათ საწადელთა ბაგეთა ტკბილად დაჰკოცნა და მოახსენა: „ხელმწიფაო! მაგა წესისა მოგონება თვით მათცა სიკვდილად მიაჩნიათ და არა არსღა საფიქრებელიო. მერმე კვლა უბრძანა თავისმან საყვარელმან დილარს, ვითა: ლოძო ჩემო, აღსდეგ, იგი ყოველნი განმზადენ და განამხიარულენ, სხვად ნურად დამძიმდებიან. ყოველივე წესი ქორწინებისა მიბრძანებია და განმიგია, უბრძანე საურმაგს მოსვლად ჩემდა, რათა განაწყოს მეინახეთა ტახტნი და სელნიო. ესერა უბრძანა, გამოვიდა დილარ დიდითა მხიარულებითა. მობრძანდა თვისსა სრასა და დასხდეს ყოველნივე თვის თვისთა წესითა; უბრძანა საურმაგს დილარმან, ვითა: მივედ კელმწიფასა ჩემსა თანა და რაჲცა გიბრძანოს, ყოველივე სწრაფად აღასრულეო. მერმე აღსდგა და უბრძანა ლასურს, ფარსმანს, გოჰარს, ხაყანს, მარსის, ათასთა დიდებულთა ძეთა მოყმეთა თვისთა და ლარას, ვითა: ძმანო ჩემნო განიმხიარულეთ გულნი თქვენნი. აჰა მოიწია ჟამი ქორწინებისა თქვენისაო. მათ რა კმა იგი ესმათ, მოვიდნენ ყოველნივე, დაჰსცვივდნენ წინაშე დილარისა, ჰკოცნიდენ კელთა და ფეხთა და მადლობისა მოხსენებასა განამრავლებდეს. გარნა თვით დილარსაცა უმეტეს მათსა უხაროდა მით, რომე

ნუთუ მასცა ღირსებოდა სატრფიალოსა თვისსა ვარდსა ზედა დამღერა და ტკბილად დაჭიკჭიკება. მით ეგე ვითარითა მხიარულებითა განატარეს რამდენიმე ჟამი, და ზედა მოვიდა საურმაგ და მოახსენა დილარს, ვითა: კელმწიფეო! განმზადებულ არს ყოველი წესი ქორწინებისა, და ამასა ღამესა არს ბრძანება, რათა მზად იყვნენ ყოველნივე ბედნიერებისა თჳს თჳსისაო. მაშინ მოუწოდა დილარმან სპასალარსა თვისსა და უბრძანა ათას ექვსასისა სამეფოსა შესამოსლისა მოღება, და გვირგვინთაცა უმჯობესთა ყოველთასა. მარსიმ ბრძანებული მალიად აღასრულა, დილარმან ყოველნივე დაჰმოსნა და გვირგვინნი თვისითავე კელითა დაადგნა, და ელოდნენ მოხარულნი ჟამისა მოწევნასა. ოდეს დრო მოიწია, მიუწოდა დილარს საყვარელმან თჳსმან და უბრძანა: „ლომო ჩემო, ესე ჟამი არს თჳთ მხიარულებისაცა შენისა და მიიღო ჩემისა უკვდავებისაგან განახლება ცხოვრებისა შენისა, და მიეცე შვებასა სამიმდემოსაო. ჰბრძანე მოწვევა მას ედემისა ჰმსგავსად განშვენებულსა სრასა გოდლისასა ყოველთა მათ მეფეთა და დიდებულთა. დაედგნეს ათს ექვსნი ტახტნი განსაკვრვებელითა კელოვნებითა ქმნილნი, რომელსა ზედა იყვნეს ყოვლისა ქვეყანისა სხვა და სხვა გვართა საკრავთა სამუსიკოთა, ორღანოთა, ქნართა, წინწილთა, ებანთა, სამვიკთა და საყვირთა სახენი გამოქანდაკებულნი, და მათთა გავალავთა ზედა ჰსდგეს ოთხთავე კიდეთა ზედა ზემორე, საშუალ მათსა დაედგათ ტახტი სრულისა ადამასისა დილარისა თვის, და მარჯვენით მისსა ხუთ ას სამნი და მარცხენით ეგრეთვე ხუთ ას სამნი. კვლა მარცხენით ურიცხვნი სელნი ძვირ ფასთა სპეკალთანი, და პირის პირ მათსა ათ ერთმეტნი ათასნი სელნი მათ უბრყვილოთა მნათობთა თვის. ოდეს შემოჰკრბენ კემწიფენი მეფენი და დიდებულნი ბრძანებისაებრ, ქალნიცა მნათობნი მზა იყვნეს.

აქა უშვენიერესისა მის მზისა ქალაქისა გეგელასა გოდოლსა შინა ქორწილი დიდისა მის ჰეკინისა კელმწიფისა ლასურისა, კადუზიანელთა უძლიერესისა და დიდისა მეფისა ფარსმანისა, სკჳთთა მეფისა ხაყანისა, ჰოლანთა მეფისა გოჭარისა, სპასალარისა და მეფისა მარსისა, ათასთა-აბაშელთა დიდებულთა ძეთა და ლარა სპასალარისა.

Aნავსია კელმწიფასა ერთითა კელითა ეპყრა იაგუნდისა ლანკნითა შაქარი და ერთითა კელითა თვისი იგი მიჯნური დილარ. ორნივე ერთად მიბრძანდნენ. ანავსია კელმწიფამან დედოფალსა კასიას მოჰკიდა კელი და დილარმან ლასურს, შაქრითა ბაგენი დაუტკბეს, დაჰლოცეს, ტახტსა ზედა დასხეს, კელი ჩაუთვალეს, აკურთხეს წელმრავლობითა და ერთი ერთსა შეავედრეს. შემდგომად მიბრძანდენ მეფესა ფარსმანსა თანა და დედოფალს ორიონსა თანა, მოჰკიდეს კელი, პირთა აკოცეს, შაქრითა ბაგენი დაუტკბეს, ტახტსა ზედა დასხეს, დაჰლოცეს და ერთი ერთსა შეავედრეს. შემდგომად გოჰარსა და დედოფალსა რიზარინსა თანა და მათ ზედაცა ეგრეთვე აღასრულეს. მერმე ხაყან მეფესა და დედოფალს მარიხსა თანა და მათ ზედაცა აგრეთვე. მერმე მარსის და დედოფალსა ზეფირსა თანა, და მათ ზედაცა ეგრეთვე. მერმე ათასთა მოყმეთა და დედოფალთა მათთა, და მერმე ლარასა და დედოფალსა სოსანას და მათ ზედაცა ეგრეთვე აღასრულეს. შემდგომად მოიღეს ძვირ ფასნი თვალნი თლილნი, მიულოცეს, ზე გარდააყარეს და პირთა აკოცეს. შემდგომად გამობრუნდენ, თვითცა აღვიდნენ ტახტსა ზედა, დასხდენ, მერმე მოჰსდგნენ იგა უბრყვილონი მნათობნი მით უსაწადელესითა ჰრხევითა, მიულოცეს და გარდააყარეს ყოველთავე უსასყიდლონი სპეკალნი. რა მათ მნათობთა მილოცვა სრულ იქმნა, შემდგომად მოვიდა სიმრავლე იგი დიდებულთა, მიულოცვიდიან მოხარულნი და აყრიდენ თვალთა თლილთა. ოდეს მილოცვა შესრულდა, მათ ტახტთა ზედა გამოქანდაკე-

ბულთა საკრავთა სახეთა უცეს და ესრეთი ყურთა დამატკბო-
ბელი კმა შეიქმნა, რომე კაცი უამესსა ველარას ისმენდა. შე-
იქმნა პურობა და განამრავლეს უცხოთა სანუკვართა მოღებაჲ.
ესრეთი გასხვაებული პურობა გამართეს, რომე მას ქვეყანასა
არა ვის გვეხილვა ეგ ზომ დიდებული პურობა. იყო მათ სა-
კრავთაგან კმა ტკბილი, მსმენელთა საამო და იგა თვალთა
თვის სახილველად საწადნი მნათობნი განსაოცებელითა რით-
თმე უსულიანითა ჰრხევითა შუშპარ როკვიდეს. ყოველნივე
ვჰსჭვრეტდით განკვრვებულნი და ვჰკმობდით გულებთა შე-
წირვითა შაბაშ შაბაშობასა, ჰყოფდენ სხვათა და სხვათა თა-
მაშობათა და მხილველთა გულთა მიიზიდვიდენ. კვლა იწყეს
თამაშობათა შინა ძველად ყოფილთა საქმეთა წარმოდგინებაჲ,
რომელთა ზედა მხილველთა ზოგჯერ მხიარულებით მრავალთა
გვაცინებდეს და ზოგთა ზედა მწუხარებით გულ ამოსკვნით
გვატირებდეს, ზოგთა წარმოდგენათა ზედა ესრეთ აღვძვრი-
დენ, რომე არა ვიცოდით, რა გვექმნა, რაჲსაცა მუნ იგა მთი-
ებნი ჰსთამაშობდენ და მოქმედებდენ, არა იყო კორციელებ-
რივ მოძრაობა და იჰვსაცა ვიყვენით მათსა კაცობრივსა სხეუ-
ლევანებასა ზედა. დიდი იგი კელმწიფე დილარ თუმცა გო-
ნებითა ბრძენი და მეცნიერებითა სრული იყო, გარნა მათ
მნათობთა განსადიდებელთა და სამაგალითოთა მოძრაობათა
ზედა, არავე დაჰშთებოდა განუკვრვებელი და სხვანი კელმწი-
ფე მეფენი და დიდებულნი ფუცვდენ, უსხეულონი რაჲმე ნა-
თელნი არიანო. სრული იგი ღამე ეგრეთ მოუკლებელად წა-
რმოჰსდგებოდენ სხვა და სხვანი მნათობნი და სხვასა და სხვა-
სა რასმე განსაკრთომელსა მოაჩვენებდენ თვალთა ჩვენთა და
ვიყვენით დასტერებულნი ჰვრეტითა მათითა. ნუშრევან და
მეკობრეთა მეფე ერთსა ტახტსა ზედა ჰსხდეს და იგინი-
ცა განკვრვებულნი არა იცოდნენ, რასა მდგომარეობასა შინა
იყვნენ. რა ანავსია კელმწიფემან იხილნა მათ კელმწიფეთა
მეფეთა და დიდებულთა განკვრვებასა მიცემაჲ, ჰბრძანა თვი-
თოთა საწოლთა ჩამორიგება და რა ბრძანებული სრულ იქმნა,

დასრულდა პურობაცა და წარვიდნენ ყოველნივე თჳს თჳსთა
სავანეთა და იგი მეფენი და დედოფალნიცა დაჰსტკბნენ თჳს-
თა საყვარელთა თანა სურვილთა მიმთხვევითა. იყო ორმეოც-
თა დღეთა განდიდებული სიხარული და იგი დიდებული ქა-
ლაქი, ვითა მზე, ეგრეთ ჰბრწყინვიდა ღამე და დღე ლამპარ-
თა სიმრავლითა ბანთა, შუკათა და ლანძვთა ზედა, მკვიდრნი
მას შინა იხარებდენ მხიარულებითა დიდითა. აქებდენ სიძე
სძალთა და იტყოდიან მესტიხენი ხოტბასა მათსა; ჰლოცვ-
დიან დილარისა კელმწიფებასა და ჰხატრიდიან თავთა თჳსთა.
რა განდიდებულისა მათისა ქორწინებისა დღენი შესრულდეს
და დაშვრნენ ყოველნივე ეგრეთ მოუკლებელითა განცხრო-
მითა, მაშინ ინებეს მზითევთაცა მათთა განგებაჲ და განწესებაჲ.

აქა მათ ყოველთა სიძე სძალთა თჳის თჳსად მზითევთა ბოძება მზი-
სა ქალაქისა კელმწიფა ანავსიას მიერ ყოველთავე თანა ჰსწორად, ვი-
თაცა ზრდილ იყვნენ თანა სწორ საკელმწიფოსა პალატსა შინა დიდე-
ბულთა ასულნი [illegible] უშვენიერესნი მნათობნი.

ა. ოდეს ქორწილისა იგი დღენი სრულ-იქმნეს, მოიღეს
ნუსხა მზითვისა წინაშე პეკინისა კელმწიფისა ლასურისა და დე-
დოფლისა კასიასა ,რომელსა შინა ეწერა ესრეთ: „საყვარელსა
დასა ჩვენსა კასიას დედოფალსა მიუბოძეთ მზითვად სამ ათი ათა-
სნი მონანი და ეგზომნივე მკევალნი და მის გოდლისა საჭურჭლი-
სა ოთხი ათასთა გასაღებნი, რომელსა შინა იყვნეს დაუნჯე-
ბულ ასი ათასი ტჳრთი აქლემისა ათ ორმეტნი გვარნი სპე-
კალნი ფას დაუდებელნი, თჳნიერ ალრაალებთა, ოქროთა და
ვეცხლთა და კაცთა და ქალთა ურიცხვთა შესამოსელთა ძვრ
ფასთა და ტახტთა და სელთა მრავალთა. ლასურ და კასია
ტახტით ქვე გარდმოხდენ და მიწამდე თაყვანის-ცემით მადლო-
ბა მოახსენეს.

ბ. კვლა მივიდნენ წინაშე დიდისა და ძლიერისა მეფისა
ფარსმანისა და დედოფლისა ორიონისა და თანა სწორ ეგეო-

დენისავე ნუსხა მიართვეს და მათცა მადლობით თაყვანის-ცემა მოახსენეს.

გ. და აგრევე მივიდნენ წინაშე პოლანთა მეფისა გოჰარისა და დედოფლისა რიზარინისა და ეგეოდენისავე ნუსხა მიართვეს და მადლობა და თაყვანის-ცემა მათცა მოხარულითა გულითა მოახსენეს.

დ. კვალად მივიდნენ მეფისა ხაყანისა და დედოფლისა მარიხისა წინაშე და ეგეოდენისავე ნუსხა მიართვეს და მათცა მხიარულებითა აღვსილთა მრავალი მადლობა და თაყვანის-ცემა მოახსენეს.

ე. შემდგომად მივიდნენ მეფისა და სპასალარისა მარსისა და დედოფლისა ზეფირისა წინაშე და მათცა ეგეოდენისავე ნუსხა მიართვეს, რომელთაცა ფრიად მადლობა და თაყვანის-ცემა მოახსენეს.

ვ. კვალად მივიდნენ ათასთა დიდებულთა ძეთა დილარისა მოყმეთა და დედოფალთა მათთა წინაშე და მიიღეს თვითოთა თანა ეგოდენ ეგოდენისავე ნუსხა უკლებელად და მათცა მიწადმდე თაყვანის ცემით მადლობა მოახსენეს.

ზ. მერმედ მივიდნენ სპასალარისა და სახლის უხუცესისა ლარასა და დედოფლისა სოსანასა წინაშე და მიიღეს ეგოდენისავე ნუსხა და მათცა გარდამატებულისა მის მოწყალებისათვს დიდი მადლობა და თაყვანის ცემა მოახსენეს.

უკანასკნელ ყოველთასა მოახსენეს, ვითა: „ესე ყოველნივე მზითევნი მზა არიან და თვს თვსთა ხვედრთა ეტერენითო“. მათ ბრძანებული აღასრულეს და თვისთა ხვედრთა მფლობელ ექმნნეს მადლობელნი ცისა და დიდისა კელმწიფებისა მათისა.

აქა ანავსია კელმწიფამან კვლა მიიწვია იგი კელმწიფენი მეფენი და დიდებულნი და სამსა დღესა გარდაიხადა პურობა დიდი და აღავსნა ყოველნივე წყალობითა და ნიჭითა.

ოდეს ანავსია კელმწიფამან უბოძა მათ მნათობთა ყოველთავე თანასწორად მზითევნი და იგინიცა ეპატრონნენ თვისთა მათ ხვედრთა, შემდგომად მიუწოდა ყოველთავე ერთბამად სრასა თვისსა და დაუგო პური უმჯობესი პირველისა, და შეჰქმნეს ქალთა მათ მნათობთა კვლა უკეთილესი შუშპრობა და ყოველთა თვალნი და გულნი განაკვრვნეს უშვენიერესითა მით ჰრხევითა და შუშპრობითა. ეგე ვითარითა დიდებულითა პურობითა და მხიარულებითა სამსა დღესა კვლა შეაქცივნა ანავსია კელმწიფემან იგი ყოველნი კელმწიფე მეფენი და დიდებულნი და აღავსნა მიუთხრობელითა წყალობითა და ნიჭითა ესრეთ, რომე თვთოთა მეინახეთა სახლთა შინა ას ასნი ტვრთნი სუფრისა ჭურჭელნი თვალთა თლილთანი შეჰკრიბნეს თვნიერ ოქროთა და ვეცხლთა, და ძვრ ფასთა ოქრო ქსოვილთა სამოსელთა ბოხჩანი ორი ათასნი თვითოსა სახლსა მიჰზიდნეს და ესრეთ ალვსილნი მხიარულებითა და წყალობითა მოეშალნენ პურობასა და წარვიდნენ თვისთა სამყოფთა. მათ კელმწიფე მეფეთა და მოყმეთა დილარისათა თვისნი იგა სატრფონი განუმხიარულებდეს გულთა და განკვრვებულნი შვენიერებასა მათსა ზედა სურვილ განმრავლებულნი შეჰსწირვიდენ თავთა თვისთა და ამისთვს უმეტესად ეტრფოდენ, რომე რავდენ გზისცა მათსა ვარდისა კვალსა შეეხებოდეს, ეგრეთვე სხვასა შეხებასა შინა მის პირველისაებრ კვალი იგი ვარდისა მტკიცეობდა. ამის გამო უმეტესისა სიტკბოებითა ზედა დაჰსჭიკჭიკებდეს და მარადის კოკობსა ვარდისა გარდაშლიდეს და შემდგომად კოკობსავე ვარდსა ეალერსებოდეს, მათსა ჰვრეტასა ვერღა მოჰსცილდებოდეს, სულსა ჰსძლევნიდეს და გულსა მათისა სიყვარულისა მუჯამარსა ზედა

დასწვიდეს, ადიდებდეს დილარისა კელმწიფებასა, რომელმანცა ღირს ჰყვნა იგინი ეგე ვითარსა მიუთხრობელსა სიტკბოებასა. იყვნენ ყოველნივე ზესთა თავისა მათისა მხიარულებასა, შვებასა და განცხრომასა შინა. გარნა იგი უებრო მოყმე დილარ ოდენ დაჰშთა თვისისა წალკოტისა ნაყოფისა მოუსთვლელი, ილეოდა და მოელოდა წამითი წამად ნებისა დაჰრთვასა. თუმცა ანავსია კელმწიფაცა არა უსურველ იყო, გარნა აკლდა დღენი რავდენნიმე თჳსისა პაემნისა სრულ ყოფასა და ამის თვის მოღავე ითმენდა და ესე არა უწყოდა, რომე თჳსისა პაემნისა სრულ ყოფადმდე განგება მათ ზედა რასა იმოქმედებდა და ანუ ვითარნი დღენი ესხნეს წინარე მომავალნი (ავქსონი: ბედი რა კაცსა მხიარულებისა ჩანგსა უცემდეს, თვითცა შუშპრობასა ესწრაფოს, თუ არა რა ერთ გზის შეაქცევს ზურგსა, მისიღა მობრუნება გაძნელდების). დილარ მომლოდნელი სვისაგან კათედრსა აღსვლისა და დაგვირგვინებისა, იყო მარადის პურობასა, ნადიმობასა, ნადირობასა, ბურთაობასა, აშფაშაგობასა, სიუხვესა და გაცემასა შინა.

კარი მეათორმეტე,

თავი იგივე.

აქა მოსვლა დიდთა მათ მეფეთა ჰინდოეთისა, ბაბილოვნისა და ეგვიპტისა გრძნეულთა ქვეყანასა შინა და გარშარაბ მეფისაგან წერილით მოხსენება ვითარებისა მათისა წინაშე დილარისა.

დიდი იგი კელმწიფე დილარ მძლეველი ჰსჯდა სრასა შინა თვისსა და თანა ახლდეს ყოველნი იგი კელმწიფე მეფენი და დიდებულნი და ლალობდეს. მაშინ მოვიდა კაცი გრძნეულთა მეფისა გარშარაბისა წინაშე დილარისა, თაყვანი-ჰსცა

და მოართვა წერილი მეფისა თვსისა. დილარმან წიგნი იგი უბოძა წარსაკითხავად, რომელსა შინა ეწერა ესრეთ:

„დიდო და გაძლიერებულო კელმწიფეო! აჰა ესერა მოვიდნენ დიდნი იგი ხელმწიფენი სამთა მათ დიდთა ქვეყანათანი, კელმწიფე ჰინდოეთისა ფახფურ, კელმწიფე ბაბილოვნისა ვილოს და კელმწიფე ეგვიპტისა ფაროს, რომელთა ახლავან გონებითა მიუწთომელნი რაზმნი და უთვალავნი გმირნი ჭაბუკნი, სრულსა ქვეყანასა ჰფარავს სიმრავლე მათი. ესე სამნი კელმწიფენი შეერთებულ არიან ამა პირსა ზედა, რათა დაიპყრან დიდი ეგე სამონარხო, მეკობრეთა ქვეყანა და ჩემიცა ესე სამეფო და სამ ნაწილად გაიყონ და ოდეს საქმესა ამას სრულ ჰყოფენ, მაშინ ერთმანერთი სიყვარულით გამოჰსცადონ და რომელიცა ძლიერებითა უმჯობესი იყოს, მან მიიხვედროს მზისა ქალაქისა კელმწიფაცა. ესე ვითარითა განზრახვთა შემოვლეს სამზღვარი ჩემი. აწ ესერა მოდიან დიდითა დიდებითა და საჭურჭლეთა წარგებითა, უბრძანეს თვითოსა სპასალარსა თვსსა, გულ ლომთა ჭაბუკთა და უბოძეს თვითოსა სამას სამასნი ათასნი ბრძოლასა შინა გამოცდილნი ფალავანნი, რათა წინარე მათსა იარებოდენ და წინა აღმდგომნი მათნი მოიყვანონ მორჩილებასა ქვეშე მათთა კელმწიფეთასა. ესენი ამოჲსა სიარულითა ვლიან გზათა ზედა განსვენებით და იგი სპასალარნი ისწრაფიან, რათა მალიად სლვითა დაიმორჩილონ ყოველნი წინა აღმდგომნი. ესე მოხსენებულნი არიან საქმენი მათნი და მეცა ესერა შემოვიკრებ ქვეყანისა ჩემისა მკედრობათა და ადრე ზედა მოგესწრობითო“. ოდეს დილარ მძლეველმან იგი ჰამბავი მოისმინა, საბრალოდ ამოიოხრა, თვალთაგან ცრემლნი უხვად გარდამოადინნა და დიდსა რასმე ურვასა შინა შევიდა. რა კელმწიფემან ლასურ, ფარსმან და ხაყან ესრეთ დაჭმუნებული იხილეს დილარ, ზე აღჰსდგნენ და მოახსენეს: „კელმწიფეო და პატრონო ჩვენო, ვიცით, რომე დასამძიმებელი არს ესოდენსა ჟამსა სურვილისა თქვენისა მიუმხვდარობა, ჩვენ ყოველნივე მოწყალებითა თქვენითა ღირს-

ქმნილ-ვართ სურვილსა ჩვენსა და ამის თვის ვჰსთხოვთ დიდე-ბულსა კელმწიფებასა თქვენსა, რათა ჩვენ გვებრძანოს ყმითა ჩვენითა მიგებებაჲ მათ მომავალთა კელმწიფეთა და ბედნიე-რითა სახელითა თქვენითა შევანანოთ კეთილსა ამას ქვეყანასა შემოსვლაჲ. თქვენ ჰსუფევდეთ აქა პაემნისა სრულ ყოფად-მდე, რათა მიემთხვივნეთ საწადელსა მას თქვენსა ჟამსა და ჩვენ ვიყვნეთ საუკუნოდ მმადლობელნი კელმწიფებისა თქვე-ნისანიო“. დილარმან რა იგი რჩევითნი სიტყვანი მოისმინა მათგან, კვლა მწარედ აღმოიოხრა და ჰრქვა: „ძმანო ჩემნო, ეგე არა ეგრეთ იყოს, გარნა მივართვათ წერილი ესე მეფისა გარშარაბისა სიცოცხლისა ჩემისა ძალსა და ვჰსცნათ, რაჲ იქმნების ბრძანება მისი ამას ზედაო“. მისცა წიგნი იგი ლა-სურსა და ფარსმანს და ჰრქვა. ძმანო ჩემნო საყვარელნო და ნუგეშნო, თქვენ მიართვით წერილი ესე და ისმინეთ რა იქმნების ბრძანება მისიო.

აქა მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსიას წინაშე გარშარაბ მეფის წე-რილის მირთმევა ლასურისა და ფარსმანისაგან:

მათ წერილი იგი ჩამოართვეს, თაყვანი ჰსცეს და აღვი-დეს სატროფოთა თვსთა თანა, მცირესა ჟამსა იალერსეს, და შემდგომად ოთხნივე ერთად შეჰკრბნენ, შეუგზავნეს შიმუნვა-რი და ესრეთ წარსდგნენ კრძალვითა დიდითა და თაყვანი ჰსცეს. იგა კელმწიფათა მბრძანებელი ტახტსა ზედა დაჰხვდა, ტკბილად მოიკითხნა ბ მარჯვენით თვსსა ტახტსა ზედა დაჰსხნა თვსითა სასურველებითა. წიგნი იგი გარშარაბისა მიართვეს, თაყვანი ჰსცეს და კვალად დასხდენ. მან, დილარისა დამადნო-ბელმან, რა წიგნი იგი აღმოიკითხა, დიდსა მწუხარებასა მიეცა და უბრძანა: „თქვენ საყვარელნო ძმანო და მოყვასნო აბაშ-თა მფლობელისანო, ამას საქმესა ზედა რაჲ არს ნება თქვენი

და ანუ დილარ მძლეველი რასა მნებებელობს. მათ თაყვანი ჰსცეს და მოახსენეს: „კელმწიფეო! დილარს მონებისა თქვენისა ჯაჭვი მუნადმე არა გაეხდების, ვიდრე სული მისი გვამსა შინა არს და თქვენისა სამსახურისა თვის სიკვდილი სიცოცხლედ მიაჩნია, გარნა ვედრება ჩვენ მონათა ესე არს, რათა ჩვენ ყმითა ჩვენითა მივეგებნეთ მათ მეფეთა და სახელითა თქვენითა დავამორჩილოთ დიდებულსა ტახტსა თქვენსა. დილარისა მოწყალებითა ჩვენ ესე ვითარსა ბედნიერებასა და გამოუთქმელსა სიტკოებასა შინა ვართ და აწ ჩვენიცა ვედრება ესე არს, რათა მოიღოთ მოწყალება ჰმსგავსი სახელისა თქვენისა და აკმაოთ ეგე ვითარი მოუკლებელი ცრემლთა დენა მას უსწოროსა კელმწიფისა თვალთა და სიკვდილადმდე დაგვამონოთ ფერხთა თქვენთა ნატერფალსაო. რა ძლიერთა მათ და დიდთა ქვეყანათა მპყრობელთა ეგე ვითარნი სიტყვანი მოახსენეს, ვითა წესი არს მისებრ მზისა მოწუნარისაგან, ეგრეთ სირცხვილისა მიერ პირისა ბრწყინვალება გააშარავანდედა, გარნა ეგრეცა ზრდილობისა წესითა ნაზად რადმე პასუხი უბრძანა ესრეთ, ვითა, თქვენ ძლიერნო გვირგვინოსანნო, ვმოხარულობ გულითა თქვენსა ეგრეთსა ძმობასა და სიყვარულსა ზედა და, მზემან ჩემმან, ვითაცა მშვენის, ეგრეცა ვარ პატივის მცემელი თქვენი და თვთ მებრალების მეცა დილარისა შვენიერნი თვალნი შეუშრობელად ცრემლისა მდენელნი, გარნა ესე თვით მანცა უწყის, რომე არიან მცირედნი-და დღენი დარჩომილნი მისისა გაბედნიერებისა ჟამადმდე და მაშინ განვამხიარულო გული ძმისა თქვენისა. ესე სიტყვანი მიუთხართ ძმასა თქვენსა და თვით იგი ჩემთანა მობრძანდესო". იგინი აღჰსდგნენ თაყვანი ჰსცეს და წინაშე დილარისა მოვიდეს. ყოველივე ბრძანებული მოახსენეს. დილარმან კვლა საზარლად ამოიოხრა, აღჰსდგა და აღვიდა მზესა თჳსსა თანა.

აქა დილარ მძლეველისა აღსვლა მზისა ქალაქისა კელმწიფისა თანა და მუნ შეურვებულისა დილარისა თვისისა სატრფოჲსა ალერსითა განმხიარულება და ტკბილად საუბარი მათი, და სხვათა მათ მეფეთაგან დამტკიცება მომავალთა კელმწიფეთა მიგებებასა ზედა:

Ⴈგი ყოველნი დილარისა სრასა შეკრებულნი კელმწიფე მეფენი ამტკიცებდნენ ერთითა პირითა და იტყოდეს, ვითა: ესე არს სამართალი ჩვენგან, რათა მოვიხსენოთ მოწყალებანი დილარისანი, რომელმანცა დაჰსდვა თავი თვსი ჩვენ თვს, და ყოველნივე თვისთა წადილთა მიგვამთხვია, რთა ჩვენცა განვჰსწიროთ სიცოცხლე ჩვენი ერთგულებისა თვის მისისა. მივეგებნეთ მტერთა მისთა, ანუ განვჰსწყვიტოთ, და ანუ სისხლნი ჩვენნი დავჰსთხიოთო. ესე პირი დაამტკიცეს, და ამტკიცებდეს მასვე პირსა და ელოდნენ დილარისა მოსვლასა. ოდეს დილარ თვსსა მას სატრფიალოსა თანა ავიდა, მალედ მიუწოდა, გვერდსა მოისვა და პირსა მნათობსა შეიკონა. საბრალომან დილარ, მისისა მიჯნურობითა დამწვარმან, მისთა ვარდისა უფეროვნესთა ღაწვთა უთვალავად დაბაგებითა გული წყლული განიკურნა, და მკერდსა შეჭდობითა მათ ორთა ობოლთა მარგარიტთა ძუძუთაგან, თუ ჰსთქვა, თავისი უკვდავება აღმოჰსწოვა, და, ვითარ სამი ჟამი, ესრეთ ალერსობდა, ვითა გასახმილებული გული თვისი აწვევდა. რა ყორნისა ფრთანი მიშალი მოშალნა და ამბრისა ზილფნი მრავალ გზის მიმოარყივნა და უმეტესსა დატკბობასა კელოვნებდა, კრძალულითა რითმე ალტყინებითა თვისისა სამოთხისა მეწალკოტემან კარნი დაუხშნა და უბრძანა: „ჩემსა მზესა, მოთმინებისა საზღვარსა ნუ გარე განხვალ, ბრძნულად რადმე იდუმალობითა გნებავს საწადელისა კოკობისა ვარდისა გარდაშლა. გარნა რაოდენ სულისა შეწირვით ეტრფიალები, ეგზომ მეცა გევედრები, რათა მოთმინებისა ეგე თორნი რომე გმოსია, ჯერეთლა ნუ განიხდი, ათორმეტნი ოდენ დღენილა გული მოთმინებისა კლდესა და-

ამყარე და, შენმან მზემან, უსასყიდლოსა სადაფსა კარსა რომე იასპისა ზღრუბლნი უსაწადელესად გარე ავლიან, მისისა განღებისა თვის ნება-გცე და ტურფად შემარჩიბვებული სარდონი შეგავლო და უშვენიერესისა ვარდისა გაფურჩვნა გაღირსო, ოდენ შემიწყალე და მოვალე მყავ ამით, რომე ამათ დანიშნულთა დღეთა გულისა ჩემისა საწყლავად ნუ ოხრავ და თვალთა ჩემგან საკრძალავთა ცრემლითა ნუ აჭირვებ, შენისა შვებისა ველსა ნავარდობად არლა გაყენო, შენისა ისრისა წყლულება რაზომცა მწარე იყოს ჩემ თვის, შენითა სიყვარულითა მოვითმინო, შენისა ოხვრისა საგანი პირის პირ გიდგინო და რაოდენნიცა ფიცხელნი ისარნი ჰსტყორცო, არლა მიგარიდო. მეცა მიჰვსცე თავი ჩემი წყლულებასა მას მწარესა, უკეთუ დაიცვნა თხოვანი ჩემნი და მცირედთა ამათ დღეთა არლა ოხვრიდე და შენითა ცრემლითა სიცოცხლესა ჩემსა არლა იავარ ჰყოფდე და ამასაცა გთხოვ, რათა მისცე ნება და საყვარელნი ძმანი შენნი ლასურ და ფარსმან თვს თვსთა რაზმებითა მიეგებნენ ჩვენსა სამზღვარსა ზედა მათ მომავალთა დიდთა კელმწიფეთა, ჩვენსა ქვეყანასა ნუ შემოუშვებენ, მრავალნი ლომ გულნი რაზმნი ამის ქვეყანისაგანცა მივაშველოთ, იგინი ჰბრძოდენ და ჩვენ აქა ჩვენითა ნებითა ვიხარებდეთო.

აქა დილარ მძლევლისაგან პასუხისა მიგება თვისისა სატრფიალოსადმი და მრავალსა ვედრებასა შინა ცნობისა მიხდა დილარისა.

Დილარ თვსისა სატრფიალოსა ეგე ვითარმან ბრძანებითმან თხოვამან, ვითა ხოხობი, მახესა გააბა და მყოვარ ჟამ მფიქრებელმან მოახსენა: „ეჰა სულსაცა ჩემსა ზედა მბრძანებელოვ, ვიცი, თავსა ჩემსა ზედა კელმწიფებ და მონებად თქვენდა განგებასა დაუბადებივარ, რადგან ესე არს ნება თქვენი, რომე მივჰსცე გული ჩემი მცირედთა დღეთა მოთმინებასა. მე

მათ დანიშნულთა დღეთა ერთსა ათადცა შევჰსძინებ, უკეთუ შემდგომთა დღეთა ჟამთა სრულ ჰყოფთ ბრძანებულთა თქვენთა და ამას ოდენ ნუ ინებებთ, რომე მე ცოცხალი ვიყო და მტერთა ჩემთა სხვანი ებრძოდენ, ესე მძლეველობისა ჩემისა სახელსა დაამდაბლებს მით, რომე ესრეთ იტყვან, დილარ მტერთა თვისთა დაემალა და ნაცვლად თჳსსა სტუმარნი თვისნი აბრძოლაო და სახელ განცუდებული, სამართლად თქვენგანცა დაწუნებული შევიქმნები და ესრეთ მოყივნებული თვით თქვენისაცა კელმწიფებისა რა შესაბამილა ვიქნებიო. აწ კელმწიფაო, ესე არს ვედრება ჩემი, რათა ინებოთ და შევჰკრიბო გულოვანნი მკედრობანი ქვეყანისა ამისგან, მივსცე რაზმი სპასალარსა ჩემსა და ხუთასნი მოყმენი ჩემნი მას თანავე წინა მივაგებო წინა მომავალთა მათ სპასალართა და მეცა უკანა შეუდგე ძმათა ჩემთა, დაუტეო აქა მონებად თქვენდა გოჰარ, მეფე პოლანთა, და ბერი ვაზირი, რათა რაჲცა მუნით მოგახსენოთ, იგინი აღასრულებდენ და დიდსა ამას სახელმწიფოსა ჰმართვიდენ, ნებისაებრ თქვენისაო“. ოდეს დილარ მძლეველმან ესე ვედრებითნი თხოვანი თჳსსა სატრფიალოსა მოახსენნა, შვენიერებით განმდიდრებული იგა კელმწიფა დილარს მკერდსა შეეხვია, ჰკოცნიდა და ეტყოდა: დილარ, მაგა ნებისა შენისა მიყოლითა მე სულსა აღმომხდი, დაუტევე ჰაზრი ეგე შენი. მე შენისა მოშორებისა მოთმინება არღა შემიძლიან და არცა მკერდსა ჩემსა განგიშორებ. ათ ორმეტთა დღეთა თვალთა არა მოგაცილებ და მკლავთა ჩემთა არა განგაკიდევანებ, მათ მომავალთა კელმწიფეთა უკეთუმცა ქვეყანა ესე სრულიად დაიპყრან, არა ვიზრუნო, მე შენგან მოშორვებულსა არცა კელმწიფება მინდა, არცა ქვეყანა და არცა ნათელი თვალთა და უკეთუ კელითა შენითა მომაკვდინებ. მაშა ეგდენნი ძლიერნი ბრძოლანი და სასტიკნი გმირთა კვეთებანი ვის თვის გლახ გარდაიხადენ? არა ამას აღმითქმიდია, რომე შენსა ნებასა დავამონო ჩემი თავიო და აწ ასე მოგძულებივარ, რომე ესრეთ მვედრები არღა გეწყალვიო. დილარ სუნ-

ნელსა მკერდსა, ყელსა და პირსა ვითა სულ შელეული ეგრეთ ეკონებოდა და ყოვლით ნაწევრით სიტკბოებასა აღმოჰსწოვდა და მუხლ დადგმით ცრემლითა ხშირითა მოახსენებდა: „ჵ სულო ჩემო, ვფუცავ სიყვარულსა შენსა, რასაცა მოგახსენებ, უმწვერვალესისა სიყვარულითა და ერთგულებითა მოგახსენებ და ვბედავ მით, რომე ეგოდენი სიმრავლე მტერთა, უკეთუ შემოვიდნენ უკეთილესსა ამას ქვეყანასა მტერობით, სრულიად აღაოხრებენ და მონასა თქვენსა ვითარიღა სიყვარული თქვენი მექმნების, თუ საწადელსა ქვეყანასა ამას მტერთა აღგიოხრებინებ ნუ კელმწიფაო, მოიღე მოწყალება და ისმინე ვედრება ჩემი, მე ნებისა დაურთავად ვერა მოგცილდები და ვხედავ, რომე ქვეყანა ესე ოხრებასა ეძლევისო". დილარ ზე შეფრფინვით ეხვეოდა, ჰკოცნიდა და ხელსა ზე შეალევდა. მას ეგე ვითარსა ვედრებასა შინა საბრალო დილარ უცნობო იქმნა და თვისისა სატრფიალოსა წიაღსა შინა, ვითა უსულო, შეიქმნა ვითა მკვდარი სამარედ მიღებული (აჰა ესე შეუდგა სურვილთა დიადობასა); იგი სიმრავლე მნათობთა ზედა მოაკრბეს და ვითა იადონი კმა ტკბილი ზე დაჰსტიროდეს დედოფალიცა კასია, ორიონ, მარიხ, რიზარინ და სოსანა, თუ ჰსთქვა, სულსა მის თვის განჰსწირვიდეს და ზეფირ იცემდა ღაწვთა, მკერდსა, მოჰსთქმიდა სიტყვითა საბრალოჲთა, რომლისა სმენითა დაჰსწვევდა ყოველთა მსმენელთა. მოახსენებდეს კელმწიფასა მათსა მნათობნი იგა ტკბილითა სიტყვითა, ვითა: „ჵ ქვეყანისა შარავანდედისა მომფენელო მზეო, რად მოჰკლავთ ესე ვითარსა კელმწიფესა, რომლისა მსგავსი არა უხილავს მზის თვალსა, თქვენებრსა ელვარებითა ცად აღწევნილსა რამცა ვით მოეხსენებოდეს ბრძოლათა თვის, შეიწყალეთ და უბოძეთ ნებაჲ, რათა, ვითაცა ჰსჯობს, ეგრეცა განაგოს საქმენი ქვეყანისანიო". რა უზადონი იგი მნათობნი თჳსთა მას ტკბილად მზრდელსა კელმწიფასა ეგე ვითარად შეაგონებდეს, მან, შვენიერებისა სამოთხემან, უშნი ჰქმნა, სულთქმა სულთქმასა ზედა დაჰმატა და ჰბრძანა: „ეჰა თქვენ, სი-

ცოცხლისა ჩემისა ემპლასტრონო, რამე ვჰყო, დილარისა თვალთაგან ჩემთა მოშრობა ვერღა მომითმენია, გარნა უკეთუ ცოცხალი იქმნების, მივსცე თავი ჩემი ჭირსა სიცოცხლისა თვის დილარისა და, უკეთუ განგება მაღირსებს დილარისა თვალთა აღხმასა, აღმითქვამს, რომე, ვითაცა ენებოს, ეგრეცა განაგოს მათ მომავალთა კელმწიფეთა ზედაო“. იგი მნათობნი დილარსა ზედა მტირალნი, დასძახდეს და სუნნელთა აყნოსებდეს, იგა შვენიერებითა ცისა კამარათა განმანათლებელი კელმწიფა ანავსია პირსა ზედა ეკონებოდა და ცრემლთა აპკურებდა და უნაზესითა სიტყვითა, ვითა კმა ტკბილი მერცხალი, ზე დაჰსჭიკჭიკებდა გოდებითა მწარითა.

შ ა ი რ ი.

ქვე იდვა, ვითა უსულო, ურიცხვთა სპათ პატრონია,
მისი კვლა სულის მოქცევა მნათობთ ძნელ სააზრონია,
ზე დაჰსცრემლს თვისი კელმქმნელი, ჰგავს ჰკარგა შვების დღენია,
დაჰსტირის ლექსთა მწარეთა, ვით ჰსჯობს მას იაღონია.

უბრძანებდა: „დილარ მძლეო, თუ აღახვნე ტკბილნი
სამიმდემოდ დაგამონო თვით სულისა ჩემის ძალნი, [თვალნი,
თქმულთა შენთა თანკმობანი იყვნენ ჩემგან უშურვალნი,
არღარა ვჰყო უნებელი, ვჰფუცე ცათა სამართალი.

„რად აგრე აღვლ გერთმევის ძალი მკლავთა და გულისა,
რად არ გეწყალვი მე, შენი მომცემი სიხარულისა,
რად პირ ბასრულ ჰყავ მახვლი ჩემად დამჩნევად წყლულისა,
რად გლახ კელოვნებ წარმოთქმად ჩემთა მათ დაფარულისა.

„თუმცა ყოვლნი კელმწიფენი ძალსა შენსა მორჩილებენ,
სრულნი გმირნი, ცას ქვეშეთნი, დილარ მძლესა ადიდებენ,

არსნი სრულნი შეგნატრიან, ქების კმასა ამრავლებენ,
გარნა ეგრე უთმინობით ვინ სად სახელს შეგიკრებდენ?

„ერთ-გზის ვჰსთქვი, შენი სიშორე მე არღა მომეთმინების,
ამის თვის რად ჰსთმობ სიცოცხლეს, რად სული გაგიფრინდების,
ვჰგონებდი, ჩემი სიახლე არ ოდეს არ შეგწყინდების,
აწ ასე მამკლავ, სიტყვისა თქმაცაღა არ მოგინდების!

„თუ განგება მაღირსებდეს ერთ გზის კვლავა გაუბნებას,
სხვად არ ვიყო მოუბარი, ვემორჩილო შენსა ნებას,
რაცა გჰსწადდეს იგ გაქმნიო, დაგადგინო ტკბილსა შვებას,
გნახო ჩემდა მოალერსედ, ათას ჯერ ვჰყოფ ნეტარებას.

„მე მივსცე სული სანაცვლოდ, ვჰყო შენი მაგიერობა,
შენ ტახტსა ჩემსა სუფევდე, ჩემ თვის არს ბედნიერობა,
თუ შემიბრალებ, ირწმუნე, არა მაქვს გულსა მტერობა,
ნუმცა იქმნების უშენოდ ყვავილთა მრავალ ფერობა.

„რად მინდა ესე სოფელი და ცუდნი მისნი შვებანი,
რადგან ეგრე გაქვს უსულოდ მიწასა ზედა დებანი,
ზე დაგაკვდები, განმქარვდეს პირისა ელვარებანი,
სამაგიეროდ ვის ვჰსჭვრიტო, ვჰყო თვალთა დაჰრულებანი.

„რა მოვიგონებ მე შენგან მოედანს ცხენთა რბევასა,
და მტერთა ზედა ლომგულთა მათ სახელოვანთ ძლევასა,
დამჰსწვენ ხსოვნანი ესებრნი, მათქმევენ რაბამ მე ვასა,
თავსა შეგჰსწირავ უცილოდ, ამით ვჰყოფ შენსა თნევასა.

„საუბნე ენა ტკბილი, ჩემ თვის სურვით სანეტარნი,
დამიშრიტე გულსა ცეცხლი, თვალთა ზედა ცრემლთა ცვარნი,
შენმან მზემან, თუ მიხილავ, ჟამნი მქონან დია მწარნი,
ვერ მოვითმენ, ბაგე მტკბარნი დახშვით იყვნენ უებარნი“.

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

ღილარს რა ტკბილად დამღუღუნებელისა თვისისა სატრფოს კმა სასმენელთა დაუხშირდეს, სხეულით განფრენილსა სულსა მისსა ჰაერსა ზედა მიმწევნელ ექმნა, უცხოდ მიუალერსა, არღა დაუტევა გარე, უკუნ აქცია და თჳსსავე გვამსა შემოიყვანა. აბაშთა რაზმი შეარყია, თვალნი აღახვნა და გულსა ცნობა მიეცა. საბრალოდ სულ მილეულმან რა თჳსი იგა პატიჟთა მიზეზი და უბრყვილო მნათობნი თვის ზედა მიკრებით მოტირალნი იხილნა, ზე წარმოჰსჯდა, დაჰგმო თჳს ზედა ამაოდ მბრუნავი ეტლი, ბევრის ბევრითა თურმანითა სატრფოსა თვისსა კელსა კოცნა დაუწყო და მოახსენებდა ლექსთა ესრეთ:

შ ა ი რ ი.

ჰე სიცოცხლისა ჩემისა ძალო და სიხარულო-და,
ჩემისა გულის ედემად და შვებად აღკაზმულო და,
ჩემ თვის სამოთხის ნაყოფთა უმჯობეს დანერგულო-და,
საწუთოს შვებავ, დიდებავ და ჩემის გვამის სულო-და!

ვინა გლახ ღირს ვარ მე თქვენსა ეგ ზომსა შეწუხებასა,
ანუ მკრთოლვარეს ღაწვ ზედა ნაზად ცრემლთ გარდმოშვებასა,
შენ თვის თუ მოვჰკვდე, არა ვჰყოფ სიკვდილის შენანებასა,
მაგა ქცევითა ჰმოქმედებთ ჩემთა დღეთ შემოკლებასა.

დღენი ჩემნი, მზეო ჩემო, შენ თვის მქონან შეწირულნი,
რაზომ თავი დაგამონო და გულს მაჩნდეს ლახვრით წყლულნი,
სურვილისა ცეცხლს დავიწვა, ჩემ თვის იყვნეს სიხარულნი,
ცრემლთა შენთა ფასი არ არს, ქვეყანა და ცანი სრულნი.

დილარისებრნი ათასნი შენს ერთსა ცრემლის ცვარასა
ვერ ესწორვიან, არ ღირსან, სხვად მოგახსენებ არასა,
ოდენ მომხედენ წყალობით საბრალოდ მემუდარასა,
ნუ მომკლავ შენის სურვილით, ნუ შემმოს ხამთ სუდარასა.

შენმან მზემან, სიყვარული შენი მქონან გულსა ზვინად,
სისხლი ჩემი დასაღვრელად შენ თვის არის ჩემად ლხინად,
შუქი შენი განუცდელი გულსა მადგეს ნათელ მფინად,
ესე კმა არს ჩემად შვებად, გარე ვჰგებდე ანუ შინად.

თუ მტერმან მომკლას, მე ეგრე ვერ მნახოს შეწუხებულად,
მოედანს ვეგდო, სისხლთაგან დაცლილი, დასუსტებულად,
ზედა მომრტყმოდენ მებრძოლნი მოიშნედ გარე კრებულად,
არა რა მგამა, თუ მყვანდე ვარდებრ ფერ გამდიდრებულად.

შენ თვის ჰირსა თავი ჩემი არ დავჰრიდო, მივცე ჩქარად,
ოდენ გვერდებ, შუქი შენი იყოს ჩემ თვის ნაშუქარად,
არ გინდოდი სამონებლად, მომიწოდე მაშ აქა რად,
არ ვებრძოდე მტერთა შენთა, რად გინდივარ სასუქარად!

ჰ ა მ ბ ა ვ ი:

ოდეს დილარ, თვისსავე სრულსა გონებასა მოსრული, ზრდილობიანითა ლექს ტკბილობითა სატრფოსა თჳსსა თანასაუბართა განამრავლებდა, იგა ცისა მნათობთა განმაცუდებელი კელმწიფა ანავსია კელ ალპყრობით ღმერთსა მადლობდა დილარისა მობრუნებისა თვის და თჳსსა მწუხარებასა არღარად ჰრაცხდა. მოაღებინა ხილნი ტურფანი და სასმელნი გემოვანნი, უნაზესითა კელითა დილარს ჰსთავაზობდა და იგა მნათობნი ღვინოსა მოართმიდეს, წინანი ჰირნი და მწუხარებანი ყოვლითურთ დაავიწყდათ და ყოველთა გულმან ხილობასა ზე-

და მხიარულება მიიცა საბრალო დილარს, რაჲცა ჭირნი ენა-
ხნეს, არღა ახსოვდა მით, რომე ერთი ოდენ სიტყვა თვისისა
სატრფოჲსა მკურნალ ექმნებოდა და კვლა მისისა სიყვარუ-
ლისა თვის თავსა თვისსა საცეცხლესა ზედა ადვლად დაჰსწვე-
ვდა, სულისა შეტრფიალებითა შეჰსჭვრეტდა და თვალთა თვის-
თა მისითა შემზერითა განინათლებდა, მისთა ბაგეთა შეძრვა
დილარს სიცოცხლისა ძალსა უმატებდა და თვალთა ტკბილად
მიმორება სულსა უბრუნებდა, ყოველნი საგრძნობელნი განუ-
მტკიცდეს და თვისსა მაისისა ვარდსა ემღეროდა, თვსი ცნო-
ბისა მიხდა არღა სადა ახსოვდა და ვითა სხვა ვინმე ფარვანა
ბაგეთა ლაწვთა და თვალთა მყის მყისად შეჰფრინდებოდა და
თავსა თვისა მას ზედა დაწვასა არა ჰრიდებდა. შემდგომად
მრავლითა ალერსითა დამტკბარსა დილარს უბრძანა საყვარე-
ლამან თვსმან, ვითა: „ლომო ჩემო, ისწრაფე და ვითაცა გნე-
ბავს ეგრეთ განაგე მათ მომავალთა კელმწიფეთა ზედა ბრძო-
ლისა საქმენიო“. დილარმან რა ნებისა დართვაჲ ისმინა თვი-
სისა საყვარელასაგან, აღჰსდგა, თაყვანი ჰსცა, კელს აკოცა
და მოახსენა: „კელმწიფაო, მზემან შენმან, მაგა ნებისა ბო-
ძებითა სიცოცხლე განმიახლე და, უკეთუ მოწყალება ეგე არა
მოგეღო, სიკვდილი ჩემი ახლოს გულისა ჩემისა ხაზთა იყო
და აწ ნებისა ბოძებითა ჰსცნა ვითარი თავ შეწირული მიჯ-
ნური გყოლივარო“. ესე მოახსენა, პირსა მას მოელვარესა და
კელსა აკოცა და ჰსთქვა: „ამა საქმესა დაყოვნება არღა უნაო“.
გარე გამოვიდა, თვისსა სრასა შემობრძანდა, იგი კელმწიფე
მეფენი და დიდებულნი მუნ დახვდეს, დასხდენ და უბნობითა
შეექცნენ.

აქა დილარ მძლეველისა მიერ ბრძანებისა მიცემა ჯანუჯან ვაზირისად-მი მოწვევად მის ქვეყანისა სპათა, სპასპეტთა და სპასალართა დაუყო-ვნებელად შემოკრებისათვის ვრცელსა მას მოედანსა მზისა ქალა-ქისასა.

უბრძანა დილარ მძლეველმან ბერსა მას ჯანუჯან ვა-ზირსა, ვითა: „მამაო, უბრძანე კელ ქვეშეთა შენთა, რათა გაჰსწერონ ბრძანება ოთხსავე კიდესა ამის ქვეყანისასა, რათა შეოჰკრბენ ყოველნი სპანი სწრაფად მიგებებად მომავალთა მათ კელმწიფეთაო". ბერმან ვაზირმან უბრძანა ათი ათასთა ლაშქრისა აღმწერელთა, თვის თვისთა კერძოთა ზედა მიწერა ბრძანებისა, რომელთაცა მალიად აღასრულეს და წარავლინ-ნეს მალიად მსრბოლნი ყოველსა კერძოსა ზედა.

კულა უბრძანა დილარმან საურმაგ მეფესა მომზადება ყო-ველთა სათანიოთა წესთა ყოვლისა თანა უხვებით ურიცხვთა მათ სიმრავლეთა თჳს მუნებურთა. გარეგანთა და მომავალთა თვისცა. სახლისა უხუცესმან სამ ათეულთა ათასთა მდივანთა კელ ქვეშეთა თჳსთა მიაწერინა ბრძანება ოც და ათთა ქალა-ქთა და სანახებთა მათთა ზედა, რომელმანცა ერთსა თვესა ზედა განმზადა ყოველივე უმეტესიცა დილარისა ბრძანებუ-ლისა და განადგინა გარე ველთა ზედა მზად და სხვა უმრავ-ლესი გაისტუმრა მის ქვეყანისა სამზღვარსა ზედა, სადა იგი ჰსდიოდა მდინარე დიდი შვენიერი და შემკობილი მთითა, ტყი-თა და ველითა. ეგეოდენი სიმრავლე უძრავთა და მოძრავთა ნივთთა, ვითა ქვიშა ზღვისა და ფურცელნი ტყისა. მაშინ მო-ვიდნენ მის ქვეყანისა ურიცხვნი გულოვანნი მეომარნი და გმირნი ჭაბუკნი. უბრძანა დილარმან მარსის და ხუთ ასთა მოყმეთა თვისთა განმზადება.

აქა დილარ მძლეველისა მიერ განგება მომავალთა მათ სამთა დიდთა კელმწიფეთა ზედა ბრძოლისა, წინა მბრძოლად წარვლინება სპასალარისა თვისისა მარსისა ხუთ ასითა მოყმითა თჳსითა და ერთისა მუნებურისა სპასალარისა ყამჩარ ყანისა და ცხრა ასი ათასთა მის ქვეყანისა ჭაბუკთა.

კვალად უბრძანა დილარმან ერთსა მის ქვეყანისა სეზოსტრ კელმწიფისა სპასალარსა ყამჩარყანს, ლომ გულსა და ძლიერსა ფალავანსა განმზადება. შემდგომად გაბრძანდნენ მოედანსა ზედა ყოველნი იგი კელმწიფე მეფენი და დიდებულნი, გასთვალეს მის ქვეყანისა მკედრობანი ცხრა ასი ათასნი და ჩააბარეს მარსის, ყამჩარყანს და დილარისა მოყმეთა და უბრძანა დილარმან: „ძმანო ჩემნო, მიესწრაფენით და დასდეგით სამზღვარსა ზედა ამის ქვეყანისასა სადაცა არს მდინარე დიდი და ნუ გამოაცილებთ მტერთა ამიერ წყალსა და გვაცნობებდეთ ჰამბავსა თქვენსაო". დაჰლოცა დილარმან იგი ყოველი და გაისტუმრნა. იგინი ბრძანებისა მორჩილნი გაემართნენ, მივიდნენ და დაჰსდგნენ ბრძანებულსა ადგილსა. მერმე უბრძანა დილარმან გოჰარ პოლანთა მეფესა და ჯანუჯან ვაზირსა, ვითა: „თქვენ დაჰსდეგით ქალაქსა ამას შინა ათ ხუთ ასი ათასითა ამის ქვეყანისა მხედრობითა, მაყურებელნი ჰამბავთა ჩვენთა და ჰმონებდით მზესა ჩემსაო და, რაჲცა ბრძანება მიიღოთ, მსწრაფლად აღასრულებდეთო". გაათვლევინა რიცხვი იგი მკედრობათა და უბოძა გოჰარსა და ჯანუჯან ვაზირსა. შემდგომად მოემზადნენ ყოველნივე კელმწიფე მეფენი და რაზმნი მათნი. კვლა აღარჩივა დილარმან მის ქვეყანისა სპათაგან ოცგზის ასი ათასი მკლავ მაგარნი გმირნი ჭაბუკნი თჳსთანა სახელებლად და სხვანი უმრავლესნი, ვითა ვარსკვლავნი ცისანი ურიცხვნი, დაითხოვა სახლთა თჳსთა წარსასვლელად, სხვანი ყოველნი დანაშთნი განჰსდგნენ მინდორთა და განემზადნენ მტერთა ზედა, განშალნეს მრავალ ფერნი და მრავალ გვარნი

ალამნი. შემდგომად შემობრუნდნენ იგი კელმწიფენი და მეფენი, გამოესალმნენ საყვარელთა თვისთა, დაშთომილნი გონებათა თჳსთა მტრფიალთა გააყოლებდენ და წარმავალნი სულთა თვისთა სატრფიალოთა თანა დაუტევებდეს.

აქა მზისა ქალაქისა კელმწიფისა ანავსისა მიერ მიწოდება თჳსისა ერთგულისა სპასალარისა ყამარბადრისა და ბრძანებისა მიცემა:

მზისა ქალაქისა კელმწიფემან, აბაშეთისა მზემან და დილარისა მთოვარემან, მოუწოდა ერთსა უპირველესთა სპასალართაგანსა ყამარ ბადრს და უბრძანა: „აწ გამოჰსჩნდების ერთგულება და სახმარობა შენი ჩემზედა, ვითარცა სრულითა გულითა დაიცვავ და განეკრძალები ბრძანებათა ჩემთა მყისად წარვედ პოლანთა მეფისა წინაშე და მისთა რაზმთაგან გამოარჩიენ ცხენ მალენი მკედრობანი ათი ათასნი და ჯანუჯან ვაზირსა სამ ათნი მალედ მწერალნი ბრძენნი და მეხსიერნი გამოართვი, შევედ აბაშთა მფლობელისა და მზისა ქალაქისა მბრძანებელისა დილარ მძლეველისა რაზმთა შორის, ჰსდევდე მათ განუშორებელად, ჰსჭვრეტდე და განიცდიდე საქმეთა მათთა, ბრძოლათა და ყოველთა შემთხვევათა მათთა. ნუმცა ვით იქმნების შენგან ნურა რაჲსამე ჰამბისა მათისა დაკლება წინაშე ჩემსა, მაცნევდე დღე და ღამე ორ ათ ოთხსა ჟამსა შინა, ყოველსა ჟამსა წარმომივლენდე ათსა მალედ მსრბოლსა. სხვა ნურა რაჲ იქმნების საქმე შენი და ესრეთ იყავ განკრძალულ საქმესა ამასა ზედა, ესე ათისა საჭურჭლისა გასაღები მიიღე და, თავმან დილარისამან, უკეთუ ერთიცა მცირე რაჲმე მოქმედება მათი დაგიფარავს წინაშე ჩემსა, ყოველით სახლეულით შენით მოჰსწყდეთ რისხვითა ჩემითა. წარვედ და ამას ზედა განეკრძალეო“. ყამარ ბადრმან ძრწოლით თაყვანი ჰსცა, მასვე ჟამსა გამოეთხოვა, ბრძანება იგი მიიღო გოჰარ მეფესა და და ჯანუჯან ვაზირსა თანა, მათ მალიად გაჰ-

სთვალეს ურჩეულესნი და ცხენ კეთილნი მალნი მკედრობანი, მიჰსცეს მდივანნიცა მალედ მწერალნი და დაუყოვნებლად ვაისტუმრეს:

აქა ყამარ ბადრის მისვლა დილარისა სპათა შორის, დილარისაგან ცნობა ყამარ ბადრის მისვლისა და საქმესა მასვე ზედა მისგანცა მტკიცედ დადგინება.

რა დილარ მძლეველისა ურიცხვთა რაზმებთა შორის შევიდა ყამარ ბადრ, მასვე ჟამსა მოხსენდა დილარს, მიუწოდა და უბრძანა: „სპასალარო, ჩემსა მზესა, რაჲცა ბრძანება გაქვს, ყოველსავე უნაკლულოდ აღასრულებდე, თუ არა, მზემან მისმან ვისცა წარმოუვლენიხარ, ცადცა აღფრინდე, რისხვასა მისსა ეგრეცა ვერ განერებიო“. მან თაყვანი ჰსცა და მოახსენა: „ძლიერო კელმწიფეო! უკეთუ ბრძანებასა მისსა ვერა აღვასრულებ, მაშა ცოცხალი არღა ვიქნებიო“. მიერითგან იყო მარადის მეთვალე საქმეთა და შემთხვევათა აწერინებდა და, ყოველსა ჟამსა წარავლენდა ათთა მალე მსრბოლთა ჩაუქთა, შემკრები ვითარებათა მათთა. დილარ მძლეველი ვლიდა გზასა ზედა შვებითა და მხიარულებითა, პურობითა და ნადიმობითა, გაჰსცემდა მრავალთა საჭურჭლეთა და აღავსებდა დიდთა და მცირეთა. ვიდოდეს ვითარ ერთი თვე ამოჲთა სიარულითა და გარდახდნენ მდინარისა რასამე შვენიერისა პირსა უზომოდ ტყიან ველიანსა. დილარმან ჰბრძანა მას ადგილსა პურობისა გამართვაჲ და მყისად აღასრულეს ბრძანება მისი, დასხდეს და შეიქმნა მხიარულება დიდი.

აქა შვენიერისა მის მდინარისა კიდესა ზედა პურობასა ზედა და დიდისა მხიარულებასა შინა მის სახელოვანის სპასალარისა მარსის კაცის მოსვლა წინაშე დილარ მძლეველისა და მოხსენება ჰინდოთ მეფის სპასალარისა ჰინდოსა და მარსისა ბრძოლისა:

მას მხიარულებასა შინა მოვიდა კაცი მარსი სპასალარისა, თაყვანი ჰსცა და მოახსენა: „დღე გრძელდინ დილარ, მპყრობელი ყოვლისა ქვეყნისა! მოვიდნენო მის დიდისა მდინარისა კიდესა ზედა სამნი ძლიერნი სპასალარნი მათ მომავალთა კელმწიფეთანი, ურიცხვითა რაზმითა ჩამოხდენ და მყისად შემოეთვალათ სპასალარისა ჩვენისა თვის დაგდება გზისა და დამორჩილებად მათდა. მათსა შემოთვლილებასა ზედა განჰრისხდა მარსი და შეუთვალა: „უბადონო, ვითა კადნიერობთ სიტყვათა მაგათ? ნუ თუ არა გასმიათ ცადმდე ამაღლებული პატრონი ჩვენი დილარ მძლეველი, მპყრობელი მზისა ქალაქისა, აბაშეთისა და მრავალთა სხვათა ქვეყანათა მბრძანებელი და ყმანი მისნი, ვითა ლომნი, რაზმთა მფრეწელნი! აწვე შეგანანოთ შემოსვლა ქვეყანისა ამის კიდურსა ზედა და დაგამწაროთ სიცოცხლე თქვენიო". ამას შეთვლილობასა ზედა ვითა მკეცნი განძვინებულ იყვნენ სპასალარნი იგი და, შემოეთვალათ ფიცხელად, ვითა: „ხვალე გამოვედ მოედანსა ზედა და გიჩვენოთ ჭაბუკობა შენიო". მეორესა დღესა შეიჭურნენ ორ კერძოვე, და შეჰქმნეს საყვირთა კმიანობა და იყო მოსაწევარი დიდი. მაშინ მიერით კერძო გამოვიდა სპასალარი ჰინდოთა მეფისა ჰინდო, შემოაგდო ცხენი ველსა ზედა და შემოჰსძახა, ვითა: „გამოვედ, აბაშო, და ნუღარა იყოვნი, თუ ჯაბანი არა ხარო". ამას კმასა ზედა გაჰყვა მარსი და შეჰსძახა კმა ხაფად, ესრეთ:

შ ა ი რ ი:

თუ ჯაბანი ვარ, გაჩნდების ამა ბრძოლისა ველებსა,
ვინ მარჯვედ იპყრობს სადავეს ანუ მახვლსა ჭმჭრელებსა,
ლახტსა და გურზსა მძიმესა, ძარღვთაგან სისხლთა მღვრელებსა,
ისარსა, შუბსა, კინენსა, გმირთა ქვე დამცემელებსა.

ვით შეუდრკების ომსა-და მამაცი სიმხნის მქონები,
ბრძოლასა შინა ვით იქმნეს გმირი სიკვდილის მგონები,
ჰსჯობს, მტერთა იყოს შემდრეკი, დამჩაგრი, დამაღონები,
არ დიაცურად შემკრთალსა ჰსდიოდეს ცრემლთა ფონები.

არად უჩნდეს მტერთ ქადილი, ქედ მაღლობა, ფიცხელობა,
ამაყური შეძახილი, უშვერის თქმით მკიცხველობა,
ჰკამს, ლომ გულსა ზესთა არსის ჰქონდეს ფარვის მთხოველობა,
მას თუ ჰნებავს, მტერთა ზედა დაშთეს დიდად მძლეველობა.

რასა მექადი, ჰინდოო, მე ძალსა ძლიერებასა,
აცადე დროსა, ვითა იქმს შენთა დღეთ შემოკლებასა,
თუ ჭაბუკი ხარ, ესე ჰსჯობს, სხვა ჰკმობდეს შენსა ქებასა,
მაგა ქიდილით შორით ვჰგრნობ მე შენსა დასუსტებასა.

აწ ჟამი ითხოვს ორთავე ძალისა გამოჩენასა,
მახვლთ ფიცხელად კმარებას, გოლიათებრად რკენასა,
ასაილისებრ მკვირცხლადდა ურთერთის გარე რბენასა,
ვინცა ყე ჰსძლიოს, მაშინღა მან მისცეს გული ლხენასა

რა მარსი სპასალარმან შაირნი ესე დაასრულნა, მყისად ეკვეთნეს ერთი ერთსა სასტიკითა კვეთებითა, ჰინდომან დაუწყო ისართა სროლა და თავმან კელმწიფებისა თქვენისამან, ესრეთი მშვილდლობიანი იყო, რომე რა მისგან სრეული ისარი

მარსის დაჰსცდის, მიწასა შინა ესრეთ დაიმალის, რომე ნაალაგევიცა არლა გამოჰსჩნდის. ჰქონდათ ბრძოლაჲ ძლიერი და იყო საყვირთა კმიანობა ჯაბანთა გულისა განმდრეკი. მესისხლედ მმულრობელნი ერთი ერთსა ზედა, გაჰსდგიან შორად და შეუტევიან, ჰსციან თავსა ზედა გურზი და ლახტი და მათგან ნადენი ოფლი ჰრწყვიდა ქვეყანასა, ვითა წყალი წვმისა. გაჰსდგა ჰინდო იგი შორად, დააგდო ლახტი და კრმლითა შემოუტია, ავჟანდათა ფერკნი დაიდგნა და შემოჰსძახა: „აჰა აბაშო, მოვიდა დღე სიკვდილისა შენისაო“, ჰკრა ძლიერად მუზარადსა ზედა და თავსა გარდაალეწა, კვლა სხვა კრმალი ჰკრა მკარსა ზედა და იგიცა დავეილეწა. მესამესა კრმალსა კელი მიჰყო და მოუხდა, ჰგონებდა მით შუა განკვეთასა. მარსის ბრძოლასა შინა ჩაბალახისა ჯაჭვი ზე შეჰკვეცოდა. ჰკრა კისერსა ზედა ძლიერად და სისხლმან ზე გარდმოასხა. გამხიარულდა ჰინდო და მარსის დაუმძიმდა, გარნა არა რაჲ ჰსთქვა. დაკოდილმან, ვითა ლომმან, შეჰსძახა, მოისვა კმალსა კელი, მიუხდა და შეჰყივლა: ბედ მლაშეო, გაჩვენო ნაკვეთიანობა კრმლისა ვითარი უნდაო“. მარსის შეტევებასა ზედა თურე შეშინდა ჰინდო და ფოლადისა ფარი თავსა იფარა. მარსიმ ჰკრა კმალი ფარსა ზედა, გაჰკვეთა ფარი, ჩაბალახი, ჯაჭვი, პოლოტიკნი რკინანი, თორნი და ჰინდო სპასალარი ცხენითურთ შუა გაჰკჳეთა. რა მათმან რაზმმან სიკვდილი ჰინდოსა იხილეს, ერთობით შემოუტიეს და დაჰკივლეს. რა ჩვენ კერძო მოყმეთა თქვენთა, ყამჩარყან სპასალარმან და სპათა ჩვენთა იგი იხილეს, სამ ასისა ათასითა მკედრობითა გულ მესისხლედ მიმართეს, მარსი გამოაბრუნეს და თვით მათ შიგან გაერივნეს. ღმერთმან ორგულთა თქვენთა დაჰმართოს, რაჲცა მათ შეედვათ: მას დღესა სამ ასი ათასი გულოვანი მებრძოლი დაჰსცეს და მწუხრისა შემოსვლისა ჟამსა ჰსცეს გასაყარსა საყვირსა და გაიყარნენ მმულრობელნი შემდგომისა დღისა თვის. რა ჩვენნი ძლევა შემოსილნი მოვიდნენ, მიულოცეს გამარჯვება ერთმანერთსა და შეჰქმნეს პურობა და მხიარულება. მას პურობა-

სა ზედა მოეგზავნათ მოციქული მათ სპასალართა მარსის თვის და ესე შემოეთვალათ: „ვითა დაკოდილი ხარ და ბრძოლა არღა ძალგიძს, მოგვიცია სამი დღე პაემანი, ამა სამსა დღესა უკეთუ გიჯობდეს, მოვიდ და დაამორჩილე თავი შენი კელმწიფეთა ჩვენთა და უკეთუ არა მოგვისმენ, ესე იცოდე, უსიკვდილოდ კელთაგან ჩვენთა ვერღა განერებიო“. რა იგი მოციქულობა მარსიმ მოისმინა, ვითა ცამან, შეჰსჭეხა და უბრძანა მოციქულსა მას: „მე თვით მომიცია სამი დღე პაემანი. მკვდარნი თქვენნი დაიურვეთ და მეოთხესა დღესა სახელითა პატრონისა ჩემისა დილარ მძლეველისათა თქვენცა მის მოძმისა თქვენისა კვალსა შეგიყენებთო“. უბოძა მოციქულსა მრავალი, ტანსა შეჰმოსა და გაისტუმრა. ჩვენცა მასვე პურობასა ზედა გვიბრძანა, რათა ესე ჰამბავი წინაშე კელმწიფებისა თქვენისა კვარცხლბეკისადმი დაგვემხო და აჰა წინაშე ვართო“. დილარს რა თვისისა სპასალარისა დაკოდილობა ესმა, თუმცა წესი იყო დამძიმებოდა, გარნა არა რად მიიჩნია, უმეტესად განმხიარულდა, მათ მახარებელთა ასი ტკრთი ოქრო უბოძა და პურობასა ზედა დასხნა. იწყეს კვლა სმა ღვინისა და მხიარულება. მაშინ მოახსენეს დილარ მძლეველსა ლასურ და ფარსმან, ვითა: „კელმწიფეო დიდო, ესე არს სამართალი, რომე გზასა ზედა ადრე ვიარებოდეთ და ბრძოლასა მათსა მივესწრათო. დილარ ლასურს და ფარსმანს ყელსა გარდაეხვია, პირთა აკოცა და უბრძანა: „საყვარელნო ძმანო ჩემნო, ვჰფუცავ სიყვარულსა თქვენსა, რომელსა ბრძოლასა შინა სპასალარი მარსი და მოყმენი ჩემნი ჩემთანა იქმნებიან, თუმცა ყოვლისა ქვეყანისა ქაჯნი, გრძნეულნი და დევნი ფერიაებითურთ მებრძოდენ, ესრეთ არად შევრაცხ, ვითა უბადოთა კაცთა ბრძოლასა და უკეთუ სპასალარსა ჩემსა მარსის ახსოვდა ჩემ თანა ზრდილობა, მის თვის მათ ზედა ბრძოლასა არა ვზრუნავ და ესე უმჯობეს არს, რათა გზასა ზედა მხიარულებით და შექცევით ვიარებოდეთო“. ესე ჰბრძანა და გამხიარულდა დილარ, ერთსა სწორსა მუნით არღა აიყარა, უმატა გაცემა გაცემასა ზედა და მხიარულება მხიარულებასა.

აქა კვლა მოსვლა კაცთა სპასალარისა მარსისათა წინაშე დილარ მძლეველისა და მოხსენება მათ ორთა გულოვანთა სპასალართა ზედა ძლევისა სპითურთ მათით და მოხსენებაცა სამთა მათ ძლიერთა ჴელმწიფეთა მოსვლისა და გარდა ხდომა ნასადგომევსა მათ სპასალართასა.

Ცვალად მოვიდნენ კაცნი სპასალარისა მარსისა, თაყვანი ჰსცეს დილარ მძლეველსა და მოახსენეს: „სუფევითმცა არს ჴელმწიფება თქვენი, მონა ფერკთა მიწისა თქვენისა მარსი, თაყვანის მცემელი დიდებულისა ტახტისა თქვენისა, ისურვებს მშვიდობასა თქვენსა და ესე მოგახსენათ, ვითა: „მომავალთა მათ ძლიერთა ჴელმწიფეთა წარმოევლინათ რა სპასალარნი თვისნი, პირველმან მან მიიღო ნიჭი ღირსებისაებრ თვისისა და კვლა სხვათა მათ ორთა დამდებთა პაემნისათა ჩემდამო, გამიწვიეს ბრძოლისა მერესა ზედა, გარნა სახელითა თქვენითა და მოყმეთა თქვენთა ძლიერებითა ვჰსძლიე მათ და შეუდგინე კვალსა მოყვსისა მათისასა და რაზმიცა მათი უკანა შეუდგინე პატივის ცემად მათდა, რომელსა შინა, თავმან ჴელმწიფებისა თქვენისამან, მხნედ და ძლიერად იყვნენ სპასალარი ყამჩარ ყან და სპანი დიდებულისა და კეკელისა საჴელმწიფოჲსანი და აწ აჰა ესერა მოვიდნენ დიდნი იგი ჴელმწიფენი, გარდახდნენ და იქადიან ყმათა მათთა სისხლისა ზღვევინებასა ჩემგან. მე, მონასა თქვენსა, უკეთუ მაქვს რაჲმე თქვენ თანა ზრდილობისა ნიჭი, ცოცხალი არა შეუდრკე სიქადულსა მათსა და სხვებრ, რაჲცა იყოს ნება ჴელმწიფებისა თქვენისა, იგიცა აღსრულდესო“. რა დილარმან ჰსცნა ჰამბავი სპასალარისა თვისისა, მათ კაცთა მრავალი უბოძა და ჰბრძანა: „აწე ჯერ არს, რათა შემწე ვექმნათ ყმათა ჩვენთაო“. იგი დღე და ღამე სმასა და პურობასა შინა გაატარეს და მეორესა დღესა ჰკრეს მრავალთა ადგილთა ასაყრელთა ბუკთა ნაფირთა და მრავალ გვართა საყვრთა, აიყარნენ და გაემართნენ მოსწრაფედ. განვლეს ვითარ შვიდისა დღისა სავალი და მიიწივნენ მუნ, სადა ჰქონდათ

ბრძოლა ძლიერი დილარისა ყმათა და მათ კელმწიფეთა რაზ-მთა.

აქა დილარ მძლეველისა და ყოველთა მათ კელმწიფე მეფეთა და მჴე-დრობათა მათთა ზედა მისწრება ბრძოლასა შინა მარსისა და მოძმეთა მისთასა.

დიდთა მათ კელმწიფეთა მიეცათ ბრძანებაჲ ათ-ხუთმეტ-თა ასი ათასთა გამოცდილთა გმირთა თვის, რათა სრულებით შეეპყრათ ყმანი დილარისანი და გარე მოსდგომოდა ეგეოდე-ნი სიმრავლე ფალავანთა, რომელთა არცა რიცხვი იყო და არცა შეგება და გაღანამცა სპასალარი მარსი ხუთ ასითა მით მოყმითა იყვნენ სასტიკად მბრძოლნი, ვითაცა შვენოდა სიმ-კნესა და გულოვნებასა მათსა და მათ თანა სპასალარი ყამჩარ ყან და სპანი მზისა ქალაქისანი, სამი დღე და ღამე განუსვე-ნებელი ბრძოლა ჰქონებოდათ და ეხოცათ მრავალნი გულო-ვანნი ჭაბუკნი, გამესისხლებულნი იზახდეს სახელსა პატრო-ნისა თვსისასა და შთამოჰჴრიდეს მეომართა, ვითარცა ხეთა ფურცელთა, და მეოთხესა დღესა შევხვდით რა ზედა სასტიკსა მას ბრძოლასა, ჰბრძანა დილარმან: „ვერა ჰხედავთა ყმათა ჩემ-თა ურიცხვნი რაზმნი გარე მოსდგომიან და ებრძვიანო?“ მას-ვე წამსა შემოუძახა მოყმეთა თვსთა, ვითა: „ჩემსა მზესა, მი-დით და ძმათა თქვენთა შემწე ექმნენითო“. მათ მსწრაფლად თაყვანი-ჰსცეს, დაიწოდნეს კრმალნი და მიჰმართეს სადაცა ის-ისმოდა კმა ბრძოლისა ძლიერისა და მყისსა შინა ერთად შე-იყარნეს, სადა ძმანი მათნი იბრძოდეს, დაჰსძახეს მხიარულე-ბით და ჰრქვეს: „აჰა, ძმანო განძლიერდით, მოსამევედითო“. რა მბრძოლთა მათ თვისნი იგი ძმანი იხილნეს, განმხიარულ-დეს, კმალნი უელვნეს და უყივლეს: „ვაშად მოხვედით, სჯან-მცა არს პატრონი ჩვენიო“. მაშინ შეიქმნა უსასტიკესი ბრძო-ლა. მაშინ ანიშნა თვალითა დილარმან ფარსმან მეფესაცა მი-

სვლა მათ ზედა სპითა თჳსითა, რომლითა ფარსმან მოხარულ იქმნა, თაყვანი-ჰსცა და მსწრაფლად მიჰმართა გულოვანთა რაზმთა თჳსთა თანა მიყოლითა წითლისა კაპებ მოსილითა ჯაჭვთა გარე შეერთდენ დილარისა მოყმეთა და დაჰსცეს რისხვა ღვთისა მბრძოლთა ზედა. ჰსდიოდა სისხლი მათი ვითა ღვარი და ალივსო მძოვრითა მათითა ქვეყანა. სამსა ჟამსა ზედა ესრეთ მოჰსწყვდნეს, რომე ერთიცა ვერღა განერა და მეოთხესა ჟამსა მათ კელმწიფეთა აკვრევინეს გასაყარსა საყვრსა და გაიყარნენ. ჩვენნი შემოიქცნენ მხიარულნი, მოვიდნენ და დილარს გამარჯვება მიულოცეს. დილარმან ფარსმან მეფესა პირსა აკოცა და მადლობა უბრძანა. მერმე ყამჩარყანს უბრძანა მადლობა და პირსა აკოცა, მერმე მარსისა სპასალარსა და მოყმეთა მისთა და ყოველთა მას ბრძოლასა შინა მყოფთა დიადი მადლობა უბძანა. შემდგომად ჰკითხა დილარმან მარსის, ვითა: „ჩემსა მზესა, ვითარნი არიან ბრძოლასა შინა იგი მოპირისპირენი ფალავანნიო“. სპასალარმან თაყვანი ჰსცა და მოახსენა: „ჰსცხოვნდი კელმწიფეო კელმწიფეთაო, თავმან თქვენმან, მეომართა უკეთესო არღა ეგება, გარნა სადაცა თქვენ და ძმანი თქვენნი იქმნებით, მუნ მბრძოლნი უცილოდ გაწბილდებიან, გარნა ესეცა მოგახსენო, ჰინდოთა მეფის ქებასა ესრეთ მოგახსენებენ, რომ, კაცთა ნეთესავი მისისა ლახტისა ცემასა ვერა გაუძლებსო, თუმცა ახლავან უთვალავნი გულოვანნი გმირნი და ფალავანნიცა, გარნა მათ შორის ერთსა კვლა იტყვიან თჳსისა კელმწიფისა არა დია ნაკლებსა მეფესა და ამირბარად სახელდებულსა სარრიდანს და კვალად ბაბილოვნისა მეფისა ქებასაცა დიადსა იტყვიან და ეგრეთვე ეგვიპტისა მეფისასა და მრავალთა სახელოვანთა ფალავანთა არაბთასა. აწ კელმწიფეო, ბრძოლანი ფიცხელნი წინა გვისხენან და, რაჲცა იქმნების, განგებასა ვერ ვინ შეჰსცვლისო. რა მარსიმ ეგე ვითარნი სიტყვანი მოახსენა, გაიცინა დილარმან და უბრძანა: „მარსი მარსი! ჯაბანი ხარ და შენებრ გულ მკრთალი სხვათაცა გულსა გაუტეხს. აწ ჰსჯობს ესე, რათა

ამა გულოვანთა განგაშორო. მნებავს გაგგზავნო და შენსა სატრფოსა ზეფირსა თანა და მუნ დაჰკრძალო თავი შენიო. ესე ალაგი გულოვანთა არს და არა შენებრ ჯაბანთაო“. სპასალარმან, განმხიარულებულმან, მოახსენა: „დიდო კელმწიფეო, შენმან მზემან, ამა ადგილით მარსი თჳსსა პატრონსა ირა მოშორდების მით, რომე რაზომცა ჯაბანი ვიყო, დაკოდასა, ჩამოგდებასა და სიკვდილსა სიყვარულისა თქვენისა თვის ეგრეცა არა ვექცევი, გარნა ნეტ რ თუმცა ერთსა ოდენ ჟამსა ზეფირსა თანა კვალად დამატკბო და შემდგომად არღარას ვინაღვლიო. რა პატრონ ყმამან ესე ვითარად ილაღობეს, მერმე ჰბრძანეს პურისა მოღებაჲ. მყისად მოიღეს და შეჰქმნეს სმა და შექცევა უმეტეს სხვათა დღეთასა.

აქა უდიდებულესისა მის დილარ მძლეველისა ერთ გულისა გრძნეულთ მეფისა გარშარაბის მოსვლა მრავლითა და გულოვნითა მკედრობითა წინაშე დილარ მძლეველისა და განმხიარულება დილარისა:

განმრავლებასა მას მხიარულებისასა მყისად ეტიკთა შეჰქნეს ყივილი, ვითა: „მოვიდა უთვალავი რაზმი გულოვანთა აღჭურვილთა მკედრობათა და შემოეთო სპათა ჩვენთაო“. დილარმან ჰბრძანა შეტყობა ვინაობისა მათისა. რა მცირემან ჟამმან განვლო, მოვიდა დიდი იგი მეფე გრძნეულთა ქვეყანისა გარშარაბ ოთხასისა ათასისა ჰრჩეულითა ჭაბუკითა, გარდახდა თვისთა დიდებულთა კრებულითა. შემოვლო კარნი კარავთანი, თაყვანი ჰსცა წინაშე ტახტისა დილარისა, კელსა აკოცა და მოახსენა: შემინდევ კელმწიფეო და პატრონო ესოდენ დაყოვნებისა თვის და მომიტევეო. დილარმან პირსა აკოცა, სიყვარულით მოიკითხა და ესრეთ გამხიარულდა, რომე უმეტესობა არღა ეგებოდა. ახლოს თვის წინა სამეფოსა ტახტსა ზედა დასვა. პური დაუგეს და დილარმან თჳსსა სახლისა უხუცესსა და მეფესა საურმაგს უბრძანა: ჩემსა მზესა, აღჰსდევგ

და, ვითა მაქვს შენგან იმედი, ეგრეთ ჰხვდებოდე ყოველთა ყმათა გარშარაბ მეფისათა და ნუმცა იქმნების დაკლება მათი რაჲცა სანოვაგე წინაშე ჩემსა მოვიდოდესო, და ესრეთ ჰუნ-ეთა და ხვასტაგთა მათთა თვს იყოს ყოველთა დღეთა ყო-ველსა შინა სიმრავლე და მოუკლებლობა, უკეთუ გიყვარმეო. საურმაგ მსწრაფლად აღსდგა, თაყვანი ჰსცა, გარე გამოვიდა და უბრძანა თვსთა კელ ქვეშეთთა, უჩინნა მრავალნი მეს-ტუმრენი, მელვნენი, მუჯირნი, მევაჟინენი და თავს მდგო-მელნი მონანი და მსახურნი და ამცნო გარდამატებით გან-მრავლებაჲ ყოველთა ურჩეულესთა ნოვაგთა, სასმელთა და ჭამადთა მოუკლებელად ყოვლისა თვის ჟამისა და გალანამცა აღსრულდა ბრძანებისაებრ დილარისა. უყვარდა ფრიად დი-ლარს მეფე გარშარაბ და მას ჟამსა მოსვლითა, მისითა თუ ჰსთქვა, განექარვა ყოველი ჭმუნვა გულისა თვისისა. ჰკით-ხვდა ჰამბავსა მისისა ქვეყანისასა და ისმენდა მოხსენებულსა მისსა სიხარულით. რომელმანცა მოახსენა მათ მოოხრებულ-თა ქალაქთა და ქვეყანათა უშვენიერესად და უკეთილესად აღშენებაჲ და ერთა დასახლებით განმრავლებაჲ. დილარ, აღვ-სილი მხიარულებითა, უბრძანებდა: „Ⴠე მეფეო გარშარაბ! ნუმცა მომაკლდების უბნობა ეგე შენი, რომელსაცა მივიღებ უმეტეს ყოვლისა სიტკბოებისა და თანა მაძს ნაცვალ გებაჲ შენისა მაგის სიყვარულისა და ერთგულებისა და უკეთუ ვარ მე დილარ მძლეველი, აღვასრულო თქმული ჩემიო“. რა იგი კელმწიფენი და მეფენი ერთმანერთისა ჰვრეტითა დამტკბარ-ნი იხარებდეს და ჰსმიდეს ღვინოსა,

აქა მას მხიარულებასა ზედა მოსვლა სრულისა ძალისა მქონისა დესპანისა მათ ძლიერთა კელმწიფეთა ჭინდოთა, ბაბილოვნისა და ეგვიპტისათა წინაშე დილარ მძლეველისა აბაშთა და მზისა ქალაქისა კელმწიფისა:

მას ჟამსა მოვიდა სრულისა ძალის მქონებელი დესპანი მათ სამთა დიდთა კელმწიფეთა და წარმოადგინეს პურობასა-

ვე ზედა წინაშე დილარ მძლეველისა. რომელმანცა თაყვანი ჰსცა და მოახსენა მათ კელმწიფეთა მაგიერად, ვითა: კელმწიფეო დილარ მძლეველო, ვინაჲთგან განგებასა მოუცემიეს შენდა ეგე ვითარი ძლიერება და დაგიპყრიან ქვეყანანი ესრეთნი, რომე სხვათა კელმწიფეთა და მეფეთა მრავალთა სახელნიცა მათნი არა ჰსმენიათ, აწ ჩვენცა მოვსრულ ვართ აქა, დიდნი კელმწიფენი და დიდთა ქვეყანათა მპყრობელნი შენ მაღალსა ნებასა ჩვენსა წინა აღმდეგად გინა ანტაკრად გამოჰსჩენიხარ და გნებავს მკლავთა შენთა ძლიერებითა ჩვენი უკუნ ქცევაჲ. ძმაო ჩვენო, ეგე აგრე არა ეგების. თუ გნებავს ჩვენიცა ნება ესე არს, რათა არა მოჰსწყდებოდნენ ცუდად ყმანი ჩვენნი, არცა ყმანი შენნი, მით რომე მათ ბრალი არა რაჲ აქვსთ. უკეთუ კარგი ჭაბუკი ხარ, გამოვჰსცადოთ ბრძოლისა ასფადელოჲს ურთიერთი და რომელმანცა ვჰსძლიოთ, მასცა დავემორჩილნეთ და უბრალოთა სულთა სიკვდილსა განვეკრძალნეთ, მით რომე სისხლნი მათნი კელთაგან ჩვენთა გამოიძიებიანო. რა მან დესპანმან ესე ვითარნი სიტყვანი მოახსენა დილარ დიდსა, მხიარულებასა მიეცა, დესპანი იგი მრავლითა ნიჭითა აღავსო და უბრძანა: „ძმაო ხარ ვინმე კეთილი კაცი და კეთილთა ჰამბავთა მომთხრობელი და ვინაჲთგან ეგრეთ განუზრახავთ მათ დიდთა კელმწიფეთა, მეცა დავემორჩილო ბრძანებასა მათსა და ხვალე რომლისაცა ნება იყოს, მოედანი დაამშვენოსო. დილარმან ეგე ვითარითა ტკბილითა სიტყვითა დესპანი იგი გაისტუმრა და თვით არავე მოეშალნენ სმასა და მხიარულებასა ვიდრე ღამისა განზოგებადმდე და შემდგომად მოშალეს პურობა და მიეცნენ ძილსა ამოსა. რა მეორესა დილასა ცისა სფერომან ჰაერმან და ქვეყანისა კიდეთა თვისი იგი განმანათლებელი მნათობი უმეტესად განმაბრწყინვებლად უცხოდ რადმე სინაზით აღმომავალი იხილეს და კაცთა თვალთა შარავანდედნი მისნი მიეფინათ, მასვე ჟამსა დიდი იგი კელმწიფე ჰინდოეთისა შეჰურვი-

ლიყო, მოედანსა ზედა. ჰსდგა და თანა ახლდა ჩინებული იგი ამილბარი თჳსი სარრიდან.

აქა დილარ მძლევველისა და ჰინდოთა კელმწიფისა ფახფურისა და ამილბარისა მისისა სარრიდანისა ბრძოლა ძლიერი, დილარ მძლევველისაგან ძლევა მათი და შეპყრობა.

შეიქმნა განძლიერებული კმა საყვირთა. მოდგნენ სპანი ყოველნი ჭვრეტად მათ ძლიერთა კელმწიფეთა ბრძოლისა. ჩვენ კერძოცა აკვრევინა დილარმან სახიობათა, მალიად შეიჭურა, მარსიცა თანა გაიყოლა და მივიდნენ ბრძოლისა ადგილსა. რა ფახფურ კელმწიფემან დილარ დაინახა, წინა მოეგება და ჰრქვა: „დილარ მძლევველო, მოხარული ვარ ხილვისა თვის თქვენისა, გარნა არა ესრეთსა ადგილსა მინდოდაო“. ესე ჰსთქვა და, ვითა ჟამი ითხოვდა, იწყეს ბრძოლისა მოსწრაფებაჲ. ფახფურმან აწვა პირველად იარაღისა ჴმარებად დილარსა, გარნა არა ინება და ჰრქვა: სტუმარი ხარ და შენდა ჯერ არსო. მაშინ მიჰყო კელი ფახფურმან ვეშპის სახედ შექმნილსა ფოლადისა ლახტსა, სამ გზის თავსა დაიბრუნა, შეჰსძახა და შემოუტია. სასტიკითა რითმე ქცევითა მოუხდა და ესრეთ ძლიერად ჰკრა თავსა ზედა, რომე დიდად აქო დილარმან მკლავთა მისთა ძლიერებაჲ. კვლა მოუხდა და ორ გზის უძლიერესად ჰსცა, გარნა დილარ უვნებელად გარდაურჩა. დაჰსჭმუნდა ჰინდოთ მეფე და ჰსთქვა: „ლახტი ჩემი მთასა მასშაიჯანაბათისასა ჰსცემოდა, იგიცა დაირღვევოდა და ესე ვითა იქმნა, რომე დილარ უვნებელად გარდაურჩაო“. განჰრისხდა, ბასრსა კრმალსა კელი მოისვა და მესისხლედ შემოუტია, ჰსცა ჩაბალახსა ზედა და კრმლისა ნალეწნი შორად განიბნივნეს და ფახფურ დაშთა სურვილისა თვისისა აღუსრულებელად. კვლა უმეტესად განრისხებულმან გამოჰსცადა ყოველი საჭურველი თვისი და ვერა რომლითამე მიიღო კმა ყოფაჲ

ძალისა თვისისა მოიმედემან; დაჰგმო თავი თვისი და ყოველი საჭურველი თვისი ქვე დააწყო, გარდახდა ცხენით, ჯაჭვის კალთანი სარტყელსა შთაიპყრნა, საგდებელი მოიმარჯვა და დილარისა მხართა გარდააცვა, ესრეთ ძლიერად გაზიდანა, რომე დილარისა ცხენი ქვე დაჰცა, დილარ მისსა ეგეთსა ძალსა ზედა იხარებდა, ცხენით გარდახდა, მას საგდებელსა კელი მოავლო და იჩქითად გამოზიდა, რომე ფაფხურ კელმწიფე ახლოს თჳსსა მოიყვანა, მან საგდებელი დილარს დაანება და კელ და კელ რკინობა გამოჰსთხოვა. აბაშთა მფლობელი მას ზედაცა დამორჩილდა და შეჰქმნეს რკინობა. დილარ თვისისაებრ ნებისა ამოდ რკინობდა და ჰინდოთა კელმწიფე ძალსა თვისსა მას ზედა დაასრულებდა და მეტითა მოჭირვებითა ძალი შემოაკლდებოდა, ვიდრე ორი ჟამი კბილ ღრჭენით ჰსცდილობდა დილარისა ძლევასა და რა დილარმან შეატყო ძალისა მოკლება, სარტყელსა კელი ჩაავლო. აღიღო მაღლად და თჳსსა სპასალარსა შეჰსტყორცა. რა ჰინდოთა ამილბარმან თვისი პატრონი ეგრეთ უპატიოდ გატყორცილი იხილა, გულსა ცეცხლი მოედვა, მოუხდა დაქვეითებულსა დილარს ზურგით კერძო და ძლიერად ჰსცა ლახტი თავსა ზედა, დილარ განჰრისხდა მუხთლობასა მისსა ზედა, მიჰყო კელი ცხენსა და კაცსა, აღიღო მაღლად, დაჰსცა ქვეყანასა ზედა, ცხენი მოჰკვდა და საბრალო ამილბარი უცნობო იქმნა.

აქა ბაბილოვნისა კელმწიფის ვილოსისა და აბაშთა მპყრობელისა დილარ მძლევულისა ბრძოლა და დილარისა მიერ დიდისა და ძლიერისა ბაბილოვნის კელმწიფისა ვილოსის ძლევა.

ოდეს ბაბილოვნისა ძლიერმან კელმწიფემან ვილოს ჰინდოთ მეფე და ამილბარი მისი ძლეულნი იხილა, შემოიგდო ცხენი და შემოჰსძახა დილარს, ვითა: „გაჯედ ცხენსა და გიჩვენო ჭაბუკობა ჩემიო“. მისსა კმასა ზედა მალიად მოახლ-

ტა ცხენსა ზედა დილარ და წინარე მიეგება. ვილოს თვსისა ძალისა მინდობილი ჰგონებდა ნაომარსა დილარსა უადრეს ვჰსძლევო, მოუხდა და სამ გზის ძლიერად ჰსცა ლახტი თავსა ზედა და რა ლახტითა ვერა რაჲ ავნო, მოისვა კმალსა კელი, მოუხდა და შეიმაღლა დასაკრავად. მაშინ მიჰყო კელი დილარმან, კლმიანი კელი შეჰსტაცა და მეორითა კელითა სარტყელსა ჩაავლო, აზიდნა, ალიღო და ქვეყანასა ზედა დაჰსცა და შებნდა, იგი უსწორონი გმირნი და კელმწიფენი, უპატიოდ მარსი სპასალარისაგან კელ შეკრულნი, ველსა ზედა ეყარნენ, ვითა უსულონი.

აქა დილარ მძლეველისა და დიდისა ეგვიპტისა კელმწიფისა ფაროსის ბრძოლა სასტიკი და დილარისა მიერ ფაროსისაცა ძლევა და შეპყრობა.

მაშინ ეგვიპტისა კელმწიფემან ფაროს დაჰქროლა, ვითა თერხვსა ქარმან, და ათი ათასითა ჰრჩეულითა არაბთა ფალავანითა შემოუტიეს პირ ბასრითა შუბებითა. დილარმან რა მათი ეგრეთი ღაფლობა იხილა, შეჰსძახა: „ბედ მლაშენო, სით განერნეთ კელთაგან ჩემთაო და მაგა თქვენისა ღადრობისა თვის ჩემგანცა ნაცვალი მიიღოთო“. მალიად მიუხდა კელმწიფესა მათსა, მოჰგლიჯა უნაგირისაგან, სხვათა არაბთა შეჰსტყორცა, განრისხებულმან ალილის ცხენი და კაცი, შეჰსტყორციდის სხვათა და ეგრეთ ჰხოცდის არაბეთსა შინა გამოჩინებულთა ფალავანთა. რომელმანცა ორსა ჟამსა შინა ყოველნივე სიცოცხლესა მოაკლო. უბადოთა მათ სამთა კელმწიფეთა რაზმთა, რა თვსნი პატრონნი კელმწიფენი კელთა შინა მტერთასა იხილნეს, ვერღა მოითმინეს და ერთობით შემოუტიეს.

აქა სამთა მათ დიდთა შეპყრობილთა კელმწიფეთა რაზმთა და კადუზიანელთა მეფისა ფარსმანისა თვისითა ყმითა ბრძოლა და მათ ყოველთა უმეფოთა სპათა დაპყრობა და გამარჯვება ძლიერისა ფარსმანისა მიერ:

Dილარ მძლეველსა შეჰბრალდა იგი უმეფონი რაზმნი, უკვმოიქცა თვისთა ძმათა თანა და უბრძანა ფარსმან მეფესა, ვითა: ჩემსა მზესა, მიიყოლენ ყმანი შენნი და შეანანენ საბრალოთა მათ სიფიცხლე გულთთა მათთა, სიკვდილსა ერიდენით და დაიპყრენითო. ფარსმან მოხარულ იქმნა, მსწრაფლად აღუზახნა ყმათა თვისთა, ჩვეულებისაებრ ჯაჭვთა გარე წითლითა კაბებითა შეიმოსნეს და მიეტევნეს მათ უჰამარავთა გულოვანთა მხედრობათა. თავმან თქვენმან, ძლიერად იბრძოდნენ უთაონი იგი ლაშქარნი, გარნა ფარსმან მეფისა ყმათა ხუთსა ჟამსა შინა ყოველნივე დაიპყრეს ბრძანებისაებრ დილარისა და შემოიქცნენ ძლევა შემოსილნი და დაშთათ ყოველნი ბარგი და სამძიმარნი მათნი. მოჰყვანდათ მრავალი ტყვენი სპასპეტნი, დიდებულნი ამირანი და ყოველნი სპანი მათნი. და მოვიდნენ წინაშე დილარისა და მოულოცეს დიდი იგი ძლევა დიდთა მათ კელმწიფეთა ზედა. დილარმან მადლობა უბრძანა და ფარსმან მეფესა საყვარლად პირსა აკოცა, კელი მოჰკიდა და ჰრქვა: „ძმაო, აწ ჟამი არს, რათა იგი დაკრულნი კელმწიფენი ვიხილოთო“.

აქა დილარ მძლევველისა მიერ მათ პყრობილთა კელმწიფეთა თანა მისვლა, განხსნა მათი და ბოდიშისა მოხდა დილარისა მიერ.

Dილარმან იხილნა კელმწიფენი იგი, რომელნიცა დიდად შავებულ იყვნენ ბრძოლასა შინა: ზოგთა მხარი დაჰლეწოდა, ზოგთა ბეჭი და ზოგთა მეჯი. პირველად ჰინდოთ

კელმწიფე მოიკითხა, თვთ კელითა თვსითა განხსნა და ჰრქვა: „დიდო კელმწიფეო, ნუ თუ რაჲ გვნებოდეს კელითა ჩემითა და მე არა ვიცოდე, გთხოვ მომიტეო და ჩემგან არა გულ-კლებულ იყო“. ფახფურ კელმწიფე შვენიერი ყმა კაცი იყო და უცხოდ ზრდილი და მოახსენა ესრეთ:

შ ა ი რ ი

Შე ყოველთა კელმწიფეთა შორის მძლედ განდიდებულო,
ამ საუკუნეს კმელთა ზე მზეებრად განბრწყინვებულო,
თავად ყოველთა მებრძოლთა ზეგარდმო დადგინებულო,
ყოვლითურთ შენთა მეშურნეთ წყალობად განმზადებულო!

Ცისა სფეროს ქვეშე არსნი შენსა ჰკვრან ძლიერებას,
მუზნი ერთად შეჰკრებილნი ჰსთხზვენ და გძღვნიან დიდსა ქებას,
შენნი მტერნი, ჰკამს, კოსითსა*) შთაიფსკერნენ, მით ჰხვდენ ვნებას,
მოყვარეთა შენთა გულნი მარად იყვნენ ლხინსა, შვებას.

Რადგან ღმერთსა უფრქვევია შენ ზედ ესრეთ ძლიერება,
ყოველთ გმირთა კელმწიფეთა თავს გვაძს ამად მსახურება,
დაგამონო თავი ჩემი, მეცა ესე მესურვება,
შენცა გმართებს ამად ღვთისა მადლობა და შევედრება.

Მასმიან შენგან დიდ დიდნი სამაგალითო გმირობა,
სიყმე სიბრძნითა შემკობა და სიუხვეთა ხშირობა,
ევროპას ციკლოპს მეკობრეთ მებრძოლთა ამატირობა,
გრძნეულთ ქვეყნის დალეწვა, მუნ ომთა არა მცირობა.

---

*) ბნელი და საშიშარი ჯოჯოხეთის მდინარე.

ლასურ კელმწიფის მონება და ფარსმან, გმირთა გმირისა,
კადუზიანელთ მეფისა, მტერთაგან ძნელ სამზირისა,
რომლის გმირობით აზია, ჩრდილო, სამხრეთი სტირისა,
მეცა მათთანა შემრაცხო, თქვენგან არს არ საკვრისა.

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

დილარ კელმწიფეო კელმწიფეთაო, ვინაჲთგან მოწყალებით ინებეთ და სიცოცხლე მადროეთ, სამსახურისა თვის გთხოვ, რათა ნება ჰსცე დასტაქართა ჩემთა ბეჭისა ჩემისა განკურნებისა თვის და ვადიდებდე სახელსა შენსა ძლიერსაო. დილარმან რა ფახფურისა იგი თქმულნი მოისმინა, თვალთა ცრემლნი მოედინნა, პირსა აკოცა, ლბილსა საგებელსა შთააწვინა, თვისსა კარავსა მიიყვანა და განუსვენა. მოუწოდა თვისთა ჰრჩეულთა დასტაქართა და უბრძანა ყოვლითა კრძალულებითა განკურნება ფახფურისა. შემდგომად ვილოს დააწვინა ფარსმან მეფისა კარავსა შინა, ფაროს ნუშრევანსა თანა და სარრიდან მარსისა თანა და მათ ზედაცა დაადგინნა იგივე დასტაქარნი, და ვიდრე ყოველთა მათ ვნებულებანი განიკურნებოდეს. ერთსა დღესა ჰინდოთა მეფისა თანა დაიდვის პურობა და ნადიმი გარდაიხადის, ერთსა დღესა ბიბილოვნელსა თანა, ერთსა ეგვიპტელსა თანა და ერთსა დღესა ამილბარსა თანა და ეგრეთ იშვებდეს და მხიარულებდეს მას ადგილსა ზედა ერთსა თვესა და ოდეს ყოველნივე ყოვლითურთ განიკურნნეს, მაშინ ჰბრძანა დილარმან და მათ კელმწიფეთა და სპასთა მათთა ყოველი ბარგი მათი და სამძიმარი უნაკლულოდ მიანიჭა და აუფლნა თჳსთა ზედა, მერმელა დაჰყვეს მასვე ადგილსა ზედა ერთსა სწორსა ნადირობითა და უმეტესითა ლხინითა და შექცევითა, და გაჰსცემდა დილარ ყოველთა ზედა ჩვეულებისაებრ ურიცხვსა თვალსა, ოქროსა და ვეცხლსა და უსასყიდლოთა ოქრო ქსოვილთა ლართა, იგი კელმწი-

ფენი და მეფენი შემტკიცდეს და შეერთდეს ურთიერთისა სიყვარულსა ზედა და ჰქონდათ მოუკლებელი სიხარული. დაამონეს ყოველთავე თავნი თვისნი დილარს და იტყოდნენ ყოველთა ზედა კელმწიფედ და პატრონად. უბრძანა დილარ მძლეველმან სახლისა თვისისა უხუცესსა საურმაგს წანა წარსულად და ყოველთა გარდასახდომელთა ადგილთა განმზადება ყოვლისა სახმარისა უნაკლულოდ და ესრეთ წარსვლად მზისა ქალაქსა შინა, რათა მზა ექმნა ეგოდენთა სიმრავლეთა თვის, ვითარ იგი ჰშვენოდა კელმწიფებასა მისსა. საურმაგ მეფე ბრძანებისა თაყვანის მცემელი, წარვიდა დილარისა ბრძანების აღსრულებისა თვის და დაუტევნა მათთანა სასამსახუროდ მრავალნი ათასნი კელქვეშეთნი თჳსნი, გამოცდილნი სეზოსტრ კელმწიფისა პურობასა ზედა, და ამცნო კრძალვით და მარჯვედ სამსახური მათ ყოველთა სიმრავლეთა, კელმწიფეთა, მეფეთა და სპასთა მათთა.

კარი მეათ სამმეტე

თავი იგივე.

აქა შესვლა დილარ მძლეველისა დიდსა და კეკელასა ქალაქსა მზისა ქვეყანისას დიდითა დიდებითა და მრავალთა კელმწიფეთა და მეფეთა თანა ხლებითა, ურიცხვთა სხვათა და სხვათა რაზმთა სიმრავლითა და მხიარულებითა.

შ ა ი რ ი.

ბრძენთაგან თქმულ არს: „კაცისა გულისა მოხარულისა
პირიცა მოხარულ არსო“. ვირწმუნოთ ძველად თქმულისა,
ვისცა არა ჰრწამს, იხილოს სახე სიტყვერ ქმნულისა,
კარგათ დაეტყოს სახესა ქმუნვა ან შვება გულისა.

ჰსცანთ, განგება მოკვდავს ვისმე თუ კეთილსა დაუქადებს,
პირველ მისცემს შვებას რასმე, შემდგომ სრულად განუცხადებს,
ვის განგება ლხინს შეამთხვევს, მიუუხვებს, განუკვლადებს,
ყოვლით კერძო კეთილს შემოსს, გულს მოულხენს, არ უზა-
დებს;

ვითა დილარს განგებამან ნიშანი ჰსცა პირველ შვების,
ამის გამო წინა უსხნა მბრძოლთა მიერ დღენი ვნების,
მაგრამ ჰგრძნობდა, მომავალნი დრონი ესხნეს განათლების,
მით არ უდრკა მტერთ ზახებას, ჰსცნობდა შვება ეღირსების.

არ ემორჩილა სიყრმითგან თვისის გულისა ნებასა,
პირველ ყოვლთასა ჰსცდილობდა სახელის შეძინებასა,
მტერთაცა ჰსურდა კეთილი მარადის თვისს გონებასა,
მყუდროება და სიმდაბლე აძლევდა განშვენებასა.

სიყვარული ყოვლთა ერთა აქვნდა მართ ვითა თავისა,
ჰსურდა არა ვის ჰქონოდა ჟამი რამ საზრუნავისა,
არა განვლიდა მის შორის ჰაზრი სხვათ საზრახავისა,
ამათ ადიდეს, ესებრად მისცეს სიმტკიცე მკლავისა.

ჰ ა მ ბ ა ვ ი.

მრავალთა დროთა გარე კარავთა შინა ხან დაყოფილ-მან დილარ მძლეველმან უბრძანა საყვარელთა ძმათა თვისთა— ლასურს, ფარსმანს, ხაყანს და მარსის და გალანამცა მოყმეთა თჳსთა, ვითა: „ძმანო ჩემნო, კმა არს ესეოდენთა დროთა ჩემითა მიზეზითა მოშორვება თქვენი საყვარელთა თქვენთა, აწ მივიწვიოთ ესე დიდნი კელმწიფენი მზისა ქალაქსა შინა, შევაქციოთ პურობითა, ნადიმობრთა, ნადირობითა და ნუ ვათქმევთ სიძუნწესა ჩვენსაო“. ლასურ მიჰგზავნა ჰინდოთა კელმწიფესა თანა, ფარსმან ბაბილოვნისა კელმწიფესა თანა და

ნუშრევან ეგვიპტისა კელმწიფესა თანა, მათ მოხარულთა მადლობა მოეხსენებინათ და ესეცა დაერთოთ, ვითა: „დიდო კელმწიფეო, ჩვენ კვალთა თქვენთა მოშორება არღა ძალ გვიძს და ნებასაცა თქვენსა ვემორჩილებითო“. მაშინ განმხიარულდა დილარ მძლეველი და ჰბრძანა განმზადება ყოველთა რაზმთა თვისთვისად მწყობრად და განშლა ალამ ბავრაყთა მათთა მრავალ სახეთა და მრავალ ფერთა; წინა მწყობრად განაწესა მის ქვეყანისა ნახევარი სპანი და დაუდგინა ხუთნი მუნებურნი გულ-ლომნი სპასალარნი, მათ შეუდგინა მწყობრი მეფისა გარშარაბისა, მათ შეუყენა მწყობრი მეკობრეთა მეფისა, მათ შეუდგინა რაზმნი ჰინდოთა კელმწიფისანი, მათ შეუყენა რაზმნი ლასურისანი, მათ შეუყენა რაზმნი ბაბილოვნისა კელმწიფისანი, მათ შეუყენა რაზმნი ხაყანისანი, მათ შეუდგინა რაზმნი ეგვიპტისანი, მათ შეუყენნა რაზმნი ფარსმან მეფისანი და შემდგომად თვით შეუდგა მუნებურით ნახევარითა რაზმითა და მოყმითა თვსითა. ყოველთა მათ კელმწიფეთა და მეფეთა თანა ყოლითა კვლა ჰბრძანა ყოველისა სლვასა შინა ყოველთა მათ საკრავთა და სახიობათა ყოველთა რაზმთა შინა დაუყენებელად კმობა და დაკვრა და ესრეთ განემართნენ მხიარულებითა, შვებითა და შექცევითა. მათისა შუბისა წვერი მზესა აბნელებდა და ქვეყანა თრთოდა ქვეშე ფერხთა მათთა. სადაცა გარდასახდომელი ადგილი განემზადა, საურმაგ მეფესა ესრეთ განეწყო, რომე თვით მას მზისა ქალაქსაცა შინა უმეტესობა არღა ეგებოდა, ყოველთა ნივთთა ურაოდენო სიმრავლე იყო. სადაცა გარდახდიან, ყოველნივე ერთად შემოიკრიბნის დილარმან, სპანი და სპათა მთავარნი, დაჰხვდის პურობითა, ამხიარულნის, ანიჭნის მრავალნი და აყრისა დროსა თვის თვისითა წესითა ვიდოდეს ბრძანებისაებრ დილარ მძლეველისა. უკვრდათ მათ კელმწიფეთა ქვეყანისა მის კეთილობა და ერთა შვენიერება, იტყოდეს განკვრვებულნი: არა არს ცასა ქვეშე ქვეყანა ესე ვითარი, არცა ერთა ფეროვან შვენიერება და არცა ვის ჰამბავ ჰსმენიაო. ადიდებდეს დილარისა

მკლავთა ძლიერებასა, რომელსაცა მრავლითა სახელოვანითა ბრძოლითა შემოუვლია ქვეყანა ესე და დაუმორჩილებია ნებასა თვისსა ქვეშეო. შესტრფოდეს დილარს, ვითა გამზრდელი გაზრდილსა, და დაამონნეს თავნი თვისნი სრულითა სიყვარულითა. ვჴლეს მრავალნი დღენი ნადირობითა, პურობითა და მხიარულობითა და ჰფარვიდა ქვეყანასა სიმრავლე იგი რაზმთა მათთა.

აქა შესვლა გეგელასა მას მზისა ქალაქსა დილარ მძლეველისა და ყოველთა მათ ძლიერთა და დიდთა კელმწიფეთა და მეფეთა ყოვლითა თვისითა კრებულითა და წინა მოგებება ყოველთა მის ქვეყანისა დიდებულთაგან.

Იგი ძლიერნი კელმწიფენი და მეფენი რა სამისა დღისა სავალსა დაუახლოვდნენ მას გვირგვინოსანსა ქალაქსა, წინა მოეგებნეს დილარს ყოველნი მის ქვეყანისა დიდებულნი სიმრავლითა, ვითა ქვიშა ზღვისა და ვარსკვლავი ცისა, შემკობილნი და შემოსილნი საკვროსა ოქროს ქსოვილითა ლარითა, მოულოცვდიან დილარს დიდსა მას ძლევასა და გარდააყრიდიან თვალთა თლილთა და ძვრ ფასთა, უფენდეს ფერკთა ქვეშე სტავრათა და ოქსინოთა და ეგრეთ დიდებითა დიდითა არონინეს სამისა დღისა გზა. გჳკვრდა ყოველთა დიდებულთა მათ სიმრავლე და ვაქებდით ქვეყანასა მას. კართა ქალაქისათა გარე მოეგებნეს მის დიდებულისა გვრგვნოსანისა მოქალაქენი, აკმევდეს მურსა, ალოსა, შტახსსა და მუშკსა, აპკურებდეს ძვირ ფასთა სუნნელთა გზათა ზედა, ჰლოცვდიან დილარისა კელმწიფებასა და ესრეთ უძღოდიან ლაღადებითა დიდითა. ყოველივე მის ქალაქისა უბან ქუჩაქნი დაფენილ იყვნეს ძვრ-ფასითა ლარითა, მიუძღვნენ და ყოველნი იგი კელმწიფენი მეფეებითურთ მათით და დიდებულებით დააყენეს თვითოსა გოდოლსა შინა და სხვანი სპანი მათნი მას მეორესა ქა-

ლაქსა დაასადგურეს ტურფათა სრათა შინა ყოველთა პატივისცემითა და სხვანი მუნ ყოფილნი გარდახდენ ხვედრთა თჳსთა გოდოლთა შინა და განინათლნეს თვალნი თჳსნი საყვარელთა თჳსთა ჭვრეტითა. მას დღესა განისვენეს თჳსთა სავანეთა მაშვრალობისაგან ნებისაებრ თჳსისა და მეორესა დღესა ჰბრძანა დილარმან მას ტურფასა წალკოტსა გოდლისასა პურობისა გამართვაჲ, მიუწოდა ყოველთა კელმწიფეთა, მეფეთა და დიდებულთა და შექმნეს პურობა ჩვეულებრივითა სეზოსტრ კელმწიფისათა და სამსა დღესა მოუკლებელი პურობა და გაცემა იყო. თჳთოსა დღესა სამ ას გზის დაჰსცალნეს ტახტნი საკელმწიფონი, გვირგვინნი, სკიპტრანი, სფერონი და პორფირნი შესამოსელნი, ეგრეთვე სადიდებულონი სელნი და შესამოსელნი, სუფრისა ჭურჭლითა და იარაღითა და თჳს თჳსნი არშივნი მეინახეთა სახლ სავანეთა გაჰგზავნეს, აღივსნეს ყოველნივე მრავალთა თვალთა თლილთა, ჭურჭლითა და ტახტ სელ სამოსლებითა, აქებდეს ყოველნივე დილარისა გულისა სიუხვესა. მეოთხესა დღესა რა ყოველნივე დაშვრნენ მეტითა მოსმურობითა, დაშლა ჰყვეს პურობისა. მწუხრადმდე ძილითა განისვენეს და მწუხრსა ვიეთნიმე თჳსთა სატრფიალოთა თანა ალერსსა შეუდგნენ და ვიეთნიმე დილარისა კელმწიფებასა აქებდენ.

აქა მოიწია ჟამი დილარისა სასიხარულო და მიხედა მოწყალებითა სა-
ტროფიალომან თჳსმან და ეგოდენთა ჭირთა თჳსთა განკურნებისა დრო-
მოვიდა და ღირს-იქმნა საწადელსა თჳსსა.

შ ა ი რ ი.

ოდეს მიხედავს ზესთ არსი კაცსა მოწყალის თვალითა,
უხვებით მისცემს კურნებას, იყოს ჭირს კორცით მზრალითა,
ჰკვნესოდეს, სენი ჰსტანჯვიდეს ტკივილით შესაბრალითა,
მალედ განჰკურნებს ზე გარდმო წყალობა უშურვალითა.

ვისცა იხილავს მტირალსა და მყოფსა ჭირსა მწარესა,
გოდებით შეურვებულსა, ოხვრითა გულ მდუღარესა,
მისცემს შვებასა, მოალხენს მარად მისს მემუდარესა,
ბნელს მყოფსა აღმოუბრწყინვებს დღე მზესა, ღამე მთვარესა.

ვარდსა ყინვითა დაზრულსა მოასწრებს მზისა შუქებსა,
გვალულს ქვეყანას მოუვლენს ღრუბელსა ცასა მქუხებსა,
ზოგთა რისხვთა აღუდგენს სასტიკსა ქარსა ბუქებსა,
თვსის ძალითა მოქადულს ამაოდ რასმე მქუქებსა.

არ არის ჭირი, რომელსა არა შეუდგეს ლხინები,
არცა ტირილი არ სდევდეს, შემდგომად სიცილთ ზვინები,
წამს ღრუბელი არს, წამს დარი, ნათელი შუქ-მომფინები,
ესრედ არს ესე საწუთო ამაო ცუდად მბრუნები.

ესრეთვე დილარ უწყალოდ იყო რავდენსა ჭირებსა,
ითმენდა ცრემლით სოფლისა შემთხვევა ბოროტ ძვირებსა,
სასტიკთა ბრძოლათ არ ეძლო, გაძლება მართლ ქვითკირებსა,
ბოლოდ ღირს იქმნა საწადელს, მიეცა ლხინსა ხშირებსა.

ჴ ა მ ბ ა ვ ი.

Დილარ მოხარული პაემნისა მის სრულ ყოფისა თვის, ელოდა განახლებასა სიცოცხლისა თვისისასა და მასვე სამხიარულოსა ჰაზრსა შინა მივიდა მონა ზეფირისა მარტოდ მყოფსა თანა, ყურსა სიტყვა რაჲმე მოახსენა და მყისად წარიყვანა. რა მაღლა გოდოლსა აღვიდა, ზეფირ წინა მოეგება, აკოცა და მოახსენა: „კელმწიფეო შევედ იმა საკუთარსა საწოლსა მზისა შენისასა და დაგხვდების განმზადებული საწადელისა შენისა სრულ ყოფისათვის და იხარებდეო“. ზეფირმა სხვასა სახლსა მიჰრიდა და დაშთა ოდენ დილარ მუნვე და ვერა

ეკადნიერა უბრძანებლად შესვლაჲ საწოლსა მას შინა. სიყვარული, ვითა ცხროიანსა, ათრთოლებდა და სურვილი ცეცხლებრ აღატყენდა, სიხარულითა აღტაცებული მის საწოლისა კარსა შეჰსტრფოდა, წყნარად შეაღებდა და მიჰგულევდა. რა კარისა კმა ესმა მას კელმწიფეთა დამადნობელსა, ნაზითა და საწადელითა კმითა ჰბრძანა ვინაობა კარსა მდგომისა. დილარ მოწიწებით წარჰსდგა, თმყვანი ჰსცა და ვერა რაჲსა მკადრებელ იქმნა. მან, შვიდთა მნათობთა დამაბნელებელმან, უშნი ჰქმნა შეძრწუნებულმან და რა დილარ იხილა, კვლა შეაზრზოლა და უბრძანა საწოლისა კარისა შიგანით დაკრძალვაჲ. საბრალომან დილარ კარნი მალიად შეირაზნა და იხილა თვისი იგა პატიჟთა მიზეზი, ტახტსა ზედა ლბილსა საგებელსა ზედა სასთუნალს მიწოლილი. მაშინ, ვითარცა ბუნებით მკრთალმან, უბრძანა დილარს: „აჰა კელმწიფეო, შენითა ცრემლითა და მრავლითა განსადიდებელითა მორბედობითა შეპყრობილმან მივსცე თავი ჩემი ჩემთვის შესაძრწუნებელსა ჟამსა, მოველ და აკმავე მაგა შვენიერთა თვალთა ეგოდენი ცრემლთა დენაო“.

აქა დილარ მძლეველსა მისცა სვემან თვისმან ჟამი მრავალთა წელთა სანატრელისა თჳსისა აღსრულებისა და მიეცა წამი თჳსისა საწადელისა ვარდისა კვალსა შესვლისა და კოკობისა ვარდისა გაშლისა.

დილარმან, რა თვისი იგი მრავალთა წელთა სანეტარო კმა ისმინა, ათას გზის განგებასა მადლობა შეჰსწირა, მას სიცოცხლისა თვისისა მიმნიჭებელსა ქვე მიწადმდე დავრდომით თაყვანი ჰსცა, კელსა აკოცა, აღვიდა, თჳსსა საწადელსა მოქმედებასა შეუდგა და, მრავალთა ჭირთა და სიმწარეთა გარდამხდელი, მუნ მხიარულებასა და სიტკბოებასა მიიღებდა. დილარმან თავი გაიიადონა და უფრჩკვნელისა ვარდისა კვალსა მრავლად დაჰყეფა და ფარვანსაებრ ზე დაჰფრინვიდა. იყო დილარ

თჳსგან გამოუთქმელსა სიტკბოებასა შინა, ვითარ იგი ეწადა გულსა თჳსსა. რა ორნივე მიჯნურნი თჳისსა საწადელსა მიემთხვივნენ, კვლა შეიკონნენ და კოცნა განმრავლებულნი ჰსტკბებოდნენ. დილარ მისისა ხორცისა შვენიერებასა და სიტკბოებასა ზედა განკვირვებულ იყო და უმეტესად თავსა თჳსსა დაამონებდა. და სურვილი ერთი ათასად ემატებოდა. იყვნენ ვითარ შვიდი ჟამი ერთად მწოლარე და ერთი ერთსა ეალერსებოდეს. დილარსა ვარდი საგნად წინა ედგა, და ისრისა სროლასა არა მოაკლებდა. ერთი ერთსა ესურვოდეს და ჰსთამაშობდეს, ვითარ იგი ჟამი აწვევდათ. შემდგომად უბრძანა სატრფიალომან თჳსმან დილარს, ვითა: „კელმწიფეო, ესე რა დაგატკბე შენისა საწადელისა აღსრულებითა და სიყვარულითა შენითა არღა მივხედე მწარეთა ლმობათა უშვენიერესთა კორცთა ჩემთასა და ესე ჰშვენის შენდაცა, რათა სამარადოდ იხსენებდე თავისა ჩემისა შეწირვასა შენდამი და იყო კრძალვასა შინა ჩემსა, ვითარ იგი ბრძანებულ არს შენდა ანდერძითა უდიდებულესისა კელმწიფე მამისა ჩემისა სეზოსტრისა მიერ, ხოლო აწ ჟამი არს, რათა წარბძანდეთ თქვენ მათ კელმწიფეთა და მეფეთა თანა და სამსა დღესა იშვებდე მათ თანა, ილხენდე და ალხენდე მათცა შენითა მხიარულებითა და შემდგომად სამისა დღისა განგებულ არს ყოვლივე ქორწინებისა წესი და უშვენიერესთა მათ საკელმწიფოთა დიდთა სრათა და პალატთა შინა გარდავიხადოთ ქორწილიცა ჩვენიო“. დილარ მხიარულებითა აღვსილი, მრავალთა სამადლობელთა სიტყვათა დამფენელ ექმნა. კვლა მრავლად ჩაჰკოცნა, აღსდგა, გამოესალმა, თაყვანი ჰსცა და გარე სახლსა გამოვიდა. ზეფირ შორით წინა მიეგება, თაყვანი ჰსცა და მიულოცა თჳსისა საწადელისა აღსრულებაჲ. დილარმან პირსა აკოცა და ჰრქვა: „ჵე მნათობო, ესე ბედნიერება ჩემი შენგან არს, სიკვდილამდე სყიდულ ვარ შენთა საქმეთა და ერთგულებათაგან და უკეთუ ვარ დილარ, ნაცვალსა მეცა გარდავიხდი, გარნა აწ გთხოვ იახლო ჩემსა სიცოცხლისა მომცემსა და შენითა ტკბილ

მოუბარითა ენითა თავსა ჩემსა შეაბრალებდე, ეგე ვითარსა მარტოობასა შინაო", ესე ჰრქვა, გამოესალმა, შთავიდა თვისსა საწოლსა და გულითა მხიარულმან განისვენა ძილითა ტკბილითა.

აქა დილარ მძლევველმან მოუწოდა ლასურ პეკინისა კელმწიფესა და ფარსმან კადუზიანელთა ძლიერსა მეფესა და ჰსთხოვა განმხიარულება თჳსისა ქორწინებისა სამთა წინა დღეთა შინა.

დილასა ადრე დაიბარა ლასურ პეკინისა კელმწიფე და ფარსმან ძლიერი იგი მეფე კადუზიანელთა და უბრძანა: „ძმანო ჩემნო, უკეთუ შეიბრალებთ გულსა ჩემსა მიჯნურებისა ცეცხლითა შემწვარსა, ჟამი არს და, ვითარცა ჰშვენის სიყვარულსა ჩვენსა, ეგრეთ ამათ სამთა წინა დღეთა ქორწინებისა ჩემისათა, განმხიარულდით და ილხინეთ და ალხინეთ იგი კელმწიფენი მეფენი და დიდებულნი მით, რომე ბედნიერებისა ჩემისა წინა დღენი არიანო". რა ლასურმან და ფარსმან დილარისა იგი სიტყვანი ისმინნეს, სიხარულითა აღტაცებულნი აღხლტენ, პირსა და კელთა აკოცეს და მოახსენეს: „მართალმან ცამან დაუსრულებელ ჰყოს ბედნიერება თქვენი. დღეს მაგა ჰამბისა ბრძანებითა განვცხოველდით და, თავმან თქვენმან, ვითარცა გვშვენის, ეგრეთცა ვმხიარულობდეთ და ვამხიარულოთ ყოველნივეო". შემდეგად შეჰკრბენ ყოველნი კელმწიფენი, მეფენი და დიდებულნი წინაშე დილარისა, თაყვანი ჰსცეს და დასხდენ თვს თჳსთა წესითა. ჰბრძანა დილარმან პურისა დაგება და შეჰქმნეს მხიარულებაჲ ყოველთა, სამსა დღესა მოუშლელი პურობა და მხიარულება იყო. თვთ ლასურ და ფარსმან ღვინის მწდეობდენ და არავინ გარდურჩათ დაუთრობელი. გასცა დილარმან ყოველთა ზედა ეგზომი, რომე რიცხვი არა შეიგებოდა და აღავსნეს ძვირფასითა ნივთითა იგი კელმწიფენი მეფენი და დიდებულნი და ყოველნი ყმანი

მათნი. რაოდენსა დილარ გასცემდა მზისა ქალაქსა შინა, ეგოდენ უმეტეს ჯანუჯან ვაზირი გაჰსცემდა მას მეორესა ქალაქსა შინა ბრძანებითა დილარისათა, მათ ურიცხვთა სპასთა და დიდებულთა ზედა. მას სამსა დღესა ყოველნივე ჰმსგავს ბახუსისა იქმნეს, გარნა ეგრეთცა გარდაემატათ მოსმურობა და წარვიდნენ ყოველნივე სახლთა თვსთა ძლოლითა მუნებურთა მსახურთა. მას დღესა ღამისა სახელისა შემოსვლისა ჟამამდე ძილითა განისვენეს და ღამისა პირველსა ჟამსა კვალად შეჰკრბნენ წინაშე დილარისა და დაიწყეს ლაღობა და მხიარულება. მას ჟამსა მოვიდა სახლისა უხუცესი საურმაგ და მოახსენა: „ძლიერო კელმწიფეო! მზა არს ყოველი წესი ქორწინებისა დიდსა მას სრა პალატსა საკელმწიფოსა და, ვითარცა გნებავსთ, ეგრეთ მობრძანდითო“.

აქა დიდისა მის აბაშთა მპყრობელისა დილარ მძლეველისა და სატრფიალოსა მისისა მზისა ქალაქისა კელმწიფის ანავსიას ქორწილი, სეზოსტრ კელმწიფისა დიდებულსა სრასა შინა.

მეფემან და სახლისა უხუცესმან საურმაგ, რა იგი მიწვევისა სიტყვა მოახსენა დილარს, უმეტეს უშტისა მადლობა შესწირა ზენასა განგებასა, აღსდგა, შეიმოსა ურჩეულესისა საკელმწიფოსა შესამოსელითა და სხვანიცა იგი კელმწიფენი მეფენი და დიდებულნა დამოსნავე ტურფითა და ძვირ ფასითა სამოსლებითა. შემდგომად წარჰგზანა მალე მსრბოლი მას მეორესა ქალაქსა და მუნ მყოფთა ყოველთა სპასთაგან უბრძანა ვაზირსა დარჩევა ოთხ ასთა ათასთა დიდებულთა, ღირსთა სხდომისათა წარმოვლენა ქორწილსა მას და დამოსა მათი უპირველესითა და ძვირფასითა სამოსლებითა. ბერმან ვაზირმან ბრძანება დილარისა რა მიიღო, მყისად აღასრულა და წარმოუდგინა რიცხვთ იგი ბრძანებული. ოდეს შეჰკრბენ ყოველნივე ერთად, მაშინ გაემართნენ ფერად ფერადითა სამკაუ-

ლებითა და სამოსლებითა და მივიდნენ დიდებულსა მას სრა პალატსა
სეზოსტრ კელმწიფისასა. შევედით შენებულებასა ესე ვითარსა,
რომლისა ჰმსგავსი არა უხილავს თვალსა კაცისასა. შევვლეთ
სახლი სახლთა ზედა და განკკრვებულნი მიმოვსჭვრეტდით საცი-
ვიფროთა მათ კელოვნებათა და კვლა რა შევედით სახლთა
დიდთა და უკეთილესთა მრავალ კელოვნებითა განშვენებულ-
თა, განვჰკრთით ყოველნივე ელვარებასა მუნ მოფენილსა.
იდგნენ უთვალავნი ტახტნი ძვირ ფასთა თვალთა თლილთანი
და სელნი სადიდებულონი ურიცხვნი სხვათა და სხვათა სპე-
კალთაგან. ზემორე, საშუალ იდგა ტახტი ბრწყინვალე ვითარ
ვარსკვლავი და ზედა ჰბრძანდებოდა, ვითა მზე სხივ განმრავ-
ლებული, მის მზისა ქალაქისა კელმწიფა და აბაშთა მბრძანე-
ბელისა დამტყვეებელი ანავსია, და მარჯვენით კერძო მისსა
ასი ათასნი ბანოვანნი და მნათობნი ქალნი, ესრეთ შვენიე-
რებით მდიდარნი, რომე ჰმსგავსნი მათნი, გარდა მის ქვეყნისა,
არა სადა ვის ეხილვა. ტახტსა მას ზედა მის განსაკრთომელი-
სა კელმწიფასასა ჰსდგეს სამნი ვინმე მთიებნი, ვითა მთოვარე-
ნი, და კელთა ეპყრათ იაგუნდისა ლაკნებითა შაქარნი ოდეს
კელმწიფენი და მეფენი სიმრავლითა მით დიდებულთათა შე-
ვიდნენ და იგა გულისა მიმტაცი კელმწიფა მათ მნათობთა
სიმრავლითა იხილეს, დაჰკრთენ ბრწყინვალებასა მათსა ზედა
და თვალთა შედგმადცა ვერ ეძლოთ. დილარმან ყოვლითა
მით გვირგვინოსანთა კრებულითა თაყვანი ჰსცა და მაშინ
ტახტით შთამოხლდნენ სამნი მნათობნი ქალნი, სულისა მიმხდე-
ლითა რითმე ჰრხევითა მოვიდნენ წინაშე კელმწიფისა დი-
ლარისა, თაყვანი ჰსცეს, პირსა აკოცეს და შაქრითა მით პირი
დაუტკბეს. კელი მოჰკიდეს, მიიყვანეს და მზესა მას ყოვლად
ბრწყინვალესა გვერდით მოუსვეს. კვლა ერთად შაქრითა მიუ-
ლოცეს, თაყვანი ჰსცეს და მსმენელთა ყურთა დამატკბობე-
ლითა კმითა ხოტბა მოახსენეს მათსა კმასა ზედა შეიქმნა გან-
საკრთომელი რაჲმე ტკბილ კმობა, რომლისა სიამოვნე გო-
ნებისა ყოველსა ნაწევარსა განამხიარულებდა. არა სადა ვინ

ჰსჩნდა და ჴმა ტკბილ ჴმოვანთა მუზნთა გარდამატებით გან-
მრავლდებოდა. ოდეს ყოველთა მათ ნათელ მკრთოლვარეთა
მნათობთა მილოცვა შესრულდა, შემდგომად მიუძღვნენ სამნი
იგა მნათობნი მათ ჴელმწიფეთა და მეფეთა, მათცა მიულოცეს
და გარდააყარნეს თვალნი თლილნი და მარგარიტნი სხვლნი,
შემდგომად მიუძღვნენ ყოველთა მათ დიდებულთა მწყობრ
მწყობრად, მიულოცვდიან და გარდააყრდიან უსასყიდლონი
სპეკალნი და ოდეს სრულ იქმნა მილოცვა, მაშინ დასხეს
მათვე მნათობთა მის ქორწილისა დაწყობილებისა განმკარ-
გველთა, იგი ჴელმწიფენი მეფენი და დიდებულნი თჳს თჳსითა
წესითა, რომელთაცა ესვათ საყვარელნი, თვისთა სატრფია-
ლოთა თანა და რომელთაცა არა ესვათ, საკუთრად ტახტთა
და სელთა ზედა დასხნეს. შემდგომად მოიღეს პური და გან-
მრავლდა საკრავთა ჴმიანობა. უკრავდენ ქალნი მოსაკრავე-
ნი და კაცნი საკრავთა მრავალ გვართა და იტყოდნენ დილა-
რისა ჴელმწიფებისა ქებასა, აქებდეს სიძე ჰსძალსა და გან-
დიდებდეს ქორწინებასა მას, ჰქონდათ მხიარულება მეინახეთა
მათ, გარდა ურიცხვთა მექირიფეთა და პირის მეღვინეთა, ჟამ-
მად და ჟამად წარმოჰსდგებოდნენ ლასურ, ფარსმან, ნუშრე-
ვან, გოჰარ, ხაყან, გარშარაბ, ზორასტან, მარსი, დილარისა
მოყმენი და ლარა. ესე ყოველნი ღვინის მწდეომდეს და დიდ
დიდთა დოსტაქანთა ჰსმიდეს და ასმიდენ ყოველთა მათ ჴელ-
მწიფეთა მეფეთა და დიდებულთა სადღეგრძელოთა ჴელმწი-
ფა ანავსიასა და დილარისსა. იგა ცისა მნათობთა ჰმსგავსნი
ქალნი აღსდგებოდეს მით კენარითა ტანითა და მხილველთა
დამატყვებელითა ჰრხევითა შუშპრობდიან მას. განდიდებულსა
პურობასა ზედა ყოველნივე სიხარულითა გამოუთქმელითა გან-
ჰსცხრებოდენ და ჰქონდათ ლხინი ზესთა თავისა მათისა. გარ-
ნა თუ ვჰსთქვა, მათ სამთა ახლად მოსრულთა ჴელმწიფეთა
და მეფესა სარიდანს მოვარაყულისა ღვინისა წილ სამსალა
შეესვათ, ვითა უცნობონი, ეგრე ჰსხდეს და არა იცოდეს, რა-
სა იქმოდეს. ოთხთა ვიეთთამე მნათობთა სიყვარულისა ის-

რნი გულთა შინა მათთა გაეყარათ დ̃ სულნი მათ საბრალოთა მათ საგანთა თვის შეეწირათ, სიყვარულისა სახმილითა იწოდეს და სურვილისა სავსე თასი შეესვათ, გლახ გონიერებისა, მერცხალი უშორეს ასისა უტევანისა შორად განჰფრენოდეს სულთქმასა ამრავლებდეს და განგებასა მის პურისა გაყრასა ეაჯებოდეს. ოდეს მეინახენი ხშირსა მოსამუროებასა შინა შევიდნენ, მაშინ, ვითა წესი არს, სიძე სძალი მოსვენებად აწვიეს. დილარს ჟამი იგი, უშტის უშტისა პურობისა ლხინსა ერჩია; თავი გაიბულბულა და თვისისა ვარდისა კვალსა ტკბილად რადმე ყეფა შეჰქმნა. შვენიერი იგი კოკობი ვარდი განშალა და ჩატკბობით ჩაიშაქარყანდა და მისითა სუნნელებითა აღივსო. პურობაცა მოიშალა და ყოველნივე ღვინითა სავსენი შეუდგნენ გზათა თვისთა, ზოგნი თჳსთა სატრფიალოთა თანა საწადელთა თვისთა მიემთხვეოდეს და ვიეთნიმე სიყვარულითა შემწვარნი ცრემლთა აფრქვევდეს. დილარს ორმეოცსა დღესა აქვნდა განდიდებული პურობა და გაცემა მრავალთა საჭურველთა და ღამე თვისსა სატრფიალოსა თანა, ვითა მისებრ სულ შეწირულსა მიჯნურსა ჰშვენოდა, ეგრეთ ჰსტკბებოდა, გარნა მათ ახლად მოსრულთა კელმწიფეთა და ამილბარისა ერთმანცა არა იცოდა გულსა მათსა სიყვარულისა ქონება. საბრალოდ ფერ მიხდილ იქმნეს და განილინნეს, ვითა ცეცხლითა ცვლი. იგი დიდებული ლხინი ორმეოცისა დღისა განატარეს მწარისა მოთმინებითა და სხვათა დღეთა გარე გამოსვლა ვერღა შეიძლეს. დილარმან რა იგი კელმწიფენი რავდენსამე დღესა პურობასა ზედა ვერღა იხილნა, შეჰსწუხდა და მათსა საქმესა ჰფიქრობდა.

აქა დილარ მძლეველისა მიერ მიგზავნა მათ სამთა კელმწიფეთა, ახლად მოსრულთა თანა, ლასურისა, ფარსმანისა და ნუშრევანისა:

დღესა ერთსა უბრძანა კელმწიფემან დილარ ძმათა თჳსთა ლასურს, ფარსმანს და ნუშრევანს, ვითა: „ძმანო ჩემნო

საყვარელნო, მიიღეთ შრომა და მიბრძანდით მათ კელმწიფეთა თანა და ჰსცანით მიზეზი მოუსვლელობისა მათისა წინაშე ჩვენსაო. რა დილარისა ბრძანება მათ მოძმეთა მისთა მიიღეს, მყისად აღჰსდგნენ, თაყვანი ჰსცეს და წარვიდნენ, და რა მივიდნენ მათ კელმწიფეთა თანა და იხილეს, ვითა წესი არს მიჯნურთა, ეგრეთ განლეულ იყვნეს. მისრულთა სიყვარულით მოიკითხეს და გამოჰკითხნეს ჭირნი მათნი. საბრალონი იგი მიჯნურნი ვერღა ჰფარვიდეს ჭირთა მათთა და დაიწყეს ვედრება მათდამი და იტყოდეს: „კელმწიფენო და მეფენო! შეგვიწყალეთ ცეცხლი სიყვარულისა გარე მოგვდებია და ვიწვით მძაფრითა ალითა მისითა თქვენ, კელმწიფენო და მეფენო, თქვენ ოჰ იცით ძალი მისი, თუ ვითარ მწარე არს სიყვარული! იხმარეთ კაცთ მოყვარეობა, შეგვაბრალეთ დიდსა მას ხელმიფესა და პატრონსა ჩვენსა დილარ მძლეველსა, რათა მოიღოს მოწყალება და გამოგვიხსნას შემწველისა ამის ცეცხლისაგან, საუკუნოდ დამჰსჯელისა ჩვენისა, და სამარადოდ შეგვარტყას ზოსტერი ერთგულებისა თვისისა და რომელთაცა სიყვარულისა ისარნი განგვესხნეს გულთა ჩვენთა, მათ მნათობთა შეერთებასა ღირს გვყოს და ამილბარიცა და მეფე ჰინდოთა მეფისა და დიდისა კელმწიფისა გამოიხსნას სიკვდილისაგან, რათა ვაქებდეთ კელმწიფებასა მისსა უკუნისამდეო. იცით ესეცა, დიდნო მეფენო, რომე მიჯნური მტერთაცა მესისხლეთა შეეწყალების და აწ კელთა შინა თქვენთა არს სიკვდილი და სიცოცხლე ჩვენიო. რა მათ კელმწიფეთა ესრეთ განაცხადეს გულნი თვსნი, დიდად შეჰბრალდათ, მალიად გარე უკუნ იქცნენ და აღვიდნენ წინაშე დილარისა მას ჟამსა აბაშთა მფლობელი თვსსა მზესა თანა ჰსჯდა და ტრფიალებით ეალერსებოდა. წარჰსდგნენ კრძალვითა და მოახსენეს ჭირნი მათ კელმწიფეთანი და ევედრებოდეს წყალობით მიხედვასა. დილარმან დიდად ილმო მათ თვს და მზესა თვსსა კელს კოცნით ვედრება დაუწყო. მაშინ შეჰსძრნა იასპისა უმჯობესნი ბაგენი და უბრძანა მათ კელმწიფე მეფეთა, ვითა: ძმანო ჩვენ-

ნო, ვინაჲთგან დიდისა ამის კელმწიფისა ნება თქვენსავე თხოვასა თანა არს, განამხიარულეთ კელმწიფენი იგი, ამას ღამესა ქორწილიცა მათი გარდავიხადოთო. მათ დაბლად თაყვანი ჰსცეს, კელს აკოცეს და მხიარულებით შევიდნენ მათ ჯელმწიფეთა თანა, სიცილითა და მხიარულებით ახარეს, ვითა: საყვარელნო ძმანო ჩვენნო, ნურღა რა ჰსჭმუნავთ, ამას ღამესა თქვენთა საყვარელთა თანა შვებითა ქორწინებასა ღირს იქმნებითო. რა საბრალოთა მათ კელმწიფეთა იგი სანუგეშონი სიტყვანი მოისმინნეს, მკვდარ ქმნილნი ცხოველობასა მიეცნენ და სიხარულსა რასამე მიუწთომელსა შევიდნენ, მათ კელმწიფე მეფეთა ჰმადლობდეს, კელთა და მუხლთა ჰკოცნიდეს და გარდამატებულითა სიხარულითა ცრემლთა აფრქვევდეს, ჰლოცვდენ დილარისა კელმწიფებასა. მას დღესა იგი კელმწიფენი და მეფენი და დიდებულნი ერთგან შეჰკრბნენ და პურობითა განჰსცხრებოდენ და დილარ თვისსა საწადელსა თანა იხარებდა და გვერდსა ახლდნენ იგი მნათობთა სიმრავლენი. მაშინ უბრძანა ანავსია კელმწიფემან სამთა სპასალართა ასულთა და ერთსა დიდად განდიდებულისა დიდებულისა ასულსა, ვითა თქვენ, საყვარელნო მნათობნო დანო ჩვენნო, კრონოს, ელიკრიტე, მუშთარ და ასპიროზ, თქვენისა სიყვარულისა მახესა გაბმულან რომელნიცა თქვენთა გოდოლთა შინა ჰსდგანან დიდნი იგი კელმწიფენი და ამილბარიცა, ლომ გულნი და სახელოვანნი ჭაბუკნი. აწ ესე არს ნება ჩვენნი. რათა მიგცეთ მათ ცოლებად და დედოფლობისა გვირგვინითა დაგაშვენოთ. შენ საყვარელო მნათობო კრონოს, ჰინდოთა კელმწიფესა, შენ სასურველო მნათობო ელიკრიტე, ბაბილოვნისა კელმწიფესა, შენ, სასურველო მნათობო ასპიროზ, ეგვიპტისა კელმწიფესა და შენცა სატრფიალოო აფროდიტ, ჰინდოეთისა ამილბარსა და მეფესა, და ესრეთ შენ და კრონოსმან დაჰყოთ ერთად შვებითა და მხიარულებითაო. რა მათ მნათობთა თვისისა კელმწიფას ბრძანება მოისმინეს, ზე ალჰსდგნენ, ნაზითა ჰრხევითა თაყვანი ჰსცეს, კელსა აკოცეს

და მოახსენეს: „ეჰა კელმწიფაო, დიდებით დიდებულმცა არს სახელი თქვენი ქვეყანასა ზედა, ჩვენ თქვენისა სამსახურისა უმჯობესსა ვერარასა ვჰპოვებთ სოფელსა შინა. გარნა რაჲცა იქმნების უდიდებულესი ნება თქვენი ჩვენ უნდოთა მკევალთა თქვენთა რაჲ ძალ-გვიძს, იყავნ ნებისაებრ თქვენისა ყოველივეო“. ძლიერსა მას კელმწიფესა დილარ მძლეველსაცა კელსა აკოცეს და ცრემლ დენილნი დასხდეს თვსთავე სელთა ზედა. მაშინ ჰბრძანა კელმწიფამან ანავსია განგებაჲ ქორწილისა მათისა. მათ ოთხთა უბრყვლოთა მნათობთა შეჰმოსეს სადედოფლონი უსასყიდლონი შესამოსელნი და სამკაულნი და დაადგეს თავსა გვირგვინნი, დასხნეს ძვრფასთა ტახტთა ზედა და განეწყვნენ ყოველნი მნათობნი, მოუწოდეს ყოველთა მათ სიმრავლეთა მეფეთა და დიდებულთასა და მოუძღვნენცა სასიძოთა მათ. დილარ წინა მიეგება დიდსა მას კელმწიფესა ჰინდოეთისასა, კელი მოჰკიდა და მივიდნენ წინაშე ტახტისა ანავსია კელმწიფისასა.

აქა ქორწილი ჰინდოთა მეფისა ფახფურისა, ბაბილოვნელთა მეფისა ვილოსისა და ეგვიპტისა მეფისა ფაროსისა და ჰინდოთა ამილბარისა სარიდანისა.

დილარმან თაყვანი ჰსცა თვისსა მას სატრფიალოსა და ჰინდოთა კელმწიფემან ქვე დამხობით თაყვანი-ჰსცა. მაშინ თვით იგი კელმწიფეთა დამმონებელი კელმწიფა ანავსია აღჰსდგა, ქვე ჩამობძანდა, მივიდა, ჰინდოთა მეფეს პირსა აკოცა, მოჰკიდა კელი, მიიყვანა და თვსსა საყვარელსა დედოფალს კრონოსს გვერდსა მოუსვა, კელი კელსა ჩაუთვალა, დაჰლოცნა, პირი შაქრითა დაუტკბო და ზე გარდააყარნა უსასყიდლონი თვალნი თლილნი. იგნი აღსდგნენ, თაყვანი-ჰსცეს, კელსა აკოცეს და თვისსავე ტახტსა დასხდეს. შემდგომად მობრუნდნენ და ვილოს შეიყვანეს თვისსა საყვარელსა თანა დასვეს და მათ ზედაცა ეგრეთვე სრულ ჰყვეს. მერმე ფაროსსა თანა და ეგრეთვე მათ თანა სრულ-ჰყვეს. შემდგომად მოვიდნენ მეფესა სარ-

რიდანსა თანა, იგიცა დასვეს თჳსსა სანეტაროსა აფროდიტსა
თანა და მათცა ეგრეთვე მიულოცეს. შემდგომად ყოველთა
მათ ჴელმწიფეთა და მეფეთა და დიდებულთა მიულოცეს
და გარდააყარეს მრავალნი თვალნი და მარგარიტნი, ოქრო
და ვეცხლნი. ოდეს მილოცვა სრულ იქმნა, მაშინ განმრავლ-
და კმა საკრავთა და დაიწყეს ქალთა მათ მნათობთა წესისა-
ებრ განსაცჳფრებელი როკვა, შუშპარი. იყო ორმეოცსა დღე-
სა წართვით მოუკლებელი პურობა და მხიარულება. რა მიხვ-
დენ მიჯნურნი იგი თჳსთა საწადელთა, განჰსცემდა დილარ
ყოველთა ზედა და ალავსო საუნჯითა ყოველნი იგი ჴელმწი-
ფენი, მეფენი, დიდებულნი და ერნი, და დაჰსტკბეს ყოველნი
თჳსთა საყვარელთა თანა. მაშინ მოიღეს ნუსხა ოთხთავე თა-
ნა მზითევთა, რაჲცა მიეღოთ ლასურსა და სხვათა მათ თანა.
მათ მრავალი მადლობა და თაყვანის ცემა მოახსენეს ეგე ვი
თარისა მოწყალებისა თჳს და კვლა მიჰყვესა ჴელი სმასა და მხია-
რულებასა. იყვნეს მარადის ნადირობასა, ასპარეზობასა,ბურთაო-
ბასა,აშფაშაგობასა, ბურთაობასა, ნადიმობასა, მოჭადრაკეობასა,
მონარდეობასა და განჯაფისა თამაშობასა შინა, კვლა ახლად
შემოიღეს სხვათა და სხუათა დახატულ დაბეჭდულ სახეთა,
ახალთა ქაღალდზედა მრავალ გვარნი თამაშობანი. შეექცეო-
დეს მარადის, იყვნეს მხიარულებასა და ლხინსა შინა და იყო
მოუკლებელი კმა ღამე და დღე სახიობათა და მღერა კმა
ტკბილად მუტრიბთა და მომღერალთაგან. მათ განდიდებულ-
თა მხიარულებით დროთა განტარებასა შინა, პეკინისა დედო-
ფალმან კასიამ ჰშვნა ორნი ძენი ტურფანი ნაყოფნი და ლომ
მონაკვეთენი და ეგრეთვე პოლანთა დედოფალმან რიზარინ
ჰშვნა ორნი ძენი, მარსი სპასალარისა სატროფომან ზეფირ
ჰშვნა ორნი ძენი, ათასთა დიდებულთა დილარისათა უშვნესა
მნათობთა თჳსთა ორ ორნი ძენი, ლარას უშვნა მნათობმან
თჳსმან სოსანამან ორნი ძენი, დედოფალმან ორიონმან ჰშვნა
ორნი ძენი ჰმსგავსნი მამისა თჳსისა, დედოფალმან მარიხმან
ჰშვნა ორნი ძენი, ესრეთნი იყვნეს ყოველთა იგი ყრმანი,

რომე ნაყოფნი მათებრნი არა სადა ვის ეხილვა. მაშინ დილარმან უმეტესად მიჰყო კელი გაცემასა და მხიარულებასა. ერთსა სწორსა მას მზისა ქალაქსა დაჰყვიან პურობითა და მხიარულებითა, ერთსა სწორსა მას მეორესა ქალაქსა შინა, ერთსა სწორსა ვრცელსა და კეკელას მოედანსა შინა და ერთსა სწორსა მას დიდებულსა სრა პალატსა უდიდებულესისა სეზოსტრ კელმწიფისასა.

აქა დიდსა მას კელმწიფესა დილარ მძლეველსა უშვა ძე სატრფომან თჳსმან ანავსია კელმწიფემან, შვენიერებითა ჰმსგავსი თჳსი და მკერდ მკლავითა უმჯობესი მამისა თვისისა, და ეგრეთვე ჰინდოთა კელმწიფესა, ბაბილოვნისა, ეგვიპტისა და ამილბარსა უშვნეს საყვარელთა თჳსთა ძენი ტურფანი და სახილველად სასურველნი.

ოდეს დილარ მძლეველი მათ კელმწიფე მეფეთა და დიდებულთა შვილებისთვის განამრავლებდა გაცემასა და მხიარულებასა, მაშინ მაღალმან განგებამან არა დააგდო გულიცა მისი განუმხიარულებელი და ჰშვა კელმწიფა ანავსიამან ძე, რომლისა ჰმსგავსი არა გამოსრულ იყო ქვეყანასა ზედა, შვენიერება პირისა მისისა ესრეთ ანათებდა, ვითა დილისა აფროდიტი და მკერდ მკლავითა მასვე ჩჩვლობისა ჟამსა მამასა უმჯობესობდა. წარავლინნეს მახარებელნი ყოველსა მას ქვეყანასა და ახარეს ყოველსა დაბადებულსა სეზოსტრ კელმწიფისა თესლისა აღდგინებაჲ. შეიქმნა დიდსა მას საკელმწიფოსა შინა მოსაწევარი დიდი, ყოველთა ქალაქთა და დაბათა იყო ღამე და დღე მოუკლებელი აღლამპრვა ექვსსა თვესა და დაიწყო ყოველმან მის ქვეყანისა ერმან მოდენა და მოულოცვდიან თვითოსა ტვირთსა აქლემისასა სხვასა და სხვასა ძვირ ფასსა სპეკალსა. დაჰსდგეს მრავალნი და უჰამრავნი კარავნი და ოთახნი მის მზისა ქალაქისა ვრცელსა მოედანსა და დიდ დიდსა ველებსა. გაბრძანდა დილარ, აღვსილი სიხარულითა და ყო-

ველთა კელმწიფეთა მეფეთა და დიდებულთა კრებული მისთანა, ესრეთ შეიქმნა ორი იგი ქალაქი ლამპართა სიმრავლითა, რომე ჰგვანდა, ცეცხლი მოსდებოდა. იყო მოლოცვა მის ქვეყანისა ერთაგან და აღავსნეს ყოველნი იგი გარემონი ველნი და მინდორნი უსასყიდლოთა მათ თვალთა ზჳნებითა, აქებდეს დილარისა კელმწიფებასა და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმანცა შეიწყალა დიდი იგი სახელმწიფო და აღუდგინა თესლი სეზოსტრ კელმწიფესა. იყო დილარის მიერ გაცემა ყოველთა ზედა, მხიარულებისა მომატება. მას ეგე ვითარსა გაცემასა და მხიარულებასა ზედა მოუვიდათ მახარებელი ვაჟისა ყოლისა ჰინდოთა დედოფლისა, ბაბილოვნელთა დედოფლისა, ეგვიპტისა დედოფლისა და ამილბარისა დედოფლისა. მაშინღა უმეტესად უმატა გაცემა გაცემასა და მხიარულება მხიარულებას ზედა. ერთსა წელსა მოუკლებელად მოდიოდა მის ქვეყანის ერი თუთოსა აქლემისა ტჳრთისა სპეკალითა, სხვად და სხვად სახმარად ჴურჴლად გამოყვანილნი: თეფშ ჯამად ლანკან ხუფ ფეშხვან სალჳნე საწდეებად და სულად დათლილ გამოყვანილნი, და შეაყენეს მათ მინდორთა შინა დიდ დიდთა მთათა მსგავსად და არღა იყო მინდორთა ადგილი დასატევი. თურე წესი ეგრეთ იყო მას ქვეყანასა შინა, რომე ოდეს კელმწიფემან შვილი ჰშვის, ძე ანუ ასული, ყოველსა კომლსა ერთი ტჳრთი აქლემისა ძჳრ ფასი სპეკალი ჴურჴლად სახმარი უნდა მოერთმევინათ. დილარ და იგი კელმწიფე მეფენი და დიდებულნი დღისით მოედანსა ზედა პუროობასა შინა იყვნეს და ღამე თჳსთა საყვარელთა ეტრფიალებოდეს. გამრავლდა ჯარი მომლოცავთა და არა იქმნა მოკლება მათი ორსა წელიწადსა შინა და ოდეს მოლოცვა შესრულდა, გაჰსცა დილარმან ბრძანება მათ გარეგანთა კელმწიფეთა და მეფეთა ყოველთა, სპათა და დიდებულთა ზედა ვითა, ვისცა უყვარს დილარ მძლაველი, დაჰყონ კელი მათ დაგროებულთა თვალთა თლილთა და ორსა სწორსა ვის რა უნდეს, ჰზიდვიდესო. მას დილარისა ბრძანებასა ზედა აღჰსდგა ნუშრევან და ყოველნი კელმწი-

ფენი მეფენი და დიდებულნი და მოახსენეს: „დიდებულო
კელმწიფეო, თავმან თქვენმან, არა ნივთისა თვის, არამედ სი-
ყვარულისა თვის თქვენისა ჩვენცა ბრძანება ეგ აღვასრულო-
თო“. წამოვიდნენ მის მეორით ქალაქითცა იგი სიმრავლე
მიუწთომელი სპათა და მიჰმართეს ყოველთა ერთობით მათ
დიდთა მთათა ჰმსგავსად დაგროვილთა ძვრ ფასთა ნივთთა და
ორსა ჰსწორსა ღამე და დღე ჰზიდვდენ მოუკლებელად, აღივს-
ნენ ყოველნი იგი სიმრავლენი და შეჰსწყინდათცა ეგ ზომ ზიდვა
მათ ტურფათა ნივთთა, ცუდთა აღრალებთაებრ, გარნა ეგოდე-
ნი სიმრავლე სპეკალთა ეგროვა, რომე შვიდმან მილიონმან
ერმან ორსა სწორსა ზიდვითა ვერა რაჲ დააკლო და გვანდა
კელ შეუხებელსა და დანაშთომითა ძვირ ფასითა ნივთითა ცხრა
ასი ათასი საკელწიფო საჭურჭლე აღავსეს, რომელ იყო
თვთოსა საჭურჭლესა შინა ათასნი დიდნი სახლნი. ნუ გი-
კვირსთ, მსმენელნო, მას ქვეყანასა სპეკალთა სიმრავლე მით,
რომე მის საკელმწიფოსა მთანი ყოველნი იყვნეს სხვათა და
სხვათა სპეკალთა ლითონნი და რაჲცა ვის ჰსწადდა, ეგრეთ
ჰსჭრიდეს, ჰსთლიდეს და სახმარებასა შინა მოჰყვანდათყე და
იყვნენ მუნებურნი ერნი კელოვნებასა მას შინა ფრიად გა-
მოცდილნი მით, რომე მარად მას მუშაკობდეს და სეფუ-
რობდეს.

აქა დიდი იგი კელმწიფე ჰინდოეთისა ფახფურ, ბაბილოვნისა ვილოს,
ეგვიპტისა ფაროს, კალუსიანელთა ფარსმან და სკჳთთა ხაყან მეფე
გამოეთხოვნენ დიდსა მას კელმწიფესა დილარ მძლეველსა თჳსთა ქვე-
ყანათა წარსასვლელად და დილარმანცა ნება ჰსცა და დაითხოვნა იგი-
ნი მრავლითა დიდებითა და ნიჭითა.

მრავალნი დრონი მათ კელმწიფეთა და მეფეთა რა დაჰ-
ყვეს ერთად მხიარულებითა, შვებითა და განცხრომითა, მაშინ
გამოეთხოვნენ დილარ მძლეველსა ყოველნი იგი კელმწიფენი

და მეფენი. დილარ ფრიად დაჰსჭმუნდა მათისა გამოთხოვისა-
თვის, გარნა დიდ დიდთა ქვეყანათა მპყრობელთა არა კეთილ
იყო ეგოდენთა დროთა უმათობა მათი ქვეყანათა მათთა თვის.
ამის თჳს ნება ჰსცა და არღა დაშალა წარსვლა მათი. ერთსა-
სწორსა კვლა უმასპინძლა პურობითა და აღავსნა ბოძებითა
მრავლითა. დღესა ერთსა პურობასა ზედა უბრძანა დილარმან
ეტიკსა ჩვენსა მუჯარამს, ვითა: ძმაო ჩემო, ხარ მრავალ რიგად
ნამსახური ჩემი და აწ, რაჲ გნებავს, მითხარ მე, უკეთუ დას-
დგები კეთილსა ამას ქვეყანასა, მოგცე საჴმოდ ათასი სოფე-
ლი და მემკვდრეობა მზისა ქალაქისა შინა და უკეთუ ესე არა
გნებავს, გაგგზავნო ქვეყანასა შენსა და ეგ ზომი მოგცე, რომე
დასასრულადმდე სოფლისა გეყოს შენ და შთამომავალთა შენ-
თაო. მუჯარამმან თაყვანი-ჰსცა და მოახსენა: ძლიერო კელმ-
წიფეო! ვჰფუცავ თავსა თქვენსა, მოწყალებითა თქვენითა
ეგოდენნი თვალნი თლილნი და სუფრისა სახმარნი, სპეკალნი
ძვირ ფასნი, ოქრო ქსოვილნი ლარნი, ოქრო და ვეცხლნი
შემიკრებიან, რომე ათი ათასი აქლემი სატვრთავად ვერ კმა-
ეყოფის და დავჰსდგებიცა ყოვლად კეთილსა ამას ქვეყანასა,
გარნა მომიტევე, კელმწიფეო, ვარ ცოლისა და წვრილთა შვილ-
თა პატრონიო". მაშინ ჰინდოთა კელმწიფემან ფახფურ მოახ-
სენა: ვითა: ჵე კელმწიფეო, ესე მუჯარამ ჩემიცა უმეტეს
ნამსახური არს მით, რომე უკეთუ გზასა მას ესე არა გძღო-
ლოდათ და ქვეყანა ესე არა დაგეპყრათ, მე ჩემსა სოფლისა
შვებასა, თვალთა ნათელსა და გულისა სიხარულსა დედოფალს
კრონოსს ვინ ღირს მყოფდა და ანუ ესე ბედნიერება და ძი-
სა სმა ვისგან მომეცემოდა. თავმან და სიყვარულმან თქვენმან,
სადაცა ირჩევს, ჰინდოეთსა შინა მიბოძებია ათასი ჰრჩეული
და ჩინებული სოფელი და ჩემსა სატახტოსა ქალაქსა შინა
სრანი სადიდებულონი, მტილნი და წალკოტნი, ჩემთა დიდე-
ბულთა თანა შერაცხვა და ჩემ თანა მეინახეობაო". მუნვე
წყალობისა ენდალმა დაუწერინეს, ფახფურ და დედოფალმან
კრონოს ორთავე დაუმტკიცეს და უბოძეს, მუჯარამ მხიარუ-

ლებით ცასა ეწია; მივიდა პირველად დილარისა და კელმწიფა ანავსიას წინ, მიწას აკოცა, და მერმე ჰინდოთა მეფისა და დედოფლისა კრონოსისა წინაშე, და ოდეს სრულ ჰყვეს სწორი ერთი მხიარულებითა და პურობითა, კვლა გაჰსცა დილარმან ყოველთა დიდთა და მცირეთა ზედა ურიცხვნი და უანგარიშონი ნივთნი, ძვირ ფასნი თვალნი, ოქრო ქსოვილნი ლარნი, ოქრონი და ვეცხლნი, უჰამრავნი ტაიჭნი, აქლემნი, ჯორნი და აზავერნი. გარნა კელმწიფეთა და მეფეთა ყოველთა სხვათა გარდა ათას ათასი სპილო დატვირთული ძვირ ფასითა ნივთითა მიუძღვანა და ესრეთ იწყეს გამოსალმება.

აქა გამოსალმება მათ კელმწიფეთა მეფეთა და დედოფალთა მათთა ანავსია კელმწიფასა და დილარ მძლეველსა თანა ცრემლითა მრავლითა და სულთქმითა ხშირითა.

მწუხარება განმრავლებულნი ცრემლითა მოუკლებელითა ეხვეოდენ დილარს და კელმწიფა ანავსიასა. ჰკოცნიდენ კელთა და ფერკთა, და განამრავლებდენ კმასა ტირილისასა იგი დედოფალნი, მნათობნი ქალნი მწუხარებით გამქრალნი, არლა ბროლ ლალ ფიქალნი იყვნენ ცრემლ უშურვალნი, საბრალოსა და ნაზისა კმითა ჰსტიროდეს, ეკონებოდეს ტახტსა თვსისა კელმწიფისასა და ცრემლითა ალტობდეს შატროანსა მისისა დალიჭისასა, ჰკოცნიდეს ფერხთა და ევედრებოდეს, დაგვხოცენ და სამსახურსა შენსა ნუ განგვაშორებო, გარე მოხვეულთა მუხლ დადგმულთა ეპყრათ ფესვნი სამოსლისა მისისა, გულ ამოსკვნილნი მხურვალითა ცრემლითა შესტიროდეს, ჰკოცნიდეს, ეტრფოდეს და ვერლა განეშორებოდეს დილარსგულ დაშანთულნი მოახსენებდეს: „ჰე, კელმწიფეო სწორ უპოვარო, ამის თვის რად გლახ მოისწრაფე აბაშეთით და ეგოდენნი ბრძოლანი გარდაიხადენ, ჩვენისა სიკვდილისა თვს რასა სახელსა მოიგებდი, თავმან შენმან, ოდესცა ინებებდა კელ-

მწიფა ჩვენი, არა ვინ აყენებდა და ვერცა ვინ დააბრკოლებდა დაკოცასა ჩვენსა ზედა; აწ რაჲ ვჰყოთ ესრეთ გაუბედურებულთა, შეგვიწყალენ და ბასრი ეგე სახელოვანი კრმალი ჩვენ საცოდავთა სისხლითა შეღებე, სანატრელ არს ჩვენდა სიკვდილი ჩვენისა კელმწიფისა ფერკთა ქვეშე, ვიდრე განშორებასა ამისსაო". ჰკოცნიდეს სამოსელსა ანავსიასსა და აღავსებდეს ცოდვთა მსმენელთა, იყო გრგვინვა და გოდება ყოველთა მათ კელმწიფეთა მეფეთა და დიდებულთა; ჰსტიროდა დილარცა და იტანჯებოდა საცოდაობითა მათითა. კელმწიფა ანავსია, ვითარცა მოვალე იყო მათ საწადელთა თჳსთანა ზრდილთა მნათობთა, ეგრეთცა ილმობდა მათ თვის. თვთოეულსა მათსა მკერდსა მიიყრდნობდა და ჰკოცნიდა, უშვენიერესთა თვალთა ცრემლთა განიმრავლებდა, სანუგეშოჲთა სიტყვთა ზე შექდობით ეალერსებოდა და ეფიცებოდა დილარისა მზითა მესამესა წელიწადსა კვალად მოყვანასა, მრავლად ცრემლთა გარდმომლვრელი ეხვეწებოდა გულთა დაწყნარებასა და უბრძანებდა: „საყვარელნო დანო ჩემნო და გულისა ჩემისა მისანდონო, აწ წარვედით თქვენთა ხვედრთა ქვეყანათა, მუნ იხილენით ერნი და დიდებულნი ყმანი თქვენნი, თქვენითა ხილვითა თვალნი მათნი განანათლეთ და გულნი განუმხიარულეთ ძეთა თქვენთა, ქვეყანა და ყმანი მათნი განაცანით და კვლა, მზემან ჩემმან, მოგიყვანნე თქვენსა მშობელსა ქვეყანასა და ვიხარებდეთ ურთიერთისა ჰვრეტითაო". იგინი ეგე ვითარითა ტკბილითა სიტყვითა და იმედიანითა ბრძანებითა გულ დებულნი შეიქმნნეს.

აქა ნუშრევანისა და გოჰარისა გამოთხოვა და სპასალარისა შიგზავნა წინაშე დიდისა და ძლიერის კელმწიფისა დილარ მძლევლისა.

ნუშრევან და გოჰარ ერთმანერთსა გაეუბნნეს და ესრეთ არჩიეს, რომ ვინაჲთგან ესე კელმწიფენი და მეფენი ესე ვი-

თარსა მწუხარებასა შინა არიან ერთმანერთისა განშორებისა თვის და თვალნიცა ჩვენნი მათთანავე ცრემლთა ხშირთა ჰღვრიან, ესე ჰსჯობს, ჩვენცა მათ თანავე გამოვეთხოვნეთ და და მეორეთ გულნი მათნი არღა შევაურთოთ. მუნვე მოიხმეს მარსი მეფე და სპასალარი და დაიბარეს მრავლითა კრძალვითა და მორიდებითა, ვითა: „ვიშიშვით, კელმწიფეო, ჩვენგან დამძიმებასა თქვენსა, გარნა თვითვე მოწყალებითა თქვენითა მოგვიტევეთ; იცით კელმწიფეო, რავდენნი წელნი ჩრდილსა ქვეშე თქვენსა დაგვიყვან და მოწყალებითა თქვენითა თუ რაბამ დავმტკბარ ვართ. აწე გთხოვთ და გევედრებით, რათა არა განჰრისხდეთ ჩვენ ზედა, სამსა ოდენ წელიწადსა დაგვითხოვენ და შემდგომად, თავსა შენსა ვჰფიცავთ, გიახლნეთ და თქვენითა ხილვითა გულნი ჩვენნი კვალად ვამხიარულოთო“. რა მათ ვეფეთაგან სპასალარმან მოისმინა, დაჰსჭმუნდა, გარნა მოუხსენებლობა მოუვალი იყო, მივიდა წინაშე დილარისა და მოახსენა. დილარ შეჰსწუხდა, გარნა დათხოვნისაგან კიდე სხვა ღონე არა იყო, მცირედ დაჰფიქრდა, აიხედა, მოუწოდა წინაშე თჳსსა ორთავე და უბრძანა: „საყვარელნო ძმანო ჩემნო! თქვენცა იცით, ვითარ სამწუხარო არს ჟამი ესე ჩემ თჳს, გარნა მოვითმინო მწუხარება ესე, უკეთუ მომცეთ პირი, რომე სამისა წლისა სრულ-ყოფასა კვალად მოხვდეთ ჩემ თანა, და შენ, საყვარელო ჩემო ნუშრევან, თჳთ კელმწიფა ესე და სიცოცხლე ჩემი გთხოვს, რათა დედოფალი და საყვარელი და ჩემი გულნაზ, მოხუცებული იგი მამა ჩვენი ფინეზ და უმოხუცებულესი ვაზირი ეგროს თანა მოიყვანო, მათითა ხილვითა ვიხაროთ და მათგან კურთხევა მივიღოთო. ნუშრევანმან და გოჰარმან წინაშე დიდებულისა ტახტისა მათისა თაყვანი ჰსცეს და მოახსენეს: „თავმან თქვენმან, უკეთუ ცოცხალ არიან, თქვენისა თაყვანის ცემისა თჳს ისწრაფონო“. მაშინ ლასურცა პეკინისა კელმწიფემან მოახსენა დილარს, ვითა: „კელმწიფეო ძლიერო, ვიდრე ესენი აქა უკუნ არა მოიქცევიან, მე მონებასა თქვენსა არა გან-

ვეშორო, გარნა არა ესეოდენითა რაზმითა, და ვითხოვო ყოველნი ყმანი ჩემნი აღვსილნი მოწყალებითა თქვენითა და მე დავაშთე ორი ათასითა შიმუნვარითა ჩემითა, ჩემისა სიცოცხლისა მომცემისა კასიასსა და ძეთა ჩემთა თანაო“. დილარს იგი ლასურისა სიტყვა უცხოდ რადმე იამა, აღჰსდგა, პირსა აკოცა და კვლა შეიქმნა გამოსალება მათ ყოველთაგან ერთობით, ერთსა სწორსა იყვნენ ერთად ღამე და დღე განუშორებელად, ეხვეოდენ ერთი ერთსა, ჰკოცნიდეს და ჰსტიროდეს მან განშორებამან დაავიწყა ყოველთა, ვის რა დღენი სიხარულისა ენახნეს და, თუ ჰსთქვა, იგი ედემისა ჰმსგავსი კეკელა ქალაქი მწუხარებისა სავანე შეიქმნა. განემზადნენ ყოველნი წარმსვლელნი და დილარ ლასურითურთ არავე დაჰსდგნენ, ჰბრძანეს მის გვირაბისა გარე გაყოლა მათი. დილარმან უბრძანა და მის ორისა ქალაქისა საჭურჭლეთა კარნი სრულებით დაახსნევინა, აძახნა ქადაგნი, ვითა: „ვისცა გიყვარსთ დილარ მძლეველი, საჭურჭლეთა მისთა ნუ ჰზოგავთო“. გარნა ეგრეთ აღივსნეს ყოველნი იგი სიმრავლენი, რომ ამას კმობდა თვით უკანასკნელი მოლაშქრეცა: „თავმან დილარისამან, ეგდენი სიმრავლე ძვირ ფასთა ნივთთა შეგვკრებია, რომე დიდთა კელმწიფეთა საუნჯედ საკმარ არიანო“. და იგი საუნჯეთა კარნი ცუდად განხმულნი იყვნეს, ზედა არღარა ვინ მიხედა, ესრეთ აღივსნეს გულნი და თვალნი მათ ურიცხვთა მკედრობათანი.

აქა წარსვლა მის შვენიერისა და კეკელასა მზისა ქალაქით, მათ შეკრებულთა კელმწიფეთა მეფეთა და რაზმთა მათთა მრავალთა ძვირფასითა ნივთითა, ოქროთა და ვეცხლითა და თანა გაყოლა დილარისა და ლასურისა მის ქვეყანისა სამზღვარსა გარე:

მათ ყოველთა კელმწიფეთა მეფეთა და საყვარელთა მათთა, კვლა აკოცეს ანავსია კელმწიფასა კელსა, და გამოესალმნენ ტირილითა მრავლითა, დაუტევეს მშვიდობა მასვე

კეკელასა ქალაქსა და ერთა მისთა, შესხდენ, და გაემართნენ გზასა ზედა ნელიად, ვითარცა ჰშვენოდა მათ უშვენიერესთა მნათობთა და ტვრთ სიმძიმეთა მათთა, სახლისა უხუცესსა და მეფესა საურმაგს ადრევ განეწყო გზასა ზედა ახლო ახლო გარდასახდომელნი, და განემზადა ყოვლისა თანა სახმარნი მათ ურიცხვოა რაზმთა თჳს, და სადაცა გარდახდიან, ესრეთითა დიდებულითა წესითა დაგვხვდებოდა მათ ყოველთა, ვითა დილარისა ქორწილისა ჟამსა, და იგი დიდებული ქვეყანა ყოვლითურთ ქორწინებისა წესითა და ლხინითა განატარნა. აქებდეს იგი კელმწიფენი და მეფენი ქვეყანისა მის და ერთა შემძლებელობასა და დილარისა კელმწიფებისა განმგეობასა, მით რომ მრავალთა მათ დროთა იგი მრავალ მილიონნი მკედრობანი მას ქვეყანასა ჰსცხოვრებდენ, და ვერა რომელსა მას ქვეყანასა ერსა მოწყინება ვერა შეატყეს, და მარადის მხიარულებასა შინა იყვნეს, მით რომე ყოველნი წარსაგებელნი სახელმწიფოსა უწყებისა და შემოსავალთაგან იყვნეს, და ერნი უზრუნველ იყვნეს მათ დიდ დიდთა წარსაგებელთა ზედა. ოდეს მის დიდისა მდინარისა კიდესა ზედა მივიდნენ, მუნ დაჰყვეს სწორი ერთი მრავლითა მხიარულებითა, და შეექცეოდენ სხვათა და სხვათა ნადირთა და მფრინველთა კოცითა, და ნადირობდეს მოუკლებელად, და შემდგომად შევიდნენ მწყობრად და მწყობრად ხვრელსა მას გვირაბსა, რომელიცა განელოთ აბაშიურთა მათ ქოქონიკთა, ვლეს მრავალი და განვლეს უცხოდ კელოვნებული იგი ხვრელი გვირაბი. რა გრძნეულთა მეფისა გარშარაბისა სამზღვარსა შევიდნენ, მუნ გარდახდნენ და უბრძანა დილარმან სახლისა უხუცესსა თჳსსა საურმაგს, ვითა: „მეფეო, აქაცა გმართებს ათსა დღესა მასპინძლობაჲ, და, ჩემსა მზესა, ვითაცა წესად გაქვს, ეგრეთ გვმსახურეო. საურმაგ გალანამცა ყოველითურთ მომზადებული იყო, და უმეტეს ბრძანებითა მით განამრავლნა ნოვაგნი ნადირებულნი თუ სხვანი თანა ყოლილნი, და ათსა დღესა უმეტეს სხვათა

დღეთასა უმასპინძლა. მხიარულობდენ ყოველნი იგი კელმწიფენი და მეფენი, და ესაყვარლებოდეს ძეთა თჳსთა მას კეთილსა ქვეყანასა შობილთა და ადიდებდენ დილარ მძლეველსა, თჳს ზედა ეგე ვითარისა ბედნიერებისა მინიჭებისა თჳს. ჰქონდათ შესმა დიდ დიდითა დოსტაქნებითა კეთილისა მის ღვინისა, სადღეგრძელოდ ანავსია კელმწიფასსა, და დილარისა და ძისა მათისა მცირე ყრმისა სეზოსტრისა თჳს, და ოდეს შეხვდა რიგი ნუშრევანს დოსტაქნისა, აღსდგა და ჰსთქვა: შევსვამ ღვინოსა ამას სადღეგრძელოდ მცირისა ყრმისა სეზოსტრისა, რომელსაცა შევავედრებ თავსა ჩემსა, სამთა ძეთა ჩემთა და ერთგულსა ჩემსა ლარას, და შესვა ღვინო იგი.

აქა მყინვართა გალიისა და ზღვათა მეფისა ნუშრევანისაგან თვისისა ერთგულისა ლარას მეფობისა მიცემა, დილარისა და სხვათაგანცა დამტკიცება და კელისა მოწერაჲ.

შემდგომად მივიდა წინაშე დილარისა ნუშრევან და მოახსენა: „დიდო და ძლიერო კელმწიფეო, ვინაჲთგან მოწყალებითა თქვენითა მიიღო მონამან თქვენმან ლარა, ძემან ეგროსისამან ბედნიერება ესე ვითარი, და ღირს იქმნა მნათობისა სოსანასა მეუღლეობასა, და ძეთა ტურფათა სხმასა, ამისთვის მეცა მივეც მას თქვენითა მოწყალებითა ბოძებულთა ქვეყანათა შინა სამი ქალაქი თჳსითა გარემოებითა და სანახებითა გალიისა ქვეყანასა შინა, და მყინვართა ქვეყანასა შინა, რაჲცა ქალაქნი და სამეფონი და სოფელნი ჰქონან, იგინიცა სამკვდროდ მისდა არიან, და ვინაჲთგან ესე ყოველნი ხსენებულნი წერილითა მივეც დროსა ქორწინებისა მათისათა, ამის თვის ვევედრები კელმწიფეებსა თქვენსა, რათა წერილი ესე თქვენცა დაუმტკიცოთ, და მეფობისა გჳრგჳნითა თქვენითა კელითავე გააბედნიეროთ და საყვარელსა ძესა თქვენსა ორნივე შეგვავედროთო“. იგი წყალობისა წერილი მიართვა. დილარს ეგე ვითარი გულ კეთილობა ნუშრევანისა დიდად

უხაროდა, კელი გარდაჰსდვა, პირსა აკოცა და ჰრქვა: „საყვარელო ჩემო ნუშრევან, მე დასასრულამდე სოფლისა მოვალე ვარ თქვენი და ოდეს დასა ჩემსა დედოფალსა გულნაზს მათ უმოხუცებულესთა მამათა ჩვენთა, დედოფალსა რიზარინს და დედოფალსა სოსანას კვალად ჩვენთანა მოიყვანთ, მაშინ ნუ უკვე შევიძლო გარდახდა ვალისა ჩემისაო“. იგი წყალობის წერილი დაამტკიცა, და ყოველთა მათ კელმწიფეთა და მეფეთაცა სიხარულით დაუმტკიცეს კელისა მოწერითა. ორი ძვრ ფასნი გვირგვინნი მოაღებინა დილარმან, აღსდგა, მივიდა ლარასა და მნათობსა სოსანას თვთ კელითა თჳსითა დაადგა, დაჰკოცნა და დიდი იგი დოსტაქანი მათად სადღეგრძელოდ შესვა, მერე მეორე თვით მიუტანა ჰინდოთა კელმწიფესა და შეასვა, შემდგომად ლასურს, ფარსმანს და ყოველთა მათ კელმწიფეთა და მეფეთა. შეიქმნა განდიდებული მხიარულება და დილარისაგან გაცემისა განმრავლება. ჰქონდათ ზომისაგან უმეტესი განცხრომა და შვებისა წარმატებაჲ.

აქა დიდისა კელმწიფისა დილარ მძლეველისა მიერ თჳსისა მეწინაობისა სპასალარობისა ბოძება მის ნამსახურისა გრძნეულთა ქვეყანისა გარშარაბ მეფისა და მეკობრეთა მეფისა ზორასტანისა.

მას მხიარულებასა შინა მოუწოდა დილარ მძლეველმან გრძნეულთა ქვეყანისა მეფესა გარშარაბს და მეკობრეთა მეფესა ზორასტანს და უბრძანა: „თქვენ, საყვარელნო და ერთგულნო ნამსახურნო ჩემნო, აწ ნამსახურობისა თქვენისა თჳს მიბოძებია მეწინაობა სპასალარობა თქვენ თჳს, რომელსა ზედა განგაკრძალებთ, რათა იყვნეთ მარადის განმზადებულ ერთგულებასა ჩემსა ზედა. ესე ჰშვენის თქვენდა, რათა იყვნეთ ერთი ერთისა სიყვარულითა შემტკიცებულ და ჰსცვდეთ მზისა ქალაქსა ყოვლითურთ მტერთაგან უშიშრად, არა დაზოგოთ სისხლნი თქვენი სამსახურისა ჩვენისა თვის, მზისა ქალა-

ქისა ქუეყანით გეყოლებათ თჳთოსა სამასი ათასი ჭაბუკი ვაშტი, როჭიკითა, კაბა-ლაფანჩებითა და ჭამადითა განმრავლებულნი, საკელმწიფოსა უწყებისა მიერ კმა ყოფილნი, წელიწადსა შინა ერთ გზის გამოცვლირთა ჰსცვდეთ სამზღჳართა ზედა ზორასტანისათაგარე, რათა ამათა ვიეთთამე მეკობრეთაგან არა რომელისამე ქუეყანისა ვაჭარნი არა ოდესმე ხდებოდენ და უზრუნველად ვიდოდენ თვისთა სავაჭროთა ზედა; ესრეთ მტკიცედ ჰსდეგით ბრძანებასა ამას ზედა თქვენ და შვილნი თქვენნი და ყოველნი შთამოსრულნი თქვენგან, წელიწადსა შინა სპასალარობისა როჭიკად უკვდავად გებოძებისთ ასნი საჭურჭლენი და წარსულთა ერთგულებათა თქვენთა თვს აჰა თჳთომან მიიღეთ ოცი ათასთა საჭურჭლეთა გასაღები და გამოზიდეთ ქვეყანასა თქვენსაო". მის დიდისა მოწყალებისა წერილი დაუმტკიცა და უბოძა. იგი მეფენი დიდსა მხიარულებასა მიეცნენ ეგე ვითარისა მოწყალებისა თვს მით, რომე ვითა დიდი კელმწიფე იყო დილარ, ეგრეცა სპასალარობა მისი იყო, იგინი ქვე მიწასა დაემხვნენ, თაყვანი ჰსცეს, მუხლსა აკოცეს და მადლობა მრავალი მოახსენეს. კვლა შეჰქმნეს უმეტესი მხიარულება მათ ყოველთა და განცხრომა დიდი. ოდეს სრულ იქმნა ათი იგი დანიშნული დღე, სწადოდა დილარს მიერ გამოსალმება მათ ყოველთა, გარნა გარშარაბ მეფემან და სპასალარმან დაუჩოქა და ჰსთხოვა ვედრებით, რათა ქვეყანაცა მისი განენათლებინა მიბრძანებითა და ეხილვა აოხრებულნიცა იგი ქალაქნი და სოფელნი, ვითარად კეთილად შეემკო. უსმინა დილარმან და დართო ნება შესვლად მისსა ქვეყანასა.

აქა დილარ მძლეველისა და სხვათა მათ დიდთა კელმწიფეთა და მეფეთა შესვლა მზისა ქალაქით გარშარაბ მეფისა ქვეყანასა შინა.

ალმკედრდენ მუნით და შევიდნენ სამეფოსა გრძნეულთა მეფისასა და დაიწყეს სლვა მხიარულებითა დიდითა, ყო-

ველთა პურობათა სხვათა და სხვათა ქალაქთა გარდაიხდიდა დიდითა დღესასწაულობითა და მხიარულობითა, მათ მეფეთა სიმრავლესა ყოველსავე ჰსძღვნიდა თჳს თვისად და მნათობთა დედოფალთა და მჴევალთა მათთა. ვლიდეს ამოდ და ნებიერად პურობითა და შექცევითა და ოდეს მივიწიენით შენობათა მათ, რომელნი პირველ ჩვენ აღგვეოხრებინა, ესრეთითა ტურფითა და კეკელითა განკარგვითა განეწყო, რომე მხილველთა თჳს სანატრელ იყო, და ერნი კეთილნი ყოველთა შინა განემრავლებინა, არა ვის მოგონებასაცა შინა არღა იყო გრძნეულთა ბილწი ჴელოვნებაჲ უხაროდა დილარს გარშარაბისა ეგე ვითარი კეთილ გონიერება და ერთა განმრავლებაჲ და დიდსა პატივსა უყოფდა; ვლეთ მხიარულებითა და პურობითა შენობათა და ქალაქთა შინა სამი თვე და განვლეთ სამეფო გარშარაბისა, მივედით მუნ, სადა პირველ მეფე ზორასტან დაგვეყენებინა დიდისა მდინარისა კიდესა და ტყესა, სამსა დღესა მუნ უმასპინძლა და განუსვენა გარშარაბმან ყოველთა მათ კრებულთა უმჯობესითა პურობითა, ლხინითა და ძღვნობითა. რა მეოთხესა დღესა დააპირეს მათ ჴელმწიფე მეფეთა და დიდებულთა ურთიერთისა გამოსალმებაჲ, აღჰსდგა მეფე და სპასალარი ზორასტან, დაიდგნა მუხლნი და დაიწყო ვედრება ესრეთ, ვითა: „ჴელმწიფენო და მეფენო, მეცა, მოწყალებითა დილარ მძლეველისათა, ბილწთა მათ მჴეცთა თაყვანისცემისაგან გამოვხსნილვარ, აწ გევედრები, რათა მოწყალებით მომხედოთ და ინებოთ ქვეყანასაცა ჩემისა ურთიერთისა ჰვრეტითა განვლაო“. დილარისა ნამსახური იყო ზორასტან და უბრძანა: „მეფეო ზორასტან, ესრეთითა მხიარულებითა შემოვალ ქვეყანასა შენსა, ვითა თჳთ მამულსა ჩემსაო“. რა ბრძანება იგი დილარისა ისმინა, ახლტა ზორასტან და ჰსთქვა: „ესე არს ჟამი ბედნიერებისა ჩემისაო“, და მოახსენა: ამიერითგან ინებეთ გზისა შედგომაო.

აქა დილარ მძლეველისა და ყოველთა მათ კელმწიფეთა მეფეთა და დიდებულთა და ურიცხვთა მათ სპათა მათთა მეკობრეთა მეფისა ქვეყანასა შესვლაჲ მხიარულებით.

შესხნეს იგა მნათობნი დედოფალნი უსასყიდლოთა კუბოთა შინა, აღმკედრნენ ყოველნივე და გავემართენით გზასა ზედა. თურე ადრითვე განეგო ზორასტანს მათ კელმწიფეთა და მეფეთა მიწვევა. სადაცა გარდავხდით, დაგვხდის კარავნი კარავთა ზედა და ტალვარნი ურიცხვნი ოქრო ქსოვილთა ლართაგან, იყო სანოვაგეთა უხვება, და სასმელთა გარდამატებულება. დიდითა დიდებისა გამოჩენითა გვიძღოდა, ჰსძღვნიდა მრავალთა ძვირფასთა ნივთთა, და ჰლოცვიდა დილარისა ხელმწიფებასა, ერთსა თვესა მათ უვალთა და ცხოველთა უხვედრთა ადგილთა ესრეთითა დიდითა დიდებითა გვმასპინძლობდა, რომე დიდთა ქალაქთაცა შინა საქებელ იყო ეგე ვითარი პურობა. და ოდეს მივიწიენით შენობასა, მაშინ მოგვეგებნეს ყოველნი მის ქვეყანისა ერნი, მოულოცვდიან დილარს დიდ დიდთა მათ ძლევა შემოსილებათა, და ზე აყრიდენ ურჩეულესთა სპეკალთა და ქვე უფენდენ ოქრო ქსოვილთა, ლართა. მოვიდნენ მის ქვეყანისა მოხუცებულნი და ვარსკვლავთ მრიცხველნი, კელთა დაფნისა გვირგვინისა მპყრობელნი, ჰლოცვდენ და ულოცვიდიან დიდისა მზისა ქალაქისა მპყრობელობასა, ჰსდგეს მარჯულ და მარცხულ მუსიკნი ტკბილისა კმითა მსახიობელნი, შეასხმიდეს ხოტბათა, უძღოდენ წინარე და ადიდებდენ ხელმწიფებასა მისსა. სამსა თვესა ყოველთა დღეთა პურობითა დიდითა ამხიარულებდეს დიდთა მათ და მცირეთა, ჰსძღვნიდიან მრავალ გვართა ნივთთა, და ოდეს მიიწივნენ დასასრულსა ზორასტანისა ქვეყანისასა, მას ადგილსა განუსვენა ათსა დღესა ყოველთა დღეთა უმჯობესად, და იგი კელმწიფენი და მეფენიცა იხარებდეს ერთი ერთისა ჭვრეტითა, და ოდეს მოიწია ჟამი განშორებისა

მათისა, მაშინ იწყეს კვლა გამოსალმება, ეხვეოდეს და ჰკოცნიდეს ერთმანეთსა და ეფუცებოდეს დილარს კვალად ადრე ხლებასა. მეკობრეთა მეფემან და სპასალარმან ზორასტან მისცა ფარსმან მეფესა. ნუშრევანს და გოჰარს გზის ეტიკნი, მარჯვედ და მოკლედ გზის მცოდნენი, მალედ მიყვანისა თჳს ქვეყანასა შინა მათსა, და ესრეთ მოშორდნენ ურთიერთას ცრემლითა და მწუხარებითა მრავლითა. წარმსვლელნი მივიდნენ ქვეყანასა მათსა, და დაიწყეს განგებაჲ საბრძანისთა თვისთა უკეთილესად და უმჯობესად, და იხარებდენ საყვარელთა თჳსთა თანა შვებითა და ალერსითა, და დახაროდენ ძეთა თჳსთა, მათ ტურფათა ნაყოფთა. ესრეთ თქმულ არს: ოდეს მზისა ქალაქით იგი შვენიერებით მდიდარნი მნათობნი გარე ქვეყანათა გამოვიდნენ, თუ სადმე შვენიერნი ქალნი იქმნებიან; მათ მნათობთაგან შთამომავალნი არიანო.

იყო დილარ მძლეველი მრავალთა დღეთა დაჭმუნვებული მათ საყვარელთა ძმათა მოშორებისა თვის, და შეაქცევდენ ლასურ, გარშარაბ და ზორასტან და ყმანი თჳსნი. ერთსა თვესა დაჰყო მეკობრეთა მეფისა ზორასტანისა ქვეყანასა შინა მცირითა ოდენ ერითა, მით რომე ლასურ კელმწიფემან დაიყენა თჳსთანა ორი ათასი შინა ყმანი დიდებულნი შემაქცევლად და სასამსახუროდ თჳსად და დილარსაცა ახლდენ ყმანი თჳსნი აბაშელნი, მზისა ქალაქელნი, და მეფე გარშარაბ, მერმე და კვლა სამსა დღესა მიჰყვეს კელი მხიარულებასა და პურობასა. მაშინ მოიყვანა მეფემან ზორასტან პირმშო ძე თვისი შვენიერი მოყმე ჭაბუკი, აახლო დილარს, მუკლს აკოცნინა, და შეჰვედრა ძე და ქვეყანაცა თვისი. დილარმან დიდად დაუმადლა და უბრძანა: მეფეო დღეისთვან მე ვიზრუნო ძესა შენსა ზედაო. შემდგომად განაგო ქვეყანა თჳსი. უჩინნა დიდებულნი თჳსნი, და ესრეთ განემზადა სახლებელად თჳთცა და მეცა თჳსი განმზადავე. უბრძანა ურიცხვთა აქლემთა მათ გამოზიდვად, ეგრეთვე გარშარაბ მეფემან ახლო ძე თვისი, და მანცა უბრძანა საჭურჭლეთა მათ გამო-

ზიდვა, მაშინ აღიმსწრაფლეს ვითა ორბთა ფრთე მალთა, და გაემართნენ მზისა ქალაქად, ვლეს მრავალი დღე და ღამე და მივიწიენით დასასრულსა გარშარაბისა ქვეყანისასა, მუნ გარდახდენ და პურობითა მასპინძლობდა მეფე გარშარაბ, მას პურობასა ზედა მცირედ დაჰფიქრდა დილარ მძლეველი, და მერმე უბრძანა მას კელოვნებითა ვარსკვლავთაცა შემპყრობელსა ჯანუჯან ვაზირსა, ვითა: „ბერო ვაზირო, მნებავს მე, რათა სახელი შენი დაშთეს საუკუნოდ ქვეყანასა ზედა და კელოვნებითა შენითა იდიდებოდეს კელმწიფობაცა ჩემი, და ესე არს სურვილი ჩემი, რათა ამა ადგილსა ზედა ესრეთი რაჲმე ზღუდე და გოდოლი შემზადო, რომე არა რომელსა ძლიერსა დევთა, ქაჯთა, ფერიათა და გრძნეულთა დამმორჩილებელსა კელმწიფესა ძალითა აღება მისი არა შეეძლოს და ვერცა შეიძლონ გვირაბისა ამის დაახლოება, მათ ზედა გამოიყვანო ყოველთა კელმწიფეთა და მეფეთა სახენი, რომელნიცა შემოვიდნენ მზისა ქალაქსა და ყოველი მოქმედება მათი ზედა წაროუწერო, რათა იყოს დაუსრულებელად საქმენი და სახელნი ჩვენნი მოსახსენებელად ყოველთაგან მხილველთა და ეგრეთვე ჰქმნა სახეცა შენი ზედა წარწერითა მომთხრობელიო". რა ჯანუჯან ვაზირმან ბრძანება იგი დილარისა მოისმინა, მყოვარ ჟამ თავი დაჰკიდა და მოახსენა: „ძლიერო კელმწიფეო, მომეც ნება ერთსა წელსა აქა დგომისა და მიბოძე იერლაყი ამის კერძო ერთსა მეოთხედსა ნაწილსა საკელმწიფოსა მზისა ქალაქისასა, რათა რაჲცა მომინდეს საქმესა ამას ზედა ყოველივე უნაკლულოდ მზად იყვნენ და ყოველნი კელოვანნი მუშაკნი კმასა ჩემსა ჰმორჩილებდენ და რაჲცა გულსა თქვენსა ჰსწადს, ერთსა წელიწადსა შინა შევასრულო ბრძანება ეგე თქვენიო". დილარ, ჯანუჯანისა მოხსენებასა ზედა დიდად გამხიარულდა და უბოძა იერლაყი მეოთხესა ნაწილსა დიდისა მის მზისა ქალაქისა საკელმწიფოსასა, ერთა საჭურჭლეთა და ყოველთა ზედა, ვითარ იგი ითხოვა მან ვაზირმან რა იგი თხოვა ვაზირისა შეასრულა დილარმან, ჯანუჯან დაუტევა

მუნ და თვთ ყოველნივე ერთობით გავემართენით კერძოდ მზისა ქალაქისა, ვვლეთ მრავალნი დღენი ლხინითა და განცხრომითა. და მიიწივნენ თვისთა სატრფიალოთა თანა და ჰსტკბებოდენ ნებისაებრ თვსისა, იშვებდენ და იხარებდენ და შეჰსტრფოდენ სასურველთა მათ ძეთა თვსთა.

აქა დიდისა მის ჩეკინისა კელმწიფამან ლასურისა მთოვარემან მნათობმან კასია ჰშვა ასული შარავანდედითა, ვითა მზე და ნათლითა, ვითა მთოვარე.

მას მხიარულობით დროთა განტარებასა შინა დედოფალმან კასია ჰშვა ასული ბრწყინვალებითა, ვითა მზე, რომლისა ჰვრეტითა განჰკვრდებოდენ ყოველნი მხილველნი, ორნი იგი დიდნი კელმწიფენი და საყვარელნი ძმანი. მაშინ უმეტესსა მხიარულებასა მიეცნენ და ჰქონდათ ექვსსა თვესა დღე და ღამე მოუკლებელნი პურობა და ქალაქთა ალლამპვრაჲ და განჰსდიდნებოდა მოლოცვა მრავალთაგან. მას მხიარულებისა განმრავლებასა შინა მოხსენდა დილარს სამსახურნი მეკობრეთა მეფისა და სპასალარისა ზორასტანისა და გრძნეულთა მეფისა გარშარაბისა.

აქა ქორწილი ზორასტან მეფის ძის სისტანის და გარშარაბ მეფის ძის ფეროზის მზისა ქალაქს შინა.

ინება დილარ მძლეველმან მხიარულებასა ზედა მხიარულებისა მომატებაჲ და უბოძა ძესა ზორასტანისასა სისტანს ასული, დიდებულისა სპასალარისა მნათობი ეთერი, ცოლად და ძესა გარშარაბისასა ფეროზს ასული სპასალარისა ყამბარყანისა მნათობი ზოალ ცოლად და გარდაიხადა ქორწილი დი-

დებული ოთხ ათეულსა დღესა და უბოძა მზითვად მნათობსა ეთერს და ზუალს, რაჲცა ებოძებინა კასიასა, რიზარინისა და სხვათა თჳს, აღავსნა მამანიცა მათნი წყალობითა და ესრეთ იყვნენ ყოველთა დღეთა მხიარულობასა, ნადირობასა და პუ-რობასა შინა.

აქა კვალად ჰშვა ძე მზისა ქალაქისა და აბაშეთისა კელმწიფა ანავსია-მან შვენიერებითა მდიდარი და ღრმა მონაკვეთი.

მიხედა ცამან უხვებით დილარს და ანავსია კელმწიფა-მან კვალად ჰშვა ძე შვენიერებითა ჰმსგავსი თჳსი და მკერდ მკლავითა მამისა უმჯობესი მაშინ შეიქმნა რბენა მას განძლი-ერებულსა საკელმწიფოსა შინა მახარებელთა, ყოველთა სპა-სალართა და ვაზირთა, სპასპეტთა, დიდებულთა და მოხელე-თა თანა და დაიწყეს განწესებულთა მოსალოცავთა მოზიდვა ტკრთებითა, და ჰქონდათ წელიწადსა ერთსა შეგროება მრა-ვალთა ძვირ ფასთა თვალთა თლილთა. იყო დილარისაგან განცემა მოუწყინებელი და ნება აქვნდა ყოველთა ზიდვისა, ვის რაჲ უნდის, გარნა ათხუთმეტ ასი ათასნი დიდებულნი საჭურჭლენი კვალად აღავსნეს მათ უსასყიდლოთა თვალთა-გან, სხვად და სხვად სახმარად კელოვნად გამოთლილითა. იყო მხიარულება მოუკლებელი და დიდთა და მცირეთა ჰქონდათ სა-უნჯეთა განმრავლებაჲ თვალითა თლილითა ოქროთა და ვერცხლითა დილარისა მიერ ბოძებითა და მოწყალებითა. იხარებდა დილარ მის ეგე ვითარისა ბედნიერებისა თვის და შეჰსწირვიდა მადლობასა განგებასა. მას მხიარულებასა ზედა მოვიდა ჯანუჯან ვაზირი, მოხარული წარჰსდგა წინაშე ანავ-სიასსა და დილარისა, მიულოცა, დაჰლოცნა წვრილნი იგი ძენი მათნი, გარდააყარნა ჰრჩეულნი თვალნი თლილნი და მოახსენა ბრძანებულისა მათისა სრულ ყოფაჲ. გამხიარულდა დილარ და ჰბრძანა ხილვად მისსა წარსვლაჲ, გარნა ჯანუჯან

ვაზირმან მოახსენა ანავსია ჴელმწიფესა, ვითა: „ჴელმწიფეო, ჴელოვნებითა ჩემითა შემიქმნია ლომი ერთი და უკეთუ კმა რაჲმე ოდესმე მოგესმასთ, არა შეჰკრთეთო“. ვაზირისა მოხსე-ნებასა ზედა მის ბალახშისა უფეროვნესითა ბაგითა გაიღიმა და ტკბილითა რაჲმე ნაზითა სიტყვთა უბრძანა: „ბერო ვაზი-რო, თავმან დილარისამან, არა ვჰგონებ მაგას ეგრეთ, მით რომე, რაოდენთა თვეთა სავალი არს მუნით აქამომდე და კმა რისამე ვითარ მოიწევისო“. დილარმანცა არა ირწმუნა, გარნა ხილვასა ზედა გამოჰსჩნდებოდა. ჰბრძანეს და განემზა-დნენ გვირაბსა მას განსავლელად. გასხდენ მერანთა ტაიჭთა, ვვლეთ მრავალნი დღენი მხიარულებითა, განვლეს გვირაბი იგი და მივიწიენით მუნ, სადაცა შეექმნა ჯანუჯან ვაზირსა ჴელოვნება იგი საკვრველი.

აქა დიდის მზისა ქალაქისა და აბაშეთისა ჴელმწიფისა დილარ მძლე-ველისა და ჰეკინისა ჴელმწიფისა ლასურისა და სხვათა მათ მეფეთა და დიდებულთა მისვლა ჯანუჯან ვაზირისა გაკეთებულისა ჴელოვნე-ბისა სახილველად.

ოდეს გვირაბი იგი განვლეთ, მივიწიენით მუნ, სადაცა ჯანუჯან ვაზირსა ჴელოვნება თვისი ემუშავა. იყო ოცისა უტევანისა სიგანე გოდლისა კედელი სრულად მყარისა რვა-ლისა, და სიმაღლე გოდლისა მისისა იყო ოცი უტევანივე, აქვნდა შესავალი კარი ერთი თორმეტისა უტევანისა სიმაღლი-სა მექონი და ეგოდენისავე სიგანისა სრულად მყარისა ფო-ლადისა და ზემორე კერძო შესწვრივ კარისა მის მაღალსა ზღუდესა ზედა იდგა რვალისა ლომი უზომო და საშიშრად დიდად დიდი და ბრწყინვალედ ქმნილი და ზღუდესა მას გოდ-ლისასა ზემორე გვრდივ ევლო ათორმეტ მწყობრად თვალთა შესაზარავად საკმარნი გმირნი ფერჴზედ მდგომნი რვალისაგან ქმნილნი, ყოველთავე რვალისა მშვილდნი ეპყრათ და ისარნი

ფოლადისანი პირ ბასრნი სიგრძით ათისა მხრისა და სიმსხო-
თი უსხოსნი დიდთა ძელთა. ოთხთა მწყობრთა პირის პირ მო-
სავალისა გზისა ეპყრათ ისარნი ფიცხელად მოზიდულნი, ოთხ-
თა მწყობრთა ზეცისადმი მოზიდულნი ეპყრათ და ოთხთა
მწყობრთა ქვე მიწისა დამზერით ეპყრათ. თვითოთა მწყობრთა
რიცხვ არა შეიგებოდა. იგი კელმწიფენი ვლიდენ, ჳსინჯვი-
დენ და მოჳსწონდათ კარისა შინა კერძო თავსა კამარი-
სასა იყო გამოჭრილი ზღუდე იგი რვალისა კამარედად და ზე-
და კერძო მისსა გავალაკი მაჩრდილობელი ოქროსაგან. ური-
ოშოსა განსადიდებელითა კელოვნებითა გამოჭრილსა მას კა-
მარედსა შინა იდგა ტახტი სრულისა ადამასისა და მას ზედა
იჯდა სახე დილარისა მრთელისა იაგუნდისაგან გამოკვეთილი
ყოვლითა სამამაცოსა საჭურველითა, ედგა თავსა გვირგვინი
შეფერადებული ძვირ ფასთა სპეკალთაგან და გვერდსა უჯდა
სატრფიალო თვისი მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსია გვირ-
გვინითა და საკელმწიფოჲსა სამკაულითა. მას გვერდით უსხ-
დეს შვენიერნი ნაყოფნი სამნი ძენი თვსნი საკელმწიფოჲსა
გვირგვინითა და სამკაულებითა; ქვემო კერძო მისსა ეწერა
ხუთისა ენისა წერილითა ოქროსა ასოებითა მტკიცედ რასმე
ჩასხმული ამოჭრილსა რვალსა შინა, ყოველნივე მოქმედებანი
დილარ მძლეველისანი: გმირობანი, ბრძოლანი, მიჯნურობანი
და კელმწიფობისა დიდებანი; მარჯვნით კერძო კარისა მის
იყო გამოკვეთილი რვალი, ეგრეთვე კამარედად ტახტითა და
გავალაკითა, ზედა იჯდა პეკინისა კელმწიფე ლასურ და ამას
გვერდით უჯდა საყვარელი თვისი დედოფალი კასია და თანა
უსხდეს ორნი ძენი და ერთი ასული და ქვემო კერძო მისსა
ეწერა ყოველნი მოქმედებანი მისნი, ბრძოლანი და მიჯნურე-
ბანი, კვლა მისს გვერდით იყო გამოკვეთილი და მუნ იჯდა
ტახტსა ზედა კელმწიფურისა წესითა მეფე ფარსმან საყვარე-
ლითა თვსითა და ორითა ძითა და ქვემორე ეწერა ყოველნი
ბრძოლანი და გმირობანი მისნი; მას გვერდით იყო მეფე ნუ-
შრევან საყვარელითა თვსითა და სამითა ძითა და ქვემორე

მისსა ეწერა ყოველნი მოქმედებანი, ველად გაჭრანი, კლობანი და ბრძოლანი; მას გვერდით მეფე გოშარ საყვარელითა თვისითა და ორითა ძითა. მას გვერდით მეფე სკჳთთა ხაყან სხყვარელითა თჳსითა და ორითა ძითა. მასთანა მეფე გორშარაბ, მას გვერდით მეფე ზორასტან, მას გვერდით მეფე ფეროზ საყვარელითა თჳსითა, მას გვერდით მეფე სისტან საყვარელითა თჳსითა, მას გვერლით ხუთნი მეფენი ლასურისანი, მარცხენით კერძო დილარისა დიდი იგი კელმწიფე ჰინდოთა ეგ სახედვე გამოკვეთილსა ტახტსა ზედა მჯდომარე დედოფლითა თჳსითა და ორითა ძითა, მას გვერდით ბაბილოვნისა მეფისა თვის კამარედად გამოჭრილი და ტახტი და მას ზედა მჯდომი საყვარელითა თჳსითა და ორითა ძითა, მას გვერდით ეგვიპტისა მეფე დედოფლითა და ორისა ძითა თვისითა, მას თანა შვიდნი მეფენი და სპასალარნი მზისა ქალაქისანი, მათ თანა მეფე და სახლისა უხუცესი საურმაგ, მას თანა მეფე და სპასალარი მარსი თჳსითა საყვარელითა და ორითა ძითა, მას თანა მეფე ლარა ძე ეგროსისა საყვარელითა თჳსითა და ორითა ძითა, მარჯვენით ლასურისა მეფეთა თანა ათასნი იგი მოყმენი დილარისანი თჳს თჳსითა მნათობებითა და ორორისა ძითა, რომელთა ბრძოლანი და გმირობანი ყოველნივე ქვემორე მათსა უცთურად გამოწერილ იყვნეს, მარსის გვერდით და ლარას ზემორე იყოვე ტახტსა ზედა მჯდომი საყვარელითა და ორითა ძითა თჳსითა ჰინდოთა ამილბარი და მეფე და ამასცა ქვემორე ეწერა ყოველნივე მორბედობანი მისნი. რა იგინი ეგრედ საკვრვოდ შეხელოვნებულნი იხილეს, აქებდეს ყოველნივე სიბრძნეს ჯანუჯან ვაზირისასა. შემდგომად ჰკითხა დილარმან ჯანუჯან ვაზირსა, ვითა: „მამაო, რაი არს მოქმედება ეგეოდენთა ურიცხვთა მშვილდ მოზიდულთა გმირთა და ანუ მის საშინელისა ლომისა, რომელიცა მდგომარე არსო“. მაშინ ჯანუჯან ვაზირმან მოახსენა: „ცხოვნდი, კელმწიფეო კელმწიფეთაო! ლომი იგი, რომელიცა მდგომარე არს, ესე არს საქმე მისი, ესრეთსა ვარსკვლავსა ზედა შემიმ-

ზადებია, ვინ უწყის, თუ ოდესმე მტერმან დაჰმართოს ქვეყა-
ნასა ამას, უწინარეს ერთისა წლისა სამ გზის ესრეთითა კმითა
შეჰსძახებებს, რომე მზისა ქალაქისა ერთა ყოველთავე მიესმისთ
და იგი იქმნების ნიშანი მტერთა დამართებისა და ყოველნივე
ერთისა წლისა წინარე მტერთა ზედა განემზადებიან ყოვლითა
ძალითა თჳსითა და კვლა ექვსისა თვისა წინარე ექვს გზის
მითვე სასტიკითა კმითა იძახებს და ოდეს ამა ადგილსა ერთი-
სა კვირისა სავალს დაუახლოვდების მტერი, მაშინ იწყებს დღე
და ღამე მოუკლებელად კმითა საშინელითა ყვირილსა წამითი
წამად და იგი მშვილდოსანნი გმირნი იწყებენ ისართა სრო-
ლასა. ხუთასნი ათასნი მოისარნი პირის პირ იქმნებიან მსრო-
ლელნი ფიცხელთა ისართა, ერთსა ჟამსა შინა თჳთო გმირი
ათასსა ისარსა ისვრის და რასაცა მოხვდების ფოლადსა, რკი-
ნასა ანუ სალსა კლდესა, შიგან გავარდების, გმირთა მათ ისა-
რნი არა გამოელევიან და არცა ლომი დაჰსცხრების ყვირილი-
საგან ვიდრემდის მტერთა სრულად არა გაჰსწყვედენ და ვაი
ნათესავისა მის, რომელიცა ქვეყანასა ამას სამტეროდ დაჰმარ-
თებს, მით რომე არა რომელთამე დაბადებულთაგანი გადურ-
ჩება ცოცხალი ისართა მათ; და რომელთა ჰაერთა ზე უპყრიათ
ისარნი, ესე არს საქმე მათი: ვინ უწყის, მძლავრი ვინმე კელ-
მწიფე გამოჰსჩნდეს ქვეყანასა ზედა, რომელსაცა ჰმორჩილებ-
დენ დევნი, ქაჯნი, გრძნეულნი და ფერიანი და კეთილსა ამას
ქვეყანასა ჰაერით შესვლა მოინდომონ, იგი გმირნი ოთხ მწყო-
ბრადნი ჰაერად იწყებენ ისართა სროლასა და არა ძალ უძსთ
არა რომლითა კელოვნებითა ისართა მათგან თავთა თჳსთა
გარდარჩენა, მით რომე ეთერისა ცეცხლადმდე მიაწევენ ისარ-
ნი იგი სრულითა ძალითა და იგინიცა ეგოდენთა ისართა ის-
ვრიან თვითოსა ჟამსა შინა; და რომელთაცა მიწისა ქვე დამ-
ზერით უპყრიათ ისარნი, იგინი ქვეშე ქვეყანისა ქვესკნელად
განვლიან, რათა თხრილისა განლებითა ვერღა სადა ვინ შემო-
ვლოს ქვეყანა ესე*. ოდეს წინაშე დილარისა დაასრულა სი-
ტყვანი ესე ჯანუჯან ვეზირმან, განვკვირდით ყოველნივე და

კნინლა არა ვირწმუნებდით და ჰსთქვა ლასურ კელმწიფემან: „თავმან დილარისამან, მე წელიწადსა შინა ერთ გზის დილარისა უხილველოდ ვერა დავჰსდგები და, უკეთუ მომავალთა მოყვარეთაცა ეგრეთვე გაგვიწყვეტენ, არა კეთილი კელოვნება მოგსვლიაო“. ვაზირმან გაიცინა და მოახსენა: „არა, კელმწიფეო, მოყვარეთა არა ემტერებიან, გარნა მტერთა სიკვდილისა თვს არა შეიწყალებენ.

აქა დიდისა მის მზისა ქალაქისა და აბაშთა კელმწიფისა დილარ მძლევelisა მიერ მის საშინელისა ლომისა კმის გაგონებისა მონებება და გმირთა მათ ისართა მკუჭთელობისა გამოცდა.

უბრძანა ბერსა ვაზირსა დილარ მძლეველმან, ვითა: „მამაო, მნებავს ლომისა კმისა სმენა და ისართა მათ ძალისა გამოცდა, რათა ვიცოდე მეცა უცთურად საქმენი მათნიო“. ჯანუჯან ვაზირმან მოახსენა: „უდიდებულესო მონარხო, აჰა შეუდეგით კვალსა ჩემსა და ბრძანება თქვენი აღვასრულოო“. წაუძღვა წინა და შეუდგნენ ყოველნი იგი კელმწიფენი მეფენი და დიდებულნი, ერთისა კვირისა სავალი გვატარა გარშარაბ მეფისა მამულსა შინა და მიგვიძღვა მუნ, სადაცა აღეგო გრძლად კედელი ათასისა მხრისა სიგრძედ გარდიგარდმო მისავლისა გზისა და კედელი იგი იყო კვრივისა ფოლადისა, რომელსაცა სიგანე ჰქონდა ოცი მხარი. გარშარაბ მეფისა მამულის მხრივ ჰქონდა კარი კედელსა მას და მას კარსა ზემო კერძო იყო რვალი ბრწყინვალედ შემზადებული სახე დილარისა შემოსილი საგმიროსა საჭურველითა ტაიჰსა მჯდომი თავ გვირგვინოსანი, ერთსა კელსა ეპყრა ხმალი მოწვდილი და ერთსა კელსა სფერო და სკიპტრა, მარჯვნივ ათ-ხუთმეტნი გვირგვინოსანნი კელმწიფენი და მეფენი უდგნენ მკერდს კელ მოჭდობილნი და ქედ მოხრილნი და ეგრეთვე მარცხენით კერ-

ძო ათ ხუთმეტნი გვირგვინოსანნი კელმწიფენი და მეფენი, რომელნიც ცხად ჰყოფდენ დილარისაგან დამონებასა მათსა, ყოველთავე ზედა ეწერათ სახელნი თვსნი და ქვეყანათა თვსთანი.

აქა იხილვის სახე ჯანუჯან ვაზირისა და ზედა წარწერა მისი.

შორად მათ სახეთა იყო სახე რვალ სა თვით ჯანუჯან ვაზირისა, რომელსა ქვემორე ეწერა ესრეთ: „ჵე, ქვეყანისა მპყრობელნო ძლიერნო კელმწიფენო და მეფენო, ნუ ვის მოგივათ გულსა ნდომა მზისა ქალაქისა დაპყრობისა და რომელნიცა მძლავრნი კელმწიფენი აქამომდე მოხვდეთ, ისმინეთ ჩემი და გარე უკუნ იქეცით, თუ არა, ვჰფუცავ თავსა ყოველთა კელმწიფეთა დამპყრობელისა პატრონისა ჩემისა დილარ მძლეველისასა, რომე არა ძალ გიძსთ მტერობით შესვლა შიგან ამის ზღუდისა და, უკეთუ არა ირწმუნებთ თქმულთა ჩემთა, იხილეთ მყარი ესე ზღუდე ფოლადისა, ვითა ისარნი გმირთანი სასტიკად განვლიან ამას შინა და თქვენ ნუ დაიხოცთ თავთა თქვენთა და მშობელთა თქვენთა ნუ ატირებთ ყე თქვენზედა, მით რომე ერთისა დილარ მძლეველისაგან კიდე არა ვის დაუპყრია გარეგანსა კელმწიფესა ქვეყანა ესე და ნათესავი მისი იქმნების კეთილისა ამის ქვეყანისა კელმწიფებასა ზედა საუკუნოდ, რომლისა ბრძანებითა შევჰქმენ საშინელი ლომი მრავლისა კელოვნებითა და უთვალავნი გმირნი ფიცხელად და სასტიკად მოისარნი. აწე, რომელმანცა სახელოვანმან კელმწიფემან და ძლიერმან ფალავანმან იხილოთ ადგილი ესე და ისართა მკვეთელება, დაჰსცევით თავნი თქვენნი მშვიდობით და უკუნ იქეცით ადგილთავე თქვენთა, თუ არა ერთიცა ცოცხალი ვერა განერებითო“.

აქა ჯანუჯან ვაზირმან თანა წარიყვანა მეფე და სპასალარი მარსი მას საშინელსა ლომსა და ურიცხვთა გმირთა გოდოლსა თანა და დილარ მუნ დაუტევა კელმწიფეთა და მეფეთა სახეთა თანა.

Ჯანუჯან ვაზირმან მოახსენა დილარს, ვითა: „კელმწიფეო, თქვენ იყვენით აქა წინაშე ამა სახეთა თქვენთა, მით რომე ისარნი იგი მომავალნი სახეთა ამათ არა მოხვდებიან და მე წარვიყვან მეფესა და სპასალარსა მარსის, რათა იხილოს მშვილდოსანთა მათ ისართა სროლა და ლომისა კმიანობაო“. იგინი წარვიდნენ და დილარსა თანა დავშთით შვებასა და მხიარულებასა შინა. ოდეს განვლო ერთმან შვიდეულმან, იგი კელმწიფენი, მეფენი და დიდებულნი და სხვანი ყოველნივე ვსხედით პურობად. მათ სახეთა პირის პირ მყისად შეიქმნა ესრეთი ძლიერი ძახილი ლომისა, რომე ესრეთ ვჰგონეთ: ცა თავსა ზედა დაგვატყდაო. ყოველთავე შიშისა ზარი დაგვეცა, ვიტყოდით თავთა ჩვენთა უბედურად და შეძრწუნებულნი ვჰგორევდით მიწასა ზედა. ყოველნივე ერთობით, ვითა მტერ კვეთებულნი, შევიქმნენით, ვჰბორგევდით, ვჰსთრთოდით და არა ვიცოდით, რასა ვიქმოდით, პურობა ჩაგვშხამდა და ლხინი დაგვმწარდა, დილარ ზე წამოხლტა, იცინოდა და გვიძახდა: „ძმანო ჩემნო, გულ დებულ იყვენით, მის ლომისა კმა არსო“. იყო მოუკლებელი კმა სასტიკი, ესრეთი, რომე არცა ცისა ჰექა და არცა სხვა არა ეჰმსგავსებოდა რა და ვიძახდით: „მიწაო გასქდი და კმისა ამისაგან დაგვიფარეო“. მეფე ზორასტან დილარისა მუხლთა ქვე ჰგორევდა და სოფლისა დასასრული ვჰგონეთ. შეიქმნა ისართა სროლა, ეცის მყარსა მას ფოლადისა კედელსა და ვითა სამოსელსა შიგან განვარდის და მიწასა შინა უჩინო იქმნის. ვითარ ნახევარი ჟამი იყო იგი სასტიკი კმა ლომისა და ისარნი, ვითარ ხშირი სეტყვა, ეგრეთ ჰსდიოდის. შემდგომად დაჰსდგა იგი კმა და ისართა სროლაცა დაჰყენდა, ჩვენცა ცნობასა მოვეგენით. იტყოდეს მეფენი იგი:

„გვაშოროს ღმერთმან კვლადა ჴმისა მის გაგონებაო“. მაშინ დილარმან შექმნა უმეტესი მხიარულებაჲ, დასხნა ყოველნი იგი თვის თვისითა წესითა და დაიწყო სმევა ღვინისა. რა ყოველთა ღვინითა გულნი განიმტკიცეს, ჰბრძანა დილარმან ისართაგან კედლისა ნახვრეტთა აღრიცხვა. იწყეს ყოველთა თვლა და იყო რიცხვი ისართა ხუთ ათ გზის ასი ათასი, ე ჩჩ. განაღა განვჰკვირდით ისართა მათ სიმრავლესა და ძლიერებასა ზედა. იგი დღე და ღამე დავჰყავით მუნ პურობითა და მხიარულებითა და მეორესა დღესა გაემართნენ ჴელმწიფენი და მეფენი თვსთა საყვარელთა თანა და ვლიდეს გზასა სისწრაფით. მოვიდა ბერი ვაზირიცა და მოულოცა დილარს ეგე ვითარისი ჴელოვნებისა სრულ ყოფაჲ. დილარმან თვით ჴელითა თჳსითა დაადგა გვირგვინი, შემოსა სამეფო შესამოსელი და ესრეთ მხიარულებითა დიდითა აღვსილთა ვლეს და მივიდნენ კეკელასა მას ქალაქსა სატრფიალოთა თვისთა თანა, დასხდეს და გამართეს პურობა და მუტრიბთა იწყეს ჴმა ტკილად ჴმობაჲ. მას მხიარულებასა ზედა ჰკითხა დილარმან პეკინისა დედოფალსა კასიას, ვითა: „საყვარელო დაო ჩემო, მიბრძანე, ვითარ მოაწია აქა ჴმა ლომისა მის საშინელისა“. მან მოახსენა: „მზემან ჴელმწიფებისა თქვენისამან, ჴმა უსასტიკესი ცისა ჰექისა იყო ვითარ ნახევარ ჟამი, ესე ყოველნი მნათობნი კნინღა ცნობასა შევჰსცდით, გარნა ჴელმწიფამან ჩვენმან განმამხნო ჩვენ სიტყვთა სანუგეშინის ცემოჲთა და ბრძანებითა მით, ვითა: ნუ შეჰსძრწუნდებით, ჴმა ესე არს ჴმა ჯანუჯან ვაზირისა მიერ შეხელოვნებულისა ლომისაო. ჴმა რაჲმე სასტიკად საშიში ისმოდა და სხვა არა რაჲ ვიცითო“. შემდგომად ლასურმან მოახსენა ყოველივე, რაჲცა ეხილვათ და განკვირდენ ყოველნი იგი მნათობნი და ჴმობდეს: ღირს არს, ღირს არს ჯანუჯან ვაზირი დიდსა ნიჭსა და წყალობასაო. თვით ანავსია ჴელმწიფამან უბოძა ერთი დიდი ქალაქი თჳსისა საუფლისწულოთაგან თჳსითა გარემოებითა. დილარმანცა უბოძა აბაშეთსა შინა ერთი ჩინებული ქალაქი ყოვლითა თჳსითა გა-

რეჭოებითა და დაბნებითა. მაშინ აღჰსდგა ბერი ვაზირი, თაყვანი ჰსცა, ორთავე ტახტისა წინა მიწასა აკოცა და მოახსენა დილარს: „ჰსცხოვნდი კელმწიფეო უკუნისამდე! მაქვსლა სამსახური ერთი წინაშე კელმწიფებისა თქვენისა და, უკეთუ მებრძანების, აღვასრულო იგიცა, ვითაცა ჰშვენის კელმწიფებასა თქვენსაო“. უბრძანა დილარმან: „იტყოდე, ვაზირო, რაჲ არს სამსახური შენი და მზემან მზისა ჩემისამან, მოგცე ნებაჲ, ვითაცა ჰსურს გულსა შენსაო“. მაშინ აღაღო ბრძნად მოუბარი პირი თჳსი, დაჰლოცა კელმწიფება დილარისა და მოახსენა: „დიდო და ძლიერო კელმწიფეო, ვინაჲთგან მოუნიჭებია ღმერთსა თქვენდა ესე ვითარი ძლიერება და კელმწიფება, აწ ესე არს სურვილი ჩემი, რათა შეერთდეს ქვეყანა ესე კეთილი და განძლიერებული ქვეყანასა აბაშეთისასა ესრეთ, რომე არს ერთსა კიდესა დასასრულსა ამის ქვეყანისასა თჳსა ერთისა სავალი ადგილი, ესრეთ ფიცხელი და მზისა ხორშაკითა შემწვარი, რომე არა ვითარიმე ცხოველი მუნ არა იქმნების და კნინღა მზისა სიმხურვალითა ეგზების; აწ გთხოვ, რათა ინებოთ და მომცეთ ბრძანება შეკრებად მუშაკთა მრავალთა და თქვენიცა იგი ქოქონიკნი მიბოძოთვე, რათა მას ადგილსა ზედა ქვეშე ქვეყანისა განვიღო ხვრელი გვირაბი მრავლისა კელოვნებითა და კურტიმელად შევმზადო სხვათა და სხვათა ფერად ფერადითა სპეკალითა ძვირ ფასითა და დიდებულითა საკელმწიფოთა პალატებითა და ხანაგებითა და აღვაშენოცა გოდოლი და ზღუდე კედელი ეგე ვითარი, ვითარცა შევმზადე პირველ ლომითა და მშვილდოსნებითა და ოდეს შევასრულებ მათ მაშინ, ოდესცა ინებებთ, ქვეყანისა ამის კიდურით მიბრძანდებით ერთსა თვესა ზედა დიდებულსა სასახლესა თქვენსაო“. რა დილარ მძლეველმან იგი სიტყვა მოისმინა ჯანუჯან ვაზირისაგან, ესრეთ განმხიარულდა, რომე ჰფუცა: „მზე სატრფიალოჲსა თვისისა და უსწოროთა მათ ნაყოფთა ძეთა თჳსთა, რომე ესრეთი მხიარულება სიცოცხლესა შინა ჩემსა არა მოჰსცემია გულსა ჩემსა ერთისაგან კიდე, რომე მოწყალებით

ღირს მყო სურვილსა ჩემსა კელმწიფამან ჩემმანო“. მასვე ჟამ-სა გაჰსწერა ბრძანება, ვითარ იგი ჰსწადდა ბერსა ვაზირსა მის ქვეყანისა მეოთხედსა ნაწილსა ზედა და უბოძა ქოქონიკნიცა თჳსნი. ჯანუჯან ვაზირი მოემზადა, გამოესალმა და წარვიდა: იწყო ორსა წელსა კელოვნად მუშაკობა საქმესა მას ზედა.

აქა მზისა ქალაქისა და აბაშეთისა კელმწიფა ანავსიამან ჰშვა მესამე ძე შვენიერებითა მდიდარი და მკერდ მკლავთა ლომ მონაკვეთი და აღივსო დიდი იგი სამონარხო მხიარულებითა.

Აღსრულდა სიბრძნით წინათვე თქმული ჯანუჯან ვაზი-რისა მიერ და ჰშვა ანავსია კელმწიფამან მესამე ძე ლომ მო-ნაკვეთი და მკერდ მკლავ სრული, შეიქმნა სიხარული ყო-ველსა მას დიდსა საკელმწიფოსა და შეჰქმნეს კვლა მოზიდვა ჩვეულებითთა მათ განწესებულთა მოსალოცავთა ერთსა წე-ლიწადსა შინა და იყო ყოველთა ერთაგან განდიდებული მხი-არულება. დილარ მძლეველმან უბოძა ყოველთა მის ქვეყა-ნისა დიდებულთა და ჩინებულთა ძეთა ოქროსა ზედა კელო-ვნად გამოყვანილი სახე თვისი, ძვრ ფასთა სპეკალთა და მარ-გალიტთაგან მოოჭვლი და დამოჰკიდა მკერდთა ზედა დიდად პატივის საცემელად ყოველთა მხილველთაგან და საკელმწი-ფოსა სრა პალატსა შინა მეინახეობისა ღირს ყოფად, შთაა-წერინა მატიანესა შინა სახელნი მათნი, რომელნიცა იყვნენ რიცხვით ას ჯერ ათასნი: რ ჩ; განაწესა დარბაზისა ერად და უბოძა სამარადოდ წლისა როჟიკად ოქრო: რ ჩჩ და უწოდა თჳსად მოყმედ, ვითარ იგი აქვნდათ ესე ყოველი განწესებუ-ლი აბაშელთა მოყმეთაცა ათასთა ჩ ჩ, შემდგომად ყოველთა მის ქვეყანისა ერთა ანიჭნა მრავალნი სპეკალნი, ოქრო და ვეცხლი, და დაალოცვინა ყოველთა ძენი თვისნი, იყო მოუ-კლებელი პურობა და გაცემა დილარისაგან და შეჰსძინებდა შვებასა შვებასა ზედა. პეკინისა კელმწიფე ლასურ იყო თავი

ყოველთა მეინაკეთა დილარისათა. იხარებდა, სმიდენ და ასმიდა დოსტაქანითა კეთილ გემოვანსა მას ღვინოსა, სადღეგრძელოდ კელმწიფა ანავსიასსა, დილარისა და სამთა ძეთა მათთასა და გაჰსცემდა თვთცა ყოველთა ზედა მრავალთა. იყო მუტრიბთა კმობა, საკრავთა დაუდგრომლობა და ქალთა მნათობთა შუშპრობა. ერთსა წელსა მოუკლებელსა გაცემასა, პურობასა და მხიარულებასა შინა იყვნეს და იშვებდეს.

აქა პეკინისა დედოფალმან კასია ჰშვა კვალად მნათობი ასული. ფეროზ მეფესა უშვა დედოფალმან ძე შვენიერი ნაყოფი. სისტან მეფესა უშვა დედოფალმან თჳსმან ძე და მარსის და ათასთა მოყმეთა დილარისათა უშვნეს მნათობთა თჳსთა ყოველთავე ასულნი შვენიერნი, ვითა ცისა მნათობნი და ელვარებითა ვითა მთოვარენი.

ზეგარდამოსა განგებისა მიხედვითა პეკინისა კელმწიფესა ლასურს უშვა დედოფალმან კასია კვალად ასული შვენიერებით ჰმსგავსი დედისა თვისისა, ფეროზ მეფესა უშვა დედოფალმან თჳსმან ძე შვენიერი ნაყოფი, სისტან მეფესა უშვა დედოფალმან თჳსმან ძე, მხილველთა საქებელი, მეფესა და სპასალარსა და ათასთა დილარისა მოყმეთა უშვნეს დედოფალთა თჳსთა ყოველთავე ასულნი თხოვისაებრ თვისისა გულისა, შვენიერებითა ყოვლითურთ ჰმსგავსნი თჳსთა დედათა და ელვარებითა ვითა მთოვარენი. მაშინ დილარ და სხვანი ყოველნი უმეტესსა მხიარულებასა შევიდნენ, ორმეოცსა დღესა იყო ყოველთა ზედა გაცემა მოუკლებელი და ქალაქთა ალლამპვრა და მუსიკთა მოუკლებელი კმობა, მოედანსა ბურთაობა და მაყეთა ოქროსა თასთა ზედა ისართა სროლა, ცხენთა დგენა და ნიჭთა უხვად ძლევა, ჰქონდათ ჩოგანთა მარჯვედ ხმარება და ორორითა ტურფად მღერა და პურობასა ზედა ზმობა და მარაგ სიტყვაობა, კვლა წარვიდოდენ სანადიროდ და შეექცეოდენ მკეცთა, ნადირთა და მფრინველთა ხოცითა

და სრვითა და ესრეთ ატარებდნენ დროთა შვებითა და მხიარულებითა და უსწოროთა შვილთა სხმითა.

კარი მეათორმეტე

თავი იგივე.

აქა მოსვლა მზისა ქალაქსა შინა მყინვართა მეფისა ფინეზისა და უმოხუცებულესისა ბრძენთა ბრძნისა ეგროსისა, ჰინდოთა ჴელმწიფისა და დედოფლისა მისისა, ბაბილოვნისა ჴელმწიფისა, ეგვიპტისა ჴელმწიფისა, ნუშრევანისა, გოჰარისა, სკჳთთა მეფისა, ამილბარისა, ლარასი და მათთანავე ძლიერისა მის კადუზიანელთა მეფისა ფარსმანისა თჳსთა საყვარელთა თანა.

Aცის საწუთოსა შინა შემთხვევამან: კაცსა ბედნიერებასა მისცემს, ზედა ზედა მხიარულებასა მიუუხვებს. დიდი იგი ჴელმწიფე მზისა ქალაქისა და აბაშეთისა, დილარ მძლეველი, იყო რა მრავალსა შვებასა და მხიარულებასა შინა, მაშინ მოვიდნენ ყოვლით კერძო ყოველნი იგი ჴელმწიფენი და მეფენი თჳს თჳსითა საყვარელებითა და ოროლითა ძითა და აგრეთვე მოვიდა უმოხუცებულესი იგი ბრძენი ბრძენთა მყინვართა მეფე ფინეზ ძით და დედოფლით გულნაზით და უმოხუცებულესითა ბრძენთა ბრძნისა ეგროს ვაზირით, შეჰკრბენ ყოველნივე მზისა ქალაქსა შინა, დიდსა მას და უშვენიერესსა დარბაზ პალატსა სეზოსტრ ჴელმწიფისასა, შეჰქმნეს ურთიერთის მისალმებაჲ, გარდახვევა, კოცნა და მოკითხვა და ყოველთა გულთა გარდაეფინა მხიარულება. ანავსია ჴელმწიფა მოჰკიდებდა ჴელთა მათ საწადელთა მნათობთა დედოფალთა და თჳს თჳსითა წესითა დასხმიდა ტახტთა ზედა თჳს თჳსთა მიჯნურითა, გარნა ნუშრევანს უბრძანა: „ამაერითგან ჴრლა გა-

ღირსებ საყვარელსა გულნაზ დედოფალსა თანა ჯდომასა, ეძიე შენ თავისა შენისა თჳს ტახტი და, ვითარ გენებოს, განისვენეო“. დილარმან მეფე იგი მყინვართა ფინეზ დაისვა თჳსსა ტახტსა ზედა და გვერდით მოუსვა უმოხუცებულესი ვაზირი ეგროს ანავსია კელმწიფამან აღიყვანა გულნაზ დედოფალი და თჳსთანა დაისვა ტახტსა ზედა და ესრეთ შეჰქმნეს ურთიერთისა ალერსი და ტკბილად საუბარი, ჰსთურმანობდეს გზასა ზედა შრომისა გარდახდასა და უბრძანებდეს ყოველთა მადლობასა. მაშინ განაღა უმეტესად ჰშვენოდა მეფესა და სახლისა უხუცესსა საურმაგს დიდისა დიდებითა პურობისა გამოჩენაჲ: მოიღეს პური და განახვნეს საჭურჭლეთა კარნი, თვითოსა სანოვაგისა მორთმევასა ზედა მოიღიან დიდისა ოქროჲსა ლანკნითა ოქრო ქსოვილი ბოხჩა, სავსე ძვირ ფასითა სამოსლითა სამეფოთა, სადედოფლოთა და სადიდებულოთა და ყოველთ. მეინაკეთა წინა მოართმიდიან, თვითოსა პურობასა ზედა ოთხ ასთა რიგთა ჭამადთა მოიღებდიან და ოთხ ასთა ოქროსა ლანკნითა ოთხასთა ბოხჩათა მოართმიდიან თვითოთა მეინახეთა და ოდეს პურობა შესრულდის, თჳსთა მეინახეთა სახლთა შინა მიიღებდეს ბოხჩათაცა და სუფრათაცა ზედა ხმარებულთა თვისთა არშივთა ჭურჭელთაცა. ორმეოცსა დღესა ეგრეთითა წე ითა განუსვენეს ყოველთავე მაშვრალობისაგან. დილარ ფინეზ მეფისა და ეგროსისა უბნობითა შეექცეოდა, არა მისცილდებოდა პატივის ცემასა მათსა და ყოველსა დიდსა მას ბედნიერებასა თჳსსა ჰრაცხდა პირველ ღვთისა მიერ და შემდგომ მათგან, ოდეს სრულ იქმნა ორმეოცი, მაშინ მოიღეს ყოველთა მათ კელმწიფეთა და მეფეთაგან მორთმეულნი ძღვენნი, რაჲცა მათთავე ქვეყანათა ტურფანი და ძვირ ფასნი ნივთნი შოვებულ იყვნენ ურჩეულესნი და უმჯობესნი, და ყოველთა კელმწიფეთა და მეფეთაგან მორთმეულნი ნივთნი ოცი ათასი ტვრთი იყო, — ათი ათასი დილარისა თჳს და ათიათასი ანავსია კელმწიფისა თჳს. იგი ყოველი შეჰზიდეს საჭურჭლეთა შინა, მრავალი მადლობა შეჰსთვალეს და კვალად იწ-

ყო დილარ მძლეველმან მათ ათორმეტთა გოდოლთა და წალკოტთა შინა მათთა პურობა: თვითოსა გოდოლსა შინა თვითოსა დღესა დაიდვის პურობაჲ და თვითოსა წალკოტსა შინა თვითოსა დღესა და ორ ათ ოთხსა დღესა ესრეთ ამხიარულნა ყოველნი იგი კელმწიფენი მეფენი და დიდებულნი განწესებულითა მით სეზოსტრ კელმწიფისათა: თვითოსა დღესა შინა პურობასა ზედა თვითოსა მეინაკესა ოთხასი ბოხჩა სავსე ძვირ ფასითა სამოსლებითა და ოთხ ასი სუფრისა ჭურჭელნი თვალთა თლილთა შემდგომად პურობისა სახლთა შინა მიერთმეოდა. რა იგი სრულ იქმნა, ჰბრძანა დილარმან მას მეორეს ქალაქსა შექცევა. წაბრძანდნენ ყოველნივე და ერთსა თვესა მუნ განატარეს დღენი მითვე წესითა, ბოხჩათა და ჭურჭელთა მირთმევითა. მას მოხუცებულსა მეფესა ფინეზს და უმოხუცებულესსა ვაზირს ეგროსს მოჰსწონდათ დიდად მის ქვეყანისა ჰაერ კეთილობაჲ, მდებარეობაჲ და ერთა შვენიერებისა მდიდრობაჲ, აქებდეს და იტყოდეს: „ესე არს ქვეყანისა ედემიო“. კვალად ჰბრძანა დილარმან მის კეთილისა ქვეყანისა ერთ კერძოთა ქალაქთა მოვლაჲ. იწყეს ამოდ და ნებიერად სლვაჲ, თვითოსა ქალაქსა შინა დაჰყვან სწორი ერთი პურობითა და მხიარულობითა და არღა მოშალა დილარმან წესი იგი ბოხჩათა მორთმევისა. მოვლეს ერთ კერძო მის ქვეყანისა დიდ დიდნი და ჩინებულნი ქალაქნი შვებითა და მხიარულებითა და მიიწივნენ მას ქალაქსა, სადაცა ახლოს მისსა მიეყო კელი მუშაკობისა თჳს ჯანუჯან ვაზირსა და რა ერთი სწორი დაჰყვეს მას ჩინებულსა და კეკელასა ქალაქსა შინა ლხინითა და მხიარულებითა, მოვიდა ჯანუჯან ვაზირი, თაყვანი ჰსცა დილარს, მუკლს აკოცა და მოახსენა: „ძლიერო კელმწიფეო, უკეთუ ინებებთ აბაშეთს შესვლისა, ყოველივე მოხსენებული ჩემი მზა მიქმნიაო“, და რა მოხედა მარჯულ და მარცხულ მათ კელმწიფეთა და მეფეთა რომე ყოველნივე თვს თვსთა საყვარელთა თანა მხიარულებასა შინა იყვნეს და მოხუცებული იგი მეფე ფინეზ დილარსა თანა მჯდომარე და ნუშრევანსა თანა უმო-

ხუცებულესი იგი ბრძენთა ბრძენი ვაზირი ეგროს, მასწავლებელი თვისი იხილა, დიდსა მხიარულებასა მიეცა, ყოველთა ჴელმწიფეთა და მეფეთა თაყვანი ჰსცა, მათ პირსა აკოცეს და ფინეზ მეფე ტკბილითა სიტყვითა მოიკითხა და მიბრუნდა, თვსსა სიბრძნისა მასწავლელსა ეგროსს ჴელსა აკოცა და დიადი მადლობა ჰკადრა. შემდგომად მოვიდა და წინაშე დილარისა ტახტისა დაჰსდგა და მოახსენა მათ ყოველთა ერთობით რვულნი ესე ჩახრუხაულნი.

აქა ჯანუჯან ვაზირისაგან წინაშე დილარ მძლევლისა და ყოველთა ჴელმწიფეთა და მეფეთა თანა ხოტბისა წარმოთქმა და მათ შეკრებულთაგან სიამოვნითა მოსმენა.

რვულად ჩახრუხაული.

აღვალო ბაგე სიტყვად ქებისა, ვიწყო თქმა ფარულთ განცხადებისა,
განმზადეთ გზანი ყურად ღებისა, დიდ დიდნო, ჰსცანით სლვა განგებისა,
რაულად ცვლანი მოქმედებისა, სოფლის ჩარხთ ბრუნვის მოწრაფებისა,
მიხედეთ, დრონი ვით დაგვტკბებისა, ჟამნი მოგვეცნეს მდიდრად შვებისა.

ოთხნი კიდურნი განათლდებიან, მას შინა მკვდრნი მძლედ განჰსცხრებიან;
დიდსა სასკიპტროს ამად ჰშვებიან, ცხებულნი მისსა ნებას ჰყვებიან,
სვეტნი კათედრის ამაღლდებიან, მას ზედა მსხდომნი განჰსდიდნებიან,
ქვეყნის სფერონი დამშვიდდებიან, დილარის ქებად შემოკრბებიან.

დღეს სრულს ცას ქვეშე გვირგვინიანნი, სადა ვინ ჰსუ-
ფევთ მეფედ სვიანნი,
მკნენი, გმირნი და ბრძენნი ჭკვიანნი, ჭაბუკნი ანუ სავსე დღი-
ანნი,
აქ იპოვებით მჭევრ სიტყვიანნი, მბრძოლთა საზაროდ ბასრი
ჴმლიანნი,
სამ ათეულნი ცხებულ ყმიანნი, სკიპტრა დიდებულ პორფირი-
ანნი.

მზისა ქალაქი ამად განჰსცხრების, ყოველს კათედრსა ზესთ
იდიდების,
სახელი მისი ინეტარების, რადგან თქვენებრნი მუნ შემოჰ-
კრბების,
დილარ მძლეველი ამად დაჰსტკბების, არს მნებებელი თქვე-
ნისა ნების,
საწუთოჲს პირი აწ განახლდების, ველნი საწადლად აღყვავილ-
დების.

დილარ ჴელმწიფეთ ზესთა ზეობით ამაღლებულო ყოვ-
ლთა მძლეობით,
სწორ უპოვარო მკლავთა მკნეობით, განდიდებულო მტერთა
მრეობით,
იხარებდ ესრეთ კეთილ დღეობით, აღვსილი მადლით სვისა
სვეობით,
დღე გრძელდინ შვებით მრავალ წლეობით, ქვეშემვრდომთ
ჰსჭვრეტდე ტკბილ მოწლეობით.

მე ესე ჟამი სეზოსტრ მაღალსა ადრით შევჰკადრე სო-
ფლად მავალსა,
ვარქვე „ტახტსა თქვენსა სხვას ალმავალსა ვხედავ, მოუჯდეს
მნათობსა ქალსა,

რომე მისებრი ჯერ მზისა თვალსა არა ეხილვოს მიმნდობი ძალსა,
ვინა იმონებს მეფეს მრავალსა, რაზმთა მფრეწელთა და გულით სალსა".

აწ თქმულნი ჩემნი აღსრულებასა მიიღებს, ვესწარ ცხებულთ კრებასა,
არ შევალ თქმულთა შენანებასა, ვჰყოფ სიხარულის განმრჩობლებასა.
იშვებდე დილარ თქვენსა ნებასა, სოფლისა მზესა ღირს ხარ ხლებასა,
ამის ჳვს შევჰრთე ქება ქებასა, ჰხედავთ, არა ვარ სიტყვათ კლებასა.

ჰე, დიდო მეფევ, აღვსილო დღებით, ხვანჯთა საქმეთა მხსნელ კელოვნებით,
დაუსრულებელ ხარ ნეტარებით, ზესთა სიბრძნისა გულს შეძინებით,
რომელმან სიბრძნის მრავალ კონებით და მიუწთომის მაღლის გონებით
უვალნი გზად ჰყვენ კეთილის მცნებით და გრძნეულთ გულნი მით დაღონებით.

ვიტყვ სიტყვათა მე დაუფარად, ჰსცანით, მეფენო, გონება წყნარად:
ესე მაღალი მეფე ბრძენ მკმარად, ყოველთა გულებს გვაქვსყე საყვარად,
მით, რომე მცნება მისი ზღუდ ფარად დილარს შეექმნა უზომოდ მხმარად,
თუ არა მისი სწავლა, სხვა არად ეწეოდა, ვინ დილარს ჰსცნობდთ მკვდარად.

ეს დიდებული მეფე მყინვართა, მაღალთა ტომთა და დიდთა გვართა,
შთამოსირული მკნე წინა პართა, ვინ დილარისა სლვანი წარმართა,
დასაბამითგან სასკიპტრო კართა ამათ არა სად ვინ შემომართა,
ეს ექმნა მიზეზ სლვად ჩვენთა მზღვართა თქვენ გვირგვინოსანთ ხილვად საკმართა.

ამისთჳს ვმადლობთ ყოველი ერი, ვადიდებთ, ტრფობით ვართ შენამზერი.
მოხუცი მეფე სავსე დღიერი შორის გზით მოშვრა აქ თეთრ თმიერი,
გვმართებს მადლობა სამაგიერი, გვიხმს ძღვენთა მირთმა ღირსით მზიერი,
ცოცხლებით ჰგებდეთ მრავალ წლიერი, გცვიდესთ მაღალი კელი ძლიერი.

აქა ჯანუჯან ვაზირმან თჳსსა სიბრძნისა მასწავლებელსა უმოხუცებულესსა ეგროს ვაზირსა რავდენიმე ჩახრუხაული შეჰსძღვნა მოხარულითა ენითა.

შენცა, ძველის დღის ტკბილო მამაო, სიბრძნის უფსკრულო განუცდელ ღრმაო,
რომელმან მეფე მყინვართა ყრმაო აღზარდე, მიეც სიბრძნე საკმაო,
არ ძალ მიძს შესხმის ღირსებით თქმაო, ნამდვლ მაკლდების წარმოთქმად კმაო,
შენგან განვენათლდი გონებით ბრმაო, შვილებრ ღვაწლ მრავლად დამსდევ შრომაო.

შენთა სწავლათა მე წერილები—მამამან ჩემმან მომცა ტკბილები,
მას შიგან ვნახე სიბრძნის მტილები, მრავალ ფეროვნად ნაყვავილები,
თვის თვისის ალხსნით შეკონვილები, მას მივეც გული ყრმამან ჩჩვილები,
მისგან ვიგემე ამო ხილები, რომლით დამტკბების მწუხრი დილები.

რაც დამიმძიმდის მე გონებასა, გწერდით, მაძლევდით განმარტებასა,
ყოველივე ვჰსცან ზესთა ზებასა, რაცა ეთვსკს ვარსკვლავთ რებასა,
კვლა სრულ მყავთ ქვენა კელოვნებასა, ვითარ ძალ უძსთ ხორცთ უძლურებასა,
ამის თვის ვარ თქვენს მორჩილებასა და ვჰყოფ მადლობის მოხსენებასა;

ძისა თქვენისა ნაყოფს წვრილებსა გარდაუხადო ლარას შვილებსა,
ვალგინო ხარისხს საწადილებსა, დილარის სანდოთ რიცხვს ადგილებსა,
განჰსდიდდნენ, ჰსდევდენ მისსა ჩრდილებსა, თვით მონარხთაცა მოსაგრილებსა,
ჰგრძნობდე მათ ზედა დროთა ცვლილებსა, დიდთა ხარისხთა ალყვანილებსა.

აქა ლასურ პეკინისა კელმწიფესა მოახსენა ჯანუჯან გაზირმან ყარიბული.

და შენცა მკლავ, ქებულო, პეკინს დამკვდრებულო,
ძალ განძლიერებულო,
მყინვართა მეფის მცნებით და მისის კელოვნებით დიდად განდიდებულო,

მნათობს ღირს ქმნილო ტკბილსა, მჯობს ცთით ცთომილსა, შვილებ განშვენებულო,
იხარებდ და ჰმადლობდე, მოხუცს გულს განაწყობდე, შვება განმრავლებულო.

ეს მიზეზი შენისა გულის მოსალხენისა, საყვარელის შოვნისა,
სასურველთ ძეთ ჰვრეტისა და ქალთ მნათობთ მეტისა ნიჭთა დიდთა პოვნისა,
ვერსად ღირს იქმნებოდი, გრძნეულთ ჴელით ჰკრუდებოდი, თუმც გაქვს ძალ გულოვნისა,
ამისი გმართებს გულსა კრძალვა, ღვიძილს და ჰრულსა იყო, მარად ხსნოვნასა.

გრძნეულთ მანქანებანი და იგ მოქმედებანი სრულ მიგი-ღებდენ ძალსა,
ამა ქვეყანის არეს ვერ განიცდიდი მთვარეს, გართმევდენ გულ-სა სალსსა,
რაზმთა გისპობდენ სრულად, მტრულად და არ მოყვრულად, არ მიხედვიდენ ბრალსა,
ამის თვს სიხარული გშვენის არ დაფარული, მოხუცს უხდი-დეს ვალსა.

აქა კადუზიანთა ძლიერსა მას ფარსმანს მეფესა მოახსენა ჯანუჯან ვა-ზირმან.

ყ ა რ ი ბ უ ლ ი.

შენ, მეფევ ძლიერო და ფარსმან შვენიერო და, ხრ ვის მივეფერო და:
ცის ტკურად შენნი ძალნი, ღმერთთა აქვსთ შენ ზედ თვალნი, გაქებს ქვეყნის სფეროდა,

შენთა ძლიერებათა მკლავთა მტკიცედ გებათა ხამს ტკბილად ვემღეროდა,
ვნატრი შენთა მშობელთა, ეგრე შემამკობელთა, რა გიმაგიეროდა.

დილარ მძლე შენ ძალითა და მკლავით მყარ რვალითა განაკვრვე გულითა,
რომელმან კიდის კიდე ჰყო კმლითა დანამშვიდე, და სიბრძნითა სრულითა
ამად გტრფის, ვითა ძმასა, ეთნების შენსა თქმასა, შეგიყვარა სულითა,
რომ იცან ღმერთი ერთი, მზადი ზე ქვეყნიერთი, ყოვლით შენ კრებულითა.

ზანგადიდა სიმხნემან, გნიჭა რა ზესთა ზემან, შეგრთო მარად შვებასა,
ღირს გულ შვილთა საწადელთ, მტერთა მომსვრელ მომწყვედელთ, და მთოვარის ხლებასა,
კადუზიანნი გმირნი შენ გეტრფიან შემზირნი არნ დღეთ განახლებასა,
ვიშა, ვაშა, ლომ გულო, დილარის ძმად საგულო, ხარ დიდს ნეტარებასა.

თუმც გცნობს მეფე მყინვართა, თჳსის სიბრძნის გუჯართა უწერია ვრცელადა
შენი ძლიერი ძალი და ბასრი მჭრელი ხმალი, მრავალთ სასხლოჲ მღვრელადა,
გარნა სხვა ამა კრებულთ მიუთხრობ საქმეთ ქებულთ, შენთა სახსოვნელადა.
რომ ყიდე დილარისა შენებრ არ ვინ არისა, დღეს მზეს ქვეშე მსვლელადა.

ამის თვის მეფენიცა, ჰბრძანდებიან რანიცა, არნ შენსა სიყვარულსა,
მე ვიცი რომე შენცა, მათ თჳს გულს მოილხენდა და შეჰ-სწირავ ყე სულსა,
ამად გთხოვ ერთობილნი, საყვარელ ძმად ცნობილნი, სრულ ჰყოფდეთ ჩემსა თქმულსა,
ტკბილადრე ჰმსახურებდეთ, იშვებდეთ, იხარებდეთ მეფეს მო-ხუცებულსა.

აქა სამთა კელმწიფეთა ჰინდოთა, ბაბილოვნისა და ეგვიპტისათა მოახსენა ჯანუჯან ვაზირმან.

ყ ა რ ი ბ უ ლ ი.

ძლიერნო კელმწიფენო, უხვნო მოიეფენო, ტახტს შვე-ბით მსხდომარენო,
ჰინდელ ბაბილოვნელნო, ეგვიპტელ შუბ მქონელნო, მტერთ საშიშრად მკმარენო,
მოყვასთა სასურველნო, დილარის საყვარელნო, ბრძოლის დღეს სახმარენო,
მნათობთ თანა შვებულნო, შვილებ განმრავლებულნო, ურთ-ერთის მოყვარენო!

აჰა ჟამი ლხინისა, სალაროს შეძინისა, ახარაბდით გუ-ლებსა,
ცა იშვებს თქვენის ჰვრეტით, მზე გიმზერსთ ნათლის სვეტით, გმირთ წელ წერწეტულებსა,
აწ შვებით განჰსცხრებოდეთ, დრო არს რათა ჰსტკბებოდეთ, ლხინს ჰყოფდით მატებულებსა,
დილარის საჭურჭლესა ნუ ჰზოგავთ ულეველსა, გაჰსცემდეთ თვლიით უკლებსა.

მეფე მოხუცებული, სიბრძნითა აღვსებული, შორით მო-
სწრაფებული,
ახარეთ თქვენის შვებით, ნივთთ მირთმევით, ჩუქებით, საჭურ-
ჭლე კარ ღებული,
ვისცა რა გინდეთ, ჰზიდეთ, გაცემას რაღმცა ჰრიდეთ, არს დი-
ლარ დიდებული,
ძველი დღეთა ვაზირი, მამებრ თქვენი შემზირი, ჰყავთ უნჯ
გამრავლებული.

ჰ ა მ ბ ა ვ ი

ოდეს ჯანუჯან ვაზირმან დაასრულა ხოტბა იგი, ყო-ველნივე აქებდეს სიბრძნესა და მეცნიერებასა მისსა, გარნა დილარ გამოუთქმელითა სიხარულითა აღივსო აბაშეთს ეგრე დაახლოვებისა თვის და ჰსთხოვა ყოველთა მათ კელმწიფეთა მეფეთა და დიდებულთა, რათა მოხსენება ჯანუჯან ვაზირისა სრულ ექმნათ და მიეყოთ კელი საჭურჭლეთა თჳს და რაჲცა ვის რა ჰნებებოდათ, მიეღოთ ძღვნად მეფისა ფინეზისა და უმო-ხუცებულესისა ვაზირისა ეგროსისა თვის.

აქა ყოველთა მათ კელმწიფეთა მეფეთა და დიდებულთაგან დილარ მძლეველის საჭურჭლეთაგან ერთსა სწორსა გამოზიდვა მრავალთა ძვირ ფასთა ნივთთა წინაშე ფინეზ მეფისა და ეგროს ვაზირისა მიტანა და მირთმევა.

გამართეს პურობა ერთსა სწორსა მოუშლელად და იყო მხიარულება დიდი, ბრძანებისაებრ დიდისა დილარისა, ყოველ-ნი იგი კრებულნი ჰზიდვიდენ საჭურჭლეთაგან მისთა უცხო-თა და უძვირ ფასესთა ნივთთა, მოიღიან წინაშე ფინეზ მე-ფისა და ეგროს ვაზირისა, ჰქონდათ კმა მაღლად ღაღადება,

მხიარულება, დილარის ქება და სპეკალთა გამოზიდვა. მას ერთსა სწორსა შინა მოიღეს წინაშე ფინეზისა ასი ათასი სატვირთავი აქლემისა უსასყიდლონი სპეკალნი, ლარნი, ოქრონი და ვერცხლნი, და ეგზომივე ეგროს ვაზირისა თანა შეჰკრეს ტვირთებად და აქლემნიცა მეაქლემეთა თანა მიუჩინეს. მაშინ ფინეზ და ეგროს წარმოჰსდგნენ, კელ განპყრობით დაჰლოცეს ყოველნი იგი კრებულნი მოხსენებითა მადლობისათა და ადიდებდენ დილარისა კელმწიფებასა და ძეთა მისთა დღეგრძელობასა ჰსთხოვდენ ზენასა არსსა. ოდეს საჭურჭლეთა დილარისათა ალაფობითა ისრულნეს გულნი ყოველთავე, კვლა შეჰქმნეს უმეტესი პურობა და მხიარულებაჲ. მაშინ ჰსთხოვა დილარმან მათ ყოველთავე, რათა ენებებინათ და ჰსწვეოდნენ იგინიცა მამულსა თჳსსა აბაშეთს და ეხილვათცა კელოვნება იგი ჯანუჯან ვაზირისა, რომელთაცა სიხარულით მიიღეს თხოვა იგი და დაჰყვნეს ნებასა მისსა.

აქა დიდის მზისა ქალაქისა და აბაშელთა კელმწიფისა წინარე თვისა გაგზავნა თვალისა სპასალარისა მარსისა და ათასთა ყმათა მოყმეთა თჳსთა აბაშეთს მახარებელად მისლვისა თჳსისა.

უბრძანა დილარ შძლეველმან სპასალარსა და მეფესა მარსის და ათასთა თჳსთა დიდებულთა ძეთა წარსვლა აბაშეთს თჳს თჳსითა საყვარელებითა და ჰრქვა: „მიდით მშობელსა მამულსა ჩვენსა და მიიღეთ ამბავი მშვიდობისა და მისვლისა ჩვენისა, რათა განმზადონ ყოველი წესი კელმწიფებისა, ვითარ იგი ჰშვენის ესეოდენთა გვირგვინოსანთა კელმწიფეთა მეფეთა და დიდებულთა და მოგვეგებნენ წინა ყოვლითა გამოჩინებულითა განჰკარგვებითა, ერთ მწყობრად მოხუცებულნი ვაზირნი ბრძენნი და მეცნიერნი და ჩინებულნი სპასალარნი და დიდებულნი მთავარნი, ერთ მწყობრად დიდებულთა ძენი მწყობრნი ჩემნი, ერთს მწყობრად აბაშიურნი მწყობრნი ჰაბუკნი,

ერთს მწყობრად ყოველნი მოხელენი სასახლისანი, ერთს მწყობრად მოქალაქენი, ერთს მწყობრად დიდებულნი ბანოვანნი, ერთს მწყობრად მოქალაქეთა ცოლნი და ყოველი მწყობრი იყოს სხვითა და სხვთა ფერითა ოქრო ქსოვილითა შესამოსლითა, ყოვლითა საკრავითა, მუსიკითა, სახიობითა, მომღერალითა და მუტრიბითა, ყოვლითა სამხიარულოთა შესაქცევითა სათამაშოებითა და ყოველნი სავალნი გზანი იყვნენ დაფენილ შადითა და ოქსინოთა და ვისცა რა უნდა უმატოსცა ბრძანებასა ჩემსაო“. რა იგი ბრძანება მიიღეს, მასვე ჟამსა იწყეს მზადება. უბოძა ანავსია კელმწიფამან ათასთა დილარისა მოყმეთა კვლა მრავალნი ტკრთნი თვალნი თლილნი, მუნებურნი ტურფანი ოქრო ქსოვილნი, ოქრო და ვეცხლნი, მონანი და მხევალნი ეგზომნი. რომე სრულად ჰფარვიდა ქვეყანასა სიმრავლე იგი მათდამი ბოძებულთა. გამოესალმნენ ყმანი დილარისანი და გაემართნენ მხიარულებითა დიდითა საყვარელთა და შვილთა თანა თჳსთა და ოდეს განვლეს საკჳრველი იგი ხვრელი გვირაბი და მცირედ ვლეს, მიიწივნეს საკელმწიფოსა მას სასახლესა დილარ მძლეველისასა და გარდახდენ მას შინა.

აქა მეფისა და სპასალარისა მარსისა და ათასთა დიდებულთა ძეთა მოსვლა აბაშეთსა შინა.

მოვიდნენ მცველნი დიდებულისა მის სასახლისანი მილოცვად მათდა და განითქვა ყოველსა აბაშეთსა შინა კმა მოსვლისა მათისა და შექმნეს მხიარულება უზომო. არბევდენ ცხენთა და ახარებდენ ერთი ერთსა თჳსისა ტკბილისა პატრონისა მოსვლისა. ოდეს სპასალართა და ვაზირთა ჰსცნეს, მოეგებნენ ყოველნივე მარსის და მოყმეთა მათ ჰკოცნიდიან პირთა და თვალთა და ეტყოდიან: „ნეტარძი თვალთა თქვენთა, რომლითაცა ჰსჭვრეტდით პატრონსა ეგე ვითარსაო“. ოდეს

მოსრულ მისრულთა მილოცვა ვათავდა, იყვნენ გარდამხდარნი შვენიერსა მას და დიდებულსა სასახლესა საკელმწიფოსა და მაშინ მიუთხრეს ყოველთავე დიდებულთა აბაშეთისათა დილარისა ბრძოლანი და დამორჩილებანი მრავალთა და დიდ დიდთა ქვეყანათანი და ძლიერთა კელმწიფეთა და მეფეთანი და მიმთხვევა ყოველთა კელმწიფეთა უკელმწიფესისა მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსიასი და განდიდებულისა საკელმწიფოსა მისისა დაპყრობაჲ, სმა სამთა ძეთა, რომელთა ჰმსგავსი არა უხილავს თვალსა კაცისასა ქვეყანასა ზედა, თანა ხლება დიდ დიდთა სამ ათეულთა გვირგვინოსანთა და მნათობთა დედოფალთა მათთა და განმზადება მიგებებად მათდა ყოვლისა აბაშეთისა და დახვედრა მათი უჩინებულესად. რა დიდებულთა აბაშეთისათა ისმინეს ჰამბავი პატრონისა თვისისა, ადენდენ ცრემლთა მხიარულებითა და ჰმადლობდენ განგებასა და ნამდვლ განკვრვებულნი ზეფირისა და მნათობთა შვენიერებასა ზედა, გადიდებით აქებდეს ქვეყანასა მას, რომელსა შინა ეგე ვითარნი მნათობნი აღზრდილ იყვნეს. მუნ გარდაიხადეს ქორწილი მათი დიდითა დიდებითა და მხიარულებითა და გასწერეს ბრძანება ყოველთა კიდეთა აბაშეთისათა და იწყეს მზადებაჲ უმეტეს დილარის ბრძანებისა.

აქა ძლიერისა მის კელმწიფის დილარ მძლევველისა განზადება შესვლად აბაშეთს, საკელმწიფოსა და მშობელსა მამულსა თჳსსა, ყოვლითა მით კელმწიფეთა და მეფეთა კრებულითა, თჳს თჳსითა მნათობ დედოფლებითა და დიდებულთა დასითა.

მზის ქვეშეთთა ყოველთა კელმწიფეთა მბრძანებელმან ძლიერმან კელმწიფემან დილარ განაგო ყოველნი მზისა ქალაქისა საქმენი, უჩინნა დიდებულნი და ერთ გულნი სპასალარნი და ვაზარნი, ქალაქთ მთავარნი და მოხელენი და ექვს-

სა თვესა განემზადა დიდითა დიდებითა და ურიცხვთა საჭურ-ჭლითა შესვლად აბაშეთს და ხილვად ჯანუჯან ვაზირისა კე-ლოვნებულისა გოდლისა ლომისა და გმირთა მათ მოისართა. აღეკმზმნენ და მოემზადნენ ყოველნივე, შესხნეს კუბოთა ში-ნა ძვირ ფასთა კელმწიფანი და დედოფალნი და აგრეთვე ფი-ნეზ მეფე და ვაზირი ეგროს. დილარჰან ახლად დადგინებულ-ნი მოყმედ თვსად მზისა ქალაქისა ქვეყანისა დიდებულთა ძე-ნი აახლნა სატრფიალოსა თვსისა ანავსიას კელმწიფასა კუბო-სა და სხვანი გასხდეს ტაიჭთა და გაემართნენ ყოველნივე დი-დითა დიდებითა, ვლიდენ ამოდ და მიუხაროდათ ურთ ერთი-სა უბნობითა და ყოველსა ექვსისა ჟამისა სავალსა განემზადა სავანენი სახლისა უხუცესსა საურმაგს და გარდახდომისა ად-გილსა დაჰხვდის ესრეთ დიდებულად, ვითა დილარისა ქორწი-ლისა დღეთა შინა. რა მრავალნი დღენი ვიარეთ პურობითა და მხიარულებითა, მივიწიენით გვირაბსა მას ხვრელსა და ოდეს შევედით მას შინა, იწყეს ამოდ სლვაჲ, ჰსინჯვიდენ და აქე-ბდენ კელოვნებასა მას, არა იყო არა ვითარიმე მოქმედება, სადაცა რაჲ შემთხვეოდა დილარს, რომელიცა მუნ არა გამო-ექმნეს ძვირ ფასთა სპეკალთა ზედა, ყოველნივე ყოველსა ად-გილსა, სადაცა რა ექმნა, უცთურად გამოჭრით გამოეყვან-ნეს და ოდეს განვლეს გვირაბი იგი, იხილეს გოდოლი ჰმსგა-ვსი პირველისა და უმჯობესიცა, და აგრეთვე ლომი და მშვილ-დოსანნი გმირნი. ყოველნივე მხიარულებდეს ხილვისა თვის ეგე ვითარისა კელოვნებისა, გარნა დილარ მძლეველი ორითა მიზეზითა უმეტეს ყოველთა მოხარულობდა: ერთად—რომე ჰპოვა გზა შემაერთებელი მზისა ქალაქისა და აბაშეთისა და მეორედ—რომე თანა ჰყვანდეს დიდნი იგი კელმწიფენი და მეფენი, რომლითაცა ადიდა სახელი თვისი უფროს ყოველთა კელმწიფეთა.

აქა ძლიერსა მას კელმწიფესა დიდარ მძლეველსა მოეგებნეს ყოველნი ყმანი მისნი, დიდისა აბაშეთისა სპასალარნი, ვაზირნი და ყოველნი მთავარნი და მოკელენი და მოხუცებულნი.

რა მცირედ ველსა ზედა ვლეს, მოეგებნეს წინა ყოვლისა აბაშეთისა დიდებულნი, მოხუცებულნი, სპასალარნი, ვაზირნი და ყოველნი მოკელენი. ყოველთა კელთა ოქროსალანკნითა სხვილნი მარგარიტნი ეპყრათ, თაყვანი ჰსციან დილარს, კელმწიფა ანავსიას და წვრილთა ნაყოფთა მათთა, მოულოცვდიან და გარდააყრიდიან მარგარიტსა. მუნით მათ კელმწიფეთა მეფეთა და დედოფალთა მათთა, ეგრეთვე მოულოცვდიან და გარდააყარიანვე მარგარიტნი. ყოველი გზა იყო დაფენილ ძვრ ფასთა ოქრო ქსოვილთა ლართაგან და ეგრეთ ურიცხვნი იგი კრებულნი დიდებულთანი მიუძღნენ ქვეითად ახლორე დიდისა მდინარისა კიდესა და ველსა შვენიერსა, სადაცა შეემზადათ კარავნი უთვალავნი სრულიად მარგარიტითა ნაკერნი ყოველთა მათ სიმრავლეთა თვს. მუნ გარდაახდინეს იგი ყოველნი და უჩვენნეს თვს თვსად სავანენი, ძვირ ფასთა მარგარიტთაგან შვენიერად ნაკერნი. ეგეოდენ ურიცხვნი კარავნი დაედგნეს, რომე მრავალნი ცალიერნი სავანენი დაშთნენ, ჰკვრობდენ იგი კელმწიფენი მეფენი და დიდებულნი დედოფალნი ეგრედ კეთილად კელოვნებულთა კარავთა და მანგთა სიმრავლესა და იტყოდეს: „ვითარიცა ჰშვენოდა დილარისა ძლიერებასა, ეგრეთიცა დიდება ჰქონიესო“. ერთსა მარგარიტითა კელოვნებულსა კარავსა შინა დაეგოთ პური, რომელსაცა ორასი ათასი სვეტი ედგა სრულისა, ოქროსი, მარგარიტითა მოფენილ მოცვარული. აწვივნეს ყოველნი კელმწიფენი მეფენი და დიდებულნი ყოვლით კრებულით მათით პურსა ზედა და მივედით ჩვეულებითითა წესითა და ვსხედით და შეიქმნა პურობა და მხიარულება და დაიწყეს კმა ტკბილად კმობა მუსიკთა, მუტრიბთა და მომღერალთა. ჰქონდათ

პურობა მოუკლებელი და ძღვენთა მოულევნელობა, გარნა ყოველი სანოვაგე ერთსა თვესა მას ადგილსა იყო მფრინველთაგან უცხოთა და გემოვანთა, რა ერთი თვე სრულ ჰყვეს მუნ პურობითა და ძღვნობითა.

აქა აბაშთა ბანოვანნი მოეგებნენ წინარე მათ კელმწიფეთა მეფეთა და დედოფალთა.

შემოდგომად მოვიდნენ აბაშთა დიდებულთა ბანოვანნი კელთა ოქროსა რტონი ეპყრათ, ხილთა ნაცვლად სხვილნი მარგარიტნი ესხნეს ტურფად კელოვნებულნი. მოვიდიან, კელთა აკოციან, მოულოცვდიან და ეგრეთ სიხარულით მიუძღვნენ შვენიერსა რასმე ტყიან წყლიან მინდორსა, სადაცა იყო კარავი უზომო თვით კელითა მათითა ნაკერი ძვირ ფასთა ლართა ზედა, ყოველნი გმირობანი, ბრძოლანი და ტრფიალებანი დილარისანი, უცხო გვარად გამოყვანილნი და კვლა იყო კარავი დიდი ჰმსგავსად მზისა ქალაქისა ქმნილი კეთილ შვენიერი. მას კარავსა შინა დაეგოთ პური და ერთსა თვესა მუნ ამხიარულეს ყოვლითა დიდებულითა დახვედრითა და ძღვნობითა ესრეთ, რომე თვთ ანავსია კელმწიფა აქებდა ბანოვანთა მათ ეგრეთ დიდებით მასპინძლობასა და ძღვენთა ძვირ ფასთა მრავალობასა და მადლობასა ყოველთავე ერთობით უბრძანებდა და მოწლედ სიხარულით ეალერსებოდა მათ და მას თვესა ყოველი ნოვაგი იყო ნადირთა კორცთაგან საკვრვოდ შეგემებულნი მოხარშულნი და სხვა და სხვა გვარად მწვარნი სუნნელებითა მრავლითა.

აქა აბაშთა დიდებულთა ძეთა ასიათასთა დილარისა მოყმეთა წინა მოგებება

შემდგომად მოვიდნენ დიდებულთა ძენი, დილარისა მოყმენი, და მიულოცეს ყოველთავე საგმიროსა საჭურჭლითა.

მუნით მცირედ წაუძღვნენ და შეიყვანეს კარავთა შინა ჰმსგავსად ჯაჭვსა ოქროს მავთულითა დაწნვულთა, რომელთა ზემორე გარდაფენილი ჰქონდათ მუნებური ოქრო ქსოვილი ლარი და ერთსა თვესა მუნ იგინი დახვდნენ განდიდებულითა პურობითა და ძღვენთა ძღვნობითა და მარადღე ძვრ ფასთა მარგარიტთა მორთმევითა.

აქა ყოველთა აბაშეთისა საკელმწიფოსა მოკელეთა მოგებება წინაშე დილარ მძლეველისა.

ოდეს შესრულდა თვე ერთი დილარისა მოყმეთა მასპინძლობასა შინა, მაშინ მოეგებნენ ყოველნი მოკელენი მოხარულნი და გარდააყრიდენ ყოველთა ძვირ ფასთა ნივთთა და მოულოცვიდენ დიდთა მათ ძლევა შემოსილებათა და ბედნიერებათა და ეგრეთ მიუძღვნენ დიდებულსა სრა პალატ დარბაზთა დილარისათა და ბაღსა მას ყოველთაგან საჭვრეტლად სასურველსა და გარდაახდინეს მუნ ყოველნივე თჳსთა საყვარელთა თანა საკუთართა სადგომთა კეთილ სახილველთა და განუსვენეს მას დღესა მაშვრალობისაგან ვითარ იგი მათ ენებათ. მეორესა დღესა შეჰკრბენ წინაშე დილარისა და დაიწყეს წესისაებრ ლაღობა. მაშინ უბრძანა დილარმან ყოველთა მათ კრებულთა, ვითა: „უდიდებულესნო კელმწიფენო მეფენო და დიდებულნო ყოველნო, აქამომდე ქვეყანასა ამას ჩემსა დახვედრა რაჲცა იყო, არა ჩემი იყო, გარნა დიდებულთა ჩუმთა თვისთა შემოსავალთაგან საკუთართა განეგოთ სიყვარულისათჳს თქვენისა და ამიერითგან ჩემდა ჯერ არს დახვედრა თქვენი და, ჩემსა მზესა, ნუ ვინ ზოგავთ საჭურჭლესა ჩემსა; ვითა გწადდესთ, ეგრეთ ხარჯევდეთო“. რა დილარ მძლეველმან ეგე ვითარნი სიტყვანი ჰბრძანნა მათდა მიმართ.

აქა ორათ ოთხთა სპასალართა და ვაზირთა აბაშელთა, და დიდებულთა ჰსთხოვეს დილარ მძლეველსა, წელიწადსა ერთსა დახვედრა მათ ყოველთა შეკრებილთა თჳსთა საკუთართა შემოსავალთაგან, და დილარისაგან ნების დართვა.

მაშინ აღჰსდგნენ ოც და ოთხნი იგი უპირველესნი სპასალარნი და ვაზირნი დილარისანი და მოახსენეს: „ძლიერო კელმწიფეო! ესე არს მონათა შენთა ვედრება, რათა წელიწადსა ერთსა გიმასპინძლოთ ჩვენ, თქვენ ყოველთა კელმწიფეთა და მეფეთა და დიდებულთა, წარსაგებელითა ჩვენითა, და სხვასა წელიწადსა განმზადებულ არიან ყმანი თქვენნი და მესამესა წელსა ვითაცა გენებოთ საჭურჭლეთა თქვენთაგან, ეგრეთცა ჰხვდებოდეთ სტუმართა თქვენთაო, გარნა დანიშნულთა დროთა ვითხოვთ ყმათა თქვენთა ვედრება შეისმინოთო“. დილარს თვისთა სიყვარულისა გამოჩენა მათ კელმწიფეთა თანა არა ეწყინა და უბრძანა: „დიდებულნო ჩემნო, მაგა თხოვასა ზედა მომინიჭებია ნება, ვითაცა გნებავსთ, ეგრეთ აღასრულეთო. მათ დიდებულთა დიდითა მხიარულებითა მრავალი მადლობა მოახსენეს, და თურე ერთისა წლის ხარჯი ყოველივე მუნ მზა ექმნათ, იწყეს მას ტურფასა სრასა და ბაღსა შინა პურობა, და, თავმან თძვენმან, განაკვრენეს ყოველნი იგი კელმწიფენი მეფენი და დიდებულნი, გამოჩინებულითა და საქებელითა მით დახვედრითა, და მრავალთა მარგალიტთა და სხვათა ნივთთა მორთმევითა. ერთსა კვრასა მას ედემისა ჰმსგავსსა ბაღსა მხიარულებდეს ხელმწიფენი და იშვებდეს მეფენი, აქებდეს დილარისა კელმწიფებასა და დიდებულთა მისთა შემძლებლობასა, იგი წელიწადი მარადღე იყვნეს პურობასა დი ლხინსა შინა და ყოველთავე თანა სწორად ჰსძლვნიდიან ძვრ ფასთა ნივთთა და უსასყიდლოთა მარგალიტთა, აღავსნეს ყოველნიეე ტურფათა სიმრავლითა ესრეთ რომე, თვით მსახურნიცა მათ სტუმართანი იტყოდეს:

ას ასი ტკრთი მარგალიტი საკუთრად ჩვენ თჳს შეგვიკრებიან სხვათა ძვირფასთა ნივთთა გარეშე, და უსწორო იგი კელმწიფა ანავსია ჰკითხვიდა ფიცით მტრფიალსა თჳსსა და უბრძანებდა: არა ვირწმუნებო უკეთუმცა საჭურჭლეთაგან საკელმწიფოთა არა აქვნდესთ შეწევნაჲ დიდებულთა თქვენთაო. გარნა დილარ ეფიცებოდა და არწმუნებდა, რომე შემოსავალთაგან ჩემთა არცა ერთი იოტა რაჲმე არა არს ხარჯიო. საკუთრად დიდებულთა ჩემთა არსო. რა ერთი წელიწადი სრულ ჰყვეს მოუკლებელითა მით მხიარულებითა, შემდგომად კელმწიფა ანავსიასა ხუთ ასი ტკრთი მოართვეს სადედოფლოსა შესამოსელებითა, სამკაულებითა და გვირგვინებითა დიდრონითა მარგალიტითა კელოვნებული და უცხოდ რადმე კერილნი, და ტურფათა მათ ნაყოფთა ძეთა მათთა მიუძღვნეს, თავნი თვისნი, ძენი და ყმანი თჳსნი შეევედრეს საფარველთა მათთა, ხოლო სხვათ მათ მნათობთა დედოფალთა მიართვეს თანა სწორად ყოველთავე სამას სამასნი ტკრთნი სადედოფლონი შესამოსელნი, სამკაულნი, სფერანი, სკიპტრანი და გვირგვინნი მარგარიტთა მოოჭვილ შემკობილნი და აგრეთვე მოართვეს უმოხუცებულესსა ბრძენსა ეგროს ვაზირსა მარგარიტისა ორასი ტკრთი, და სხვათა ყოველთა კელმწიფეთა და მეფეთა მიართვეს თანა სწორ ორას ორასი ტკრთი მარგარიტი და მზისა ქალაქით აღმორჩეულთა მოყმეთა და ჩვენ ყოველთა თანა სწორ ას ასი ტკრთი შემოგვძღვნეს. ოდეს განდიდებულსა მას ძღვნობასა მორჩნენ, მაშინ ჰბრძანა დილარმან მარგარიტისა ქალაქად წაბრძანებაჲ.

აქა აბაშთა აგარათა საჴელმწიფოთა სრა პალატით აჳრა ყოველთა მათ ჴელმწიფეთა მეფეთა და დიდებულთა, წარსვლა მარგარიტის ქალა-ქად და წინა მოგებება ყოველთა დიდ ვაჭართა და ცოლთა მათთა და მასპინძლობა მათგან დიდითა დიდებითა.

შეეკაზმნენ და ჭავემართენით სატახტოსა მას გვირგვ-ნოსანსა მარგარიტისა ქალაქსა. მოეგეგებნენ წინარე ყოველ-ნი მის ქალაქისა დიდ ვაჭარნი და ცოლნი მათნი, ულოცვ-დიან და აყრიდიან მარგარიტსა, ოქროსა და ვეცხლსა, არო-ნინებდენ ამოჲთა სვლითა დიდებითა დიდითა, ქვე უფენდენ ოქრო ქსოვილთა ლართა და ჰხვდებოდიან გზათა ზედა შესა-ზამად ჴელმწიფებისა მათისა და ოდეს შევიდნენ დიდებულსა მას ქალაქსა, იყო ალლამპრულ მრავალ ყვავილედად ყოველ-ნი შუკანი და ლანძვნი და სახლნი და ყოველთა ბანთა და ჴედელთა შვენებისა მომატებისა თჳს ჰქონდა შატროვანი გარ-დაფენილი, ჰკმობდეს მუსიკნი და იყო ჴმა სახიობათა განმრა-ვლებული, ერთსა წელსა იყო მოქალაქეთა ვაჭართაგან მას-პინძლობა და ძღვენთა დიადობანი და არა დაშთა არცა დი-დი და არცა მცირე აბაშეთს შესრულნი სხვათა ქვეყანათაგან, რომელნიცა არა ალავსეს მრავლითა მირთმევითა და ჩუქებითა, იყვნენ დღე და ღამე უზომოსა მხიარულებითა, სიყვარულითა და ოდეს სრულ იქმნა წელიწადი, მაშინ უძღვნეს ანავსია ჴელმწიფესა ხუთასი ტვრთი სხვლისა მარგარიტისა და ყოველ-თა ჴელმწიფეთა მეფეთა და დედოფალთა თანა სწორ უძღვნეს ორ ას ორასი ტვრთი მარგარიტთა და ესრეთ სრულ ჰყვეს სამსახური და წესი ქორწინებისა მათისა.

აქა ძლიერისა მის კელმწიფისა დილარ მძლეველისა თჳსსა გჳრგჳნოსანსა ქალაქსა შინა მარგარიტისასა მასპინძლობა და დახვედრა, ყოველთა მათ დიდ დიდთა კელმწიფეთა მეფეთა და დიდებულთა.

ოდეს დილარის მასპინძლობისა ხვედრი შეიქმნა, განახმევინა კარნი საჭურჭლეთანი და, ვითა ცა, ჰსთოვდა ყოველთა ზედა უხვებით ძვრ ფასთა ნივთთა, მარგარიტთა, ოქროთა და ვეცხლთა. რა თვსსა საკელმწიფოსა განშორებოდა რაოდენთაცა წელთა განევლო. ექვს ასი ათასი საჭურჭლე მარგარიტი საკელმწიფოსა შემოსავლიდამ შეჰმატებოდა სალაროთა და ეგოდენივე ოქრო და ვეცხლი. იგი ყოველივე განაზოგა, ნახევარი მიართვა სატრფიალოსა თვისსა და მოახსენა: „სიცოცხლეო ჩემო, ესე საჭურჭლეთა გასაღებნი, და, ვითა გენებოს გაჰსცემდე და სხვანი, რანიცა სადედოფლონი საჭურჭლენი არიან, ბეჭედნი თქვენნი დაასმევინეთ, რაჲცა გენებოთ, მასცა იქმოდეთ და შენითა მხიარულებითა მეცა სიცოცხლე მომიმატეო“. ანავსია კელმწიფა დია შემყვარებელ იქმნა მარგარიტისა მის ქალაქისა და იტყოდა: „ვითაცა პატრონი მამა ჩემი ჰბრძანებდა ქებასა დილარისასა, ქალაქიცა ეგრეთი ჰქონიესო“. ოთხსა წელსა დაჰყვეს აბაშეთსა შინა ყოველთა მათ კელმწიფეთა მეფეთა და დიდებულთა და დაუტკბათ ცხოვრება მას შინა, ჰქონდათ ყოველ დღე შეძინება დილარისა საჭურჭლეთაგან ძვირ ფასთა ნივთთა ვის რა უნდოდა, ოდეს ყოველნივე აღივსნეს მრავლითა შეძინებულითა ნიჭითა, მაშინ

აქა ყოველთა მათ კელმწიფეთა და მეფეთა ჰსთხოვეს უმოხუცებულესსა ბრძენთა ბრძენსა ვაზირსა ეგროსს, რათა შვენიერისა საკელმწიფოსა პალატისა კეკელასა მოედანსა ზედა აღემართნა ძეგლნი ვითარ იგი ჰშვენოდა სიბრძნესა მისსა და მრავალსა კელოვნებასა მისსა.

ყოველთა კელმწიფეთა და მეფეთა, ნება ჰრთვთა დილარ მძლეველისათა, ჰსთხოვეს მას სიბრძნით განდიდებულსა ეგროს ვაზირსა, რათა აღემართნა ოთხნი ძეგლნი საუკუნოდ სახსოვრად დილარისა და მათ კელმწიფეთა და მეფეთა დილარისადმი სიყვარულისა და დამორჩილებისა, მისცეს ყოველთა ბეჭედნი თჳსნი ქვემო კელ მოსაწერად და დასაბეჭდავად ძეგლთა მათ ზედა. ეგროსმან თაყვანი ჰსცა და მოახსენა: „დიდნო კელმწიფენო და მეფენო! ჵე, ჰხამს ჩემგანცა უუმოხუცებულესისა, სამსახური დილარისა და თქვენიცა, გარნა ჯერ არს მუშაკთა მრავლადობა და საჭურჭლეთა უხვება". დილარმან, ფრიად მოხარულმან, გაჰსცა ბრძანება ყოველთა კელოვანთა კელოსანთა და მუშაკთა შეკრებად და საჭურჭლეთა მზაობა.

აქა უუმოხუცებულესისა ბრძენთა ბრძნისა ეგროს ვაზირისაგან საკჳრვოჲსა კელოვნებისა შემზადება.

ეგროს ვაზირმან მიჰყო კელი ღამე და დღე მუშაკობასა და ექვსსა თვესა ზედა შთამოახსნა ოთხნი ძეგლნი მყარნი და კვრივნი მტკიცისა რვალისანი, სიმრგვლე აქვნდა თჳთოსა ძეგლსა ას ერგასი მხარი და სიმაღლეცა ეგოდენივე, აღემართა მას კეკელასა მოედანსა საშუალსა ადგილსა ზედა და ზედა კერძო მათსა დაესხნა ოთხნი სვეტნი კვრივად ჩამოსხმულნი რვალისანივე, ერგასისა მხარისა სიმრგულისა მექონნი და მათ სვეტთა გარემო ჰსდგეს ძეგლთა ზედა კაცნი მესაყვრენი მრა-

ვალნი რვალისანივე და სამ გზის დღესა შინა, განთიად, შუა დღე და მიმწუხრი დაჰსცემდენ საყვირთა მათ ესრეთ ძლიერითა კმითა, რომე დიდისა მის ქალაქისა ერნი არა სადა დაშთებოდენ გაუგონებელნი კმისა მის, რომელნიცა ჰკმობდენ ესრეთ: „დღე გრძელდინ და საუკუნოდ სახსენებელ იყავნ დილარ მძლეველი კელმწიფე მზისა ქალაქისა და აბაშეთისა ყოვლისა ქვეყანისა და ზღვათა“. იგი ყოველნი ძეგლნი იყვნენ გარემო მობაგულ მტკიცედ რვალითვე ბრწყინვალედ მქნილნი და საშუალ მათ ძეგლთა დაედგა ძეგლი მყარისაგან ოქროსა ურიოშოსა, უვრცევლესი მათ რვალისა ძეგლთა და უმაღლესიცა ფრიად და მას ზედა ჩამოსხმასავე თანა გამოეყვანა იგი სამ ათნი დიდ დიდნი კელმწიფენი და მეფენი მით აღთქმითითა წერილითა, რომე დასასრულადმდე სოფლისა, იგინი და შთამოსირაებულნი მათნი ყოფილ იყვნენ დილარისა და სირათა მისთა მოყვარულნი და მორჩილნი ბრძანებათა მათთანი, და ბეჭედნიცა მათნი ზედავე მისსა ჩამოსხმით გამოეყვანა, **და ზედა** კერძო მათსა იყო გამოყვანილი დილარ მძლეველი სამ ათითა გვირგვინითა დაგვირგვინებული. ორნივე კელნი განეპყრნა მარჯულ და მარცხულ მათ კელმწიფეთა და მეფეთა ზედა მფარველად. **ზედა კერძო** მის ოქროსა ძეგლისა დაედგა სვეტი ოქროსი მაღალი და მტკიცე და მას ზედა არწივი უზომოდ დიდი ფრთე განშლილი ოქროსაგანვე მყარისა და მას ზედა გავალაკი ოქროსი მაჩრდილებელი ყოველთავე მათ ძეგლთა, ხოლო არწივი იგი შვენიერად ფრთე გაშლილი, ოც და ოთხსა ჟამსა, თვთოსა ჟამსა ესრეთ ძლიერითა კმითა დაიზახებდა, რომე ყოველი იგი ქალაქი ისმენდა კმასა მას. რავდენიცა ჟამი განვლიდა, ეგოდენ კმითა მით საშინელითა დაიზახებდა, ვითარმედ: „ადიდეთ, ადიდეთ, ადიდეთ, ადიდეთ დილარ მძლეველი, კელმწიფა ანავსია, ძენი მათნი და ნაყოფნი მათნიო“. **კვალად** აღემართა ძეგლი რვალისა მყარი და ბრწყინვალედ ქმნილი, ექვს ათისა მხრისა სიმაღლისა მექონი და სიმრგვლით სამ ათისა და მას ზედა იდ-

გნეს ათორმეტნი ჭაბუკნი შვენიერად რადმე ქმნილნი და ზედა კერძო მათსა გავალაკი მტკიცე რვალისა ბრწყინვალე, მაჩრდილებელად მათ ათ ორთა ჭაბუკთა. ყოველთა მათ ჭაბუკთა მარჯვენე კელნი პირთა ზედა ეფარნეს და მარცხენე კელნი საკელმწიფოსა სასახლისა კერძო განეპყრათ და კელთა ურნა ეპყრათ რვალისაგანვე ქმნილნი. **ქვალად** მის კელ განპყრობილისა დილარისა სახისა პირის პირ დაედგა ძეგლი რვალისა ბრწყინვალე, მომაღლოდ, ვითა ოცისა მხრისა და ეგრეთვე სიმრგვლე და მას ზედა დაედგა სახე თჳსი, ერთი კელი განეპყრა ცისადმი და ერთი კელი დილარისა ძეგლისადმი და რომელიცა კელი დილარისადმი განემარტა, მით კელითა ეპყრა ქარტა გრძელი და ვრცელი, ცასა ჰსთხოვდა დილარისა დღეგრძელობასა და ქარტასა ზედა ეწერა, უმოხუცებულესისა ეგროს ვაზირი საგან მოქმედება და კელოვნებანი იგი, მოხუცებულითა ბაგითა აკურთხევდა დილარს კმა მაღლად საყვარელითა თვისითა და სამითა ძითა და სხვანი, რანიცა ეწერნეს ქარტასა ზედა შესხმანი დილარისანი სხვა-და-სხვა გვარითა ლექსითა. სახე იგი ეგროსისა წელიწადსა შინა ოთხ გზის იწყებდა თქმასა კმა მაღლად, ყოველთა ქალაქისა ერთა გასაგონად. **ოდეს** ეგროს ვაზირმან სრულ ჰყო საკვრვო იგი კელოვნება, მაშინ მივიდა წინაშე დილარისა, თაყვანი ჰსცა და მოახსენა: „უდიდებულესო ძლიერო კელმწიფეო, ინებეთ ხვალისა დღესა ჩემგან ქმნილთა ძეგლთა ქვეშე სადილისა მირთმევაჲ და იხილეთცა კელოვნებითა ქმნილნი მონისა თქვენისაგანაო". დილარ უსაზომოდ გამხიარულდა და ჰბრძანა ხვალისად სადილისა და ლხინისა მუნ გარდახდა.

აქა კეკელჲსა მას სასახლისა მოედანსა ზედა დილარისა და ყოველთა კელმწიფეთა მეფეთა და დიდებულთა მისვლა, პურობისა და ლხინისა გარდახდა და საკჳრვოთა მათ კელოვნებათა ეგროსისათა ხილვა.

მეორესა დღესა შეჰკრბეს ყოველნი წინაშე დილარისა და მივიდნენ მოედანსა მას მხილველთაგან დიდად საქებელსა. იხილეს კელოვნება იგი ეგროს ვაზირისა, ჰსჭვრეტდენ, იხარებდენ და შეჰქმნეს პურობა, რა ერთი ჟამი შესრულდა.

აქა დიდის მის ოქროს არწივისაგან სასტიკად კმობა დილარის დიდებისა.

იწყო მან არწივმან კმობა წესითა თჳსითა დიდება დილარისა. ჩვენ ყოველნივე განვჰსცჳფრდით კმასა მას ზედა და ეგრეთ შვენიერად და კაფიად გამომეტყველებასა ზედა და ვაქებდით ეგროსისა სიბრძნესა. დილარ და იგი კელმწიფენი მეფენი და დიდებულნი იშვებდეს და თანა სწორ გვქონდა ყოველთავე მხიარულება დიდი და მოიწია შუა დღეცა.

აქა მესაყჳრეთა მათ დაჰსცეს საყჳრსა საშინელითა კმითა მკმობელთა დილარისა ქებისათა და ათ ორმეტთა ჭაბუკთაგან ურნათა მოხდა და სუნნელებისა საწადელისა აღმოჰსდენა ურნათაგან და ჭაბუკთაგან კმატკბილად კმობაჲ საწადელთა ლექსთა.

მაშინ მათ მესაყვრეთა დაჰსცეს საყვრთა და დაიწყეს კმობა საზარელად დილარისა ქებაჲ და დღეგრძელობაჲ და ყოველნი შევჰსჭვრეტდით მათ მესაყვრეთა განკრვებულნი და მოხარულნი. მაშინ მათ ათ ორმეტთა ჭაბუკთა მათ ჴვენე კელნი პირთაგან მოიშორნეს, მოხსნეს ურნათა მათ, რომელნიცა ეპყრათ მარცხენითა კელითა და ესრეთმან სუნნელებამან იწ-

ყო დენა მათ ურნათაგან, რომე სულ მილეულთა სულთ უბრუნებდა, იგი სუნნელება ჰფშოდა მათ ურნათაგან და ჰათ ჭაბუკთა იწყეს კმა საწადელად, შვენიერად და ტკბილად კმობა ლექსთა მსმენელთა ყურთა დამატკბობელად. იტყოდეს დილარისა ძლიერთა ბრძოლათა ყოველთა ადგილთა შემთხვეულთა ესრეთ, ვითარცა კორციელნი კმა სასურველად მთქმელნი, აქებდეს კელმწიფა ანავსიას შვენიერებასა და ჰსთხოვდენ განგებასა სატრფიალოსა ლექსებითა, მათთა სამთა ძეთა დღე გრძელობასა.

ქა ეგროს უმოხუცებულესისა ვაზირისაგან საშუალ მათ კელმწიფეთა მეფეთა და დიდებულთა დადგომა, მათ კელოვნებათა თჳსთა ვითარების მოხსენება და სხვა და სხვათა გვართა ტკბილთა ლექსთა წარმოთქმა, რომელიცა იყო თჳსისა სახისა ქარტასა ზედა წარწერილი.

უმოხუცებულესი ვაზირი ეგროს დაჰსდგა საშუალ მათ შეკრებულთა, მარჯვენე მხარი უპყრა ჯანუჯან ვაზირმან და მარცხენე ძემან თჳს მან მეფემან ლარამ და მოახსენა დილარ მძლეველსა: „ჵე, მზესა ქვეშე უდიდებულესო კელმწიფეო და ყოველთა კელმწიფეთა და მეფეთა მბრძანებელო და დამორჩილებელო! მე, ბრძანებითა თქვენითა, შევმზადე ძეგლნი ესე, მესაყვრენი, არწივი, ათ ორმეტი ჭაბუკნი ურნებითურთ, კმა ტკბილად მკმობელნი ქებისა თქვენისა, დაუცადებელად მლაღადებელნი. სოფლისა დასასრულადმდე ესენიცა იქმნებიან და ურნათა მათ უმეტესად და უფროსად ემატებიან სუნნელებისა ფშვევანი და განასუნნელებენ კეკელისა და ვრცელისა მის მოედნისა კიდის კიდეობასა და რომელნიცა უძლურნი სნეულნი მდებარენი იყნოსებენ სუნნელებასა ამას, განიკურნებიან ყოველთა სნეულებათაგან და უძლურთა მისცემს ძალსა ყოველსა შინა“.

რვულად ჩახრუხაული.

ძლიერო დილარ, მბრძოლთა მძლეველო, მტერთა მეხტეხით შემარყეველო,
ციკლოპთ ქალაქის მოსვრით მრეველო, მუნ მყოფთა რაზმთა მკლავით მსრეველო,
ბნელ ქმნილის ტყვისა განმამზეველო, მიჯნურთა ტკბილის სასმლის მწდეველო,
ბრიტანის თვალთა განმადღეველო, ნაცვლად სიკვდილის ლხინთ მიმძლეველო!

შენ, საკვრვოსა მკლავთა ძალითა და განმახულის ლომებრ ბრჭალითა,
მეკობრეთ მეფე მბრმალი თვალითა ანათლე სწავლით უშურვალითა,
ეშმაკს ჰმონებდა ცნობა მთვრალითა, ამცენ ჰსჯულითა სასურვალითა;
აწ იშვებს თქვენის ნიჭ მრავალითა და წყალობითა სამალ მალითა.

ბარშარაბ მეფე, შემცდარი ცნობით, საცთურიანის მის კელოვნებით,
ყმათ სისხლთა ჰღვრიდა გრძნების მინდობით, მოისრნეს, ბრალი არს იგ მრავლადობით,
დიდად ამხილე მუნ მალ მისწრებით, ჰკუას მოეგო თქვენის მგზავრებით,
აწ ალვსილია მხიარულებით, შეგტრფის გულითა, სავსე მადლობით.

ყ ა რ ი ბ უ ლ ი.

ფარსმან, საქები ენით, ძალით ვინმც უდგინენით, მდიდარ არს სახით მშვენით,
მკერდ მკლავით ვითა რვალი, გულ სალი საკვრვალი, ფარვა აქვს ზეცით ზენით,
ახლავან ყმანი გმირნი, მეტოქთა ამატირნი, ბრძოლას ბევრ გზის ვნახენით,
აზიის კერძო მხარედ, მებრძოლთ იყვნენ შემზარედ, მრავალს ადგილს ვაქენით.

მეფე მტერთ მარცხვნიდა, თვსთა ერთ გვირგვინოდა, სფეროს განმაბრწყინიდა,
ქართლოსის ჰსჯულს კერპულსა, ერჩდა ეშმაკეულსა, იყო მით მომწყინიდა,
დილარ შენს ძლიერს მკლავსა უდრკა მრავალთ მომკლავსა, არ ჰყავ შეუშინიდა,
ტკბილნი შენნი მცნებანი, სწავლანი, მხილებანი ექნა მას მომლხინიდა.

სიყვარული თან რეული, ვაშად იქმნა ძლეული, მცირედრე ურველელი,
გარნა განათლდა დიდად, ექმნა გონება მშვიდად და ყოველი სხეული,
ერი, სამეფო დიდი, სატანისგან მიმზიდი, იქმნა ნათელ მზეული,
ამად ყოვლნი გაქებენ, დიდებას შეგიკრებენ, ენა მჭევრ ბევრეული:

მთერის ჰმსგავს მკრთოლვარედ საყვარელი ჰყავს მთვარედ, ნათლისა მოელვარედ,
ძენი ბექ მკერდ გმირულნი, უსხენ ჭაბუკად სრულნი, მტერთა გულთ შემჭმუნვარედ,

მხილველთ სატრფიალები, ლომ გულ მყარნი სალები, ჰგებენ
მოყვასთ საყვარედ,
მკლავნი უდგან ძლიერნი, თუ ეყოლებისთ მტერნი, იყვნენ
მათ სისხლთ დამღვარედ.

ცადმდე განდიდებულო, კიდის კიდე ქებულო, სამ ათ
გვირგვინებულო,
დილარ, მზეს ქვეშ მძლეველო, მოყვასთ ლხინთა მძლეველო,
მტკიცედ დამყარებულო,
რომელს გფარვენ ზენანი, უსხეულთ ფრთით მფრენანი, ბევრ
გზის ნეტარებულო,
მართლის ჰსჯულის მიმფენო, უხვად სიბრძნისა მდენო, ყოვლთ
არსთ შეყვარებულო.

შ ა ი რ ი.

შენ სიმხნით ოთხნივ კიდენი მოვლენ სასტიკის ბრძო-
ლითა,
ციკლოპელთ ჰმუსრენ ქალაქი მოყმეთა თანა ყოლითა,
გალლიელთ მეფე უდგინე, ჰყო ძალმან შენმან ძრწოლითა,
ვრცელთა ბრიტანელთ გულები დღესცა არნ შიშით თრთოლითა.

პოლანთა მეფე ღირს იქმნა თქვენგან უოხჭნოს შვებასა,
მნათობს შეჰყარე, რომლისა ჩვენც ვჰკვრვობთ ელვარებასა,
ნუშრევანს ცრემლნი შეჰსწყვიტენ: ჰგვანდა ცით მჩქეფარებასა,
ვიდრე ჩვენდამდე მოგვალე, სად გძლვნიდით მრავლად ქებასა.

მეკობრეთა სიმრავლენი ბნელსა შინა იყვნენ დიდსა,
მკეცთა რათმე ესვიდიან, გზასა იდგეს წარსაწყმიდსა,
ჰმსახურებდენ სურვილითა სატანასა, ეშმა ფლიდსა,
იყვნენ სულით წარწყმედილნი, ჯოჯოხეთის ვლიდეს ხიდსა.

ურიცხვნი ტყვენი, მეკობრეთ ქვეყანას შეპყრობილები,
ათავის უფლენ, ყოველგან გაქებენ გამოხსნილები,
გაეც მათ შორის საუნჯე, უსჯულოდ შეკრებილები,
მუნ გლოცვენ მარად გლახაკნი, ობოლნი, დავრდომილები.

დაადგინენ მართალს გზასა მით ზორასტან, მოხარული,
გმსახურებს და თანა გახლავს, გმონებს, ვით სულ შეწირული,
იცნეს ღმერთი არსთა მფლობი, მკეცნი შეჰქმნეს განბასრული,
განადიდე, ვითა ჰხამდა, აწ განჰსცხრების ნიჭებ სრული.

ბარშარაბისა რამე ვჰსთქვა, მისგან სათქვენო სურვილი,
ვითა ერთ გულად გმსახურებს, აქვს მონებისა წყურვილი,
სამართლად სპასალარობის ჯაჭვთ ადგინა ჭურვილი,
ალავსე ნიჭთა სიმრავლით, არა აქვს გული ურვილი.

პეკინის იმპერატორი, თვით მოქადული ძალითა,
სპათ სიმრავლითა, მეომართ სპილოებ დაუთვალითა,
იტყოდა: ვესავ მკლავთა და ვქადი ლომებრ ბრჭალითა,
შენგან იხარებს გულითა, განათლებულ არს თვალითა.

სხვა ხუთნი მისნი მეფენი ბრძოლას ძლიერნი გმირები,
მმულრაობელთა თჳსთანი, შემდრეკნი, ამატირები,
ოდენ შენისა შეხედვით, ჩბუნვილ ჰყვენ, ვითა სირები,
იგინიც ავსენ წყალობით, იდვეს საჭურჭლე ხშირები.

დიდი იგი სამონარხო მზისა ქალაქს შეკრებილნი,
სრულ ალავსენ ბოძებითა, განუმრავლენ თვალნი თლილნი,
იხარებენ ნივთთ სიმდიდრით, თქვენს საფარველს შევრდომილნი,
განიდევნეს გულთა ჭმუნვა, სამარადოდ აქვსთ ღიმილნი.

ფისტიკაური.

ოდეს სკვთელთა მეფე ხაყანდა თვსის ძალისა მძლედ მინდობილი,
მოვიდა მასვე ედემის ჰმსგავსსა ქვეყანას, მრავალ რაზმ დაწყობილი,
ვრცელს მოედანს დაჰსდგა ურიდად, იყო საომრად მალ ალმსთობილი,
შენთა მოყმეთა მისნი ჰრჩეულნი გმირნი მალიად ჰყვეს დამხობილი.

შენ მზესა ქვეშე განსაკვრვოსა ბრძოლად გიწვევდა უგუნურებით,
ვერ გცნობდა ზენით ძალ შემოსილსა, იყო ამაყად სისხლ განფიცხებით,
არა მიჰხედე მისსა სიმყიფეს უსაზღვროსა მით შენ მოწყალებით,
მარსის მკლავთაგან იქმნა ძლეული, მისთა განზრახვათ ჰყო შენანებით.

აწ თქვენსა ჩრდილსა ქვეშე დამტკბარი, იშვებს მნათობი, ჰყავს მზისა დარად,
ძენი ტურფანი უსხენ სატრფონი, გულისა შვებად და ლხინთ საკმარად,
ნივთნი ძვრ ფასნი უჰამრავ მრავლად სალაროს დახსნა გორებ შემდგარად,
გმონებს, გმსახურებს წყალობის ნაცვლად, სიყვარული აქვს არ დასაფარად.

ძაგნაკორული.

ჭადუზიანნი, ძლიერნი და მეფე მათი სვიანი,
მბრძოლთა შემდრეკი სასტიკად, ტომ გული, კაფად კმიანი,
წარმოემართა დიდებით, საშიშარ გმირებ ყმიანი,
იტყოდა: „ვინ არს ქვეყანად, ჩემებრი ბასრი ხმლიანი“.

ბჭობდა: „ვიპყრობო მზის ქალაქს, არს ჰაერ კეთილიანი,
მივხვდები მისსა კელმწიფას, ვინ არსო სხივით მზიანი,
იყო ჰსჯულითა გვლარძნილი, საქმითა ეშმაკიანი,
ჰსჭამდა მოყვასი მოყვსის კორცს, მღრინავად მკეცებრიანი,
იტყოდა: „ვინ არს ქვეყანად ჩემებრი ბასრი ხმლიანი“.

მისის ძალისა მაქებრად ჰხამს იყოს ბრძენი ჭკვანი,
ცა დაჰსტრფის მისსა სიმკნესა, ტურფად ჰშვენს საჭურვლიანი,
მისის ბრძოლითა ნიანგნი შეიქმნენ ვაებიანი,
ოდეს მივიდა მზის ქალაქს, ბევრი ჰყო სულთქმა ვიანი,
იტყოდა: „ვინ არს ქვეყანად ჩემებრი ბასრი კლმიანი“.

მივიდა მყისად ბრუტოსელ გმირნი და ძელ რკინიანი,
შემოუძახა მზის ქალაქს, სად ჰგებდი დიდებიანი,
შენ უძლეველო მძლეველო, მუნ შეჰხვდი მყარ გურზიანი,
შეიქმნა ბრძოლა სასტიკი, მარადად სახსოვრიანი,
იტყოდა: „ვინ არს ქვეყანად ჩემებრი ბასრი კმლიანი“.

ფარსმანცა არა უტევე, შეჰხვდი მალ სალ ბეგთრიანი,
ჰსცანთ ურთ ერთისა ძალ გული, დაგხვდა ლომ ტოტ ბრჭა-
ლიანი.
შენმან სურვილმან შეიპყრა, მორე ჰლბა გულით ქვიანი,
ირწმუნა ჰსჯული კეთილი, უტევა საცთურიანი,
იტყოდა: „ვინ არს ქვეყანად ჩემებრი ბასრი ხმლიანი“.

ⴊ ⴄ ⴕ ⴑ ⴈ.

Ⴈგიც ღირს იქმნა საწადელს, მნათობსა თანა ტკბობასა,
მისი სამეფო ერთობით მიხვდა ჰსჯულ კეთილ ცნობასა.

ⴒ ⴀ ⴄ ⴎ ⴈ.

Ⴀწ თქვენი მტრფობი იხარებს, გმირს ძალს ერთგულად იხმარებს.

ⴘ ⴄ ⴐ ⴄ ⴓ ⴊ ⴈ.

Ⴑამნი ძლიერნი მეფენი გვირგვინით სკიპტროსანები,
თქვენის სურვილის ასფადელს გულთა მძლედ შენაყვანები,
კვლა საკვრვოსა ძალისა ოთხ კიდედ განმადიდები,
თვსთა მნათობთა შემტრფობნი, არლა ცრემლითა მბანები,
უსხენან ძენი ტურფანი, ცხოვრების დამამშვიდები,
იხარებენ და იშვებენ, უხმობნ მუტრიბ მგოსანები.

ⴘ ⴄ ⴜ ⴗ ⴍ ⴁ ⴈ ⴊ ⴈ.

Ⴑხვა მეფე გმირი ძლიერი ჰინდოთა ამილბარია,
თქვენის მიხედვით რაბამად მნათობსა თანა მტკბარია,
პირველად იყო სურვილით ძლიერად ცეცხლ მდებარია.
აწ თქვენის მოწყალებისა ცადმდე არს ყე მქებარია,
ისურვის თქვენსა სამსახურს გულით, ვით უზებარია,
მარად თქვენისა წყალობის უკლებრად მოუბარია.

მრჩობლედი.

სამ ათნი გვირგვინოსანნი, მეფენი მტერთა მზარავნი,
თქვენს წინა მყოფნი სურვილით ქებისა დაუფარავნი.

გმონებენ, გახლავნ, გეტრფიან, ვითა ბულბული ვარდებსა,
ვერ სადა ჰგრძნობენ ქვეყანად, სხვას თქვენსა შესაფარდებსა.

შენ უმჯობეს ხარ სამათოდ, თერიაყ მუფარახებსა,
თუ გყვანდენ მტერნი სადამე მისცემენ დღესა ჭმახებსა.

ვითა ცა, მათ თვს სიუხვთ აფრქვევ წყალობის ცვარებსა,
გხედვენ სათვისოდ ვით მზესა, ნათლითა ნაშუქარებსა.

რიცხვ არა არს, საჭურჭლე ალავსნეს ნივთთა მიღებით,
ცადმდე ამაღლდენ ნიჭებით და თქვენ მიერის დიდებით.

რვული.

შენ თვს მარად ისურვიან და გეტრფიან ღამე დღიან,
ნადირობას მკეცთა ჰსვრიან, ნადიმს ზედა ღვინოს სმიან,
აშფაშაგსა ისარს ჰკრიან, მოედანსა ბურთს ისვრიან,
შენდა ქებად ისწრაფვიან, სირინთაებრ იმღერიან.

იამბიკო.

ვისცა მიეცეს თქვენთან სურვით ხლებანი,
მას მიხვდეს ჟამთა და დროთ განახლებანი,
ნიჭთა სიმრავლით სალაროთ აღვსებანი,

უბრყვილო მნათობთ ჰაბუკთ შეუღლებანი,
სოფელს ამას დიდად განდიდებანი.

Ⴜ Ⴗ Ⴍ Ⴁ Ⴈ Ⴊ Ⴈ.

ვიპყრა ებანი: თქვენი ქებანი ვჰსთქვა, გულს შვებანი,
მაქვს ლხინებანი,
ეგ მტერთ ვნებანი, ძლიერებანი და მკლავთ გებანი, საცვფ-
რებანი,
ლხინთ სავსებანი, მეფეთ კრებანი, ვჰხედავ ხლებანი, აქვსთ
სურვებანი,
პირმზეებანი, განცისკრებანი, გშვენს დიდებანი, წარმატებანი.

აქა უუმოხუცებულესმან ბრძენმან ეგროს ვაზირმან დაასრულა მრავალ გვართა მათ ლექსთა მოხსენება წინაშე დილარისა და ყოველთა მათ შეკრებულთა და დილარისაგან მადლობისა ბრძანება.

ოდეს უუმოხუცებულესმან ვაზირმან ეგროს იგი მრავალ გვარნი ლექსნი მოახსენა დილარს მძლეველსა, წინაშე მათ შეკრებილთა კელმწიფეთა და მეფეთა, მაშინ ყოველთა ქებით განადიდეს სიბრძნე, მჭევრ მოუბნარობა და საკვრველ იგი კელოვნებით მოქმედებანი, ხოლო დილარ აღჰსდგა ტახტით თჳსით, მიბრძანდა ეგროსისა თანა და მადლობა ზე დგომით უბრძანა, მოჰკიდა კელი და თჳსთანა ტახტსა დაისვა. მაშინ უმეტესი შეჰქმნეს მხიარულება და სადღეგრძელოთა გარდალევაჲ და იყო შვება დიდი. შემდგომად უბრძანა დილარ მძლეველმან ეგროს ვაზირსა, ვითა: „მამაო, მსურს, რათა, რაჲცა სიტყვთ წინაშე ყოველთასა მოგვითხარ, საკვრვოდ საქებელნი იგი მრავალ გვარნი ლექსნი, მან სახემანცა შენმან ჩამოსხმულმან იწყოს თხრობაჲ მათი უნაკლულოდაო“. მას

ბრძანებასა ზედა აღჰსდგა ეგროს ვაზირი, ჩამოხდა ტახტით, თაყვანი ჰსცა დილარ მძლეველსა

აქა ეგროს ვაზირისაგან თჳსის კელოვნებით ჩამოსხმულის თჳსისავე სახისა მიერ მათ შვენიერთა მრავალ გვართა ლექსთა თქმა.

და გაბრუნდა, მივიდა სახესა თჳსსა თანა, კიბით აღვიდა და კისერსა თანა ერთსა რასამე ხრახნილსა მობრუნებით მოჰსწივა და ქვე ჩამოვიდა, მაშინ იწყო მან ეგროს ვაზირისა სახემან თქმად მაღლად შვენიერითა კმითა ყოველთა მათ ლექსთა სხვა და სხვათა გვართა რიტორულად სხეულთა მარჯვედ ხმარებითა უკლებრად, რომელიცა ზემორე ეგროს ვაზირმან მოახსენა მათ ყოველთავე კელმწიფეთა და მეფეთა ერთობით. იგინი შეჰყურებდეს განკვრვებულნი და ვისმენდით საწადელთა მათ ლექსთა სიხარულითა აღვსილნი, ვჰკვირობდით და ვაქებდით ეგროს ვაზირისა სიბრძნესა და კელოვნებასა. ოთხსა ჟამსა შინა დაასრულა სახემან მან ლექსნი იგი მრავალ გვარნი ტკბილითა რითმე კმითა და შვენიერითა და შემდგომად დაჰსდგა თჳსსავე წესსა ზედა. დილარ მოხარულობდა და უბოძა წყალობისა წერილითა ძის ძეთა მისთა ლარას ძეთა ათი ქალაქი თჳსისა გარემოებითა, მზისა ქალაქისა ქვეყანასა შინა და ათი ქალაქი აბაშეთსა შინა და მეფობაჲცა წერილითა დაუმტკიცა თჳსთა დროთა ზედა.

აქა დილარ მძლეველმან მიხედა მოწყალებით ოთხთა მათ სპასალართა, რომელნიცა მზისა ქალაქისა მოედანსა ზედა მათრახითა ჩამოჭყარნა.

დილარ მძლეველმან, ყოველთა კეთილთა სურვილთა თჳსთა აღმასრულებელმან, არა დაუტევა უნუგეშოდ სპასალარნი იგი მათრახითა თვისითა დასჯილნი, უბოძა აბაშეთსა

შინა მრავალნი ყმანი და მამულნი, სოფელნი და დაბანი და თვსთა დიდებულთა შვენიერნი ასულნი ცოლად შეჰრთნა. ოთხ ათეულსა დღესა ქორწილი მათი დიდისა დიდებითა გარდაიხადა და თვთოთა მიანიჭნა ათასნი საჭურჭლენი, სავსენი მარგარიტითა, ოქროთა და ვეცხლითა და ოქრო ქსოვილითა ლარითა და ესრეთ განამხიარულნა გულნიცა მათნი და გალანამცა რომელნიცა ყმა და მამულნი მათნი იყვნეს მზისა ქალაქისა ქვეყანასა შინა, იგინი მათსავე კელსა შინა იყუნეს.

შემდგომად განაგო დილარმან ყოველივე აბაშეთისა საქმენი და განემზადა შესასვლელად მზისა ქალაქად. მაშინ კვლა უბოძა დილარ მძლეველმან ყოველთა მათ კელმწიფეთა მეფეთა და ეგროს ვაზირსა თანა ჰსწორად, თვთოსა ხუთი ათასი ტვრთი მარგარიტი, ოქრო ვეცხლი და ძვრ ფასნი ოქრო ქსოვილნი ლარნი.

კელმწიფა ანავსიამან უბოძა ყოველთა მათ მნათობთა დედოფალთა და ეგროს ვაზირსა თანა სწორ, რაოდენიცა უბოძა დილარმან მათ კელმწიფეთა, გარნა გულნაზ დედოფალსა ერთი ორად უბოძა.

აღარჩივნა დილარ მძლეველმან აბაშეთსა შინა ათ ერთმეტნი ათასნი დიდებულთა ძენი ლომ გულნი მოყმენი და კვლა ასი ათასნი მკლავ მტკიცენი ჩინებულთა დიდებულთა ძენი და ესრეთ განემზადნენ შესვლად მზისა ქალაქისა ქვეყანასა შინა.

აქა დილარ მძლეველისა და ყოველთა მათ კელმწიფეთა და მეფეთა წარსვლა აბაშეთით მზისა ქალაქსა შესასვლელად ყოვლითა საყვარელებითა თვსითა.

დაუტევეთ მშვიდობა აბაშეთისა ქვეყანასა, მაქებელთა დილარისა კელმწიფებისათა და გავემართენით ამოჲთა სიარულითა. მივიდოდეს მხიარულებითა და შვებითა და შეექცეო-

დენ ურთიერთისა ჭვრეტითა და უბნობითა ვიარეთ მრავალნი დღენი და ღამენი გზასა ზედა. მინადირობდეს კელმწიფენი მეფენი და დიდებულნი და ჰქონდათ სრვა მკეცთა ნადირთა და მფრინველთა. გარნა დილარ უფროორე დაჰსტკბებოდა ფინეზ მეფისა და ეგროს ვაზირისა უბნობითა და წარსულთა ჰამბავთა თხრობითა. ეგრეთ ყოვლითა სიამოვნითა აღვსილნი შევედით კეკელასა მას და უსაწადლესსა მზისა ქალაქსა. ერთსა სწორსა განისვენეს მაშვრალობისაგან.

აქა მზისა ქალაქსა შინა ას თერთმეტი ათასთა აბაშიერთა დილარისა მოყმეთა და ეგეოდენთა მზისა ქალაქისა მნათობთა ქორწილი.

შემდგომად განმზადეს ათერთმეტთა გოდოლთა შინა მყოფნი მნათობნი და ასი ათასნი მუნებურთა დიდებულთა ასულნი, მნათობნი დილარისა მოყმეთა თჳს ათერთმეტი ათასთა და ორმეოცთა დღეთა მათ ყოველთა ერთად გარდაიხადეს ქორწილი დიდითა მხიარულებითა და ყოველთა ზედა მრავლისა გაცემითა და მათ სიძე სძალთა უბოძა დიადი ყმა და მამული, ვითარ იგი ჰშვენოდა კელმწიფებასა მათსა და განადიდეს სამკვდრებელითა და შემოსავალთა განმრავლებითა.

ხოლო მე დილარ მძლეველისა მოწყალებითა ათასთა თჳსთა დიდებულთა ძეთა ლომ გულთა მოყმეთა თანა აღრიცხულსა და ჰამბავთა მათთა სიმართლით მწერალსა მორეს უხვებითისა თჳსისა მოწყალებითა მიბოძა მზისა ქალაქისა ქვეყანასა შინა ერთი ჩინებული ქალაქი, ხუთ ასითა თჳსითა დიდ დიდითა სოფლებითა და ერთი ქალაქი აბაშეთს ათ გზის ერგასისა სოფლებითა. კვლა მიბოძა მზისა ქალაქისა დიდებულისა ასული მნათობი ცოლად და ქორწილიცა ჩემი გარდაიხადა დიდითა დიდებითა და მხიარულებითა და ესრეთ ვიყავი მარადის შვებული ჭვრეტითა მათითა, მაქვნდა ურიცხვ შემოსავალი ქალაქთა და სოფლებთაგან ჩემთა.

აქა მათ დიდთა კელმწიფეთა და მეფეთა მზისა ქალაქით წარსვლა-თჳს თჳსთა ქვეყანათა შინა მრავლითა ნიჭითა და უნჯითა ურიცხჳთა.

ერთსა წელსა კვლა დაჰყვეს მას კეკელასა და ხილვად საწადელსა ქალაქსა ყოველთა მათ კელმწიფეთა მეფეთა და დიდებულთა, მრავლითა მხიარულებითა, შვებითა და განცხრომითა და შემდგომად გამოესალმნენ თვსთა ქვეყანათა წარსასვლელად. უბრძანა დილარმან მათ კელმწიფეთა და მეფეთა, ვითა: „საყვარელნო ჩემნო, თქვენ ყოველთა განმზადეთ თვითო შვილი ათასითა თქვენთა დიდებულთა ძითა, რათა იყვნენ პალატსა ამას ჩვენსა და თანა ალიზარდნენ, ძეთა ჩვენთა თანა სამსა წელსა დაჰყოფდენ და კვალად სხვანი მოვიდოდნენ და იგინი წარვიდოდენ, რათა ესე ვითარითა წესითა ალივსოს ქვეყანა თქვენი უძვრ ფასესთა სპეკალთა და ნივთთა სიმრავლითო“. მათ ყოველთა ეგე ვითარისა მოწყალებისა თვს მიწამდე თაყვანი ჰსცეს და მრავალი მადლობა მოახსენეს. მას ჟამსა ანავსია კელმწიფამან ეგ ზომი შეჰსლვნა მათ კელმწიფეთა მეფეთა და დიდებულთა, რომე გონება კაცისა განჰკვრდებოდა და თვსთანა ზრდილთა მნათობთა დედოფალთა და გულნაზ დედოფალსა თვითოსა შეჰსძლვნა ათი ათასი ტვრთი აქლემისა სავსე ძვირ ფასითა თვალითა სხვა და სხვა გვარითა და მუნებურითა ოქრო ქსოვილითა ლარითა და ესრეთ განიყარნენ მრავლითა ცრემლითა. წარმსვლელნი მივიდნენ თვსთა ქვეყანათა და სუფევდნენ ნებისაებრ თვსისა მხიარულებით და დილარ მძლეველი დაჰშთა ქვეყანასა თვსსა მას კეთილსა, თვსსა სატრფიალოსა თანა შვება განმრავლებული. ერთსა წელიწადსა შინა დაჰყვს მზისა ქალაქსა შინა და ერთსა წელიწადსა აბაშეთსა, შვენიერნი იგი ნაყოფნი სამნი ძენი თვსნი მისცნა სიბრძნისა სასწავლებელად ჯანუჯან ვაზირსა და სამამაცოსა საგმიროსა სასწავლებელად სპასალარსა თვსსა მარსის. ყოველი ქვეყანა მორჩილებდა და ყოველნი კელმწიფენი

და მეფენი ჰფუცავდნენ მზესა მისსა. ყოველსა წელიწადსა ერთ გზის მოვიდის ლასურ პეკინისა კელმწიფე საყვარელითა თვსითა, დაჰყვს სამსა თვესა ლხინითა და განცხრომითა და კვალად უკუნ იქცის ქვეყანასა თვსსა და აგრეთვე სხვანიცა კელმწიფენი და მეფენი სამსა წელიწადსა შინა ერთ გზის მოვიდოდენ მრავლითა ძღვნითა და მოსართმევითა, ექვსსა თვესა დაჰყვან პურობითა და ნადიმობითა, აღივსებოდიან ნიჭითა დილარისათა და ეგრეთ მხიარულნი მიიქცეოდიან თვს თვსთა ქვეყანათა და ძენი მათ ყოველთანი წეს დებულებისაებრ დილარ მძლეველისა, იმყოფებოდენ საფარველსა ქვეშე მისისა დიდებულებისასა. არა აუფლის არა რომელისამე ქვეყანისა კელმწიფენი გინა მეფენი, ერთი ერთსა ზედა მძლავრებისა გინა უსამართლოებისა თვს, არამედ ყოველნივე აგნა თვს თვსთა ქვეყანათა ზედა მბრძანებელად და თავის უფლად, რომლითაცა ადიდა სახელი თვსი უფროს ყოველთა ყოფილთა და მყოფადთა კელმწიფეთასა და იყო ყოველთა მზესა ქვეშეთთა ქვეყანათა ზედა მშვიდობა მიფენილი და ერთი ერთისა სიყვარულითა ჰსცხოვრებდენ დილარ მძლეველისა კელმწიფებისა მაქებელნი და მადიდებელნი.

შ ა ი რ ი.

ვიყავ რა მწირად პეტერ ბურღს სვისაგან განმწარებული,
სამწუხაროსა ჰაზრთაგან შეშთობილ, დაკვეთებული:
ბოროტი ვინმე შეიქმნა ჩემ ზედ ბრჭალ გამეხებული,
ჭირსა ვხადოდი უფალსა მარად ცრემლ მოხშირებული.

უქმობის დახსნად კელს ვიპყარ კალამი, სევდის მალამი,
სადა ვჰსჯდი, იგი ადგილი თვალთა ცრემლითა ვალამი,
დილარის ჰამბის გამოთქმად აღვაბი თეთრი ალამი,
ჰაზრისა მოსაგონებლად გონებას მივე სალამი.

შევაწყევ, შევანაწევრე, დავჰსწერე, ვიპყარ შავადა,
მეწადა თეთრად შემემკო მხილველთ არ საზრახავადა,
ეცნა მეფის ძეს იონეს, მობრძანდა სანახავადა,
იგ მან მიმტაცა, უფრორე შემექმნა საზრუნავადა.

მსეცა მესმა: მას თჳსი სახელი შთაუწერია!
ვსწუხვარ, სამისოდ სიცრუე რა მისი შესაფერია!
ამას ვინა იქმს, მიბრძანეთ, თუ არ გონება შტერია!
ცუდ დიდებობა არ უწყის, რომე სულისა მტერია.

აწ ესე დილარიანი შევმზადე ტურფა გვარადა:
სხვა და სხვა გვარის ლექსების შერთვა არ დამეზარადა,
მხილველთ საამოდ, საშვებოდ და გულთა გასახარადა,
ვინცა ისმინოს, უცილოდ შეექმნას შესაყვარადა.

გიორგის მეფისა ძემან, იოანემან სახელით,
პირველ შრომილი, არ სრული, მტაცა, მყო გონებით კელით,
ცუდად იქადის, ამაოდ, მაღლისა კმითა მძაკელით!
ამად მას არღა მივხედე, არცაღა კელნი ვაკელით.

მსე სხვა ახლად შევამკევ, ვით მტილი ყვავილიანი,
იგ ამას არ ჰგავს, ვით ვარდსა გოგ'შო თავ სხკლ ეკლიანი,
ესე არს დიდად ნაღვაწი, ჩემგან ქმნილ დილარიანი,
კელმწიფებითა მაღალი, ლომ გული, მკლავ მყარიანი.

ჩემგან ახლად შემზადებულსა წიგნსა დილარიანსა ზედა მრავალი ღვაწლი და შრომა მივიღე: ჰამბის მოგონებასა და შეწყობასა ზედა. მხილველნო, გთხოვთ, კურთხევით მომიხსენებდეთ.

პეტრე ყარიბი ლარაძე.

სრულ იქმნა. დიდება მას სამ წმიდა არსებით მეორეთა ნათელთაგან დიდებულსა მამასა და ძესა და წმინდასა სულსა, ერთსა ღმერთსა, აწ და უკუნისამდე. ამინ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შაირი 1

თავი პირველი. წიგნი პირველი ჰამბისა მის, რომელსა უწოდებენ მსმენელთა საამოსა ამას მოთხრობასა დილარიანად . 14

აქა დილარ მძლეველისაგან სანადიროდ წასვლა, მუნ ნადირობა და მიერ სამეფოსა მას პალატსა და ბაღსა მისვლა . . 25

აქა აბაშთა სამეფოსა პალატისა და ბაღისათვის მცირედ უბნობა 26

აქა დიდისა მის დილარ მძლეველისა მხეცთა სანადიროდ წარსვლაჲ 31

აქა დილარ მძლეველისაგან ხილვა მოყმისა ვისმე შვენიერისა ჭაბუკისა. 32

აქა დილარ მძლეველისაგან მიყვანა ყმათა თვისთა თანა ახლად პოვნილისა მის ყმისა შვენიერისა ჭაბუკისა . . . 38

თავი მეორე. დიდისა მყინვართ მეფის ფინეზის ძის ნუშრევანისაგან თვისთა სალმობელთა ჰამბავთა თქმა წინაშე დილარ მძლეველისა 42

აქა დაწყება მყინვართა მეფის ძის ნუშრევანის ჰამბავთა . 45

აქა ზღვათ მეფის ბრიტანის ასულის გულნაზის შიკრიკის მოსვლა მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა 46

აქა მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისაგან უმოხუცებულესისა ბრძენთა ბრძენისა ვაზირისა ეგროსის მოწოდება საწოლსა თვისსა . 50

აქა მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისაგან ზღვათა მეფის ასულსა გულნაზსა თანა წიგნის მიწერა და შიკრიკის გასტუმრება . 52

აქა შიკრიკის მოსვლა წინაშე ნუშრევანისა და გულნაზისა ბეჭდისა და ჰამბისა მოტანა. 55

აქა მეორისა წიგნისა მიწერა ნუშრევანისაგან საყვარელსა თანა და თვისისა სახისა შეძლვნობა 56

აქა ზღვათა მეფისა ბრიტანისაგან თვისისა ვეზირისა მოგზავნა მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა წინაშე 58

აქა შიკრიკისა მოსვლა და ზღვათა მნათობისა გულნაზისაგან ნუშრევანისა დაბარება და ნუშრევანის წარსვლა გულნაზის სახილველად 60

აქა მყინვართა მეფის ფინეზის ძის ნუშრევანისა და ზღვათა მეფისა ბრიტანის სპასალარისა რაბიშინის ომი . . . 61
აქა მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა წინაშე მოსვლა შიკრიკისა მის და ნუშრევანისაგან წარსვლა საყვარელსა თვისსა თანა და შეყრა მათი 64
აქა ზღვათა მეფისა ბრიტანის ვაზირისა მოციქულად მოსვლა წინაშე მყინვართ მეფის ძის ნუშრევანისა ნადიმსა ზედა . . 68
აქა ზღვათა მნათობისა გულნაზისაგან სამამაცოსა საჭურველისა გამოგზავნა მტრფიალსა თვისსა ნუშრევანსა თანა შიკრიკის მორეს კელითა განთიადისა ჟამსა 68
აქა მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა და ზღვათა მეფისა ბრიტანის სპასალარისა ბანგასპის ომი და ნუშრევანისაგან ძლევა . 69
აქა ზღვათა მეფისა ბრიტანის მოციქულის მოსვლა წინაშე მყინვართა მეფის ძისა ნუშრევანისა 70
აქა მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისაგან ზღვათა მეფესა თანა წიგნისა მიწერა 71
აქა კვალად მოსვლა ზღვათა მეფისა ვაზირისა მოციქულად წინაშე მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა 73
აქა ზღვათა მნათობისა გულნაზის მიერ მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა მიწოდება, ურთიერთისა ხილვა, ტკბილად უბნობა და გულნაზისაგან ნუშრევანისა წურთნა და შეგონება . . 73
აქა დიდი ბრძოლა გალიის მეფის ბურბონისა და სპათა მისთა მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა, და ეგროსის ძის ლარასი, და სპათა მათთა ერთობით და სასტიკი კუჳთება მათი . . 77
აქა წინაშე მყინვართ მეფის ძის ნუშრევანისა მოსვლა მონისა მის კელოვანისა მორესი გულნაზისაგან დაბარებისა მოხსენებად და ნუშრევანისაგან წასვლა საყვარელსა თვისსა თანა . . 81
აქა სურვილისა დიადობითა თვისისა საყვარელისა წიაღსა შინა გულს შემოყრა ნუშრევანისა და გულნაზისაგან მობრუნება მისი 82
აქა კვალად მოსვლა ზღვათა მეფისა ბრიტანის ვაზირისა მოციქულად წინაშე მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა . . . 85
აქა პოლანთა მეფის ძის და თვით მეფის გოჰარისა და მყინვართა მეფის ძის ნუშრევანის ომი ორთა შვენიერთა ახალ მოყმეთა 86
აქა ნუშრევანისაგან გოჰარის მობრუნება, თავისს ჩადრს მიყვანა განკურნება და ძმად შეფიცება მათი 88
აქა წინაშე მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა მორე შიკრიკისა მოსვლა და გულნაზის წიგნის მოტანა 90

აქა მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისაგან მაღლისა ცისადმი შეტირილი და ვედრება გულითა მხურვალითა . . . 92

აქა მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისაგან წიგნისა მიწერა როადამსა თანა 93

აქა პოლანთა მეფისა გოჰარის მიერ ნუშრევანისა პურზედ გაწვევა და პურობასა ზედა ბრიტან მეფისა მოციქულისა მოსვლა წინაშე მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა 96

აქა წინაშე მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა მისვლა ზღვათა მნათობისა გულნაზის თანა ზრდილისა და გამზრდელისა როადამისა, ნუშრევანისაგან გულს შემოყრა, როადამისაგან მობრუნება და უბნობა მისი 97

აქა როადამისაგან მიყვანა ნუშრევანისა თვისსა სატრფოსა გულნაზსა თანა სურვილით ფერ-მიხდილისა 100

აქა მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა, იშპანთა მეფის ძის პერლოსი, ამრიკის მეფის ძის ფორტუნისა და ავშტრთა მეფის ძის იტალის ომი ძლიერი და ნუშრევანისაგან ძლევა მათი . . 103

აქა წინაშე მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა შიკრიკისა მის მორეს მოსვლა, როადამისაგან დაბარებისა მოხსენება, ნუშრევანისა წარსვლა და საყვარელისა თვისისა გულნაზისა ხილვა და გულნაზისაგან ტკბილად ალერსით დახვედრა ნუშრევანისა . 105

აქა დიდისა ზღვათა მეფისა ბრიტანისა მოციქულისა მოსვლა წინაშე მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა პურობასა ზედა . 108

აქა მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა და ზღვათა მეფისა ბრიტანის სპასალარისა ბარდასი და სხვათა ორთა სპასალართა ბრძოლა ძლიერი და ნუშრევანისაგან გამარჯვება მათზედა . . 109

აქა შიკრიკისა მის მორეს მოსვლა წინაშე მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა, გულნაზისაგან დაბარების მოხსენება და წასვლა ნუშრევანისა 112

აქა ზღვათა მნათობისა გულნაზისაგან მყინვართა მეფის ძის ნუშრევანის თანა ციკლოპელთა და ქალაქისა მათისა ჰამბის თხრობა და მამისა თვისისა საიდუმლოთა გამოცხადება, წვრთნა შეგონება და ნუშრევანისაგან მწუხარებით სმენა . . . 115

აქა პოლანთა მეფისა გოჰარისაგან პურობისა გარდახდა მეფისა ძეთა თანა და დიდებულთა მათთა 124

აქა ზღვათა მეფის ბრიტანის წინაშე მოციქულისა გაგზავნა ოთხთა მეფეთა ძეთაგან 125

აქა მის გაგზავნილისა მოციქულისა მოსვლა წინაშე მეფის ძეთა

გოჰარ, კარლო, ფორტუნე და იტალისა და ზღვათა მეფისა ბრიტანის დაბარებულთა მოხსენება 126
აქა შიკრიკისა მის მორეს მოსვლა წინაშე მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა და ზღვათა მნათობისა გულნაზის წიგნის მორთმევა, ხოლო ნუშრევანისაგან აღმოკითხვა და ტირილით გოდება მას ზედა 128
აქა წიგნი ზღვათა მნათობისა გულნაზისა ნუშრევანსა თანა მინაწერი 129
აქა გოჰარისა და სხვათა მათ მეფეთ ძეთაგან ცნობა ნუშრევანის გოდებისა და მათი მოსვლა და მწუხარება მათგანცა . . 133
აქა ციკლოპელთა მთის ცეცხლისა მოკლება და მათ ხუთთაგანვე მეფის ძეთა სპითა თვისითა მისვლა აღჭურვილთა, მუნით ათასთა გმირთა ფალავნითა ასი-ათასითა რაზმითა მოგებება და ბრძოლა ძლიერი მათი 134
აქა ზღვათა მეფისა ბრიტანის ერთისა ათასგანისა ფალავანისა გაგოსი და პოლანთა მეფის ძის და თვით მეფისა გოჰარისა ბრძოლა ძლიერი 135
აქა ძლიერისა მის ბრიტან მეფის გმირისა ფალავნის გაგოსი და მყინვართა მეფის ძის ნუშრევანის ომი და ნუშრევანისაგან სიკვდილი გაგოსი 236
აქა ციკლოპით გამოსრულთა ფალავანთა და რაზმთა მათთა და ხუთთა მეფის ძეთა თვისითა რაზმებითა ერთად ბრძოლა ძლიერი და სასტიკი. 137
აქა რჩევა და თათბირი გოჰარისა, პერლო, ფონტუნე და იტალისი ციკლოპის სამზღვარსა ზედა და მათგან ბრძოლასა მას ზედა კელის აღება 138
აქა ციკლოპელთა ადგილთაგან წარსულა თვის-თვისთა ქვეყანათა ხუთთავე მეფეთ ძეთა და ნუშრევანისაგან შესვლა მამულსა თვისსა გულწყლულისა და თვალცრემლიანის 139
თავი მესამე. უდიდებულესისა მყინვართა მეფის ფინეზისაგან თვისთა სიყრმითგანთა ჰამბავთა ბრძანება თვისსა საყვარელსა ძესა ნუშრევანსა თანა 143
აქა მყინვართა მეფის ფინეზისაგან თავისი უკხოთა ქვეყანათა სიარულისა თხრობა ძისა თვისისა ნუშრევანისა . . . 144
აქა მეფის ძის ფინეზისაგან თვისსა ლალასა ეკრთსსა თანა წიგნის მიწერა 145
აქა მყინვართა მეფის ფინეზისაგან თვისი უკხოთა ქვეყანათა მოკლესა თქმა ძესა თვისსა ნუშრევანსა თანა . . . 146

აქა მყინვართა მეფისა ფირეზისაგან აბაშთა კელმწიფის ჰამბისა თხრობა ნუშრევანსა თანა 148
აქა მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისაგან თვისისა სამყოფთაგან მოშორებისა მოხსენება წინაშე დილარ მძლეველისა . . 149
აქა უდიდებულესისა მის მონარხისა დილარ მძლეველისაგან მყინვართა მეფის ძიჩ ნუშრევანის მოტანილის ციკლოპელთა ფალავნის საჭურველისა განსინჯვა 150
აქა აბაშთა უპირველესთა ზენკალთაგან შექმნილისა იარაღისა და საჭურველისა ხილვა და გამოცდა მათი დილარისაგან. . . 151
აქა დილარისაგან ათასთა დიდებულთა ძეთა და სპასალარისა გამორჩევა. 153
აქა დიდისა აბაშეთისა თვით-მპყრობელისა კელმწიფისა დილარ მძლეველისაგან სამონარხოსა თვისისა თვისთა სპასალართა და ვაზირთა შთაბარება, მინდობა, წვრთნა და წეს-დებულებისა მიცემა 154
აქა დილარ მძლეველისა წაბრძანება დიდსა მას მხეცთა სანადიროსა თვისისა ჩინებულისა კრებულითა და მყინვართა მეფის ძით ნუშრევანითურთ 155
აქა ნადირობასა შინა ძლიერისმ რისმე საშინელისა მხეცისა გამოჩენა. ნუშრევანის, რქითა აღტაცება, დილარის მიშველება, ნუშრევანის განრინება და დიდისა მის მხეცისა დილარისაგან სიკვდილი 156
აქა დილარ მძლეველისაგან თვისთა სპასალართა, ვაზირთა მოხელეთა თანა ზრდილთა მოყმეთა დათხოვნა და გამოსალმება . . 157
აქა დილარ მძლეველისაგან ყმათა თვისთა ტკბილითა სიტყვითა დაყვავება და მიბრუნება სახლთა თვისთა 158
აქა დიდისა აბაშთა კელმწიფისა დილარ მძლეველისა წასვლა ციკლოპელთა ქალაქისა ასაღებელად და ზღვათა მნათობისა გულნაზისა გამოსახსნელად 158
აქა წინაშე მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა მოსვლა შიკრიკისა მის მორესი და დილარისაგან მოსმენა მორესაგან მოხსენებულისა 161
აქა შიკრიკისა მის მორესაგან ზღვათა მნათობის გულნაზის დაბარებულთა მოხსენება წინაშე ნუშრევანისა 162
აქა დილარ მძლეველისაგან ციკლოპელთა ქალაქისა აღება და მრავალთა ფალავანთა და ჰაბუკთა დახოცა გზასა ზედა და კართა ქალაქისათა შელეწა 164
აქა ციკლოპელთა ქალაქსა შინა დილარის სპასალარის მარსისა და

რვა ათასთა მოყმეთა დილარისათა და ბრიტან მეფისა ორი-ათასს-თა ფალავანთა და ორასი-ათასთა ჭაბუკთა მათთა ბრძოლა ძლიერი, 165
აქა დილარისა ბრძოლა და ათასთა ფალავანთა ასი-ათასთა ჭაბუკ-თა მათრახითა ჩამოყრა და დაპყრობა 166
აქა მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისაგან თვისისა საყვარელისა გულნაზ დედოფლისა ხილვა, ციკლოპელთა ქალაქი რა აღიღო დილარ მძლეველმან 167
აქა მის ზღვათა მეფის ბრიტანისა და ერთობილთა სპათა მისთა ბრძოლა ძლიერი და დილარ მძლეველისა სპასალარის მარსისა-გან ბრიტან მეფის შეპყრობა 170
აქა ბრიტან შეკრული მოაყვანინა დილარ მძლეველმან . . 172
აქა დილარ მძლეველისაგან ბრიტანისა ფალავანთა და სპათა დახსნა კრულებისაგან და ციკლოპით გაზიდვინება ყოველთა ნივთთა სამეფოთა და სალაროთა და ყოველთა სამკედროთა საუნჯეთა . 172
აქა დილარ მძლეველისაგან ზღვათა მნათობისა გულნაზ დედოფლისა ხილვა ციკლოპის ქალაქსა შინა 174
აქა დილარ მძლეველისაგან გულნაზ დედოფლისა წინაშე პირის სა-ნახავისა მიღება და მირთმევა 177
აქა დილარისაგან ციკლოპელთა ქალაქით გამოყვანა გულნაზ დედო-ფლისა და ქალაქისა მის დაცლა 179
აქა ქორწილი მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა და ზღვათა მნა-თობისა გულნაზ დედოფლისა ზღვათა მეფისა ბრიტანისაგან . 182
აქა დილარ მძლეველისაგან წიგნის მიწერა გალიის ქვეყანისა ერთა და დიდებულთა თანა, თჳსისა ჰამბისა ბრძანება და გამოცხადება 183
აქა გალიისა ქვეყანისა ერთა და დიდებულთაგან მიწვევა დილარ მძლეველისა, ახლისა მეფისა მათისა ნუშრევანისა, დედოფლისა გულნაზისა და ზღვათა მეფისა ბრიტანისა ქვეყანასა შინა გალი-ისასა 185
აქა გალიისა ქვეყანისა ვაზირთა, დიდებულთა და მოხელეთა მოარ-თვეს მეფესა თჳსსა ნუშრევანსა და გულნაზ დედოფალსა მის ქვე-ყანისა ძველთა მეფეთა ყოველივე ქონებული ნივთნი, უძრავნი და მოძრავნი 186
აქა დილარ მძლეველმან ინება მის უცხოდ ზრდილისა და ტურფი-სა მოყმისა პოლანთა მეფის გოვარის ხილვა, და უბრძანა ნუშრე-ვანს დაბარება მისი 187
აქა წინაშე დილარ მძლეველისა მოსვლა პოლანთა მეფის გოჰარისა პურობასა ზედა 189

აქა ზღუათა მეფისა ბრიტანისაგან ვედრება და თხოვნა დილარსა წინაშე წვევად ზღვათა ქვეყანასა ნუშრევანისა და გულნაზისა საქორწილოდ 191
აქა აბაშთა მონარხისა დილარ მძლეველისა, ზღვათა მეფისა, პოლანთა მეფისა, ნუშრევან მეფისა და გულნაზ დედოფლისა წარსულა გალიის ქვეყანით ზღუათა მეფისა ქვეყანასა შინა . . 193
აქა ზღვათა მნათობმან გულნაზ დედოფალმან ჰშუა წული ყრმა ზღვათა მეფისა ქალაქსა შინა 195
აქა ზღუათა მეფისა ბრიტანის ქვეყანით წარსვლა პოლანთა სამეფოსა შინა უდიდებულესისა აბაშთა მონარხისა დილარ მძლეველისა, გულნაზ დედოფლისა, ნუშრევანისა და გოჰარისა, და, გაღანამცა, მასპინძელისა მათისა ბრიტანისა 196
თავი მეოთხე დილარ მძლეველისაგან პოლანთა სამეფოდ[?]თ წარსვლა და შესვლა მყინვართა ქვეყანასა სახილველად მოხუცებულისა მეფისა ფინეზისა და თანა მიყვანა მათ საყვარელთა მიჯნურთა ნუშრევანისა და გულნაზისა და თანა ხლებავე ზღვათა მეფისა და პოლანთა მეფისა გოჰარისა 200
აქა მის მოხუცებულისა მყინვართა მეფისა ფინეზის მოსვლა წინაშე დილარ მძლეველისა, თვისთა საყვარელთა ხილვა და მიგებება ურთიერთისა მხიარულებით 202
აქა მყინვართა მეფისა ფინეზისაგან ხილვა დილარ აბაშთა თვთმპყრობელისა და ფინეზისაგან დალოცვა დილარ მძლეველისა . 202
აქა დილარ მძლეველისაგან მყინვართა მეფისა ფინეზისა თანა მიყვანა ზღვათა მეფისა ბრიტანისა, მათგან უბნობა, მისალმება და პურობისა გამართვა, ლხინი და მხიარულება მათი . . 205
აქა დილარ მძლეველისაგან მყინვართა მეფის ფინეზის კელოვნებულს ქარვა-ხუთოს სრასა მიბრძანება და მუნ პურობისა გარდახდა მოხუცთა წადირებულთა ზედა 207
აქა მყინვართა ქვეყანისა სატახტოსა ქალაქსა შესვლა დილარ მძლეველისა და სხვათა მათ მეფეთა, დიდებულთა და ერთა, და წინა მოგებება ნუშრევანისა თანა ზრდილთა მოყმეთა, და მუნ სასახლისა და პურობისა განსხვავება და მხიარულება . . . 208
აქა ამეთვისტოსა სახლსა შინა კელოვნებითა შეწყობილთა სხვა-და-სხვათა სპეკალთაგან ციკლოპსა შინა დილარის მოქმედებათა და ყოველთა შემთხვევათა ნუშრევანისათა, ხილვა დილარისა და სხვათა მათ ყოველთაგან 209
აქა კულა ჰშვა გულნაზ დედოფალმან ვაჟი მეორე მყინვართა ქვე-

ყანასა გვირგვინოსანსა და დედა ქალაქსა შინა . . . 210
აქა გულნაზ დედოფალმან უშვა ნუშრევან მეფესა ვაჟი მესამე, და განმრავლდა უმეტესად მხიარულება გულთა შინა მათთა . . 211
აქა აბაშთა თჳთ-მპყრობელისა იმპერატორისა დილარ მძლეველისა-გან სამთა ძეთა ნუშრევან მეფისათა დალოცვა, და განსადიდე-ბელთა ნიშანთა თვისთა ბოძება. 213
აქა დილარ მძლეველმან ჰკითხა მყინვართა მეფესა ფინეზს ჰამბავი მზის ქალაქისა და კელმწიფისა მისისა 215
თავი მეხუთე. კარი იგივე. მყინვართა მეფისა ფინეზისაგან თვისისა სიჭაბუკისა ჰამბისა თქმა წინაშე დილარ მძლეველისა და მზის ქა-ლაქისა კელმწიფისა ქებისა მოხსენება 218
აქა მყინვართა მეფისა ფინეზისაგან წინაშე დილარ მძლეველისა მზისა ქალაქისა კაცთაგან თვისთა ქვეყანისა ერთა და კელმწიფი-სა ჰამბავთა ჰმბობისა მოხსენება 219
აქა მყინუართა მეფისა ფინეზისაგან წინაშე დილარ მძლეველისა მო-ხსენება, მზის ქალაქისა კელმწიფისა გარდაცვალება და ასულისა მისისა ანავსიას გაკელმწიფება 223
აქა მყინვართა მეფისაგან დასრულება წინაშე დილარისა ჰამბავთა მზის ქალაქისა კელმწიფისა და ქვეყანისა მათისა . . . 224
აქა ვალიისა და ზღვათა მეფემან და მყინვართა მეფის ძემან ნუშრე-ვან თჳსსა ნამსახურსა როადამს უბოძა ერთი ქალაქი თჳსითა გა-რემოებითა სოფლებითა და დაბნებითა; და ეგრეთვე შიკრიკსა მო-რეს სამასი სოფელი უბოძა 225
აქა დილარ მძლეველმან მოიკითხა უმოხუცებულესი იგი ვაზირი ეგ-როს, ყოველთა ბრძენთა მის საუკუნოსათა სწავლითა განმანათ-ლებელი 226
აქა აბაშეთით მოსვლა მალე მსრბოლთა გაბრთა წინაშე დილარ მძლეველისა და წიგნისა მორთმევა მყინვართა ქვეყანასა შინა . 235
აქა წინაშე დილარისა თვისთა სპასალართა და ვაზირთაგან მოწერი-ლისა წიგნისა წარკითხვა ვაზირისა ეგროსისაგან . . . 236
აქა უზესთაეს განდიდებულისა მზის ქალაქისა კელმწიფისა ანავსიას წიგნისა და კოლოფსა შინა მდებარისა სახისა მორთმევა გაბრთა მათ აბაშელთაგან, და წიგნისა მის წარკითხვა ეგროს ვაზირის მიერ 237
აქა დილარ მძლეეელმან უბრძანა უმოხუცებულესსა ეგროსს თვისსა ყმათა, სპალართა და ვაზირთა თანა წიგნის მიწერად, და მისწე-რაცა ესრეთ—მყინვართა მეფისა ქალაქით დიდსა სამონარხოსა აბაშეთს მარგარიტისა ქალაქსა შინა . . . 239

აქა დილარ მძლეველისაგან წიგნისა მიწერა ყოველთა კელმწიფეთა უხესთაესსა მზისა ქალაქისა კელმწიფისა წინაშე . . . 240

აქა დილარ მძლეველმან ჰრჩევით უბრძანა ნუშრევან მეფესა და გოჰარ მეფესა, რათა დაშთომილიყვნენ თვისთა ქვეყანათა და არა შეჰსდგომოდნენ კუალსა მისსა 242

აქა გულნაზ დედოფლისაგან ტკბილითა სიტყვითა სიმართლით შეგონებისა მოხსენება დილარისა წინაშე 243

აქა ზღვათა მეფისა ბრიტანისაგან თათბირი და რჩევა წინაშე დილარ მძლეველისა 245

აქა მყინვართა მეფისა ფინეზისა და უმოხუცებულესისა ვაზირისა ეგროსისა შესვლა საკუთარსა სახლსა შინა მზისა ქალაქისა გზისა განსაგებელად 246

აქა მყინვართა, გალიისა და ზღუათა ქვეყანათა დედოფლისა გულნაზისაგან ნუშრევანისა და გოჰარ მეფისა საქმეთა განგება და მისთა თქმულთაებრ აღსრულება 247

აქა მყინუართა მეფისა ფინეზის სრასა მიბრძანება დილარ მძლეველისა და ყოველთა მათ მეფეთა, და ფინეზისაგან მზისა ქალაქისა გზის შედგომისათვის მრავლისა მცნებისა მიცემა . . 249

აქა წარსვლა აბაშთა მპყრობელისა დილარ მძლეველისა მზისა ქალაქისა ქვეყანასა და თანა ხლება ნუშრევან მეფისა და გოჰარ პოლანთა მეფისა და ურჩეულესთა მოყმეთა მათთა . . 253

თავი მეექვსე. კარი იგივე. შესვლა დილარ მძლეველისაგან მეკობრეთა მეფისა ქვეყანასა და გზასა ზედა მეკობრეთა ფალავნისა ნასრის შეპყრობა და ჟნდელთა ვაჭართა განთავისუფლება . . 255

აქა გოჰარ პოლანთა მეფემან ჰინდოელთა ვაჭართა უბრძანა სახელი დილარისა, ნუშრევანისა და თვისიცა 258

აქა დილარ მძლეველმან უბრძანა ჰინდოთა დიდ ვაჭარსა რაჯიბს გრძნეულთ ქვეყანასა მიმავალობა და რაჯიბმან გრძნეულთა ჰამბავი მოახსენა 260

აქა ჰინდოთა მის ეტიკისა მუჯარამისა წინა გაძღოლა და დილარ მძლეველისა შედგომა გზასა გრძნეულთა ქვეყანისასა მუჯარამისა ეტიკობითა 262

აქა პოლანთა მეფისა გოჰარისა და ყმათა მისთა დარაჯად დადგინება დილარ მძლეველისაგან 263

აქა დილარ მძლეველისაგან თვისთა ხუთასთა დიდებულთა ძეთა გმირთა მოყმეთა დარაჯად დადგინება მეკობრეთა მეფისა ქვეყანასა შინა 264

აქა დილარ მძლეველისაგან თვისისა სპასალარისა მარსის და ხუთ-ასთა დიდებულთა ძეთა დარაჯად დადგინება . . . 265
აქა დილარ მძლეველმან დაადგინა დარაჯად ნუშრევან მეფე ას-ოც-ითა ჭაბუკითა ყმითა თვისითა და ეგროსის ძის ლარათი, და ამათგან ძლიერისა ბრძოლისა გარდახდა 267
აქა თვით დილარ მძლეველისა დარაჯად დადგომა, მეკობრეთა მე-ფის ზორასტანისა და ხუთასთა მისთა დიდებულთა სპასალართა, ვაზირთა და ძლიერთა ფალავანთა შეპყრობა და სამასი ათასთა სპათა მისთა გაწყვეტა, დამარცხება და გაქცევა დილარ მძლევე-ლისაგან 269
აქა ეტიკისა მუჯარამისაგან ხუმრობით დაღვიძება კელოვანთა მათ ქოქონიკთა და დიდად შეშინება მათი 270
აქა დილარ მძლეველისაგან მეკობრეთა მეფისა ზორასტანისა და დი-დებულთა მისთა მოყვანინება, განხსნა და ჰსჯულის დებისა მი-ცემაჲ 279
აქა დილარ მძლეველი მიიპატიჟა მეკობრეთა მეფემან ზორასტან ქვეყანასა თვისსა და ოთხნი დიდებულნი თვისნი წარავლინნა გან-მზადებად ქალაქთა და დაბათა და თვითცა შეუდგნენ კვალსა მათსა 273
აქა წინაშე დილარ მძლეველისა მეკობრეთა მეფისა ზორასტანისა და ერთა მისთაგან მოღება ალთქმისა და ფიცის წერილისა და მგელთა მოყვანა დიდითა დიდებითა, რომელნიცა იყვნეს მათდა ღმერთებად, და მათ ზედა ფუცვა მათი და წესთა თვისთა აღსრუ-ლება, ვითარ იგი აქვნდათ ჩვეულებაჲ 275
აქა დილარ მძლეველისაგან მეკობრეთა მეფისა ზორასტანისა, დი-დებულთა მისთა და ყოველთა ერთა მათთა შეგონება, სწავლა და მოქცევა ბილწისა მის ჰსჯულისა და მკეცთა თაყვანის-ცემი-საგან 278
აქა მეკობრეთა მეფე ზორასტან და ყოველნი დიდებულნი მისნი ერითურთ მათით მოიქცენ მკეცთა თაყვანის-ცემისაგან, ღმერთ ყოფილნი იგი მათდა მგელნი თვით კელითა თვისითა დაჰხოცნეს 279
აქა დილარ მძლეველისაგან მეკობრეთა ქვეყანით წარსვლა გრძნე-ულთა ქვეყანასა, მეფისა ზორასტანის მომზადება და თანა გაყო-ლა ჰრჩეულითა სპითა თვისითა 280
აქა დილარ მძლეველისა, გონება მზისა და გულ ანდამატისა, წარ-სვლა მეკობრეთა ქალაქით გრძნეულთა ქვეყანასა შესასვლელად და თანა ყოლა ნუშრევანისა, გოჰარისა და მეკობრეთა მეფისა ზორასტანისა 282

თავი მეშვიდე. კარი იგივე. შესვლა აბაშთა თვით-მპყრობელისა დილარ მძლეველისაგან გრძნეულთა ქვეყანასა შინა და თანა შეყოლა ნუშრევან მეფისა, გოჰარ პოლანთა მეფისა, სპასალარის მარსისა, ათასთა დილარისა მოყმეთა, ნუშრევანისა და გოჰარისა ჭაბუკთა და მორე დილარის ხვედრისა 284

აქა გზასა ზედა ხილვა მრავალთა დაჭურვილთა კაცთა, ძელსა ზედა დამოკიდებულთა, რომელთამე მკჳდართა და რომელთამე სულ მობრძავთა გრძნეულებითა 286

აქა მათ ძელთა ზედა დამოკიდებულთა კაცთა ცეცხლად შეცვლა, ჰაერსა აღსვლა, მუნ ვეშაპად გარდაქცევა და დიდროანთა ლოდთა ჰაერით დაშენა დილარსა, მათ მეფეთა და ყმათა მათთა ზედა 287

აქა დილარ მძლეველისა და მასთანა მყოფთაგან გზასა ზედა ხილვა ოთხთა ლომთა დიდთა, რომელთაც აშვენიერნი ყრმანი მოეტაცნათ, პირთა ეპყრათ და მირბოდენ მრისხანისა თვალით მიმომხედველნი 289

აქა ურიცხვთა, დაჭურვილთა რაზმთა ბრძოლა ძლიერი დილარისა და მასთანა მყოფთაგან და ნუშრევან მეფისა მიერ მის მყვირალისა ლომისა მოკჳლა და სპათა გაწყვეტა 290

აქა დიდთა მთის ოდენთა სპილოთა ზედა დიდთა კაცთა მსხდომთა მოსვლა, გზასა წინა გადადგომა და მათ სპილოთა პირთაგან საშინელთა წყალთა წარმოდინება, მუნ ბრძოლა ძლიერი და სპასალარისა მარსისაგან მის ყოვლად დიდისა კაცისა სიკჳდილი და გამარჯვება 291

აქა სამთა დიდთა მფრინველთაგან ბრჭალითა აღტაცება ჰაერსა შინა: სამთა სამეფოთა მეფისა ნუშრევანისა, გოჰარ პოლანთა მეფისა, სპასალარისა მარსისა; და დილარ მძლეველისაგან მათი დახსნა და მფრინველთა დახოცა 292

აქა პურობასა ზედა ოთხთა დიდთა კაცთა მოსვლა და მათგან ბრძოლაჲ ძლიერი 294

აქა დიდთა კაცთა უთვალავთა რაზმებთა მოსვლა დილარსა და მათ მეფეთა ზედა და მათგან ბრძოლა ძლიერი და სასტიკი . . 295

აქა მის ყოვლად უდიდესისა კაცისა თამთარისა და დილარის ბრძოლა და სიკჳდილი თამთარისა 297

აქა მრავალნი მერწყულნი დაგვიხვდენ გზასა ზედა, რომელთა ეტჳრთათ მძიმედ საზიდარნი წყალნი დიდროანითა კოლოტებითა და მოვიდოდნენ შრომისა მიერ დაჭმუნვებულნი, დილარ მძლეველსა შეჰბრალდა, ჰკითხა ჰამბავი მათი და გაჰყვა სადგურსა მათსა სახედ სტუმართა 298

აქა მერწყულთა მათგან დილარისა და მისთანა მყოფთა ციხესა რა-
სმე მტკიცესა შეყვანა მოცთუნებით და გრძნეულობით . . 300
აქა დილარ მძლეველისაგან გრძნეულთა ციხისა დანგრევა და მათ
მერწყულად საგონებელთა გრძნეულთა გაწყვეტა და დილარსა
თანა მყოფთა ყოველთა ციხით გამოსხნა და თვისთავე გზათა
შედგომა 301
აქა დილარ მძლეველმან ინება საკლავთა მორეკა, ნუშრევან მეფე
თვისითა ყმითა წარვიდა და მრავალნი საკლავნი მოჰრეკეს . 306
აქა საკლავად საგონებელთა მათ ცხოვართა და ზროხათა დიდრო-
ვანს ლომებად გარდაქცევა, ნუშრევანისა და ყოველთა მათ მო-
ტაცება 307
აქა დიაცთა სიმრავლე დაგვხვდა გზასა ზედა ეგზომ ურიცხვი, რო-
მე დღეთა შინა ჩემთა ეგზომ სიმრავლე სპათაცა არა სადა მიხი-
ლავს; მათ დიაცთა მტვერი რაჲმე შემოგვაყარნეს და თვალთა ნა-
თელი მიგვიღეს 310
აქა დილარ მძლეველი, ნუშრევან და გოჰარ მეფენი და ჩვენ. ყო-
ველნი ყმანი მათნი, ვიდოდით და გზასა ზედა ურიცხვნი ყრმანი
მოტირალნი დაგვხვდნენ და დაიწყეს უმეტესი ტირილი . . 311
აქა ყრმათა მათ დიდ-დიდად ტიგრებად გარდაქცევა და მათგან სა-
სტიკი ბრძოლა დილარსა და მასთან მყოფთა თანა . . 313
აქა გზასა ზედა მიმავალთა დაგვხვდა ქალაქი დიდი და შვენიერად
ნაგები და მუნ ვიხილეთ ურიცხვნი უსინათლონი მოხუცებულნი,
თხოვრად მსხდომარენი, რომელნიცა კმა-მაღლად ითხოვდეს მო-
წყალებასა 314
აქა მათ მოხუცებულთაგან დღისა დაბნელება და ბრძოლა ძლიერი 315
აქა იწროსა რასამე გზასა ზედა ოთხთა საშინელთა დიდთა კაცთა,
დიდროვანთა ვეშაპთა ზედა მსხდომთაგან, გზისა დაჭერა და ბრძო-
ლა ძლიერი 318
აქა სპასალარისა მარსისა და დიდისა მის ფოლადისა კაცისა ბრძო-
ლა და მარსისაგან მის კაცისა და მარტო რქისა მისისა დამუსვ-
რა და გამარჯვება 319
აქა გოჰარ პოლანთა მეფისა და მის მეორისა ფოლადისა კაცისა
ბრძოლა ძლიერი და გოჰარისა გამარჯვება . . . 319
აქა ნუშრევანისა და მის მესამისა ფოლადის კაცისა ბრძოლა ძლი-
ერი და ნუშრევან სამთა სამეფოთა მეფისაგან გამარჯვება . 320
აქა დილარ მძლეველისა და მის უდიდესისა ფოლადის კაცისა ბრძო-
ლა და დილარისა მიერ ძლევაჲ მისი 321

აქა დილარ მძლეველისა და მას თანა მყოფთაგან მას იწროსა გზასა ზედა ხილვა საშინელისა რვალის ლომისა და მას ზედა ბრძოლა სასტიკი 321

აქა დილარ მძლეველისაგან საყვარელისა ძმისა თვისისა ნუშრევანისა მიშველება და მას ლომსა თანა ბრძოლა, ნუშრევანისა გამოხსნა და ლომისა დალეწვა დილარისაგან. 323

აქა დილარ მძლეველისა და მას თანა მყოფთა ყოველთაგან თუალუწთომელსა მინდორსა შინა ურიცხვთა მგელთა ხილვა, რომელთაცა კრავნი ეპყრათ პირთა და მირბოდეს; დილარისაგან გამოდგომა მათი და ვითარებისა მათისა ხილუაჲ . . . 324

აქა დიდსა მას ქვაბოვანსა შესვლა დილარ მძლეველისა და ყოველთა მასთანა მყოფთა, და მათ ურიცხვთა მგელთა და კრავთა შვენიერს ქალებად და ყრმებად შეცვლა და საოცართა საქმეთა მოქმედება 325

აქა მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისაგან მათ ქალთა გამოცდა და ბრძოლა ძლიერი 327

აქა მათ ქალ საგონებელთა გრძნეულთა ერთად შეკრება და ვითა ერთითა პირითა შეჰკივლება, მის მთისა დიდისა ქვაბოვანისა ჰაერსა აღსვლა და ჩვენგან შეშინება დიდად. . . . 328

აქა დილარ მძლეველისა დი მასთანა მყოფთაგან მრავალთა დაჰურვილთა მშვილდოსანთა კაცთა ზედა ბრძოლა, მთოვარისა და ვარსკვლავთა ცით ქვეყანად გარდმოჰსცვივნა და დიდისა საოცრებისა შემთხვევა 329

აქა ოთხთა დიდთა და საშინელთა ვეშაპთა მოსვლა საშინელთა მჴეცთა ზედა მსხდომთა და უჭამრავთა მესაყვირეთა თანა მოყოლა, მათგან საოცრებისა ქმნა და ჩვენ ყოველთავე დიდად შეშინება და განცვფრება მათგან საყვირთა დაბერვასა ზედა . . 331

აქა დილარისა ათასთა მოყმეთაგან მათ მესაყვირეთა ზედა ბრძოლა ძლიერი და გამარჯვება 333

აქა დილარ მძლეველსა, გზასა ზედა მიმავალსა, შემოხვდენ მრავალნი შავნი ჰინდონი, სპილოთა ზედა მსხდომნი, რომელთაცა შუბნი კელთა ეპყრათ, და მზიანსა დღესა შინა ჰყვეს გრძნებითა ყინვა და თოვლი 334

აქა მრავალ კაცთა, დაჰურვილთა რაზმთა მომავალთა, ხილვა დილარისა და მასთანა მყოფთაგან 335

აქა გრძნეულთა ქვეყანისა გარშარაბ მეფისა ორთა დიდებულთა ვაზირთა მოსულა მოციქულად წინაშე დილარ მძლეველისა საველ-

რებელად და ყოველთა ჰამბავთა თვისთა სიმართლით განსაცხადებლად და მოსახსენებლად 336
აქა ლილარ მძლეველისა, ნუშრევანისა და გოჰარისაგან ჰრჩევა და თათბირი გრძნეულთა ქვეყანის გარშარაბ მეფის შეყრისა და მინდობისათვის და გოჰარ მეფისა წარსვლა გარშარაბ მეფისა სახილველად 339
აქა პოლანთა მეფისა გოჰარის მისვლა გრძნეულთა ქვეყანისა მეფისა გარშარაბისა სრა-კარავთა შინა და გარშარაბ მეფისაგან სინანულისა სიტყვათა მოხსენება წინაშე გოჰარ პოლანთა მეფისა . 340
აქა გრძნეულთა ქვეყანისა მეფის გარშარაბისაგან მოთქმა და გოდება თვისთა საქმეთა ზედა და ერისაცა მისისა მასთანავე ტირილი 241
აქა პოლანთა მეფისა გოჰარისაგან წინაშე დილარ მძლეველისა მოყვანა გრძნეულთა ქვეყნისა მეფისა გარშარაბისა და შერიგება მათი 344
აქა დილარ მძლეველისაგან მალე მსრბოლთა გაგზავნა მეკობრეთა მეფისა დასაბარებლად, ათასთა მათ ყმათა თვისთა და ეტიკისა მის მუჯარამისა 347
აქა მოსვლა წინაშე დილარისა მეკობრეთა მეფისა ზორასტანისა ყმათა დილარისათა და ეტიკისა ჩვენისა 348
აქა დილარ მძლეველისაგან გამოცხადება გარშარაბ მეფესა თანა საქმისა თვისისა მზისა ქალაქსა შესვლისათვის და გარშარაბ მეფისაგან საქმესა ამას ზედა ჰრჩევისა მოხსენება წინაშე დილარ მძლეველისა 350
ႩႠႰႨ ႫႤႰႥႤ. თავი იგივე. წინაშე დილარ მძლეველისა გრძნეულთა მეფისა გარშარაბისაგან მზისა ქალაქისა ჰამბისა მოხსენება და დილარისაგან შესვლა კეთილსა მას ქვეყანასა. . . . 351
აქა დიდმან აბაშთა მპყრობელმან დილარ მძლეველმან გრძნეულთა მეფისა გარშარაბისაგან მზისა ქალაქისა ჰამბავი მოისმინა და თვითცა უბრძანა პასუხი, ესრეთ:. 353
აქა გარშარაბ გრძნეულთა მეფისაგან დილარ მძლეველისა ბრძანებულსა ზედა ნებისა დაჰრთვა და მზისა ქალაქსა შესვლისათვის ჰრჩევისა მოხსენება და გარშარაბ მეფისაგან საქმესა მას ზედა გონიერებით თადარიკის ნახვა 354
აქა დილარ მძლეველისა და ყოველთავე მათ მეფეთა და ყმათა მათთა და ასი ათასთა მუშაკთა წარსვლა მას ფიცხელსა ადგილსა გვირაბისა გასატანად ყოვლითა სახმარითა ნივთითა და საკმაოთა ნუზლითა 355

აქა გრძნეულთა ქვეყანისა გარშარაბ მეფის მოსვლა წინაშე დილარ მძლეველისა ყოვლითა სამეფოჲთა მომზადებითა და ჰრჩეულითა სპითა 356

აქა დილარ მძლეველისა და სამთა მათ მეფეთა შესვლა მას უცხოსა კელოვნებულსა გვირაბსა შინა. 357

აქა დიდისა მის აბაშთა მპყრობელისა დილარ მძლეველისა და სამთა მათ მეფეთა: ნუშრევანისა, გოჰარისა და ზორასტანისა თანა მყოლითურთ მატით მის უცხოსა კელოვნებულის გვირაბით განსჳლა და შესვლა მზისა ქალაქისა სამზღვარსა ზედა . . 358

აქა მის გულ-ლომისა დილარ მძლეველისა სურვილისაგან ძლევა და ცხენით გარდავარდნა, სამთა მეფეთა მიშველება, მათგან ტირილი, ნუშრევან მეფისაგან საბრალოდ მოთქმა მას ზედა . . 359

აქა მცირედ გონებად მოსრულმან დილარმან თვისთა საყვარელთა ძმათა რავდენიმე შესაბრალებელნი სიტყვანი უბრძანა . . 361

აქა მყინვართა მეფის ძისა და თვით მეფის ნუშრევანის მიერ ტკბილთა და შესაგონებელთა სიტყვათა მოხსენება დილარ მძლეველისა 362

აქა ნუშრევანის უბნობასა ზედა დილარ თვისსავე პირველ გონებასა მოეგო და მათ სამთა მეფეთა თანა ბოდიშობა იწყო . . 364

აქა დილარისა და მოძმეთა მისთაგან შესვლა უკიდურესსა მზისა ქალაქისა ქალაქსა შინა 365

აქა აბაშთა მპყრობელისა დილარ მძლეველისა მისვლა თვისსა მას საწადელსა მზისა ქალაქსა თვისითა თანა მყოლითა კრებულითა და სპითა 367

აქა მათ ოთხთა სპასალართა, რომელნიცა განსდგომოდეს მზის ქალაქისა კელმწიფესა და ჰქონდათ ბრძოლა, მათის მოციქულისა მოსლვა წინაშე დილარ მძლეველისა 368

აქა მის მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსიას შიმუნვარის და მოლარეთ უხუცესის დიდებულის ასულის მონის მისვლა წინაშე დილარ მძლეველისა 369

აქა მზისა ქალაქისა კელმწიფისა ოთხთა სპასალართა დილარის ბრძოლა 371

აქა დილარ მძლეველისა ანავსია კელმწიფას სურვილით ცხენით გარდავარდნა და სამთა მეფეთაგან მიშველება . . . 372

აქა მყინვართა მეფის ძემან და თვით მეფემან ნუშრევანმან იწყო ლალობა დილარ მძლეველისა განსამხიარულებლად და დილარმანცა პასუხი მიუგო 373

აქა დილარ მძლეველმან მყინვართა მეფის ძეს და თვით მეფეს ნუშ-
რევანს პასუხი მიუგო, ესრეთ 373
აქა წინაშე დილარ მძლეველისა ზეფირის მონისა მოსვლა და დაბა-
რება ზეფირისაგან დილარისა 375
აქა დილარ მძლეველისა წარსვლა ზეფირისა სახილველად გოდლი-
სა ბაღსა შინა, შეყრა მათი და დილარისაგან მრავალ-გვარად
ვედრება შემწეობისათვის 376
აქა დილარ მძლეველისაგან ზეფირისა გასაუბრება ბაღსა შინა პირ-
ველი 378
აქა ზეფირისაგან პასუხის მიგება დილარისა და უკმოქცევა ტურფი-
სა მის წალკოტით დილარისაგან 379
აქა კვალად ვედრება დილარ მძლეველისა ზეფირისა წინაშე ცრემ-
ლითა ხშირითა. 380
აქა დილარ მძლეველისაგან მზისა ქალაქისა კელმწიფას სპასალარ-
თათვის ათას-ათასი ამუდა აკვრევინა, ციხეთა და ქალაქთა კლი-
ტენი ჩამოართვა და თვისნი ერთგულნი წარჰგზავნნა მათ ქვეყა-
ნათა შინა თვისდა სამსახუროდ 381
აქა მოსვლა ოთხთა სასპასალაროთა ქვეყანათაგან ერთა, დიდებულ-
თა, ჩინებულთა და პატივცემულთა გუამთა წინაშე დილარ მძლე-
ველისა ყოვლისა საკელმწიფოსა წესითა და განსაგებელითა . 382
აქა ნადიმსა ზედა წინაშე დილარ მძლეველის ზეფირისა მონისა მო-
სვლა, დილარისა დაბარებისათვის დილარ მძლეველისა წარსვლა
მას ტურფასა წალკოტსა შინა 383
აქა დილარ მძლეველისაგან მის გოდლისა წალკოტსა შინა ზეფირის
ხილვა და დილარის ცნობის მიხდა 385
აქა სურვილისა მიერ ცნობა მიხდილს დილარს მძლეველსა მის მნა-
თობთა მოწუნარისა ზეფირისაგან ტირილი და სინაზითა მოთქმა 386
აქა ზეფირისა სიტყვათა ზედა დილარ მძლეველისა მობრუნება და
უბნობა მათი 390
აქა ზეფირისა ხლება მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსიას წინაშე,
მისგან დილარის ჰამბის კითხვა და ზეფირისაგან მოხსენება, ვი-
თაცა იტანჯებოდა დილარ 391
აქა ზეფირისაგან მზის ქალაქისა კელმწიფა ანავსიას წინაშე დილა-
რის ჰამბის მოხსენება და შებრალება მისი . . . 391
აქა ანავსია კელმწიფასაგან ზეფირისა შერისხვით მხილება და სკიპ-
ტრისა გატანება დილარსა თანა 293
აქა მათ ოთხთა სასპასპეტოთა ერთა და დიდებულთაგან პურობი-

სა გარდახდა და მხიარულება დილარისა, ნუშრევანისა, გოჰარისა და ზორასტანისა და ჴმათა მათთა ერთობით . . . 395
აქა დილარისაგან დად წოდებულისა მნათობისა ზეფირის მონისა მოსლვა პურობასა ზედა, დილარის დაბარება და წარსვლა მას შვენიერად შემკობილსა საკელმწიფოსა წალკოტსა შინა . . 396
აქა დილარ მძლეველისა გზასა ზედა მიმლოდინებელის ზეფირისაგან უბნობა დილარის სიყვარულსა ზედა 396
აქა დილარ მძლეველისა თვისთა მოძმეთა მეფეთა თანა თვისისა საყვარელისა მიერ სკიპტრისა ბოძებისა და ქვეყანისა დამონებისა მბობა და მათგან მხიარულება 399
აქა დილარ მძლეველისაგან ზეფირის ქებისა ბრძანება გოჰარისა და მათ მეფეთა თანა 400
თავი მეცხრე. კარი ეგოდენივე. მოსვლა წინაშე დილარ მძლეველისა ყოვლისა მზისა ქალაქისა ქვეყანისა დიდებულთა, სპასალართა, ვაზირთა, მოკელეთა და მოხუცებულისა ჯანუჯან ვაზირისა 402
აქა მზის ქალაქისა კელმწიფა ანავსიასაგან ზეფირის მიწოდება და დილარისა ჰამბისა გამოკითხვა. 403
აქა ზეფირისაგან პასუხის მოხსენება წინაშე მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსიასსა 403
აქა ანავსია კელმწიფასაგან დილარისა შებრალება და ზეფირისა თანა სიტყვითა ბრძანება დილარისა საწადელთა და ზეფირისა განსამხიარულებელთა 404
აქა ზეფირისაგან დილარისა მიწოდება ბაღსა შინა და დილარისა მხიარულებით მისვლა და ზეფირისა ხილვა . . . 405
აქა მზისა ქალაქის კელმწიფის სეზოსტრის ვაზრისა ჯანუჯანისაგან წინაშე დილარ მძლეველისა და მათ მეფეთა სიტყვათა მოხსენება 407
აქა ჯანუჯან ვაზირისაგან მზის ქალაქისა კელმწიფა სეზოსტრ გვირგვინოსანისა ანდერძის წერილისა მორთმევა წინაშე დილარ მძლეველისა 408
აქა სეზოსტრ კელმწიფისა ანდერძსა ზედა ყოველთაგან ტირილი და სამლოცველოთა გაცემა 411
აქა დილარისაგან წარვლინება ბერისა ვაზირისა წალკოტსა შინა ზეფირისა ჴილვად და თხოვად სპასალართა განთავისუფლებისა . 412
აქა ზეფირისაგან ჯანუჯან ვაზირისა დაბარებულთა კელმწიფა ანავსიას წინაშე მოხსენება და მისგან მოწყალებით მიღება დილარ მძლეველისა თხოვათა 412

აქა დილარ მძლეველისა მიერ მათ შემცოდეთა ოთხთა სპასალართა წინაშე თვისსა მოყვანინება, შეცოდებათა მათთა მიტევება და ათასთა მოყმეთა თვისთა თანა განწესება მათი 413
აქა მზისა ქალაქისა სეზოსტრ კელმწიფის ვაზირისა ჯანუჯანისა და ყოველთა დიდებულთაგან მიწვევა დილარ მძლეველისა და ყოველთა თანა მყოლთა მისთა ქალაქსა რასამე შინა კეკელასა და უცხოსა სახილველსა 414
აქა საკელმწიფოსა დილარის ტახტის ქებისა და ვითარებისა სიტყვით წარმოჩენა 415
აქა მზის ქალაქისა ქვეყანისა ერთა და დიდებულთაგან სეზოსტრ კელმწიფისათვის გლოვისა სრულ-ყოფა და მხიარულებისა დაწყება კეკელასა ქალაქსა შინა 416
აქა ჯანუჯან ვაზირმან მოართვა დილარ მძლეველსა მას კეკელასა ქალაქისა ოთხთა ათასთა საჭურჭლეთა გასაღებნი . . . 417
აქა ჯანუჯან ვაზირისა შვილსა საურმაგ სახლის უხუცესსა დაუმტკიცა მეფობა დილარმან და თვით კელითა თვისითა დაადგა სამეფო გვირგვინი 417
აქა ჯანუჯან ვაზირმან მოართვა დილარ მძლეველსა სეზოსტრ კელმწიფისა მიერ მის ქვეყანისა უწარჩინებულთა ქალაქთა სახელები, აღწერილი და ბეჭედ-დასმული 418
აქა იწყო მეფემან საურმაგ წესითა სეზოსტრ კელმწიფისათა მასპინძლობა 419
აქა ბაღსა შინა საკელმწიფოსა მიწვევა სახლის უხუცესისა და მეფის საურმაგისაგან დილარ მძლეველისა და ყოველთა მეფეთა და თანა მყოლთა მათთა და მუნ პურობისა გარდახდა . . 421
აქა მზის ქალაქისა საშუალსა მოედანსა ზედა პურისა დაგება სახლის უხუცესისა და მეფისა საურმაგისაგან, დილარ მძლეველისა და მეფეთა მიწვევა 423
აქა პოლანთა მეფის გოჰარის მისვლა წინაშე მყინვართა მეფის ძის ნუშრევანისა, თვისისა სურვილისა გამოცხადება და ვედრება მისი 424
აქა ნუშრევანისაგან მისვლა წინაშე დილარ მძლეველისა, გოჰარ პოლანთა მეფისა სურვილისა მოხსენება და ვედრება სახლის უხუცის და მეფის საურმაგის ასულის ბოძებისათვის . . 426
აქა დილარ მძლეველისაგან პასუხი ნუშრევანისადმი . . . 428
აქა ნუშრევანისაგან პასუხისა მოხსენება დილარ მძლეველისა . . 428
აქა დილარ მძლეველისაგან ყოველთა მათ მეფეთა და დიდებულთა ერთად მოწვევა და საურმაგ მეფის ასულის თხოვნა გოჰარ პო-

ლანთა მეფისათვის 429
აქა წინაშე მზისა ქალაქისა და აბაშეთისა ხელმწიფისა დილარ მძლე-
ველისა მოსვლა წიგნისა და კაცისა გარშარაბ გრძნეულთა მე-
ფისა და მოხსენება დიდისა მის ჩინელთა კელმწიფის ლასურის
შემოსვლისა 430
აქა წიგნი გრძნეულთა მეფისა გარშარაბისა წინაშე დილარ მძლე-
ველისა 430
აქა დილარ მძლეველისაგან გრძნეულთა ქვეყანისა გარშარაბ მეფის
წიგნისა გაგზავნა წინაშე საყვარელისა თვისისა ჯანუჯან ვაზირი-
სა კელითა 432
აქა მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსიას წიგნისა წარკითხვა წინაშე
დილარისა ჯანუჯან ვაზირისაგან 433
აქა დიდმან აბაშეთისა და მზისა ქალაქის ქვეყანისა კელმწიფემან
დილარ მძლეველმან უბრძანა ბერსა ჯანუჯან ვაზირსა, მომავალი-
სა ჩინეთისა კელმწიფისა და რაზმთა მისთათვის მრავალთა საზრ-
დელთა შეგროვება მას ქალაქსა შინა . . . 435
აქა ჩინეთის კელმწიფის ლასურის მოსვლა დიდითა საზაროებითა
და მრავლითა გულ-ლომითა ფალავნითა 436
აქა დილარ მძლეველისაგან გაგზავნა სპასალარისა თვისისა მარსისა
წინაშე ლასურ ჩინეთისა კელმწიფისა მოსაკრთხავად და პურად
მოსაწვეველად. 437
აქა ჩინეთის კელმწიფის ლასურისაგან პასუხის დაბარება დილარ
მძლეველისა თანა და მარსის გამობრუნება. . . 438
აქა წინაშე დილარ მძლეველისა მარსი სპასალარის მოსლვა. 438
აქა მზისა ქალაქისა მოედანსა ზედა ლასურ კელმწიფისა ურჩეულეს-
თა გმირთა ათასთა და ასთა მოყმეთა დილარ მძლეველისათა
ბრძოლა ძლიერი 439
აქა მზის ქალაქისა კელმწიფა ანავსია ავიდა გოდლისა ბანთა ზე-
და და დილარისა მოყმეთა ბრძოლასა უჭვრეტდა. . . 440
აქა ანავსია კელმწიფასა მიერ დილარ მძლეველისა მოყმეთა გამარ-
ჯვებისა მოლოცვა ზეფირისა მონისა პირითა და ჯილდოთა ბო-
ძება. 441
აქა კვალად მოვიდა მოციქული მის დიდისა პეკინისა კელმწიფისა
ლასურისა. 441
აქა ასთა აბაშიურთა დიდებულთა ძეთა დილარ მძლეველისა მოყმე-
თა და ათასთა გმირთა ჭაბუკთა ლასურ კელმწიფისათა ბრძოლა
ძლიერი. 442

აქა ზეფირისა მონათა მოსვლა და მოლოცვა ასთა მნათობთა ქალა-
თა(?) ბოძებისათვის ასთა მოყმეთა დილარ მძლეველისათა. . 443
აქა პეკინის კელმწიფის ლასურის მოციქულისა მოსვლა წინაშე
აბაშთა მპყრობელისა დილარ მძლეველისა. . . . 443
აქა დილარ მძლეველისა სპასალარის მარსისა და ათთა ძლიერთა
სპასალართა ლასურ კელმწიფისათა ბრძოლა ძლიერი. . . 445
აქა მის მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსიას მონათა მოსვლა პურო-
ბასა ზედა მარსისა გამარჯვებისა მოლოცვისათვის და წყალობი-
სა მოღება მათგან სპასალარისა მარსისა თანა. . . . 446
აქა აბაშთა თვით მპყრობელისა დილარ მძლეველისაგან სპასალა-
რისა თვისისა მარსისა მოციქულად გაგზავნა დიდისა პეკინისა
კელმწიფის ლასურისა წინაშე და პურად მოწვევისა დაბარება , 447
აქა დილარ მძლეველისაგან მისთანა მყოფთა მეფეთა და დიდებულ-
თა თანა შესაგონებელთა და დასახსოვართა სიტყვათა ბრძანება. 448
აქა პეკინისა იმპერატორის ლასურის მოციქულისა მოსვლა წინაშე
დილარ მძლეველისა. 450
აქა პოლანთა მეფისა გოჰარისა და ბუხართა მეფისა შაბანდასა ომი
ძლიერი. 450
აქა პურობასა ზედა ზედა ზეფირის მონათა მოსვლა და გოჰარის გა-
მარჯვებისა მოლოცვა მზისა ქალაქისა კვლმწიფა ანავსიას მაგი-
ერად 451
აქა კვალად მოსვლა მოციქულისა მის კიტაიისა მეფისა ლასურისა
წინაშე დილარ მძლეველისა 452
აქა ნუშრევან მეფისა და ჩეიათელთ მეფის ქერამის ბრძოლა ძლი-
ერი მზისა ქალაქისა მოედანსა ზედა 453
აქა ზეფირის მონათა მოსვლა პურობასა ზედა და ნუშრევანისა გა-
მარჯვებისა მოლოცვა მზისა ქალაქისა კელმწიფასა მაგიერ . 454
აქა კვალად პეკინის კელმწიფისა ლასურის მოციქულისა მოსვლა
წინაშე დილარისა 455
აქა ბრძოლისა თალპიონსა ზედა განსვლა დილარ მძლეველისა ათი-
ათასთა სპილოთა და ასოცი ათასთა გულოვანთა ჭაბუკთა საბრ-
ძოლველად 456
აქა პურობასა ზედა მოსვლა ზეფირისა მონათა წინაშე დილარ მძლე-
ველისა და მოლოცვა განსადიდებელისა მის ძლევისა . . 461
აქა კვალად მოსვლა დიდისა პეკინის კელმწიფის ლასურის მოცი-
ქულისა წინაშე აბაშთა თვით მპყრობელისა მონარხისა დილარ
მძლეველისა, კეკელასა ბაღსა შინა 462

აქა დილარ მძლეველისა და ლასურ კელმწიფისა ოც-და-ათი-ათასთა სპილოთა და მათზედა მსხდომთა სამას-სამოცი ათასთა ფალავანთა ბრძოლა 463

აქა ბრძოლასა შინა ულალტა დილარ მძლეველსა ლასურ კელმწიფემან და მყისად სამოცი ათასი ბრძოლასა შინა განსწავლული სპილო მოუსივა ზედ მსხდომითა უთვალავითა ლომ-გულითა ფალავნებითა 464

აქა მის კელმწიფეთა უზესთაესისა მზისა ქალაქის კელმწიფა ანავსიას მიერ დილარისა სპილოთაგან გარე მოცვსათვის ზრუნვა და დილარისა მოძმეთა თანა ბრძანებისა შემოთვლა და ლექსთა მოწერა დილარისა მიშველებისათვის 464

აქა დილარ მძლეველსა თანა მოსვლა მის მთოვარისა უელვარესისა მნათობისა ზეფირისა მზის ქალაქისა კელმწიფასა მაგიერ მოსაკითხავად, და სახელოვანისა სპასალარისა სიყვარულითა მისითა ცნობისა მიხდა 467

აქა ლასურ ჩინელისა მოციქულისა მოსვლა წინაშე დილარ მძლეველისა. 471

აქა მზის ქალაქისა მოედანსა ზედა დიდისა ყურყანელთა მეფისა სურუტაშისა და დილარის ომი: 472

აქა ლასურ პეკინისა იმპერატორისა მოციქულისა მოსვლა წინაშე დილარ მძლეველისა აბაშთა მპყრობელისა. . . . 474

აქა დიდისა მის აბაშეთისა კელმწიფისა დილარ მძლეველისა ბრძოლისა თალპიონსა ზედა შესულა და მუნითგან ალერსი თვისისა სატრფიალოსი. 475

აქა ლასურ ჩინელისა კელმწიფის მოსვლა მზისა ქალაქისა მოედანსა ზედა, და სასტიკი ბრძოლა დილარისა და ლასურისა: . 477

აქა დილარ მძლეველისაგან მზისა ქალაქისა მოედანსა ზედა ლასურ ჩინეთისა კელმწიფისა დანაშთომთა ძლიერთა ბრძოლა, ჩაყრა და ღაპყრობა 478

აქა დილარ მძლეველი ლასურ კელმწიფესა თანა მობრძანდა, საყნოსელითა სუნნელითა მოაბრუნა და თვისსა სრასა მიიყვანა . 479

აქა დილირ მძლეველისაგან პყრობისა გარდახდა ლასურისა ურიცხვთა პყრობილთა განთავისუფლება და მხიარულება დიდი . 481

აქა წინაშე დილარ მძლეველისა მის მნათობისა ზეფირისა მონათა მოსვლა მოსაკითხავად და მრავალთა საჭურჭლეთა გასაღებთა მორთმევა ყოველთა საცხადოდ 484

აქა დილარ მძლეველმან მიუწოდა ჯანუჯან ვაზირსა და გამოჰკით-

ხა მის შვენიერისა ქვეყნისა სანადიროთა ჰამბავი . . 485
აქა დილარ მძლეველისა, ლასურ კელმსიფისა და ყოველთა მათ დიდებულთა და სპათა დიდსა მას მზისა ქალაქისა სანადიროსა წარსასვლელად მომზადება . . . 486
აქა მის მნათობისა ზეფირისა მონისა მოსვლა წინაშე დიდის აბაშთა კელმწიფის დილარ მძლეველისა, და დაშლა მას დიდსა სანადიროსა წარსვლისა . . . , . . 487
აქა ჯანუჯან ვიზირისა მიერ მათის უდიდებულესობის დილარ მძლეველისა წინაშე ჰრჩევისა მოხსენე . . . 489
აქა დილარ მძლეველისა, ლასურ კელმწიფისა, ნუშრევანისა, გოჰარისა დს სამთა მათ ვეშაპთა ბრძოლა სასტიკი და ძლიერი. ლასურისა და ნუშრევანისა შთანთქმა ვეშაპთა მათგან, და დილარისა მიერ ხსნა მათი და ვეშაპთა დაკოცა 490
აქა ჯანუჯან ვაზირისაგან ნუშრევანისა განკურნება, და ყოველთა ერთობით განმხიარულება. და ნუშრევანისა მიერ დილარისა კელს კოცნა და მადლობისა მოხსენება 495
აქა პურობისა გარდახდა დილარ მძლეველისა მიერ, ოდეს ლასურ და ნუშრევან გათავისუფლდენ ვეშაპთა გესლისაგან ხეზოტრ კელმწიფისა დიდსა სანადიროსა შინა 496
აქა დილარ მძლეველმან უბრძანა ყოველთა მათ ურიცხობასა სპათასა ვეშაპთა მათ ტყავთა გახდა 496
აქა წინაშე დილარ მძლეველისა ჯანუჯან ვაზირისა მიერ მათ ვეშაპთა ჰამბისა მოხსენება 497
აქა მის საწადელისა სანადიროსაგან აყრა დილარ მძლეველისა და ყოველთა მას თანა მყოფთა, და მისვლა მასვე სამყოფსა ქალაქსა მათსა 498
აქა მის მნათობისა ზეფირისა მიერ დილარ მძლეველისა მას ტურფასა გოდლისა ბაღსა შინა დაბარება, და ორთავე ურვეულთა მიერ ერთმანეთისა ხილვა, ალერსი და უბნობა . . . 499
აქა მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსიასაგან მოწოდება ზეფირისა განმართლებად თავისა 503
აქა წინაშე მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსიასსა ზეფირისა მიერ თავისა თვისისა განსამართლებელთა სიტყვათა მოხსენება და მისგანცა სულისა დაღებით მოსმენა 505
აქა მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსიას მიერ მიწოდება სახლის უხუცესისა და მეფისა საურმაგისა ასულისა მნათობისა რიზარინისა, გოჰარისა სატრფიალოსა, მამისა მისისა დაბარებისა თვის . 506

აქა აბაშთა კელმწ ფისა დილარ მძლეველისა მიერ მოციქულად გაგზავნა ჯანუჯან ვაზირისა და ძისა მისისა საურმაგისა, და წიგნისა მირთმევა წინაშე მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსიასსა, და ვედრება ზეფირის განთავისუფლებისა თვის . . . 507
აქა ანავსია კელმწიფას მიერ დიდებულისა თვისისა ასულისა ზეფირისა მოყვანინება, დილარისა შუა მდგომელობითა მოწყალებიანთა სიტყვათა ჰბრძანება და შეზავება . . . 512
აქა მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსიას მიერ მის მნათობისა რიზარინისა წარგზავნა ბაღსა შინა საკელმწიფოსა მშობელსა თვისსა თანა სამახარობლოდ მნათობისა ზეფირის თვისსავე პატივსა ზედა გებისა თვისს 513
აქა მნათობისა ზეფირისაგან ბაღსა შინა საკელმწიფოსა დილარ მძლეველისა მოწვევა საალერსოდ, უბნობა მათი, და ანავსია კელმწიფასა მიერ იდუმალ ჭვრეტად მათი . . . 514
აქა დილარ მძლეველისა მიერ ზეფირისა საუბარი ბაღსა შინა . 515
აქა მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსიასაგან თვისისა მნათობისა ზეფირისა მოწყალებით პირს კოცნა, ხარისხისა მომატება და დილარსა ზედა უბნობა 516
აქა ანავსია მზისა ქალაქისა თვით მპყრობელასაგან თვისისა მნათობისა ზეფირსა თანა ტკბილად უბნობა და დილარისა ჰამბავთა გამოკითხვა 517
აქა მნათობისა ზეფირისაგან ანავსია კელმწიფას პასუხისა მოხსენება 518
თავი მეათე. კარი იგივე. აქა გრძნეულთა მეფისა გარშარაბის კაცის მოსვლა და წიგნის მორთმევა წინაშე დილარ მძლეველისა, და სკვითთა მეფისა ხაყანის ჰამბისა დაწყება . . 522
აქა ლასურ პეკინისა კელმწიფემან ჰსთხოვა დილარ მძლეველსა ვედრებით სკვითთა მეფესა ზედა ბრძოლაჲ და განდიდებულისა სპასალარისა როინისა ასული კასია ცოლად თავისად . . 523
აქა დილარ მძლეველისა მიერ საურმაგ მეფისა გაგზავნა ზეფირისა თანა ლასურისა თვის მნათობისა კასიას სათხოვნელად, და გარშარაბ მეფისა წერილისა მისართმეველად წინაშე ანავსია კელმწიფასსა 525
აქა საურმაგისა და სახლის უხუცესისა საკელმწიფოსა ბაღით გამობრუნება, და წინაშე დილარისა მოსვლა . . . 527
აქა შვენიერისა მის მნათობისა ზეფირის მონისა მოსვლა წინაშე დილარ მძლეველისა აბაშთა კელმწიფისა, წიგნისა მორთმევა, დილარისა სანატრელისა ჟამისა მოწვევნა და თვისისა საყვარელისა ხილვა 527

აქა დილარ მძლეველისა პირველი ხილვა მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსიასი და მშვენიერებითა მისითა დილარ მძლეველისა გულს შემოყრა, და ანავსიას მიერ მობრუნება მის დილარისა 531
აქა დილარ მძლეველმან მას წინა ღამესა თვისი შემთხვევა ჰბრძანა ყოველთა გასაგონად, და შვენიერთა მათ მნათობთა უსაზომო ქები წარმოჰსთქვა 535
აქა დილარისა წასვლა ანავსია კელმწიფისა სახილველად, და ძვირფასთა ნივთთა კელთა დასადებელთა თანა მიტანა . . 537
აქა მეორედ ხილვა ანავსია კელმწიფისა დილარ მძლევლისაგან საკელმწიფოსა ბაღსა შინა 537
აქა ანავსია კელმწიფისა მიერ ნებისა დართვა დილარისა მისთა უსაწადელესთა ლაწვთა ზედა დაკონებისა, და სიტყვათაცა ტკბილთა ბრძანება 539
აქა პეკინისა დედოფლის კასიას მიერ თხოვა დილარსა თანა, რათა სკვითელთა თანა ბრძოლისა მოედანი დაენებებინა ლასურ კელმწიფისათვის 540
აქა წინაშე დილარ მძლეველისა მნათობისა ზეფირისა მიერ წიგნისა მიწერა, მის მარგარიტისა კაბისა თხოვა და მონისა წარვლინება 547
აქა ზეფირისა მონისაგან დილარისეულთა კაბათა მიტანა ზეფირისა წინაშე, და ზეფირისაგან მირთმევა თვისისა კელმწიფასა წინაშე. 549
აქა წინაშე დილარ მძლეველისა შეჰკრბენ ყოველნი იგი კელმწიფე მეფენი და დიდებულნი 550
აქა სკვითთა მეფისა ხაყანისა მოსვლა მზისა ქალაქისა მოედნისა კიდესა ზედა მრავლითა ათასითა მეომრითა და გულოვანითა ფალავნითა 550
აქა ხაყან სკვითელთა მეფისა ასთა ურჩეულთა ფალავანთა და დილარ მძლეველისა ერთისა ათასთაგანისა მოყმისა ლომ ფოლადისა ბრძოლა ძლიერი 551
აქა ზეფირისა მონისა მოსვლა წინაშე დილარ მძლეველისა მისაწვეველად საყვარელასა თვისისა თანა, დილარისა წარსვლა და ორ ათ ოთხთა მნათობთა თვის მარგარიტისა კაბათა ძლვნად მიტანა, და ალერსი მუნ დილარისა თვისს ვარდსა თანა . . . 553
აქა მზისა ქალაქისა მოედანსა ზედა დილარისა ერთისა მოყმისა და ასთა ფალავანთა ხაყანისათა ბრძოლა ძლიერი და ჰვრეტა ყოველთა მეფეთა და დიდებულთაგან 555
აქა მზისა ქალაქისა მოედნისა კიდესა ზედა დილარ მძლეველისა

ყოყმისა ზუმრუთისა და ასთა ფალავანთა სკვითელთა ბრძოლა ძლიერი 557
აქა დილარ მძლეველისაგან ყოველთა სკვითელთა ფალავანთა პყრობილთა განთავისუფლება და შეწყალებულთა გაგზავნა მათი სკვითელთა მეფისა თანა 558
აქა ზეფირისა მონისა მოსვლა წინაშე დილარ მძლეველისა და ბაღსა შინა მიწვევა საყვარელსა თვისსა თანა, დილარისაგან მხიარულებით შედგომა მონისა მის და წარსულა . . . 560
აქა წინაშე დილარ მძლეველისა სკვითელთა მეფისა ხაყანის მოციქულისა მოსვლა პურობასა ზედა 566
აქა წინაშე დილარ მძლეველისა ზეფირისა მნისა მოსვლა და ბაღსა მას სახელმწიფოსა მიწვევა და წასვლა დილარისა ზეფირისა სახილველად 567
აქა სკვითელთა ძლიერისა მის მეფისა ხაყანისა და დილარ მძლეველისა სპასალარის მარსისა ომი, და აგრეთვე რაზმთა ხაყანისათა და დილარისა მოყმეთა ბრძოლა ძლიერი 568
აქა სკვითელთა მეფისა ხაყანისა შემოსვლა მზისა ქალაქისა მოედანსა ზედა ყოვლითა რაზმითა თვისითა და ბრძოლა ძლიერი ხაყანისა და მარსი სპასალარისა. 569
აქა დილარ მძლეველისაგან მზისა ქალაქისა მოედანსა ზედა მოყვანინება სკვითელთა მეფისა ხაყანისა და ყოველთა ყმათა მისთა ხუთასი ათასთა პყრობილთა და განთავისუფლება მათი და ეგრეთ ყოველთაგან განმხიარულება 573
აქა ზეფირისა მონათა მოსვლა წინაშე დილარ მძლეველისა პურობასა ზედა და წყალობისა წერილისა მოღება . . . 574
თავი მეთერთმეტე. კარი იგივე. აქა მოსვლისათვის განსაკვირვებელისა მას გმირისა კადუზიანელთა მეფისა ფარსმანისა და ყმათა მისთა კაცის მჭამელთა ფალავანისა 577
აქა სურმაგ მეფისა და სახლის უხუცესისაგან გარშარაბის წიგნის მიტანა ზეფირისა თანა ზეფირისაგან ანავსია კელმწიფისა წინაშე მირთმევა და ყოველთა მათ მნათობთა ფრიად შეშინება ჰამბავსა მას ზედა 578
აქა ზეფირ მნათობის აღსვლა წინაშე კელმწიფა ანავსიასსა, გარშარაბის წიგნის მირთმევა და ყოველთა დაბარებულთა მოხსენება. 599
აქა დილარისა და ყოველთა კრებულთა მისთა მისვლა უშვენიერესსა მას გოდოლისა წალკოტსა შინა წინაშე ანავსია კელმწიფასსა. 602
აქა ბაღსა შინა დილარ მძლეველისაგან მიქცევა გზისა და მუნჯე

ანავსია კელმწიფასთანა ხლება და მათგან რჩევა მის მომავალისა კადუზიანთა მეფესა ფარსმანსა ზედა 606
აქა მათ კელმწიფეთა და მეფეთა განკვირვება უზადოთა მათ მნათობთა შვენიერებასა ზედა და ზოგთა სურვილითა მათითა ცნობისა მიხდა და დილარისაგან მობრუნება მათი . . . 608
აქა დილარ მძლეველისაგან განგება, თუ ვითარ ჯერ იყო მის კადუზიანელთა მეფისა ფარსმანისა მოსვლისა ჟამსა საქმისა მოქმედება ანუ მზისა ქალაქისა დაცვა კელთაგან მათთა და მნათობთა სიმრავლისა უშიშრად დაკრძალვა ვითარცა ჰშვენოდათ . . 611
აქა დილარ მძლეველისა და მათ ყოველთა კელმწიფეთა, მეფეთა და დიდებულთაგან მომზადება და შესვლა უშვენიერესსა და კეკელასა მას მზისა ქალაქსა შინა და მუნით მოგებება ყოველთა მკვიდრთა მას შინა დიდებულთა და აზნაურთა და შემდგომთა უჩინებულესთა მოქალაქეთა 612
აქა დილარ მძლეველისა და სხვათა მათ კელმწიფე მეფეთა და დიდებულთაგან სეზოსტრ კელმწიფისა სრა პალატთა შინა აღსვლა და მუნ ხილვა მრავალთა კეთილთა სახილველთა . . . 613
აქა წინაშე დილარ მძლეველისა შემოჰკრბენ ყოველნი იგი კელმწიფე მეფენი და დიდებულნი, და პეკინისა კელმწიფე ლასურისა და სხვათა მეფეთაგან ქება მათ გოდოლთა შენებულებისა, და დილარისაგან უმეტესისა ქებისა ბრძანება . . . 616
აქა მნათობისა მის კასიას მონისა მოსვლა წინაშე ლასურ პეკინის კელმწიფისა და წიგნისა მორთმევა 618
აქა პეკინის დედოფლის მნათობის კასიას მონის მისვლა წინაშე ლასურისა და წიგნისა მირთმევა და ლასურისა სასურველის წამისა მოწევნა 621
აქა პეკინისა დედოფლისა მნათობის კასიასაგან თვისისა მიჯნურისა შეწყალება, შესაგონებელთა სიტყვათა ბრძანება და საბრალოსა ლასურისაგან თვისისა საწადელისა სრულ ყოფა . . 624
აქა მის უმშვენიერესისა გოდლისა წალკოტსა შინა პურობისა დიდისა გარდახდა დილარ მძლეველისაგან და ლასურ პეკინისა კელმწიფისა მიერ მადლობის მოხსენება 626
აქა მოსვლა დიდისა მის და ძლიერისა კადუზიანთა მეფისა ფარსმანისა და ძლიერთა მათ გმირთა მისთა კაცის მჭამელთა და მპარავთა მათ კოლხიდისა კერძოთასა 626
აქა სახელოვანისა მის გულოვანისა მარსის მხიარულებისა, ჟამისა მოწევნა და თვისისა მის სატრფიალოჲსა მნათობისა ზეფირისაგან

დაბარება და მარსისაგან თვისისა სურვილისა სრულ ყოფა . 627
აქა დილარ მძლეველმან შემოკრიბნა ყოველნი კელმწიფე მეფენი და დიდებულნი და მარსი სპასალარი თვისი გაგზავნა მოციქულად წინაშე ფარსმან მეფისა 629
აქა პურობასა ზედა მის კადუზიანთა მეფისა ფარსმანის მოციქულისა მოსვლა წინაშე მზისა ქალაქისა და აბაშთა კელმწიფისა დილარ მძლეველისა 633
აქა კადუზიანელთა მეფისა ფარსმანის კელოვანთა ქურდთა წამოსვლა ბრძანებითა მეფისა მათისათა შესაპყრობელად რავდენთამე სპათაგან დილარისათა და გზასა ზედა შეხვედრა სპასალარისა მარსისა და ასთა გულოვანთა მოყმეთა აბაშელთა და აბაშელთაგან შეპყრობა ათასთა ქურდთა და ათასთა მათ ბრიყვთა ფალავანთა 634
აქა დილარ მძლეველისა და ხუთ ათეულთა ათასთა ბრუტოსელთა კაცის მჭამელთა ფალავანთა ბრძოლა ძლიერი . . . 635
აქა მპარავთა მათ გაბუნიათა ბანძენთაგან ხაყან სკვთთა მეფისა და ათი ათასთა დიდებულთა ლასურისა და ხაყანისათი დაპარვა, დილარისაგან შეტყობა დაპარვისა მათისა და წარსვლა გამოხსნად მათდა 638
აქა დილარ მძლეველისაგან შესვლა კადუზიანელთა გმირთა ბანაკთა შინა და მათგან შეპყრობილთა სკვითთა მეფისა ხაყანისა და ყოველთა დიდებულთა გამოხსნა და ბრძოლა ძლიერი. . . 639
აქა მის მზის ქალაქის კელმწიფისა და აბაშეთის მპყრობელის მიმზიდისა ანავსისაგან თვისისა გოდლისა ბანით ჭვრეტა სასტიკისა მის ბრძოლისა და დილარისა თვის ტირილი და გოდებით ზრუნვა 641
აქა მზისა ქალაქისა კელმწიფასა და აბაშეთის მპყრობელისა მზისა ანავსიას მიერ ტირილით თხოვანი ცისადმი . . 643
აქა დილარ მძლეველისა და კადუზიანელთა მეფისა ფარსმანისა ბრძოლა ძლიერი და მესისხლედ კვეთება მათ უსწოროთა ჭაბუკთა 646
აქა ფარსმან ქველისა და ძლიერისა მეფისა საუბარი დილარ მძლეველისა თანა 649
აქა დიდის მის აბაშეთის მპყრობელისა და მზისა ქალაქისა მფარველისა დილარ მძლეველისაგან მათ კადუზიანელთა წვრთნა, შეგონება და მცნება 651
აქა ზეფირისა მონის მოსვლა წინაშე დილარ მძლეველისა და მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსიას წინაშე მიწვევისა მოხსენება,

დილარის მიერ მალიად შედგომა კვალსა მისსა . . . 655
აქა აქვსონისა მიერ შეგონება საზოგადოდ 656
აქა დილარ მძლეველისაგან მათ კადუზიანელთა მეომრობისა ქებისა ბრძანება და მეფისა მათისა ფარსამანის ძლიერებისა განცხადება ყოველთა შორის 657
აქა კადუზიანთა ძლიერისა მის მეფისა ფარსმანისა და ჰსჯულის მეცნავთა მისთა პაექრობა და ძლევა მათი ფარსმანისაგან . . 658
აქა მართალსა ჰსჯულსა ზედა მოქცევა დიდისა და ძლიერისა მის კადუზიანთა მეფისა ფარსმანისა ყოვლითა მით უჰამრავითა ყმითა თვსითა და მოსვლა წინაშე დილარისა და მადლობისა მოხსენება და დილარისა გამხიარულება და პურობისა დიდისა გარდახდა დიდსა მას მოედანსა მზისა ქალაქისასა . . . 659
აქა დილარ მძლეველისა და მათ ყოველთა კელმწიფე მეფეთა და დიდებულთა და სპათა მათთა მზისა ქალაქისა სანადიროსა წარსვლა და ნადირობით შექცევა მათ ურიცხვთა რაზმთა, განმხიარულება უცხოსა მის სანადიროსა ხილვისათვის ყოველთაგან . 662
აქა გზასა ზედა ფარსმანისა და ხაყანისაგან წინაშე დილარისა მოციქულად მიგზავნა მარსი სპასალარისა თვისთა, ტროფიალებათა გამოცხადება და თხოვნა საცოლოდ მათ შვენიერთა მნათობთა ორიონისა და მარიხისა და დილარ მძლეველისაგან მოხარულითა გულითა აღთქმა და ბოძება 663
აქა მზისა ქალაქის კელმწიფა ანავსიას მიერ მოწოდება დილარ მძლეველისა და ბრძანება ლასურისა და გოჰარისა ქორწინებისა და დილარისაგან ვედრება ფარსმანისა და ხაყანის ქორწინებისათვის და სხვათა ყოველთა თვის, და ანავსიას მიერ ნებისა დართვა დილარისა თხოვასა ზედა 664
აქა უშვენიერესისა მის მზისა ქალაქისა კეკელასა გოდოლსა შინა ქორწილი დიდისა მის პეკინისა კელმწიფისა ლასურისა, კადუზიანელთა უძლიერესისა და დიდისა მეფისა ფარსმანისა, სკვთა მეფისა ხაყანისა, პოლანთა მეფისა გოჰარისა, სპასალარისა და მეფისა მარსისა, ათასთა აბაშელთა დიდებულთა ძეთა და ლარა სპასალარისა 668
აქა მათ ყოველთა სიძე სძალთა თჳს თჳსად მზითევთა ბოძება მზისა ქალაქისა კელმწიფა ანავსიას მიერ ყოველთავე თანა ჰსწორად, ვითაცა ზრდილ იყვნენ თანასწორ საკელმწიფოსა პალატსა შინა დიდებულთა ასულნი უშვენიერესნი მნათობნი . . 670
აქა ანავსია კელმწიფემან კვლა მიიწვია იგი კელმწიფენი მეფენი და

დიდებულნი და სამსა დღესა გარდაიხადა პურობა დიდი და აღავსნა ყოველნივე წყალობითა და ნიჭითა. 672
აქა მოსვლა დიდთა მათ მეფეთა ჰინდოეთისა, ბაბილოვნისა და ეგვიპტისა გრძნეულთა ქვეყანასა შინა და გარშარაბ მეფისაგან წერილით მოხსენება ვითარებისა მათისა წინაშე დილარისა , . 673
აქა მზასა ქალაქისა კელმწიფა ანავსიას წინაშე გარშარაბ მეფის წერილისა მირთმევა ლასურისა და ფარსმანისაგან . . . 675
აქა დილარ მძლეველისა აღსვლა მზისა ქალაქისა კელმწიფისა თანა და მუნ შეურვებულისა დილარისა თვისისა სატრფოჲსა ალერსითა განმხიარულება და ტკბილად საუბარი მათი, და სხვათა მათ მეფეთაგან დამბკიცება მომავალთა კელმწიფეთა მიგებებასა ზედა. 677
აქა დილარ მძლეველისაგან პასუხისა მიგება თვისისა სატრფიალოსადმი და მრავალსა ვედრებასა შინა ცნობისა მიხდა დილარისა. 678
აქა დილარ მძლეველისა მიერ ბრძანებისა მიცემა ჯანუჯან ვაზირისადმი მოწვევად მის ქვეყანისა სპათა, სპასპეტთა და სპასალართა დაუყოვნებლად შემოკრებისათვის ვრცელსა მას მოედანსა მზისა ქალაქისასა 686
აქა დილარ მძლეველისა მიერ განგება მომავალთა მათ სამთა დიდთა კელმწიფეთა ზედა ბრძოლისა, წინა მბრძოლად წარვლინება სპასალარისა თვისისა მარსისა ხუთ ასითა მოყმითა თვსითა და ერთისა მუნებურისა სპასალარისა ყამჩარ ყანისა და ცხრა ასი ათასთა მის ქვეყანისა ჭაბუკთა 687
აქა მზისა ქალაქისა კელმწიფას ანავსიას მიერ მიწოდება თვსისა ერთ გულისა სპასალარისა ყამარბადრისა და ბრძანებისა მიცემა. 688
აქა ყამარ ბადრის მისვლა დილარისა სპათა შორის, დილარისაგან ცნობა ყამარ ბადრის მისვლისა და საქმესა მასვე ზედა მისგანცა მტკიცედ დადგინება 689
აქა შვენიერისა მის მდინარისა კიდესა ზედა პურობასა ზედა და დიდსა მხიარულებასა შინა მის სახელოვანის სპასალარისა მარსის კაცის მოსვლა წინაშე დილარ მძლეველისა და მოხსენება ჰინდოთ მეფის სპისალარისა ჰინდოსა და მარსისა ბრძოლისა . . . 690
აქა კვლა მოსვლა კაცთა სპასალარისა მარსისათა წინაშე დილარ მძლეველისა და ჩოხსენება მათ ორთა გულოვანთა სპასალართა ზედა ძლევისა სპითურთ მათით და მოხსენებაცა სამთა მათ ძლიერთა კელმწიფეთა მოსვლისა და გარდახდომა ნასადგომევსა მათ სპასალართასა 694
აქა დილარ მძლეველისა და ყოველთა მათ კელმწიფე მეფეთა და

მკედრობათა მათთა ზედა მისწრება ბრძოლასა შინა მარსისა და მოძმეთა მისთასა 695

აქა უდიდებულესისა მის დილარ მძლეველისა ერთ გულისა გრძნეულთ მეფისა გარშარიბის მოსვლა მრავლითა და გულოვნითა მკედრობითა წინაშე დილარ მძლეველისა და განმხიარულება დილარისა 697

აქა მას მხიარულებასა ზედა მოსვლა სრულისა ძალისა მექონისა დესპანისა მათ ძლიერთა კელმწიფეთა ჰინდოთა, ბაბილოვნისა და ეგვიპტისათა წინაშე დილარ მძლეველისა აბაშთა და მზისა ქალაქისა კელმწიფისა. 698

აქა დილარ მძეველისა და ჰინდოთა კელმწიფისა ფახფურისა და ამილბარისა მისისა სარრიდანისა ბრძოლა ძლიერი, დილარ მძლეველისაგან ძლევა მათი და შეპყრობა 700

აქა ბაბილოვნისა კელმწიფის ვილოსისა და აბაშთა მპყრობელისა დილარ მძლეველისა ბრძოლა და დილარისა მიერ დიდისა და ძლიერის ბაბილოვნის კელმწიფისა ვილოსის ძლევა . . . 701

აქა დილარ მძლეველისა და დიდისა ეგვიპტისა კელმწიფისა ფაროსის ბრძოლა სასტიკი და დილარისა მიერ ფაროსისაცა ძლევა და შეპყრობა 702

აქა სამთა მათ დიდთა შეპყრობილთა კელმწიფეთა რაზმთა და კადუზიანელთა მეფისა ფარსმანისა თვისითა ყმითა ბრძოლა და მათ ყოველთა უმეფოთა სპათა დაპყრობა და გამარჯვება ძლიერისა ფარსმანისა მიერ 703

აქა დილარ მძლეველისა მიერ მათ პყრობილთა კელმწიფეთა თანა მისვლა, განხსნა მათი და ბოდიშისა მოხდა დილარისა მიერ . 703

კარი მეათსამმეტე. აქა შესვლა დილარ მძლეველისა დიდსა და კეკელასა ქალაქსა მზისა ქვეყანისას დიდითა დიდებითა და მრავალთა კელმწიფეთა და მეფეთა თანა ხლებითა, ურიცხვთა სხვათა და სხვათა რაზმთა სიმრავლით და მხიარულებითა . . 706

აქა შესვლა კეკელასა მას მზისა ქალაქსა დილარ მძლეველისა და ყოველთა მათ ძლიერთა და დიდთა კელმწიფეთა და მეფეთა ყოვლითა თვისითა კრებულითა და წინა მოგებება ყოველთა მის ქვეყანისა დიდებულთაგან 709

აქა მოიწია ჟამი დილარისა სასიხარულო და მიხედა მოწყალებითა სატრფიალომან თჳსმან და ეგოდენთა ჭირთა თჳსთა განკურნებისა დრო მოვიდა და ღირს-იქმნა საწადელსა თჳსსა . . 710

აქა დილარ მძლეველსა მისცა სვემან თვისმან ჟამი მრავალთა წე-

ლთა სანატრელისა თჳსისა აღსრულებისა და მიეცა წამი თჳსისა საწადელისა ვარდისა კვალსა შესვლისა და კოკობისა ვარდისა გაშლისა. 712

აქა დილარ მძლეველმა მოუწოდა ლასურ პეკინისა კელმწიფესა და ფარსმან კადუზიანელთა ძლიერსა მეფესა და ჰსთხოვა განმხიარულება თჳსისა ქორწინებისა სამთა წინა დღეთა შინა . . . 714

აქა დიდისა აბაშთა მპყრობელისა დილარ მძლეველისა და სატრფიალოსა მისისა მზისა ქალაქისა კელიწიფა ანავსიას ქორწილი, სეზოტრ კელმწიფისა დიდებულსა სრასა შინა . . . 715

აქა დილარ მძლეველისა მიერ მიგზავნა მათ სამთა კელმწიფეთა, ახლად მოჴრულთა თანა, ლასურისა, ფარსმანისა და ნუშრევანისა 718

აქა ქორწილი ჰინდოთა მეფისა ფახფურისა, ბაბილოვნელთა მეფისა ვილოსისა და ეგვიპტისა მეფისა ფაროსისა და ჰინდოთა ამილბარისა სარრიდანისა 721

აქა დიდსა მას კელმწიფესა დილარ მძლეველსა უშკა ძე სატრფომან თჳსმან ანავსია კელმწიფემან, შეენიერებითა ჰმსგავსი თჳსი და მკერდ მკლავითა უმჯობესი მამისა თვისისა, და ეგრეთვე ჰინდოთა კელმწიფესა, ბაბილოვნისა, ეგვიპტისა და ამილბარსა უშვნეს საყვარელთა თჳსთა ძენი ტურფანი და სახილველად სასურველნი 723

აქა დიდი იგი ხელმწიფე ჰინდოეთისა ფახფურ, ბაბილოვნისა ვილოს, ეგვიპტისა ფაროს, კადუზიანელთა ფარსმან და სკჳთთა ხაყან მეფე გამოეთხოვნენ დიდსა მას ხელმწიფესა დილარ მძლეველსა თჳსთა ქვეყანათა წარსასვლელად და დილამანცა ნება ჰსცა და დაითხოვნა იგინი მრავლითა დიდებითა და ნიჭითა . . . 725

აქა გამოსალმება მათ ხელმწიფეთა მეფეთა და დედოფალთა მათთა ანავსია ხელმწიფასა და დილარ მძლეველსა თანა ცრემლითა მრავლითა და სულთქმითა ხშირითა . . . 727

აქა ნუშრევანისა და გოჰარისა გამოთხოვა და სპასალარისა მიგზავნა წინაშე დიდისა და ძლიერის კელმწიფისა დილარ მძლეველისა. 728

აქა წარსვლა მის შვენიერისა და კეკელასა მზისა ქალაქით, მათ შეკრებულთა კელწიფეთა მეფეთა და რაზმთა მათთა მრავალთა ძვირფასითა ნივთითა, ოქროთა და ვერცხლითა და თანა გაყოლა დილარისა და ლასურისა მის ქვეყანისა საზღვარსა გარე. . 730

აქა მყინვართა, გალიისა და ზღვათა მეფისა ნუშრევანისაგან თვისისა ერთგულისა ლარას მეფობისა მიცემა, დილარისა და სხვათა-

განცა დამტკიცება და კელისა მოწერაჲ 732
აქა დიდისა კელმწიფისა დილარ მძლეველისა მიერ თჳსისა მეწინა-
ობისა სპასალარობისა ბოძება მის ნამსახურისა გრძნეულთა ქვე-
ყანისა გარშარაბ მეფისა და მეკოპრეთა მეფისა ზორასტანისა. . 733
აქა დილარ მძლეველისა და სხვათა მათ დიდთა კელმწიფეთა და
მეფეთა შესვლა მზისა ქალაქით გარშარაბ მეფისა ქვეყანასა შინა. 734
აქა დილარ მძლეველისა და ყოველთა მათ კელმწიფეთა მეფეთა
და დიდებულთა და ურიცხვთა მათ სპათა მათთა მეკობრეთა მე-
ფისა ქვეყანასა შესვლაჲ მხიარულებით . . - . 736
აქა დიდისა მის პეკინისა კელმწიფემან ლასურისა მთოვარემან მნა-
თობმან კასია ჰშვა ასული შარავანდედითა, ვითა მზე და ნათ-
ლითა, ვითა მთოვარე 739
აქა ქორწილი ზორასტან მეფის ძისა სისტანისა და გარშარაბ მე-
ფის ძის ფეროზისა მზისა ქალაქსა შინა 739
აქა კვალად ჰშვა ძე მზისა ქალაქისა და აბაშეთისა კელმწიფა ანავ-
სიამან შვენიერებითა მდიდარი და ლომ მონაკვეთი. . . 740
აქა დიდისა მზისა ქალაქისა და აბაშეთისა კელმწიფისა დილარ
მძლეველისა და პეკინისა პელმწიფისა ლასურისა და სხვათა მათ
მეფეთა და დიდებულთა მისვლა ჯანუჯან ვაზირისა გაკეთებუ-
ლისა კელოვნებისა სახილველად 741
აქა დიდისა მის მზისა ქალაქისა და აბაშთა კელმწიფისა დილარ
მძლეველისა მიერ მის საშინელისა ლომისა ხმის გაგონებისა მო-
ნანება და გმირთა მათ ისართა მკჱცთელობისა გამოცდა. . 745
აქა იხილეს სახე ჯანუჯან ვაზირისა და ზედა წარწერა მისი. . . 746
აქა ჯანუჯან ვაზირმან თანა წარიყვანა მეფე და სპასალარი მარსი
მას საშინელსა ლომსა და ურიცხვთა გმირთა გოდოლსა თანა და
დილარ მუნ დაუტევა კელმწიფეთა და მეფეთა სახეთა თანა. . 747
აქა მზისა ქალაქისა და აბაშეთისა კელმწიფა ანავსიამან ჰშვა მესამე
ძე შვენიერებითა მდიდარი და მკერდ მკლავით ლომ მონაკვეთი
და აღივსო დიდი იგი სამონარხო მხიარულებითა . . 750
აქა პეკინისა დედოფალმან კასია ჰშვა კვალად მნათობი ასული. ფე-
როზ მეფესა უშვა დედოფალმან ძე შვენიერი ნაყოფი, სისტან
მეფესა უშვა დედოფალმან თჳსმან ძე და მარსის და სხვათა მო-
ყმეთა დილარისათა უშვნეს მნათობთა თჳსთა ყოველთავე ასულ-
ნი შვენიერნი, ვითა ცისა მნათობნი და ელვარებითა ვითა მთო-
ვარენი 752
ႩႠႰႨ ႫႤႠႧႭႧႾႫႤႲႤ თავი იგივე. აქა მოსვლა მზისა ქალაქსა

შინა მყინვართა მეფისა ფინეზისა და უმოხუცებულესისა ბრძენთა ბრძნისა ეგროსისა, ჰინდოთა კელმწიფისა და დედოფლისა მისისა, ბაბილოვნისა ხელმწიფისა, ეგვიპტისა კელმწიფისა, ნუშრევანისა, გოჰარისა სკვთა მეფისა, ამილბარისა, ლარასი და მათთანავე ძლიერისა მის კადუზიანელთა მეფისა ფარსმანისა თჳსთა საყვარელთა თანა 752

აქა ჯანუჯან ვაზირისაგან წინაშე დილარ მძლეველისა და ყოველთა კელმწიფეთა და მეფეთა თანა ხოტბისა წარმოთქმა და მათ შეკრებულთაგან სიამოვნითა მოსმენა 755

აქა ჯანუჯან ვაზირმან თჳსსა სიბრძნისა მასწავლებელსა უმოხუცებულესსა ეგროს ვაზირსა რავდენიმე ჩახრუხაული შეჰსძლვნა მოხარულითა ენითა 758

აქა კადუზიანთა ძლიერსა მას ფარსმან მეფესა მოახსენა ჯანუჯან ვაზირმან 760

აქა სამთა ხელმწიფეთა ჰინდოთა; ბაბილოვნისა და ეგვიპტისათა მოახსენა ჯანუჯან ვაზირმან 762

აქა ყოველთა მათ კელმწიფეთა მაფეთა და დიდებულთაგან დილარ მძლეველის საჭურჭლეთაგან ერთსა სწორსა გამოზიდვა მრავალთა ძვირფასთა ნივთა წინაშე ფინეზ მეფისა და ეგროს ვაზირისა მიტანა და მირთმევა. 763

აქა დიდისა მზისა ქალაქისა და აბაშელთა კელმწიფისა წინაშე გაგზავნა თვისისა სპასალარისა მარსისა და ათასთა ყმათა მოყმეთა თკსთა აბაშეთს მახარებელად მისვლისა თჳსისა. . . 764

აქა მეფისა და სპასალარისა მარსისა და ათასთა დიდებულთა ძეთა შესვლა აბაშეთსა შინა 765

აქა ძლიერისა მის კელმწიფის დილარ მძლეველისა განზადება შესვლად აბაშეთს, სახელმწიფოსა და მშობელსა მამულსა თჳსსა, ყოვლითა მით ხელმწიფეთა და მეფეთა კრებულითა, თჳს თჳსითა მნათობ დედოფლებითა და დიდებულთა დასითა 766

აქა ძლიერსა მას კელმწიფესა დილარ მძლეველსა მოეგებეს ყოველნი ყმანი მისნი, დიდისა აბაშეთისა სპასალარნი, ვაზირნი და ყოველნი მთავარნი და მოკელენი და მოხუცებულნი . 768

აქა აბაშთა ბანოვანნი მოეგებნენ წინაშე მათ კელმწიფეთა მეფეთა და დედოფალთა 766

აქა აბაშთა დიდებულთა ძეთა ასიათასთა დილარისა მოყმეთა წინა მოგებება 769

აქა ყოველთა აბაშეთისა სახელმწიფოსა მოკელეთა მოგებება წინა-

შე დილარ მძლეველისა 770

აქა ორათ ოთხთა სპასალართა და ვაზირთა აბაშელთა, და დიდებულთა ჰსთხოვეს დილარ მძლეველსა, წელიწადსა ერთსა დახვედრა მათ ყოველთა შეკრებილთა თვსთა საკუთართა შემოსავალთაგან, და დილარისაგან ნებისა დართვა 771

აქა აბაშთა აგარათა საკელმწიფოთა სრა პალატით აყრა ყოველთა მათ კელმწიფეთა მეფეთა და დიდებულთა, წარსვლა მარგარიტისა ქალაქად და წინა მოგებება ყოველთა დიდ ვაჭართა და ცოლთა მათთა და მასპინძლობა მათგან დიდითა დიდებითა . 773

აქა ძლიერისა მის კელმწიფისა დილარ მძლეველისა თვსსა გვირგვინოსანსა ქალაქსა შინა მარგარიტისასა მასპინძლობა და დახვედრა ყოველთა მათ დიდ დიდთა კელმწიფეთა მეფეთა და დიდებულთა. 774

აქა ყოველთა მათ კელმწიფეთა და მეფეთა ჰსთხოვეს უმოხუცებულესსა ბრძენთა ბრძენსა ვაზირსა ეგროსს, რათა შვენიერისა საკელმწიფოსი პალატისა კეკელასა მოედანსა ზედა აღემართნა ძეგლნი ვითარ იგი ჰშვენოდა სიბრძნესა მისსა და მრავალსა კელოვნებასსა მისსა. 775

აქა უუმოხუცებულესისა ბრძენთა ბრძნისა ეგროს ვაზირისაგან საკვრვოჲსა კელოვნებისა შემზადება. . . . 775

აქა კეკელასა მას სასახლისა მოედანსა ზედა დილარისა და ყოველთა კელმწიფეთა მეფეთა და დიდებულთა მისვლა, პურობისა და ლხინისა გარდახდა და საკკრვოთა მათ კელოვნებათა ეგროსისათა ხილვა. 778

აქა დიდისა მის ოქროსა ჯრწივისაგან სასტიკად კმობა დილარის დიდებისა 778

აქა მესაყკრეთა მათ დაჰსცეს საყკრსა საშინელითა კმითა მკმობელთა დილარისა ქებისათა და ათ ორმეტთა ჭაბუკთაგან ურნათა მოხდა და სუნნელებისა საწადელისა აღმოჰსდენა ურნათაგან და ჭაბუკთაგან კმა ტკბილად კმობაჲ საწადელთა ლექსთა . . 778

აქა ეგროს უმოხუცებულესისა ვაზირისაგან საშუალ მათ კელმწიფეთა მეფეთა და დიდებულთა დადგომა, მათ კელოვნებათა თვისთა ვითარებისა მოხსენება და სხვა და სხვათა გვართა ტკბილთა ლექსთა წარმოთქმა, რომელიცა იყო თვსისა სახისა ქარტასა ზედა წარწერილი. 779

აქა უუმოხუცებულესმან ბრძენმან ეგროს ვაზირმან დაასრულა მრავალ გვართა მათ ლექსთა მოხსენება წინაშე დილარისა და ყოველთა მათ შეკრებულთა და დილარისაგან მადლობისა ბრძანება 788

აქა ეგროს ვაზირისაგან თჳსის ჴელოვნებით ჩამოსხმულის თჳისისა-ვე სახისა მიერ მათ შვენიერთა მრავალ გვართა ლექსთა თქმა. 789
აქა დილარ მძლეველმან მიხედა მოწყალებით ოთხთა მათ სპასა-ლართა, რომელნიცა მზისა ქალაქისა მოედანსა ზედა მათრახითა ჩამოჰკარნა. 789
აქა დილარ მძლეველისა და ყოველთა მათ ჴელმწიფეთა და მეფეთა წარსვლა აბაშეთით მზისა ქალაქსა შესასვლელად ყოვლითა სა-ყვარელებითა თჳსითა. 790
აქა მზისა ქალაქსა შინა ას თერთმეტი ათასთა აბაშიერთა დილარი-სა მოყმეთა და ეგუოდენთა მზისა ქალაქისა მნათობთა ქორწილი 791
აქა მათ დიდთა ჴელმწიფეთა და მეფეთა მზისა ქალაქით წარსვლა თჳს თჳსთა ქვეყანათა შინა მრავლითა ნიჭითა და უნჯითა ურიცხჳთა. 792
შაირი ლარაძისა. 793

შენიშნული შეცდომები.

დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
დიდი გიგი მეფე (გვ. 577)	დიდი იგი მეფე.
დიდ დიდთა ძალთ (გვ. 577)	დიდ დიდთა ძელთა.
მის წაბრძანებსა (გვ. 11)	ნაბრძანებსა.